საქართველოს ისტორიის ნაროკვეები

რვა ტომად

სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. მელიქიშვილი (მთ. რედაქტორი), პროფ. ი. ანთელავა, პროფ. ვ. დონდუა, პროფ. მ. დუმბაძე, პროფ. ი. კაჭარავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. შ. მესხია, პროფ. ნ. სტურუა, პროფ. ა. სურგულაძე.

გამოსცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი, 1970

საქართველოს ისტორიის ნარკვევები

ტომი V

საქართველო XIX საუკუნის 30—90-იან წლებში

ტომის რედაქტორი
ირაკლი ანთელავა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1970

9 (С41)
9 (47 . 922) „18“
ს 323

წიგნი მოწონებულია და რეკომენდებულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეხუთე ტომის ავტორები:

ისტ. მეც. დოქტ. პროფ. ი. ანთელავა (თავი I, § 1, თავი II, III, V, VI, XI, XII), ისტ. მეც. დოქტ. ა. ბენ-ძიანიშვილი (თავი VII, VIII, § 1, თავი IX, XV), ისტ. მეც. კანდ. დოც. მ. გაფრინდაშვილი (თავი X, XVII), ისტ. მეც. დოქტ. პროფ. ლ. გორგილაძე (თავი XVI), ისტ. მეც. დოქტ. პროფ. ა. იოსელიანი (თავი XIII), ისტ. მეც. დოქტ. პროფ. ა. კიკვიძე (თავი XIV), ისტ. მეც. კანდ. ე. ორჯონიკიძე (თავი I, § 1 და § 3, თავი IV, VIII, § 4), ისტ. მეც. დოქტ. ე. ხოშტარია (თავი I, § 2 და § 4, თავი VIII, § 3, § 4 და § 5).

ტომის შესავალი დაწერილია ი. ანთელავას, ალ. ბენ-ძიანიშვილისა და მ. გაფრინდაშვილის მიერ.

1—6—1
119—70 ადგ.

შესავალი

ეპოქა. საქართველოს ისტორიის ნარკვევების წინამდებარე V ტომი გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ძირითად ფაქტებსა და მოვლენებს XIX საუკუნის 30—90-იან წლებში. ეს პერიოდი აღსავსეა უაღრესად მნიშვნელოვანი ძვრებით ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში. აღნიშნული დროის მონაკვეთში განვითარდა და გაბატონებულ ფორმაციად იქცა ადრე ჩასახული კაპიტალისტური ურთიერთობა, რასაც მოჰყვა ძირეული ხასიათის ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში, კლასობრივი ძალების განლაგებაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში, სულიერი და მატერიალური კულტურის დარგში და ა. შ. ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იჭრებოდა ახალი მოვლენები, რომლებიც ძველთან მძიმე შერკინებაში ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოდიოდა. მაგრამ ეს ახალი ერთნაირი ტემპით როდი იკაფავდა გზას მთელი შესასწავლი პერიოდის განმავლობაში. იგი გაცილებით მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა 30—50-იან წლებში, ვიდრე მომდევნო ხანაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც 30—50-იან წლებში ბურჟუაზიული ურთიერთობა ვითარდებოდა ბატონყმური სისტემის დომინირების პირობებში. რაც შეეხება საგლეხო რეფორმის (1864 წ.) შემდგომ პერიოდს, 60—90-იან წლებს, იქ ახალს ბრძოლა უხდებოდა ძველთან, ფეოდალიზმთან არა როგორც გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ფორმაციასთან, არამედ როგორც გადმონაშთების სახით არსებულ მოვლენასთან. წამყვანს კი ხსენებულ წლებში თვით ეს ახალი, ე. ი. კაპიტალიზმი წარმოადგენდა.

როგორი იყო მაინც ეკონომიური განვითარების მაგისტრალური ხაზი რეფორმამდელი ხანის 30—60-იან წლებში? რა ცვლილებებსა და ძვრებს ჰქონდა ადგილი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში?

როგორც წინამდებარე ტომის პირველ თავშია ნაჩვენები, საქართველოს სამეურნეო განვითარება იმ დროს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი გზით წარიმართა. ახალი ურთიერთობის წარმატება იგრძნობოდა ყველა სფეროში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და საქა-

ლაქო ცხოვრებაში. საქართველოში მაშინ, როგორც აგრარულ ქვეყანაში, მრეწველობა არ წარმოადგენდა წამყვანსა და მაღალ დონეზე დაყენებულ დარგს, მაგრამ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც დამთავრდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომები და შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა, აქაც საგრძნობი გახდა ძვრები და წარმატებები. მართალია, ცარიზმი ყოველნაირად ხელს უშლიდა პერიფერიის სამრეწველო დაწინაურებას, მაგრამ ის მაინც ვერ ახერხებდა ამ მიზნის სრულად განხორციელებას და მრეწველობა, თვით დამმუშავებელიც კი, მეტ-ნაკლებად მაინც ვითარდებოდა იმპერიაში შემავალ ქვეყნებში. ვითარდებოდა ის, კერძოდ, საქართველოშიც. საკმარისია ითქვას, რომ 60-იანი წლების შუა ხანებისათვის საქართველოში, ჩვენს განკარგულებაში მყოფი არაზუსტი ცნობებით, არსებობდა 495 მარტო წვრილი კაპიტალისტური, მანუფაქტურული და ფაბრიკა-ქარხნული დამმუშავებელი საწარმო, რომელთა მიერ დამზადებული პროდუქციის საშუალო წლიური ღირებულება 1 046 ათას მანეთს აღემატებოდა. ამ თანხის მოსახლეობის რიცხვთან შეფარდება გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 2 მანეთამდე დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, ხოლო მთელ საქართველოში — ერთ მანეთამდე. ეს, რა თქმა უნდა, მაღალი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ მისი შედარებითი განხილვა ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყანა შესასწავლ პერიოდში, სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით, იდგა ევროპული რუსეთის, განსაკუთრებით კი მისი სამიწათმოქმედო რაიონების (გუბერნიების) ნაწილის დონეზე. დასახელებული მონაცემების შეფასებისას, ვიმეორებთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მასში შეტანილია მხოლოდ დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ნაწილი, დამზადებული მეტ-ნაკლებად კაპიტალისტურ საფუძვლებზე მოწყობილ საწარმოებში (წვრილი კაპიტალისტური, მანუფაქტურული და ფაბრიკა-ქარხნული).

ქვეყნის საერთო ეკონომიურმა პროგრესმა თავისი გამოხატულება პოვა ვაჭრობის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაში. მართალია, XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, კერძოდ 30—60-იან წლებში, საქართველოში არ წარმოქმნილა არც ერთი ახალი ქალაქი და არც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო დაბა, მაგრამ ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე მასში მომხდარი მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილების გამო. ისეთი მოვლენები, როგორიცაა წვრილ საქონლურ წარმოებაში ამქრულ-ფეოდალურ შეზღუდვათა გადალახვა, სახელოსნოთა გამსხვილების ტენდენცია, დაქირავებული შრომის ხვედრითი წონის ზრდა, ამქრის გარეშე სახელოსნოთა გამრავლება და თავისუფალი კონკურენციის შემოჭრა, მანუფაქტურების გავრცელება და მანქანური წარმოების დანერგვის ცდე-

ბი და სხვ., მნიშვნელოვნად ცვლიდნენ ქალაქების ეკონომიურ ხასიათს. ქალაქებში მარტივი სასაქონლო წარმოება თანდათანობით ადგილს უთმობდა თვისებრივად ახალ კაპიტალისტურ (უპირატესად წვრილ) წარმოებას.

ნატურალური მეურნეობის რღვევის შედეგად შეინიშნება ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოტენციალის გადიდება, მისი როგორც სამრეწველო ნაწარმის მიმწოდებლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებლის როლის განუხრელი ზრდა და სხვ., რაც ეგრეთ წოდებული შინაგანი ბაზრის შექმნის მაჩვენებელი იყო საქართველოს სინამდვილეში.

საქალაქო ცხოვრების განვითარების პარალელურად, მასთან ერთად და მის შედეგად მიმდინარეობდა ქალაქების მოსახლეობის აბსოლუტური და შედარებითი ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი) მოსახლეობა 1821—1865 წლებში გაიზარდა 4-ჯერ და მეტად (22513 სულიდან 93 336 სულამდე). განუხრელად იზრდებოდა ქალაქების მობინადრეთა ხვედრითი წონა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში 1821 წელს უღრიდა 12,2%-ს, 1865 წელს კი 18,3%-ს. დასავლეთ საქართველოშიც საქმე გვაქვს ქალაქური ცხოვრების შემდგომ განვითარებასთან, თუმცა მისი ტემპები და მასშტაბი გაცილებით უფრო ნელი და ზომიერი იყო.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა უმთავრესად და პირველ ყოვლისა თვით საქართველოს სოფლის მკვიდრთა ხარჯზე. ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგად სოფლის მკვიდრმა დატოვა თავისი მუდმივი საცხოვრებელი და ქალაქს მიაშურა. გარკვეულ როლს (თუმცა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე პირველი) თამაშობდნენ ამიერკავკასიის სხვა რაიონებიდან, აგრეთვე რუსეთიდან, სპარსეთიდან და თურქეთიდან ჩამოსულები, სამხედრო ნაწილები და ადმინისტრაცია, რომელთა ადგილსამყოფელს ძირითადად საგუბერნიო და სამაზრო ქალაქები წარმოადგენდა.

საქართველო მაშინ, როგორც უკვე ითქვა, აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მწარმოებელი კლასის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში იყო დასაქმებული. ასეთ ვითარებაში ქვეყნის ეკონომიური განვითარების საერთო დონის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ცვლილებების წარმოჩენას, რომელსაც განსახილველი ხანის ქართულ სოფელში ჰქონდა ადგილი. ამ ცვლილებების საერთო ხასიათი და ტენდენცია ბურჟუაზიული იყო.

ყურადღებას იპყრობს სასაქონლო წარმოების საგრძნობი განვითარება გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა.

ამიერიდან მწარმოებელი კლასი ცდილობს მოიყვანოს არა მარტო მისთვის, მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პროდუქცია, არამედ ზედმეტი, საბაზრო. ბაზარს უკავშირდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, მათ შორის მარცვლეული კულტურისაც, რომელიც შედარებით ნაკლებ საქონლური იყო. საკმარისია ითქვას, რომ 1845 წელს თბილისის გუბერნიის მოსახლეობას მთელი დამზადებული პურის 18% გაუყიდია[1]. რუსეთში კი თვით XIX საუკუნის 50-იან წლებშიც სასაქონლო პურის ხვედრითი წონა 17%-ს არ აღემატებოდა[2]. კიდევ უფრო ძლიერად იყო შეჭრილი ფულადი სასაქონლო ურთიერთობა მევენახეობა-მეღვინეობაში, მეაბრეშუმეობაში, მებამბეობასა და მეთამბაქოეობაში. საბაზრო პროდუქციის ხვედრითი წონა ამ დარგებში უდრიდა (შესაბამისად): 25%-ს (კახეთი, 1830 წ.), 70%-ს 40-იან წლებში, 75%-ს (იმერეთი, 1864 წ.) და 67,5%-ს (თბილისის გუბერნია, 1859 წ.). ეს მონაცემები მკაფიოდ ადასტურებს საკმაოდ განვითარებული შინაგანი ბაზრის, სასაქონლო წარმოებისა და ფულადი ურთიერთობის, ე. ი. კაპიტალიზმის ერთ-ერთი აუცილებელი პირობის[3] არსებობას რეფორმის წინარე ხანის საქართველოში.

თუმცა სასაქონლო წარმოების გარეშე არ არსებობს კაპიტალიზმი, მაგრამ მარტო ის ვერ წარმოშობს ამ ფორმაციას. ამისათვის საჭიროა და აუცილებელი თავისუფალი სამუშაო ძალა, თავისუფალი ორმაგი გაგებით — პირადად და საწარმოო საშუალებებისაგან. წინამდებარე ტომში მოტანილი ფაქტობრივი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, განსაკუთრებით კი 30—60-იან წლებში, მიმდინარეობდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი, რაც, ერთი მხრივ, საწარმოო საშუალებებით უხვად მომარაგებული ბობოლების, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საშუალებებს მთლიანად ან ნაწილობრივ მოკლებულ, თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით მოარსებე გლეხთა ჯგუფის წარმოშობაში გამოიხატა. 1842 წლის კამერალური აღწერის თანახმად, მაგალითად, თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 13,5%-ს არ ჰქონია არც ერთი მეტრი სახნავ-სათესი და სავენახე მიწა. ისინი თავს ირჩენდნენ დღიური ქირით (ან მიწის იჯარით აღებით). სამუშაო ძალას ყიდდნენ საწარმოო საშუალებებით (მიწა, გამწევი ძალა, ინვენტარი) ცუდად მომარაგებული გლეხებიც. საერთოდ, სოფლის მშრომელი მოსახლეობის იმ ნაწილის ხვედრითი წონა, რომელიც თავისი სამუშაო ძალით გამოდიოდა

---

[1] სსცია, ფონდი 16, საქმე 8888; შეადარე ფ. 4, ანაწერი 8, საქმე 43.

[2] В. К. Яцунский, Аграрное развитие России с 80-х годов XVIII века до 80-х годов XIX столетия (Рукопись доклада, прочитанного в г. Риме в мае 1966 года на коллоквиуме советско-итальянских историков), გვ. 17.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 560.

ბაზარზე, არცთუ ისე მცირე იყო განსახილველი ხანის საქართველოში. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ამ საკითხის სათანადო სისრულით გამშუქებელი ცნობები, მაგრამ, რაც გვაქვს, ისიც დამახასიათებელია. ირკვევა, მაგალითად, რომ სოფ. შილდის და ყვარლის სახელმწიფო გლეხთა 28,6% და 59,4%-ს (შესაბამისად) სამუშაო ძალის გაქირავებით ირჩენდა თავს. ამათ გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ შეძლებული და ბობოლა გლეხები, რომლებიც ფლობდნენ მიწისა და პირუტყვის დიდ რაოდენობას. იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და ფართო მასშტაბით აწარმოებდნენ საბაზრო პროდუქციას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ იმავე 1842 წლის თელავისა და სიღნაღის მაზრის კამერალური აღწერის მასალები. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ დასახელებული მაზრების, ე. ი. კახეთის, სახელმწიფო გლეხთა 47,4%-ს საერთოდ არ ჰყავდა არც ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ხოლო 17,4%-ის ხელში მოქცეული იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო რაოდენობის 66,6%. ამ შეძლებულ და კულაკ გლეხებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა ფერმები ასობით შინაურ საქონელს ითვლიდნენ. ისინი გამოირჩეოდნენ მიწის მფლობელობის სიმსხვილითაც. ბევრ მათგანს 50, 100, 200 და მეტი დესეტინა მიწა ჰქონდა. ცხადია, მწარმოებელი კლასის ეს შედარებით მცირერიცხოვანი ბირთვი მდიდარი გლეხებისა ვერ ახერხებდა ესოდენ მსხვილ მეურნეობათა საკუთარი ძალებით გამართვას და სისტემატურად მიმართავდა ნებით დაქირავებულთა შრომას. აქ უკვე საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კაპიტალისტურ ორგანიზაციასთან.

ანგარიშგასაწევი ცვლილებები ხდება ფეოდალური კლასის წრეში. მცირე ნაწილმა ალღო აუღო ვითარებას, მეურნეობა რაციონალურ (ბურჟუაზიულ) საფუძვლებზე მოაწყო და ფეხი აუწყო ცხოვრების დინებას. დიდმა უმრავლესობამ კი ბურჟუაზიული თაოსნობა სამარცხვინოდ ჩათვალა, მამაპაპურ ტრადიციებს არ უღალატა და საბაზრო პროდუქციის დამზადებას მამულების გაყიდვა-დაგირავება არჩია. შეირყა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძველი — ფეოდალური საკუთრება მიწაზე. პრივილეგიურმა წოდებამ დიდი რაოდენობით დაკარგა ადგილმამული, რომელიც გადავიდა გლეხების, ვაჭრების და სხვათა ხელში. ე. ი. შეიქმნა უწოდებრო (бессословная собственность) ბურჟუაზიული საკუთრება — საფუძველი ახალი საზოგადოებრივი წყობილებისა.

1843—1845 წლებში მრეწველობის, ვაჭრობის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ განაპირობა სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია. ამიერიდან ყველა კატეგორიის გლეხი ხაზინასთან ანგარიშს მხოლოდ ფულით ასწორებდა. ფულადი საგადასახადო სისტემის შემოღება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ ეკონომი-

ურ პროგრესს, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას. თუმცა ფულადი გადასახადების დაწესების შემდეგაც, როგორც მარქსი წერს, „უშუალო მწარმოებელი კვლავ თვითონვე აწარმოებს თავის საარსებო საშუალებათა უდიდეს ნაწილს მაინც, მაგრამ მისი პროდუქტის ერთი ნაწილი ახლა საქონლად უნდა გადაიქცეს, საქონლის სახით უნდა იწარმოებოდეს. მაშასადამე, მთელი წარმოების წესის ხასიათი მეტ-ნაკლებად იცვლება. იგი კარგავს თავის დამოუკიდებლობას, თავის მოწყვეტას საზოგადოებრივი კავშირისაგან“[1].

სამწუხაროდ, ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი საკითხი ფეოდალური რენტის, მისი ევოლუციის შესახებ. ის, შედარებით მცირე მასალა კი, რაც დღემდეა მოპოვებული, საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ფულადი რენტა XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის, განსაკუთრებით 30—60-იანი წლების, საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში გაცილებით მეტი მნიშვნელობისა იყო, ვიდრე აქამდე გვქონდა წარმოდგენილი.

ახალი მოვლენის ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებით და მის შედეგად საგრძნობლად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მოსახლეობამ, რომლის ცხოვრების პირობები შესამჩნევად გაუარესდა შესასწავლი პერიოდის განმავლობაში, გაბედულად შეუტია ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას და მის დამცველს — ცარიზმს. ხალხი თავგანწირვით იბრძვის სოციალური და კოლონიური ჩაგვრის მოსპობისათვის. დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით დადგა გლეხთა საკითხი, რომლის სიმწვავე, თანამედროვის მოწმობით, ყირიმის ომის შემდეგდროინდელ საქართველოში ღრმავდებოდა „არა დღეობით, არამედ საათობით“[2]. აშკარად გამოხატული ანტიბატონყმური ლოზუნგებით მიმდინარე 1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყება და კლასობრივი ბრძოლის მრავალი სხვა ეპიზოდი რეფორმის წინარე ხანაში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის მკაფიო დადასტურება იყო. კავკასიის ადმინისტრაცია საგონებელში ჩავარდა. მას აგრარულ-გლეხური საკითხის სასწრაფოდ მოგვარება აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა[3].

ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ შედარებით ადრე აღიმაღლეს ხმა მოწინავე ქართველმა ადამიანებმა. გავიხსენოთ თუნდაც იოანე ბაგრატიონის (1772—1830 წწ.) „კალმასობა“, რომელშიც მოცემულია ფეოდალური წყობილების მახინჯი მხარეების გაბედული და მკაცრი კრიტიკა.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 418.

[2] ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი (პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით), I, თბ., 1962, გვ. 151—152.

[3] ЦГИАМ, ф. 678, оп. I, д. 607, лл. 26—27.

ახალ ვითარებაში კიდევ უფრო მძლავრად გაისმა ძველის საწინააღმდეგო მოტივები, უფრო მომწიფდა პროგრესული საზოგადოებრივი აზრი და თერგდალეულების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით იგი მწყობრ ანტიბატონყმურ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა. თერგდალეულებმა მედგრად შეუტიეს ძველ წყობილებას და თავიანთ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში ახალი საქართველოს მებაირახტრედ გამოვიდნენ. ქართველი სამოციანელები, წერს თანამედროვე, — „თავიანთ ძალას, ჭკუას... იმისათვის ხმარობდნენ, რომ მოესპოთ ძველი უსამართლობა, ბატონყმობა. ცდილობდნენ ჩამოერთმიათ მათრახი, პალაჩობა ყმებზედ და გამოეყვანათ (ისინი) ქვეყანაზე კაცად“[1]. თერგდალეულთა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი რევოლუციური სიტუაციის შექმნას, რომელმაც, სხვა მომენტებთან ერთად, განაპირობა საგლეხო რეფორმის გატარება ჩვენს ქვეყანაში.

ქართველმა სამოციანელებმა მაღლა ასწიეს ოცდაათიანელებისაგან (1832 წლის შეთქმულება, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ.) მემკვიდრეობით მიღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. მათ შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვრის დაცვა-შენარჩუნების საქმეში.

სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებმა თავისი კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურაზე. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ლიტერატურა და ხელოვნება, აღსდგა (1850 წ.) ქართული თეატრი. დაწინაურდა პრესა. ცვლილებები მოხდა მწარმოებელი და ექსპლოატატორთა კლასების ყოფის ყველა სფეროში.

ასეთია დაახლოებით იმ მოვლენებისა და პროცესების მოკლე დახასიათება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 30—60-იანი წლების საქართველოში და რომლებიც განსაზღვრავდნენ დასახელებული ხანის ხასიათს. მაშინ შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ეგრეთ წოდებული კაპიტალისტური წყობა (уклад), რაც ახალი ურთიერთობის ბირთვის იმ მასშტაბით არსებობას გულისხმობს, რომელიც არღვევს ძველს, სასიკვდილოდ განწირულ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციას. ეს გამოიხატა: სასაქონლო წარმოების განვითარებაში, ბურჟუაზიულ პრინციპებზე დამყარებული ფერმებისა და სამრეწველო უჯრედების შექმნაში, განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და დაქირავებული შრომის შედარებით ფართოდ გამოყენებაში, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდაში, ქალაქებისა და სა-

---

[1] „ივერია“, 1883, № 4, გვ. 87—88.

ქალაქო ცხოვრების დაწინაურებაში, გლეხებისა და მემამულეების კლასობრივი დიფერენციაციის საკმაო სიღრმით მიმდინარეობაში, ფეოდალური საკუთრების თანდათანობით მოშლაში, ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავებაში და ა. შ.

ყოველივე ამან, მთავრობის საერთო პოლიტიკასთან ერთად, განაპირობა ბატონყმობის გაუქმება (1864—1871 წწ.), რომელმაც დასაბამი მისცა კაპიტალიზმის, როგორც გაბატონებული ფორმაციის არსებობას საქართველოში.

* * *

რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში ბევრად უკეთესი პირობები შეიქმნა სოციალ-ეკონომიური განვითარებისათვის, მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების საგრძნობი მასშტაბით არსებობისა. მოიხსნა საწარმოო ძალების წინსვლა-განვითარების მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება და ქვეყანა მტკიცედ დაადგა საერთო აღმავლობის გზას. ამას დიდად შეუწყო ხელი რკინიგზის გაყვანამ 70—90-იან წლებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მიმოსვლის ამ ახალი საშუალების დანერგვამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ქართველი ხალხის სამეურნეო (და არა მარტო სამეურნეო) ცხოვრების ყველა დარგში. მან ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონი, აამოძრავა მოსახლეობა, ხალხმა სოფლიდან ქალაქს მიაშურა და იქ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა გაშალა, ბოლო მოეღო კარჩაკეტილობას. „საცა არ გაიხედავ,—წერდა გ. წერეთელი 1873 წელს, — ყველგან ნიშნავ უცხო ამბებსა ამ ჩვენს პაწაწინა ქვეყანაში. მიხვალ სურამის სტანციაზე და იქ დაგიხვდებიან იმერლები, რომელნიც გზაზე გადასარბენ ცეცხლის ეტლს ეშმაკივით ებღაუჭებიან და როგორც უნდათ და საითაც უნდათ, იქით წაიყვანენ. იქვე გადმოხვალთ ცეცხლის ეტლითგან და შეხედავ მეკურტნეებს... „ბატონო, მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ზურგზე და გასტინიციისკენ გავშპები“—ეს გურულებია. ოჰ, დიდება შენთვის ღმერთო. გურული და მეკურტნე, ეს რა ამბავია. გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, — აი მისი საქმე... უწინ რომ გურულისათვის კურტანი მიგეცა, თოფს გესროდა; ახლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე, მე წავიღებო, და თან კურტანსაც იკიდებს. გახვალ ბაზარში და შეხვალ ცეცხლის გემზე. იქ მატროსი ვინ არის? მეგრელი ან იმერელი... იქიდან ჩაჯდები ცეცხლის ეტლში და წამოხვალ. გზაზე ხონელი მიდის, ძარში ქათმები დაუმწყვდევია და კალათები კვერცხებით აქვს სავსე. სად მიხვალ? — ვეუბნები — ტფილისში გიახლებით, საქმეც მაქვს და სავაჭროცო. ტფილისში მიხვალ,

მიიხედავ-მოიხედავ, გაეცნობი, ყველგან ლიხის მთის იქით მცხოვრებლებს ხედავ, რკინის გზა თითქოს იმერეთის ხალხისათვის გაეკეთებინოსთო, თითქოს მხოლოდ იმათ სცნეს იმისი სარგებლობა, ეცენ და ამის საშუალებით ტფილისი თავის სავაჭრო ქალაქად გახადესო. ისინი დღითიდღე მრავლდებიან ტფილისში და ტფილისის ბაზარში ამრავლებენ საქართველოს მიწა-წყლის ნაწარმოებს და ადიდებენ... აღებმიცემობას... რკინის გზამ ამ ხალხს მისცა საშუალება ტფილისში მოგზაურობისა და იქ აღებმიცემობის დაწყებისა. მართალია, ჯერ სამი წელიწადი არ გასულა, რაც რკინის გზა გაიხსნა, მაგრამ იმერლები ერთი-ორად გამრავლდენ ტფილისში"[1].

საერთო ეკონომიურმა აღმავლობამ თავისი გამოხატულება პოვა მრეწველობის შემდგომ განვითარებაში, სახალხო მეურნეობის ამ დარგში ადგილი ჰქონდა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ხასიათის ცვლილებებს. საქმე იმაშია, რომ მრეწველობაში მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ თანდათანობით უკან მოიტოვა წვრილი კაპიტალისტური და მანუფაქტურული წარმოება და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. თუკი, მაგალითად, 1865—1866 წლებში მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ხვედრითი წონა საერთოდ კაპიტალისტურ სექტორში დამზადებული პროდუქციის ღირებულებაში მხოლოდ 7,7%-ს უდრიდა, მომდევნო ხანაში ის საგრძნობლად გაიზარდა და 1885—1886 წლებში 55,1%-ს მიაღწია, ხოლო 1900 წელს — 78,3%-ს. საკმაოდ სწრაფი იყო საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარების ტემპი. რაღაც 3,5 ათეული წლის (1865—1900 წწ.) განმავლობაში ამ ტიპის საწარმოთა რაოდენობა 16-ჯერ გადიდდა, 4-დან 64-მდე, ხოლო მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება — 20-ჯერ და მეტად (80 ათასი მანეთიდან 16 513 ათას მანეთამდე).

მოტანილი მასალიდან მკაფიოდ ჩანს, რომ უკვე გასული საუკუნის მიწურულისათვის მანქანურ წარმოებას დამმუშავებელ მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეკავა. მან მრეწველობის ხსენებული დარგიდან ძირითადად გამოდევნა ხელით შრომა და ტონის მიმცემი თვითონ გახდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოხდა სამრეწველო რევოლუცია (გადატრიალება). რაც შეეხება სამთამადნო მრეწველობას, იქაც იგივე პროცესები მიმდინარეობდა, იმ განსხვავებით, რომ იქ სიახლე უფრო მოგვიანებით და შედარებით ნელი ტემპით იკაფავდა გზას.

მრეწველობის პროგრესს თან სდევდა ვაჭრობის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარება, ახალი სავაჭრო-სამრეწველო დაბების გაჩენა. ამ პროცესის ერთ-ერთი მაჩვენებელია ქალაქის მოსახ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, ჟურნ. „კრებული", 1873, № 3, გვ. 213 – 214.

ლეობის შეუნელებელი ზრდა რეფორმის მომდევნო ხანაში. თუ მაგალითად, 1886 წელს საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა 175 069 სულს უდრიდა, 1897 წელს ამ ციფრს საგრძნობლად გადააჭარბა და 300 590 მიაღწია, ე. ი. სულ რაღაც 11 წლის განმავლობაში 71,7%-ით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალაქების მობინადრეთა ზრდის ტემპი გაცილებით უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სოფლის მოსახლეობისა. პირველი მეორეს ოთხჯერ უსწრებდა.

რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასებად ჩამოყალიბების ადრე დაწყებული პროცესი. ისინი უმთავრესად თავს იყრიდნენ თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ჭიათურაში. კაპიტალისტური საზოგადოების ამ კლასების კონცენტრირებამ ხსენებულ ქალაქებში საფუძვლიანად შეცვალა მოსახლეობის სოციალური სახე. შესაბამისად შეიცვალა ქალაქების კულტურა, წარსულს ჩაბარდა (ან ბარდებოდა) ფეოდალური ყოფის დამახასიათებელი ნიშნები და ატრიბუტები.

ძვრები სოფლის მეურნეობაში აღინიშნა სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარებით. მისმა ყველა დარგმა, განსახილველ ხანაში, მკაფიოდ გამოხატული სავაჭრო-სამრეწველო ხასიათი მიიღო. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მარცვლეული კულტურა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა და სხვ. უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ბაზარს, ვიდრე ადრე, რეფორმამდე (სასაქონლო ღვინის ხვედრითი წონა, მაგალითად, კახეთში გაიზარდა 25%-დან 75%-მდე[1]). რაც შეეხება ისეთ კულტურებს, როგორიცაა ჩაი და თამბაქო, იქ წარმოება თავიდანვე უპირატესად კაპიტალისტურ საფუძვლებზე მოეწყო და ძირითადად საბაზრო პროდუქციის დამზადების სამსახურში ჩადგა. გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა მხოლოდ ოთხი დარგის — მარცვლეულის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და მეთამბაქოეობის — პროდუქციის გაყიდვით ღებულობდა ყოველწლიურად (საშუალოდ) 11 მილიონი მანეთის შემოსავალს. ამდენივეს ღებულობდა კახეთის მოსახლეობა, მაგრამ მარტო მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული საქმიანობიდან[2].

მნიშვნელოვნად გაღრმავდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი. კულაკების ძლიერი ბირთვი შეიქმნა მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მესაქონლეობაშიც. 80-იან წლებში, მაგალითად, სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა საკუთრებაში მყოფი ცხვრების სა-

---

[1] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, გვ. 47.

[2] იქვე.

ერთო რაოდენობის (249 848) 45,4% (ან 103 380 სული) კულაკების ხელში ყოფილა, რომელთა ხვედრითი წონა მხოლოდ 1,7%-ს უდრიდა[1]. კიდევ უფრო ნათლად ვლინდება კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი გლეხთა ბიუჯეტების შესწავლისას. მათზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ განსახილველი სანის საქართველოს სოფელში ისეთი კულაკი გლეხების გვერდით, რომელთა ყოველწლიური წმინდა შემოსავალი რამდენიმე ათას მანეთს უდრიდა, არსებობდა უარყოფითი ბალანსის მქონე უშუალო მწარმოებელთა ძალზე მრავალრიცხოვანი ბირთვი[2]. პირველს არა მარტო ლაღად ცხოვრების, არამედ მეურნეობის გაშლა-გაფართოების დიდი შესაძლებლობა ჰქონდა, ხოლო მეორე ძლივს იდგამდა სულს და დანაკლისს მესარეწეობითა და სამუშაო ძალის გაყიდვით ინაზღაურებდა. სამუშაო ძალის გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. საგრძნობლად გაიზარდა იმათი რაოდენობა, ვისთვისაც ეს ცხოვრების ერთადერთ (ან უმთავრეს) წყაროს წარმოადგენდა. დაქირავებულ შრომაზე კი დიდი მოთხოვნილება იყო, რადგანაც მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალისტურ საფუძვლებზე მოწყობილ წარმოება-მეურნეობათა რაოდენობა.

მძიმე დღეები დაუდგა ფეოდალურ საკუთრებას, შეუნელებელი ტემპით მიმდინარეობდა მისი მოშლა-ნგრევის პროცესი. სულ უფრო და უფრო მცირდებოდა „ბრწყინვალე" წოდების მიწის ფონდი (გამონაკლისს შეადგენდნენ მეთაოსნე მემამულეები), რომელიც დიდი რაოდენობით გადიოდა გლეხების, ვაჭრებისა და სხვა არათავადაზნაურული წარმოშობის პირთა ხელში. თუ როგორი კატასტროფული სიჩქარით მიდიოდა ფეოდალური საკუთრების ნგრევის პროცესი იქიდანაც ჩანს, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის, უფრო ზუსტად 1904 წლისათვის, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული იყო 652 898 დესეტინა მიწა ან კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი[3]. დამგირავებელი, როგორც წესი, დაგირავებულს უკან ვერ იბრუნებდა და სამუდამოდ ეთხოვებოდა მას. სწორედ ამიტომ ატეხა დიდი განგაში პრივილეგიურმა წოდებამ და ამ პროცესის შემჩერებელ ღონისძიებათა გატარება მოითხოვა. მაგრამ ცხოვრება ამას ანგარიშს არ უწევდა, ულმობლად არღვევდა საკუთრების ძველ ფორმას და განამტკიცებდა ახალ, უწოდებრიო საკუთრებას.

ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების ამოძირკვისა და კაპიტალისტური ფორმაციის განმტკიცება-გამაგრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კლასობრივმა ბრძოლამ, რომელიც, თითქოს, ერთგვარი მინელების შემდეგ უშუალოდ რეფორმის მომდევნო ხანაში,

---

[1] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария,— К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, გვ. 56—57.

[2] იქვე, გვ. 57—59.

[3] იქვე, 65—66.

ისევ აზვირთდა ახალი ძალით. მართალია, 1864—1900 წლებში ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა არც ერთი ისეთი სახალხო მღელვარება, რომელიც მონაწილეთა სიმრავლით და გავრცელების ტერიტორიით შეიძლება შევადაროთ, ვთქვათ, სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას უტუ მიქავას ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც არ არღვევს ზემოთ გამოთქმულ შეხედულებას კლასობრივი ბრძოლის აღმავლობის შესახებ რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში. საქმე მარტო იმაში როდია, რომ ამ დროს უსამართლობასთან შერკინება უფრო სისტემატური გახდა, არამედ იმაშიც, რომ ამ შერკინებას უფრო მიზანდასახული, ორგანიზებული ხასიათი მიეცა და, რაც მთავარია, უფრო ძლიერი, მანამდე უცნობი მამოძრავებელი ძალა შეემატა. პროლეტარიატის გამოჩენამ ისტორიულ ასპარეზზე არა მარტო ახალ დონეზე აიყვანა საუკუნეების მანძილზე მიმდინარე გლეხთა კლასობრივი ბრძოლა, არამედ საფუძველი ჩაუყარა ბრძოლის სრულიად ახალსა და დამოუკიდებელ ფორმას — მუშათა მოძრაობას.

საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების აღორძინებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი პროცესის დასრულებაში, ქართველთა ეროვნების ბურჟუაზიულ ერად კონსოლიდაციის საქმეში. კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე წარმოშობილმა საზოგადოებრივმა მოთხოვნილებებმა ახალი იერი მისცა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, აზროვნებას, კულტურას.

ძველი ქართული კულტურის განახლების მრავალსაუკუნოვანი პროცესი XIX საუკუნეში ახალი, ფორმით ეროვნული და შინაარსით ბურჟუაზიული ქართული კულტურის შექმნით და საბოლოო დამკვიდრებით დაგვირგვინდა; დიდი აღმავლობა განიცადა ახალმა ქართულმა ლიტერატურამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ, სკოლამ და პრესამ, ხელოვნებამ და მეცნიერებამ. ახალი ქართული ჰუმანისტური და დემოკრატიული კულტურა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების, საკუთარი მოწინავე ტრადიციების განვითარების საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ მისი ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას მეზობელ თუ შორეულ ხალხებთან. ახალი ქართული კულტურის გამარჯვება ერთბაშად და უბრძოლველად არ მომხდარა, მისი დამკვიდრების პროცესი საკუთარი და უცხოური კონსერვატიზმის თანდათანობით დაძლევის გზით მიმდინარეობდა. საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ახლისა და ძველის ბრძოლაში საბოლოო ანგარიშით პროგრესული იმარჯვებდა კონსერვატულზე და ამის შედეგია ის დიდი კულტურული აღმავლობა, რომელიც XIX საუკუნეში შეიმჩნევა.

ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების პროგრესული

პროცესის გაძლიერებას ხელი შეუწყო რუსეთთან საქართველოს შეერთებამ, რასაც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამშობლოს მაშინდელი და მომავალი განვითარებისათვის. მაგრამ თვითმპყრობელურ-მემამულურ-ბურჟუაზიული რუსეთი წარმოადგენდა ხალხთა საპყრობილეს, სადაც თვით რუსი ხალხის სოციალურ ჩაგვრასთან ერთად, გამეფებული იყო არარუს ხალხთა ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისა და შევიწროების, მათი ძალდატანებითი ასიმილაციის კოლონიური პოლიტიკა. ეროვნულ-კოლონიურმა ჩაგვრამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია 80—90-იან წლებში, როცა თვითმპყრობელობა აშკარად ცდილობდა ქართული კულტურის საბოლოოდ მოსპობასა და ქართველობის ძალდატანებით ასიმილაციას.

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი, რომელიც დიდად აფასებდა „საკუთარი“ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი რუსი ხალხის დახმარებას, არასოდეს არ შერიგებია ეროვნულ-კოლონიური და სოციალური ჩაგვრის თვითმპყრობელურ პოლიტიკას. მან XIX საუკუნის დამდეგიდანვე აღიმაღლა ხმა ადგილობრივ და უცხო მჩაგვრელთა წინააღმდეგ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელი XIX საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი მეშვეობით მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელ ნაწილს. მასში, ისევე როგორც სხვა ჩაგრულ ხალხთა მოძრაობაში, მეტ-ნაკლებად საზოგადოების ყველა პროგრესული კლასი და ფენა მონაწილეობდა. XIX საუკუნის საქართველოს განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ორი პერიოდი განვლო — თავადაზნაურულ-პროგრესული (1832—1863 წწ.) და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (1864—1901 წწ.). პირველ პერიოდში და მთელი XIX საუკუნის მანძილზე გლეხთა მოძრაობა იყო ძირითადი მასობრივი ძალა, რომელიც ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ თავადაზნაურობის საშუალო და წვრილი ფენებიც, რომელთა განათლებული წარმომადგენლები ლიბერალურად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ ვერ მაღლდებოდნენ ეროვნულთან ერთად სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობის გაგებამდე. პროგრესული პატრიოტიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ი. ბაგრატიონის, ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და გ. ერისთავის, ს. დოდაშვილის და ნ. ბარათაშვილის მოღვაწეობა და მსოფლმხედველობა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდში ეროვნული საკითხი აგრარულ საკითხს, ბატონყმობის ლიკვიდაციის საკითხს დაუკავშირდა. პატრიოტული მოძრაობა გაფართოვდა და გაღრმავდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე წარმოშობილი ახალი ქართული ეროვნული ენა, ლიტერატურა და აზროვნება საბოლოოდ დამკვიდრდა. სოციალური დიფერენცი-

აცია გაღრმავდა, კლასობრივი ბრძოლა გაძლიერდა. გაჩნდნენ ახალი სოციალური ძალები, რომლებიც ერის მეთაურობისათვის იბრძოდნენ. ეროვნულ საბურველში ნათლად ჩანდა აღმავალი ბურჟუაზიული დემოკრატიის (მესამე წოდების — გლეხობის, ხელოსნების, ინტელიგენციის, წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის) სოციალ-ეკონომიური ინტერესების დაპირისპირებულობა ბატონყმობისა და მისი გადმონაშთების — ცარიზმისა და კონსერვატიული თავადაზნაურობისადმი. ერთ ბანაკში ერთიანდებოდა ყველა პროგრესისტი, რომელნიც ვერ ურიგდებოდნენ კოლონიურ პოლიტიკას და მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და დაცვას, მის ეკონომიურ აღორძინებას და პოლიტიკურ დემოკრატიზაციას, სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობის აღიარებას, ადგილობრივი თვითმმართველობის მინიჭებას ქართველი ხალხისათვის, ქართული ენისა და კულტურის დაცვას და დაუბრკოლებელ განვითარებას. იბრძოდა რა ამ პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ სტიქიურად ამხედრებული ქართველი გლეხობა, იარაღით ცდილობდა ექსპლოატაციის ორმაგი უღლის მოშორებას, ხოლო დემოკრატიული ინტელიგენცია ბრძოლის იდეურ საშუალებებს აძლევდა უპირატესობას და უმთავრესად კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით კმაყოფილდებოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა ხელმძღვანელებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, გ. წერეთელმა და სხვებმა შექმნეს მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და ორგანო (ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატული და სხვა საზოგადოებანი, სკოლები, ბიბლიოთეკები), რომლებიც ქართველი ხალხის განათლებას და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას ემსახურებოდა.

განმანათლებლურმა მოძრაობამ და იდეოლოგიამ ყველაზე ფართოდ იჩინა თავი მწერლობაში. უფრო ადრინდელ თუ არა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში მაინც ნათლად გამოჩნდა ახალ იდეურ-მხატვრულ ნაკადთა ჩანასახები, რომლებიც XIX საუკუნეში მძლავრ რომანტიკულ და კრიტიკულ-რეალისტურ ლიტერატურულ მიმდინარეობებად განვითარდნენ. XIX საუკუნის ახალმა ქართულმა ლიტერატურამ წარმოშვა ისეთი დიდი პოეტები და მწერლები, როგორიც იყვნენ ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.

განმანათლებლური იდეოლოგია საქართველოში არა მარტო ლიტერატურული, არამედ ეროვნულ-სოციალური მოძრაობის თეორიული საფუძველიც იყო. ცალკეული ლიბერალურ-განმანათლებლური იდეები გზას იკაფავდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯერ კიდევ პირველ,

თავადაზნაურულ პერიოდში, ხოლო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პერიოდში ქართული განმანათლებლობა განვითარდა ჰუმანისტურ, რადიკალურ და ხალხისნურ ნაკადთა შეერცველ მრავალმხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობად, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომავალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის მშრომელი მასების მომზადებაში.

განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარულ პერიოდში განმანათლებლობის მემკვიდრედ გამოვიდა სოციალ-დემოკრატია, რომლის რევოლუციურ-მარქსისტულმა მიმდინარეობამ, შეიარაღებულმა მეცნიერული სოციალიზმის თეორიით, უბრალოდ კი არ აითვისა რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების ტრადიციები, არამედ განავითარა, გააღრმავა, მეცნიერულად დაასაბუთა ისინი და გადატრიალება მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

წყაროები. საქართველოს ახალი ისტორიის წყაროები მეტად ვრცელია და მრავალფეროვანი. რუსეთის მთავრობა, ცდილობდა რა ახალი კოლონიის ათვისებას, თავის მოხელეებს მითითებებს აძლევდა შეესწავლათ ამიერკავკასიის ბუნებრივი პირობები, მისი წარმოება-აღებ-მიცემობის მდგომარეობა და ეკონომიური განვითარების შესაძლებლობანი. სპეციალისტი სტატისტიკოსები თუ უბრალო მოხელეები კრებდნენ და ამუშავებდნენ სათანადო მასალებს, რომელთა ნაწილი იმთავითვე სტამბურად იბეჭდებოდა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებოდა.

1835 წელს პეტერბურგში გამოიცა ერთ-ერთი პირველი სტატისტიკური კრებული[1], რომელიც ფრაგმენტულ ცნობებს შეიცავდა და ვერ პასუხობდა პრაქტიკოს კოლონიზატორთა მოთხოვნილებას. 1838—1840 წლებში გამოქვეყნდა გაცილებით ვრცელი და სრულყოფილი სტატისტიკური ნაშრომები[2], რომლის პირველი და მეორე ნაწილი საქართველოს ეხება. იგი დაახლოებით სწორ წარმოდგენას იძლევა XIX ს-ის 20—30-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე.

საქართველოს XIX ს-ის პირველი ნახევრის ისტორიის უაღრესად ვრცელი და მრავალფეროვანი წყაროა კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ შეკრებილ-გამოცემული აქტები[3]. მიუხედავად იმისა, რომ მასალის შერჩევაში შეიმჩნევა რედაქციის ტენდენციურობა, ამ ფუნდამენტალურ პუბლიკაციას გვერდს ვერ აუვლის საქართველოს XIX ს-ის პირველი ნახევრის ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი. აქტებში განსაკუთრებით ვრცლადაა ასახული მეფის მთავრობის პოლიტიკა და მის მოხელეთა

---

[1] Статистическое описание Закавказского края, СПБ., 1835.

[2] Обозрение Российских владений за Кавказом, ч. I—IV, СПБ., 1838—1840.

[3] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. I—XII.

პრაქტიკული საქმიანობა, მაგრამ მკვლევარი ბევრ რამეს პოულობს აგრეთვე ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესასწავლად.

ჩვენთვის საინტერესო ხანის ისტორიის შესასწავლად ძვირფას წყაროს წარმოადგენს რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულები[1]. ამ კრებულებში მოთავსებულ მთავრობის დადგენილებებში მკითხველი იპოვის საყურადღებო მასალას ცარიზმის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკისა და საქართველოსა და ამიერკავკასიის საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად.

XIX ს-ის რეფორმის მომდევნო ხანაში რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში საკმაოდ ნაყოფიერ საქმიანობას იწყებენ ერობები. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა საერობო სტატისტიკას და მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა მას რუსეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების შესწავლის საქმეში. მაგრამ საქართველოში საერობო რეფორმა არ გატარებულა და, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანა საერობო სტატისტიკის მოქმედების მიღმა დარჩა. ამიერკავკასიაში შემაჯამებელი ხასიათის სტატისტიკური მასალის შეკრება-დამუშავება დავალებული ჰქონდა მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეებისაგან შემდგარ სტატისტიკურ კომიტეტს, რომელმაც გამოსცა რამდენიმე კრებული[2]. მისივე ხელმძღვანელობით გამოდიოდა კავკასიის კალენდრის ყოველწლიური ტომები და სხვა მასალა. მაგრამ ამ პუბლიკაციების კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის ფორმების და აგრარულ ურთიერთობათა სტატისტიკური შესწავლა ცუდად იყო დაყენებული. უვარგისი პროგრამით, არაპირდაპირი გზით შეგროვილი, მნიშვნელოვანწილად ისედაც დეფექტური სტატისტიკური მასალის დამუშავება წარმოებდა არამეცნიერული მეთოდებით.

შედარებით მეტ ნდობას იმსახურებს უწყებრივ დაწესებულებათა მიერ შეკრებილ-გამოცემული მასალები. სახაზინო ქონებათა ამიერკავკასიის სამმართველოს დავალებით მომზადებული პუბლიკაცია[3], რომელშიც შესულია ა. არღუთინსკი-დოლგორუკის, ს. მაჩაბლის, ფ. მარკოვის, ა. ერიცოვის, ე. იოსელიანის, დ. ნოსოვიჩის, ი. ბახტაძის, ქ. ვერმიშევის, ნ. ნიკიფოროვის და სხვ. მიერ შედგენილი საქართველოს სხვადასხვა მაზრის სახელმწიფო გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის საკმაოდ დეტალური აღწერა, უდავოდ კარგი წყაროა მიწათმფლობელობა-

---

[1] Полное собрание законов Российской империи.

[2] Сборник сведений о Кавказе, т. I—IX, 1871—1885; Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, 1899; Сборник статистических сведений по Закавказскому краю, 1902.

[3] Материалы для изучения экономического быта государтсвенных крестьян Закавказского края, т. I—VII, 1885—1887.

სარგებლობის ფორმების, სავაჭრო მიწათმოქმედების, მევახშეობის, გლეხთა სოციალური დიფერენციაციის და სხვ. საკითხების შესასწავლად. ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს აგრეთვე ზემოხსენებული მასალების საფუძველზე დაწერილი ეგიაზაროვის, ი. ანდრონიკაშვილის, ქ. ვერმიშევის, მ. კუჩაევის და სხვათა გამოკვლევები, რომელნიც შედის ხუთტომეულში[1]. მართალია ჩამოთვლილ მკვლევართა ბევრი დასკვნა არასწორია, მაგრამ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი უდავოდ გასათვალისწინებელია.

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის პროცესის გასაშუქებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სააქციზო სამმართველოს, საფილოქსერო კომიტეტისა და რკინიგზის სამმართველოს პუბლიკაციებს[2], რომლებიც ყოველწლიურად გამოდიოდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების დონისა და აგრარული ევოლუციის ზოგი საკითხის შესასწავლად საყურადღებო ცნობებს შეიცავს სახელმწიფო საგლეხო ბანკის მოქმედების ამიერკავკასიაზე გავრცელებასთან დაკავშირებით შეკრებილ-დამუშავებული მასალა[3]. საქართველოს კერძო მესაკუთრეებისა და მიწათმფლობელების სიდიდის მიხედვით მათი დიფერენციაციის გასათვალისწინებლად თითქმის ერთადერთი წყაროა ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით შესანიშნავად გამოცემული კრებული[4]. მოსახლეობის რაოდენობის, მხარის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესახებ გარკვეული ცნობები მოიპოვება გუბერნატორთა ყოველწლიურ ანგარიშებსა და მათ დამატება „ობზორებში". კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების დონის დასადგენად უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს 1897 წლის საყოველთაო აღწერის მასალას, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს დამქირავებელთა და დაქირავებულთა რაოდენობის შესახებ.

სტატისტიკური მასალის დამუშავება-გამოცემის საქმეში თვისებრივი გარდატეხა ხდება რევოლუციის შემდეგ. XX ს. 20-იანი წლებიდან თანდათან გამდიდრდა ისტორიული მეცნიერების დოკუმენტური ბაზა. მეცნიერულად დამუშავებული სტატისტიკური და სხვა სახის მასალა დიდი

---

[1] Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. I—V, 1881—1888.

[2] Обзор отраслей промышленности в Закавказском крае, служащих источником косвенных налогов и поступления акцизного по краю дохода, 1900—1912; Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып. I—VIII, 1896—1897; Краткий обзор комерческой деятельности Закавказской железной дороги.

[3] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, 1904.

[4] Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, 1910.

რაოდენობით იბეჭდება „საისტორიო მოამბის“ ტომებში. სოფლის მეურნეობის და აგრარულ ურთიერთობათა შესახებ არსებული საარქივო მასალის დამუშავება-პუბლიკაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა პ. გუგუშვილმა[1]. საგლეხო რეფორმის ისტორიის გაშუქებისათვის შესანიშნავი დოკუმენტური ბაზა შექმნა შ. ჩხეტიამ[2]. იგი სათავეში უდგას აგრეთვე საქართველოს ისტორიის დოკუმენტთა მრავალსერიიანი კრებულის მომზადების საქმეს, რომლის პირველი ტომი უკვე გამოქვეყნდა[3].

მართალია, მასალების პუბლიკაციის საქმე გაუმჯობესდა და გაფართოვდა, მაგრამ გამოქვეყნებული კრებულები საკმაოდ დოკუმენტურ ბაზას როდი ქმნის ისტორიული მეცნიერებისათვის. მკვლევარებს კვლავ დიდი შრომის ჩატარება სჭირდებათ საბჭოთა კავშირის არქივებში. არქივის მტვერწაყრილი დოკუმენტები, რომლებიც თანდათან შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში, პერიოდულ პრესასთან ერთად, ჯერ კიდევ მეცნიერული ნაშრომის მთავარ საშენ მასალას წარმოადგენს.

XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ზემოხსენებულ პირველწყაროებთან ერთად ახალი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მეცნიერული შესწავლისათვის პირველწყაროებს წარმოადგენენ მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური, პედაგოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები. დიდმნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე, მწერალთა, მოაზროვნეთა, ეროვნულ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის მოღვაწეთა ბიოგრაფიული და სხვა ხასიათის დოკუმენტების შემცველი კრებულები[4] და მემუარული მასალები[5].

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სპეციალური ბიბლიოგრაფიული ან ისტორიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც სრულად იქნებოდა აღრიცხული და კრიტიკულად მიმოხილული ახალი ქართული კულტურისა და აზ-

---

[1] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, III, IV.

[2] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

[3] Документы по истории Грузии, т. I, 1957.

[4] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, II, 1944—1954; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1933; Г. Туманов, Характеристики и воспоминания, 1913. კრ. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907, „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913. ა. ოთვიძე, „იაკობ გოგებაშვილი“, 1951; გიორგი წერეთელი — მასალები („საისტორიო მოამბე“, VI, 1952).

[5] დ. უფიანი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედ., 1931; ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი (რჩ. ნაწერები, 1, ს. ხუნდაძის, რედ., 1931); И. Джабадари, Процесс 50-ти (Былое, 1907, № 8, 9, 10); შ. დავითაშვილი, ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში, 1937; ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938; გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934; ე. თაყაიშვილი, მოგონებანი (რჩ. ნაშრომები, 1, 1968); ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936.

როვნების ისტორიის პირველწყაროები. ამ რთულ და ძნელ საქმეს მნიშვნელოვნად აადვილებს ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების უკანასკნელ დროს არცთუ მცირერიცხოვანი ბიბლიოგრაფიული გამოცემანი[1], რომლებშიც გაბნეულია საჭირო, თუმცა არასრული ცნობები ახალი ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიის წყაროებზე. ამგვარი ცნობების მოშველიება აუცილებელია რუსული და დასავლური ბიბლიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული გამოცემებიდანაც; იქაურ მასალას გვერდი ვერ აევლება, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ახალი ქართული კულტურა და აზროვნება რუსულ-დასავლეთევროპულთან ურთიერთობაში ვითარდებოდა და, მეორეც, არაერთი ქართული პირველწყარო, არა მარტო ხელნაწერი, არამედ ბეჭდვითიც, ზოგჯერ თვით პერიოდული პრესის მთელი ორგანოც, მხოლოდ მოსკოვისა და ლენინგრადის წიგნსაცავებსა და არქივებშია დაცული.

ახალი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების პირველწყაროთა უდიდესი უმრავლესობა საქართველოს წიგნსაცავებსა და საარქივო დაწესებულებებში ინახება (კ. მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკები, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი). პირველწყაროთა შედარებით მცირე ნაწილი გამოუქვეყნებელია, უფრო დიდი ნაწილი პრესაშია გამოქვეყნებული[2], ბევრიც ცალკე წიგნებად და კრებულებადაა გამოცემული[3]. XIX საუკუნის ქარ-

---

[1] ქართული წიგნი, I, 1941; გ. ი. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1947; თ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ქართული ჟურნალებისა და გაზეთების ანალიტ. ბიბლიოგრაფია, I, 1940; ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია I — V, 1942—1967; A. A б р а м и ш в и л и, Грузинская периодика, 1968; დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა („წიგნის მეგობარი", 1925, № 1—2); თ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი, 1—11, 1954—1964.

[2] „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", „ცისკარი", „საქართველოს მოამბე", „დროება", „ივერია", „ტიფლისკი ვესტნიკ", „სასოფლო გაზეთი", „კრებული", „ობზორი", „ნოვოე ობოზრენიე", „კვალი", „მოამბე" და სხვ.

[3] ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, კალმასობა, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედ., I, II, 1936—1948; ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედ., 1946; გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ა. გაწერელიას რედ., 1948; ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, 1938; გ. ე რ ი ს თ ა ვ ი, თხზულებანი, 1966; ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ა. ბოჭორიშვილის და ს. ხუციშვილის რედ., 1961; დ. ჭ ო ნ ქ ა ძ ე, სურამის ციხე, მ. ზანდუკელის რედ., 1932; ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., სრ. კრებული, პ. ინგოროყვას რედ., I—X, 1949—1961; ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, გ. აბზიანიძის, ლ. ასათიანის და სხვათა რედ., I—XV, 1950—1963; ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. სრ. კრე-

თველ მწერალთა და მოაზროვნეთა ნაწერებიდან ჯერჯერობით გამოცემულია ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის თხზულებათა სრული კრებულები. არქივებსა და ძველ ჟურნალ-გაზეთებშია საძიებელი ი. ბაგრატიონის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცელაძის, ს. ჭრელაშვილის ნაწერების უმრავლესობა. სრული კრებულებიც ყოველთვის როდია ნამდვილად სრული და აკადემიური გამოცემანი, რომელნიც დააკმაყოფილებდა თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნებს, თუმცა საერთოდ ამისათვის დიდი ხანია ზრუნავენ მკვლევარ-გამომცემელნი (დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე, ს. ფირცხალავა, გედევანიშვილი, ს. ხუნდაძე, კ. კეკელიძე, ა. აბაშელი, ლ. ასათიანი, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე, ს. ყუბანეიშვილი, ვ. ქაჯაია, გ. აბზიანიძე, დ. გამეზარდაშვილი, ი. ბოცვაძე, ს. ხუციშვილი და სხვ.). დღესდღეობით თვით ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ნამდვილად სრული აკადემიური გამოცემაც არ მოგვეპოვება. დღემდე არაა დასრულებული გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მრავალტომიან მეცნიერულ გამოცემათა ს. ხუნდაძის მიერ დაწყებული საქმე (ს. ხუნდაძემ გამოსცა გ. წერეთლის ერთი ტომი, ნ. ნიკოლაძისა — ორი, დ. გამეზარდაშვილმა — ნ. ნიკოლაძის ხუთი ტომი). ორ წიგნად დაბეჭდილი ნაწილი ი. ბაგრატიონის „კალმასობისა" არ შეიცავს ზოგ ისეთ თავს, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს საკუთრივ კულტურის და აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის. მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის ახალი ქართული აზროვნებისა და კულტურის ზოგი სხვა მოღვაწის ცალკეულ ნაწარმოებებზე, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებსა თუ არქივებშია საძებარი (ა. ფურცელაძე, ს. ჭრელაშვილი და სხვ.). ამგვარი ხარვეზების მიუხედავად, ახალი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების წყაროთმცოდნეობამ განსაკუთრებით უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ისეთ დონეს მიაღწია, რომ მის საფუძველზე შეიქმნა საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო-საისტორიო ლიტერატურა.

ისტორიოგრაფია. მეტად ვრცელია XIX ს-ის საქართველოს რევოლუციამდელი ისტორიოგრაფია, მაგრამ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ შრომას. კავკასიის ომების გაშუქებაში შედარებით მეტი

ბული, I—X, ვ. ქ ა ჯ ა ი ა ს და სხვათა რედ., 1952—1965; ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზ. სრ. კრებული, I—IV, 1947—1950; ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ. სრ. კრებული, I—V, 1961; ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზ. სრ. კრებული, I—III, ს. ხუნდაძის რედ., 1930; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, I, ხუნდაძის რედ.; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩ. ნაწერები, I—II ს. ხუნდაძის რედ., 1931; ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, I—V, დ. გამეზარდაშვილის რედ., 1961—1966 და სხვ.

წვლილი აქვთ შეტანილი დუბროვინს[1], პოტოს[2], მურავიოვს[3], ზიკოვს[4] და სხვ. ავტორებს. საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ბევრი საკითხი გაშუქებულია ს. ესაძის ნაშრომებში[5]. საგაჭრო მეცენახეობა-მეღვინეობის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი საჭირო ცნობებს პოულობს მ. ბალასის ვრცელ ნაშრომში[6] და ს. ტიმოფეევის პატარა გამოკვლევაში[7]. აგრარული საკითხის დამუშავების დროს მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ს. ავალიანის ოთხტომეულს[8]. ამავე საკითხებზე საინტერესო მასალას შეიცავს აგრეთვე ო. სიომინის[9], ი. სეგალის[10] და სხვ. ავტორთა ნაშრომებიც.

რევოლუციამდელ ხანაში გამოცემული პირველი წყაროები და ლიტერატურა საკმაო მასალას შეიცავს მეფის მთავრობის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკის, მხარის მოსახლეობის, ეკონომიკის და სხვ. საკითხების გაშუქებისათვის. მაგრამ ძალიან ხშირად ეს მასალა არასანდო და წინააღმდეგობრივია. მკვლევარს მართებს დიდი სიფრთხილით შეარჩიოს ცნობები და მხოლოდ ის გამოიყენოს მეცნიერული ისტორიის საშენ მასალად.

ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსები ყოველნაირად აზვიადებდნენ მეფის მთავრობის „ცივილიზატორულ“ როლს, ცდილობდნენ ყველა დადებითი მოვლენა მისი პოლიტიკის ნაყოფად გამოეცხადებინათ, მიეჩქმალათ ადგილობრივი ძალების დამსახურება ქვეყნის პროგრესულ განვითარებაში და სხვ.

გარკვეული ტენდენციურობა ახასიათებდა ოპოზიციურ ისტორიოგრაფიასაც.

რევოლუციამდელი არამარქსისტი ისტორიკოსები კაპიტალიზმს განიხილავდნენ როგორც მხოლოდ ტექნიკურ პროგრესს. ისინი სწავლობდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიურ მხარეს, კაპიტალისტური ფორმაციის სოციალური შინაარსი კი მათი კვლევა-ძიების ინტერესთა სფეროში არც შედიოდა. კიდევ მეტი: ხალხოსნური, სოციალ-ფედერალისტური და ლიბერალურ-ბურჟუაზიული

---

[1] В. Дубровин, История воин и владычества русских на Кавказе, т. I—VI.

[2] В. Потто, Кавказская война, т. I—IV.

[3] Муравьев, Война за Кавказом в 1855 году.

[4] С. Зиков, Война в Малой Азии, т. III.

[5] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I—II, 1907.

[6] М. Баллас, Виноделие в России, т. II, III, 1896.

[7] С. Тимофеев, Сбыт Кавказских вин, 1895.

[8] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I—IV, 1912—1920.

[9] О. Семин, Великая годовщина, 1911.

[10] И. Сегаль, Крестьянское землевладение в Закавказье, 1912.

მიმდინარეობის პუბლიცისტები და მკვლევარები, წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისის გავლენით თუ სხვა მოსაზრებათა გამო, თითქმის ყურადღების გარეშე ტოვებდნენ ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების პროცესს. თვალს ხუჭავდნენ და არ ამჩნევდნენ გლეხობის კლასობრივ დიფერენციაციას, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბების ფაქტს. მათი უმრავლესობა წვრილ წარმოებას არსებულ პირობებში ნორმალურ, სამარადისო მოვლენად თვლიდა, მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებს კი შემთხვევითობად აცხადებდა. ამიტომაა, რომ რევოლუციამდელ ლიტერატურაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მარქსისტთა მემკვიდრეობას, კაპიტალიზმის შესახებ არ გვხვდება არც ერთი სერიოზული გამოკვლევა. ს. გულიშამბაროვის ნაშრომები[1] საქართველოსა და ამიერკავკასიაში არსებული ფაბრიკა-ქარხნების ზერელე მიმოხილვას წარმოადგენს. ქ. ვერმიშევმა ი. მუხრან-ბატონის მეურნეობის მაგალითზე შეისწავლა მემამულური მეურნეობის ევოლუცია, მაგრამ მის გამოკვლევაშიც წინა პლანზეა წამოწეული შრომამოგების საფუძველზე არსებული მარცვლეული მეურნეობა და შედარებით მიჩქმალულია კაპიტალისტურად გამართული მეღვინეობა.

ვ. ი. ლენინი თავიდანვე იბრძოდა ქვეყნის განვითარების ისტორიულობიექტური პროცესის მრუდე სარკეში წარმოჩენის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ XIX ს-ის 90-იან წლებში მან სიცხადე შეიტანა ხალხსნების მიერ დაბურდული სტატისტიკური მასალის ლაბირინთში და გვიჩვენა, რომ მთელი რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში კაპიტალისტურად ვითარდებოდა, რომ კაპიტალისტურ ხასიათს ატარებდა არა მარტო ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა, არამედ ამავე გზით ვითარდებოდა შინამრეწველობა — ხელოსნობა და სოფლის მეურნეობაც.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის დამუშავებას.

საბჭოთა ისტორიკოსებმა დაძლიეს რევოლუციამდელი არამარქსისტული ისტორიოგრაფიის მსოფლმხედველობრივ-მეთოდოლოგიური ნაკლი და კვლევა-ძიება ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანეს. უკვე XX ს-ის 20 — 30-იან წლებში გამოქვეყნდა ფ. მახარაძის, გ. გიორგაძის, ნ. ბერძენიშვილის, პ. გუგუშვილის, გ. ხაჭაპურიძის და სხვ. ნაშრომები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის უმთავრესი პრობლემის — კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პრობლემის დამუშავებას.

ნ. ბერძენიშვილი XVIII ს-ის ქართლ-კახეთში არსებული სამღებრო-

---

[1] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, 1888; Обзор фабрик и заводов Закавказского края, 1894.

ების დეტალური შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს საწარმოები იყო ჩვენში უფრო გვიან წარმოქმნილი კაპიტალისტური მანუფაქტურების წინამორბედი, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში უკვე ჩნდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები[1].

პ. გუგუშვილმა წამოაყენა დებულება, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა ჩაისახა ფეოდალიზმის წიაღში XIX ს-ის პირველ ნახევარში, რომ კაპიტალისტურმა მრეწველობამ საქართველოში გაიარა ყველა სტადია პირველიდან უმაღლეს ფორმამდე. რამდენიმე საწარმოს შესწავლის საფუძველზე პ. გუგუშვილი ასკვნიდა, რომ რეფორმამდელ საქართველოში უკვე სახეზეა კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული სტადია[2].

კაპიტალიზმის გენეზისის საკითხის დამუშავებას თავიდანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ახალი ისტორიის პერიოდიზაციის დადგენისა და საერთოდ ახალი ისტორიის სისტემატური კურსის შექმნისათვის. ამ საკითხის კვლევა საგრძნობლად წავიდა წინ XX ს-ის 40—50-იან წლებში. თანდათან გამოიკვეთა ორი ტენდენცია, ორი თვალსაზრისი. მკვლევართა ერთი ნაწილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები არსებობდა ჯერ კიდევ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, XIX ს-ის შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდა კაპიტალისტური წყობა, ხოლო 60—70-იანი წლების მიჯნაზე საბოლოოდ გაიმარჯვა კაპიტალისტურმა ფორმაციამ. მკვლევართა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალიზმის მხოლოდ მცირე ჩანასახები არსებობდა და კაპიტალისტური წყობა მხოლოდ ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, XIX ს-ის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა.

1954 წლის ივნის-ივლისში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებზე მოაწყო დისკუსია, რომელზეც ხსენებულმა ორმა თვალსაზრისმა მკაფიოდ იჩინა თავი.

ამ დისკუსიის შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდა კაპიტალიზმის გენეზისის საკითხების კვლევა. გამოქვეყნდა მრავალი საყურადღებო ნაშრომი[3]. სამეცნიერო ბრუნვაში დიდი რაოდენობით შევიდა ახალი მასალა. ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა კაპიტალისტური წყო-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს-ის საქართველოში. მკსი, ნაკ. VI, 1937.

[2] პ. გუგუშვილი, მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, მსკი, ნაკ. III, 1939.

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება. I—V; Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв; Ш. К. Чхетия, Тифлис в XIX столетии, 1942; И. Г. Антелава, К вопросу о характере экономического развития Грузии в предреформенный период, ТАИ, 1956;

ბის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განსაზღვრავს XIX საუკუნის 30 — 60-იანი წლებით და არ გამორიცხავს ახალი ფორმაციის ჩანასახთა არსებობას XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის პირველ მესამედში.

ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების ძალა და მოთხოვნილება, ანტიბატონყმური საზოგადოებრივი აზრი, გლეხთა მოძრაობა და საერთოდ რევოლუციური სიტუაცია აიძულებდა ცარიზმს გაეტარებინა ბურჟუაზიული რეფორმები და დროის მოთხოვნილების შესაბამისად შეეკეთებინა რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური შენობა. საქართველოში ფეოდალური და კაპიტალისტური ფორმაციების წყალგამყოფად ბურჟუაზიული რეფორმებია მიჩნეული. ამ რეფორმების წინაპირობების, რეფორმების გატარებისა და შედეგების შესახებ საკმაო ლიტერატურა დაგროვდა (პ. გუგუშვილი, შ. ჩხეტია და სხვ.).

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შესწავლას. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში გაშუქებულია პ. გუგუშვილის დასახელებულ მონოგრაფიებში, გ. ბაქრაძის, შ. ტყეშელაშვილის, ედ. ხოშტარიას, ნ. როდონაიას, გ. მარგიანის და სხვ. ნაშრომებში[1]. ამ გამოკვლევებში მეტ-ნაკლები სიღრმე-სისრულითაა შესწავლილი მრეწველობის სხვადასხვა ფორმა (ხელოსნობა, შინამრეწველობა, კაპიტალისტური საწარმოები), კაპიტალისტური მრეწველობის სტადიები (მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა, მანქანური ინდუსტრია), ამ ფორმა-სტადიათა ბატონობის ქრონოლოგიური ჩარჩოები, მათი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში.

საინტერესო ნაშრომები დაიწერა სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების საკითხებზე[2], რომლებშიც მეტ-ნაკლები

И. Г. Антелава, Э. Орджоникидзе, Э. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967; А. Я. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной восточной Грузии, М,. 1957; დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელი ხანის საქ-ში; З. В. Анчабадзе, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тб., 966.

[1] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., Тб., 1958; ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864—1920 წწ.), თბ., 1958; ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში (დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება), თბ., 1966; ნ. როდონაია, თბილისის მრეწველობა რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში; გ. მარგიანი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი საქართველოში 1879—1921 წწ., 1968.

[2] В. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., М., 1958; ი. უთურაშვილი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში,

სიღრმე-სისრულით გაშუქებულია სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება, ვაჭრობა და კრედიტის ფორმები, აგრარულ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ევოლუცია, გლეხობის სოციალური დიფერენციაცია, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია, დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბი სოფლის მეურნეობაში და სხვ. საკითხები.

ამრიგად, ზემოჩამოთვლილი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ საქართველო XIX საუკუნეში განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში იგი განიცდიდა გარდამავალი ეპოქისათვის დამახასიათებელ ტკივილებს, ხოლო 60-იანი წლებიდან გაბატონებული ხდება კაპიტალისტური ფორმაცია.

საბჭოთა ისტორიკოსები თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ კაპიტალისტური საქართველოს სოციალური ძალების შესწავლას, მშრომელი კლასების მდგომარეობისა და უკეთესი მერმისისათვის მისი ბრძოლის გაშუქებას.

კაპიტალისტური საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის გლეხობის შესახებ ბევრი ნაშრომია დაწერილი. ი. ანთელავას ფუნდამენტური მონოგრაფიის[1] პირველ ტომში შესწავლილია სახელმწიფო გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა XIX ს-ის პირველ ნახევარში, ნაჩვენებია ამ სოციალური ფენის როლი ქვეყნის ეკონომიკასა და განთავისუფლებულ ბრძოლაში. მეორე ტომში კი გაშუქებულია ის ცვლილებები, რაც განიცადა სახელმწიფო გლეხობამ რეფორმის მომდევნო ხანაში.

საბატონო გლეხთა ანტიბატონყმურ ბრძოლაზე გამოკვლევები დაწერეს ივ. ჯავახიშვილმა, ფ. მახარაძემ, გ. ხაჭაპურიძემ, გ. ძიძარიამ, ი. სიხარულიძემ, შ. ჩხეტიამ, დ. ლემონჯავამ და სხვ.[2]. რეფორმის მომდევნო

თბ., 1958; მისივე, გლეხობის სოციალურ-ეკონომიური ჯგუფების თანაფარდობა აღმოსავლეთ საქართველოში, „მაცნე", 1967, № 1; ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ., თბ., 1965; კაპიტალისტური მეურნეობანი საქართველოს სოფელში XIX—XX სს. მიჯნაზე, „მაცნე", 1968, № 1; Грузинская деревня в 1864—1917 гг., Тб., 1968, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი; ნ. ნ ა ც ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ი. მუხრანბატონის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1961; ა. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, სასაქონლო წარმოების განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში XIX ს. მეორე ნახევარში, ბათუმი, 1957; თ. ჩ ხ ე ი ძ ე, საუფლისწულო მამულები კახეთში, თბ., 1968; ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967.

[1] И. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. I, 1955. т. II, 1962.

[2] И. А. Джавахов, Общественно-политическое движение в Грузии в XIX столетии, 1906; Ф. Е. М а х а р а д з е, Г. Х а ч а п у р и д з е, Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М., 1932; Г. А. Д з и д з а р и я, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1956; ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება, ბათუმი, 1955; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წ., „საისტორიო მოამბე", ტ. VII, 1953; დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1856—1857 წწ.

ხანის საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მისი განმათავისუფლებელი ბრძოლა გაშუქებულია ი. ანთელავას, ვ. გუჩუას[1], ი. მირცხულავას[2], ალ. ბენდიანიშვილის და სხვ. ნაშრომებში.

მუშათა კლასის წარმოშობის, მისი თვითშეგნების ზრდასა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაზე ნაშრომები გამოაქვეყნეს ფ. მახარაძემ, გ. ხაჭაპურიძემ, აბ. კიკვიძემ, ნ. ჩახვაშვილმა, ე. ხოშტარიამ და სხვ.[3].

ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს არც სხვა საკითხები დაუტოვებიათ ყურადღების გარეშე. საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებას და მის ევოლუციას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა შ. ჩხეტიამ[4]. დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანგრძლივი პროცესი, აქ არსებული ავტონომიური სამთავროების გამძლეობის მიზეზები და საერთოდ XIX ს-ის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ისტორიის ბევრი საკითხი კარგად არის გაშუქებული მ. დუმბაძის მონოგრაფიაში[5]. არაერთი ნაშრომი დაიწერა ქართველი ხალხის მონაწილეობაზე რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში (ე. ბურჭულაძე, ი. ანთელავა, ნ. ახვლედიანი, შ. მეგრელიძე. ნ. ქორთუა და სხვ.).

მნიშვნელოვანი წარმატებაა მოპოვებული საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის სისტემატური კურსის შექმნის მიმართულებითაც. გამოქვეყნდა აბ. კიკვიძის ორტომეული[6], შეიქმნა საქართველოს ახალი ისტორიის სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი[7].

წარმოშობისთანავე შესწავლის ობიექტად იქცა ახალი ქართული კულტურა, ეროვნული მოძრაობა და საზოგადოებრივი აზროვნება. XIX საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება ახალი კულტურისა და აზროვნების ზოგადი შინაარსის გარკვევის და კრიტიკული შეფასების პირველი

---

[1] ი. ანთელავა, ვ. გუჩუა, საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967.

[2] ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში, თბ., 1964.

[3] აბ. კიკვიძე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870—1901 წწ.), თბ., 1945; Н. Чахвашвили, Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), Тб., 1858; ედ. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, (პროლეტარიატის ფორმირება და მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები), თბ., 1963.

[4] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში.

[5] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957 წ.

[6] აბ. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX—XX სს.), ტ. I—II, თბ., 1954—1959.

[7] საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1962.

ცდები[1]. 60—90-იან წლებში იქმნება მეცნიერულ-პუბლიცისტური ნარკვევები, რომლებშიც მოცემულია ახალი ქართული კულტურისა და აზროვნების ძირითადი საკითხების უფრო გაღრმავებული შესწავლა-განზოგადება და შეფასება. 90—900-იან წლებში განმანათლებლური და ხალხოსნური ისტორიოგრაფიის[2] წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდება სოციალ-დემოკრატიული[3] და ნაციონალურ-დემოკრატიული[4] ისტორიოგრაფია. ამავე დროს ფორმალურად უპარტიო მეცნიერი ისტორიკოსები და

---

[1] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა (თხზ., 1961); მ. ბ რ ო ს ე, ქართული ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა („ახალი საზიო ჟურნალი", 1828, № 1); განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა („ცისკარი", 1861, № 8); დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურა; Краткая грузинская грамматика, 1855.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ცისკარი 1857 წლიდან 1862 წლამდინა; ორიოდე სიტყვა....; პასუხი; საქართველოს მოამბეზედ; თერგდალეულნი და ახალი თაობა; უარმყოფელობა ჩვენში; ივერიის წინასიტყვაობანი; წერილები ქართულ ლიტერატურაზე (თხზ., ტ. III, პ. ინგოროყვას რედ.). ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ (თხზ. ტ. I, 1950, გ. აბზიანიძის რედ.); ვინ სტყუის (თხზ., ტ, II). ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, შინაური მიმოხილვა (თხზ., ტ. I, 1952, გ. თავზიშვილის, ვ. ქაჯაიას რედ.). ე. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, კრიტიკული მიმოხილვა (ნაწერები, ს. ხუციშვილის რედ., 1961). გ. წ ე რ ე თ ე ლ ი „ცისკარს" რა აკაკანებდა? („საქართველოს მოამბე", 1963); დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები („დავითიანი", 1870); რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ (თხზ., ტ. I, ს. ხუნდაძის რედ., 1931); კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა („კვალი", 1897, № 46). ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ჩვენი ახალგაზრდობა (თხზ., ტ. 2, დ. გამეზარდაშვილის რედ.); ახალი ახალგაზრდობა; ჯანდაბა; ჩვენი მწერლობა (თხზ., ტ. 3,); მრუდე გამოსარჩლება; „ივერიის" პირველი ნომერი; გაზეთი „დროება", პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა (თხზ., ტ. 4); მამულის სიყვარული და მსახურება, 1914, ხომლელი, ზოგიერთი ფიქრი; ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა. ქართული ლიტერატურა (რჩ. ნაწერები, დ. გამეზარდაშვილის რედ., 1963). ა. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, ქართული ლიტერატურა („ცისკარი", 1863, № 2, 6, 7). ს. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჩვენი დევგმირები, 1878; დამტკრეული ოცნებანი („იმედი", 1882); მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის" გამო („ივერია", 1888). ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, 1888. გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ. ძველი და ახალი თაობა (რჩ. ნაწ. მ. კანდელაკის რედ. 1). ი. ჯ ა ბ ა დ ა რ ი, ფიქრი და შენიშვნა გარეთყოფილისა („ივერია", 1886, № 100); Процесс 50-ти («Былое», 1907, № 8, 9, 10).

[3] ს. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, სიტყვა ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე („კვალი", 1894). ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მესამოცე წლების მოღვაწენი („კვალი", 1894, № 35); პრესა („კვალი", 1899, № 3); ი. წ ე რ ე თ ე ლ ი, მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური, აკაკანებული მამულიშვილები („კვალი", 1902); პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი, 1914; ი. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის პოეზია („კვალი", 1902).

[4] კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, დ. გამეზარდაშვილის რედ. 1962; ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თავად-აზნაურობის პოლიტიკური აზროვნება მეცხრამეტე საუკუნეში (თხზ., ტ. II, 1911); მეოთხმოციანნი და მეოთხმოცდაათიანნი (თხზ., ტ. 1); მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის (თხზ., ტ. , 19 4).

პუბლიცისტები განაგრძობენ ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიის მასალების შეკრებისა და განზოგადების ადრე დაწყებულ საქმეს[1]. 90-იანი წლების ბოლოს წარმოიშვა მეცნიერულ-მარქსისტული ისტორიოგრაფიაც[2]. განმანათლებელმა პუბლიცისტებმა და ისტორიკოსებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, გ. წერეთელმა, დ. ბაქრაძემ და სხვ. თვითმპყრობელობის შემოტევას დაუპირისპირეს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურისა და აზროვნების მოწინავე ტრადიციების მხურვალე პროპაგანდა და წამოაყენეს ხალხის ფართო მასების ყოველმხრივი, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ეროვნულ-კულტურული აღზრდის იდეა. მათ ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვეს ძველი და ახალი ქართული კულტურის შესახებ, მაგრამ თავიდან ვერ აიცილეს ერთგვარი გადაჭარბება მისი შეფასების დროს. ხალხოსნები ი. ჯაბადარი, ხ. ჭიჭინაძე და სხვები კულტურის ისტორიას უპირატესად გლეხობის სოციალური ინტერესების დაცვის თვალსაზრისით უდგებოდნენ და ხშირად ეროვნულ ნიჰილიზმამდე ეშვებოდნენ. ეროვნულ-სოციალური ასპექტის გაზვიადების თუ უგულებელყოფის ტენდენციები მძლავრად იჩენდა თავს ნაციონალ-დემოკრატ და სოციალ-დემოკრატ პუბლიცისტთა და ისტორიკოსთა ნაშრომებში. ეროვნულ ფორმაზე ყურადღების გამახვილებას ხშირად ნაციონალიზმამდე მიჰყავდა ა. ჯორჯაძე და სხვები; კულტურის სოციალურ შინაარსზე ყურადღების კონცენტრაცია კი ეროვნული ნიჰილიზმისაკენ უბიძგებდა ნ. ჟორდანიას, პ. გელეიშვილს და სხვ. ახალი ქართული კულტურისა და აზროვნების მეცნიერული შესწავლისათვის ნიადაგი შეამზადა ა. წულუკიძის და ი. სტალინის მიერ ეროვნული საკითხის მარქსისტულმა გაშუქებამ. მიუხედავად ამისა, ზოგმა რევოლუციონერმა მარქსისტმაც ვერ დააღწია თავი ნიჰილიზმს და ვულგარიზმს ახალი ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა შეფასებისას.

---

[1] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, „კალმასობის“ 1862 წლის გამოცემის წინასიტყვაობა. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Вахушти и его труд, 1882; ნ. მ ა რ ი, ქართველთა ეროვნება, 1905; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ზამულიშვილობა და მეცნიერება, 1904, Политические и социальные движения в Грузии в XIX в. 1906, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919; ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და საქართველოს ისტორია, 1938; ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I—IV, 1895—1911; ს. გ ო რ გ ა ძ ე, ჩვენი ახალი მწერლობა, 1917; გ. ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი, 1913; ძეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, 1920; გ. ქ ი ქ ო ძ ე, ილია ჭავჭავაძე — მგოსანი და მოაზროვნე, 1913.

[2] ნაციონალიზმი და სოციალიზმი („ბრძოლა“, 1901); ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს, ახირებული პრეტენზია. ოცნება და სინამდვილე (თხზ. ი. თავაძის და ქუთელიას რედ., 1943); ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 1903; ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი? (თხზ., ტ. I); მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი (თხზ., ტ. II).

პირველი ნაშრომები, რომლებშიც ვრცლად და სისტემატურად იყო გაშუქებული ახალი ქართული კულტურისა და აზროვნების საკითხები, შექმნეს ისტორიკოსმა ა. ხახანაშვილმა, კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ და პუბლიცისტმა ა. ჯორჯაძემ. მათი ნაშრომები შორსაა თანმიმდევარი მეცნიერული მეთოდოლოგიისაგან, მაგრამ თავის დროზე მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლაში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ახალი ქართული მუსიკის ისტორიას დ. არაყიშვილმა, ხოლო ზ. ჭიჭინაძემ და გრ. ყიფშიძემ საფუძველი ჩაუყარეს ქართული პრესის ისტორიის შესწავლას[1].

ახალი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მეცნიერული კვლევა უაღრესად გაფართოვდა და გაღრმავდა საბჭოთა პერიოდში. უკვე 20—30-იან წლებში გამოქვეყნდა ვრცელი განმაზოგადებელი ნაშრომები მთლიანად ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ან ცალკეულ მწერალთა და მოაზროვნეთა შესახებ. საბჭოური ისტორიოგრაფიის პირველი ეტაპის (1921—1937 წწ.) მნიშვნელოვან მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ (I, II, 1924 წწ.), ვ. კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (I—III, 1925—1927 წწ.), კ. კაპანელის „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ (1926 წ.), ს. ხუნდაძის „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (I, II, 1927 წ.), „დიმიტრი ყიფიანი“ (1931 წ.), მ. ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა“ (I, II, 1932—1933 წწ.), ლ. ასათიანის „ვოლტერიანობა საქართველოში“ (1933 წ.), „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ (1941 წ.), გ. ქიქოძის „ნარკვევები“, ქრ. რაჭველიშვილის „ილია ჭავჭავაძე“ (1937 წ.), კრებულები „ილია ჭავჭავაძე“ და „იაკობ გოგებაშვილი“ (1939—1940 წწ.), გრ. გიორგაძე „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე“ (1928 წ.). დროის ვითარებით გამოწვეული უსრულობის, მეთოდოლოგიური უზუსტობის თუ ცალკეული შეცდომების მიუხედავად, დასახელებულ ფუნდამენტალურ გამოკვლევებში გათვალისწინებულია ადრინდელი ხანის ისტორიოგრაფიული მონაპოვარი, თავმოყრილი და სისტემატიზირებულია არქივებსა და პრესაში გაბნეული დიდძალი ფაქტობრივი მასალა და ამ საფუძველზე პირველადაა მოცემული ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების, მათი განვითარების ეტაპების, მიმდინარეობათა, იდეურ წყაროთა და კლა-

---

[1] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკის ისტორია, 1919; Гр. Кипшидзе, Периодическая печать на Кавказе, 1901; ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალებისა, 1902.

სობრივი ბუნების ზოგადი მეცნიერული დახასიათება. ამ დახასიათების მიხედვით ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესის იდეოლოგიური ასახვაა; ახალი იდეოლოგია ძველის წიაღში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ისახება და XX საუკუნემდე განვითარების ადრინდელ, კლასიკურ და გვიანდელ ეტაპებს გაივლის. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იგი ნაწილდება სამ იდეურ მიმდინარეობად (დასად), რომელთა ეროვნული და სოციალური პროგრამები ბურჟუაზიული დემოკრატიის და დემოკრატიული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა ცარიზმის, კონსერვატიული მსხვილი თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე კაპანელს, გერონტი ქიქოძეს, სიმონ ხუნდაძეს, ისევე როგორც ადრე რიგ განმანათლებელ, ხალხოსან, სოციალ-ფედერალისტ და სოციალ-დემოკრატ ისტორიკოსებს, XIX საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნენი ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ა. ფურცელაძე და სხვები ხალხის ყოველგვარი ჩაგვრის, უწინარეს ყოვლისა თვითმპყრობელურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ განმანათლებლებად, დემოკრატებად და უტოპისტებად ესახებოდათ. მათს ნაშრომებში ეს სწორი ზოგადი თვალსაზრისი ხშირად ყოველმხრივ როდი იყო დასაბუთებული ცალკეულ მწერალთა და მოაზროვნეთა მსოფლმხედველობის ცოტად თუ ბევრად სრული და მთლიანი ანალიზის გზით. მკვლევარნი ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ იდეოლოგიის კლასობრიობის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისის მარჯვედ გამოყენებას, მხოლოდ კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდნენ მოვლენებს ან უგულებელყოფდნენ იდეოლოგიურ მოვლენათა კლასობრიობას, ჯეროვნად ვერ აფასებდნენ XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ეკონომიური ცხოვრების თავისებურებებს, საკმაოდ ვერ ითვალისწინებდნენ მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში განმანათლებლობისა და ჰუმანიზმის, რევოლუციური დემოკრატიზმისა და უტოპიური სოციალიზმის განუყრელ კავშირს. მეცნიერულ მოსაზრებებს არაიშვიათად გადაულახავ დაბრკოლებად ეღობებოდა რაპპელ ნიჰილისტთა სუბიექტივისტური, ვულგარულ-სოციოლოგიური სქემები, რომელნიც აიძულებდნენ, მაგალითად, სიმონ ხუნდაძეს, რომლის თვალსაზრისი ახალი ქართული აზროვნების კლასობრივი ბუნების შესახებ ჯერ კიდევ 1916 წლიდან სწორად ვითარდებოდა, წამდაუწუმ, ზოგჯერ თითქმის ყოველ ფურცელზე, ელაპარაკნა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის ცალკეულ შეხედულებათა ლიბერალურ-თავადაზნაურული თუ ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ.

1937 წლიდან, როცა გაზეთმა „პრავდამ“ ილია ჭავჭავაძეს XIX საუკუნის ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე უწოდა, ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისადმი ნიჰილისტურმა მიდგომამ საბოლოოდ დაუთმო ადგილი მეცნიერულ მიდგომას, ერთხანს გაბატონებული დოგმატიზმიც თანდათანობით იდევნება ისტორიოგრაფიიდან. აქედან დაწყებული დღემდე ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პრობლემებზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან ნაშრომებში მეტ-ნაკლები საბუთიანობითაა ნაჩვენები, რომ XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი არც კონსერვატორები და რეაქციონერები ყოფილან, არც თანმიმდევარი სოციალისტები, არც თავადაზნაურობის ან ბურჟუაზიის იდეოლოგები, არამედ ისინი იყვნენ პროგრესისტები, პატრიოტები და დემოკრატები, უწინარეს ყოვლისა მშრომელი ხალხის ინტერესთა დამცველნი, რომელთაც იდეურად ცხადყვეს დრომოჭმული წყობილებიდან ახალ საზოგადოებაზე, მოძველებული აზროვნებიდან ახალ მსოფლმხედველობაზე გადასვლის გარდუვალობა. წინანდელთან შედარებით უფრო ვრცელი ფაქტიური მასალის ობიექტურ-მეცნიერულმა ანალიზმა იმ წლებში საშუალება მისცა აზროვნების ისტორიკოსებს კონკრეტულად გამოეკვლიათ ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის არაერთი საკითხი. იმ დროიდან ბევრი მკვლევარი XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეებს მეტი გაბედულებით და საფუძვლიანად მიიჩნევს განმანათლებლებად და რევოლუციონერ-დემოკრატებად, რომლებიც ობიექტურად ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის და იმ ახალი ცხოვრების მედროშეებად წარმოგვიდგებიან, ბატონყმობის ნანგრევებზე რომ უნდა აშენებულიყო.

ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, თითქოს ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მაშინდელ ან ახლანდელ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდეს. მართალია, ახლა აღარავინ კამათობს, პროგრესისტი იყო, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძე თუ კონსერვატორი, დემოკრატი თუ ლიბერალი, მჩაგვრელი თუ ჩაგრული კლასების ინტერესთა დამცველი, მაგრამ მისი დემოკრატიზმის კონკრეტულ კლასობრივ ბუნებაზე კამათი გრძელდება. ამ ოცი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ ზოგჯერ თვით ერთი და იგივე ავტორის სხვადასხვა ნაშრომშიც კი ილია ჭავჭავაძე ხან თავისი დროის სამივე ძირითადი კლასის იდეოლოგადაა მიჩნეული, ხან ბურჟუაზიისა, ხან კიდევ გლეხობისა. ზოგი მკვლევარი მას უპირატესად განმანათლებელს უწოდებს, ზოგი რევოლუციონერ-დემოკრატს, ზოგიც გლეხურ დემოკრატს თუ ბურჟუაზიულ დემოკრატს. იგივე ითქმის სერგი მესხის და ზოგი სხვა მოაზროვნის შესახებ. ასე რომ ასწლიანი ისტორია მეორდება, თუმცა ახალ საფუძველზე. აზრთა ამგვარი სხვადა-

სხვაობაა განმანათლებელთა და ხალხოსანთა ურთიერთობის საკითხშიც. ზოგიერთი მკვლევარი მათს ურთიერთობაში პრინციპულ იდეურ-კლასობრივ დაპირისპირებას ხედავს, ზოგიც სავსებით აიგივებს განმანათლებლურ და ხალხოსნურ შეხედულებებს. „იმედისა“ და „შრომის“ ჯგუფი ზოგს ლიბერალურად მიაჩნია, ზოგს კი რადიკალურ-რევოლუციურად. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართა იმ ნაშრომებიდან, რომლებიც ამ პრობლემის გადაწყვეტის ძირითადად სწორ გზას სახავენ და საერთოდ XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური, ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების თანამედროვე მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნებიან, შეიძლება დავასახელოთ გ. ქიქოძის, პ. გუგუშვილის, ლ. გორგილაძის, გ. ჯიბლაძის, პ. ინგოროყვას, მ. კვესელავას, პრ. რატიანის, ი. ანთელავას, დ. გამეზარდაშვილის, ა. კენჭოშვილის, გ. მეგრელიშვილის, ვ. ბახტაძის, ვ. გაგოიძის, მ. გაფრინდაშვილის და სხვების ვრცელი გამოკვლევები [1], მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ავტორების თვალსაზრისიც ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს.

საბჭოური ისტორიოგრაფიის მეორე ეტაპზე (1932—1968 წწ.) ახალი ქართული კულტურისა და აზროვნების შესწავლა ისე მძლავრად განვითარდა, რომ ცალკეულ ლიტერატორთა და ისტორიკოსთა ნაცვლად ჰუმანიტარულ-სამეცნიერო ინსტიტუტში მომუშავე მკვლევართა მრავალრიცხოვანი რაზმის კვლევის საგანი გახდა. განმანათლებელთა და ხალხო-

---

[1] გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩ. თხზულებანი, I—III, 1963—1965; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული ჟურნალისტიკა, I, 1941; კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, 1952; Карл Маркс В грузинской публицистике и общественности, 1956; ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, სამოციანი წლების ქართველი განმანათლებლები („მნათობი“, 1948, № 9); ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1961; სოციალიზმის ისტორიიდან, 1967; გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი („მნათობი“, 1948, № 11); კრიტიკული ეტიუდები, I —IV, 1950—1963; ილია ჭავჭავაძე, 1957; მ. კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა, ფაუსტური პარადიგმები, I—II, 1961; პრ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, 1949—1965; თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1962; იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორია, I, 1958; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში, 1867; დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან I—II, 1954—1957; ა. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე, 1962; Г. М е г р е л и ш в и л и, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины 19 века и начала 20 века, I—III, 1960—1964; В. Б а х т а д з е, Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли, 1960; ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, 1962; ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი მე-19 საუკუნის საქართველოში, 1964; მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955; ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, I, 1959; ქართული განმანათლებლობა, 1966.

სანთა მსოფლმხედველობას სხვადასხვა კუთხით სწავლობენ ისტორიკოსები და ფილოსოფოსები, ლიტერატორები, ეკონომისტები და სამართლის მცოდნენი, ხალხის მატერიალურ და სულიერ ყოფას — ეთნოგრაფები და ფოლკლორისტები, ენის ისტორიას — ენათმეცნიერები, განათლებას — სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების მკვლევარნი, კულტურის სხვა დარგების ისტორიას — ხელოვნებათმცოდნენი და სხვ. დასახელებულ ნაშრომებს გარდა ამ ოცდაათი წლის მანძილზე გამოქვეყნდა მრავალი საყურადღებო გამოკვლევა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მთლიანად ახალი ქართული კულტურის თუ აზროვნების ან მათი ცალკეული მომენტების შესწავლაში [1].

ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლაში თითქმის 50 წლის მანძილზე მოპოვებულ დიდ წარმატებათა მიუხედავად, ხარვეზებიც ცოტა როდია. ჯერჯერობით ზუსტად არ არის შესწავლილი მისი ადრინდელი პერიოდი. კლასიკური ხანის ახალი აზროვნების შესწავლაშიც ზოგჯერ დაძლეული არაა სქემატიზმი, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული თანადროულ მსოფლიო აზროვნებასთან ქართული აზროვნების მიმართება, ანდა, პირიქით, იგრძნობა არაქართველ მოაზროვნეებთან ქართველ მოაზროვნეთა მექანიკური გათანაბრების და „რომელიმე კარგად

---

[1] საქართველოს ისტორია, II, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1962; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ა. კიკვიძის ნაშრომი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეში“ (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955); ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი, 1964; ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, 1951; ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, I—II, 1954—1959; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, 1962; ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე, რევოლუციურ-ხალხსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში, 1964; ვ. ს ი ფ რ ა შ ვ ი ლ ი, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და თერგდალეულების იდეური ურთიერთობა, 1962; Сб., «Народы Кавказа», II, 1961; შ. რ ა დ ი ა ნ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1955; მ. დ უ დ უ ჩ ა ვ ა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960; გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959; ტრ. რ უ ხ ა ძ ე, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, 1960; კ. მ ე ძ ვ ე ლ ი ა, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, 1959; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1954; ავტორთა კოლექტივის წიგნი ამავე სახელწოდებით, II, 1965; ა. ჭ ი ლ ა ი ა, გიორგი წერეთელი, 1964; ა. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, ნარკვევები ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, 1958; ა. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა, 1961; ა. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I—III, 1957—1963; ო. ჭ უ რ ღ უ ლ ი ა, კრიტიკული წერილები, I—II, 1958—1961; ვ. ე ა ხ ა ნ ი ა, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1956; ქართული ლიტერატურის ისტორია, დ. გამეზარდაშვილის რედ., I, 1956; ა. ჩ ა ვ ლ ე ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის თეორეტიკოსი, 1939; ი. ბ ო ცვ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, I, 1957; სერგი მესხი. 1965; ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, 1963; ა. თ ა ვ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულე-

ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი“ [1]. დღემდე არ მოგვეპოვება გამოკვლევა, რომელშიც ცოტად თუ ბევრად სრული და სისტემატური სახით იქნებოდა გადმოცემული ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მთლიანი ისტორია. ასეთი ნაშრომის შექმნა, ცხადია, ერთი ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. იგი ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, ლიტერატურისმცოდნეთა, ეკონომისტთა და სამართლისმცოდნეთა კომპლექსურ შრომას, მათი კვლევითი მუშაობის კოორდინაციას მოითხოვს. იგივე უნდა ითქვას ახალი ქართული კულტურის მთლიანი ისტორიის შესახებაც, რომელიც, აგრეთვე, ჯერ არ დაწერილა, თუმცა კულტურის ცალკეული შემადგენელი ნაწილები (ყოფა, განათლება, პრესა, თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება) ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ მრავალ ნაშრომში ვრცლადაა განხილული.

მთლიანად XIX საუკუნის ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მოკლე და ყოველმხრივი დახასიათების პირველი ცდები მოცემულია საქართველოს ისტორიის არსებულ სახელმძღვანელოებში[2],

---

ბანი, 1954; ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958; ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა, 1927; ა. ქუთელია, ილია ჭავჭავაძე რევოლუციური დემოკრატი („მნათობი“, 1954); შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1958—1960; თ. კუკავა, ნარკვევები მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1956; ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, 1967; ს. ავალიანი, გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, 1954; პ. ცინცაძე, ილია ჭავჭავაძე, 1938; გრ. თოდუა, ქართველ მესამოციანელთა ეკონომიური მოძღვრების სათავეებთან, 1967; გ. ჩადუნელი, ჟურნალ „იმედის“ ეკონომიური შეხედულებანი, 1961; მ. სიხარულიძე, ჟურნალ „შრომის“ ეკონომიური შეხედულებანი, 1962; ა. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938; ქართული ენის ზოგადი განხილვა („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, 1959). გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, 1948; ტრიფ. ხუნდაძე, ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში, 1948; ნ. პაპავა, სახალხო განათლების ისტორია მე-19 ს. მეორე ნახევრის საქართველოში, 1963; შ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954; ა. კალანდაძე, საქართველოს მოამბე, 1963; ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965; ლ. ჩიქოვანი, გაზეთ „თბილისის მოამბის“ სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, 1967; ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1964; ვახტანგ ბერიძე, ქართული ხელოვნება 1865 წლიდან 1921 წლამდე, 1967 (ხელნაწერი); გ. ბურთიკაშვილი, წერილები თეატრზე, 1964. ვ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის 1948; პ. ხუჭუა, ქართული სამუსიკო კულტურა, 1961, კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“, 1968.

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე („საისტორიო წერილები“, I, 1968, გვ. 37).

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, I—II, 1954—1959; ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ისტორია, I, 1958. საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედ., II, 1962.

მაგრამ თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი დახასიათება ახლა საკმარისი აღარ ჩანს.

საქართველოს ისტორიის V ტომის ავტორთა კოლექტივი, რა თქმა უნდა, ემყარება ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევებს და ასახავს მისი განვითარების თანამედროვე დონეს. მაგრამ დღემდე გამოქვეყნებულ ისტორიულ ლიტერატურაში XIX ს-ის საქართველოს ისტორიის ყველა საკვანძო საკითხი როდია მთელი სიღრმე-სისრულით გაშუქებული. ავტორთა კოლექტივი ცდილობდა დამოუკიდებელი კვლევა-ძიებით შეევსო ისტორიული მეცნიერების მთელი რიგი ხარვეზები და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინა სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული წიგნი.

ტომის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ალ. ბენდიანიშვილმა და მიხ. გაფრინდაშვილმა.

თავი პირველი

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება XIX საუკუნის 30—50-იან წლებში

§ 1. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება სოფლის მეურნეობაში

სასაქონლო წარმოების განვითარება. გასული საუკუნის პირველი მესამედი, როგორც ცნობილია, აღინიშნა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივი ომებით და შინაგანი არეულობით, რომელთა სიმძიმე ძირითადად მწარმოებელ კლასს აწვა კისრად. ამას ერთვოდა მეფის მოხელეთა გაუკითხაობა, სურსათისა და სატრანსპორტო საშუალებათა განუწყვეტელი მოთხოვნა, სამხედრო ეგზეკუციების გამანადგურებელი საქმიანობა, ფეოდალური ექსპლოატაცია და სხვ. ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, აფერხებდა მის წინსვლა-განვითარებას.

ძვრები საქართველოს ეკონომიკაში, კერძოდ კი სოფლის მეურნეობაში, შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 40 — 50-იან წლებში. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შედარებით მყუდროება დამყარდა და ბოლო მოეღო გაუთავებელ თავდასხმებს, რომლებიც დიდი ხნით სწყვეტდა მშრომელ მოსახლეობას თავის პირდაპირ საქმიანობას.

მეტ-ნაკლებად ნორმალურ საგარეო და საშინაო პირობების შექმნას შედეგად მოჰყვა მოსახლეობის ზრდა. გაიზარდა, კერძოდ, მწარმოებელი კლასის — გლეხობის რიცხვი. სახაზინო ექსპედიციის მიერ 1811 წელს შედგენილი უწყისის თანახმად, თბილისის გუბერნიაში, რომელიც მაშინ მოიცავდა თბილისის, თელავის, სიღნაღის, გორისა და ანანურის მაზრებსა და ელიზავეტპოლის ოკრუგს ბორჩალოს, შამშადილისა და ყაზახის

დისტანციებით, ითვლებოდა ორივე სქესის სულ 153 077 სული გლეხი[1], ხოლო 1861 წლისთვის ეს რაოდენობა თითქმის 3,5-ჯერ გაიზარდა და 518 100 სულს გადააჭარბა[2]. მეტ-ნაკლებად იგივე ვითარება იყო დასავლეთ საქართველოშიც.

ყარეშე საშიშროების მოსპობამ და მშვიდობიანობის დამყარებამ საგრძნობლად გააძლიერა მშრომელი ხალხის სტიმული სამეურნეო საქმიანობისადმი. გადიდდა, კერძოდ, ნათესების ფართობი. თუ, მაგალითად, 1821 წელს საშემოდგომო (озимый) პურის ფართობი თბილისის გუბერნიაში 47 308 დესეტინას უდრიდა[3], 1861 წლისთვის 3-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა და 157 340 დესეტინას მიაღწია. იზრდებოდა აღებული მარცვლეულის რაოდენობაც. 1807—1850 წლებში ის თბილისის გუბერნიაში გაიზარდა 5-ჯერ, 398 254 ჩეთვერთიდან 2 054 000 ჩეთვერთამდე[4], ხოლო ქუთაისის გუბერნიაში პური შემდეგი რაოდენობით მოუყვანიათ: 1847 წელს — 865 436 ჩეთვერთი, 1849 წელს — 1 097 484 ჩეთ., 1852 წელს — 1 962 590 ჩეთ. და 1853 წელს — 2 157 239 ჩეთვერთი[5].

საერთო წარმატებაზე მეტყველებს ისეთი ფაქტიც, როგორიცაა პურის წარმოების გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით ზრდა. ვიდრე მოსახლეობისა. პირველი მათგანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოში გასული საუკუნის პირველ ნახევარში 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო მეორე — მხოლოდ ორჯერ.

ბაგრამ მთავარია არა რაოდენობრივი ხასიათის ცვლილებები, არამედ ის თვისებრივი ძვრები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობაში საერთოდ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა შეჭრა სოფლის ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მათი კავშირის გაძლიერება ბაზართან და სასაქონლო პროდუქციის წარმოების გაფართოება. საგრძნობლად გადიდდა, კერძოდ, საბაზრო პურის ხვედრითი წონა. მაგალითად, ის 1845 წელს უდრიდა: თბილისის მაზრაში — 25%-ს[6], თელავის მაზრაში — 26%-ს[7], ახალციხის მაზრაში — 21%-ს[8] და ქუთაისის მაზრაში — 20,1%-ს[9]. მთელ გუბერნიაში კი მოსახლეობას იმავე 1845 წელს

---

[1] ЦГВИА, Ф. ВУА, д. 18495. ეს ცნობები, ჩვენი აზრით, რამდენადმე შემცირებულად წარმოგვიდგენს გლეხთა რაოდენობას.

[2] სსცია, ფ. 678, ანაწ. I, საქ. 275, ფურც. 107—109.

[3] სსცია, ფ. 16, საქ. 2725, ფურც. 55.

[4] СХАО, I, გვ. 29, 34—35. ჩეთვერთი უდრის 9 ფუთს.

[5] იქვე, გვ. 30, 31, 37, 40.

[6] სსცია, ფ. 16, საქ. 8888, ფურც. 45.

[7] იქვე.

[8] იქვე, ფურც. 71.

[9] იქვე, საქ. 6244, ფურც. 89.

დამზადებული პურის 18% გაუყიდია[1]. რუსეთში კი XIX საუკუნის 50-იან წლებშიც სასაქონლო პურის ხვედრითი წონა 17%-ს არ აღემატებოდა[2].

მარცვლეული რაიონების გლეხები და მემამულეები საკმაოდ ფართოდ ეწეოდნენ პურით ვაჭრობას. „В Борчалинском участке, — ვკითხულობთ თბილისის მაზრის უფროსის 1842 წლის 26 სექტემბრის პატაკში, — жители, в особенности казенные крестьяне, имея во владение своем земли весьма удобные к хлебопашеству, обрабатывают все без остатка, и делая значительные посевы, как озимого, так и ярового хлеба, получают большое количество оного, так что, кроме потребности на продовольствие, продают в другие места ежегодно от 5 до 6 тысяч четвертей»[3].

პურით ვაჭრობის ზრდასთან ერთად და მის შედეგად მარცვლეულ კულტურათა ფართობებს ზრდიდნენ არა მარტო გლეხები, არამედ მემამულეებიც. დიდდებოდა ეგრეთ წოდებული საბატონო ნათესების მასშტაბი და მოცულობა. ამ ფაქტს ჯერ კიდევ ბარონ როზენმა მიაქცია ყურადღება. იგი თავის 1832 წლის 25 თებერვლის მიმართვაში იუსტიციის მინისტრისადმი არაორაზროვნად ლაპარაკობდა იმ ქართველ მემამულეთა შესახებ, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ ბაზართან დაკავშირებულნი, აწარმოებდნენ სასაქონლო პროდუქციას და ამ მიზნით აფართოებდნენ „მინდვრების დამუშავებასა და მეღვინეობას“[4]. უფრო გვიანი დროისთვის კი ჩვენ გაგვაჩნია კონკრეტული ციფრობრივი მასალა, რომელიც იმასვე ადასტურებს. ირკვევა, მაგალითად, რომ 1857 წელს 1850 წელთან შედარებით თბილისის გუბერნიის საბატონო მეურნეობაში საშემოდგომო პურის ნათესების ფართობი გადიდებულა 83,1%-ით, ხოლო საგაზაფხულო პურისა — 132,9%-ით[5].

სათანადოდ რომ შევაფასოთ ზემომოტანილი ფაქტების მნიშვნელობა, საჭიროა გავიხსენოთ ლენინის სიტყვები: „მემამულეთაგან პურის გასაყიდად წარმოება, რაც განსაკუთრებით განვითარდა ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ დროს, უკვე ძველი რეჟიმის დაშლის მაუწყებელი იყო“[6].

ქართული პური საზღვარგარეთაც გადიოდა, მაგრამ მისი ძირითადი მომხმარებელი მაინც ადგილობრივი მოსახლეობა იყო. ყველაზე მეტი რაოდენობით ამ პროდუქტს თბილისის მოსახლეობა ყიდულობდა. იგი

---

[1] სსცია, ფ. 16, საქ. 8888; შეადარე ფ. 4, ანაწ. 8, საქ. 43.

[2] В. К. Яцунский, Аграрное развитие России с 80-х годов XVIII века до 80-х годов XIX столетия (Рукопись доклада, прочитанного в г. Риме в мае 1966 г. на коллоквиуме советско-итальянских историков), გვ. 17.

[3] სსცია, ფ. 16, საქ. 6244, ფურც. 89.

[4] АКАК, VII, I, გვ. 32.

[5] СХАО, I, გვ. 34—35, 44.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 207—208.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ყოველწლიურად 400 ათასამდე ფუთ პურის ფქვილს ხმარობდა[1]. პურის შემსყიდველი და მომხმარებელი იყო აგრეთვე ჯარი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში იყო განლაგებული. მაგრამ პურის შესყიდვა საინტენდანტო უწყების მიერ არსებითად ბოჭავდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის თავისუფალ ვაჭრობას, ხელს უშლიდა მის გაშლა-გაფართოებას. საქმე იმაშია, რომ მარცვლეულის შეძენა სამხედრო ნაწილების მიერ, რომელსაც რამდენადმე იძულებითი ხასიათი ჰქონდა, ამცირებდა თავისუფალი ბაზრისთვის გამიზნულ პურის საერთო რაოდენობას[2].

შედარებით მეტი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა სიმინდს, რომლის ექსპორტი ცოტად თუ ბევრად საგრძნობი გახდა XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი გაიზარდა 60-იანი წლებიდან. მაშინ საქართველოდან საზღვარგარეთ ყოველწლიურად გადიოდა 1 მილიონ ფუთამდე სიმინდი[3].

სოფლის ვაჭრობის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი იყო მევენახეობა-მეღვინეობის როლი, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად და წამყვან დარგს წარმოადგენდა. ფულადსასაქონლო ურთიერთობათა განვითარების, ქალაქების მოსახლეობის ზრდისა და ბაზართან კავშირის გაფართოების შედეგად მევენახეობა-მეღვინეობა სულ უფრო და უფრო ღებულობდა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს და მისი პროდუქციის საგრძნობი ნაწილი ბაზარზე იყიდებოდა. თვით კამერ-იუნკერი პელჩინსკიც კი (1830 წ.), რომელსაც, საერთოდ, ბრალს ვერ დავდებთ საქართველოს ვაჭრობის გადაჭარბებით შეფასებაში, იძულებული იყო აღენიშნა, რომ თელავისა და სიღნაღის მაზრების მოსახლეობას დამზადებული ღვინის ერთი მეოთხედი ბაზარზე გაჰქონდა გასაყიდად[4]. მეორე თანამედროვის ცნობით კი, გასული საუკუნის 30-იან წლებში მარტო თელავის მაზრა ყოველწლიურად ყიდდა 1 300 000 ვედრო ღვინოს[5]. თუმცა ეს ციფრი, ჩვენი აზრით, ძლიერ გადაჭარბებულია, მაგრამ ის მაინც დამახასიათებელია და სავაჭრო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შედარებით მაღალ დონეზე ლაპარაკობს.

სასაქონლო ღვინოს, თუმცა ნაკლები რაოდენობით, დასავლეთ საქართველოც ამზადებდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში, მაგალითად, მარტო იმერეთის მოსახლეობას ყოველწლიურად საშუალოდ ბაზარზე გა-

---

[1] КК за 1846, отд. III, გვ. 53.

[2] А. В. Фадеев, Очерки экономического развития степного предкавказья в дореформенный период, Москва, 1957, გვ. 199—200.

[3] «Кавказ», 1862, № 99.

[4] АКАК, VII, 2, I, გვ. 189.

[5] «Обозрение российских владений за Кавказом», I, СПБ, 1836, გვ. 383.

ჰქონდა 50 000 ვედრო ღვინო. ამდენსავეს გამოჰყოფდნენ სარეალიზაციოდ სამეგრელოს რაიონებიც.

ქართული ღვინო საკმაო რაოდენობით საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა, მაგრამ მისი ძირითადი მომხმარებელი მაინც თბილისი იყო. არსებული ცნობების თანახმად, XIX საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში დედაქალაქის მოსახლეობა ყოველწლიურად ხმარობდა თურმე 500 ათას ვედრო ღვინოსა და 50 ათას ვედრო არაყს, რაშიც ხარჯავდა 1 მილიონ 250 ათას მანეთს (ვერცხლით)[1].

მნიშვნელოვანი ძვრები იგრძნობოდა მეაბრეშუმეობის დარგშიც, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აბრეშუმის პარკი, როგორც ცნობილია, ადრეც გადიოდა საზღვარგარეთ, მაგრამ მისი ექსპორტი განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან გაძლიერდა. მარტო რედუტ-კალედან 1850 წელს გაუტანიათ 2 775 ფუთი აბრეშუმის პარკი, 1851 წელს — 2 408 ფუთი, 1852 წელს — 9 034 ფუთი და 1853 წელს — 10 506 ფუთი[2].

როგორი იყო სასაქონლო აბრეშუმის ხვედრითი წონა ზუსტად თქმა ძნელია, მაგრამ საერთოდ ის საკმაოდ დიდი ჩანს. პროფ. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით, გასული საუკუნის 40-იან წლებში ამიერკავკასიაში მიღებული აბრეშუმის 60—70% შორეულ (უმთავრესად რუსეთის) ბაზრებზე იყიდებოდა თურმე[3]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნედლეული ადგილობრივ ბაზარზეც საღდებოდა, ბუნებრივია, ზემოთ დასახელებული პროცენტიც შესაფერისად უნდა გაიზარდოს.

როგორც ამიერკავკასიაში, საერთოდ, საქართველოშიც დიდი ჩანს სასაქონლო აბრეშუმის ხვედრითი წონა. ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად, ის 1856 წელს, ჩვენი მიახლოებითი გამოანგარიშებით, 40 — 45%-ს უდრიდა[4].

60-იანი წლების დამდეგს კახეთს საშუალოდ მოჰყავდა 1 200 ფუთი

---

[1] КК, за 1864 г., отд. III, გვ. 53—54; Ш. К. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, Тб., 1942, გვ. 217.

[2] სსცია, ფ. 4, ანაწ. 8, საქ. 450, ფურც. 227.

[3] П. В. Гугушвили, Щелководство в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1960, გვ. 32.

[4] ეს გაანგარიშება შემდეგ მონაცემებს ემყარება. 1856 წელს მხოლოდ პირველი ექვსი თვის განმავლობაში მარტო ქუთაისის გუბერნიიდან რედუტ-კალეს ნავსადგურით 5147,5 ფუთი აბრეშუმის ნართი და პარკი გაუტანიათ. მისი საერთო მოსავალი გუბერნიაში იმ დროს (უფრო ზუსტად 60-იანი წლების დამდეგს) 16 000 ფუთს უდრიდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დამზადებული აბრეშუმის 32,2% გასულა. თუ ამას მივუმატებთ ადგილზე გაყიდულს, რომლის ხვედრითი წონა 10 13%-ზე ნაკლები არაფრით არ უნდა ყოფილიყო, მაშინ სწორედ ის ზემოთ დასახელებული 40—45% გამოვა.

აბრეშუმის პარკი, დასავლეთ საქართველოს (იმერეთსა და სამეგრელოს) — 16 000 ფუთი[1], ხოლო ამიერკავკასიას მთლიანად—30 000 ფუთი.

40—50-იანი წლებიდან ჩვენში საგრძნობლად განვითარდა მეთამბაქოეობა და თანდათანობით სასაქონლო ხასიათი მიიღო. რუსეთის მთავრობა ცდილობდა ამ კულტურის ფართოდ დანერგვას, რათა ნედლეულით უზრუნველეყო მეტროპოლიის თამბაქოს მრეწველობა. რუსეთის ხელისუფლების ნებართვითა და სურვილით საქართველოში დაარსებული სხვადასხვა საზოგადოება, ზრუნავდა რა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, უცხოეთიდან იწერდა თამბაქოს საუკეთესო ჯიშის თესლს, ურიგებდა ქართველ მემამულეებსა და გლეხებს და ამით ხელს უწყობდა ამ დარგის უკეთ დაყენების საქმეს.

1859 წელს თბილისის გუბერნიაში მოყვანილ იქნა 11 772 ფუთი თამბაქო, ხოლო გაყიდული — 7 944 ფუთი[2], ან საერთო რაოდენობის 67,5%. იმავე დროისათვის დასახელებულ გუბერნიაში მეთამბაქოეობას თურმე 1 600 კაცი ეტანებოდა, იმერეთსა და გურიაში კი — 1 000 კაცი. უკანასკნელ რაიონებში მეთამბაქოეობას უპირატესად სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა. სამრეწველო მიზნით თამბაქო მოჰყავდათ იმერელი მემამულის ჩიჯავაძის მეურნეობასა და სოფელ ხონში. „სოფელ ხონის მოსახლეობა თითქმის მთლიანად საბაზრო თამბაქოს წარმოებითაა დაკავებული“[3], წერდა 1858 წელს ქუთაისის გუბერნატორი. თამბაქოს რეალიზაციის მიზნით ხონში საფუძველი ჩაეყარა სპეციალურ „თამბაქოს იარმარკას“.

ფართოდ იყო გავრცელებული ეს დარგი სამეგრელოშიც; მთავარ დავით დადიანის ცნობით, სამეგრელო ადგილობრივ (თბილისი) თუ შორეულ (მოსკოვი) ბაზარზე ყიდდა ყოველწლიურად 15-დან 20 ათასამდე ფუთ თამბაქოს[4].

რეფორმამდელი ხანის საქართველოში მოსახლეობა მებამბეობასაც ეტანებოდა. ბამბა მოჰყავდათ ქუთაისის, შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში. მოსავლის ერთი ნაწილი თვით მწარმოებელი ოჯახის მოთხოვნილებას ხმარდებოდა, ხოლო მეორე ბაზარზე გადიოდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში, მაგალითად, იმერეთი ყოველწლიურად საშუალოდ 5 ათასამდე ფუთ ბამბას ამზადებდა, რომლიდანაც 1 000 ფუთი მარტო სოფ. ხონზე მოდიოდა[5]. 60-იან წლებში მისი წარმოება საგრძნობლად გაიზარდა. დ. გოგოლაძის გამოანგარიშებით, 1864 წელს იმერეთში 15 ათასამდე

---

[1] სსცია, ფ. 10, საქ. 470, ფურც. 7.

[2] იქვე, ფ. 225, საქ. 1479, ფურც. 66—69.

[3] იქვე, ფ. 1268, ანაწ. 9, საქ. 101.

[4] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 103.

[5] Статистическое описание губернии и областей Российской империи, т. XVIII, ч. V, გვ. 96.

ფუთი ბამბა მიუღიათ; აქედან 10 ათასი ფუთი ან მთელი მოსავლის 75% გაუყიდიათ[1].

ფულად-სასაქონლო ურთიერთობა საგრძნობი მასშტაბით შეიჭრა მეცხოველეობაში. ფართო ხასიათი მიიღო ვაჭრობამ რძით, ყველით, ხორცით, მატყლით, ტყავით და სხვა პროდუქტებით. წლიდან წლამდე იზრდებოდა სავაჭრო ბრუნვა. არსებული ცნობების თანახმად[2], 1847 წელს ქუთაისის გუბერნიაში 15 000 სული საქონელი გაყიდულა, 1849 წელს — 17 000 სული, 1850 წელს — 19 000 სული, 1851 წელს — 20 000 სული, 1852 წელს — 23 000 სული, 1853 წელს — 26 000 სული და 1854 წელს — 32 000 სული, ე. ი. სულ რაღაც 7 წლის (1847—1854 წწ.) განმავლობაში შინაური საქონლით ვაჭრობა ორჯერ და მეტჯერ გადიდებულა.

ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად სავაჭრო ხასიათი მიეცა სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებსაც, როგორიცაა მებაღეობა-მეხილეობა და მებოსტნეობა. «Огороды и плодовые сады, — ნათქვამია თბილისის გუბერნატორის 1857 წლის ანგარიშში, — имеются во всех почти частях губернии, исключая трех горских округов... Первое содержится преимущественно у крестьян казенных, немецких колонистов и русских поселян... Овощи и плоды идут не на одну домашнуюю потребность, ими снабжаются постоянно городские рынки и от продажи их хозяева огородов и садов получают хороший доход. Особенно огородничество и садоводство составляют лучший и распространенный промысел у жителей ближайших к Тифлису мест по огромному требованию тифлисцев на ягоды и овощи»[3].

უფრო ადრე, სახელდობრ 1843 წელს, სავაჭრო მებაღეობა-მეხილეობის განვითარების შესახებ გორის მაზრაში, დოკუმენტში ნათქვამია: „ხილი, თავის მაზრის გარდა (მოსახლეობას), დიდი რაოდენობით გააქვს თბილისის ბაზარზე“.

ზემოთქმულის შემდეგ არ შეიძლება არ დავუჯეროთ ბარონ როზენს, რომელიც 1837 წელს ხაზგასმით ლაპარაკობდა საქართველოში საშინაო ვაჭრობის საგრძნობლად განვითარების შესახებ[4].

ყველა ზემომოტანილი კონკრეტული მასალა მკაფიოდ ადასტურებს საკმაოდ განვითარებული შინაგანი ბაზრის, სასაქონლო წარმოების და

---

[1] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959, გვ. 30.

[2] СХАО, I, გვ. 114, 115, 116, 117, 118.

[3] იქვე, გვ. 44.

[4] АКАК, VIII, ч. I, გვ. 183.

ფულადი ურთიერთობის, ე. ი. კაპიტალიზმის ერთ-ერთი აუცილებელი პირობის არსებობის ფაქტს. „ბატონყმურ საზოგადოებაში, — ამბობდა ლენინი თავის ლექციაში სახელმწიფოს შესახებ, — ვაჭრობის განვითარებასა, მსოფლიო ბაზრის წარმოშობასა და ფულის ტრიალის განვითარებასთან ერთად ჩნდებოდა ახალი კლასი — კაპიტალისტების კლასი"[1].

ავითარებდა რა ამ აზრს, ლენინი აღნიშნავდა: „ვაჭრობის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ გამოიწვია ახალი კლასის — კაპიტალისტების გამოყოფა"[2]. და კიდევ: „ეს პოლარული მიმდინარეობანი (ლაპარაკია სოფლის ბურჟუაზიასა და სოფლის პროლეტარიატის შექმნაზე — ავტ.) იბადებიან და ძლიერდებიან იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ვითარდება და მტკიცდება სასაქონლო მეურნეობა"[3].

მემამულური მეურნეობის ევოლუციის ხასიათი (ბურჟუაზიული მეთაოსნობის წარმოშობა). ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებამ ქართველი თავადაზნაურობა, ყოველ შემთხვევაში მისი ერთი ნაწილი, აიძულა, ეფიქრა მეურნეობის გარდაქმნა-გადახალისებაზე დროის მოთხოვნილების შესაბამისად. ამას კი, ე. ი. მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიულ ევოლუციას, ხელს უშლიდნენ იმდროინდელ საქართველოში გაბატონებული ფეოდალური საკუთრების ფორმა (საგვარეულო მფლობელობა) და ამ თავად-აზნაურთა მიწების გაუმიჯვნელობა. მაგრამ. მიუხედავად ამისა ფეოდალური კლასის გარკვეულმა ნაწილმა მაინც მოახერხა თავისი მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე გარდაქმნა. მისი მთავარი მიზანი ამიერიდან იყო საბაზრო პროდუქციის, გაცვლითი ღირებულების წარმოება. მემამულე-რაციონალიზატორები იყვნენ: სოლომონ გურგენიძე, დიმიტრი აფხაზი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ ანდრონიკაშვილი, თორნიკე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ ანდრონიკაშვილი, სიმონ შალიკაშვილი, ივანე სულხანიშვილი, ივანე მუხრან-ბატონი, ბებურიშვილი, მიხეილ ნაკაშიძე, ნიკო ჩიჯავაძე, კონსტანტინე ერისთავი, მიხეილ ერისთავი და სხვ.

არ ვჩერდებით რა დაწვრილებით მათი სამეურნეო საქმიანობის დახასიათებაზე[4], აღვნიშნავთ, რომ ისინი აწარმოებდნენ დიდ საბაზრო პრო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 560.
[2] იქვე, გვ. 568.
[3] იქვე, ტ. I, გვ. 216.
[4] დაწვრილებით ამ მეურნეობათა შესახებ იხ.: И. Г. А н т е л а в а, К вопросу о характере экономического развития Грузии в предреформенный период. Труды АИЯЛИ, т. XXVII, Сухуми, 1956; დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959; ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება XIX ს. რეფორმამდელი საქართველოს საბატონო მეურნეობაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვეთი I.

დუქციას და იძულებითი შრომის გვერდით იყენებდნენ თავისუფალ დაქირავებულ შრომასაც.

მათთვის, ისე როგორც ფერმერული მეურნეობებისათვის, უცხო არ იყო განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენება. ი. ხატისოვი, ეხება რა ანანოვის მეურნეობას, სადაც იგი აგრონომის თანამდებობაზე მუშაობდა, წერდა, რომ მის დამქირავებელს გამოყენებული ჰქონდა გეგენგეიმის გუთანი, რომელიც მიწას „ორიდან ხუთ ვერშოკის სიღრმით ხნავდა“ და, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა „ერთ ან ორ წყვილ... ხარს“[1]. მას არ ჩამორჩებოდა ქართველი მემამულე ივანე მუხრან-ბატონი. მან, დარწმუნებულმა იმაში, რომ მეურნეობის გაძღოლის ძველებური წესი არ იძლევა სათანადო მოგებას, თანამედროვის სიტყვით, ხელი მიჰყო „ფერმის ევროპულ ყაიდაზე მოწყობას“. მუხრანსკიმ დაიქირავა ფრანგი სწავლული აგრონომი და შეიძინა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მის ვრცელ ველებს ამუშავებდა შუმანის მარკის ამერიკული გუთანი, რომლის წინასწარმა გამოცდამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. „ერთი სიტყვით, — წერს თანამედროვე, — (მუხრანსკიმ) დააწესა ყოველივე, რაც არის საჭირო კარგად გამართულისა ევროპულისა ფერმისათვის“[2]. სხვადასხვაგვარ რაციონალურ ღონისძიებათა გატარებით მან საგრძნობლად გაადიდა მეურნეობის შემოსავალი. ალ. ორბელიანის მოწმობით, ივ. მუხრან-ბატონმა, რომლის საშუალო წლიური შემოსავალი გასული საუკუნის 40-იან წლებში 400 მანეთს არ აღემატებოდა, 60-იანი წლებისათვის რამდენჯერმე გაადიდა და 30 000 მანეთამდე აიყვანა[3].

განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენების თვალსაზრისით ივ. მუხრან-ბატონი ქართველ ფეოდალებში გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ზოგმა მათგანმა, თანამედროვის სიტყვით, „ათობით სათიბი მანქანა“[4] გამოიწერა. იმავე თანამედროვის მოწმობით, 1862 წლის გაზაფხულზე თბილისის მახლობლად მოუწყვიათ ინგლისიდან მიღებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოცდა[5]. ამასთან, ახალი ტექნიკის შეძენის მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდი ყოფილა. „თავის დღეში არა ყოფილა ამთენი მსურველი ახალი მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამთენი მთხოვნელი სხვადასხვა თესვის ნაწილებზედ დარიგებისა, არც მომხმარები მამულზედ ამთენი ფულისა. ბოლო დროს თბილისში და გარეშე აშენდა რამთენიოდე ქარხნები, რომელნიც

---

[1] ЗКОСХ, № 2, 1863; СХАО, I, გვ. 480.
[2] СХАО, I, გვ. 471.
[3] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, გვ. 261.
[4] ЗКОСХ, 1863, № 2, СХАО, I, 70.
[5] СХАО, I, გვ. 65.



გუთანი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

არ შეარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდნენ მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიან წესზედ“ — წერდა გაზეთი „გუთნის დედა“ 1863 წლის დასაწყისში[1].

მიუხედავად იმისა, რომ უახლესი ტექნიკის გამოყენებას რეფორმამდელი ხანის მემამულეთა მეურნეობებში მასობრივი ხასიათი არ ჰქონდა, მაინც არ შეიძლება სათანადოდ არ შევაფასოთ ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც ამ მიმართულებით იქნა გადადგმული. „როცა მემამულე იძენს მანქანას ან გაუმჯობესებულ იარაღს, — წერს ვ. ი. ლენინი, — ის სცვლის გლეხის ინვენტარს (რომელიც მისთვის მუშაობდა) თავისი ინვენტარით; ის, მაშასადამე, გადადის მეურნეობის შრომამიგებითი სისტემიდან კაპიტალისტურზე. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავრცელება მოასწავებს შრომამიგების გამოდევნას კაპიტალიზმის მიერ“[2].

ძალიან ძნელია მეთაოსნე მემამულეთა საერთო რიცხვის დადგენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში. მიახლოებითი გამოთვლით კი მათი რაოდენობა თბილისის გუბერნიაში გასული საუკუნის 50-იან წლებში 35-ს ან თავად-აზნაურთა ოჯახების საერთო რიცხვის[3] 2,3%-ს უდრიდა. რუსეთში კი ასეთების ხვედრითი წონა დაახლოებით 3% იყო[4].

---

[1] „გუთნის დედა“, 1863, № 1.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 255.

[3] რეფორმის წინ თბილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა 1751 ოჯახი ითვლებოდა.

[4] История СССР с древнейших времен до наших дней, т. IV, М., 1967, გვ. 238.

გლეხთა მესარეწეობა და გარე სამუშაოზე გასვლა. გლეხის მეურნეობის ევოლუციაზე დიდი გავლენა ჰქონდა სოფლის მშრომელ მოსახლეობაში მესარეწეობის განვითარებისა და გარე საშოვარზე გასვლის პრაქტიკის საგრძნობლად გავრცელებას. საბჭოთა ისტორიკოსებმა ნათელჰყვეს[1], რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა უფრო სწრაფად სწორედ ქვეყნის იმ ნაწილში ვითარდებოდა, რომლის მშრომელი მოსახლეობა უპირატესად მესარეწეობას ეტანებოდა.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები მკაფიოდ ადასტურებენ მესარეწეობისა და გარე საშოვარზე გასვლის ფართოდ გავრცელების ფაქტს საქართველოს უმიწო და მცირემიწიან გლეხებში. 1813 წელს შედგენილ ერთ აღწერილობა-უწყისში ლილოს, კუკიისა და ხატისთელეთის 121 კომლ (362 მამრობითი სქესის) სახელმწიფო გლეხთა შესახებ ნათქვამია, რომ «нанимаются Тифлисским жителям для доставления в Тифлис из Сальян рыбы и из Карса соли»[2]. ხელთუბნის, გორისჯვრის, კარალეთისა და სამთავისის სახაზინო გლეხთა საქმიანობა კი იმავე საბუთში შემდეგი სიტყვებითაა დახასიათებული, — «снискивают пропитание заработками». ზუსტად იგივეა ნათქვამი კავთისხევის, ახალქალაქის, სამწევრისის, ქემერეთისა და ქეხვის გლეხთა შესახებ. იმავე წყაროს მოწმობით, თელავის სახელმწიფო გლეხები, რომელთა რაოდენობა 100 კომლს უდრიდა, მიწის უქონლობის გამო ეწეოდნენ „ვაჭრობას, სხვადასხვა სახის ხელოსნობას და ამით ირჩენდნენ თავს“. ნაქალაქევის, ტურისციხის, ენისელის, შილდისა და სანავარდოს მცხოვრებნი (191 კომლი), გარდა ხვნათესვისა, დოკუმენტის გადმოცემით „ამზადებდნენ აბრეშუმს და მისი ნამატის გაყიდვით ცხოვრობდნენ“.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო იშლებოდა და ფართოვდებოდა გლეხების სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა. 1821 წლის კამერალური აღწერის თანახმად, მაგალითად, სოფ. საგარეჯოს 118 კომლ სახელმწიფო გლეხიდან 36, ან საერთო რაოდენობის 30%, უმიწობა-მცირემიწიანობის გამო ვაჭრობა-მესარეწეობასა და გარე სამუშაოზე გასვლას ეტანებოდა[3]. სოფ. შილდაში კი ასეთების ხვედრითი წონა 46,3%-ს უდრიდა, ხოლო სოფ. ყვარელში — 78,3%-ს[4].

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები სოფ. ცხინვალისა და სურამის შესახებ. პირველ მათგანში 1842 წლის კამერალური აღწერით 120 კომ-

---

[1] Н. Д. Ковальченко, О характере и формах расслоения помещичьих крестьян России в первой половине XIX века. ИЗ, т. 78, 1965.

[2] ЦГВИАМ, Ф. ВУА, д. 18480.

[3] იქვე.

[4] ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მსკი, ნაკ. 33, გვ. 219—221. პროცენტები გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ სპეციალურად მრავალტომეულის ამ თავისათვის (ავტ.).

ლი სახელმწიფო გლეხი ირიცხებოდა, რომელთაგან მიწათმოქმედებას 50 კომლი ან 41,6%[1] ეწეოდა. დანარჩენი 70 კომლი ან კომლთა საერთო რიცხვის 58,4% ვაჭრობა-მესარეწეობით იყო დასაქმებული[1], სურამში მცხოვრები 103 კომლი გლეხიდან კი 70 კომლი ან 68%[1] მხოლოდ ვაჭრობა-მესარეწეობით არჩენდა ოჯახს[2].

მასალები რიგ შემთხვევაში მარტო მესარეწე გლეხებით დასახლებულ სოფლებსაც ასახელებენ. ასეთი იყო, მაგალითად, სოფელი ახალგორი. მასში 1831 წელს ირიცხებოდა სულ 98 კომლი საბატონო გლეხი, რომელთაგან 96, ან საერთო რაოდენობის 97,9%, თავის ერთადერთ საქმიანობად ვაჭრობას, მესარეწეობასა და დღიურ ქირაზე გასვლას თვლიდა[3]. იმავე ახალგორში ცხოვრობდა 10 სახაზინო გლეხი და ათივე არასამიწათმოქმედო შრომით ირჩენდა თავს[4].

სოფლის მშრომელი მოსახლეობის დიფერენციაციის გაღრმავებას დიდად უწყობდა ხელს საშოვარზე გასვლა. მრავალგვარი ვალდებულებებით გადატვირთული უმიწო და მცირემიწიანი გლეხები ქალაქებში მიდიოდნენ იმ მიზნით, რათა მძიმე შრომით ეშოვათ ფული მემამულისა და ხაზინის გასასტუმრებლად, ოჯახის წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა (კავკასიის ადმინისტრაცია) ხელს უშლიდა ამ საქმეს, იგი მაინც წინ წავიდა და გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან საკმაოდ მასიური ხასიათი მიიღო. გარე სამუშაოზე გასვლა განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში გავრცელდა, სადაც მწარმოებელი კლასი მეტად ცუდად იყო მიწით მომარაგებული. იქ, ხელისუფლებას, არსებული ცნობების თანახმად, მარტო 1862 — 1863 წლებში 6 000 ათასამდე ბილეთი გაუცია გარე სამუშაოზე გასასვლელად[5].

თუ რაოდენ დიდი იყო გარე სამუშაოზე გასვლისა და გლეხთა მესარეწეობის როლი კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარების საქმეში, ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა ლენინი. იგი წერს: „გლეხების უმრავლესობას კი სრულებით არ შეუძლია მეურნეობის გაფართოებით დაიკმაყოფილოს ფულის საჭიროება, რადგან არავითარი მარაგი არ მოეპოვება და არც წარმოების საშუალებები აქვს საკმაოდ. ასეთი გლეხი ფულის საშოვნელად, „საშოვრებზე" მიდის, ე. ი. ბაზარზე გააქვს უკვე არა თავისი პროდუქტი, არამედ თავისი სამუშაო ძალა, საშოვრებზე წასვლა, ბუნებრივია, იწვევს სამიწათმოქმედო მეურნეობის შემდგომ დაცემას, და ეს გლეხი იმით ამთავრებს,

---

[1] სსცია, ფ. 254, საქ. 10031.
[2] იქვე.
[3] იქვე, ანაწ. I, საქ. 975.
[4] იქვე.
[5] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 10, д. 137, л. 118.

რომ თავის მიწის ნაკვეთს იჯარით აძლევს თავისივე თემის მდიდარ წევრს, რომელიც აფართოებს თავის მეურნეობას და, გასაგებია, თვითონ კი არ მოიხმარს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთიდან მიღებულ პროდუქტს, არამედ ბაზარზე გზავნის მას. ხდება „ხალხის გაღარიბება“, კაპიტალიზმის ზრდა და ბაზრის გადიდება“[1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია. სასაქონლო წარმოების განვითარებამ და შინაგანი ბაზრის ზრდამ განაპირობეს სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია. „პირველად სპორადიულად, ხოლო შემდეგ კი — მეტ-ნაკლებად ეროვნული მასშტაბით მიმდინარე გადაქცევა პროდუქტებით გამოხატული რენტისა ფულად რენტად გულისხმობს ვაჭრობის, საქალაქო მრეწველობის, საერთოდ საქონელწარმოების და ამასთან ერთად ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვითარებას“[2] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ბეზაკის რეფორმის გატარებამდე (ე. ი. 1843—1845 წწ.), ფულადი გადასახადების ხვედრითი წონა საქართველო-იმერეთის გუბერნიის სახელმწიფო გადასახადების საერთო მასაში 45,4%-ს უდრიდა, ხოლო ნატურალურის — 54,6%-ს[3]. 1843—1845 წლებში გატარებული საფინანსო რეფორმით კი მომავალში ყველა კატეგორიის გლეხს (სახაზინო, საბატონო და საეკლესიო) სახელმწიფოსთან ანგარიში მხოლოდ ბრჭყვიალა მონეტით უნდა გაესწორებინა.

ფულადი საგადასახადო სისტემის შემოღება, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სასაქონლო წარმოებისა და შინაგანი ბაზრის განვითარების პირდაპირი შედეგი იყო, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ პროგრესს, ახალ (ბურჟუაზიულ) ურთიერთობათა განვითარებას. თუმცა ფულადი გადასახადების დაწესების შემდეგაც, — როგორც წერს მარქსი, — „უშუალო მწარმოებელი კვლავ თვითონვე აწარმოებს თავის საარსებო საშუალებათა უდიდეს ნაწილს მაინც, მაგრამ მისი პროდუქტის ერთი ნაწილი ახლა საქონლად უნდა გადაიქცეს, საქონლის სახით უნდა იწარმოებოდეს. მაშასადამე, მთელი წარმოების წესისხასიათი მეტ-ნაკლებად იცვლება. იგი კარგავს თავის დამოუკიდებლობას, თავის მოწყვეტას საზოგადოებრივი კავშირისაგან“[4] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 132—133.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 419.
[3] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1955, გვ. 358.
[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 418.

გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია. სასაქონლო ურთიერთობის განვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციისათვის.

„...ეს პოლარული მიმდინარეობანი იბადებიან და ძლიერდებიან იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ვითარდება და მტკიცდება სასაქონლო მეურნეობა“[1].

XIX ს-ის I მესამედის მასალებიდან (ნაწილობრივ უფრო ადრეული პერიოდის საბუთებიდანაც) უკვე აშკარად ჩანს გლეხთა კლასობრივი დაშლის პროცესი. მეფისნაცვალ ვორონცოვის 1849—1851 წლების ანგარიშში ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ნათქვამია: „გვხვდებიან ისეთი გლეხებიც, რომელთა შესახებ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთ მფლობელებზე უფრო მდიდრები არიან. იხდიან რა გადასახადების სახით ღვინის მოსავლის $^1/_{10}$-ს, და სვამენ რა თითქმის ნახევარს თავიანთი ვენახების მომვლელ დაქირავებულ მუშებთან ერთად, მათ შეუძლიათ ბაზარზე იმდენი ღვინის გატანა და მისი გაყიდვით ისეთი მნიშვნელოვანი თანხის მიღება, რომ... ხშირად ბატონსაც კი ასესხებენ ფულს“[2]. როგორც ჩანს, საქართველოში გლეხები მნიშვნელოვანი რაოდენობით აწარმოებდნენ ღვინოს საბაზროდ, რაც, თავის მხრივ, დაქირავებული შრომის გამოყენებას მოითხოვდა. ბარონი ჰაქსტჰაუზენი სახელმწიფო გლეხების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ აღნიშნავდა (1843 წ.), რომ ისინი ხშირად ათას მანეთამდე ფულს აგროვებენ და ამ ფულს მიწების შესაძენად იყენებენო[3]. იმავე ჰაქსტჰაუზენის მოწმობით, თბილისის მაზრის სახელმწიფო გლეხები თავისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით 4 ჯგუფად იყოფოდნენ. აქედან პირველ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ ოჯახები, რომელთა განკარგულებაში 70 და მეტი დესეტინა მიწა იყო[4].

უმცირესობის ხელში მიწების თავმოყრის პროცესზე მიუთითებს აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული საგანგებო ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო სახაზინო ქონების დაცვა სხვადასხვა პირთა მიერ ხელყოფისაგან. „გაყიდვის და დაგირავების გარდა, — ნათქვამია 30—40-იანი წლების ერთ-ერთ საბუთში, — შეინიშნება შემდეგი პროცესიც: ვალში ჩავარდნილი გლეხები, რომელთაც არა აქვთ საშუალება ნაღდი ფულით გაუსწორდნენ კრედიტორებს, ვალის ანგარიშში მიწის ნაწილს უთმობენ მას... ზოგიერთ სახელმწიფო გლეხს თავის მფლობელობაში აქვს როგორც ნასყიდი, ისე ვალში დარჩენილი მიწები, ვენახები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი არა იმ სოფელში, სადაც თვითონ ცხოვრობენ, არამედ გამყიდველის ან მევალის სოფელში“[5].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 216.
[2] АКАК, X, ч. II, გვ. 879.
[3] СХАО, I, გვ. 11.
[4] იქვე, გვ. 2.
[5] И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии..., т. 1, გვ. 173.

შეძლებული და ღარიბი გლეხების მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა 1844 წლის 25 აგვისტოს გამოეცა სპეციალური კანონი „სახელმწიფო გლეხების მიერ კერძო პირთათვის სახაზინო მიწების საკუთრებად გადაცემის საწინააღმდეგო ზომების შესახებ“[1]. ამ კანონის საფუძველზე 1845 წლის 27 თებერვალს საქართველო-იმერეთის სახელმწიფო ქონებათა პალატამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მმართველობისათვის ეთხოვნა „გაეცა განკარგულება... რომ ამიერიდან სახელმწიფო გლეხებს პალატის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე არ შეეძინათ არავითარი უძრავი ქონება“; წინააღმდეგ შემთხვევაში პალატას უფლება ჰქონდა ჩამოერთმია იგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე[2].

1821 და 1842 წლების კამერალური აღწერების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ დროისათვის საქართველოს სოფელში უკვე საკმაოდ ძლიერი კულაკური ბირთვი იყო ჩამოყალიბებული. კერძოდ, 1821 წელს თელავის მაზრაში აღწერილი 2 000 კომლი სახელმწიფო გლეხი სახნავ-სათესი მიწების სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდებოდა[3]:

არ ჰქონდა						

თუ 50 და მეტი დღიური სახნავ-სათესი მიწის მქონე გლეხებს კულაკების ჯგუფს მივაკუთვნებთ, 25-დან — 50 დღიურამდე — შეძლებულთა ჯგუფს, 10-დან — 25 დღიურამდე — საშუალოს, 1-დან 10 დღიურამდე მიწის პატრონებს და სავსებით უმიწო გლეხებს — ღარიბებისა და უღარიბესების ჯგუფს, მაშინ თითოეული ჯგუფის ხვედრითი წონა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

	1821 წლის კამერალური აღწერით	1842 წლის კამერალური აღწერით
ღარიბებისა და ძალიან ღარიბების ჯგუფი	— 80,1%	71,9%
საშუალო	— 13,6%	20,3%
შეძლებულებისა და კულაკების	— 6,3%	2,8%

ცხრილი 1

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის განაწილება თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხებს შორის 1842 წ.*

სოფლების დასახელება	ოჯახების რაოდენობა	საქონლის საერთო რაოდენობა	სავსებით არ ჰყავდათ საქონელი		ჰყავდათ საქონელი 1-დან 10 სულამდე		ჰყავდათ საქონელი 10 სული და მეტი		10 და მეტი სული საქონლის პატრონ გლეხებს სულ ჰყავდათ	
			ოჯახების რაოდენობა	%	ოჯახების რაოდენობა	%	ოჯახების რაოდენობა	%	საქონლის რაოდენობა	% მეფეან საერთო რაოდენობასთან
ენისელი	129	379	69	53,5	48	37,2	12	9,3	148	39,1
სანავარდო	64	205	31	43,3	23	36,6	10	15,1	117	57,0
ჭიკაანი	61	493	18	29,5	18	49,5	25	41,0	399	80,5
ტურის ციხე	69	291	37	53,6	22	40,9	16	5,5	207	70,1
შილდა	19	71	6	31,7	9	47,3	4	21,0	48	67,6
შაქრიანი	116	496	43	34,8	49	44,5	24	20,7	298	76,0
ფშაველი	115	411	53	46,0	43	41,9	14	12,1	185	45,0
ქისტაური	57	396	22	38,6	17	29,9	18	31,5	296	74,8
გავაზი	161	1072	36	22,4	66	41,0	59	36,66	812	75,7
ზემო ხოდაშენი	75	307	34	45,3	30	40,0	11	14,7	151	49,2
კუპატანი	85	394	31	36,7	41	46,9	13	16,4	216	54,9
მალაური	53	283	21	39,1	20	38,2	12	22,6	183	64,7
ურიათუბანი	91	565	34	37,5	36	39,5	21	23,0	383	67,6
ველისციხე	291	771	168	57,8	104	35,7	19	6,5	275	36,8
ს უ ლ	1515	6852	645	43,3	598	38,8	272	17,9	4144	60,0

* ცხრილი შედგენილია 1842 წლის თელავის მაზრის კამერალურ აღწერათა მასალების საფუძველზე. სსცია, ფონდი 254, ანაწ. 1, საქ. 19024, 19025, 19055.

თუ 75 კომლი გლეხიდან, რომელთა ვენახების ფართობი არ არის ცნობილი, 10 კომლს მაინც შეძლებულებისა და კულაკების ჯგუფს მივაკუთვნებთ, მაშინ ამ უკანასკნელი ჯგუფის ხვედრითი წონა 1842 წლის კამერალური აღწერის მიხედვით 3,5%-ს მიაღწევს.

შეძლებული გლეხები ფლობდნენ არა მარტო სახნავ-სათესი მიწების უდიდეს ნაწილს, არამედ მსხვილფეხა რქოსანი საქონელიც უმთავრესად მათ ხელში იყო თავმოყრილი. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ზემოთ მოტანილი ცხრილი (იხ. ცხრ. 1).

თუ 10 და მეტი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის პატრონ გლეხებს შეძლებულთა და კულაკების ჯგუფს მივაკუთვნებთ, მაშინ გამოვა, რომ 1842 წლისათვის გლეხობის ამ ზედაფენამ, რომლის ხვედრითი წონა 17,9%-ს უდრიდა, მოახერხა ხელში ჩაეგდო მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საერთო რაოდენობის 60%. მათ გვერდით იგივე თელავის მაზრაში არსებობდნენ ისეთი სახელმწიფო გლეხები, რომელთაც სავსებით არ ჰყავდათ საქონელი. ასეთების ხვედრითი წონა 43,3%-ს შეადგენდა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ცნობები ცალკეული სოფლების შესახებ, მაგალითად, ენისელის 12 კომლ სახაზინო გლეხს, ანუ საერთოდ ამ სოფელში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა 9,3%-ს, თავის საკუთრებაში ჰყავდა მთელი სოფლის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 40,0%, 16 კომლ ტურისციხელ გლეხს ანუ 5,5%-ს ჰყავდა საქონლის 70,1%; სოფელ ფშაველში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხების 12%-ის განკარგულებაში კი მთელი სოფლის საქონლის 45% იყო. ამავე დროს, როგორც ჩვენ მიერ ჩამოთვლილ, ისე სხვა სოფლების მშრომელი მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ასეთების ხვედრითი წონა სოფელ ენისელში შეადგენდა 53,5%-ს, ტურისციხეში — 53,6%-ს, ფშაველში — 46,0%-ს, ხოდაშენში — 45,3%, ველისციხეში — 57,7%-ს.

გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი კიდევ უფრო ღრმად იყო წასული სიღნაღის მაზრაში, სადაც მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა. სათანადო ცნობები ამ პროცესის შესახებ მოტანილია მე-2 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მდიდარი სახელმწიფო გლეხების ხელში, რომლებიც სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 17,2%-ს შეადგენდნენ, კონცენტრირებული იყო მთელი მაზრის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 71%. ამავე დროს იმავე სიღნაღის მაზრაში არსებობდა სახელმწიფო გლეხების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა, რომელთაც სავსებით არ ჰყავდათ პირუტყვი; ასეთი გლეხების ხვედრითი წონა 49,4%-ს უდრიდა.

ცალკეული სოფლების განხილვისას ჩვენ წინაშე მეტად საინტერესო სურათი იშლება. სოფ. ანაგის 37 კომლ სახელმწიფო გლეხს, ანუ მათი საერთო რაოდენობის 9,5%-ს, ჰყავდა მთელი მსხვილფეხა რქოსანი საქონ-

ცხრილი 2

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის განაწილება სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხებს შორის 1842 წ.*

სოფლების დასახელება	კომლთა რიცხვი	მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საერთო რაოდ.	საერთოდ არ ჰყავდათ საქონელი		ჰყავდათ საქონელი 1-დან 10-დე		ჰყავდათ საქონელი 10 და მეტი სული		10 და მეტი საქონლის პატრონ გლეხებს ჰყავდათ სულ	
			კომლების რაოდენობა	%	კომლების რაოდენობა	%	კომლების რაოდენობა	%	პირუტყვის რაოდენობა	საერთო რაოდენობა
ანაგა	389	1054	257	66,0	95	24,1	37	9,5	654	62,2
ვაქირი	469	1895	263	54,5	149	31,6	57	12,1	1289	68,0
პატარა საქობო	174	806	78	45,7	68	39,0	28	16,0	438	54,3
დიდი საქობო	232	871	114	49,9	90	36,2	28	12,0	675	80,0
ჯუგაანი	221	1077	104	57,0	79	35,7	38	17,1	685	63,6
ფანიანი	84	451	47	55,9	22	26,2	15	17,8	847	76,2
ქვემო მაჩხაანი	203	1210	101	50,0	63	31,0	39	19,2	932	77,0
ტიბაანი	101	553	47	46,5	35	34,6	19	18,8	382	67,4
პრასიანი	35	125	22	62,9	8	22,9	5	14,2	60	48,0
ოზაანი	53	253	21	40,0	19	36,0	13	24,3	170	67,2
ცლუნკაანი	52	247	22	42,0	19	36,4	11	21,1	166	68,0
მირზაანი	240	1753	89	37,5	105	43,8	46	19,1	1329	75,9
კოტაანი	37	192	16	43,2	11	29,7	10	27,0	154	75,5
არბოშკი	112	689	37	33,0	55	50,0	20	18,7	387	56,2
ზემო მაჩხაანი	301	1855	140	46,5	97	32,2	64	21,2	1424	76,7
მაღარო	424	2260	202	77,6	142	33,5	80	18,8	1745	77,2
ჭოტორი	65	686	17	26,1	21	32,3	27	41,5	598	87,1
ნუკრიანი	173	1046	93	53,7	48	38,9	32	18,5	852	81,4
ს უ ლ	3365	17023	1670	49,4	1116	33,4	579	17,2	12287	71,5

ლის 62,2%, ვაქირის სახელმწიფო გლეხთა 57 კომლს, ანუ 12,1%-ს — 68,1%, ნუკრიანის სახელმწიფო გლეხთა 18,5%-ს — 81,4%. ამავე დროს ჩვენ მიერ ჩამოთვლილ სოფლებში, ისევე როგორც სიღნაღის მაზრის სხვა სოფლებშიც, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი. ასეთების ხვედრითი წონა შეადგენდა: ანაგაში — 66,0%-ს, ვაქირში — 54,5%-ს, ნუკრიანში — 53,7%-ს.

თუ როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ საერთოდ კახეთში, ამ კითხვაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-3 ცხრილი.

* ცხრილი შედგენილია სიღნაღის მაზრის 1842 წლის კამერალური აღწერების მასალების მიხედვით. სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 1933.

ცხრილი 3

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის განაწილება კახეთის სახელმწიფო გლეხებს შორის 1842 წ.

რაიონის დასახელება	კომლების რიცხვი	მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დასახელება	სავსებით არ ჰყავდათ საქონელი		ჰყავდათ საქონელი 1—10-მდე სული		ჰყავდათ საქონელი 10 და მეტი სული		10 და მეტი სული საქონლის მფლობელ გლეხებს ჰყავდათ სულ	
			კომლთა რაოდენობა	%	კომლთა რაოდენობა	%	კომლთა რაოდენობა	%	საქონლის რაოდენობა	%
კახეთი	4880	23875	2315	47,4	1714	35,2	851	17,4	17031	66,6

ცხრილში მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ კახეთში (თელავისა და სიღნაღის მაზრები) 17,4% (851 კომლი) მდიდარი სახელმწიფო გლეხების განკარგულებაში იყო მთელი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 66,6% (23875 სული), ხოლო იმავე კატეგორიის გლეხების 47,4%-ს (2315 კომლი) სავსებით არ ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი.

ბუნებრივია, რომ გლეხობის ზედაფენა, რომლის ხელშიც იყო სახნავ-სათესი მიწებისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის უმეტესი ნაწილი, წარმოადგენდა სასაქონლო პროდუქციის ძირითად მწარმოებელს.

მართლაც, პროფ. ა. ფანცხავას გამოანგარიშებით, სოფლების შილდას, შაქრიანის, ზემო ხოდაშენის, ენისელის, ყვარელის, ურიათუბნისა და შალაურის შეძლებული და კულაკი გლეხების ხელში იყო მთელი საგლეხო მიწის ფონდის 46% და გლეხური ღვინის პროდუქციის 49%-ს სწორედ ისინი ამზადებდნენ [1].

1821 წლის კამერალურ აღწერებში შემონახულია ცალკეული კულაკების გვარები, რომელნიც თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს და დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სასაქონლო პროდუქციას. ასეთების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, პატარძეულელი გლეხი სოლომონ ბუთურაშვილი. მას ჰქონდა 150 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, სამი ვენახი 840 ფუთი ღვინის შემოსავლით, ჰყავდა 120 ცხვარი და 140 ღორი. იმავე სოფელში თავისი ქონებით გამოირჩეოდნენ გლეხები ოთარაშვილი, ხუშიტაშვილი, ზუკაკიშვილი და სხვ. თითოეული მათგანის მფლობელობაში იყო 100—100 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, ღვინის შემოსავალი კი 200-დან 400 ფუთამდე მერყეობდა [2].

---

[1] А. А. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957 გვ. 109.

[2] ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა..., გვ. 218—219.

შეძლებული გლეხებისა და კულაკების შესახებ კიდევ უფრო საინტერესო ცნობებს ვნახულობთ თელავისა და სიღნაღის მაზრების 1842 წლის კამერალურ აღწერებში. ამ მასალებზე წარმოდგენას გვაძლევს მე-4 ცხრილი.

ცხრილი 4

ცნობები თელავისა და სიღნაღის მაზრების შეძლებული გლეხებისა და კულაკების შესახებ (1842 წ.)*

გლეხების გვარი და სახელი	მოპყავდათ ხორბალი (ფუთი)	მოპყავდათ ღვინი (ფუთი)	ჰყავდათ ცხენები (სულების რაოდ.)	ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი საქონ.	ჰყავდათ წვრილფეხა რქოსანი საქონელი (სულების რაოდენობა)
კარდენახაშვილი ბეჟან	315	1008	2	12	—
ჯინჯიბუხაშვილი იოსებ	450	630	2	52	—
მჭედლიშვილი ზაქარია	450	160	2	23	200
მაზანაშვილი სიმონ	675	336	4	40	300
მოსაშვილი იოსებ	1350	450	40	160	300
მოსაშვილი ბეჟან	1350	336	15	80	200
ყაზარაშვილი სტეფანე	720	1260	2	30	150
ალადაშვილი ბიძინა	675	700	1	20	400
ხითარიშვილი არუთინ	1010	336	8	50	500
ბასილაშვილი სოსია	1080	210	5	40	400
ბეგიაშვილი გოგია	1100	336	10	80	700
ჯალიაშვილი ნინა	900	250	9	4	400
ჭანკორაშვილი დავით	800	130	4	18	780
მენთეშაშვილი სოლომონ	1100	450	4	30	400
გონაშვილი მოსე	1150	50	10	120	700
კოჩიაშვილი ლუარსაბ	1170	170	15	55	800
ქართველიშვილი გიორგი	700	150	7	50	400
ტაბლანიშვილი გლახა	472	378	2	40	—
კუპრაშვილი იოვა	600	504	1	80	—
კუპრაშვილი მახარე	472	250	1	80	—
20 კომლ გლეხს სულ	16639	8194	144	1064	7170

როგორც ცხრილიდან ჩანს, მხოლოდ 20 კომლ სახელმწიფო გლეხს— კულაკს[1] ეკუთვნოდა თელავისა და სიღნაღის მაზრებში 1850 წელს აღ-

* ცხრილი შედგენილია თელავისა და სიღნაღის მაზრების 1842 წლის კამერალური აღწერების მასალების მიხედვით; სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 19055 და 19023.

[1] თელავისა და სიღნაღის მაზრების მხოლოდ 10 სოფელში 1842 წლის კამერალური აღწერების მასალების მიხედვით მკვლევარები 50-ზე მეტ კულაკს თვლიან (იხ. დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა..., გვ. 96—99).

რიცხული ცხენების საერთო რაოდენობის 1,5%, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და წვრილფეხა საქონლის 7,8%.[1]

ცხრილში ჩამოთვლილი გლეხებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ს. ყაზარაშვილი, ი. მოსაშვილი, ქ. მოსაშვილი, გ. ბეგიაშვილი, დ. ჭანკორაშვილი, მ. გონაშვილი, ლ. კოჩიაშვილი, გ. ქართველიშვილი და სხვ. მათ დიდი რაოდენობით ჰყავდათ საქონელი და მარცვლეულის მოსავალი მოჰყავდათ თავის მოთხოვნილებებზე გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით. ზოგიერთ მათგანს შეეძლო ბაზარზე გასაყიდად გამოეტანა 1 000 ფუთამდე ღვინო და მარცვლეული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი მსხვილი მეურნეობების წარმოება დაქირავებული მუშახელის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

სოფლის ბურჟუაზიას ეკუთვნოდა ველისციხელი სახელმწიფო გლეხიც გეურქა მიჩიტაშვილი (1842 წ.). მისი ოჯახი შედგებოდა 4 სულისაგან, ჰქონდა 40 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, საიდანაც ყოველწლიურად მოჰყავდა 500 ფუთი მარცვლეული, ჰყავდა 30 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 2 ცხენი და 100 სული ცხვარი. მასვე ეკუთვნოდა ვენახი, რომლის ყოველწლიური შემოსავალი საშუალოდ 900 ფუთს უდრიდა[2].

მიჩიტაშვილს არ ჩამოუვარდებოდა შილდელი გლეხი პეტრე ცეცხლაშვილი (1842 წ.), რომელიც ყოველწლიურად 900 ფუთ ღვინოს ამზადებდა[3].

კულაკი გლეხები იყვნენ არა მარტო კახეთში, არამედ საქართველოს სხვა რაიონებშიც. თბილისის მაზრაში, მაგალითად, კულაკად შეიძლება ჩავთვალოთ სოღანლუღელი სახელმწიფო გლეხი ედიგაროვი, რომელმაც (თავის კომპანიონებთან გამაზოვთან და შაიკოვთან ერთად) თავად ამილახვრისაგან ნაყიდ მიწაზე გახსნა „დუქნები და მოაწყო უშველებელი მეურნეობა, სადაც მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რიცხვი ყოველწლიურად 1 000 სულს უდრიდა“ (1846 წ.)[4].

ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით გორის მაზრაში გამოირჩეოდა საბატონო გლეხის ხრიკულის ოჯახი. XIX საუკუნის 50-იანი წლების ცნობების მიხედვით, ხრიკულს ჰქონდა 30 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, 2 ვენახი, 3-თვლიანი წისქვილი, ჰყავდა 8 კამეჩი, 12 ხარი, 20 ძროხა და 40 ღორი. საბუთში, საიდანაც ამოკრეფილია ეს ცნობები, ნათქვამია, რომ ხრიკული ეწეოდა ფულის გასესხებას სარგებლით. მისი ყოველწლიური

---

[1] СХАО, I, გვ. 115—116; იმის გამო, რომ თელავისა და სიღნაღის მაზრის 1842 წლის ცნობა საქონლის რაოდენობის შესახებ შემონახული არ არის, პროცენტები გამოთვლილია 1850 წლის ცნობების მიხედვით.

[2] ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის..., გვ. 228.

[3] იქვე, გვ. 231.

[4] И. Г. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 65.

გადასახადის რაოდენობა 700 მანეთს უდრიდა, აქედან ფულად იხდიდა 400 მანეთს [1].

რეფორმამდელი საქართველოს სოფელში ხშირი იყო გლეხების მიერ ბატონყმობისაგან თავდახსნის შემთხვევები. პირადი თავისუფლების მისაღებად გლეხებს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხის გადახდა უხდებოდათ. მაგალითად, საბატონო გლეხმა სვანიძემ ბატონყმობისაგან გასანთავისუფლებლად გადაიხადა 520 მანეთი, ანუ თითქმის 2000 სული ცხვრის ფასი, პაპულაშვილმა — 1000 მანეთი, ცეცხლაშვილმა კი — 1500 მანეთი. ის ფაქტი, რომ გლეხებს ამდენი თანხის გადახდა შეეძლოთ, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ რეფორმამდელი საქართველოს სოფელში უკვე საკმაოდ საგრძნობი კულაკური ბირთვი იყო შექმნილი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გლეხი წარმოადგენდა რეფორმამდელი სოფლის ბურჟუაზიას, რომელიც დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციით (რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არ გამორიცხავდა ოჯახის წევრების შრომასაც) აწარმოებდა მნიშვნელოვან სასაქონლო პროდუქციას.

სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუციის დამჩქარებელ ფაქტორს წარმოადგენდა სახელმწიფო გლეხთა მრავალრიცხოვანი ფენის არსებობა რეფორმამდელი ხანის საქართველოში. აღნიშნული კატეგორიის გლეხები პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, სხვა კატეგორიის გლეხებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფეოდალურ ექსპლოატაციას განიცდიდნენ, დამოუკიდებელი მეურნეობის საწარმოებლად მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ და უფრო იოლად ებმებოდნენ სავაჭრო-კომერციულ ურთიერთობასა და საწარმოო საქმიანობაში. ამიტომაც ახალი ურთიერთობანი უპირველეს ყოვლისა სწორედ სახელმწიფო გლეხებს შორის იჩენდა თავს.

კაპიტალისტური წყობის წარმოქმნის მეორე მნიშვნელოვან ხელის შემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა გლეხთა ხელში საკუთარი, ნაყიდი მიწების არსებობა. საკუთარი მიწების ქონა გლეხებს ნაწილობრივ მაინც ათავისუფლებდა ამ მთავარი საწარმოო საშუალებებით ბატონყმური წესით უზრუნველყოფისაგან[2].

ყოველივე ამის შედეგს წარმოადგენდა სახელმწიფო და საბატონო გლეხებს შორის ღრმად წასული ქონებრივი დიფერენციაცია, რომელიც XIX ს-ის 30—40-იან წლებში უკვე სოციალურ დიფერენციაციაში იყო გადაზრდილი.

---

[1] სსცია, ფ. 9, საქ. 2122, ფურც. 8—22.

[2] И. Д. Ковальченко, О характере и формах расслоения помещичьих крестьян России в первой половине XIX века, ИЗ т. 78, 1965.

დაქირავებული მუშახელი. კაპიტალიზმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაქირავებული მუშახელის არსებობა. ბურჟუაზიული ურთიერთობა გულისხმობს არა მარტო შრომის შედეგის, არამედ სამუშაო ძალის გაყიდვასაც. რეფორმამდელი საქართველოს სოფელში უკვე მრავლადიყვნენ გლეხები, რომლებიც თავიანთ სამუშაო ძალას სხვას სთავაზობდნენ. როგორც მოსალოდნელიც იყო, სამუშაო ძალის გაყიდვას მისდევდნენ უმთავრესად მცირემიწიანი და უმიწო გლეხები[1].

გაქირავების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფაქტები გვხვდება ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში. მაგალითად, 1813 წლის საბუთის მიხედვით, სოფლების ლილოს, კუკიისა და ხატისთელეთის გლეხებს ქირაობდნენ „თბილისელი მაცხოვრებლები სალიანიდან თევზისა და ყარსიდან მარილის თბილისში ჩამოსატანად“[2]. იმავე საბუთიდან ჩანს, რომ ხელთუბნის, გორისჯვრის, კარალეთის, ჭალის და სამთავისის გლეხების ცხოვრების წყაროს უმთავრესად წარმოადგენდა სამუშაო ძალის გაქირავება[3]. ზუსტად იგივეა ნათქვამი კავთისხევის, ახალქალაქის, სამწევრისის, კამერეთის, კეხვისა და სხვა სოფლების მცხოვრებლების შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ კიდევ უფრო მეტი ცნობები მოიპოვება 1821 წლის კამერალურ აღწერებში. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ სოფელ საგარეჯოს სახელმწიფო გლეხების 9,2%, სოფ. შილდას 28,6% და ყვარელის სახელმწიფო გლეხების 59,4% სამუშაო ძალის გაქირავებით ცხოვრობდნენ[4]. ბარონი ჰაქსტჰაუზენი (1843 წ.) წერდა: „მეოთხე ჯგუფს (სოფ. სართიჭალას გლეხებისა) აქვს მხოლოდ სახლი, ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება გლეხები, რომლებიც ქირით ცხოვრობენ სხვებთან“[5].

ორმოციანი წლების თბილისი სავსე იყო სამუშაო ძალის გამქირავებელი ხალხით. „შეხედეთ, — წერდა თანამედროვე, — ამ უშველებელ მასას შავი მუშებისას თბილისსა და სხვა ადგილებში. ისინი ყველა იმერლები და ოსები არიან, მძიმე შრომით შოულობენ საზრდოს... მათი მთავარი საზრუნავია როგორმე იშოვონ ფული სახელმწიფო გადასახადების, საბატონო ღალის გადასახდელად და ოჯახის გამოსაკვებად“[6].

დაქირავებულ სამუშაო ძალას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებდნენ კულაკი გლეხები თავიანთ მეურნეობაში. 1842 წლის კამერალური

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 133—134.
[2] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18480.
[3] იქვე.
[4] ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის..., გვ. 219, 221, 222, 224, 225.
[5] СХАО, I, გვ. 9.
[6] И. Г. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 167.

აღწერის თანახმად, სწორედ კულაკი გლეხები ქირაობდნენ ჯიმითელ, ჩაილურელ და სხვა სახელმწიფო გლეხებს.

დაქირავებული შრომა გამოყენებული იყო (მეტ-ნაკლები ზომით) ბარონ ნიკოლაის, ანანოვის, ბაგრატიონ-მუხრანსკის, გურგენიძის, სულხანიშვილის, დიასამიძის, ჩიჯავაძის და სხვ. მეურნეობებში. ანანოვის მეურნეობას, მაგალითად, თანამედროვეები დაქირავებული შრომის გამოყენების ნიმუშად მიიჩნევდნენ[1]. ფართოდ იყენებდა ნებით დაქირავებულ შრომას ბარონი ნიკოლაიც. „იმის გამო, რომ აქ მე ყმები არა მყავდა, — წერდა იგი 1857 წ., — იძულებული ვიყავი მიმემართა თავისუფალი მუშახელისათვის“[2].

მართალია, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ფაქტებიდან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს დაქირავებული შრომა მასობრივად იყო გავრცელებული, ანდა სამუშაო ძალის გამქირავებელნი საბოლოოდ მოწყვეტილი იყვნენ სოფლის მეურნეობას, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, ჯერ ერთი, რომ მასობრივ ხასიათს დაქირავებული შრომის გამოყენება იღებს კაპიტალიზმის, როგორც გაბატონებული ფორმაციის არსებობის პირობებში და არა კაპიტალისტური წყობის დროს (რუსეთში, მაგალითად, მრეწველობაშიც კი 1800 წლისათვის დაქირავებული მუშების ხვედრითი წონა 41%-ს შეადგენდა)[3]; მეორეც, რომ სოციალ-ეკონომიური მოვლენის მნიშვნელობის შეფასებისას მთავარია არა იმდენად რაოდენობრივი მხარე, რამდენადაც ამ მოვლენებით გამოხატული განვითარების ტენდენცია და ურთიერთობათა ხასიათი. „...იქნებ თქვან, — წერდა ლენინი, — რომ ამ შემთხვევაში (ლაპარაკია შინამრეწველურ სარეწების კონკრეტულ მაგალითზე — ავტ.) საერთოდ მეტად დიდია დაქირავებულ მუშათა პროცენტი? მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ მნიშვნელოვანია სრულიად არა აბსოლუტური ციფრები, არამედ ურთიერთობანი, რომელთაც ისინი ააშკარავებენ, ურთიერთობა, რომელიც არსებითად ბურჟუაზიულია და ასეთად რჩება ძლიერ გამოხატული ბურჟუაზიულობის დროსაც და სუსტად გამოხატული ბურჟუაზიულობის დროსაც“[4]. რაც შეეხება იმას, რომ რეფორმამდელი საქართველოს მუშებს წმინდა პროლეტარული ხასიათი არ ჰქონდათ, რომ მათ უმრავლესობას კიდევ გააჩნდა მცირე მიწის ნაკვეთები, საბოლოოდ გაწყვეტილი არ ჰქონდათ კავშირი სოფელთან და ამდენად კაპიტალისტური ეპოქის მუშების წინამორბედად არ ჩაითვლებოდნენ. ამის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ სოფელთან კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი რუსეთის მუშების აბსოლუტურ

---

[1] СХАО, I, გვ. 480, შენიშვნა 1; И. Г. Антелава, К вопросу о характере экономического развития предреформенной Грузии.

[2] СХАО, I, გვ. 460.

[3] История СССР (Вузовский учебник), т. I, 1956, გვ. 627.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I; გვ. 247.

უმრავლესობას არა მარტო რეფორმამდელ პერიოდში, არამედ რეფორმის შემდგომაც. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გარკვეულ დაღს ასვამდა რუსეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რუსეთი ამის გამო წყვეტდა კაპიტალისტური გზით განვითარებას, რომ იგი არ იყო კაპიტალისტური ქვეყანა. „მათ (ნაროდნიკებმა — ავტ.), მგონია, არც კი იციან, რომ კაპიტალიზმმა — თავისი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურებზე — ვერსად ვერ შეძლო მუშის სრულიად მოწყვეტა მიწისაგან. დასავლეთ ევროპისათვის მარქსმა ის კანონი დაადგინა, რომ მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს მუშის საბოლოო ექსპროპრიაციას. ამიტომ გასაგებია, რომ მოარული მსჯელობანი ჩვენში კაპიტალიზმის არარსებობის შესახებ, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ „ხალხი მიწას ფლობს“—მოკლებულია ყოველივე აზრს, რადგან მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის კაპიტალიზმი არასოდეს და არსად დაკავშირებული არ ყოფილა მიწისაგან მუშაკის სრულ მოწყვეტასთან, მაგრამ, რასაკვირველია, კაპიტალიზმი მაინც კაპიტალიზმად რჩებოდა“ [1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

რეფორმამდელი საქართველოს ეკონომიკაში, როგორც მოსალოდნელიც იყო, იძულებითი შრომა იყო გაბატონებული, მაგრამ თანდათანობით საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო დაქირავებული შრომის სასარგებლოდ იხრებოდა. გლეხის იძულებითი შრომის არარენტაბელობის მესახებ ბარონი ნიკოლაი საჯაროდ გამოთქვამდა თავის მოსაზრებას. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყმა „ბატონის სამუშაოზე ბევრს ჭამს და ცოტას მუშაობს“ [2]. „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ჟურნალის რედაქცია (1859 წ.) პირდაპირ აცხადებდა, რომ „ყმის შრომა თანდათანობით კარგავს ყოველგვარ აზრს“ და რომ „ამჟამად, უფრო მეტად ოდესმე მორალური პრინციპი და აუცილებლობა მოგვიწოდებს მეურნეებსა და საერთოდ ყველა ჩვენთაგანს დავიწყოთ ცხოვრების ახალი წესი“ [3].

ქართველი სამოციანელი დავით ყიფიანი ჟურნალ „საქართველოს ოამბეში“ წერდა (1863 წ.): „საზოგადოებაში რომ ერთი ნაწილი სულ არა შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთნებაყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა? ამ კითხვაზე,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 241

[2] СХАО, 1, გვ. 459, И. Г. Антелава, К вопросу о характере..., გვ. 63.

[3] СХАО, 1, გვ. 181.

შენა, მკითხველო, რასაკვირველია შედგები, იქნება — შეჰკრთე კიდეცა, პასუხს კი ვერას მოიგებ ჯერა, ვიცი. ეს მდგომარეობა (ბატონყმობა — ავტ.) ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის — სენია. აი რათა, ჯერა, მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ჩემი ნებაყოფლობის წინააღმდეგობით ბატონმა პურის გამნიავებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ... რა გამოვიდა აქედამ? ჯერ ისა, რომა თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია, მეორე ისა, რომა მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა... ამას უთუოთა გრძნობს ქართველობის კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ“ [1].

„საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ფრანგი ეკონომისტის ბასტიას (1801—1850 წწ.) „მძარცველობის ფიზიოლოგიის“ ქართული თარგმანი, შესრულებული ილია ჭავჭავაძის მიერ. იქ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ნათქვამია: „საპოლიტიკო ეკონომიამ ისიც დაამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი შრომა თავისბუნებით პროგრესული, წარმატებული არის, ხოლო შრომა მონისა — უძრავია, ამის გამო ნებაყოფლობითის შრომის გამარჯვება მონის შრომაზედაუცილებელია“[2] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

საგლეხო რეფორმის გატარების წინ ჩვენ მიერ განხილული საკითხის შესახებ საგულისხმო აზრი გამოთქვა 69 კახელმა მემამულემ. „ეჭვს გარეშეა, — წერდნენ ისინი, — რომ ...გლეხები უნდა განთავისუფლდნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. აუცილებელია მოვუწოდოთ კერძოობით შრომისაკენ სოფლის მეურნეობაში თაოსნობის გასავითარებლად, რომელიც შეზღუდული და შეფერხებულია ბატონყმური დამოკიდებულების გამო“[3] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

დაქირავებულ შრომაზე მსჯელობისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეფორმამდელ საქართველოში თავისუფალი მუშახელის ნაკლებობა იგრძნობოდა[4], მაგრამ ეს გარემოება ქვეყანაში კაპიტალიზმისათვის დამახა-

---

[1] „საქართველოს მოამბე“, 1863, № 4, გვ. 109—110.

[2] ი ქ ვ ე, № 8, გვ. 70.

[3] Ш. К. Ч х е т и я, К истории крестьянской реформы в Грузии, Тб., 1950, გვ. 174.

[4] „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ 1863 წლის ჟურნალში წერდა, რომ „თავისუფალი მუშახელის კლასი ჩვენი დროისათვის აუცილებელია და მისი ნაკლებობა მრავალ ახალ სასარგებლო წამოწყებათა გავრცელების საქმეში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს“ (СХАО, I, გვ. 484).

სიათებელი ნიშნების არარსებობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ საწარმოო ძალების განვითარების დონესა და საწარმოო ურთიერთობათა ხასიათს შორის არსებული წინააღმდეგობებით. ახალი საწარმოო ძალები ვეღარ თავსდებოდნენ მოძველებულ წარმოებით ურთიერთობაში. უკანასკნელი აყოვნებდა ქვეყნის ეკონომიურ პროგრესს.

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების დაშლის პროცესი. როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში მიმდინარეობდა გლეხობის ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესი. ბატონყმობისაგან განთავისუფლება უპირველეს ყოვლისა შესაძლებელი იყო იმ დროს შედარებით დიდი თანხის გადახდით. ოფიციალური ცნობების თანახმად, 1850—1863 წლების განმავლობაში მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში ფეოდალური დამოკიდებულებისაგან გლეხების გახთავისუფლების 1314 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. 1858—1863 წლებში კი განთავისუფლების 468 აქტი გაფორმებულა—351 უძრავი ქონებით (მიწით), ხოლო 117 ამის გარეშე. ამ 468 აქტით პირადი თავისუფლება მიიღო 2750 სულმა ყმა გლეხმა, ანუ გუბერნიის ყმა გლეხთა საერთო რაოდენობის 1,5%-მა[1]. ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ 1850—1863 წლებში ბატონყმობისაგან განთავისუფლდებოდა 7 250 სული[2], ანუ ქუთაისის გუბერნიის ყმა გლეხების 4,45%.

გლეხები მემამულეთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას ახერხებდნენ არა მარტო თავგამოსყიდვით, არამედ სასამართლოს საშუალებითაც. გლეხთა მიერ ბატონყმობისაგან თავის დასაღწევად წარმოებულმა საჩივრებმა განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო XIX ს-ის 30-იანი წლებიდან. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხების ხვედრითი წონა გაცილებით მეტი იქნება, ყოველ შემთხვევაში მათი შეფარდება საერთო რაოდენობასთან 10—12%-ს მაინც მიაღწევს.

ეს ფაქტი დრომოჭმული ფეოდალური ფორმაციის საფუძვლების თანდათანობითი, მაგრამ განუხრელი დაშლის მომასწავებელი იყო.

თვით ცხოვრება იმგვარად მიმდინარეობდა, რომ ხელისუფლება იძულებული იყო „ხელი შეეწყო“ ძველის დაშლისათვის, გამოეცა კანონები, რომლებიც აჩქარებდა ამ პროცესს. ასეთი კანონებია მაგალითად: მებატონის ქონების საჯაროდ გაყიდვის შემთხვევაში ყმა გლეხებისათვის თავგამოსყიდვის უფლების მიცემის შესახებ[3] (1831), იმერელი და გურული

---

[1] СХАО, I, გვ. 436. 1860 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში 180000 სული ყმა გლეხი ირიცხებოდა.

[2] ყოველ შემთხვევაში, არანაკლები.

[3] ВПСЗРИ, VI, № 4884.

გლეხებისათვის ყმების ყოლის აკრძალვის შესახებ (1843 წ.)[1], ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული გლეხებისათვის სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში ან მოქალაქეთა წოდებაში ჩარიცხვის ნებართვის შესახებ (1848 წ.)[2] და სხვ.

მემამულეების ის ნაწილი, რომელიც არ ცდილობდა, ან ვერ ახერხებდა ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუებას, არსებობის შესანარჩუნებლად იძულებული იყო თავისი უძრავი ქონება და ყმა გლეხები გაეყიდა ან დაეგირავებინა. არსებული ცნობების მიხედვით 1863 წლის 1 იანვრისათვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას დაგირავებული ჰყავდა 30 714 სული ყმა გლეხი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 25%[3]. ერთი სიტყვით, ფეოდალური სისტემის სოციალური საფუძველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, 1/4-ით უკვე მოშლილი იყო. ამავე დროისათვის, იმავე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოში უკვე დაგირავებული ჰქონდა თავისი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე მაგალითად, 1861 წლისათვის დაგირავებული იყო მათი მამულების 20%, 1863 წლისათვის კი — 32%[4]. საგლეხო რეფორმის გატარების მომენტისათვის მათი სესხი 1 652 940 მანეთს შეადგენდა და, რაც მთავარია, ამ ვალს განუხრელი ზრდის ტენდენცია ჰქონდა[5]. მემამულეთა მიერ დაგირავებული მიწების მნიშვნელოვან ნაწილს ყიდულობდნენ მიჩიტაშვილის, ბუთურაშვილის, ზუკაკიშვილის, ედიგაროვისა და სხვ. ტიპის კულაკ-გლეხები. ასე იშლებოდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის საფუძველი — მიწის ფეოდალური საკუთრება და იქმნებოდა უწოდებრიო, ბურჟუაზიული საკუთრება.

§ 2. საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX ს-ის 30—60-იან წლებში

30-იანი წლებისათვის საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის, ისევე როგორც საერთოდ ქვეყნის სამეურნეო წინსვლისათვის, შედარებით ხელსაყრელი პირობები იქმნება. ქვეყანაში მშვიდობიანობა მყარდება. რუსული ხელისუფლება აქ თავისი პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, ზრუნვას იწყებს მეურნეობის გარკვეული დარგების

---

[1] ВПСЗРИ. VI, XVIII, № 16653.

[2] იქვე, XXIII, № 21928.

[3] СХАО, I, გვ. 434.

[4] დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები... გვ. 91.

[5] ამის შესახებ სრული საფუძვლიანობით წერდა დ. ყიფიანი: „თვითონ ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ჩვენს შორის არ მოიპოვება ისეთი მემამულე, რომლის გლეხები და მამული არ იყოს დაგირავებული ან სახელმწიფოსთან, ან პრიკაზთან, ან კერძო პირებთან“ (Ш. Чхетия, «К истории..., გვ. 259).



ოქრომჭედელთა სახელოსნო.

განვითარებაზე, კერძოდ, ისეთი დარგებისა, რომლებიც მის კოლონიურ მიზნებს ემსახურებოდა. რუსეთთან ეკონომიური კავშირის გაძლიერება ხელს უწყობდა საქართველოში რუსი და, რუსეთის გზით, უცხოელი საქმოსნების მოზიდვას. 20-იან წლებში, ე. წ. „შეღავათიანი ტრანზიტის“ მოქმედების პერიოდში, ადგილობრივ ვაჭართა ხელში დაგროვდა მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალი, რომლის ნაწილი მრეწველობაში მოედინებოდა. უცხოეთიდან და რუსეთიდან მოძალებულ ხელოსნებს სიახლე შემოჰქონდათ საქალაქო ცხოვრებაში. ჩნდება ამქრისგარეშე ხელოსნობა, რომელიც თანდათან ძირს უთხრიდა ტრადიციულ ამქრულ წყობილებას. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უფრო და უფრო იჭრება სოფლადაც და შესაბამის გავლენას ახდენს გლეხის საოჯახო მრეწველობაზე.

ერთი სიტყვით, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან საქართველო შედგა სამ-

რეწველო განვითარების ახალ საფეხურზე, ფეოდალურიდან კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებისაკენ გარდამავალ საფეხურზე.

ქვეყანაში ახალი ურთიერთობის განვითარებას ხელი შეუწყო რუსეთთან ერთად საქართველოს ჩართვამ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში, რომელსაც ახასიათებს გაფართოების, ნაციონალური ჩარჩოების რღვევის ტენდენცია.

საოჯახო მრეწველობა და ხელოსნობა, წვრილი საქონლური წარმოების განვითარება. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, რომელიც „უფრო გლეხური" იყო, ვიდრე რუსეთი, გლეხური მეურნეობის დამატების სახით არსებული მრეწველობის მარტივი ფორმები — ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა — სოფლად ძლიერად იყო წარმოდგენილი, ქალაქად გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ამქრულ ხელოსნობას. მაგრამ ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარების ზეგავლენით მრეწველობის აღნიშნული მარტივი ფორმებიც ან იცვლიან სახეს, ეგუებიან ახალ პირობებს და ებმებიან სასაქონლო წარმოების, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების საერთო ფერხულში, ან თანდათან ქრებიან.

1844 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში აღრიცხული იყო 3 ათასზე მეტი შინაური დაზგა, რომლებზედაც ბამბის, შალის და აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებდნენ, ქუთაისის მაზრაში კი ათასამდე დაზგა[1].

გორის მაზრის უფროსის 1845 წლის ანგარიშის თანახმად, „მაზრის მცხოვრებთაგან ზოგიერთნი შინაურ დაზგებზე ქსოვდნენ ხამს (ნარმას) და მაუდს, რომელთაც მდაბიო მოსახლეობა იყენებდა სამეურნეო ყოფაში. ამ ნაწარმის მცირე ნაწილი იყიდებოდა მაზრაში"[2].

სამაზრო ადმინისტრაციის არასრული ცნობების თანახმად, 1845 წ. საქართველოში გაიყიდა დამზადებული „სოფლის ნაწარმის" დაახლოებით 30—60%, სულ 15 ათასამდე მანეთის ღირებულებისა. ასეთი ნაწარმიდან ჩამოთვლილია ხალიჩები, ჩული, ქეჩა, ფლოსტები, შალის ქსოვილი, ტილო, აბრეშუმის ქსოვილი, ჭილოფი, შალის ზონარი, მაფრაშა და სხვ.[3].

მართალია, „სოფლური ნაწარმის" გარკვეული ნაწილი გასაყიდად გამოდიოდა, მაგრამ ოჯახური მრეწველობა ძირითადად მაინც გლეხის ოჯა-

---

[1] სსცია, ფ. 16, საქ. 8392, ფურც. 24—26.

[2] იქვე, საქ. 8888, ფურც. 5—9.

[3] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში (დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება), თბ., 1966, გვ. 66—67; შეადარე: Г. К. Б а к р а д з е, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тб., 1958, გვ. 18—19.

ეარაღების სახელოსნო.

ხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ამავე დროს დიდი რაოდენობით რუსული და უცხოური მზა ნაწარმის, განსაკუთრებით კი ტექსტილური პროდუქციის შემოტანა ოჯახური მრეწველობის შესაბამის დარგებს იმთავითვე უხშობდა გაფართოების და წვრილ კაპიტალისტურ სარეწად გადაქცევის პერსპექტივას.

რაც შეეხება ხელოსნურ წარმოებას, ოფიციალური ცნობებით, 1845 წელს ქალაქებში 3 555 ოსტატი იყო (აქედან 2 065-მდე თბილისში), ხოლო სოფლად — 2 800-მდე. მათთან მომუშავე მუშების რიცხვი (თბილისის გარდა) შეადგენდა 3 530-ს. თბილისში კი (თუ ვიანგარიშებთ თი-

თო ოსტატზე საშუალოდ 2 მუშას) — 4000-მდე კაცს. ხელოსნური ნაწარმის ღირებულება ამ დროს დაახლოებით 368 ათას მანეთს უდრიდა[1], ე. ი. თითო ოსტატზე საშუალოდ მოდიოდა 50—60 მანეთის პროდუქცია და 1—2 მუშა. როგორც ჩანს, ძირითადად ეს იყო წვრილი სახელოსნოები, თუმცა მათ გარდა არსებობდა ცალკეული, შედარებით მსხვილი საწარმოებიც. ხელოსანთა შორის ჩამოთვლილი არიან: მეტყავეები, მეაგურეები, მჭედლები, დურგლები, ოქრომჭედლები, მექვაბეები (მესპილენძეები), მეუნაგირეები, სარაჯები, მკალავები, ზეინკლები, ხარაზები, თერძები, ჭონები, ხაბაზები, დალაქები, ფეიქრები და სხვ.

ხელოსნური წარმოების ცენტრი იყო ქ. თბილისი, სადაც დიდსანს შემორჩა ამქრული ორგანიზაცია.

60-იანი წლების შუა ხანებში, ამქრების რეორგანიზაციამდე, თბილისში იყო 76 ამქარი. ადგილობრივ ხელოსანთა რაოდენობა (ოსტატი და ქარგალი) 2 894-ს უდრიდა, ხოლო მუშათა რიცხვი — 245-ს. ამ ხელოსანთა შორის იყო 208 ტვირთის მზიდავი („მუშა“) და 95 წყლის დამტარებელი („თულუხჩი“) 25 მუშით. არაადგილობრივი, ანუ „ევროპელი“ ხელოსნებიდან 291 ოსტატი იყო, 382 — ქარგალი, 450 — შეგირდი და 91 — მუშა[2].

როგორც ირკვევა, ყველა ადგილობრივი ხელოსანი არ ყოფილა გაერთიანებული ამქარში. მაგალითად, კონდიტრები, მეძეხვეები, მეშუშეები, მეთუნუქეები, მკინძავები და სხვ. არ შედიოდნენ ამქრებში, ხოლო ნაწილი ადგილობრივი ხელოსნებისა (დურგლებისა და ავეჯის მკეთებლების, ზეინკლების, ეტლების მკეთებლების, მღებავებისა და სხვ.) გაერთიანებული იყო ამქრებში „ევროპელ“ ხელოსნებთან ერთად. ასე რომ უცხოელ ხელოსანთა ნაწილიც გაერთიანებული აღმოჩნდა ამქრებში, ხოლო მათი დიდი ნაწილი ამქრის გარეშე მოღვაწეობდა.

ხელისუფლება ადრე (1852 წ.) ცდილობდა მოსულ ხელოსანთა ცალკე გაერთიანების შექმნას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ მოხერხდა და 1859 წელს ადგილობრივი ხელისუფლების შუამდგომლობის საფუძველზე იმპერატორის განკარგულებით ყველა ხელოსანი, ადგილობრივი და მოსული, დაექვემდებარა თბილისის საქალაქო მმართველობას. ამით მოხდა ამქრების დამოუკიდებლობის პირველი სერიოზული შეზღუდვა. ამქრული ორგანიზაცია თანდათან შიგნიდანაც იშლებოდა. 60-იანი წლების დასაწყისში თვით ამქრების საჩივრები აძლევდნენ საფუძველს ოფიციალურ პირებს დაესკვნათ, რომ „უსტაბაშებმა დაკარგეს თავისი გავლენა, მათ აღარავინ ემორჩილება და მათ გადაწყვეტილებებს არავითარი ყურა-

---

[1] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие..., გვ. 19—20; ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება..., გვ. 80—81.

[2] სსცია, ფ. 7, ანაწ. 2, საქ. 2229, ფურც. 81—92.

დღება არ ექცევა; შეგირდები და ქარგლები აღარ ემორჩილებიან უფროსებს; ისინი აღარ სცნობენ ამქრების არავითარ წესებს და თვითნებურად, ყოველგვარი ატესტაციის გარეშე დამოუკიდებლად კიდებენ ხელს საქმეს. მაგრამ, რადგანაც სათანადო მომზადება აკლიათ, მხოლოდ სცემენ წარმოების დონეს და ამით სახელს უტეხენ საერთოდ ხელოსანთა წოდებას. ხელოსანთა კეთილსინდისიერება დაეცა, მომხმარებლებთან მათი ურთიერთობა გაფუჭდა და პატრიარქალური ამქრული ცხოვრების ყველა საფუძველი მოიშალა"[1].

ჩვენ ხელთ არსებული მასალებით კარგად დასტურდება ხელოსნური წარმოების დარგებში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ, ხელოსნობის ახალი დარგების გაჩენა, უპირატესად უცხოელ ხელოსანთა მოსვლის შედეგად, და ადგილობრივ ხელოსანთა ჩაბმა ამ დარგებში. ასე მაგალითად, ხელოსნობის ძველი, ტრადიციული დარგების გვერდით (მხედველობაში რომ არ მივიღოთ „ევროპული" ფეხსაცმლის და ტანსაცმლის შეკერვა, რომელიც დიდი ხანია, რაც შემოვიდა და უკვე ამქრებს განეკუთვნებოდა) ჩნდება სრულიად ახალი დარგებიც: საკონდიტრო წარმოება, ძეხვის დამზადება, თუნუქის ნაწარმის დამზადება, მეშუშეობა, მკინძაობა და სხვ. ასეთ საქმიანობას 60-იანი წლებისათვის ადგილობრივი ხელოსნებიც მისდევდნენ. ამავე დროისათვის მხოლოდ უცხოელ ხელოსანთა ხელში იყო: ეტლების დამზადება და შეკეთება, ლუდის გამოხდა, კასრების კეთება, ხელთათმანების, საგალანტერიო საქონლის წარმოება და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული ილუსტრაციას წარმოადგენს თბილისში ამქრის გარეშე, ანუ თავისუფალი ხელოსნობის გაჩენისა, რაც ამქრული ხელოსნობის დაშლის პირდაპირი მაჩვენებელი იყო. იგივე მოვლენაზე მიგვითითებს წვრილ სახელოსნოთა გვერდით შედარებით მსხვილ სახელოსნოთა წარმოქმნა, სადაც ერთდროულად მნიშვნელოვანი რაოდენობით დამხმარე მუშახელის გამოყენებას ჰქონდა ადგილი. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებულ მასალაში ადგილობრივი ოსტატებისა და ქარგლების რიცხვი ერთად არის ნაჩვენები, რის გამოც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ თითო ოსტატზე რამდენი ქარგალი და მუშა მოდიოდა, მაგრამ „ევროპელ" ოსტატებთან მომუშავე ქარგლებისა, შეგირდებისა და მუშების შესახებ შემონახული მონაცემები მოწმობენ, რომ 60-იანი წლების შუახანებში თბილისში წვრილი სახელოსნოების გვერდით, სადაც თითო ოსტატი და 1—2 ქარგალი და მუშა მუშაობდა, გვხვდება სახელოსნოები, სადაც თითო ოსტატთან 1—2 ქარგალი და 2—4 მუშა მუშაობდა. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თითო სახელოსნოში 10—20 ქარგალი და მუშა მუშაობდა. აღნიშნული სახელოსნოების ანალიზი მოწმობს, რომ ისინი უმეტესწილად უკვე წვრილი საქონლური წარმოების სფეროს განეკუთ-

[1] ЦГИА СССР, ф. 1287, оп. 38, д. 696, лл. 28—41.

ვნებოდნენ, ხოლო უმსხვილესნი უკვე კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციასა და ზოგ შემთხვევაში მცირე მასშტაბის მანუფაქტურის ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 60-იანი წლებისათვის ასეთი გამსხვილებული სახელოსნოები ქუთაისშიც არსებობდა. ასე მაგალითად, 1860 წლის აღწერილობაში ჩამოთვლილია 45 ოსტატი, ადგილობრივი და უცხოელიც, რომელთა წლიური გამომუშავება თითოეულისა 100-დან 1 000 მანეთამდე აღწევდა[1]. საშუალოდ კი 200—300 მანეთს შეადგენდა. ჩანს, ესენი შედარებით მსხვილი სახელოსნოების პატრონებია. აქვე უნდა ყოფილიყო სხვა, უფრო წვრილი სახელოსნოებიც.

უკვე 50-იან წლებში თბილისის საქალაქო მმართველობა აყენებდა საკითხს ამქრული ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ იმ საბაბით, რომ იგი აფერხებდა თავისუფალ სავაჭრო-ხელოსნურ საქმიანობას, მით უმეტეს, რომ ამ დროს არსებობდა ვაჭართა ამქრებიც. ხელისუფლება დიდ ხანს ვერ ელეოდა ამქრულ ორგანიზაციას, რადგან იგი მას სჭირდებოდა ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნურ ფენებში წონასწორობის დასაცავად და საგადასახადო საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ 1865 წ. ქალაქის დაბალი ფენების გამოსვლის შემდეგ ცარიზმის და პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმისა და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ[2], ამქართა რეორგანიზაციის საქმე დაჩქარდა. 1867 წელს მიღებული „წესდებით" თუმცა ამქრები შენარჩუნებულ იქნენ შეზღუდული რაოდენობით (სულ ხელოსანთა 17 ამქარი და მუშათა 4 არტელი), მაგრამ ისინი მთლიანად დაექვემდებარნენ „სახელოსნო მმართველობას" („Ремесленная управа"), რომელიც ხელისუფლების ნების აღმსრულებელი იყო. ვაჭართა ამქრები საერთოდ გაუქმდა.

„წესდებაში" განსაკუთრებით საინტერესოა იმ ახალი მოვლენების ასახვა, რომელნიც თავს იჩენენ ხელოსნურ წარმოებაში. ესაა პირველ რიგში ოსტატისათვის სახელოსნოს გაფართოებისა და ქარგლების რიცხვის ნებისმიერად გაზრდის უფლების მიცემა, არა მარტო იმ ხელოსნის მიჩნევა ოსტატად, რომელიც თვითონ მუშაობს, არამედ სახელოსნოს მფლობელისაც, რომელიც დაქირავებულ მუშახელს იყენებს, აგრეთვე ქარგლებისა და შეგირდების ჩათვლა დაქირავებულ მუშებად. „წესდების" თანახმად ოსტატად იწოდება ის, „რომელიც ან თვითონ მოქმედებს რომელიმე ხელობით ცალკე დუქანში, ან უჭირავს საოსტატო სახლი, რომელ-

---

[1] სსცია, ფ. 10, საქ. 496, ფურც. 88—98; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება..., გვ. 83—84.

[2] Ш. К. Ч х е т и я, Тбилиси в XIX столетии, 1865-ые годы, გვ. 271.; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. V, თბ., 1962, გვ. 280—281; საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962, გვ. 12—17 და სხვ.

შიც ყვანან მოჯამაგირე ქარგლები და შეგირდები". უფრო ქვემოთ „წესდებაში" ნათქვამია. „ქარგალი არის ხელოსანი, რომელიც მუშაობს ჯამაგირით სახელოსნოს სახლის ანუ დუქნის პატრონთან"[1].

ამქრის უსტაბაშებს ხელოსნურ ნაწარმზე ფასების დაწესებისას სასტიკად ეკრძალებოდათ რაიმე ზემოქმედება ოსტატებზე. ამქრებში შესვლის უფლება ჰქონდა ყველას, ვინც კი თბილისში რაიმე ხელობას ეწეოდა. ამქრიდან გამოსვლაც არაფრით არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული.

ყოველივე აღნიშნული ამქრული ორგანიზაციის რღვევის, ხელოსნობაში ახალი ურთიერთობის ელემენტების შეჭრის მაჩვენებელი იყო, რის შედეგადაც თვით ამქრები თანდათან რუდიმენტულ ორგანოდ იქცნენ და მხოლოდ ტრადიციას ემყარებოდნენ[2].

დაქირავებული შრომის გამოყენება და საქონლის ბაზრისათვის წარმოება ხელოსნობის წვრილ სასაქონლო წარმოებად გადაქცევას მოასწავებდა. ფეოდალური ხანის ხელოსანთა წოდების დაშლის ნიადაგზე საფუძველი ეყრება ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენის ჩამოყალიბებას.

წვრილი კაპიტალისტური წარმოება. კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია. წვრილი საქონლური წარმოების განვითარებას კაპიტალისტური საწარმოების დაარსებამდე მივყავართ. ვ. ი. ლენინი წერდა: „წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ შედარებით მსხვილ სახელოსნოების დაარსება წარმოადგენს მრეწველობის უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლას. დაქსაქსული წვრილი წარმოებიდან იქმნება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა რ ტ ი ვ ი კ ო ო პ ე რ ა ც ი ა"[3].

ჩვენ მიერ ზემოგანხილული მასალა მოწმობს, რომ სახელოსნოთა ნაწილი სწორედ დაქსაქსულ წვრილ საქონლურ წარმოებას განეკუთვნებოდა, ხოლო ზოგიერთ მათგანში უკვე აშკარა კაპიტალისტური ურთიერთობის ნიშნებს ვხვდებით. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სახელოსნოებს, სადაც დამხმარე მუშახელი დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა (10—20 კაცი).

XIX ს-ის პირველი ნახევრის სტატისტიკამ, მიუხედავად არასიზუსტისა, შემოგვინახა მონაცემები უკვე ამ დროისათვის საქართველოში წვრილი კაპიტალისტური წარმოების ფართო გავრცელებაზე. კერძოდ, ამ მონაცემების თანახმად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობდა აგურის, კრამიტის, თიხის ჭურჭლის, კირის გამოსაწვავი, სახერხი, საპნის, ტყავის, არყის, ზეთსახდელი, სამ-

---

[1] ЦГИЛ СССР, ф. 1287, оп. 38, д. 696, лл. 45—56.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება..., გვ. 284—295; ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა მე-19 ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1961, გვ. 103—104.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 413.

თითისტარების დამამზადებელი სახელოსნო.

ღებრო და სხვა საწარმოები, რომელთა საერთო ჯამი ასეულებს შეადგენდა[1].

აღნიშნულ საწარმოთა ხასიათის შესახებ, მართალია, ხელთ გვაქვს ძალზე მწირი ცნობები, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე არსებული მასალის

[1] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში 30—60-იან წლებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, 1952, გვ. 157—165.



სარაჯის სახელოსნო.

შესწავლა და დანარჩენებთან ანალოგიის გატარება შესაძლებელს ხდის წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რას წარმოადგენდა საერთოდ ამდროინდელი წვრილი წარმოება.

ასე მაგალითად, შედარებით მეტი ცნობები მოგვეპოვება ქუთაისში 50-იან წლებში არსებულ აგურის „ქარხნების“ შესახებ. ამ მონაცემებით აზნაურ ფირან ვარდანეიშვილის კუთვნილ აგურის „ქარხანაში“ მუშაობდა 1 ოსტატი და 2 მუშა. ასევე იყო ივანე გურულის „ქარხანაში“. ამ საწარმოთა წლიური პროდუქცია შეადგენდა 240 მანეთის ღირებულების 30 ათას ცალ აგურს. აქვე არსებობდა უფრო მსხვილი საწარმოებიც. აზნაურ მაქსიმე გაბაევის, მღვდელ ივანე ნაცვალოვის და გლეხ ბეჟან დადუნაშვილის „ქარხნებში“ მუშაობდა ორ-ორი ოსტატი და 3—6 მუშა.



წყლის წისქვილები და სამხერხაოები.

ამ საწარმოთა პროდუქცია თითოეულისა შეადგენდა 800 მან. ღირებულების 100 ათას ცალ აგურს. წყაროში (ე. წ. „უწყისებში“) პირდაპირ არის მითითებული, რომ ოსტატები და მუშები ამ საწარმოებში „ნებით დაქირავებულები“ იყვნენ[1].

სხვა მონაცემებით, ქუთაისის მაზრაში 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში იყო 3 არყის სახდელი „ქარხანა“, რომელიც ეკუთვნოდა „ტიტულიარნი სოვეტნიკს“ ნიკოლოზ ბაქრაძეს, აზნაურ იოსებ ჩარექოვს და აზნაურ ნიკოლოზ რევიას. ამ საწარმოთა წლიური პროდუქცია შეადგენდა თითოეულისა 400—500 მან[2]. 40-იან წლებში გორის მაზრის სოფ. ენაგეთში ყორღანოვს ჰქონდა ზეთსახდელი „ქარხანა“, სადაც მუშაობდა 2 ოსტატი და 5 მუშა. საწარმოში მამოძრავებელ ძალად წყლის ენერგია იყო გამოყენებული. ამავე ხანებში თავად ერისთავებს მოწყობილი ჰქონდათ სახერხი „ქარხნები“—ერთი ატენში, მეორე კი გორში. პირველში 4 ხერხი მოქმედებდა და პროდუქციის ღირებულება 2 800 მან. შეადგენდა, მეორეში კი — 2 ხერხი და პროდუქცია 400 მანეთს უღრიდა[3].

---

[1] სსცია, ფ. 4, საქ. 125, ფურც. 48—112.

[2] იქვე, 46.

[3] იქვე, ფ. 16, საქ. 8888, ფურც. 5—9; «Кавказ», 1850, №20.

ანალოგიური ცნობების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ წვრილ წარმოებაზე საერთოდ. ასეთ საწარმოთა დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ან ქალაქის მცხოვრებთ, უმეტესწილად გლეხთა წოდებიდან გამოსულ წვრილ ვაჭარ-საქმოსნებს, ან თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, მოხელეებსა თუ სასულიერო წოდების პირებსაც კი. საშუალოდ ამ საწარმოებში მუშაობდა 1—2 ოსტატი და 3—6 მუშა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგიურ ხასიათს ატარებდნენ ხელოსანთა გაფართოებული სახელოსნოებიც.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წვრილი კაპიტალისტური საწარმოები XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოცენდებოდნენ ძირითადად ისეთ დარგებში, სადაც არ არსებობდა ხელოსნური წარმოება (მაგალითად, საპნის, კრამიტის, ზეთსახდელი, არყისსახდელი წარმოება და სხვ.), ანდა სადაც ხელოსნური პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნილებას (აგურის, ტყავის და სხვ.). დამახასიათებელია, რომ ქ. ქუთაისში 50-იან წლებამდე არ არსებობდა აგურის წარმოება, ხოლო ამ დროიდან იგი ისახება წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა სახით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებისათვის, ჩვენი გამოანგარიშებით, საქართველოში დაახლოებით იყო 460-მდე წვრილი კაპიტალისტური საწარმო (ლითონდამმუშავებელი — სამჭედლო, საზეინკლო, სახარატო, ხის დამმუშავებელი — სახერხი და სადურგლო სახელოსნოები, აგურისა და კრამიტის, ტყავის, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის, არყისსახდელი, ლუდისსახდელი, საპნისა და სანთლის, ზეთსახდელი, ეტლების საწარმოები, სამღებროები და სხვ.), ამ საწარმოებში მუშაობდა სულ 2 ათასამდე მუშა, ხოლო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 720 ათასამდე მანეთს, ე. ი. საშუალოდ თითო საწარმოზე მოდის 4—5 მუშა და 1 500 მანეთამდე პროდუქცია. ზოგიერთ მსხვილ სახელოსნოში მუშაობდა 7—8 კაცი. აღნიშნულ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება მერყეობდა 1 ათასიდან 3—5 ათას მანეთამდე[1]. ამ საწარმოთაგან უმსხვილესნი უნდა განეკუთვნონ კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას.

---

[1] მონაცემები ასეთ საწარმოებზე იხ: ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება..., გვ. 106—150 და შემაჯამებელი ცხრილი — გვ. 211.

საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი საწარმოები თავიანთი ხასიათით და მასშტაბებით მოგვაგონებენ XIX ს-ის პირველ ნახევარში რუსეთის სამაზრო ქალაქების, განსაკუთრებით კი ცენტრალურ-სამიწათმოქმედო ოლქის ქალაქების — ვორონეჟის, ოსტროგოჟსკის და სხვათა სამრეწველო საწარმოებს. პ. გ. რინდზიუნსკი მათ შესახებ წერს: «Бросается в глаза большое однообразие тех заведений, которые именуются «фабриками» и «заводами». По Воронежской губернии это салотопленные и мыловаренные, воскобелильные и свечные, кожевенные и кирпичные «заводы», мельницы, крупорушки и пивоварки». იგივე ვითარება იყო ტამბოვისა და რიაზანის გუბერნიებში. მხოლოდ საგუბერნიო ქალაქებში (ვორონეჟში, სარატოვში, ხარკოვში, ტამბოვში და სხვ.) ანალოგიური

მანუფაქტურა. ფაბრიკული წარმოების ჩასახვა. შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები საქართველოში აღმოცენდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, 20 — 30-იანი წლებიდან, როდესაც ტექნიკური პროგრესი ევროპაში და აგრეთვე რუსეთშიც მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. საქართველოს სამრეწველო განვითარებას არ შეეძლო არ განეცადა ევროპისა და რუსეთის მრეწველობის გავლენა[1]. საქართველოში დაარსებულ პირველსავე შედარებით მსხვილ საწარმოებში ვხვდებით უცხოეთიდან თუ რუსეთიდან შემოტანილ მანქანა-იარაღებს (დაზგებს, ღუმელებს, ქვაბებს და სხვ.), მაგრამ ტექნიკური სიახლენი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდნენ წარმოებას. ხელით შრომა ჯერ კიდევ გაბატონებული იყო. სათანადო მომზადების მქონე ადგილობრივი კადრების არარსებობა ქმნიდა წინააღმდეგობას ტექნიკურ დონესა და მუშათა დაბალ კვალიფიკაციას შორის. ამიტომ საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან სხვადასხვა დანადგარებთან ერთად იწერდნენ კვალიფიცირებულ ოსტატებს და მუშებსაც. მანქანური ტექნიკის დანერგვის გზაზე არსებული დაბრკოლებანი (დანადგარების შემოტანის დიდი ხარჯები, კვალიფიცირებული მუშათა კადრების და აგრეთვე სათანადო ენერგეტიკული ბაზის არარსებობა) განაპირობებდა ხელით შრომის ბატონობას. მთელ რიგ საწარმოებში. ხელით მოჰყავდათ მოძრაობაში დაზგებიც კი, თუმცა ამ მიზნით გამოიყენებოდა ცხოველების და წყლის ენერგიაც. ორთქლის ძრავას არსებობა რეფორმამდელ ხანაში თუმცა დადასტურებულია რამდენიმე საწარმოში, მაგრამ მაინც იშვიათობას წარმოადგენდა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ შედარებით მსხვილ საწარმოთაგან ყურადღებას იმსახურებს ფრანგი ვაჭრის კასტელას მიერ თბილისში ხაზინის დახმარებით დაარსებული აბრეშუმსახვევი და საძახავი „ფაბრიკა“, რომელიც 1828 წლიდან ამოქმედდა[2]. კას-

---

წვრილი საწარმოების გვერდით, მსგავსად თბილისისა, იყო სხვა სახის შედარებით მსხვილი სამრეწველო დაწესებულებანიც. დამახასიათებელია, რომ ქ. ოსტროგოვსკის აგურის „ქარხნები“, საშუალოდ 2—3 მუშით და 350—700 მან. პროდუქციით ძალზე გვანან საქართველოს, კერძოდ, ქუთაისის, ასეთსავე „ქარხნებს“. იგივე ითქმის ქ. ბოგუჩარის ტყავის „ქარხნებზეც“, რომელთა პროდუქცია შეადგენდა 400-1000 მან. (იხ. П. Г. Риндзюнский, Городское гражданство дорсформенной России, М., 1958, გვ. 268—271, 274).

[1] ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ „კაპიტალიზმის განვითარება ახალგაზრდა ქვეყნებში საგრძნობლად ჩქარდება ძველი ქვეყნების მაგალითით და დახმარებით“, თხზ., ტ. 3, გვ. 580.

[2] აღნიშნული საწარმო კარგად არის ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв. I, Тб., 1957, გვ. 248—266; ე. ხოშტარია, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება სა-

ტელას სიკვდილის შემდეგ იგი ხაზინის ხელში გადავიდა და, როგორც სახაზინო საწარმომ, იარსება 40-იანი წლების დასაწყისამდე. „ფაბრიკაში“ თავიდანვე მოქმედებდა საფრანგეთიდან გამოწერილი დაზგები და სხვა მოწყობილობა. იქიდანვე იყვნენ მოყვანილი კვალიფიცირებული ოსტატებიც, მაგრამ წამყვან როლს წარმოებაში ასრულებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაქირავებული მუშები. უკანასკნელთა რიცხვი ზოგჯერ 50-მდე აღწევდა, ხოლო სამუალოდ 15—20 კაცს შეადგენდა. პერიოდულად, ძირითადად დამხმარე სამუშაოებზე (დაზგების მოძრაობაში მოყვანა, ყაჭის დახარისხება, შეშის დაპობა და სხვ.) გამოიყენებოდა ტყვე თურქებისა და უმთავრესად რუსეთიდან ჩამოყვანილი პატიმარი ქალების შრომა. „ფაბრიკის“ პროდუქცია თვეში 4—5 ფუთს შეადგენდა, რომელიც ნაწილობრივ ადგილზე იყიდებოდა, ხოლო ნაწილობრივ მოსკოვში გადიოდა. თბილისის აბრეშუმსახვევი და საძახავი „ფაბრიკა“, იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც ხელთ გვაქვს (დაქირავებული შრომის გამოყენება, შრომის დანაწილება და სხვ.), წარმოადგენდა მანუფაქტურის ტიპის შედარებით მსხვილ საწარმოს, მანქანური წარმოების ელემენტებით[1].

შედარებით უფრო გვიან, კერძოდ, 50—60-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში არსებობდა რამდენიმე აბრეშუმსახვევი საწარმო, რომელთაგანაც ყურადღებას იქცევს უცხოელების როზმორდიუკის „ფაბრიკა“ ზუგდიდში და გოხშტრაზერისა — ორპირში. დაზგები ამ საწარმოებშიც უცხოეთიდან (საფრანგეთი, იტალია) იყო გამოწერილი. წარმოებას ხელმძღვანელობდნენ უცხოელი სპეციალისტები, მუშახელს კი ადგილობრივ მცხოვრები ქალები წარმოადგენდნენ. მათი რიცხვი როზმორდიუკის საწარმოში 30-ს შეადგენდა. ეს საწარმო იძლეოდა 6 300 მანეთის ღირებულების 30 ფუთამდე ნაწარმს. აქ დამზადებული აბრეშუმები იყიდებოდა რუსეთსა და უცხოეთში (კონსტანტინოპოლში, საფრანგეთში). წყაროებში მოიპოვება მითითება ამ საწარმოებში ორთქლის მანქანების გამოყენების შესახებ, თუმცა ხელით შრომა ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ აბრეშუმსახვევი საწარმოები ჰქონდა ადგილობრივ

ქართველოში XIX ს 30—60-იან წლებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958, გვ. 111—175; დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864), თბ., 1959, გვ. 106—122; მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968, გვ. 83—100 და სხვ.; ამავე ნაშრომებში განხილულია საქართველოში XIX-ს-ის 60-იან წლებამდე არსებული სხვა მსხვილი საწარმოებიც, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება..., გვ.266—273; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში 30—60-იან წლებში, გვ. 175—176; დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები, გვ. 123—131.

მემამულე ნ. ჩიჯავაძეს (სოფ. საბეაკში) და ვაჭარ სიჭინავას (სოფ. ლესიჭინეში).

მაგრამ, ყირიმის ომის დროს სამეგრელოს ტერიტორიაზე წარმოებულმა საომარმა მოქმედებამ, ხოლო შემდეგ, 60-იანი წლების შუა ხანებიდან გავრცელებულმა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ, დროებით შეაფერხა აბრეშუმის წარმოება დასავლეთ საქართველოში. აღნიშნული საწარმოები თავისი ხასიათით არსებითად წარმოადგენდა მანუფაქტურებს მანქანური ტექნიკის ჩანასახებით.

30-იანი წლების მიწურულს თელავში ადგილობრივმა ვაჭარმა შავერდოვმა გახსნა ბამბის სართავი „ფაბრიკა", რომელმაც სულ რამდენიმე წელი იარსება. სართავი დაზგები გამოწერილი იყო მოსკოვიდან. იქიდანვე იყვნენ ჩამოყვანილნი კვალიფიცირებული ოსტატები. დაზგები მოძრაობაში ხარების საშუალებით მოჰყავდათ. საწარმოს პროდუქცია გასაყიდად გაჰქონდათ მოსკოვში. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და რუსი ოსტატების სამშობლოში დაბრუნების გამო „ფაბრიკამ" შეწყვიტა მოქმედება.

ამავე პერიოდში ბორჯომის ხეობაში, ხოლო შემდეგ აწყურის მახლობლად არსებობდა ზავილეისკის მინის „ქარხანა", რომლისთვისაც პეტერბურგიდან გამოწერილ იქნა ჰოლანდიური მინის სალღობი ქურა. წარმოებას ხელმძღვანელობდნენ რუსი ოსტატები. აქვე მუშაობდა 16 რუსი მუშა. 30-იანი წლების მიწურულს, წარმოების დახურვის წინ, მისი პროდუქციის ღირებულება 20 ათას მანეთამდე აღწევდა.

მეორე მინის „ქარხანა" გორის მაზრის სოფ. ღვარეგბში მოწყობილი ჰქონდათ თავად ერისთავებს. ამ საწარმომ იარსება 40-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე. „ქარხანაში" მუშაობდა 20—30 დაქირავებული მუშა, ხოლო დამხმარე სამუშაოებს (შეშის მოჭრა, სილის მოთხრა და სხვ.) ასრულებდნენ ერისთავების ყმები. წარმოებაში ჩაბმული იყო სულ 100-მდე კაცი. საწარმოს პროდუქციის ღირებულება აღწევდა 15 ათას მანეთამდე. ნაწარმი (ბოთლები, ფანჯრის მინა, სააფთიაქო ჭურჭელი) იყიდებოდა მთელ საქართველოში და გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საწარმო XIX ს-ის პირველ ნახევარში იყო 30-იანი წლების მიწურულს თბილისში ზუბალაშვილისა და სხვა ვაჭრების მიერ დაარსებული შაქრის „ქარხანა", რომელმაც 40-იანი წლების შუა ხანებამდე იარსება. მუშათა რაოდენობა საწარმოში 50 კაცს აღწევდა (ადგილობრივ მცხოვრებთაგან). აქვე იყო 10-მდე ნოქარი და ზედამხედველი. საწარმოს მაქსიმალური გამომუშავება 40-იანი წლების დასაწყისში 186 ათას მანეთს შეადგენდა, მაგრამ მან შეწყვიტა არსებობა იმის გამო, რომ არ გააჩნდა ადგილობრივი ნედლეული. საწარმო თავდაპირველად ამუშავებდა შეღავათიანი ტარიფით საზღვარგარეთიდან შემოტანილ შაქრის ფხვნილს, ხოლო შემდგომისათვის კომპანიას ადგილობრივ

(ამიერკავკასიაში) უნდა გაეშენებინა შაქრის ლერწმის პლანტაციები, რაც; არ შესრულდა. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე რუსული „ქარხნების“ ნაწარმის კონკურენციამ.

30—40-იან წლებში თბილისში სხვადასხვა დროს მოქმედებდნენ საპნის „ქარხნები“ ლორის-მელიქოვის, მეღვინოვის, შულცის და ხატისოვის. ამ საწარმოებში მუშაობდა 10-დან 30-მდე მუშა. თითოეული „ქარხნის“ საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენდა 15 ათასამდე მანეთს.

ასეთივე საწარმო იყო 40-იან წლებში თბილისის მახლობლად (სოფ. დრეში) არსებული ანდრეევსკის ტყავის „ქარხანა“. მუშათა რაოდენობა აქ 16 კაცს შეადგენდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 16 ათას მანეთს აღწევდა. „ქარხანაში“ არსებული ხის ქერქის სანაყი მანქანა ცხენის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში.

თბილისში ამავე დროს არსებული ზავრიევის სპილენძის ჭურჭლის „ქარხანა“ წლიურად იძლეოდა 18 ათასი მანეთის ნაწარმს. აქ 40—50 ოსტატი და მუშა მუშაობდა.

50-იანი წლების დასაწყისში თბილისის მახლობლად სოფ. დრეში უცხოელმა კარლ მეიცნერმა მეფისნაცვალ ვორონცოვის დახმარებით მოაწყო მაუდის „ფაბრიკა“. ვორონცოვი ვარაუდობდა, რომ ამ „ფაბრიკის“ ნაწარმით უზრუნველყოფდა კავკასიის არმიას შედარებით იაფი მაუდით. მაგრამ რუსული ფაბრიკანტების ინტერესებიდან გამომდინარე. ფინანსთა მინისტრმა უარი განაცხადა თბილისის მაუდის საწარმოსათვის სახელმწიფო დაკვეთის მიცემაზე. წარმოების წინაშე წამოჭრილი სიძნელეების გამო (კაპიტალის სიმცირე და სხვ.), განსაკუთრებით ადგილობრივ ბაზარზე. „ფაბრიკის“ ნაწარმზე მოთხოვნილების არარსებობის პირობებში („ფაბრიკა“ უშვებდა ისეთ უხეშ მაუდს, რომლის ხმარება, ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო იყო) საწარმო დაიხურა.

მეიცნერის მაუდის „ფაბრიკის“ ხვედრი მაგალითია საქართველოში ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკისა, რომელიც თავდაპირველად ერიდებოდა ადგილობრივი წარმოების ხელის შეწყობას რუსეთის ფაბრიკების ნაწარმის გასაღების შეკვეცის შიშით. ამასთანავე ამ საწარმოს მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ესა თუ ის ახალი წარმოება ადგილობრივ ბაზარზე, ადგილობრივი მოსახლეობის გემოვნებასა და მოთხოვნილებაზე.

50-იანი წლებიდან თბილისში ამოქმედდა უცხოელ შტუსეს „ლითონსასხმელი და მექანიკური ქარხანა“. აქ არსებული უცხოეთიდან შემოტანილი დანადგარები ცხენის საშუალებით მოჰყავდათ მოძრაობაში. ჯერ კიდევ 40-იან წლებში თბილისშივე დაარსდა ყორღანოვის თუჯსასხმელი „ქარხანა“. იგივე უნდა იყოს 60-იან წლებში თბილისში არსებული

მექანიკური და თუჯსასხმელი საწარმოები, რომელთა წლიური გამომუშავება ამ დროს თითოეულისა 15—16 ათას მანეთამდე აღწევდა.

შედარებით მსხვილი საწარმოები 50—60-იან წლებში თბილისში. იყო ხეიტცერის ავეჯის „ფაბრიკა“, ეტლების ზოგიერთი საწარმო, სახაზინო საწახნაგო „ფაბრიკა“. უნდა აღინიშნოს აგრეთვე 50-იანი წლებიდან თბილისში გახსნილი ენფიანჯიანცის და ბოზარჯიანცის თამბაქოს „ფაბრიკები“, სადაც ამ დროს 10—15 მუშა მუშაობდა. ეს უკანასკნელნი შემდგომ მსხვილ ფაბრიკულ საწარმოებად გადაიქცა.

ამრიგად, 40—50-იან წლებში საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მრეწველობის თითქმის ყველა დარგში — ლითონისა და ხე-ტყის დამმუშავებელ წარმოებაში, მინის, ტყავის, აბრეშუმის, საპნის წარმოებაში, ტექსტილურ და კვების მრეწველობაში — არსებობდა შედარებით მსხვილი საწარმოები. ყველა მათგანში გამოყენებული იყო დაქირავებული მუშების შრომა. იქაც კი, სადაც შესაძლებლობა იყო იძულებითი შრომის გამოყენებისა (ყმები — ერისთავების მინის „ქარხანაში“, პატიმარი ქალები — თბილისის აბრეშუმის „ფაბრიკაში“), ძირითად სამუშაოებს ასრულებდნენ დაქირავებული მუშები. აღნიშნულ საწარმოთა უმრავლესობა ემსახურებოდა საკმაოდ ფართო ბაზარს. აბრეშუმის ნაწარმი გადიოდა საზღვარგარეთ და რუსეთში; ტყავის, საპნის, მინის, თამბაქოს საწარმოთა პროდუქცია საღდებოდა მთელ ამიერკავკასიაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

ჩამოთვლილ საწარმოთაგან უმრავლესობა წარმოადგენდა მთლიანად ხელით შრომაზე დამყარებულ ტიპიურ მანუფაქტურას. ზოგიერთი მათგანი კი უფრო რთულ ხასიათს ატარებდა. სხვადასხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა, უცხოეთიდან შემოტანილი დაზგებისა და სხვა დანადგარების დანერგვა, განსაკუთრებით ცხოველებისა თუ წყლის ენერგიის გამოყენება და ზოგიერთ შემთხვევაში ორთქლის ძრავის არსებობა საფუძველს გვაძლევს ტექნიკური თვალსაზრისით ეს საწარმოები განვიხილოთ, როგორც მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გარდამავალი საფეხური, მაგრამ, მეორე მხრივ, პირადი დამოკიდებულების და პატრიარქალური ურთიერთობის ნაშთების არსებობისა და კადრის მუშათა უქონლობის გამო, რომელთა კონტინგენტი მხოლოდ ეხლა იქმნებოდა, მთლიანობაში აღნიშნულ საწარმოებს ჩვენ უპირატესად მანუფაქტურულ წარმოებას მივაკუთვნებთ.

მართალია, ჩამოთვლილი, შედარებით მსხვილი საწარმოები, როგორც წესი, არ გამოირჩეოდნენ ხანგრძლივი არსებობით, რაც თავისთავად მანუფაქტურისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ რადგანაც მათი უმრავლესობა აღმოცენებული იყო ადგილობრივი ბაზრის განვითარების შედეგად, მთლიანად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, კერძოდ, ამ საწარმოებს არ შეიძლება არ მოეხდი-

ნათ ზეგავლენა ძველი, ფეოდალური ურთიერთობების რღვევისა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, საგლეხო რეფორმის გატარებისათვის ადგილობრივი, შინაგანი პირობების მომზადებაზე.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ შედარებით მსხვილ საწარმოთა მაგალითზე კარგად ჩანს ის თავისებურება, რომელიც აქ მრეწველობის განვითარებას თავიდან დაჰყვა ქვეყანაში შექმნილი პირობების გამო. რუსეთის ცარიზმი განიხილავდა რა საქართველოს, როგორც კოლონიას, თავდაპირველად ზრუნავდა, რათა აქ განვითარებულიყო მხოლოდ მრეწველობის ისეთი დარგები, რომელნიც არამცთუ ხელს არ შეუშლიდა საკუთრივ რუსეთის მრეწველობას, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობდა მას წინასწარ დამუშავებული ნედლეულისა თუ ნახევარფაბრიკატების მიწოდებით. მეორე მხრივ, ცარიზმი, საკუთრივ რუსეთის სამრეწველო განვითარების შედარებითი სისუსტის გამო, ხელს უწყობდა ადგილზე ისეთი დარგების აღმოცენებასაც, რაც აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (კერძოდ, ლითონდამმუშავებელი წარმოება). მაგრამ საბოლოოდ ასეთი „ზრუნვა", მიუხედავად იმისა, რომ ცალმხრივ ხასიათს ატარებდა, ობიექტურად ნიშნავდა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელის შეწყობას.

მეტად საინტერესოა საკითხი საქართველოს მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალის წყაროების შესახებ. ასეთი წყარო რამდენიმე იყო, რაც თავიდანვე იჩენს თავს. დამახასიათებელია ამ მხრივ კასტელას აბრეშუმსახვევი „ფაბრიკის" მაგალითი. კასტელა ეკუთვნოდა ტიპიური უცხოელი საქმოსნების რიცხვს, რომელნიც მრავლად იყვნენ ამ დროს რუსეთსა და მის განაპირა მხარეებში. მან კარგად შეაფასა ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა, კერძოდ, აბრეშუმის ნედლეულის გამოყენების ხელსაყრელობა და ამ საქმით დააინტერესა რუსეთის მმართველი წრეებიდან მეტად გავლენიანი პირები. აღსანიშნავია, რომ მას მხარს უჭერდა თვით რუსეთის ფინანსთა მინისტრი კანკრინი, ხოლო კომპანიონებად ჰყავდა თავადები გოლიცინი, პოტიომკინი, და კურაკინი. ამ უკანასკნელების წილი წარმოებაში შეადგენდა ნახევარ მილიონზე მეტ მანეთს ასიგნაციებით (135 ათას მანეთს ვერცხლით). კასტელას კომპანიონები იყვნენ სხვა უცხოელი საქმოსნებიც, რომელთაც თავის მხრივ გარკვეული სახსრები დააბანდეს წარმოებაში და აგრეთვე ქართველი ვაჭარი ეგორ ქედხუდაშვილიც. ამ უკანასკნელს კასტელასთვის მიუცია 5 ათასი მანეთი[1].

ამრიგად, წარმოებაში კაპიტალი თავიდანვე მოედინება რუსეთიდან და უცხოეთიდან. ამასთანავე მასში უკვე მონაწილეობს ადგილობრივი კაპიტალიც. ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის მრეწველობაში დაბანდე-

---

[1] П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, Тб., 1957, გვ. 258.

ბის საუცხოო მაგალითია ზუბალაშვილის და კომპანიის შაქრის „ქარხანა“. როგორც ცნობილია, საქართველოს მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხაზინამაც ცალკეულ საწარმოთა დაფინანსებისა, თუ მიწების გამოყოფის გზით.

კაპიტალის იგივე წყაროებია დადასტურებული მომდევნო ხანაშიაც. 60-იანი წლების შუა ხანებისათვის წვრილი კაპიტალისტური, მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოების შეფარდებაზე წარმოდგენას გვიქმნის ქვემომოტანილი მონაცემები[1].

ცხრილი 5

მრეწველობის ფორმები	საწარმოთა რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	პროდუქცია (ათას მან.)
წვრილი კაპიტალისტური წარმოება	462	1921	722,2
მანუფაქტურა	29	483	244,0
ფაბრიკა-ქარხნული წარმოება	4	132	80,0
სულ	495	2536	1046,2

მართალია, ერთი წლის მონაცემებით ძნელია მსჯელობა საერთოდ რეფორმამდელი ხანის საქართველოს სამრეწველო განვითარების დონის შესახებ, რადგან მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა საწარმოებმა სხვადასხვა მიზეზის გამო ადრევე შეწყვიტეს არსებობა და ვერ მიაღწიეს 60-იანი წლების შუა ხანებამდე, მაგრამ მოტანილი მასალა ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს მრეწველობის განვითარების მასშტაბებსა და ხასიათზე.

60-იანი წლების შუა ხანების საქართველოს სამრეწველო განვითარების დონის განსაზღვრისათვის საინტერესოა ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის გაანგარიშება.

1865 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 566 ათასი მცხოვრები იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 624 ათასი, ე. ი. სულ დაახლოებით 1 190 ათასი სული[2]. ამდენად, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა დაახლოებით 2 მანეთამდე სამრეწველო პროდუქცია, მთელი საქართველოს მასშტაბით კი 1 მანეთამდე. თუ ამ მონაცემებს შევუდარებთ უშუალოდ რეფორმის მომდევნო ხანის რუსეთის ევროპული გუბერნიების მდგომარეობას, დავინახავთ,

[1] ცხრილში არ არის გათვალისწინებული წვრილი საქონლური („ხელოსნური წარმოება“).

[2] Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тиф., 1869, отд. II, гл. 10—11. თბილისის გუბერნიის მოსახლეობის მონაცემებიდან გამოვრიცხავთ ელიზავეტპოლის მაზრას, ხოლო შეგვაქვს ახალციხის მაზრა (ახალქალაქითურთ), რომელიც ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა. შესაბამისად ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობას ვაკლებთ ახალციხის მაზრის მოსახლეობას.

რომ საქართველო სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით იდგა ევროპული რუსეთის, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ოლქის გუბერნიათა ნაწილის, დონეზე[1].

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება. სამთამადნო წარმოების დარგებიდან XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ალავერდის და შამბლუღის სპილენძის საწარმოები. ალავერდის მადნების დამუშავება დაიწყო ჯერ კიდევ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ს მიერ ანატოლიიდან გადმოსახლებული ბერძენი ოსტატების მეშვეობით. თავდაპირველად ეს წარმოება მსხვილი სახელმწიფო მანუფაქტურის ხასიათს ატარებდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1803—1816 წლებში, იგი ხაზინის ხელში გადავიდა და „სამთო ექსპედიციას" დაექვემდებარა. ამ ხნის განმავლობაში აქ რუსი ოსტატები და მუშებიც იყვნენ დასაქმებულნი, თუმცა წარმოებას ძირითადად ისევ ბერძნები ეწეოდნენ. ხაზინის ხელში სპილენძის დამუშავების წესებსა და ტექნოლოგიაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ბერძენი ოსტატები მადნის ამოსაღებად ადგენდნენ ამხანაგობებს. თითოეულ ოსტატს დაქირავებული ჰყავდა 1—8 მუშა. ერთ მათგანს 16 მუშაც კი ჰყავდა. მუშათა კონტინგენტს უმთავრესად საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან (ქართლიდან, ჯავახეთიდან და უმთავრესად იმერეთიდან) მოსული გლეხები ქმნიდნენ. შეშის მიწოდება და ნახშირის გამოწვა დაკისრებული ჰქონდათ მახლობელი სოფლების მცხოვრებთ. მადნის მოპოვების შემდეგ ხდებოდა მისი გამოწვა საგანგებო ქურებში, შემდეგ კი „შავი სპილენძის" გამოდნობა. „შავი სპილენძიდან" დაწმენდის გზით იღებდნენ სუფთა სპილენძს. აღნიშნულ ოპერაციებს აწარმოებდნენ ცალკე ოსტატები და მუშები, მადნის მომპოვებელი ოსტატების ხარჯზე. მიღებული პროდუქციის მეათედს ბერძენი ოსტატები ხაზინას უსასყიდლოდ აბარებდნენ, დანარჩენს კი გარკვეული საზღაურის ფასად აძლევდნენ.

---

[1] თანახმად ოფიციალური მონაცემებისა (Статистический временник Российской империи, I, СПБ, 1866) 1863 წლისათვის ევროპული რუსეთის 49 გუბერნიიდან ერთ სულ მოსახლეზე 1 მანეთამდე სამრეწველო პროდუქცია მოდიოდა 13 გუბერნიაში, 1-დან 2 მანეთამდე—18 გუბერნიაში, ხოლო 2 მანეთიდან 6—7 მანეთამდე—15 გუბერნიაში. თავისი სამრეწველო განვითარებით თვით რუსეთშივე გამოირჩეოდა მოსკოვის, პეტერბურგის და ვლადიმირის გუბერნიები, სადაც 1 სულ მოსახლეზე მოდიოდა 20—50 მანეთის პროდუქცია (იგულისხმება აქციზით დაუბეგრავი წარმოება).

თბილისის გუბერნია, რომ ავიღოთ 1863 წლის ოფიციალური მონაცემები, რომელთა თანახმადაც ერთ სულ მოსახლეზე აქ მოდიოდა 1 მან. და 20 კაპიკი, იდგა ისეთი გუბერნიების რიგში, როგორიცაა ვოლინის, ვიატკის, ეკატერინოსლავის, კურსკის, მოგილევის, ორენბურგის, სამარის, სარატოვის, თავრიდის, ტამბოვის, ხარკოვის, პენზის, ჩერნიგოვისა და სხვ., სადაც ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით მოდიოდა 1—1,6 მანეთამდე პროდუქცია.

ამრიგად, სპილენძის წარმოების პროცესში შეიმჩნევა შრომის დანაწილება (მადნის მოპოვება, გამოწვა, გამოდნობა, დაწმენდა), მაგრამ იმის გამო, რომ ოსტატ-მწარმოებელთა კაპიტალი დაქსაქსული იყო და ისინი ცალ-ცალკე უძღვებოდნენ წარმოებას, არა გვაქვს საფუძველი მთლიანად აღნიშნული წარმოება ამ დროისათვის ერთ მანუფაქტურად მივიჩნიოთ[1]. კაპიტალისტური ურთიერთობის, კერძოდ, მანუფაქტურის საწყისებს ვხედავთ მხოლოდ ცალკეულ, შედარებით მსხვილ, მრეწველთა წარმოებაში. უმეტესწილად კი საქმე გვაქვს კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის ან წვრილ („კუსტარულ") წარმოებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით სამთო ექსპედიციაც ზღუდავდა ცალკეულ ოსტატ-მრეწველებს იმით, რომ ნებას არ რთავდა მადნის მოპოვებისას 15 მუშაზე მეტი ჰყოლოდათ. ამავე დროს იგი მათ ინიციატივას ართმევდა თავიანთი პროდუქციის გასაღების საქმეში.

შამბლუღის სპილენძის საბადოები აღმოჩენილ იქნა 1818 წელს. 1820 წლისათვის ალავერდსა და შამბლუღში გამოდნობილ იქნა 2 500-მდე ფუთი სპილენძი. მუშათა რაოდენობა აქ 120 კაცს აღწევდა, მიწერილი გლეხებისა კი 156-ს. უკანასკნელებს სამუშაოდ გამოჰყავდათ 78 ცხენი. 40-იან წლებში წლიურად გამოდნობილი სპილენძის რაოდენობა 4—8 ათას ფუთს უდრიდა[2]. 50-იანი წლებიდან მახლობელი სოფლების გლეხებს მოეხსნათ სამთამადნო სამუშაოებში მონაწილეობის ვალდებულება და მათ ადგილიდან დაქირავებული მუშები ცვლიან.

60-იანი წლების შუა ხანებისათვის ალავერდში, შამბლუღსა და ახტალაში წლიურად ადნობდნენ 6 500-მდე ფუთ სპილენძს. მუშათა რაოდენობა აქ დაახლოებით 280-ს აღწევდა. დამხმარე სამუშაოებს 40-მდე მუშა ასრულებდა, ე. ი. წარმოებაში დასაქმებული იყო 320-მდე კაცი[3].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სპილენძის დამუშავება აღებულ პერიოდში ვერ აღწევს ფართო მასშტაბებს და აქ ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს წარმოების კონცენტრაციას, რეფორმამდელ ხანაში ეს იყო საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მნიშვნელოვანი უბანი, სადაც ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემოჭრას. რაც მთავარია, ამ ურთიერთობებში ებმება საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ადგილიდან მოსული მუშების სახით. უფრო გვიან უც-

---

[1] ასეთ თვალსაზრისზე დგას დ. გოგოლაძე. იხ. მისი სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, გვ. 155.

[2] მონაცემები ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის მადნის დამუშავების შესახებ 20-იანი წლების ჩათვლით აღებული გვაქვს გამოცემიდან: Материалы к истории горной промышленности Грузии, (1799—1829), Тб., 1936.

[3] Сб. статист. свед. о Кавказе, 1869, I, разд. II, გვ. 78—79.

ხოური კაპიტალის წყალობით ეს წარმოება მსხვილ კაპიტალისტურ ხასიათს იღებს.

რკინის მადნის მოპოვება და გამოდნობა XIX ს-ში საქართველოში შემორჩენილი იყო წვრილ („კუსტარულ") საწარმოთა სახით სხვადასხვა რაიონებში და განსაკუთრებით რაჭის სოფლებში — წედისსა და ქვედში. მაგრამ ეს წარმოება ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო და ისიც რუსეთიდან რკინის შემოტანის ზრდისკვალად ეცემოდა.

რკინის გამოდნობის მსხვილი წარმოების დაარსების პირველი ცდა საქართველოში ეკუთვნის უცხოელ ერნსტ ლიბს, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ჩათახში, ბოლნისის მახლობლად არსებული რკინის მადნის ბაზაზე, 60-იანი წლების დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას. მაგრამ მოსამზადებელ სამუშაოთა დამთავრებამდე, 1862 წელს ლიბი გარდაიცვალა. წარმოებას სათავეში ჩაუდგა ლიბის მეუღლე და მისი რწმუნებული ვიტე.

1862 წლის მიწურულს ქარხნის მშენებლობა ძირითადად დამთავრებული იყო და დაიწყო თუჯის საცდელი გამოდნობა. ხაზინის ვალი კი ამ დროს 105 ათას მანეთს შეადგენდა. 1863 წელს ქარხანა კონტრაქტით გადაეცა უცხოელ ინჟინერ ბერნულს და ვიტეს. მაგრამ წარმოების საქმეების გამოსწორება მაინც ვერ ხერხდებოდა. 1868 წელს, ვიტეს სიკვდილის დროისათვის, წარმოებას 678 ათასი მანეთი ვალი ჰქონდა, აქედან ხაზინისა — 190 ათასი მანეთი.

როგორც ვხედავთ, ჩათახის ქარხნის მოწყობაზე მნიშვნელოვანი თანხა იქნა გაღებული. ეს წარმოება ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. კერძოდ, 70-იანი წლების დასაწყისის აღწერილობის თანახმად, აქ გამართული იყო 2 ბრძმედი (доменные печи), 2 სალღობი ქურა (вагранки), 2 საგუნდე ქურა (кричные горны), 10-ტონიანი საგუნდე ურო (кричный молот), სპილენძის სადნობი თვითმბერი ქურა, 6 სამჭედლო ქურა. ცალკე იყო გამართული საჩამომსხმელო, საყალიბე და მექანიკური საამქროები („ფაბრიკები"). მექანიკურ საამქროში იყო 40-მდე სახვრეტი, სახარატო, ხრახნსაჭრელი და სხვა დაზგა („მანქანები"). მთელი ეს ტექნიკა მოძრაობაში მოდიოდა წყლის დამრტყმელი ბორბლის (наливное колесо) საშუალებით. კერძოდ, ბრძმედებისა და ქურებისათვის განკუთვნილი საბერველი „მანქანა" მოძრაობაში მოჰყავდა 20 ცხენისძალიან ბორბალს. უშუალოდ წარმოებაში ჩაბმული იყო 65 მუშა[1].

ქარხანამ თავისი არსებობის მანძილზე დაამზადა ყუმბარები სამხედრო უწყების დაკვეთით, მილები თბილისის საქალაქო საავადმყოფოსათვის,

[1] „საისტორიო მოამბე", № 9, 1956, გვ. 53—54.

ქალაქის ბაღის რკინის გალავანი, ბოძები ინგლის-ინდოეთის სატელეგრაფო ხაზისათვის, რკინის ნაწილები ხიდებისათვის და სხვ. 15 წლის არსებობის მანძილზე ქარხანაში სულ გადადნობილ იქნა 346 ათასი ფუთი მადანი, რამაც მოგვცა 120 ათასი ფუთი თუჯი და 17 ათასი ფუთი საგუნდე რკინა (кричное железо). ქარხანას უნდა დაემზადებინა რელსები რკინიგზის მშენებლობისათვის, რაზედაც გაფორმებულ იქნა კონტრაქტი. მაგრამ ეს საქმე არ განხორციელდა[1].

იმის გამო, რომ ქარხანა თავიდანვე არ იყო უზრუნველყოფილი მსხვილი შეკვეთებით და მან თავისი არსებობა ვერ გაამართლა, 1875 წელს დაინიშნა მისი საჯარო გაყიდვა.

40-იანი წლებიდან იწყება ტყიბულის ქვანახშირის საბადოების დამუშავება. 1856 წელს ხაზინასა და ადგილობრივ მემამულეებს აგიაშვილებს, კანდელაკებსა და აბაშიძეებს შორის დაიდო კონტრაქტები, რომლის ძალითაც ხაზინას მემამულეებისათვის თითოეულ ფუთზე $^3/_4$ კაპიკი უნდა გადაეხადა. თავდაპირველად მადნის მოპოვება ხდებოდა ჯარის ნაწილების შემწეობით. 1847 წლიდან კი აქ ლუგანსკიდან გადმოიყვანეს სამთო ინჟინრები და მუშები (სულ 10 კაცი). წარმოებაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მუშახელიც, რაც იქიდან ჩანს, რომ მემამულეებსა და ხაზინას შორის დადებული კონტრაქტი ითვალისწინებდა შენობების აგებას როგორც სამხედრო ნაწილისათვის, ასევე წარმოებაში დასაქმებული სხვა სახის მუშახელისათვის (всякого рода рабочие люди). უნდა ვიფიქროთ, რომ მადნის მოპოვების შემდეგ შესასრულებელი მეტად შრომატევადი სამუშაოები: მადნის მაღაროდან გამოტანა, მისი კუბიკურ საჟენებად დაწყობა გაზომვის მიზნით და სხვა, ძირითადად სრულდებოდა სწორედ ზემოაღნიშნული მუშახელის საშუალებით[2]. 1848 წლიდან ტყიბულიდან ქუთაისამდე და რედუტ-კალემდე ქვანახშირის გადმოზიდვა კონტრაქტით იკისრა „გუბერნსკი სეკრეტარმა" კრეიჟანოვსკიმ, მაგრამ უგზოობის გამო მან მხოლოდ მცირე რაოდენობის მადნის გადაზიდვა შეძლო. გადაზიდვას აწარმოებდნენ ადგილობრივი აზნაურებიც, მათ შორის ალხაზიშვილი[3]. მაგრამ იმ დროისათვის ქვანახშირის მოპოვება ჯეტად უმნიშვნელო იყო. 1848 წელს მოპოვებულ იქნა მხოლოდ 60 ათასი ფუთი[4]. 1860 წელს კი 150 ათასი ფუთი[5]. ქვანახშირის გამოყენება

---

[1] ЦГИА СССР, ф. 37, оп. 67, д. 434, лл. 15—17; სსცია, ფ. 10, საქ. 1251; იქვე, საქ. 1457; „საისტორიო მოამბე", 9, 1956, გვ. 41—43.

[2] სსცია, ფ. 16, საქ. 9024, ფურც. 2; იქვე, ფ. 10, საქ. 369.

[3] სსცია, ფ. 10, საქ. 374.

[4] АКАК, Ч, გვ. 867.

[5] ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 15.

თავდაპირველად ხდებოდა გემებზე (შავ ზღვაზე) და აგრეთვე ქალაქებში შენობების გასათბობად.

XIX ს-ის პირველ ნახევარშივე იწყება ნავთის მოპოვება და გადამუშავება შირაქის ველზე. მაგრამ ამ წარმოების მასშტაბები უმნიშვნელო იყო.

საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობაში 60-იანი წლების შუა ხანებისათვის ჩაბმული იყო დაახლოებით 500-მდე მუშა.

* * *

ზემოთ განვიხილეთ საქართველოში 30—60-იან წლებში დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება დაწყებული მისი უმარტივესი ფორმებიდან (საოჯახო მრეწველობა, ხელოსნობა) შედარებით მსხვილ წარმოებამდე. შევეხეთ სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების დარგებსაც.

საქართველოს სამრეწველო განვითარების ტენდენციები რეფორმამდელ ხანაში, კერძოდ, ამქრული ხელოსნობის მსხვრევა და წვრილსაქონლური წარმოების გაფართოება, წვრილი კაპიტალისტური წარმოების ფართო გავრცელება და აგრეთვე შედარებით მსხვილ, მანუფაქტურულ საწარმოთა აღმოცენება მანქანური ტექნიკის ჩანასახებით, კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრა სამთამადნო წარმოებაში, დაქირავებული შრომის სისტემატური გამოყენება როგორც წვრილ, ასევე შედარებით მსხვილ წარმოებაში, ვფიქრობთ საფუძველს იძლევა ვამტკიცოთ მოცემული პერიოდის საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობა[1].

§ 3. ვაჭრობა

ვაჭრობა უცხო ქვეყნებთან და რუსეთთან. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი დღეებიდანვე რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა აქ მყოფი მრავალრიცხოვანი არმია ადგილობრივი საქონლით და სურსათ-სანოვაგით დაეკმაყოფილებინა. ძირითადად ამის გამო მთელი მისი სავაჭრო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში ვაჭრობის მონოპოლია თვითონ ჩაეგდო ხელთ და სასწრაფოდ უზრუნველეყო ვაჭრობის ნორმალური მიმდინარეობა. გარდა ამისა, სავაჭრო მონოპოლიის მოპოვება რუსეთის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლადაც გამოადგებოდა. 800-იანი წლების ბოლოს საქართველოს მთავარსარდალი ტორმასო-

---

[1] განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ზ. ანჩაბაძეს, მ. დუმბაძეს, გ. ბაქრაძესა და სხვ. ისინი უარყოფენ კაპიტალისტური წყობის არსებობას რეფორმამდელი ხანის საქართველოს მრეწველობაში.

ეი აღნიშნავდა, რომ ის საქონელი, რომელიც წინათ საქართველოში ოსმალეთს შემოჰქონდა (მარილი, რკინა, დამარილებული თევზი და სხვ.), ახლა რუსეთს უნდა შემოეტანა, თორემ მის აქ ბატონობას მყარი საფუძველი ვერ ექნებოდა. ამ მიზნით მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებდა სავაჭრო-საქარავნო გზების გასაუმჯობესებლად და საერთოდ ვაჭრობის შემაფერხებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ვაჭრობის ნორმალური მიმდინარეობისათვის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება მრავალრიცხოვანი შინაგანი ფეოდალური საბაჟოების არსებობა იყო. საქართველოში შემოტანილი საქონელი სამეფო-სახელმწიფო გადასახადებს გარდა, მრავალ სხვადასხვა კერძო პირთა, საეკლესიო თუ საერო ფეოდალთა სასარგებლოდაც იბეგრებოდა.

სულ საბაჟო შემოსავალი ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში 63 000 მანეთს (ვერცხლით) უდრიდა.

1807 წლიდან დაწყებული 40-იან წლებამდე ხელისუფლების მხრიდან მიღებული ღონისძიებების შედეგად თანდათანობით მოხერხდა შინაგანი ბაჟების გაუქმება. ფეოდალური ბაჟების გაუქმება და ერთიანი საბაჟო სისტემის შემოღება ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

10-იანი წლებისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობა კვლავ უპირატესად სპარსეთსა და ოსმალეთთან წარმოებდა. მთავარსარდალი ტორმასოვი აღნიშნავდა, რომ აქაურ ვაჭრებს თითქმის არ უხდებოდათ რუსეთის ქალაქებში ყოფნა, მთელი მათი სავაჭრო ოპერაციები სპარსეთთან და საერთოდ აზიის ქვეყნებთან იყო დაკავშირებული[1].

საქართველოში მეზობელი სახანოებიდან, სპარსეთისა და თურქეთის პროვინციებიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები, რომელთაც ჩამოჰქონდათ თავიანთი ქვეყნების საქონელი. ამ დროისათვის აზიის ქვეყნებიდან საქართველოში წლიურად სულ 800 000 მანეთის (ვერცხლით) ღირებულების აბრეშუმი, ბამბა, აბრეშუმის, ბამბისა და შალის ქსოვილები, შაქარი, ყავა, სანელებლები, ფოლადი, ტყვია და სხვა წვრილმანი საქონელი შემოჰქონდათ.

საქართველოდან ირანსა და თურქეთში გაჰქონდათ თბილისელი ვაჭრების მიერ მოსკოვის, მაკარიევისა და რუსეთის სხვა ქალაქების იარმარკებიდან ჩამოტანილი რუსული მრეწველობის ნაწარმი, ადგილობრივი საქონლიდან ოქროსა და ვერცხლის ბუზმენტები, ქართული ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილები, დიდი რაოდენობით ენდრო და სხვ.

საერთოდ XIX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოს ვაჭრობის შესახებ რუსი მოხელე აღნიშნავდა, რომ „ალექსანდრე I-ის მეფობიდან მოყოლებული საქართველოს ვაჭრობა წლითიწლობით აყვავებას განიც-

---

[1] АКАК, IV, № 37.



თბილისის ქარვასლა.

დის და ისეთი სავაჭრო ოპერაციები წარმოებს, როგორიც ქართველი მეფეების დროს არ ახსოვთ".

XIX ს-ის I მეოთხედისათვის ხდება რუსეთისა და აზიის ვაჭრობის გაფართოება. რუსეთიდან თანდათანობით უფრო მეტი და შესაფერისი საქონელი გააქვთ აზიის ქვეყნებში, მაგრამ ამ დროისათვის რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ თხოულობს არამცთუ აზიის ბაზრების, არამედ თვით ამიერკავკასიის ბაზრების უცხოეთის კონკურენციისაგან დაცვას. რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზიას თავისი საკუთარი ბაზრებიც კი არ ჰქონდა სავსებით ათვისებული.

ამიერკავკასიაში ჩაყენებული რუსი ჯარების მომარაგების აუცილებლობა, საფრანგეთის კაპიტალთან კავშირი და ინგლისთან მეტოქეობა, ხოლო საბოლოო ანგარიშში თავისი პოზიციების განმტკიცება საქართველო-ამიერკავკასიაში აიძულებდა რუსეთს, რომ აქ დროებით „ვაჭრობის თავისუფლება" გამოეცხადებინა. ამ დროისათვის რუსეთში აზიასთან ვაჭრობის ამოცანა შემდეგნაირად ესახებოდათ: რუსეთი უნდა ჩაბმულიყო ევროპისა და აზიის ვაჭრობაში. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უნდა გამხდარიყო გვერდაუხვეველი საშუამავლო ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლაში. ამიერკავკასიის თანდათანობითი დაპყრობის შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა იდეა შავი და კასპიის ზღვების სავაჭრო გზის გადაბმის შესახებ. ამიერკავკასია ერთგვარ ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის და

ძალიან მოსახერხებელი გზა იყო სატრანზიტო ვაჭრობისათვის. რუსეთი შეეცადა აღედგინა ძველიდანვე არსებული, ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზა და 1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებით ამიერკავკასიაში შემოღებულ იქნა შეღავათიანი ტარიფი, რომლის მიხედვითაც ევროპიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადი დაწესებული იყო საქონლის ღირებულების მხოლოდ 5%-ის რაოდენობით და ნებადართული იყო ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ. შეღავათიანი ტარიფი წესდებოდა 10 წლის ვადით, მისი განხორციელება 1822 წლის 1 ივლისიდან დაიწყო. ამიერიდან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ოდესა-ყულევ-თბილისის გავლით უნდა წარმართულიყო ევროპის ვაჭრობა აზიასთან.

მართალია, 5%-იანი ტარიფი და თავისუფალი ტრანზიტი ნიშნავდა ამიერკავკასიის და ირანის ბაზრების ევროპის ქვეყნებისათვის, კერძოდ, საფრანგეთისათვის ხელში ჩაგდებას, მაგრამ რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ შეღავათიანი ტარიფის ვადაში, 10 წლის განმავლობაში ამიერკავკასიისა და ირანის ბაზრები გაფართოვდებოდა, გაიზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ საქონელზე და ვადის დამთავრებისას მფარველობითი ტარიფის დაწესებით, უკვე შექმნილ ბაზრებს რუსეთის ბურჟუაზია ჩაიგდებდა ხელში.

1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთოდ ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ვაჭრობის განვითარებას. იგი არღვევდა ამიერკავკასიის ბაზრების კარჩაკეტილობას და საქართველოს მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში აბამდა.

1822 წლიდან თანდათანობით იწყება თბილისელი ვაჭრების მიერ ლაიპციგის იარმარკიდან საქართველოში საქონლის შემოტანა. პირველად თბილისელი ვაჭრები ლაიპციგის იარმარკაზე გამოჩნდნენ 1824 წ. აქ ამ წელიწადს თბილისიდან ჩამოსული იყო 10 ვაჭარი, რომელთაც შეიძინეს 1 600 000 მანეთის (ასიგნაციებით) საქონელი, 1828 წელს კი ლაიპციგის იარმარკაზე 13 თბილისელი ვაჭარი ღებულობდა მონაწილეობას, რომელთაც ამ წელიწადს 4 400 000 მანეთის საქონელი წამოიღეს საქართველოში[1].

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების განმავლობაში თბილისის საბაჟოში უმთავრესად შემდეგი საქონელი შემოდიოდა. ევროპის ქვეყნებიდან — ატლასები, ფარჩა, მაუდი, ტაფტა, მიტკალი, ნარმა, ჩითი, შაქარი, რომი, ძვირფასი ღვინოები: შამპანური, მადერა, ბორდო; ქაშანურის ჭურჭელი და სხვ.; სპარსეთიდან — ბამბა, ნარმა, ბუზმენტები, შალის საბნები, ოქროქსოვილები, დარაია, შალები, თავშლები, ხალიჩები, ქეჩა, აბრეშუ-

[1] Коммерческая газета, 1825, № 40, 1828, № 7 и 43.

მის ქსოვილები და ნართი, სხვადასხვა ბეწვეული, მარილი და სხვ.; თურქეთიდან — ფოლადი, ნარმა, მარილი, თამბაქო და სხვ.[1].

1827 წელს თბილისის საბაჟოში ევროპული საქონელი შემოტანილი იყო 383 090 მანეთისა, სპარსული საქონელი — 1 116 696 მანეთისა ვერცხლით[2]. საერთოდ, შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში იმდენად გაცხოველდა საქონელბრუნვა, რომ მიუხედავად 5% ტარიფისა თბილისის საბაჟოს შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

შეღავათიანი ტარიფის დაწესების პირველ წელიწადს, 1822 წელს, ამიერკავკასიაში შემოტანილი იყო სულ 825 985 მანეთის საქონელი, 1830 წელს კი ამ ციფრმა 2 518 303 მანეთს მიაღწია, ე. ი. 8 წლის განმავლობაში საქონლის შემოტანა გაიზარდა 3-ჯერ. შეღავათიანი ტარიფის მოქმედების 10 წლის განმავლობაში საშუალო წლიური შემოტანა საქონლისა 1 700 000 მანეთს უდრიდა[3]. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეღავათიანი ტარიფის პირველ წლებში ადგილობრივ ვაჭრებს ამიერკავკასიიდან თითქმის არავითარი საქონელი არ გაჰქონდათ. ვაჭრობა ძირითადად ნაღდ ფულზე წარმოებდა. ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით თანდათანობით დაიწყეს ადგილობრივი საქონლის გატანაც და 30-იანი წლებისათვის ადგილობრივი საქონლის გატანით მიღებული საშუალო წლიური შემოსავალი 700 000 მანეთს აღწევდა[4]. თუმცა, როგორც ზემოთ მოტანილი ციფრებიდან ჩანს, შემოტანილი საქონლის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა გატანილს და, ამრიგად, სავაჭრო ბალანსი კვლავ პასიური რჩებოდა.

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში არაჩვეულებრივად გაფოფოცხლებული ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის შედეგად ქ. თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები და მაღაზიები. აქ თანდათანობით ხდებოდა ფულადი კაპიტალის დაგროვება. მაგრამ შეღავათიანი ტარიფის დაწესების თითქმის მეორე წელსვე, ფინანსთა მინისტრად კანკრინის დანიშვნის შემდეგ, დაიწყო ბრძოლა ამიერკავკასიისათვის მინიჭებული შეღავათების აღკვეთისათვის. კანკრინი გვევლინება რუსეთის მრეწველობისა და კაპიტალისტების მფარველად. იგი ამიერკავკასიის ბაზრების რუსი კაპიტალისტებისათვის დამორჩილებას ცდილობდა და შეღავათიანი ტარიფის გაუქმებას მოითხოვდა.

კანკრინის ბრძოლა ამიერკავკასიის თავისუფალი ვაჭრობის აღკვეთი-

---

[1] АКАК, VI, ч. I, გვ. 227.

[2] АКАК, VII, გვ. 132.

[3] КК на 1853 г.—Дюкруасн, О заграничной торговле Зак-го края, გვ. 410.

[4] იქვე.



თბილისი. ბაზარი.

სათვის წარმატებით დამთავრდა. მით უმეტეს, რომ საქართველო-ამიერ-კავკასიის შესახებ თვით იმპერატორი შემდეგი აზრისა იყო: „ამიერკავ-კასია, — წერდა იმპერატორი 1826 წელს თავის წერილში „ფიქრები საქართველოზე", — შეიძლება რუსეთის უმდიდრეს კოლონიად იქცეს — კოლონიას ვამბობთ იმიტომ, რომ იგი რუსეთის სხვა პროვინციების თანაბარუფლებიან და ვალდებულებიან პროვინციად ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ გახდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ქვეყნის მართვა საჭიროა გონიერი კოლონიალური სისტემის შესაბამისად სწარმოებდეს. ამიერ-კავკასიას შეუძლია მოგვცეს ჩვენ დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარის-ხის აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი, ინდიგო, გემთსაშენებელი ხე-ტყე და სხვა. იგი უნდა იქნეს ჩვენი ფაბრიკული ნაწარმის მომხმარებელი და რუსეთის. სპარსეთთან ვაჭრობის შუამავალი"[1].

1832 წლის 1 იანვრიდან ამიერკავკასიის თავისუფალი ტრანზიტი და შეღავათიანი ტარიფი უქმდებოდა. ამიერიდან საქართველო-ამიერკავკა-სიაზე ვრცელდებოდა საერთო საიმპერიო ტარიფი, რომლის მიხედვითაც

---

[1] ЦГИА СССР, ф. 560, оп. 22, д.18[1], л. 117.

ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი მისი ღირებულების 25%-დან 50%-მდე იბეგრებოდა.

რუსეთის ხელისუფლება სთვლიდა, რომ შეღავათიანმა ტარიფმა თავისი შედეგები გამოიღო. ადგილობრივმა ვაჭრებმა დააგროვეს ფულადი კაპიტალი, მიიღეს სავაჭრო გამოცდილება და განათლება და რომ ამიერიდან, როცა რუსული მანუფაქტურული საქონელი გაუმჯობესებულია და გამრავლებული, ადგილობრივმა ვაჭრებმა თავისი კაპიტალი, სავაჭრო ცოდნა-გამოცდილება უნდა გამოიყენონ რუსული საქონლით ირანსა და თურქეთთან ვაჭრობაში.

რუსეთის მმართველი წრეების იმედები არ გამართლდა. 1831 წ. ამ-კრძალავი წესების შემოღების შემდეგ ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის ვაჭრობამ ტრაპიზონ-ერზერუმის გზისაკენ გადაინაცვლა. ტრაპიზონში ინ-გლისმა დააარსა სავაჭრო კომპანია და მისი საშუალებით მთელი მცირე აზიისა და ირანის ვაჭრობა ჩაიგდო ხელში. ირანის ქალაქები ინგლი-სური საქონლით იყო გავსებული, მთელმა მოგებამ, რომელსაც თავისუ-ფალი ტრანზიტის შედეგად იღებდა თბილისი და რედუტ-კალე, ტრა-პიზონ-ერზერუმისაკენ გადაინაცვლა. ყოველივე ამის შედეგად ამიერკავ-კასიაში და, კერძოდ, თბილისში კრედიტი დაეცა, ფულადი კაპიტალი თან-დათან ამოიწურა, გახშირდა ვაჭრების გაკოტრება და რუსულ საქონელზე მოთხოვნილება შემცირდა. გარდა ამისა, მრავალმა თბილისელმა ვაჭარმა არჩია ევროპული საქონლით სატრანზიტო ვაჭრობა ტრაპიზონ-ერზერუ-მის გზით. 1832 წელს თბილისელი ვაჭრები: შერმაზან ვართანოვი, სპი-რიდონ და დავით ბაისაგოლოვები და კარაპეტ ტერ-მინასოვი 125 000 მან. (ვერცხლით) წავიდნენ საზღვარგარეთ, შეიძინეს ზემოაღნიშნული თანხის საქონელი და ტრაპიზონ-ერზერუმის გზით ჩაიტანეს ირანში, სადაც ამ საქონლის გაყიდვის შედეგად 25% მოგება მიიღეს. 1833 წელს კვლავ მომგებიანად გაიმეორეს ეს ოპერაცია. 1834 წელს მათ მაგალითს უკვე სხვა თბილისელმა ვაჭრებმაც მიბაძეს და 200 000 მანეთით თურქეთისა-კენ გაეშურნენ; ამავე წელს თურქეთში მნიშვნელოვანი თანხით წავიდნენ თბილისელი მსხვილი ვაჭრები შადინოვები, ბაბანასოვები და ფრიდონოვი. ამრიგად, ადგილობრივი ვაჭრების მიერ თავისუფალი ვაჭრობის დროს დაგროვილი ფული თანდათანობით თურქეთისაკენ მიედინებოდა.

ტრაპიზონში ინგლისური სავაჭრო კომპანიის დაარსების შემდეგ, სა-ერთოდ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში უამრავი კონტრა-ბანდული საქონელი შემოვიდა. რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული საბაჟოები კონტრაბანდასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. კონტრა-ბანდის გარდა ინგლისური საქონელი, უმთავრესად ბამბის ქსოვილები, ირანული საქონლის სახელით დიდი რაოდენობით შემოდიოდა ამიერკავ-კასიაში. ინგლისს ბამბის ქსოვილების ნახევრად მზა პროდუქცია მიჰ-

ქონდა ირანში. იქ ხდებოდა მათი საბოლოო დამუშავება: დაჩითვა, შეღებვა, შეფუთვა და ირანული საქონლის მარკით 5%-იანი ბაჟის გადახდით იოლად შემოდიოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რუსი მოხელეების გამოანგარიშებით, 1843 წლისათვის ასეთი სახით შემოტანილი საქონლის ღირებულებამ 350 000 მანეთს მიაღწია.

ცხადი იყო, რომ ამკრძალავი ტარიფის შემოღებით რუსეთმა მარცხი განიცადა. მან ამიერკავკასიის ბაზრები თავისთვის ჩაკეტა, მაგრამ რუსეთის მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო თავისი საქონლით მათი უზრუნველყოფა ვერ მოახერხა და ამიერკავკასია კონტრაბანდული და ირანის გზით შემოტანილი საქონლით აივსო, ხოლო რუსეთ-ირანის ვაჭრობა თითქმის სავსებით შეწყდა.

ყოველივე ამის გამო ორმოციანი წლების დასაწყისში კვლავ დაისვა საკითხი ამიერკავკასიის სავაჭრო კანონმდებლობის გადასინჯვის შესახებ. ირანსა და ამიერკავკასიაში რუსეთის ვაჭრობის შემცირების მიზეზების გამოსარკვევად და სათანადო ღონისძიებების შესამუშავებლად ფინანსთა სამინისტროდან რამდენიმე კომისიაც იყო გამოყოფილი. ადგილობრივი ხელისუფლება, განსაკუთრებით მეფისნაცვალი ვორონცოვი, ყოველმხრივ ცდილობდა შეღავათებისდროინდელი უფლებების აღდგენას. იგი ამტკიცებდა, რომ შეღავათების აღდგენის შემთხვევაში არამცთუ არ შემცირდებოდა თბილისში რუსული საქონლის გასაღება, არამედ ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით გაიზრდებოდა რუსულ საქონელზე მოთხოვნილება, განსაკუთრებით ისეთ საქონელზე, რომელიც მხოლოდ ნიჟნი-ნოვგოროდის იარმარკიდან შემოდიოდა საქართველოში. ვორონცოვის აზრით, ამიერკავკასიის მდგომარეობა მოითხოვდა არსებული სავაჭრო სისტემის კარდინალურ ცვლილებას. იგი წინადადებას იძლეოდა ამიერკავკასიაში ყველა საქონლის თავისუფლად შემოტანის ნება მიეცათ მხოლოდ 5%' ბაჟის გადახდით.

მართალია, ვორონცოვის ენერგიული ბრძოლის შედეგად შეღავათებისდროინდელი უფლებების მინიჭება ამიერკავკასიისათვის ვერ მოხერხდა, მაგრამ 1846 წ. 14 დეკემბერს გამოიცა დებულება, რომლის მიხედვითაც ევროპულ საქონელზე ბაჟი ოდნავ მცირდებოდა, იხსნებოდა გზა ევროპული საქონლისათვის ირანში ამიერკავკასიის გავლით.

40-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს ვაჭრობა ევროპისა და აზიის ქვეყნებთან შემდეგნაირად წარმოგვიდგება. ევროპიდან შემოჰქონდათ: შაქარი, ძვირფასი ღვინოები: შამპანური, მადერა, ბორდო და სხვ. ყავა, საღებავები: ინდიგო, კოშენილი, სანელებლები; ფოლადი, ტყვია, თუჯი და სხვ. ამ დროისათვის ევროპული საქონელი საქართველოში შემოტანილი იყო სულ 100 393 მანეთისა[1]. ამ თანხაში პირველი ადგი-

[1] სსცაა, ფ. 380, საქ. 84, ფურც. 1.

ლი შაქრის ღირებულებას ეკავა (76 531 მან.). რაც შეეხება საფეიქრო საქონელს, განსაკუთრებით კი ბამბის ქსოვილებს, 1832 წ. დაწესებული უზომოდ მაღალი ტარიფის გამო, ის სრულიად არ შემოდიოდა. ირანიდან და თურქეთიდან შემოჰქონდათ ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები; აბრეშუმის ნართი, საღებავები, გამოყვანილი ტყავები, თამბაქო, ბეწვეული, სხვადასხვა ხმელი ხილი. 40-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შემოტანილი იყო სულ 709 149 მანეთის აზიური საქონელი, აქედან მთავარი ადგილი ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების იმპორტს ეკავა (397 823 და 292 715 მან. შესაბამისად)[1].

მთლიანად ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან საქართველოში შემოზიდული იყო 809 542 მანეთის საქონელი, რაც, საერთოდ, ამიერკავკასიის იმპორტის $^1/_4$-ს უდრიდა[2].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში უკვე 40-იანი წლების დასაწყისისათვის უამრავი საფეიქრო და სხვა პირველი მოხმარების საქონელი შემოდის რუსეთიდან, კერძოდ, სახმელეთო გზებით შემოდიოდა ბამბის, სელის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, რკინა და რკინის ნაწარმი, ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, შაქარი, ფქვილი და სხვ., სულ 2 500 000 მანეთის ღირებულებისა. სახელდობრ საქართველოში რა ღირებულების რუსული საქონელი რჩებოდა, ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამიერკავკასიაში იმპორტირებული რუსული საქონლის ნახევარი მაინც საქართველოში მოიხმარებოდა.

50-იანი წლების ბოლოსათვის საქართველო-ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა კიდევ უფრო გაზრდილი ჩანს. ამ დროისათვის, სახელდობრ, 1857 წელს ამიერკავკასიაში ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან შემოტანილი იყო 4 774 960 მანეთის საქონელი. აქედან ევროპული — 1 334 298 მანეთისა, აზიური კი — 3 688 144 მანეთისა. თითქმის მთელი ევროპული საქონელი (1 086 816 მანეთის) შემოდიოდა საქართველოში თბილისის, რედუტ-კალეს, შეკვეთილის და ოზურგეთის საბაჟოებით. აზიური საქონელი კი საქართველოში შემოტანილი იყო 934 063 მანეთისა[3]. ე. ი. ამიერკავკასიის იმპორტის ნახევარზე ცოტა ნაკლები საქართველოზე მოდიოდა.

ევროპიდან შემოზიდულ საქონელში მთავარი ადგილი კვლავ შაქარს ეკავა. აზიის ქვეყნებთან ვაჭრობის მთავარ საგანს კი კვლავ საფეიქრო ნაწარმი — ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები წარმოადგენდა.

50-იანი წლების ბოლოსათვის, კერძოდ, 1857 წელს რუსეთიდან ამიერ-

---

[1] სსცია, ფ. 380, საქ. 84, ფურც. 2.

[2] ორმოციანი წლების დასაწყისისათვის ამიერკავკასიაში ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან შემოტანილი იყო 3 640 607 მანეთის საქონელი КК на 1853, გვ. 427.

[3] ЦГИА СССР, ф. 1268, 1858, оп. 9, д. 257, л. 13—16.

კავკასიაში საკაბოტაჟო გზებით შემოტანილი იყო 3 546 629 მანეთის საქონელი[1], აქედან საქართველოში — 718 528 მანეთისა რედუტ-კალესა და შეკვეთილის ნავსადგურებით. გარდა ამისა, საფიქრებელია, რომ ბაქოს ნავსადგურში შემოტანილი 1 306 268 მანეთის რუსული საქონლიდან ნაწილი საქართველოშიც იგზავნებოდა. ამიერკავკასიაში შემოზიდული რუსული საქონლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (446 644 მან.) გადიოდა საზღვარგარეთ—ირანში, დანარჩენი კი ადგილზევე მოიხმარებოდა.

ზაქარია სარაჯიშვილი.

როგორც აღვნიშნეთ, შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში, გაცხოველებული საგარეო ვაჭრობის მიუხედავად, ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ საქონლის გატანა საშუალო წლიურად 700 000 მანეთს არ აღემატებოდა. 1832 წლიდან 1850 წლამდე (19 წლის განმავლობაში) ამიერკავკასიიდან გატანილი საქონლის საშუალო წლიური ღირებულება 832 412 მანეთს უდრიდა, ე. ი. გატანილი საქონლის ღირებულების ზრდა საკმაოდ უმნიშვნელო იყო და 100 000—150 000 მანეთს არ აღემატებოდა. ამ მხრივ სულ სხვა სურათი გვაქვს 50-იან წლებში. 1851 წლიდან 8 წლის განმავლობაში ამიერკავკასიიდან გატანილი საქონლის საშუალო წლიურმა ღირებულებამ 1 233 777 მანეთს მიაღწია, ხოლო, თუ გამოვრიცხავთ 1854 და 1855 წლებს, როდესაც ყირიმის ომის გამო საქართველოდან საზღვარგარეთ საქონლის გატანა თითქმის შეწყვეტილი იყო, მაშინ ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილი საქონლის საშუალო წლიური ღირებულება თითქმის 1 500 000 მანეთს მიაღწევს. მართალია, საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება კვლავ სჭარბობდა გატანილისას, მაგრამ 50-იან წლებში ამ უკანასკნელი ციფრის ყოველწლიური ზრდა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ნატურალური მეურნეობის რღვევაზე მიუთითებდა.

მართალია, ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გაჰქონდათ როგორც რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი, ისე ადგილობრივი საქონელიც, მაგ-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1268, 1858, оп. 9, д. 257, л. 13—16.

რამ, როგორც აღვნიშნავდით, რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმის გატანა საკმაოდ უმნიშვნელო იყო და საერთოდ გატანილი საქონლის ღირებულების $^1/_4$-საც ვერ აღწევდა.

ამიერკავკასიის ექსპორტში საქართველოს ხვედრითი წონის დასადგენად ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყულევი-ოზურგეთი-სოხუმის საბაჟოებიდან უმთავრესად საქართველოს შინამრეწველური და სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაჰქონდათ, ხოლო ამ საბაჟოებიდან 1857 წელს გატანილი იყო 914 522 მანეთის ღირებულების საქონელი[1], არ შევცდებით თუ დავასკვნით, რომ ამ მხარიდან გატანილი საქონლის ღირებულების ნახევარზე მეტი საქართველოზე მოდიოდა. საქართველოდან ევროპის ქვეყნებში გატანილ საქონელში პირველი ადგილი აბრეშუმის ნედლეულს ეკავა. 1857 წელს საქართველოდან გაზიდულ იქნა 547 206 მანეთის აბრეშუმის ნედლეული, ტყავი და ტყავის ნაწარმი კი — 59 217 მანეთისა. 1857 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ პირველად გაიტანეს მატყლი 27 996 მანეთისა, სხვა საქონელი, უმთავრესად ხე-ტყე (კაკლისა და ბზის ხეები) გატანილი იყო 223 502 მანეთისა.

გარდა ზემოჩამოთვლილი საქონლისა, საქართველოდან თურქეთში მოუსავლიანობის წლებში გაჰქონდათ სიმინდი. 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში საექსპორტო საქონელში სიმინდი წამყვან ადგილს იკავებს[2]. იგი ძირითადად ინგლისსა და ირლანდიაში გააქვთ.

50-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიიდან შიგა რუსეთის გუბერნიებში, უმთავრესად ნოვგოროდის იარმარკაზე, დიდძალი ღირებულების ადგილობრივი და სპარსული საქონელი გაჰქონდათ. 1850 წელს ნოვგოროდის იარმარკაზე ამიერკავკასიიდან ჩაუტანიათ 1 195 019 მანეთის საქონელი, 1851 წ. — 1 344 500 მანეთისა, 1853 წელს — 1 551 650 მანეთისა, 1854 წელს — 1 861 825 მანეთისა და 1855 წელს — 1 953 015 მანეთისა[3].

1857 წელს ამიერკავკასიიდან საკაბოტაჟო გზებით რუსეთში 2 941 886 მანეთის საქონელი გაუტანიათ. დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ენდრო, თევზი და ხიზილალა, აბრეშუმის ნედლეული, ბამბა, ხე-ტყე და სხვ. გატანილ საქონელში საქართველოს მონაწილეობა შედარებით მცირე იყო, ძვირფასი ხე-ტყისა და კახური ღვინოების გატანით ამოიწურებოდა.

საშინაო ვაჭრობა. XIX ს-ის 30 — 40-იანი წლებიდან ფეოდალური შინაგანი ბაჟების მოსპობის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და სავაჭრო სამიმოსვლო გზების მეტ-ნაკლებად გაუმჯობესების

---

[1] ამიერკავკასიიდან 1857 წელს გატანილ იქნა სულ 1 309 526 მანეთის საქონელი.

[2] 60-იანი წლებიდან საქართველოდან სიმინდი გააქვთ წელიწადში 1 მლნ ფუთამდე.

[3] ЦГИА СССР, ф. 40, оп. I, д. 14, л. 206, 417.

შედეგად საქართველოს საშინაო ვაჭრობა თანდათანობით ფარდოვდებოდა, რაც, თავის მხრივ, ნატურალური მეურნეობის აღმოფხვრას უწყობდა ხელს.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში იმართებოდა ყოველკვირეული ბაზრობა, სადაც თითქმის ყველა კუთხიდან იყრიდა თავს მოსახლეობა და ვაჭრობას აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, მანუფაქტურული და ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმით. როგორც საქართველოს მთავარმმართველი როზენი წერს, 1837 წლისათვის ქუთაისში იმართებოდა ყოველწლიური ბაზრობა, სადაც იყიდებოდა სხვადასხვაგვარი როგორც უცხოური, ისე რუსული საქონელი; გარდა ამისა, კვირაობით ქუთაისის ბაზარზე თავს იყრიდა მოსახლეობა იმერეთის ყველა კუთხიდან, სამეგრელოდან და გურიიდან, რომელთაც გასაყიდად მოჰქონდათ პური, ღვინო, მოჰყავდათ საქონელი და სხვ. ასეთივე ბაზარი იყო ხონში და ჩხარში. საჩხერისა და ონის ბაზრებზე ჩამოდიოდნენ რაჭველები, ოსები და ლეჩხუმელები. ამ ბაზრებზე იყიდებოდა პირველი მოხმარების საგნები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წარმოშობისა.

გურიაში, დაბა დვაბზუში, ეწყობოდა ყოველკვირეული ბაზრობა. აქ სავაჭროდ მოდიოდნენ იმერლები, გურულები და ქობულეთში მცხოვრები თურქები. გურიისავე სოფლებში ნაგომარში, ლანჩხუთში, ვანის ქედსა და ჯუმათში წელიწადში ერთხელ იმართებოდა იარმარკები.

სამეგრელოში სოფ. მურში გამართულ იარმარკაზე თავს იყრიდნენ მეგრელები სამეგრელოს ყველა კუთხიდან, იმერლები, ოსები და სვანები. მურში ვაჭრობდნენ აბრეშუმის, ბამბისა და შალის ადგილობრივი ნაწარმით: სპილენძის, რკინის, თიხისა და ხის ჭურჭლით; მარცვლეულით, სიმინდითა და ღომით; ცხენებით, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლით და სხვ. ასევე ერთკვირიანი იარმარკა იმართებოდა სენაკში, სადაც, მეგრელების გარდა, სავაჭროდ მიდიოდნენ იმერლები, გურულები, აფხაზები და სვანები. აქ უმთავრესად ცხენებითა და რქოსანი საქონლით ვაჭრობდნენ. იარმარკის გარდა სენაკში იმართებოდა ყოველკვირეული ბაზრობაც. მარანსა და ლაილაშში მუდმივი ყოველკვირეული ვაჭრობა წარმოებდა ადგილობრივი და უცხოური საქონლით და სხვ.[1].

უნდა აღინიშნოს, რომ საიარმარკო ვაჭრობის ფორმა საქართველოში მაინცდამაინც არ ყოფილა გავრცელებული. 1832 წელს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი საშინაო საქმეთა მინისტრს აცნობებდა, რომ საქართველოში არ არსებობს არც ხელისუფლების მიერ და არც ადათით

---

[1] АКАК, VIII, № 101, გვ. 182—186.



მექოთნეები.

დაწესებული იარმარკები. მართალია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ხელისუფლების მიერ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში რამდენიმე იარმარკა იყო დაწესებული, მაგრამ მათი საქონელბრუნვა საკმაოდ უმნიშვნელოდ გამოიყურებოდა. 60-იანი წლების დასაწყისისათვისაც კი დასავლეთ საქართველოს იარმარკების საქონელბრუნვა 205 166 მანეთს არ აღემატებოდა, აღმოსავლეთ საქართველოსი კი მხოლოდ 48 910 მანეთს უდრიდა[1]. რა თქმა უნდა, თუ არ გავითვალისწინებთ საქართველოს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში მოქმედ ყოველკვირეულ და ყოველდღიურ ბაზრებს და საქართველოს საშინაო ვაჭრობაზე მხოლოდ საიარმარკო ვაჭრობის საქონელბრუნვის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ამას უმთავრესად გუბერნატორები აკეთებდნენ, მაშინ საქართველოს საშინაო ვაჭრობის შესახებ ყოვლად მცდარი შეხედულება შეგვექმნება.

საქართველოს საშინაო ვაჭრობის საგანს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და შინამრეწველური საქონელი წარმოადგენდა. როგორც აღვნიშნავდით, 30—40-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს — მარცვლეულის მეურნეობას, მეღვინეობას, მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, მეთამბაქოეობას, მეხილეობა-მებოსტნეობას

---

1 ს.ს.ცია, ფ. 17, საქ. 8954 —ბ. ფურც. 19, 60, 113—116.

და სხვ.—მეტ-ნაკლებად სასაქონლო ხასიათი ჰქონდა და სპეციალურად წარმოებდა პროდუქტების დამზადება საბაზროდ. 1845 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიის (ერევნის, ნახჭევანის, ალექსანდროპოლის და ელიზავეტპოლის მაზრების გამოკლებით) საშინაო ბაზარზე გამოტანილი და გაყიდული იყო 1 763 450 მანეთის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქცია. აქედან 540 617 მანეთისა იყო მარცვლეული და ბოსტნეული, 956 976 მანეთის — ღვინო და აბრეშუმი, 232 672 მანეთის — რქოსანი საქონელი და მესაქონლეობის პროდუქტები და 33 135 მანეთის — თაფლი და ცვილი[1]. იმავე წელს ადგილობრივი ხელოსნური და „მანუფაქტურული" ნაწარმი დაუმზადებიათ და გაუყიდიათ 227 837 მანეთისა[2]. 1858 წელს კი სიღნაღის მაზრის უფროსის ცნობით, მხოლოდ სიღნაღის მაზრაში გაყიდულა 3 583 350 მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აქედან 290 000 მანეთისა იყო მარცვლეული, 1 350 000 მანეთის — ღვინო, 180 000 მანეთის — არაყი, 1 930 000 მანეთის — რქოსანი საქონელი და მესაქონლეობის პროდუქცია და სხვ. ადგილობრივი ხელოსნური და „მანუფაქტურული" ნაწარმი ნარმა, აგური, თიხის და სპილენძის ჭურჭელი, ფეხსაცმელი, ქუდები, თოკები და სხვ. გაყიდულია 108 900 მანეთისა[3]. სიღნაღის მაზრის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველური ნაწარმი იყიდებოდა როგორც ადგილზე, ისე თელავისა და თბილისის მაზრებშიც. ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც საყურადღებოა და ნატურალური მეურნეობის რღვევასა და საქართველოს საშინაო ვაჭრობის განვითარებაზე მიუთითებს.

საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობის ცენტრს ქ. თბილისი წარმოადგენდა. 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისის ბაზრებზე — თათრის, სეიდ-აბადის, ავლაბრისა და ერევნის მოედნებზე ყოველწლიურად შემდეგი თანხის სურსათსანოვაგე იყიდებოდა:

პურის ფქვილი	400 000	ფუთი	240 000	მანეთიდან	320 000	მან-მდე ღირებულების
ყახური ღვინო	500 000	ვედრო	500 000	მან.-დან	100 000	მან.-მდე ღირებულებისა
სპირტი და არაყი	50 000	„	150 000	„	250 000	„

საქონლის ხორცი	300 000	ფუთამდე	450 000	მან.-დან—	540 000	მან.-მდე
თევზი და ხიზილალა	25 000	„	125 000	„	200 000	„
ზეთი	50 000	„	300 000	„	400 000	„
ერბო და კარაქი	40 000	„	240 000	„	320 000	„

---

[1] ЦГИА СССР, ф. 560, 1846, оп. 22, д. 112, л. 12—19.

[2] იქვე, ფ. 8—11.

[3] სსცია, ფ. 26, ანაწ. 6, საქ. 119, ფურც. 52—53.

ბოსტნეული ხილი და რძე დაახლოებით		— 200 000 მან.-მდე
ქერი	150 000 ფუთამდე	450 000 მან.-მდე
თივა	350 000	50 000 „
შეშა	40 000 საჟენი	600 000 „

თბილისის მოსახლეობა წლიურად დაახლოებით სულ $3^1/_2$—$5^1/_2$ მილიონამდე ღირებულების სურსათ-სანოვაგეს მოიხმარდა. თბილისის ბაზრებზე სურსათ-სანოვაგე საქართველოს ყველა მაზრიდან შემოჰქონდათ. ამავე დროისათვის თბილისის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 11 მილიონ მანეთს შეადგენდა.

1862 წლისათვის თბილისში 100 000 სული მცხოვრებიდან 3 000-მდე ვაჭარი იყო, აქედან 122 ცოტად თუ ბევრად მსხვილი ვაჭრის ფულადი კაპიტალი 1 988 200 მანეთს შეადგენდა[1].

მართალია, საქართველოს სხვა ქალაქების აღებ-მიცემობა, თბილისისას მასშტაბით დიდად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ 40—50-იანი წლებისათვის მათი ვაჭრობაც საკმაოდ განვითარებული იყო.

ქ. გორში 50-იანი წლებისათვის ადგილობრივი მსხვილი ვაჭარი იყო 65. მათი საბრუნავი თანხა დაახლოებით 250 000 მანეთამდე აღწევდა. ევროპისა და თურქეთის ქალაქებთან ლაიპციგსა, ლონდონსა და კონსტანტინოპოლში სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა 10 კაცი, დაახლოებით 12 ვაჭარი მიდიოდა მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში, ხუთი ვაჭარი ვაჭრობდა ადგილობრივი საქონლით. მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც. განსაკუთრებით ქ. გორსა და გორის მაზრაში ამ დროისათვის განვითარდა სავაჭრო მეხილეობა-მებოსტნეობა: გორის მაზრა ხილ-ბოსტნეულით ამარაგებდა ქ. თბილისსა და გორს. როგორც ერთ-ერთ საბუთშია ნათქვამი, „მოსავლიან წლებში გორიდან თბილისისაკენ მიედინებოდა ხილით დატვირთული ურმების მთელი ქარავნები“[2]. ასევე ბოსტნეული, კომბოსტო, კარტოფილი, ხახვი და სხვ. დიდი რაოდენობით იყიდებოდა ქ. გორსა და თბილისში. თელავში ამავე ხანებისათვის 250-მდე ვაჭარი იყო, რომლებიც აღებ-მიცემობას ეწეოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი საქონლით. 1845 წელს თელავის მაზრის უფროსი წერდა, რომ „სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ფართოდაა განვითარებული. სხვა კლასის წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველა გლეხს მოეპოვება ზედმეტი პროდუქცია, რომლის გაყიდვითაც იგი იკმაყოფილებს სხვა მოთხოვნილებებს“[3]. კიდევ უფრო განვითარებული იყო საშინაო ვაჭ-

---

[1] Документы по истории Грузии, изд Ш. Чхетия, II, 1960, გვ. 65.

[2] იქვე, გვ. 880.

[3] სსცია, ფ. 16, საქ. 8888, ფურც. 56.

რობა სიღნაღში. „ვაჭრობა სიღნაღის მაზრაში, — ვკითხულობთ სიღნაღის მაზრის უფროსის 1845 წლის ანგარიშში, — შეიძლება ითქვას, რომ დიდად აყვავებულია; აქ დიდი რაოდენობით იყიდება ხორბალი, ქერი, ღვინო, არაყი და სხვა პროდუქტები"[1]. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული თანხა ქ. სიღნაღში 491 961 მანეთს აღწევდა.

სიღნაღში ამ დროისათვის 239 ადგილობრივი და 20 უცხოელი ვაჭარი იყო. ისინი ვაჭრობდნენ უმთავრესად რუსეთიდან ჩამოტანილი და ადგილობრივი საქონლით; მათი საბრუნავი თანხა 400 000 მანეთს უდრიდა.

დაახლოებით ასეთივე სურათი იყო აღ. და დას. საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 40—50-იანი წლებისათვის ნატურალური მეურნეობის რღვევა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და საქართველოს სხვადასხვა რაიონს შორის მჭიდრო სააღებმიცემო ურთიერთობა იყო დამყარებული.

§ 4. საქართველოს ქალაქების ზრდა XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში. ცვლილებები ქალაქში მცხოვრებ წოდებათა სოციალურ მდგომარეობაში[2]

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები თავის გამოხატულებას ქალაქების განვითარებაშიც პოულობს, თუმცა ეს განვითარება თავდაპირველად ხდებოდა თითქმის მთლიანად იმ მემკვიდრეობის საფუძველზე, რომელიც ახალმა ხანამ მიიღო წინადროინდელი (XVII—XVIII სს.) საქალაქო ცხოვრებისაგან. არსებითად XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ქალაქების განვითარება იყო ფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრების ტრადიციების გაგრძელება, ცხადია, მასში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებით და სიახლეებით.

დამახასიათებელია, მაგალითად, ის, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში არ წარმოქმნილა არც ერთი ახალი ქალაქი, არც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო დაბა. მაგრამ ეს იმას

---

[1] სსცია, ფ. 16, საქ. 8888, ფურც. 56.

[2] XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ისტორია საერთოდ სამეცნიერო ლიტერატურაში სუსტად არის გაშუქებული. მხოლოდ თბილისზე არსებობს რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა. მათ შორის აღსანიშნავია; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ტფილისის ისტორიისათვის, მის. საქართ. დაკავკ. ისტ., ნაკვ. 1, 1938; მ ი ს ი ვ ე, Тбилиси в XIX столетий, 1942; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, თბილისის მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ. ტ., III,1958; ალ. ბ ე ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, საქალაქო თვითმმართველობის წინამორბედი დაწესებულებანი თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ., ტ. IV, ნაკვ. 2, 1959; თ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები (მოქალაქე), თბ., 1964.



თბილისი. ფეთხაინის ქუჩა.

ეო ნიშნავს, რომ ამ დროს აქ იგრძნობოდა ქალაქების, თუ ასეთი დაბა-სოფლების ნაკლებობა. პირიქით, მათი რიცხვი მცირე არ იყო, მაგრამ, თითქმის ყველა ადრევე იყო აღმოცენებული. მხედველობაში გვაქვს სა-გუბერნიო ქალაქები — თბილისი, ქუთაისი; სამაზრო ცენტრები — გორი, სიღნაღი, თელავი, ახალქალაქი, ახალციხე; ე. წ. „მცირე ქალაქები", რომელნიც რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ აგრეთვე სამაზ-რო ცენტრებად გადაიქცნენ — ზუგდიდი, ოზურგეთი, სოხუმი, ონი; სხვა „მცირე ქალაქები": ალი, სურამი, ახალგორი, ცხინვალი, ხონი, რუხი და სხვ.[1]; ზღვისპირა პუნქტები — ყულევი და ანაკლია.

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს ქალაქებს შემორჩათ წინა ხანისათვის დამახასიათებელი არაერთი არსებითი ნიშანი. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ამქრული წყობილება, ყველაზე უფრო სრულყოფილად წარმოდგენილი თბილისში, და ფეოდალური ხანის წოდებანი: ყმა ვაჭარ-ხელოსნები, ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის პრივილეგიური ფენა — „მოქალაქენი" და თავად-აზნაურთა წარმომადგენლები— ქალა-ქის არისტოკრატია.

როგორც წინა ხანაში, ასევე XIX ს-ის პირველ ნახევარში, საქართ-ველოს ქალაქები წარმოადგენდნენ ვაჭრობისა და უპირატესად წვრილი საქონლური წარმოების ცენტრებს (ერთგვარი გამონაკლისი იყო თბი-ლისი, სადაც ვხედებით შედარებით უფრო მსხვილ საწარმოებსაც).

რაში მდგომარეობს ის სიახლე, რომელიც ახასიათებს XIX ს-ის პირ-ველი ნახევრის საქართველოს ქალაქებს?

უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა თვით წვრილი საქონლური წარმოების ხასიათის შეცვლაში. ცნობილია, რომ საქონლური წარმო-ება არსებობდა ადრეც და მომსახურებას უწევდა ფეოდალურ საზოგა-დოებასაც. მაგრამ, მაშინ იგი შეზღუდული იყო ფეოდალური წესწყობი-ლებით და, კერძოდ, ამქრული რეგლამენტაციით, რომელიც მიზნად ისა-ხავდა წარმოების სტაბილიზაციას, ამქრის მონოპოლიისა და ოსტატებს შორის ქონებრივი თუ სოციალური წონასწორობის შენარჩუნებას.

უკვე ითქვა, რომ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქა-ლაქებში იგრძნობოდა ამქრული წყობილების რღვევის ინტენსიური პრო-ცესი.

წვრილ საქონლურ წარმოებაში ამქრულ-ფეოდალურ შეზღუდვათა გადალახვა, სახელოსნოთა გამსხვილების ტენდენცია, დაქირავებული შრო-მის სულ უფრო მეტად გამოყენება, ამქრის გარეშე სახელოსნოთა ზრდა და თავისუფალი კონკურენციის შემოჭრა, როგორც კაპიტალისტური წარ-მოების სტიმული, — ყოველივე ეს მეტყველებდა იმაზე, რომ XIX ს-ის

---

[1] აღნიშნული ქალაქების თუ „მცირე ქალაქების" მნიშვნელობის შესახებ ფეოდალურ ხანაში იხ. Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тб., 1959, გვ. 117, 124.

რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქებში წამყვან როლს თამაშობდა თვისებრივად ახალი წვრილი საქონლური წარმოება, რომელშიც სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობანი; მარტივი საქონლური წარმოება ადგილს უთმობდა წვრილ კაპიტალისტურს, რაც ძირითადად განსაზღვრავდა კიდეც იმდროინდელი ქალაქების სამრეწველო სახეს. თუმცა, ამავე დროს, საქართველოს ქალაქებში, უპირატესად თბილისში, ვითარდება შედარებით მსხვილი მრეწველობაც (მანუფაქტურა, ზოგ შემთხვევაში მანქანური წარმოების ელემენტებით)[1].

არსებითი მომენტი რეფორმამდელი საქართველოს ქალაქების სამრეწველო განვითარებაში იყო თითქმის მთლიანად ნებით დაქირავებული შრომის გამოყენება როგორც წვრილ წარმოებაში, ასევე შედარებით მსხვილ საწარმოებში (კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა)[2].

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ქალაქების განვითარებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ ხანაში შეიმჩნევა ქალაქების როლის და მნიშვნელობის ზრდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. თუკი ადრე — XVII—XVIII სს-ის ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, დაპირისპირება სოფელსა და ქალაქს შორის ნაკლებად იგრძნობოდა და ქალაქების სამეურნეო ფუნქციები შემოიფარგლებოდა შედარებით შეზღუდული მასშტაბის საშუამავლო ვაჭრობით და წვრილსაქონლური (უპირატესად ხელოსნური) წარმოების განვითარებით, რომელიც მომსახურებას უწევდა ვიწრო ბაზარს (გარდა თბილისისა, რომელიც როგორც საქართველოს, ასევე მეზობელი მხარეების მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო), XIX ს-ის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი 40 — 50-იანი წლებიდან, ნატურალური მეურნეობის რღვევის ინტენსიურ პროცესთან დაკავშირებით ხდება ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქების უფრო აქტიური ზემოქმედება სოფელზე. ქალაქების სამრეწველო და სავაჭრო პოტენციალის გადიდება, მათი, როგორც სამრეწველო ხელოსნური ნაწარმის მიმწოდებლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებლის როლის განუხრელი ზრდა, წარმოადგენდა ქვეყნის შიგნით შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და შინაური ბაზრის შექმნის გამოხატულებას.

---

[1] საყურადღებოა, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში გარდა მსხვილი სამრეწველო ცენტრებისა წვრილი საქონლური წარმოება მრეწველობის წამყვან ფორმას წარმოადგენდა რუსეთის ქალაქებშიც. იხ. П. Г. Рындзюнский, Городское гражданство дореформенной России, М., 1958, გვ. 210, 253, 274.

[2] იხ. ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს-ის 30-60-იან წლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III. თბ., 1958 წ.

ამავე პროცესის ერთ-ერთი არსებითი მხარე იყო ქალაქების სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა სამიწათმოქმედო მოსახლეობის ხარჯზე. XIX ს-ის პირველ ნახევარში ქალაქები ხდება სოფლიდან გამოდევნილი მოსახლეობის თავშესაფარად. იქ მზარდი მოთხოვნილება არსებობდა წარმოების საშუალებებსმოკლებულ პირთა თავისუფალ შრომაზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა ზრდაზე 60-იანი წლების შუახანებამდე წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი, სადაც გათვალისწინებულია ორივე სქესის მკვიდრი მოსახლეობა[1].

ცხრილი 6

ქალაქების დასახელება	1821 წ.	1835 წ.	1847 წ.	1865 წ.
თბილისი	15 374	25 290	29 853	67 770
გ ო რ ი	2 322	3 000	3 763	5 054
თელავი	1 677	2 680	4 000	7 300
სიღნაღი	1 997	3 500	4 801	9 687
დუშეთი	1 143	1 700	1 800	2 525
	22 513	36 170	44 217	92 336

1865 წლამდე ასეთივე სრული ცნობები არა გვაქვს ახალციხის, ახალქალაქისა და აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობაზე. 1865 წლისათვის კი ახალციხეში ითვლებოდა 11 617 სული, ახალქალაქში — 2260, ქუთაისში 11807, სოხუმში — 1612, ფოთში — 1309 სული[2]. საქართველოს ქალაქებში 1865 წლისათვის იყო სულ 120 941 მცხოვრები.

სათანადო ცნობების უქონლობის გამო მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვიმსჯელოთ მთლიანად საქართველოს შესახებ, მაგრამ ჩვენ ხელთ

---

[1] 1821 წლის მონაცემები იხ. სსცია, ფ. 16, საქ. 2725, ფურც. 121—122; 1835 წლის ცნობები—О. Евецкий, Статистическое описание Зак. края, СПБ, 1835. 1847 წლის მონაცემები—Сборник материалов для описания Тифл., губ., т. I, вып. I. Тиф., 1870, გვ. 64; აღნიშნულ კრებულში თელავისა და დუშეთის მოსახლეობა არ არის გამოყოფილი მათი მაზრების მოსახლეობიდან, რის გამოც ამ ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა ცხრილში აღებულია პირობითად, სხვა წყაროებზე დაყრდნობით. 1865 წლის მონაცემები იხ. Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, отд. I, часть IV, გვ. 44, отд. 2, გვ. 62.

[2] Сборн. статист. свед. о Кавказе, т. I. отд. 2, გვ. 63. ცნობები ქუთაისის მოსახლეობის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში მეტად წინააღმდეგობრივია: 1825 წლისათვის აქ მითითებულია 3367 სული, 1856 წლისათვის 3856 სული (ЦГИА СССР, ф. 1288, оп. 25, дело 34, л. 57). სხვა ცნობებით 1835 წელს აქ იყო 2000 სული (О. Е в е ц к и й, статистич. описание), ხოლო 1844 წელს 2188 სული. (სსცია, ფ. 16, საქ. 8155).

არსებული მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე თვალნათლივ დასტურდება XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში ქალაქების საკაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის გაცილებით უფრო სწრაფი ზრდა შედარებით სამიწათმოქმედო მოსახლეობასთან. კერძოდ, 1821 წელს აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები, ბორჩალოს, თუშეთის და ფშავ-ხევსურეთის დისტანციები) მოსახლეობა შეადგენდა 185 600 სულს, აქედან ქალაქებისა (თბილისი, გორი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი) — 22 500 სულს[1], ანუ მთელი მოსახლეობის 12,2%-ს. 1865 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა (იმავე ფარგლებში) გაიზარდა 489 100 სულამდე, ე. ი. 163%-ით, ხოლო ქალაქებისა — 92 360 სულამდე, ე. ი. 310%-ით[2]. ესე იგი ქალაქების მოსახლეობა იზრდება მთელ მოსახლეობაზე თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად. 1865 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მცხოვრებნი შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 18.8%-ს[3].

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის თვალსაჩინო ზრდა საერთოდ, და ქალაქებისა, კერძოდ, ნაწილობრივ უნდა აიხსნას ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებით.

ქუთაისის გუბერნიაში, რომელსაც 60-იან წლებში მიეკუთვნებოდა ახალციხის მაზრაც (ახალქალაქის ჩათვლით), 1865 წლისათვის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 700 ათასამდე სულს[4], ხოლო ქალაქებისა (ქუთაისი, ახალციხე, სოხუმი, ფოთი) — 30 ათასამდე სულს, ე. ი. 4,3%-ს.

მთლიანად საქართველოს მოსახლეობა 60-იანი წლების შუა ხანებში შეადგენდა 1 190 ათასამდე სულს, ქალაქებისა კი — 121 ათასს, ე. ი. მთელი მოსახლეობის 10,1%-ს. მარტო თბილისის მკვიდრი მოსახლეობა (67 ათასი სული) მთელი საქართველოს მოსახლეობის 5,6%-ს უდრიდა.

საქართველოს ქალაქების დიდი ნაწილი არ გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი მასშტაბებით. აქ 50 ათასზე მეტი მცხოვრები იყო მხოლოდ ერთ ქალაქში (თბილისი), 10 ათასზე ოდნავ მეტი — 2 ქალაქში (ქუთაისი, ახალციხე), 10 ათასამდე მცხოვრები — 3 ქალაქში (გორი, სიღნაღი, თე-

---

[1] სსცია, ფ. 16, საქ. 2725, ფურც. 121—122.

[2] Сборник статистич. сведений о Кавказе, I, отд. 2, ч. IV, გვ. 44. აღმოსავლეთ საქართველოში აქ არ არის შეტანილი ახალციხე და ახალქალაქი, ადმინისტრაციულად ისინი ამ დროს ქუთაისის გუბერნიას განეკუთვნებოდნენ.

[3] ოფიციალური ცნობით თბილისის გუბერნიის ქალაქების მცხოვრებნი ელიზავეტპოლის ჩათვლით 1865 წელს შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 17%-ს., Сборник статистич. сведений о Кавказе, I, ч. IV, გვ 45.

[4] აქედან ახალციხის მაზრაში 76 800 სული, სოხუმის სამხედრო განყოფილებაში 79 ათასი სული, ქუთაისის გუბერნიის დანარჩენ მაზრებში 454 ათასი სული (Сборник статист. свед. о Кавказе, т. I, отд. 2, გვ.11 –12).



თბილისი. სახლი აბას-აბადის მოედანზე.

ლავი). 4 შედარებით მცირე ქალაქში 1 000-დან 3 ათასამდე კაცი ცხოვრობდა (სოხუმი, ფოთი, ახალქალაქი, დუშეთი), მაგრამ ასეთი ვითარება რეფორმამდელი პერიოდის საქალაქო ცხოვრების სუსტი განვითარების მაჩვენებელი არ იყო[1].

---

[1] აღსანიშნავია, რომ 1863 წლისათვის ევროპულ რუსეთში მსხვილი ქალაქების (50 ათასზე მეტი მცხოვრებით) მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 2,7%-ს, ხოლო ყველა ქალაქისა—9,9%-ს (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 660).

თუ ვის ხარჯზე იზრდებოდა ქალაქების მოსახლეობა, პასუხს გვაძლევს 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში ქალაქების ბეგარავალდებული მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრები. თბილისის 1866 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით[1], 1850—1860 წლებში აქ მოსული და სახაზინო პალატის მიერ ქალაქის მცხოვრებლებად აღიარებული მოსახლეობიდან, საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებიდან მოსულა 1 006 კომლი (მათ შორის 171 კომლი ყმობიდან განთავისუფლებული ქართველი), ქალაქებიდან კი — 120 კომლი. დასავლეთ საქართველოდან გადმოსული იყო 32 კომლი, ამიერკავკასიის სხვა ადგილებიდან — 192, რუსეთის გუბერნიებიდან — 425 (მათ შორის ყმობიდან განთავისუფლებულნი) და ბოლოს სპარსეთიდან და თურქეთიდან — 30 კომლი.

როგორც ვხედავთ, თბილისში 1850—1860 წლებში მარტო აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებიდან მოსულნი შეადგენდნენ ათას კომლზე მეტს, ხოლო სხვა ადგილებიდან (ამიერკავკასიის სხვა კუთხეებიდან, რუსეთიდან, სპარსეთიდან და თურქეთიდან) — 650-მდე კომლს. ამრიგად, თბილისის მოსახლეობა უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში მოსულ დაბეგრილ მოსახლეობასაც, მაშინ 1850—1860 წლებში სოფლებიდან ქალაქში ახლად ჩამოსახლებულთა შეფარდება ქალაქების მთელ მოსახლეობასთან, შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 7)[2].

ცხრილი 7

ქალაქების დასახელება	სულ მოსული კომლები	მათ შორის: სახაზინო გლეხები	ყმობიდან განთავისუფ.	საბატონო გლეხები	სოკლესიო გლეხები	სულ კომლების რაოდენ. ქალაქებში	1850—60 წ.-ში მოსულნი მთელ მოსახლეობ. %%
თბილისი	1006	600	171	138	97	10115	10
გორი	186	166	9	3	8	943	19,7
თელავი	168	105	59	1	3	1199	14
სიღნაღი	856	428	412	5	11	1654	51,3
დუშეთი	45	32	6	6	1	391	11,4
	2261	1331	657	153	120	14310	15,3

[1] სსცია, ფ. 255, საქ. 390, 392—398.

[2] თბილისის გარდა სხვა ქალაქების მასალები აღებულია შესაბამისი კამერალური აღწერის დავთრებიდან: გორის—სსცია, ფ. 255, საქ. 245, თელავის —საქ. 198, სიღნაღისა—ხაქ. 217, დუშეთისა— საქ. 221.

ზემომოტანილი მონაცემები ითვალისწინებს ქალაქებში მოსული მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც სახაზინო პალატის მიერ მიწერილ იქნა ქალაქებზე. მაგრამ ქალაქებში, და განსაკუთრებით კი თბილისში, დიდი რაოდენობით იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ადმინისტრაცია არ სცნობდა ქალაქების მცხოვრებლებად[1].

როგორც ცნობილია, თბილისში კამერალური აღწერით გათვალისწინებულ და აგრეთვე დათხოვნის ფურცლებითა თუ „პასპორტებით" მოსული მოსახლეობის გარდა, რომელიც საერთო ჯამში, დაუბეგრავ წოდებებთან ერთად (თავადაზნაურობა, საპატიო მოქალაქენი და სხვ.), 60-იანი წლების შუა ხანებში დაახლოებით 65—67 ათას სულს შეადგენდა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოდიოდა დიდძალი მუშახელი. ოფიციალური ცნობით, 1863 წელს ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარიდან და სპარსეთიდან ზაფხულის სეზონურ სამუშაოებზე 20 ათასამდე კაცი მოსულა. დედაქალაქის არამკვიდრი მოსახლეობა კი სულ 50 ათას კაცამდე აღწევდა, ე. ი. მთლიანად მცხოვრებთა რიცხვი 100 ათას სულს აღემატებოდა[2].

საქართველოს ქალაქებში სოფლიდან მოსულთა საქმიანობის შესახებ წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ისევ კამერალურ აღწერათა მონაცემების მიხედვით. კერძოდ, 50-იანი წლების მანძილზე ქალაქებში მოსულთა დანაწილება საქმიანობის მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრ. 8)[3].

ცხრილში ასახულია სოფლიდან მოსული და კამერალურ აღწერებში მოხვედრილი მოსახლეობა. ამას გარდა, ქალაქებში დიდი რაოდენობით მოდიოდნენ სეზონური მუშები და სხვა მშრომელნი. ამ მხრივ საინტერესოა 30-იანი წლების დამკვირვებლის ერთი ცნობა, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „ხელოსანთაგან ბევრნი მოსულნი არიან სხვა ადგილებიდან, მაგრამ მუშაობენ აქ (თბილისში — ავტ.) მუდმივად, რადგან არსად სხვაგან არ შეუძლიათ იშოვონ სამუშაო ესოდენ მაღალი ხელფასით, როგორც თბილისში. ქალაქში დიდი რაოდენობით მყოფი იმერლები ასრულებენ

---

[1] მაგალითად, თბილისის 1863 წლის კამერალური აღწერის ჩამტარებელმა კომისიამ მიიჩნია, რომ ამიერკავკასიის სოფლებიდან და ქალაქებიდან (უპირატესად საქართველოდან) მოსული 916 კომლი უნდა დაბრუნებულიყო მათ საცხოვრებელ ადგილზე (მათ შორის 246 კომლი სამეგრელოში). იგივე გ დაწყვეტილება იქნა მიღებული რუსეთის გუბერნიების მცხოვრებ 270 კომლის შესახებაც.

ამავე დროს თბილისში იყო აღრიცხული 3608 კომლი, რომელნიც გატარებულნი იყვნენ კამერალურ აღწერებში სოფლად. მათ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დაჰქონდათ სათანადო დათხოვნის ფურცლები ან სხვა საბუთები. ამ უკანასკნელთა დროებით ცხოვრება თბილისში კანონიერად ჩაითვალა და მათ მიმართ არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული (მოტანილი მონაცემები აღებულია: სსცია, ფ. 255, საქ. 223, ფურც. 350—351).

[2] Сборник статист. свед. о Кавказе, отд. I, ч. IV, гл. 84.

[3] თბილისში მოსულთაგან გათვალისწინებულია კომლის მეთაურის, ხოლო სხვა ქალაქებში ყველა შრომისუნარიანი მამაკაცის საქმიანობა.

ქალაქების დასახელება	ვაჭრები	ხელოსნები	შავი მუშები	სხვა სახის შრომით საქმიანობაში ჩაბმულნი	სხვანი	სულ
თბილისი	221	409	112	221	43	1006
გორი	27	11	107	—	41	186
თელავი	36	50	163	—	24	273
სიღნაღი	114	169	323	—	14	620
დუშეთი	12	7	22	—	27	68
	410	646	727	221	125	2153

ყოველგვარ შავ სამუშაოს: ისინი არიან ტვირთის და წყლის მზიდავები, ბაღ-ბოსტნებში მომუშავენი და სხვ. მათი რიცხვის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ისინი მოდიან და მიდიან ყოველგვარი ნებართვის გარეშე, რომელსაც დამქირავებლები მათ არ სთხოვენ. ეს ეხება ქალაქის სხვა შავ მუშებსაც"[1].

XIX ს-ის შუა ხანებისათვის, თბილისში სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის აღმავლობასთან დაკავშირებით, მოთხოვნილება მუშახელზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 50-იანი წლებიდან აქ სპარსეთიდან ჩამოსულთა გარდა, დიდი რაოდენობით მოდიოდნენ რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებნი[2], ნაწილობრივ დროებით სამუშაოზე, ნაწილობრივ მუდმივად საცხოვრებლად.

ამრიგად, სოფლებიდან ქალაქად წასული მოსახლეობა ძირითადად სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში ებმებოდა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდა თავს («чернорабочий», «просторабочий», «работник» და სხვ.). ეს ეხება ხელოსანთა იმ ნაწილსაც, რომელიც ვერ ახერხებდა დამოუკიდებელი წარმოების გახსნას და სხვის სახელოსნოში მუშაობდა. თბილისში ახალმოსულთა დიდი ნაწილი თავს ირჩენდა მხერხაობით, მეურმეობით, მზარეულობით, მეთევზეობით, მენახშირეობით და სხვ.

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს ქალაქებში მომხდარი ძვრები წოდებათა შიგნით მიმდინარე ცვლილებებშიც პოვებდა თავის გამოხატულებას. პირველ რიგში ეს შეიმჩნეოდა მწარმოებელთა ფენაში (ბეგარავალდებულ მოსახლეობაში), რომლის უმრავლესობა გლეხთა წოდებას განეკუთვნებოდა. „გლეხებში" ჩვეულებრივ ოფიციალური სტატის-

[1] Обозрение российских владений за Кавказом, I, გვ. 214.

[2] Сборник статистических сведений о Кавказе, I, отд. I, ч. IV, გვ. 61—62.

ტიკა აღრიცხავდა ქალაქში მცხოვრებ ვაჭარ-ხელოსნებს, რომელნიც ადრე პირადი თავისუფლებით არ სარგებლობდნენ (სახაზინო, საბატონო და საეკლესიო გლეხები), ან, თუ მიაღწიეს პირად თავისუფლებას, მაინც თავის წოდებაში ითვლებოდნენ. ქალაქში მცხოვრები „გლეხების“ დიდი უმრავლესობა სახაზინო უწყებისა იყო. როგორც ცნობილია, სახაზინო გლეხობის დამოკიდებულება სახელმწიფოსაგან ფეოდალურ წესზე იყო დამყარებული, მაგრამ თუ სოფლად ამ დამოკიდებულებას აძლიერებდა საადგილმამულო ურთიერთობა, ქალაქებში ასეთ ვითარებას, როგორც წესი, ადგილი არ ჰქონდა. ეს განაპირობებდა სახაზინო „გლეხთა“ შეღარებით თავისუფლებას ქალაქად[1]. მათი დამოკიდებულება ხაზინისაგან ფაქტიურად სახელმწიფო გადასახადის გადახდით ამოიწურებოდა, რაშიც უნდა ვხედავდეთ ფეოდალური დამოკიდებულების მხოლოდ ელემენტებს[2].

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ უფლებრივადაც სახაზინო გლეხები ქალაქებში განსხვავებულ ვითარებაში ექცეოდნენ. ასე მაგალითად, 1840 წელს შემოღებული თბილისის „სამოქალაქო მმართველობის“, კერძოდ, ქალაქის თავისა და ხმოსნების, არჩევნებში მოქალაქეებთან ერთად მონაწილეობდნენ როგორც ქალაქში ახალმოსული, ისე დანარჩენი სახაზინო გლეხები. თითოეული ამ „საზოგადოებიდან“ არჩეულ იქნა ორ-ორი ხმოსანი და ორ-ორი კანდიდატი[3].

მართალია, ახალი დებულებით ხმოსნები უნდა აერჩიათ უძრავი ქონების მესაკუთრეებს, ვაჭრებს და ხელოსნებს, მაგრამ ფაქტიურად უძრავი საკუთრების პატრონებად გამოვიდნენ მთლიანად მოქალაქენი და ნაწილობრივ სახაზინო გლეხები როგორც ახალმოსულნი, ისე მკვიდრნი. ამ უკანასკნელთა შორის, ვაჭრების გარდა, იყვნენ ხელოსნებიც, რომელთა შესახებაც არ არის აღნიშნული, რომ ისინი უძრავ ქონებას ფლობდნენ.

როგორც ვხედავთ, 40-იანი წლების თბილისში ბურჟუაზიული ურთიერთობის სუსტი განვითარების გამო თვით დებულებაშიც ბოლომდე არ არის დაძლეული წოდებრიობის პრინციპი. ამან თავი იჩინა არჩევნების ჩატარებისას. ქალაქელთა ქონებრივი მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ გახდა ძირითადი ამოსავალი არჩევნების დროს. საყურადღებოა, რომ არჩევ-

---

[1] შეადარე: П. Г. Рындзюнский, Городское гражданство..., გვ. 40—42.

[2] იქვე, გვ. 383.

[3] სსცია, ფ. 16, საქ. 6144, ფურც. 15,17—18, 80—81;

საყურადღებოა, რომ რუსეთში XIX ს-ის პირველ ნახევარში სახაზინო გლეხები ჩვეულებრივ არ მონაწილეობდნენ საქალაქო მმართველობის არჩევნებში. აქ ერთადერთი შემთხვევაა დადასტურებული, რომ ქ. ოსტროგოჟსკში ვაჭრებთან (купцы) და მეშჩანებთან ერთად ხმოსნები აირჩიეს „ქალაქში მცხოვრებმა სახაზინო მოსახლეებმა“, რაც განიხილებოდა, როგორც არსებული წესიდან დაუშვებელი გადახვევა. იხ. П. Г. Рындзюнский, Городское гражданство..., გვ. 407.

ნებში საბატონო და საეკლესიო გლეხები არ იღებდნენ მონაწილეობას, საფიქრებელია, როგორც ქალაქის არათავისუფალი მოსახლეობა.

უფრო გვიან, კერძოდ, 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში შედგენილ ქალაქების კამერალურ აღწერილობათა დავთრებში სახაზინო გლეხები, როგორც ასეთნი, აღარ გვხვდებიან. ისინი განიხილებიან, როგორც „სახაზინო მოსახლენი ანუ ქალაქელნი“ («казенные обыватели или граждане»). ეს ეხება არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვა ქალაქების — ქუთაისის, სიღნაღის, გორის, თელავის და სხვ. — მცხოვრებლებსაც. „სახაზინო მოსახლენი ანუ ქალაქელნი“ ერთგვარად მოგვაგონებენ რუსეთის ქალაქების მეშჩანებს, რომელთა მდგომარეობა ბევრად წააგავდა სახაზინო გლეხთა მდგომარეობას[1].

50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისის ქალაქების „საგადასახადო ტაბელები“, რომელნიც შესაბამის კამერალურ აღწერათა მონაცემებს ემყარებოდნენ, შემდეგ სურათს წარმოგვიდგენენ ქალაქების დაბეგრილი წოდებების კომლობრივ შემადგენლობაზე (იხ. ცხრ. 9)[2].

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სახელმწიფო გლეხები ფაქტი-

ცხრილი 9

ქალაქების დასახელება	მოქალაქენი	სახაზინო მოსახლენი ანუ ქალაქელნი	საეკლესიო ყმები	საბატონო ყმები	სულ კომლ
თბილისი	1195	8680	699	1162	11736
გორი	—	768	110	65	913
თელავი	—	1141	12	46	1199
სიღნაღი	—	1600	41	13	1654
დუშეთი	—	358	8	25	391
ქუთაისი	243	304	144	33	724
ახალქალაქი	—	363	—	—	363
	1438	13214	1014	1344	17010

[1] იხ. П. Г. Рындзюнский, Городское гражданство..., зз. 40—42.

[2] თბილისის გუბერნიის ქალაქების საგადასახადო ტაბელი იხ.: სსცია, ფ. 255, საქ. 223, ფურც. 109, ქუთაისის გუბერნიისა, საქ. 200, ფურც. 81 (აქ შეტანილია ქუთაისი და ახალქალაქი. ახალციხის მონაცემები დოკუმენტში არ არის). თბილისის 1860 წლის აღწერას ვერ მივაგენით, ამიტომ ვსარგებლობთ 1866 წლის ტაბელით (სსცია, ფ. 255, საქ. 223, ფურც. 399). მართალია, ეს ტაბელი მოგვიანო დროისაა, მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს თბილისის 1860 წლის კამერალური აღწერის ინსტრუქცია, სადაც ქალაქში მცხოვრებთა შემდეგი წოდებებია აღნიშნული: მოქალაქენი, ქალაქელნი (граждане), საეკლესიო და საბატონო გლეხები (სსცია, ფ. 225, საქ. 223, ფურც. 176,178). ასე, რომ სახაზინო გლეხები აქაც არ არიან მოხსენებულნი, იგულისხმებიან ქალაქელებში.

ურად თავისუფალნი იყვნენ, მაშინ თავისუფალ „ქალაქელთა“ ხვედრითი წონა ბეგარვალდებულ მოსახლეობაში გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. კერძოდ, მოქალაქენი და „სახაზინო მცხოვრებნი, ანუ ქალაქელნი“ შეადგენდნენ ქალაქების მთელი დაბეგრილი მოსახლეობის ხუთ მეექვსედზე მეტს. ამდენადვე, მთლიანად თბილისის თავისუფალი მოსახლეობა 60-იანი წლების შუა ხანებისათვის შეადგენდა არა 45 ან 55%-ს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული[1], არამედ 88%-ს[2]. რაც შეეხება ქალაქებში მცხოვრებ საბატონო და საეკლესიო გლეხებს, რომელთა დიდი ნაწილი სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში იყო ჩაბმული (საბატონო ყმების გარკვეული ნაწილი პირადად ემსახურებოდა მათ მებატონეებს), არც ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ძველი დროის წმინდა წყლის ყმურ მოსახლეობად, რადგან თანდათან სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა მათი ქალაქის „თავისუფალ“ მწარმოებლებთან ფაქტიური გათანაბრება და მათ მფლობელთაგან დამოკიდებულების შესუსტება. ამ ფენასაც ახასიათებდა იურიდიული თავისუფლებისაკენ გაძლიერებული ლტოლვა. თბილისის 1866 წლის კამერალური აღწერა უჩვენებს ასობით განთავისუფლებულებს («вольноотпущенные», «отсужденные»), რომლებიც გამოსულნი იყვნენ როგორც სოფლებიდან, ისე ქალაქის ყმური მოსახლეობიდან.

ოფიციალური სტატისტიკა 60-იანი წლების შუა ხანებშიც და შემდგომაც კვლავ ხმარობდა ტერმინს „სახაზინო გლეხი“, მაგრამ ეს იყო არა იმდენად ფაქტიური ვითარების ამსახველი, რამდენადაც ძველი ტრადიციის გაგრძელება. იმ დროისათვის ქალაქების ბურჟუაზიული განვითარების შედეგად ფაქტიურად სულ უფრო და უფრო იშლება ზღვარი წოდებათა შორის და განმსაზღვრელი როლი ენიჭება ქალაქელთა ქონებრივ მდგომარეობას, მათი საქმიანობის ხასიათს. ამ მხრივ „სახაზინო გლეხები“ სხვა ქალაქელთაგან უკვე არაფრით არ გამოირჩეოდნენ. ასე მაგალითად, თბილისის ამქრების 44 უსტაბაშიდან, რომელთაც ბრალად ედებოდათ 1865 წლის გამოსვლის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობა, 11 იყო სახაზინო გლეხი, 20 — ახალმოსული ქალაქელი, 5 — მოქალაქე, 1 — მემკვიდრეობით საპატიო მოქალაქე, 2 — აზნაური, თუ აზნაურობის მაძიებელი, 1 — დროებით ვალდებული და 3 — საეკლესიო გლეხი[3]. როგორც ჩანს, ყველა კატეგორიის გლეხები მეტ-ნაკლებად აქტიურად მონაწილე-

---

[1] Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, 1942, გვ. 142—143; გ. ჯაბური ა, თბილისის მოსახლეობა XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში, ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. III, 1958, გვ. 146—147 და სხვ.

[2] ქალაქის არათავისუფალ მოსახლეობაში ჩვენ ჩავთვალეთ საბატონო, საეკლესიო გლეხები და შინაყმები, სულ 8 ათასამდე სული, ანუ მთელი მოსახლეობის 12% (იხ. ДИГ, I, ч. 2, 1960, გვ. 61).

[3] ДИГ, I, ч. 2, გვ. 154—156.

ობდა ქ. თბილისის წოდებრივ-პროფესიულ დაწესებულებათა საქმიანობაში, განსხვავება მათ შორის თითქმის აღარ არსებობდა.

სხვადასხვა კატეგორიის ქალაქელ „გლეხთა“ ნიველირებაზე ლაპარაკობს აგრეთვე მათი დაბეგვრის წესი.

საგადასახადო ტაბელების თანახმად, თბილისელი მოქალაქენი დაბეგრილნი იყვნენ კომლზე 9 მან. და 20 კაპიკით, ქუთაისის მოქალაქენი — 6 მანეთით. დანარჩენი წოდებანი — სახაზინო მოსახლენი ანუ ქალაქელნი, საეკლესიო და სახაზინო გლეხები — კომლზე 3 მანეთით. ქალაქელთა გადასახადები ზემოაღნიშნულით როდი ამოიწურებოდა. გარდა სახელმწიფო საკომლო გადასახადისა, რომელსაც მახტა ეწოდებოდა (3 მან. კომლზე), თბილისის მცხოვრებნი — ვაჭრები თუ ხელოსნები — იხდიდნენ გადასახადს ქალაქის სასარგებლოდ — მასრაფს 2 მან.-ის ოდენობით. განსაკუთრებული გამოსაღები იყო დაწესებული ვაჭრობისა და ხელოსნობის ნებართვის მიღებისათვის[1].

არსებულ საგადასახადო სისტემაში მთელი სიძლიერით ვლინდებოდა ფეოდალური წყობილების შემაფერხებელი ზეგავლენა საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე. ქალაქის დაბეგრილი მოსახლეობის — წვრილბურჟუაზიული ფენის დიდი უმრავლესობა გადასახადების სიმძიმის გამო მოკლებული იყო კაპიტალის დაგროვების საშუალებას[2].

რეფორმის წინა პერიოდში უკვე არსებითად საქმე გვაქვს როგორც ქალაქის ბურჟუაზიული ფენის, ასევე ნახევრადპროლეტარული მასების ჩამოყალიბების საწყისებთან. სოციალურ ძალთა ეს დაჯგუფება კარგად აქვს შენიშნული ნ. ნიკოლაძეს თბილისის მოსახლეობის 1865 წლის მღელვარებასთან დაკავშირებით დაწერილ წერილში. ნ. ნიკოლაძე წერს: „საქართველოს ქალაქთა მოსახლეობა მრავალრიცხოვანი არ არის. იგი თავმოყრილია თბილისში და ორ-სამ უმნიშვნელო ქალაქში, მაგალითად, ქუთაისსა, გორსა და სხვა. ამ ქალაქებში იგი დღევანდლამდე მკვეთრად იყოფოდა ორ კლასად: მოქალაქეებად („მეშჩანებად“) და მუშებად“[3]. ავტორის თანახმად, „მოქალაქეები“ ანუ „წვრილბურჟუაზიული ექსპლოატატორები“ და „პროლეტარიატი“ — „ქალაქის მუშა მოსახლეობა“ ანუ „ნებაყოფლობით დაქირავებული ქალაქის მუშები“ „ოდითვე მტრულად განწყობილი“ იყვნენ; ამ ორ ფენას შორის „საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობის სხვადასხვაობის გამო მთელი უფსკრულია გათხრილი“. „ინტერესების სხვადასხვაობას, უკმაყოფილებას, რომელსაც ექსპლოატაცია ქმნიდა და ასაზრდოებდა, ხშირად მოქალაქეებისა

---

[1] ДИГ, I, ч. 2, გვ. 74, 121—122.

[2] შეადარე: П. Г. Рындзюнский, Городское гражданство..., გვ. 383—384.

[3] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 298—304.

და მუშების გამწვავებული ურთიერთობა დანისა და ხანჯლის ტრიალამდე მიჰყავდა"[1].

ვის გულისხმობს ნ. ნიკოლაძე ქალაქის „პროლეტარიატში"? მუშების „დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებსა დ სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრებისათვის, წყალსა და შეშას — მცხოვრებთათვის...". ეს ძირითადად არის სოფლიდან გამოქცეული გლეხობა, რომელიც ბატონისაგან თავისუფლების მიღების ფასად „ბურჟუაზიისა და მოხელეობის ხელქვეითი, ლუკმაპურის ძებნის მონად ხდება"[2].

ჩანს, ნ. ნიკოლაძე ჯერ ვერ ამჩნევს ქალაქის მრეწველობაში ჩაბმულ შედარებით მცირერიცხოვან მუშახელს და ოსტატებთან მომუშავე ქარგლებსა და შეგირდებს, რომელნიც ფაქტიურად დაქირავებული მუშების მდგომარეობაში ექცევიან და ავსებენ ქალაქის „პროლეტარული" მასების რიგებს. მაგრამ ავტორის მიერ დახატული სურათი ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ-ექსპლოატატორული კლასისა და ექსპლოატირებული მშრომელი მოსახლეობის დაპირისპირებისა, რომელთა შორის უკვე კლასობრივი ბრძოლის ფაქტები იჩენს თავს, მეტად ნიშანდობლივია ეპოქის სოციალურ ძალთა დაჯგუფების დასახასიათებლად.

რეფორმამდელ ხანაშივე საგრძნობი ცვლილებები ხდება ქალაქების, კერძოდ, თბილისის, დაუბეგრავი მოსახლეობის შემადგენლობაშიც. ქალაქში მცხოვრები ფეოდალური არისტოკრატიის — მემკვიდრეობით თავადაზნაურობის გვერდით იზრდება ფენა პირადი ანუ მსახურეული აზნაურებისა. ამავე დროს მოქალაქეებს გამოეყოფიან საპატიო მემკვიდრეობითი მოქალაქეები, ხოლო მათ გვერდით იზრდება და ძლიერდება პირადი საპატიო მოქალაქეთა და ვაჭართა ფენა, რომელიც ქალაქის მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიას შეადგენს.

ქალაქებში ჩნდება რაზნოჩინული ფენაც, რაც უკვე ახალი დროისათვის არის დამახასიათებელი.

ერთი სიტყვით, რეფორმამდელი საქართველოს ქალაქების განვითარება მაჩვენებელი იყო ქვეყანაში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ინტენსიური რღვევისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განუხრელი ზრდისა.

* * *

რაც ზემოთ ითქვა, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გასული საუკუნის 30—50-იან წლებში საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, თბ., 1962, გვ. 298—304.

[2] იქვე, გვ. 300.

ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ძვრებსა და ცვლილებებს, რაც გამოიხატა: სასაქონლო წარმოების განვითარებაში, ბურჟუაზიულ პრინციპებზე დამყარებული ფერმებისა და სამრეწველო საწარმოთა შექმნაში, განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და დაქირავებული შრომის შედარებით ფართოდ გამოყენებაში, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდაში, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებაში, გლეხებისა და მემამულეების კლასობრივი დიფერენციაციის საკმაო სიღრმით მიმდინარეობაში, ფეოდალური საკუთრების თანდათანობით მოშლაში, ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავებაში და ა. შ.

ეს კი მკაფიო მაჩვენებელია იმისა, რომ აღნიშნული ხანის საქართველოში უკვე შეიქმნა ეგრეთ წოდებული კაპიტალისტური წყობა, რაც ახალი ურთიერთობის ბირთვის იმ მასშტაბით არსებობას გულისხმობს, რომელიც უკვე არღვევს ძველს, სასიკვდილოდ განწირულ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციას.

თავი მეორე

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30—50-იან წლებში. მმართველობის სისტემა

XIX ს-ის 20-იანი წლების მიწურულის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების წარმატებით დამთავრების შემდეგ, მეფის მთავრობას შედარებით მეტი საშუალება მიეცა განეხორციელებინა ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ყოველმხრივი ათვისება. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მხარე „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრათ რუსეთთან“, ექციათ იგი მის განუყოფელ ნაწილად და აეძულებინათ მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“[1]. უზენაესი ხელისუფლების მიზანი იყო საქართველო გადაექცია ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიურად — მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პროგრამის განხორციელებას ცარიზმი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა.

§ 1. ქვეყნის კოლონიზაცია

მთავრობის წრეების აზრით, კოლონისტებს ახალი დასახლების რაიონებში მიჰქონდათ „მეტროპოლიის წესები, ჩვეულებები, ენა და ხელოსნობა“ და ამავე დროს ინარჩუნებდნენ „ბავშვური სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას თავიანთი ადრინდელი სამშობლოსადმი“[2].

ამრიგად, ცარიზმმა, რომელსაც კოლონიზაცია მხარის ათვისების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიაჩნდა, ადრიდანვე მიჰყო ხელი ამ საქმია-

---

[1] Колониальная политика царизма в Азербаиджане (შემდეგში შემოკლებით КПЦА), 1, М—Л., 1936, გვ. 280.

[2] იქვე, გვ. 286.

ნობას, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ გაშალა თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. სწორედ ამ დროიდან სულ უფრო და უფრო გაისმოდა ხმები ამიერკავკასიაში (და, მაშასადამე, საქართველოშიც) რუსული კოლონიებისა და, კერძოდ, სამხედრო დასახლებათა შექმნის აუცილებლობის შესახებ. ეს უკანასკნელნი უნდა შეექმნათ სამსახურიდან გადამდგარი დაოჯახებული ჯარისკაცებისაგან, რომლებსაც მთავრობა უზრუნველყოფდა „მიწის საჭირო რაოდენობით“ და სამუშაო იარაღებით. კოლონისტებს მთავრობა განიხილავდა, როგორც „დასაყრდენ ძალას, რომელიც განსაცდელის ჟამს მუდამ მზადყოფნის მდგომარეობაში“[1] უნდა ყოფილიყო. მათ, ნიკოლოზ 1-ის აზრით, უნდა განემტკიცებინათ ცარიზმის ბატონობა კავკასიაში და უზრუნველეყოთ ადგილობრივი მოსახლეობის სრული მორჩილება[2].

მალე, სახელდობრ 1835 წელს, კავკასიის არმიის მთავარსარდალ ბარონ როზენს წერილობით უბრძანეს შეედგინა სათანადო პროექტი, ხოლო ორი წლის შემდეგ საქართველოში უკვე გაჩნდა პირველი სამხედრო დასახლებანი. ისინი დააარსეს თბილისის მახლობლად წალკაში, მანგლისში, კოჯორში და აგრეთვე ახალციხის რაიონში[3]. 1837—1860 წწ. პერიოდში ამიერკავკასიაში შეიქმნა სულ 10 სამხედრო კოლონია. მთავრობა ყოველნაირად ზრუნავდა მოახალშენეთა მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ასე მაგალითად, 1841 წელს კავკასიის ადმინისტრაციას ებრძანა, რომ მას თავისუფალი სახაზინო მიწების მთელი ფონდი გამოეყენებინა მხოლოდ სამხედრო და სხვა კოლონიების საჭიროებისათვის[4].

მიუხედავად იმისა, რომ მოახალშენები შედარებით უკეთესად იყვნენ უზრუნველყოფილნი წარმოების საშუალებებით, მათ მაინც ვერ შექმნეს სანიმუშო მეურნეობები. კიდევ მეტი, დიდი ხნის სამხედრო სამსახურმა ისინი საგრძნობლად გადააჩვია სოფლის სამუშაოებს და თითქმის სრულებით უვარგისი გახადა მეურნეობისათვის. ასე, რომ ამ მხრივ სამხედრო კოლონისტებმა ვერ გაამართლეს მთავრობის იმედები, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ხელს უწყობდნენ მოსახლეობის გარუსების საქმეს, თუმცა მიზანს, როგორც ცნობილია, მაინც ვერ მიაღწიეს.

მხარის კოლონიზაცია რუსული ელემენტებით ხორციელდებოდა არამარტო სამხედრო დასახლებათა შექმნით. 1830 წლის კანონის საფუძველზე „სამხრეთის ციმბირში“ (როგორც იმ დროს საქართველოს უწოდებდნენ რუსეთის რეაქციული წრეები) მოდიოდნენ საკუთარი ნებითაც და სასა-

---

[1] КПЦА, I, გვ. 286.

[2] АКАК, VIII, გვ. 381.

[3] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX ს. (შემოკლებით საეგ.), თბ., 1949, გვ. 623—624.

[4] იქვე, გვ. 624.

მართლო დადგენილებების ძალითაც ყველა ჯურის „რასკოლნიკები“ (სექტანტები) — დუხობორები, მალაკნები, სკოპები, სუბოტნიკები და სხვანი, რომელთა დატოვება რუსეთის შიდა გუბერნიებში სასურველად არ იყო მიჩნეული, რათა მათ გავლენა არ მოეხდინათ ორთოდოქსალურ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე. რაც შეეხება მათ საქართველოში ყოფნას, ეს სახიფათოდ არ მიაჩნდათ, რადგან სექტანტების ზნე-ჩვეულებანი მკვეთრად განსხვავდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისაგან და რაკი მათ არც კავკასიელ ხალხთა ენები იცოდნენ, უზენაესი ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერც კონტაქტს დაამყარებდნენ აბორიგენებთან და ვერც რაიმე მავნე გავლენას მოახდენდნენ მათზე[1]. უფრო მეტიც, მთავრობის აზრით, „რასკოლნიკებს“ შეეძლოთ ერთგვარი სარგებლობაც კი მოეტანათ იმ მხრივ, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ მხარის გარუსებას და მასში სხვადასხვა ხელოსნობის განვითარებას[2].

სექტანტების დასახლება ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, დაწყებული 30-იანი წლებიდან, განსაკუთრებით გაიშალა გასული საუკუნის 40—50-იან წლებში. საკმარისია ითქვას, რომ 1856 წლის 1-ლი იანვრისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში აღრიცხული იყო სულ 21 რუსული სოფელი, რომლებშიც ცხოვრობდა 1 133 კომლი[3], ორივე სქესის დაახლოებით 6 000 სული.

კოლონისტებმა (მათ შორის არარუსული წარმოშობისა[4]) მიიღეს საკმაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთები[5], რაც, ბუნებრივია, ადგილობრივი გლეხების ინტერესების საზიანოდ ხორციელდებოდა.

მართალია, იმ მიწებს, რომლებსაც გადმოსახლებულებს ურიგებდნენ, „თავისუფალი“ მიწები ეწოდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. თავისუფალი იყო მიწა იმ გაგებით, რომ იგი მაშინ არავის ეჭირა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის ზედმეტი იყო ადგილობრივი მოსახ-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საეგ., ტ. 1, გვ. 630.

[2] Обозрение Российских владений за Кавказом (ОРВЗК), ч. I, С.-Петербург, 1836, გვ. 163.

[3] АКАК, XI, ч. II, გვ. 163.

[4] მხედველობაშია გერმანელი კოლონისტები, გადმოსახლებულნი საქართველოში 1817—1818 წლებში (486 ოჯახი) და 1842 წელს (10 კომლი) და აგრეთვე სომხები და ბერძნები (600-ზე მეტი კომლი), რომლებიც დაასახლეს თბილისის გუბერნიაში 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ.

[5] მაგალითად, გერმანელი კოლონისტის თითო ოჯახისათვის განკუთვნილი იყო მარტოოდენ სახნავ-სათესი მიწების შემდეგი რაოდენობა: ალექსანდერსდორფის კოლონიაში 36,52 დეს, მარიენფელდის კოლონიაში 35,43 დეს. და ეკატერინენსფელდის კოლონიაში 27,92 დეს. (იხ. Н и к и ф о р о в, Экономический быт немецких колонистов в Закавказье, МИЭБГКЗК, I, გვ. 105).

ლეობისათვის, რომელიც მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას. ამას თვით კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატინსკიც აღიარებდა, რომელსაც საერთო რუსული კოლონიზაცია ჩვენში ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმედ მიაჩნდა, «...Умножение в здешнем крае промышленных русских переселенцев, — სწერდა ის კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს 1857 წლის 15 აგვისტოს, — было бы очень полезно, но средства к наделению их казенными землями становятся весьма затрудительными. Свободных к новому заселению казенных земель в виду весьма немного и точные сведения о том могут раскрыться только с производством генерального межевания. Сверх того, справедливость требует наделять сими землями преимущественно крестьян туземных, из коих значительная часть имеет в том крайний недостаток»[1].

არაიშვიათი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც კოლონისტების მიწით უზრუნველსაყოფად მამაპაპისეული მიწებიდან აჰყრიდნენ ხოლმე ქართველ, სომეხ თუ აზერბაიჯანელ გლეხებს და სამაგიეროდ აძლევდნენ უხარისხო მიწის ნაკვეთებს სულ სხვა ადგილას[2]. აი, რატომ წერდა ი. სტალინი[3], რომ ცარიზმი განზრახ ასახლებდა განაპირა მხარეთა საუკეთესო კუთხეებში კოლონიზატორულ ელემენტებს, ხოლო „ტუზემცებს ქვეყნის უვარგის რაიონებში ერეკებოდა“, ხშირად კი სულაც ბედის ანაბრად ტოვებდა მათ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ამძაფრებდა ეროვნულ შუღლს და ადგილობრივ მკვიდრთ მოსულების წინააღმდეგ აქეზებდა.

§ 2. ეკონომიური პოლიტიკის ხასიათი

ცარიზმი, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო იქითკენ მიისწრაფოდა, რომ განემტკიცებინა თავისი სამხედრო-პოლიტიკური პოზიციები ამიერკავკასიაში, არამედ იმასაც ცდილობდა, რომ ეს მხარე მაქსიმალურად მომგებიანი ყოფილიყო მეტროპოლიისათვის. სათანადო მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ მიმართულებით XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ცოტა რამ იყო გაკეთებული. ფინანსთა მინისტრი კონკრინი თავის პროექტში, რომელიც 1827 წელს სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის პროვინციები, რომლებსაც „არც თუ უსაფუძვლოდ... შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი კოლონიები“, ჯერჯერო-

---

[1] АКАК, XII, ч. 1, გვ. 12.

[2] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1955, გვ. 274.

[3] იხ. მისი სტატია «Политика советской власти по национальному вопросу в России, соч., т. 4, გვ. 356.

ბით არავითარ მოგებას არ გვაძლევენ და, რაც მთავარია, ჩვენ აქამდე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არავითარი ნაბიჯები არ გადაგვიდგამს, რომ გადავაქციოთ ისინი მდიდარი შემოსავლის წყაროდ [1]. რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1837 წელს, ბარონი განი, ეხებოდა რა იმავე საკითხს, წერდა: „ვრცელი და ძალიან ნაყოფიერი მიწები ამიერკავკასიაში ჯერ აუთვისებელია... სოფლის მეურნეობა ჩვილ მდგომარეობაშია.... ყურძნის, აბრეშუმის, ბამბის, თამბაქოს, ინდიგოს, ენდროს მოვლა-პატრონობას ან გაუმჯობესებას საჭიროებს ან სულაც თავიდან დაწყებას“ [2].

ცარიზმის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველო გადაექციათ რუსეთისათვის შემოსავლიან მხარედ, გარკვეულ ეკონომიურ პროგრამას აყენებდნენ. ამ პროგრამის თანახმად, ამიერკავკასიის ქვეყნებს უნდა ეწარმოებინათ მარტოოდენ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ხედლეული რუსეთის მრეწველობისათვის. საკუთარი მრეწველობის განვითარება კი მიჩნეული იყო არა მარტო არასასურველ, არამედ მეტროპოლიისათვის პირდაპირ საზიანო საქმედ. აი რას წერდა 1830 წლის 5 ოქტომბერს პასკევიჩი გრაფ კონკრინს: „განა საქართველო ისე არ უნდა განვიხილოთ როგორც კოლონია, რომელიც დაამზადებს რა უხეშ მასალას (აბრეშუმს, ბამბეულს და სხვ.), ჩვენი ფაბრიკებისათვის, რუსეთიდან ჩამოიტანს მანუფაქტურულ ნაწარმს. საქართველოში მანუფაქტურების დაარსების შემთხვევაში კი დაირღვევა უკანასკნელის კავშირ-ურთიერთობა რუსეთთან“ [3]. კიდევ უფრო გარკვეულად ლაპარაკობდა ბარონი განი: „ნაწარმის მრავალფეროვნება და სიმდიდრე ამიერკავკასიაში, — წერდა იგი 1837 წ., — სულ მცირე შრომისა და უმნიშვნელო კაპიტალის დაბანდებით ძალიან დიდ მოგებას გვპირდება; ამიტომ უთუოდ საკმარისი იქნება, რომ მთავრობა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ მიწისმოქმედების წაქეზებით, ყველა მისი დარგითურთ და მოაშენოს ის ნედლი მასალა, რაც შეესატყვისება აქაურ ნიადაგსა და კლიმატს. რაც შეეხება ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შემოღებას, ეს წაგვართმევდა დიდ ძალღონეს, რაც ესოდენ აუცილებელია მიწათმოქმედებისათვის და ადგილობრივი მხარისათვის, ყოველგვარი სარგებლობის გარეშე ხელს შეუშლიდა რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას, რადგან ჩვენი ფაბრიკები მთავრობისბრძნული წინასწარხედვის წყალობით ისე მომრავლ-

[1] ВПСЗРН, II, № 1019; ОРВЗК, I, გვ. 12.
[2] КПЦА, I, გვ. 302.
[3] АКАК, II, გვ. 140.

დნენ და ისეთ სრულქმნილებას მიაღწიეს, რომ პროდუქტების დამუშავება ძვირი არ ჯდება და მარტო მათ შეუძლიათ მოიხმარონ აბრეშუმი, ბამბა, ზეთოვანი მცენარეულობანი, საღებავი ნივთიერებანი და ამიერკავკასიის სხვა მდიდარი ნაწარმოები“ [1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ამგვარ რეაქციულ პროგრამებთან ერთად, რომლებიც საქართველოს სამუდამო ჩამორჩენილობას უქადდნენ, ისეთი პროექტებიც იყო წამოყენებული, რომლებიც ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებას, მათ შორის სამრეწველო განვითარებასაც ითვალისწინებდა. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ა. ს. გრიბოედოვისა და პ. დ. ზავილეისკის მიერ 1828 წელს პასკევიჩისათვის წარდგენილი «Проект Российской Закавказской компании»[2] და აგრეთვე ა. გ. ჭავჭავაძის მიერ 1833 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-სათვის მიმართული „საქართველოს და მისი მდგომარეობის მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801 წლიდან 1831 წლამდე“[3]. მაგრამ ამ პროექტებს იმხანად განხორციელება არ ეწერათ. ისინი უარყო მთავრობამ, რომელიც საქართველოს განიხილავდა, როგორც რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზას.

ასეთი ეკონომიური პოლიტიკა, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აფერხებდა ამიერკავკასიის ქვეყნების სამრეწველო განვითარებას; ამგვარი პოლიტიკის წყალობით, დასახელებულ ქვეყნებში არამცთუ რეფორმამდე, არამედ მის შემდეგაც შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა ფაბრიკა-ქარხნები. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ისიც ბუნებრივია, ცარიზმისა და ბატონყმურ ურთიერთობათა ბატონობის პირობებში, ნორმალურად არ ვითარდებოდა, მაგრამ მასზე მთავრობა უფრო ზრუნავდა. ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა კანონი „მებაღეობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ ამიერკავკასიაში“ (1834 წ.), „საქართველოს ღვინის კომპანიის“ შექმნა (1836 წ.), „ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ დაარსება (1850 წ.) და სხვა, სწორედ იმაზე მეტყველებს, თუ როგორ ცდილობდა უმაღლესი ხელისუფლება მეტროპოლიის მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის შექმნას.

---

1 КПЦА, 1, გვ. 314.

2 Исторический архив, VI, 1951, გვ. 325—390; პროექტის ტექსტი ო. მარკოვას შესავალი სიტყვით. ამ პროექტის შესახებ იხ. აგრეთვე, Г. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1950, გვ. 196—201 და დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები რეფორმამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, თბ., 1959, გვ. 12—14.

3 Кавказский сборник, XXIII, გვ. 1—35.

§ 3. მმართველობის სისტემა

1840 — 1841 წლების რეფორმები. საქართველოს რუსეთთან „შერწყმის“ საქმეში მთავრობა მნიშვნელოვან ადგილს მმართველობის სისტემას უთმობდა. ის წესები, რომლებიც შემოღებულ იქნა საქართველოში 1801 წლის კანონის საფუძველზე და თითქმის უცვლელად მოქმედებდა 40 წლის განმავლობაში, ოფიციალური წრეების აზრით, უკვე აღარ პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამ წესების უვარგისობის შესახებ ლაპარაკი განსაკუთრებით დაჟინებით რუსეთ-ირანისა (1826 — 1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828 — 1829 წწ.) ომების შემდეგ დაიწყეს. სენატორი მეჩნიკოვი, რომელმაც ამიერკავკასიის ქვეყნები შეამოწმა, თავის 1831 წლის 20 იანვრის პატაკში ხაზგასმით აღნიშნავდა — აუცილებელია რაც შეიძლება ჩქარა ჩატარდეს მმართველობის სისტემის რეფორმებიო. „დატოვო იგი (ე. ი. მმართველობა — ავტ.) ამ მდგომარეობაში, ხანგრძლივი დროით გადადო მისი გარდაქმნა, — წერდა იგი, — ეს ნიშნავს მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი და ითმინო პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობა იმ ზომამდე, როცა მისი განკურნება შეუძლებელი იქნება. ამიტომ ჩემი აზრია — ახლავე ჩავუყაროთ საფუძველი მის გარდაქმნას, გადადება მავნეც იქნება დ სახიფათოც“ [1]. ცოტა უფრო ადრე იგივე მოითხოვა პასკევიჩმაც.

იმ დროს არსებული მმართველობის სისტემის ძირითად ნაკლად რევიზორებს მიაჩნდათ ადგილობრივი ელემენტის მონაწილეობა მასში. სენატორების მეჩნიკოვისა და ქუთაისოვის, როგორც პასკევიჩის აზრით, საჭირო იყო ამ ადგილობრივი ელემენტის განდევნა და სრული რუსული მმართველობის შემოღება [2]. ამასთან, ყოველივე ეს უნდა გაკეთებულიყო სწრაფად, დაუყოვნებლივ, ერთი საერთო განკარგულებით [3].

ჩვენ არ გამოვუდგებით იმ დეტალების გადმოცემას, რასაც ადგილი ჰქონდა რეფორმის მომზადებისა და გატარების დროს; ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი დამთავრდა შემდეგი სამი დოკუმენტის გამოქვეყნებით: „უზენაესად დამტკიცებული დებულება ამიერკავკასიის მმართველობისათვის“[4], რომელიც შედგენილი იყო ბარონ განის პროექტის საფუძველზე[5],

---

[1] КПЦА, I, გვ. 231.

[2] იქვე, АКАК, VII, გვ. 37; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XII, თბ., 1944, გვ. 10.

[3] С. Э с а д з е, Историческая записка об управлении Кавказом, I, 1907, გვ. 67—73; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 10—28.

[4] ВПСЗРИ, XV, № 13368.

[5] განის პროექტი და, მაშასადამე, 1840 წ. 10 აპრილის კანონი, რომელიც მიღებულ იქნა მის საფუძველზე, შეიცავენ სენატორების მეჩნიკოვის და ქუთაისოვის მიერ და აგრეთვე ფელდმარშალ პასკევიჩის მიერ წამოყენებულ ძირითად დებულებებს.

„დებულება საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ თბილისში“[1] და „დებულება საერობო საბეგრო კომიტეტების შესახებ ამიერკავკასიაში“[2].

პირველი კანონის თანახმად, ამიერკავკასია იყოფოდა ორ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო-ი მ ე რ ე თ ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა დ, რომელიც შედგებოდა თბილისის, გორის, თელავის, გურჯაანის, ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევანის, ახალციხისა და გურიის მაზრებისაგან და კასპიის ოლქისაგან, რომელიც შეიცავდა შირვანის, ყარაბაღის, შაქის, თალიშის, ბაქოს, დარუბანდისა და ყუბის მაზრებს. მმართველობა სამსაფეხურიანი იყო: მთავარი (რომელიც მოქმედებდა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით), საგუბერნიო (საოლქო) და სამაზრო. მთავარსამმართველო შედგებოდა: ამიერკავკასიის მთავარმმართველისაგან, თბილისის სამხედრო გუბერნატორისა და მთავარსამმართველოს საბჭოსაგან. „დებულებაში“ დაწვრილებით იყო გადმოცემული თითოეულის უფლება-მოვალეობანი. ასე მაგალითად, მე-14 მუხლის თანახმად, მთელი ამიერკავკასიის უფროსად მიჩნეული იყო მთავარმმართველი, რომელიც განაგებდა ყველა სამოქალაქო და სასაზღვრო საქმეებს. იგი იყო აგრეთვე ზემოხსენებული საბჭოს თავმჯდომარე და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის სარდალი. მთავარმმართველი თავისი უფლებებით გათანასწორებული იყო რუსეთის შიდაგუბერნიების გენერალ-გუბერნატორებთან, მაგრამ იმის გამო, რომ კავკასია განაპირა მხარე იყო და განსაკუთრებული პირობებითაც ხასიათდებოდა, მას გენერალ-გუბერნატორებისაგან განსხვავებით ზოგი დამატებითი უფლებები ენიჭებოდა. ჯერ ერთი, მას უფლება ჰქონდა გაეუქმებინა საგუბერნიო სამმართველოში შემავალ დაწესებულებათა დადგენილებანი და საკუთარი განკარგულებანი გაეტარებინა, ოღონდ იმ პირობით, რომ ის ამის შესახებ შესაფერის ახსნა-განმარტებას წარუდგენდა მმართველ სენატსა და სათანადო სამინისტროებს[3]. მეორეც, არაკეთილსანდღობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ან საერთოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე მნიშვნელოვანი იყო და გადადებას ვერ ითმენდა, მთავარმმართველს უფლება ჰქონდა გადაეყენებინა ასეთი მოხელეები, დამოუკიდებლად იმისა, გუბერნიის სამმართველოს მუშაკები იყვნენ ისინი, თუ განსაკუთრებულ ნაწილთა (საბაჟო, სასწავლო ოლქი, ფოსტა და ა. შ.) გამგეები. მესამე, თავადაზნაურთა არჩევნები საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ მთავარმმართველის განსაკუთრებული განკარგულებით. მეოთხე, საგანგებო გარემოებების

---

[1] ВПСЗРИ, V, გვ. 13369.

[2] იქვე, № 13370.

[3] ВНСЗРН, XV, № 13368, მუხლი 23.

დროს, მას უფლება ჰქონდა ემოქმედნა ყველა მისთვის მინიჭებული საშუალებებით, ისე რომ არ მოეცადნა უმაღლესი ხელისუფლების მითითებისათვის, ოღონდ იმ პირობით, რომ მას მოხსენება უნდა წარედგინა (სადაც ჯერ არს) მიღებული ზომებისა და იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც მას ეს ნაბიჯი გადაადგმევინეს[1] და ა. შ.

თბილისის სამხედრო გუბერნატორი ფაქტიურად მთავარმმართველის მოადგილე იყო ყველა დარგში. მისი ადგილზე არყოფნის, ავადმყოფობის თუ სალაშქროდ გამგზავრების შემთხვევაში ქვეყანას სამხედრო გუბერნატორი განაგებდა. მაგრამ განსაკუთრებული საპასუხისმგებლო საქმეების გადაწყვეტას (კერძოდ, ისეთების, რომლებიც რაიმე ეჭვებს ჰბადებდნენ) იგი თავის თავზე არ იღებდა და მთავარმმართებლის დაბრუნებას ელოდებოდა. ამ წესიდან, — ნათქვამია კანონში, — გამონაკლისს შეადგენს საგანგებო ზომები, რომელთა გადადება და დაყოვნება შეუძლებელიაო. ასეთ შემთხვევაში სამხედრო გუბერნატორი მოქმედებდა გადაჭრით და ყოველგვარი დაუდევრობისათვის პასუხს აგებდა[2].

მთავარმმართველის საბჭო შედგებოდა თვით მთავარმმართველის (თავმჯდომარე), თბილისის სამხედრო გუბერნატორისა და წევრებისაგან, რომლებიც „უმაღლესი განკარგულებით“ ინიშნებოდნენ. მას ევალებოდა საქმეთა მსვლელობისათვის თვალყურის დევნება (საგუბერნიო და საოლქო სამმართველოების ყოველწლიური ანგარიშების, კერძო მიმოხილვათა, რევიზიებისა და მათი შედეგების განხილვა, საგუბერნიო და საოლქო პროკურორების პროტესტების გარჩევა, მართლმსაჯულების საკითხების გადაწყვეტა და ა. შ.), კანონების შესრულებისას წარმოშობილ გაუგებრობათა ლიკვიდაცია, სხვადასხვა წოდებათა უფლებებისა და პრივილეგიების წესრიგში მოყვანა და აგრეთვე ზოგიერთი სამეურნეო ფუნქცია[3].

დებულებების თანახმად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნდა შექმნილიყო საქართველო-იმერეთის გუბერნიის (ისე როგორც კასპიის ოლქის) მმართველობა, რომელსაც ქმნიდნენ სამოქალაქო გუბერნატორი, სახაზინო პალატა, სახელმწიფო ქონებათა პალატა, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატა, საზოგადოებრივი მეურვეობის საგანგიო, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო და საპროკურორო ნაწილი. საგუბერნიო სამმართველოსვე მიეკუთვნებოდა საგუბერნიო სამშენებლო კომისია, ყვავილის საწინააღმდეგო, სტატისტიკური და საერობო ბეგარათა კომიტეტები.

ყველაზე დაბალ ინსტანციად ითვლებოდა სამაზრო სამმართველო, რომელიც წარმოდგენილი იყო მაზრის უფროსების, მათი თანაშემწეების,

---

[1] ВНСЗРН, XV, № 13368, მუხლი 30.

[2] იქვე.

[3] იქვე.

უბნის მსაჯულის, საქალაქო პოლიციის, სამაზრო ხაზინადარების, სამაზრო სასამართლოებისა და მაზრის პროკურორების სახით.

მაზრის უფროსები, — ნათქვამია კანონში, — არიან მაზრაში კანონის უშუალო აღმსრულებლები, დამცველები წესრიგისა და ყოველივე იმისა, რაც შედის საქალაქო და საერობო პოლიციის მოვალეობაში. ამიტომ მათ ემორჩილება ყველა ის ჩინოვნიკი, ვინც ამ უწყებებში მსახურობს. გარდა მრავალი სხვა ფუნქციისა, მათ ევალებოდათ: 1) ყოველწლიური ანგარიშის შედგენა სახელმწიფო ქონებათა მდგომარეობის შესახებ, 2) მოხსენების წარდგენა საგადასახადო დავალიანების ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ, 3) საჯარო ვაჭრობის ორგანიზაცია და „პოდრიადების" გაფორმება, 4) საქალაქო და საერობო გადასახადების განაწილება და სათანადო მასალის შესაბამისი უმაღლესი ინსტანციისათვის მიწოდება, 5) პურისა და სხვა კულტურათა ნათესებისა და მოსავლის შესახებ უწყისების შედგენა, 6) გაქცეულთა დაჭერა, დამნაშავეთა სამართალში მიცემა და ა. შ.

1840 წლის 10 აპრილს, როგორც აღვნიშნეთ, მიღებულ იქნა აგრეთვე დებულება საქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ თბილისში. თანახმად ამ დებულებისა, საქართველოს დედაქალაქში იქმნებოდა „საზოგადოებრივი საქალაქო მმართველობა" ქალაქის თავისა და ექვსი ხმოსნის შედგენილობით. პირველ მათგანს ირჩევდა ქალაქის მთელი მოსახლეობა, ხოლო მეორეს — უძრავი ქონების მფლობელნი, ვაჭრები და ხელოსნები, ანგარიშით ორ-ორი ხმოსანი თითო წოდებიდან. გარდა ამისა, სახაზინო გადასახადებისა და ბეგარის განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად აღნიშნული წოდებები ირჩევდნენ აგრეთვე 30 კაცს და დამატებით კიდევ 6 კაცს — გადასახადების ამკრეფთ. ქალაქის მმართველობას ევალებოდა: 1) ზრუნვა ქალაქის კეთილმოწყობისათვის, შემოსავლის გადიდებისა და ხარჯების შემცირებისათვის, 2) საშოვარზე გამსვლელ პირთათვის სათანადო კონტროლის დაწესება და მათი საჭირო საბუთებით მომარაგება, 3) მოსახლეობის სურსათ-სანოვაგითა და სამრეწველო საქონლით უზრუნველყოფა, 4) ხელოსნობის, მებაღეობისა და მეურნეობის სხვა დარგის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, 5) მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონებისა და ხაზინის საკუთრების ფხიზლად დაცვა, 6) სახელმწიფო გადასახადების დროულად და სრულად აკრეფა, 7) შეგროვილი სახაზინო ფულის გაფლანგვის თუნდაც ცალკეული შემთხვევების თავიდან აცილება და სხვ.

იმავე 1840 წლის 10 აპრილს მიღებული მესამე დებულება კი ითვალისწინებდა საგუბერნიო და სამაზრო საერობო საბეგრო კომიტეტების შექმნას. პირველი მათგანის შემადგენლობაში შედიოდნენ: სამოქალაქო გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სახაზინო პალატის თავმჯდომარე და სახელმწიფო ქონებათა პალატის მმართველი,

ხოლო მეორის — მაზრის უფროსი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სამაზრო სასამართლოების მსაჯულები. კომიტეტების მოვალეობა იყო: 1) საერობო, სამოქალაქო და სამხედრო ბეგარათა ხარჯთაღრიცხვის შედგენა, 2) ფულადი და ნატურალური გადასახადების განაწილება მცხოვრებთა შორის, 3) ზუსტი აღრიცხვა ყველა იმ ფულადი გამოსაღებისა, რომელსაც იხდიდა ქალაქის თუ სოფლის მოსახლეობა და სხვ.

ამ რეფორმებთან თითქმის ერთსა და იმავე დროს მთავრობამ განახორციელა აგრეთვე სახელმწიფო ქონებათა მმართველობის რეფორმა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1841 წლის 5 იანვარს გამოცემული „უმაღლესად დამტკიცებული დებულება სახელმწიფო ქონებათა მმართველობის შესახებ ამიერკავკასიაში“ [1]. ეს კანონი თითქოს ადასტურებდა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში, ისევე როგორც კასპიის მხარეში, სახელმწიფო ქონებათა პალატის გახსნის ფაქტს. ადასტურებდა, იმიტომ, რომ ამ ორგანოს შემოღება, როგორც ცნობილია, გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1840 წლის 10 აპრილის დებულებით ამიერკავკასიის მმართველობის შესახებ. მაგრამ ამ უკანასკნელ დოკუმენტში არსებითად არაფერი იყო ხათქვამი ამ ახლად შექმნილი, უფრო სწორად, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დაწესებულების ფუნქციების შესახებ. 1841 წლის 5 იანვრის კანონი კი, პირიქით, დაწვრილებით გადმოგვცემს სახელმწიფო ქონებათა პალატის უფლებებსა და მოვალეობებს. ამიტომ 1841 წლის 5 იანვრის დებულება, გარკვეული აზრით, შეიძლება ჩავთვალოთ 1840 წლის 10 აპრილის დადგენილების შემდგომ დაზუსტებად.

მარტოოდენ რუსი მოხელეებისაგან შემდგარ სახელმწიფო ქონებათა პალატის უმთავრეს ამოცანად მიჩნეული იყო სახაზინო გადასახადების ასი პროცენტით აკრეფა; პალატა ვალდებული იყო შეემოწმებინა ანგარიშები, რომლებსაც ადგენდნენ სამაზრო ხაზინადარები სახაზინო გადასახადების აკრეფის მიმდინარეობის შესახებ და სათანადო უწყისები გადაეცა გუბერნიის უფროსის განკარგულებაში. თუკი დაწესებულ გამოსაღებთა შეტანა ხდებოდა არაწესიერად, პალატა ვალდებული იყო დაუყოვნებლივ დაედგინა ამის „ნამდვილი მიზეზი“ და ეთხოვნა გუბერნატორისათვის სათანადო ზომების მიღება დავალიანების სალიკვიდაციოდ. ასევე მოქმედებდა იგი, როცა გლეხები არ ასრულებდნენ დაწესებულ საერობო ბეგარას.

სახელმწიფო ქონებათა პალატას ევალებოდა ზრუნვა სახაზინო გლეხთა ყოფის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მისი უმთავრესი ამოცანა მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ მიწით უზრუნველეყო კოლონისტები და რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულები. პალატას ეკისრებოდა სახელმწიფო მიწის ფონდის მოვლა-პატრონობა და ამ მიწების შენახვა,

[1] ВПСЗРИ, XVI, № 14157.

უწინარეს ყოვლისა, მოსული ელემენტების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მმართველობის ზემოაღწერილი სისტემის განხორციელებას შედეგად უნდა ᲫᲮᲧᲝᲚᲝᲓᲐ ცარიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცება საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, ადგილობრივი კანონების, ადათებისა და ჩვეულებათა გაუქმება, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოების საქმის წარმოებიდან ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების საბოლოო განდევნა და მის ნაცვლად მოსახლეობისათვის გაუგებარი რუსული ენის შემოღება, თითქმის ყველა თანამდებობიდან ადგილობრივი წარმოშობის მოხელეთა გადაყენება და ახლადშექმნილ დაწესებულებათა დაკომპლექტება რუსი ჩინოვნიკებით, რომლებიც, ცალკეული გამონაკლისის გარდა, სრულებით არ იცნობდნენ მხარეს და საქმიანი თვისებების მხრივ უაღრესად უარყოფით დახასიათებას იმსახურებდნენ. გარდა ამისა, რეფორმას მნიშვნელოვნად უნდა განემტკიცებინა რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური სახელმწიფოს მატერიალური ბაზა გადასახადებისა და სხვა შემოსავალთა მაქსიმალური გადიდების გზით. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციას 1840 წლის 10 აპრილისა და 1841 წლის 5 იანვრის დებულებებით ძირითად ამოცანად ესახებოდა სახელმწიფო შემოსავლის ზრდის, დავალიანების ლიკვიდაციისა და ხაზინის საკუთრების დაცვის გზებისა და საშუალებების გამოხახვა. ამ ფართო პროგრამის შესრულებას, კერძოდ, სახაზინო გადასახადების გადიდებას, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ქართველი (ისე როგორც სომეხი და აზერბაიჯანელი) გლეხების ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. ამასვე იწვევდა მნიშვნელოვანი ზრდა მოხელეთა შტატისა, რომელიც ახლად შექმნილი მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატს ემსახურებოდა[1].

§ 4. მმართველობის სისტემის შემდგომი ცვლილებანი. მ. ვორონცოვი, ა. ბარიატინსკი

იმ წესებმა, რომლებიც დამყარდა რეფორმების, კერძოდ, 1840 წლის 10 აპრილის დებულების შემოღებით, საყოველთაო დრტვინვა და უკმაყოფილება გამოიწვია[2]. საქმე შეიარაღებულ გამოსვლებამდეც კი მივიდა. შეშფოთებული იმპერატორი ნიკოლოზ I იძულებული გახდა 1842 წელს პოზენი და სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი მოევლინებინა ამიერკავკასიაში ᲮᲐᲚᲮᲘᲡ აღშფოთების მიზეზთა გამოსარკვევად. პოზენმა შეადგინა

---

[1] В. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, გვ. 299; შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 38.

[2] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., С.-Петербург, 1906, გვ. 32.

ვრცელი მოხსენება, რომელშიც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ცვლილებები მმართველობის სისტემაში განხორციელდა მოსახლეობის ადათ-ჩვეულებათა და ცხოვრების ნორმების გაუთვალისწინებლად. მთელი მმართველობა, — წერდა იგი, — ბარათების შედგენასა და ქაღალდების უსასრულო გადაწერაში გამოიხატება. უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად აღიარებულ იქნა აგრეთვე გაჭიანურებული მართლმსაჯულება [1], რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას. ყოველივე ამან აიძულა მთავრობა ეფიქრა იმაზე, რომ ზოგიერთი კორექტივი შეეტანა ახლად გატარებულ რეფორმაში [2]. კერძოდ, ცვლილებები განიცადა მართლმსაჯულების დარგმა. ჩერნიშოვის (იგი ჩამოვიდა თბილისში, როგორც აღვნიშნეთ, 1842 წელს) განკარგულებით, მაზრის სასამართლოებს უფლება მიანიჭეს ამა თუ იმ საქმეზე, რომლის ღირებულება 200 მანეთს არ აღემატებოდა, მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილებანი და ამრიგად, არ გადაეტანათ ისინი უმაღლეს ინსტანციაში. ამასთან ერთად, გადაიდგა ნაბიჯი აღედგინათ ძველი ქართული ზეპირი მართლმსაჯულება და მსაჯულთათვის უფლება მიეცათ სამოქალაქო საქმეები განეხილათ ადგილობრივი ადათ-ჩვეულებების საფუძველზე [3].

მაგრამ გასაგებია, რომ ეს უმნიშვნელო ხასიათის ცვლილებები ვერ დააშოშმინებდა ხალხის ფართო მასებს და ისინი შემდეგაც განაგრძობდნენ ენერგიულ ბრძოლას მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. უკმაყოფილებას გამოთქვამდა თავადაზნაურობაც, რომელიც მთავრობის სოციალური პოლიტიკით რამდენადმე „შეზღუდული“ და 1840—1841 წწ. რეფორმებით ქვეყნის მმართველობისაგან თითქმის სავსებით. ჩამოშორებული აღმოჩნდა.

უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1844 წლის ბოლოდან, მთავარმმართველის თანამდებობა მეფისნაცვლის ინსტიტუტით შეიცვალა. მეფისნაცვალი, მთავარმმართველისაგან განსხვავებით, ნიკოლოზ I-ის სიტყვით, აღჭურვილი იყო „შეუზღუდველი უფლებამოსილებით“ და მხარის მმართველობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი შეეძლო დამოუკიდებლად გადაეწყვიტა. „ყველა ეს საქმე, — ნათქვამია იმპერატორის რესკრიპტში ამ ტიტულის პირველი მატარებლის მ. ვორონცოვისადმი, — რომელიც, ამჟამად არსებული წესების მიხედვით, ამიერკავკასიის მთავარმმართველობის მიერ წარედგინებოდა გადასაჭრელად სამინისტროებს, უფლება გეძლევათ თქვენ თვითონ გადაჭრათ ადგილზე... ამას გარდა, ნება გაქვთ, სადაც საჭიროდ დაინახავთ, ადგილობრივად

---

[1] С. Эсадзе, Историческая записка..., 1, გვ. 81.

[2] დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ С. Эсадзе, Историческая записка, 1, გვ. 78—79; შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 42—45.

[3] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 42.

მიიღოთ აუცილებლობით გამოწვეული ყველა საჭირო ზომა და ამის შესახებ, ისევე როგორც მათ გამომწვევ მიზეზებზე, მომახსენოთ პირადად მე"[1].

1844 წლის დამლევს კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნული მ. ვორონცოვი[2] (1844—1854 წწ.) ულმობელი კოლონიზატორი იყო, მაგრამ იგი, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ქვეყნის კოლონიზაციის პოლიტიკას მეტად მოქნილად და ელასტიურად ატარებდა. ახალ უფროსსაც თავის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა რუსული წესების დანერგვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება, მისი აზრით, საჭირო იყო არა ერთბაშად და უხეშად, არამედ თანდათან და მოხერხებულად. ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად და მისი გარუსებისათვის ვორონცოვს უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნდა არა ადმინისტრაციულ, არამედ „კულტურულ" ღონისძიებათა განხორციელება[3]. ამ პრინციპის შესაბამისად, მეფისნაცვალმა ნება დართო აღედგინათ ქართული თეატრი, გაეხსნათ საჯარო ბიბლიოთეკა, გამოეშვათ გაზეთი და ა. შ.[4]. ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული ენის გავრცელების მიზნით ვორონცოვი სხვა ღონისძიებებთან ერთად ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს სასწავლებლად გზავნიდა ბოლმე მოსკოვისა და პეტერბურგის სასწავლებლებში[5]. ქართველ ფეოდალთა კლასის სიმპათიის მოსაპოვებლად, მისი მხარდაჭერისა და გულის მოსაგებად, ვორონცოვმა 1849 წელს მთავრობას მიაღებინა კანონი, რომელმაც მემამულეები გაანთავისუფლა სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისაგან. ამიერიდან თვითონ გლეხებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ისინი თავისუფალნი იყვნენ და მემამულის საკუთრებას არ წარმოადგენდნენ[6]. კავკასიის მეფისნაცვლის დიდი ამაგითა და ხელშეწყობით დაახლოებით 30 ათასი კაცი დამტკიცებულ იქნა თავადაზნაურულ წოდებაში, რასაც მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ზემოაღნიშნულ და მათ მსგავს ღონისძიებათა განხორციელებით მ. ვორონცოვმა მართლაც შეძლო საერთო ენის გამონახვა ქართველ თავადაზნაურობასთან და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადაქცევა ცარიზმის ერთგულ მსახურად.

ვორონცოვის დროინდელი მმართველობის სისტემის დახასიათები-

---

[1] АКАК, X, გვ. 2.

[2] თბილისში იგი ჩამოვიდა 1845 წლის მარტში.

[3] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 48—49.

[4] იქვე, გვ. 49.

[5] იქვე, გვ. 53.

[6] АКАК, X, ч. I, გვ. 96; И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, გვ. 151—152.

სას საჭიროა აღინიშნოს ცვლილებებიც, რომელიც მოხდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დანაწილებაში. 1846 წ. 14 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველო-იმერეთის გუბერნიისა და კასპიის ოლქის ნაცვლად შეიქმნა ოთხი გუბერნია: თბილისის, ქუთაისის, შემახისა და დარუბანდის. 1849 წელს კი მათ მიემატა კიდევ ერთი გუბერნია — ერევნისა[1].

მეფისნაცვლის უფლებების შემდგომი გაფართოება დაკავშირებულია ბარიატინსკის (1856—1862 წწ.) სახელთან. მის დროს მეფისნაცვალმა უფრო მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვა და შეზღუდულობის ის უმნიშვნელო ნიშნებიც კი გაქრა, რომელიც ჯერ კიდევ იგრძნობოდა ზოგი (მაგალითად, საფინანსო) უწყების ხაზით. იმპერატორმა ნება მისცა ბარიატინსკის ისე მოეწყო ამიერკავკასიის მმართველობა, როგორც ის ამას საჭიროდ დაინახავდა და მასში შეეტანა ყველა ის ცვლილება, რომელიც, მისი შეხედულებით, მეტროპოლიის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ახალი დებულება ამიერკავკასიის მხარის მმართველობის შესახებ მიღებულ იქნა 1858 წლის 21 დეკემბერს. ამ დებულების თანახმად მეფისნაცვალთან არსდებოდა მთავარმმართველობა და საბჭო. პირველი მათგანი შემდეგი ოთხი დეპარტამენტისაგან შედგებოდა: 1) საერთო საქმეთა, 2) სასამართლო საქმეთა, 3) საფინანსო საქმეთა და 4) სახელმწიფო ქონების საქმეთა.

ს ა ე რ თ ო ს ა ქ მ ე თ ა დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ს ექვემდებარებოდა საინსპექტორო, სასწავლო, საფოსტო, სამკურნალო, სამშენებლო საქმეები. ის განაგებდა, აგრეთვე, საჯარო ბიბლიოთეკას, გაზეთების რედაქციებს, მთავარმმართველობის არქივს, სტამბას და სხვ.[2]. ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ა ქ მ ე თ ა დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი ს ფუნქციებში შედიოდა: სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სამხედრო სასამართლოთა განაჩენების განხილვა-დამტკიცება, პასუხისგებაში მიცემულ თუ ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ პირთა საჩივრების გარჩევა, მოხელეთა და კერძო მოქალაქეთა პრეტენზიებისათვის პასუხის გაცემა და სხვ.[3]. ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ს ა ქ მ ე თ ა დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ს ეხებოდა ბაჟების, სავაჭრო-მრეწველობის, ფულადი გადასახადებისა და წიაღისეული მეურნეობის საქმეები. მასვე ემორჩილებოდა მთავარმმართველობის ხაზინა[4]. დასასრულ, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ქ ო ნ ე ბ ა თ ა დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი ს მოვალეობას შეადგენდა სახელმწიფო ქონებათა და სახაზინო მამულებიდან შემოსავლის მიღებისათვის თვალყურის დევნება, ამ შემოსავლის გადიდე-

---

[1] C. Э с а д з е, Историческая записка..., I, გვ. 81; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 58.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 69.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ბის გზებისა და საშუალებების გამოძებნა, ხაზინის საკუთრებისა და საერთოდ მისი ინტერესების ფხიზლად დაცვა და სხვ.[1].

მეფისნაცვლის საბჭო, რომელიც, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, იმავე 1858 წელს შეიქმნა წინანდელი მთავარმმართველის საბჭოს მაგივრად, გაუქმებულთან შედარებით გაცილებით ნაკლები უფლებებით სარგებლობდა, ვითარცა პირადად მეფისნაცვალთან არსებული სათათბირო ორგანო. იქ დასმული საკითხები წინასწარ სათანადო დეპარტამენტში იხილებოდა, მერე, მთავარმმართველობის უფროსის მეშვეობით, მეფისნაცვალს წარედგინებოდა და მხოლოდ ამ უკანასკნელის წერილობითი ნებართვის შემდეგ ხდებოდა საბჭოს მსჯელობის საგანი[2]. საბჭოს დადგენილებას ძალა მხოლოდ მაშინ ენიჭებოდა, როდესაც მას მეფისნაცვალი დაამტკიცებდა.

ამ ცვლილებების შედეგად, ვიმეორებთ, უჩვეულოდ გაფართოვდა მეფისნაცვლის უფლებები. იგი გადაიქცა ვეებერთელა რანგის მოხელედ, რომელიც, გვერდს უვლიდა რა ყველა სამინისტროს, უშუალოდ იმპერატორს უკავშირდებოდა. ის გ]და სრულიად დამოუკიდებელი მმართველი ამიერკავკასიისა. ამას კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. შ. ჩხეტია[3], შეიძლებოდა დადებითი შედეგი მოჰყოლოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეფისნაცვალი თავის შეუზღუდველ უფლებებს მხარისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოიყენებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი კავკასიის ადმინისტრაციის ფუნქცია-მოვალეობის არაჩვეულებრივი გაფართოება ხალხისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა. ის გაცილებით უფრო მეტ გასაქანს მისცემდა სხვადასხვა რანგის მოხელეებს უმსგავსო საქციელისა და ბოროტმოქმედების ჩასადენად. „სინამდვილეში სწორედ ასეც მოხდა. ბარიატინსკის მიერ შექმნილმა მმართველობის აპარატმა... არამცთუ გაუმჯობესება ვერ შეიტანა არსებულ მდგომარეობაში, არამედ მრავალ შემთხვევაში გააუარესა კიდევაც ეს მდგომარეობა: კავკასიის ადმინისტრაციას (ეხლა) უფრო მეტი საშუალება მიეცა, ვიდრე წინათ, თვითნებურად წარემართა ქვეყნის საქმე და სამსახური გამოეყენებინა თავისი პირადი ინტერესებისათვის. თვით მმართველობის სისტემაც, ბარიატინსკის მიერ შემოღებული, თავისთავად ერთობ დაშორებული იყო იმ პირობებისაგან, რომელნიც აქ არსებობდა. ამასთანავე ასეთი რთული ბიუროკრატიული აპარატის შენახვა... მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას“[4].

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 69; იხ. И. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1955, გვ. 74—75.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, გვ. 70.

[3] ი ქ ვ ე.

[4] იქვე, გვ. 71.

თავი მესამე

გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს-ის 30—50-იან წლებში (ყირიმის ომამდე)

გლეხები, რომლებიც განსახილველი ხანის საქართველოში, ისე როგორც მანამდეც, წარმოადგენდნენ ძირითად მწარმოებელ კლასს, მფლობელობის მიხედვით იყოფოდნენ სახელმწიფო (სახაზინო), საბატონო და საეკლესიო გლეხებად. პირველი მათგანის რიცხობრივი შემადგენლობა შეუჩერებლივ იზრდებოდა და უკვე XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსთვის თავის რიგებში მთელი გლეხური მოსახლეობის ნახევარზე მეტს ითვლიდა. იმ 116 875 კომლი გლეხიდან, 1860—1861 წლების მონაცემებით, საქართველოს ორივე გუბერნიაში (აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს გამოკლებით) რომ ირიცხებოდა, სახელმწიფო გლეხებზე მოდიოდა 65 908 კომლი ან გლეხთა საერთო რაოდენობის 56,4%, საბატონო გლეხებზე — 37 971 კომლი ან 32,4% და საეკლესიო გლეხებზე — 13 482 კომლი ან 11,2%[1].

ისინი ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ფეოდალურ-ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებში. ელემენტარული კანონიერების არარსებობა და ადმინისტრაციის გამყიდველობა ფართო გასაქანს აძლევდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, რომლის ხასიათი და მასშტაბი ანცვიფრებდა თვით ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი. «Собранные по сие время нами сведения, — მოახსენებდნენ უმაღლეს მთავრობას 1830 წლის 12 მარტს ამიერკავკასიაში სარევიზიოდ მოვლინებულნი გრაფი ქუთაისოვი და მეჩნიკოვი, — ясно показывают, что злоупотребления и беспорядки по управлению собственно Грузиею превышают всякую меру, а рассматривая управление мусульманскими провинциями, воображение содрогается от неистовства управляющих и страдания народа. Здесь уже совершенно попрано человечество, забыто всякое правосудие, закон служил только орудием к притеснению, а корысть и буйное самовластие руководствовали действиями окружных начальников, комендантов, приставов и прочих начальствующих лиц»[2].

---

[1] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, 1955, გვ. 32.

[2] КПЦА, I, გვ. 232.

ასეთი ვითარება, ბუნებრივია, თითქმის ყოველგვარ საშუალებას უსპობდა მშრომელ მასებს დაეცვათ საკუთარი თავი და ინტერესები სასამართლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომელთა ენა მათთვის სრულიად უცხო და გაუგებარი იყო. თუმცა ამ ჩაგვრა-უუფლებობას, გამოწვეულს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობითა და მეფის მთავრობის ანტიხალხური კოლონიური პოლიტიკით, მეტ-ნაკლებად ყველა უწყებისა და კატეგორიის გლეხი განიცდიდა. ისინი, თავიანთი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით, მაინც განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან და ამიტომ ცალ-ცალკე განვიხილავთ მათი შრომისა და ცხოვრების პირობებს.

§ 1. სახელმწიფო გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

განსახილველი ხანის ქართველი გლეხის ეკონომიური მდგომარეობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს მიწა წარმოადგენდა. მწარმოებელი კლასის განკარგულებაში მყოფი მიწის სიდიდე და ხარისხი გადამწყვეტ გავლენას ახდენდა (სხვა ფაქტორებთან ერთად) მისი ცხოვრებისა და შრომის პირობებზე და სწორედ ამ ძირითადი საწარმოო საშუალებით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძალზე ცუდად იყო მომარაგებული რეფორმამდელი ხანის სოფლის მშრომელი მოსახლეობა, მისი ყველა კატეგორია. თვით სახელმწიფო გლეხებიც კი, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა საერთოდ შედარებით უკეთესი იყო, არ იყვნენ მიწით უზრუნველყოფილნი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს მაზრების უმრავლესობაში სახაზინო გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ ორიდან სამ დესეტინამდე სახნავ-სათესი მიწა, ზოგან კი ამაზე ნაკლებიც. ასე მაგალითად, გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის ხსენებული კატეგორიის გლეხთა სახნავ-სათესი მიწების საშუალო საკომლო ნადელი უდრიდა: თელავისა და ოზურგეთის მაზრებში — 2,5 და გორის მაზრაში — 2 დესეტინას[1].

უმიწობა-მცირემიწიანობის მეტად მკაფიო და დამაჯერებელ სურათს წარმოგვიდგენენ თვით გლეხთა საჩივრები, ოფიციალურ პირთა მიწერ-მოწერა და სხვა მასალა, რომლის ერთ ნაწილს აქვე მოვიტანთ. ახასიათებდა რა, მაგალითად, ყვარლის სახელმწიფო გლეხთა ცხოვრების პირობებს, თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე წერდა (1843 წ.): «Живущие в селении Кварелах 59 дымов казенных крестьян не имеют

---

[1] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, გვ. 238, 266—268, 241, 263.

ციფრები, ზუსტი სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო, მიახლოებითია. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ზოგ მაზრაში (მაგალითად, თიანეთისა და ახალციხის) მიწის საშუალო საკომლო ნადელი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ამას არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, რადგანაც მიწების უდიდესი უმრავლესობა ხსენებულ მაზრებში სრულიად გამოუსადეგარი იყო მეურნეობისათვის.

ни пахотной земли, ни садов, редко кто из них имеет оседлость и (то) на церковной или помещичьей земле. Все они переносят крайность во всех отношениях чрез невыгоду жительства их на означенных землях, снискивая себе пропитание только через услугу у церковных и помещичьих крестьян и плату ими за землю... Большая часть из них не только не могут платить казне повинности, но даже едва могут иметь пропитание, и ежели начальство не обратит на это внимания и не переселит их оттель на казенные земли, то вследствии времени крестьяне эти падут в нищету»[1]. (ხაზი ჩვენია — ავტ.).

1849 წელს თბილისის გუბერნიის დუშეთის უბნის სახაზინო გლეხთა საჩივრების შესამოწმებლად ადგილზე მივლინებული მოხელე არაორაზროვანად მოახსენებდა თავის უფროსს, რომ ყველა ისინი მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიანო[2]. გორის მაზრის უფროსის მოწმობითაც (1852 წ.), მის სამმართველო ტერიტორიაზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხებს არსად არ ჰქონიათ საკმაო რაოდენობით მიწა, რის გამოც ისინი იძულებული ყოფილან დაემუშავებინათ კერძო მფლობელთა მიწები და ეხადათ „დაწესებული ღალა“[3]. „მთიანეთის მოსახლეობას, — ნათქვამია 1852 წლის ერთ საბუთში, — არამცთუ ზედმეტი მიწები არა აქვთ, არამედ ის მიწის აუცილებელი ფართობითაც არაა მომარაგებული. ყველა დიდ გაჭირვებაშია, რადგანაც მათ შორის იშვიათია ისეთი, რომელსაც პურის წლიური მოსავალი ნახევარი წელი ეყოს“[4].

კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. ქუთაისის მაზრაში, მაგალითად, 1848 წელს სახელმწიფო გლეხთა 3,3%-ს საერთოდ არ ჰქონია სახნავ-სათესი და სავენახე მიწა, ხოლო 87,7%-ის საშუალო საკომლო ნადელი მერყეობდა 0,2 და 6 დესეტინას შორის. მხოლოდ სახაზინო გლეხთა საერთო რაოდენობის 9%-ი იყო მფლობელი თხუთმეტიდან ოც დესეტინამდე მიწისა[5]. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმერეთში გასული საუკუნის 40—50-იან წლებში მშრომელი კაცის ოჯახის რამდენადმე მაინც ნორმალური ცხოვრება-არსებობისათვის საჭირო იყო სულ მცირე 6 დესეტინა მიწისა, მაშინ იძულებული ვიქნებით ქუთაისის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 91,0% (ე. ი. აბსოლუტური უმრავლესობა) უმიწო და მცირემიწიან მშრომელთა ჯგუფში მოვაქციოთ.

სწორედ ასეთმა ვითარებამ მისცა საფუძველი ქუთაისის გენ. გუბერ-

---

[1] სსცია, ფ. 16, საქ. 8326, ფურც. 1—2.
[2] იქვე, ფ. 4, ანაწ. 2, საქ. 66, ფურც. 30.
[3] იქვე, ფ. 26, ანაწ. 6, საქ. 173, ფურც. 15.
[4] იქვე, ფურც. 7.
[5] И. Г. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 258.

ნატორს გაგარინს კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციისათვის მოეხსენებინა შემდეგი (1853 წ.): «При объезде Кутаисского уезда я увидел необыкновенную, соразмерно с потребностями, скудность земель казенных. Поверяя на месте лично и самым тщательным образом жалобы крестьян казенных на недостаток земли, я удостоверился, что некоторые крестьяне, состоящие уже семь и десять лет в ведомстве казенном, не имея вовсе земли или имея не более одной и полторы кцевы, дошли до крайней бедности»[1].

სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწით უზრუნველყოფის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს არც სხვა მაზრაში ყოფილა სახარბიელო მდგომარეობა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რაჭის მაზრაში, მაგალითად, 1842 წელს უმიწო და მცირემიწიან სახელმწიფო გლეხთა ხვედრითი წონა 97,2%-ს უდრიდა[2].

რას აკეთებდა და როგორ ცხოვრობდა მიწით ესოდენ ცუდად მომარაგებული მასა? ის დღიურ შრომასა და მესარეწეობას ეტანებოდა და, რაც მთავარია, მემამულეთა მიწებს იღებდა იჯარით. ასე მაგალითად, სოფ. ყვარლის 8 კომლ სახელმწიფო გლეხთა შესახებ თელავის მაზრის უფროსის 1858 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ისინი, სახაზინო და საკუთარი მიწების უქონლობის გამო, „ცხოვრობენ საეკლესიო მიწებზე“ და ამისთვის იხდიან სათანადო გადასახადს[3]. ნაფარეულის სახაზინო უწყების გლეხების შესახებ დასახელებულ დოკუმენტში მითითებულია, რომ ისინი, ვითარცა უმამულონი, ხიზნებად ცხოვრობენ თავად ჭავჭავაძის კუთვნილ მიწებზეო[4]. სოფ. შაშიანის 100 კომლი სახელმწიფო გლეხი თავის ცხოვრება-არსებობას ინარჩუნებდა თურმე საეკლესიო მიწების იჯარადამუშავებით[5]. იმავე გზას დასდგომია სოფ. კალაურის 144 კომლი სახაზინო გლეხიც[6]. გამონაკლისი არც სოფ. ყარაჯალის მშრომელები ყოფილან. ისინიც, ვითარცა სრულიად მოუმარაგებელნი სახაზინო მიწებით, შრომობდნენ კერძო მფლობელთა მიწებზე[7]. კერძო მფლობელთა და საეკლესიო-სამონასტრო მიწებს ამუშავებდა საერთოდ (რა თქმა უნდა, სათანადო გასამრჯელოს გაღებით) ყველა უმიწო (ან მცირემიწიანი) სახელმწიფო გლეხი. ასეთების რაოდენობა კი ყველგან ძალიან დიდი იყო. თელავის მაზრაში, მაგალითად, 1858 წელს მათი ხვედრითი წონა 41,6%-ს უდრიდა[8].

---

[1] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 264.
[2] სსცია, ფ. 19, საქ. 23, ფურც. 36.
[3] იქვე, ფ. 26, ანაწ. 6, საქ. 955, ფურც. 3.
[4] იქვე, ფურც. 4.
[5] იქვე.
[6] იქვე, ფურც. 5.
[7] იქვე, ფურც. 6.
[8] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 236.

სახელმწიფო გლეხებს, ისე როგორც სოფლის მშრომელი მოსახლეობის დანარჩენ კატეგორიას, აწუხებდათ არა მარტო მცირემიწიანობა-უმიწობა, არამედ მრავალრიცხოვანი გადასახადების მძიმე ტვირთიც. 1843—1845 წლების საგადასახადო სისტემის რეფორმამდე ჩვენთვის საინტერესო უწყების გლეხები ხაზინას უხდიდნენ სხვადასხვა სახის პროდუქტად და ფულად გადასახადებს. პირველ მათგანს განეკუთვნებოდა სურსათი, კოდის პური, ღალა, ყალანი, ბეგარა, საჩუქარი და ნაწილობრივ კულუხი, ხოლო მეორეს — საბალახო, მალი და ფულადი მახთა.

ს ურ ს ა თ ს, წყაროების ჩვენებით, იღებდა ხაზინა სამივე კატეგორიის გლეხისგან. მას ერთნაირად და თანაბარი ზომით (2 კოდი ხორბალი და 1 კოდი ქერი კომლზე) იხდიდნენ სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გლეხები. იმ წესდებაში, რომელიც 1802 წელს იქნა შედგენილი სურსათით დაბეგვრის თაობაზე, პირდაპირაა მითითებული, რომ ეს გადასახადი სავალდებულოა ყველა უწყების სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის[1]. ამას სავსებით ემთხვევა უფრო გვიანდელი ხანის საბუთების მოწმობაც. ერთ მათგანში, მაგალითად, ნათქვამია: «Сурсат собирается вообще с церковных крестьян... наравне с казенными и помещичьими крестьянами»[2]. საქართველოს უმაღლესი მთავრობის 1820 წლის 27 ოქტომბრის წარდგინებაშიც აღნიშნულია, რომ „სოფელ ვეფხვისციხის სახაზინო გლეხები დაბეგრილი არიან ყოველწლიური პურის გადასახადებით — სურსათითა და კოდის პურით, ხოლო საეკლესიო და საბატონო გლეხები — მარტო სურსათით“[3]. დასასრულ, იმ მიწერ-მოწერაშიც, რომელიც მიმდინარეობდა 1821—1825 წლებში გორის მაზრის მშრომელი მოსახლეობის დაბეგვრის თაობაზე, მითითებულია, რომ სახელმწიფო გლეხები «Обязаны, сверх сурсата, платимого казне наравне с помещичьими крестьянами, вносить и другие подати, подобные тем, какие помещичьи крестьяне дают своим владельцам»[4]. ამ საბუთში, როგორც ვხედავთ, სურსათის გადამხდელ გლეხებს შორის არ არიან დასახელებული საეკლესიო გლეხები, რაც, ჩვენი აზრით, ციტირებული დოკუმენტის ავტორის უბრალო შეცდომით აიხსნება.

წყაროების ცოტა არ იყოს წინააღმდეგობრივი მოწმობის გამო, რამდენადმე უფრო რთულია იმის დადგენა, თუ ვინ იყო მეორე გადასახადის—კოდის პურის—გადამხდელი. ვახტანგ VI ს-ის კანონების თანახმად, მაგალითად, რომლებიც, როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე მოქმედებდნენ ფორმალურად, კოდის პურის გადამხ-

---

[1] АКАК, II, გვ. 7.
[2] ЦГВИАМ, Ф. ВУА, д. 407, л. 43.
[3] სსცია, ფ. 2, საქ. 814, ფურც. 11—14.
[4] იქვე, ფ. 1, საქმე. 969, ფურც. 1—6.

დელებად იგულისხმებიან არა მარტო სახელმწიფო, არამედ საბატონო გლეხებიც. „თუ კაცმან, — ნათქვამია 162-ე მუხლში, — სოფელი ან გლეხი თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს, ხელმწიფესაც უნდა დაკითხვა; მაგრამა უკითხავადაც სყიდულა და არც ხელმწიფე გამოჰკიდებია, ამიტომ რომე ვინც უნდა იყიდოს, ხელმწიფეს კოდის პური, ბეგარა, საბალახე... არც ერთი არ დააკლდება, ყველა უნდაქნას, თუ ხელმწიფემ არ გაათარხნა"[1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ი. ბახტაძე, სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შემსწავლელი გასული საუკუნის 80-იან წლებში, წერდა, რომ კოდის პურს, სურსათს ზევით, იხდიდა „ზოგი, თავისი მატერიალური შესაძლებლობით ცნობილი, სოფელიო"[2]. ამ სიტყვებს, როგორც ჩანს, სათანადო სიცხადე არ შეაქვს საკითხის გარკვევაში. ჯერ ერთი, გაუგებარია რომელ შეძლებულ სოფლებზეა ლაპარაკი — საბატონო, საეკლესიო თუ სახაზინო უწყების. და, მეორეც, ცნობილია, რომ ასეთი საერთოდ შეძლებული სოფლები სინამდვილეში არ არსებობდა. განსახილველი ხანის საქართველოს ყოველ ეგრეთ წოდებულ შეძლებულ სოფელში, რომელი უწყებისაც არ უნდა ყოფილიყო, ეკონომიურად ძლიერ გლეხთა მცირერიცხოვანი ჯგუფის გვერდით არსებობდა დიდძალი მასა მატერიალურად შეგიწროებული მშრომელებისა, რომლებიც რის ვაივაგლახით ახერხებდნენ ცხოვრების შენარჩუნებას. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ი. ბახტაძეს კოდის პური მიაჩნია გადასახადად, რომლითაც იბეგრებოდნენ სახაზინო, საეკლესიო და საბატონო გლეხები, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ მათი ეკონომიურად შეძლებული ნაწილი.

მაგრამ საკითხის ასეთ გადაჭრას წყაროები მხარს არ უჭერს. ისინი აღასტურებენ, რომ კოდის პურით მარტო სახელმწიფო გლეხები იბეგრებოდნენ. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის მიწერ-მოწერა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1803 წელს ქიზიყელებიდან კოდის პურის აღების თაობაზე. სიღნაღის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი, რომელსაც დავალებული ჰქონია ქიზიყში სახაზინო კოდის პურის შეგროვება, დიდად გაოცებულა დასახელებული გადასახადის გადამხდელი სოფლების სიაში სამი სამონასტრო სოფლის — მაშნაარის, ბოდბისა და ბოდბისხევის შეტანით, რომლებიც მანამდე „ამ გადასახადს არასდროს არ იხდიდნენ"[3] თურმე. ცოტა ხნის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით მიიღო საქართველოს მმართველის კოვალენსკის მითითება აღნიშნუ-

---

[1] ვახტანგ VI საქართლის წიგნი (თინა ენუქიძის გამოცემა), თბ., 1955, გვ. 90.

[2] И. Л. Бахтадзе, Податное обложение государственных крестьян Закавказского края, Тиф., 1887, გვ. 8.

[3] სსცია, ფ. 254, საქ. 19, ფურც. 8; И. Антелава, Гос. крест..., გვ. 292.

ლი სოფლების კოდის პურისგან განთავისუფლებისა და ამ გადასახადის „მხოლოდ და მარტო სახელმწიფო სოფლებზე განაწილების“ შესახებ[1].

ზუსტად იგივეა დადასტურებული 1820 წლის ერთ საბუთში. იქ ნათქვამია, რომ ვეფხვისციხის სახელმწიფო გლეხები ხაზინის სასარგებლოდ იხდიან სურსათსა და კოდის პურს, ხოლო „საეკლესიო და საბატონო გლეხები — მარტო სურსათს“[2].

ტერიტორიულად კოდის პური საქართველოს მხოლოდ ორი მაზრით — სიღნაღისა და თელავის — იყო შემოფარგლული. მაგრამ იქაც ამ გადასახადით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იბეგრებოდა არა სათითაოდ ყველა სახელმწიფო გლეხი, არამედ (ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც) მხოლოდ ის, რომელიც „ვარგისი მიწის საკმაო რაოდენობით“ იყო მომარაგებული[3] და შეძლებულ მეურნედ ითვლებოდა.

წყაროებში არ არის მითითებული, თუ როგორ და რა ზომით იხდიდა სახაზინო გლეხი კოდის პურს. ზოგი სოფლის მოსახლეობა, როგორც უკვე ვთქვით, საერთოდ არ იბეგრებოდა ამ გადასახადით, მაგრამ დაბეგრილებიც არაერთნაირი ზომით იხდიდნენ მას. სხვადასხვა იყო ამ გადასახადის საშუალო საკომლო რაოდენობა თელავის მაზრის სხვადასხვა სოფელში. კონკრეტულად ის უდრიდა: შაშიანში — 3,9, ტოღნიანში — 3,6, შალაურში — 1,7, გიორგიწმინდაში — 1,4, პატარძეულში — 1 კოდს და ა. შ.

როგორც მასალების გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, კოდის პურით დაბეგვრისას ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს მაინც გადამხდელის ეკონომიური მდგომარეობა, კერძოდ, მისი მიწით მომარაგება წარმოადგენდა. პატარძეულის სახელმწიფო გლეხები, მაგალითად, რომელთა თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა არა უმეტეს ერთი დესეტინა ვარგისი მიწისა, იხდიდნენ ოთხჯერ ნაკლებ კოდის პურს, ვიდრე სოფელ შაშიანისა, რომელთა საშუალო საკომლო ნადელი დაახლოებით 6,6 დესეტინას უდრიდა[4].

ამრიგად, კოდის პურის მთელი სიმძიმე მხოლოდ სახელმწიფო გლეხებს აწვათ კისერზე, მაგრამ არა სათითაოდ ყველას, არამედ შედარებით შეძლებულ კომლებს. სხვა უწყების გლეხები კი მას საერთოდ არ იხდიდნენ. ტერიტორიულად ის მხოლოდ კახეთით, უფრო ზუსტად მაშინდელი

---

[1] სსცია, ფ. 254, საქ. 19, ფურც. 9—10, 60, 61 და სხვ.; И. Антелава, Гос. крест..., გვ. 292.

[2] იქვე, ფ. 2, საქ. 814, ფურც. 11—14; ი. ანთელავა, იქვე, გვ. 293.

[3] იქვე, ფ. 241, ანაწ. 7, საქ. 562, ფურც. 16.

[4] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 295.

სიღნაღისა და თელავის მაზრებით შემოიფარგლებოდა.

იმ გადასახადების რიცხვს, რომელსაც მწარმოებელი კლასი პურით უხდიდა ხაზინას, ეკუთვნოდა ღალაც. ღალა, განსხვავებით კოდის პურისა და სურსათისაგან, წარმოადგენდა მიწის გადასახადს, რენტას, რომელსაც იღებდა სახელმწიფო გლეხებისაგან, როგორც მსხვილი მიწის მფლობელი, ფეოდალი. მისი რაოდენობა მერყეობდა ჩვეულებრივ შემოსავლის $^1/_{10}$-დან $^1/_5$-მდე. მასალების შესწავლიდან ჩანს, რომ ღალას იხდიდა არა ყველა სახელმწიფო გლეხი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც სარგებლობდა ნადელის ზევით სახაზინო მიწით. ერთ საბუთში, მაგალითად, მითითებულია, რომ ჩვენთვის საინტერესო გადასახადი ეწერებოდა „მხოლოდ სახაზინო საღალო მიწებით“ მოსარგებლე გლეხებს. «Сбор этот (ე. ი. ღალა — ავტ.), — ნათქვამია მეორე, 1852 წლით დათარიღებულ საბუთში, — производится... с тех только казенных крестьян, кои, сверх отведеных им для хлебопашества земель, еще обрабатывают некоторые пустопорожние участки»[1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ი. ბახტაძის აზრით, ღალას მხოლოდ სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ[2], რაც სინამდვილეს არ შეეფერება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ღალას იხდიდა ყველა ის საბატონო და საეკლესიო გლეხი, რომელიც სახაზინო მიწას ამუშავებდა. გადამხდელები იყვნენ არა მარტო სახელმწიფო, არამედ „სახაზინო მიწებით მოსარგებლე მემამულეთა გლეხებიც“[3]. იმერეთის მმართველის გენერალ გორჩაკოვის მოწმობითაც (1825 წ.), ღალას აძლევდნენ სახელმწიფოს სოფ. ვარციხისა და კვახჩირის ახლომახლო მდებარე სახაზინო მიწებით მოსარგებლე საბატონო და საეკლესიო გლეხებიც[4].

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ღალა იყო მიწის გადასახადი, რენტა, რომელსაც იხდიდნენ სახელმწიფო გლეხები, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ ნადელის ზევით სახაზინო მიწით მოსარგებლე ნაწილი. მასვე იხდიდნენ აგრეთვე საბატონო და საეკლესიო გლეხებიც, თუკი ისინი იჯარით იღებდნენ სახაზინო მიწებს.

სახელმწიფო გლეხთა გადასახადებს შორის მასალები კულუხსაც ასახელებენ. მას, როგორც ჩანს, იხდიდნენ უმთავრესად გორის, თე-

---

[1] სსცია, ფ. 239, საქ. 340, ფურც. 8.
[2] И. Л. Бахтадзе, Податное обложение..., зз. 6.
[3] სსცია, ფ. 239, საქ. 340, ფურც. 8, შეადარე ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18481, л. 38.
[4] იქვე, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 1531, ფურც. 1.

ლავისა და სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხები, რომელთაც სახაზინო მიწებზე ვენახები ჰქონდათ გაშენებული. კულუხს იხდიდა უშუალო მწარმოებელი პირველ რიგში სახაზინო სანადელო მიწიდან. «Кахетинские деревни, — წერდა 1820 წელს სახაზინო ექსპედიცია, — населенные казенными крестянами и снабженные в достаточном количестве землею, удобною для хлебопашества и разведения виноградных садов, платят казне подати, сверх обыкновенной, на все крестьянское состояние наложенной, называемой сурсат, еще две особые, как-то: хлебную подать под названием кодис-пури и винную под названием кулухи»[1]. რომ კულუხს პირველ რიგში სწორედ სანადელო მიწაზე ვენახის მქონე სახელმწიფო გლეხი იხდიდა, ამას ბევრი სხვა საბუთიც ადასტურებს. ერთ მათგანში, მაგალითად, გორის სახელმწიფო გლეხთა გადასახადების ჩამოთვლას რომ შეიცავს, დასახელებულია კულუხიც, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო უწყების სოფლის მშრომელი მოსახლეობა აძლევდა თურმე ხაზინას «За разведение виноградных садов на уделенной в участок им земле»[2] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

მაგრამ ცხოვრება ხშირად გვერდს უვლიდა, არღვევდა ამ საერთო წესს და ბეგრავდა ისეთ სახელმწიფო გლეხებს, რომელთაც ვენახები საბატონო და საეკლესიო მიწებზე ჰქონდათ გაშენებული. ამ მხრივ დამახასიათებელია ვეფხვისციხის სახაზინო გლეხთა მაგალითი. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ვენახები საეკლესიო მიწებზე იყო გამართული, იძულებული გამხდარან 1821 წლიდან ეხადათ კულუხი არა მარტო ეკლესიის, არამედ ხაზინის სასარგებლოდაც[3].

უნდა ითქვას, რომ კულუხის გადახდა, როგორც წესი, ხდებოდა ნატურით, მიღებული ღვინის $^1/_{10}$—$^1/_7$ ნაწილის რაოდენობით. მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ხაზინა ამ გადასახადს ფულადი ანაზღაურებით იღებდა[4].

პროდუქტადი გადასახადების რიცხვს ეკუთვნოდა ყალანიც, რომელსაც მხოლოდ დუშეთის მაზრის სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ პურის შემოსავლის ნაწილის სახით. 1844 წლიდან კი ხაზინა ამ გადასახადს ფულად იღებდა. ტიტულიარული სოვეტნიკი დობრონრავოვი, რომელიც 1845 წელს მივლინებულ იქნა ხსენებულ მაზრაში გლეხთა საჩივრების ადგილზე შესამოწმებლად, წერდა: «Из произведенного мною обследования и переписки оказалось, (что) крестьяне еще при грузинских

---

[1] სსცია, ფ. 239, საქ. 814, ფურც. 11—14.

[2] იქვე.

[3] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 299.

[4] იქვე, გვ. 300.

царях были обложены постоянною хлебною податью, называемою сурсат и калань, которая взималась с них по 1844 год, а с этого года хлебная подать заменена денежною»[1]. როგორც ვხედავთ, ყალანი მოხსენიებულია კოდის პურის მაგივრად, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონების (კერძოდ, კახეთის) გლეხები რომ იხდიდნენ.

ყალანით, განსხვავებით სურსათისგან, იბეგრებოდნენ არა კომლები, არამედ საკომლოს სახელწოდებით ცნობილი გლეხთა მიწის ნაკვეთები. საკომლო ეწოდებოდა მიწის იმ ფართობს, რომელიც საჭირო იყო ერთი ოჯახის ცხოვრება-არსებობისათვის. მისი რაოდენობა სხვადასხვა იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონში და მერყეობდა 7,5 და 10 დესეტინას შორის. მთიან ზონაში, მაგალითად, საკომლო, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, უფრო მაღალი ნორმის შემცველი იყო, ვიდრე ბარში და უდრიდა 20 დღიურს ან 10 დესეტინას. სინამდვილეში კი იგი ხშირად ამაზე გაცილებით ნაკლები იყო და ერთ დესეტინა მიწის ფართობსაც არ აღემატებოდა. ნადვორნი სოვეტნიკ ჭილაშვილის მოწმობით (1827 წ.), მაგალითად, ხევის სოფლებში თითქმის ყველა საკომლოზე დასახლებული იყო რამდენიმე ოჯახი, რომელთაგან თითოეულზე მოდიოდა საშუალოდ „არა უმეტეს ერთი დესეტინა სახნავ-სათესი მიწისა“[2].

ყალანით დაბეგვრისას ანგარიში არ ეწეოდა საკომლოზე დასახლებულ კომლთა რაოდენობას. ხაზინა იღებდა ყალანს არა კომლთა რაოდენობის, არამედ საკომლოთა რიცხვის მიხედვით. უფრო მეტად სწორედ ის სოფელი იბეგრებოდა, რომელშიაც საკომლოთა მეტი რაოდენობა ითვლებოდა.

პროდუქტადი გადასახადების ფორმას განეკუთვნებოდა აგრეთვე ეგრეთ წოდებული ბ ე გ ა რ ა და ს ა ჩ უ ქ ა რ ი. ორივეს მხოლოდ გორის მაზრის სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ, მაგრამ არა ყველა, არამედ ნაწილი. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 629 კომლ სახაზინო გლეხიდან, რომელიც 1813 წლის ერთი უწყისის თანახმად გორის მაზრაში ირიცხებოდა, ბეგარით მხოლოდ 97 კომლი (ან საერთო რაოდენობის 15,7%) ჩანს დაბეგრილი[3]. ვინ იყო მაინც მისი გადამხდელი? ეტყობა მას მარტო ოსი სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ, რომლებიც გორის მაზრის ცხრა სოფელში ცხოვრობდნენ. ისინი მიწათმოქმედებასაც ეტანებოდნენ, მაგრამ მთავარ საქმიანობად მაინც მეჯოგეობა-მესაქონლეობა ჰქონდათ. ბეგარა სწორედ ამ მეჯოგე ოს სახელმწიფო გლეხთა გადასახადი იყო, რომელსაც ისინი ცხვრებით იხდიდნენ. «Под названием бегаро, — ნაქვამია 1823

---

[1] სსცია, ფ. 4, საქ. 126, ფურც. 10.

[2] АКАК, VII, ч. I, გვ. 349.

[3] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 303.

წლის ერთ საბუთში, — разумеется сбор по два барана и по одному барашку с сакомло»[1].

საჩუქრის გადამხდელებიც იგივე ოსი, გორის მაზრის 9 სოფელში მობინადრე, სახელმწიფო გლეხები ყოფილან. მისი გადახდის პრინციპების შესახებ საბუთში ვკითხულობთ: «Сачукаро взимается в течение трех лет один раз в последнем году с каждого сакомло по одному быку сверх вышеизложенных двух баранов и одного барашка»[2]. ეს მოწმობა დადასტურებულია სხვაგანაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ საკომლოს მიერ გადასახდელი ხარების რაოდენობად ნაჩვენებია არა ერთი, არამედ ორი[3].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტადი გადასახადებისა, სახელმწიფო გლეხები, როგორც ვთქვით, ფულად გადასახადებსაც იხდიდნენ. ფულადი გადასახადი იყო, კერძოდ, ს ა ბ ა ლ ა ხ ო. იმით იბეგრებოდნენ სახაზინო საძოვრებით მოსარგებლე გლეხები. ასეთები იყვნენ პირველ რიგში თუშები, ფშავები და ხევსურები. ისინი ყოველწლიურად, დაწყებული 1808 წლიდან, სახელმწიფოს უხდიდნენ ყოველ სულ ცხვარზე 2 მანეთს და ყოველ ბატკანზე — 1 მან. 20 კაპიკს[4].

ყველაზე მეტი მნიშვნელობა ფულად გადასახადებს შორის ეგრეთ წოდებულ ფულად მ ა ხ ტ ა ს ჰქონდა. ერთი ანონიმი ავტორის მოწმობით, მახტით იბეგრებოდნენ მხოლოდ „ვაჭრები და სახელმწიფო გლეხები“[5]. გენ. ერმოლოვის სიტყვით კი, მახთას, ამ ქართველ მეფეთადროინდელ გადასახადს, იხდიდა მხოლოდ თბილისის მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელიც ცნობილი იყო «Под названием мокалаков или граждан государственных»[6]. სინამდვილეში კი მახთას აწერდნენ არა მარტო თბილისის მოქალაქეებს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს სახაზინო გლეხებს საერთოდ, რომლებიც ვაჭრობა-მესარეწეობას ეტანებოდნენ[7]. მასვე იხდიდა აგრეთვე ყაზახის, ბორჩალოსა და შამშადილის დისტანციების სახაზინო უწყების მშრომელი მოსახლეობაც.

მახტა, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავლის წყარო იყო. საკმარისია ითქვას, რომ 1842 წელს, მაგალითად, საქართველო-იმერეთის გუბერნიის ფულადი შემოსავლის დაახლოებით 85,3% სწორედ მახტაზე მოდიოდა[8].

---

[1] სსცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 969, ფურც. 49—53.
[2] იქვე.
[3] И. А н т е л а в а, Государственные крестьяне..., გვ. 304.
[4] იქვე, გვ. 305.
[5] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18481, л. 38.
[6] АКАК, VI, გვ. 9.
[7] И. А н т е л а в а, Государственные крестьяне..., გვ. 306—307.
[8] იქვე, გვ. 307.

ფულადი გადასახადი მ ა ლ ი, შემოღებული ჯერ კიდევ XV საუკუნის მეორე ათეული წლების დასაწყისში მტრის მიერ დანგრეული ქვეყნის აღდგენის მიზნით, როგორც მოსალოდნელიც იყო, დატოვებულ იქნა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. მას იხდიდნენ გორისა და თბილისის მოქალაქენი და სახელმწიფო გლეხები, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ მას ხაზინა შემდეგი რაოდენობით იღებდა: ცოლიანებისგან — 6 აბაზს, ხოლო უცოლოებისგან — 3 აბაზს[1].

გადასახადების მძიმე ტვირთი აწვა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასაც. რუსეთის მთავრობამ, რომელიც ყოველი სიახლის ცხოვრებაში გატარებას მაინც გარკველი შიშით ეკიდებოდა, გადაწყვიტა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში, უცვლელად დაეტოვებინა ძველიდანვე არსებული საგადასახადო სისტემა. ასე მოიქცა ის, კერძოდ, იმერეთში. იქაც მწარმოებელი კლასი, კონკრეტულად კი სახელმწიფო გლეხები, ფულად და პროდუქტად გადასახადებს გარდა, ასრულებდნენ მეტად მძიმე, დიდი დროის, ფიზიკური ძალისა და მატერიალური მსხვერპლის მომთხოვნ შრომით ბეგარას.

იმერეთის დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში სამეფო ხაზინის უმთავრეს შემოსავალს წარმოადგენდა საური, საუდიერო და საციხე. საურით, რომელიც ფულადი გადასახადების რიცხვს განეკუთვნებოდა, იბეგრებოდა კომლი ორი მარჩილის[2] რაოდენობით. იმავე რაოდენობით და ასევე კომლობრივად იკრიფებოდა აგრეთვე მეორე ფულადი გამოსაღები — საციხეც, რომელიც სამხედრო დანიშნულებისათვის იყო გამიზნული. რაც შეეხება საუდიეროს, მისი გადახდა ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ის თითოეულ კომლს ხაზინაში შეჰქონდა 15 ბათმანი[3] ღომისა (ან 6 ბათმანი ხორბლის) და 40 კოკა (600 ბოთლი) ღვინის რაოდენობით. ამას ემატებოდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ანგარიშით თითო სული ყოველ 20 — 25 კომლზე[4].

ამ გადასახადებიდან სახელმწიფოს რუსული მმართველობის დროს მეტად მცირე თანხა შესდიოდა. საკმარისია ითქვას, რომ ხაზინა, 1817 წელს შეგროვილი ცნობების თანახმად, მთელი იმერეთის მშრომელი მოსახლეობიდან ყველა სახის გადასახადებისა და შემოსავლის სახით ღე-

---

[1] И. А н т е л а в а, Гос. крестьяне..., გვ. 309. მალის შესახებ 1801 წლამდე იხ. „დასტურლამალი“ („ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 281); შ. მ ე ს ხ ი ა, „მასალები“, გვ. 2; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“, თბ., 1963, გვ. 177.

[2] მარჩილი — დაახლოებით 26 კაპიკი.

[3] ბათმანი — წონის ერთეულია, უდრის 18 გირვანქას.

[4] АКАК, V, გვ. 475.

ბულობდა სულ მხოლოდ 16 745 მანეთს. შემოსავლის ასეთი სიმცირე აიხსნება შემდეგი გარემოებით. პირველი, ბევრმა იმერელმა საერო და საეკლესიერო ფეოდალმა ადრე, ჯერ კიდევ რუსული მმართველობის დამყარებამდე, მიიღო ეგრეთ წოდებული სითარხნის სიგელი, რომლის მიხედვით მათი ხელქვეითი გლეხები მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდნენ სახელმწიფო გადასახადების ხაზინაში შეტანის მოვალეობისგან. ამას, ბუნებრივია, მწარმოებელი კლასისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც იგი ამ გადასახადს მერეც იხდიდა, თუმცა არა ხაზინის, არამედ მისი უშუალო ბატონის სასარგებლოდ. მეორე, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებული დამსახურებისათვის თარხნობას უშუალოდ თვით გლეხებსაც აძლევდნენ. ისევე როგორც ვაჭრებსა და ხელოსნებს, რაც მათ საერთოდ ათავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადების ტვირთისაგან. მესამე, სახაზინო გადასახადებით არ იყო დაბეგრილი სახელმწიფო თუ სხვა კატეგორიის გლეხთა ერთი ნაწილი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიღარიბით. მათ დაბეგვრას, ცხადია, არავითარი აზრი არ ჰქონდა და სრულიად უპერსპექტივოდ გამოიყურებოდა. დასასრულ, მეოთხე, გადამხდელ კომლთა რიცხვის შემცირებას ხელს უწყობდა აგრეთვე მექრთამეობა, ყალბი საბუთების ფაბრიკაცია, კომლების გადამალვა და საერთოდ ზუსტი ცნობების უქონლობა სოფლის მშრომელი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ.

მართალია, აქ ჩამოთვლილი გადასახადებით უკლებლივ ყველა სახაზინო გლეხი არ იბეგრებოდა, მაგრამ ის, რითაც იგი იბეგრებოდა, მაინც მეტად ძნელად საზიდ ტვირთს წარმოადგენდა და უშუალო მწარმოებლისგან სერიოზულ მატერიალურ და ფიზიკურ მსხვერპლს მოითხოვდა. მდგომარეობას ართულებდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მშრომელი მოსახლეობის მცირემიწიანობა, გადამხდელი წოდების ნივთიერი შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობა, ტექნიკის დაბალი დონე, სტიქიური უბედურებანი, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა აღვირახსნილობა და სხვ. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა საგადასახადო დავალიანების წარმოქმნას, დავალიანებისა, რომელსაც მთავრობამ ვერაფერი მოუხერხა. მიუხედავად მიღებული ზომებისა.

თუ როგორ არაწესიერად შედიოდა ხაზინაში სახელმწიფო გადასახადები, ჩანს შემდეგი მაგალითიდან. 1830—1842 წლებში თელავის მაზრის სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხებს კოდის პურისა და სურსათის ანგარიშში უნდა შეეტანათ 364 408 კოდი ხორბალი და ქერი. გადაიხადეს კი 128 307 კოდი, ან შეწერილი რაოდენობის მხოლოდ 59,47%[1].

---

[1] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 321—322.

* * *

ზემოთ აღწერილი საგადასახადო სისტემა არსებობდა საქართველოში 1843—1845 წლებამდე: ამ წლებში კი გატარდა რეფორმა, რომელმაც ყველა პროდუქტადი სახაზინო გადასახადი ფულადი გადასახადით შეცვალა. აღნიშნული რეფორმის გატარების საფუძველს წარმოადგენდა სასაქონლო წარმოებისა და ფულად ურთიერთობათა განვითარება გასული საუკუნის 30—40-იანი წლების საქართველოში. ამ საქმის ცხოვრებაში გატარება დააჩქარა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ენერგიულმა პროტესტმა, რომელიც მიმართული იყო პროდუქტადი გადასახადების უკუღმართი მხარეების წინააღმდეგ. ის განუსაზღვრელი ბოროტმოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოდის პურის, სურსათის, ყალანისა და სხვათა აღება-აკრეფის დროს, გადამხდელ წოდებას აიძულებდა უპირატესობა ფულადი დაბეგვრისათვის მიეცა და მოეთხოვა კიდეც მისი შემოღება.

უშუალოდ რეფორმის მომზადება 1842 წელს დაიწყო. წარმოდგენილი რამდენიმე პროექტიდან მარტო ერთი, სახაზინო პალატის თავმჯდომარის ნიკოლოზ ბეზაკის, პროექტი იქნა მოწონებული. აკრიტიკებდა რა არსებულ საგადასახადო სისტემას, იგი მოითხოვდა: პირველი, გაუქმებულიყო ყველა მანამდე არსებული, სხვადასხვა სახელწოდებით ცნობილი გადასახადი და დაწესებულიყო ერთი ფულადი საკომლო გადასახადი, და მეორე, გადასახადის სიდიდის განსაზღვრისას მაქსიმალურად მხედველობაში მიეღოთ გადამხდელი წოდების ეკონომიური მდგომარეობა, რასაც აქამდე ანგარიში თითქმის არ ეწეოდა.

უმაღლესმა ხელისუფლებამ მოიწონა ბეზაკის პროექტის ძირითადი პრინციპები და 1843 წ. მისცა მას დასტური. დაიწყო რეფორმის პრაქტიკულად განხორციელება. ყველაზე ადრე იგი ახალციხის მაზრაში გატარდა (1843 წ.). მის ტერიტორიაზე მობინადრე სახელმწიფო გლეხები გადასახადის გადახდის მხრივ ორ ჯგუფად (разряд) დაჰყვეს. სახაზინო მიწაზე მცხოვრები პირველი ჯგუფის სახელმწიფო გლეხი 6 მანეთით იბეგრებოდა, ხოლო მეორესი — 4 მანეთით. სახაზინო მიწების არმქონე გლეხების გადასახადი კი უდრიდა: პირველი ჯგუფისა 3 მანეთს, მეორესი — 2 მანეთს. რაც შეეხება მომთაბარე სახ. გლეხებს, რომელთა რაოდენობა ახალციხის მაზრაში სულ 137 კომლს უდრიდა, იბეგრებოდნენ ისე, როგორც სახაზინო მიწებზე მცხოვრები მეორე ჯგუფის გლეხები, ე. ი. 4 მანეთის რაოდენობით.

მომდევნო 1844 წელს რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ნაწილშიც გატარდა. გამონაკლისს თუშეთი, ფშავეთი და ხევსურეთი წარმოადგენდა, სადაც «во уважение военных обстоятельств», ახალი წე-

სების შემოღება 1845 წლამდე იქნა გადადებული. „ცდილობდა“ რა გადასახადის სიდიდე-მოცულობის მწარმოებელი კლასის ეკონომიურ მდგომარეობასთან შეფარდებას, ხელისუფლებამ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მშრომელი მოსახლეობა (კერძოდ, სახელმწიფო გლეხები) მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დაჰყო. ჯგუფების რაოდენობა სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა იყო. თბილისისა და გორის მაზრაში, მაგალითად, მათი რიცხვი 4-ს უდრიდა, ხოლო თელავის და სიღნაღის მაზრაში — 3-ს. თითოეული ჯგუფისათვის შესაფერისი სიდიდის გადასახადი იყო დაწესებული. იგი მერყეობდა: თბილისის მაზრაში 1,5 მანეთიდან 10 მანეთამდე (კომლზე), გორის მაზრაში — 2 მანეთიდან 7 მანეთამდე, თელავის მაზრაში — 3,5 მანეთიდან 5 მანეთამდე და სიღნაღის მაზრაში — 3 მანI-დან 6 მანეთამდე.

აღმოსავლეთ საქართველოს გლეხები, გარდა საკომლო გადასახადისა, იხდიდნენ აგრეთვე საერობო გამოსაღებსაც (земский сбор). მას ყველა ჯგუფის გლეხი იხდიდა თანაბარი რაოდენობით — 2 მანეთს კომლზე.

ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრებში სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია 1845 წელს განხორციელდა, ხოლო ოზურგეთის მაზრაში (გურია) — 1860 წელს. პირველ სამ მაზრაში სახაზინო მიწებზე მცხოვრები სახელმწიფო გლეხები, ისე როგორც საეკლესიო ყმები, სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. სახელმწიფო გლეხთა გადასახადები მერყეობდა (ჯგუფების მიხედვით) 3-დან 5 მანეთამდე, საეკლესიო ყმების კი — 1 მანეთიდან 2 მანეთამდე. რაც შეეხება კერძო მემამულეთა მიწებზე მცხოვრებ გლეხებს, ისინი ჯგუფებად არ იყოფოდნენ და ყველა ხაზინის სასარგებლოდ იხდიდა ერთნაირ გადასახადს — ერთ მანეთს კომლზე.

ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრის სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გლეხები, მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მშრომელი მოსახლეობისა, ხაზინას აძლევდნენ საერობო გამოსაღებსაც. თითოეული კომლი, განურჩევლად უწყებისა და ეკონომიური მდგომარეობისა, იხდიდა 1 მანეთსა და 35 კაპ.-ს.

გურიის გლეხები (კერძოდ, სახელმწიფო ყმები) ხელისუფლებას ჯგუფებად არ დაუყვია, რადგანაც ისინი, სრულიად უსაფუძვლოდ, ერთნაირი ეკონომიური მდგომარეობის მქონე მწარმოებლებად აღიარეს. გადასახადების სიდიდე გურიაში ისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ უწყებას ეკუთვნოდა გადამხდელი — სახელმწიფოს, კერძოს თუ საეკლესიოს. სხვადასხვა უწყების გლეხები სხვადასხვანაირად იბეგრებოდნენ. სახაზინო ყმები, მაგალითად, იხდიდნენ კომლზე 4 მანეთს, საბატონო და საეკლესიო ყმები კი 1 მან. და 1 მან. და 50 კაპ.-ს (შესაბამისად).

ამისგან დამოუკიდებლად და მის ზევით ოზურგეთის მაზრის სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხები ხაზინას აძლევდნენ საერობო გამოსაღებსაც 75 კაპიკს კომლზე.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სურათი სრული არ იქნება, თუ ნათქვამს არ დაემატა ზოგიერთი ცნობა ეგრეთ წოდებული ნატურალური ან შრომითი ბეგარის შესახებ. შრომითი ბეგარა (შარაგზების მშენებლობა, სატრანსპორტო საშუალებათა გაყვანა და სხვ.) მეტად მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელი კლასის ყველა კატეგორიას, მათ შორის სახელმწიფო გლეხებსაც. ისინი მათ დიდ დროსა და ენერგიას ართმევდნენ და, როგორც წესი, ვეებერთელა მატერიალურ ზიანს აყენებდნენ. 1843—1845 წლების რეფორმამ, რომელმაც, როგორც ვნახეთ, მანამდე არსებული მრავალრიცხოვანი გადასახადი ერთი ფულადი ეკვივალენტით შეცვალა, ხელუხლებლად დატოვა ნატურალური (შრომითი) ბეგარა და მისი მოხდის ადრინდელი წესები. თუ რა მძიმე ტვირთად აწვა იგი მშრომელ მოსახლეობას, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1851 წელს, მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო გლეხებს (აჭარის, აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს გამოკლებით) ხელისუფლების მოთხოვნით გამოუყვანიათ: 12 770 ურემი, 90 833 კაცი და 1 490 საპალნე[1]. ყველაფერი ეს ფულზე გადატანით უდრიდა დაახლოებით 142 000 მანეთს. თუ ამ თანხას გავყოფთ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების კომლთა რაოდენობაზე[2], მივიღებთ ნატურალური ბეგარის საშუალო საკომლო მაჩვენებელს — 3 მანეთსა და 20 კაპიკს.

ნატურალური ბეგარა ძლიერ აწუხებდა ყველა რაიონის მშრომელ მოსახლეობას, მაგრამ ზოგან ის განსაკუთრებით სამძიმო იყო. ასე იყო, კერძოდ, სიღნაღის, გორისა და ახალციხის მაზრებში. უკანასკნელში, მაგალითად, 1851 წელს სახელმწიფო გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 5 მანეთის ნატურალური ბეგარა, ხოლო სიღნაღის მაზრაში — 12 მანეთის. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ თანხის სიდიდეზე, აღვნიშნავთ, რომ მაშინ ერთი ცხვრის საბაზრო ფასი 1 მანეთსა და 20 კაპ-ს არ აღემატებოდა.

საკითხთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებში არაერთხელაა ხაზგასმით აღნიშნული, რომ მთავრობა, ატარებდა რა რეფორმას, მიზნად ისახავდა არა გადასახადების გადიდებას, არამედ გამომღები წოდების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო. საკმარისია

---

[1] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 428.

[2] ვორონცოვის ანგარიშის თანახმად, 1852 წლის 1-ლი იანვრისათვის ხსენებულ გლეხთა კომლთა რაოდენობა 43 134 უდრიდა (АКАК, X, ч. II, გვ. 982).

ითქვას, რომ რეფორმის გატარების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხთა სახაზინო გადასახადები (საერობო გამოსაღების ჩაუთვლელად) გაიზარდა 76,4%-ით (57 339 მანეთიდან 101 022 მანეთამდე).

ახალი საგადასახადო სისტემის უდიდეს ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ გადასახადების სიდიდის განსაზღვრა-დაწესებისას არსებითად არ ეწეოდა ანგარიში გამომღები წოდების ეკონომიურ მდგომარეობას, თუმცა ამ უკანასკნელის მხედველობაში მიღების აუცილებლობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ უმაღლესი მთავრობისა და კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ამას ვერ მალავდნენ თვით ოფიციალური პირებიც კი. ერთი მათგანი პირდაპირ მიუთითებდა, რომ 1843—1845 წლებში ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლა „მოხდა მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის სათანადო შესწავლის გარეშე"[1]. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი გრაფი კისელიოვიც მიუთითებდა, რომ რეფორმის გატარებისას დარღვეულ იქნა ერთი მთავარი პრინციპთაგანი, რომლის თანახმადაც «Мера податей должна быть основана на точном вычислении чистого дохода, полученного земледельцем от предоставленных ему выгод»[2].

ამ პრინციპის დარღვევას შედეგად მოჰყვა სრული უსამართლობის დამკვიდრება მწარმოებელი კლასის დაბეგვრის საქმეში. ძალიან ხშირად მცირე შეძლების გლეხი, რომელიც ძლივს ახერხებდა ოჯახის რჩენას, უფრო მეტად იბეგრებოდა, ვიდრე მიწით და საწარმოო იარაღებით უხვად მომარაგებული, დიდი შეძლების მქონე გლეხი. ეხებოდა რა საკითხის ამ მხარეს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი კოლუბიაკინი წერდა (1852 წ.): «Подымное обложение очевидно несправедливо, ибо крестьянин, имевший трех возмужалых сыновей и снабженный пространством земли, соразмерным с средствами (и) рабочими, или примерно сорока кцевами, платит наравне с мужиком одиноким или обремленным детьми и обрабатывающим всего кцев восемь. Бывает и так, что два или три брата женатые, с сыновьями в силе лет, живут нераздельно, пользуясь землею, достаточною для трех семей, и платят все же за один дым, наравне с крестьянином, обрабатывающим участок, едва достаточный для прокормления семьи, состоящей из жены и малых детей»[3].

---

[1] სსცია, ფ. 243, ანაწ. 1, საქ. 14, ფურც. 279.

[2] იქვე, ფ. 13, ანაწ. 24, საქ. 17, ფურც. 14. ЦГИА СССР, ф. 1268, оп. I, д. 268, лл. 310—319.

[3] სსცია, ფ. 1115, საქ. 1, ფურც. 6.

ქართველმა გლეხმა, რომელიც საერთოდ დადებითად შეხვდა საგადასახადო სისტემის რეფორმას (კარგად შეხვდა იგი მის ძირითად პრინციპს — მრავალრიცხოვანი პროდუქტადი გადასახადების ფულადი ეკვივალენტით შეცვლას), ენერგიულად გაილაშქრა ახალი წესების უკუღმართი მხარეების წინააღმდეგ. მას არ შეუწყვეტია ბრძოლა გადასახადის მაღალი ნორმის წინააღმდეგ, ისეთი დაბეგვრის წინააღმდეგ, რომელიც აშკარად არ შეესაბამებოდა მის მატერიალურ მდგომარეობას.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმას ბევრი უარყოფითი მხარე ჰქონდა და მან უფრო დაამძიმა მწარმოებელი კლასის საგადასახადო ტვირთი, ის მაინც მთლიანად დადებით შეფასებას იმსახურებს. ფულადი გადასახადების შემოღება, რაც სასაქონლო წარმოების განვითარებამ განაპირობა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ პროგრესს. გლეხთა ფართო მასები, რომლებიც ამიერიდან ხაზინას ფულით უსწორდებოდნენ, იძულებული გახდნენ სულ უფრო ხშირად მიემართათ ბაზრისთვის და მეტი რაოდენობით ეწარმოებინათ სასაქონლო პროდუქცია. სოფლის მშრომელი მოსახლეობის დიდი მასშტაბით ჩათრევა სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობა-კომერციის სფეროში წარმოადგენდა დიდად პროგრესულ მოვლენას, რომელიც ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის რღვევას, კლასობრივი დიფერენციაციის გაძლიერებასა და საერთოდ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა საფუძვლების მოშლას.

§ 2. საბატონო გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

საბატონო გლეხებს რიცხობრივი თვალსაზრისით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეორე ადგილი ეკავათ (37,831 კომლი ან 32,4%). მათი ეკონომიური მდგომარეობა უფრო მძიმე და უარესი იყო, ვიდრე სახელმწიფო გლეხისა. ეს კი, პირველ ყოვლისა, მიწის სიმცირით იყო გამოწვეული, რაც, როგორც უკვე ითქვა, სოფლის მშრომელი მოსახლეობის ყველა კატეგორიას აწუხებდა, მაგრამ განსაკუთრებით ის საბატონო ყმებს სტანჯავდა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ რაჭის სოფელი მოსტანო. იქ 20-იან წლებში, არსებული ცნობების თანახმად, 23 კომლ საბატონო გლეხის განკარგულებაში ყოფილა სულ 37 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა[1], რაც ოჯახზე გაანგარიშებით უდრიდა საშუალოდ 1,6 დესეტინას.

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები ს. თერჯოლის (იმერეთი) საბატონო ყმათა მიწათმფლობელობის შესახებ რეფორმის წინარე ხანაში, უფ-

---

[1] მკსი, ნაკ. III, 1942, გვ. 39.

რო ზუსტად კი გასული საუკუნის 50-იან წლებში[1]. ხსენებულ წლებში თერჯოლაში ირიცხებოდა სულ 98 კომლი საბატონო გლეხი, რომლებიც მათ განკარგულებაში მყოფი სავენახე, სახნავ-სათესი და სამოსახლო მიწის ფართობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ. 6 კომლს, ან კომლთა საერთო რაოდენობის 6,1%-ს, სულ არ ჰქონდა მიწა[2], 8 კომლში (8,4%) ორივე სქესის თითო სულზე მოდიოდა მხოლოდ 0,1 დესეტინა მიწა, 13 კომლში (13,3%) — 0,2 დესეტინა, 16 კომლში (16,3%) — 0,3 დესეტინა, 12 კომლში (12,2%) — 0,4 დესეტინა, 14 კომლში (14,3%) — 0,5 დესეტინა, 14 კომლში (14,3%) — 0,6 დესეტინა, 5 კომლში (5,1%) 0,7 დესეტინა, 1 კომლში (1,0%) — 0,8 დესეტინა, 3 კომლში (3,0%) — 0,9 დესეტინა, 2 კომლში (2,0%) — 1 დესეტინა, 3 კომლში (3,0%) — ერთიდან ორ დესეტინამდე და, დასასრულ, 1 კომლში (1,0%) — ორიდან სამ დესეტინამდე.

საშუალოდ კი სოფელ თერჯოლის საბატონო გლეხის თითო კომლზე მოდიოდა 2,8 დესეტინა სახნავ-სათესი, სავენახე და სამოსახლო მიწა, ხოლო ორივე სქესის თითო სულზე — 0,42 დესეტინა.

კიდევ უფრო სავალალო სურათს წარმოადგენდა მონაცემები, რომლებიც მთლიანად ქუთაისის გუბერნიას ეხება (აფხაზეთ-სამეგრელოს გამოკლებით). იქ რეფორმის წინარე ხანაში, ს. ავალიანის ცნობით[3], საბატონო გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 1,5-დან 2 დესეტინამდე მიწის ფართობი. ეს მაშინ, როდესაც, თვით ოფიციალურ პირთა მოწმობითაც, არამცთუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მიმდინარე საუკუნის დასაწყისშიც კი, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შედარებით უკეთ იყო განვითარებული, ღარიბი გლეხის ოჯახის გამოსაკვებად ქუთაისის გუბერნიაში აუცილებელი იყო არანაკლებ 4—5 დესეტინა ვარგისი მიწისა[4].

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ცნობილია, საერთოდ რამდენადმე უკეთესი სურათი იყო, მაგრამ სახარბიელო ვითარება არც იქ ყოფილა. იქაც სოფლის მშრომელი მოსახლეობის (მათ შორის საბატონო გლეხების) უდიდესი უმრავლესობა მცირემიწიანობა-უმიწობით იტანჯებოდა და მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არსებობის შესანარჩუნებლად მას უხდებოდა მიწის იჯარით აღება, გარე სამუშაოზე

---

[1] სსცია, ფ. 5, საქ. 56, ფურც. 368—403.

[2] უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ 6 კომლიდან სამი საერთოდ უმიწო ჩანს, ხოლო სამს მიწა სხვასთან საზიაროდ ჰქონია.

[3] С. Авалиани, Крестьянский вопрос, I, გვ. 511—512.

[4] სსცია, ფ. 39ᵃ, ფურც. 21; И. Антелава, Государст. крестьяне..., II, გვ. 95. ზოგი თანამედროვის (მაგ. სახელმწიფო სამინისტროს ამიერკავკასიის რწმუნებულის ი. მედვედევის) აზრით, კი, გლეხისათვის საჭირო მიწის ფართობი ამაზე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო (И. Антелава, Государственые крестьяне..., გვ. 75).

გასვლა და სხვა გზების ძებნა, რაც დიდი მატერიალური, ფიზიკური და მორალური მსხვერპლის გაღებასთან იყო დაკავშირებული.

საბატონო გლეხთა ცხოვრების პირობების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს საგადასახადო სისტემა წარმოადგენდა. გადასახადი, როგორც უკვე ითქვა, მძიმე ტვირთად აწვა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ყველა კატეგორიას, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაინც საბატონო ყმებს აწუხებდა. მთავარი იყო არა გადასახადების სიდიდე-სიმრავლე, რაც თავისთავად მეტად ანგარიშგასაწევი მომენტია, არამედ სრული უწესრიგობა ამ საქმეში და გადასახადების განუსაზღვრელობა. საქართველოს უმაღლესი მთავრობის შეკითხვაზე, თუ რა და რა გადასახადს იღებენ მემამულეები თავიანთი ხელქვეითი გლეხებისაგან, თბილისის, სიღნაღის, გორისა და დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა უპასუხეს (1826 წ.), რომ აღნიშნულ საგანზე ცოტად თუ ბევრად სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია, რადგანაც კერძო მფლობელები თავიანთ ყმებს საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით ბეგრავენო[1]. მემამულეთა წინაშე გლეხთა ვალდებულებების განუსაზღვრელობა-დაუდგენლობაზე ლაპარაკობდა აგრეთვე სტატსკი სოვეტნიკი ზავილეისკი თავის 1829 წლის 17 ნოემბრის პატაკში სტრეკოლოვისადმი[2]. ასევე წერდა ცოტა მოგვიანებით, სახელდობრ 40-იანი წლების დასაწყისში, თბილისის მაზრის უფროსი. «Вообще принятыми обычаями, — ნათქვამია მის მოხსენებით ბარათში, — представлено помещиками право требовать повинности от своих крестьян по своему усмотрению... и потому повинности, взыскиваемые помещиками..., неодинаковы»[3].

მიუხედავად ამ საყოველთაოდ აღიარებული გაურკვევლობა-არეულობისა, თანამედროვე დოკუმენტები მაინც იძლევა ერთგვარ საშუალებას მიახლოებით დავადგინოთ გადასახადების სია და ხასიათი. საბუთებიდან ჩანს, რომ გლეხები ჩვენთვის საინტერესო ხანაში მემამულეების სასარგებლოდ იხდიდნენ გადასახადებს შრომითი, პროდუქტადი და ფულადი რენტის სახით. წამყვანს ქვეყნის მასშტაბით რენტის მეორე სახე წარმოადგენდა. რაც შეეხება ფულად რენტას, მისი განვითარება განსაკუთრებით საგრძნობი მხოლოდ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან გახდა იმ ძვრებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში.

რაში მდგომარეობდა შრომითი რენტა ან საბატონო ბეგარა, რასაც იმდროინდელი წყაროები «издольные повинности»-ს სახელით იცნობენ. «Повинности издольные (бегара), — ვკითხულობთ ერთ თანამედროვე

---

[1] სსცია, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 1202, ფურც. 10. СХАО, I, გვ. 254.
[2] АКАК, VII, ч. I, გვ. 27.
[3] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1950, გვ. 327.

მოხსენებით ბარათში, — заключаются в том, что крестьяне обязаны пахать для помещика землю, засевать, поливать и удобрять её; убирать хлеб, свозить его на гумно, обмолачивать, провевать; обрабатывать и огораживать сады, косить сено, доставлять дрова и лес и работать при постройках, перевозке тяжестей и проч. Все эти работы отправляются без определенного числа рабочих дней, по мере хозяйственных нужд помещика и... средств самих крестьян»[1].

შრომითი რენტა ან ბეგარა გლეხს ყოველწლიურად ართმევდა რამდენიმე ათეულ დღეს[2] და ამდენად ის მისი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

პროდუქტად რენტაში ან ნატურალურ გადასახადებში მთავარი ადგილი ღალასა და კულუხს ეკავა. პირველი მათგანი იყო პურის გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ გლეხები მემამულის მიწაზე მოყვანილი მოსავლიდან. ღალის რაოდენობა და მისი აღების წესი ყველგან ერთნაირი არ იყო. ზოგან ეს რაოდენობა უპირატესად მიწის ხარისხით განისაზღვრებოდა და ყოველდღიური მიწის ფართობში უშუალო მწარმოებელი ერთიდან ორ კოდამდე ბორბლეულს იხდიდა. ზოგან კი გადასახადის რაოდენობა მოსავლის $^1/_7$ — $^1/_3$ ნაწილს უდრიდა[3].

კულუხი ღვინის გადასახადი იყო. მას იხდიდნენ გლეხები, რომელთაც ჰქონდათ ვენახები, განურჩევლად იმისა თუ ვისი იყო სავენახე ადგილი — მემამულის თუ საკუთარი. მისი რაოდენობა, წყაროების მოწმობით, მიღებული ღვინის $^1/_7$ — $^1/_4$ ნაწილით განისაზღვრებოდა[4].

გარდა ამ ორი გადასახადისა, გლეხები ვალდებული იყვნენ ყოველ დღესასწაულზე ბატონისათვის მიერთმიათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მიეღოთ და გამასპინძლებოდნენ „სტუმრად“ მოსულ ბატონს და მის თანმხლებ პირებს, ქორწილის დროს დახმარებოდნენ მემამულეს ფულით და სოფლის ნაწარმით, მიერთმიათ, კერძოდ, საქორწილო საკლავი (ძროხა), საკლავი მიეცათ მისთვის მოსავლის აღების დროს და სხვ.[5].

ფულადი გადასახადების შესახებ ზემოხსენებულ დოკუმენტში ნათქვამია: «Повинности денежные составляют: а) гацера — раскладочный сбор, производимый обыкновенно при особенных событиях в быту помещика, как-то: при свадьбах, отправлении в поход,

---

[1] სსცია, ფ. 220, საქ. 1064, ფურც. 332. შდრ. АКАК, VIII, ч. I, გვ. 24.

[2] იხ. „მოხსენებითი ბარათი ბატონყმობაზე საქართველოში“ (1844), გამოქვეყნებული შ. ჩხეტიას წიგნში „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის აღმოსავლეთ საქართველოში“, გვ. 360.

[3] სსცია, ფ. 220, საქ. 1064, ფურც. 333. Барон Николаи, Воспоминания. «Русский архив», 1892 г., кн. 2, ч. 5, გვ. 97.

[4] იქვე, ფურც. 334, შდრ. АКАК, VIII, ч. 1, გვ. 24.

[5] იქვე, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 1202, ფურც. 10—13. შდრ. СХАО, I, გვ. 255—257.

похоронах, а нередко и без этих случаев, по заявляемой помещиками надобности; количество этого сбора не определено; б) сачекмо — подать при выдаче замуж крестьянской девицы, смотря по состоянию её жениха; в) саквриво — подать при выходе замуж крестьянской вдовы в количество 15 рублей. К этому же разряду повинностей относится гасамкрело — десятая часть из движимого имения крестьян при разделе оного по их желанию, гносимая большею частью деньгами»[1].

როგორც იმ უწყისიდან ჩანს, რომელიც 1826 წელს გენერალმა ველიამინოვმა წარუდგინა საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებას, თბილისის, სიღნაღის, გორისა და დუშეთის მაზრის გლეხები თავიანთ მემამულეებს უხდიდნენ 38 დასახელების სხვადასხვა გადასახადს[2]. იმავე წყაროს მოწმობით, გადასახადების ეს სია სრული არ იყო. სინამდვილეში გლეხები დაბეგრილი იყვნენ თურმე რიგი სხვა, ამ სიაში არმოხვედრილი გადასახადებით.

ზემოთ მოტანილი მასალა მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ეხება. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ, მიუხედავად ზოგი სპეციფიურობისა, საგლეხო გადასახადები ძირითადად იგივე იყო[3]. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გადასახადების ტვირთი ერთნაირი იყო ჩვენი ქვეყნის ორივე მხარეში. დასავლეთ საქართველოში ის გაცილებით მეტი იყო, რაც, სხვა გარემოებასთან ერთად (სოფლის მშრომელი მოსახლეობის განსაკუთრებული მცირემიწიანობა), აიხსნება საერო და სასულიერო ფეოდალების შედარებით მეტი სიმრავლით. «Несоразмерное число дворянства, — წერდა 1819 წელს რუსი დამკვირვებელი ენსგოლმი იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის შესახებ, — противу народонаселения сих владений, не находящего... способов к удовлетворению возникшей роскоши, гордость оного, не позволяющая оному помышлять о способах к удовлетворению оной посредством собственного трудолюбия, либо промышленностью, но заставляющая его в праздности ожидать всего от своего поселянина..., производит главные источники народного бедствия»[4].

---

[1] სსცია, ფ. 220, საქ. 1064, ფურც. 333.

[2] იქვე, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 1202, ფურც. 10—13. შდრ. СХАО, I, გვ. 255—257; შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 340—343.

[3] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954, გვ., 146—149; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 384—385; ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, თბ., 1966, გვ. 121—140.

[4] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18497, лл. 32—43.

შრომით დაუსაქმებელი საერო და სასულიერო ფეოდალების ამ შედარებითმა სიმრავლემ განაპირობა სწორედ დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, იმერეთისა და გურიის) საბატონო გლეხის განსაკუთრებით მძიმე მატერიალური მდგომარეობა. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილში ყოველ 6 გლეხს ერთი ფეოდალი აწვა კისერზე, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ეს ტვირთი საშუალოდ 9 გლეხის ოჯახზე იყო განაწილებული[1].

უფრო კონკრეტულ წარმოდგენას საგადასახადო ტვირთის სიმძიმეზე, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში, იძლევა ცნობები საწერეთლოს ყმების ვალდებულებათა შესახებ, შედგენილი 1828—1843 წლებში[2]. ამ საბუთის მიხედვით[3], გადამხდელები ოთხ ჯგუფად იყოფიან.

პირველი ჯგუფის („უდიდესი ან პირველი გადამხდელი და მუშა გლეხნი"), თითო გლეხს ემართა 30 კოკა ღვინო, 10 კოდი პური, საშობაო ხორცის ფასი 2 მანეთი, სააღდგომოს — ამდენივე, წელიწადში 8 ქათამი, ქორწილის დროს ერთი ძროხა, ზოგს (და არა ყველას) საშობაოდ „9 პური და ერთი ქათამი", ბატონის სტუმრობის დროს მისი და მისი ამალის ღამის გასათევით და პურის ჭმევის უზრუნველყოფა და კვირაში სამი დღე უღელი ხარით მუშაობა. „მთის ადგილებშიო, — ნათქვამია საბუთში, — მოსახლენი არ აძლევენ ღვინოს, პურს მისცემენ თხუთმეტს კოდს, რომელ კოდში გამოვა ოთხი ბათმანი, ხორცის ფასს როგორც ზემოთ აღწერილი არს. ხარით არ ხვნენ, არც ლეწავენ. სხვებრ კვირაში სამ დღეს იმუშავებენ და სხვა ყოველივე ზემორებრ".

მეორე ჯგუფის გლეხი, დოკუმენტის სიტყვით, იხდიდა 20 კოკა ღვინოს, 6 კოდ პურს, 5 ქათამს, ძროხის მესამედს (ქორწილის დროს), 1 მანეთ საშობაო ფულს და 4 აბაზს — სააღდგომოს. გარდა ამისა, იგი მემამულის ყანაში მუშაობდა „ხარით და კაცით" ყოველ კვირას და ლეწვის დროსაც იმავე წესით შრომობდა, როგორც პირველი ჯგუფის გლეხი. რაც შეეხება მთიან ადგილებში მცხოვრებთ, ისინი ბატონს აძლევდნენ 8 კოდ პურს, ერთ მანეთ საშობაო ფულს და ამდენსავე სააღდგომოს, მუშაობა კი — „როგორც ზემოაღწერილი არის". გამონაკლისს მხოლოდ მარტოხელები წარმოადგენდნენ.

მესამე ჯგუფის ყმა გლეხის გამოსაღები იყო: 10 კოკა ღვინო, 4 კოდი პური, ძროხის მეექვსედი ნაწილი (ქორწილის დროს), 3 აბაზი საშობაო ფული და ამდენივე — სააღდგომო. იგი შრომით რენტასაც ასრულებდა

---

[1] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, გვ. 89.

[2] ო. სოსელია, ...ფეოდალური ხანის დას. საქართველოში, გვ. 142.

[3] საბუთი გამოქვეყნებულია გაზ. „კვალში", 1896, № 34 და ნ. მახარაძის წიგნში—Восстание в имеретий 1819—1820 гг. მკსი, ნაკ. III, 1942, გვ. 45.

(თუ მარტოხელა არ იყო) „ზემოაღნიშნულისამებრ“, ე. ი. იმდაგვარად, როგორც მეორე ჯგუფის ყმა. მთიანი ადგილების მობინადრეთა ვალდებულებას კი შეადგენდა: 5 კოდი (თითო სამი ბათმანის შემცველი) პური, ორ-ორი აბაზი საშობაო და სააღდგომო ფული და მუშაობა.

დასასრულ, მეოთხე ჯგუფის, „აზატად წოდებული“ გლეხის შესახებ დასახელებულ წყაროში ნათქვამია: „გადასახადს არ აძლევს, ბატონი თუ ბატონის კაცი... ეწვევა, აჭმევს, არ მუშაობს; ქორწილის დროს ძროხას გარდიხთის: შეძლებული — მთელს, შუა — ნახევარს, მესამე — მესამედს; ასევე „მთის აზატი გლეხი კაცი“, რომელიც დამატებით „მსახურს აძლევს მოუცილებლად“.

გარდა ამისა, ოთხივე ჯგუფის გლეხები ვალდებული იყვნენ „ყმისა და მამულის ყიდვის დროს მემამულეთა თეთრით შეწევის, ასევე ვალში ჩავარდნის დროსა, და ასევე, თუ ჰყავს, ცხენის თხოვებისა ლაშქრობის დროს ანუ სხვა დიდ საჭიროების დროსაც“.

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, საწერეთლოს ყმები შერეული სახის რენტით იყვნენ დაბეგრილნი, ე. ი. მათ საბატონო ვალდებულებაში შედიოდა როგორც პროდუქტადი და ფულადი გადასახადები, ისე შრომითი ბეგარა. თუ ყველა მათგანის ღირებულებას ფულზე გადავიტანთ და ერთმანეთს შევადარებთ, პირველ ადგილზე თავისი ხვედრითი წონით პროდუქტადი რენტა გამოვა; მეორეზე — შრომითი და მესამეზე — ფულადი. გლეხთა საგადასახადო ტვირთი, საერთოდ, მეტად მძიმე ჩანს. თვით მესამე ჯგუფის ყმაც კი, რომელიც თავისი ეკონომიური შესაძლებლობით ძლიერ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა (სწორედ ამიტომ მოექცა იგი ამ ჯგუფში), ყოველგვარი „ნორმების“ დარღვევით იყო დაბეგრილი (10 კოკა ღვინო, 4 კოდი პური, ძროხის მეექვსედი ნაწილი, „ხარით და კაცით“ მუშაობა ყოველ კვირას, საშობაო და სააღდგომო ფულადი გადასახადი და სხვ.). ყურადღებას იპყრობს „აზატად წოდებული“ გლეხის დაბეგვრის ფაქტი. მართალია, ბარის აზატი, დოკუმენტის მიხედვით, მემამულის სასარგებლოდ არ მუშაობდა და მას გადასახადს არ აძლევდა, მაგრამ სინამდვილეში ის ზოგიერთი ვალდებულებისგან თავისუფალი არ იყო. მაგალითად, ქორწილის დროს იგი ბატონს ძროხას (ან მის ნაწილს) უხდიდა, ხოლო „სტუმრად“ მისვლისას — მას და მის ამალას შესაფერისად უმასპინძლდებოდა. და რაკი ეს გამასპინძლება გლეხის ნება-სურვილზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა, ცხადია, ის ჩვეულებრივი გადასახადი იყო და მისგან არაფრით განსხვავდებოდა. დასასრულ ძალიან ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მთის აზატი, ბარის აზატისაგან განსხვავებით, ბატონს მსახურსაც აძლევდა „მიუცილებლად“.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის საბატონო გლეხთა ვალ-

დებულებებზე კიდევ უფრო მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს სოფ. თერჯოლის წულუკიძის ყმათა საგადასახადო ნუსხა, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 50-იანი წლების სინამდვილეს გამოხატავს. აქაც, ისე როგორც საწერეთლოში, გლეხები შრომით, პროდუქტად და ფულად გადასახადებს იხდიდნენ. გლეხი ნიკო გეწაძის ვალდებულებანი, მაგალითად, დოკუმენტში ასეა განსაზღვრული: 42 ჩაფი ღვინო, ერთი ცხვარი, 0,5 ბათმანი ხორბალი, 0,5 ბათმანი ღომი, ერთი ქათამი, კვირაში სამი დღე მუშაობა (ხარებით) და ერთი მანეთი ფულად[1]. იგივე ითქმის ნიკოლოზ გურგენიძის შესახებაც, რომელიც, იმავე წყაროს ჩვენებით, მემამულეს აძლევდა 24 ჩაფ ღვინოს, ერთ ცხვარს, ერთ მანეთს და მუშაობდა ბატონის მეურნეობაში კვირაში სამი დღე ხარებით (ზოგჯერ კი უხაროდ)[2]. დასახელებულ მაგალითებში, როგორც ვხედავთ, რენტის სამივე სახეა წარმოდგენილი. საკმაოდ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გლეხები თავიანთ ვალდებულებას მხოლოდ შრომით და პროდუქტადი რენტის სახით ასრულებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ყმა გლახუა სამხარაძის ოჯახი, რომელიც ყოველწლიურად თავის ბატონს აძლევდა 14 ჩაფ ღვინოს, ერთ ქათამს, 9 გამომცხვარ პურს და, გარდა ამისა, მუშაობდა მის მეურნეობაში კვირაში ორი დღე (ხარებით ან, ზოგჯერ, უხაროდ)[3]. ძალიან იშვიათად საბატონო გადასახადს მხოლოდ შრომითი რენტის სახე ჰქონდა. თერჯოლის გლეხთა ვალდებულებათა სიაში ასეთი მხოლოდ სამი შემთხვევაა დასახელებული და შეეხება გლეხებს ფირან და სიმონ ბოჭორიშვილებს და ბეჟან კოტიაშვილს, რომელთა შესახებ დოკუმენტში მითითებულია, რომ ისინი, ვითარცა მოკლებულნი ყოველგვარ საკუთრებას, ცხოვრობენ მოჯალაბეებად ბატონის სახლში და მისი მოთხოვნით ასრულებენ ყველა სახის სამუშაოს[4].

წულუკიძეების ყმებს რენტის ფორმების მიხედვით თუ დავაჯგუფებთ, ჩვენ თვალწინ შემდეგი სურათი გადაიშლება. იმ 98 გლეხის ოჯახიდან, რომლებიც თერჯოლაში ცხოვრობდნენ და ერთ დროს თავად წულუკიძეების საკუთრებას შეადგენდნენ, 2 ოჯახი (დაახ. 2%) საერთოდ არ იხდიდა არავითარ გადასახადს[5], 3 ოჯახი (დაახ. 3%) იხდიდა მას მხოლოდ შრომითი რენტის სახით, 25 ოჯახი (დაახ. 25,6%) — შრომითი, პროდუქტადი და ფულადი რენტის სახით და 68 ოჯახი (69,4%) — შრომითი და პროდუქტადი რენტის სახით.

---

[1] სსცია, ფ. 5, საქ. 56, ფურც. 360.

[2] იქვე, ფურც. 362.

[3] იქვე, ფურც. 381.

[4] იქვე, ფურც. 354, 355, 388.

[5] შრომით რენტაში შეეიტანეთ გლეხის მიერ მემამულისათვის მუდმივი მსახურის მიცემაც.

რენტის ცალკეული ფორმების ადგილი და მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ერთნაირი არ იყო. თერჯოლის გლეხებში აბსოლუტური დომინირება შრომით რენტას ჰქონდა. მისი ხვედრითი წონა 81,5 %-ს უდრიდა. მას მოსდევდა პროდუქტადი რენტა — 18,1 %. რაც შეეხება ფულად რენტას, მისი ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში წარმოუდგენლად მცირეა, სულ რაღაც 0,4 %.

შრომითი რენტის ასეთი დომინირება, ისე როგორც ფულადი რენტის ესოდენ მიზერული ხვედრითი წონა, განპირობებულია რაღაც განსაკუთრებული, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი მიზეზებით და ამდენად ეს კონკრეტული შემთხვევა ვერ გამოდგება ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარების დასახასიათებლად, სადაც განსახილველ ხანაში, ყველა ნიშნის მიხედვით, წამყვანს პროდუქტადი რენტა წარმოადგენდა.

როგორი იყო მაინც, ჩვენი მაგალითის მიხედვით, გლეხის საგადასახადო ტვირთი? ის ნამდვილად მძიმე და ძნელად საზიდი იყო. საკმარისია ითქვას, რომ წულუკიძეების გლეხთა თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ (ფულზე გადატანით) 57 მანეთი და 20 კაპიკი ყველა სახის გადასახადი, ხოლო სულზე—8 მანეთი და 77 კაპიკი. ზოგი კი ამაზე გაცილებით მეტსაც იხდიდა. ასეთები იყვნენ მაგალითად, სიმონ, გიორგი, ივანე და ლევან ცხადაძეები, გაბრიელ მახარაშვილი და სხვ., რომელთა ყოველწლიური საბატონო გადასახადი 80 მანეთს უდრიდა. თუ რაოდენ დიდი იყო ეს თანხა იქიდან ჩანს, რომ იმ დროს ძროხის საბაზრო ფასი 10—12 მანეთს არ აღემატებოდა.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საბატონო ყმები საქართველოში მეტად მძიმე საგადასახადო ტვირთს ეზიდებოდნენ. მაგრამ მთავარია მაინც არა ამ ფაქტის გახაზვა, არამედ იმისა, რომ გლეხთა ვალდებულებანი სისტემატურად იზრდებოდა და დროთა განმავლობაში სრულიად აუტანელი ხდებოდა. ექსპლოატაციის ნორმის ზრდა განსაკუთრებით საგრძნობი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან გახდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობისა და კაპიტალისტური წყობის განვითარების შედეგად[1]. ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები გაზრდილ მოთხოვნილებებს აყენებდა ქართველ მემამულეთა წინაშე, რომელნიც მათ დაკმაყოფილებას ხელქვეითი გლეხების საშუალებით ცდილობდნენ. ისინი უცერემონიოდ ადიდებდნენ ადრე არსებულ ვალდებულებებს, იგონებდნენ ახალ, მწარმოებელი კლასისათვის მანამდე უცნობ გადასახადებს და სხვ. ამიტომ შემთხვევითი როდია საბუთებში ისეთი ტერმინების გაჩენა, როგორიცაა „უკანონო დებულება“, „უკანონო სამსახური“, „უდები სამსახური“

---

[1] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967.

და ა. შ. ყმები ცხადაშვილები ჩიოდნენ 1835 წელს, რომ მათ მებატონეს მოსთხოვა „უკანონო სამსახური, რომლისა ჩვეულება არა გვაქვს“[1]. ისინი მოითხოვენ „უდები სამსახურიდან“[2] განთავისუფლებას და წინანდელი რიგის დაცვას.

მემამულეთა მიერ საგლეხო ვალდებულებათა გადიდებას და ამის გამო გლეხთა ურჩობას, ეტყობა, ისეთი მასობრივი ხასიათი მიუღია, რომ საჭირო გამხდარა ამ საქმეში მთავრობის ჩარევა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ბარონ როზენის მიწერილობა იმერელ თავად გრიგოლ წერეთლისადმი (1835 წ.), რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „მმართებლობა მოუწყვეტლად ზრუნავს, რომ გლეხნი იყვნენ სრულიადსა მორჩილებასა შინა თვისთა მფლობელთასა... (მაგრამ ამავე დროს თვალყურს ადევნებს), რათა მებატონენიცა არა გადავიდნენ გარეშე მინიჭებულისა მათდამი უფლებისა გლეხთა ზედა. ჩემთვის ფრიად უსიამოვნო არის დანახვაი მოუკვეთელად წარმოებულთა ურიგოებათა მამულსა შინა იმა თავადთასა, რომელნიცა იმერეთსა შინა არიან უპირველესნი თვისის გვარითა და რომელთაც ჯერ არს რათა სხვათა უჩვენონ კეთილი მაგალითი. ამის გამო მე უკვე მივიღე ჯეროვანი ღონისძიებანი მოსაკვეთელად ახლად აღძრულთა მუნ ურიგობათა. გარნა კვალად არა მომეტებულად შევრაცხე ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, ვითარცა პატივის მექონესა თვისთა ერთგვართა თავადთაგან, რათა თქვენ შეაგონოთ ყოველთა იმა თავადთა წერეთელთა, რომელთა მამულსა შინა ესოდენ ხშირად სწარმოებენ შფოთნი ურიგოებანი და არა დასათმობელნი შევიწროებანი, რათამც, იგინი შემდეგ დროში უკუდგნენ შეუწყნარებელისა მოქცევისაგან ხელქვეითთა თვისთა ყმათათანა და ეგრეთვე უზომოთა მათ ზედა ხარჯის დადებისაგან და მით არა იძულებულ ჰყონ იგი უმორჩილებისადმი. ხოლო სხვაგვარი იგი თავადნი მიმცემელ იქნებიან სასტიკისა პასუხისგებისა წინაშე მართებლობისადმი, რომელიცა არა მიხედავს ყოველსა თვისსა სიწყნარესა და მიმართავს კანონიერისა ფიცხელისა მოქმედებისადმი“[3] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

მაგრამ მთავრობის ასეთ ჩარევას, ბუნებრივია, არ შეეძლო ძლიერად და დიდი მასშტაბით დაწყებული მოვლენის შეჩერება და ის ისევ თავი-

---

[1] ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 120.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 122.

სი გზით მიემართებოდა: გლეხთა გადასახადები საერთოდ და საბატონო ყმათა, კერძოდ, სწრაფად იზრდებოდა, რამაც (ზოგ სხვა გარემოებასთან ერთად) წარმოშვა კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმა, როგორიცაა მემამულეთა გლეხების მასობრივი მოძრაობა სახაზინო უწყებაში გადასასვლელად.

საბატონო გლეხთა ექსპლოატაციას ეწეოდნენ არა მარტო მათი უშუალო მფლობელები, არამედ სახელმწიფოც. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მემამულეთა გლეხები იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადს, რომლებიც ბეზაკის რეფორმის შემდეგ ერთ ფულად საკომლო და საერობო გადასახადად შეიცვალა. როგორც ვიცით, ამავე გადასახადებით იყვნენ დაბეგრილნი სახაზინო გლეხებიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი გამოსადები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საბატონო და საეკლესიო ყმებისა[1]. საკომლო გადასახადი, მაგალითად, გურიის სახელმწიფო გლეხისა 4 მანეთს უდრიდა, ხოლო საეკლესიო და საბატონოსი — მანეთ ნახევარსა და ერთ მანეთს შესაბამისად[2]. ასევე იყო დასავლეთ (და აღმოსავლეთ) საქართველოს სხვა რაიონებშიც. იქაც სახელმწიფო გლეხი უფრო მეტ საკომლო გადასახადს იხდიდა, ვიდრე სოფლის მშრომელი მოსახლეობის დანარჩენი კატეგორიები.

საბატონო ვალდებულებებით მეტად შეწუხებული ქართველი გლეხისთვის სახელმწიფო საკომლო გადასახადი, ცხადია, დამატებით ტვირთს წარმოადგენდა. მაგრამ ხაზინის წინაშე მოსახდელ ვალდებულებებს შორის ყველაზე მძიმე და დამტანჯველი, ყველაზე დიდ მსხვერპლთან დაკავშირებული იყო ეგრეთ წოდებული ნატურალური გადასახადები ან შრომითი ბეგარა, რომლის ტვირთსაც კერძო მემამულეთა ყმები თითქმის სახელმწიფო გლეხების თანაბრად ეზიდებოდნენ. ამ გადასახადებში ყველაზე გამანადგურებელი იყო ის, რომელიც ადამიანების, ურმების, ცხენებისა და სხვათა გაუთავებელ და დიდი მასშტაბით გამოყვანაში მდგომარეობდა. «Но все повинности крестьян, — წერდა სიღნაღელი მემამულე ივანე ანდრონიკაშვილი, — отбываемые в казну и помещикам, не могли сравниться с беспрерывными требованиями военного ведомства касательно защиты границ Кахетии от лезгин, на коих стояли вооруженные несколькими сотнями и сверх того составлялись из конных и пеших дружин, требовались доставка ароб и про-

---

[1] აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ გადასახადებზე, რომლებსაც გლეხები იხდიდნენ (სახაზინო, საბატონო და საეკლესიო) სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ შედარების დროს მხედველობაში არ არის მიღებული საბატონო და საეკლესიო ყმების მრავალრიცხოვანი და ძალიან მძიმე (განსაკუთრებით საბატონო გლეხების) გადასახადები უშუალო მფლობელთა სასარგებლოდ.

[2] И. Антелава, Государственные крестьяне в первой половине XIX в., ბ3. 418.

ложение просеки в лесах зимою, и очень часто в одно и то же время одному семейству приходилось отправлять три обязанности вместе, из коих большую часть он вынужден был исполнять через наимные средства, так что для исполнения требований военной службы почти приходилось выставлять с каждых двух дымов по одному человеку, а для преследования неприятеля выходили поголовно. В особенности во время турецкой войны (1853 — 1856 гг.) все, кто только мог владеть оружием, были на службе поголовно, в чем принимали участие и помещики. Подобные недосуг и издержки помещиков и крестьян ввергли их в такие долги, что выплатить их нет никакой надежды, вследствие каковых затруднений крестьяне, покинув коренное свое жительство и семейства, рассеялись в разных уездах»[1].

თუ რა დიდი მასშტაბი ჰქონდა აღნიშნულ გადასახადს, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. მარტო 1854 წელს, როდესაც მიმდინარეობდა თურქეთის (ყირიმის) ომი, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო ყმებს გამოუყვანიათ 32 120 ურემი და 176 141 კაცი[2]. 1857 წელს კი, ე. ი. პირველი ომის შემდგომ წელს, მათ სახელმწიფოსთვის მიუციათ ნაკლები, მაგრამ მაინც არცთუ ისე მცირე — 18 411 ურემი და 128 663 კაცი (ფეხოსანი თუ ცხენოსანი)[3].

საბატონო გლეხთა საერთო მდგომარეობისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მათი სრული უუფლებობა და მფლობელთა თითქმის შეუზღუდველი თვითნებობა. ხშირად სულ უბრალო საბაბიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ მემამულეს თავისი ყმა სამაგალითოდ დაესაჯა. გადასახადების გადახდაზე უარის თქმა კი თითქმის ყველა შემთხვევაში მეტად მკაცრი ზომების მიღებასთან იყო დაკავშირებული. რომ „ჰკუა“ ესწავლებიათ ურჩი ხელქვეითებისათვის, მემამულეები არაიშვიათად თავს ესხმოდნენ მათ, ძარცვავდნენ, იტაცებდნენ მიწებს, ბაღებს, შინაურ საქონელს, ფრინველებს, სახლის მოწყობილობას და სხვ. ასეთი ბედი ეწიათ, მაგალითად, 1845 წელს გორის მაზრის სიდისთავის უბნის გლეხებს გიორგი, პეტრე და სიმონ დურგლიშვილებს, რომლებმაც „გაბედეს“ თავისუფლების ძიება მემამულე თარხნიშვილებისაგან. ბრაზმორეული თავადები თავს დაესხნენ „საზღვარსგადასულ“ გლეხებს და სულ ერთიანად აწიოკეს. იმ უწყისიდან, რომელიც თან ერთვის ვრონცოვის სახელზე დაწერილ მათ განცხადებას, აღნიშნულია, რომ თარხნიშვილებმა გლეხებს წაართვეს ერთი ძროხა, 6 ხარი, 2 ღორი, 2 კამეჩი, 12 ქათამი, 19

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 166.

[2] И. А н т е л а в а, Государственные крестьяне..., გვ. 430.

[3] იქვე.

კოდი ხორბალი, 5 კოდი ქერი, ერთი თოფი და 12 მანეთი ფულად[1]. თარხნიშვილების ასეთმა თვითნებობა-გაუკითხაობამ, წერდნენ დაზარალებულნი, „ისე გაგვანადგურა ჩვენ ოჯახებით, რომ დაგვრჩა მხოლოდ ცარიელი სული“[2]. ასეთივე დღეში ჩაუყენებიათ თავიანთი გლეხები იმერელ (სვირელ) მემამულე ერისთავებს იმისათვის, რომ მათ სახაზინო უწყებაში მოუსურვებიათ გადასვლა[3].

ხელქვეითებისადმი არაადამიანური დამოკიდებულებით განსაკუთრებით თავად თემურყვა ანჩაბაძეს გამოუჩენია თავი. მას სასტიკად დაუსჯია თავისი ყმა ბახუტა აბშილავა იმის გამო, რომ მას ბატონის ქორი გაქცევია. გაბრაზებულ ბატონს კუბოს მსგავსი ყუთი გაუკეთებია, შიგ „დამნაშავე“ მოუთავსებია და „რამდენსამე დროშიდ... აპურებდა მას გამოჭრილ მასშინა ფანჯრიდგან“[4]. სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის დავით დადიანის „გამოცხადებაში“, საიდანაც მოტანილია ციტირებული სიტყვები, ნათქვამია, რომ მემამულეების მიერ გლეხებისადმი სასტიკი და უმოწყალო დამოკიდებულების მაგალითები „მრავალგზის არის შენიშნული“.[5]

გლეხებს არა მარტო ცუდად ექცეოდნენ, არამედ მათ მასობრივად ჰყიდიდნენ. ყმა საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა ისევე, როგორც რომელიმე უსულო საგანი ან პირუტყვი. აი სათანადო მაგალითებიც. „1849 წლის აპრილს, — ნათქვამია ერთ განცხადებაში, — თელავის უეზდის სამმართველოში გაისყიდება ივანე ჯორჯაძის ვალში 15 დღის სახნავი მიწა, რომელიც დაფასებულია 20 მანეთად, ყვარლის ნაწილში მცხოვრები ხუთი კომლი გლეხი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, მესამე ნაწილი... ტყისა, დაღები სოფელ გრემში. სულ დაფასებულია 27 414 მანეთად“[6]. „1853 წლის 16 თებერვალს, — ვკითხულობთ მეორე განცხადებაში, — ზურაბ ერისთავის ვალში გასყიდულ იქმნება მისივე ყმათა 41 კომლი. ამათში 145 მამაკაცია, 116 დედაკაცი. ისინი სცხოვრობენ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის უეზდში... დაფასებულნი არიან 11 184 მანეთად და 50 კაპიკად“[7].

აბა რა ფასი აქვს ამის შემდეგ ალექსანდრე ორბელიანის განცხადებას ბატონსა და ყმას შორის მამა-შვილური დამოკიდებულების არსებობის შესახებ საქართველოში[8].

---

[1] И. Ашателава, Государственные крестьяне..., გვ. 37.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ქუთაისის მუზეუმის არქივი, საქმე 1565. მომყავს ი. ახალაიას წიგნიდან, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, სოხუმი, 1958, გვ. 28.

[5] იქვე.

[6] საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. 2—3, ტფ., 1924, გვ. 121.

[7] იქვე, გვ. 132.

[8] „ცოსკარი“, 1859, № 11. ასევე წერდა დაახლოებით ბარონ ნიკოლაი. «Должно, впро-

§ 3. საეკლესიო გლეხების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

საეკლესიო გლეხები, რომელთაც რიცხობრივად მესამე ადგილი ეკავათ (იხ. ამ თავის დასაწყისი), თავიანთი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით დიდად არ განსხვავდებოდნენ სხვა კატეგორიის სოფლის მშრომელი მოსახლეობისაგან. არც ისინი იყვნენ თავისუფალნი ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციისა და კოლონიური ჩაგვრისაგან. მართალია, მათი მატერიალური ცხოვრების დონე შედარებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საბატონო ყმებისა (ამაზე ქვემოთ), მაგრამ სიუხვესა და განცხრომაში, ცხადია, არც ისინი ცხოვრობდნენ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აქაც ძირითადი საწარმოო საშუალების — მიწის — სიმცირე იყო. საბუნებაროდ, ჩვენ არა გვაქვს სათანადო მასალა, რომ საფუძვლიანად და ამომწურავად დავახასიათოთ საეკლესიო ყმათა მიწათმფლობელობა, მაგრამ მიახლოებითი სურათის წარმოდგენა მაინც შესაძლებელია.

ჩვენ ხელთ არის ერთი საბუთი, რომელიც ეხება გორის მაზრის სოფელ მეტეხის გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას გასული საუკუნის 40—50-იან წლებში. იქ, როგორც საბუთიდან ჩანს, სულ 78 კომლი გლეხი ცხოვრობდა: 8 სახელმწიფო, 12 საბატონო და 58 საეკლესიო. მათ დიდ უმრავლესობას, დოკუმენტის სიტყვით, სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არა ჰქონია[1], ნაწილი კი თუმცა ასეთი მიწებით მეტ-ნაკლებად მომარაგებული ყოფილა, მაგრამ ისინი თითქმის მთლიანად ბაღ-ვენახებს სჭერია, რომლებიც ხშირად „ვერ ანაზღაურებდნენ (თურმე) გაწეულ ხარჯებს"[2]. საშუალოდ კომლზე მოდიოდა 2,5 დესეტინა მიწა, რაც, თვით ოფიციალურ პირთა მოწმობითაც, ოდნავადაც არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გლეხს ოჯახიც შეენახა და საბატონო და სახელმწიფო გადასახადებიც გადაეხადა"! «Главный промысел жителей, — წერდა 1851 წლის 22 იანვარს თბილისის გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა მმართველი, — состоит в садоводстве, хлебопашестве и скатоводстве, а за употреблением бывшей свободной их земли под разведением садов и огородов, они крайне нуждаются в ней для хлебопашества и выгона скота, поэтому нанимают таковую у смежных владельцев с отбыванием за неё повинностей»[3]. ეს გადასახადები კი გამოიხატებოდა ყანის მოხვნაში, პურის მოსავლის აღებაში და სხვა სამუშაოთა შესრულებაში[4].

чем...сказать, что сношения их (помещиков — авт.) с их крепостными в болшинстве случаев были добронодушно — патриархальные» (Русский архив, 1892, кн. II, ч. 5, გვ. 98).

[1] სსცია, ფ. 4, ანაწ. 2, საქ. 177, ფურც. 3.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ხსენებული ოფიციალური პირი არ მალავს, რომ გლეხები მეტად „შეგიწროებულ მდგომარეობაში არიან“ და რომ მათი დიდი ნაწილი უკიდურეს „სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობს“[1].

საეკლესიო უწყება, რომელიც გამომდინარე ფისკალური ინტერესებიდან, ერთგვარად დაინტერესებული იყო თავისი ხელქვეითი გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, აყენებდა საკითხს სოფ. მეტეხიდან სხვა კატეგორიის მშრომელების გადასახლებისა და მათ განკარგულებაში მყოფი მიწების საეკლესიო ყმების სარგებლობაში გადაცემის შესახებ[2]. მაგრამ საასულიერო უწყების ეს თხოვნა, რომელსაც კავკასიის ადმინისტრაციამაც მხარი დაუჭირა, ცხოვრებაში ვერ გატარდა, რადგანაც სახაზინო და საბატონო გლეხებმა კატეგორიულად უარი განაცხადეს დაეტოვებინათ წლების განმავლობაში გაწეული შრომის შედეგად მოწყობილი ოჯახი და მეურნეობა[3]. ამის გამო კი მეტეხის ყველა მობინადრე, მათ შორის საეკლესიო გლეხებიც, დარჩნენ ისევ მიწით არასაკმაო რაოდენობით მომარაგებულნი.

მონაცემები მეტეხის საეკლესიო გლეხთა მიწათმფლობელობაზე თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ამ მონაცემების მიხედვით მაინც არ შეიძლება მსჯელობა შესასწავლი კატეგორიის სოფლის მშრომელი მოსახლეობის საერთო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით. როგორც მასალებიდან ჩანს, საქართველოს ყველა რაიონში ერთნაირი ვითარება არ იყო. ზოგან საეკლესიო ყმები უფრო ცუდად იყვნენ მიწით მომარაგებულნი, ვიდრე მეტეხში, ზოგან კი, პირიქით, უკეთესად. უკეთესი მდგომარეობა ჰქონიათ, კერძოდ, საგენათლო ყმებს. მათი ერთი ნაწილის მიწათმფლობელობაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, რომელიც შედგენილია 1825 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე[4] (იხ. ცხრ. 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საგენათლო ყმების მიწით უზრუნველყოფა არცთუ ისე სავალალო ყოფილა. იქ საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა 12,3 ქცევა (ან დაახლოებით 5 დესეტინა). ეს ფართობი თავისთავად, რა თქმა უნდა, არაა ძალიან დიდი და მის მფლობელს ჩვენ ვერ ჩავთვლით მიწით უხვად მომარაგებულად, მაგრამ მას ვერც მცირემიწიანებში მოვაქცევთ, როგორც იქცევა ს. კაკაბაძე[5].

---

[1] სსცია, ფ. 4., ანაწ. 2, საქ. 177, ფურც. 4.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფურც. 5.

[4] აღწერის მასალები 1929 წელს გამოაქვეყნა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ („საისტორიო კრებული“, IV, ტფ., 1929, გვ. 76—95).

[5] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის საეკლესიო ყმათ-მფლობელობა 1820 და 1825 წ. აღწერათა მიხედვით, „საისტორიო კრებული“, IV, ტფ., 1929, გვ. 95.

ქუთაისის ოლქში მცხოვრებ საგენათლო ყმების მიწათმფლობელობა 1825 წელს

სოფლების დასახელება	ყმების რაოდენობა	ორივე სქესის სულ	სახნავი მიწის რაოდენობა (ქცევებში)	სახნავი მიწის საშუალო საკრებლო რაოდენობა (ქცევებში)	სახნავი მიწის საშუალო რაოდენობა ორივე სქესის თითო სულზე (ქცევებში)
1	2	3	4	5	6
ვაკის უბანი	7	28	85	12,1	3,0
შუა ქვიტირი	7	19	109	15,6	5,7
ქვემო ქვიტირი	5	24	139	27,8	5,8
დიმი	2	8	60	30,0	7,6
ჯორიში	3	16	60	20,0	3,7
სიმონეთი	39	139	205	5,2	1,4
ეწერი	14	58	91	6,5	1,5
ძევრი	14	49	85	6,0	1,7
ჩხარი, სომეხნი	4	8	14	3,5	1,7
ჩხარი, ქართველნი	18	75	205	11,3	2,7
ბოსლევი	25	123	145	5,8	1,2
თელეფა	3	13	22	7,3	1,7
საზანო	6	21	32	5,3	1,5
მუხურა	5	18	23	4,6	1,3
ალისუბანი	38	178	214	5,6	1,1
თხილწყარო	12	60	51	4,2	0,8
ძიროიანი	7	39	57	8,1	1,4
საწირე	14	89	111	7,9	1,2
სოჩხეთი	10	57	95	9,5	1,7
ხისორეთი	5	42	175	35,0	4,1
გურნა	12	55	142	11,9	2,6
ჯვარისა	14	53	158	11,3	3,0
ციხია	7	44	87	12,4	1,8
ლაფეთა	6	23	76	12,7	3,3
მანდიკორი	2	10	15	7,5	1,5
გელათი	15	46	91	6,0	1,9
კურხები	50	179	696	13,9	3,8
რიონი	10	37	109	10,9	2,9
სორმონი	6	19	65	10,8	3,4
ნოღა	3	10	53	17,6	5,3
ჭოლევი	1	4	4	4,0	1,0
ნაბოსლევი	23	76	156	6,7	2,0
კოკა	15	61	124	8,2	2,0
ოჯოლა	2	10	18	9,0	1,8
ნაგარევი	23	97	267	11,6	2,7
ჭოგნარი	17	59	159	9,3	2,7
სამტრედია	23	96	624	30,1	6,5
მუხაურა	25	94	1130	45,2	12,0
გუმისთაი	9	29	139	15,4	4,7
ბანოჯა	7	36	146	20,8	4,0

1	2	3	4	5	6
უმლაური	11	49	140	12,7	2,8
ამაღლება	1	5	60	60,0	1,0
ბოდოგანი	23	97	267	11,6	2,7
ოდილაური	10	29	95	9,5	3,4
სულ	553	2282	6799	12,3	3,0

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საშუალო ციფრების უკან, თითქოს საერთო კმაყოფილების სურათს რომ წარმოგვიდგენს, იმალება მიწების არათანაბარი განაწილების მწარე სინამდვილე. ირკვევა, მაგალითად, რომ საგენათლო ყმების საერთო რაოდენობის (2 282 სული) 2,9% (64 სული) საშუალო სასულე ნადელი ერთ ქცევას არ აღემატებოდა, 40,9%[1] (1 039 სული) მიწისმფლობელობა ერთსა და ორ ქცევას შუა მერყეობდა, 38,7% (923 სული) — ორსა და ხუთ ქცევას შუა და 15,9% (256 სული) — ხუთსა და თხუთმეტ ქცევას შუა. გლეხის ოჯახი, რომლის თითო წევრზე მოდიოდა საშუალოდ ხუთ ქცევაზე მეტი მიწის ფართობი, მდიდართა რიცხვს განეკუთვნება, ხოლო კომლი, სადაც საშუალო სასულე ნადელი ორსა და ხუთ ქცევას შუა მერყეობდა, შეძლებულთა ჯგუფში ჩაირიცხება[1]. გვიან, კერძოდ, გასული საუკუნის 30—50-იან წლებში, ე. ი. იმ პერიოდში, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, იმერეთის ყმათა მიწათმფლობელობა, ვფიქრობთ, საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. მათი რიცხობრივი შემადგენლობის ზრდისა და სასულიერო ფეოდალების ინტენსიური შეტევის შედეგად და შესაბამისად მათი ეკონომიური მდგომარეობაც უნდა გაუარესებულიყო. მაგრამ ისინი თავიანთი ცხოვრების დონით (პირველ რიგში კი მიწისმფლობელობის მხრივ) არასოდეს (არც 30-იან წლებამდე და არც მის მერე) არ ჩამოქვეითებულან საბატონო გლეხების ცხოვრების დონემდე.

საბუთები საეკლესიო ყმების გადასახადების შესახებ განსახილველ პერიოდში, სამწუხაროდ, დღემდე ძალიან ცოტაა გამოვლინებული. ის კი, რაც უკვე გამოქვეყნებულია და სამეცნიერო ბრუნვაშია, ეხება უმთავრესად XV—XVIII საუკუნეებს და ნაწილობრივ XIX საუკუნის პირველ

---

[1] ა. ფანცხავას მონაცემებით, ასეთივე არათანაბრობა შეინიშნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ყმებშიც; კერძოდ, გორის მაზრაში, 1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, შემდეგი მდგომარეობა ყოფილა: გლეხების საერთო რაოდენობის 11,7 % სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არ ჰქონია, 30,2% — ერთიდან ოთხ დღიურამდე ჰქონია, 33,8% ხუთიდან ათ დღიურამდე, 17,1% — თერთმეტიდან ოცდაცხრა დღიურამდე და 5, 4 % — ოცდაათი და მეტი დღიური. А. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношении в дореформенной восточной грузии, М., 1957, გვ. 113 (აქ დასახელებულ პროცენტებს ასამდე არ ყოფნის 1, 8 %. ესენი არიან მევენახე, ყანების არმქონე საეკლესიო გლეხები, რომლებიც ავტორს ცალკე ჰყავს გამოყოფილი).

ათეულ წლებს. მაგრამ ვინაიდან საგადასახადო სისტემა, არსებული საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, მის მერეც საკმაო ხანს დარჩა თითქმის უცვლელად, ამიტომ ჩვენი ამოცანის გადასაჭრელად ადრინდელი ხანის საბუთების გამოყენება სავსებით გამართლებული იქნება.

ამ საბუთებიდან კი ირკვევა, რომ საეკლესიო ყმებიც გადასახადებს შრომითი, პროდუქტადი და ფულადი რენტის სახით იხდიდნენ. მაგალითად ქრისტეს საფლავის ყმების საგადასახადო ნუსხაში, რომელიც 1787 წლითაა დათარიღებული, სამივე ზემოდასახელებული რენტა გვხვდება. ჩხარელი გლეხების ბერიკელა და გაბრიელა ზარნაძეების ვალდებულებათა შესახებ აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია: მართებთ „ბეგარა ცხრა თორმეტიანი ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ღომი, ორი ფოხალი ქერი, ორი ქათამი, ერთი საბაზიერო და საშობაო დედალი და ძღვენი"[1]. ბასილა ზარნაძესა და მის ძმას მიქელს კი ემართათ: „ბეგარა თხუთმეტი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი კოდი ღომი, ერთი კოდი ქერი, სამი ქათამი, საშობაო დედალი, ძღუენი და სამი დღის სეფობა"[2]. დასასრულ, სეხნიკა ზარნაძისა და ვინმე გონიჩკას ვალდებულება იმავე დოკუმენტში ასეა განსაზღვრული: „თორმეტი კოკა ღვინო, ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ქერი, ორი ფოხალი ღომი, სამი ქათამი, საშობაო დედალი და ძღვენი, ათი შაური საკლავი და სამი დღის სეფობა"[3].

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ პროდუქტად რენტასთან, მეორე შემთხვევაში — შრომით და პროდუქტად რენტასთან და მესამე შემთხვევაში — შრომით, პროდუქტად და ფულად რენტასთან.

გასული საუკუნის მთელ პირველ ნახევარში რენტის წამყვან ფორმას საეკლესიო გლეხებშიც პროდუქტადი რენტა წარმოადგენდა. მაგრამ ფულადი რენტა სულ უფრო იკიდებდა ფეხს. «Зная сколько происходить может затруднений в сборе доходов церковных натурою, тоесть: хлебом, вином, фруктами и прочим, — წერდა 1811 წ. მთავარ-სარდალი ტორმოსოვი, — я согласил архиепископа Варлама, чтобы, во избежание затруднений, те доходы, кои употреблены должны быть на церкви, гимназии, училища и прочие заведения, обратить на деньги..., а те доходы, которые назначены на содержание архиреям и архимандритам, предоставить им получать натурою»[4].

მაგრამ იმჯერად ეს ღონისძიება ვერ განხორციელდა. ამ საქმეს უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი სინოდალურმა კანტორამ, რომელიც დაარ-

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921, გვ. 89.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ЦГВИАМ. ф. ВУА, д. 407, л. 30.

სდა 1814 წელს დეკასტერიის მაგივრად. უკვე 1818 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ეგზარხოსი ფეოფილაქტი მოახსენებდა სინოდს, რომ «церковные доходы, по соглашению с крестьянами, взамен бывших доселе повинностей натурой обращены в деньги, коих сбор уже начат и продолжается без сопротивления»[1].

ფულად რენტას არც ამის შემდეგ მოუპოვებია გაბატონებული მდგომარეობა საეკლესიო გლეხების გადასახადებში, მაგრამ 1818 წელს გატარებულ ღონისძიებას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. მანხელი შეუწყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებასა და სახელმწიფო გადასახადების კომუტაციას, განხორციელებულს გასული საუკუნის 40-იან წლებში.

საეკლესიო ყმები გადასახადებს უხდიდნენ არა მარტო თავიანთ უშუალო მფლობელებს, არამედ სახელმწიფოსაც. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, სახაზინო და საბატონო გლეხების მსგავსად, სახელმწიფოს აძლევდნენ სურსათს 3 კოდი მარცვლეულის (2 კოდი ხორბალი და ერთი კოდი ქერი) რაოდენობით კომლზე. ბეზაკის რეფორმის შემდეგ კი, ე. ი. 1844 წლიდან, აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხები საკომლო გადასახადსა და საერობო გამოსაღებს ხაზინას უხდიდნენ ფულად. მარტო თბილისის, გორის, თელავის მაზრების და ქსნის უბნის 5 516 კომლი საეკლესიო გლეხი დაბეგრილი იყო 25 851 მან. ყოველწლიური გადასახადით[2]. სხვანაირად რომ ვთქვათ, თითო კომლ საეკლესიო ყმაზე მოდიოდა საშუალოდ 5 მანეთი და 70 კაპიკი სახაზინო გამოსაღები.

თუ ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ იმ ნატურალურ გადასახადებს (სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანა, შარაგზების გაკეთება-შეკეთება, ჯარის ნაწილებისა და მოხელეთა უზრუნველყოფა ბინითა და საჰმელ-სასმელით და სხვ.), რომელთა ტვირთი საეკლესიო ყმებსაც აწვათ კისერზე, მაშინ სურათი შედარებით სრული და ნათელი იქნება.

ამ ნაწილს დავამთავრებთ იმის აღნიშვნით, რომ 1852 წლის 5 ნოემბრის კანონით თბილისის გუბერნიის საეკლესიო გლეხები და მამულები გადავიდნენ სახაზინო უწყებაში, რომელიც დანაკლისის ასანაზღაურებლად სინოდალურ კანტორას ყოველწლიურად ურიცხავდა გარკვეულ თანხას. მარტო 15 წლის (1853 — 1868 წწ.) განმავლობაში ხსენებულმა კანტორამ 1 129 332 მანეთი მიიღო.

---

[1] ЦГИА СССР, ф. 796, оп. 99, № 1065. 1818, л. 1, მომყავს ა. ფანცხავას წიგნიდან «К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии», М., 1957, გვ. 230.

[2] სსცია, ფ. 16, საქ. 7481, ფურც. 53. ამ თანხიდან 14819 მანეთი საკომლო გადასახადზე მოდიოდა, ხოლო 11 032 მანეთი — საერობო გამოსაღებზე.

§ 4. სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა საერთო მდგომარეობის ზოგადი დახასიათება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ერთი უწყების გლეხის მდგომარეობა არ ყოფილა სახარბიელო, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ შედარებით მცირე პროცენტს, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო და ვითარცა საწარმოო საშუალებებით ჭარბად მომარაგებული, განეკუთვნებოდა სოფლის ბურჟუაზიის ჯგუფს. მშრომელი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მიწის სიმცირე აწუხებდა. წყაროების ერთობლივი მოწმობით მიწის სიმცირე აიძულებდა მწარმოებელ კლასს ერთი და იგივე ნაკვეთი მის სრულ გამოფიტვამდე ეხმარა. XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ერთი ანონიმი ავტორის სიტყვით, თელავის მაზრის გლეხები, მაგალითად, სახნავ-სათესი მიწის სიმცირის გამო იძულებული იყვნენ 10—15 წელი ზედიზედ დაემუშავებინათ ერთი და იგივე მიწის ფართობი[1]. «Земли удобной для хлебопашества весьма мало, и поэтому жители распахивают каждый год одни и теже пашни»,— წერდა 1843 წელს თბილისის მაზრის უფროსი. მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის საქართველოს სხვა რაიონებზეც.

ასეთი ვითარება კი, სხვა არახელსაყრელ გარემოებასთან ერთად (ტექნიკის შედარებით დაბალი დონე, მუშა საქონლის საგრძნობი სიმცირე და სხვ.), განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ მოსავლიანობას. 1857 წელს, მაგალითად, საშემოდგომო პურის მოსავალი ოსეთში ერთს ოთხზე უდრიდა, ხოლო თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში — ერთს სამზე[2].

თანამედროვენი კი ამ მოსავალს სავსებით დამაკმაყოფილებლად თვლიდნენ[3].

გლეხის ეკონომიური მდგომარეობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს მესაქონლეობა წარმოადგენს. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო, ვთქვათ, ფშავში, თუშეთსა და ხევსურეთში, სადაც მოსახლეობის წამყვანი საქმიანობა მესაქონლეობა იყო, არამედ მიწათმოქმედების რაიონებშიც. და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართველი გლეხები არც ამ მეორე მნიშვნელოვანი პირობით იყვნენ უზრუნველყოფილნი. 1845 წლის ერთი ოფიციალური ანგარიშის თანახმად, ქუთაისის, გორის, სიღნაღისა და ზოგ სხვა მაზრაში ხვნა-თესვის ნორმალურად წარმოება ძალზე გაძნელებული იყო „მუშა საქონლის უყოლობის გამო“[4]. შინაური პირუტყვით, იმავე თანამედროვის სიტყვით, არა მარტო მშრომელი მოსახლეობა

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18481, л. 89.
[2] სსცია, ფ. 16., საქ. 6244, ფურც. 88.
[3] იქვე, ფ. 26, საქ. 772, ფურც. 25. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.
[4] იქვე, ფ. 4, ანაწ. 7, საქ. 766, ფურც. 34.

არ ყოფილა უზრუნველყოფილი, არამედ თვით მემამულეებიც განიცდიდნენ თურმე მის დიდ ნაკლებობას[1].

თუ რაოდენ არასახარბიელო მდგომარეობა იყო მწარმოებელი კლასის საქონლით მომარაგების მხრივ, ამას მკაფიოდ ადასტურებს მონაცემები თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის სახაზინო გლეხების შესახებ. იქ 1859 წ. ხსენებული კატეგორიის გლეხის თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ[2]: ცხენი — 0,3, კამეჩი — 0,8, ძროხა და დედა-კამეჩი—0,3, ხარი—1, ხბო — 0,3, ცხვარი და თხა — 5, ღორი — 0,9 და ვირი — 0,09. აქედან კარგად ჩანს, რომ საშუალოდ სართიჭალის უბნის არც ერთი გლეხი არ ყოფილა შინაური საქონლის საჭირო რაოდენობით მომარაგებული, რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გამორიცხავს თვით სართიჭალაში და საქართველოს სხვა რაიონებში პირუტყვით მდიდარი ოჯახების არსებობას. ასეთი ფაქტები საკმაო რაოდენობით იყო დასახელებული წინამდებარე ტომის პირველ თავში. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ შინაური საქონლით საკმაოდ და ჭარბად უზრუნველყოფილ უშუალო მწარმოებელთა რიცხვი ძალზე მცირე იყო გლეხთა იმ კომლებთან შედარებით, რომელთაც ან სულ არ ჰყავდათ ეს საქონელი, ან ჰყავდათ მცირე რაოდენობით.

ამრიგად, მიწისა და შინაური საქონლის სიმცირე, ტექნიკის დაბალი დონე, აგრონომიული წესების უცოდინარობა-გამოუყენებლობა — აი ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც სხვა არახელსაყრელ გარემოებასთან ერთად (სოციალური და ეროვნული ჩაგვრა და აქედან გამომდინარე მრავალი უბედურება) განაპირობებდნენ გლეხის მეურნეობის დაბალ პროდუქტიულობას, მის დეფიციტურობას და სოფლის მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სიღატაკეს. თვით საშუალო შეძლების გლეხიც კი ძლივს ახერხებდა მეურნეობის უდეფიციტოდ წარმართვას[3].

მეტად ღარიბული და ერთფეროვანი იყო გლეხთა ფართო მასების კვება, მათი საჭმელ-სასმელი. მიწის სიმცირე, გადასახადების მძიმე ტვირთი, მეფის მოხელეთა და ადგილობრივი ფეოდალების თვითნებობა-გაუკითხაობა და სხვა, განაპირობებდნენ მწარმოებელი კლასის გაჭირვებულ ცხოვრებას. თვით ოფიციალური პირებიც კი იძულებული იყვნენ დაედასტურებინათ, რომ პროდუქტები, მოყვანილი მშრომელი კაცის მიერ, ყოფნიდა მას ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ნახევარი წელიწადი ან უფრო ნაკლებ ხანს[4].

როგორც წესი, ძალიან ცუდი და დაბალი ხარისხის იყო გლეხის საცხოვრებელი სახლი. «При чрезвычайном изобилии лесов и других

---

[1] სსცა, ფ. 16, საქ. 6244, ფურც. 106—107.

[2] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 382 — 383.

[3] იქვე, გვ. 384.

[4] იქვე, გვ. 257.

материалов, — წერდა გასული საუკუნის 30-იან წლებში ერთი თანამედროვე, — жилища их (ახელი გლეხების. — ავტ.) похожи более на погреба, или на сараи, и бывают двух родов: в долине... дома строятся с выведенными наружу стенами, большею частью из плетня с трехугольною соломенною крышею. В домах нет ни полов, ни труб, ни окон, ни потолков... За горами — в западной и южной стороной уезда (ლაპარაკია თელავის მაზრაზე — ავტ.) — строения... делаются другим образом: там вырывают ямы, по краям ставя столбы, на которых утверждают стропила в виде купола, оставляя вверху для выхода дыма и для освещения сакли дневным светом небольшое отверстие».[1]

სახლის მოწყობილობაც ასევე ცუდი იყო, ხშირ შემთხვევაში კი გლეხს ის საერთოდ არ ჰქონდა. ჰაქსტჰაუზენი (1843 წ.) ირწმუნება, მაგალითად, რომ მას მეგრელი გლეხის ოჯახის დათვალიერებისას არაფერი უნახავს ისეთი, რასაც შეიძლება ავეჯი ეწოდოს[2]. გურულ გლეხთა ცხოვრების პირობების აღწერისას იგი თითქოს საგანგებოდ აღნიშნავს ისეთი აუცილებელი საგნების უქონლობას, როგორიცაა მაგიდა, სკამი და სხვ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ყველა გლეხის სახლისა და მისი ავეჯის ამ სახით წარმოდგენა. შეძლებული გლეხები, რა თქმა უნდა, სულ სხვა პირობებში ცხოვრობდნენ. თანამედროვეთა მოწმობით, გასული საუკუნის 30-იან წლებში, თელავის მაზრის მთელ რიგ სოფლებში (მაგალითად, ყვარელში, შილდაში, საგარეჯოში, ენისელში, პატარძეულში და სხვ.) ყოფილა «порядочные дома, с окнами и каминами, построенные из булыжника на извести».[3]

მეტად არასახარბიელო საბინაო პირობები, ცუდი კვება და შიმშილიანობა, სრულიად არადამაკმაყოფილებელი სამედიცინო მომსახურება და სხვ. ხელს უწყობდა ეპიდემიურ და სხვა საშიშ ავადმყოფობათა ხშირ და მასობრივ გავრცელებას. ძალიან მძიმე აღმოჩნდა, მაგალითად, თავის შედეგებით ხოლერა, 1830 წლის ზაფხულში რომ გავრცელდა საქართველოში. მან მოიცვა თბილისის, თელავის, სიღნაღის, დუშეთისა და გორის მაზრები და აგრეთვე ბორჩალოსა და ბამბაკის დისტანციები. მარტო 24 დღის განმავლობაში, ე. ი. 7 აგვისტოდან 31 აგვისტომდე. ხოლერამ დასახელებულ რაიონებში 1878 კაცი იმსხვერპლა[4]. მომდევნო, სექტემბრის, თვეში კი მას 894 კაცი გაუსტუმრებია იმქვეყნად[5]. კიდევ უფრო საშინელი ყო-

---

[1] «Обозрение», I, გვ. 191—192.
[2] СХАО, I, გვ. 3.
[3] იქვე, გვ. 13.
[4] И. Антелава, Государственные крестьяне..., გვ. 373.
[5] იქვე.

ფილა ხოლერის ეპიდემია 1857 წელს. ამ ავადმყოფობით, არსებული ანასრული ცნობებით, 16 377 კაცი დაავადებულა, რომელთაგან 5 914 კაცი (ან დაავადებულთა საერთო რაოდენობის 36 %) დაღუპულა[1]. დაღუპულებში, ბუნებრივია, პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებიც იყვნენ, მაგრამ დაზარალებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, ცხადია, მაინც მშრომელ მოსახლეობაზე მოდიოდა.

ეპიდემიისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა ძალიან სუსტად და წარუმატებლად. ცარიზმი ნაკლებად ზრუნავდა ხალხის ჯანმრთელობაზე და ამ საქმეზე ხარჯავდა უმნიშვნელო თანხას. იგრძნობოდა ექიმების, საავადმყოფოების, აფთიაქებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა დიდი ნაკლებობა «Для подания медицинских пособий, — ნათქვამია 1857—1858 წლების მეფისნაცვლის ანგარიშში, — во всех уездах и округах и в некоторых более значительных городах положены по штатам медики. К сожалению, на Кавказе постоянно чувствуется недостаток врачей для замещения штатных должностей»[2].

ბარიატინსკის დროს, ე. ი. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, მთელ კავკასიაში სულ მხოლოდ 5 სახელმწიფო აფთიაქი ყოფილა, აქედან ორი სათადარიგო (სტავროპოლსა და თბილისში) „ჯარისა და ჰოსპიტლების მედიკამენტებით მომმარაგებელი“ და სამი რეცეპტორული პიატიგორსკში, თბილისსა და ერევანში[3]. ეგრეთ წოდებული თავისუფალი აფთიაქების რაოდენობა კი 10-ს უდრიდა, რომლიდანაც ორი საქართველოს დედაქალაქში მოქმედებდა. ბარიატინსკის მოწმობით, ისინი მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ, ვერ ამარაგებდნენ აუცილებელი მედიკამენტებით.

სახალხო ჯანმრთელობის საქმის ესოდენ ცუდად დაყენება დიდ გასაქანს აძლევდა ექიმბაშებს, მკითხავებს, მღვდლებს და სხვა მათ მსგავს „სპეციალისტებს“, რომლებიც მასობრივად ამახინჯებდნენ და ღუპავდნენ ადამიანებს. ავადმყოფ, ფიზიკურად დასუსტებულ გლეხს კი, ცხადია, მუშაობა უჭირდა და ეს კი უფრო აუარესებდა მის ისედაც არასახარბიელო ეკონომიურ მდგომარეობას.

ძლიერ იჩაგრებოდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა წერა-კითხვის უცოდინარობით, რასაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. 1846 წლის 26 იანვრის ერთ ოფიციალურ დოკუმენტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ გორის მაზრის სახაზინო სოფელ შინდისში „მღვდლისა და დიაკონის გარდა, არ არის არც ერთი წერა-კითხვის

---

[1] И. Антелава, Гисударственные крестьяне..., გვ. 373.

[2] АКАК, XII, ч. II, გვ. 1324.

[3] იქვე.

მცოდნე გლეხი", რომელსაც შეეძლოს საქმის წესიერად წარმოებაო[1]. იმ აუარებელ თხოვნა-საჩივრებიდან, გლეხებს რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მიუციათ, ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი თვით გლეხების მიერ ხელმოწერილი. მაზრის უფროსების ანგარიშებიდან აშკარად ჩანს, რომ განსახილველი ხანის საქართველოს სოფელში არ იყო თითქმის არც ერთი, მშრომელი ხალხის შვილებისთვის განკუთვნილი, სასწავლებელი. ასე მაგალითად, თანამედროვე მიმომხილველის მოწმობით, გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისის მაზრაში არ ყოფილა არც ერთი სკოლა, სადაც მეცადინეობა შეეძლოთ გლეხების წრიდან გამოსულ ბავშვებს[2]. მართალია, იმ დროს საქართველოში (ცერძოდ, ქუთაისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, დუშეთში, თბილისში და სხვ.) იყო რამდენიმე სამაზრო სასწავლებელი, მაგრამ მათი კარები, როგორც ცნობილია, თითქმის დაკეტილი იყო გლეხური წარმოშობის ბავშვებისათვის. იმ 444 მოწაფიდან, რომელნიც საქართველოს სამაზრო სკოლებში ირიცხებოდა 1834 წელს, 284 კაცი ან 63,9% თავად-აზნაურებისა და მოხელეთა შვილები იყვნენ, 153 კაცი ან 34,4% — ვაჭრებისა და მეშჩანების, ხოლო 7 კაცი ან 1,7% — ყველა დანარჩენი წოდების[3].

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები 1830 წელს დაარსებული გორის სამაზრო სასწავლებლის მოსწავლეთა შემადგენლობის შესახებ. იქ ხსენებულ წელს, როგორც ჩანს, ირიცხებოდა თურმე 98 მოწაფე. აქედან: 15 — თავადური წარმოშობისა, 37 — აზნაურული, 11 — ოფიცერთა შვილები, 7 — სასულიერო პირთა, 24 — მოქალაქეთა, 3 — სახაზინო გლეხთა და 1 — საეკლესიო ყმისა[4].

ოდნავ მეტი იყო გლეხების წრიდან გამოსულ ბავშვთა რაოდენობა ეგრეთ წოდებულ სამრევლო სკოლებში, მაგრამ საქმეს ესაც არ შველოდა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მაინც წერა-კითხვის უცოდინარი რჩებოდა. ამ გარემოებას კი მწარმოებელი კლასისათვის ჰქონდა არა მარტო მორალური, არამედ დიდი მატერიალური მნიშვნელობა. გლეხს, რომელსაც არ შეეძლო თავის გაჭირვების წერილობით ჩამოყალიბება, ძვირად უჯდებოდა თხოვნა-საჩივრების შედგენა. ერთ საბუთში პირდაპირაა მითითებული, რომ «сочинение жалоб, которые отыскивающий свободы подает обыкновенно почти всем властям, становится ценою всего его достатка»[5].

---

[1] სსცია, ფ. 4, ანაწ. 2, საქ. 98, ფურც. 8.

[2] «Обозрение», I, გვ. 291.

[3] გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბ., 1948, გვ. 109.

[4] ტრ. ხუნდაძე, საერო განათლება საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში, იხ. კრებული „განათლების ისტორია საქართველოში", თბ., 1937, გვ. 98.

[5] სსცია, ფ. 220, საქ. 1064, ფურც. 22.

ასეთია მოკლედ სხვადასხვა უწყების გლეხთა საერთო მდგომარეობის ზოგადი დახასიათება. ამ დახასიათებიდან, ისე როგორც სახაზინო, საბატონო და საეკლესიო გლეხების მიწათმფლობელობისა და გადასახადების შემოხილვიდან, ნათლად ჩანს, რომ ყველა ისინი ცხოვრობდნენ და შრომობდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე პირობებში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ერთნაირი იყო მათი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ უხვი ფაქტობრივი მასალა ერთხმად ადასტურებს, რომ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა უკუღმართ შედეგებს ყველაზე ნაკლებად სახელმწიფო გლეხები განიცდიდნენ. მეორე ადგილზე საეკლესიო ყმები იყვნენ, ხოლო მესამეზე — საბატონო. საქართველო-იმერეთის გუბერნიის 1845 წლის ანგარიშში არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ ყველაზე უზრუნველყოფილად ითვლებიან „სახელმწიფო, მერე... საეკლესიო და ბოლოს მემამულეთა გლეხები“[1]. ასევე წერდა უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1851 წელს, გენერალ-მაიორი გაგარინი. «В уездах... Кутаисском, Шоропанском, Рачинском и Озургетском,—ვკითხულობთ მის მოხსენებაში, — состоят крестьяне казенные, церковные и помещичьи... Последние, т. е. помещичьи крестьяне, беднее, казенные же гораздо состоятельнее и более имеют средств на обзаведение сельского хозяйства, несмотря на недостатки земель»[2]. ამ მოწმობით გასაგები ხდება ის „უძველესი სწრაფვა“ სახელმწიფო უწყებისაკენ, რომელსაც, დოკუმენტის სიტყვით, ამჟღავნებდნენ ხოლმე საბატონო გლეხები[3].

რით იყო უკეთესი სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობა სხვა უწყების მშრომელებთან შედარებით? პირველ ყოვლისა მიწით. მართალია, მიწა, რომელიც მათ განკარგულებაში იმყოფებოდა, არ იყო დიდი, მაგრამ ის მაინც რამდენადმე სჭარბობდა, კერძოდ, საბატონო ყმათა მიწათმფლობელობას. ს. ავალიანის გამოანგარიშებით, მაგალითად, რეფორმამდელი ხანის ქუთაისის გუბერნიაში მემამულეთა გლეხების თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა ერთნახევრიდან ორ დესეტინამდე მიწის ფართობი[4]. სახელმწიფო გლეხებს კი, როგორც ცნობილია[5], ასეთი მცირე საშუალო ნადელები არ ჰქონიათ არც ქუთაისის, არც რაჭის, არც ოზურგეთის და, ჰით უმეტეს, არც ახალციხის მაზრებში.

მაგრამ საბატონო ყმების, ისე როგორც ნაწილობრივ საეკლესიო გლეხების, მთავარი უბედურება მაინც მცირემიწიანობაში კი არ მდგომარეობ-

---

[1] სსცა, ფ. 4, ანაწ. 7, საქმე 766, ფურც. 34.

[2] იქვე, ანაწ. 8, საქ. 211, ფურც. 73.

[3] იქვე, ფ. 1115, საქ. 1, ფურც. 2.

[4] С. Авалиани, Крестьянский вопрос..., I, გვ. 511, 512.

[5] И. Антелава, Государст. крестьяне..., გვ. 251, 261, 264, 265—267.

და[1], არამედ იმ მრავალრიცხოვან გადასახადებში, რომლითაც ისინი, განსაკუთრებით კი პირველნი, იყვნენ დაბეგრილნი უშუალოდ მფლობელთა სასარგებლოდ. მემამულეთა და საეკლესიო უწყების გლეხები მებატონის მიწით სარგებლობისთვის იხდიდნენ ღალას პურის (საერთოდ მარცვლეულის) მოსავლის $^1/_7$—$^1/_3$ (ხშირად კი უფრო მეტი) ნაწილის სახით და შრომით ბეგარას 10—50 და მეტი დღის რაოდენობით წელიწადში. სახელმწიფო გლეხებს კი ნადელები ეძლეოდათ უსასყიდლოდ, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ამაში ისინი არაფერს იხდიდნენ. რაც შეეხება ღალას, მას სახაზინო გლეხებიც იხდიდნენ, მაგრამ ჩვეულებრივ მოსავლის $^1/_{10}$ ნაწილის რაოდენობით და ისიც მხოლოდ იმ მიწებზე, რომლებსაც ისინი ნადელის ზევით ამუშავებდნენ. აი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იმისა, რომ საერო (და ნაწილობრივ სასულიერო) ფეოდალების გლეხები ასე თავგამოდებით იბრძოდნენ სახაზინო უწყებაში გადასვლისათვის. ამ ბრძოლას ბოლო რომ მოღებოდა, ქართველი თავადაზნაურობა მოითხოვდა სახელმწიფო გლეხებს ეხადათ ღალა (გადიდებული რაოდენობით) სანადელო მიწით სარგებლობისათვის. «Увидя прибовку налогов на казенных крестьян, — წერდნენ ქართველი თავადები და აზნაურები, — наши крестьяне захотят остаться в помещичьих деревнях, но без того ни за что не останутся, какую бы жертву не принесли им, так как всякий через посредство родственников легко найдет свободные земли при казенных... деревнях»[2].

განსაკუთრებით მძიმე, დიდ მატერიალურ და ფიზიკურ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული საბატონო (და ნაწილობრივ საეკლესიო) ყმათა ეგრეთ წოდებული პირადი გადასახადები, რისგანაც სახელმწიფო გლეხები საერთოდ თავისუფალნი იყვნენ. ამ გადასახადების რაოდენობა კი, ჩვენი გამოანგარიშებით[3], დაახლოებით 74 მანეთს უდრიდა წელიწადში და სულ ცოტა 6-ჯერ მაინც აღემატებოდა სახელმწიფო გლეხთა საკომლო გადასახადისა და საერობო გამოსაღების ყველაზე მაღალ ნორმას, დაკანონებულს 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმით. საქმეს საგრძნობლად ართულებდა ის გარემოება, რომ საბატონო (ნაწილობრივ კი საეკლესიო) ყმათა გადასახადები მტკიცედ რეგლამენტირებული არ იყო და მფლობელები უმეტეს შემთხვევაში თვითნებურად საზღვრავდნენ მათ სიდიდე-მოცულობას. სულ სხვა მდგომარეობაში იყვნენ სახელმწიფო გლეხები.

---

[1] ზუსტი სტატისტიკური ცნობების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით ითქვას, ვინ უფრო იყო მიწით უკეთ უზრუნველყოფილი—სახაზინო თუ საეკლესიო გლეხი. საფიქრებელია, რომ უკანასკნელი პირველთან შედარებით უკეთესად თუ არა, ყოველ შემთხვევაში უარესად მაინც არ იყო მიწით მომარაგებული.

[2] მომყავს შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს წიგნიდან „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის...“, გვ. 169.

[3] И. А н т е л а в а, Государственные крестьяне..., გვ. 388—389.

მათ გამოსაღებთა რაოდენობა კანონით იყო დადგენილი და სახაზინო უწყების ყველა გლეხმა ეს ძალიან კარგად იცოდა.

შედარებით სხვა კატეგორიის გლეხებთან, სახელმწიფო გლეხები უკეთეს უფლებრივ მდგომარეობაშიც იმყოფებოდნენ. ფაქტიურად ისინი ისეთივე ყმები იყვნენ, როგორც საერო და სასულიერო ფეოდალების გლეხები[1], მაგრამ იურიდიულად თავისუფალ მწარმოებლებად ითვლებოდნენ და ეს მათ მაინც გარკვეულ შეღავათებს აძლევდა. ბევრი რამ, რაც საბატონო (და საეკლესიო) გლეხებს ეკრძალებოდათ, ნებადართული იყო სახელმწიფო გლეხებისათვის. 1834 წლის 21 აპრილის კანონი[2], მაგალითად, ნებას აძლევდა ყველას ვენახების, ხილის, ბაღების, თუთის პლანტაციებისა და მეურნეობის სხვა დარგების მოსაწყობად აეღო სახაზინო მიწები. სახელმწიფო გლეხებისგან განსხვავებით, გამონაკლისს წარმოადგენდნენ საბატონო და, საფიქრებელია, საეკლესიო ყმებიც. ასეთი მაგალითების დასახელება საკმაო რაოდენობით შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ამისგან თავს ვიკავებთ[3]. ნათქვამს მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ კანონით აკრძალული იყო და პრაქტიკაც გამორიცხავდა სახელმწიფო გლეხის ყიდვა-გაყიდვას, რაც უეჭველად დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობა, მისი ყველა კატეგორია, შრომობდა და ცხოვრობდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე პირობებში, მაგრამ ყველა თანაბარ მდგომარეობაში მაინც არ იყო. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ სახელმწიფო გლეხებს, მერე — საეკლესიო და ყველაზე უარესი კი — საბატონო ყმებს.

§ 5. გლეხების ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ

სოფლის მშრომელი მოსახლეობა ყოველთვის მედგრად იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ენერგიულად მან თავის კლასობრივ მტერს გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან შეუტია. ფეოდალ-სასაქონლო, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებამ საგრძნობლად გააძლიერა უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატაცია, მათი საგადასახადო თუ სხვაგვარი ტვირთი. ეგრეთ წოდებულ უდები სამსახურისა და გადასახადების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთი მოწმობა მოვიტანოთ. ამ მოწ-

---

[1] Архив Маркса и Энгелса, XII, გვ. 91.

[2] ВПСЗРИ, IX, № 7016.

[3] დაწვრილებით იხ. И. Антелава, Государственные крестьяне.., გვ. 389—390.

მობის ავტორია სენატორი განი, რომელიც 1838 წელს მოვლინებულ იქნა საქართველოში მისი მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად. იგი იძულებული იყო ხაზი გაესვა გლეხების ცხოვრების მძიმე პირობებისათვის, ამ პირობების გაუარესებისათვის, რაც, მისი სამართლიანი შენიშვნით, მემამულეთა მხრით თავიანთი ხელქვეითებისადმი გაძლიერებული მოთხოვნილების წაყენებით იყო გამოწვეული. «Новые нужды, — მოახსენებდა იგი უმაღლეს მთავრობას, — распространяемые в сем крае по сближению его с Европою, к удовлетворению коих недостаточны прежние средства..., повели дворян к требованиям от крестьян повинностей, превосходящих прежнюю меру. На сем пути противозаконных взысканий, помещики уже не знают границ и часто отнимают у крестьян собственность движимую и недвижимую и даже детей»[1].

მრავალმხრივ შევიწროებული გლეხები ბრძოლის სხვადასხვა ფორმას მიმართავდნენ, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბრძოლას სახაზინო უწყებაში გადასვლისათვის. ეს, რა თქმა უნდა, სოფლის მშრომელ მოსახლეობას არ ანთავისუფლებდა ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციისაგან, მაგრამ რამდენადმე მაინც ამსუბუქებდა მის მდგომარეობას და ამიტომ ყოველნაირად, მათ შორის სასამართლო ძიების გზით, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მათ მემამულეები „არაკანონიერად" ფლობენ და რომ ისინი ხაზინის კუთვნილებას წარმოადგენენ. «Присуственные места, — წერდა ბარონ როზენი იუსტიციის მინისტრს დაშკოვს 1833 წლის 26 ოქტომბერს, — в настоящее время, можно сказать, наводнены делами ишущих вольности, которые количеством, запутанностью и продолжительным производством слишком много обременяют оные, и если не положить преграды искам сего рода, то на будущее время они еще более умножается»[2]. 1832 წლის შეთქმულების მონაწილემ ელიზბარ ერისთავმა დაკითხვაზე უჩვენა, რომ მემამულეების წინააღმდეგ ჯანყდებიან მთელი სოფლები, ხოლო ერთმა მათგანმა გორის მაზრაში თავი ხაზინის კუთვნილებად გამოაცხადაო[3]. საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელმა ექსპედიციამ თავის 1831 წლის 27 ივლისის სხდომაზე აღიარა მემამულეთა მხრივ გაუთავებელი საჩივრების მიღების ფაქტი „გლეხების ურჩობისა და მათ მიერ მთელი სოფლებით თავისუფლების ძიების შესახებ"[4]. 1832 წელს იმერელი აზნაური აბაშიძე ჩიოდა, რომ

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. I (68), д. 70, л. 25.
[2] АКАК, VIII, ч. I, გვ. 6.
[3] სსცია, ლენინგრადის ფონდი, III, ფურც. 696.
[4] იქვე, ფ. 214, საქ. 3269, ფურც. 1—6.

მისი ყმები თაზიკა და თანდილა ნადირაძეები, ვითარცა „ცუდის ყოფაქ-ცევისა, წინააღმდეგობითა არ მემორჩილებიან მე ვალისამებრ ყმობრივისა და სხვათა აგულიანებენ რა ურჩობისადმი, ნერგავენ 'მორის საზოგადოებისა ყმათა სოფლის დურავისათა სხვათა და სხვათა განუსვენებლობათა და განხეთქილებათა"[1]. დასასრულ, ქართველი თავადაზნაურობა თავის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი 1842 წელს მირთმეულ თხოვნაში წერდა მემამულეთა გლეხების თავისუფლებისათვის ბრძოლის მასობრივი ხასიათისა და მათი სახაზინო უწყებაში გადასვლის დიდი სურვილის შესახებ[2].

არსებული ცნობების თანახმად, 1843—1846 წლებში მარტო აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებმა აღძრეს 771 საქმე, ისინი ამტკიცებდნენ — მემამულეებს არ ვეკუთვნითო[3]. იმავე წლებში ქვეყნის ხსენებულ ნაწილში ადგილი ჰქონდა გლეხთა აშკარა ურჩობის 133 შემთხვევას[4]. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ დოკუმენტში, საიდანაც ამოღებულია ეს ცნობები, პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ურჩობის ერთ შემთხვევად ითვლება ურჩობა მთელი სოფლის ან საზოგადოებისა", ისევე როგორც თავისუფლების ძიების ერთ საქმედ ითვლება ბრძოლა მთელი სასოფლო კოლექტივისა[5].

ჩანს, კლასობრივი ბრძოლის აღნიშნულ ფორმებს, ე. ი. შეუნელებელ სწრაფვას სახაზინო უწყებისაკენ და აშკარა ურჩობას, არანაკლები მასშტაბი ჰქონია დასავლეთ საქართველოშიც[6]. როგორც აღვნიშნეთ, სხვა საკითხთან დაკავშირებით, ბარონ როზენი ერთ-ერთ წერილში ხაზს უსვამდა ამ მოვლენის მასიურობას და მისი სწრაფად ლიკვიდაციის აუცილებლობას. „მოხსენებითაგან იმერეთის მეუფროსეთა, — წერდა იგი 1835 წელს თავად გრიგოლ წერეთელს, — ვცანი, რომელ მამულსა შინა საზოგადოთ ყოველთავე წერეთელთასა მოუკლებლად სწარმოებენ ურიგეობანი, უმორჩილებისა გამო გლეხთასა თვისთა მფლობელთადმი"[7].

ძალიან ხშირად მემამულეებისა და მოხელეთა მიერ შევიწროებული გლეხი თავს ანებებდა დიდი ხნის საცხოვრებელ ადგილს და უკეთესი ხვე-

---

[1] ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, გვ. 117.

[2] И. Антелава, Из истории социально-политического и освободительного движения Грузии в 30—50 годах XIX века, „მაცნე", 1964, № 1, გვ. 51.

[3] იქვე, გვ. 51—52.

[4] იქვე, გვ. 52.

[5] იქვე.

[6] დაწვრილებით] თავისუფლების ძიების შესახებ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქ-ში, იხ. И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в., თავი II.

[7] ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის..., გვ. 122.

ლრის ძებნაში სხვაგან გარბოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონის დატოვება იოლი საქმე არ იყო და ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდა, გაქცეულ გლეხთა რაოდენობა მაინც საკმაოდ დიდი იყო. არსებული არასრული ცნობებით, 1831 წელს მარტო გორის მაზრასა და ქალაქ თბილისში ირიცხებოდა 1600 იმერეთიდან გამოქცეული გლეხი, ხოლო კახეთში (1837 წ.) — ორი ათასი[1].

ძალიან საინტერესოა სტატისტიკური მასალა (რა თქმა უნდა, არასრული) გლეხთა საჩივრების შესახებ, საჩივრებისა, რომელთა შეტანით მთავრობის ინსტანციებში ისინი თავის დაცვასა და უსამართლობის ამოკვეთას ცდილობდნენ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცნობით[2], 1850 წელს საგუბერნიო სამმართველოს 311 წერილობითი საჩივარი მიუღია, 1852 წელს — 359, 1854 წელს — 315, 1856 წელს — 800 და 1857 წელს 980. გუბერნატორთა ანგარიშებში დაცულია, აგრეთვე, ცნობები გლეხების მიერ სამაზრო ორგანოებში სიტყვიერად შეტანილი საჩივრების შესახებ. მათ რიცხვს 1857 წელს და ისიც მარტო ქუთაისის გუბერნიაში 2 232 მიუღწევია[3].

სოფლის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ვთქვით, უჩიოდა არა მარტო უშუალო მფლობელებს, არამედ სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც. გლეხები უარს აცხადებდნენ არა მარტო საბატონო, არამედ სახაზინო გადასახადების გადახდაზედაც, რაც ხშირად მთავრობის მხრივ ძალის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული[4].

ბრძოლის ამ ფორმებთან ერთად, უმიწობა-მცირემიწიანობით, მძიმე გადასახადებით, ადგილობრივი ფეოდალებისა და ცარიზმის უსინდისო მოხელეთა მიერ მეტად შეწუხებული და შევიწროებული ქართველი გლეხები განსახილველ ხანაში, ისე როგორც მანამდეც, შეიარაღებულ გამოსვლებსაც აწყობდნენ და უფრო ენერგიულად უტევდნენ თავიანთ კლასობრივ მტერს.

ერთ-ერთი ასეთი გამოსვლა მოხდა 1830 წელს სამხრეთ ოსეთში. ხელისუფლებამ, რომელმაც მშვიდობიანი გზით ვერ მიაღწია აჯანყებულთა დაშოშმინებას, ძალა გამოიყენა. მან ხსენებული წლის ზაფხულში ოსეთის სოფლებში სამხედრო ნაწილი გაგზავნა, გენერალ რენენკამფის მეთაურობით. ამ უკანასკნელს ნაბრძანები ჰქონდა უმოწყალოდ ამოეწყვიტა ყველა, ვინც იარაღს არ დაყრიდა და მორჩილებაზე უარს იტყოდა.

---

[1] А. Г. Матиашвили, Движение помещичьих крестьян Грузии в 20—30 годах XIX в. (автореферат кандидатской диссертации), Тб., 1965, გვ. 19;

[2] И. Антелава, Из истории социально-полит..., „მაცნე", 1964, № 1, გვ. 52.

[3] იქვე.

[4] И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, გვ. 465—469.

უფრო მეტიც, დამსჯელი ექსპედიციის უფროსს არც წინააღმდეგობის გამწევთა სახლები უნდა დაენდო და ისინი სულ ერთიანად უნდა გადაებუგა „სხვების სამაგალითოდ და დასაშინებლად“[1]. ცხინვალში ჩასვლისთანავე რენენკამფმა აჯანყებულებს წერილობით მიმართა და უსიტყვო კაპიტულაცია მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაშიო, ნათქვამი იყო მის მიმართვაში, „თქვენ ამოგწყვეტენ, როგორც ურჩ ქვეშევრდომებს, როგორც საერთო სიმშვიდის მტრებს, როგორც ადამიანებს, რომელთაც სწყურიათ დაღუპვა“[2].

მაგრამ ამას, ჩანს, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია გლეხებზე. ისინი არამცთუ არ ეახლენ გენერალს „ცოდვის“ მონანიებით, არამედ პირიქით, დატოვეს რა საცხოვრებელი ადგილები, მთებს შეეხიზნენ და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის სამზადისს შეუდგნენ. მტერთან შერკინებაში ქალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

„ამბობენ, — წერს სამხედრო ისტორიკოსი პოტო, — რომ ერთხელ, როდესაც კაზაკები სალ-კლდეზე ადიოდნენ, ლოდებიდან გამოვარდა ერთი ახალგაზრდა ოსი ქალი და როგორც გაცოფებული ძუ ვეფხვი ეცა პირველსავე კაზაკს, მთელი ძალები დაჭიმა იმისათვის, რომ მასთან ერთად გადაშვებულიყო უფსკრულში... კიდევ წამიც და ქალი ჩაიდენდა თავგანწირულ გმირულ საქციელს, მაგრამ ძალამ უმტყუნა: მას ხელიდან გაუსხლტა ნადავლი და მარტო გადაეშვა უძირო უფსკრულში, სადაც ბასრმა ქვებმა ნაკუწ-ნაკუწად აქციეს მისი სხეული“[3].

სისხლისმღვრელი ბრძოლები მოხდა ციხე-სიმაგრე კოლასთან. არც სიმაგრის დაბომბვას, არც მის იერიშით აღების მრავალგზის ცდას შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ გაბრაზებულმა რენენკამფმა ბრძანა კოლასთვის ცეცხლი წაეკიდებინათ, რომ ამ გზით იქ გამაგრებული აჯანყებულები იძულებული გაეხადა წინააღმდეგობა შეეწყვიტათ და მორჩილება ეთხოვათ. მაგრამ არც ამან გასჭრა. ჩამოინგრა ჭერი. ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა მეტად მძიმე და უპერსპექტივო იყო. მაშინ ციხიდან თოკებით გადმოეშვა 10 კაცი ბეგა კოჩიევის მეთაურობით და ხანჯლებით ხელში გაშმაგებით ეკვეთა კაზაკებს. ამ უთანაბრო ბრძოლაში დაიღუპა ყველა, გარდა ერთი კაცისა. რაც შეეხება ციხეში დარჩენილებს, ისინიც სულ ერთიანად დაიღუპნენ[4].

---

[1] АКАК, VII, გვ. 360.

[2] მომყავს ზ. ვანეევის წიგნიდან, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Цхинвали, 1956, გვ. 189.

[3] В. Потто, Кавказская война, V, в. I, 1884, გვ. 135; З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос..., გვ. 192.

[4] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос..., გვ, 196; Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1950, გვ. 218.

ამის შემდეგ დამსჯელმა ექსპედიციამ მორჩილებაში მოიყვანა ყველა აჯანყებული სოფელი. რეგულარული ჯარის ნაწილებისა და მემამულეთა რაზმების დახმარებით ჩაქრობილ იქნა 1830 წლის გლეხთა აჯანყება ოსეთში.

1841 წელს იფეთქა გლეხთა ახალმა აჯანყებამ გურიაში, მაგრამ მან იმერეთის რამდენიმე სოფელიც მოიცვა. ხალხის მღელვარება ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდით, სახელმწიფო გადასახადების სიმძიმითა და სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა თვითნებობა-უმსგავსოებით იყო გამოწვეული[1]. უშუალო მიზეზი, რომელმაც იარაღ ქვეშ დააყენა სახაზინო, საბატონო და საეკლესიო გლეხები, იყო ხმების გავრცელება, რომ მთავრობა აპირებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას, ხალხის ჯარში გაწვევას. არანაკლებ შეაშფოთა გურიის სოფლის მშრომელი მოსახლეობა კანონმა, რომლითაც მომავალში, 1841 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფო გადასახადები ფულადი სახით უნდა აკრეფილიყო[2].

აჯანყებამ, რომელიც 22 მაისს დაიწყო, მთელი გურია მოიცვა. გლეხობამ უარი განაცხადა გაეღო სახაზინო გადასახადი. მოტივად მათ ნატურალური ვალდებულებებით (ადამიანებისა და ურმების გამოყვანა, საკორდონო ხაზის შენახვა და სხვ.) გადატვირთვა წამოაყენეს[3]. ხელისუფლების მიერ გამოყენებულმა შთაგონების მეთოდმა წარმატებას ვერ მიაღწია—აჯანყება არამცთუ არ ნელდებოდა, არამედ ყოველდღიურად ღრმავდებოდა და ძლიერდებოდა ახლად შემომატებული ძალებით. აჯანყებულებმა, რომელთა რიგებში 7 200 კაცი ითვლებოდა, ხელთ იგდეს გურიის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი. 9 აგვისტოს მათ სოფელ გოგორეთთან პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი დაამარცხეს, ხოლო 10 აგვისტოს ნიკოლაევის საგუშაგოს დაეუფლენ და იქ მყოფი ჯარისკაცები და კაზაკები განაიარაღეს. მომდევნო დღეებში გლეხებმა ორჯერ განიზრახეს ოზურგეთის იერიშით აღება. მაგრამ ორჯერვე ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი[4]. 1 სექტემბერს ღამის სამ საათზე ოზურგეთის აღების ცდა ისევ განმეორდა. სამი ათასმა კაცმა ყველა მხრიდან შეუტია მას. იერიშმა საათნახევარი გასტანა და დამთავრდა აჯანყებულთა დამარცხებით, რომლებმაც, მთავარმართებლის გოლოვინის სიტყვით, დიდი დანაკლისი განიცადეს[5]. მართალია, ამაზე ცოტა ადრე გლეხებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს მეგრელ და იმერელ ფეო-

---

[1] Г. В. Хачапуридзе, Гурийское восстание в 1841 году, 1931, გვ. 47—48.
[2] АКАК, IX, ч. I, გვ. 175.
[3] იქვე, გვ. 164.
[4] იქვე, გვ. 170.
[5] იქვე, გვ. 173.

დალთა რაზმს, ოზურგეთის ალყაშემორტყმული გარნიზონის დასახმარებლად რომ ჩავიდა გურიაში, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა და ხსენებული პუნქტი მაინც მოწინააღმდეგეს დარჩა. და მაინც უკანასკნელის მდგომარეობა მეტად საგანგაშო იყო. ყველგან, მთელ გურიაში, ოზურგეთის გამოკლებით, მემამულეების და მეფის მოხელეთა ხელისუფლება ლიკვიდირებულ იქნა. ძალა-უფლება აჯანყების ხელმძღვანელ „მთავარი შტაბის“ ხელში გადავიდა. საგონებელში ჩავარდნილმა ხელისუფლებამ ძალების მობილიზაცია გააძლიერა. სექტემბრის დასაწყისში გურიაში 2 064 კაცისგან შემდგარი რეგულარული ჯარი და 1 750 კაცისგან შემდგარი თავადაზნაურთა რაზმი გაიგზავნა. აჯანყების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს ფეოდალებმა. საქმე იმაშია, რომ მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო კოლონიური ჩაგვრის, არამედ გურიაში მაშინ გაბატონებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ[1].

სამხედრო ნაწილებისა და თავად-აზნაურთა რაზმების ერთობლივი მოქმედების შედეგად, აჯანყება ბოლოს და ბოლოს ჩაქრობილ იქნა. მოძრაობის მეთაურები (50 კაცი) ქუთაისის ციხეში ჩასვეს და მერე კი, მოგვიანებით, გაასამართლეს. მთავარმმართველ გოლოვინის მიერ დამტკიცებული განაჩენი ძალიან მკაცრი იყო[2]. მაგრამ ნიკოლოზ I-მა იგი

---

[1] რომ აჯანყება ანტიბატონყმურ ხასიათსაც ატარებდა, ამას ფოლკლორული მასალაც ადასტურებს. ჩვენთვის საინტერესო მოვლენისადმი მიძღვნილ ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

გურია, აბუნტებულა,
აღარ მოსწონს ძველი წესი,
არც თავად-აზნაურობა,
არც ბერი და არც ხუცესი...
თავადზე და აზნაურზე
სწორეთ გულს კი გვაკლია,

იძახიან: „უფროსი ვართ“,
ჩვენ არაფერს გვარგია.
რა უპირს რომ იმუშაოს,
ხელი ხომ კი აბია
მის მამულში რა მოდის,
რომ შეიტყოს კარგია.

(ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, თბ., 1967, გვ. 60—61. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები პროფ. ქ. სიხარულიძისა).

აჯანყების ანტიბატონყმურ ხასიათს ადასტურებს ისიც, რომ გლეხები ლეწავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა კარ-მიდამოს. მათი მატერიალური ზარალი შეფასებულ იქნა 17 743 მანეთად და 73 კაპიკად (გ. ხაჭაპურიძე, დასახ. წიგნი, გვ. 72).

[2] სასამართლოს განაჩენი იხ. ხაჭაპურიძის «Гурийское восстание в 1841 году», გვ. 79.

საგრძნობლად შეარბილა. იმპერატორს იმედი ჰქონდა, რომ «такая милость к лицам, оказавшимся по сему делу преступными, не только исполнит сердца их живейшею признательностью и благоговением к монаршему милосердию, но внушит и всем прочим их согражданам полное усердие хранить нерушимо святость данной ими присяги и служить верою и правдою престолу и отечеству»[1].

ერთი წლის შემდეგ, 1842 წლის 13 დეკემბერს, დაიწყო თელავის მაზრის სოფელ ზიარის საბატონო გლეხთა მღელვარება. აჯანყდნენ თავადების ანდრონიკაშვილების, შალიკაშვილებისა და აბაშიძეების ყმები. უკმაყოფილების უშუალო საბაბი გახდა დასახელებულ მემამულეთა მიერ აღებული ფულადი ვალის გადახდის ყმა გლეხებზე დაკისრება. ამ უკანასკნელთ ვალი პურით უნდა დაეფარათ. გლეხებმა არა მარტო უარი თქვეს დაკისრებულის შესრულებაზე, არამედ მტკიცედ გადაწყვიტეს ჩაეშალათ ეს ღონისძიება და ერთიმეორეს შეჰფიცეს არავის დაერღვია მიღებული გადაწყვეტილება — არავის გაეღო მემამულეთა ვალის დასაფარავი პური[2]. 13 დეკემბერს, მღელვარების დაწყების დღეს, დასახელებული თავადების ყმებს ეახლა სოფელ ზიარში ბოდბისხევის მცხოვრები ფრიდონ კიკოლოვი შვილით (ივანე) და მათ პურის გაღება მოსთხოვა. გლეხებმა, შეთანხმების თანახმად, მოთხოვნას კატეგორიული უარით უპასუხეს. პირობა მხოლოდ თორნიკე ერისთავის ხელქვეითებმა დაარღვიეს — ისინი დასთანხმდნენ კიკოლოვისთვის პური მიეცათ. ამან საშინლად აღაშფოთა დანარჩენები. გლეხები 60 კაცის რაოდენობით თავს დაესხნენ თორნიკე ერისთავის ყმებს და კიკოლოვის შვილს. ერთ-ერთ მათგანს, სახელდობრ მჭედელ შიოშვილს, უკანასკნელის მოკვლაც კი მოუნდომებია. საქმეში თვით თორნიკე ერისთავი ჩარეულა, მაგრამ უშედეგოდ. აჯანყებულთ მისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ და თავის განზრახვაზე ხელის აღება მოუთხოვიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში სახლ-კარის გადაბუგვით დამუქრებიან[3].

მთავრობამ ეს მღელვარებაც, ისე როგორც სხვა, რეგულარული ჯარის ნაწილების გამოყენებით ჩააქრო.

---

[1] АКАК, IX, ч. I, გვ. 173.

[2] ვ. ჯ ი ქ ი ა, გლეხთა მღელვარება სოფ. ზიარში 1842 წელს(დოკუმენტები პუბლიკაცია შესავალი წერილით), „საისტორიო მოამბე", 13—14, თბ., 1961, გვ. 274—275.

[3] იქვე.

რაკი საშუალება არა გვაქვს ცალ-ცალკე აღვწეროთ სოფლის მშრომელი მოსახლეობის სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეპიზოდი, ამიტომ ჩვენ ამ თავის დასასრულს, შევჩერდებით კიდევ ერთ აჯანყებაზე, რომელიც არსებითად, რამდენიმე წელი მიმდინარეობდა და მიმართული იყო ქართლის თავადების მაჩაბლების წინააღმდეგ. უკანასკნელთა ყმები, ოსი გლეხები, 2 000 კომლის რაოდენობით, რუსული მმართველობის დამყარების თითქმის პირველი წლებიდანვე ცდილობდნენ ხსენებული თავადების ხელქვეითობიდან განთავისუფლებას და სახაზინო უწყებაში გადასვლას, მაგრამ უშედეგოდ. ბრძოლამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი 40-იანი წლებიდან მიიღო. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ადრე დაყენებული საკითხის მათ სასარგებლოდ გადაჭრას. «По приезду моем в Закавказский край в 1845 г., — სწერდა ვორონცოვი ჩერნიშოვს 1848 წლის 13 თებერვალს, — жалобы их (გლეხების — ავტ.) возобновились; в ожесточении своем против князей Мачабеловых они отказались от платежа владельцам всяких повинностей и целыми толпами начали являться ко мне, прося о защите прав их и оказания им правосудия, которого они тщетно домогаются в течение нескольких лет»[1].

1845 წლის 31 მაისს გლეხების მიერ აღძრული საქმე გაარჩია გორის სამაზრო სასამართლომ, მაგრამ მთხოვნელებს უარი უთხრა და ისინი თავად მაჩაბლების კანონიერ ყმებად აღიარა. ამით უკმაყოფილო ოსებმა ბრძოლა გააგრძელეს. ისინი დაუსრულებელ თხოვნა-საჩივრებს სწერდნენ ამიერკავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მათგან საქმეში ჩარევას მოითხოვდნენ. ვორონცოვი იძულებული იყო სპეციალური კომისია გამოეყო და მისთვის ამ საკითხის შესწავლა დაევალებინა. კომისიამ (მისი ორი წევრის გამოკლებით) გორის სამაზრო სასამართლოს დადგენილება არასწორად ჩათვალა, რადგანაც მაჩაბლებმა „საბუთებით ვერ დაამტკიცეს თავიანთი უფლება ოს გლეხებზე“[2].

ამის შემდეგ ეს საქმე თბილისის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში გადავიდა, ხოლო 1850 წელს — მმართველ სენატში. მაგრამ სანამ საკითხი აღნიშნულ ინსტანციებში იხილებოდა, მაჩაბლებმა „თავიანთი უკუღმართი საქციელით“ კიდევ უფრო გაამწარეს გლეხები. მათ დაკარგეს რა თხოვნის მშვიდობიანი გზით დაკმაყოფილების იმედი, იარაღს მოჰკიდეს ხელი. ხელისუფლებამ გლეხებს ულტიმატუმი წაუყენა დაუყოვნებლივ დამორჩილებოდნენ თავადებს და მათთვის ეხადათ გადასახადები, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით დაემუქრა. ამაზე აჯანყებულებმა ასე უპასუხეს: „ჩვენ მთავრობის ურჩებს შორის

---

[1] СХАО, I, გვ. 307.

[2] იქვე. გვ. 308.

არასოდეს არ ვყოფილვართ, ვცხოვრობდით მშვიდად, ვემსახურებოდით ხელმწიფეს ერთგულად და ახლაც მზადა ვართ ვემსახუროთ მას და ვიყოთ იქ, სადაც გვიბრძანებს, ვიხადოთ გადასახადი რამდენსაც დაგვაწერს, მაგრამ თუ თქვენ ფიქრობთ იარაღის გამოყენებით გვაიძულოთ გავხდეთ თავად მაჩაბლების ხელქვეითები, ცდებით: ყველანი გავწყდებით, იარაღით ხელში დავიცავთ ჩვენს სამართლიან საქმეს, მაგრამ მაჩაბლების მონები არ გავხდებით, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ბრძოლა შეგვიძლია"[1].

მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ სამხედრო ნაწილები გაგზავნა. ამ ნაწილების მეთაურმა თავადმა ანდრონიკაშვილმა არაერთგზის სცადა გლეხების მშვიდობიანი გზით დამორჩილება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაშინ ანდრონიკაშვილმა ძალა გამოიყენა და მღელვარება ჩააქრო.

მართალია, გლეხებმა მოწინააღმდეგესთან უშუალო შერკინება წააგეს, მაგრამ მათ ბრძოლას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. ვორონცოვმა, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ოსები სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე არასოდეს არ გადაიხდიან მათზე დაკისრებულ გადასახადებს", თავად მაჩაბლებს წინადადება მისცა ხაზინისთვის დაეთმოთ თავიანთი გლეხები, რა თქმა უნდა, სათანადო ანაზღაურების მიღებით. მემამულეები დაეთანხმნენ ამ წინადადებას და შეჰპირდნენ მეფისნაცვალს, რომ მალე წარუდგენდნენ მოსაზრებას ანაზღაურების ოდენობის შესახებ. მაგრამ ამ დროისთვის სენატმაც მიიღო დადგენილება მაჩაბლების ყმების (2 000 კომლი) სახაზინო უწყებაში გადარიცხვის შესახებ, რასაც ხსენებული თავადები, ცხადია, დიდი აღშფოთებითა და განგაშით შეხვდნენ.

მაგრამ მთავრობამ საბოლოოდ მაინც არ გასწირა ქართველი ფეოდალები და მათ 1852 წელს, ვორონცოვის შუამდგომლობის საფუძველზე, დაენიშნათ ყოველწლიური მემკვიდრეობითი პენსია 6 000 მანეთის რაოდენობით. ამასთან, ის მიწები, სადაც გლეხები ცხოვრობდნენ, მაჩაბლების განკარგულებაში იქნა დატოვებული.,

ასე თუ ისე, 2 000 კომლი საბატონო გლეხი, რომელმაც ენერგიული ბრძოლით დააღწია თავი კერძო მემამულეთა ხელქვეითობას, სახაზინო უწყებაში გადავიდა. ეს, რა თქმა-უნდა, სრული თავისუფლების მოპოვებას არ ნიშნავდა, მაგრამ მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მეტი ბოროტებიდან ნაკლებისკენ მკაფიოდ გადადგმულ ნაბიჯს.

---

1 ЦГИАМ, ф. III, отд. экспедиция I, д. 153, л. 7—12.

სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომლის უმთავრესი ეპიზოდები ზემოთ აღვწერეთ[1], ხელს უწყობდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევას, ცარიზმის პოზიციის შესუსტებას და რეფორმის წინარე ხანის საქართველოში რევოლუციური სიტუაციის შექმნას.

---

[1] გვერდი ავუარეთ გლეხთა ისეთ აჯანყებებს, როგორიცაა: 1837 წლის (ახალციხის მაზრაში), 1840 წლის (აფხაზეთში), 1842 [და 1848 წლების (ქუთაისის მაზრაში), 1852 წლის (რაჭის მაზრაში) და ა.შ.

თავი მეოთხე

ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში

§ 1. ყირიმის ომი

50-იანი წლების დასაწყისში ნიკოლოზ პირველმა გადაწყვიტა საბოლოოდ მოეგვარებინა ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხი". ამ დროისათვის რუსეთს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში რევოლუციების ჩახშობით საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული და მეფეს მიაჩნდა, რომ ოსმალეთის მიმართ თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანისათვის ხელსაყრელი მომენტი იყო დამდგარი. მართალია, 1829 წლის ადრიანოპოლის ზავმა რუსეთს გარკვეული უპირატესობანი მიანიჭა, კერძოდ, გაიზარდა მისი გავლენა მოლდავეთსა და ვლახეთში და განმტკიცდა პოზიციები ამიერკავკასიაში, მაგრამ რუსეთი თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანისაგან—კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ხელში ჩაგდებისაგან — ჯერ კიდევ შორს იყო. 1833 წელს უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება ამ მიმართულებით წარმოებული პოლიტიკის კიდევ ერთ გამარჯვებას წარმოადგენდა. უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით თურქეთი ვალდებული იყო საჭიროების შემთხვევაში რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისათვის ჩაეკეტა დარდანელის სრუტე. ამ ხელშეკრულებამ დიდად აღაშფოთა ევროპის სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია), რომლებიც აშკარად ხედავდნენ იმ საფრთხეს, რაც აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების გაძლიერებასა და ხმელთაშუა ზღვისკენ მისთვის გზების გახსნას მოსდევდა. ინგლისი ადვილად ვერ შეურიგდებოდა აღმოსავლეთში რუსეთის მიერ ხელსაყრელი პოზიციების დაკავებას, ვინაიდან ეს გარემოება რუსეთს დიდ უპირატესობას ანიჭებდა ირან-ოსმალეთთან ვაჭრობაში. მართალია, რუსეთის სუსტ ბურჟუაზიას არ შესწევდა უნარი სათანადო კონკურენცია გაეწია თურქეთ-ირანში ინგლისის ვაჭრობისათვის, რომელიც ტრაპიზონში სავაჭრო კამპანიის დაარსების შემდეგ განსაკუთრებით გაფართოვდა, მაგრამ პოლიტიკური ბატონობა რუსეთს ადრე თუ გვიან არამც თუ თურქეთ-ირანის ბაზრების, არამედ ინდოეთის მითვისების საშუალებასაც მისცემდა. მოლდავეთის, ვლახეთის, სერბიის,

გალიუპოლისა და კონსტანტინოპოლის რუსეთის ხელთ გადასვლა ავსტრიის იმპერიისათვის მარტო სავაჭრო ინტერესების შეზღუდვას კი არ ნიშნავდა, არამედ ეს გარემოება, ამ უკანასკნელის დაშლას გამოიწვევდა, რასაც ჰაბსბურგთა დინასტია ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. დაბოლოს აღმოსავლეთში რუსეთის გაძლიერებასა და ხმელთაშუა ზღვაზე ბის გამოჩენას არც საფრანგეთი შეხვდებოდა გულგრილად. ნიკოლოზი ყოველივე ამას კარგად ითვალისწინებდა, უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ 1840—1841 წლების კონვენციებით ოსმალეთზე „კოლექტიური პროტექტორატის" დაწესებით კმაყოფილდებოდა და თავისი გეგმების განხორციელებას მომავლისათვის, ხელსაყრელი მომენტისათვის სდებდა. 50-იანი წლების დასაწყისი ნიკოლოზმა სწორედ ასეთ მომენტად მიიჩნია. მისი წარმოდგენით, 1848 — 1849 წლების რევოლუციურმა ქარტეხილებმა ინგლისის გარდა ევროპის ყველა სახელმწიფოს დიდი ხნით გამოაცალეს ძალა, ე. ი. საჭირო იქნებოდა მხოლოდ ინგლისთან მოლაპარაკება, მასთან წინასწარ თურქეთის სამფლობელოების განაწილება და სხვა მხრივ გზა გახსნილი იქნებოდა. ნიკოლოზმა, რომელიც თავისი მეფობის განმავლობაში აღმოსავლეთის საკითხში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა და ანგარიშს უწევდა ამ სამი სახელმწიფოს აშკარა თუ ფარულ წინააღმდეგობას, 1853 წლისათვის სავსებით შეგნებულად აღარ გაითვალისწინა საფრანგეთისა და ავსტრიის ინტერესები და პეტერბურგში მყოფ ინგლისის ელჩს, გამილტონ სეიმურს, არაოფიციალური მოლაპარაკების დროს აშკარად გაუმჟღავნა თავის ზრახვები და თურქეთის სამფლობელოების განაწილება შესთავაზა. ნიკოლოზი დუნაის სამთავროების, კონსტანტინოპოლის და სრუტეების ხელში ჩაგდების ფასად ინგლისს, ეგვიპტესა და კრეტის კუნძულს „უთმობდა". იგი დარწმუნებული იყო, რომ თუ ინგლისი და რუსეთი შეთანხმდებოდნენ, მაშინ საფრანგეთი და ავსტრია ამ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების კავშირის წინააღმდეგ ხმის ამოღებასაც კი ვერ გაბედავდნენ[1].

მაგრამ ნიკოლოზი ღრმად სცდებოდა. ინგლისმა თურქეთის იმპერიის „გადარჩენის" მომიზეზებით რუსეთთან შეთანხმება არ მოინდომა. სინამდვილეში კი რუსეთის წინადადება მას თავისთვის საშიშად მოეჩვენა. მოლდავეთში, ვლახეთში, სერბიაში, ბულგარეთსა და საბერძნეთში რუსეთის გავლენის განმტკიცების, მის ხელში სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკომპენსაციოდ ეგვიპტისა და კრეტის მიღება მეტად მცირედ ეჩვენებოდა, მით უმეტეს, რომ თურქეთის იმპერიის დაცემას, ადრე თუ

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война, т. I, М., 1950.

გვიან, უნდა მოჰყოლოდა მცირე აზიის მთლიანად თუ არა, ნაწილის მაინც რუსეთის ხელთ გადასვლა. ინგლისმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა.

მეორე, არანაკლებ დამღუპველი, შეცდომა შეეხებოდა მომავალ ომში საფრანგეთის პოზიციების გაუთვალისწინებლობას. ნიკოლოზი, ისევე როგორც რუსეთის მმართველი წრეები, თვლიდა, რომ ნაპოლეონის იმპერიის დაცემის შემდეგ საფრანგეთის არც ერთი მთავრობა არ მოისურვებდა რუსეთის მიმართ აგრესიული პოლიტიკის წარმოებას, თუნდაც მოესურვებია საშინაო საქმეებით გართულსა და რევოლუციურ ქარტეხილებით ძალაგამოცლილ იმპერატორს შორეული კონსტანტინეპოლისათვის ბრძოლის საშუალება არ ექნებოდა.

ნიკოლოზს მხედველობიდან გამორჩა როგორც საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის სავაჭრო და ფინანსური ინტერესები, ისე ის გარემოება, რომ ნაპოლეონ III-ის დინასტიურ ინტერესებში შედიოდა საფრანგეთის ფართო მასების ყურადღება საშინაო საქმეების ნაცვლად საგარეო პოლიტიკისათვის მიეპყრო.

ნიკოლოზი და მისი კანცლერი ნესელროდე თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ნაპოლეონ III, თავისი ბიძის, ნაპოლეონ I-ის მოსისხლე მტერთან, ინგლისთან კავშირს არ დაამყარებდა. სინამდვილეში კი ინგლისიც და საფრანგეთიც რუსეთზე თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთთან კავშირს აუცილებლად თვლიდნენ.

ასევე ცდებოდა ნიკოლოზი ავსტრიის მიმართაც, ინგლისის ელჩთან საუბარში იგი აშკარად აცხადებდა, რომ თურქეთის საკითხის განხილვისას ავსტრიას მხედველობაში არ იღებდა, რადგანაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები და მისი ფელდმარშალი კაბოგა ლამის ფეხებში უვარდებოდნენ ნიკოლოზსა და პასკევიჩს ხვეწნა-მუდარით — ეხსნათ ავსტრია საბოლოო დაღუპვისაგან — დახმარებოდნენ უნგრეთის რევოლუციის ჩაქრობაში. ნიკოლოზი დარწმუნებული იყო, რომ ავსტრია თავისი კეთილისმყოფელი რუსეთის საწინააღმდეგოდ არაფერს მოიმოქმედებდა, კიდეც რომ უმადური გამომდგარიყო ავსტრიის იმპერატორი და რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა განეზრახა. უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ მისი ჯარები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ იგი ამ განზრახვის შესრულებას ვერ გაბედავდა.

რუსეთმა აქაც ვერ გაითვალისწინა, რომ უკვე 1812 წ. თურქეთისაგან ბესარაბიის წართმევის და 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის შემდეგ მოლდავეთსა და ვლახეთში რუსეთის გავლენის გაძლიერება ავსტრიას ძალიან აწუხებდა, ეს გარემოება მის სავაჭრო ინტერესებს აურაცხელ ზარალს აყენებდა. მოლდავეთის, ვლახეთის, სერბიის, ბულგარეთის, გალიუპოლისა და კონსტანტინოპოლის რუსეთთან შეერთება კი ავსტრიის იმპერიას სამი მხრიდან რუსეთის ძალებით გარშემორტყმასა და მის საბოლოო დაშლას

უქადდა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ავსტრია ნეიტრალური ვერ დარჩებოდა. მით უმეტეს, რომ ნაპოლეონ III ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მოკავშირეების მხარეზე ავსტრიის ომში ჩასაბმელად.

ასეთი, თავისთვის მეტისმეტად არახელსაყრელი, პირობების გაუთვალისწინებლად აპირებდა რუსეთი თურქეთთან ომის დაწყებას.

ინგლისთან მოლაპარაკების წარუმატებლობის შემდეგ ნიკოლოზმა გადაწყვიტა უკვე აშკარად ემოქმედა. მან „წმინდა ადგილების“ დაცვის მომიზეზებით თურქეთში გააგზავნა ელჩობა მენშიკოვის მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა თუ დიპლომატიური გზით ვერ მოახერხებდა ეცნო თურქეთს რუსეთის პროტექტორატი თურქეთის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანულ მოსახლეობაზე, იმ შემთხვევაში აშკარა კონფლიქტი გამოეწვია. საფრანგეთისა და ინგლისის ელჩების მიერ დაიშედებულმა თურქეთის სულთანმა რუსეთის წინადადებანი არ მიიღო და 1853 წლის ნოემბერში თურქეთი რუსეთთან ომში ჩაბა.

მარქსი და ენგელსი გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს ყირიმის ომის მსვლელობას. მათთვის ეს ომი მოულოდნელი არ იყო. მათ დიდი ხნის წინ დაადგინეს, რომ, როგორც კი ევროპაში რევოლუციური მოძრაობა მიწყნარდებოდა, ნიკოლოზი მაშინვე ეცდებოდა „სნეული ადამიანის“ მემკვიდრეობის, ანუ თურქეთის სამფლობელოების განაწილების საკითხის წამოჭრას. მარქსი და ენგელსი დარწმუნებული იყვნენ, რომ არც ინგლისი და არც ავსტრია გულგრილად არ შეხედავდნენ იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ საფრთხეს, რომელიც მათ მოელოდათ „პეტერბურგის დესპოტის“ მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის დაპყრობის შედეგად.

მარქსი და ენგელსი ევროპის რევოლუციების ინტერესებიდან გამომდინარე მიესალმებოდნენ ამ კონფლიქტის წარმოქმნას, რადგანაც მათთვის ნათელი იყო, რომ რომელი თვითმპყრობელური სახელმწიფოც არ უნდა დამარცხებულიყო, რევოლუცია ამით მხოლოდ მოიგებდა, მაგრამ ნიკოლოზ I-ისა და ბატონყმური რუსეთის, როგორც ყველა რევოლუციების ერთგული ჩამხშობის, დამარცხების მომხრე უფრო იყვნენ. ამავე დროს, ისინი კარგად ხედავდნენ და ულმობლად ამხილებდნენ ინგლისის ბურჟუაზიისა და ნაპოლეონ III-ის მტაცებლურ ზრახვებს. მარქსისა და ენგელსისათვის ნათელი იყო, რომ საფრანგეთი და ინგლისი თურქეთის „დასაცავად“ კი არ აპირებდნენ ომში ჩაბმას, როგორც ამას თვითონ აცხადებდნენ, არამედ იმ გარემოებით იყვნენ შეწუხებული, რომ თურქეთის სამფლობელოების დანაწილების დროს სხვა სახელმწიფოებს უფრო მეტი არ შეხვედროდათ.

რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის შედეგად კავკასია, კერძოდ საქართველო, უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რუსეთ-თურქეთის ომის

დროს კავკასიის ფრონტს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა და მეფის მთავრობას სრულიადაც არ ჰქონდა გათვალისწინებული დამხმარე ჯარის ნაწილების გამოგზავნა. კავკასიაში მყოფი მოქმედი რუსეთის არმია კი სავსებით არ იყო საკმარისი თურქეთის ჭარბ ძალებთან გასამკლავებლად. მხოლოდ მეფისნაცვალ ვორონცოვის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ნიკოლოზმა შესაძლებლად ცნო მე-13 დივიზიის გამოგზავნა, მაგრამ ამ დახმარების მიღების შემდეგაც კავკასიის მდგომარეობა სავალალოდ გამოიყურებოდა. 530 ვერსამდე მანძილზე გადაჭიმული მისი სასაზღვრო ხაზის არც ერთი სექტორი არ იყო უზრუნველყოფილი მტრის თავდასხმისაგან და მხოლოდ აქა-იქ იყო გამაგრებული უმხიშვნელო საგუშაგოებით. სამიმოსვლო გზების უვარგისობისა და ბუნებრივ-ტოპოგრაფიული პირობების გამო ერთიანი საომარი მოქმედების ფრონტზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. კავკასიის კორპუსის ცალკეული რაზმები დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ და ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილად უხდებოდათ მოქმედება. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო ლაშქარს ე. წ. „ძილიცას“. მართლაც, ქართველმა ხალხმა, რომელიც 1806—1812 და 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში ოსმალეთის მიერ მოტაცებული მიწა-წყლის დასაბრუნებლად ცხოველ მონაწილეობას იღებდა, ამჯერადაც მთელი თავისი ძალები დარაზმა და აქტიურად ჩაება საუკუნოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მდგომარეობას განსაკუთრებით ის გარემოება ართულებდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდანაც განუწყვეტელი საფრთხე ემუქრებოდა. აქედან ყოველთვის მოსალოდნელი იყო რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მიურიდების შამილისა და მაჰმად-ემინის შემოჭრა და ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო კავკასიაში მოქმედი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიურიდების წინააღმდეგ მოსალოდნელი ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თურქები შეუდგნენ თავის ძალების კონცენტრაციას საქართველო-ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ. 1853 წლის სექტემბრის დასასრულისათვის ყარსთან 50 000 კაცისაგან შემდგარი თურქების რეგულარული და ირეგულარული ჯარების კორპუსი იდგა. ეს კორპუსი 65 ზარბაზნით იყო აღჭურვილი. არდაგანთან იდგა რაზმი 14 ზარბაზნით, ბაიაზეთშიც დაახლოებით ასეთივე შემადგენლობის რაზმი იყო, ხოლო ბათუმის ახლოს თურქებმა 10 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი კორპუსი გადმოსხეს[1].

მოწინააღმდეგის მთელი ყურადღება თბილისისკენ იყო მიმართული. თბილისი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზიაში რუსების ძალაუფ-

---

[1] ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 200.

ლების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა“ და სტრატეგიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობდა. თბილისის ხელში ჩაგდება ამიერკავკასიაში ბატონობას განაპირობებდა. ასე რომ თურქეთისათვის კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი მოქმედების მთავარი მიზანი თბილისის აღება იყო. რუსეთისათვის კი კავკასიის შესანარჩუნებლად თბილისის დაცვა უპირველეს სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენდა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საპატიო და პირველხარისხოვან ამოცანად იყო გამოცხადებული. თბილისის დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ალექსანდროპოლის (დღეანდელი ლენინაკანი) ციხე-სიმაგრეს, რომელიც კეტავდა ყარსიდან თბილისისაკენ მიმავალ პირდაპირ გზას. ასეთივე მნიშვნელობისა იყო ყარსიდან არდაგანზე და ბორჯომის ხეობისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ახალციხეც. ითვალისწინებდა რა ამ მდგომარეობას, ადგილობრივი მთავარსარდლობის მიერ რეგულარული ჯარების და მილიციის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ ყარსის მიმართულებით ალექსანდროპოლსა, ახალციხესა და ახალქალაქში იყო თავმოყრილი. სახელდობრ, საომარი მოქმედების გადამწყვეტ პუნქტში რეგულარული ჯარების 23,5 ბატალიონი, კაზაკთა 24 ასეული, 60 ზარბაზანი, მილიციის 8 დრუჟინა და რამდენიმე ასეული იყო განლაგებული; აქედან ალექსანდროპოლში 11 ბატალიონი, 10 ესკადრონი, კაზაკთა 9 ასეული, ადგილობრივი მილიციის რამდენიმე დრუჟინა და ასეული იმყოფებოდა. თბილისში ბაიაზეთიდან წამოსულ მტერს არარატის და ერევნის გავლითაც შეეძლო შემოჭრა. ერევანში მისი ვამაგრების მიზნით, 4 ბატალიონი, 8 ზარბაზანი, კაზაკთა 6 ასეული და ადგილობრივი მილიციის 14 ასეული იდგა[1].

კავკასიის ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ „რიონის მხარის“, დასაცავად მყოფი „გურიის რაზმი“ მხოლოდ ქვეითი ჯარის 8 ბატალიონის, კაზაკთა 2 ასეულისა და 12 ზარბაზნისაგან შედგებოდა. ბათუმში და ქობულეთში მდგარი თურქთა მძლავრი კორპუსი კი გურია, სამეგრელო, იმერეთ, აფხაზეთს სრული განადგურებით ემუქრებოდა. საერთოდ, კავკასიის საზღვრებზე თავმოყრილი თურქთა არმია რუსების ძალებს არა მარტო რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა, არამედ გაცილებით უკეთესადაც იყო შეიარაღებული. მისი არტილერია მთლიანად ინგლისური წარმოშობისა იყო და ჯარისკაცები შორსმსროლელი შაშხანებით იყვნენ აღჭურვილნი, მაშინ როცა რუსული ჯარის ნაწილების უმრავლესობის იარაღს კაჟიანი თოფები შეადგენდა.

ნიკოლოზ I მე-13 დივიზიის საქართველოში გამოგზავნით კავკასიის საქმეებს მოგვარებულად თვლიდა და სავსებით ვერ ითვალისწინებდა იმ

---

[1] ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 211—212.

საფრთხეს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ეს მხარე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შედეგად. ნიკოლოზი კავკასიის მეფისანცვლისაგან შეტევით მოქმედებებზე გადასვლასა და ყარსისა და არდაგანის აღებას მოითხოვდა. «Выждав первые нападения турок, желаю я чтобы ты непременно перешел в наступление, направяс на Карс и овладев оным, равно как и Ардаганом»[1]. მაგრამ კავკასიის სარდლობამ კარგად იცოდა, რომ იმ მცირერიცხოვანი ლაშქრით, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფებოდა, არათუ შეტევაზე არ შეიძლებოდა ფიქრი, არამედ კავკასიის საზღვრის რამდენადმე ეფექტური დაცვაც კი დიდი სიძნელეების გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ იგი ყოველმხრივ არიდებდა თავს შეტევითი ომის დაწყებას.

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები რუსეთ-თურქეთის ომის გამოცხადებამდე დაიწყო. ოსმალეთმა ისარგებლა იმ მდგომარეობით, რომ რუსეთის ძალები ჯერ კიდევ არ იყვნენ კონცენტრირებული საზღვრებთან და 15—16 ოქტომბერს ღამით მოულოდნელად თავს დაესხა გურიის საზღვარზე შეკვეთილის საგუშაგოს, სადაც იმყოფებოდა მხოლოდ მცირერიცხოვანი რუსთა რაზმი და გურიის სახალხო ლაშქარი გიორგი გურიელის მეთაურობით. ერთი მუჭა გარნიზონმა და სახალხო მილიციამ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია მტრის 5000-მდე კაცისაგან შემდგარ რაზმს. უთანასწორო ბრძოლამ შეკვეთილის საგუშაგოს დასაკავებლად მთელ ღამეს გასტანა, გარნიზონისა და მილიციის წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა, ვიდრე საბოლოოდ არ ამოწურეს ტყვია-წამლის მარაგი. თურქები სასტიკად გაუსწორდნენ მამაც მებრძოლებს. მათ თითქმის მთლიანად ამოხოცეს გარნიზონი. ისინი ბავშვებსა და ქალებსაც კი არ ინდობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ. ბრძოლაში დაიღუპა მილიციის მეთაური გიორგი გურიელიც.

გურიაში ოსმალების შემოსევის ერთდროულად ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში შამილის მეთაურობით მიურიდების შემოსევასაც. შამილი საინგილოში შემოიჭრა და ზაქათალისა და ბელაქნის ციხეების აღებას ლამობდა, მაგრამ ქართველთა და რუსთა რაზმებმა გენერალ გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით ალაზანზე მომდგარი მტერი უკუაგდეს. შამილის ამ დივერსიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე[2].

2 ნოემბერს ალექსანდროპოლის მახლობლად სოფ. ბაიანდურთან რუსის ჯარებს მორიგი ბრძოლა ჰქონდათ თურქებთან. ალექსანდროპოლიდან

---

[1] ციტირებულია ე. ტ ა რ ლ ე ს ნაშრომიდან «Крымская война», გვ. 298.

[2] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 222—223.

დასაზვერად გასულ რუსთა მცირერიცხოვან ჯარს, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ 7 ბატალიონი შედიოდა, სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა მთელი ანატოლიის კორპუსი. რუსთა ჯარი ილია ორბელიანის მეთაურობით მთელი დღის განმავლობაში გმირულად იგერიებდა მტრის თავდასხმას. საღამოთი გენ. ბებუთოვის მიერ მაშველი ჯარის მოყვანის შემდეგ თურქები უკან გაბრუნდნენ და არფაჩაი გადალახეს, ბებუთოვმა კი იმავე ღამით სასწრაფოდ წამოიყვანა ჯარი ალექსანდროპოლში.

4 ნოემბერს ოფიციალურად იყო გამოცხადებული რუსეთ-თურქეთის ომი.

1853 წლის ნოემბრის დასაწყისში თურქების მნიშვნელოვანი ძალები დაიძრა ახალციხისაკენ. ახალციხის ხელში ჩაგდება თურქებს ბორჯომის ხეობისა და სურამის გავლით თბილისისაკენ გაუხსნიდა გზას. მტერი ყოველი მხრიდან გარსშემოერტყა ახალციხის ციხე-სიმაგრეს. თურქების ძალები გაცილებით სჭარბობდნენ ახალციხეში დაბანაკებულ რუსის ჯარებს. ყარსიდან, არდაგანიდან და აჭარიდან მტერს ახალ-ახალი ძალები ემატებოდა და ახალციხის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდა. ახალციხის რაზმის უფროსი გენერალი კოვალენსკი შეშფოთებული სასწრაფო დახმარებას თხოულობდა. იგი ამიერკავკასიაში სახელგანთქმულ გენერალს, ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს ემუდარებოდა ჩამოსულიყო ახალციხეში და ხელში აეღო ახალციხის მისადგომებთან ოსმალების განდევნის ორგანიზაცია. 12 ნოემბერს გენ. ანდრონიკაშვილი მაშველი ჯარებით მივიდა ახალციხეს. პირველივე დაზვერვამ იგი დაარწმუნა, რომ მტერს მეტად ძლიერი, ბატარეებით და თხრილებით გამაგრებული პოზიციები ეკავა. ანდრონიკაშვილის განკარგულებაში მყოფი ახალციხის რაზმი 800 კაცისაგან შედგებოდა. მათ რიცხვში 2 დრუჟინა და ერთი ასეული ქართული მილიცია და მოხალისეები იყო. ოსმალთა რაოდენობა კი 20 000-სს აღწევდა. ახალციხეში მისვლისთანავე 14 ნოემბერს დილიდან ანდრონიკაშვილმა ოსმალებს საარტილერიო ცეცხლი დაუშინა, მაგრამ დაინახა, რომ არტილერიით სასურველ მიზანს ვერ მიაღწევდა და ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა. მისი იერიში იმდენად ელვისებური და მედგარი იყო, რომ მტერი შედრკა და უკან დახევა დაიწყო. იერიში რამდენიმე საათს გაგრძელდა და 14 ნოემბრის საღამოსათვის სრულიად დემორალიზებული თურქეთის არმია სასტიკად დამარცხებული არდაგანისაკენ გარბოდა. რუსებისა და ქართველების ლაშქარს ხელთ ჩაუვარდათ მდიდარი ნადავლი. თურქებმა ბრძოლის ველზე დატოვეს ზარბაზნები, საარტილერიო ყუმბარები, თოფისწამალი, ვაზნები და სხვ. მოკლული იყო 1 500-ზე მეტი თურქი ჯარისკაცი, დაჭრილი — 2 000[1]. ახალციხეს-

[1] ე. ბურჭულაძე, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 229.

თან მოპოვებულ გამარჯვებაში განსაკუთრებით ისახელა თავი გორის რაზმმა.

ახალციხესთან გამარჯვების შემდეგ თბილისში დაბრუნებულ გენერალ ანდრონიკაშვილს ქართველმა ხალხმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ქალაქის შემოსასვლელთან მას შეეგება ქართველი თავად-აზნაურების ცხენოსანი რაზმი, მეფისნაცვლის ამალა და მთელი თბილისის მოსახლეობა, საბურთალოს მინდორი მთლიანად მოფენილი იყო ეტლებით და საზეიმოდ განწყობილი ხალხით. მეზურნეები და საზანდრები სიმღერით მოაცილებდნენ ახალციხის გმირს.

ქართველი ხალხი თურქებთან პირველ გამარჯვებას ზეიმობდა. ახალციხის ბრძოლის მონაწილენი უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი. რუს რეგულარულ ჯარებთან ერთად დაჯილდოებული იყვნენ ქართული მილიციის 150-მდე მეთაური და მებრძოლი.

ახალციხესთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდროპოლის რაზმის მეთაურმა და კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ბებუთოვმა თავისი ჯარები ყარსისაკენ დაძრა. 19 ნოემბერს ყარსის მახლობლად სოფელ ბაშკადიკლართან მოხდა გადამწყვეტი შეტაკება ბებუთოვის რაზმსა და თურქების ძირითად ძალებს, ანატოლიის კორპუსს შორის. აქაც, მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნობისა, ბებუთოვმა სასტიკად დაამარცხა ისინი. ბაშკადიკლარის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჭავჭავაძემ, რომელიც შემდეგში ამ ბრძოლისათვის გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული.

ბაშკადიკლართან გამარჯვებით დამთავრდა 1853 წლის კამპანია. ბაშკადიკლართან ბრძოლის ერთი დღით ადრე, 18 ნოემბერს ადმირალ ნახიმოვმა სინოპთან თითქმის მთლიანად გაანადგურა თურქეთის ფლოტი.

ამიერკავკასიის ცენტრალურ პოზიციებზე მტრის განადგურების პარალელურად გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვრებზე კვლავ დაძაბული მდგომარეობა გრძელდებოდა. გურიის საზღვრებზე თურქები აძლიერებდნენ ჯარების თავმოყრას, მათი რიცხვი იმ დროისათვის უკვე 30 ათასს აღემატებოდა. ისინი გურია-სამეგრელოდან აფხაზეთში გაჭრასა და მაჰმადემინისა და შამილის ჯარებთან შეერთებას აპირებდნენ. რეგულარული ჯარების ნაკლებობის გამო გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვრების დაცვის სიმძიმე ადგილობრივ მილიციას დააწვა, რომელიც მედგრად იცავდა თავის სამშობლოს. ძალთა სიჭარბის მიუხედავად ახალციხესთან, ბაშკადიკლართან და სინოპთან რუსების გამარჯვების შემდეგ ოსმალები გურია-იმერეთის საზღვრებზე შეტევითი ომების დაწყებას ვეღარ ბედავდნენ და მხოლოდ მილიციასთან შეტაკებებით კმაყოფილდებოდნენ.

სინოპთან თურქების ფლოტის განადგურებამ შეაშფოთა ინგლის-საფრანგეთი, ისინი აშკარად ხედავდნენ იმ საშიშროებას, რაც შავ ზღვაზე რუ-

სეთის გაბატონებისაგან მოელოდათ და 1854 წლის იანვარში მოკავშირეთა ფლოტი თურქეთის გემების დაცვის საბაბით, შავ ზღვაში შემოვიდა. ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტის შავ ზღვაში გამოჩენა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ომის გაჩაღება, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ძირფესვიანად ცვლიდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მდგომარეობას — იგი აშკარა კატასტროფის წინაშე იდგა. მეფისნაცვალ ვორონცოვს კარგად ესმოდა ის საფრთხე, რომელიც შავ ზღვაში მოკავშირეების ფლოტის შემოსვლით შეექმნა საქართველოს. მართალია, მოკავშირეების მთავარი მიზანი სევასტოპოლი იყო. მათ რუსეთის ფლოტის განადგურება და ყირიმის თურქეთისათვის დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ მათი მხოლოდ გამოჩენაც კი შავ ზღვაზე საკმარისი იყო იმისთვის, რომ რუსეთი კავკასიის საბოლოოდ დაკარგვის სერიოზული საფრთხის წინაშე დამდგარიყო.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ხაზის სიმაგრეებს ორი მხრიდან მოელოდა შეტევა, ზღვიდან და ხმელეთიდან, სადაც ჩერქეზები მუდამ მზად იყვნენ მათ შესამუსრავად. შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის შემდეგ, სახმელეთო გზების უვარგისობის გამო, სანაპირო სიმაგრეების გარნიზონის საკვებით და საჭურველით მომარაგებაც კი შეუძლებელი გახდებოდა და გარდა იმისა, რომ სანაპიროს გარნიზონები წინასწარ განწირული იქნებოდნენ, მთელი დასავლეთ საქართველო დაუცველი რჩებოდა.

ვორონცოვი ითვალისწინებდა, თუ რა განსაცდელში ჩავარდებოდა რუსეთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან აშკარა განხეთქილების შედეგად და 1854 წლის 18 იანვრის წერილში ნიკოლოზ I-ს სთხოვდა ყველა ღონე ეხმარა, რომ ინგლის-საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე არ მისულიყო საქმე. იგი ურჩევდა იმპერატორს კეთილგონიერებისათვის მოეხმო და ზომიერება გამოეჩინა, ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობის ფასად მშვიდობიანი განწყობილება შეენარჩუნებინა ამ სახელმწიფოებთან, ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ეს უკანასკნელნი ნეიტრალურნი დარჩენილიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის გამო, რომ შავ ზღვაზე მტრის ძლიერ ფლოტს რუსეთი ვერ გაუმკლავდებოდა, მას ხელი უნდა აეღო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ყველა სიმაგრეზე. აქ მდგარ გარნიზონებს, გელენჯიკიდან დაწყებული აფხაზეთის საზღვრებამდე, უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ და, ე. ი. წინასწარ განწირული იყვნენ. ყოველივე ამას დამღუპველი შედეგები უნდა მოჰყოლოდა კავკასიაში რუსეთის ძლიერების შენარჩუნებისათვის[1]. როგორც ნიკოლოზ I-ის საპასუ-

[1] AKAK, X, გვ. 341—342.

ხო წერილიდან ირკვევა, მასაც კარგად ჰქონია შეგნებული ის საფრთხე, რომელიც მოელოდა კავკასიას შავ ზღვაზე მოკავშირეების ფლოტის გაბატონებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრულიად შეუძლებლად და „დამამცირებლად“ თვლიდა დათანხმებოდა ვორონცოვს და ევროპის სახელმწიფოების მიმართ წასულიყო თუნდაც უმნიშვნელო დათმობებზე. «...нет сомнения, что положение нашей береговой линии плачевно, — სწერდა იგი ვორონცოვს, — помочь ему ни в твоих, ни в моих силах. Предвидя потери наших фортов и гарнизонов, нельзя не соболезновать о их злой участи, но из сего однако сделать уступки, ни с чем не сообразные, было бы унизительно и недостойно. В военном быту бывают несчастные случаи, где частью войск жертвуют, хотя скрепя сердце, для достижения главной цели»[1].

ომის შემდგომი მსვლელობისათვის ნიკოლოზ I აუცილებლად თვლიდა გაერკვია ავსტრიის პოზიციები და ყოველი ღონე ეხმარა მისი მხარდაჭერის თუ არა ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად მაინც. მაგრამ რუსეთის მოსალოდნელი გამარჯვებით შეშფოთებულმა ავსტრიამ აგრძნობინა მას, რომ რუსი ჯარების მიერ დუნაის გადალახვის შემთხვევაში ავსტრია ყოველმხრივ ეცდებოდა ხელი შეეშალა მისთვის, რუსეთის ჯარების მიერ ბალკანეთის გადალახვის შემდეგ კი მტრულ პოზიციებს დაიკავებდა. ავსტრიიდან, საზღვარზე, დუნაის სამთავროებისაკენ, სასწრაფოდ აგზავნიდნენ ჯარს 50 000 კაცის შემადგენლობით.

1854 წლის მარტში რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა და ინგლის-საფრანგეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ყოველივე ამის გამო მეფის რუსეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა; ომის შემდგომი მსვლელობა მას კარგს აღარაფერს უქადდა. როგორც აღვნიშნავდით, მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მტრული პოზიციების დაკავების შემდეგ, რუსეთი იძულებული იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეები დაეტოვებინა. ამ სანაპიროებისაკენ ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვის მეთაურობით გაიგზავნა ესკადრა გარნიზონის გამოსაყვანად. ესკადრამ ეს ოპერაცია წარმატებით ჩაატარა და გელენჯიკის, ნოვოროსიისკისა და ანაპის გარნიზონები დაღუპვას გადაარჩინა. 1854 წლის მარტში მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა რეადმა[2], საჭიროდ მიიჩნია რუსი ჯარების გამოყვანა აფხაზეთიდან. ამ უაღრესად ძნელი ოპერაციის შესრულება მან აფხაზეთის მთავარს გენერალ-ადიუტანტ მიხეილ შარვაშიძეს მიანდო. შარვაშიძეს ჩრდილო კავკასიის ტომებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და დიდი გავ-

---

[1] Кавказский сборник, XXVI, Тиф., 1907.

[2] 1854 წლის მარტში ვორონცოვმა ავადმყოფობისა და ხანშიშესულობის გამო განთავისუფლება ითხოვა.

ლენით სარგებლობდა მათ შორის. მიხეილმა ყოველი ღონე იხმარა ამ დავალების წარმატებით შესასრულებლად და, მართლაც, მოახერხა სრულიად უდანაკარგოდ გადმოეყვანა რუსის ჯარი აფხაზეთიდან სამეგრელოში.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სიმაგრეებიდან და აფხაზეთიდან ჯარების გადმოყვანის შემდეგ, დასავლეთ საქართველო სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ვარდებოდა — მტერს სამეგრელოსა და იმერეთში შემოსაჭრელად გზა გახსნილი ჰქონდა. მართალია, აფხაზეთიდან გამოყვანილი 5 ბატალიონით გურიის რაზმი გაძლიერდა, მაგრამ ეს უმნიშვნელო გაძლიერება იმ საფრთხესთან შედარებით, რაც დასავლეთ საქართველოს სანაპირო სიმაგრეებისა და აფხაზეთის ევაკუაციით მოელოდა, არაფერს ნიშნავდა. 1854 წლის კამპანიაში კავკასიის ფრონტზე „რიონის მხარის“ დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, საჭირო იყო გურიის რაზმის გაძლიერება, კავკასიის ცენტრალური პოზიციებიდან მაშველი ჯარების გადასროლა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამ დროისათვის ყარსთან 60 000 კაცისაგან შემდგარი ანატოლიის კორპუსი მოვიდა და სრულიად შეუძლებელი გახდა ამ ღონისძიების ჩატარება.

ომის კრიტიკულ ეტაპზე ახალციხე-გურიის რაზმების უფროსად დაინიშნა გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი. ანდრონიკაშვილი სასწრაფოდ გაემგზავრა ოზურგეთში და ენერგიულად შეუდგა გურიის რაზმის საბრძოლო წესრიგში მოყვანას. 1854 წლის მარტის ბოლოსათვის გურიის რაზმში სულ 10 ბატალიონი, 2 ასეული რეგულარული ჯარი და 40 ასეულამდე სახალხო მილიცია ითვლებოდა. ისინი განლაგებული იყვნენ ოზურგეთის განაპირა მხარეებსა და ჩოხატაურის მაღლობებზე[1]. მოსალოდნელი იყო მტრის თავდასხმა ბათუმისა და სოხუმ-კალეს მხრიდან, გარდა ამისა შესაძლებელი იყო თურქები შეტევაზე გადმოსულიყვნენ არდაგანიდან და აჭარიდან და თავს დასხმოდნენ ახალციხეს. ანდრონიკაშვილმა აუცილებლად მიიჩნია მჭიდრო კავშირის დამყარება გურიისა და ახალციხის რაზმებს შორის, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ საჭიროების შემთხვევაში მსწრაფლ დახმარებოდნენ ერთმანეთს. ამ მიზნით მან ბრძანა წესრიგში მოეყვანათ იმერეთ-ახალციხის დამაკავშირებელი ყველაზე უფრო მოსახერხებელი აბასთუმნის გზა. აბასთუმნის გზის დაცვა ქუთაისის მცხოვრებლებს დაევალათ.

ზამთრის განმავლობაში თურქებმა ახალციხესთან განადგურებული რაზმის ნაცვლად შეადგინეს 34 ათასკაციანი კორპუსი, რომელიც საუკეთესო მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული, ჯარს სელიმ ფაშა მეთაურობდა. იგი ბათუმიდან უნდა შემოჭრილიყო გურიაში. ამავე დროს ყარსში დაბანაკებული 60-ათასიანი ანატოლიის კორპუსი ალექსანდროპოლს

---

[1] ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 276.

ემუქრებოდა, ხოლო ბაიაზეთიდან თურქებმა ერევნისაკენ ძლიერი რაზმი წამოსწიეს წინ. ამ ჯარებს თბილისში მოეყარათ თავი, ე. ი. კავკასიის კორპუსი იძულებული იყო 3 მხრით ებრძოლა.

თურქები ბათუმიდან ქობულეთში გადმოვიდნენ, მოკავშირეების ფლოტმა რედუტ-კალეში, ანაკლიაში, სოხუმსა და სხვა მიტოვებულ სიმაგრეებში დესანტი გადმოსხა. ასეთ პირობებში ანდრონიკაშვილმა ოზურგეთში გაჩერება აღარ სცნო მიზანშეწონილად და გადაწყვიტა, ვიდრე ციებ-ცხელებისაგან განაწამები ჯარი გამოკეთდებოდა, საკვების, ფურაჟისა და ტყვია-წამლის მიწოდების საქმეს წესრიგში მოიყვანდა, დროებით რიონისაკენ დაეხია უკან. იგი სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ თუ რუსის ჯარი ოზურგეთში იქნებოდა გაჩერებული, სელიმ ფაშა მოვლითი გზებით ქუთაისისაკენ გასწევდა, ხოლო მის რიონზე დაბანაკების შემთხვევაში, მტერი ოზურგეთში შეჩერდებოდა. ანდრონიკაშვილმა ჯარი რიონის ორივე ნაპირზე აკეთის სიმაღლეებთან დააბანაკა. რეგულარული ჯარის ოზურგეთიდან გამოყვანის შემდეგ თითქმის ნახევარი გურია სახალხო მილიციის ამარა რჩებოდა. მშვიდობიანი მოსახლეობა იარაღს ისხამდა და მტრის დასახვედრად ემზადებოდა. გურული თავადაზხაურები და გლეხები საზეიმოდ დებდნენ ფიცს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ. გურიის მილიცია მალაქია გურიელის მეთაურობით სოფ. მაკვანეთში გურიის საზღვრებთან დაბანაკდა. მალაქია გურიელი შეკვეთილში დაღუპული გიორგი გურიელის ძმა იყო. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში და, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ძალიან მოხდენილი ვაჟკაციც ყოფილა. კავკასიის მეფისნაცვალი მურავიოვი მას „გურული ხალხის მშვენებას“ უწოდებდა.

სელიმ-ფაშა თავისი რაზმით მოუახლოვდა გურიის საზღვრებს, მაგრამ დიდხანს ვერ ბედავდა მდ. ჩოლოქის გადმოლახვას. ბოლოს მის ყურამდე მიაღწია ივანე ანდრონიკაშვილის მიერ განზრახ მის შემოსატყუებლად დარხეულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლის-საფრანგეთის ომში ჩაბმით შეშინებული რუსები გურია, სამეგრელო, იმერეთიდან აპირებდნენ ჯარის გაყვანას და თბილისთან თავმოყრას. ამ ხმებით გათამამებული სელიმ-ფაშა გურიაში შემოიჭრა და ოზურგეთში დაბანაკდა. თურქებს მოჰყვნენ საქონლით დატვირთული ინგლისელი ვაჭრები და მოსახლეობის მოზიდვას ცდილობდნენ. მაგრამ გურულმა მოსახლეობამ მალაქია გურიელის მეთაურობით, რომლის რაზმი დღითი დღე იზრდებოდა, თურქების წინააღმდეგ ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და მტერს შეიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. სასაზღვრო ზოლის დაცვა თურქების მხრიდან გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს მილიციის საშუალებით ხორციელდებოდა. მილიცია რეგულარულად აწვდიდა სარდლობას ცნობებს თურქთა ჯარების განლაგების შესახებ. გურიის მილიციამ შეატყო-

გენერალი ი. ანდრონიკაშვილი

ბინა სარდლობას, რომ თურქების 12-ათასიანმა რაზმმა მდინარე სუფსა გადმოლახა და ლანჩხუთის ხეობით ს. ნიგოეთისაკენ მოეშურებოდა. რაზმი უმთავრესად ბაში-ბუზუკებისაგან შედგებოდა. იგი მოჰყავდა რენეგატ ჰასან-ბეი თავდგირიძეს. სოფ. ნიგოითთან ქუთაისისაკენ მიმავალ გზას იცავდა ნიკოლოზ ერისთავი 2 ბატალიონით და 4 ქვემეხით. ერისთავის დასახმარებლად ანდრონიკაშვილმა 12-მდე ცხენოსანი და ქვეითი მილიციის ასეული გაგზავნა. 27 მაისს განთიადისას სოფ. ნიგოითთან ლანჩხუთის ტყეში ნიკოლოზ ერისთავი ანაზდად თავს დაესხა თურქებს. ერისთავმა იცოდა, რომ კაჟიანი თოფებით შეიარაღებული ჯარით მოწინააღმდეგის შორსმსროლელ შაშხანებთან ვერაფერს გახდებოდა და ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა. მტერმა დიდხანს ვერ გაუძლო შეტევას და უკან დახევა დაიწყო. თავადი ერისთავი ქვეითი ჯარით და მილიციით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მტერს. მან ტყიდან გასასვლელი ბილიკები ჩაკეტა და უკანდასახევი გზა მოუჭრა. მტრის დევნაში გართულ მეომრებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ ჰასან-ბეი ბაში-ბუზუკების რაზმით ჩუმად ხელიდან გაუსხლტა. ჰასან-ბეიმ ზურგიდან შემოუარა ერისთავის რაზმს და რუსთა ბანაკს დაეცა, მაგრამ ერისთავი დროზე მიხვდა მტრის ფანდს და სასწრაფოდ გაეშურა ბანაკში მყოფი ჯარის დასახმარებლად. რუსთა რეგულარულმა ჯარებმა და მილიციამ სასტიკად დაამარცხეს ჰასან-ბეის რაზმი. თვით ჰასან-ბეი გაქცევას ლამობდა, მაგრამ გურულმა აზნაურმა ერასტი ჭყონიამ მას ხმლის ერთი მოქნევით მოჰკვეთა თავი და გენერალ ანდრონიკაშვილს მიართვა.

ნიგოითთან თურქების დამარცხების მერე ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო ოზურგეთის თურქების მთავარი კორპუსისათვის შეეტია და ოზურგეთისაკენ გასწია. ამ დროისათვის სელიმ-ფაშას ოზურგეთი დაეტოვებინა, მდ. ჩოლოქზე გადასულიყო და გურიის საზღვართან იყო დაბანაკებული. ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო 11 ბატალიონი ქვეითი რეგულარული ჯარით, დონელი კაზაკების 4 ასეული, გური-

ის ექვსი ქვეითი რაზმი, იმერეთის მილიციის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ასეული, რომლის ერთ-ერთ ასეულს ხელმძღვანელობდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის თანამედროვე — 75 წლის — ქაიხოსრო მიქელაძე. ქაიხოსრო მთელ იმერეთში განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობით და გარეგნობით. მან მიქელაძეების გვარის თავადებისაგან შეადგინა მთელი ასეული და, როგორც თანამედროვე გადმოგვცემს, საბრძოლოდ ამხედრებულმა ქაიხოსრომ სახალხოდ გამოაცხადა, რომ იგი მტრის საბოლოოდ დამარცხებამდე და უკანასკნელ გასროლამდე თავდადებით იბრძოლებდა. აქვე ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში მყოფ ქართული ნაკრები ცხენოსანი ლაშქრის აღწერაზე. ეს ლაშქარი 1854 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა და სპეციალური სამხედრო სწავლება გაიარა. იგი შედგებოდა საუკეთესო ნარჩევი ვაჟკაცებისაგან. ლაშქრის უფროსი იყო მამაცობით განთქმული გიორგი ჯანდიერი, რომელსაც მეტსახელად „დროშა-გიორგის" უწოდებდნენ. ლაშქრის პირველ ასეულში იყვნენ მხოლოდ ოსები, რომლებიც სხვა ასეულებისაგან გამოსარჩევად წითელ ნიშანს ატარებდნენ და წითელფსკერიანი ფაფახები ეხურათ. მათი მეთაური იყო თავადი გიორგი მაჩაბელი. მეორე ასეული სიღნაღის მაზრის მცხოვრებთაგან იყო შედგენილი, ჰქონდათ თეთრი ნიშანი და თეთრი ფაფახები. მათ მეთაურობდა თავადი ზაქარია ანდრონიკაშვილი. მესამე ასეულში თელავის მაზრის მცხოვრებლები იყვნენ, მეთაურობდა ნიკო ჭავჭავაძე, ჰქონდათ მოყვითალო-ოქროსფერი ნიშანი. მეოთხე ასეული შედგენილი იყო თბილისისა და გორის მაზრის მცხოვრებლებისაგან, მეთაურად ჰყავდათ თავადი დავით ვახვახიშვილი, ატარებდნენ ცისფერ ნიშანს. მეხუთე ასეულში იყვნენ თუშები და ფშავები შავი ნიშნით და შავი თუშური ქუდით, მათ მეთაურობდა ვაჟკაცობით განთქმული ელისაბერიძე, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული. მეექვსე ასეული მწვანე ნიშნით გამოდიოდა და მის შემადგენლობაში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი გვარების თავადაზნაურობის წარმომადგენლები შედიოდნენ, მეთაური იყო თავადი გიორგი ერისთავი. ლაშქარს მიუძღვებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული გოლიათური აგებულების ბოდბისხეველი ნატროშვილი, რომელსაც შავი დროშა მოჰქონდა. თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართული ლაშქარი თავისი ჩაცმულობით და საბრძოლო გარეგნობით თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა.

ოზურგეთში მისვლისას ანდრონიკაშვილმა თავისი გენერლები შეკრიბა და მომავალი ბრძოლის შესახებ თათბირი გამართა. უმრავლესობის მოთხოვნის მიუხედავად, რამდენიმე დღით გადაედოთ შეტევა, ვიდრე კარგად არ შეისწავლიდნენ მტრის ძალებს, ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა სწრაფი და გაბედული იერიში მიეტანა მტერზე, რათა ესარგებლა ნიგოითთან მათი დამარცხების შემდეგ თურქებისა დემორალიზაციით.

4 ივნისს, გათენებისას, „გურიის რაზმმა“ დატოვა ოზურგეთი და გაემართა გურიის საზღვრებისაკენ, სადაც მდ. ჩოლოქს გაღმა, მისთვის ხელსაყრელ პოზიციებზე იყო განლაგებული ბათუმის 35-ათასიანი კორპუსი სელიმ-ფაშას მეთაურობით.

ავანგარდში მიდიოდა გურული მილიცია მაჭავარიანისა და თავდგირიძის მეთაურობით, რომელნიც გზაში თურქების მეწინავე რაზმს წააწყდნენ. მილიცია შეებრძოლა ამ რაზმს, სასტიკად დაამარცხა და გაფანტა ისინი, თვითონ ჩოლოქისაკენ დაეშვა და თურქების უკანდასახევი გზა დაიკავა.

გურიის რაზმმა გადალახა ჩოლოქი და საბრძოლოდ განლაგებულ მტრის პირდაპირ აღმოჩნდა. ბრძოლა საარტილერიო ცეცხლით დაიწყო. შემდეგ ანდრონიკაშვილის განკარგულებით ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო 2 კოლონა, გენერლების მეიდელისა და ბრუნერის მეთაურობით. მეიდელის კოლონა პირდაპირ ეკვეთა მტერს, ხოლო ბრუნერის კოლონასა და ქვეით მილიციას მტრის მარჯვენა ფლანგიდან უნდა შემოეარა და მეიდელთან ერთდროულად დაეცხო მისთვის. გენ. მეიდელმა ხელჩართული ბრძოლა გამართა და კარგად შეავიწროვა თურქები, ამავე დროს ბრუნერის კოლონასაც რომ დაერტყა მტრისათვის, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ ბრუნერი გაუგებარი მიზეზის გამო იგვიანებდა. მეიდელის კოლონა თავისიანებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და ბრძოლის ბედი ბეწვზე ეკიდა. გათამამებული თურქები მთელი ფრონტით შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ანდრონიკაშვილი არ დაიბნა. მან უბრძანა კავალერიას ჩაბმულიყო ბრძოლაში. როგორც ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე ქართული ლაშქრის ინსტრუქტორი ივანე ამილახვარი მოგვითხრობს, კავალერია, იმერეთის ცხენოსანი მილიცია ქართული ლაშქარი გააფთრებული ეკვეთა მტერს. დონელი კაზაკების ასეულები პოლკოვნიკ ხარიტონოვის მეთაურობით და იმერეთის ცხენოსანი მილიცია ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით მტრის მოწინავე პოზიციებში შეიჭრა, ხოლო ქართულმა ლაშქარმა მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა და ზურგიდან დაესხა მტერს. შეტევაზე გადასული ქართული ლაშქარი ისეთი ელვის სისწრაფით მიაგელვებდა ცხენებს, რომ წინა რიგებში მყოფი ასეულის მეთაურები დავით ვახვახიშვილი და ზაქარია ანდრონიკაშვილი ღრმად შეიჭრნენ თურქების რიგებში და მტრის ხიშტებზე წამოგებულებმა ბრძოლის ველზე განუტევეს სული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავითი ამ ომში დაღუპული 4 ძმა ვახვახიშვილების მეხუთე ძმა იყო. ლაშქარმა ამ ბრძოლაში 120 კაცი დაკარგა, მაგრამ თითქმის სავსებით გაანადგურა მტრის რეგულარული ჯარის გვარდიის ბატალიონი; წაართვა მათ დროშა, ასეულის ნიშნები და ქვემეხი. ასევე შეუპოვრად ებრძოდა მტერს დონელ კაზაკთა პოლკი, რომელთა მეთაური ხარიტონოვი ბრძოლის ველზე დაეცა.



„საქართველოს ცხენოსანი დრუჟინის“ დროშა.

ამ ბრძოლაშივე დაიღუპა იმერეთის მილიციის სახელოვანი მეთაური ქაიხოსრო მიქელაძე.

შეტევაზე გადასულ კავალერიას ანდრონიკაშვილმა ფეხდაფეხ მიაყოლა ჯარის დანარჩენი ნაწილები და მტრის წინააღმდეგ გაშლილ შეტევაზე გადავიდა. სისხლისმღვრელი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ თურქები იძულებული გასდნენ უკან დაეხიათ. მაგრამ რუსი და ქართველი ცხენოსნები მათ ფეხდაფეხ დაედევნენ და იქამდე სდიეს, ვიდრე სელიმ-ფაშას ჯარების გზააბნეული ნაშთები მდ. ლეღვს იქით არ გადაკარგეს. თვითონ სელიმ-ფაშა რამდენიმე მხლებელით ქობულეთს გაიქცა. ჩვენ ჯარს ხელთ ჩაუვარდა თურქების ბანაკის სამხედრო ქონება-ინვენტარის მთელი მარაგი, არტილერია და სხვ. თურქების რიცხობრივი სიჭარბის მიუხედავად (სელიმ-ფაშას განკარგულებაში 35 ათასამდე ჯარისკაცი ითვლებოდა, როცა ანდრონიკაშვილს 10 000-კაციანი ჯარი ჰყავდა) გამარჯვება სრული იყო. ჩოლოქთან ბრძოლაში თითქმის სავსებით განადგურდა ბათუმის კორპუსი.

ჩოლოქთან გამარჯვებამ ბოლო მოუღო უცხოელი გენერლების მიერ შედგენილ გეგმას, რომლის მიხედვითაც ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით წამოსული თურქთა რაზმი სურამის უღელტეხილის გადავლით უნდა შეერთებოდა სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსს, რათა შემდეგ „გაშლილი კომბინირებული შეტევა“ დაეწყო, რასაც, მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა — „რუსეთის ბატონობის დასასრული ამ მხარეში“[1].

იმავე ხანებში შამილმა კვლავ სცადა საქართველოში შემოჭრა და თურქების ჯარებთან შეერთება. 1854 წლის ივლისში შამილი 12-ათასიანი არმიით შეიჭრა კახეთში, ხანმოკლე ბრძოლით დაიკავა სოფ. შილდა. ერთ-ერთმა რაზმმა დაარბია ალაზნის ნაპირები, ისინი წინანდალისაკენ გაიჭრნენ, გაძარცვეს თავად დავით ჭავჭავაძის სახლი, დაატყვევეს ქალები და ბავშვები. დატყვევებულთა რიცხვში იყვნენ დავითის მეუღლე, და ბაშკადიკლართან დაღუპული ილია ორბელიანის მეუღლე. შამილი, რაზმის სრული განადგურების შიშით, იძულებული იყო მალევე გაბრუნებულიყო უკან. ამ დივერსიას თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე, გარდა იმისა, რომ ჩოლოქთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდროპოლის მთავარი კორპუსის დასახმარებლად მიმავალი გენერალი ანდრონიკაშვილი თავისი ჯარებით იძულებული იყო თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც გაიგო, რომ შამილის შემოსევა უკვე მოგერიებული იყო.

ჩოლოქთან გურიიის რაზმის გამარჯვებამ ამიერკავკასიის ფრონტის სხვა უბნებზე მოქმედ ჯარებს საშუალება მისცა შეტევაზე გადასულიყვნენ.

17 ივლისს გენერალ ვრანგელის მეთაურობით რუსის ჯარები თავს დაესხნენ ბაიაზეთის მახლობლად ჩინგილის მაღლობზე განლაგებულ თურქებს. ბაიაზეთის ეს რაზმი ქურთების ცხენოსანი მილიციის მხარდაჭერით სარგებლობდა და ერევნის ციხე-სიმაგრეს ემუქრებოდა. ბრძოლა ჩინგილის მაღლობზე 2 საათს გრძელდებოდა და რუსების სრული გამარჯვებით დამთავრდა. რუსებმა გაანადგურეს ბაიაზეთის რაზმი და შორს გარეკეს იგი. 2 დღის შემდეგ გენერალ ვრანგელმა დაიკავა ქალაქი ბაიაზეთი. ძალე ამას მოჰყვა 1854 წლის კამპანიის ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება. ალექსანდროპოლის რაზმის უფროსს ბებუთოვს მოუვიდა ცნობა, რომ ყარსში მდგარი თურქების ანატოლიის 60-ათასიანმა კორპუსმა, მუსტაფა ზორიფ-ფაშას მეთაურობით, დატოვა ყარსი და სოფ. კიურეკ-დართან განლაგდა. ბებუთოვმა თავისი რაზმი მსწრაფლ წაიყვანა შეტევაზე. 24 ივლისს თურქეთის ტერიტორიაზე სოფ. კიურეკ-დართან მოხდა ბრძოლა, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარების რიცხობრივი თანაშეფარდება თურქების სასარგებლოდ იყო, მტერმა ვერ შეძლო თავისი უპირატესობით ესარგებლა და კიურეკ-დართან ბრძოლა გენერალ ბებუთოვისა და მისი

---

[1] ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 311—312.

რაზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ამ გამარჯვებებს და საერთოდ მთელ 1854 წლის კამპანიას ამიერკავკასიის ფრონტზე ყირიმის ომისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არ ჰქონია.

1854 წლის ივლისში გურიის რაზმის უფროსად გენერალი ივანე მუხრან-ბატონი დანიშნეს. მუხრან-ბატონმა შეადგინა საბრძოლო გეგმა, რომლითაც ითვალისწინებდა, რომ თურქეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს ყოველთვის ადვილად შეეძლოთ ძლიერი დესანტის გადმოსხმა გურია-სამეგრელოს სანაპიროებზე. ამ დროისათვის შავ ზღვაზე მოკავშირეთა ფლოტი ბატონობდა, ხოლო რუსეთის ფლოტი სევასტოპოლთან იყო ჩაკეტილი. შავი ზღვის მთელი სანაპირო კი, რუსეთის გარნიზონების ევაკუაციის შემდეგ, მოწინააღმდეგეთა ფლოტისა და ჯარებისათვის სავსებით გაშიშვლებულ პლაცდარმს წარმოადგენდა და მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა ერთდროულად, ან ნაწილ-ნაწილ ქობულეთის, რედუტ-კალესა და აფხაზეთის მხრიდან. ამიტომ ჯარს უნდა დაეკავებია ისეთი პოზიციები, საიდანაც უფრო ადვილად შეაჩერებდა მოწინააღმდეგის შემოტევას. მუხრან-ბატონმა უპირველეს ყოვლისა, რომ გაეძნელებია მტრისათვის აფხაზეთიდან ინგურზე გადმოსვლა, ყურადღება მიაქცია სამურზაყანოს, იქაური მოსახლეობისგან ჩამოაყალიბა მილიცია და აფხაზეთიდან მომავალი გზები გაუსვლელი გახადა. მისი გეგმის მიხედვით სამეგრელოს წინა ხაზი დაიკავა ადგილობრივმა მილიციამ, რეგულარული ჯარები კი განლაგებული იყო ზუგდიდსა, ხეთასა და ხობის მონასტერთან. თუ მტერი შემოუტევდა ერთდროულად რედუტ-კალედან და ინგურიდან, ჯარი უნდა შეგროვილიყო ხეთაში. ეს პოზიცია რედუტ-კალესა და ინგურიდან გადმოსულ მტრის ჯარს შუაში ყოფდა.

გურიის დასაცავად იგივე საფუძველზე იყო შედგენილი გეგმა. ქობულეთის საზღვარი და ზღვისპირი დაკავებული იყო ძლიერი მილიციით, რომელიც მტერს უნდა შეხვედროდა უშუალოდ საზღვრის გადმოლახვის შემდეგ. რეგულარული ჯარების განსალაგებლად არჩეული იყო აკეთის მთის პოზიციები. აკეთის მთები ბუნებრივად მიუვალი იყო და ქუთაისისკენ მიმავალ ორ გზას (ერთი მხრივ ლანჩხუთ-ნიგოითის გავლით, მეორე მხრივ ჩოხატაურის გავლით) შორის იყო გადაჭიმული. გურია-სამეგრელოს დამცველი რაზმების დასაკავშირებლად და საერთო რეზერვის განსალაგებლად არჩეული იყო ორივე პოზიციებიდან თანაბარი მანძილით დაშორებული სოფელი სორტა. რაზმების უკეთ დასაკავშირებლად რიონზე მოაწყვეს გადასასვლელი. ქვეითი ჯარის 6 ბატალიონი განლაგდა სამეგრელოში ზუგდიდ-ხეთა-ხობის პოზიციებზე, გურიაში აკეთის პოზიციებზე დააყენეს 4 ბატალიონი, 6 ბატალიონი კი რეზერვად იდგა სოფელ სორტაში. მუხრან-ბატონის გეგმის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მტერთან შეხვედრას მორიდებოდა, არ მიეცა მისთვის გადა-

მწყვეტი მოქმედებების საშუალება. საჭირო იყო მოეგოთ დრო, ვიდრე აღმ. საქართველოდან შეტევისათვის რეზერვი მოვიდოდა, რომელსაც უნდა შეეტია უკვე ნაწილობრივ ბრძოლით დასუსტებული მტრისათვის.

ზამთრის დაწყებამდე გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვრებზე სახალხო მილიცია და პარტიზანები იგერიებდნენ თურქების დივერსიულ გამოხდომებს.

მთელი ზამთრის განმავლობაში თურქეთი გამალებული ემზადებოდა 1855 წლის კამპანიისათვის. მათ მთავარი ყურადღება მიაქციეს, ისედაც ბუნებრივი გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული მდებარეობით მიუვალი ყარსის ციხის გამაგრებას. ინგლისელი სპეციალისტების ზედამხედველობით აგებულ იქნა საფორტიფიკაციო ზღუდეები და ბასტიონები, რომელთაც ყარსი მრისხანე ციტადელად აქციეს. ყარსში განლაგებულ ძლიერ თურქეთის არმიას მეთაურობდა ინგლისელი გენერალი ვილიამსი. ამავე დროს თურქეთი ყოველმხრივ ცდილობდა დაეყოლიებინა მოკავშირეები დასავლეთ საქართველოში ძლიერი დესანტის გადასხმაზე, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. საფრანგეთი საქართველო-ამიერკავკასიით სრულებით არ იყო დაინტერესებული, მის უპირველეს ამოცანას სევასტოპოლ-ყირიმის აღება წარმოადგენდა და ინგლისიც საქართველო-ამიერკავკასიის პრობლემის გადაწყვეტას ყირიმში სრული გამარჯვების მოპოვებამდე სდებდა.

მთელი ზამთრის განმავლობაში თურქები და რუსები ერთმანეთს უთვალთვალებდნენ და არც ერთი მხარე არ აპირებდა გადამწყვეტი მოქმედების დაწყებას.

1855 წლის გაზაფხულზე ხანში შესული და სერიოზულად დაავადმყოფებული მეფისნაცვალი ვორონცოვი გენერალმა მურავიოვმა შეცვალა.

ივნისის დასაწყისში მურავიოვი 25 ათასამდე ჯარით ყარსის ასაღებად გაეშურა. მან თანდათანობით დაიწყო ყარსისათვის ალყის შემორტყმა, ყარსისა და ერზერუმის დამაკავშირებელი ყველა გზა ჩაკეტა და მჭიდრო მარყუჟში მოაქცია ყარსის ციხე-სიმაგრე.

ოსმალეთი ყარსის ალყამ ძალზე შეაშფოთა, რადგანაც მისი აღებით რუსებს მცირე აზია-ანატოლიისაკენ გზა გახსნილი ექნებოდათ. ოსმალეთი ევროპელი მოკავშირეებისაგან დაუყოვნებლივ მოითხოვდა ყარსის გადასარჩენად ზომების მიღებას, მაგრამ ინგლის-საფრანგეთი სევასტოპოლის აღებამდე არ აპირებდა ყარსის გადარჩენისათვის მაშველი არმიის გამოგზავნას.

ოსმალთა ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა მრავალრიცხოვანი არმიის გადმოსხმა სამეგრელოში. ამით ძლიერ მუქარას შეუქმნიდნენ და იძულებულს გახდიდნენ რუსებს, რომ ყარსის ალყა მოეხსნათ. მარქსის თქმით,

ეს იყო „ერთადერთი სტრატეგიული იდეა, რომელიც ამ ომმა წარმოშვა“[1].

ოსმალთა ჯარების გადმოსხმა საქართველოში მხოლოდ სევასტოპოლის აღების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1855 წლის 2 სექტემბერს ბათუმში 8-ათასიანი ჯარი გადმოსხეს. მთელი სექტემბრის განმავლობაში ბათუმში, ყულევსა და ტრაპიზონში გრძელდებოდა ოსმალთა ჯარების გადმოსხმა. ჯარების მთავარსარდალმა ომერ-ფაშამ ყარსისკენ გაჭრა სცადა, მაგრამ ეს მოსატყუებელი მანევრი უფრო იყო. ომერ-ფაშას სავსებით არ შესწევდა ძალა, რომ ბათუმიდან ყარსამდე უამრავი დაბრკოლებებით აღსავსე მანძილი გადაელახა და ალყაშემორტყმულ ყარსის გარნიზონს მიშველებოდა, მითუმეტეს, რომ „ყარსის ციხე-სიმაგრისა და მისი გარნიზონისათვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენა სულაც არ შედიოდა ომერ-ფაშასა და მის ევროპელ შეფების ანგარიშში. მათი ყურადღების ცენტრში ამიერიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობისა და დანაწევრების პრაქტიკული ამოცანები იდგა“[2].

ცნობები ომერ-ფაშას მოქმედებისა და სევასტოპოლის დაცემის შესახებ ალყაშემორტყმულმა ყარსის გარნიზონმა თითქმის ერთდროულად მიიღო, რამაც ისინი სულიერად გაამხნევა. მურავიოვმა კი გადაწყვიტა თურქთა დამხმარე კორპუსის მოსვლისათვის დაესწრო და იერიშით აეღო ყარსის ციხე-სიმაგრე. წარმატების შემთხვევაში იგი შეძლებდა არდაგანის გზით ბათუმისკენ გალაშქრებას და თურქეთის მეორე არმიის განადგურებას. რაც მთავარია, მურავიოვი განსაკუთრებით მონდომებული იყო გაეფანტა ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა რუსეთში სევასტოპოლის აღებამ. მურავიოვი ისე გაიტაცა ამ იდეამ, რომ მან ყურად არ იღო გამოცდილ კაზაკთა გენერლის — ბაკლანოვის მტკიცება იმის შესახებ, რომ მათ განკარგულებაში მყოფი ძალებით ყარსის აღება სავსებით შეუძლებელი იქნებოდა. 17 სექტემბერს ყარსის გარშემო განლაგებულმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ციხეზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსი და ქართველი ჯარები არნახული თავგამოდებით და შეუპოვრობით იბრძოდნენ, ყარსის აღება მაინც ვერ მოხერხდა. იერიში განსაკუთრებით სისხლისმღვრელი გამოდგა რუსებისათვის. ბრძოლაში დაჭრილი და მოკლული იყო რუსების 4 გენერალი, 248 ოფიცერი და 7226 ჯარისკაცი. 17 სექტემბრის იერიშმა, მართალია, ძალიან შეასუსტა რუსების არმია, მაგრამ სულიერად არ დაცემულა. მურავიოვი ამ უბედური იერიშის შემდეგ კვლავ აგრძელებდა ყარსის ალყას. კავკასიის არმიის ყველა ბრძოლისუნარიან რაზმებს ყარსთან მოუყარეს თავი, გურიის რაზმი კი, რომელიც ყოველ წუთს მოელოდა გურია-სამეგრელოს მხრიდან მტრის ძლიერი

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. X, გვ. 555.

[2] ე. ბურჭულაძე, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 336.

დესანტის თავდასხმას, მაშველი ჯარის მიღების შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა.

ომერ-ფაშამ 1856 წლის სექტემბერ-ოქტომბერში 36-ათასიანი არმია გადასხა აფხაზეთში. აშკარა იყო, რომ ომერ-ფაშას ალყაშემორტყმული ყარსისათვის დახმარება კი არ ამოძრავებდა, არამედ იგი მთელი დასავლეთ საქართველოს თუ არა, აფხაზეთ-სამეგრელოს ხელში ჩაგდებით იყო დაინტერესებული.

აფხაზეთში დიდი არმიის გადასხმის შემდეგ ომერ-ფაშას სამეგრელოში შემოჭრას დღე-დღეზე ელოდებოდნენ. გურიის რაზმის უფროსი, მუხრან-ბატონი გამალებული ემზადებოდა გადამწყვეტი შეტაკებისათვის, მაგრამ მის განკარგულებაში მყოფი მცირერიცხოვანი რაზმით სამეგრელოს გაჭიმული საზღვრის დაცვა თითქმის შეუძლებელი იყო.

გურიის რაზმი ამ დროისათვის 16 ბატალიონისაგან შედგებოდა, აქედან 5 ბატალიონი გურიის დასაცავად იყო საჭირო, ყულევისა და ანაკლიიდან მომავალი გზების ჩასაკეტად 4 ბატალიონი გაიგზავნა, ინგურის ფრონტისათვის კი, საიდანაც მოსალოდნელი იყო აფხაზეთიდან წამოსული თურქების სამეგრელოში შემოჭრა, მხოლოდ 7 ბატალიონი რჩებოდა. რეგულარულ ჯარებთან ენგურზე დასავლეთ საქართველოს სახალხო ლაშქარიც იბრძოდა — დაახლოებით 5 ათას კაცამდე.

1856 წლის ოქტომბერში ომერ-ფაშა აფხაზეთიდან სამეგრელოსკენ დაიძრა. ჩვეულებრივ ამ დროისათვის მდინარე ენგური წყალდიდობის გამო თითქმის გაუვალი ხდებოდა. არსად არ შეიძლებოდა ნამდვილი ფონის მონახვა, ხოლო ხიდების აგება, მისი სწრაფი დინების გამო, თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ იმ წელიწადს გვალვებმა დიდხანს გასტანა. მდინარე ისე იყო დაპატარავებული, რომ მისი გადალახვა არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. საჭირო იყო ანაკლიიდან ჯვარამდე ენგურის სახაპიროს გამაგრება, მაგრამ იმ მცირე ძალებით, რომელიც მუხრან-ბატონის განკარგულებაში იმყოფებოდა, ამის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო. მუხრან-ბატონი შეეცადა რამდენიმე უფრო მოხერხებული გადასასვლელის გამაგრებას. ყველაზე უკეთ გაამაგრეს რუხის გადასასვლელი, რომელიც ზუგდიდისკენ მიმავალ მოსახერხებელ გზას კეტავდა. აქ დააყენეს 2 ბატალიონი 4 სამთო ქვემეხით, კაზაკთა 3 ასეული და სამეგრელოს ლაშქრის ცხენოსანთა ორი რაზმი. რუხთან ჩაყენებულ რაზმს მეთაურობდა გრიგოლ დადიანი. რუხის ქვევით კახათის გადასასვლელთან იდგა ქვეითი ჯარის 1 ბატალიონი და ლეჩხუმის ცხენოსანთა რაზმი, კონსტანტინე დადიანის სარდლობით. კახათის ოდნავ მოშორებით, ე. წ. სანარმანიოს გადასასვლელთან — ერთი ბატალიონი 2 ქვემეხით. ამ რაზმს რეზერვად ჰყავდა, პოლკოვნიკ იოსელიანის მეთაურობით, ორი ასეული საარტილერიო ქვემეხით. სანარმანიოს გადასასვლელის დაცვას ხელმძღვა-

ნელობდა აფხაზი პოდპოლკოვნიკი ზვამბაია. სანარმანიოდან ორი ვერსის დაშორებით, კოკის გადასასვლელთან იდგნენ რეგულარული ქვეითი ჯარის ორი ასეული და კაზაკთა ორი ასეული 2 ქვემეხით. იქვე მახლობლად ტყეში დაბანაკებული იყო საერთო რეზერვი კურინსკის 2 ბატალიონი და იმერეთის ცხენოსანთა მილიციის 4 რაზმი. კახათის, სანარმანიოსა და კოკის გადასასვლელებზე ჩაყენებული ჯარების და რეზერვის საერთო სარდლობა ევალებოდა დიმიტრი შარვაშიძეს.

1855 წლის 25 ოქტომბერს მოხდა ენგურის ცნობილი ბრძოლა.

ომერ-ფაშა მთელი თავისი ჯარით პირველად რუხის გადასასვლელს ეკვეთა, მაგრამ აქ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ ომერ-ფაშამ გადაწყვიტა მოწინააღმდეგე მოეტყუებინა; მან რუხის პოზიციებთან ორი ზარბაზანი დატოვა, რომლებიც განუწყვეტლივ ისროდნენ, თვითონ კი მთავარი ძალებით ფარულად დაეშვა ქვევით და სრულიად მოულოდნელად სანარმანიოს გადასასვლელზე მიიტანა იერიში. სანარმანიოს პოზიციებთან გაჩაღდა უთანასწორო სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც თითქმის საღამომდე გაგრძელდა. თურქები იერიშზე გადავიდნენ კოკის რაიონშიც და გარემოცვის მუქარით რუსებისა და ქართველების შეერთებული ჯარები აიძულეს უკან დაეხიათ. სანარმანიოსთან ბრძოლაში დაიღუპნენ ამ ბრძოლის სარდლები ზვამბაია და შემდეგ მისი შემცვლელები პოლკოვნიკები იოსელიანი, ივინი და კობელევი. 25—26 ოქტომბრის ღამით რეგულარულმა ჯარებმა და მილიციამ უკან დაიხია, ხოლო ენგურის ბრძოლის რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა ივანე მუხრან-ბატონმა სრულიად მოულოდნელად დატოვა სამეგრელო, გურიაში აკეთის პოზიციები და მთელ ჯარებს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირთან სოფ. მარანთან მოუყარა თავი.

რუსის ჯარების წასვლის შემდეგ სამეგრელო ომერ-ფაშას ხელთ რჩებოდა. მთელი საქართველო სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მოსახლეობა ადვილად როდი შეეგუა თურქთა ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციას. მთელი სამეგრელოს ტერიტორიაზე ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა.

ომერ-ფაშა შეეცადა სამეგრელოს მთავრის ეკატერინე დადიანის გადმობირებას. იგი ეკატერინეს სწერდა, რომ ოსმალეთი რუსეთის დამპყრობლურ მისწრაფებათა ჩასაშლელად იბრძვის, — ეკატერინესა და მის მცირეწლოვან შვილს, ლეჩხუმის სოფელ მურში გახიზნულებს, ზუგდიდში ეპატიჟებოდა და ორივეს სამეგრელოს მმართველად აცხადებდა.

ეკატერინე დადიანი, როგორც თვით ომერ-ფაშას წერილიდან ირკვევა, მას საყოველთაოდ აჯანყებულ სამეგრელოს მოსახლეობის დასამორჩილებლად სჭირდებოდა. მაგრამ ეკატერინე მტკიცედ იდგა რუსეთის ორიენ-

ტაციაზე. იგი ომერ-ფაშას მიერ გამოგზავნილ წერილებს რუსეთის სარდლობას უგზავნიდა, თვითონ კი ფაშას დუმილით პასუხობდა.

რუსეთის რეგულარული ჯარების სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული ბრძოლა და სახალხო ლაშქრის დარაზმვას არ მოკიდა ხელი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ოსმალთა განდევნის საქმეში დიდი როლი შეასრულა. მათ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ეკატერინეს მაზლი გენერალი გრიგოლ დადიანი და ყოველგვარ პირობებში, ავდარსა თუ დარში, დღისით თუ ღამით, სამეგრელოს მილიცია მოსვენებას არ აძლევდა „დაუპატიჟებელ სტუმრებს". იმ ხანებში სამეგრელოში კოკისპირული წვიმები დაიწყო. ადიდდა და სრულიად გადაულახავი შეიქმნა მდინარეები, გზები და მინდვრები ერთიან გაუვალ ჭაობებად იქცა. პარტიზანული ბრძოლის გაშლისათვის საუკეთესო პირობები შეიქმნა. ომერ-ფაშამ ვერც დაპირებებით, მოსყიდვით და შთაგონებებით, ვერც რეპრესიებით შეძლო მოსახლეობის მიმხრობა-დამშვიდება.

ოსმალები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ წინააღმდეგ მებრძოლ მოსახლეობას, წვავდნენ სახლებსა და სოფლებს მთლიანად. მარტო სენაკში, თეკლათსა და ზუბში განადგურებული იყო 700 სახლი. ზუგდიდის მაზრაში 22 სოფელი დაინგრა.

ამავე ხანებში ყარსის ციხე-სიმაგრის აღებისათვის წარმოებული ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. ყარსში მომწყვდეულ თურქეთის ჯარებსა და მათ მთავარსარდალს ვილიამსს ომერ-ფაშასაგან დახმარების მიღების იმედი აღარ ჰქონდათ. გარსშემორტყმულმა რუსეთის არმიამ კი გენერალ ბაკლანოვის ხელმძღვანელობით სრულიად დაუხშო გარნიზონს გარესამყაროსთან ურთიერთობის ყოველგვარი საშუალებანი. თურქეთის ჯარს გამოელია სურსათი, წყაროებისა და მდინარეების გაყინვის გამო სასმელი წყლის კრიზისსაც განიცდიდნენ, გავრცელდა ეპიდემიური ავადმყოფობანი და სხვ.

1855 წლის 12 ნოემბერს ყარსის გარნიზონის უფროსმა მუშირ ვასიფ-ფაშამ და ინგლისის გენერალმა ვილიამსმა გადაწყვიტეს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა, და 14 ნოემბერს ყარსის ციხე-სიმაგრე დანებდა რუსებს. ყარსის აღებამ დააჩქარა ყირიმის ომის დამთავრება. რუსების ხელში აღმოჩნდა კარგად გამაგრებული და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თურქეთის დაცვისათვის მეტად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ყარსი და ყარსის საფაშო. მომავალ საზავო მოლაპარაკების დროს რუსებს საშუალება ექნებოდათ ყარსის საკომპენსაციოდ ყირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლება მოეთხოვათ.

ყარსის გარნიზონის კაპიტულაციის შემდეგ ომერ-ფაშამ გასცა განკარგულება საექსპედიციო ჯარების უკანდახევის შესახებ. ამავე დროს

დასავლეთ საქართველოს სახალხო ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა. ეკატერინე დადიანი თვითონ შეუერთდა სახალხო ლაშქარს და პარტიზანულ ბრძოლებში პირადად მონაწილეობასაც კი იღებდა. დასავლეთ საქართველოში რუსეთის რეგულარული ჯარების დამატებითი ნაწილები გადმოვიდა. დაიწყო ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ შეტევა. სამეგრელოს მილიცია მოწინავე პოზიციებზე იბრძოდა. ოსმალები ზღვისპირისკენ იხევდნენ და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დასწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლეები, უწყალოდ გაჩეხეს ეკატერინე დადიანის მიერ ზუგდიდში გაშენებული იშვიათი პარკი და სხვ.

ოსმალთა ჯარებს ყირიმის ომის საზავო მოლაპარაკებამ ყულევში მოუსწრო. 1856 წ. 18 მარტს დადებული ზავის საფუძველზე მებრძოლ მხარეებს ერთმანეთისათვის უნდა დაებრუნებიათ დაპყრობილი ტერიტორიები. ყარსის ნაცვლად რუსეთმა დაიბრუნა ყირიმში დაკარგული ქალაქები, სამეგრელოს ნაწილი (ყულევის მიდამოები) და აფხაზეთი. სოხუმი ოსმალებმა 27 მაისს დასცალეს. დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა, მაგრამ ომიანობის გამო ქვეყნის მეურნეობა საფუძვლიანად შერყეული იყო.

ომის დროს მეფის რუსეთმა თავი დააღწია საქართველოს დაკარგვის საფრთხეს. საქართველო-ამიერკავკასიის შენარჩუნება მან ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხის ენერგიული მხარდაჭერით შეძლო. თვით სამეფო ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებული იყვნენ ხაზგასმით აღენიშნათ ქართველი ხალხის ღვაწლი თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი კოლუბიაკინი წერდა, რომ „ომმა მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოავლინა ადგილობრივი თავადაზნაურობის გულადობა. 1854 წელს ადგილობრივი მილიციის ჩინებულმა იერიშმა გადაწყვიტა ჩოლოქის ბრძოლის ბედი. ძლევამოსილად დაამთავრა პირველი კამპანია და დიდი ხხით უზრუნველყო ამიერკავკასიის საზღვაო სანაპირო ზოლი. 1855 წელს იმერეთის მწყობრმა ლაშქარმა თავისი მონაწილოებით ენგურზე, ისეთი მონაწილეობით, რომელიც მოწინააღმდეგეს დაუნდობელ სახალხო ომით ემუქრებოდა, დიდხანს შეაკავა ომერ-ფაშა შემოჭრისაგან. ბოლო დროს თავისი ყოველდღიური პარტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში მან დაამტკიცა ენერგიულობა, შეუპოვრობა და ქედმოუხრელი ერთგულება.

ყარსის აღებას რუსეთი ადგილობრივ თავადაზნაურობას უნდა უმადლოდეს, რადგან იმერეთი, ასე ვთქვათ, მოალყე კორპუსის კონტრვალაციურ ხაზს წარმოადგენდა. მთავარსარდალს მხოლოდ იმერლების სიმტკიცით სრულიად დაიმედებულს, შეეძლო არ შეშფოთებულიყო ომერ-ფაშას შემოტევით, ან ჩვენი გენერლების წარუმატებლობით ალყა არ მოეხსნა“[1].

---

[1] ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 425—426.

§ 2. სამთავროების გაუქმება

ყირიმის ომმა რუსეთის იმპერიის ისტორიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა და იგი მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური ძვრებისა და ცვლილებების საწყისად იქცა. ამ ომმა გამოავლინა ბატონყმური რუსეთის ჩამორჩენილობა და კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა. რევოლუციური სიტუაციისაგან თავის დასაღწევად მეფის მთავრობა იძულებული იყო რეფორმების გზას დასდგომოდა. „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა", რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლედში, აიძულა პირველი მემამულე ალექსანდრე II ეღიარებინა, სჯობს გლეხობა „გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო"[1].

მაგრამ, ვიდრე ეს რეფორმები იმპერიის განაპირა მხარეებს, კერძოდ, კავკასიას შეეხებოდა, მეფის მთავრობას აუცილებლად მიაჩნდა პირველ რიგში კავკასიის საბოლოო შემომტკიცება და აქამდე შემორჩენილი სამთავროების სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება.

როგორც აღვნიშნეთ, ყირიმის ომის დროს რუსეთი საქართველო-კავკასიის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, რასაც განსაკუთრებით ამწვავებდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე ბრძოლა და ცალკეული ავტონომიური ერთეულების არსებობა. ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას საშუალება ეძლეოდა მეტი ყურადღება მიექცია კავკასიის მთიანეთის დამორჩილებისათვის და თანდათანობით შესდგომოდა ავტონომიური ერთეულების გაუქმებას. დასავლეთ საქართველოს სამთავროებმა XIX ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებაში აქტიური როლი შეასრულეს, ხოლო ქვეყნის საბოლოო კოლონიურ-ეკონომიური ათვისების დროს მათი არსებობა რუსეთის ხელისუფლების თვალში გაუმართლებელი და ხელის შემშლელი ჩანდა.

ომის დამთავრების შემდეგ კავკასიაში გამოგზავნილ მეფისნაცვალს ბარიატინსკის ალექსანდრე II ძირითად მიზნად უსახავდა „კავკასიის დამშვიდება-დამორჩილებასა და მის შერწყმას იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან"[2].

XIX ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შემოერთებისათვის ბრძოლაში რუსეთის ხელისუფლება ოსტატურად იყენებდა ამ სამთავროებს შორის არსებულ შუღლს და

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.
[2] АКАК, XII, გვ. 335.

ცალკეული მათგანის განდიდებით თავის მიზნების განხორციელებას აღწევდა. განსაკუთრებულ ერთგულებას რუსეთის ხელისუფლების მიმართ სამეგრელოს მთავრები დადიანები იჩენდნენ, რომელთაც დიდად შეუწყვეს ხელი იმერეთის სამეფოს და გურიის სამთავროს რუსეთთან შეერთებას, სამაგიეროდ კი „თავისი ხელისუფლება" განიმტკიცეს. დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ კავკასიის მთიანეთში ცალკეული პოლიტიკური ერთეულების არსებობის პირობებში ცარიზმი სრულიადაც არ ჩქარობდა სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების საბოლოო ინკორპორაციას, რადგანაც მათი მთავრები მას თავისი პოლიტიკური ზრახვების გამტარებლად მიაჩნდა. „ამ მთავრის უფლებათაგან რაიმეს შებღალვა, — წერდა ბარონი როზენი 1837 წელს დადიანის შესახებ, — რომელიც გამოირჩევა უქვეშევრდომილესი ერთგულებით ხელმწიფე იმპერატორის ტახტისადმი, მე შეუძლებლად მიმაჩნია, განსაკუთრებით მისი მხრიდან ხელისუფლების ყველა ღონისძიებებისადმი აქტიური ხელისშეწყობის პირობებში..."[1].

1834—1837 წლებში დადიანისა და შარვაშიძის დახმარებით რუსეთის მთავრობამ წებელდის დამორჩილება შეძლო. წებელდას უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა და მისი დამორჩილება ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ერთგვარი კონტროლი გაეწია აფხაზეთის მთავრის მოქმედებისათვის. წებელდის დაპყრობას აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის მდებარე სამურზაყანოს ტერიტორიის შემოერთებაც მოჰყვა. ცარიზმმა ოსტატურად გამოიყენა სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს შორის სამურზაყანოსთვის ატეხილი დავა და 1840 წ. იქ რუსული მმართველობა დაამყარა. იმავე ხანებში რუსეთის მთავრობამ დადიანს ზღვის სანაპირო ზოლიც ჩამოართვა[2]. ყოველივე ეს აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრების უფლებების შეზღუდვას ნიშნავდა. მათი ავტონომიური უფლებების საბოლოო გაუქმებას კი ცარიზმი მომავლისათვის სდებდა.

ყირიმის ომის შემდეგ, როცა მეფის ხელისუფლებამ მტკიცედ დაისახა მიზნად საქართველო-ამიერკავკასიის კოლონიურ-ეკონომიური ათვისება და მისი მმართველობის უნიფიკაცია, ცალკეული პოლიტიკური ერთეულების არსებობა ცარიზმის მიერ დასახული კურსის გატარებისათვის ხელის შემშლელ ფაქტს წარმოადგენდა, მით უმეტეს რომ ამ სამთავროებისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკისრებული მისია ამოწურული იყო და ქვეყნის გაერთიანებისათვის ეკონომიური საფუძვლებიც მომზადებული ჩანდა.

---

[1] AKAK, XII, გვ. 185,

[2] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბ. 1957, გვ. 267—269.

ომის დროს სამეგრელოს მთავარმა ეკატერინე დადიანმა რუსეთის მთავრობას გარკვეული სამსახური გაუწია. მან არამცთუ არ უღალატა სამეგრელოს მთავრების ტრადიციულ ერთგულებას რუსეთისადმი და თურქი დამპყრობლებისა და უცხოელი ინტერვენტების მიერ არაერთხელ შემოთავაზებულ წინადადებას — გადასულიყო მათ მხარეზე — უარით უპასუხა, არამედ პირადადაც კი მიიღო მონაწილეობა ომერ-ფაშას სამეგრელოდან გასადევნად წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლებში. მაგრამ ისეთ ვითარებაში, როცა სამთავროების არსებობა აბრკოლებდა მეფის რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიზნების განხორციელებას, მის ერთგულებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ხელისუფლება მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, როცა შესაძლებელი იქნებოდა ყოველგვარი კონფლიქტების გარეშე ამ საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

ასეთ ხელსაყრელ მომენტად რუსეთის მთავრობამ 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყება მიიჩნია.

ომერ-ფაშას შემოსევით აოხრებული სამეგრელოს აღდგენა-მოშენება ომით გაჩანაგებულ გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა; მათ ვეღარ შეძლეს მთავრისა და ფეოდალების გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და 1857 წლის გაზაფხულზე სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ეკატერინე დადიანმა საშველად რუსეთის ხელისუფლებას მიმართა. იგი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კოლუბიაკინს სთხოვდა რუსის ჯარი გამოეგზავნა; კოლუბიაკინი დაუყოვნებლივ პირადად წარუძღვა ჯარს სამეგრელოში. ეკატერინე ახალი დაბრუნებული იყო რუსეთიდან, სადაც იგი ხელმწიფის კარზე ალექსანდრე II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე იყო მიწვეული. იგი პეტერბურგში განსაკუთრებული პატივით მიიღეს, როგორც ეს სამეფო პიროვნებას შეჰფეროდა. იმპერატორმა განვლილი ომის დროს ერთგულებისა და დამსახურებისათვის წმ. გიორგის მედალითაც კი დააჯილდოვა. მის ვაჟიშვილს, მცირეწლოვან ნიკოს, ფლიგელ-ადიუტანტობა, ხოლო ქალიშვილს, სალომეს ფრეილინობა უბოძა. ეკატერინე დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება მას აჯანყებულ სამთავროს დამორჩილებაში დაეხმარებოდა და სრულიად ვერ ითვალისწინებდა იმ საფრთხეს, რაც მის საშინაო საქმეებში რუსეთის სამხედრო ძალის ჩარევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

რუსი გენერლები აჯანყების ჩასაქრობად გადამწყვეტი ზომების მიღებას აჭიანურებდნენ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ეკატერინესთან საუბარში იმასაც კი აცხადებდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას ბატონყმობის გაუქმება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და ეს ეხლავე მოხდება, თუ ცოტა ხნის მერე ამას უკვე პრინციპული მნიშვნელობა აღარ

ენიჭებაო [1]. ასეთი საუბრით და აჯანყებულ გლეხობასთან გარკვეული კონტაქტის დამყარებით რუსი გენერლები აჯანყების უსისხლო ფორმებში გახანგრძლივებას განზრახ უწყობდნენ ხელს, ვიდრე მმართველობის უვარგისობის საბაბით ავტონომიის გაუქმების საჭიროებას საამკარაოზე არ გამოიტანდნენ.

კოლუბიაკინმა ქუთაისიდან ჩამოყვანილ მოხელეებს რ. ერისთავსა და მიქელაძეს დაავალა განეხილათ რამდენად სამართლიანი იყო გლეხთა საჩივრები მებატონეების თავგასულობის შესახებ.

გაგარინი და კოლუბიაკინი აცხადებდნენ, რომ აჯანყება სამეგრელოს სამთავროში გამეფებული „უწესრიგობის" შედეგიაო და საჭიროდ სცნობდნენ „ახალი წესების შემოღებას".

რუსეთის მთავრობა შეეცადა ეკატერინე დადიანისათვის ნებაყოფლობით ეთქმევინებინა უარი სამთავრო-სამემკვიდრეო უფლებებზე. ამ მიზნით სამეგრელოში მიავლინეს რუსი მოხელე ფლიგელ-ადიუტანტი ჩერტკოვი. მაგრამ მისმა მისიამ მარცხი განიცადა. ჩერტკოვი ურჩევდა ეკატერინეს მიეწერა იმპერატორისათვის, რომ მას აღარ ძალუძს სამეგრელოს მართვა-გამგეობა და მიეღო იგი თავისი მფარველობის ქვეშ. ეკატერინემ უარით უპასუხა. მაშინ რუსმა მოხელემ დაუფარავად განუცხადა, რომ მეფისნაცვალს გადაწყვეტილი აქვს სამეგრელოში რეფორმის გატარება, რომლის საფუძველზედაც სამეგრელოს მმართველად გენერალი დაინიშნებოდა, მაზრების უფროსებად კი — ოფიცრები. გარდა ამისა, ჩერტკოვმა მისი დაშინებაც კი სცადა. იგი ემუქრებოდა ეკატერინეს, რომ სამეგრელოში გამეფებული უკანონობის გამორკვევა კარგს არაფერს მოუტანდა მას[2]. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ეკატერინე მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე — შეენარჩუნებინა სამთავრო ტახტი შვილისათვის.

აჯანყების ჩაქრობის საბაბით გაგარინმა სამეგრელოს მაზრებში რუსი ოფიცრები განაწესა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მშვიდობიანობის აღდგენაზე ეზრუნათ. ამ ოფიცრებს მდივანბეგებისაგან სრულიად დამოუკიდებლად უნდა ემოქმედათ, რათა, როგორც გაგარინი ხსნიდა, „ეს ოფიცრები მეგრელ მოხელეებს არ გამოეყენებიათ ხალხზე შურისძიებისა და მიკერძოების იარაღად"[3]. ყოველივე ეს კი სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა რუსული მმართველობის თანდათანობით დანერგვას.

ამავე დროს გაგარინი მეფისნაცვლისაგან გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. მისი აზრით, სამეგრელოს დასამშვიდებლად აუცილებელი იყო მმართველობის ძირფესვიანი გარდაქმნა. შეესაბამებოდა თუ არა ეს გარდაქმნა სათხოვარ პუნქტებს, ეს მას მეორეხარისხოვან

---

[1] АКАК, XII, გვ. 266—267.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 278.

საკითხად მიაჩნდა, რადგანაც, სწერდა იგი, ყოველ დროს თავისი აუცილებელი მოთხოვნილებანი გააჩნია, რომელთა წინაშე ხელშეკრულებანი და დაპირებანი ძალას კარგავენ, სამეგრელოსათვის კი, მე მგონი, ეს დრო უკვე დადგა[1].

მეფისნაცვალმა, ვითომ ეკატერინეს დასამშვიდებლად, რომელიც ადგილობრივი რუსი მოხელეების მოქმედებას ეჭვის თვალით უყურებდა, სამეგრელოში მიავლინა რუსი მოხელე დიუკრუასი. ბარიატინსკი ეკატერინეს სწერდა, რომ დიუკრუასს, როგორც გარეშე პირს, ყველაზე უკეთ შეუძლია მიუკერძოებლად გამოავლინოს აჯანყების მიზეზებიო[2]. სინამდვილეში კი დიუკრუასს აჯანყების მიზეზების დეტალურად გამოძიებაგარკვევასთან ერთად საიდუმლოდ დავალებული ჰქონდა სამეგრელოს ახალი — „დროის შესაბამისი" მმართველობის პროექტის შედგენა[3].

დიუკრუასთან საჩივრების აღძვრის უფლება სამეგრელოს მთავრის მოქმედებით უკმაყოფილო თავადაზნაურობასაც ეძლეოდა. ამგვარად ცდილობდა რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოს მთავრის იზოლირებას. მთავრის მოწინააღმდეგე თავადაზნაურთა პარტია სასწრაფოდ ამოქმედდა. როგორც ეკატერინე დადიანის წერილიდან ირკვევა, ჯერ კიდევ დავითის, ხოლო შემდეგ ეკატერინეს უკმაყოფილო სამთავრო სახლის წევრები გიორგი და პეტრე დადიანები სამეგრელოს მთიან მოსახლეობას დიუკრუასისა და მთავრობის სახელით აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. ისინი მათ ჩააგონებდნენ არ დაწყნარებულიყვნენ, ვიდრე შეშინებულ ეკატერინეს არ აიძულებდნენ სამეგრელოდან წასულიყო[4]. თავის მხრივ დიუკრუასიც შეეცადა დაერწმუნებინა ეკატერინე ნებაყოფლობით წასულიყო სამთავროდან. მან აგრძნობინა მთავარს, რომ რუსული მმართველობის შემოღებამდე აჯანყების ჩაქრობაზე სერიოზულად არავინ იზრუნებდა. იგი ჩამოთვლიდა რა იმ უკანონობებს, რასაც ადგილი ჰქონდა სამეგრელოში, დასძენდა, რომ „რუსეთის სახელმწიფოს ძლევამოსილების გამოყენება არ შეიძლება ისეთი ხელისუფლების დასახმარებლად, რომელიც თავის ქვეშევრდომებს ჩაგრავს რუსეთის გაუგებრად და მისი თანხმობის გარეშე"[5] და რომ სამეგრელოს დამშვიდება და აქ წესრიგის დამყარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ეკატერინეს აქედან წასვლის შემთხვევაში.

დიუკრუასის სამეგრელოში გაგზავნის პარალელურად ბარიატინსკი იმპერატორს აცნობებდა, რომ სამეგრელოს აჯანყების მიზეზი მხოლოდ

---

[1] АКАК, XII, გვ. 269.
[2] იქვე, გვ. 275.
[3] იქვე, გვ. 274.
[4] იქვე, გვ. 296.
[5] იქვე, გვ. 291—292.

და მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის უვარგისობა არის და სთხოვდა მისთვის ნება დაერთოთ გარემოების შესაფერისად ემოქმედა, ანგარიში აღარ გაეწია მფარველობითი პუნქტებისათვის, რომლის საფუძველზედაც არსებობდა სამეგრელოს ავტონომია[1].

მალე მეფისნაცვალმა იმპერატორისაგან ასეთი მოქმედების ნებართვა მიიღო[2] და სასწრაფოდ შეუდგა სამეგრელოს მმართველობის რეორგანიზაციას. იგი 1857 წ. 31 ივლისს სწერდა დიუკრუასს, რომ შეეწყვიტა აჯახყების მიზეზების გამოძიება და უშუალოდ შესდგომოდა სამეგრელოს ახალი მმართველობის დებულების შემუშავებას[3].

რუსეთის ხელისუფლებამ, რაკი ვერ მოახერხა ეკატერინეს სამეგრელოდან ნებაყოფლობით გაყვანა, მას სამთავროს სამემკვიდრეო უფლებების შენარჩუნების გარანტია მისცა. სამეგრელოში შემოღებული ახალი მმართველობა დროებით, მემკვიდრის სრულწლოვანებამდე ცხადდებოდა, ხოლო ეკატერინეს და მის შვილებს იმპერატორი პეტერბურგში საცხოვრებლად იწვევდა, რათა შესაფერისი აღზრდა მიეცათ „მომავალი მთავრისათვის"[4].

1857 წლის 26 სექტემბრის რესკრიპტით სამეგრელოს „დროებით" მმართველად გენ. კოლუბიაკინი დაინიშნა[5]. ფაქტიურად ეს იყო სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება. რუსეთის ხელისუფლებას იმთავითვე გათვალისწინებული ჰქონდა და ყოველგვარ პირობებსაც ქმნიდა იმისათვის, რომ მემკვიდრე ნიკო დადიანს სრულწლოვანების შემდეგ სამთავრო უფლებებზე ხელი აეღო. მართლაც, 1867 წელს 20 წლის ნიკოლოზ დადიანმა სამთავრო უფლებებზე უარი განაცხადა და სამეგრელოში რუსული მმართველობა სამუდამოდ დამყარდა.

სამეგრელოს სამთავროს საშინაო მმართველობის ავტონომიის ლიკვიდაციის პარალელურად რუსეთის ხელისუფლება გარკვეულ ზომებს იღებდა სვანეთის სამთავროს გასაუქმებლადაც.

50-იან წლებში სვანეთში შინაფეოდალური ბრძოლა იყო გაჩაღებული. დადეშქელიანების ორი შტო სვანეთში განუყოფელი ბატონობისათვის ერთმანეთს ებრძოდა, ხოლო რუსეთის მთავრობა ამ შუღლის თავისი მიზნებისათვის გამოყენებას ცდილობდა[6].

50-იანი წლების ბოლოს დადეშქელიანების უფროსი შტოს წარმომადგენელი კონსტანტინე განსაკუთრებით გაძლიერდა. მისმა ძმებმა ის-

---

[1] AKAK, XII, გვ. 276—277.
[2] იქვე, გვ. 281.
[3] იქვე, გვ. 298—299.
[4] იქვე, გვ. 316.
[5] იქვე, გვ. 308.
[6] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, გვ. 405.

ლამმა და თენგიზმა მოჰკლეს დადეშქელიანების მეორე სახლის მემკვიდრე ჯანსუღი. კონსტანტინემ ჯანსუღის მამული შემოიერთა და უბატონო სვანეთის თემების დამორჩილებასაც მიჰყო ხელი. თავისუფალი სვანეთის თემებს კი 1853 წლიდან რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდათ მიღებული და აქ საბოქაულო იყო დაწესებული. რა თქმა უნდა, კონსტანტინეს ასეთ მოქმედებას რუსეთი სახიფათო მოვლენად მიიჩნევდა.

სვანეთს ცენტრალური მდებარეობა ეკავა ყაბარდოს, ყარაჩაის, წებელდასა და სამურზაყანოს შორის და აქ რუსეთის გავლენის გაძლიერებას მთელ დასავლეთ კავკასიაში მისი ბატონობის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სვანეთი თავისი მიუვალობის გამო ყოველთვის შეიძლებოდა გამხდარიყო ცარიზმით უკმაყოფილო ელემენტების თავშესაფარიც. ამიტომ სვანეთის რომელიმე მთავრის გაძლიერება-დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას რუსეთი ადვილად ვერ შეურიგდებოდა.

დადეშქელიანების მეორე შტოს უფლებების აღდგენის საბაბით 1857 წლის ივლისისათვის გათვალისწინებული იყო სვანეთში ოთხი მხრიდან (სამეგრელოდან, წებელდიდან, კისლოვოდსკიდან და ნალჩიკიდან) რუსის ჯარის შეყვანა. სამეგრელოში შეკრებილი რაზმების სარდლობა და დადეშქელიანებთან მოლაპარაკების წარმოება დაეკალა გაგარინის შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ უსლარს. ეს სამხედრო ექსპედიცია თავისუფალი სვანეთის შესახებ ცნობების შეგროვებასა და მათ დაშინებასაც ისახავდა მიზნად [1].

კონსტანტინემ რუსებთან ბრძოლა მიზანშეწონილად არ მიიჩნია და გადაწყვიტა მთავრობასთან შერიგება. იგი ზემო სვანეთში დაბანაკებულ უსლართან გამოცხადდა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაჰბარდა მას. კონსტანტინე და მისი ძმა ალექსანდრე თბილისში გაისტუმრეს.

კონსტანტინეს იმის გამო, რომ მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ჯანსუღის მკვლელობაში, დანაშაული აპატიეს; მის უმცროს ძმებს თენგიზსა და ისლამს კი რუსეთის შორეულ გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვიტეს.

ბარიატინსკიმ ორივე შტოს მისწრაფება—ხელში ჩაეგდოთ ერთმანეთის მამული — უკანონობად მიიჩნია და გადაწყვიტა ორივესთვის აღედგინა უფლება მათ მამულებზე. სვანეთის მფლობელთა შორის დავის აღსაკვეთად პოლკოვნიკ უსლარს დადეშქელიანთა ორივე სახლის მამულების სიების შედგენა და საზღვრების დაზუსტება დაავალეს[2].

მართალია, ოფიციალურად გადაწყვიტეს კონსტანტინესათვის მამუ-

---

[1] ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967.
[2] იქვე.

ლის დაბრუნება, მაგრამ ხელისუფლება მაინც არ ენდობოდა მას და მისი ძმების თენგიზისა და ისლამის გამოცხადებამდე ქუთაისიდან არ უშვებდნენ. კონსტანტინეს „მზრუნველად“ დაუნიშნეს მოხელე ბარტოლომეი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე აბუჩად იგდებდა და თავისი გაურკვეველი მდგომარეობით ისედაც განერვიულებულ კონსტანტინეს სიცოცხლეს უმწარებდა. ამასობაში სვანეთიდან დაბრუნდა პოლკოვნიკი უსლარი. მან აუარებელი მასალა ჩამოიტანა და მეფისნაცვალს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ კონსტანტინეს კვლავ სვანეთში გაგზავნა ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა, რადგანაც ეს უკანასკნელი არავითარ შემთხვევაში არ აიღებდა ხელს თავის მისწრაფებაზე დაჰპატრონებოდა თავისუფალი სვანეთის თემებს. ბარიატინსკიმ, დროებით, ვიდრე იმპერატორი განიხილავდა საქმეებს, კონსტანტინეს ერევანში გადასახლება გადაუწყვიტა.

1857 წლის 24 ოქტომბერს კონსტანტინე დადეშქელიანს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა გამოუცხადა ეს განაჩენი. იგი შეეხვეწა რამდენიმე თვით სვანეთში წასვლის ნება მიეცათ მისთვის, რათა მოეგვარებინა საშინაო საქმეები, გამოთხოვებოდა ცოლ-შვილს, რის შემდეგაც ის დაემორჩილებოდა მეფისნაცვლის განკარგულებას. გაგარინმა ხვეწნას არავითარი ანგარიში არ გაუწია, მათ შელაპარაკებაც კი მოუვიდათ და გენერალ-გუბერნატორმა ბრძანა განეიარაღებინათ მთავარი. ეს კი კონსტანტინემ ვეღარ მოითმინა, ამოღებული სატევრით ეძგერა გაგარინს, სასიკვდილოდ დაჭრა იგი, მოკლა იქვე მყოფი მოხელეები ილინი და არდიშვილი, რომლებიც მიშველებას ლამობდნენ, დაჭრა გაგარინის მცველი და გაიქცა [1].

კონსტანტინე მალე შეიპყრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრეტის შემდეგ მისი მამულები ხაზინას გადასცეს, ოჯახის წევრებს კი ფულადი საზღაური მისცეს და სვანეთიდან გადაასახლეს. 1859 წელს სამთავრო უფლებებზე უარი ათქმევინეს მეორე სახლის წარმომადგენელს თენგიზ დადეშქელიანსაც და სადადეშქელიანო სვანეთში საბოქაულო დაწესდა.

სამეგრელოსა და სვანეთის ავტონომიის ლიკვიდაციის შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ჯერი დგებოდა. ჯერ კიდევ 1856 წელს მურავიოვმა დასვა საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. იგი მთავარს მიხეილ შარვაშიძეს — ყირიმის ომის დროს — „ღალატს“ სწამებდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში მიხეილ შარვაშიძემ დიდი სამსახური გაუწია რუსეთის მთავრობას. მან უდანაკარგოდ გამოიყვანა აფხაზეთიდან რუსული გარნიზონები. რუსის ჯართან ერთად მან თავისი ოჯახიც გახიზნა სამეგრელოში, მაგრამ ომის შემდგომი მსვლელობა — შავ ზღვაზე

---

[1] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 222.

მოკავშირეთა ფლოტის გაბატონება, აფხაზეთში ოსმალთა ჯარის გადასხმა და სხვ.—მას აიძულებდა თავის სამთავრო სახლის ინტერესებისათვის ეზრუნა და 1855 წელს მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში დაბრუნდა. მართალია, მან საჯაროდ უარყო და ფეხქვეშ გათელა სულთანის ფირმანი, რომლითაც მას აზიასა და კავკასიაში მყოფი ოსმალეთის ჯარის მთავარსარდლობას სთავაზობდნენ და შავი ზღვის მთელი სანაპიროს მფლობელად აღიარებდნენ[1], მაგრამ შემდგომ მის პოზიციებს ორჭოფობა ეტყობოდა. შარვაშიძე უფრო გარკვეული სამხედრო სიტუაციის მოლოდინში მერყეობდა და იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი აფხაზეთს სულთანს დაუთმობდა, ისიც ოსმალეთს დაემორჩილებოდა[2]. როცა ამიერკავკასიის ფრონტზე თურქეთის დამარცხება აშკარა გახდა, მიხეილმაც აქტიურად დაიწყო რუსეთის მთავარსარდლობასთან თანამშრომლობა. რა თქმა უნდა, შარვაშიძის მერყეობა სულ ადვილად შეიძლებოდა მონათლულიყო ღალატად და სამთავროს გაუქმების საბაბი გამხდარიყო, მაგრამ აფხაზეთის სამთავროს არსებობა რუსეთის ხელისუფლების ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის საბოლოოდ დამორჩილებამდე აუცილებლად მიაჩნდა და მურავიოვის შუამდგომლობა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ ამჯერად უარყოფილ იქნა.

რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად წარმოებული ომის დროს აფხაზეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ესაზღვრებოდა ურჩ ჩერქეზეთის მიწა-წყალს; ეს იყო ერთადერთი გზა, საიდანაც დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებს შეეძლოთ საქართველოში შემოჭრა და პირუკუ—ჩერქეზეთში რუსული გავლენის გაძლიერება აფხაზეთის საშუალებით უნდა მომხდარიყო. აფხაზეთის დაკარგვის შემთხვევაში სამხედრო საზღვარი მდინარე ენგურზე გადმოინაცვლებდა და საჭირო გახდებოდა ამ მდინარის მთელ სიგრძეზე სამხედრო-საკორდონო ხაზის აგება, რაც რიგ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

მიხეილ შარვაშიძე დიდი გავლენით სარგებლობდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებს — უბიხებს, ჯიქებს, პსხუელებსა და ახჩიპსხუელებს — შორის. იგი უბიხთა ტომის ბელადის ჰაჯი-დაგუმოყვა ბარზეგის გაზრდილი იყო. კარგად იცოდა ამ ტომების ზნე-ჩვეულებები, მათთან ურთიერთობის დამყარებას ადვილად ახერხებდა და ამ ტომების დამორჩილებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეეძლო. ასეთ პირობებში რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდა მთავრის მიმართ და მასთან კეთილმოყვრული ურთიერთობის შენარჩუნებას ლამობდა. მეფისნაცვალ მიხეილ

---

[1] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, სოხუმი, 1946, გვ. 11.

[2] ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 307.

რომანოვს იმ დროისათვის აფხაზეთის სამთავროს არსებობა გამართლებულად მიაჩნდა. 1864 წელს იგი წერდა, რომ როცა რუსეთის ხელისუფლება შავ და კასპიის ზღვამდე გაჭიმულ მთელ ტერიტორიაზე შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა მთიელების დასამორჩილებლად, მას აფხაზეთის შემოერთება-მართვისათვის საჭირო ძალების გამოყოფა არ შეეძლო და იქ წესრიგის დამყარებისა და აფხაზეთში თავისი გავლენის შენარჩუნების მიზნით მთავრისათვის მხარდაჭერით კმაყოფილდებოდა[1].

1859 წლის 25 აგვისტოს აიღეს შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ღუნიბი და ამით დასრულდა ჩრდილოეთ კავკასიის დასაპყრობად წარმოებული მრავალწლიანი ომის კიდევ ერთი ეტაპი. ამის შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცა უფრო მეტი ძალებისათვის მოეყარა თავი დასავლეთ კავკასიის მთიანეთის დასამორჩილებლად.

1863 წ. რუსებმა დაიმორჩილეს ყუბანის მხარე, 1864 წლის მარტში დაიმორჩილეს უბიხები, ხოლო იმავე წლის 21 მაისს ახჩიპსხუს ცენტრში, სოფელ კბაადაში მეფის რუსეთის ჯარებმა ზეიმით აღნიშნეს კავკასიის დამორჩილებისათვის წარმოებული თითქმის საუკუნოვანი ომის დასასრული[2]

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ავტონომია უკვე განწირული იყო. 1864 წლის მარტში მეფისნაცვალი იმპერატორ ალექსანდრე II-ს სწერდა, რომ ადრე მიხეილ შარვაშიძის მიერ აფხაზეთის მართვა რუსეთისათვის სასარგებლო იყო, დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობას აზრი ჰქონდა, ვიდრე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შემოუერთებდით რუსეთს, მით უმეტეს, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილი დაკავებული იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ ეხლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალაო[3] და იგი აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას თხოულობდა.

მეფისნაცვალი აფხაზეთის მთავრის უფლებების ლიკვიდაციას განსაკუთრებით იმიტომაც ჩქარობდა, რომ სისრულეში მოეყვანა უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული განზრახვა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მდინარე ყუბანის შესართავთან ბზიფამდე, ყაზახ-რუსებით დასახლების შესახებ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ კი იგი ყაზახთა ასეთი სტანიცების მოწყობას ვარაუდობდა მდინარე ბზიფსა და ენგურს შორისაც.

1864 წლის 1 აპრილს კავკასიის მეფისნაცვალს სამხედრო მინისტრი აცნობებდა იმპერატორის გადაწყვეტილებას მიხეილის სამთავრო ხელი-

---

[1] Очерки истории Абхазской АССР, I, Сухуми, 1960, გვ. 198.
[2] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 409.
[3] Очерки истории Абхазской АССР, I, გვ. 199.

სუფლების გაუქმებისა და აფხაზეთში რუსული ადმინისტრაციის შემოღების შესახებ.

რუსეთის მთავრობას აფხაზეთის სამთავროს გაუქმება მშვიდობიან ფორმებში უნდოდა ჩაეტარებინა და მიხეილ შარვაშიძეს, ისევე როგორც თავის დროზე ეკატერინე დადიანს, შესთავაზეს ნებაყოფლობით ეთქვა უარი მთავრის ხელისუფლებაზე. მიხეილი ხედავდა, რომ მისი ხელისუფლება განწირული იყო, ურჩობით მას არაფერი გაუვიდოდა და მთავრობის წინადადებაზე იმ პირობით თანხმდებოდა, თუკი მას აფხაზეთიდან არ გადაასახლებდნენ და აქ მუდმივად ცხოვრების ნებას დართავდნენ. 1864 წლის ივნისში აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და აქ „დროებითი სახალხო მმართველობის“ შემოღება იყო გამოცხადებული.

ივლისში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკი აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩასატარებლად სოხუმში ჩავიდა. მისთვის სრულიად მოულოდნელად მიხეილ შარვაშიძემ არამც თუ არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნა, არამედ პირადად გამოუცხადა აფხაზებს რუსული მმართველობის დამყარება და ყოველგვარი ამბოხება-არეულობის გარეშე მოახერხა ამ მეტად საჭოჭმანო აქტის ჩატარება. მიუხედავად ამისა, მეფის ხელისუფლება მიხეილის აფხაზეთში დატოვებას საშიშრად თვლიდა და რადგანაც იგი ნებაყოფლობით არ თანხმდებოდა აქედან წასვლაზე, მას „სახელმწიფო ღალატი“ (თურქეთთან ურთიერთობა) დასწამეს და 1864 წ. ნოემბერში ავადმყოფი მთავარი ჯერ სტავროპოლსა, ხოლო შემდეგ ვორონეჟში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 1865 წელს.

სამთავროების გაუქმებას, მიუხედავად იმისა, რომ იქ რუსული მმართველობა ინერგებოდა, მაინც ქვეყნის შემდგომი სოციალ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა[1]. 50-იან წლებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას უკვე აბრკოლებდა ცალკეული სამთავროების არსებობა. მათი გაუქმების შემდეგ კი საბოლოოდ ისპობოდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა და საქართველოს ცალკეულ მხარეთა შორის მჭიდრო კავშირი მყარდებოდა.

სამთავროების გაუქმება და ბურჟუაზიული რეფორმების (საგლეხო რეფორმა) გატარების დასაწყისი ერთმანეთს დაემთხვა; ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქვეყანა კაპიტალისტური ურთიერთობის ახალ სტადიაში გადადიოდა.

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I, 1958, გვ. 445.

თავი მეხუთე

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება.

§ 1. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში

საგლეხო რეფორმის წინა ათწლიანი პერიოდი, ე. ი. 1854 — 1864 წლები, აღინიშნა სოფლის მშრომელი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუარესებით და კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავებით. ეს გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით, რომელთა შორის მთავარია ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარების შედარებით უფრო სწრაფი ტემპი (რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აძლიერებდა უშუალო მწარმოებლის ექსპლოატაციას), კარზე მომდგარი საგლეხო რეფორმა და ყირიმის ომი მისი მძიმე შედეგებით.

ჩვენ ხელთ არსებული საბუთები ადასტურებენ, რომ ქართველმა ფეოდალებმა, რომლებიც, როგორც მოსალოდნელიც იყო, მტრულად შეხვდნენ გადაწყვეტილებას ბატონყმობის გაუქმების შესახებ, მაქსიმალურად გამოიყენეს რეფორმამდე დარჩენილი დრო და საგრძნობლად გაადიდეს საგლეხო გადასახადები. «Помещики, — წერდა მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე, — предвидя приближение срока разрешения крестьянского вопроса, хотят воспользоваться последним временем, чтобы присвоить себе от крестьян как можно более и, так сказать, выжать из них последний сок»[1]. მაგრამ გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა ყოველი ასეთი ცდა უშუალო მწარმოებელთა ძლიერ პროტესტს აწყდებოდა. გლეხები, გათამამებულნი მოახლოებული რეფორმით, უარს ამბობდნენ არა მარტო „უკანონო“, არამედ კანონით გათვალისწინებულ გადასახადებზედაც. ტიტულარული სო-

[1] ЦГИАМ, ф. 678, оп. I, л. 27; И.Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, გვ. 471.

ვეტნიკი ზადოლინი, მაგალითად, პირდაპირ მიუთითებდა, რომ გლეხები „ახალი მდგომარეობის მოლოდინში... ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ იმისათვის, რათა თავი აარიდონ მემამულის სასარგებლოდ გადასახადების გადახდას“[1]. ლეჩხუმელი ყმები კი, რომელთა საჩივარი მებატონეთა თავგასულობაზე უპასუხოდ დატოვა ხელისუფლებამ, ნიშნის მოგებით სწერდნენ ამ უკანასკნელს, რომ «Эти невнимательности начальства несообразны с духом времени»[2].

„ახალი მდგომარეობის მოლოდინში“ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტს ხაზგასმით აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძეც 1865 წელს „კოლოკოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში. „რეფორმის შესახებ გავრცელებულმა ხმამა, — წერდა იგი, — ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდა“.

გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გამაუარესებელ ფაქტორს, როგორც უკვე ვთქვით, ყირიმის ომიც წარმოადგენდა. კ. ბოროზდინის მოწმობით, ომით დაზარალებული ყველა მებატონე იმას ცდილობდა, რომ დანაკლისი „გლეხების ოფლით აენაზღაურებინა“[3]. მემამულეთა შეტევით შეწუხებული მეგრელი გლეხები ეკატერინე დადიანს სწერდნენ, რომ ისინი მებატონეთა და სამთავრო ხელისუფლების თავგასულობა-გაუკითხაობის შედეგად შიმშილით დახოცვის აშკარა საშიშროების წინაშე იმყოფებიან[4]. ასევე სწერდნენ ქუთაისის მაზრის სოფ. ივანდიდის გლეხები ბარიატინსკის 1857 წელს. თუ ყურადღება არ მოგვაქციეთ, ჩვენი სიკვდილი და სიდუხჭირეში დაღუპვა გარდაუვალიაო — არწმუნებდნენ ისინი მეფისნაცვალს[5].

მწარმოებელი კლასი სხვადასხვა გზით ცდილობდა თავი დაეცვა პრივილეგიურ წოდებათა იერიშისაგან. ბრძოლა-თავდაცვის ყველაზე მასიურ ფორმას საჩივრების შეტანა წარმოადგენდა. მათი რაოდენობა, საერთოდ, და განსახილველ ხანაში, კერძოდ, წლიდან წლამდე იზრდებოდა. ჩვენ ხელთ არსებული არასრული ცნობების თანახმად[6], ქუთაისის გუბერნიის სოფლის მშრომელ მოსახლეობას, მაგალითად, 1854 წელს

---

[1] სსცია, ფ. 9, საქ. 2122, ფურც. 17. 1864, 10 აპრილი. შდრ. მ. ახობაძე, საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ, „მოამბე“, 1962, № 1, გვ. 159—160.

[2] იქვე, ფ. 5, საქ. 29, ფურც. 23, 1864, 4 მაისი.

[3] კ. ბოროზდინი, სამეგრელო, თბ. 1934, გვ. 72.

[4] ზუგდიდის მუზეუმის არქივი (ზმა), ფ. 3, საქ. 4391, ფურც. 9. მომყავს დ. ლემონჯავას წიგნიდან „გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856—1857 წწ.,“ თბ., 1957, გვ. 48.

[5] სსცია, ფ. 5, ანაწ. I, საქ. 30, ფურც. 7.

[6] იქვე, ფ. 4, ანაწ. 8, საქ. 153, საქ. 450, ფურც. 281; საქ. 472, ფურც. 29.

საგუბერნიო სამმართველოში 315 საჩივარი შეუტანია, 1856 წელს — 800, ხოლო 1857 წელს — 980. გუბერნატორის ანგარიშებში დაცულია აგრეთვე ცნობა იმ საჩივართა შესახებ, რომლებიც გლეხებს უშუალოდ სამაზრო ხელისუფლებისათვის წარუდგენიათ. მათი რაოდენობა, როგორც დასახელებული წყაროდან ჩანს, მარტო 1857 წელს 2230 უდრიდა[1]. «Из всех приносимых жалоб, — წერდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი,—было наиболее о насильных завладениях и помещичьими крестьянами на помещиков своих о притеснениях, делаемых ими»[2].

საჩივრებს გარდა წყაროები ბრძოლის ისეთ ფორმასაც ასახელებენ, როგორიცაა, კერძოდ, გადასახადებზე უარის თქმა. ზემოთ დამოწმებული ზადოლინის ცნობით (1864 წ. აპრილი), მაგალითად, თბილისის მაზრის დუშეთის უბნის ზოგ სოფელში გლეხობას საერთოდ შეუწყვეტია როგორც ფულადი, ისე ნატურალური გადასახადების გადახდა[3]. ასევე მოქცეულან გორელი თავადის გიორგი ერისთავის ყმებიც[4]. წესიერი გადამხდელები არც სახელმწიფო გლეხები ყოფილან. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ახალციხის მაზრის ხერთვისის უბნის სახაზინო გლეხთა კოლექტიური უარი გადასახადებზე 1854 წელს, რომელმაც კავკასიის ადმინისტრაცია დიდ საგონებელში ჩააგდო[5]. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია შემაჯამებელი ხასიათის სტატისტიკური მასალა, რომ ვიმსჯელოთ კლასობრივი ბრძოლის ხსენებული ფორმის მასშტაბის შესახებ განსახილველი ხანის საქართველოში, მაგრამ მას რომ მასობრივი ხასიათი ჰქონდა — ამას მებატონეთა მიერ წარდგენილი საჩივრების სიმრავლეც ადასტურებს.

კლასობრივი ბრძოლის ზემოთ დასახელებულ ფორმებს, ისევე როგორც წინააღმდეგობის გაწევის სხვა სახეებს (ტერორისტული აქტები, აყრა-გაქცევები, ცეცხლის წაკიდებანი და სხვ.), ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ძველის დათრგუნვა-მოსპობის საქმეში, მაგრამ გადამწყვეტ ძალას მაინც, ბუნებრივია, სოფლის მშრომელი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა წარმოადგენდა. განსახილველ ხანაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ასეთ გამოსვლას, რომელთა შორის ყველაზე დიდი 1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყება იყო. მას ქართველი ხალხის სოციალ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, როგორც მონაწილეთა სიმრავლით, ისე მკაფიოდ

---

[1] სსცია, ფ. 4, საქ. 472, ფურც. 29.

[2] იქვე, საქ. 211, ფურც. 72, შდრ. საქ. 274, ფურც. 150.

[3] იქვე, ფ. 9, საქ. 2122, ფურც. 17 (1864 წლის აპრილი).

[4] სსცია, ფ. 48, საქ. 1012, ფურც. 38; ფ. 9, საქ. 2122, ფურც. 15 — 22 (1864 წლის აპრილი).

[5] АКАК, XI, ч. II, გვ. 625; И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, გვ. 470.

გამოხატული ანტიბატონყმური ხასიათით. ის იყო ექსპლოატირებული მოსახლეობის უძლიერესი აზვირთება ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ.

ყირიმის ომის დროს ფიზიკურად და მატერიალურად დაზარალებულ გლეხობას თავადაზნაურობაც მიესია და მან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დანაკლისის ანაზღაურება მწარმოებელი კლასის გაძლიერებული ექსპლოატაციით სცადა. ამ საქმეში კერძო მფლობელებს არც სამთავრო ხელისუფლება ჩამორჩებოდა. 1856 წლის 23 მარტს, მაგალითად, ეკატერინე დადიანი ბრძანებდა, რომ სასწრაფოდ შეემოწმებინათ სამთავრო მამულები და გაეძევებინათ იქიდან ის კომლები, რომლებიც იქ თურქების საოკუპაციო ჯარების სამეგრელოში თარეშის დროს დასახლდნენ. „გაცნობებთ თქვენს ბრწყინვალებას, — სწერდა დედოფალი სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანს, — რომელ დასაცველად სამეგრელოს მთავრის სახლის საკუთვნელთა ტყეთა და ადგილმამულთა უფლებით თქვენდა მინიჭებულთა დაიცვათ შეუხებლად ვისმესაგან ესრეთ, ვითარც... აქომამდე და რათამცა ყოველივე შემახები მათი ანუ უწესოდ მათ შინა შემოსული განდევნოთ“[1].

სახლთუხუცესმა არ დააყოვნა ბრძანების სისრულეში მოყვანა, რითაც სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა გლეხობა. ეს უკანასკნელი იძულებული იყო დაეტოვებინა დამუშავებული ყანები და თავის გავერანებულ-გაპარტახებულ სამოსახლოს დაბრუნებოდა[2].

მდგომარეობა ყოველდღე უფრო და უფრო რთულდებოდა. დამოკიდებულება კლასებს შორის საგრძნობლად მწვავდებოდა. სამეგრელოს მშრომელები გადამწყვეტი შერკინებისათვის ემზადებოდნენ. სულ მცირე საბაბიც კი საკმარისი იყო, რომ გაძარცულ და უკიდურესად შეწუხებულ ხალხს იარაღი აეღო ხელში. ეს საბაბიც მალე გამოჩნდა.

1856 წლის ივლისის ბოლოს ეკატერინე დადიანი მოსკოვ-პეტერბურგს გაემგზავრა ალექსანდრე II-ის იმპერატორად კურთხევის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. გამგზავრების წინ დედოფალმა თავის მრჩევლებთან ერთად მთელი „სამეურნეო პროგრამა“ შეიმუშავა და შესასრულებლად დავით ჩიქოვანს დაუტოვა. ამ უკანასკნელს ევალებოდა: „ენერგიულად მოეკიდა ხელი ომისაგან აოხრებული ქონების აღდგენისათვის, აეკრიფა დაგროვილი გადაუხდელი გადასახადები და, რადგან ზუგდიდში ჯერ დაბინავება არ შეიძლებოდა, — ისკანდერ ფაშამ დედოფლის სასახლე გადააწვევინა და ზუგდიდის ბაღი სულ ერთიანად გადააჭრევინა.—პეტერბურგიდან დედოფლის დაბრუნებამდე შეეკეთებინა სალხინოს სასახლე“[3].

---

[1] ზმა, ფ. 3, საქ. 4351, ფურც. 2. მომყავს დ. ლემონჯავას წიგნიდან „გლეხთა აჯანყება...,“ გვ. 47.

[2] დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა, გლეხთა აჯანყება..., გვ. 47.

[3] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო, გვ. 69.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება. უტუ მიქავას ხელმძღვანელობით.

სახლთუხუცესი ჩიქოვანი გულმოდგინედ შეუდგა ამ „სამეურნეო პროგრამის“ განხორციელებას. მან სასწრაფოდ შეკრიბა ხალხი და სალხინოს სასახლის შეკეთება დაიწყო. მთელი დღე საქმით დაკავებულ გლეხებს საჭმელ-სასმელზეც უარი უთხრეს. ისინი იძულებული იყვნენ თვითონვე ეზრუნათ ამაზე და „გულში ჩამარხული უკმაყოფილებით“ მეორე დღეს მშენებლობაზე საკუთარი სიმინდით გამოცხადდნენ. სახლთუხუცესმა მათ ნება მისცა სიმინდი მთავრის წისქვილში დაეფქვათ, მინდის გადახდის პირობით. გლეხებმა ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს და სასწრაფოდ კაცი აფრინეს ზუგდიდში გრიგოლ დადიანთან, ეკატერინეს მაზლთან, რომელიც მაშინ დროებით, დედოფლის რუსეთში ყოფნის გამო, სამეგრელოს განაგებდა. პასუხით უკმაყოფილო გლეხებმა მუშაობა შეწყვიტეს. ჩიქოვანმა სცადა ძალის გამოყენება და ურჩთა მორჩილებაში მოყვანა, მაგრამ უშედეგოდ — მათ არამცთუ არ განაახლეს მუშაობა, არამედ ფიცი დასდეს „ერთიმეორისთვის მხარი დაეჭირათ და პეტერბურგიდან დედოფლის დაბრუნებამდე სახლთუხუცესს არაფერში დამორჩილებოდნენ“[1].

---

[1] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო, გვ. 72.

ასე დაიწყო 1856 წლის გვიან შემოდგომაზე გლეხთა მღელვარება, რომელიც მალე მთელ სამეგრელოს მოედო და ვეებერთელა მასშტაბი მიიღო.

სალხინოს ამბებს გამოეხმაურა მდინარე ხობსა და ენგურს შუა განლაგებული სოფლები. პირველად იარაღი ლიისა და ჯვარის (თანამედროვე წალენჯიხის რაიონი) გლეხებმა აისხეს. მათი გამოსვლის უშუალო საბაბი გახდა გრიგოლ დადიანის განკარგულება ხსენებული სოფლებიდან გლეხების აყრისა და იქ საფუტკრის გაშენების შესახებ[1]. ისინი მართლაც აყარეს ამ ათვისებული ადგილებიდან. ამან აავსო გლეხთა მოთმინების ფიალა და მჭედელ უტუ მიქავას მეთაურობით აჯანყების დროშა ააფრიალეს. 1857 წლის მაისის თვეში კი მოძრაობის სხვადასხვა კერა ერთად გაერთიანდა და მიქავა აჯანყების საერთო ხელმძღვანელად აირჩიეს.

აჯანყებულთა რაოდენობამ მალე 20 ათას კაცამდე მიაღწია[2]. ისინი წარმატებით მოქმედებდნენ. მათ დაიკავეს სოფლები ობუჯი, ჭაქვინჯი, ყულისკარი, კორცხელი, ლედგებიე, კირცხი, ხიბულა და სხვ., ხოლო 1857 წლის 12 მაისს ხელთ იგდეს სამეგრელოს სამთავროს რეზიდენცია — ზუგდიდი. დაკავებულ ადგილებში გლეხები ამყარებდნენ ახალ წესებს, ქმხიდნენ დროებით მმართველობას, ახორციელებდნენ სამართალს, აწესებდნენ ფასებს და სხვ.[3].

მოძრაობამ დიდი განგაში გამოიწვია არ მარტო სამეგრელოს მემამულეთა შორის, არამედ მთელ ქართველ თავადაზნაურობაში. მათ აშინებდა აჯანყებულთა ანტიბატონყმური ლოზუნგი, რომელიც ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციის მოსპობასა და მისი განმსაზღვრელი პირობების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას მოითხოვდა. კაცის კაცი არ უნდა იყოსო — აცხადებდნენ ისინი და ეს არსებულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა ძირფესვიან შეცვლასა და რაღაც ახალ, გლეხების მიერ ცუდად წარმოდგენილი, მაგრამ უეჭველად სამართლიან საფუძველზე დამკვიდრებული წყობილების დამყარებას ნიშნავდა. „ჩემს მიერ შეკრებილმა ცნობებმა, — წერდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი, — კიდევ უფრო დამარწმუნეს იმაში, რომ ისინი (აჯანყებულები — ავტ.) ოცნებობდნენ მემამულეთა ხელისუფლებისაგან სრულ განთავისუფლებაზე“[4].

1857 წლის აპრილში, როდესაც ეკატერინე დადიანი პეტერბურგიდან ჩამოვიდა, სახალხო მოძრაობა აღმავლობის სტადიაში იმყოფებოდა. დედოფალმა თვალნათლივ დაინახა, რომ მთელი მისი სამთავრო მღელვა-

---

[1] Д. А. Лемонджава, Вооруженное восстание крестьян в менгрелии в 1856—1857 гг. Автореферат кандидатской диссертации, Сухуми, 1950, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 23.

[3] იქვე, გვ. 40.

[4] სსცია, ფ. 8/28, საქ. 4890, ფურც. 294

რებით იყო მოცული და ამას ცუდი და საშიში პირი უჩანდა. მან აზვირთებულ მასას წინააღმდეგობის შეწყვეტა ურჩია, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ იგი ძალის გამოყენების გზას დაადგა, რისთვისაც ქუთაისის ადმინისტრაციას მიმართა. „სამეგრელო მთლად აჯანყებულია, — სწერდა დედოფალი ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს, — მე სრულებით არ შემიძლია თავი გავართვა. გლეხები სულ თავს გავიდნენ; შეიარაღებული ბრბოები არ გვემორჩილებიან. თუ ღმერთი გწამთ, თქვენ თვითონ მომეშველენით, ნიკოლოზ პეტრეს ძევ, და თან წამოასხით სულ უკანასკნელი, 500 ყაზახ-რუსი მაინც; მაშინ-ღა შემეძლება აჯანყება ჩავაქრო. ერთი წუთიც არ დაახანოთ. მე ქვაშხორში ვიმყოფები და ყველა მხრიდან აჯანყებული გლეხები მარტყია. მიფარავენ ჩემი ერთგული თავადები“[1].

კოლუბიაკინმა არ დააყოვნა და რეგულარული ჯარის ნაწილებით სამეგრელოსაკენ გაეშურა. 1857 წლის 20 მაისს იგი შეხვდა აჯანყებულებს. აქ გლეხების ბელადმა უტუ მიქავამ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც მაქსიმალური დამაჯერებლობით დახასიათებულია სოფლის მშრომელი მოსახლეობის მძიმე სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და სახალხო მოძრაობის ნამდვილი მიზეზები. „ამ ერთი წლის წინათ, — თქვა მიქავამ, — ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გაანიოროწყალა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდანა გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგივრად რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებს გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა... ისინი წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად... მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათ რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიეთ. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ისინი ჩვენში ადამიანებსაც კი არ ჰხედავენ. მათი აზრით, ჩვენ ყველა პირუტყვი გვჯობნის. ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს მისცემს მასში; მწევარში ან მეძებარში, რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო ფასობენ, ვიდრე ადამიანები... როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმასა ვსთხოვდით, ისე მოგვქცეოდნენ, როგორც ამას ჩვენი, მამაპაპათა მიერ დადგენილი ჩვეულება მოითხოვდა, მაგრამ ამ წმინდა ჩვეულებას მებატონეებმა დიდი ხანია ფეხი დააბიჯეს, უგულვებელჰყვეს, ხოლო ომის შემდეგ მათმა სისასტიკემ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. გვეჩივლა? აბა ვისთან? დედოფალი აქედან შორს იყო, ხოლო მის მდივანბეგებს მებატონეთა მხარე უჭირავთ, მათგან ძალდატანების მეტი არა-

[1] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო, გვ. 59.

ფერი გვახსოვს... გვეგონა დედოფალი ჩქარა დაბრუნდებოდა, მაგრამ (მის მოლოდინში) თვეები გავიდა; ჩვენ აქეთ-იქით დავეხეტებოდით, მებატონეებს ვემალებოდით, და როცა დევნა და ძაღლებით ნადირობა დაგვიწყეს, შეეერთდით და ძალას ძალა დავუპირისპირეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მებატონეები არ გვითმობდნენ და არც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს... დედოფალიც ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა? არამცთუ მფარველობა არ გაგვიწია, არამედ ჩვენი გაჭირვების მოსმენაც არ ისურვა. „როგორ გაბედეთ და ბატონებს ხელი ახლეთ“, — გვითხრა მან. ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ წლობით გვტანჯავდნენ, გამოვიყვანეთ იმათ სახლებიდან ჩვენი დები და ქალიშვილები... და ქრისტიანული წესებით გავათხოვეთ... ჩვენ სამშობლო შეგვჯავრდა, გადავსწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოდ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგოთ... ერთმანეთს შევფიცეთ — არაფრის გულისათვის არ დავბრუნდეთ უკან. ოხრადაც კი დარჩეს ისეთი სამშობლო, როცა თავიც კი ვერ შეგვიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, ნადირივით დაგსდევენ... ჩვენ არც ავაზაკები ვართ და არც მეამბოხენი, სამართალს ვითხოვთ, მეტს არაფერს, გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით, ყველაფერს გაგიგონებთ“[1].

ამის შემდეგ მიქავამ კოლუბიაკინს რვა მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება წარუდგინა: 1) კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს, 2) აღიკვეთოს ყმებით ვაჭრობა, 3) აიკრძალოს გადასახადების თვითნებური გადიდება, 4) ძიეცეს გლეხს ყველა ადამიანური უფლება, 5) დაწესდეს კანონებზე დამყარებული მმართველობა მებატონეთა გაუკითხავი მმართველობის მაგივრად, 6) მოისპოს ტანჯვა-წვალების დღემდე არსებული მეთოდები, 7) დაკანონდეს გლეხთა საკუთრების ხელშეუხებლობა და 8) გაძლიერდეს მემამულეთა და ხელისუფალთა პატივისცემა ხალხის ადათ-ჩვეულებისადმი[2].

კოლუბიაკინმა, რომელმაც დიდი ყურადღებით მოისმინა მიქავას სიტყვა, აჯანყებულთ დახმარება და სამართალი აღუთქვა, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი დაუყოვნებლივ დაიშლებოდნენ. „აი თქვენი ბატონები, — უთხრა გუბერნატორმა გლეხებს, — თქვენ ისევ იმათ დაუბრუნდით და იგივე გააკეთეთ, რაც აქამდე გიკეთებიათ მათთვის. იცოდეთ, რომ კანონი უსამართლობისგან დაგიფარავთ. თუ დაგჩაგრეს, მიდით დედოფლის მიერ დაყენებულ მდივანბეგთან, თუ მდივანბეგმა დაგჩაგრათ, დედოფალს შეს-

---

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო, გვ. 114—116 (თარგმანი ზოგან შესრულებულია ჩვენ მიერ).

[2] დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856—1857 წწ., გვ.107.

ჩივლეთ მის უკანონო საქციელის შესახებ. გახსოვდეთ, რომ ყოველ ურჩობისათვის მკაცრად დაისჯებით"[1].

გლეხებმა გულუბრყვილოდ იწამეს გენერლის სიტყვები და მართლაც დაიშალნენ, თუმცა იარაღი არ დაუყრიათ. მაგრამ ეს, როგორც სამართლიანადაა მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, არც აჯანყების დასასრულს ნიშნავდა და არც მის ბელადთა კაპიტულაციას. მომდევნო ხანის, კერძოდ, 1857 წლის მეორე ნახევრის, ამბებმა ცხადყო, რომ მოძრაობის მონაწილენი ოდნავადაც არ ფიქრობდნენ მორჩილებაზე და არსებულ ვითარებასთან შერიგებაზე. გლეხების გაბედული შერკინება რეგულარულ ჯარებთან აგვისტო-სექტემბრის თვეებში, სისხლისმღვრელი ბრძოლები ზემო ქვალონთან[2] (აწინდელი ხობის რაიონი), ჯვართან[3] (დღევანდელი წალენჯიხის რაიონი) და სხვა ადგილებთან, ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ აჯანყება ისევ თავის აღმავლობის ფაზაში შევიდა. კავკასიის ადმინისტრაციამ საგრძნობლად გააძლიერა მოქმედი ძალები და ამბოხებულთა წინააღმდეგ დაიწყო ნამდვილი მასობრივი ლაშქრობა. მათთან ბრძოლებში გლეხებმა გასაოცარი მიზანსწრაფვა, ორგანიზებულობა და ვაჟკაცობა გამოამჟღავნეს, რამაც დამსჯელი რაზმები არაერთხელ უკუაქცია, მაგრამ ძალები, შეიარაღების თვალსაზრისით, მეტად არათანაბარი იყო და ამან სასწორი გაბატონებული კლასის მხარეზე გადახარა. გლეხები დამარცხდნენ. პრივილეგიური წოდება კი განსაცდელისგან თავის დაღწევას ზეიმობდა.

უსამართლობის წინააღმდეგ გაბედული პროტესტით გამოსული გლეხები ხელისუფლებამ მკაცრად დასაჯა. ორმოც მათგანს, მათ შორის ისეთ გამოჩენილ მეთაურებს, როგორიც იყვნენ უტუ მიქავა, კოჩა თოდუა, ლევან კვარაცხელია და სხვ., დიდი ხნით (სამიდან ათ წლამდე) გადასახლება მიესაჯათ კოსტრომის, პერმის, ოლონეცკისა და რუსეთის იმპერიის სხვა გუბერნიებში.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ 1857 წლის ნოემბერში თავი იჩინა იმერეთის (ამაღლებისა და ბაღდადის უბნის) საბატონო ყმათა მღელვარებამ, რომელშიც, თანამედროვეთა მოწმობით, მხოლოდ ეს უკანასკნელნი ღებულობდნენ მონაწილეობას და სხვა კატეგორიის სოფლის მშრომელი მოსახლეობა არ ყოფილა გარეული. ქუთაისის მაზრის უფროსის მაზანდაროვის ერთ პატაკში, მაგალითად, მითითებულია, რომ მოძრაობის დამწყებნი და სულის ჩამდგმელნი მარტო კერძო მფლობელთა გლეხები იყვნენო[4], სახალხო პროტესტი ფეოდალური ექს-

---

[1] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო, გვ. 117—118.

[2] დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ე ა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, გვ. 158.

[3] იქვე, გვ. 170—171, АКАК, XII, 321, СХАО, I, გვ. 674.

[4] მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე, საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში 1857 წელს (დოკუმენტები შესავალი წერილით), სმ. I, 1945, გვ. 302.

პლოტაციის სიმძიმით და პრივილეგიური წოდების თვითნებობა-გაუკითხაობით იყო გამოწვეული. „ჩუენი საჭირვება და შეწუხება ფრიად დაუთვლელი არს“ — სწერდნენ 1857 წლის 20 ნოემბერს ბაღდადის უბნის გლეხები გუბერნიის ადმინისტრაციას[1]. აკონკრეტებდნენ რა ამ ზოგად განცხადებას, ისინი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მათზე დაკისრებულ ბეგარა-ვალდებულებათა გამანადგურებელ ხასიათზე. „თითოეული ჩვენგანი, ნათქვამია ბაღდადის უბნის გლეხთა საჩივარში, ვალდებულია მებატონეს შინამოსამსახურე მისცეს; თუ ეს უკანასკნელი „ავათ გახდება ნამეტური სარჯელისაგან“, მაშინ იგი მეორით ან ფულადი გადასახადით უნდა შეიცვალოს. გლეხს აკრძალული აქვს ქალიშვილის გათხოვება, ნებართვის მისაღებად აუცილებელია 12—15 მანეთის გადახდა. არც ქვრივი ქალის შერთვაა ნებადართული — ამისათვის მისი პატრონი ხარს ან მის საფასურს ითხოვს გასამრჯელოდ. წინად, როდესაც ჩვენ მეფის ყმები ვიყავით მას ორ მარჩილს (ე. ი. 20 კაპიკს) ვუხდიდით, ეხლა კი მებატონეს ამის მაგივრად სამ მანეთს ვაძლევთ. ძველად „ნეფე რომ სოფელშიდ გვესტუმრებოდა, მოვბოჭავდით თვითეულს კვამლზედ ოთხს ფარას, უყიდდით ძროხას ხარჯად“ და იოლად გავდიოდით, ახლა კი მებატონე „იმა საგანზედ“ ითხოვს ცალ ხარს ან მის საფასურს ფულად. ხშირად გვიწვევენ ჩვენ მილიციაში „ჩვენის ცხენით და ხარჯით“, მაგრამ ფულსაც გვახდევინებენ თითო თუმნის რაოდენობით. მემამულეებმა მილიციელებისათვის დაწესებული ჯამაგირიც შეგვიჭამეს და კარგი სამსახურისათვის ჯილდოს მიღებაც ჩაგვიშალეს“[2].

ყველაფერი ეს გლეხებმა მღელვარების ჩაქრობის შემდეგ ხელისუფლების მიერ მოწყობილი გამოძიების დროსაც დაადასტურეს. ასე მაგალითად, პასუხისგებაში მიცემულმა ჯაშინიკა დავითის ძე ხურციძემ დაკითხვაზე განაცხადა: „შევიწროებანი, რომელთაცა ვითმენდი მე ძმებითურთ... მებატონისაგან ჩვენისა კნიაზის გიორგი ლორთქიფანიძისაგან, იყვნენ შემდგომნი: დროსა პასკევიჩისასა (1829 წელსა)... გარდაქვქონდა ქუთაისიდამ ახალციხეს პროვიანტი, რისთვისაც მებატონემან ჩვენმან წაიღო 25 მანეთი და ფულები ესე არ მოგვცა ჩვენ. იმავე დროს, კნიაზმა გიორგი ლორთქიფანიძემ წაიყვანა საბალახოდამ ცხენი და თუმცა ამაზედ შევიტანეთ საჩივარი..., გარნა ვერა მივიღეთ ვერავითარი დაკმაყოფილება. 1838 წელშიდ მე ვიმყოფებოდი, ბადლად ჩემის ბატონის მაგიერ, მილიციაშიდ, წარსული სოჩას და მასთან ერთად 1848 წელშიდ... სამურზაყანოს. თუმცა-ღა ბატონისაგან იყო შეკრებილი... სალაშქრო ფული, გარნა ამა ფულებისაგან მე არა მიმიღია რა, რაისთვისაც იძულებული ვიყავი მე წასვლად საკუთარის ხარჯით. პოხოდშიდ სოჩას მე ვიმონაწილე ოთხს

[1] მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე, საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში 185 ელს (დოკუმენტები შესავალი წერილით), სმ. 1, 1945, გვ. 299.
[2] იქვე, გვ 299—300.

ცხელს ჩხუბშიდ, რაისთვისაც მიპირებდნენ მე მოცემას ხელმწიფის წყალობისა, გარნა შურისძიებისა გამო მებატონისა ჩემისა მოვაკლდი ამა წყალობასა. 1851 წელს კნიაზმა გიორგი ლორთქიფანიძემ გარდამახდევინა მე 16 მანეთი გარდასახადი საქორწილოდ, სრულიად ჩვენთვის ახალი მოგონილი. დროსა ყოფილის ჩხუბისა 1853—1855 წლებშიდ მე, ერთად გიორგი ლორთქიფანიძესთანა, ვიმყოფებოდი მილიციაში თერთმეტს თვეს და დაწესებულის ხაზინისაგან ჯამაგირს, თვეში ხუთ მანეთსა და ხუთ შაურს, ჩემს ნაცვლად იღებდა იგი საკუთრივ, არა მაძლევდა მე არაფერს... წასვლის დროს ჩემისა პახოდში 1853 წელს მებატონემა ჩემმა წამართვა ერთი საპალნე (10 ფუთი — ავტ.) ოტკა, ღირებული მაშინ 60 მახეთად... მებატონე ჩვენი გვამძიმებს ჩვენ უჩვეულოს ვალდებულებით: დროსა საშინელის ძვირიანობისასა და შიმშილობისა წარსულს და 1840 წელსა მოვიდა იგი სოფელს უხუთს და... თითო თვეს სცხოვრობდა ხარჯსა ზედა აქაურთს მისთა ყმებითა უმრავლესის მისის სახლეულებით და მოსამსახურეებით—სრულად 30 სული, გვაიძულებდა ჩვენ რჩენად მათისა, რომელნიც უმისოდაც ვიყავით უკიდურესს მდგომარეობაშიდ... სახლსა 'შინა ჩემსა მყვანან მე სამი მოზრდილი ასულნი ძმისა ჩემისა და ჩემიცა ასულები სამი, მათგანს უფროსს აქვს 30 წელი. ყველანი ისინი რჩებიან გაუთხოვრად, მისთვის მხოლოდ, რომელ მებატონე ჩემი თხოულობს უზომო ხარჯს ნებადართვისათვის. მიცემისა მათსა საქმროდ, სახელდობრ მახეთიდან ათ მანეთამდე, ხოლო მე ეგ ფულები არა მაქვს...“ [1].

ამ ჩვენების სისწორე დაადასტურეს და ზოგი ახალი მომენტიც აღნიშნეს პასუხისგებაში მიცემულმა დანარჩენმა გლეხებმა[2].

ზემომოტანილი მასალებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ სახალხო მღელვარების მიზეზი მემამულეთა თვითნებობა-გაუკითხაობა, ფეოდალური ექსპლოატაციის საგრძნობი გაძლიერება ყოფილა. ყოველივე ეს სოფლის მშრომელ მოსახლეობას, ეტყობა, დიდხანს უთმენია და გულში დაგრო-

---

[1] სმ, 1, გვ. 312—313.

[2] აი რა განაცხადა, მაგალითად, თავად ერისთავის ყმამ მურზაყან ხურციძემ: „საჩივარი ჩემი არს შემდგომი: ამა მებატონემ ჩემმა, კნიაზ ერისთავმა, ვალისათვის მართებულისა მის მიერ მეგრელისადმი, აძლევდა მამასა ჩემსა ცოლშვილიანად, გარნა მცხოვრებთა სოფლის უხუთისა დაიხსნეს იგი. შემდგომ კნიაზმა ერისთავმა დაიწყო თხოვა ყმური სამსახურისა. ამა ყმობისაგან მამამან ჩემმან კვლავ დაიხსნა თავი; გარნა არა მინდა (?!) ამას მიცემის დროს ბატონისა მიერ ასულისა თავისისა (მეუღლედ) კნიაზის მანუჩარ ჩიჯავაძისადმი; მისცა მამა ჩემი ცოლშვილიანად მზითევად ასულსა თვისსა. კნიაზმა ოტია ერისთავმა წაგვიყვანა ჩვენ უკანავე, გვაიძულა კვლავ მიცემად მისდამი თავისუფლებისათვის ფულებისა. არა მიხედა ამას (ე. ი. იმას, რომ ერთხელ უკვე ჰქონდა ყმობიდან განთავისუფლებისათვის თანხა აღებული—ავტ.) კნიაზმა ერისთავმა, არა გაგვიშვა ყმობისაგან მისისა; სხვათაშორის წაგვართვა ჩვენ ყოველი მოძრავი მამული (ქონება—ავტ.) და საცხოვრებელი“ (სმ. 1, გვ. 315).

ვილი ბოღმა გარკვეულ დრომდე ჩუმად უტარებია, მაგრამ 1857 წლის ნოემბერში ეს სიჩუმე დაურღვევია და თავის უკმაყოფილება აშკარად გამოუხატავს. მოძრაობის უშუალო საბაბი, რომელიც ბაღდადის უბნის სოფ. დიმში დაიწყო, გახდა თავად ბეჟან ჩხეიძის განკარგულება მისყმის კვირიკაძის კულაშის უბანში გადასახლების შესახებ. ბატონის ამ განკარგულებამ აღაშფოთა ხსენებული და მეზობელი სოფლების გლეხები და მტკიცედ გადაწყვიტეს ჩაეშალათ ეს საქმე. ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად ისინი კიკოლა კვირიკაძეს ეახლნენ, რომელმაც მათ მედგარი წინააღმდეგობის გაწევით მსგავსი უბედურების თავიდან აცილებისაკენ მოუწოდა. უკეთუ ჩვენ შეევერთდებით და ერთპირად ვიქნებით, განუცხადებია მას ამ შეკრებაზე, არ დავემორჩილებით მებატონეებს და არ შევასრულებთ მათ განკარგულებებს, მაშინ მთავრობა იძულებული იქნება ყურადღება მოგვაქციოს, ერთგვარ ჩარჩოებში ჩააყენოს ჩვენი მტარვალები, და საერთოდ გაგვანთავისუფლოს ყმური მდგომარეობიდან[1]. კრების მონაწილეებს სრული თანხმობა უთქვამთ და ეს თანხმობა ფიცით დაუდასტურებიათ. ამ ცერემონიის მეორე დღეს, ე. ი. იმავე 1857 წლის 17 ნოემბერს, გლეხებმა თავიანთი წარმომადგენლები — პავლე ჭრიალაშვილი და ქრისტესა გუმბერიძე — ამაღლების უბნის სოფლებში გაგზავნეს იმ მიზნით, რათა ისინიც ჩაებათ საერთო მტერთან შერკინებაში. ბაღდადელთა გამოწვევას მხურვალედ გამოეხმაურნენ გოდიდის, ონჯოხეთის, დვალიშვილების, უხუთის, ზენობნის, ციხისუბნისა და ზოგი სხვა სოფლის მკვიდრნი[2], იარაღი აისხა ამაღლების უბნის 400-მდე გლეხმა. აზვირთებული მასა სოფ. უხუთის მახლობლად მდებარე ტყეში დაბანაკდა. მალე მღელვარების ორივე კერა უნდა გაერთიანებულიყო და საერთო შეტევა დაწყებულიყო.

18 ნოემბერს ცნობა ხალხის საეჭვო თავყრილობის შესახებ მიიღო ქუთაისის მაზრის უფროსმა მიზანდაროვმა, რომელიც დაუყოვნებლივ წავიდა სოფ. უხუთში, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ამაღლების გლეხები იყვნენ გამაგრებულნი. კითხვაზე, თუ რამ აიძულა ისინი იარაღი აეღოთ ხელში, მათ ერთხმად უპასუხნიათ, რომ ამის მიზეზი მემამულეთა თავგასულობა და ფეოდალური გადასახადების სიმძიმეაო[3]. სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენელს გლეხების დაშოშმინება უცდია — დაიშალეთ, მშვიდობიან შრომას მიუბრუნდით და მაშინ იქნება დაკმაყოფილებული ყველა თქვენი სამართლიანი მოთხოვნაო, — უთქვამს მას შეკრებილთათვის[4], მაგრამ შთაგონება-დაშინების მეთოდს შედეგი არ მოჰყო-

---

[1] სმ. 1, გვ. 320, პავლე ჭრიალაშვილის დაკითხვის ოქმი.

[2] იქვე, გვ. 298, 300. პავლე ჭრიალაშვილის დაკითხვის ოქმი.

[3] იქვე, გვ. 300.

[4] იქვე.

ლია. გლეხებს მტკიცედ განუცხადებიათ, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ დავყრით იარაღს, როდესაც მთავრობა ბოლოს მოუღებს მემამულეთა თვითნებობას და შეგვიქმნის ცხოვრება-არსებობის რამდენადმე მაინც ნორმალურ პირობებსო[1].

საქმეში მალე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი პოლკოვნიკი ივანოვი ჩაერია. იგი რეგულარული ჯარის ნაწილების თანხლებით სასწრაფოდ სოფ. უხუთს გაემგზავრა. მას მხარს უჭერდა 300 კაცისაგან შემდგარი ადგილობრივი თავად-აზნაურთა რაზმი[2]. ივანოვმა აჯანყებულებს დაუყოვნებლივ დაშლის წინადადება მისცა. ამის საპასუხოდ გლეხებმა მას თავისი კაცი მიუგზავნეს და მოთხოვნილებათა პუნქტების გადაცემა სცადეს, მაგრამ წარუმატებლად, რადგანაც გუბერნატორმა მორჩილებიდან გამოსული მშრომელი ხალხის წარმომადგენლები არ მიიღო. «Крестьянину этому, — ნათქვამია ივანოვის 1857 წლის 25 ნოემბრის პატაკში ბარიატინსკისადმი, — я приказал возвратиться и объвить пославшим его, что для разбора жалоб и удовлетворения их есть путь законный, — не крик взволнованной толпы, не просьба с оружием в руках, и что я требую во всем безусловной покорности и, прежде всего, чтобы толпа немедленно разошлась по своим домам, (вернулась) к своим обычным занятиям»[3].

მაგრამ გლეხებმა ეს წინადადება უარყვეს და „აჯანყების ცეცხლის ალის“ დიდ სივრცეზე გავრცელების შიშით შეპყრობილი გუბერნატორი იძულებული გახადეს მიეღო ხალხის დელეგაცია და მის მიერ წარდგენილი წერილობითი საჩივარი. მან პირობა მისცა დელეგატებს, რომ ყველა მათი კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა, მაგრამ წინასწარ სრული მორჩილება მოითხოვა და დასაფიქრებლად ორი საათი მისცა. ხალხმა, რომელმაც რეგულარული ჯარის ნაწილებთან შერკინება უპერსპექტივოდ ჩათვალა, ბრძოლას თავი აარიდა და დაიშალა[4].

ამის შემდეგ იერიში ბაღდადის უბნის გლეხების წინააღმდეგ იქნა მიტანილი. მათი მორჩილებაში მოყვანა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბაქრაძეს დაევალა. იგი 50 კაზაკითა და ორი ქვემეხით სასწრაფოდ გაეშურა აჯანყებულთა ბანაკისაკენ და შედარებით ადვილად შეძლო მოძრაობის მონაწილეთა გაფანტვა[5].

---

[1] სმ, 1, გვ. 300.

[2] იქვე გვ. 304.

[3] იქვე.

[4] «В назначенный мною... час,—სწერდა ივანოვი ბარიატინსკის,—в сопровождении... прабывших со мною г. г. офицеров, с сотнею казаков на том месте, где были расположены бунтующие, я не видел уже ни одного человека, все они возвращались по домам» (სმ, I გვ. 305).

[5] იქვე, გვ. 305—306.

აჯანყება ჩაქრობილ იქნა. ხელისუფლებამ მისი მონაწილეები დააპატიმრა. სახალხო მღელვარების ინიციატორებად და ხელმძღვანელებად აღიარებულ იქნა 16 კაცი[1], რომელთაგან ოთხს ხუთი წლით, ხოლო თორმეტს სამი წლით რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლება მიესაჯა.

ზემოაღწერილი მოვლენების შემდეგ საქართველოში რამდენიმე წლის განმავლობაში მსგავსი მასშტაბის შეიარაღებული გამოსვლები არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არაა ცნობილი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლა შენელდა და სოფლის მშრომელმა მოსახლეობამ შეწყვიტა აქტიური მოქმედება მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად. იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ მოსკოვის თავად-აზნაურთა კრებაზე რეფორმის თაობაზე წარმოთქმული სიტყვის 1858 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდვამ საგრძნობლად გაართულა მდგომარეობა[2]. ამ დოკუმენტებმა გლეხებს „კანონიერი“ საფუძველი მისცა უარი ეთქვათ წინანდელ სამსახურზე და თავი დამოუკიდებელ ადამიანებად ეცნოთ. გახშირდა ურჩობა-დაუმორჩილებლობის ფაქტები. ამ მხრივ განსაკუთრებით ქართლი გამოირჩეოდა. არსებული ცნობების თანახმად იქ, კერძოდ გორის მაზრაში, თითქმის ყველა მემამულის სამფლობელოს აგრარული მღელვარების ცეცხლი ჰქონია მოდებული. 1858 წელს, მაგალითად, ურჩობა გამოუჩენიათ მებატონე ამირეჯიბის ყმებს (სოფ. აბისი)[3]. მომდევნო წელს ასევე მოქცეულან ქსნის ჩეობაში მობინადრე თავად ერისთავების გლეხები[4]. უფრო სერიოზული და მეტი მასშტაბის ყოფილა 1859 წლის მემამულე მაჩაბლების წინააღმდეგ მიმართული გლეხთა მღელვარება[5]. მასში მონაწილეობა მიუღია გორის მაზრის 60 სოფელს, მათ შორის ქარელს, ყინწვისს, არბოს, აჯამეთს, ვანთას, ვანურს, მხურვალეთს, სამცხისს და სხვ. არანაკლებ შიშისმომგვრელი ყოფილა ფხვენისის, ბრეთის, ხვითის, გოგიეთის, კავთისხევის და სხვა სოფლების გლეხთა გამოსვლა მებატონე ავალიშვილების, ამილახვარების, თაქთაქიძეების, ერისთავების და მაჩაბლების წინააღმდეგ[6].

---

[1] ეი ესენი: კიკოლა კვირიკაძე, გოგია კვირიკაძე, ოტია გოცირიძე, ფრიდონ გოცირიძე, ტატულა ვაშაყმაძე, პავლე ჭრიალაშვილი, სიმონ ჭრიალაშვილი, გლახუა ჭრიალაშვილი, ქრისტესა გუმბერიძე, პეტრე ხიზანეიშვილი, მაქსიმე თედორაძე, ჯაშინიკა ხურციძე, მურზაყან ხურციძე, კიკოლა შარაძენიძე, დიმიტრი რუხაძე და ეგნატე პაიკაძე (სმ. 1, გვ. 330).

[2] მ. ა ხ ო ბ ა ძ ე, საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857—1864 წწ.), „მოამბე“, 1962, 1, გვ. 159.

[3] იქვე, გვ. 161—162.

[4] იქვე, გვ. 163.

[5] იქვე, გვ. 164.

[6] იქვე, გვ. 164—165.

დიდი კლასობრივი ბრძოლებით აღინიშნა 1862 წელი. ამ წელს ადგილი ჰქონდა გლეხთა სამ შეიარაღებულ გამოსვლას გურიაში. პირველი მოხდა მარტში, მეორე — აგვისტოში, ხოლო მესამე — სექტემბერ-ოქტომბერში. მათ შორის, მკვლევართა აზრით[1], უშუალო ორგანიზაციული და ეტაპობრივი კავშირი არ ყოფილა, მაგრამ იდეური კავშირის არსებობას ისინი უეჭველად მიიჩნევენ. ასევე უეჭველად თვლიან სპეციალისტები მღელვარების აშკარად გამოხატულ ანტიბატონყმურ ხასიათს, რაც, მათი სამართლიანი განცხადებით, დასტურდება იმითაც, რომ მოძრაობაში მონაწილეობდნენ მხოლოდ და მხოლოდ საბატონო ყმები[2].

ცოტად თუ მეტად სრული ცნობა გლეხთა მარტის თვის მღელვარების შესახებ დაცულია 1862 წლის 13 აპრილის ერთ საბუთში, რომელიც წარმოადგენს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ კოლუბიაკინის მოხსენებას ნამესტნიკის მთავარმმართველობის უფროსის კრუზენშტერნისადმი. იქ ნათქვამია: „მანიფესტაცია გურიაში, რომლის შესახებაც მე თქვენ დეპეშით გაცნობებთ[3], ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც აქ ხშირად მიმართავენ ხოლმე მემამულეთა გლეხები საბატონო ბეგარა-გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მანამდე გლეხებს საჩივრები გამოსაღებთა ზედმეტი ზომით მოთხოვნის შესახებ მოჰქონდათ ცალ-ცალკე; უკანასკნელი მანიფესტაცია კი, ოზურგეთის მაზრის გურიანთას უბნის ყმებმა რომ მოაწყვეს მარტის დასაწყისში, უფრო ფართო მასშტაბისა იყო და თავის რიგებში ითვლიდა 200-მდე შეიარაღებულ კაცს. მაზრის უფროსის დროზე გამოცხადებამ შემთხვევის ადგილზე და მისმა კეთილგონიერმა შთაგონებამ იმის შესახებ, რომ კანონი, რომელიც მფარველობას უწევს ყველა უსამართლოდ დაჩაგრულს და ნებას აძლევს თვითეულს საჩივარი შეიტანოს შემვიწროებელთა წინააღმდეგ, კატეგორიულად კრძალავს მანიფესტაციების მოწყობას — სასურველი გავლენა იქონია გლეხებზე და ისინი სასწრაფოდ დაიშალნენ... ასევე ლანჩხუთის უბნის გლეხებმაც, რიცხვით 100 კაცამდე, შეადგინეს ხროვა, მაგრამ ისინიც მაზრის უფროსის მონაწილეობით მოურიგდნენ თავიანთ მებატონეებს იმ ბეგარის თაობაზე, რომლის გამოც მათ დავა ჰქონდათ“[4].

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს (საბუთები შესავალი წერილთ) სმ. 7, თბილისი, 1953 წ., გვ. 173 (ქვემოთ წერილზე მითითება მოცემული იქნება ასე: შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში, ხოლო საბუთებზე—სმ).

[2] იქვე.

[3] იგულისხმება კოლუბიაკინის 1862 წლის 1-ლი აპრილის დეპეშა, სადაც მოკლედ ნათქვამი იყო: „ჩვენთან, გურიაში, ადგილი ჰქონდა მანიფესტაციას, რომელიც კეთილსასურველად დამთავრდა“ (სმ, 7, გვ.190—191).

[4] სმ, 7, გვ. 190—191.

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, მღელვარება ხელჩართულ ბრძოლამდე არ მისულა და ის სამაზრო-საგუბერნიო ადმინისტრაციას შედარებით იოლად ჩაუქრია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა კეთილგონიერი შთაგონების გ'ხით, როგორც ირწმუნება კოლუბიაკინი, არამედ სხვა, უფრო რადიკალური საშუალებების გამოყენებით, რომელთა შორის „სამხედრო ძალისა და პოლიციის გამოყენებაც იგულისხმება“[1].

გლეხთა მეორე გამოსვლა იმავე წლის აგვისტოს თვეში მოხდა. იარაღი აისხეს ᲫᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ გურიელებისა და ნაკაშიძეების ყმებმა. მოძრაობაში ჩაბმული აღმოჩნდა ბახვი, შემოქმედი, გოგოლეთი, აჭი, ლიხაური, გურიანთა, კახური, მაკვანეთი, სუფსა, კაილეთი და სხვა სოფლები. მღელვარებაში მონაწილეთა ერთი ჯგუფი შემოქმედის მონასტერში დაბანაკდა, ხოლო მეორე — გურიანთაში. დაიწყო ხელისუფლების ენერგიული მოქმედება მორჩილებიდან გამოსული გლეხების წინააღმდეგ. დამსჯელ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი იზიუმსკი და ოზურგეთის მაზრის უფროსი შტაბსკაპიტანი პრინცი. მათ პირველ რიგში 'შემოქმედის ჯგუფის ლიკვიდაცია სცადეს. თავდაპირველად მათ მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებას მიმართეს და ამ მიზნით გლეხებს მაზრის უფროსის თანაშემწე ბაქრაძე მიუგზავნეს. ამ უკანასკნელმა აჯანყებულებს გადასცა გუბერნატორის ბრძანება იმის შესახებ, რომ ისინი სასწრაფოდ დაშლილიყვნენ და „კანონიერი“ გზით ეძიათ სამართალი. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. გლეხებმა გადაჭრით უარყვეს ეს წინადადება და განაცხადეს, რომ მათ „არა სურთ ხელმწიფის გარდა ვინმეს ემსახურონ“[2].

ამის საპასუხოდ იზიუმსკიმ შტაბსკაპიტანი პრინცი, მისი თანაშემწე ბაქრაძე, უბნის უფროსი ბერაძე და თარჯიმანი ყენია გააგზავნა და თან 70 ჯარისკაცი და 10 კაზაკი გააყოლა. დამსჯელი ექსპედიცია შემოქმედის მონასტერს მიადგა, სადაც მას თოფებითა და ჯოხებით შეიარაღებული 300-მდე კაცი დაუხვდა. ზემოთ დასახელებული პირები ქვის გალავანშემოვლებული მონასტრის ეზოში შევიდნენ. მათ აჯანყებულებს ჯოხების გადაგდება და თოფების ეკლესიის კუთხეებში დალაგება მოსთხოვეს, რაც პრინცის სიტყვით, დაუყოვნებლივ შესრულდა. «Потом я, — ნათქვამია მის 1862 წლის 11 აგვისტოს პატაკში იზიუმსკისადმი, — объяснил противузаконность сходок вообще и тем более вооруженных, спрашивал их о претензиях, которые они имеют на помещиков, убеждал их разойтись, но после долгих убеждений они на все отзывались, что разойтись не могут до тех пор, пока просьба их не бу-

---

[1] Ш. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში, გვ. 175.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 193.

дет удовлетворена, т-е пока не будут освобождены от помещичьей зависимости»[1].

მღელვარების მონაწილეთა მედგარმა წინააღმდეგობამ იზიუმსკი აიძულა თვითონაც ჩარეულიყო საქმეში. იგი სათანადო ძალებით მართლაც გაემართა შემოქმედისაკენ, სადაც შეხვდა გლეხებს, «Все они, — მოახსენებდა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი მეფისნაცვლის თანამდებობის აღმასრულებელს გრ. ორბელიანს, — в один голос жаловались (мне) на свое крайне угнетенное положение вследствие претерпеваемых ими утеснений от своих помещиков, и что они вынуждены были заявить свое подобное положение в виде восстания для обращения на себя внимания начальства»[2]. იზიუმსკიმ ყურადღებით მოისმინა რა ყოველივე ეს, დახმარება აღუთქვა გლეხებს, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი დაუყოვნებლივ დაიშლებოდნენ და თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მკაცრი ზომების მიღებით იმუქრებოდა. გლეხები მოერიდნენ უთანაბრო ბრძოლას და დაიშალნენ[3].

ამის შემდეგ სამაზრო-საგუბერნიო ხელისუფლებამ იერიშები აჯანყების მეორე კერის წინააღმდეგ მიმართა, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გურიანთას რაიონში იმყოფებოდა. „მივიღე რა დღეს ცნობა, — მოახსენებდა იზიუმსკი გრ. ორბელიანს 1862 წლის 11 აგვისტოს, — რომ შემოქმედის, მაკვანეთისა და ლიხაურის მცხოვრებნი გაემართნენ გურიანთაში ალბათ იქ აჯანყებულ გლეხებთან შესაერთებლად და რომ ბრბომ სოფელ კახურიდან მიმართულება მდინარე სუფსისკენ აიღო, რათა მივიდეს თავად იასე გურიელის კუთვნილ ბაილეთში, მე სოფელ გოგოლეთში, სადაც აჯანყება დაიწყო, ჯარისკაცთა როტა, ხოლო შემდეგ 25 კაზაკი გავაგზავნე მაზრის უფროსის თანაშემწის ბაქრაძის მეთაურობით, რათა შეჩერებულ იქნას მეამბოხეთა შემდგომი სვლა სუფსის მიმართულებით. ამასთან ერთად, გაცემულია განკარგულება სოფელ კახურიდან ბაილეთისკენ მიმავალი გზის შეკვრის შესახებ"[4]. მდგომარეობა საკმაოდ სერიოზული იყო. საქმეში თვით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კოლუბიაკინი ჩაერია. 11 აგვისტოს ის გურიაში ჩავიდა და ნახა, რომ მღელვარება უბრალო აფეთქება კი არ იყო, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი ბოღმის გამომხატველი შეთქმულება, რომლის ლიკვიდაცია

---

[1] სმ, 7, გვ. 195

[2] იქვე, გვ. 194

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 197, 1862 წლის გურიის მღელვარებასთან დაკავშირებული საბუთების თითქმის ყველა თარგმანი მომაქვს პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს სტატიიდან.

დიდ დავიდარაბასთან იქნებოდა დაკავშირებული[1]. როგორც კოლუბიაკინის ერთი შედარებით გვიანდელი პატაკიდან ჩანს, მას გურიანთას გლეხები მორჩილებაში მოუყვანია და „წესრიგი“ დაუმყარებია. „მეამბოხეთა მეორე (გურიანთას) ბრბო, — სწერდა იგი კრუზენშტერნს 1862 წლის 1-ლ ნოემბერს, — რომელიც 500 — 600 კაცისგან შედგებოდა, უფრო მედგარი აღმოჩნდა (ვიდრე შემოქმედის ჯგუფი). მის მიერ დაკავებული პოზიციების გარშემო, სხვა ჯერ არაჯანყებულ სოფლებთან კავშირის შეწყვეტის მიზნით, დაყენებულ იქნა ჯარის ნაწილები... მეამბოხეთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით მე მივუგზავნე მათ ჩემთან მყოფი არტილერიის პორუჩიკი თავადი შარვაშიძე და დავავალე მას დაეყოლიებინა გლეხები. ბრბო დაიშალა, ხოლო მეორე დღეს ყველა, მცირე გამონაკლისის გარდა, გამოცხადდა ჩემთან ოზურგეთში... მე დავაპატიმრე ხუთი მოთავე, ხოლო შემდეგში შეპყრობილ იქნა კიდევ სამი კაცი“[2]. ესენი იყვნენ მაქსიმე ღლონტი, ალექსანდრე მამულაიშვილი, მაქსიმე სადრაძე, გოგია მამინაიშვილი, ლევან მალაზონია, ნიკოია ბაქანიძე, ივანე გუჯაბიძე და ანტონ მოისწრაფიშვილი[3].

გურიის გლეხების მესამე გამოსვლა იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოხდა. მის მთავარ მამოძრავებელ ძალას თავად მაჭუტაძეების ყმები წარმოადგენდნენ. მღელვარების უშუალო მიზეზი მებატონეთა გლეხებისათვის ტყის მასივით სარგებლობის აკრძალვა გახდა. ტყე კი აუცილებელი იყო სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის. მას იყენებდა არა მარტო საწვავ-საშენი მასალის მოსამარაგებლად, არამედ საყანე ადგილებადაც. მცირემიწიანი და სრულიად უმიწო გლეხები იძულებული იყვნენ გაეჩეხათ ტყის გარკვეული ნაწილი, გაესუფთავებინათ იგი და საყანედ გამოეყენებიათ. ასე გააკეთეს მაჭუტაძეების ყმებმაც. მებატონეებმა კი, რომლებიც ტყეს თავიანთ ხელუხლებელ საკუთრებად თვლიდნენ, გლეხების ასეთი „თავგასულობა“ ვერ მოითმინეს და მათ მომავალში ტყით სარგებლობა აუკრძალეს, ხოლო დამუშავებული ყანის მოსავლიდან მეათედი ნაწილის გადახდა დააკისრეს. პოლიციის იძულებით გლეხები ერთხანს კიდეც ასრულებდნენ ამ მოთხოვნას, მაგრამ მერე უარი თქვეს[4].

მაჭუტაძეები, რა თქმა უნდა, არ სთმობდნენ თავიანთ პრივილეგიებს და დახმარებისათვის ისევ და ისევ ხელისუფლებას მიმართავდნენ. ასეთი მიმართვის შედეგად გლეხები ჯერ კიდევ 1862 წლის მარტში კატეგორიულად გააფრთხილეს, «Чтобы они не смели портить лесов без особого дозволения помещиков, не вывозили лесных материалов и

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში, გვ. 198.
[2] იქვე, გვ. 200.
[3] იქვე, გვ. 215.
[4] იქვე, გვ. 181.

не расчищали лесных мест для посевов»[1]. მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სამაზრო ხელისუფლებამ გლეხებს ისევ მოუწოდა დაკისრებული ვალდებულების წესიერად შესრულებისკენ. მაზრის უფროსმა პრინცმა თავი მოუყარა ნიგოითის, ჯკონაგვარისა და ქვიანის მშრომელებს და გამოუცხადა, რომ მათ, მკაცრი სასჯელის შიშით, შეეწყვიტათ მიწითა და ტყით თვითნებური სარგებლობა და რომ ყანად ქცეული ადგილებისთვის „ეხადათ შემოსავლის ერთი მეათედი“[2]. შედეგი არც ამას მოჰყოლია. მაშინ პრინცმა ნიგოითში თავისი მოხელე, თარჯიმანი ყენია გაგზავნა, თან კაზაკები გააყოლა და გლეხებისაგან მაჭუტაძეების „კუთვნილი“ გადასახადების აკრეფა დაავალა. ყენიამ სასწრაფოდ შეკრიბა მოსახლეობა, მაზრის უფროსის ბრძანება გააცნო და წინააღმდეგობის შეწყვეტა ურჩია. ამის საპასუხოდ გლეხებს, საგამომძიებლო საქმის თანახმად, განუცხადებიათ, «Что они о неправильном требовании с них 10-й части с урожая принесли жалобу г-ну кутаисскому генерал-губернатору (и) что впредь до разрешения этой жалобы они не могут заплатить требуемого»[3].

ყენიამ საქმეში მღვდელი ბესარიონ კალანდარიშვილი ჩარია და მისი შემწეობით სცადა ურჩთა მორჩილებაში მოყვანა, მაგრამ წარუმატებლად. სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენელი მაინც თავისას არ იშლიდა და გლეხებს გადასახადის ძალით აკრეფით ემუქრებოდა. ამან, როგორც იტყვიან, აავსო მოთმინების ფიალა და მაჭუტაძიაანთ ყმები ყენიასა და მის რაზმს შეებნენ. გაიმართა ძლიერი ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც დაიჭრნენ თვით ყენია, აზნაურები: ბეჟუკე ბოლქვაძე, ლევან ჟორდანია, ნიკოლოზ ებრალიძე, გლეხები: ბესოშინაძე, ბესეიშვილი და სხვები[4]. ეს მოხდა 1862 წლის 10 ოქტომბერს.

ორი დღის შემდეგ ნიგოითს თვით პრინცი გაემგზავრა. 13 აპრილს მისი ბრძანებით ხალხი ერთ მინდორზე შეიკრიბა. მაზრის უფროსმა მასთან მოსალაპარაკებლად თავადი შარვაშიძე გაგზავნა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ[5]. ამის შემდეგ გლეხებმა დატოვეს კრების ადგილი და მახლობლად მდებარე ტყეს შეაფარეს თავი. მათ იქ თვით პრინცი ეწვია და ერთხელ კიდევ სცადა ტკბილი სიტყვით მორჩილებაში მოყვანა, მაგრამ ისინი ყვირილით შეხვდნენ მას და ლაპარაკის საშუალება არ მისცეს[6]. მაზრის უფროსი მოერიდა მათთან შებმას. მან დამატებითი ძალები

---

[1] სმ, 7, გვ. 209.
[2] იქვე, გვ. 211.
[3] იქვე, გვ. 212—213.
[4] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში, გვ. 203—204.
[5] იქვე, გვ. 204.
[6] იქვე.

გამოითხოვა და მხოლოდ ამის მერე შეუდგა იგი აჯანყების რადიკალური ზომებით ჩაქრობას. ოქტომბრის მეორე ნახევრისათვის ნიგოითში „წესრიგი“ უკვე დამყარებული ჩანს. ხელისუფლებამ დააპატიმრა მღელვარების მთავარი მონაწილენი — გრიგოლ, ბიჭია, ივანიკა და კაკაბა კალახდარიშვილები, გურგენ ნარსია, ივანე მანჯგალაძე, მაქსიმე გოგიშვილი, გიორგი თავდიშვილი, ბიჭია ფირცხალაიშვილი და დიანოზ ფილია[1]. ესენი ქუთაისის ციხეში მოათავსეს, განსხვავებით იმ 8 კაცისაგან, რომლებიც აგვისტოს თვეში დააპატიმრეს და ცოტა მოგვიანებით თბილისს გაისტუმრეს.

საქმის გამოძიება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, პატიმრებს თვეობით არავინ არაფერს ეკითხებოდა, ციხის პირობები კი მეტად ძნელი ასატანი იყო. გლეხები ძიების დაჩქარებასა და სამართალს ითხოვდნენ. ჩვენ, სწერდნენ მეფისნაცვალს თბილისის ციხის პატიმრები 1863 წლის 16 დეკემბერს, ვუჩიოდით ჩვენს ბატონს იმისათვის, რომ მისგან „დიდი შეწუხება გვქონდა და განუკითხავათ ვიმყოფებოდით დასჯილი; ჩვენმა მწუხარებამ გვაგონა საზოგადოებით ჩივილი, რომელიც ჩვენ მრავალჯერაც გახლდით ნაჩივარი და საბუთიც გვქონდა... (მაგრამ) ჩვენი საჩივარი მუდამ-ჟამსა დაფარული შეიქმნა და (მას) უმაღლეს მთავრობის წინაშე აღარ მიაღწევინეს... ამაზედა საზოგადოებით ვჩიოდით ჩვენ, რომელ ჩვენი ვითარება და მწუხარება გვეცნობებინა თქვენი უგანათლებულესობისათვის... სხვა ჩვენც არც ბუნტი გვწადია და არც სახელმწიფოს ღალატი... ჩვენ იმპერატორ ხელმწიფისა ერთგული გახლდით მუდამ-ჟამსა და დღესაც გახლავართ. მხოლოდ ჩვენ ჩვენსა მწუხარებას ვჩივით საბუთითა და ამაზედ ვთხოვთ მოწყალებას თქვენს უგანათლებულესობას, რათა მოიღოთ ღვთიური მოწყალება და ჩვენი გარემოება განიხილოთ და განუკითხავად არა გვყოთ დასჯილი“[2].

პატიმარ გლეხთა შესახებ საკმაო ხანს მიმდინარეობდა მიწერ-მოწერა. საბოლოოდ, ყველა „დამნაშავის“ ბედის გადაწყვეტა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს მიანდვეს[3]. სამწუხაროდ, საბუთებიდან არ ჩანს, თუ ვის რა სასჯელი დაადვა გუბერნატორმა და რომელი მათგანი როდის გაანთავისუფლა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მღელვარების მონაწილენი კიდევ კარგა ხანს იყვნენ საპატიმროში[4].

ერთი წელიც არ იყო გასული გურიის გლეხთა მღელვარებიდან, რომ სამეგრელოში აჯანყდნენ თავად ჩიქოვანების ყმები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძრაობა, რომელიც 1863 წლის მაისში მოხდა, მხოლოდ

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში, გვ. 215.

[2] იქვე, გვ. 223.

[3] მას გაუგზავნეს თბილისის ციხეში მყოფი გლეხებიც (სმ. 7, გვ. 257—258).

[4] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში, გვ. 188—189.

ერთ სოფელს — თამაკონს — შეეხო და ამდენად იზოლირებულ ხასიათს ატარებდა, მაინც მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში.

ის მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ამ სახალხო პროტესტს, შემდეგნაირად წარმოიდგინება[1]. 1819 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა თავად როსტომ ჩიქოვანს 5 კომლი გლეხი აჩუქა, გვარად ჯანაშიები და ფაცაციები. ახალმა ბატონმა ისინი მებეგრე გლეხების მდგომარეობაში ჩააყენა და სხვათა შორის საგლეხო გადასახადის გადახდა დააკისრა, რაც 100 კოკა ღვინოსა და 10 ღორს უდრიდა. ეს გადასახადი, რომელიც ისედაც ძალიან მძიმე იყო, კიდევ უფრო გადიდდა როსტომ ჩიქოვანის მემკვიდრეობის დროს. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანაშიებისა და ფაცაციების 5 კომლი დროთა განმავლობაში 23 კომლად იქცა, როსტომის შვილებმა ვალდებულების შესაბამისად გადიდება მოისურვეს და წინანდელი 100 კოკა ღვინისა და 10 ღორის ნაცვლად ხელქვეითებს 460 კოკა ღვინო და 46 ღორი მოსთხოვეს. გლეხებმა ამაზეც უარი თქვეს. სამეგრელოში არსებული ჩვეულების თანახმად, ამბობდნენ გლეხები, გადასახადების გადიდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც ახლად შექმნილ-ჩამოყალიბებულ ოჯახს მებატონე აძლევს დამატებით ნაკვეთს. რაკი ასეთი რამ ჩიქოვანებს არ გაუკეთებიათ, ჩვენ მათი მოთხოვნა უკანონოდ მიგვაჩნია და უარს ვაცხადებთ მის შესრულებაზეო[2]. მემამულეები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ და ისინი თავისას დაჟინებით მოითხოვდნენ.

მაშინ გაჭირვებაში ჩავარდნილმა თამაკონის (სენაკის ოლქი) გლეხებმა თვითნებურად შეწყვიტეს გადასახადების ძლევა და ერთდროულად სათანადო თხოვნა-საჩივრით წარდგნენ ხელისუფლების წინაშე. ისინი აყენებდნენ საკითხს არა მარტო გადასახადების შემცირების, არამედ საერთოდ ჩიქოვანების ბატონობისაგან განთავისუფლების შესახებ[3]. მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, არაფერი გამოვიდა; „სენაკის ოლქის უფროსმა, სამეგრელოს მმართველმა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, — ნათქვამია თავად აბაშიძის მოხსენებით ბარათში (1863 წ.), —

---

[1] მღელვარების მთელი მსვლელობა გადმოცემულია პროფ. შ. ჩხეტიას გამოკვლევის „გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში“ მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1937 წელს „მასალებში საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ (ნაკვეთი 1). ქვემოთ შ. ჩხეტიას სტატიის დასახელებისას გვერდები მითითებული იქნება მასალების მიხედვით.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, გვ. 84—85.

[3] „ჩვენი თხოვნის სიმართლეში სათანადოდ დარწმუნების შემდეგ, გთხოვთ გაგვანთავისუფლოთ თავად ჩიქოვანების მიერ უკანონო დაუფლებისაგან“ (იქვე, გვ. 109; შდრ. გვ. 110, 116.)

მიიღეს რა მხედველობაში, რომ გადასახადი საუდიერო, მხარის ჩვეულების მიხედვით, არ ნაწილდება გაყოფილ ოჯახებს შორის, არამედ იგივე რჩება თვითეული კომლისათვის უცვლელად და რომ ამ დროს ანგარიში არ ეწევა გასაყოფ ოჯახის განკარგულებაში არსებულ მიწის რაოდენობას, გლეხების თხოვნა სცნეს უსაფუძვლოდ"[1].

საკითხი გლეხების სასარგებლოდ არც მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს გადაუწყვეტია, რომელმაც თამაკონელთა საჩივარი 1863 წლის მარტში მიიღო. მაშინ მათ ერთმანეთს შეჰფიცეს გადასახადი არ გადაეხადათ და ჩიქოვანებს არ დამორჩილებოდნენ, ხოლო ძალდატანების შემთხვევაში შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ. ბრაზმორეულმა მემამულეებმა მუქარა-დაშინების გზით სცადეს ურჩთა მორჩილებაში მოყვანა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ საქმეში სენაკის ოლქის უფროსი კ. ბოროზდინი ჩაერია. მან 1863 წლის 9 მაისს სოფელ თამაკონს თავისი თანაშემწე ნანეიშვილი მიავლინა. ნანეიშვილმა, რომელსაც ახლდა 10 კაზაკი და თავადაზნაურთა შეიარაღებული რაზმი, წარმომადგენელი მიუგზავნა გლეხებს და მათ გონს მოსვლა ურჩია. ეს წინადადება აჯანყებულებმა არსებითად უყურადღებოდ დატოვეს და ოლქის უფროსის თანაშემწეს შეუთვალეს, რომ ისინი უცდიან მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილი საჩივრის პასუხს.

ნანეიშვილმა ძალის გამოყენება გადაწყვიტა. იგი კაზაკებითა და თავად-აზნაურთა რაზმით აჯანყებულთა ბანაკისაკენ გაემართა. გლეხების მიერ მოწყობილმა სადარაჯო პუნქტმა შენიშნა მოწინააღმდეგე ძალების მოახლოება. არ სურდათ რა საქმის გართულება, თამაკონელებმა გააფრთხილეს ისინი და წინადადება მისცეს უკან გაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ნანეიშვილი თავისას არ იშლიდა. გლეხებმა საოლქო ხელისუფალის ამ სიჯიუტეს სროლით უპასუხეს. ასევე მოიქცნენ კაზაკებიც. ამ შეტაკების დროს, რომელიც 10 მაისს მოხდა, დამსჯელთა რაზმს სამი კაცი გამოაკლდა. ერთი მათგანი — მამასახლისი ბეჟანა დგებუაძე — მოკლულ იქნა, ხოლო ორი — აზნაური გიორგი დგებუაძე და გლეხი გუთუ კვაშილავა — დაჭრილი[2].

ყოველივე ამან საგონებელში ჩააგდო ოლქის უფროსი, სამეგრელოს მმართველი და ქუთაისის გუბერნიის მთელი ადმინისტრაცია. მათ ამჟამად აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომელთა რაოდენობა 150—200 კაცს არ აღემატებოდა, დასძრეს 700—800 კაცისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილები და თავად-აზნაურთა რაზმები[3]. ბოროზდინმა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ოპერაციის ჩატარებას, გლეხებს წარმომადგენლები

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, გვ. 86, 116.
[2] იქვე, გვ. 91, 116.
[3] იქვე, გვ. 95.

მიუგზავნა, დაუყოვნებლივ დაშლა და მღელვარების მეთაურთა გაცემა მოსთხოვა, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი მიიღო. მოთმინებიდან გამოსულმა ოლქის უფროსმა თამაკონელთა მკაცრად დასჯა გადაწყვიტა. 13 მაისს მისი ბრძანებით თამაკონს, რომლის მოსახლეობა კარზე მომდგარი საშიშროების მოლოდინში გაიხიზნა და მთა-გორიან ადგილებში გამაგრდა, შეიარაღებული რაზმები შეესია. სოფელს საშინელი უბედურება დაატყდა. იგი სულერთიანად გადაწვეს და გააპარტახეს. დაზარალებულთა მოწმობით[1], მოწინააღმდეგეს დაუწვავს 29 სახლი „თავისი მოწყობილობებით", 13 ნალია „სიმინდითა და ფეტვით გავსებული", 300 საწნახელი, საწოლი და ტანისამოსი. გარდა ამისა, თან წაუსხამთ შინაური საქონლის დიდი რაოდენობა.

ეტყობა, ძალამ თავისი გაიტანა. მღელვარების მონაწილეთა უმრავლესობა, რომელიც კარგად ხედავდა არათანაბარი ბრძოლის გაგრძელების უპერსპექტივობას, წინააღმდეგობის შეწყვეტისა და ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზას დაადგა. გლეხებმა ამ უკანასკნელს 7 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია მიუგზავნეს და შეუთვალეს, რომ ისინი იარაღს პყრიან და მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან.

დაიწყო რეპრესიები. ადმინისტრაციამ, მკვლევართა ვარაუდით, დაატიმრა სულ 30—40 კაცი, აქედან ხუთი გასამართლებამდე გარდაცვლილა, ცამეტი პასუხისგებაში მიუციათ, ხოლო დანარჩენები გაუნთავისუფლებიათ[2]. პასუხისგებაში მიცემული გლეხებიდან ზოგს ციმბირში გადასახლება მიესაჯა, ზოგს კი სასჯელის უმაღლესი ზომა — ჩამოხრჩობა[3].

ასე ტრაგიკულად დამთავრდა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის კიდევ ერთი საყურადღებო ეპიზოდი.

აჯანყების ჩაქრობისა და გამოძიების დამთავრების შემდეგ, მატერიალურად სრულიად განადგურებულმა თამაკონელმა გლეხებმა არაერთხელ მიმართეს მთავრობას თხოვნით ზარალის თუნდაც ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ. გემუდარებით „ჩვენი დამწვარი სახლები აგვინაზღაუროთ ჩიქოვანების საკუთრებიდან კანონიერ ფასებში"[4], სწერდნენ ისინი მეფისნაცვალს მიხეილ ნიკოლოზის ძეს 1864 წლის 3 ივნისს, მაგრამ, ჩანს კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას თამაკონელთა ეს თხოვნა არ დაუკმაყოფილებია. ყოველ შემთხვევაში 1864 წლის განმავლობაში საქმე ამ მიმართულებით უბრალო ბიუროკრატიული მიწერ-მოწერის ფარგლებს არ გასცილებია.

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, გვ. 96, 106.
[2] იქვე, გვ. 102.
[3] იქვე, გვ. 105.
[4] იქვე, გვ. 109.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ზემოაღწერილ მღელვარებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, სოფლის მშრომელი მოსახლეობა იარაღს მაინც არ ყრიდა. 1864 წელს მოხდა გლეხთა გამოსვლა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში (სოფ. მატანში)[1], ხოლო ორი წლის შემდეგ — აფხაზეთში. ეს უკანასკნელი დიდი მასშტაბის ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური ხასიათის გლეხთა აჯანყება იყო. მისი აფეთქება დააჩქარეს ხალხში გავრცელებულმა ხმებმა იმ რეფორმის ბატონყმური არსის შესახებ, რომლის გასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა უკვე მიმდინარეობდა აფხაზეთში. გლეხები აღშფოთებული იყვნენ, კერძოდ, მთავრობის განზრახვით, რომ დამოკიდებულ მოსახლეობას თავის ხარჯზე გამოესყიდა მიწა და გადასახადები[2]. აფხაზეთის სოფლის მშრომელი მოსახლეობა ენერგიულ პროტესტს აცხადებდა ამის წინააღმდეგ და მოითხოვდა რეფორმის სულ სხვა საფუძველზე გატარებას.

1866 წლის ივლისში მუშაობა დაიწყო სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ, რომელიც რეფორმისთვის საჭირო მასალებს აგროვებდა. მისი წევრი ჩერეპოვი, ბზიფის ოკრუგის უფროსი იზმაილოვი, აზნაური ტიტუ მარღანია და სხვები ხსენებულ ოკრუგს ესტუმრნენ და გლეხებს მათთვის საინტერესო საკითხებზე პასუხის გაცემა მოსთხოვეს. გლეხებმა ამაზე მტკიცე უარი განაცხადეს. ასე მოიქცნენ, კერძოდ, აფცხვას, მუგუძირხვას, ჩაბალურხვას და სხვა სოფლების მცხოვრებნი[3]. მათ პირდაპირ უთქვამთ, რომ ისინი ერთი წუთითაც არ ფიქრობენ მიიღონ თავისუფლება გამოსყიდვის გზით და ამიტომ უარს აბბობენ ცნობების მიწოდებაზეო. «Мы не понимаем такого освобождения крестьян, — განუცხადებია ჩერეპოვისა და მისი თანმხლები პირებისათვის ხალხის წარმომადგენელს შამბას, — как вы нам объясните. У нас нет собственных средств выкупиться от помещиков... Если правительству угодно освободить крестьян, то мы надеемся, что государь будет и к нам милостив, обратить внимание на нашу бедность, выкупит нас, а наших помещиков не оставит без вознаграждения от себя, а не из нашей собственности»[4].

მიიღო რა ცნობა ჩერეპოვის საქმიანობის წარუმატებლობისა და გლეხების წინააღმდეგობის შესახებ, ბზიფის აფხაზეთში თვით სოხუმის გან-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პრ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, 484.

[2] Г. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955, გვ. 127—128.

[3] იქვე, გვ, 134.

[4] СХАО, II, გვ. 558; Г. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, გვ.135

ყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კონიარი ჩავიდა. იგი სოფ. ლიხნში მოწვეულ სახალხო კრებაზე გამოვიდა და მის მონაწილეებს რეფორმისთვის საჭირო ცნობების დაუყოვნებლივ წარმოდგენა მოსთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. „არა, პოლკოვნიკო, — ერთხმად უპასუხეს გლეხებმა, — ჩვენ ვერ შევასრულებთ თქვენს მოთხოვნას, კმარა, მეტის მოთმენა არ შეგვიძლია“[1].

კონიარის შემდგომმა უტაქტო და უხეშმა მოქმედებამ ხალხი უკიდურესობამდე მიიყვანა. მოთმინებადაკარგული გლეხები ეცნენ სოხუმის განყოფილების უფროსს და მის ამალას. ისინი გაიქცნენ და თავი ყოფილი მთავრის მიხეილ შარვაშიძის სასახლეს შეაფარეს. ხალხი მათ ფეხდაფეხ მიჰყვა. მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულ იქნა პოდპორუჩიკი სურინოვიჩი, ჩერეპოვი, კონიარი, იზმაილოვი, ოფიცერი არტიუხოვი და 50-ზე მეტი კაზაკი[2].

ლიხნელთა გამოსვლით დაიწყო საერთო-სახალხო აჯანყება, რომელმაც თითქმის მთელი აფხაზეთი მოიცვა და იარაღს ქვეშ 20 ათასამდე კაცი დააყენა. 26 ივლისს აჯანყებულთა ერთი ნაწილი (4 ათასი კაცის რაოდენობით), რომელშიც შედიოდნენ სოფლების: აცის, ანუხვის, ფსირცხის (ახლანდელი გუდაუთის რაიონი), იაშთუხისა და გუმის მცხოვრებნი სოხუმისაკენ გაემართნენ. 27 ივლისს ისინი ქალაქს მიუახლოვდნენ და მისი მისადგომები დაიკავეს, მაგრამ მეორე დღეს ფოთიდან მოსულმა სამხედრო ძალებმა უკან დაახევინეს. 30 ივლისს აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს სოხუმის ციხეზე და იქ მდგომ გარნიზონზე, მაგრამ უშედეგოდ.

იმავე 30 ივლისს, დღის მეორე ნახევარში, კონტრშეტევაზე გადავიდნენ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით სოხუმში ჩასული რეგულარული ჯარის ნაწილები. ბრძოლა, რომელიც 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, აჯანყებულთა უკანდახევით დამთავრდა[3]. გლეხებმა ამის შემდეგაც არაერთხელ სცადეს ხსენებული სიმაგრის აღება, მაგრამ ყველა შემთხვევაში წარუმატებლად. ხალხი იარაღს მაინც არ ყრიდა. ახალი შერკინებისთვის ემზადებოდნენ როგორც სოხუმის მიდამოებში, ისე აფხაზეთის სხვა რაიონებში (წებელდა, ბზიფი) მოქმედი აჯანყებულთა ნაწილები. ამით შეშფოთებული ადმინისტრაცია ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას ახდენდა. ისინი მოდიოდნენ ფოთიდან, ნოვოროსიისკიდან, სევასტოპოლიდან და სხვა ადგილებიდან. აგვისტოს პირველი რიცხვებისათვის სოხუმში უკვე დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი. სვიატოპოლკ-მირსკი ჯერჯერობით მოერიდა იარაღის გამოყენებას და აზვირთებული მასის სიტყვით დაშოშმინება სცადა. ამ მიზნით მან 3 აგ-

---

[1] Г. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, გვ. 145.
[2] იქვე, გვ. 149.
[3] იქვე, გვ. 163.

ვისტოს თავი მოუყარა სოხუმის მახლობელი სოფლების მამასახლისებს და მათი მეშვეობით აჯანყებულებს იარაღის დაყრა მოსთხოვა[1]. მეორე დღეს მათ ბართლაც დაიწყეს იარაღის ჩაბარება. მალე იგივე გააკეთეს წებელდისა და ბზიფის გლეხებმაც. სექტემბრის დასაწყისისათვის აჯანყებულთა განიარაღება უკვე დამთავრებული იყო. ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობდა «Радуюсь лучшими известиями из Абхазии»[2], სწერდა იმპერატორი ალექსანდრე II თავის ძმას მეფისნაცვალს კავკასიაში მიხეილ ნიკოლოზის ძეს.

გლეხებს „თავგასულობა“, რა თქმა უნდა, არ აპატიეს. მთავრობამ აჯანყების ხელმძღვანელები მკაცრად დასაჯა. სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით სამი კაცი საჯაროდ ჩამოახრჩეს, ხოლო 30 კაცი შორეულ ადგილებში (უმთავრესად ციმბირში) გადაასახლეს. გადასახლებულთა შორის იყვნენ გლეხები: ოთირბა, ქუჯბა და სხვ. სასჯელი დაედოთ აგრეთვე აჯანყების დანარჩენ მონაწილეებს — ოსმან შამბას, პეტრე კობახიას, გუდ დბარს, მეოუსთ ფილიას, ნაურუზ შაყრილს და სხვ.

ასე დასრულდა სახალხო ბრძოლის ეს ეპიზოდიც, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა და რომელშიაც პირველ ეტაპზე ამა თუ იმ მიზეზით უკმაყოფილო თავადაზნაურთა მცირე ნაწილმაც მიიღო მონაწილეობა[3].

ექსპლოატატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა არა მარტო გლეხობა, არამედ ქალაქის მშრომელი მოსახლეობაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ თბილისის მუშების, ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების გამოსვლა 1865 წლის ივნისში, რომელიც ჩვეულებრივ წყაროებსა და ლიტერატურაში „ამქართა გამოსვლის“ სახელითაა ცნობილი. მასში ნაწილობრივ შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

სახალხო მოძრაობის ძირითადი მიზეზი ქალაქის დაბალი ფენების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იყო. ეს ითქმის პირველ რიგში მუშებზე, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას დროებით ან მუდმივად სოფლიდან მოსული — გამოქცეული გლეხობა შეადგენდა. ოჯახისა და დიდი ვაი-ვაგლახით მოწყობილი საცხოვრებელი ადგილის დატოვება და ქალაქ-

---

[1] Г. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, გვ. 169.

[2] იქვე, გვ. 179.

[3] თავადაზნაურობის უკმაყოფილების უმთავრესი მიზეზი იყო უმაღლესი ხელისუფლების ცდა უარეყო მათი მესაკუთრული უფლებები და მიწების ბატონ-პატრონად ხაზინა გამოეცხადებინა. მცირე მნიშვნელობა არც იმას ჰქონდა, რომ ამ „ბრწყინვალე“ წოდებამ აფხაზეთის სამთავროს ავტონომიის ლიკვიდაციით 1864 წელს დაკარგა მოქმედების ის თავისუფლება, რომელიც მას მანამდე ჰქონდა.

ში გადახვეწა, მართალია, გლეხს „მემამულის ბატონობისაგან“ ათავისუფლებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი, თანამედროვეთა მოწმობით, ბურჟუაზიის და მოხელეების ხელქვეითი, ლუკმა-პურის მაძიებელი მაწანწალა ხდებოდა[1]. ქვისა და ქვიშის, წყლისა და შეშის, ტომრებისა და სხვა ტვირთის ზიდვა, მდიდართა ბაღებში მუშაობა — აი რით ცდილობდა ის საკუთარი თავისა და ცოლ-შვილის შენახვას, მასზე დაკისრებული გადასახადების გადახდას. მაგრამ ამ მძიმე შრომით შეძენილი ფული იმდენად მცირე იყო, რომ ის მის მოთხოვნილებათა მხოლოდ ერთ, უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებდა [2].

სახარბიელო არც წვრილი ხელოსნებისა და ვაჭარ-მიკიტნების მდგომარეობა ყოფილა. მართალია, მათი ცხოვრების პირობები შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე მუშებისა, მაგრამ არსებული ბიუროკრატიული რეჟიმი, ხელისუფლების უკუღმართი საფინანსო პოლიტიკა, გადასახადების მძიმე ტვირთი, უუფლებობა და სხვ. მათაც უხუთავდა სულს და პროტესტანტულად განწყობილი ფენების ბანაკში აქცევდა.

მთავრობასთან „სამდურავი“ თბილისის მსხვილ ბურჟუაზიასაც ჰქონდა. „პირველხარისხოვანი მოქალაქეები“ და, საერთოდ, ადგილობრივი ვაჭრები სულ უფრო მეტსა და მეტ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ახლადმოსული ვაჭრების გავლენის ზრდის გამო, რასაც, მათი აზრით, მთავრობაც უწყობდა ხელს[3]. ამის საილუსტრაციოდ ისინი 1864 წელს თბილისის ქალაქის თავად სპარსეთიდან ჩამოსულ გალუსტ შერმაზან-ვართანოვის არჩევას ასახელებდნენ[4].

ისედაც შეწუხებული თბილისის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ღარიბი ნაწილის, მოთმინებას ბოლო მაშინ მოეღო, როდესაც ხელისუფლებამ, ქალაქის ბიუჯეტის საგრძნობი დეფიციტის[5] დაფარვის მიზნით, არამცთუ გაადიდა არსებული გადასახადების ნორმა, არამედ რიგი ახალი, მანამდე სრულიად უცნობი გადასახადი დააწესა, რომლის მთელი სიმძიმე საზოგადოების დაბალ ფენებს დააწვა კისერზე. ამიერიდან მოსახლეობას ხაზინაში უნდა შეეტანა: 1) ბაჟი ქალაქსა და მის მიდამოებში სასმელებით ვაჭრობის ნებართვისათვის, გადიდებული, წინანდელთან შედარებით, 25%-ით; 2) გადასახადი საჯდომ და საეტლე ცხენებზე 5—10 მანეთის რაოდენობით (შესაბამისად); 3) თიხაზე და გაჯზე 4 ათასი მანეთის რაოდენობით წელიწადში; 4) სამშენებლო მასალაზე, რომელსაც ქუჩებსა და

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ივნისის დღეები თბილისში, თხზ., ტ.1, .1962, გვ. 300.

[2] იქვე, გვ. 300—301.

[3] А. Г. Пирцхалаишвили, К истории выступления Тбилисских амкаров в 1865 г, «Исторические записки», т. 8. 1940, გვ. 223.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 224.

მოედნებზე ალაგებდნენ და, დასასრულ, 5) მოქალაქეთა სათანადო წიგნში ჩაწერაზე[1].

თუ რაოდენ საზიანო იყო ხალხის ფართო მასებისათვის ქალაქის მესვეურთა ინიციატივით გატარებული ეს ღონისძიება ჩანს იქიდან, რომ მისი წყალობით გამომღებ წოდებათა ყოველწლიური გადასახადი დაახლოებით 60 ათასი მანეთით გადიდდა[2].

ახალი გადასახადის შემოღებას თბილისის მუშები, ვაჭრები და ხელოსნები დიდი აღშფოთებით შეხვდნენ და მის ცხოვრებაში გატარებას შედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ კრებებზე გამოჰქონდათ ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი, არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლების განკარგულებას და მიეღწიათ მისი გაუქმებისათვის. ხალხმა საქმის მოგვარება ჯერ მშვიდობიანი გზით სცადა. მან თხოვნით მიმართა ქალაქის თავს, მეფისნაცვლის მოადგილეს და თვით მეფისნაცვალსაც კი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაშინ დაზარალებულებმა საჩივარი პირდაპირ იმპერატორს გაუგზავნეს და მას ახლად დაწესებული გადასახადების გაუქმება თხოვეს. ასე მოიქცნენ, მაგალითად, თბილისელი მიკიტნები. «Производя торговлю напитками, — სწერდნენ ისინი იმპერატორ ალექსანდრე II-ს, — сословие наше в сознании неизбежной обязательности отбывало установленные налоги безропотно; хотя по случаю повышения цен на жизненные потребности, многие из нас, и в особенности те, которые, торговали в кредит, не в состоянии будучи платить налог, закрывали заведения, а имущество отбиралось для аукционной продажи на пополнение недоимок. Ныне по распоряжению начальства... определено: сверх платимых нами в пользу казны и города Тифлиса налога взыскивать с 1-го июля сего (1865) года еще по 25%. Этот новый налог, окончательно убивая нашу торговлю, приведет к неизбежному разорению... При самых (даже) благоприятных условиях из годового оборота двухсот или трехсот рублей никак не может быть выручено прибыли, достаточной на уплату одних только налогов, не говоря о прочих по заведениям расходах.

В такой безвыходной крайности сословие наше дерзает возвать к милосердию вашего императорского величества и всепод-

---

[1] „საარქივო მასალები თბილისის ამქართა 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის" (პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის პუბლიკაცია, შემდეგში შემოკლებით „მასალები") „საისტორიო მოამბე", 3, გვ. 44—45.

[2] Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, Тб., 1942, გვ. 272.

даннейше просить... сделать нам снисхождение, повелев отменить добавочный 25% налог»[1].

მაგრამ, როგორც ცნობილია, არც ამ ნაბიჯს მოჰყოლია რაიმე შედეგი. ამით გამწარებულმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა 26 ივნისს მოიწვიეს კრება, რომელზედაც ერთხმად გადაწყდა ქალაქის ყველა დუქნისა და მაღაზიის დაკეტვა. მეორე დღეს ეს დადგენილება, მიუხედავად ადმინისტრაციის მხრივ გაფრთხილებისა, მართლაც სისრულეში იქნა მოყვანილი. მაშინდელი ერევნის (ახლანდელ ლენინის) მოედანზე პოლიცმეისტერის შენობის წინ თავი მოიყარა ქვითა და ჯოხებით შეიარაღებულმა 10 ათასმა კაცმა. ისინი არა მარტო ახლად შემოღებული გადასახადების გაუქმებას მოითხოვდნენ, არამედ მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებსაც ისროდნენ[2].

პოლიცმეისტერმა სცადა ხალხის დაშოშმინება, მაგრამ უშედეგოდ. შედეგი არც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლის ნიკოლოზ ჭავჭავაძის ჩარევას მოჰყოლია. მაშინ მოედანზე თვით გრიგოლ ორბელიანი გამოცხადდა და აზვირთებულ მასას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „შვილებო, გონს მოდით, დამშვიდდით; კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარმმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდი“[3]. მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. მოთმინებიდან გამოსული გენერალი ხალხს დაემუქრა, რასაც აჯანყებულებმა სტვენით, უწმაწური სიტყვებითა და ქვების სროლით უპასუხეს. მოედანზე ჟანდარმები და კაზაკები მოვიდნენ და ბრბოს ძალით გაფანტვა სცადეს. მღელვარების მონაწილეებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლის დროსაც დამსჯელი რაზმის ერთ წევრს ქვით თავი გაუხეთქეს. კიდევ მეტიც. მათ მოინდომეს პოლიცმეისტერის შენობის ოკუპირება, მაგრამ ვერ შეძლეს და თავი მიანებეს. აქედან ისინი ქალაქის თავის შერმაზან-ვართანოვის სახლისკენ გაემართნენ და სულერთიან დალეწეს. თვით სახლის პატრონი კი, რომელიც ადრევე გაიპარა, აშკარა სიკვდილს გადაურჩა.

უფრო უიღბლო აღმოჩნდა გადასახადების ამკრეფი, ქალაქის თავის თანამშრომელი ვინმე ბაკბეუქ-მელიქოვი. მან ხალხს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და ერთი მათგანი სასიკვდილოდაც დაჭრა. ამან მდგომარეობა საგრძნობლად გაართულა. აჯანყებულები შევარდნენ მის სახლში, ყველაფერი დაამტვრიეს. თვითონ ბაკბეუქ-მელიქოვმა გაქცევა

---

[1] „მასალები“, სმ., 3, გვ. 9—10.

[2] პ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ჩემი ცხოვრება. ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 5, გვ. 147; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, Тбилиси в XIX столетии, გვ. 274.

[3] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ცხოვრება და ღვაწლი თავადის გრიგოლ ორბელიანისა, ჟურნ. „მოამბე“, 1904, წიგნი V, განყ. 1, გვ. 3.

სცადა, მაგრამ წარუმატებლად — ხალხმა ის აუტანელი ცემით სიცოცხლეს გამოასალმა. ეს მოხდა 27 ივნისს.

საქმის ასეთმა მიმდინარეობამ ხელისუფლება დიდ საგონებელში ჩააგდო. ის, რა თქმა უნდა, აჯანყების ძალით ჩაქრობის გეგმაზე ხელს არ იღებდა, მაგრამ წარმატების მისაღწევად არც სხვა საშუალების გამოყენებაზე აბრობდა უარს. მან სცადა, კერძოდ, თბილისის მსხვილი ბურჟუაზიის, „პირველხარისხოვანი მოქალაქეების“ თავის მხარეზე გადმობირება, რისთვისაც მან ქალაქის თავის მოვალეობისგან გაანთავისუფლა ახლადმოსული, არამკვიდრი თბილისელი შერმაზან-ვართანოვი და მის მაგივრად ადგილობრივი კაცი სოლომონ აბესალომოვი დანიშნა[1].

აბესალომოვმა და აღნიშნული ღონისძიებით კმაყოფილმა „პირველხარისხოვან მოქალაქეთა“ წარმომადგენლებმა, მთავრობის დავალებით, მოლაპარაკება გამართეს აჯანყებულებთან. ისინი არწმუნებდნენ მათ შეეწყვიტათ მღელვარება, გაეღოთ დუქნები და უმაღლესი ადმინისტრაციისათვის ეთხოვათ ახლად დაწესებული გადასახადების გაუქმება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი აკრეფის ვადის გადადება მეფისნაცვლის პეტერბურგიდან ჩამოსვლამდე[2]. მაგრამ მშვიდობიან მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია.

მთავრობამ უკვე ძალის გამოყენება სცადა. 28 ივნისს, საღამოს, მოხდა სისხლიანი შეტაკება ჯარის ნაწილებსა და აჯანყებულებს შორის, რომლის დროსაც, ოფიციალური ცნობით, მოკლულ იქნა 4 და დაჭრილი — 7 კაცი. პროფ. პ. მელიქიშვილის მოწმობით კი, მარტო მოკლულთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევდა.

ხელისუფლებამ თბილისის ღარიბი მოსახლეობის (მუშების, ხელოსნების და წვრილი ვაჭრების) აჯანყება ჩააქრო. სენატის განაჩენით, მის მეტ-ნაკლებად აქტიურ მონაწილეებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა და ციმბირში გადასახლება მიესაჯა[3].

* * *

რაც ზემოთ ითქვა, მკაფიოდ ლაპარაკობს კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავებაზე რეფორმის წინარე ხანის საქართველოში. ნიკო ნიკოლაძის მოწმობით, ყირიმის ომის შემდეგ გლეხთა საკითხის სიმწვავე ღრმავდებოდა თურმე „არა დღეობით, არამედ საათობით“ და

---

[1] А. Пирцхалаишвили, К истории выступления..., გვ. 232.

[2] იქვე.

[3] „მასალები“, სმ. 3, გვ. 140—143.

მას მოუცავს როგორც მოწინავე ქართველი საზოგადოების, ისე კავკასიის ადმინისტრაციის მთელი გულისყური[1]. ეს უკანასკნელი, ჩანს, სერიოზულ საგონებელში ჩავარდნილა. «Этот грустный нравственно-религиозный упадок туземного населения, — წერდა 1859 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, — принимает такие размеры, что при дальнейшем их развитии неволно заставляет опасаться за будущее спокойствие вверенного мне края»[2]. მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის მოწ-მობითაც, განსახილველი ხანის საქართველოში ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება ისე გამწვავებულა, რომ მას შეუძლებლად მიაჩნდა აგრარული საკითხის მოგვარების თუნდაც მცირე ხნით გადადება. „მე, როგორც უკვე წინათაც გწერდი, — ნათქვამია მის 1863 წლის ივლისის თვით დათარიღებულ წერილში იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი, — მივაქცევ ამ საგანს (ე. ი. გლეხთა საკითხს — ავტ.) მთელს ჩემს ყურადღე-ბას და შევეცდები შეძლებისდაგვარად დავაჩქარო ამ მნიშვნელოვანი სა-კითხის გადაჭრა. მისი მოგვარება აუცილებელია გადაუდებლად, რადგანაც ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის მეტად გამწვავებულია მთელს კავკასიის მხარეში, განსაკუთრებით კი აქ (შეიძლება იგულისხმე-ბოდეს ახალციხის მაზრა, სადაც მეფისნაცვალს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა — ავტ.) და გორის მაზრაში და ჩვენ იძულებული გავხდით ბევრ ადგილას ეგზეკუცია გაგვეგზავნა. ძალიან ხშირად გლეხები უარს აცხადე-ბენ ისეთი გადასახადების გადახდაზე, რასაც ჩვეულების თანახმად ძველი დროიდან მათი მამები და წინაპრები იხდიდნენ. თავისუფლების მოლო-დინში გლეხები ნებას აძლევენ თავს ასეთი ურჩობა ჩაიდინონ“[3].

ასე შეიქმნა საქართველოში რევოლუციური სიტუაცია, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ბატონყმობის გაუქმების საკითხი. დრომოჭმული სოციალ-ეკონომიური წყობილების შენარჩუნება არ სურდათ არა მარტო საზოგადოების დაბალ ფენებს, არამედ მისი ხელუხლებლად დატოვება შეუძლებლად მიაჩნდათ თვით მემამულეთა კლასის წარმომადგენლებსაც. ასეთი ვითარების შექმნაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ამ დროისათ-ვის უკვე გაფორმებულმა ანტიბატონყმურმა იდეოლოგიამ.

§ 2. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება

რეფორმის წინარე ხანის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრე-ბაში მიმდინარე ძვრებმა განაპირობეს ახალი ანტიბატონყმური, რევოლუ-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ. (პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით), ტ. I, თბ., 1962, გვ. 251—252.

[2] АКАК, XII, ч. II, გვ. 49.

[3] ЦГИАМ, ф. 678, оп. I, д. 607, лл. 26—27; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, საგლეხო რეფორ-მა საქართველოში და მისი მნიშვნელობა, თბ., 1966, გვ. 3—4.

ციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის წარმოქმნა, რომლის წარმომადგენლები თერგდალეულების ან ქართველი სამოციანელების სახელით არიან ცნობილნი. მართალია, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, დანიელ ჭონქაძის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, სერგი მესხის, ბესარიონ ღოღობერიძის და სხვა თერგდალეულთა სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ფორმირება, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი ქვეყნის სინამდვილის (ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება, ძლიერი გლეხთა მოძრაობა, მოწინავე აზრების მქადაგებელი ქართული ლიტერატურა და სხვ.) უშუალო ზეგავლენით მიმდინარეობდა, მაგრამ მცირე მნიშვნელობის ფაქტორს არც რუსეთისა და ევროპის პროგრესული საზოგადოების კეთილმყოფელი გავლენა წარმოადგენდა. ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენისა და სხვათა ნააზრევმა, მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა ქალაქების სტუდენტთა რევოლუციურმა მოძრაობამ, დიდად შეუწყვეს ხელი ქართველი ახალგაზრდობის იდეურ ფორმირებას, საერთოდ და, კერძოდ კი იმ ნაწილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რომელიც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა.

თერგდალეულებმა არა მარტო „შეითვისეს უდიდესი სიძულვილი ბატონყმობისადმი, არამედ გაბედულად აღიმაღლეს ხმა ამ ურთიერთობის წინააღმდეგ და მისი მოსპობა-გაუქმების მოთხოვნით გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. თანამედროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ მათ ეკუთვნოდათ „პირველი ხმა ბატონყმობის გადაგდებაზე“ [1]. „თუმცა დროება გამოეცვალა ქართველ ერს (გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის), — წერდა 1883 წელს ეგნატე იოსელიანი, — მაგრამ ბატონყმობა (მაინც) შეურყეველი დარჩა. არავინ არ იდო თავს მოეფიქრებინა (საშუალება) ბატონყმობის ბოლოს მოსაღებად, ძველის მამა-პაპურ უსამართლობის გასასწორებლად. საზოგადო აზრი ერისა მოიშალა; საითკენაც უნდა მიბრუნებულიყო კაცი, ყოველის მხრით მონის კვნესა ეწვეთებოდა ყურში. ეს გარემოება სუფევდა, როცა ახალი თაობა (ე. ი. თერგდალეულები — ავტ.) დაბრუნდა სწავლიდან, ამოიღო ხმა, ცხადად თუ მალვით, ბატონყმობის უსამართლობაზე... თავიანთ ძალას, ჭკუას დაუყოვნებლივ იმისთვის ხმარობდნენ „შვილები“, რომ მოესპოთ ძველი უსამართლობა, ბატონყმობა, ცდილობდნენ ჩამოერთმიათ მათრახი, პალაჩობა ყმებზედ და გამოეყვანათ ქვეყანაზე კაცად“[2] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

---

[1] ე. იოსელიანი, ქართული ლიტერატურა. ჟურ. „ივერია“, 1883, № 4, გვ. 85.
[2] იქვე, გვ. 87—88.

ძველი დახავსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტით თერგდალეულებიდან პირველი რაფიელ ერისთავი გამოვიდა[1]. მან ჯერ კიდევ 1857 წელს, როდესაც „ბატონყმობის (გადავარდნის შესახებ) ჩუჩუნიც არსად იყო“[2], დაწერა ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელიც 1861 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ იოსებ მიქაბერიძის ფსევდონიმით. ამ, როგორც ჩანს, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების უშუალო შთაბეჭდილებით დაწერილ ლექსში მკაცრადაა გაკრიტიკებული და დაგმობილი ის სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც ნებას აძლევდა ერთ ადამიანს მონურ მორჩილებაში ჰყოლოდა მეორე ადამიანი და რომელიც სავსებით ნორმალურად თვლიდა დედისაგან შვილის სამუდამოდ ჩამოშორებას. აი რა სიტყვებს ათქმევინებს პოეტი ბატონის უკუღმართი საქციელით გამწარებულ შვილწართმეულ დედას, მისულს მსაჯულთან სიმართლის საძიებლად:

მოველ, ბატონო, ღმრთისა მსაჯულო,
გენაცვალების შენ ჩემი თავი,
მსურვალედა გთხოვ, ცრემლითა გვედრი,
გულს მომაშორე მე ცეცხლი მწვავი;
გთხოვ, დამიბრუნო მე ჩემი შვილი,
დედა ვარ მისი, განა მომკლავი?
სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა
რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი?
შვილი ჩემია, უარს ხომ ვერ ვყოფ,
გთხოვ, მომაშორო ეს ცეცხლის ალი,
მე ბევრს ვერ შევძლებ, სუსტი ბუნების
დედა ცოდვილი, ბედკრული ქალი.
ეს კაცი მებრძვის, შვილი წამართვა,
ვისი უპყრია, მიბრძანე, ძალი?
შენ რად არ მომცემ ღმრთის ნაჩუქრებსა,
რად არ მიბრძანებ, თუ გწამს უფალი?[3].

ამ ლექსით აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე წერდა: „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავი ჩივილი ყმობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისთვის ეს

---

[1] შ. ვაშაყმაძე, რაფიელ ერისთავი, თბ., 1962, გვ. 127.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953, გვ. 223.
[3] რ. ერისთავი, რჩეული თხზ., თბ., 1958, გვ. 7.

მართლაც; ჰეინესი არ იყოს, „დაწყევლილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰპატრონობს“ [1].

ბატონყმური წყობილების და საერთოდ სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგაა მიმართული რაფ. ერისთავის მეორე ლექსიც „მათხოვარა გლახაკი“ (1859 წ.). ლექსის მთავარ გმირს სახლ-კარი დაეწვა. ბატონმა მას არამცთუ დახმარება არ გაუწია, არამედ გაძარცვა და თუ რამე გადაარჩინა უბედურ შემთხვევას — ისიც უცერემონიოდ წაართვა. გლეხი ლუკმაპურის საშოვნელად თბილისს ეწვია, სადაც ის ერთხანს შრომითა და გარჯით ინახავდა თავს. მაგრამ მალე ჯანი დაკარგა და ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად მათხოვრობის გზას დაადგა. ამაოდ ფიქრობდა გლახაკი მდიდრებისგან მოწყალების მიღებას. ერთმა მათგანმა მას დახმარების მაგივრად ცხენი დაატაკა და ხელი მოსტეხა, ხოლო მეორემ ფულის ნაცვლად ქვა მიაჩეჩა ხელში [2].

რაფიელ ერისთავი ზემოთ დასახელებული ლექსებით (ისე როგორც სხვა ნაწარმოებებით) დიდად „ამხნევებდა მებრძოლ ახალგაზრდობას“ (აკაკი) ბატონყმურ ურთიერთობასთან შესაბმელად. მისი მოსპობა, პოეტის აზრით, არამცთუ აუცილებელი და გარდაუვალი იყო, არამედ ფრიად საჭირო და სასარგებლოც.

ახალი იდეოლოგიის შექმნაში სრულიად განსაკუთრებული როლი ითამაშა „სურამის ციხის“ ავტორმა დანიელ ჭონქაძემ (1830—1860 წწ.). ის იყო მესაიდუმლე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უმდაბლესი ფენისა — „ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი გლეხკაცობისა“, რომელიც ხშირად სოციალური უსამართლობით აღშფოთებული დაუნდობლად უსწორდებოდა თავის მტარვალებს [3]. მისი შემოქმედების წყაროს სწორედ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეს რევოლუციური განწყობილება და საქმიანობა წარმოადგენდა[4]. წინააღმდეგ ალექსანდრე ორბელიანისა 1859 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე რომ გამოვიდა ძველი სისტემის დამცველი სტატიით, რომელშიაც ბატონსა და ყმას შორის არსებული ურთიერთობა მამაშვილურ დამოკიდებულებასთანაა შედარებული, დანიელ ჭონქაძეს მაქსიმალური დამაჯერებლობით უჩვენა ხსენებული პირის მიერ შექებული წყობილების მთელი სისაძაგლე, მისი ანტიხალხური ხასიათი. ავტორმა დახატა ბატონყმური ურთიერთობის ნამდვილი, რეალისტური სურათი და ნათელყო ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასების ინტერესთა სრული წინააღმდეგობა. ამის საუკეთესო

---

[1] რ ა ფ. ე რ ი ს თ ა ვ ი, რჩეული თხზ., თბ., 1958, გვ. 7.

[2] იქვე. გვ. 10—12.

[3] მ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, თბ., 1962, გვ. 153.

[4] იქვე.

ილუსტრაციას წარმოადგენს „სურამის ციხის“ ერთ-ერთი მოქმედი პირის ოსმან-აღას (ნოდარის) თავგადასავალი.

„ერთხელ მამაჩემი, — უამბობდა ოსმან-აღა დურმიშხანს, — წავიდა ძნის მოსატანად... ჩვეულებისამებრ მოუძღოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულიყო. მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამეჩს თავი ვეღარ დაუჭირა, კამეჩებმა წააქციეს და ურემმა გაჭყლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენ სახლში ყოველივე გადაბრუნდა გულაღმა: ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო აღარ შეგვეძლო მოვლა, მერე თითო-თითოდ ხარ-კამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედაჩემს, რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედაჩემი! უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რაგვარად არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.—იტირებს, იტირებს და დაჩუმდებაო! — აი აზრი რომელთამე ბატონთა; იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა.

— დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის დამანებე თავი, — ეხვეწებოდა დედაჩემი; — რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არა ვიცი რა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურებიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარს ავფშუკავთ და იმას ვჭამთ, ოღონდ ნუ მოგვიშლი ოჯახს“ [1].

მაგრამ გულქვა ბატონმა არ ისმინა უბედური ქალის მუდარა და თავისი გაიტანა — დედა-შვილი საკუთარ სახლში წაასხა. აქ მათ ახალი ტრაგედია ელოდათ — ბატონმა შვილის გაყიდვა და მშობლისგან მისი სამუდამოდ ჩამოშორება გადაწყვიტა. „დედაჩემი, — ამბობს ოსმან-აღა, — დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან ხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოდ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რო გაეგდოთ ის კარში“[2].

განსაცდელში ჩავარდნილმა ადამიანებმა თავს გაქცევით უშველეს და თბილისს შეეხიზნენ, მაგრამ მალე გამოაშკარავდა მათი ვინაობა, შეიპყრეს და ხელებშეკრულნი ბატონს მოჰგვარეს. ამის მომდევნო საზარელ ამბებს კი ასე გადმოგვცემს ოსმან-აღა: „ბატონთან რო მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს, რო შევებით გუთანში. დიახ, გუთანში!... ხარის უღელი დაგვადგეს კისერ-

---

[1] დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე, სურამის ციხე, თბ., 1961, გვ. 17—18.
[2] იქვე, გვ. 18—19.

ზედ. მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა მსუბუქად იმიტომ, რო გუთანში ხარები დადიოდნენ ძლიერ ნელა და ვერ დავიღლებოდით და ამისთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში, კევრზე დაჯდა თვითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დავმდგარვიყავით ამოსუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგეხსენება, რამტენი სირბილი შეუძლია კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორიც იყო დედაჩემი. დედაჩემმა თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რო ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდგან. მეთერთმეტედ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა. საწყალს... არც კი დააცადეს მშვიდად მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რო ატყუებდა... და ამიტომ სახრით დაუწყო ცემა... და ასე სახრის ქვეშ ამოუვიდა სული"[1].

ბატონმა არც ეს აკმარა ნოდარს (ოსმან-აღას). მან მის შეყვარებულს ნამუსი ახადა და ამით იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. უკიდურესობამდე მისული და მოთმინებადაკარგული ყმა სასტიკად გაუსწორდა მტარვალს: მან ხანჯლით აკუწა ბატონი და მისი ცოლ-შვილი. თვითონ კი ოსმალეთში გადაიხვეწა და იქ დაიღუპა.

ასე შეეწირნენ სოციალურ უსამართლობას ნოდარი და მისი დედა, ვარდო და დურმიშხანი და „სურამის ციხის" ბევრი სხვა გმირი.

აი ასე წარმოუდგინა დანიელ ჭონქაძემ თავის თანამედროვე საზოგადოებას ბატონყმური ურთიერთობა, რომელიც ალექსანდრე ორბელიანს, მამაშვილურ სიყვარულზე დამყარებულ, ჰარმონიულ საზოგადოებად ჰქონდა დახასიათებული. „სურამის ციხის" ავტორი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა მხოლოდ ბატონყმობის მოსპობა-გაუქმებით იყო შესაძლებელი „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება"[2], ათქმევინა მან დურმიშხანს. ამ სიტყვებში იგრძნობა არა მარტო დიდი სიძულვილი ბატონყმობისადმი, არამედ მხურვალე მოწოდება მისი ძალით დამხობისაკენ. დანიელ ჭონქაძე დაჟინებით არწმუნებდა მშრომელ მოსახლეობას, რომ ხსნა მხოლოდ ძალის გამოყენებაშია და რომ თავისუფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ მედგარი ბრძოლით[3]. სწორედ ამით აიხსნე-

---

[1] დ. ჭ ო ნ ქ ა ძ ე, სურამის ციხე, თბ., 1961, გვ. 20.

[2] იქვე, გვ. 6.

[3] „დ. ჭონქაძე,—წერს დ. გამეზარდაშვილი,—რადიკალურად მოაზროვნე „რაზნოჩინელია". მას შეთვისებული ჰქონდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პოლიტიკური მოძღვრება. იგი შორს იყო იმ ილუზიისაგან, რომ ხალხი „ზევიდან" მიიღებდა თავისუფლებას და მთელს იმედებს თვით ხალხზე და მასში მებრძოლი სულისკვეთების ზრდაზე ამყარებდა" (იხ. მისი ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, თბილისი, 1957, გვ. 179).

ბა ის ძლიერი განგაში და პროტესტი, „სურამის ციხის“ გამოქვეყნებამ რომ გამოიწვია რეაქციონერ და ლიბერალ თავადაზნაურთა წრეში [1].

განსაკუთრებით ძლიერი იერიში ბატონყმურ სისტემაზე ილია ჭავჭავაძემ ძიიტანა. მის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „გუთნის დედა“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ და სხვ., მოცემულია ამ სისტემის დაუნდობელი კრიტიკა და სააშკარაოზეა გამოტანილი ყველა მისი უარყოფითი, საზოგადოებრივი პროგრესის შემფერხებელი და, მაშასადამე, მთლიანად გასაკიცხი თვისება. ეს აზრია გატარებული, კერძოდ, 1858 წელს დაწერილ „გუთნის დედაში“. ამ ლექსში ავტორი გლეხის ეკონომიურსა და უფლებრივ მდგომარეობას მეტად მძიმე ფორმებში გვიხატავს. ბატონყმური ურთიერთობის პირობებში მისი ხვედრი მუდმივი შრომა და სრული უუფლებობაა. ამ მხრივ ის, ილიას აზრით, არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი პირუტყვისაგან. აი რა სიტყვებს ათქმევინებს იგი ხართან გასაუბრებაში თავისი არაადამიანური პირობებით დაღონებულ გუთნის დედას:

ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი...
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
...შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?...
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან [2].

ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბატონყმობა სწორედ ის ბალახი იყო, რომელიც ხელს უშლიდა თესლის „ამოსვლას“ და რომელიც „ძირით“ მოთხრას საჭიროებდა. ამის გარეშე მას შეუძლებლად მიაჩნდა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლა. ან რა წინსვლაზე და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი იქ, სადაც მატერიალური დოვლათის შემქმნელი კლასი „სიტყვასა მართალს გულში იკლავდა“?

---

[1] ა. კალანდაძე, ივანე კერესელიძე, თბ. 1959, გვ. 190—198.

[2] ი. ჭავჭავაძე. თხზ. (პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით), თბ., 1957, გვ. 11.

სოციალური უსამართლობის პრობლემისადმია მიძღვნილი ილიას მეორე დიდებული ნაწარმოები „აჩრდილიც“. ამ პოემაში, რომლის პირველი ვარიანტი შეიქმნა 1859 წელს, ე. ი. საგლეხო რეფორმის რამდენიმე წლით ადრე, ძალიან დიდი გაბედულებითაა დაგმობილი იმ დროს არსებული საზოგადოებრივი წყობილება, ერთის მოვალეობად შრომას რომ თვლიდა, ხოლო მეორისა — მის მითვისებას. ამით აღშფოთებული მშრომელი კაცი ამბობს:

დღე-და-ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?![1]

მაგრამ ილია ჰკიცხავდა ბატონყმობას არა მარტო იმიტომ, რომ ის სხვისი შრომის მითვისებაზე იყო დაფუძნებული, არამედ იმიტომაც, რომ მას ძრავალი სხვა უსამართლობაც ახასიათებდა. ასეთების რიცხვს აკუთვნებდა იგი ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობას და საერთოდ მემამულეთა თვითნებურ, მხეცურ დამოკიდებულებას გლეხებისადმი.

შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..[2].

პოეტს სწამდა, რომ ბატონყმობა დიდხანს ვერ იარსებებდა და რომ ის უსათუოდ დაემხობოდა აზვირთებული ხალხის ენერგიული და თავგანწი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. (პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით), თბ., 1957, გვ. 94.
[2] იქვე.

რული მოქმედების შედეგად. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ქვეყანა ძველი“ ვერ გაუძლებდა „განახლებისა გრიგალის ქროლას“ და რომ „ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლა“ დაამსხვრევდა „კაცთა ცხოვრების“ შემფერხებელ ბორკილებს. ილიას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამის შედეგად დამყარდებოდა სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც კაცი მხოლოდ შრომით დაფასდებოდა. იქ გამორიცხული იქნებოდა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, მაშვრალი კაცი სხვის თანაბარ უფლებებს მიიღებდა და ნამდვილი ძმობა, ერთობა და თავისუფლება დამყარდებოდა[1].

ანტიბატონყმური სულით გამსჭვალული საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ილიას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (1860 წ.). ამ პოემაში ავტორმა გამოიყვანა ძველი, დახავსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი გმირები. ესენი არიან საბატონო ყმები კაკო ბღაჭიაშვილი და ზაქრო. კაკომ ვერ აიტანა უსამართლობა და ტყეში გაიჭრა. იქ ის, თუმცა მოკლებული იყო არსებობისათვის აუცილებელ მატერიალურ პირობებს და მუდამ საშიშროების წინაშე იმყოფებოდა, მაინც უკმაყოფილო იყო თავისი ხვედრით, ვითარცა მონური მდგომარეობიდან გამოსული, თავისუფალი ადამიანი. კაკომ ძალიან კარგად იცოდა თუ რაოდენ მძიმე იყო „უსახლკარობა, შიში, შიმშილი“, კურდღელივით ფხიზელი ძილი და „მარტოკა გდება“ ტყეში, მაგრამ მან ისიც შესანიშნავად იცოდა, რომ ადამიანს იქ ყველაფერი უადვილდება, „სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“[2].

ბევრს ეხარბებოდა კაკოს ბედი, ბევრს მისებრ თავისუფლება ენატრებოდა, ბევრს სურდა მის გზას დასდგომოდა და უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ მედგრად ებრძოლა. ასეთი იყო პოემის მეორე მთავარი გმირი ზაქრო. იგი თორმეტი წლისა ბატონმა სახლს მოაშორა და „წამსვე ძროხაში“ უკრა თავი. რვა წელი გაატარა მან მშობლების გარეშე, სხვის სამსახურში. რვა ძნელად მოსაგონარი და შეურაცხყოფით აღსავსე წელი. ამასობაში დაბერდა და „გამუდმებული ციებ-ცხელებით“ დაუძლურდა ზაქროს მამა. უპატრონოდ დარჩენილი ოჯახი განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მოხუცი ბატონთან მივიდა და შვილის განთავისუფლება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც, ზაქროს სიტყვით:

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შეჰბრალებოდა[3].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. (პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით), თბ., 1957, გვ. 95—96.

[2] იქვე, გვ. 115.

[3] იქვე, გვ. 121.

მან არამცთუ არ შეიწყნარა უკიდურესობამდე მისული მოხუცის თხოვნა, არამედ სულ ვირი, ძაღლი და ქოფაკი უძახა მას. მუდარის დაჟინებით განმეორებას კი შედეგად მოჰყვა მოხუცის მხეცურად ცემა და სიკვდილი. ყველაფერი ეს ზაქროს თვალწინ ხდებოდა. მან შვილის ვალი პირწმინდად მოიხადა და მამის მკვლელი იქვე წუთისოფელს გამოასალმა. -აი როგორ უამბო ეს ზაქრომ თავის ახლად გაცნობილ მეგობარს:

მაშინ კი, როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს, —
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თექა,
და, რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიქექა
და შეუნგრია გულის-ფიცარი —
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა[1].

კაკოს, ზაქროს და მათი მსგავსი მებრძოლი გლეხების წინ წამოწევით ილიას სურდა იმ აზრის ნათელყოფა, რომ თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება და არა უპერსპექტივო ხვეწნა-მუდარით. ამ უკანასკნელს არ შეიძლება წარმატება მოჰყვეს, რადგანაც ქვეყნის სათავეში დგანან გულქვა და რეგვენი ბატონები, რომლებიც ძლიერ მაგრად ებღაუჭებიან თავიანთ პრივილეგიურ მდგომარეობას და ფხიზლად იცავენ მას.

რომ ხვეწნა-მუდარის გზა ფუჭი და უპერსპექტივო იყო — ეს ილიამ „გლახის ნაამბობის“ (1859 წ.) მთავარი გმირების დათოს და გაბროს მაგალითზეც უჩვენა. განა ცოტა ეხვეწა პირველი მეორეს, რომ გზიდან ჩამოცლოდა და თამრო დაეთმო? „დათიკო! — უთხრა გაბრიელმა თავის ბატონს, რომელსაც ის წლების მანძილზე უსაზღვრო, ძაღლური ერთგულებით ემსახურებოდა — მე გლახაკი კაცი ვარ და შენ ბატონი, გეევედრები, გზიდამ ჩამომეცალე. გელიდამ ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას და ინაცვალე ჩემი ობოლი თავი. დათიკო! თუ ღმერთი გიყვარს და შენი გამჩენი გწამს, თავიდამ მოიშორე იმ გოგოზედ ფიქრი. ნუ ამაყრევინებ შენზედ გულსა, შენთანა ვარ შეზრდილი. შენი ჭირიმე, დათიკო, ცოდვას დამხსენ!... მაგისთანა ვაჟკაცი ხარ და შენი გული როგორ ვერ დაგიმორჩილებია! მადლი ჰქენ და ჟინი მოიკალ: ყველას დაგითმობ და იმ გოგოს ნამუსს კი არა. ის გოგო ჩემია... ღმერთთან ცოლ-ქმრობის პირობა მიგვიცია“[2]. მაგრამ ახალგაზრდა ბატონმა, რომელიც „თავის გულის წადილისათვის“ არაფერს თაკილობდა და არავის ზოგავდა, „ყვე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. (პაელ ინგოროყვას შესავალი წერილით), თბ., 1957, გვ. 126.
[2] იქვე, გვ. 236.

ლაფერს და ყველას ხიდად გასდებდა და წარბშეურხევლად ზედ გაივლიდა"[1], ახლოსაც არ გაიკარა ერთგული ყმის სამართლიანი თხოვნა და ქალს ნამუსი ახადა. მამამისი პეპია და გაბრო შორეულ ქვეყანას გაისტუმრა. პირველი გზაშივე გარდაიცვალა, ხოლო მეორეს სინდისის ქენჯნით შეწუხებულმა და მიზანმიღწეულმა ბატონმა „წყალობა" უყო და გზიდან უკან გამოაბრუნა. გაბრომ, როგორც მოსალოდნელიც იყო, არ დაინდო თავისი გამაუბედურებელი. პირისპირ შეხვდა მას, თანაბარ პირობებში შეერკინა და ბოლო მოუღო მის ფუქსავატურ ცხოვრებას.

ილია ამართლებდა ამგვარ მკვლელობას და ადამიანური უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში დაღვრილ სისხლს ცოდვად არ თვლიდა. „კაცისკვლა, — ამბობდა სიკვდილის წინ ცხოვრების უკუღმართობით გაწამებული გაბრო, — რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს... მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და... შვილსაც ნამუსი წაართვა, ჩემი საქციელი გამართლებულად ჩავთვალე"[2].

არაფერს ვამბობთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანზე" (1859—1863 წწ.), სადაც დიდი ოსტატობით ნაჩვენებია ფეოდალური კლასის დეგრადაციის სწრაფად მიმდინარე პროცესი.

ახალი იდეოლოგიის საფუძვლების შექმნას დიდად შეუწყვეს ხელი ილია ჭავჭავაძის ცნობილმა პუბლიცისტურმა წერილებმა: „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის შეშლის თარგმანის გამო"[3] და „პასუხი"[4], რომლებშიც თერგდალეულთა იდეურმა ბელადმა გაბედულად გაილაშქრა ძველი თაობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ესოდენ თავგამოდებით რომ იცავდნენ ენის უცვლელობა-მუდმივობის პრინციპს. ავტორმა დასახელებულ წერილებში არა მარტო გააკრიტიკა „მამათა" მცდარი შეხედულება ენაზე, არამედ ხაზი გაუსვა „მამაპაპური" ძილის დამღუპველობას და იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მრუდე მხარეების სასწრაფოდ გამოსწორების აუცილებლობას.

რეფორმის წინარე ხანის ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა აკაკის შემოქმედებამაც. პოეტმა გულწრფელად გაკიცხა მაშინდელი უსამართლო სოციალური ურთიერთობა,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. (პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით), თბ., 1957, გვ. 222.

[2] იქვე, გვ. 245.

[3] „ცისკარი", 1861, № 4.

[4] „ცისკარი", 1861, № 6.

დამყარებული ექსპლოატაციის პრინციპზე. მან უშიშრად დაჰგმო ის წესი, რომელიც ერთ ადამიანს ნებას აძლევდა მეორის შრომა მიეთვისებინა. აი რა სიტყვები ათქმევინა მან ამ წესით გაჩანაგებულ გლეხს 1861 წლის 15 აპრილს დაწერილ ლექსში — „მუშური“.

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური:
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური!

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი, ჩვენგან მონაწური.

ჩვენი ჯაფით მონაყვანი,
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური![1]

მეორე, „გლეხის აღსარების“[2] სახელწოდებით ცნობილ, ლექსშიც (1863 წ.) მშრომელი კაცის ფიზიკური მოხრილობისა და მისი დუხჭირი ცხოვრების მთავარ მიზეზად ისევ ბატონყმობაა გამოცხადებული.

1863 წელს თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დააარსეს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის არსებობა მხოლოდ ერთი წლით განისაზღვრა, მან დიდი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. დასახელებულმა ორგანომ, რომელმაც თავის უმთავრეს ამოცანად ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და „საკეთილო მოძრაობისათვის“ ხელის შეწყობა დაისახა[3], ბუნებრივია, ძლიერად შეუტია უბედურების ძირითად წყაროს — ბატონყმურ ურთიერთობას. ამ შეტევის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია დავით ყიფიანის წერილი „სხვა და სხვა ამბები“, სადაც ნათქვამია: „საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არა შრომობდეს და სხვის შრომით ირჩენდეს თავსა და

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 89.

[2] იქვე, გვ. 122—123.

[3] „საქართველოს მოამბე“, 1863, № 1, გვ. 122. სარედაქციო სტატია.

იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ ნებაყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდი (იქნებოდა) თუ არა? ამ კითხვაზე, შენა, მკითხველო, იქნება შეკრთე კიდეცა. პასუხს კი ვერას მოიგებ ჯერა, ვიცი. ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის — სენია. აი რათა. ჯერა, მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ამას გარდა სხვა ვინ შეიტყობს. ძე ვითარი შრომის ნიჭი მაქვს? რასაკვირველია, არავინა ჩემი გუნებისა და სურვილის მეტი. ჩემი ნებაყოფლობის წინააღმდეგობით ბატონმა პურის გამნიავებელი რომ გამხადოს, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომ სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმხნევებდა, და თავისუფალ შრომას გასწევდა. რა გამოვიდა აქედამ? ჯერ ისა, რომა თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია, მეორე ისა, რომა მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი თავისუფლადა და, მაშასადამე, ნაყოფიერადაც. და თუ საზოგადოებაში ყოველი წევრი შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა“ [1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ასევე მკაცრადაა გაკრიტიკებული და განწირულად გამოცხადებული იძულებით შრომაზე დამყარებული საზოგადოება ფრანგი ეკონომისტის ბასტიას (1801—1850 წწ.) „მძარცველობის ფიზიოლოგიაში“, რომლის ქართული თარგმანი, ილია ჭავჭავაძის მიერ შესრულებული, დაბეჭდა რედაქციამ ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში. „რაც უნდა თვალის მოტყუება ძლიერი იყოს, — ვკითხულობთ იქ, — საჭიროა ვაღიაროთ, რომ მძარცველობა ამ ქვეყანაში მეტად გაძლიერებულია; რომ იგი მეტისმეტად ყველგან კაცის ყოველ უდიდეს საქმეებშიც ურევია ხოლმე, ასე რომ არც ერთი საყოველთაო მეცნიერება — მაშასადამე საპოლიტიკო ეკონომიაცა — ვერ შეიძლებს, რომ მაგას ყურადღება არ მიაქციოს... მძარცველობას ყოველთვის თავის გვამშივე აქვს მამაკვდინებელი სენი, რომელიც ბოლოსაც მოუღებს (მას). ძნელად იქნება, რომ ბევრმა ცოტანი სძარცვონ... თითქმის ყოველთვის ცოტანი ბევრსა სჩაგ-

[1] „საქართველოს მოამბე“, 1863, № 4, გვ. 109—110.

რავენ; მაგრამ ამით უფრო მძარცველობა თავის ბედის წერას ვერ წაუვა ხოლმე, იმიტომ რომ თუ იგი ღონითა და ძალით სწარმოებს, როგორც ომიანობაში და მონობაში, აშკარაა, რომ ღონე და ძალა როცა იქნება ბევრის მხარეზე გადავა... (მძარცველები) შრომას ძალით აკისრებენ (კაცს); იმას როდი ეუბნებიან: „თუ შენ ჩემთვის ამ შრომას გასწევ, მეც შენთვის ამ შრომას გავწევო". იმას პირდაპირ ეუბნებიან: „შენ შრომა — მე შექცევა". ეს მონობა არის; იგი ყოველთვის ძალის ბოროტად ხმარებასთან არის შეერთებული... საპოლიტიკო ეკონომიამ... დაამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი შრომა თავის ბუნებით პროგრესიული, წარმატებითი არის, ხოლო შრომა მონისა ბუნებით უძრავია. ამისგამო ნებაყოფლობითი შრომის გამარჯვება მონის შრომაზედ აუცილებელია"[1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

აქ აღწერილი ვითარება მთლიანად შეეფერებოდა საქართველოს სინამდვილეს.

„საქართველოს მოამბე" ფართო პროპაგანდას ეწეოდა და იმ აზრისა იყო, რომ ხსნა — მხოლოდ არსებული წყობილების ძალით დამხობაშია. მას მტკიცედ სწამდა, რომ უსამართლობას, ბატონყმურ ურთიერთობას მშვიდობიანი მოქმედების გზით ვერ მოეღებოდა ბოლო. „აბა ერთი მიჩვენონ ქვეყანა, რომელშიაც მებატონის ნებაყოფლობით, თავისუფალის და გულშემატკივარის სურვილით მონობა მოსპობილიყოს"[2], — ნათქვამია ბასტიას დასახელებულ სტატიაში. იგივე აზრია გატარებული დავით ყიფიანის წერილშიც. იქ საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე მკაფიოდაა ნაჩვენები თავისუფლებისათვის ბრძოლაში ძალის გამოყენების საჭიროება-სარგებლიანობა[3].

ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბების საკითხის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ანტონ ფურცელაძის დამსახურებას ამ

---

[1] „საქართველოს მოამბე", 1863, № 8, გვ. 62—63, 69—70.

[2] იქვე, გვ. 69.

[3] „და რაკი, როგორც ზემოთა ვთქვით, საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილობის ურიგობა იქამდინ მივიდა, რომ ხალხსა თავის დამონებაში ლუკმაპურის მოგების ღონისძიება აღარა ჰქონდა, — მაშინ მოხდა ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია. საზოგადოების დაწყობილობაში ყოველ წესიერებას იქვი ჩაუგდეს და გარდააგდეს ყოველი ძველებური დაწყებულება, და რასაც მაშინდელ სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დააწყეს. მაშინ განხორციელდა ხალხში ყოველი ზნეობის სამოქალაქო სარწმუნოება: პატივისცემა კაცისა, როგორც კაცისა, და მეტადრე — როგორც საზოგადოების წევრისა" („საქართველოს მოამბე", № 4, გვ. 106—107 (ხაზი ჩვენია—ავტ).

საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა. მისი წერილი-რეცენ-ზია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“-ზე, რომელიც 1863 წელს ჟურნალ. „ცისკრის“ ფურცლებზე დაისტამბა. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ ნაწარმოებმა „დასცა ზარი და აუშალა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა, აუმღვრია სისხლი და აასია ესენი დაწინაურებული (ე. ი. ახალი — ავტ.) აზრების პატრონებზედ“[1]. ა. ფურცელაძე არაორაზროვნად აფრთხილებს გულქვა ბატონებს, ძველი დახავსებული წყობილების ერთგულ დამცველებს, რომ მათ თარეშსა და გაუკითხაობას ბოლოს და ბოლოს საზღვარს დაუდებს მოთმინებიდან გამოსული ქართველი გლეხი და რომ ის მედგარი ბრძოლით საუკუნოდ დაიმკვიდრებს მიწასა და თავისუფლებას. მოთმინებადაკარგული ქართველი გლეხი, წერდა იგი, „ის ქართველი აღარ არის, რომელიც გინახავთ სახრესა და მათრახის ქვეშა, ის მშვიდობიანი და ყურმიგდებული ქართველი... ის არის აღელვებული და გააფთრებული, როგორადაც დაჭრილი ლომი და ვეღარაავითარი ღონისძიება ვეღარ შეიმაგრებს იმასა..., მინამ გულის ბუხარს არ. იყრის მტერზე“[2].

ა. ფურცელაძის ამ წერილმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ძველის დამცველნი აღშფოთდნენ, ახლის მომხრენი კი, პირიქით, სიხარულით შეხვდნენ მას და. ავტორს გაბედულობა უქეს. „როცა მე ეს წერილი წავიკითხე, — იგონებდა უფრო გვიან ზ. ჭიჭინაძე, — ერთობ გავკვირდი მასზე, რომ ასეთი. მიმართულებით წერილის დაწერა მაშინ გაუბედია ფურცელაძეს და მასთანვე ისეთ ჟურნალშიც დაუბეჭდია, რომლის უმთავრეს თანამშრომლებად ჩვენი ძველი ცხოვრების წესების და ჩვეულებების. დამცველი ქურუმ მთავრები ითვლებოდნენ. მე გაკვირვებული ვარ იმაზე, რომ ეს წერილი „ცისკრის“ რედაქციას დაუბეჭდია. შევიტყვე, რომ ამ სტატიის გამო „ცისკრის“ რედაქციას მრავალ უდიდეს მწერალთაგან საყვედურებიც მიუღია“[3].

ასეთია მოკლედ საქართველოში ახალი იდეოლოგიის შექმნის ძირითადი მომენტები.

---

[1] ა. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, „სურამის ციხე“ დ. ჭონქაძისა, „ცისკარი“, 1863, № 1.

[2] იქვე. ანტონ ფურცელაძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ რეფორმის წინარე ხანაში იხ. ვ. ვ ა ხ ა ნ ი ა. ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, თბ., 1958, თავი III (კერძოდ, გვ. 118—142; 145—147); მისივე, პოლემიკა დ. ჭონქაძის გარშემო, „მაცნე“, 1966, № 2.

[3] ს ა ნ დ ა ლ ა (ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე), წერილები ქართულს მწერლობაზე, 1888, გვ. 23.

თავი მეექვსე

საგლეხო რეფორმა საქართველოში

რეფორმის წინარე ხანის რუსეთში გრძელდებოდა კაპიტალიზმის ადრე დაწყებული განვითარება [1], მაგრამ მაშინ გაბატონებული ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა საგრძნობლად ანელებდა ამ პროცესს, აბრკოლებდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების პროგრესს. აშკარად იგრძნობოდა წინააღმდეგობა საწარმოო ძალების ხასიათსა და წარმოებით ურთიერთობას შორის, უკანასკნელი უკვე პირველის ბორკილად იქცა[2]. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების შემდგომი წინსვლის პრობლემა აყენებდა საკითხს ამ დამაბრკოლებელი ფაქტორის მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის შესახებ.

ამის აუცილებლობა-გარდაუვალობაზე მიუთითებდა აგრეთვე კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავება განსახილველი ხანის რუსეთში. თუკი, მაგალითად, 1801—1825 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 11 გლეხთა მღელვარება ხდებოდა, 1826—1854 წლებში მან 24-ს მიაღწია, ხოლო 1855—1861 წწ. — 79-ს [3]. ეს იყო ქვეყანაში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაჩვენებელი. სწორედ ამან ათქმევინა იმპერატორ ალექსანდრე II-ს (1855—1881 წწ.), რომ გაცილებით უკეთესია გლეხები განთავისუფლდნენ ზემოდან, მთავრობის მიერ გატარებული რეფორმით, ვიდრე ქვემოდან, სახალხო აჯანყების შედეგადო [4].

---

[1] Очерки истории СССР, 1861—1904 гг., Под редакцией С. С. Дмитриева, М., 1960, გვ. 3—7.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] Я. И. Линков, Очерки истории крестьянского движения в России в 1825—1861 гг., М., 1952, გვ. 4.

[4] А. Попельницкий, Речь Александра II, сказанная 30 марта 1956 г. Московским предводителям дворянства „Голос минувшего", № 5—6, გვ. 393.

დასასრულ, ყირიმის ომმა, რომელმაც ესოდენ მკაფიოდ გამოამჟღავნა რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ჩამორჩენილობა, მისი სიდამპლე და უძლურება, საბოლოოდ დაარწმუნა უმაღლესი ხელისუფლება ბატონყმური ურთიერთობის უცვლელად შენარჩუნების შეუძლებლობაში.

1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ და დაამტკიცა ამასთან დაკავშირებული კანონები (დებულებები). გლეხებმა, როგორც ცნობილია, პირადი თავისუფლება მიიღეს. რაც შეეხება მიწას, ის მემამულის საკუთრებად იქნა აღიარებული და უშუალო მწარმოებელს მხოლოდ მუდმივ სარგებლობაში მიეცა. მემამულის თანხმობის შემთხვევაში გლეხს მისი („ნადელის") შესყიდვა შეეძლო, მაგრამ ეს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. „ნადელის" საკუთრებად შეძენამდე გლეხი „დროებით ვალდებულ მდგომარეობაში" რჩებოდა და იხდიდა რეფორმამდელი ხანის თითქმის ყველა, ძიწასთან დაკავშირებულ, გადასახადს. „ნადელი" ყოველ ყმას კანონით დაწესებული ნორმით ეძლეოდა, ნორმაზე ზევით ფართობი კი მას ერთვეოდა. ამის გამო გლეხთა მიწათმფლობელობა რეფორმამდელ ხანასთან შედარებით ზოგან ერთი მეოთხედით შემცირდა, ზოგან კი სულაც განახევრდა.

მიუხედავად ამისა, ბატონყმობის გაუქმებამ მაინც დიდი როლი ითამაშა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან ძლიერი ბიძგი მისცა ქვეყნის შემდგომ სოციალ-ეკონომიურ განვითარებას და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის, როგორც გაბატონებული ფორმაციის დამკვიდრებას. იგი, გარდა ამისა, წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე [1].

მალე იმავე საფუძვლებზე საგლეხო რეფორმა განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოშიც, გატარდა. იგი განაპირობა არა მარტო მთავრობის საერთო პოლიტიკამ ბატონყმობის საკითხში, არამედ ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა კონკრეტულმა მდგომარეობამ — კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ და კლასობრივი ბრძოლის საგრძნობლად გამწვავებამ, რაზედაც ზემოთ (I და V თავები) გვქონდა ლაპარაკი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

§ 1. რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში

რეფორმის მომზადება. დიმიტრი ყიფიანის მოხსენება. რეფორმისათვის წინასწარი სამზადისი ჯერ კიდევ 1857 წელს დაიწყო[1], ხოლო 1862 წელს მოწვეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა სახელმძღვანელო აზრები და მის საფუძველზე სათანადო პროექტის შედგენა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ბატონყმური ურთიერთობის შესანიშნავ მცოდნეს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს დაავალა. ეს პროექტი დიმიტრი ყიფიანმა, მართლაც, შეიმუშავა ფეოდალური ინტერესების მაქსიმალური დაცვით და მას თან ვრცელი მოხსენება დაურთო, რომელშიც მოცემული იყო პროექტის ძირითადი პრინციპების დასაბუთების ცდა.

ამ მოხსენებაში[2], რომელიც 1863 წ. აპრილში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე იქნა წაკითხული, პირველ ყოვლისა გადმოცემულია საქმის ისტორია, ის, თუ როგორ შეხვდა ქართველი პრივილეგიური წოდება უმაღლესი ხელისუფლების განზრახვას და როგორ შეუდგა იგი მის ცხოვრებაში გატარებას. დასახელებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფეოდალური არისტოკრატია მეტად შეაშფოთა ამ განზრახვამ და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა სამუდამოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მაინც აეცილებინა თავიდან კარზე მომდგარი კატასტროფა, მაგრამ როდესაც ამ დონკიხოტური გეგმიდან არაფერი გამოვიდა და ძველის დარღვევის გარდუვალობა უეჭველი გახდა, თავადაზნაურობა შეეცადა მომავალი რეფორმისათვის, რომელსაც ის „დიდად სამწუხარო საქმეს“ უწოდებდა, მისთვის სასარგებლო გამართლება მიეცა.

---

[1] მართალია, პირველი ოფიციალური მოწერილობა რეფორმის გატარების შესახებ კავკასიის ადმინისტრაციამ 1861 წლის მარტის თვეში მიიღო, მაგრამ „ცირკულარებისა და სხვა მასალების პეტერბურგიდან „ცნობად“ გამოგზავნა იწყება ჯერ კიდეე 1857 წლიდან. „იმავე დროიდან დაიწყო ერთგვარი წინასწარი თადარიგიც საგლეხო რეფორმის მომზადებისათვის“ (შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 3). ბარიატინსკის, გრ. ორბელიანისა და დიმ. ყიფიანისათვის კიდევაც დაუვალებიათ ამ საკითხზე სათანადო მოსაზრების წარმოდგენა. მათ დავალება შეუსრულებიათ და 1858 წლის დამდეგს მეფისნაცვლისათვის წერილობითი მოხსენება მიურთმევიათ. მოხსენებას მოწონება დაუმსახურებია, მაგრამ „შემდეგში უყურადღებოდ“ დაუტოვებიათ (დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, თბ., 1930, გვ. 63; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის... გვ. 3).

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში (გამოკვლევა და დოკუმენტები), თბ., 1950, გვ. 182—269. ამ გვერდებზეა დაბეჭდილი დ. ყიფიანის მოხსენების ტექსტი. შემდეგში ეს წყარო მითითებული იქნება ასე: დ. ყიფიანი, მოხსენება. გვერდები კი ნაჩვენები იქნება პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს დასახელებული წიგნის მიხედვით.

ამ მხრივ მას დაეხმარა დიმიტრი ყიფიანი. ამ უკანასკნელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ძალა დაუზოგავს და არც ენერგია, რათა მომავალი რეფორმის დროს რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალებულიყო მიწათმფლობელთა პრივილეგიური წოდება. იგი თავის მოხსენებაში, რომელსაც მებატონეთა უდიდესმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, შესაძლებლად სცნობდა გლეხთა მხოლოდ პირად განთავისუფლებას. რაც შეეხება მიწას; ის, ყიფიანის აზრით, მემამულეთა ხელუხლებელ საკუთრებას წარმოადგენდა და მათსავე განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო.

ყმის პირადი განთავისუფლებით, ვკითხულობთ დასახელებულ მოხსენებაში, მისი მფლობელის ყოველწლიური შემოსავალი სულ მცირე 148 მან. და 38 კაპიკით შემცირდება, რადგანაც ის ამიერიდან ვერ მიიღებს ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამომდინარე გადასახადებს. ეს მეტად საგრძნობი დანაკლისი იქნება ისედაც ღარიბ და უიმედოდ ვალში ჩავარდნილ ქართველ თავად-აზნაურებისათვის. საჭიროა ამ დანაკლისის ანაზღაურება, კომპენსაცია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეს ტვირთი დააწვეს არა გლეხობას, არამედ სახელმწიფოს, რომელმაც თავის დროზე სასარგებლოდ სცნო ბატონყმობის დამყარება და ამჟამად კი მისი გაუქმება. „დრომ ითხოვა და ყმებს თავისუფლება მოსპობილ ექმნათ, — ნათქვამია მოხსენებაში, — დროვე ითხოვს ახლა და თავისუფლება უნდა აღდგენილ ექნეს ხელმწიფობის (ე. ი. სახელმწიფოს — ავტ.) სარგებლობისათვის; მაშასადამე, ხელმწიფობამ უნდა გასწიოს საჭიროცა ამისათვის ხარჯი. ჩვენი საქმე არ არის, რომ ღონისძიება (ე. ი. ხარჯის დაფარვის წყარო — ავტ.) ვუჩვენოთ; ჩვენ მხოლოდ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ამ ხარჯის ნაყმევებზედ შეწერა ეგოდანვე უსამართლობა იქმნება, რაოდენ უსამაგიეროდ ჩამორთმევა იმათი ჩვენგან, მით უმეტესად, რომელ ჩვენი ყმებიც დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან... ამის გამო უქვეშევრდომილესად ვევედრნეთ ერთ-მთავარსა (ე. ი. იმპერატორს — ავტ.) ჩვენსა და ერთხმად ვიშუამდგომლოთ, რათა ყმათა ჩვენთა თავისუფლება მინიჭებულ ექმნეთ უსასყიდლოთ“[1].

დ. ყიფიანის მოხსენებაში დაწვრილებითაა განხილული მიწის საკითხი და ის თავად-აზნაურების აბსოლუტური უმრავლესობის სურვილის შესაბამისადაა გადაჭრილი. იმ 240 მემამულიდან, რომელმაც თავისი მოსაზრება გამოთქვა რეფორმის ძირითად პრინციპებზე, 226 შეუძლებლად თვლიდა გლეხისთვის მიწის საკუთრების უფლებით დამტკიცებას. „ყმებს თავისუფლებას მივსცემთ, — წერდნენ ისინი, — იმ ადგილ-მამულს, რაც უჭირავთ, ხელშეუხებლად დაუტოვებთ, მაგრამ საკუთრებით მიცემა კი ჩვენგან მიწისა ყოვლად შეუძლებელი არის“[2].

---

[1] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მოხსენება, გვ. 268.
[2] იქვე, გვ. 218.

დ. ყიფიანი, უმრავლესობის აზრის შესაბამისად, წინადადებას იძლეოდა, რომ ყმებს მისცემოდათ პირადი თავისუფლება (აქედან გამომდინარე ზარალის სახელმწიფოს მიერ კომპენსირების პირობით), მაგრამ უმიწოდ. ეს უკანასკნელი მემამულეთა საკუთრებად უნდა დარჩენილიყო, ხოლო გლეხებს მით ესარგებლათ გარკვეული გადასახადის გაღებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბატონო ყმები ხიზნების მდგომარეობაში უნდა გადასულიყვნენ. „ხიზნობა, — წერდა დ. ყიფიანი, — ძველი დროთაგან არსებობს საქართველოში და არა თუ თავისუფალნი, საბატონო კაცნიც... ეტანებიან ამ მდგომარეობასა, რადგან საქმით სასარგებლო არის ორისავე მხარისათვის. სწორედ ამ გვარსავე, მაგრამ უკეთესს მდგომარეობაში იქნებიან ყმანიცა ჩვენი შემდგომ განთავისუფლებისა; უკეთესში იმით, რომ საუკეთესო ადგილ-მამულები ექმნებათ და ყოვლად უეჭველია, რომ ამითი მოისპობა ჩვენს შორის ყოველი მიზეზი ერთი ერთმანეთზედ დამდურებისაცა და ჩვენს საშინაო საქმეებში მმართველობისაგან ყოველდღე გამორევისაცა“ [1].

უმრავლესობის პროექტი. ასეთია მოკლედ[2] დ. ყიფიანის მოხსენების ძირითადი მოტივები. სწორედ მის საფუძველზე შეიმუშავა მან გლეხთა განთავისუფლების უ მ რ ა ვ ლ ე ს ობ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი[3] (1863 წ., აპრილი). პროექტის პირველი პარაგრაფი საზეიმოდ იუწყებოდა „ხელმწიფე იმპერატორის ნებითა“ და ქართველ თავად-აზნაურთა სურვილით სოფლის მშრომელი მოსახლეობის განთავისუფლებას „ყოველის ბატონყმობის დამოკიდებულებისაგან“. მაგრამ, რადგანაც, — ნათქვამია ხსენებული მუხლის შენიშვნაში, — ამ ნაბიჯის გადადგმა დაკავშირებულია მემამულეთა მხრივ დიდი მსხვერპლის გაღებასთან, იმედია მზრუნველი იმპერატორი არ დაიშურებს წყალობასა და „განუწესებს მათ ერთ დროებითსა შესაწევარსა“. ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხი შედიოდა მიწის მფლობელთან ისეთსავე „ნებაყოფლობით“ დამოკიდებულებაში, როგორიც „ძველის საქართველოს ჩვეულებით ხიზანსა და მამულის პატრონსა აქვსთ“ (პარაგრაფი 3). მეექვსე პარაგრაფი ნებას აძლევდა ყოფილ ყმას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძინა ყველა სახის უძრავი ქონება. ბატონყმობიდან გამოსულ გლეხს რჩებოდა არა მარტო საკუთარი მიწები, არამედ ის საბატონო ადგილ-მამულებიც, „რაზედაც ახლა ბინადრობა და სარგებლობა აქვსთ“ (პარაგრაფი 7), მაგრამ ამისთვის მათ მიწის პატრონისათვის უნდა მიეცათ გარკვეული

---

[1] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მოხსენება, გვ. 229—230.

[2] უფრო დაწვრილებით იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., ა ა გ რ ე თ ვ ე ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ბატონყმობის გაუქმება საქართველოში, „მაცნე“, 1965, № 3.

[3] პროექტის ტექსტი იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 270—281. პროფ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, СХАО, ტ. 11, გვ. 119—120.

გამოსაღები. „რომელიც თავისუფალი მოსახლე, — ნათქვამია მერვე პარაგრაფში, — საბატონო ადგილმამულზედა სახლობს და ჰსარგებლობს. სახლკარობისა და კალო საბძლის ადგილისათვის არა მოეთხოვება რა, (მაგრამ) სახნავ-სათესისა, სავენახესი, საბალახე მიწებისა, ტყისა და წყლის ხმარებისათვის (კი) პატრონს უნდა აძლიოს ღალა, კულუხი და (გასწიოს) ბეგარა (ე. ი. შრომითი გადასახადი — ავტ.) იმ მიზნით, როგორითაც ერთმანეთში ნებაყოფლობით მორიგდებიან. მანამდის მორიგდებოდნენ, პატრონს უნდა ეძლეოდეს ისევე და იმავე ზომით, რასაც და რა ზომითაც ხიზნები ჩვეულებით აძლევენ და ეწევიან და სადაც ხიზანი არ არის, იქ ისევე და იმავე ზომით, რაც და რა ზომითაც განთავისუფლებულს კაცებს ყმობაში უძლევიათ და უწევიათ“.

ამრიგად, თავადაზნაურობის უმრავლესობის პროექტი მოითხოვდა ყმების უმიწოდ განთავისუფლებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარი საწარმოო საშუალება, ე. ი. მიწა, რომელიც ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს, მემამულეების საკუთრებად რჩებოდა. გლეხს, ხიზნის მდგომარეობაში რომ გადადიოდა, სხვისი მიწით უნდა ესარგებლა და ამისთვის ძველებურად ფულადი, შრომითი თუ პროდუქტადი გადასახადები ეხადა.

უმრავლესობის პროექტი მიზნად ისახავდა არა ბატონყმობის მოსპობას, არამედ მის რამდენადმე სახეშეცვლილი სახით შენარჩუნებას და ამდენად ის კონსერვატიული ხასიათისა იყო.

უმცირესობის პროექტი. რეფორმასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა მეორე, ეგრეთ წოდებული უმცირესობის პროექტი[1], რომელიც 14 მემამულის (მათ შორის გრ. ორბელიანის, ჯამბაკურ ორბელიანის, ივანე ორბელიანის, გრ. ერისთავის, დიმ. ვეზიროვისა და სხვ.) ხელმოწერით იმავე 1863 წელს წარედგინა ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს. ის, როგორც არაერთხელ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[2], არსებითად არაფრით განსხვავდება უმრავლესობის პროექტისაგან. ამას თვით მისი ავტორებიც არ მალავდნენ. ისინი პირდაპირ

---

[1] პროექტის ტექსტი დაბეჭდილია შ. ჩხეტიას დასახ. წიგნში, გვ. 406—412, და პროფ. პ. გუგუშვილის СХАО, II, გვ. 137—144.

[2] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 28; Г. Пурцеладзе, Крестьянская реформа в Восточной Грузии, автореферат докторской диссертации, Тб., 1960, გვ. 47.



თელავი. 1864 წლის მანიფესტის წაკითხვა

აცხადებდნენ, რომ ჩვენ, ვიზიარებთ რა მთლიანად უმრავლესობის მიერ გამოთქმულ ყველა პრინციპულ მოსაზრებას, კერძოდ, აზრს ყმების უმიწოდ განთავისუფლების შესახებ, გვსურს დავსახოთ მეტი ქმედითი ღონისძიებანი დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსული გლეხების მომავალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ასეთ ღონისძიებად უმცირესობას მიაჩნდა გლეხის უფლების აღიარება ყველაფერ იმაზე, რაც მისი ალალი შრომით იყო შექმნილი და გაკეთებული.

უმცირესობის წარმომადგენლები აღიარებდნენ ყმების სრულ უფლებას: 1. შინაურ საქონელზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე და საერთოდ მოძრავ ქონებაზე; 2. სახლზე და სამეურნეო ხასიათის ნაგებობებზე იმ მიწების გამორიცხვით, რომლებზედაც ისინი აშენებული იყვნენ; 3. ვენახებზე და ბაღებზე, ცხადია, მათ მიერ დაკავებული ფართობის გამოკლებით; და 4. იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც შეძენილი იყო გლეხის მიერ სათანადო კანონიერი აქტით რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ.

მაგრამ სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის ხსენებულ უფლებათა მინიჭებას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მათი ცხოვრებაში გატარება ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობას აწყდებოდა. მაგალითად, გლეხს, რომელმაც თავისი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვაგან გადასვლა გადაწყვიტა, მართალია, ნება ეძლეოდა თან წაეღო

მთელი მოძრავი ქონება, სამუშაო იარაღები და სახლის მასალები, მაგრამ იმ სავალდებულო პირობის დაცვით, რომ ეს ზიანს არ მიაყენებდა მებატონის მამულს და არ დასცემდა მის ფასსა და ღირებულებას [1]. ყმას, იმავე პროექტის თანახმად, უფლება ჰქონდა გაეყიდა, გაესაჩუქრებინა და ანდერძით დაეტოვებინა სხვის მიწაზე გაშენებული ბაღი, მაგრამ იმ პირობით, რომ მის მაგივრად მოსული პირი თავის თავზე მიიღებდა წინამორბედი პირის ვალდებულებას, რაც მიწის პატრონისათვის შემოსავლის მეოთხედი ნაწილის მიცემაში გამოიხატებოდა[2]. თუკი სხვაგან გადასული გლეხი ვერ მოძებნიდა ისეთ ვინმეს, რომელიც ხსენებულ ვალდებულებათა მიღებით თანახმა იქნებოდა მისი სახლის, ბაღისა და სხვათა მფლობელობაში შესულიყო, მაშინ მთელი ეს ქონება მემამულის საკუთრებად რჩებოდა[3].

ეს და სხვა შეზღუდვები, როგორც უკვე ვთქვით, თითქმის მნიშვნელობას უკარგავდა უმცირესობის განცხადებას გლეხის შრომითა და ფულით მოპოვებული ქონების გლეხისავე განკარგულებაში დატოვების შესახებ.

სოფლის მშრომელი მოსახლეობის აშკარა საზიანოდ იყო გადაწყვეტილი უმცირესობის პროექტში რეფორმის ძირითადი საკითხი — მიწის საკითხი. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, გლეხი ვალდებული იყო საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობისათვის მებატონისათვის ეძლია 4% იმ თანხიდან, რა თანხითაც შეფასებული იქნებოდა საკარმიდამო ფართობი, ხოლო ბაღისთვის—ამ ბაღის შემოსავლის 1/4 ნაწილი[4]. ასე შორს, როგორც ცნობილია, უმრავლესობის წარმომადგენლებიც კი არ წასულან.

უკუღმართად იყო გადაჭრილი სახნავი მიწების საკითხიც. გლეხებს იგი, პროექტის მიხედვით, საერთოდ არ ეძლეოდა. „ჩვენ, რა თქმა უნდა, — ნათქვამია იქ,—არ უარვყოფთ, რომ გლეხისთვის სახლისა და ბაღის გარდა, სხვა საშუალებაც აუცილებელია. მას სჭირია სახნავ-სათიბი ადგილები და სხვა სავარგულები, მაგრამ ყველაფერ ამას ის ადვილად შეიძენს თავისუფალი დაქირავების საფუძველზე. ყოველ შემთხვევაში ჩვენ თვითონ არა გვაქვს იმდენი მიწა, რომ გლეხებსაც მივსცეთ და ჩვენც გვეყოს. მცირე მამულიანობა მთელი მხარისა ცნობილია მთავრობისათვისაც; მემამულეთა უმეტესი ნაწილის განკარგულებაში ოცი დღიური მიწაც კი არაა. ყველა მიწა ამჟამად გლეხების ხელშია და ისინი, ამუშავებენ რა ამ მიწებს, მემამულეს აძლევენ ჩვეულებით განსაზღვრულ გარკვეულ ღალას. უკეთუ ეს მიწა გლეხებს გადაეცა სამუდამო და სამემკვიდრო მფლობელობაში ან

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 410; СХАО, II, გვ 141.
[2] იქვე, გვ. 410.
[3] იქვე, გვ. 411; იქვე, გვ. 141—142.
[4] იქვე, გვ. 407—408; იქვე, გვ. 138—139.

განკარგულებაში, მაშინ მემამულეს არაფერი დარჩება, გარდა უმნიშვნელო ნაკვეთებისა, რომელთაც არ შეუძლიათ უზრუნველყონ მისი ცხოვრება-არსებობა“ [1]. ყოველივე ამის გამო, — ვკითხულობთ უმცირესობის პროექტში, — და იმიტომ, რომ „ჩვენ საკმაო უზრუნველყოფას ვაძლევთ გლეხებს, ვფიქრობთ ყველა სახის მიწა და სავარგულები მემამულეებს დაუტოვოთ“ [2]. მემამულეებს რჩებოდათ ტყეც, რომლითაც სარგებლობა მეტად შეზღუდული იყო გლეხისთვის. მას იქიდან მხოლოდ იმდენი მასალის გატანა შეეძლო (რა თქმა უნდა, გარკვეული საზღაურის გაღებით), რამდენიც საჭირო იყო ბაღების მოსაწყობად და აუცილებელი ოჯახური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სხვა საჭიროებისათვის, — აცხადებენ უმცირესობის წარმომადგენლები, გლეხს „უფლება არა აქვს ისარგებლოს მემამულის ტყით“, ამ უკანასკნელის „ნებაყოფლობით თანხმობის გარეშე“ [3].

უმცირესობის პროექტის გარჩევა გვიჩვენებს, რომ ის, მიუხედავად მაღალფარდოვანი სიტყვებისა, ბატონყმობიდან გამოსული გლეხის მომავალი ეკონომიური ცხოვრების უზრუნველყოფის შესახებ, ისეთივე კონსერვატიული იყო, როგორც უმრავლესობის პროექტი და მისგან მხოლოდ დეტალებში განსხვავდებოდა.

ივანე მუხრან-ბატონის აზრი. ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა მიიღო არა მარტო უმრავლესობისა და უმცირესობის პროექტები, არამედ თავად ივანე მუხრან-ბატონისმიერ შედგენილი ერთპიროვნული აზრიც, რომელიც, ავტორის ღრმა რწმენით, მკვეთრად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენის შეხედულებისაგან. რა მოტივებზე იყო აგებული მუხრან-ბატონის ეს „განსაკუთრებული“ პროექტი? ავტორი, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს ბატონყმობის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას საქართველოს არსებობის შენარჩუნების საქმეში. მისი აზრით, ჩვენმა ქვეყანამ მხოლოდ ხსენებული საზოგადოებრივი ურთიერთობის წყალობით მოაღწია დღემდე და ამიტომ, ბუნებრივია, ყოველგვარი აჩქარება ამ ურთიერთობის მოსპობა-გაუქმების მიმართულებით მას სახიფათოდ და დამღუპველად მიაჩნდა. იგი საერთოდ წინააღმდეგი იყო ბატონყმობის გაუქმებისა, ყოველ შემთხვევაში მას ამ ნაბიჯის გადადგმა იმ დროს, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ნაადრევად

---

[1] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 409, CXAO, II, გვ. 140.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 412, CXAO, II, გვ. 143.

მიაჩნდა. მაგრამ რაკი რეფორმის გატარების საკითხი პრინციპულად უკვე გადაწყვეტილი იყო უმაღლესი ხელისუფლების მიერ და მისი შეჩერება არ შეიძლებოდა, ქართველი ფეოდალი იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა და მომავალი ცვლილებების მომზადება-გატარებაში უშუალო მონაწილეობა მიეღო. იგი იმ მიზნით ჩაება სურვილის საწინააღმეგო საქმეში, რათა მისთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, მემამულისთვის სასარგებლო მიმართულება მიეცა.

ყველაზე რთული და ცენტრალური საკითხი — მიწის საკითხი, რომელიც რეფორმას უნდა მოეგვარებინა, მუხრან-ბატონმა პრივილეგიური წოდების სასარგებლოდ გადაჭრა. მან ეს მთავარი საწარმოო საშუალება თავად-აზნაურების ხელუხლებელ საკუთრებად აღიარა და კატეგორიულად უარყო ყმებისთვის მისი გადაცემის შესაძლებლობა სასყიდლის გაღებითაც კი. მშრომელი კაცის უფლების აღიარება თავის შრომის შედეგებზე, წერდა იგი, ოდნავადაც არ ნიშნავს მემამულეს მიწა წავართვათ იმ მოტივით, რომ ის გლეხის ოფლითაა გაპოხიერებული. ასეთი ნაბიჯის გადადგმა არა მარტო სრული უსამართლობა იქნება, არამედ ის უკიდურეს გაღატაკებამდე მიიყვანს მებატონეებს, რომელთა მიწების უდიდესი ნაწილი სწორედ გლეხების სარგებლობაშია გადაცემული. შეცდომა იქნება ვაიძულოთ მემამულეები, რომ მათ თავიანთი შემოსავლისა და არსებობის ერთადერთი წყარო — მიწა — გლეხებს მიჰყიდონ და საკუთრებად დაუმტკიცონ [1]. ამის შესაბამისად მუხრან-ბატონმა თავის პროექტში შეიტანა სპეციალური მესამე მუხლი, რომელიც ყმური მდგომარეობიდან გამოსული გლეხის მიწის მემკვიდრეობის მოიჯარადრედ გადაქცევას ვარაუდობდა.

საკარმიდამო და საბაღე-სავენახე მიწებიც, რომლებიც გლეხების სარგებლობაში ჩნდებოდა, პროექტის ავტორის აზრით, მებატონეთა სრულ საკუთრებას წარმოადგენდა და ამიტომ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ სოფლის მშრომელ მოსახლეობას ამ მიწებისთვის შესაფერისი გადასახადი გადაეხადა [2].

და მიუხედავად სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწით მომარაგების საკითხისადმი ასეთი მკაცრი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა, მუხრან-ბატონი ცინიკურად აცხადებდა, რომ მისი პროექტის ცხოვრებაში განხორციელება თავადაზნაურობას დაიცავდა დაღუპვა-განადგურებისაგან და ამავე დროს უზრუნველყოფდა ყმური მდგომარეობიდან გამოსული გლეხის მომავალი ცხოვრების მყარ ნიადაგზე დაყენებას.

---

[1] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 309, CXAO, II, გვ. 131—132.

[2] იქვე, გვ. 309; იქვე, გვ. 132.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ივანე მუხრან-ბატონის აზრი სავსებით ემთხვევა უმრავლესობისა და უმცირესობის მოსაზრებებს და ამდენად მათ შორის არ არის არავითარი პრინციპული განსხვავება. მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუხრან-ბატონის პროექტი, როგორც ვნახეთ, დეტალებში უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ზემოთ დასახელებული ორი სხვა პროექტი.

კონსტანტინე მამაცაშვილის აზრი. თავად-აზნაურების წრეში ყველა როდი იყო ყმების უმიწოდ განთავისუფლების მომხრე. არსებობდა ლიბერალურად მოაზროვნე ფეოდალების მცირერიცხოვანი ჯგუფიც, რომელიც შედარებით უფრო საღად წყვეტდა რეფორმის საკვანძო საკითხებს. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა გორელი თავადი გენერალ-მაიორი კონსტანტინე მამაცაშვილი. მან თავისი შეხედულება ბატონყმობის გაუქმების თაობაზე ჩამოაყალიბა დიმიტრი ყიფიანის 14-მუხლიან შეკითხვაზე გაცემულ პასუხში. ეს პასუხი არასრული სახით ჩართულია დოკუმენტში „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა, ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა, ბატონყმობაზედ“, რომლის ქართული ტექსტი 1941 წელს გამოაქვეყნა პროფ. პ. გუგუშვილმა [1].

განსხვავებით უმრავლესობის, უმცირესობისა და მუხრან-ბატონის პროექტებისაგან, კონსტანტინე მამაცაშვილი ყმის მიწით განთავისუფლებას მოითხოვდა. ამის გარეშე მას თავისუფლება, როგორც მხოლოდ ქალალდზე გაფორმებული კატეგორია, რეალურ მნიშვნელობას მოკლებულად მიაჩნდა. გლეხის მამულებით უზრუნველყოფა, მისი აზრით, მრავალმხრივ იყო საჭირო და პირველ რიგში კი იმიტომ, რომ არ გაჩენილიყო პროლეტარიატი, წესრიგისა და მშვიდობიანობის ეს „დაუძინებელი მტერი“ [2].

ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხის მიწით უზრუნველყოფა, მამაცაშვილის აზრით, წმინდა პატრიოტული თვალსაზრისითაც იყო აუცილებელი. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი, რომელსაც თავის ქვეყანაში ადგილ-მამული არ ჰქონდა, ვერ დაინტერესდებოდა ამ ქვეყნის ბედითა და უბედობით, ვერ განიმსჭვალებოდა მისი ინტერესებით[3].

ყოველივე აქედან გამომდინარე, მამაცაშვილი თავადაზნაურობას მოუ-

---

[1] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 396—440.

[2] იქვე, გვ. 428.

[3] იქვე, გვ; 430.

წოდებდა გამოეჩინა გონიერება, სულგრძელობა და არ წასულიყო ყმების უმიწოდ განთავისუფლების გზით. უფრო სწორედ, ის გლეხების იმ ნაწილის უზრუნველყოფას მოითხოვდა, რომელიც რეფორმის გატარების პერიოდში ფაქტიურად ფლობდა მამულებს. საქმის წარმატებისათვის პროექტის ავტორს საჭიროდ მიაჩნდა სანადელო ნორმის დაწესება და საბატონო ყმების სამ ჯგუფად დაყოფა[1]. პირველში იმ გლეხებს აქცევდა, რომელთაც მიწები ნორმის ფარგლებში ან მის ზევით ჰქონდათ. მათ შესასყიდად მიეცემოდათ მხოლოდ ნორმით დაწესებული ნაკვეთი, ხოლო დანარჩენი მემამულის სასარგებლოდ ჩამოეჭრებოდათ. მეორეში — ნორმაზე ნაკლები ფართობის მქონენი თავსდებოდნენ. ესენი განთავისუფლებისას დამატებით არაფერს იღებდნენ, ვინაიდან, მამაცაშვილის აზრით, თუკი მათ ამ ნაკვეთით ბატონყმობის დროს შეეძლოთ არსებობა, ეს მით უფრო შეეძლებოდათ ამ ურთიერთობის მოსპობის შემდეგ, როდესაც უშუალო მწარმოებელს საგრძნობლად „გაუადვილდება ხელის გაქნევა" და საკუთარი შრომით სარგებლობა. მესამე ჯგუფში სრულიად უმიწაწყლო გლეხები იგულისხმებოდნენ. „ამათ, — წერდა მამაცაშვილი, — თავისუფლება მივცეთ უადგილ-მამულოდ, რადგან ჩვენებურს მებატონეებს მიწის მიცემა არ შეუძლიანთ, და თუ შეუძლია ვისმე ფასით შეასყიდინოს ამ გვარს გლეხს ადგილი, ეს მის ნებაზედ... იყოს".

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში განხორციელება, მამაცაშვილის განცხადებით, გლეხსაც დააკმაყოფილებდა და მემამულესაც. პირველი მთავრობის დახმარებით მიწის იმ ფართობს შეისყიდიდა, რომელიც რეფორმის გატარების დროს მის ფაქტიურ მფლობელობაში ირიცხებოდა, ხოლო მეორე—ჩამონაჭრების სახით—საგრძნობლად გაზრდიდა თავის მიწის ფონდს და ყმებიდან მიღებული ფულით შეძლებდა გაცილებით უფრო სარფიან დაქირავებული შრომის სისტემაზე გადასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე მამაცაშვილის პროექტი მთელ რიგ მახინჯ მხარეებს შეიცავს (ფეოდალური საკუთრების შენარჩუნება. გლეხების მხოლოდ იმ ნაწილისთვის მიწის მიცემა, რომელიც რეფორმის გატარების პერიოდში მას ფაქტიურად ფლობდა, ჩამონაჭრებისდაშვება და სხვ.), ისუმრავლესობის, უმცირესობის და მუხრან-ბატონის პროექტებთან შედარებით მაინც პროგრესულია და მისი ავტორის ლიბერალურ განწყობილებაზე მეტყველებს.

---

[1] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 429.

თავად-აზნაურების წრეში მიმდინარე ბრძოლის ხასიათი. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პროექტები, რომელთა ავტორები კონსერვატიული და ლიბერალური თავად-აზნაურების წარმომადგენლები იყვნენ, ამჟღავნებენ აზრთა სხვადასხვაობას ბატონყმობის გაუქმების ძირითად საკითხებზე. ისინი გვიჩვენებენ იმ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრივილეგიური წოდების სხვადასხვა ჯგუფს შორის რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში. მაგრამ ამ ბრძოლას, როგორც ცნობილია, არ ჰქონია პრინციპული მნიშვნელობა, რადგანაც ის მიმდინარეობდა გაბატონებული ფეოდალური კლასის შიგნით დათმობის მასშტაბისა და მოცულობის შესახებ.

„მებატონეთა და ლიბერალთა ბრძოლა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელსაც ესოდენ აზვიადებენ და ალამაზებენ ჩვენი ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული ისტორიკოსები, წარმოადგენდა ბრძოლას გაბატონებული კლასების შ ი გ ნ ი თ, მეტწილად მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს შ ი გ ნ ი თ, ბრძოლას მ ხ ო ლ ო დ და მ ^ ო ლ ო დ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ოდენობისა და ფორმის გულისათვის. ლიბერალები, ისევე როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის ს რ უ ლ ი დ ა მ ხ ო ბ ი ს შესახებ“[1].

რეფორმა და საზოგადოების დემოკრატიული ბანაკი. ი. ჭავჭავაძის „კრიტიკული შენიშვნები“. შეუდარებლად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხებისა და მათი ინტერესების დამცველ რევოლუციონერ დემოკრატების, თერგდალეულების ბრძოლას მემამულეების წინააღმდეგ აგრარული საკითხის სამართლიანი გადაჭრისათვის. მათი იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე ენერგიულად მოეკიდა რეფორმის საქმეს და ყველაფერი გააკეთა, რათა მისთვის მშრომელი ხალხის სასარგებლო მიმართულება მიეცა. სასიქადულო პოეტმა სხვისი, კერძოდ, ნიკო ჭავჭავაძის, სახელით 1864 წლის მაისში წარადგინა „კრიტიკული შენიშვნები“[2] რეფორმის იმ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.

[2] ეს დოკუმენტი, რომლის სრული სათაურია «Критические замечания по параграфам предварительного проекта местного положения о поземельном устройстве крестьян, водворенных на землях в Тифлисской губернии», გამოაქვეყნეს სხვადასხვა დროს ა. ი ო ვ ი ძ ე მ (იხ. „საისტორიო მოამბე“, 3, 1947, გვ. 284—313), პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ მ ა (СХАО, II, გვ. 173—203.), შ. ჩ ხ ე ტ ი ა ნ ი (Документы по истории Грузии, II, ნაწ. 1, თბ., 1960, გვ. 717—743) და პ. რ ა ტ ი ა ნ მ ა (ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა, 1963. ქართული თარგმანი). ხელნაწერი (პირი) კი ინახება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (საქმე 123, ფურც. 171—216). ჩვენ ვსარგებლობთ პრ. რატიანის ქართული თარგმანით.

პროექტზე, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა შეიმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი გლეხის მიწით განთავისუფლებას უჭერდა მხარს, მაინც არ სპობდა ბატონყმობას და არსებითად მის აპოლოგიას წარმოადგენდა. სწორედ ხსენებული დოკუმენტის ამ ბატონყმური ხასიათის წინააღმდეგ გაილაშქრა ილიამ, რომელიც ძველი დახავსებული წყობილების ძირფესვიანად მოსპობის თვალსაზრისზე იდგა.

„კრიტიკული შენიშვნების“ ყოველი წინადადება გამსჭვალულია სოფლის მშრომელი მოსახლეობის ინტერესების თანმიმდევრული და პრინციპული დაცვის იდეით. მის თითოეულ სიტყვაში ისმის ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის ხმა, გაბედული ძახილი მისცენ ყმებს სრული და მატერიალურად უზრუნველყოფილი თავისუფლება.

დოკუმენტის ავტორმა კატეგორიულად მოითხოვა დროებით (სინამდვილეში კი მუდმივ) ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის არდაშვება, დებულების პროექტიდან შესაფერისი მუხლების ამოკვეთა და უშუალო მწარმოებლისათვის მიწის ნაკვეთის სრულ საკუთრებად დამტკიცება. ამის გარეშე, ილიას აზრით, შეუძლებელი იყო გლეხის ეკონომიური ცხოვრების რამდენადმე მაინც საიმედო ნიადაგზე დაყენება და მისი მეურნეობის წარმატება-განვითარების უზრუნველყოფა.

ილია პირდაპირ აყენებდა აგრეთვე საკითხს იმის შესახებ, რომ გლეხს, რომელსაც „ისედაც ყველაფერი ჩამოაჭრეს“ [1], ნორმაზე ზევით ფართობი არ წართმეოდა და რომ მას სამშენებლო და საწვავი ხე-ტყის მასალა უსასყიდლოდ მიეღო მებატონისაგან. ამას მოითხოვდა, მისი აზრით, სამართლიანობა და მოვალეობის შეგნება იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც მემამულეებს დაუზოგეს თავიანთი ქონება, ავლა-დიდება.

დაუნდობლად მოეკიდა კრიტიკული შენიშვნების ავტორი დებულების პროექტის იმ პარაგრაფსაც, სადაც ფიქსირებული იყო მიწის პატრონის უფლება — აეყარა გლეხი დასახლების ადგილიდან. „ეს ყველაზე საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი უფლებაა, — წერდა ის, — რომელიც მემამულეს ეძლევა. რაკი ასეთი საბაბი ექნება, მემამულე არ მოუსვენებს გლეხს, აქაოდა ჩემი მეურნეობისა და კარმიდამოს მოწყობა და გაფართოება მსურსო. იგი დღენიადაგ იმას ეცდება, რომ აჰყაროს გლეხი საცხოვრებელი ადგილიდან ან გაუდიდოს ბეგარა, რასაც გლეხი ადგილ-მამულის ყოველი პაწაწინა ნაჭრით სარგებლობისათვის იხდის. მიწისა და ადგილ-მამულების სავალდებულო გადაცვლის არც ერთი მიზეზი, რომლებიც 81-ე მუხლშია მითითებული, არ შეიძლება შეწყნარებულ იქნეს, ვინაიდან არც ერთ მათგანს არ გააჩნია სწორი საფუძველი. განსაკუთრებით არ შეიძლება ეს წესი დავუშვათ ვენახების მიმართ, რომლებშიც გლეხის

[1] პარაგრაფი 6.

უდიდესი ჯაფა და სახსრებია დახარჯული; გლეხებს მეტი უფლებები აქვთ ვენახებზე, ვიდრე მემამულეებს, რომლებსაც ეკუთვნით მარტო მიწა, რასაც არ გააჩნია ის ფასი და ღირებულება, რაც გააჩნია საერთოდ შრომასა და კაპიტალს. დაბოლოს, თუკი რაიმე მიგიციათ გლეხისათვის ნულარ აწუხებთ მას, დაე თავის ნებაზე მოიხმაროს, რაც მიგიციათ. ნუ აიძულებთ აიყაროს და სხვაგან დასახლდეს, ანდა იძულებით გაცვალოს თავისი ნადელი. მიეცით გლეხს იმედი, რომ იცხოვროს უშფოთველად, უდრტვინველად, ძალმომრეობის გარეშე. ასეთი იმედი თუ არა აქვს, გლეხი არ იქნება ბედნიერი, მას არ ექნება თავისი ყოფა-ცხოვრების, თავისი მეურნეობის გაუმჯობესების ხალისი, ცხოვრების ილაჯი გაუწყდება; მთელი მისი ცხოვრება იმათ თავნებობაზე და ახირებაზე იქნება დამოკიდებული, ვისთანაც იგი სამუდამჟამოდ გადააბით თქვენ სავალდებულო პირობათა ძალით; ეს პირობები საბოლოოდ არაფერს კარგს არ გვიქადის გარდა იმისა, რომ შეარყევს და სრულიად არაბუნებრივ პირობებში ჩააყენებს ღარიბ გლეხს, რომლის ბედი მონობისგან განთავისუფლების შემდეგაც იმათ ხელში რჩება, ვისაც საუკუნეთა მანძილზე ჰყავდა იგი მიჯაჭვული გლეხური ცხოვრების ვაი-ვაგლახთან. მე არა და არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი წესების შემოღება მაშინ, როცა ყველა და ყველაფერი იმისკენ მიისწრაფვის, რომ მისცეს ყმა გლეხს ცხოვრების სახსარი და შეუქმნას უშფოთველი ცხოვრება იმ ბედშავი სავალდებულო პირობების მთელ მანძილზე, რომელიც მხოლოდ მემამულეებისათვისაა კარგი (და ისიც ღმერთმა უწყის) და რომელიც ყოველ შემთხვევაში, გლეხთათვის საშინელებაა. თუ პატივსა სცემთ ადამიანის თავისუფლებას, თუ არ გსურთ საშინელი არეულობა გამოიწვიოთ ყმა გლეხების ბედის ასეთი გადაწყვეტის წყალობით და ამასთან იმის გულისათვის, რათა დააიმედოთ ეს ადამიანები რომ მათი ბედი უზრუნველყოფილია და არ არის დამოკიდებული სხვათა თვითნებობაზე, მოსპეთ ყველა ეს სავალდებულო და იძულებითი გადასახლება, აგრეთვე ადგილ-მამულის იძულებითი გაცვლა. ამით თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებით ჭეშმარიტებას, თუმცა

გლეხთა საკითხის აგრერიგად გადაწყვეტით სრულ სამართლიანობას მაინც ვერ მიაღწევთ"[1].

ყველაზე მკაფიოდ კი ილიას აზრი მაინც იქაა გამოთქმული, სადაც დებულების პროექტის 178—193 პარაგრაფებია გარჩეული. იქ ნათქვამია: „სავსებით უარსვყოფ რა სავალდებულო ურთიერთობას, რომლისგანაც ყველა ეს უსიამოვნება იბადება, მე უნდა დავსძინო, რომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს — სახელდობრ... გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს: მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთთან აკავშირებს. სხვა გამოსავალი არ არის და გლეხთა საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა, სხვა საწყისებზე დაფუძნებული, არ იქნება საბოლოო გადაწყვეტა; ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა, რომლის მოსპობა დროთა ვითარებაში ისევე აუცილებელი გახდება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონყმობის მოსპობა. თავიდან რომ ავიცილოთ გლეხთა საკითხის ხელახალი გადაწყვეტა და ხელახალი დაყენება, მე აუცილებლად მიმაჩნია ეხლავე გადაწყდეს იგი საბოლოოდ და, მოისპობა რა ყოველგვარი შეხლა-შემოხლა განთავისუფლებულ და განმათავისუფლებელ წოდებათა შორის, დადგინდეს მემამულის სავალდებულო ურთიერთობისაგან გლეხისა და მისთვის ბოძებული ნადელის საბოლოოდ ჩამოშორების პირობები" (ხაზი ჩვენია — ავტ.).

აქ მოტანილი ადგილები ნათლად ამჟღავნებენ „კრიტიკული შენიშვნების" რევოლუციურ-დემოკრატიულ და არა თავადაზნაურულ-ლიბერალურ ხასიათს, როგორც ეს ზოგ მკვლევარს მიაჩნია.

* * *

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებანი. ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის პროექტი, შედგენილი, როგორც ვნახეთ, პრივილეგიური წოდების ინტერესების მაქსიმალური დაცვით, განხილულ და მცირე შესწორებით დამტკიცებულ იქნა მთავარ საგლეხო კომიტეტისა და კავკასიის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე. ამის შემდეგ კი ის დაამტკიცა უმაღლესმა ხელისუფლებამ, რომელმაც, ამასთან

[1] პარაგრაფები 80—82.

დაკავშირებით, 1864 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი სამი დებულება გამოსცა: პირველი, დამატებითი წესები ბატონყმობიდან გამოსულ გლეხთა შესახებ თბილისის გუბერნიაში[1], მეორე, დებულება მემამულეთა მიწაზე მოსახლე გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ[2] და მესამე, წესები გლეხთა საზოგადოების მოწყობისა და მათ მიერ სახაზინო, საერობო და სასოფლო ბეგარა-გადასახადების გაღების შესახებ[3]. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე დებულება.

დებულება თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ ორ უმთავრეს საკითხს ეხება — სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწითა და სხვა სავარგულებით მომარაგებისა და ბეგარა-გადასახადების საკითხს. მართალია, უმაღლესი ხელისუფლება და მისი ადგილობრივი ორგანოები ოდნავადაც არ იჩენდნენ გულგრილობას პრივილეგიური წოდების მოთხოვნილებისადმი, მათ მაინც პირველ რიგში ეგრეთ წოდებული სახელმწიფოებრივი ინტერესი დააყენეს და გლეხთა მიწით განთავისუფლებას დაუჭირეს მხარი. მთავრობის ეს „რაინდული“ ნაბიჯი ნაკარნახევი იყო, რა თქმა უნდა, არა ნაზი გრძნობებით მწარმოებელი კლასისადმი, არამედ წმინდა ფისკალური და პოლიტიკური მოტივებით. საქმე იმაშია, რომ უმამულო გლეხი ვერ იქნებოდა სახაზინო გადასახადის წესიერი გადამხდელი და თანაც, რაც მთავარია, გააძლიერებდა რა პროლეტარულ ელემენტს, მეტად საშიშ ძალად დაუპირისპირდებოდა სახელმწიფოს.

მაგრამ კანონმდებელი იქვე პრინციპულად შენიშნავდა, რომ გლეხებს მიწა (ნადელი) ეძლეოდათ არა საკუთრებად, არამედ „მუდმივ სარგებლობაში“, რაშიც ისინი „დაწესებულ გადასახადებს“ უხდიდნენ მემამულეებს (პარაგრაფი 1). ნადელი, რომელშიაც საკარმიდამო, სავენახე, საბაღე და სახნავ-სათიბი ადგილები შედიოდა, ყმური მდგომარეობიდან გამოსულს იმ რაოდენობით ეძლეოდა, რა რაოდენობითაც ფლობდა მათ გასარჩევი დებულების დამტკიცებამდე (პარაგრ. 5). მაგრამ თუკი რომელიმე სოფელში გლეხების მიწით მომარაგების შემდეგ მემამულის განკარგულებაში დარჩენილი ფართობი სანადელოდ გაცემულზე ნაკლები აღმოჩნდებოდა, მას უფლება ჰქონდა საქმე ისე წაეყვანა, რომ ნახევარი თავისთვის დაეტოვებინა (პარაგრ. 6), რაც, თავისთავად ცხადია, უშუალო მწარმოებლის ხარჯზე უნდა გაკეთებულიყო. მეშვიდე პარაგრაფის ძალით კი მებატონე „არავითარ შემთხვევაში არ იყო ვალდებული“ გლეხისთვის სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები დაწესებულ უმაღლეს ნორმაზე ზევით მიეცა. ასეთ უმაღლეს ნორმად კი მიღებულ იქნა: სარწყავი მიწებისთვის —

---

[1] ВПСЗРИ, XXXIX, № 41349; შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისთვის..., გვ. 413—420.

[2] იქვე, № 41350; იქვე, გვ. 420—455.

[3] იქვე, № 41352; იქვე, გვ. 455—458.

10-დღიური (5 დესეტინა), ხოლო ურწყავისათვის — 20-დღიური (10 დესეტინა). ეს, თავისთავად ცხადია, „უფლებას“ აძლევდა მემამულეს ზედმეტი ფართობი ჩამოეჭრა და მწარმოებელი კლასის მიწათმფლობელობა „კანონიერ“ ფარგლებში ჩაეყენებინა. უფრო მეტიც, მას იმის ნებაც მიეცა, რომ გლეხების სარგებლობიდან ამოეკვეთა მიწის მთელი ის ფართობი, რაც ეგრეთ წოდებულ „ძირითად საველე ნაკვეთს“ აღემატებოდა. ასეთ ნაკვეთად კი ითვლებოდა სარწყავი და ურწყავი მიწების უმაღლესი ნორმის ნახევარი (პარაგრ. 35).

ამრიგად, დებულება სრულიად გამორიცხავდა დადგენილ ნორმაზე მეტი ფართობის მშრომელი კაცის განკარგულებაში დატოვების შესაძლებლობას, მაგრამ ოდნავადაც არ ითვალისწინებდა იმათი მფლობელობის გაფართოებას, რომელთაც ნორმაზე ნაკლები მამულები ჰქონდათ. კანონი მიწას არც იმ გლეხს აძლევდა, რომლის სარგებლობაში ის რეფორმამდე არ ყოფილა. ასეთების რაოდენობა კი, როგორც ცნობილია, 1800 კომლი ან საბატონო ყმების 14% აღმოჩნდა. მიწები არც შინაყმებისა და ხიზნებისათვის მიუციათ. ამათი რიცხვი კი საკმაოდ საგრძნობი იყო — 8102 კომლს უდრიდა აღმოსავლეთ საქართველოში. ყოველივე ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ წვრილი მემამულეები, ე. ი. ისეთები, რომელთა სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი ადგილების ფართობი 60 დღიურზე (30 დესეტინაზე) ნაკლები იყო, თავისუფლდებოდნენ დებულებით გლეხისთვის მიწის გამოყოფის მოვალეობისგან (პარაგრაფი 130).

მწარმოებელ კლასს თავის მეურნეობის გასამართავად და ცხოვრებაარსებობის შესანარჩუნებლად ესაჭიროებოდა არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის მიწები, არამედ ხე-ტყეც, თევზსაჭერი და სანადირო ადგილებიც. ყველა ამით სარგებლობის საკითხი პრივილეგიური წოდების სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. დებულების თანახმად მემამულე ვალდებული არ იყო გლეხისთვის სამშენებლო ხე-ტყის მასალა მიეცა (პარაგრ. 30). ის თავისუფალი იყო აგრეთვე შეშის უსასყიდლოდ გაცემის მოვალეობისაგან (პარაგრ. 31). იქ კი, სადაც გლეხები გასარჩევი კანონის გამოქვეყნებამდე უფასო საწვავით სარგებლობდნენ, მისი გამოქვეყნების შემდეგაც, ცხრა წლის განმავლობაში, მიიღებენ შეშას, „ვალეჟნიკს“, როკსა და სხვ., მაგრამ განსაკუთრებული საფასურის ან გადასახადის გადახდით (პარაგრ. 32). იგივე ითქმის თევზსაჭერი ადგილების შესახებაც. ისინი პრინციპში მემამულის საკუთრებად გამოაცხადეს. მაგრამ იქ, სადაც მეთევზეობა მწარმოებელი კლასის შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა, გლეხს ნება ეძლეოდა ხსენებული ადგილებით ესარგებლა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სათანადო გადასახადის გაღებით (პარაგრ. 90). რაც შეეხება ნადირობის უფლებას, ესეც მემამულის პრივილეგიად იქნა აღიარებული, მაგრამ გლეხს არ ეკრძალებოდა მოეკლა თავის მიწაზე

„მტაცებელი ან მეურნეობისათვის მავნებელი“ ნადირი ან ფრინველი (პარაგრ. 91).

დებულებაში შეტანილი იყო მთელი რიგი მუხლებისა, რომლებიც კიდევ უფრო ზღუდავდნენ გლეხების ისედაც შეზღუდულ მიწით სარგებლობას. 55-ე პარაგრაფი, მაგალითად, ნებას აძლევდა მემამულეს მოეთხოვა, გლეხის თანხმობის გარეშე, მისი კარმიდამოს სხვაგან გადატანა, თუკი ამის გარეშე „შეუძლებელი“ იყო საბატონო და საგლეხო მიწების გამიჯვნა და მიწის პატრონის ნაგებობათა სახანძრო უშიშროების დაცვა. 73—75 პარაგრაფების ძალით კი მას ასეთივე უფლებები ენიჭებოდა გლეხის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული სახნავ-სათესი მიწებისა და სხვა სავარგულების მიმართ. მემამულეებს შეეძლოთ ხსენებული მიწების გაცვლა მოეთხოვათ, თუკი მათ ტერიტორიაზე მადნეული ან მინერალური წყლები აღმოჩნდებოდა და მებატონე წისქვილების, ფაბრიკა-ქარხნების, სარწყავი არხებისა და დრენაჟის გაკეთებას მოისურვებდა.

დებულების მეორე განყოფილება (პარაგრაფები 136—174) გადასახადის საკითხისადმია მიძღვნილი. კანონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწას მწარმოებელ კლასს აძლევდა არა საკუთრებად და უფასოდ, არამედ მუდმივ სარგებლობაში და გარკვეული გადასახადის გადახდით. 136 პარაგრაფის ძალით, მაგალითად, ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხი, დროებით ვალდებულ გლეხად რომ გამოაცხადეს, მისთვის მიცემულ მიწებში იხდიდა გამოსაღებს, რომლის სიდიდე-რაოდენობა მასსა (გლეხსა) და მემამულეს შორის ურთიერთშეთანხმებით უნდა დადგენილიყო. თუკი ასეთი შეთანხმება ვერ იქნებოდა მიღწეული, მაშინ გადასახადის განსაზღვრისას დებულებაში მოცემული მითითებით უნდა ეხელმძღვანელათ. ამ მითითების თანახმად კი გლეხი ვალდებული იყო ყოველ ერთ დღიურ (0,5 დესეტინა) საკარმიდამო მიწაში მებატონისათვის სამსამი მანეთი ეძლია (პარაგრაფი 143). მაგრამ თუკი ეს კარმიდამო სავაჭრო-სამრეწველო და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად იმყოფებოდა (რაც შრომის პროდუქციის ხელსაყრელ პირობებში გაყიდვას უწყობდა ხელს), მაშინ მისი ფართობის ყოველი დღიური უნდა შეფასებულიყო ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო ძვირად, მაგრამ არა უმეტეს 120 მანეთისა და საგადასახადო თანხაც აქედან უნდა გაანგარიშებულიყო 5% რაოდენობით (პარაგრაფი 144). სავენახე და სახნავ-სათესი ადგილებისათვის გლეხი სპეციალურ გადასახადებს კულუხსა და ღალას იხდიდა, რომელთა რაოდენობა შესაფერისად შემოსავლის ერთი მეოთხედი ნაწილით იყო განსაზღვრული (პარაგრაფები 146, 148).

დებულებაში, როგორც ვნახეთ, არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა დროებით ვალდებულ გლეხს მის სარგებლობაში მყოფ მიწა საკუთრებად შეეძინა და თუ შეეძლო, სახელდობრ, როგორ და რა

პირობებში. ამ კითხვაზე პასუხობს მეორე, იმავე 1864 წლის 13 ოქტომ-ბერს გამოცემული დებულება „დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი წ ე ს ე ბ ი ს ა ბ ა-ტ ო ნ ო გ ლ ე ხ ე ბ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ“ [1], რომელიც ზემოთ გაკვრით უკვე მოვიხსენიეთ. მისი მეცხრე პარაგრაფის თანახმად, გლეხს ნება ეძლეოდა თავისი ნადელი (კარმიდამო, სავენახე, სახნავ-სათესი მიწები და სხვა სავარგულები), მთლიანად ან ნაწილობრივ, სრულ საკუთრებად შეესყიდა, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ მემამულე ამის თანახმა იქნებოდა. გამოსასყიდი თანხის სიდიდე-რაოდე-ნობისა და გადახდის ვადების დადგენა დამოკიდებული იყო მხარეების ნებაყოფლობით შეთანხმებაზე, რომელსაც ექვსი გარეშე პირი ესწრებო-და და მომრიგებელი მოსამართლე ადასტურებდა (პარაგრაფი 13). ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გამოსასყიდი თანხა სხვადა-სხვაგვარად ისაზღვრებოდა. თუკი, მაგალითად, გლეხი ნადელში, საწეს-დებო სიგელის თანახმად, ფულად ღალას იხდიდა, მაშინ მისი წლიური რაოდენობა იანგარიშებოდა როგორც კაპიტალიდან მიღებული 6-პროცენ-ტიანი სარგებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხდებოდა წლიური ფულადი გადასახადის 6-პროცენტიანი კაპიტალიზაცია, მისი $16^2/_3$-ზე გამრავლება. ამ გზით მიღებული თანხა იქნებოდა სწორედ ის, რაც უნდა გაეღო გლეხს მიწის საკუთრებად შესაძენად. მაგრამ ეს თანხა, კანონმდებლის შენიშვნის თანახმად, არ უნდა ყოფილიყო კომლზე 350 მანეთზე ზევით საერთოდ, ხოლო გორის მაზრის მთაგორიან რაიონებსა და მთიანეთში — 250 მანეთ-ზე მეტი. იმ შემთხვევაში კი, როდესაც გლეხი კარმიდამოში ფულად გადასახადს იხდიდა და საველე მიწებში — ნატურალურს, მაშინ გამოსას-ყიდი თანხის ის ნაწილი, რომელიც მიწების პირველ ჯგუფზე მოდიოდა, ზემოაღნიშნული წესით გაიანგარიშებოდა, ხოლო დანარჩენი — ურწყავი და სარწყავი მიწების თითოეული დღიურის შესაფერისად 10 და 20 მანე-თად შეფასების გზით. ამნაირად მიღებული თანხის საერთო რაოდენობა არ უნდა გასცილებოდა კომლზე 250 მანეთს.

ყოფილი ყმა, რომელიც ნადელს შეისყიდიდა, თავს აღწევდა დროებით ვალდებულ მდგომარეობას და მესაკუთრე გლეხების კატეგორიაში გადა-დიოდა.

რეფორმასთან დაკავშირებით კიდევ ორი საყურადღებო დოკუმენტი გამოიცა. ესენია წესები: „ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი დ ა ნ გ ა მ ო ს უ ლ ი გ ლ ე-ხ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა დ ა ს ა წ ე ს დ ებ ო ს ი გ ე ლ ე ბ ი ს შ ე მ ო ღ ე ბ ა მ დ ე მ ა თ ი მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ თ ა ნ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ-ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ“[2] და „ყ მ ე ბ ი ს პ ი რ ა დ ი გ ა ნ თ ა ვ ი-

---

[1] ВПСЗРИ, XXXIX, 41349, შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 413—420.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 458—462.

სუფლების გამო მემამულეებისათვის ფულადი გასამრჯელოს გაცემის შესახებ"[1]. ორივე დოკუმენტი დამტკიცებულია მეფისნაცვალ მიხეილის მიერ 1864 წლის 4 ნოემბერსა და 1865 წლის 25 მარტს.

პირველი დოკუმენტის თანახმად ყოფილ საბატონო ყმას ნება ეძლეოდა (პარაგრაფი 2) შესულიყო ქორწინებაში და ესარგებლა ოჯახის ყველა უფლებით, ხელშეკრულება დაედო ხაზინასთან ან კერძო პირთან, ეწარმოებინა ვაჭრობა, გაემართა ფაბრიკა-ქარხნები, აღეძრა საჩივარი, გამოსულიყო სასამართლო პროცესზე, დაეცვა თავი და სხვ. ამ თავისთავად სასარგებლო შეღავათებთან ერთად დებულება ადგენდა ისეთ წესებს, რაც მწარმოებელ კლასს არსებითად რეფორმამდელ მდგომარეობაში აყენებდა. მესამე პარაგრაფში, მაგალითად, პირდაპირ იყო მითითებული, რომ ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხი ვალდებული იყო საწესდებო სიგელების შემოღებამდე (ე. ი. 1866 წლის 1-ლ იანვრამდე) მიწის პატრონისთვის ეხადა ყველა ის გადასახადი, რასაც იგი რეფორმამდე იხდიდა. მეშვიდე და მერვე პარაგრაფების ძალით კი იმავე საწესდებო სიგელების შემოღებამდე ნებადართული იყო ვალდებული გლეხების ღამის გუშაგად გამოყვანა, ხოლო მათი ურმების — მემამულის საჭიროებისათვის გამოყენება, ამათზე დახარჯული დღეების შრომითი ბეგარის ანგარიშში ჩათვლის პირობით.

წესებში „ყმების პირადი განთავისუფლების გამო მემამულეებისათვის ფულადი გასამრჯელოს გაცემის შესახებ" ნათქვამი იყო, რომ მებატონეს რეფორმით მიყენებული „ზარალის" ასანაზღაურებლად ყოველ განთავისუფლებულ მამრობითი სქესის გლეხში გასამრჯელო ეძლევა 25 მანეთის რაოდენობით (პარაგრაფი 3). ეს დახმარება ორკეცდებოდა იმათ მიმართ, ვისაც უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით ოცდაერთ სულზე ნაკლები მამრობითი სქესის გლეხი აღმოაჩნდებოდა (პარაგრაფი 4). მეხუთე პარაგრაფის ძალით კი მეფისნაცვალს უფლება ჰქონდა დამატებითი ფულადი დახმარება მიეცა იმ თავად-აზნაურისთვისაც, რომელსაც ოცდაერთზე მეტი სული გლეხი ჰყავდა, მაგრამ რომელიც, ოჯახის წევრების სიმრავლის ან სხვა ყურადსაღები მიზეზის გამო, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ყოფილ ჩავარდნილი.

§ 2. რეფორმა დასავლეთ საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ საგლეხო რეფორმა მალე დასავლეთ საქართველოშიც გატარდა. დებულება ბატონყმობის გაუქმების შე-

[1] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 470—477.

სახებ ქუთაისის გუბერნიაში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა იმერეთი, გურია და რაჭა, მთავრობამ 1865 წლის 13 ოქტომბერს დაამტკიცა, სამეგრელოში — 1866 წლის 1-ლ დეკემბერს, აფხაზეთში — 1870 წლის 8 ხოემბერს და სვანეთში — 1871 წლის 8 ოქტომბერს. ჩვენ საგანგებოდ არ ვჩერდებით საბატონო გლეხების განთავისუფლების ძირითად პრინციპებზე ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში[1], რადგანაც ეს პრინციპები არსებითად იგივე იყო, რაც ქართლ-კახეთში. განსხვავება მხოლოდ დეტალებში იგრძნობოდა. ახასიათებდა რა, კერძოდ, იმერეთისა და გურიის თავადაზნაურების მიერ შედგენილ და სხვადასხვა ინსტანციებში მოწონებულ პროექტს, მეფისნაცვალი მიხეილი წერდა: „ეს პროექტი შედგენილია 1864 წლის 13 ოქტომბრის თბილისის გუბერნიის დებულებათა დამატებითი წესების სახით. ეს წესები... ი მ ე ო რ ე ბ ე ნ რ ა ი მ მ თ ა ვ ა რ ს ა წ ყ ი ს ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ დ ა ე დ ვ ა გ ლ ე ხ თ ა ყ ო ფ ი ს მ ო წ ყ ო ბ ა ს თ ბ ი ლ ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა ს ი, უ შ ვ ე ბ ე ნ მ ხ ო ლ ო დ ი მ გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ებ ს, რ ა ც ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ი ს თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა მ მ ო ი თ ხ ო ვ ა“[2].

იგივე ითქმის სამეგრელოს შესახებაც. სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების თაობაზე გამოცემული დებულების მეორე პარაგრაფში მითითებული იყო; რომ 1864 წლის 13 ოქტომბრის „სჯულებანი ყოველთა იმ ნაწილთა შინა, რომელთაცა ზედა არა დაწესდებიან განსხვავებანი ამა დამატებითა კანონთა შინა“, გავრცელდებიან სამეგრელოს, ე. ი. ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრის საბატონო გლეხებზეც.

რეფორმის თავისებურება ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა, გურია). ის მცირე თავისებურებანი, რომლითაც აღინიშნა, კერძოდ, საგლეხო რეფორმის გატარება ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთსა, რაჭასა და გურიაში), შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ. 1) თბილისის გუბერნიაში, როგორც უკვე ვნახეთ, სანადელო მიწის ნორმები დაწესებულ იქნა ცალ-ცალკე სარწყავი და ურწყავი მიწებისთვის (10 და 20 დღიური შესაბამისად), ქუთაისის გუბერნიაში კი დებულებით[3] მხოლოდ ერთი საერთო უმაღლესი ნორმა (12 ქცევა ან 4,5 დესეტინა) დაწესდა[4]. 2) ძირითადი საველე ნაკვეთი თბილისის გუბერნიაში ცალ-ცალკე ისაზღვრებოდა სარწ-

---

[1] ბატონყმობის გაუქმების შესახებ სამეგრელოში იხ. ი. ა ხ ა ლ ა ი ა ს ნაშრომი, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, სოხ., 1958.

[2] СХАО, 11, გვ. 374.

[3] ტექსტი დებულებისა ბატონყმობის გაუქმების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში დაიბეჭდა გაზ. „კავკაზის“ 1865 წლის 88 და 89 ნომრებში. ქვემოთ სწორედ ამ დებულების მუხლები იქნება მითითებული.

[4] დებულება, მუხლი 25; С. А в а л и а н и, т. IV, გვ. 2.

ყავი და ურწყავი მიწებისთვის და უდრიდა აღნიშნული მიწების ნორმის ნახევარს (მაგალითად, სარწყავი მიწების რაიონში, სადაც უმაღლეს ნორმას 10-დღიური წარმოადგენდა, ძირითადი საველე ნაკვეთი ამის ნახევარი ან 5-დღიური იყო). ქუთაისის გუბერნიაში კი მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების თავისებურებათა გამო, ძირითადი საველე ნაკვეთის მხოლოდ ერთი ნორმა (4 ქცევა) დადგინდა[1]. 3) წვრილ მიწის მფლობელად თბილისის გუბერნიაში დებულებით ის მემამულე იქნა აღიარებული, რომლის განკარგულებაში (გლეხების სარგებლობაში მყოფი მიწების ჩათვლით) იყო არა უმეტეს 60 დესეტინა (120 დღიური) მიწისა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 22,5 დესეტინა[2]. 4) თბილისის გუბერნიაში ის მემამულე თავისუფლდებოდა მიწის გამოყოფის მოვალეობისაგან, რომელსაც 30 დესეტინაზე ნაკლები მიწა ჰქონდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 11 დესეტინაზე ნაკლები[3]. 5) სანადელო მიწებში ქუთაისის გუბერნიის გლეხები ისეთსავე გადასახადს იხდიდნენ, როგორსაც თბილისის გუბერნიისა, ე. ი. მოსავლის მეოთხედ ნაწილს. გამონაკლისს მხოლოდ მაღლარი ვაზი წარმოადგენდა, რომლიდანაც გლეხს მემამულისთვის შემოსავლის 1/3 უნდა ეძლია[4]. 6) სარწყავი მიწები თბილისის გუბერნიაში ორჯერ უფრო ძვირად შეფასდა, ვიდრე ურწყავი. ქუთაისის გუბერნიაში კი ეს ასე არ მოხდა. იქ, როგორც ნათქვამია, დამატებითი წესების (დებულების) პროექტის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარის გ. მუხრან-ბატონის მოხსენებით ბარათში, «По несуществовании... коренного различия между землями, кои там вовсе не нуждаются в поливке..., для определения размера выкупной ссуды, признано достаточным земли, принадлежащие к плодороднейшим, оценить в полтора раза более противу земель обыкновенных»[5].

---

[1] დებულება, მუხ. 37, С. Авалиани, т. IV, გვ. 3.

[2] დებულება, მუხ. 54; СХАО, II, გვ. 345; С. Авалиани, т. IV, გვ. 2—3.

[3] დებულება, მუხ. 58; С. Авалиани, т. IV, გვ. 2. უკეთებდა რა ამ მუხლს კომენტარს, მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავის მიმართვაში ქუთაისის გუბერნიის გლეხებისადმი წერდა: «При установлении правил по наделу крестьян землею, нельзя было не обратить особенного внимания на тех из помещиков, кои, владея слишком ограниченным количеством земли (менее 60 кцев) не могут, без явного раззорения для себя, подчиниться вполне сим (принятым для Тифлисской губерний —авт.) правилам. А потому, для крестьян, водворенных в имениях подобных помещиков, постановлено особое мероприятие, и именно— переселение их.. на казенные землы» (газ. «Кавказ», 1865, № 91).

[4] დებულება, მუხ. 70; СХАО, II, გვ. 345.

[5] СХАО, II, გვ. 346.

საგლეხო რეფორმის თავისებურებანი აფხაზეთში. აფხაზეთშიც რეფორმა ძ ი რ ი თ ა დ ა დ იმავე საფუძველზე გატარდა, რა საფუძველზედაც საქართველოს სხვა რაიონებში. ის ერთგვარი თავისებურება კი, რომელიც თან ახლდა ბატონყმობის გაუქმებას ამ მხარეში, გამოიხატებოდა იმაში, რომ, დებულების თანახმად (მუხ. 3), „პირად დამოკიდებულებიდან გამოსული“ ყველა გლეხი, განურჩევლად კატეგორიისა (ახაშალა, ახოუიუ, ამაწურასქუ და ანხაიუ), „მხოლოდ“ ოთხი წლის განმავლობაში რჩებოდა დროებით ვალდებულ მდგომარეობაში და მემამულეს უხდიდა რეფორმამდელი ხანის ბეგარა-გადასახადებს. ოთხი წლის შემდეგ კი გლეხი მექანიკურად გადადიოდა თავისუფალ მოსახლეთა რიგებში. ასეთი გადასვლა კანონით ადრეც, აღნიშნული ვადის გასვლამდეც, შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ იმ პირობით, რომ განთავისუფლებული პირი განსაკუთრებულ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ გათვალისწინებულ, გამოსასყიდ თანხას გადაუხდიდა მემამულეს. ეს თანხა კი სხვადასხვა იყო სხვადასხვა კატეგორიის გლეხებისთვის და მათი ოთხწლიანი გადასახადების ღირებულებას უდრიდა. სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ სრულიად არაფრის მქონე ახაშალას, მაგ., თავის განთავისუფლებაში უნდა გადაეხადა, ასაკისა და სქესის მიხედვით, 50-დან 120 მანეთამდე (მუხლი 6), ახოუიუს — 40-დან 180 მანეთამდე (მუხ. 10) და ამაწურასქუს — 40-დან 80 მანეთამდე (მუხ. 13). წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აქ დასახელებული თანხების სიდიდეზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმ დროს ძროხა აფხაზეთში 10 მანეთად ფასობდა და იყიდებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახაშალას თავის პატონისთვის უნდა მიერთმია 5—12 ძროხის ღირებული გამოსასყიდი თანხა, ახოუიუს — 4—18 ძროხისა და ამაწურასქუს — 4—8 ძროხისა. ამ მეტისმეტად დიდი გამოსასყიდი თანხის გაღება, თავისთავად ცხადია, მწარმოებელი კლასის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს შეეძლო და ამიტომ დებულების ის მუხლი (21), რომელიც ნებას აძლევდა გლეხს გაცილებით უფრო ადრე გამოესყიდა თავი, ვიდრე გავიდოდა ვალდებულ ურთიერთობათა 4-წლიანი ვადა, არსებითად მოკლებული იყო პრაქტიკულ მნიშვნელობას.

რეფორმის თავისებურებას აფხაზეთში წარმოადგენდა ისიც, რომ დებულებით (მუხ. 24) მიწა (საკარმიდამო, სახნავ-სათესი და საბაღე ადგილები) ს რ უ ლ ს ა კ უ თ რ ე ბ ა შ ი ეძლეოდა არა მარტო პრივილეგიურ წოდებას (თავადი, აზნაური), არამედ გლეხობასაც შემდეგი ნორმით: ოჯახს, ერთი სულისაგან შემდგარს — 3 დესეტინა, 2—3 სულისაგან — 5 დესეტინა, 4 ან 5 სულისაგან — 6 დესეტინა და 6 და მეტი სულისაგან —

7 დესეტინა[1]. მიწის საკუთრებაში დამტკიცება მართლაც განასხვავებდა აფხაზეთს საქართველოს სხვა რაიონებისაგან, სადაც გლეხს მიწა მხოლოდ მუდმივი სარგებლობის უფლებით მიეცა. ამან და აგრეთვე იმანაც, რომ რეფორმის გამოცხადებიდან 4-წლიანი ვადის დამთავრების შემდეგ გლეხი (დებულებით), როგორც ზემოთაც ვთქვით, მექანიკურად უნდა გამოსულიყო დროებით ვალდებულ მდგომარეობიდან, ზოგ მკვლევარს საფუძველი მისცა საგლეხო რეფორმა აფხაზეთში „თანმიმდევრული ბურჟუაზიული ხასიათის“ რეფორმად გამოეცხადებინა[2], რომელსაც „თითქმის არ დაუტოვებია ბატონყმობის ნაშთები“[3].

აფხაზეთში გატარებული რეფორმის ზემოაღნიშნული თავისებურება აიხსნება ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის შედარებით სუსტად განვითარებით და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით, რომელმაც ასე მკაფიოდ იჩინა თავი 1866 წლის აჯანყებაში. აჯანყებულმა გლეხებმა კატეგორიულად უარი განაცხადეს მიწა გამოესყიდათ, რადგანაც მას ისინი ისედაც თავის საკუთრებად თვლიდნენ. მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია მწარმოებელი კლასის ამ პროტესტისათვის და სათანადო დათმობაზე წასულიყო.

საგლეხო რეფორმა სვანეთში. 1866 წლის 1-ლი დეკემბრის დებულება საგლეხო რეფორმის შესახებ სამეგრელოში, როგორც ცნობილია, სადიანო სვანეთზეც გავრცელდა. ამავე დებულების ძალით ბატონყმობა ადმინისტრაციულად სამეგრელოს ფარგლებში შემავალ სვანეთის მეორე ნაწილშიც — სამთავრო ან სადადეშქელიანო სვანეთშიც უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა და ძველი ურთიერთობა იქ ფაქტიურად ხელუხლებლად დარჩა. დამოკიდებული წოდებისათვის „მეფის წყალობის“ საზეიმოდ გამოცხადება, რაც 1867 წლის 19 თებერვლისთვის იყო დანიშნული, არ შემდგარა, გზების უვარგისობა-გაუსვლელობის[4], თავად დადეშქელიანებს შორის მამულების თაობაზე ატეხილი დავისა[5] და, რაც მთავარია, სამეგრელოში გატარებული რეფორმის შედეგებისადმი სვანი გლეხის უარყოფითი დამოკიდებულების გამო[6].

---

[1] იხ. «Инструкция по земельному устройству Абхазии», § 27. გამოქვეყნებულია ი. ანთელავას, ა. ოლონეცკისა და გ. ძიძარიას მიერ. «Исторический архив,» ტ.V, გვ. 423—452.

[2] ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ., თბ., 1965, გვ. 10.

[3] იქვე.

[4] СХАО, II, გვ. 525.

[5] იქვე, გვ. 534.

[6] ეს უკმაყოფილება აშკარად იგრძნო ლევაშოვმა სადადიანო სვანეთში, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ბატონყმური ურთიერთობა გაუქმდა 1866 წლის 1-ლი დეკემბრის სა-

მწარმოებელი კლასი აქ კიდევ რამდენიმე წელი დარჩა წინანდელ მდგომარეობაში და ძველებურად იხდიდა მასზე დაკისრებულ ბეგარა-გადასახადებს.

მაგრამ ბატონყმობის დატოვება მარტო სვანეთში, ეტყობა, არც მთავრობას მიაჩნდა შესაძლებლად და არც ადგილობრივ ფეოდალებს. ამ უკანასკნელთ, სამთავრო სვანეთის თავადებს თენგიზ, გელა, ბექირბეი და მასოსტო დადეშქელიანებს, 1868 წელს არზა მიურთმევიათ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ლევაშოვისათვის და მათ სამფლობელოში რეფორმის გატარება და 132 კომლი გლეხის განთავისუფლებისათვის სათანადო გასამრჯელოს მიცემა უთხოვიათ[1]. ამას შედეგად მოჰყოლია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოგზაურობა (1869 წ.) სვანეთში იმ მიზნით, რათა გასცნობოდა ამ, აქამდე მისთვის სრულიად უცნობ, მხარეს. ამ მოგზაურობის დროს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რეფორმა, რომლის გადადება მას შეუძლებლად მიაჩნდა, უნდა გატარებულიყო სვანეთში თავისებურად, საქართველოს სხვა რაიონებთან განსხვავებულ საფუძველზე. იქ, მისი აზრით, არ უნდა დაეშვათ დროებით ვალდებულ ურთიერთობათა არსებობა და გლეხი პირდაპირ მესაკუთრეთა რიგებში გადაეყვანათ. «Пройдя всю Сванетию (пешком), — წერდა ლევაშოვი მეფისნაცვალს 1870 წლის 11 აგვისტოს, — я убедился, что при том уровне нравственного и умственного развития, на котором находится тамошное население, следует по возможности упрощать вообще правила, которыми они должны будут руководствоваться, а в отношении крепостного состояния я пришел к тому заключению, что лучшим исходом для крестьянского дела в княжской Сванетии может быть лишь непосредственный переход крестьян из помещичьей зависимости в раз-

---

მეგრელოსთვის მიღებული დებულების ძალით. «Во всей Дадиановской Сванетии,—წერდა ის მეფისნაცვალს 1869 წლის 18 ივლისს,—настроение жителей спокойное и появление между ними войск не произвело никаких недоразумений; с своей стороны войска ведут себя в отношении жителей очень осторожно и до сих пор ко мне не поступало ни одной жалобы на них. Но в отношений повиновения установленным властям и порядка я, к сожалению, должен доложить, что жители... далеко не ведут себя хорошо; не могут даже и теперь предвидеть положительно результат строгих внушений, сделанных мною. Во всяком случае, по возвращению моем из Вольной Сванетий, если требования мои, в особенности по крестьянской реформе, не будут жителями исполнены, я полагаю нужным принять вмоем же присутствии решительные меры взыскания» (СХАО, II, გვ. 520—521. ხაზი ჩვენია—ავტ.).

[1] СХАО, II, გვ. 525.

ряд крестьян собственников. Временно-обязательные отношения в Дадешкелиановской Сванетии, при отдаленности главных центров управления и при отсутствии в течение 5-ти месяцев всякого сообщения, поставили бы как помещиков, так и крестьян в самое трудное положение при первом возникшем недоразумении; восстановленный спор, неполучая вскоре законного разрешения, неминуемо повел бы к раздражению заинтересованных (сторон) и легко бы подал повод к столкновениям, устранить которые не были бы в состоянии ни местный пристав, ни мировой посредник»[1] (ხაზი ჩვენია. — ავტ).

ეს წინადადება ამ სახით, როგორც ჩანს, პირველად თვით სვან ფეოდალებს წამოუყენებიათ. მათ ლევაშოვისთვის განუცხადებიათ, რომ ისინი მზად არიან მისცენ თავიანთ ყმებს (რომელთა რაოდენობა 132 კომლს ან 614 მამრობითი სქესის სულს უდრიდა) მიწა უსასყიდლოდ და სრულ საკუთრებაში და რომ ისინი უარს ამბობენ დროებით ვალდებულ ურთიერთობათა თუნდაც ცოტა ხნით შენარჩუნებაზე[2]. მიწის რაოდენობა, ამ წინადადების ავტორები თენგიზ, გელა, ბექირბეი და მასოსტო დადეშქელიანები გლეხებისთვის რომ იმეტებდნენ, საკარმიდამო ნაკვეთითა და კომლზე 4 ქცევა სახნავ-სათესი და სათიბი ადგილებით იფარგლებოდა. ამაზე მეტი მიწის ფართობი კი გლეხებს უნდა ჩამოსჭროდათ და მემამულეთა უშუალო განკარგულებაში გადასულიყო. ასეთი „მსხვერპლის“ გაღებისათვის დასახელებული პირები მამრობითი სქესის ყოველ განთავისუფლებულ გლეხში ორმაგ გასამრჯელოს, ე. ი. 50 მანეთს ითხოვდნენ, განსხვავებით, ვთქვათ, მეგრელი ფეოდალებისაგან, რომლებიც 25 მანეთით დაკმაყოფილდნენ[3].

ლევაშოვმა, როგორც უკვე ვთქვით, მხარი დაუჭირა არა მარტო წინადადებას რეფორმის გატარების შესახებ, არამედ შესაძლებლად ცნო დადეშქელიანების მიერ წამოყენებულ სხვა მოთხოვნილებათა მთლიანად დაკმაყოფილება. ის დაბეჯითებით თხოვდა მეფისნაცვალს ეშუამდგომლა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რათა მას სამთავრო სვანეთის (ეცერისა და ცხუმარის თემების) თავადებისთვის მათ მიერ გაღებული „დიდი მსხვერპლის“ საკომპენსაციოდ ორმაგი გასამრჯელო მიეცა[4]. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავრობას მამრობითი სქესის ყოველი განთავისუფლებუ-

---

[1] СХАО, II, გვ. 525—526.
[2] იქვე, გვ. 526.
[3] იქვე,
[4] იქვე, გვ. 529.

ლი გლეხისთვის უნდა გაეღო 50 მანეთი, რაც საერთო ჯამში ქმნიდა 30 700 მანეთს[1].

მეფისნაცვალმა სამართლიანად ცნო ლევაშოვის წინადადება, მხარი დაუჭირა მას და საკითხი ორმაგი გასამრჯელოს შესახებ კავკასიის კომიტეტის წინაშე დააყენა[2]. ამ უკანასკნელმა ის (სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით) სოფლის მოსახლეთა ყოფა-ცხოვრების მომწყობ მთავარ კომიტეტში გადაიტანა, რომელმაც 1871 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე, განიხილა რა აღძრული შუამდგომლობა, შესაძლებლად ცნო მისი დაკმაყოფილება[3]. იმავე წლის 8 ოქტომბერს ეს დადგენილება უმაღლესად დამტკიცდა და ძალაში შევიდა[4]. სწორედ ეს დღე ითვლება თარიღად ბატონყმობის გაუქმებისა სვანეთში.

ამ აქტით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გლეხები დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოვიდნენ და პირდაპირ, დროებით ვალდებულ ურთიერთობათა ეტაპის გამოტოვებით, მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდნენ. „გულუხვმა“ მემამულეებმა თავიანთ ყმებს სრულ საკუთრებაში დაუმტკიცეს საკარმიდამო ნაკვეთი და 4 ქცევა სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები“[5]. ეს იყო სწორედ ის თავისებურება, რაც თან ახლდა საგლეხო რეფორმის გატარებას სამთავრო სვანეთში[6].

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი თავის რიგზეა, რეფორმამ თითქოს სამუდამოდ დააშორა ერთიმეორეს გლეხი და მისი ბატონი, პირველი

---

[1] ეს თანხა მიღებულია სამთავრო სვანეთში მამრობითი სქესის ყმა გლეხთა საერთო რაოდენობის, ე. ი. 614-ის, 50-ზე გამრავლებით.

[2] СХАО, II, გვ. 534—536.

[3]. იქვე, II, გვ. 537.

[4] იქვე.

[5] გლეხებმა შეინარჩუნეს დადებულიანების ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება ყოველწლიურად კომლზე 5 მანეთის გადახდის პირობით (СХАО, II, გვ. 527; ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი გვ. 11; ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, სვანეთი თბ., 1967, გვ. 105). აგრარული ურთიერთობანი...,

[6] რაც შეეხება თავისუფალ სვანეთს, აქ კავკასიის ადმინისტრაციამ საერთოდ უარყო ბატონყმურ ურთიერთობათა არსებობა. «В вольной Сванетии, —ნათქვამია ლევაშოვის 1869 წლის 9 აგვისტოს მოხსენებით ბარათში, по подробному разбору мною прав некоторых лиц, называвших себя азнаурами и заявляющих крепостные права на некоторых крестьян, я удостоверился, что в тех незначительных приношениях, которые некоторые крестьяне действительно делают этим азнаурам, в размерах, впрочем, весьма ничтожных, а именно: хлеба на 20 или 30 коп. в год, а также в принятом обычае угощать этих азнауров, в случае посещения вышесказанных крестьян, н е л ь з я п р и з н а т ь н и к а к о г о с л е д а к р е п о с т н о й з а в и с и м о с т и, ибо никаких иных отношений как службы, так и работы, между ними никогда не существовало». (СХАО, II, გვ. 523.)

ეს აზრი და შეხედულება ლევაშოვმა თავისუფალ სვანეთის აზნაურებს გაცნო და მოსთხოვა მათ ხელი აეღოთ ბატონყმური რიგის ყოველგვარ პრეტენზიებზე. უფრო მეტიც

დამოუკიდებელი მეურნე გახდა. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათი იყო. რეფორმამ, რომელიც ყოველგვარი წინასწარი სამზადისის გარეშე გატარდა სამხედრო პირთა ერთპიროვნული ხელისუფლებით[1], მწარმოებელი კლასი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააგდო. ის 4 ქცევა მიწა, რომელიც მან, ღმერთმა უწყის რატომ, მიიღო და გლეხის თითო ოჯახის ნორმად იყო აღიარებული, ოდნავადაც არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას. სახელწიფო ქონებათა სამინისტროს ამიერკავკასიის რწმუნებულის, საქმეში კარგად ჩახედული მედვედევის, გამოანგარიშებით, სვანეთში გლეხის ოჯახის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო სულზე 3-დან 5 დესეტინამდე მიწა[2]. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ს. ავალიანს, როდესაც ის სამთავრო სვანეთის ყოფილ საბატონო ყმათა ნადელს „მათხოვრულს" უწოდებდა[3]. რეფორმის წყალობით საგრძნობლად შემცირდა მწარმოებელი კლასის მიწათმფლობელობა. მას მთლიანად ჩამოართვეს დადგენილ ნორმაზე მეტი ფართობი[4]. სამოწყალო ნადელით ძმარაგებული გლეხი ბედის ამარად დარჩა. იგი, ს. ავალიანის სიტყვით, უკიდურეს სიღატაკესა და გაჭირვებაში ჩავარდა[5]. სამაგიეროდ, კარგად წარმართა საქმე თავადაზნაურობამ, რომელმაც, იმავე ავტორის მოწმობით, მიწაც შეინარჩუნა და დიდი ფულადი გასამრჯელოც მიიღო[6]. ეს უკანასკ-

---

ქუთაისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ხსენებულ აზნაურებს, კერძოდ იმათ, ვისაც ეგრეთ წოდებული შინაყმები ჰყავდა, სასწრაფოდ გაენთავისუფლებინა ისინი (იქვე). ისინი ამ წინადადებას, ცხადია, უარყოფითად შეხვდნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ მიეღოთ და ცხოვრებაში განეხორციელებინათ. ამ ნაბიჯით დაზარალებულმა მფლობელებმა წერილობითი არზა მიართვეს მეფისნაცვალს და ზარალის ანაზღაურება სთხოვეს. შინაყმების განთავისუფლებით, წერდნენ ისინი, ჩვენ ვკარგავთ მათ შეძენაზე დახარჯულ საკმაოდ დიდ თანხას, ხელიდან გვეცლება სახლისა და მეურნეობის მომვლელი, რითაც სერიოზული საფრთხე ექმნება ჩვენს მატერიალურ კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, ისინი თხოვდნენ ხელისუფლებას სათანადო კომპენსაციის გაღებასა და ამით მათი შერყეული მდგომარეობის რამდენადმე მაინც გაუმჯობესებას(იქვე). მაგრამ, ეტყობა, მთავრობას ეს თხოვნა არ შეუწყნარებია და ის, როგორც ჩანს, უმაღლეს ორგანოებში საერთოდ არ განხილულა. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი არც მეფისნაცვლის შუამდგომლობაში და არც მთავარი კომიტეტის ზემოხსენებულ, იმპერატორის მიერ მოწონებულ დადგენილებაში.

[1] ს. ავალიანი, ტ. II, გვ. 58.

[2] იხ. «Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века», დოკუმენტების კრებული, მომზადებული და გამოცემული ი. ანთელავას მიერ, სოხ., 1952, გვ. 44.

[3] ს. ავალიანი, ტ. II. გვ. 55, 59.

[4] СХАО, II, გვ. 526.

[5] ს. ავალიანი, ტ. II, გვ. 59.

[6] იქვე.

ნელი ფაქტიურად არა მარტო გლეხთა პირადი გადასახადების გაუქმებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება იყო, არამედ ის მემამულეთა მიერ „უსასყიდლოდ“ დათმობილი მიწების საფასურის კომპენსაციასაც წარმოადგენდა[1].

§ 3. რეფორმის შედეგები და მნიშვნელობა

ამრიგად, 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმების შედეგად, ყმებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ, რაშიც თავადაზნაურობამ, გარდა ერთდროული კომპენსაციისა, დამატებითი დახმარება მიიღო.

დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსულ გლეხს დებულებით მიწა მიეცა, მაგრამ არა საკუთრებად, არამედ მუდმივ სარგებლობაში, რისთვისაც ის მის პატრონს უხდიდა იმავე გადასახადებს, რასაც რეფორმამდე.

გლეხს მისთვის გამოყოფილი მიწის საკუთრებად შესყიდვა მხოლოდ მებატონის თანხმობით შეეძლო. ნაკვეთის გამოსყიდვამდე იგი დროებით ვალდებულ გლეხად იწოდებოდა. გამოსყიდვის შემდეგ კი ის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადადიოდა. მაგრამ რაკი გამოსყიდვა სავალდებულოდ არ იყო გამოცხადებული, დროებით ვალდებულებამ მუდმივი ხასიათი მიიღო და ის კანონით მხოლოდ 1912 წელს გაუქმდა. იგივე ითქმის აფხაზეთის შესახებაც, სადაც დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი დებულებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხოლოდ 4 წლის ვადით უნდა დარჩენილიყო.

დებულებით გლეხს მიწა გარკვეული ნორმით ეძლეოდა, ნორმაზე მეტი ფართობი კი მას მემამულის სასარგებლოდ უნდა ჩამოსჭროდა. ამის წყალობით მწარმოებელი კლასის რეფორმამდელი ხანის მიწის მფლობელობა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 28 986 დესეტინით შემცირდა.

ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი, რომ ყბადაღებული რეფორმა იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, რომ იგი წარმოადგენდა მათ მიმართ „მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“[2]. „საკმარისია, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს კანონდებულებებს, რომ ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა... ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი... თქვენს, ეგრეთწოდებულ რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხების მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლეხებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამო-

---

[1] ს. ავალიანი, ტ. II, გვ. 55.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

აჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი?"[1].

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა მემამულეთა ინტერესებს მაქსიმალური დაცვით გატარდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან ძირითად მწარმოებელ კლასს — გლეხობას — შეეძლო შედარებით უკეთეს პირობებში წარემართა თავისი სამეურნეო საქმიანობა. არ იყო რა ძველებურად ხელფეხშეკრული, მას უფლება ჰქონდა ქონება შეეძინა და ის სურვილისამებრ გამოეყენებინა, გაემართა ვაჭრობა-მრეწველობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგი. გაძლიერდა გლეხის პირადი დაინტერესება, გაიზარდა მისი შრომის ნაყოფიერება. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა საწარმოო ძალების განვითარება, ქვეყნის ეკონომიური დაწინაურება და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება.

---

[1] რეფორმის ასეთი შეფასება, თუმცა რამდენადმე ცალმხრივია, მაგრამ ძირითადში ის მაინც სწორია და სინამდვილეს შეეფერება.

თავი მეშვიდე

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება სასამართლო და საქალაქო რეფორმები

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში გატარდა სასოფლო მმართველობის, სასამართლო და საქალაქო რეფორმები, რაც აგრეთვე რევოლუციური მასებისა და სხვა ოპოზიციური ძალების დასაწყნარებლად იყო ნავარაუდევი.

ბურჟუაზიული რეფორმების გატარების ისტორია, მათი არსისა და მნიშვნელობის შესწავლა დიდი ხანია დგას საბჭოთა ისტორიული მეცნიერების წინაშე, მაგრამ დღესდღეობით შედარებით კარგად არის გაშუქებული მხოლოდ საგლეხო რეფორმა. საქართველოში გატარებული სხვა ბურჟუაზიული რეფორმები არასაკმარისი სიღრმითა და სისრულითაა შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე, მაგალითად, ისიც კი არაა დადგენილი, თუ საქართველოს რომელ ქალაქებს შეეხო და რომელ წლებში გატარდა 1870 წლის საქალაქო დებულება[1].

§ 1. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა

ბატონყმობის გაუქმებამდე სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ფაქტიურად არ არსებობდა. ყმა გლეხთა საქმეებს მებატონეთა და საეკლესიო უწყების მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ. სახაზინო გლეხებზე მეთვალყურეობას კი პოლიციის აგენტები ასრულებდნენ.

საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში მეფის მთავრობის წინაშე ლოგიკური აუცილებლობით დაისვა ახალი პირობების შესაბამისად სოფლის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხი.

1861 წლის დებულების საფუძველზე რუსეთში დაარსებული სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ ფუნქციებით განსხვავებული ერთეულისაგან შედგებო-

---

[1] ამ თავის დაწერისას, რა თქმა უნდა, ვიყენებთ არსებულ ლიტერატურას, მაგრამ იგი ძირითადად დამყარებულია ახალ მასალაზე და ჩვენი უშუალო კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს.

და; თემის სამმართველო განაგებდა სამეურნეო, ხოლო ვოლოსტის სამმართველო (იგი რამდენიმე თემს აერთიანებდა) — ადმინისტრაციულ საქმეებს. სავოლოსტო სამმართველოებთან არსებობდა საგლეხო სასამართლოები.

1864 წ. 13 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცდა თბილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის წესები[1], რომლის თანახმად სასოფლო საზოგადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხობა. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლეს ორგანოდ ნავარაუდევი იყო გლეხთა ყრილობა. აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭებოდა მამასახლისს, ხოლო მართლმსაჯულება — სოფლის სასამართლოს.

საქართველოში სოფლის საზოგადოებრივ მმართველობას უნდა დაკისრებოდა ყველა ის მოვალეობა, რაც რუსეთში ჰქონდა სათემო და სავოლოსტო სამმართველოებს, ე. ი. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ფუნქციებში შედიოდა როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული საქმეების გამგებლობა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში თითქმის აღარ არსებობდა თემი და თემური მიწისმფლობელობა. ჩვენს პირობებში სასოფლო საზოგადოება მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეული უნდა ყოფილიყო. საერთო ტყითა და საძოვრით სარგებლობის წესები უნდა განესაზღვრა არა სოფლის საზოგადოებრივ მმართველობას, არამედ გლეხობის იმ ნაწილს, რომელსაც ეს საერთო, გაუყოფელი სავარგულები ეკუთვნოდა. მამასახლისისა და სოფლის სხვა თანამდებობის პირთა მთავარ მოვალეობას შეადგენდა გლეხობაზე შეწერილი გადასახადების კომლებზე განაწილება და აკრეფა[2].

1864 წ. 13 ოქტომბრის „წესების“ პირველი პარაგრაფის თანახმად მეფისნაცვალს ევალებოდა დაწვრილებითი დებულება შეედგინა სასოფლო საზოგადოებათა მოწყობის შესახებ. კავკასიის ადმინისტრაციამ ავად თუ კარგად მოახერხა ამ ამოცანის შესრულება და უკვე 1865 წ. 11 აპრილს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა დაამტკიცა სათანადო დებულება, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი არა მარტო თბილისის გუბერნიაში, არამედ მთელ საქართველოში.

1865 წ. 11 აპრილის დებულების თანახმად საქართველოში დაარსებული სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა იყო გლეხთა წოდებრივი დაწესებულება. სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ.

---

[1] Правила об устройстве сельских обществ, их общественного управления и повинностей государственных и общественных в Тифлисской губернии.

[2] О крестьянах Грузии, зз. 241—243.

დებულება სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოდ ასახელებს სოფლის ყრილობას, რომლის მუშაობაში მონაწილეობის უფლება ოჯახის ყველა უფროსს ჰქონდა. ყრილობას იწვევდნენ მამასახლისები. ძალიან ხშირად სოფლის თავკაცები იკრიბებოდნენ მაზრის უფროსისა და მომრიგებელი შუამავლის მოთხოვნა-ბრძანებითაც.

სოფლის ყრილობის ფუნქციებში შედიოდა: სოფლის თანამდებობის პირთა არჩევა; დადგენილების მიღება სოფლიდან მავნე პირთა გადასახლების თაობაზე; ობლად დარჩენილ მცირეწლოვანთათვის მზრუნველების დანიშვნა; ოჯახის გაყოფაზე ნებართვის მიცემა; სოფლის საზოგადოების საერთო მიწების (დაუმუშავებელი ნაკვეთები, საძოვრები და სხვ.) გამგებლობა; თათბირი და შუამდგომლობის აღძვრა საზოგადოებრივ საჭიროებებზე; საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოსაღებთა დაწესება; სახაზინო და საერობო გადასახადების კომლთა შორის განაწილება; თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი და მათთვის ჯამაგირების დანიშვნა; სოფლის სათადარიგო პურის მაღაზიებიდან სესხის გაცემა და სხვ.

სოფლის ყრილობის დადგენილება კანონიერად ითვლებოდა, თუ მას ესწრებოდა მამასახლისი და ოჯახის უფროსთა ნახევარი მაინც. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად საჭირო იყო ხმების ორი მესამედი, სხვა საკითხები კი წყდებოდა ხმების უბრალო უმრავლესობით.

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება მამასახლისს ეძლეოდა. მას ევალებოდა: თვალყური ედევნებინა გზების, ხიდების, სარწყავი არხების, წყალსადენების და სხვ. მდგომარეობისათვის; ეხელმძღვანელა კამერალური სიების შედგენის, სახელმწიფო, საერობო და საბატონო გადასახადთა აკრეფისათვის; საჭირო ფორმალობის დაცვით გლეხებისათვის მიეცა სასოფლო საზოგადოებიდან გაშვების მოწმობები, საშოვარზე წასვლის სანებართვო ბილეთები და სხვ.

სასოფლო საზოგადოების ყრილობა თავის დადგენილების სისრულეში მოყვანას ანდობდა მამასახლისს, მის მოადგილეს (ნაცვალს) და გადასახადთა ამკრეფს. მაგრამ მამასახლისები და თანამდებობის სხვა პირები არსებითად იყვნენ არა გლეხობის სურვილთა აღმასრულებელნი, არამედ მოქმედებდნენ მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის ბრძანება-კარნახით. მამასახლისები აცხადებდნენ მთავრობის კანონებსა და განკარგულებებს, აკავებდნენ მოხეტიალე პირებსა და სამხედრო დეზერტირებს, აცნობდნენ მაზრის უფროსებს სასოფლო საზოგადოებიდან უნებართვოდ წასულთა ვინაობას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვდნენ პოლიციის რაზმს წესრიგის აღსადგენად.

დებულება ითვალისწინებდა სასოფლო საზოგადოებაში საგლეხო სასამართლოს ჩამოყალიბებასაც.

სოფლის მოსამართლეებს ირჩევდა სასოფლო საზოგადოების ყრილობა არა ნაკლებ სამი კაცის შემადგენლობით. სასამართლო წყვეტდა გლეხთა დავა-საჩივრებს 100 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში, რომელიც განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროს. თანაც სოფლის სასამართლოს შეეძლო გაერჩია მხოლოდ ის საქმეები, რომელნიც ასახული არ იყო ფორმალურ აქტებში (დავა მიწაზე, ყიდვა-გაყიდვა, ხელშეკრულებები, ურთიერთზარალის მიყენების ფაქტები და სხვ.). თუ საქმე ეხებოდა ოფიციალური აქტით გაფორმებულ უძრავ ქონებას, ან საქმის ღირებულება აჭარბებდა 100 მანეთს და თუ დავაში მონაწილეობდნენ სხვა წოდების პირები, იგი გასარჩევად გადაეცემოდა საერთო სასამართლო დაწესებულებებს.

სოფლის სასამართლოს უფლება ჰქონდა მცირე დანაშაულისათვის გამოეტანა სასჯელი — გაეგზავნა დამნაშავე საზოგადოებრივ სამუშაოებზე ექვსი დღით, დაეჯარიმებინა 100 მანეთით, ან დაეპატიმრებინა შვიდი დღის ვადით. ამასთან ერთად სოფლის სასამართლოს შეეძლო გადასახადთა ნარჩენების დაფარვის მიზნით გაეყიდა გლეხის ქონება. მამასახლისს, ფორმალურად, უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო სამართლის წარმოებაში, გავლენა მოეხდინა განაჩენის ხასიათზე. სამაგიეროდ, იგი ვალდებული იყო სისრულეში მოეყვანა სასამართლოს დადგენილებანი.

სოფლის თანამდებობის პირები (მამასახლისი, ნაცვალი, მოსამართლეები) აირჩეოდნენ სამი წლის ვადით. არჩევნების შედეგებს გუბერნატორი ამტკიცებდა. თანამდებობის პირები ფიცს დებდნენ მაზრის უფროსის წინაშე. თუ მამასახლისი ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას, ან ბოროტად გამოიყენებდა თანამდებობას, გუბერნატორს შეეძლო მისი გადაყენება სასოფლო საზოგადოების ყრილობის დაუკითხავად.

სოფლის მმართველობის რეორგანიზაცია ცვლილებებს არ იწვევდა საგადასახადო სისტემაში. მაგრამ არსებული სახელმწიფო და საერობო გადასახადების დამატებით გლეხობა ვალდებული ხდებოდა გაეღო თანხები საზოგადოებრივი მმართველობის შენახვის, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ზოგი ღონისძიების დაფინანსების, სოფლის გზების, სარწყავი არხებისა და წყაროების მოვლა-შეკეთებისათვის, ვაეღო გარკვეული თანხა, ნატურით თუ ფულით, ყარაულის შენახვისა და სოფლის სარეზერვო პურის მაღაზიის მოწყობისათვის. წესდებოდა გლეხების ურთიერთთავდებობა გადასახადების დაფარვაში[1].

საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა მიესალმა სოფლის

---

[1] Положение о сельских обществах, их общественном управлении и повинностях государственных и общественных в Тифлисской губернии, зз. I—83.

საზოგადოებრივი თვითმმართველობის შემოღებას, მაგრამ იმთავითვე შეამჩნია მისი ნაკლოვანებებიც. დებულება, მართალია, ფორმალურად საკმაო უფლებას აძლევდა სოფლის ყრილობას ადგილობრივი საქმეების გადაწყვეტაში, მაგრამ არსებითად ანგარიში არ ეწეოდა გლეხობის ინტერესებს და საქმეები წყდებოდა მთავრობისა და გაბატონებული კლასების სურვილის შესაბამისად. მაზრის უფროსი და პოლიციის მოხელეები, უმეტეს შემთხვევაში, ახერხებდნენ სასოფლო საზოგადოებისათვის თავს მოეხვიათ მათთვის სასურველი მამასახლისი, რომელიც გლეხთა ყრილობის დადგენილების დაცვას და მის ცხოვრებაში გატარებას კი არ ცდილობდა, რაც მას დებულებით პირველ რიგში ევალებოდა, არამედ გამოდიოდა პოლიციის აგენტის როლში და იმას აკეთებდა, რასაც მაზრის უფროსი უბრძანებდა. აშკარად თუ ფარულად ილახებოდა საზოგადოების ინტერესები, ირღვეოდა თვითმმართველობის პრინციპი.

„იმ რეფორმებს შორის, რომელნიც ამ უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადში მოხდნენ ჩვენში, — წერდა „დროების" კორესპონდენტი, — სოფლის ახალი გამგეობისა და სასამართლოების შემოღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ...მაგრამ... აღმოჩნდნენ ზოგიერთი გარემოებანი, რომლის წყალობით სოფლის გამგეობისა და სასამართლოების რეფორმა ზოგან ვერ მიდის ისე კარგად, როგორც რიგია და როგორც იმედი გვქონდა, ...ხშირად ისმის სოფლებში ჩივილი, რომ ჩვენი მამასახლისი და მოსამართლეები არაფერს აკეთებენ და თუ აკეთებენ — უქრთამოდ ხელს არ ანძრევენო". „დროების" რედაქციას მიზნად დაუსახავს ამხილოს ეს უმსგავსოებანი და ხელი შეუწყოს მდგომარეობის გამოსწორებას. მოსამართლედ უფრო ხშირად გარეთ ნავალ, გამდიდრებულ და გაქნილ გლეხებს ირჩევენო. მაგრამ „მდიდარი და გაქნილი გლეხის ამორჩევას ისა სჯობია. ჩვენი აზრით, რომ ღარიბი და პატიოსანი ამოირჩიოს, რადგან ის ყოველთვის უფრო თანაუგრძნობს და უკეთ გაიგებს თავისი მსგავსი ღარიბი გლეხების გარემოებასა და საჭიროებას,... რაც უფრო ფრთხილად აირჩევენ გლეხები თავიანთ მოხელეებს და რაც უფრო მომეტებულ ყურადღებას მიაქცევენ ამ საქმეს საზოგადოების ყველა კეთილმსურველი პირები, მით უფრო მალე დაატყობს სიკეთის ნიშანს ეს ახალი რეფორმა ჩვენ გლეხ-კაცსა, რომელსაც ყოველი მხრიდან ეჭირვება დახმარება და ხელის მომართვა"[1].

„დროება" მართებულად მიუთითებს სოფლის საზოგადოებრივი მმართველობისა და საგლეხო სასამართლოს კონკრეტულ შემთხვევებში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, მაგრამ ამის უმთავრესი მიზეზი თვით კანონმდებლობაში უნდა ეძია მას. დებულების მთავარი ნაკლი კი ის იყო,

---

[1] „დროება", 1872, № 10.

რომ იგი სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ხელისუფლებას მხოლოდ გლეხებზე ავრცელებდა, მოვალეობას გლეხებს აკისრებდა, იცავდა კი მოსახლეობის ზედა ფენების ინტერესებს.

აკრიტიკებდა რა კანონის ამ ცალმხრივობას, ილია ჭავჭავაძე წერდა: „სოფლის სასამართლოც ამ დღეშია, მას, წესდების ძალით, ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვს იქავ თვალწინ, უხარჯოდ მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათ ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს,... ყველა ეს იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ასე მიუწვდომელია, როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე“.

„რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, — განაგრძობს შემდეგ ილია, — რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ!... ჩვენი სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს“[1].

დიდი ილიას მიერ აღნიშნული ამ ნაკლოვანებების ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრა შეიძლებოდა ყველა წოდებისათვის საერთო სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღებით, რომელიც მოვალეობასაც და უფლებასაც თანაბრად გაანაწილებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენაზე. ასეთი მოთხოვნა კიდეც წამოაყენეს ნ. ნიკოლაძემ[2] და სხვა პროგრესულმა საზოგადო მოღვაწეებმა, მაგრამ სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ზემოაღნიშნულ საფუძველზე რეორგანიზაცია მთავრობის გეგმაში არ შედიოდა.

მთავრობას არ შეეძლო მთლიანად უგულებელეყო საზოგადოებრივი აზრი და სასოფლო მმართველობის ნაკლოვანებებით გამოწვეული გლეხ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1928, გვ. 64—70.
[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საქმე 15/12, გვ. 1—28, საქ. 15/40, გვ. 10—13.

თა უკმაყოფილება. 1885 წელს ამიერკავკასიის მთავარმმართველ დონდუკოვ-კორსაკოვის განკარგულებით ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის გამაუმჯობესებელი ღონისძიებანი. კომისიის შედგენილი კანონპროექტი 1887 წ. მთავარმმართველმა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს. პროექტში საქმის მდგომარეობა ისე იყო ნაჩვენები, რომ სოფლის მმართველობის მოუწესრიგებლობაში ბრალი ედებოდა გლეხობას. ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრმა „ეჭვი გამოთქვა“ ამიერკავკასიის სოფლის მოსახლეობა თვითმმართველობისათვის მოუმზადებელი ხომ არ არისო. ამ საკითხის გამორკვევა მიენდო გლეხთა საქმის საგუბერნიო საკრებულოებს.

ქუთაისის გლეხთა საქმის საგუბერნიო საკრებულოსა და თვით საგუბერნიო მმართველობის მოხელეებიც კი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან გონიერად იყენებს ბოძებულ თვითმმართველობას და ნაკლოვანებებია მხოლოდ სოფლის სასამართლოების საქმიანობაში, რადგან მათი მართლმსაჯულების კონტროლისათვის არ არსებობსო ზემდგომი სააპელაციო ინსტანცია[1].

მეფის მთავრობის მოხელეებს სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ცუდი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის მიაჩნდათ, რომ თანამდებობის პირები გასამრჯელოს, ჯამაგირს არ ღებულობდნენ და ამიტომ უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ საქმეს. საჭიროდ იქნა ცნობილი პატარა სასოფლო საზოგადოებათა შეერთება. გამსხვილებული, მრავალკომლიანი სასოფლო საზოგადოებანი მოახერხებდნენ საკმაო თანხის შეკრებას, რაც აუცილებელი იყო წესიერი კანცელარიის მოწყობისა და სოფლის მოხელეებისათვის ჯამაგირის დანიშვნისათვის.

XIX ს-ის 80-იან წლებში მართლაც მოხდა სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილება მათი შეერთების გზით. მაგალითად, აქამდე გორის მაზრის 633 სოფელი და 28 510 კომლი გლეხი გაერთიანებული იყო 120 სასოფლო საზოგადოებაში. გამსხვილების შემდეგ ჩამოყალიბდა 37 საზოგადოება, თითოეულში საშუალოდ 18 სოფელი და 770 კომლი გლეხი შეეიდა. ასეთ დიდ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა ჯამაგირი მიეცა მამასახლისისათვის, ამ თანამდებობას მიმზიდველობის ძალა მიემატა და მამასახლისობას ზოგჯერ თავადაზნაურთა წრიდან გამოსული პირებიც აღარ უკადრისობდნენ.

XIX ს-ის 80—90-იანი წლების მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 343 სასოფლო საზოგადოება აერთიანებდა 104 967 კომლს.

---

[1] По вопросу о переустройстве сельского общественного управления, зз. 3—4.

დასავლეთ საქართველოს (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) 208 საზოგადოება კი — 91 791 კომლ გლეხს[1].

სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილების შემდეგ, ბუნებრივია, საზოგადოებრივ მმართველობას საქმეები მოემატა, მაგრამ იმის გამო, რომ მრავალ სოფელში გაფანტულ გლეხთა ყრილობების მოწვევა გაძნელდა, ჰეტი გასაქანი მიეცა მამასახლისებისა და თანამდებობის სხვა პირთა თვითნებობას. მრავლად იყო სასოფლო საზოგადოებანი, რომლებშიც, მაგალითად, 1892 წელს სოფლის ყრილობას არც ერთი განაჩენი არ შეუდგენია, ყველაფერი მინდობილი იყო მამასახლისის „კეთილსინდისიერებაზე“.

სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საგლეხო სასამართლოში შესული საქმეების რაოდენობა: 1892 წელს თბილისის მაზრის საგლეხო სასამართლოებს მიუღია 1 212 გადაწყვეტილება (ერთ სასამართლოზე წელიწადში საშუალოდ მოდიოდა 26 გადაწყვეტილება), გორის საგლეხო სასამართლოებს — 2 030 (31), თელავის — 2 060 (47), სიღნაღის — 2 145 (40), თიანეთის — 1 052 (65), ახალციხის — 369 (30), ახალქალაქის — 389 (38), დუშეთის — 740 (15), ბორჩალოს — 1 279 (26), ქუთაისის — 4 345 (117), შორაპნის — 3 271 (116), რაჭის — 765 (23), ოზურგეთის — 2 379 (95), ლეჩხუმის — 1 294 (54), სენაკის — 2 551 (88), ზუგდიდის — 1 718 (52).

სოფლის სასამართლოების დადგენილება ძალიან ხშირად არ აკმაყოფილებდა ან ერთ ან მეორე მხარეს. სააპელაციო საჩივრები დიდი რაოდენობით შედიოდა საგუბერნიო მმართველობასა და საგლეხო საკრებულოში, მაგრამ იმის გამო, რომ საჩივართა დიდი უმეტესობა ეხებოდა დადგენილების არსს და არა სასამართლო წარმოების ფორმალური მხარის დარღვევას, მათი დაკმაყოფილება იშვიათად ხდებოდა. 1892 წ. თბილისის გუბერნიის საგლეხო სასამართლოების დადგენილებებზე აღიძრა 1078 სააპელაციო საჩივარი. აქედან 850 საჩივარი (78%) არ იქნა დაკმაყოფილებული, 228 (22%) კი დააკმაყოფილეს, ე. ი. მიიღეს დადგენილება საქმის ხელმეორედ გარჩევის შესახებ. ამავე წელს ქუთაისის გუბერნიაში საგლეხო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე აღძრულა 4 519 სააპელაციო საჩივარი, საიდანაც მხოლოდ 548 (12%) დააკმაყოფილეს, დანარჩენი კი უარყოფილ იქნა[2].

1892 წელს მთავარმმართველის საბჭოს წევრს იაკიმოვს დაევალა შეემოწმებინა მომრიგებელ შუამავალთა საქმის წარმოება და შეესწავლა

---

[1] По вопросу о переустройстве сельского общественного управления, გვ. 20—22.

[2] იქვე, გვ. 22—24.

სოფლის საზოგადოებრივ მმართველობათა პრაქტიკული საქმიანობა. რამდენიმე ხნის შემდეგ თავის ანგარიშში იაკიმოვი წერდა, რომ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის საქმეები სხვა გუბერნიებთან შედარებით კარგად არის დაყენებული, მაგრამ სასურველი სრულყოფა არც მას ახასიათებსო. ჩანს, რომ საქართველოში ყველა საზოგადოებრივ თვითმმართველობას ჰქონდა შენობები, კანცელარიებში ჰყავდათ დაქირავებული მწერლები, აწარმოებდნენ საგლეხო სასამართლოს დადგენილებათა სპეციალურ წიგნებში ჩაწერას და თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოება მამასახლისს აძლევდა ჯამაგირს[1].

იაკიმოვის აზრით, სოფლის საზოგადოებრივ თვითმმართველობათა საქმიანობის ნაკლი განპირობებული იყო იმით, რომ სოფლის მოსახლეობას არ მიუღია ხელმძღვანელი, რომელიც გამოიყვანდა მას ახალი ცხოვრების ფართო გზაზე. მუდამ ერთმანეთის ქიშპში მყოფი მომრიგებელი მოსამართლეები და მაზრის უფროსები სოფლის საზოგადოებრივ თვითმმართველობას ვერ უწევენო სათანადო კონტროლს და „მზრუნველობას". ამიერკავკასიის სოფლის მოსახლეობას, აღნიშნავს შემდეგ იაკიმოვი, ესაჭიროება ისეთი უფროსი, რომელიც აღჭურვილი იქნება სრული და მრავალმხრივი ხელისუფლებით. ასეთი უნდა იქნეს რუსეთის გუბერნიებში უკვე არსებული საერობო უფროსი, რომელიც თავისთავში აერთიანებს ადმინისტრაციულ, სამოსამართლო და სამეურნეო ფუნქციებს[2].

ბოლოს იაკიმოვი ასკვნიდა, რომ არსებული დებულება სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ დამაკმაყოფილებელია. იგი ძალაში უნდა დარჩეს, მხოლოდ დაემატოს ზოგი ახალი მუხლები. იაკიმოვს მიზანშეწონილად მიაჩნდა დებულებით დაკანონებულიყო მამასახლისისა და ზოგი სხვა მოხელისათვის ჯამაგირის დანიშვნა, სოფლის თანამდებობის პირთათვის განსაკუთრებული ფორმისა და გამოსაცნობი ნიშნების ბოძება და სხვ. მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს და მათ ნაცვლად დაინიშნონ საერობო უფროსები, რომლებიც თავის ხელში აიღებენ სოფლის მოსახლეობის ადმინისტრაციულ, სამოსამართლო და სამეურნეო გამგებლობას[3].

მთავარმმართველმა მოიწონა იაკიმოვის მოსაზრებანი, მიზანშეწონილად მიიჩნია საერობო უფროსის ინსტიტუტის შემოღება. დაწვრილებითი კანონპროექტების შემუშავება ახალ კომისიას დაავალა, მაგრამ მე-

---

[1] По вопросу о переустройстве сельского общественного управления, გვ. 20—22.

[2] იქვე, გვ. 26—28.

[3] იქვე, გვ. 32—33.

ფის მთავრობის ბიუროკრატიას თვით 1917 წლის რევოლუციამდე არსებითად არაფერი შეუცვლია. გლეხთა ხარჯზე მოწყობილი სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობანი ბოლომდე იდგნენ მეფის მთავრობისა და მოსახლეობის ზედაფენების ინტერესთა სამსახურში.

§ 2. სასამართლოს რეფორმა

XIX ს-ის 40—50-იან წლებში ნათლად გამომჟღავნდა, რომ ძველი, წოდებრივი სასამართლო ჩამორჩა და აღარ შეესაბამებოდა ახალი დროის მოთხოვნილებებს. 1861 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე მეორის დავალებით სახელმწიფო კანცელარიის მოხელეებმა და ცნობილმა იურისტებმა დაიწყეს „ახალი სასამართლო წყობისა და სამართლის წარმოების ძირითადი დებულებების“ შედგენა. იგი საფუძვლად დაედო ახალი სასამართლო წესდების პროექტს, რომელიც იმპერატორმა დაამტკიცა 1864 წ. 20 ნოემბერს.

1864 წლის სასამართლო წესდებას საფუძვლად ედო ბურჟუაზიული პრინციპები, რომელიც უკვე კარგა ხანია მოქმედებდა ევროპისა და ამერიკის მოწინავე სახელმწიფოებში. გატარებული რეფორმის შედეგად ძველი წოდებრივი სასამართლო დაწესებულებები გაუქმდა. ჩამოყალიბდა ყველა წოდების, მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებები.

რეფორმამდე სასამართლო მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეებს მთავრობა ნიშნავდა და გამოძიებაში გადამწყვეტ როლს პოლიციის მოხელეები ასრულებდნენ. ძველ სასამართლოში საქმის წარმოებას ძალიან აჭიანურებდა ინსტანციების სიმრავლე. ზოგიერთი საქმის გარჩევა და გადაწყვეტა ათი, ოცი და ორმოცდაათი წელიც კი გრძელდებოდა. ძველი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ საქმის გამოძიება-გარჩევა საიდუმლოდ მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე წარმოებდა. სასამართლო პროცესი, როგორც ასეთი, უმეტესწილად არც იმართებოდა. მომჩივანი და მოპასუხე საპყრობილესა თუ საკუთარ სახლში ელოდებოდნენ სასამართლოს დადგენილებას. სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფორმალური მხარის დაცვას. ბრალდებული მხოლოდ მაშინ უნდა დასჯილიყო, როცა გამოტყდებოდა დანაშაულში, ან საქმეში დაცული საბუთები ცხადყოფდნენ მის დანაშაულს. ასეთი წესი საშუალებას აძლევდა აშკარა დამნაშავეებს ხშირად დაუსჯელი დარჩენილიყვნენ, ზოგი უდანაშაულო კი, რომელიმე საბუთის წყალობით, სამუდამოდ ეჭვქვეშ რჩებოდა.

ახალი წესდების საფუძველზე მოწყობილი სასამართლო დაწესებულებანი და თვით საქმის წარმოების ხასიათი არსებითად განსხვავდებოდა ძველისაგან. სასამართლოს თავის მოქმედების სფეროში დამოუკიდებლობა ეძლეოდა. მთავრობის ადმინისტრაციას ზემოქმედება არ უნდა მოეხდინა მართლმსაჯულებაზე და პოლიციაც მთლიანად განთავისუფლდა საქმის გამოძიება-გარჩევის მოვალეობისაგან. გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები. საქმის წარმოების დროს სასამართლოებში იწვევდნენ საზოგადოებრივი სინდისის წარმომადგენლებს — ნაფიც მსაჯულებს. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მიღებული დადგენილების გასაჩივრება არსებითად არ შეიძლებოდა. სხვა შემთხვევაში კი დადგენილების გასაჩივრება ხდებოდა სასამართლო პალატაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლებოდა. სასამართლო პალატის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულიყო მხოლოდ საკასაციო წესით, ე. ი. თუ დარღვეული იყო კანონით დადგენილი სამართლის წარმოების წესი. უმაღლეს საკასაციო ინსტანციას კი სენატი წარმოადგენდა.

მთავრობის ადმინისტრაციისაგან სასამართლოს გამოყოფა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპით — სასამართლოს თავმჯდომარეები და წევრები, მომრიგებელი მოსამართლეები და გამომძიებელნი თანამდებობიდან ვერ მოიხსნებოდნენ ადმინისტრაციული წესით. შემოღებულ იქნა მოსამართლეთა არჩევითობა. სასამართლო პროცესები საჯაროდ იმართებოდა, რომლის დროს ბრალდებას პროკურორი ასაბუთებდა, ხოლო ბრალდებულს ვექილი იცავდა.

ახალი სასამართლო ფორმალურად უახლოვდებოდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის“ ბურჟუაზიულ პრინციპს, მაგრამ არსებითად მოსახლეობის ზედაფენების ინტერესთა სადარაჯოზე იდგა. მიუხედავად ამისა სასამართლო რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალი სასამართლო პასუხობდა რუსეთის კაპიტალისტური განვითარების ინტერესებს.

განაპირა მხარეებში და მათ შორის საქართველოში სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა. რეფორმატორები ამის მიზეზად „მოსახლეობის მოუმზადებლობას“ და ადგილობრივ „სპეციფიკურ პირობებს“ ასახელებდნენ. სინამდვილეში კი აქაც იჩენდა თავს მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა: მეფის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა კოლონიებში თავის ადმინისტრაციის ყოვლისშემძლეობა შეეზღუდა, სამართლის წარმოების სფერო გადაეცა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც მხოლოდ ზედაფენების) მიერ არჩეული მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისათვის.

1868 წ. 1 იანვრიდან საქართველოში გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები და ჩამოყალიბდა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებანი. მაზრებში დაარსდა მომრიგებელი განყოფილებანი მომრიგებელი მოსამართლეებით, რომელნიც სასამართლო ორგანოების ყველაზე დაბალ ინსტანციას წარმოადგენდნენ. გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები. სასამართლო პალატა თავის კომპეტენციას მთელ ამიერკავკასიაზე ავრცელებდა და იყო მხარის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ იმპერიის სენატში შეიძლებოდა.

საქართველოში არ გატარებულა ახალი, ბურჟუაზიული სასამართლოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები, სახელდობრ აქ არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. მოსამართლეებს წინანდებურად მთავრობა ნიშნავდა და ისინი მთლიანად მთავრობაზე იყვნენ დამოკიდებული. როგორც ვხედავთ, საქართველოში არ მომხდარა სასამართლოს გამოყოფა ადმინისტრაციისაგან. მოსახლეობის მიერ არჩეულ დამოუკიდებელი სასამართლოების ნაცვლად აქ შეიქმნა ახალ ყაიდაზე მოწყობილი მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ უმაღლესი ნება. ამ სასამართლოს ერთი ყველაზე დიდი და ხალხის განსაკუთრებით შემაწუხებელი ნაკლი ის იყო, რომ საქმეების წარმოება ხდებოდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას არ ესმოდა. ბუნებრივია, ასეთმა სასამართლომ ვერ გაამართლა ხალხისა და მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა მოლოდინი. მის პრაქტიკულ საქმიანობას მეტად მცირე დადებითი შედეგი მოსდევდა. ხალხს წინანდებურად სძულდა მისთვის გაუგებარი სამართლის წარმოების წესი და ძალიან ხშირად ხმას იმაღლებდა მის წინააღმდეგ.

ახალ სასამართლოს თავიდანვე აკრიტიკებდნენ როგორც რეაქციონერები, ისე პროგრესული საზოგადო მოღვაწეები. რეაქციონერები აქებდნენ ძველ სასამართლოს და ყოველგვარ ცუდს ახალს მიაწერდნენ. განსაკუთრებით მკაცრად ესხმოდნენ ისინი თავს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, ღვარძლიანად მიუთითებდნენ, რომ ნაფიცები აშკარა დამნაშავეებს ამართლებენ და ამით საფრთხეს უქმნიანო საზოგადოებრივ წესრიგს. რეაქციონერებს არც მოსამართლეების შეუცვლელობის და მათი არჩევითობის პრინციპი ‘ოსწონდათ. ამის წყალობით მოსამართლეებს თავი ძალიან დამოუკიდებლად ეჭირათ, რაც ხელს უშლიდა მართლმსაჯულების წარმოებას.

ამიერკავკასიაში არც მოსამართლეთა არჩევითობა დაწესებულა და არც ნაფიც ‘საჯულთა ინსტიტუტი შემოუღიათ, მაგრამ რეაქციონერები აქ დაარსებულ ახალ სასამართლო ორგანოებსაც აკრიტიკებდნენ და სამართლის წარმოების ძველ წესებს მისტიროდნენ.

პროგრესული ინტელიგენცია სასამართლო რეფორმას და ახალ სასამართლო დაწესებულებებს მარცხნიდან აკრიტიკებდა. მოწინავე საზოგადო მოღვაწეები არათანამიმდევრულობას უკიჟინებდნენ რეფორმატორებს. არ მოსწონდათ, რომ პრაქტიკაში ძალიან ხშირად ირღვეოდა სასამართლოს ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობის პრინციპი და თანდათან ძალიან ფართო ხასიათს ღებულობდა პოლიტიკურ დამნაშავეთა ადმინისტრაციული წესით დასჯა.

მოწინავე ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა განსაკუთრებულ გულისწყრომას ის იწვევდა, რომ ჩვენ მხარეში სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას, რაშიც ყოველთვის პოულობდნენ რუსეთის პროგრესული ინტელიგენციის მხარდაჭერას.

1880 წ. რუსულ გაზეთ „მოლვაში“ დაბეჭდილა სტატია „სიტყვა შორეული განაპირის სასარგებლოდ“, რომელიც „დროების“ რედაქციას სიტყვა-სიტყვით გადმოუთარგმნია. „მოლვას“ რედაქციის აზრით, კავკასია, სადაც ერობა არაა და 1864 წ. სასამართლო წესდებაც შეკვეცილი სახით იქნა გატარებული, აუცილებლად საჭიროებს რეფორმებს. ახალი სასამართლოების 12 წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამიერკავკასიის მდგომარეობა ამ მხრივ არანორმალურიაო. ამ მხარეში მთავრობის მიერ დანიშნული მოსამართლეები, რომელნიც ამორჩეულ მსაჯულთა მაგიერობას ეწევიან და რომელნიც სრულიად არ იცნობენ მხარეს, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებას, ხშირად ისეთ მცდარ დადგენილებებს ღებულობენ, რომ სახელს უტეხენო მთავრობას.

„მოლვას“ რედაქციას მოჰყავს ასეთი მაგალითი: ვთქვათ, ქართველი წაეჩხუბა ვინმეს და ადგილობრივი ჩვეულებისამებრ „ურჯულო“ და „უღვთო“ უწოდა. ეს სიტყვები უმეცარი თარჯიმანის სიტყვა-სიტყვითი თარგმანის წყალობით ღვთის გმობა გამოდის და ბრალდებული, რომელიც პირად შეურაცხყოფისათვის მცირედ უნდა დასჯილიყო, ციმბირში იგზავნებაო.

ამორჩეულ მოსამართლეთა და ნაფიცი მსაჯულების ნაცვლად მართლმსაჯულების გადაცემა ბიუროკრატიული სასამართლო ორგანოებისათვის, რედაქციის აზრით, ძალიან აჭიანურებს სამართლის წარმოებას და ახალ სასამართლოს ხალხისათვის გამოუსადეგრად ხდის. არსებული მდგომარეობის დამცველები, განაგრძობს შემდეგ „მოლვას“ რედაქცია, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსული ენის უცოდინარობას ასახელებენ აქ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოუღებლობის მიზეზად, მაგრამ ეს მართებული არ არისო. თბილისსა და მაზრებშიც იმდენი რუსულის მცოდნე

კი არის, რომ მათი წრიდან მოხდეს საკმარისი რაოდენობის ნაფიც მსაჯულთა ამორჩევაო.

„მოლვას“ რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნდა აგრეთვე კავკასიის მომრიგებელ სასამართლოებში, რომელსაც საქმე ძირითადად რუსულის არმცოდნე ხალხის მასასთან ჰქონდა, შემოღებული ყოფილიყო სამართლის წარმოება ადგილობრივ ენებზე.

„დროების“ რედაქცია ძირითადად იზიარებდა ზემოაღნიშნულ სტატიაში გატარებულ თვალსაზრისს, მაგრამ შენიშნავდა, რომ ადგილობრივ ენებზე მართლმსაჯულების წარმოება მარტო მომრიგებელ სასამართლოებში კი არ უნდა შემოვიღოთ, არამედ მხარის ყველა ინსტანციის სასამართლოებშიო[1].

რამდენიმე ხნის შემდეგ „დროება“ მკითხველებს აუწყებდა: „მარტოერთჯერ არ გვითქვამს და ორჯერ, ღვთის მადლით, რომ ჩვენ სასამართლოში და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში საჭიროზედ უსაჭიროესია ჩვენებური ენა, რომ ვიდრე ეს ენა არ იქნება სასამართლოში საწარმოებელ ენად აღიარებული, მანამდე რიგიან სასამართლოს ვერ ეღირსება ჩვენში კაცი, და მაშასადამე, სარგებლობის მაგიერ ის ვნების მეტს ვერაფერს მოიტანს და სხვ.

მერე აასრულეს ეს ყოვლად სამართლიანი მოთხოვნილება, ეს უგულითადესი ხალხის სურვილი, ეს დიდებული ბუნების კანონი საუკუნეთაგან ხაკურთხი. თქვენ თვითონ უწყით... იქნებ ზიანი არაფერი მოაქვს იმ ბუნების კანონის გმობას?“.

„დროების“ რედაქცია, ცდილობს რა გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს რეპრესიების მოყვარულ მთავრობაზე, შემდეგ წერს: „გონებადახშულის მეტი ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ სიღნაღისა და ზუგდიდის მაზრაში მომხდარი ხალხის არეულობა, რომლის მარტო მოგონებაც გულს უხიბლავს ხოლმე კაცს, უმთავრესად ამ გრძნობის შედეგი იყო: ასე რომ არ ყოფილიყო, ადმინისტრაცია დროზე შეიტყობდა ხალხის გაჭირვების ნამდვილ მიზეზს და შეიძლებდა მის მეტნაკლებად დაკმაყოფილებას. მაგრამ ხალხის ენის უცოდინარობის გამო მას უნებლიეთ უნდა დაეჯერა მლიქვნელი ენატანიების სიტყვები... და ამიტომაც გასაკვირველი არ არის თუ თავისი შეცდომა ხალხის სისხლით დაბანა... დროა, დიდი ხანია დროა, — მიმართავს რედაქცია მთავრობას, — ამ მდგომარეობას ყურადღება მიექცეს და ისე იქნეს შეცვლილი, როგორც მოითხოვს ერთადერთი ჭეშმარიტი და სამართლიანი კანონი, კანონი ბუნებისა და კაცობრიობის ცხოვრებისა, თორემ „რაც დაითესება იგივე მოიმკება“[2].

---

1 „დროება,“ 1880, № 191.
2 იქვე, 1881, № 175.

ამიერკავკასია-საქართველოს სინამდვილეში მოქმედების განსაკუთრებით დიდი ასპარეზი მიეცა ყველაზე დაბალი ინსტანციის სასამართლოს — მომრიგებელ-მოსამართლეთა ინსტიტუტს. რეფორმატორების აზრით, ეს იმით იყო განპირობებული, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა განვითარების დაბალ დონეზე იდგა, არ შეეძლო შეგუებოდა სხვადასხვანაირ კანონებს სამართლის წარმოების დარგობრივად დაყოფის თაობაზე და ამიტომ აუცილებელი ხდებოდა თვით ხალხის ახლოს ხელისუფლების ისეთი ორგანოს შექმნა, რომელსაც დროულად უნდა გაერჩია სხვადასხვა ხასიათის საქმეები. მომრიგებელ მოსამართლეს დაეკისრა სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი ძიების ჩატარება, მცირე სისხლის სამართლის დახაშაულთა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა გარჩევა 2000 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში. რადგან ერთ კაცს, მომრიგებელ მოსამართლეს, არ შეეძლო ამდენი საქმეების გაძღოლა, მომრიგებელ სასამართლოებში გაჩნდა მოხელეთა მთელი შტატი, მოსამართლის თანაშემწის, კანდიდატის, ბოქაულის და სხვ., რომელნიც მომრიგებელი მოსამართლის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. გამოძიების წარმოება მთლიანად თანაშემწის ფუნქციებში გადავიდა, სასამართლოს დადგენილების შესრულება კი დაეკისრა ბოქაულს. მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციაში მხოლოდ უშუალოდ სამართლის წარმოება, გადაწყვეტილების მიღება დარჩა[1].

ამიერკავკასიის მომრიგებელი სასამართლოები სამოქალაქო სამართლის ხაზით ოთხჯერ და კიდევ მეტ საქმეებს არჩევდნენ ცენტრალური რუსეთის მომრიგებელ სასამართლოებთან შედარებით. ამ მხარის მომრიგებელ სასამართლოთა გაზრდილი შტატების დაფინანსებას თანდათან მეტი თანხა სჭირდებოდა. ამიტომ მთავრობამ ამიერკავკასიაში ტარიფი მნიშვნელოვნად გაზარდა. 600 მანეთის საქმის წარმოებაზე თუ მაგალითად რუსეთში მოძჩივანი 0,5%-ს — 3 მანეთს იხდიდა, ამიერკავკასიაში ეს გამოსაღები 6 მანეთს შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია შენიშნავდა, — ასეთი არანორმალური მდგომარეობა, იმედია, მალე გამოსწორდებაო. ამიერკავკასიაში მომრიგებელი სასამართლოს ფუნქციები იმიტომ გაიზარდა, რომ მოსახლეობას სამართლის წარმოება გაადვილებოდა. მაგრამ ეს მაღალი გამოსაღები, პირიქით, აფერხებს მართლმსაჯულებასო[2].

ამიერკავკასიაში ფართო გავრცელება პოვა ადმინისტრაციული წესით დასჯამ. 1883 წ. მთავარმმართველს უფლება მიეცა, სასამართლოს დადგენილების გარეშე, 5 წლამდე ვადით მხარიდან გადაესახლებინა საეჭვო პირები. მთავრობა გადასახლებას თითქოს არ თვლიდა დასჯის ზომად, მაგ-

---

[1] «Новое обозрение», 1884, № 275.
[2] იქვე, 1885, № 503.

რამ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამშობლოდან გადასახლება დიდი სასჯელი იყო. ამ კანონით კარგად სარგებლობდნენ პოლიციის მოხელეები. მათი მოთხოვნით და ეგზეკუციით შეწუხებული სასოფლო საზოგადოება იძულებული ხდებოდა გადასახლების განაჩენი გამოეტანა იმ პირებზე, რომლებზეც პოლიცია მიუთითებდა. ცოტა უფრო გვიან მთავარმმართველმა უფლება ძიიღო ყაჩაღები, აჯანყებებში და მთავრობის საწინააღმდეგო სხვა გამოსვლებში მონაწილე პირები გადაეცა სამხედრო სასამართლოსათვის.

ადმინისტრაციული რეპრესიები, სასამართლო ორგანოების ბიუროკრატიზმი და „უსამართლო მართლმსაჯულება", ბუნებრივია, ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ ბოროტების წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მარტო რევოლუციური დემოკრატები, მის რამდენადმე გამოსწორებას ცდილობდნენ ბურჟუაზიული ლიბერალებიც.

გ. თუმანიშვილი წერდა: „60-იანი წლების რეფორმათა ეპოქაში კავკასიის ისტორიას ახასიათებდა ერთი შესანიშნავი თავისებურება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარის ბედზე... ამა თუ იმ კანონის კავკასიაში გატარების საკითხის განხილვის დროს ყოველთვის მიიღებოდა მხედველობაში ამ მხარის „ადგილობრივი თავისებურებანი", „ამ თავისებურებებმა" დააგვიანა ჩვენთან საგლეხო რეფორმის გატარება და ხელი შეუშალა მხარეში სასამართლო დაწესებულებების შემოღებას მათი არსებითი ნაწილით — ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით, ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლეებითა და საბრალმდებლო კამერით"[1].

გ. თუმანიშვილის გადმოცემით, მეფის მთავრობის მოხელეები სასამართლო რეფორმის შეკვეცილი სახით გატარების მიზეზად თურმე ასახელებდნენ ხალხში არსებულ ცრუმოწმობის ჩვეულებას, რაც აძნელებდა მართლმსაჯულების წარმოებას. აბათილებს რა ამ ბრალდებას, გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ გამოძიების დროს პოლიციის მოხელეები მიმართავენ ძალადობას და აიძულებენ დამნაშავედ ჩათვლილ პირს გამოტყდეს „დანაშაულში". შემდეგ ამას იმეორებს სასამართლოს გამომძიებელი, რომელიც წარმოადგენს პროკურორის აგენტს და არა მოსამართლეს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სასამართლო პროცესზე დამნაშავე და მოწმეები, რომელნიც თავისუფალი არიან ძალადატანებისაგან, აძლევენ არსებითად განსხვავებულ ჩვენებას და ხშირად სასამართლო იძულებულია გაამართლოს ბრალდებულები. ბუნებრივია, აღნიშნავს, გ. თუმანიშვილი, ასეთ ვითარებაში პოლიციის მოხელეები გაბოროტებით გაჰყვირიან — „ცრუმოწმეებმა დამნაშავე გაამართლეს და სასამართლომ მათ დაუჯერაო".

ამიერკავკასიაში ხალხსა და სასამართლოს შორის ხრამი იყო. ისინი

---

[1] Г. Туманов, Разбой и реформа суда на Кавказе, С.-Петербург, 1903, ss. 23.

ერთმანეთს ვერ უგებდნენ, მაგრამ მათ შორის ხიდის გადება შესაძლებლად იყო მიჩნეული. ასეთ ხიდად, გ. თუმანიშვილის აზრით, უნდა გადაქცეულიყო მოსამართლეთა მიერ ხალხის ენისა და ყოფის შესწავლა, აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, მაგრამ მთავრობის მოხელეები ამის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

პირველ ხანებში მეფის მთავრობა გარკვეულ ნდობას უცხადებდა ადგილობრივი მოსახლეობის ზედაფენებიდან გამოსულ კადრებს. ისინი ინიშნებოდნენ საოლქო სასამართლოს წევრებად, მომრიგებელ მოსამართლეებად და გამომძიებლებად. 1883 წლიდან სასამართლო დაწესებულებებში თანამდებობებზე „ტუზემცების" მიღება ძალიან შეიკვეცა, ე. ი. მთავრობა აღარ ენდობოდა არარუსებს, რომელნიც ადრე თვით მთავრობის მიერ ინიშნებოდნენ სასამართლოებში. მით უმეტეს დიდი უნდობლობით ეკიდებოდნენ ნაფიც მსაჯულებს, რომელნიც მოსახლეობის წრიდან უნდა ყოფილიყვნენ ამორჩეულნი.

იმ პირობებში, როცა სასამართლო პროცესის მონაწილეებს, ერთი მხრივ, მოსამართლეებსა და, მეორე მხრივ, ბრალდებულებსა და მოწმეებს ენისა და ხალხის ზნე-ჩვეულების უცოდინარობის გამო ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ, უდავოდ დადებითი როლი უნდა შეესრულებინათ სამართლის წარმოებაში ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან არჩეულ ნაფიც მსაჯულებს. ადგილობრივი ენისა და ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ნაფიცებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად გაუგებდა აგრეთვე პროკურორსა და მოსამართლეებს, მართლაც, ერთგვარი ხიდი უნდა გაედოთ სასამართლოსა და ხალხს შორის და ამით რამდენადმე გამოესწორებინათ მართლმსაჯულების საქმე.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების საჭიროება და სარგებლობა აღიარა თავად-აზნაურთა უმრავლესობამაც. 1898 წელს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ შეადგინა „ბარათი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ". მომდევნო წელს ანალოგიური ბარათი მთავრობას წარუდგინა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამაც.

ქუთაისელთა ბარათში აღნიშნულია, რომ XIX ს-ის 60-იანი წლების შემდეგ სწავლა-განათლება წინ წავიდა და ახლა არ გაძნელდება შესაფერის ნაფიც მსაჯულთა შერჩევაო. განათლებული პირები კიდეც რომ არ იყოს საკმაო რაოდენობით, მაინც უნდა შემოვიღოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რადგან ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთათვის უფრო გასაგებია ხალხის მორალური და ყოფითი თავისებურებანი. ზოგიერთ მოხელეთა მიერ წამოყენებული მოტივი ხალხის გაუნათლებლობის, მის მიერ რუსული ენის უცოდინარობის შესახებ, არა თუ ნაფიცთ-სასამართლოს შემოღების საწინააღმდეგო არგუმენტად გამოდგება, არამედ პირიქით, ასეთ ხალხს ყველაზე მეტად ესაჭიროება სასა-

მართლოს ისეთი ფორმა, რომელიც მისთვის გასაგები და ახლო იქნება. ამიტომ ვბედავთ აღვძრათ შუამდგომლობა ჩვენ მხარეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების თაობაზეო[1].

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაზე თითქოს გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა. დაიწყო განათლებულ პირთა სიების შედგენა, რადგან მთავრობა გაუნათლებლებს, განსაკუთრებით რუსული ენის უცოდინარებს, შეუფერებლად თვლიდა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისათვის. მთავრობის ამ თვალსაზრისს არ იზიარებდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, — აცხადებდა გ. თუმანიშვილი, — იმითაა კარგი, რომ ნაფიცებს კარგად ესმით მოსახლეობის ენა, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი. მაგრამ ეს პირობა დაირღვევა, თუ მსაჯულებად აყვანილ იქნენ მარტო განათლების ცენზის მქონე პირები, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ჩამოცილებული არიან ხალხსო[2].

პროგრესული ინტელიგენციის საქმიანობას სასამართლოსა და მართლმსაჯულების გაუმჯობესების სფეროში თითქმის არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. მთავრობა ბოლომდე იცავდა აღებულ კურსს. განაპირა მხარეებს, მათ შორის საქართველოს რევოლუციამდე არ ღირსებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. არსებული სასამართლო დაწესებულებანი ბოლომდე შორს დარჩა ხალხისაგან, ვერ ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას და, ბუნებრივია, ხალხში მხოლოდ სიძულვილის გრძნობას ბადებდნენ.

§ 3. საძალაჭო რეფორმა

XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებს განაგებდა პოლიცია, რომელიც ზოგიერთი საქმის შესრულებისათვის იყენებდა მოსახლეობის სხვადასხვა წოდებათა მიერ არჩეულ დეპუტატებს.

გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენდა თბილისი, სადაც ჯერ კიდევ 1841 წელს ჩამოყალიბდა ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა ქალაქის თავისა და 6 ხმოსნის შემადგენლობით. მაგრამ ექვსხმოსნიან სათათბიროს ევალებოდა თითქმის მხოლოდ გადასახადების გაწერა-აკრეფა. ქალაქის მეურნეობას ისევ პოლიცია განაგებდა.

XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის თბილისის ბურჟუაზია საკმაოდ მომძლავრდა. მას აღარ აკმაყოფილებდა 1840 წლის დებულების საფუძველზე მოწყობილი ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის ვიწრო

---

[1] Г. Туманов, Разбой и реформа суда..., გვ. 52—65.

[2] იქვე.

ჩარჩოები. მეფისნაცვალი იძულებული გახდა დაესვა ქალაქის წარმომადგენლობის სფეროს გაფართოების საკითხი. 1865 წ. ამქართა აჯანყებამ დააჩქარა ამ მიმართულებით ღონისძიების ჩატარება.

1866 წელს შემუშავდა ახალი დებულება, რომლის საფუძველზე თბილისში ექვსხმოსნიანი სათათბიროს ნაცვლად შეიქმნა ასხმოსნიანი საერთო კრება. რამდენადმე გაფართოვდა საზოგადოებრივი მმართველობის მოქმედების სფერო. ქალაქის თავი, საერთო კრება და საერთოდ 1866 წლის დებულების საფუძველზე ორგანიზებული საზოგადოებრივი მმართველობა გამოხატავდა და იცავდა, ერთი მხრივ, დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური წოდების ინტერესებს, მეორე მხრივ, კი შესაფერის ადგილს აძლევდა ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას ქალაქის სამეურნეო საქმეების გადაწყვეტაში. მოსახლეობის დაბალ ფენებს მაღალი საარჩევნო ცენზი არ აძლევდა ქალაქის მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას. 1866—1874 წლებში თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა გაცილებით მეტ თანხას ხარჯავდა სამხედრო ნაწილებსა და პოლიციაზე, ვიდრე უშუალოდ ქალაქის საჭიროებაზე. ადმინისტრაციის მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებული თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა კავკასიის სამეფისნაცვლოს ბიუროკრატიული აპარატის დამატებას წარმოადგენდა და მას იყენებდნენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის.

ეკონომიურად აღზევებული რუსეთისა და განაპირა მხარეთა ბურჟუაზია, მისი წრიდან გამოსული ინტელიგენცია მეტს მოითხოვდა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო, ბურჟუაზიისათვის მისი მოქმედების მთავარ სარბიელზე — ქალაქებში მიენიჭებინა შეზღუდული თვითმმართველობა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი საქალაქო დებულების შემუშავება ჯერ კიდევ 1862 წელს დაიწყო. საქმე რამდენიმე წელს გაჭიანურდა და მხოლოდ 1870 წ. 16 ივნისს ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა უმაღლეს ბრძანებას ახალი საქალაქო დებულების პრაქტიკულად გატარების შესახებ.

1870 წლის საქალაქო დებულება ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. იგი მხედველობაში არ ღებულობდა ქალაქის მოსახლეობის წოდებრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიურ მდგომარეობას. მოქალაქეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა კანონის შემდეგ მოთხოვნებს: 1. იყო რუსეთის ქვეშევრდომი; 2. შესრულებული ჰქონდა 25 წელი; 3. ქალაქში ფლობდა უძრავ ქონებას და იხდიდა შესაფერის გადასახადს, ან ფლობდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას და იღებდა ფასიან სანებართვო მოწმობას; 4. მასზე არ ითვლებოდა გადასახადთა ნარჩენები.

მოსახლეობის ეკონომიური კატეგორიების შესაბამისად ქალაქებში ყალიბდებოდა სამი თანრიგი, სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრენი (სახლმფლობელები და ვაჭარ-მრეწველები), მეორეში — საშუალო შემლების მოქალაქენი, მესამეში — ის წვრილი მესაკუთრენი, რომელნიც იხდიდნენ გარკვეულ გადასახადებს. ყოველი თანრიგი და საარჩევნო კრება ირჩევდა ხმოსანთა მესამედს.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო. სათათბიროს ხმოსანთა რაოდენობა ქალაქთა სიდიდის შესაბამისად 42-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს კომპეტენციაში შედიოდა: თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ჯამაგირების განსაზღვრა; ქალაქის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცება; ქალაქის სახელით სესხების აღება და შემოწირულებათა მიღება. კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, სხვადასხვა საკითხზე უმაღლეს მთავრობაში შუამდგომლობის აღძვრა და სხვ.

სათათბირო ირჩევდა თავის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც ეკისრებოდა აღმასრულებელი ფუნქციები. გამგეობაში სამი წევრი შედიოდა და იგი ქალაქის თავის თავმჯდომარეობით მოქმედებდა.

ცალკეულ მომენტებთან დაკავშირებით და ქალაქის მეურნეობის გარკვეული სფეროს ხელმძღვანელობისათვის სათათბირო გამოჰყოფდა მუდმივ ან დროებით მოქმედ კომისიებს.

სათათბიროს ხმოსნები, ქალაქის თავი და სხვა თანამდებობის პირები აირჩეოდნენ ოთხი წლის ვადით.

ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის მთავარ ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებანი და სხვ.

ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა დებულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქმედებდა დამოუკიდებლად (§ 5), ქალაქებს თვითმმართველობა ეძლეოდა. მაგრამ ამავე დებულების სხვა მუხლები მნიშვნელოვნად ზღუდავდა თვითმმართველობებს და ადმინისტრაციის კონტროლს ამყარებდა მათ საქმიანობაზე. ქალაქის თვითმმართველობებსა და საგუბერნიო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა და თვითმმართველობათა მუშაობის კონტროლისათვის ყალიბდებოდა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოები (§ 11). ქალაქის თვითმმართველობას უმაღლეს მთავრობასთან მიმოწერა უნდა ეწარმოებინა გუბერნატორის მეშვეობით (§ 13). თვითმმართველობის ყველა დადგენილებათა ასლები დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა გუბერნატორს (§ 64)[1].

---

[1] Городовое положение, С.-Петербург, 1873, გვ. 7—138.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფართო ქსელის შექმნას უდავოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. რამდენადმე ილაგმებოდა სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობა, იქმნებოდა პროგრესული საზოგადოებრივი ძალების სამოქმედო ასპარეზი. თვითმმართველობა ორგზის აუცილებელი და სასარგებლო იყო რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებისათვის.

1874 წ. 30 ოქტომბერს უმაღლესი ბრძანების თანახმად მეფისნაცვალს წინადადება მიეცა ამიერკავკასიაში 1870 წ. საქალაქო დებულება გაეტარებინა იმ თანამიმდევრობით, როგორც იგი, ადგილობრივი ვითარების შესაბამისად, უფრო მოსახერხებლად მიიჩნევდა[1].

ყველაზე ადრე საქალაქო რეფორმა თბილისში გატარდა. 1874 წ. 18 ნოემბრისათვის დაინიშნა სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. თბილისის საზოგადოებრიობა საქალაქო რეფორმას დიდი იმედით მოელოდა. ს. მესხი „დროებაში“ წერდა: „ახალი წესდების ძალით ქალაქის გამგეობა ბევრ შემთხვევაში თითქმის განუკითხველი გამგებელია ქალაქის შემოსავალ-გასავლისა და საკუთრებისა. იმას შეუძლია ყოველგვარი წარმატება მისცეს ქალაქს, შეუძლია ისეთი დაწესებანი შემოიღოს, რომელიც ქალაქის საჭიროებას დააკმაყოფილებს, გაამშვენიერებს და თვით მცხოვრებთაც კეთილდღეობას შემატებს.

აი ამისთანა გამგეობის წევრების ამორჩევა მომავლის 18 ნოემბერს არის დანიშნული... აირჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადო სარგებლობისათვის გული შესტკივათ, ისეთი კაცები, რომელთაც გაეგებათ, თუ რით და როგორ შეიძლება საზოგადო საჭიროების დახმარება და ხელის მომართვა“[2].

ს. მესხი ქალაქის ფართო საზოგადოების ინტერესებს და სურვილებს გამოხატავდა, მაგრამ თბილისის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას საქალაქო სათათბიროს შემადგენლობის განსაზღვრასა და თვითმმართველობის მუშაობაზე თანაბარი გავლენის მოხდენა როდი შეეძლო. დებულება ქალაქის თვითმმართველობებში გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა უძრავი ქონების მსხვილ მესაკუთრეებსა და ვაჭარ-მრეწველებს, რომელნიც ადგენდნენ პირველ-მეორე საარჩევნო თანრიგებს.

რეფორმის გატარებისას თბილისში ხმის უფლებით სარგებლობდა 4494 კაცი (მოსახლეობის 4—5%). პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში იყო 45 კაცი, მეორეში — 221, ხოლო მესამე თანრიგში — 4228 ამომრჩეველი[3].

---

[1] სსცია, ფ. 13, ანაწ. 24, საქ. 519, ფურც. 1.
[2] „დროება“, № 449, 1874.
[3] სსცია, ფ. 192, ანაწ. 5, საქ. 308, ფურც. 1—62.

პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩევლები, რომელნიც შეადგენდნენ ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 6%-ს, სათათბიროში ირჩევდნენ 48 ხმოსანს, მესამე თანრიგის ამომრჩევლები 4228 კაცი (94%) კი 24 ხმოსანს.

1875—1878 წლებში თბილისის სათათბიროში შედიოდნენ გ. აბესალომოვი, ნ. არღუთინსკი, ი. ბაგრატიონ მუხრანსკი, ი. გრუზინსკი, ი. ჯაყელი, ს. ზუბალაშვილი, ნ. ზუბალაშვილი, ა. მატინოვი, იზმაილოვი, მანთაშევი, ჩითახოვი და სხვ.

ძართვა-გამგეობას მიუჩვეველმა ბურჟუაზიამ პრივილეგიური წოდების ამომრჩევლებთან ერთად ნდობა გამოუცხადა ქართველ თავად-აზნაურთა ლიდერს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს დ. ყიფიანს და იგი ქალაქის თავად აირჩია[1].

სათათბირომ აირჩია ჯგრეთვე მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ორგანოს გამგეობის წევრები. ჩამოყალიბდა თბილისის მოსახლეობის ცალკეულ სოციალურ ჯგუფთა სამმართველოებიც. ვაჭართა, მეშჩანთა და ხელოსანთა გამგეობების ფუნქციებში შედიოდა ამ სოციალურ ჯგუფთა შინაგანი წყობის საკითხი, მათ მიერ სახელმწიფო, საქალაქო და საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულება, მცირე მნიშვნელობის სადავო საკითხების სიტყვიერი გარჩევა.

1875—1878 წლები თბილისის საქალაქო თვითმმართველობის ისტორიაში იყო გარდამავალი პერიოდი. მიმდინარეობდა საქალაქო მმართველობის ძველი ფორმების გაუქმება და ახლის შემოღება. ხდებოდა თბილისის თვითმმართველობის თვითორგანიზაცია.

ქ. ქუთაისში ახალი დებულების გატარებისათვის სამზადისი 1874 წელს დაიწყო. გუბერნატორმა ლევაშოვმა წინადადება მისცა მოქალაქეებს აერჩიათ 66 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც იმსჯელებდა ქალაქის საჭიროებაზე და თვითმმართველობის შემოღების გზებსაც დასახავდა. კომისიის მოქმედების ვადა ერთი წლით განისაზღვრა და მას ერთგვარი მოსამზადებელი სკოლის როლი უნდა შეესრულებინა. მეველე (დ. მიქელაძე) ამასთან დაკავშირებით „დროებაში“ აღნიშნავდა: „მაშ გაისად ეღირსება ქუთაისს თვითმმართველობა. ესეც კარგია. მანამდის კი ამ თორმეტ თვეს რეპეტიციებით შეიქცევენ თავს და იმედია მოქალაქეები ნამეტნავადაც განვითარდებიან თავის მომავალი ასპარეზისათვის“. კორესპონდენციის ავტორს ასეთი მოსამზადებელი პერიოდი ზედმეტად მიაჩნია. ბუნებით ნიჭიერი ჩვენი ხალხი ამის გარეშეც ეხლავე შესძლებდაო თვითმმართველობის ორგანიზაციას. მაგრამ არა უშავს, ეს დროც მალე გავა და

---

[1] „დროება“, 1875, № 142, 144.

„უფალ ღუბერნატორის“ შეპირებისამებრ ქუთაისს მიეცემა საკუთარი ხმა, ...მაშინ მას ექნება სრული ნება, რომ ისეთი მხარეები ქალაქის გასავლისა, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ მცხოვრებთათვის, ღობეს გადაღმა გადაისროლოს. მას ადვილად შეეძლება იქონიოს საქალაქო სკოლა, ბანკი, საავადმყოფო, განათებული და სუფთა ქუჩები და სხვ. ერთი სიტყვით, მაშინ შეეძლება უკეთ მართოს თავის ცხოვრება და იმდენად გაინათლოს სიცოცხლე, რამდენადაც შესაძლებელია კომლიანი სახლის გაჩაღება“[1].

1875 წ. 16 სექტემბრისათვის დაინიშნა ქუთაისის სათათბიროს ხმოსახთა არჩევნები. ს. მესხი ქუთაისის თვითმმართველობის დაბადებასაც სიხარულით მიესალმა და გაზეთის მეშვეობით მკითხველებს აცნობა: „თუმცა სრულიად არა, მაგრამ ქუთაისსაც ეღირსა ბოლოს თავის დიდი ხნის ნატვრის შესრულება: ქალაქს მიენიჭა უფლება, რომ თავის შინაგანი... საქმეები თვითონვე განაგოს ამორჩეული... პირების საშუალებით.

„თუმცა სრულიად არაო“. იმიტომ ვამბობთ, რომ ქალაქის თავის არჩევა გამგეობაზე არ არის დამოკიდებული. იმას ჯერჯერობით მთავრობა ნიშნავს. მაგრამ თავის საქმეების გამგებლობაში ქალაქს ახლა უფრო მომეტებული მოეკითხება, ვიდრე დღემდი... როგორც კერძო მამული შემოსავალს იმატებს ...კარგი გამგებლის ხელში, აგრეთვე ქალაქიც შეიმატებს და გამდიდრდება კარგი, თავიანი გამგეობის წყალობით“[2]. ს. მესხი მოუწოდებს ქუთაისელებს ხმოსნებად აირჩიონ პატიოსანი, მცოდნე და საზოგადო ინტერესებისათვის თავდადებული პირები.

ქუთაისის სათათბირო შემადგენლობა მთავრობამ 52 ხმოსნით განსაზღვრა. 1875 წ. 12 სექტემბერს ხმოსნებად არჩეულ იქნენ: ა. ფიფინაშვილი, გ. აბაშიძე, კ. ხარაზოვი, ი. დავიდოვი, კ. ნიჟარაძე, ნ. ღოღობერიძე, ი. სტეფანოვი, პ. თუმანიშვილი, ანტ. ლორთქიფანიძე, კ. ქვარიანი, გ. ბაინდურაოვი, გ. ღოღობერიძე, ი. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ლ. ასათიანი, ი. მესხი, ბ. ხელთუფლიშვილი, მ. რიჟინაშვილი, ს. ღულაძე, დ. ალავიძე, დ. ჩხეიძე, ა. ფირალოვი, კ. ერისთავი და სხვ.[3].

1875 წ. 1 დეკემბერს ლივადიის სასტუმროში ჩატარდა ქუთაისის საქალაქო სათათბიროს პირველი სხდომა. ხმოსანთა მიერ ფიცის დადების შემდეგ თავმჯდომარემ — მთავრობისაგან დანიშნულმა ქალაქის თავმა— ნ. ს. აბაშიძემ გამოაცხადა, რომ დღეიდან ქუთაისის თვითმმართველობა გაიხსნა და ეხლავე უნდა მოვახდინოთ გამგეობის წევრების და მდივნის არჩევნებიო.

---

[1] „დროება“, 1874, № 406.
[2] იქვე, 1875, № 104.
[3] იქვე, № 136.

მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობამ მოითხოვა, ჯერ გამორკვეულიყო რა შემოსავალი გააჩნდა ქალაქს, რადგან უამისოდ არ შეიძლება თანამდებობის პირთა ჯამაგირების განსაზღვრაო. საკითხის შესასწავლად გამოიყო კომისია.

სათათბიროს მეორე სხდომაზე, რომელიც გაიმართა სტეფანე აკოფაშვილის სახლში 4 დეკემბერს, კომისიამ წარადგინა ცნობები და თავის მოსაზრებანი თანამდებობის პირთა ჯამაგირების ოდენობის თაობაზე.

გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ანტ. ლორთქიფანიძე და ივ. ჯაიანი, მათ კანდიდატებად — ბ. ხელთუფლიშვილი და სტ. აკოფოვი, მდივნად — უ. ღულაძე[1].

„ამ ორი კვირის წინათ, — წერდა ს. მესხი, — ქუთაისში პირველათ იყო არჩევანი ახალის წესით: ქალაქის გამგეობის წევრთა,... ვინც იცის თუ როგორ დახლართულია ქუთაისის საქალაქო საქმეები, ის დამეთანხმება, რომ ახალ გამგეობას წინდახედვითა და განსაკუთრებულის ანგარიშით მართებს ახლა საქმის დაჭერა.

ქუთაისი, მართალია, პატარა ქალაქია და პატარა შემოსავალი აქვს, მაგრამ ამასთანავე არც გასავალი აქვს ბევრი; საუბედუროთ, დღემდი ეს პატარა შემოსავალიც უხეიროთ და უანგარიშოთ იხარჯებოდა. თითქმის სრულებით არ აქცევდნენ ყურადღებას ქალაქის ნამდვილ საჭიროების დაკმაყოფილებას“. აკრიტიკებდა რა საპოლიციო მმართველობის მახინჯ მხარეებს, ს. მესხი რწმენას გამოთქვამდა, რომ ქუთაისის თვითმმართველობის სათათბიროს ხმოსნები და გამგეობის წევრები „ხელიხელ ჩაკიდებული, ძმურად, თანხმობით“ იმუშავებენ და ძველი უხეირო მმართველობის წყალობით ჩამორჩენილი საქალაქო მეურნეობას აღმავლობის გზაზე დააყენებენო[2].

1876 წელს თვითმმართველობა ქ. გორმაც მიიღო. ჯერ კიდევ მარტში გამოუცხადეს მოქალაქეებს, რომ თვითმმართველობის შემოღებისათვის საჭირო იყო ქალაქის შემოსავლის 2500 მანეთით გაზრდა. საპოლიციო მმართველობასთან არსებულ წოდებათა წარმომადგენლებს — დეპუტატებს გადაუწყვეტიათ აღნიშნული თანხა ქალაქის ყველა მცხოვრებთა შორის გაენაწილებინათ, რასაც თავად-აზნაურთა დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია[3].

მართალია, დამატებითი თანხის, 2500 მანეთის აკრეფა დიდხანს გაჭიანურდა, მაგრამ გორის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები მაინც ჩატარდა. 1876 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა 42 ხმოსანი.

1876 წ. 4 დეკემბერს გამართულ საქალაქო სათათბიროს სხდომაზე

---

[1] „დროება“, 1875, № 143.
[2] იქვე, № 136.
[3] იქვე, 1876, № 66.

განხილულ იქნა ქალაქის შემოსავლის რეგულირების საკითხი. მთავრობისაგან დანიშნულმა ქალაქის თავმა ი. ელიმირზოვმა უკმაყოფილება გამოთქვა გადასახადების გამომღებთა მისამართით — საქალაქო თვითმმართველობა უკვე გაიხსნა, დამატებითი თანხა კი ჯერაც არაა აკრეფილი. სათათბირომ დაადგინა 2500 მანეთი ქალაქის ყველა ცენზიან მოქალაქეთა შორის გაენაწილებინა, არსებულ გადასახადთა ნარჩენები კი აუცილებლად აეკრიფათ 1877 წლის თებერვლამდე[1].

ქ. გორს რეფორმის გატარებისთანავე როდი მიეცა ქალაქის თავის არჩევის უფლება. ქალაქის პირველ თავად თვით მთავრობამ დანიშნა ი. ელიმირზოვი. 1881 წელს გორის სათათბირომ მიიღო ქალაქის თავის არჩევის უფლება, მაგრამ ამ თანამდებობაზე ისევ ი. ელიმირზოვი აირჩიეს[2].

ფინანსური სიძნელეების გამო გორის თვითმმართველობას უჭირდა ფეხზე მტკიცედ დადგომა. ქალაქის მესამე თანრიგის მოქალაქეები შეშფოთებით აღნიშნავდნენ, რომ გორის გასავალი ყოველთვის აჭარბებს შემოსავალს და თუ ხარჯები არ შემცირდა, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად სულ ახალ-ახალ გადასახადებს მოგვთხოვენო. „დიდი იმედი აქვს ქალაქს, — წერდა ა. თუთაევი, — რომ ახალ სამოქალაქო წესდებულების სრულად შემოღების გამო, იმის საქმეები ცოტაც არის მაინც უკეთეს მდგომარეობაში იქნება და ყველა უბრალო საქმისათვის ახალი ხარჯის გაწერა აღარ იქნება საჭირო“[3].

ქ. ახალციხეში 1870 წლის დებულების საფუძველზე თვითმმართველობის ორგანოები ჩამოყალიბდა 1876 წ. ივნისში[4]. ამასთან დაკავშირებით ვინმე ახალციხელი „დროების“ რედაქციას აცნობებდა: „დიდს მხიარულებაში ვართ ამჟამათ ჩვენ, რადგანაც ქალაქის გამგეობის ახალ წესს მოვესწარით და იმედნეულათ ვართ, რომ ქალაქის თავმა უ. ხითაროვმა ბევრი კეთილი განკარგულება მოახდინოს, თუ ჩვენც შესაფერისი წევრები ამოვურჩიეთ“[5].

ქ. ფოთმა თვითმმართველობა უფრო მოგვიანებით, 1882 წელს მიიღო. ქალაქის პირველ თავად არჩეულ იქნა გენ.-მაიორი ივ. ვახრამოვი. 1882 წ. 21 ხუმბერს „დროების“ კორესპონდენტი ფოთიდან იწერებოდა: „დიდი ლოდინის შემდეგ ჩვენც ვეღირსეთ სამოქალაქო თვითმმართველობას, ...კვირას მღვდელმა გ. მაჭაროვმა პარაკლისი გადაიხადა და ხმოსნები დააფიცა. ფიცის შემდეგ თავმჯდომარემ (იგივე ქალაქის თავია) კრებას მოკლე... სიტყვით მიმართა“. ივ. ვახრამოვს იმედი გამოუთქვამს, რომ სათათ-

---

[1] „დროება“, 1876, № 133.
[2] იქვე, 1881, № 181.
[3] იქვე, 1876, № 66, № 138.
[4] სსცია, ფ. 12, ანაწ. 7, საქ. 663, ფურც. 4—5.
[5] „დროება“, 1876, № 20.

ბირო და გამგეობა თანხმობით და პატიოსნად იშრომებდა ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის[1].

თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ქ. ბათუმი ძალიან სწრაფად იზრდებოდა და მალე გადაიქცა საქართველოსა და ამიერკავკასიის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო სამრეწველო ცენტრად, პირველხარისხოვან ნავსადგურად, მაგრამ მეფის მთავრობა კარგა ხანს თავს იკავებდა ამ ახლად შემოერთებული ქალაქისათვის თვითმმართველობის ბოძებისაგან. 1885 წ. ბათუმის მოსახლეობის ზედაფენამ თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს მათ ქალაქში საზოგადოებრივი მმართველობის შემოღების თაობაზე. ბათუმელთა ამ თხოვნას თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა. როგორიც არ უნდა იყოს ქალაქთა საზოგადოებრივი მმართველობის სისტემის ნაკლოვანებანი, — წერდა „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია, — ქალაქთა მართვა-გამგეობის ახალი წესი გაცილებით უკეთესია ძველზე და ქ. ბათუმი სავსებით მომზადებულია ამ სიახლისათვისო. ქალაქ ბათუმს ისეთი ბრწყინვალე მომავალი ელოდება, რომ ცოდვა იქნება არ მისცემოდა მას ყოველგვარი საშუალება სწრაფი განვითარებისათვის, რაც, სხვასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საზოგადოებრივი მმართველობის შემოღებაზეო. თუ გორი და ახალციხე პოულობენ თანხას თვითმმართველობის შენახვისათვის, ბათუმს, მით უმეტეს, ეს არ გაუჭირდებაო[2].

მეფის მთავრობა არ ჩქარობდა. ქ. ბათუმს ამის შემდეგ კიდევ სამ წელიწადს პოლიცია განაგებდა. მხოლოდ 1888 წელს მიიღო ბათუმმა თვითმმართველობა და საკმაო წარმატებასაც მიაღწია ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ამრიგად, საქართველოში საქალაქო რეფორმა უფრო მოგვიანებით, მაგრამ თითქმის ისეთივე ფორმით და მოცულობით გატარდა, როგორც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. თვითმმართველობა მიიღო საქართველოს ექვსმა ქალაქმა — თბილისმა, ქუთაისმა, ფოთმა, ბათუმმა, გორმა და ახალციხემ. მიუხედავად კომპენტენციის სივიწროვის და ხელისუფლების შეზღუდულობისა, საქალაქო თვითმმართველობებს კოლონიურ საქართველოში უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. საქალაქო თვითმმართველობაში ორგანიზებული ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები ახერხებდნენ რამდენადმე შეეზღუდათ მეფის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობა და გაეუმჯობესებინათ ქალაქების მდგომარეობა. მაგრამ 1870 წლის დებულება საქართველოს ყველა ქალაქში როდი გატარდა. XIX ს-ის 90-იან წლებამდე საპოლიციო მმართველობაში დარჩა თელავი, სიღნაღი, ახალქალაქი, დუშეთი, სოხუმი, ოზურგეთი და ყველა დაბა.

---

[1] მ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967, გვ. 110.

[2] «Новое обозрение», 1885, № 530.

თავი მეოთხე

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865—1900 წწ.)

§ 1. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფელში

სავაჭრო მიწათმოქმედება. საქართველო ბუნებრივი პირობებით მეტად მრავალფეროვანია, რაც საშუალებას იძლევა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მაგრამ ეს შესაძლებლობანი მთელი სისრულით როდი იყო გამოყენებული.

საგლეხო რეფორმამ მნიშვნელოვანწილად მოსპო მზარდ საწარმოო ძალებსა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის არსებული წინააღმდეგობანი და ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას. XIX ს-ის 70-იანი წლებიდან, ბაზრების გაფართოების და მიმოსვლა-გადაზიდვის საშუალებათა (გზატკეცილები, რკინიგზები) გაუმჯობესების წყალობით სოფლის მეურნეობის ძველი დარგების პროდუქტთა საქონლიანობა კიდევ უფრო გაიზარდა. განვითარდა ახალი დარგებიც. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომი გაღრმავებისა და სასაქონლო წარმოების გაფართოების პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის პროცესი.

საქართველოს პირობებში უძველესი დროიდან არსებობდა ურთიერთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბუნებრივ-სამეურნეო ზონები, რაც განსაკუთრებით ცხადად გამოიკვეთა რეფორმის მომდევნო ხანაში. 80-იანი წლების დამკვირვებლები მკვეთრად მიჯნავენ საქართველოს მთის, ბარისა და მთა-ბარის შუა (გარდამავალ) ზონებს მათთვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის დარგებით.

საქართველოს მთიან ზონაში წამყვანი იყო მეცხოველეობა, მაგრამ მთის სხვადასხვა რაიონში მეტ-ნაკლებ მნიშვნელობას ინარჩუნებდა მარცვლეულის მეურნეობაც.

აღმოსავლეთ საქართველოს შუა ზონაში თითქმის თანაბარი შესაძლებლობანი არსებობდა მარცვლეული მეურნეობის, მეხილეობა-მებოსტ-

ხეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის, მაგრამ აქაც გამოიყოფოდა ამა თუ იმ დარგში დასპეციალიზებული სოფლები. ბარის ზონაში წამყვანი იყო მევენახეობა-მეღვინეობა და საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებდა მარცვლეული კულტურებიც. იქვე თანდათან იზრდებოდა აგრეთვე მეთამბაქოეობის, მებამბეობის, მეაბრეშუმეობისა და სხვ. დარგების მნიშვნელობა.

დასავლეთ საქართველოს სწორ დაბლობზე, ზღვისპირსა და მდინარეთა ქვემო წელში, განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა სიმინდს, რომლის გვერდით ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში თანდათან დიდ როლს ასრულებდა მეთამბაქოეობა. ინერგებოდა რამის, ბამბუკის და სხვ. კულტურებიც. დასავლეთ საქართველოს სწორი დაბლობი შეუმჩნევლად გადადის ბორცვებსა და გორაკებში, სადაც XIX ს-ის 80-იანი წლებიდან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებს. ზღვიდან მოშორებით აღმოსავლეთისაკენ თანდათან გამოიყოფოდა მევენახეობა-მეღვინეობაში დასპეციალიზებული რაიონები.

ბაზარი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენდა თვით წარმოების პროცესზე. სოფლის მეურნეთა წინაშე თანდათან მეტი სიმწვავით დგებოდა წარმოების აგროტექნიკური დონის ამაღლების პრობლემა. შედარებით მსხვილი მეურნეობები ორ და სამმინდვრიანი სისტემიდან თანდათან გადადიოდნენ მრავალმინდვრიან სისტემასა და წესიერ თესლბრუნვაზე. უმჯობესდებოდა ვენახის, თამბაქოსა და ბამბის პლანტაციების მოვლა-დამუშავების წესები. მაღლდებოდა მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობის დონე. XIX ს-ის მეორე ნახევარში თანდათან მზარდი რაოდენობით გამოიყენებოდა ქარხნული გუთნები, კულტივატორები, სათესი, სათიბი, სამკელი, ძნასაკონი, სალეწი, სანიავებელი და სხვ. მანქანები, ვენახის შესაწამლი აპარატურა და რძის გადასამუშავებელი უახლესი ინვენტარი. XIX—XX სს-ის მიჯნაზე რამდენიმე მსხვილ მეურნეობაში ელექტროენერგიას იყენებდნენ, 10-იან წლებში გამოჩნდა ტრაქტორიც, მაგრამ ახალი ტექნიკა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მემამულეების, ვაჭარ-მრეწველებისა და შეძლებული გლეხებისათვის. წვრილ მეურნეობებში კი პრიმიტიულ ინვენტარს იყენებდნენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს შორის ყველაზე მეტი იყო მარცვლეული კულტურების ხვედრითი წონა. რეფორმის მომდევნო ხანაში ყანების ფართობი თანდათან იზრდებოდა ტყეებისა და სათიბ-საძოვრების ხარჯზე. აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი კულტურები იყო პური და ქერი. მეტ-ნაკლები რაოდენობით ითესებოდა აგრეთვე სიმინდი, შვრია, ჭვავი, ლობიო, ფეტვი, ასლი, ბრინჯი და სხვ., დასავლეთ საქართველოში სახნავ-სათესი მიწის უდიდესი ნაწილი ეკავა სიმინდს, რომელიც თითქმის მონოკულტურას წარმოადგენდა გურია-სამეგრელო-



დიდი გუთანი.

აფხაზეთში და ნაწილობრივ ქვემო იმერეთში. სიმინდის ყანებში ჩვეულებრივ ლობიოც ითესებოდა. პურსა და ქერს შედარებით მეტი ფართობი ეკავა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთსა და ზემო იმერეთში.

XIX ს-ის 70—80-იანი წლების მასალებში მითითებული არ არის მარცვლეულის ნათესთა ფართობზე და სტატისტიკური ცნობები მოსავლიანობის შესახებ არაზუსტია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ მარცვლეული მეურნეობის პროდუქცია თანდათან იზრდებოდა სახნავ-სათესი მიწების გაფართოების შედეგად. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას ამ დარგში, მეურნეობათა უმეტესობაში იგი არა თუ იზრდებოდა, არამედ მიწის არაწესიერი ექსპლოატაციის გამო, შემცირების ტენდენციასაც კი ამჟღავნებდა.

1874 წ. აღმოსავლეთ საქართველოში ყველა სახის მარცვლეულის მოსავალი უდრიდა 11 მილიონს, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 14 მილიონ ფუთს [1].

XIX ს-ის 90-იან წლებში ნათესების ფართობი საქართველოში 600—700 ათას დესეტინას უდრიდა. 1892 წ. მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა 40 მლნ ფუთი, საიდანაც პური იყო 14 მილიონი, სიმინდი — 16 მილიონი, ქერი — 5 მილიონი ფუთი და სხვ.[2].

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 20, д. 146, лл. 131, 154.

[2] Сборник статистических сведений по Закавказскому Краю, под ред. Е. Кондратенко, ч. I, 1902, гз. 168—169.

მარცვლეულის მეურნეობის საქონლიანობა თანდათან იზრდებოდა. აღმოსავლეთ საქართველო ბაზარს ძირითადად პურსა და ქერს აწოდებდა, დასავლეთ საქართველო — სიმინდს. სასაქონლო პროდუქციის ნაწილი უცხოეთშიც იგზავნებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გატანილ იქნა პური და ქერი: 1885 წ. — 506 526 ფ., 1886 წ. — 1,161 378 ფ., 1887 წ. — 589 859 ფუთი[1]. მომდევნო ხანაში პურისა და ქერის ექსპორტი თითქმის მთლიანად შეწყდა, რადგან ქართული წარმოების ამ სახის მარცვლეული უკვე ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა. სასაქონლო პროდუქციის საკმაო ნაწილი თვით სოფლებშივე იყიდებოდა და ამიტომ სავაჭრო ოპერაციების სტატისტიკაში არ ხვდებოდა. აღირიცხებოდა თითქმის მხოლოდ რკინიგზაზე მოხვედრილი და ქალაქებში გატანილი პური. 1896 წელს, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობამ ქალაქებსა და დაბებში გაიტანა 2,2 მლნ ფუთი მარცვლეული[2]. სულ კი აღმოსავლეთ საქართველოს საქონელმწარმოებელი მოსახლეობა ბაზრებს ყოველწლიურად აწოდებდა 3—4 მლნ ფუთ მარცვლეულს, რაც შეადგენდა მთელი პროდუქციის 15—20%-ს.

უფრო მკვეთრად გამოხატული სავაჭრო ხასიათი მიიღო მარცვლეულის მეურნეობამ, კერძოდ, მესიმინდეობამ დასავლეთ საქართველოში. დაბლობ ზონაში წარმოებულ სიმინდის მნიშვნელოვან ნაწილს მთის მოსახლეობა ყიდულობდა, პროდუქციის უფრო დიდი ნაწილი კი საზღვარგარეთ გადიოდა. 1862 წ. გატანილ იქნა 1 მლნ ფუთი. XIX ს-ის 80-იან წლებში კი დასავლეთ საქართველო დასავლეთ ევროპის ბაზრებს ყოველწლიურად აწოდებდა 5—6 მლნ ფუთ სიმინდს, მთელი პროდუქციის 30 — 35%-ს. სიმინდის ფასი საკმაოდ მაღალი იყო—70 კაპ. ფუთზე. სიმინდის გაყიდვა წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს ამ პერიოდში[3].

XIX—XX სს-ის მიჯნაზე აგრარული კრიზისისა და საკონკურენტო ბრძოლის გამწვავების გამო, სიმინდის ფასი 40—50 კაპიკამდე დაეცა. სიმინდის მეურნეობას, მართალია, არ დაუკარგავს სავაჭრო ხასიათი, მაგრამ მისი საქონლიანობა რამდენადმე შემცირდა.

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში სასაქონლო მარცვლეულის ძირითად ნაწილს მემამულური და კულაკური მეურნეობები იძლეოდა. ღარიბ გლეხობას კი არა თუ გარდამეტი პროდუქტი გააჩნდა, არამედ თვითონ იყო მარცვლეულის მყიდველ-მომხმარებელი.

ბაზრის არახელსაყრელმა კონიუნქტურამ (ამერიკული პროდუქციის კონკურენცია დასავლეთ ევროპაში და რუსული პურის კონკურენცია

1 СМИЭБГКЗК, т. IV, ч. 2, გვ. 425—427.

2 Обзор Тифлисской губернии за 1896, გვ. 9.

3 სსცია, ფ. 12, ან-წ. 6, საქ. 4, ფურც. 14—15.

შინაგან ბაზარზე) უდავოდ შეაფერხა საქართველოში მარცვლეულის საქონლიანობის შემდგომი ზრდისა და ამ დარგში კაპიტალისტური მეურნეობების აღმოცენება-გამრავლების პროცესი. პურის (ნაწილობრივ სიმინდისაც) წარმოება ბაზრისათვის აღარ იყო ხელსაყრელი და შედარებით მსხვილი მეურნეობები თანდათან ამცირებდნენ ნათესების ფართობს. ისინი გადადიოდნენ სოფლის მეურნეობის სხვა უფრო რენტაბელურ დარგებზე, რომელთა განვითარებისათვის საქართველოში უკეთესი პირობები არსებობდა და რომელთა პროდუქციაზე მეტ მოთხოვნილებას აყენებდა რუსეთის ბაზარი.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მევენახეობა-მეღვინეობას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დაყენებული ღვინის საკმაო ნაწილი შუა საუკუნეებშიც გადიოდა ბაზარზე, მაგრამ სოფლის მეურნეობის ამ დარგმა სავაჭრო ხასიათი მიიღო XIX საუკუნეში.

XIX ს-ის 40—50-იან წლებში საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონი იყო გურია-სამეგრელო. ეს მხარე წარმოადგენდა მაღლარი ვენახის ერთიან ბაღს, სადაც ვაზები გადახლართული იყო ერთი ხიდან მეორეზე. მაღლარი ვენახის ფართობის დადგენა, საერთოდ, ძალიან ძნელია. მაგრამ მასალებიდან ჩანს, რომ გურია-სამეგრელოში XIX ს-ის შუა წლებისათვის აყენებდნენ 2 მილიონამდე ვედრო ღვინოს და პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩხავერის და ოჯალეშის მაღალხარისხოვანი ღვინოები სხვა მხარეებშიც გაჰქონდათ გასაყიდად.

მეფის მთავრობა, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებით, ეჭვქვეშ აყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო უნარს და იწუნებდა ვაზის ქართულ ჯიშებსაც. მეფისნაცვალ ვორონცოვის მითითებით საქართველოში შემოჰქონდათ ვაზის ევროპული ჯიშები. მაგრამ ამის საჭიროება არ არსებობდა, რადგან ვაზის ადგილობრივი ჯიშები, როგორც რუსეთის იმპერიის მეღვინეობის ოფიციალური მკვლევარი მ. ბალასიც აღიარებს, უკეთესი ხარისხისა იყო უცხოურზე.

უცხოურის წინაშე ცარიზმის ბიუროკრატიის ამ მონურმა ქედმოხრილობამ კი საქართველოს მევენახეობას დიდი ზარალი მიაყენა. სწორედ ყირიმიდან შემოტანილ ევროპულ ჯიშებს შემოჰყვა XIX ს-ის 50-იან წლებში ვაზის ავადმყოფობა ოიდიუმი (ობი), უფრო გვიან მილდიუ (ნაცარა) და ფილოქსერაც.

გურია-სამეგრელოში, ხელშემწყობი პირობების წყალობით (სინესტე და სითბო ერთდროულად), ოიდიუმი ძალიან სწრაფად გავრცელდა. მაღლარი ვენახის მკურნალობა შეუძლებელი გახდა და მოსავლიანობა დიდად შემცირდა. თითქმის მთლიანად განადგურდა ძველი კარგი ჯიშები ოჯალე-

ში და ჩხავერი, რომელთა ადგილი თანდათან დაიკავა გაცილებით მდარე იზაბელამ. მეღვინეობის მნიშვნელობამ გურია-სამეგრელოს მოსახლეობის ეკონომიურ ცხოვრებაში უკანასკნელ ადგილზე გადაინაცვლა. სოკოვანმა დაავადებებმა გარკვეული ზარალი მიაყენა იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობასაც, მაგრამ ამ სენის გავრცელების მომენტში იქ უკვე სჭარბობდა დაბლარი ვაზის კულტურა და მოსახლეობამ მოახერხა მისი გადარჩენა.

XIX ს-ის 70-იან წლებში ვენახების ფართობი დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) უდრიდა 38 144 დესეტინას. აქედან იმერეთში იყო 19 570 დეს. ლეჩხუმში — 1800 დეს. რაჭაში — 1274 დეს. გურია-სამეგრელოში — 15 500 დესეტინა. იმერეთში წლიურად აყენებდნენ საშუალოდ 1 907 000, რაჭა-ლეჩხუმში — 767 800, გურია-სამეგრელოში — 250 100 ვედრო ღვინოს[1]. 1878 წელს ქუთაისის გუბერნატორი წერდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში დაცემულია, ხოლო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ეს დარგი საკმაოდ სწრაფად ვითარდებაო[2].

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი რაიონი კახეთი იყო. რეფორმის მომდევნო ხანაში ამ დარგის აღმავლობა შეიმჩნეოდა ქართლშიც. 70-იან წლებში ვენახების ფართობი შეადგენდა: შიდა კახეთში 12 ათას დეს., გარე კახეთსა და ქართლში — 6 252 დესეტინას. აღმოსავლეთ საქართველოში წლიურად საშუალოდ აყენებდნენ 2 500 000 ვედრო ღვინოს[3].

XIX ს-ის 70—90-იან წლებში მევენახეობა-მეღვინეობის გეოგრაფიულ გაადგილებაში გარკვეული ცვლილებები ხდება. ვაზის ავადმყოფობამ ეს დარგი დასცა გურია-სამეგრელოში. იმერეთსა და ქართლში მევენახეობა-მეღვინეობის აღმავლობას ხელი შეუწყო რკინიგზამ. ღვინის გადაზიდვის ხარჯების შემცირებამ იმერელ და ქართლელ მეღვინეებს საშუალება მისცა გასულიყვნენ ახალ ბაზრებზე და წარმატებით გაეწიათ კონკურენცია კახელებისათვის. კახეთი დიდხანს ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალს მიღმა რჩებოდა და საურმე გზებიც არ ჰქონდა კეთილმოწყობილი. გადაზიდვის ხარჯები მნიშვნელოვნად ადიდებდა კახური ღვინის თვითღირებულებას და ამცირებდა მის კონკურენტუნარიანობას.

მევენახეობა-მეღვინეობაში მასობრივად იყო ჩაბმული საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა. 1898 წლის ცნობით საქართველოში 120 347 მეურნეობა ფლობდა 46 497 დეს. ვენახს[4]. მეღვინეობის

---

[1] М. Балас, Виноделие в России, ч. 1—2, С.-П., 1895, გვ. 158.
[2] ЦГИА СССР, ф. 1268, оп. 24, д. 231. л. 75.
[3] М. Балас, Виноделие в России, ч. III, გვ. 31.
[4] ООП, за 1901 г. გვ. 149—153.

წლიური პროდუქცია 5—6 მლნ ვედროს შეადგენდა. მართალია, XIX — XX სს-ის მიჯნაზე მევენახეობას დიდი ზარალი მიაყენა ფილოქსერამ, მაგრამ კრიზისი მალე იქნა დაძლეული და მომდევნო პერიოდში მევენახეობა-მეღვინეობამ განვითარების უფრო მაღალ დონეს მიაღწია.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საქონლიანობა ბურჟუაზიული რეფორმების წინ 30—40%-ს შეადგენდა. XIX ს-ის 80—90-იან წლებში კი 55—60%-ს მიაღწია. 1894 წელს, რამდენადმე გადაჭარბებული მონაცემებით, ბაზარზე გავიდა: დასავლეთ საქართველოდან 2 362 000 ვედრო, შიდა ქართლიდან — 660 000, თბილის-ბორჩალოს ბაზრებიდან — 590 000, კახეთიდან — 1 500 000 ვედრო ღვინო. საქართველოსა და ამიერკავკასიის მეღვინეობის სასაქონლო პროდუქციის ნაწილი რუსეთში იგზავნებოდა. 1883—1893 წწ. საშუალოდ ყოველწლიურად რუსეთში გადიოდა 400—500 ათასი ვედრო ღვინო[1], მომდევნო ათწლეულში კი რუსეთის ბაზრებზე ღვინის საშუალო წლიურმა გატანამ 1 მლნ ვედროს გადააჭარბა.

საქართველოს მთიან ზონაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. მთის ძირისა და ბარის რაიონებში კი მას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა.

იმდროინდელ დამკვირვებელთა გადმოცემით, მეცხოველეობის ყველაზე დიდი ნაკლი, მისი მცირეპროდუქტულობის მიზეზი ის იყო, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებდა შინაური პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. XIX—XX სს-ის მიჯნაზე სათიბების ფართობი 100 ათას დესეტინას არ აღემატებოდა, საიდანაც წლიურად საშუალოდ ღებულობდნენ 12—13 მლნ ფუთ თივას. პირუტყვის საკვებად იყენებდნენ აგრეთვე მარცვლეული მეურნეობის ნარჩენებს — 60 მილიონამდე ფუთ ჩალა-ბზეს. საფურაჟედ გამოიყენებოდა ქერისა და სიმინდის ნაწილიც. მაგრამ, როგორც ჩანს, საერთოდ შინაური პირუტყვი არასაკმარისად მარაგდებოდა საზამთრო საკვებით. ამიტომ მეცხოველეობას ფართო მასშტაბით მიმართავდნენ იმ რაიონების მცხოვრებნი, რომელთაც საშუალება ჰქონდათ საზაფხულოსთან ერთად საზამთრო საძოვრებიც გამოეყენებინათ.

XIX — XX სს-ის მიჯნაზე საქართველოს საზაფხულო საძოვრების ფართობი 1 125 000 დეს. უდრიდა, საზამთროსი კი 405 000 დესეტინას. იმის გამო, რომ საძოვრები არათანაბრად იყო განაწილებული სხვადასხვა რაიონებს შორის და ძირითადად მდებარეობდა ნაკლებ დასახლებულ მთებსა და ველებზე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ სავარგულით ვერ სარგებლობდა. მეცხოველეობის განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა თიანეთის, დუშეთის, ბორჩალოს, სიღნაღის და ახალქალაქის მაზრები, მთა რაჭა, სვანეთი, აფხაზეთი და აჭარა.

XIX ს-ის 70-იან წლებში საქართველოში ითვლებოდა 2,5—3 მილიონამდე სული საქონელი (ცხენი, კამეჩი, ხარი, ძროხა, უშობელი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვ.). 90-იან წლებში კი ყოველწლიურად საშუალოდ აღირიცხებოდა 3,5—4 მლნ სული. სტატისტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ძირითად სამიწათმოქმედო რაიონებში, სადაც მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა, საქონლის სულადობა მცირდებოდა, მეცხოველეობის სპეციალიზებულ რაიონებში კი, პირიქით, იზრდებოდა.

მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქცია ძირითადად შინაგან ბაზრებზე საღდებოდა. მატყლის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთაც გადიოდა. XIX ს-ის 90-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრის მოსახლეობას შინაურ თუ საგარეო ბაზრებზე ყოველწლიურად გაჰქონდა: 15 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 30 ათასი ცხვარი, 15 ათასი ღორი, 90 ათასი ფ. მატყლი, 100 ათასი ცალი დაუმუშავებელი ტყავი, 10 ათასი ფ. შვეიცარიული ყველი და სხვ.[1]. ასევე დიდი რაოდენობით იძლეოდნენ სასაქონლო პროდუქციას თიანეთის, დუშეთის, სიღნაღის, ახალქალაქის და სხვ. მაზრები.

დასავლეთ საქართველოს ბარი გამოირჩეოდა მაღალგანვითარებული მეფრინველეობით. იგი იძლეოდა ამიერკავკასიის მეფრინველეობის სასაქონლო პროდუქციის 60%-ს. XIX—XX სს-ის მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ყოველწლიურად ბაზარზე გაჰქონდა 2,5 მლნ მანეთის ფრინველი და კვერცხი. აქედან 1,2 მლნ მანეთის კვერცხი იგზავნებოდა დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებში.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძველი დარგია და იგი იმთავითვე გამოირჩეოდა შედარებით მაღალი საქონლიანობით. XIX ს-ის 70-იანი წლებიდან აბრეშუმის ქსოვილების შინამრეწველური წარმოება, ფაბრიკული ნაწარმის კონკურენციის გამო, ეცემა, ამის შემდეგ მეაბრეშუმეებს ძაფისა და ქსოვილების ნაცვლად პარკი გაჰქონდათ ბაზარზე. XX ს-ის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობას ეწეოდა 14 ათასი კომლი გლეხი. შედარებით ნაკლები იყო მეაბრეშუმე კომლთა რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში. 90-იან წლებში საქართველოს მეაბრეშუმეებს ყოველწლიურად გამოყავდათ 40—60 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი. მომდევნო ათწლეულში პარკის წარმოება გაასმაგდა. აბრეშუმის მთელი პროდუქცია ბაზარზე გადიოდა.

XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის საქართველოში მეთამბაქოეობა ჩანასახ მდგომარეობაში იყო. დამზადებული პროდუქციის უმნიშვნელო ნაწილი გადიოდა ბაზარზე. აღმავლობა იწყება 1877 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაზე გავრცელდა საიმპორტო თამბაქოზე დადებული საიმპე-

---

1 РТКЭЖДЭКО, გვ. 112—185.

რიო ბაკი (ფუთზე 14 მანეთი). საქართველოს მეთამბაქოეობა კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა, რამაც გახაპირობა ამ დარგის სწრაფი განვითარება.

XIX ს-ის 70—80-იან წლებში მეთამბაქოეობის წამყვანი რაიონები იყო კახეთი, იმერეთი და გურია. მომდევნო პერიოდში დაწინაურდა აფხაზეთი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიაში. XIX ს-ის 80-იან წლებში თამბაქოს პლანტაციებს საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად ეკავა 1400 დეს., საიდანაც იღებდნენ 60—100 ათას ფუთ თამბაქოს. 90-იან წლებში პლანტაციების ფართობი 2—3 ათას დესეტინამდე, ხოლო პროდუქცია 200—300 ათას ფუთამდე გაიზარდა. XIX—XX სს-ის მიჯნაზე საქართველოს მეთამბაქოეობის საშუალო წლიური პროდუქციის ღირებულება 4 მლნ მანეთს შეადგენდა. ქართული თამბაქოს 15—20% ადგილობრივ ფაბრიკებში მუშავდებოდა, დანარჩენი კი რუსეთში და საზღვარგარეთ გადიოდა.

ბამბის კულტურას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ბამბის პლანტაციების ფართობი მკვეთრად გაიზარდა XIX ს-ის 60-იანი წლების დამდეგს, როცა სამოქალაქო ომმა შეაფერხა ბამბის იმპორტი ამერიკიდან. იმ დროს მებამბეობას თითქმის მხოლოდ იმერეთში მისდევდნენ. 1859 წელს მიღებულ იქნა 3 ათასი, 1863 წ. — 10 ათასი, 1864 წ. კი — 50 ათასი ფუთი ბამბა. შემდეგ, ამერიკული პროდუქციის კონკურენციის წყალობით მებამბეობა იმერეთში დაეცა. XIX ს-ის 80—90-იან წლებში წლიურად ღებულობდნენ მხოლოდ 8—12 ათას ფუთ ბამბას, რაც თითქმის მთლიანად რუსეთში გადიოდა.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან თანდათან ფართოვდება და უფრო მკვეთრად გამოხატულ სავაჭრო ხასიათს ღებულობს მებოსტნეობა და მეხილეობა. საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ინერგება ახალი კულტურები (ჩაი, რამი, ბამბუკი, ციტრუსები და სხვ.). რომელთა მეურნეობები იმთავითვე კაპიტალისტურ ყაიდაზე ეწყობოდა. XIX ს-ის 90-იან წლებში ხილის ბაღებს 11—12 ათასი დესეტინა, ბოსტნებს (კარტოფილთან ერთად) კი 10 ათას დესეტინამდე ფართობი ეკავა. მებოსტნეობა-ბეხილეობა საშუალოდ ყოველწლიურად იძლეოდა 5 მლნ მანეთის პროდუქციას, ბაზარზე გადიოდა დაახლოებით 3 მლნ მანეთის ხილ-ბოსტნეული.

ამრიგად, XIX ს-ის ბოლოსათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ყველაზე მეტი იყო მარცვლეული მეურნეობის ხვედრითი წონა. შემდეგ სოფლის მოსახლეობის ეკონომიურ ცხოვრებაში მეტი მნიშვნელობა ჰქონდა თანმიმდევრობით მეცხოველეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მეთამბაქოეობას, მეხილეობა-მებოსტნეობას, მებამბეობას და სხვ. დარგებს. სოფლის მეურნეობის მთელი შემოსავალი 75—80 მლნ

მანეთს უდრიდა. საქართველოს სოფლის ძირითადი მწარმოებელი ძალა გლეხობა იყო. გლეხურ მეურნეობათა წილად მოდიოდა დაახლოებით მარცვლეულის ნათესთა 70%, შინაური პირუტყვის — 80%, ბაღ-ვენახების —70%, თამბაქოსა და ბამბის პლანტაციების — 50%, გლეხური მეურნეობა (კულაკურის ჩათვლით) იძლეოდა სოფლის მეურნეობის მთელი შემოსავლის დაახლოებით 65%-ს. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი გლეხობა მნიშვნელოვანწილად სანადელო და საიჯარო მიწებს ამუშავებდა და მიწის რენტას იხდიდა, მის ხელში რჩებოდა მხოლოდ პროდუქციის 45%. გლეხთა შრომა-ხარჯით შექმნილი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწათმფლობელთა ხელში გადადიოდა.

* * *

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში, როგორც ვნახეთ, სოფლის მეურნეობის და შინამრეწველობის უმეტესი დარგების (მევენახეობა, მეღვინეობა, სპირტის წარმოება, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა-მეხილეობა და სხვ.) საქონლიანობა აღწევდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მაღალ დონეს, მარცვლეულის მეურნეობის საქონლიანობა კი უახლოვდებოდა მას.

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების პარალელურად ფართოვდებოდა შინაგანი ბაზარი. იზრდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. საქონელწარმოებისა და მიმოქცევის პროცესში მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა რაიონი მონაწილეობდა, შინაგანი და მსოფლიო ბაზრის ვრცელ ყულაბაში ძირითადად თავისი მეურნეობისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ საქონელს უშვებდნენ.

საქართველოს მთიანი ზონის რაიონები ბაზრებს აწოდებდა მესაქონლეობის პროდუქტებს, კახეთი — ძირითადად ღვინოს, ქართლი — მარცვლეულსა და ხილბოსტნეულს, იმერეთი — ღვინოსა და აბრეშუმს, გურია-სამეგრელო — სიმინდს, აბრეშუმსა და მეფრინველეობის პროდუქტებს, აფხაზეთი — თამბაქოსა და სიმინდს. დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების პირობებში თანდათან ფართოვდებოდა საქონელმიმოქცევა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო რაიონებს შორის, მაგრამ სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის მთავარი მომხმარებელი ჩვენი ქალაქები და მრეწველობა იყო. ღვინო, თამბაქო, აბრეშუმი, მატყლი, ხილბოსტნეული და სხვ. თანდათან მზარდი რაოდენობით გადიოდა რუსეთში და საზღვარგარეთაც.

ღვინის წარმოების ეტიკეტები.

XIX ს-ის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად შინაგან და საგარეო ბაზრებს აწოდებდა 3—4 მლნ მანეთის მარცვლეულს, 8—10 მლნ მანეთის ღვინოს, 1 მლნ მანეთის სპირტს, 9—10 მლნ მანეთის მესაქონლეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებს, 1—1,2 მლნ მანეთის აბრეშუმს, 3 მლნ მანეთის თამბაქოს, 2—3 მლნ მანეთის ხილბოსტნეულს და სხვ.

საქონელწარმოებისა და მიმოქცევის გაფართოების პირობებში თანდათან იზრდებოდა და მნიშვნელოვანწილად სოფლის მოსახლეობიდან ივსებოდა ვაჭართა ფენა, რომელიც თავის სამოქმედო ასპარეზად იხდიდა შინაგანი ვაჭრობის ძველ და ახლად აღმოცენებულ პუნქტებს. იმის გამო, რომ წვრილი საქონლური წარმოება საკმაო მასშტაბისა იყო, საქართველოში არაეკვივალენტური, მნიშვნელოვანწილად მოტყუებაზე დამყარებული ვაჭრობა კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგაც შემორჩა. საქართველოს გუბერნატორებისა და მაზრის უფროსთა ანგარიშებში, სხვადასხვა გამოკვლევასა და პრესის კორესპონდენტთა წერილებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა რეალიზაციით მდიდრდებოდნენ ვაჭარ-შემსყიდველები და ნაკლებ სარგებლობას პოულობდნენ მწარმოებლები.

სავაჭრო და სავახშო კაპიტალი ერთმანეთზე იყო გადახლართული. ვაჭართა დიდი ნაწილი მევახშეობასაც ეწეოდა და სავაჭრო მოგებასთან ერთად პროცენტსაც იჯიბავდა. სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ქსელში

ებმებოდა არა მარტო წვრილი გლეხობა, არამედ თავად-აზნაურთა უმეტესობაც. ძხოლოდ კულაკები, პრივილეგიური და არაპრივილეგიური წარმოშობის რაციონალიზატორი მემამულეები ახერხებდნენ საკუთარ ფეხზე მტკიცედ დგომას. მათთან მიმართებაში სავაჭრო კაპიტალს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი არსებობა-განვითარების უნარი, გადაქცეული იყო საწარმოო კაპიტალის აგენტად, ასრულებდა მიმოქცევის დამჩქარებლის ფუნქციას. რაციონალიზატორი მემამულეები ზოგჯერ თვით გამოდიოდნენ ვაჭრობის ორგანიზატორებად. XIX ს-ის 80—90-იან წლებში მსხვილი სავაჭრო ფირმები ჰქონდათ ჯორჯაძეს, მუხრან-ბატონს, ვაჩნაძეს, ანდრონიკაშვილს, შერემეტიევს, საუფლისწულო უწყებას, ანანოვს, ფრიდონოვს და სხვ.

წვრილი მწარმოებლები უკვე ველარ ახერხებდნენ ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლას და თანდათან მწვავედ გრძნობდნენ ვაჭარ-მევახშეთა დამარღვეველი მოქმედების შედეგებს. პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა უკვე XIX ს-ის 60—70-იან წლებში იმ აზრის იყო, რომ ვაჭარ-მევახშეთა მოქმედების პარალიზება უნდა მოეხდინა საზოგადოებრივ სასურსათო მაღაზიებს ან მის შემცველ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ფონდებს, სავაჭრო-გამსაღებელ და ფულის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს.

1882 წ. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 618 სოფელს ჰქონდა სასურსათო (პურეულის) საწყობი თუ მაღაზია, რომლებშიც 345 ათასი ფუთი მარცვლეული ინახებოდა. სასურსათო მაღაზია ურთიერთდამხმარე კოოპერაციის დაბალი ფორმა იყო, მაგრამ მან ვერ გაამართლა მოსახლეობის იმედი. მალე გლეხობამ უპირატესობა მიანიჭა სასოფლო-სამეურნეო და კაპიტალის ფონდის შექმნას. 1900 წლისათვის ამ ფონდში 1 400 000 მან. ირიცხებოდა[1]. გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კაპიტალს, რომელიც სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში ინახებოდა, მთავრობა აბრუნებდა, მშრომელი მოსახლეობა კი თავის დანაზოგით თითქმის ვერ სარგებლობდა.

1866 წ. სოფ. ძლეთში (დუშეთის მაზრა) გაიხსნა ფულის შემნახველ-გამსესხებელი პირველი ამხანაგობა. 70—80-იან წლებში სამიოდე ათეული ასეთივე ამხანაგობა დაარსდა. მართალია, ამ ამხანაგობათა უმეტესობა, საბრუნავი თანხების სიმცირის გამო, მეტად დღენაკლული აღმოჩნდა, მაგრამ 90-იან წლებში ერთი დახურულის ადგილზე ორი ახალი ამხანაგობა ჩნდებოდა. 1900 წლისათვის მარტო დასავლეთ საქართველოში ითვლებოდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი 24 ამხანაგობა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 3 ათასი კომლი. 20 ამხანაგობის ანგარიშებიდან

---

[1] Обзор Тифлисской губернии за 1899 г., გვ. 9; სსცია, ფ. 12, საქ. 629, ფურც. 6.

ჩანს, რომ მათი საპაიო კაპიტალი უდრიდა 112 722 მან. სესხად გაცემული თანხა — 106 003 მან. სათადარიგო კაპიტალი 11 377 მან., წლიური სუფთა მოგება 15 392 მანეთს[1].

საბრუნავი თანხების სიმცირეს მწვავედ განიცდიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ამხანაგობები. სოფლის მეურნეობის საჭიროებათა გამოძკვლევი თბილისის საგუბერნიო კომიტეტი 1902 წელს წერდა, რომ XIX ს-ის 70-იან წლებში დაარსებული 15 ამხანაგობიდან ამჟამად არც ერთი არ მოქმედებს, რის მიზეზიც სახსრების სიმცირეაო. კომიტეტი იმასაც აღნიშნავდა, რომ მთავრობის მხრიდან მცირე დახმარება საქმეს ვერ უშველისო. მაგალითად, სოფ. შაშიანის 276 გლეხს კომლზე საშუალოდ აქვს 250 მან. ვალი. ამ სოფელში დაარსებულ ამხანაგობას კი შეუძლია კომლს წლიურად მხოლოდ 50 მანეთი ასესხოს, რაც მევახშური ვალის წლიურ სარგებელსაც ვერ დაფარავს და გლეხს წარმოების გასაუმჯობესებლად არაფერი დარჩებაო. საქმის წარმატების აუცილებელ წინაპირობად კომიტეტს მიაჩნდა სახალხო კრედიტის ისეთი ორგანოს დაარსება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა საკმაო თანხით და მცოდნე ადამიანებით. სასურველია ეს ორგანო ჩამოყალიბდეს სახელმწიფო შემნახველი სალაროს პროვინციული განყოფილების სახით. დროა ხალხის დანაზოგი ნაწილობრივ მაინც დავუბრუნოთ იმავე ხალხსო. კომიტეტს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა აგრეთვე სავაჭრო-გამსაღებელი კოოპერატივების დაარსება და მათთვის ხელის შეწყობა[2], მაგრამ მთავრობას ხალხის დასახმარებლად არსებითად არაფერი გაუკეთებია.

XIX ს-ის ბოლოს, საკრედიტო ამხანაგობებთან ერთად საკმაოდ წარმატებით საქმიანობდა რამდენიმე სავაჭრო-გამსაღებელი საზოგადოებაც (თუშთა ამხანაგობა, „ქიზიყის დეპო“, „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“, „კოლხიდა“, „შუამავალი“ და სხვ.), მაგრამ მათ არსებითი ცვლილება არ შეუტანიათ ვაჭრობისა და კრედიტის ორგანიზაციაში. წვრილ მწარმოებელთა უდიდესი უმრავლესობა კვლავ ვაჭარ-მევახშეების ქსელში იყო გაბმული.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილი კოოპერატიულ გაერთიანებებს სოციალისტური ტიპის დაწესებულებებად თვლიდა, რომელთა საქმიანობა მიმართული უნდა ყოფილიყო კაპიტალისტური განვითარების ტენდენციის წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოში არსებულ ამხანაგობათა საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ იმდროინდელ კოოპერატივებში არაფერი იყო სოციალისტური და მათი წარმოშობა მოასწავებდა მხოლოდ

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1223, оп. 1, д. 159, л. 20. ЦГИА СССР, ф. 1233, оп. 2, д. 159, л. 20.

[2] ТМКОНСХП, II. გვ. 477—479.

ვაჭრობა-კრედიტის ახალი ევროპული, ძირითადად კაპიტალისტური ფორმების დანერგვას, რაც თავისთავად ქვეყნის პროგრესული განვითარების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. კოოპერაციულ ორგანიზაციებს სოფლიდან უნდა განედევნათ ძველი ყაიდის ვაჭარ-მევახშეები და დაენერგათ ვაჭრობისა და კრედიტის კაპიტალისტური ფორმები, რაც კიდევ უფრო დააჩქარებდა გლეხობის კლასობრივ დიფერენციაციას.

მიწის გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია. საგლეხო რეფორმამ საგრძნობლად დააჩქარა ფეოდალური ურთიერთობის რღვევა. მართალია, ადგილობრივ დებულებათა დიდი უმეტესობა განთავისუფლებულ გლეხთა სანადელო მიწებს მემამულეთა საკუთრებაში ტოვებდა, მაგრამ იყო გამონაკლისიც; იმპერიის ზოგ მხარეში ზოგიერთი კატეგორიის გლეხებს მიწაზე საკუთრების უფლება გამოსყიდვის გარეშე მიენიჭათ. კერძოდ, მეფის მთავრობამ გარკვეული მოსაზრებით მესაკუთრედ აღიარა 1 226 000 სული კაზაკი, 988 ათასი სული ბაშკირი. ძალიან სწრაფად და შეღავათიანი პირობით მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანილ იქნა პოლონელი გლეხობაც.

საქართველოში საგლეხო რეფორმა ძირითადად საერთო დებულების საფუძველზე ჩატარდა. აქ თავისებურ გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ აფხაზეთი და სვანეთი. 1870 წ. 8 ნოემბრის დებულების თანახმად აფხაზეთის ყველა მწარმოებელს, მათ შორის გლეხებსაც, სრულ საკუთრებაში უძტკიცდებოდა ეზოები, ბაღ-ვენახები და სახნავ-სათესი მიწები. ყმა გლეხთა პირადი განთავისუფლების საზღაურად თავადაზნაურობას ეძლეოდა გარკვეული თანხა, რაც გამოიანგარიშებოდა გლეხთა წლიური ვალდებულებების 10 პროცენტის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით. ამ თანხის ორი მეხუთედი უნდა გაეღო გლეხობას, სამი მეხუთედი კი სახელმწიფოს. გლეხებს უფლება მიეცა გამოსასყიდის თავის წილი დაეფარა ძველი ვალდებულებების კიდევ ოთხი წლით გაგრძელების გზით, რის შემდეგაც თავად-აზნაურთა დამოკიდებულებისაგან სრულიად თავისუფლდებოდნენ. ამდენად, დროებითვალდებულება აფხაზეთში მხოლოდ 4 წელს გაგრძელდა. აფხაზეთის გლეხთა უმეტესობამ პირად თავისუფლებასთან ერთად მიწის საკუთრების უფლებაც მიიღო. დაახლოებით ასევე გადაწყდა წოდებრივ-საადგილმამულო საკითხი სადადეშქელიანო სვანეთშიც. დადეშქელიანთა ყმა გლეხებმა საკუთრებაში მხოლოდ 4—5 ქცევა მიწა მიიღეს კომლზე[1], მაგრამ მათ რომ დროებითვალდებულების მძიმე უღელი არ დადებიათ, ეს უდაოდ დადებითი მოვლენა იყო.

ბურჟუაზიულმა რეფორმამ, როგორც ვხედავთ, აფხაზეთსა და სვანეთში იმთავითვე შექმნა მესაკუთრე გლეხთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი

---

[1] СХАО, II, გვ. 522—537, 585—592.

(10 ათასამდე კომლი)[1] ფენა. საქართველოს სხვა კუთხეებშიც 1870 წლის 8 ნოემბრის ანალოგიური დებულება რომ გატარებულიყო და ქართველ გლეხობას ყოველწლიური ღალა-კულუხი გამოსასყიდ თანხაში ჩათვლოდა ვალდებულებათა ღირებულების ექვსი პროცენტის საფუძველზე კაპიტალიზაციის პირობებში, მთავრობის დახმარების გარეშეც კი დროებით ვალდებულ გლეხთა მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის პროცესი 16 წელიწადში დამთავრდებოდა, იმ თანხას კი, რაც ნადელების გამოსყიდვაზე იხარჯებოდა, გლეხობა მიწათმოქმედებაში მწარმოებლურად დააბანდებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საგლეხო რეფორმას საქართველოს ძირითად რაიონებში არათანმიმდევრულ ბურჟუაზიული, ნახევრადბატონყმური ხასიათი ჰქონდა და დროებითვალდებულებისაგან თავის დაღწევა გლეხობას ათეულ მილიონობით მანეთი უჯდებოდა.

რეფორმამ საერთოდ, მართალია, საფუძველი ჩაუყარა გლეხობისა და თავადაზნაურობის საადგილმამულო გამიჯვნას, გლეხური მეურნეობის დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ნადელების გამოსყიდვამდე დროებით ვალდებულ გლეხთა მიწის იურიდიულ მესაკუთრედ მემამულე რჩებოდა, რაც საშუალებას აძლევდა ამ უკანასკნელს ეკონომიურად დაექვემდებარებინა გლეხის მეურნეობა. ცარიზმის კანონმდებლობის საფუძველზე თავადაზნაურობამ გლეხობას დააკისრა მძიმე საადგილმამულო ვალდებულებანი. XIX ს-ის 70-იან წლებში საქართველოს დროებით ვალდებული გლეხები დესეტინა სანადელო მიწით სარგებლობისათვის იხდიდნენ 9 მანეთს, XIX ს-ის ბოლოსათვის ეს გამოსაღები 13 მანეთამდე გაიზარდა[2].

ამრიგად, რეფორმამ ბოლომდე ვერ მიიყვანა გლეხთა განთავისუფლების საქმე. მიწის ფეოდალური საკუთრების შენარჩუნების საფუძველზე გარკვეულ ფარგლებში კვლავ რჩებოდა წინააღმდეგობა მწარმოებლური ძალების ხასიათსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის. რეფორმის მომდევნო ხანაში მიმდინარეობდა ამ წინააღმდეგობის დაძლევის სტიქიურ-ეკონომიური პროცესი, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა ფეოდალური საკუთრების შემდგომ რღვევასა და თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლაში.

XIX ს-ის საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა ნატურალურიდან

---

[1] მართალია, 1877 წლის ანტიცარისტულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის აფხაზეთის გლეხობის თითქმის ნახევარს 1880-დან 1906 წლამდე საკუთრების უფლება წართმეული ჰქონდა და ჩარიცხული იყო სახაზინო უწყებაში, მაგრამ სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა მაინც უკეთესი იყო დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობაზე.

[2] ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობიანი საქართველოში 1890—1917 წწ. თბ., 1965, გვ. 12.

ფულად რენტაზე გადასვლის პროცესი. ჯერ კიდევ 40—50-იან წლებში მოხდა სახელმწიფო გლეხთა ღალა-გადასახადების კომუტაცია (ფულზე გადაყვანა). სახელმწიფო გლეხები კი საქართველოს გლეხური მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ. რეფორმის შემდეგ დროებით ვალდებული გლეხები და ხიზნებიც თანდათან გადადიოდნენ ფულად რენტაზე. სწრაფად იზრდებოდა ფულადი და კაპიტალისტური რენტის მასშტაბი საიჯარო ურთიერთობაშიც. საერთოდ საქართველოში XIX ს-ის 70-იანი წლებიდან უკვე რამდენადმე სჭარბობდა ფულადი რენტა და იგი ამყოვანებდა სრული გაბატონების ტენდენციას. ნატურალური რენტის ფულადით შეცვლა, რაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების საფუძველზე ხდებოდა, თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო.

განვითარების ობიექტურ-ეკონომიურ პროცესს რამდენადმე აფერხებდა ცარიზმის აგრარულ-ფისკალური პოლიტიკა. მეფის მთავრობამ უარი თქვა ამიერკავკასიის სახაზინო გლეხებისათვის, მეტროპოლიის სახელმწიფო გლეხების მსგავსად, მიენიჭებინა მიწაზე საკუთრების უფლება, გადაეყვანა ისინი გამოსასყიდ გადასახდელებზე. ხიზნებიც სამი ათეული წელი იბრძოდნენ მიწების შენარჩუნება-დასაკუთრებისათვის, მაგრამ ამაოდ. სანადელო მიწის გამოსყიდვისა და მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის ოფიციალური უფლება (ზოგი შეზღუდვით) მიღებული ჰქონდათ მხოლოდ დროებით ვალდებულ გლეხებს და ისინიც, შეძლებისდაგვარად, სარგებლობდნენ ამ უფლებით.

აღმოსავლეთ საქართველოს დროებით ვალდებული გლეხები ნადელების გამოსასყიდად უმეტეს შემთხვევაში მთავრობის სესხებს იყენებდნენ.

1864-დან 1904 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელთა გამოსყიდვის გზით მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა სულ 4595 კომლი გლეხი (აქედან მთავრობის სესხის გამოყენებით 3768 კომლი), დროებით ვალდებულ გლეხთა 31,5%[1]. მემამულეების ვეტო (ბევრი მათგანი არახელსაყრელად თვლიდა გლეხების გამოსყიდვაზე გადაყვანას), მეფის მთავრობის აგრარულ-ფისკალური პოლიტიკა და გლეხთა განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების სიმცირე იყო საგამოსყიდვო ოპერაციების ხელი ტემპის მიზეზი აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს გლეხობა უკეთ აჰყვა დროის მოთხოვნილებას. აქაური გლეხები უფრო მეტად მიმართავდნენ დამხმარე სარეწებს და საშოვარზე გასვლას, რის გამო მათი ფულადი შემოსავალი გაცილებით მეტი იყო. დასავლეთ საქართველოს დროებით ვალდებულმა გლეხებმა უარი თქვეს მთავრობის არახელსაყრელ სესხზე. ისინი საკუთარი სახსრე-

---

[1] СССЧЗТКГ, зз. 430—431.

ბით ახერხებდნენ სანადელო და ჩამოჭრილი მიწების გამოსყიდვას. 1865—1903 წლებში დასავლეთ საქართველოს (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) 34 617 კომლმა დროებით ვალდებულმა გლეხმა 7,5 მლნ მანეთად გამოისყიდა 149 ათასი დესეტინა მიწა[1]. მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა დროებით ვალდებულ გლეხთა 60%. ქუთაისის გუბერნია იყო ერთადერთი მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სადაც გლეხებმა საკუთარი სახსრებით გამოისყიდეს სანადელო და ჩამოჭრილი მიწები. სხვა გუბერნიებში გლეხთა საკუთარი სახსრებით ნადელების გამოსყიდვა იშვიათად ხდებოდა. საგამოსყიდვო ოპერაციები, როგორც წესი, ყველგან მიმდინარეობდა მთავრობის სესხის გამოყენებით.

სავაჭრო ბრუნვაში დიდი რაოდენობით შევიდა ნადელგარეშე მიწებიც. მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რამაც რეფორმის მომდევნო ხანაში ფართო ხასიათი მიიღო, ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა. ცხადად შეიმჩნეოდა თავადაზნაურული მიწათმფლობელობის შემცირების და გლეხობის და სხვა ბურჟუაზიული ფენების გამამულიანების ტენდენცია. XIX ს-ის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოს გლეხთა მიერ ნაყიდი, ნოტარიალური აქტებით გაფორმებული საკუთარი მიწების ფართობი 100 ათას დესეტინას აჭარბებდა[2].

მიწის გამოსყიდვის და ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში აქტიური მონაწილეობის შედეგად გლეხობის საკუთარი მიწის ფოხდი მნიშვნელოვნად გაიზარდა. XIX—XX სს-ის მიჯნაზე ქუთაისის გუბერნიის გლეხობას საკუთრებაში ჰქონდა 270 ათას დესეტინამდე მიწა, ხაზინისა და თავადაზნაურთა საკუთრებად კი რჩებოდა 120 ათასი დეს. გლეხთა სანადელო მიწა. აფხაზეთის გლეხთა საკუთრებაში იყო 112 ათასი დეს. მიწა. უფრო ნელა მიმდინარეობდა გლეხთა გამამულიანების პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში. 1890 წლისათვის ამ მხარის გლეხთა საკუთრებაში იყო დაახლოებით 140 ათასი დესეტინა, ხაზინისა და თავადაზნაურთა საკუთრებაში კი რჩებოდა 900 ათასი დესეტინა გლეხთა სანადელო მიწა[3].

ამრიგად, საქართველოში სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ შედეგსა და მის გამოხატულებას წარმოადგენდა მრავალრიცხოვან მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის გაჩენა. მიწის წვრილგლეხურ საკუთრებაზე გადასვლას მოცემულ ხანაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. „საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხების პარცელური საკუთრების ეს ფორმა... შეადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს უძველესი კლასიკური დროის საუკეთესო

---

[1] Обзор Кутаисской губернии за 1903 г., გვ. 17—18.
[2] Кавказский календарь, ч. II, 1907, გვ. 24—55.
[3] ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890 1917 წწ., თბ., 1965, გვ. 105—106.

ხანაში, ხოლო მეორე მხრივ, ამავე ფორმას ვპოულობთ ჩვენ თანამედროვე ხალხებშიც, როგორც ერთ იმ ფორმათაგანს, რომელნიც ფეოდალური მიწის საკუთრების დაშლიდან წარმოდგებიან"[1]. კ. მარქსი იმასაც გვასწავლის, რომ წვრილი წარმოების დროს მიწაზე კერძო საკუთრება პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა. „მიწის საკუთრება წარმოების ამ წესის სრული განვითარებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც იარაღების საკუთრება ხელოსნური წარმოების თავისუფალი განვითარებისათვის. მიწის საკუთრება აქ პიროვნული დამოუკიდებლობის განვითარების საფუძველია, იგი თვით მიწათმოქმედების განვითარებისათვის აუცილებელი გარდამავალი საფეხურია"[2].

გლეხი საკუთარ მიწაზე გაცილებით მუყაითად შრომობდა და ყოველნაირად ცდილობდა მეურნეობის გაუმჯობესებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიწა ადრე თუ გვიან აუნაზღაურებდა იმ შრომასა და ხარჯს, მისი ნაყოფიერების გაზრდისათვის რომ გასწია. მემამულეებისა და ხაზინის დამოკიდებულებაში დარჩენილ ღალის გადამხდელ გლეხებს კი ასეთი სტიმული არ ამოძრავებდა.

* * *

აღნიშნული იყო, რომ ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროს მიმდინარეობდა გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია. გვიანფეოდალური ხანის საქართველოში გლეხთა შორის ბევრი იყო წელმაგარი მეურნე, რომელნიც ფლობდნენ 30—50 დესეტინა და მეტ მიწას. გლეხთა ერთი ნაწილის ეკონომიურ დაწინაურებას უფლებრივი აღზევებაც თან სდევდა, მაგრამ ყველაფერი ეს თავსდებოდა წოდებრიობის ჩარჩოებში. მდიდარი გლეხები ღებულობდნენ თარხნობას, აზატობას, გადადიოდნენ მსახურის კატეგორიაში. მსახურს კი უკვე „აზნაურული თვისებები სჭირდა". ისინი მეფეებსა და თავადებს ახლდნენ ლაშქრობა-ნადირობაში და მათ შორის უფრო გამოჩენილნი აზნაურობასაც ღებულობდნენ. ამდენად, გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციის ლოგიკურ შედეგს გარკვეულ დრომდე მათი ერთი ნაწილის პრივილეგიურ წოდებაში გადასვლა წარმოადგენდა. ეკონომიურად აღზევებული გლეხობა იყო ძირითადად აზნაურთა წოდების შემავსებელი რეზერვი.

XIX ს-ის პირველ ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. რუსეთის ცარიზმმა თანდათან გააუქმა თარხანი, აზატი და მსახური გლეხების პრივილეგიები, მოახდინა გლეხთა კატეგორიების ნიველირება და საზღვარი

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 431.

[2] ი ქ ვ ე.

დაუდო თავად-აზნაურთა წოდების „დანაგვიანებას“ დაბალი ფენებიდან გამოსული პირებით. ეკონომიურად აღზევებულთა წოდებრივადაც დაწინაურების პირობები თითქმის მთლიანად მოიშალა. ამის შემდეგ გლეხის მდგომარეობა თითქმის მხოლოდ მისი ეკონომიური შეძლებით განისაზღვრებოდა. ქონებრივ-წოდებრივი დიფერენციაცია თანდათან შეიცვალა ქონებრივ-კლასობრივი დიფერენციაციით.

ბურჟუაზიული რეფორმების მომდევნო ხანაში, როცა გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს და მეტი სამეურნეო დამოუკიდებლობა მოიპოვეს, როცა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა განვითარების მაღალ დონეს აღწევს, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია განსაკუთრებით გაღრმავდა და იგი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მხარედ იქცა.

საქართველოში გლეხობის სოციალურ დიფერენციაციას, სხვასთან ერთად, შევაჯშეობაც უწყობდა ხელს. მართალია, თბილისსა და ქუთაისში არსებობდა საადგილმამულო ბანკები, თანდათან მრავლდებოდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობებიც, მაგრამ გლეხური მოსახლეობა ძირითადად საკაჯშო კაპიტალით სარგებლობდა. ამ უკანასკნელის პროცენტი კი გაცილებით მაღალი იყო. 1887 წლისათვის, მაგალითად, თელავის ძაზრის 11 სასოფლო საზოგადოებაში გლეხების ვალი ვექსილების ჯიხედვით შეადგენდა 400 ათას მანეთს. ისინი სარგებლის სახით ყოველწლიურად იხდიდნენ თავნის 30—40%-ს[1].

1899 წელს კახელ მევენახეთა ყრილობაზე ნ. გოზალიშვილი აღნიშნავდა: კულაკი არასდროს არ ამბობს უარს სესხის გაცემაზე, მაგრამ ვექსილის გარდა გლეხისაგან გირაოდ იღებს ვენახს, ხოლო თუ ვენახი კრედიტორს უკვე ხელთა აქვს ჩაგდებული, — სახნავ-სათეს მიწას. ამასთან ერთად, ჩვეულებრივ, იდება პირობა, რომლის თანახმად, თუ ვალი დროზე არ იქნა გადახდილი, მიწის ნაკვეთი გადადის კულაკის ხელში და ეს უკანასკნელი 1 დესეტინა მიწას ეპატრონება 10—12 მანეთად. ნ. გოზალიშვილს იქვე მოჰყავს თბილისის სახაზინო პალატის ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ XIX ს-ის 90-იან წლებში თელავისა და სიღნაღის მაზრებში ყოველწლიურად ფორმდებოდა 1 მლნ მანეთზე მეტი ვექსილები, რომლის დიდი ხაწილი წვრილ კრედიტებზე მოდიოდა. დავალიანება ჩვენთან, დაასკვნიდა ნ. გოზალიშვილი, იმდენად დიდია, რომ კახელის მთელი წლის შრომის ხაყოფი მიდის მხოლოდ პროცენტების დაფარვაზე, თავნი კი მუდმივ სიდიდედ რჩებაო[2].

---

[1] სსცია, ფ. 17, საქ. 2748, ფურც, 48.

[2] Труды съезда виноградовладельцев и виноградарей кахетии в 1899 г., 1901, стр. 141—143.

მართალია, მევახშეები ზოგჯერ ამჯობინებდნენ მათთან დაგირავებული მიწა გლეხთა მეურნეობის სფეროში დაეტოვებინათ და თანდათან ამოექაჩათ მისგან სარგებლის მაქსიმუმი, მაგრამ რეფორმის შემდეგ, მიწის ხაყიდობის ფასისა და საიჯარო ქირის ზრდის პირობებში, მიწის საკუთრება გარანტირებულ და მაღალი შემოსავლის მეტად საიმედო წყაროდ გადაიქცა. სხვადასხვა ჯურის საქმოსნები მიწას ყიდულობდნენ რენტის მიღების მიზნით, ზოგიც საკუთარი მეურნეობის გამართვისათვის. ბუხებრივია, მევახშეებიც უმჯობესად თვლიდნენ მათთან დაგირავებული მიწა ჩამოერთმიათ მოვალეებისათვის, რადგან საკუთრებაში აღებული მამული მეტ შემოსავალს იძლეოდა, ვიდრე დაცემულ-გაღატაკებული გლეხის მეურნეობა, რომლის ექსპლოატაციასაც გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ეწეოდნენ. მევახშეთა ასეთი მისწრაფების განხორციელებას აადვილებდა ის გარემოება, რომ საქართველოში თითქმის აღარ არსებობდა თემური მიწათმფლობელობა. ასეთ პირობებში, გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად, ყველა კატეგორიის გლეხთა სანადელო მიწებიც კი, თავი რომ დავანებოთ კერძო ნაკვეთებს, აშკარად თუ ფარულად შედიოდა სავაჭრო ბრუნვაში და ამ მიწების კონცენტრაცია ხდებოდა მდიდარი გლეხებისა და სხვადასხვა ჯურის ვაჭარ-მევახშეთა ხელში. ამდენად, სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, რომელსაც მნიშვნელოვანწილად დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი განვითარების უნარი, რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში აჩქარებდა გლეხობის დაშლის პროცესს, ხელს უწყობდა ერთ მხარეზე კულაკობისა და კაპიტალისტური მეურნეობის, ხოლო მეორეზე სოფლის პროლეტარიატის გამოყოფას. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ვაჭრობა — კრედიტის კაპიტალისტური ფორმები—რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აღრმავებდა ამ პროცესს.

ჩვენ ხელთ არსებული სტატისტიკური მასალა ნაკლული და ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ კლასობრივი დიფერენციაცია, მიუხედავად ცარიზმის ცდისა—აღეკვეთა ეს პროცესი (მეფის მთავრობას ძალიან აშიხებდა პროლეტარიატის გაჩენა და მისი ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ)., მეტ-ნაკლებად ყველა კატეგორიის გლეხობაში მიმდინარეობდა.

მეფის მთავრობის ოფიციალური სტატისტიკოსები დაინტერესებული არ იყვნენ გლეხთა სოციალური დიფერენციაციის ფაქტის ჩვენებით. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც თითქოს გაბატონებული იყო თემური მიწათმფლობელობა, ოფიციალური მკვლევარები, მართალია, ზოგადად მიუთითებენ სახაზინო მიწების კულაკთა ხელში თავმოყრის ფაქტზე, მაგრამ კონკრეტულ ცნობებს ნაკლებად იძლევიან, კმაყოფილდებიან საშუალო ციფრებით.

XIX ს-ის 80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები კომლზე საშუალოდ ფლობდნენ 17 დეს. მიწას, საიდანაც ბაღ-ვენახსა და სახნავ-სათესს ეკავა 6 დესეტინა. მიწის ფონდი არათანაბრად იყო გახაწილებული სოფლებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოს 932 სახაზინო სოფლიდან 11 სოფელს (1,18%) სულ არ გააჩნდა სახაზინო სანადელო მიწა, 213 სოფელში (22,8%) კომლზე მოდიოდა 0,1-დან 5 დესეტინამდე მიწა, 193 სოფელში (20,70%) — 5—10 დეს., 123 სოფელში (13,19%) — 10—16 დეს., 120 სოფელში (12,87%) —16—25 დეს., 152 სოფელში (16,30%) — 25—50 დეს., 120 სოფელში (12,87%) — 50 დესეტინაზე მეტი ვარგისი და უვარგისი მიწა[1].

აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფის მკვლევარები კომლთა შორის მიწების არათანაბრად განაწილების საილუსტრაციოდ მეტად მწირ ცნობებს იძლევიან. ს. მაჩაბლის გადმოცემით, მაგალითად, სოფ. მარტყოფში 203 კომლი სახელმწიფო გლეხი სრულიად უნადელო იყო, 106 გლეხი კომლზე ფლობდა — 3—6 დეს., 95 გლეხი — 6—9 დეს., 8 გლეხი — 9—12 დეს., 4 გლეხი — 12—15 დეს., 2 გლეხი — 15—30 დეს., 1 გლეხი 30 დესეტინაზე მეტს[2]. კიდევ უფრო დიდი იყო კონტრასტი გლეხობის სხვადასხვა ფენას შორის მიწით შედარებით უხვად უზრუნველყოფილ სოფლებში. მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გლეხობის აბსოლუტურ უმრავლესობას ზემოაღნიშნულ საშუალო ფართობზე (17 დეს.) გაცილებით ნაკლები მიწა ჰქონდა, მცირე ნაწილს — გაცილებით მეტი. ბევრი გლეხი 1—2-დესეტინიან ნადელზე იჯდა, გლეხობის ხუთიოდე პროცენტი 20—50 დეს., ხოლო 1 პროცენტი 50—100 და 100—500 დესეტინა მიწას ფლობდა[3].

იმავე ხანებისათვის დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხებს კომლზე საშუალოდ 4 დეს. მიწა ჰქონდათ. მათგან 398 გლეხი (1,90%) სრულიად უმიწაწყლო იყო, 2142 გლეხი (10,09%) კომლზე ფლობდა 0,1—1 დესეტინამდე მიწას, 4427 გლეხი (21,09%) — 1—2 დეს., — 7383 გლეხი (36,16%) — 2—4 დეს., 3396 გლეხი (16%) — 4—6 დეს., — 1330 გლეხი (10,50%) — 6—10 დეს., 834 გლეხი (3,97%) — 10—20 დეს., 221 გლეხი (1,05%) — 20—154 დესეტინას[4]. გლეხობის ულაკური ზედაფენა განსაკუთრებით ძლიერი იყო ქუთაისის მაზრაში, სადაც 95 გლეხი კომლზე ფლობდა 20—30 დეს., 31 გლეხი — 30—40 დეს., 13 გლეხი — 40—50 დეს., 10 გლეხი — 50—60 დეს., 7 გლეხი — 60—80 დეს.,

---

[1] И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. 2, Тб., 1962, გვ. 78—79.

[2] МИЭБГКЗК, V, ч. I, გვ. 185. 233.

[3] СМИЭБГКЗК, II. გვ. 267—269.

[4] იქვე, VI, ч. I, გვ. 157—158.

4 გლეხი — 80—90 დეს., 1 გლეხი — 120 დეს., 1 გლეხი — 154 დესეტინა მიწას[1].

დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ძლიერი იყო გლეხობის მესაკუთრედ გადაქცევის ტენდენცია. აქ თითქმის ყოველ გლეხს ჰქონდა მეტ-ნაკლები რაოდენობით საკუთარი მიწა. 1888 წლისათვის ქუთაისის გუბერნიის 7 მაზრაში ითვლებოდა 96 912 კომლი მესაკუთრე გლეხი (აქ შედიან ის სახელმწიფო და ხიზანი გლეხებიც, რომლებსაც ნადელებთან ერთად ნაყიდი მიწის ნაკვეთებიც ჰქონდათ), რომელთა საკუთრებაში იყო 244 451 დეს. მიწა[2].

XX ს-ის დამდეგს ჩატარებული აღწერით დადგინდა, რომ დასავლეთ საქართველოში მარტო მესაკუთრეთა კატეგორიის გლეხი იყო 51 241 კომლი. ამ გლეხთა მიწათმფლობელობის სიდიდის მიხედვით დიფერენციაციაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა 1-ლი ცხრილი[3]:

ცხრილი 1

გლეხთა ნაკვეთები სიდიდის მიხედვით	მესაკუთრე გლეხთა რაოდენობა კომლობით							
	ქუთაისის მაზრაში	შორაპნის მაზრაში	ზუგდიდის მაზრაში	ოზურგეთის მაზრაში	რაჭის მაზრაში	სენაკის მაზრაში	წალენჯიხის მაზრაში	სულ გუბერნიაში
0,1—1 დეს-მდე	4823	5189	1735	3101	3222	4004	525	22599
1—3 დეს.	7716	3365	2086	1823	1329	4006	252	20577
3—5 დეს.	2200	775	635	383	125	938	35	5091
5—10 დეს.	1191	433	341	156	32	282	3	2428
10—15 დეს.	213	84	37	27	12	21	—	394
15—20 დეს.	49	15	8	7	—	4	—	83
20—30 დეს.	22	5	9	3	1	—	—	40
30—40 დეს.	1	1	1	—	—	—	—	3
40 დეს-ზე მეტი	2	1	7	2	4	—	10	26
	16217	9868	4859	5502	4725	9245	825	51241

[1] СМИЭБГКЗК, I, გვ. 221.
[2] ССДЗТКГ, გვ. 14.
[3] ЦГИА СССР, ф. 1290, оп. 6, д. 47, лл. 1—934. იქვე, საქ. 48, ფურც. 1—855.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში მრავალრიცხოვანი ყოფილა მინიატურული საკუთრების მქონე სოფლის პროლეტარიატი (22 599 კომლი — 44%), ნახევრად პროლეტარიატი (20 577 კომლი — 40%) და შედარებით მცირერიცხოვანი გლეხობის კულაკური ზედაფენა. წვრილ მესაკუთრე სოფლის მუშათა მასაში, ბუნებრივია, მკვეთრად გამოირჩეოდნენ 20—80 დეს. მიწისმფლობელნი: კიკვაძე ბესარიონი (50 დეს.), რეხვიაშვილი სოფრომი (75 დეს.), ჩალაძე ივანე (54 დეს.), მაისაშვილი ზურაბ (25 დეს.), ტყებუჩავა კოსტა (37 დეს.), შონია ვასილი (45 დეს.), ვაშაკიძე თეიმურაზ (30 დეს.), ჯიშიაშვილი გრიგოლი (35 დეს.), იობიძე პავლე (50დეს.), სისონა, ლევან, ივანე, იასონ, დავით და იოსებ ტირკიები, რომელნიც ფლობდნენ 450 დეს. მიწას; ჯანხოთელი ავალიანი და მათი თანამონაწილე რამდენიმე გლეხი, რომელთა საკუთრებაში იყო იწის მთა (ქვემო სვანეთი) 8 ათასი დესეტინა ფართობით[1].

აღმოსავლეთ საქართველოში მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლას თითქმის მხოლოდ შეძლებული გლეხები ახერხებდნენ. ერთი ცნობით 1888 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 8363 სული მესაკუთრე გლეხი, რომელნიც ფლობდნენ 99 921 დეს. მიწას, სულზე საშუალოდ 12 დესეტინას[2]. 1893 წელს ბორჩალოს მაზრაში აღირიცხა 706 კომლი მესაკუთრე გლეხი 19 247 დეს. მიწით. ისინი კომლზე საშუალოდ ფლობდნენ 27,2 დეს. მიწას. ამ გლეხთა შორის გამოირჩეოდნენ ვოროხცოვის, ნოვომიხაილოვკის და შახნაზარის ცალკეული კომლები, რომელთაც ადგილობრივი მემამულეებისაგან ნაყიდი ჰქონდათ ვეებერთელა ნაკვეთები. ბორჩალოს მაზრის სოფ. ჯალალოღლიში 2 კომლს საკუთრებაში ჰქონდა 712 დეს. ბოლნისხაჩინის 8 კომლს — 300 დეს. შულავერის მცირერიცხოვან ამხანაგობას — 2 200 დეს. მიწა. გლეხ იარდან ყული ოღლის საკუთრებაში ჰქონდა 2 ათასი დესეტინა (400 დეს. სახნავ-სათესი, 100 დეს. სათიბი და 600 დეს. საძოვარი)[3].

თიანეთის მაზრის ერწოს უბანი რამდენიმე კულაკის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენდა. „ამ რაიონში, — წერდა მაზრის უფროსი 1905 წელს, — ცხოვრობს რამდენიმე გამდიდრებული გლეხი, რომელთაც საკუთრებაში აქვთ რამდენიმე ათასი დეს. მიწა და თანაც იჯარით იღებენ მემამულეთა დიდ ფართობებს (გუგუდაშვილი, წიკლაური და სხვ.). ისინი ბაღლა სწევენ მიწის ფასს, ღარიბი გლეხები ყავთ კაბალაში და საერთოდ ძალიან ართულებენ აგრარულ საკითხს 4—5 სასოფლო საზოგადოებაში. მეორეს მხრით, — განაგრძობს მაზრის უფროსი, — პირადად ვიცნობ ძა-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1290, оп. 6, д. 47, лл. 1—934. იქვე, საქ. 48, ფურც. 1—855.
[2] ССДЗТКГ, გვ. 12—15.
[3] РТКЭЖДЭКО, გვ. 56—58.

ლიან ბევრ გლეხთა ოჯახებს, რომლის წევრები ზამთრის განმავლობაში პურს ჭამენ ერთი ორი დღის გამოშვებით, რადგან საკუთარი ნათესი მათ არ აქვთ და საცოდავ არსებობას ახერხებენ ქირაზე მუშაობით"[1].

საქართველოში, სადაც მეტად მწვავედ იგრძნობოდა მცირემიწიანობა, ადგილ-ძამულის სიდიდე განსაზღვრავდა. პირველ რიგში, გლეხის შეძლებას. თუ გლეხს მიწა ბევრი ჰქონდა, მას ხელგაუნძრევლად და მეურნეობის გაუმართავად, მიწის რენტით შეეძლო ცხოვრება. მაგრამ ეს მსხვილი ძესაკუთრე გლეხები, როგორც წესი, ფერმერულ, სავაჭრო-კაპიტალისტურ ძეურნეობებს ქმნიდნენ. ისინი ბუნებრივი პირობებისა და ბაზრის კოხიუნქტურის შესაბამისად ფართო მასშტაბით ეწეოდნენ მემინდვრეობას, ძევეხახეობა-მეღვინეობას, მეთამბაქოეობას, მეცხოველეობას და სხვ. დარგებს.

კახეთის სახელმწიფო გლეხთაგან მევენახეობა-მეღვინეობას ეწეოდა 6271 კომლი. მათგან 1759 გლეხს (25%) კომლზე ჰქონდა 0,25 დეს. ვენახი. 3639 კ. (52,1%) — 0,25—1 დეს., 675 კ. (9,6%) — 1—2 დეს., 123 კ. (1,8%) — 2—3 დეს., 43 კ. (0,6%) — 3—5 დეს. 12 კ. (0,1%) — 5 დესეტინა და მეტი ვენახი[2]. ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სახელმწიფო გლეხებიდან 625 გლეხს კომლზე ჰქონდა 1—2 დეს. ვენახი. 61 კ. — 2—3 დეს. 19 კ. — 3—5 დეს. 5 კ. 5—8 დესეტინა[3]. ერთი დესეტინა ვენახის ძეძოსავალი 400—500 მან. აღწევდა. ამდენად 3—5 დეს. და მეტი ვენახის ძფლობელები კულაკები იყვნენ. ისინი სოფლის მეურნეობის ამ ფრიად შრომატევად დარგში საკმაო რაოდენობით იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს.

ძდიდარი გლეხის ხელში კონცენტრირებული იყო მუშა პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარიც. XIX ს-ის 80-იან წლებში თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთაგან 976 გლეხს ჰყავდა კომლზე თითო უღელი ხარი. 962 კ-ზე — 1—2 უღელი, 578 კ-ზე — 2—3 უღელი, 310 კ-ზე — 3—4 უღელი, 140 კ-ზე — 4—5 უღელი, 245 კომლს — 5 უღელზე მეტი. ამ უკანასკნელებს ჰყავდა სულ 3 818 ხარი — კომლზე საშუალოდ 7 უღელი. კიდევ უფრო უთანაბროდ იყო განაწილებული მუშა პირუტყვი სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შორის; 2 722 გლეხურ მეურნეობას კოძლზე ჰყავდა 1—2 უღელი ხარი, 550 მეურნეობას კი — 10 უღელი. ეს უკანასკნელნი შეადგენდნენ მაზრის სახელმწიფო გლეხთა 6%-ს და ფლობდნენ მუშა პირუტყვის 40%-ს. ეს მაშინ, როცა სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 48%-ს სულ არ ჰყავდა მუშა პირუტყვი. მათ, ბუნებ-

---

[1] СХАО. IV, გვ. 789.
[2] МИЭБГКЗК. V. ч. I, გვ. 115—117.
[3] იქვე, ч. 2, გვ. 210.



სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოფენა თბილისში.

რივია, არც გუთანი გააჩნდათ. კახეთში ქართულ და ქარხნულ გუთნებს ფლობდა მხოლოდ გლეხობის 7 — 10%[1].

კიდევ უფრო მეტი იყო უხარკამეჩო გლეხობა დასავლეთ საქართველოში. XIX—XX სს-ის მიჯნაზე მუშა პირუტყვი სულ არ გააჩნდა ქუთაისის მაზრაში 7 000 კ., შორაპნის მაზრაში — 11 000 კ., სენაკის მაზრაში — 2 500 კ., ოზურგეთის მაზრაში — 6 700 კომლ გლეხს[2]. ასეთ მეურნეებს ან მეზობელი მდიდარი გლეხების „დახმარება" უნდა ეთხოვათ ან ბარითა და თოხით ეცოდვილათ თავის პატარა ნაკვეთებზე.

გლეხობის სხვადასხვა ფენას შორის არსებული კონტრასტი ძალიან დიდი იყო. საილუსტრაციოდ მივმართოთ XIX ს-ის 80-იან წლებში ჩაწერილ გლეხთა ბიუჯეტებს.

1884 წ. სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბეში გიგია კოჭლამაზაშვილის ოჯახის (28 სული) მეურნეობის ფარგლებში ხორბლის ნათესს ეკავა 60 დეს., ქერს — 15 დეს., ფეტვს — 25 დესეტინა. ოჯახს ჰყავდა 17 ცხენი, 52 ხარ-კამეჩი, 100 ძროხა, 40 უშობელი, 1 300 ცხვარი და 30 ღორი. ოჯახის წევრებთან ერთად მეურნეობაში იყენებდნენ 3 მუდმივ მუშას და შრავლად სეზონურად დაქირავებულთა შრომას. მეურნეობის მთელი შემოსავალი 8 222 მანეთს აღწევდა, სუფთა შემოსავალი კი 3 789 მანეთს

---

[1] МИЭБГКЗК, V, ч. I, გვ. 98—99, 117—118, 237—238; МИЭБГКЗК, VI, ч.2, გვ. 282—284.

[2] Обзор Кутаисской губернии за 1907 г., გვ. 36—37.

შეადგენდა[1]. როგორც ვხედავთ, გიგია კოჭლამაზაშვილის შეძლება ბევრ მემამულეს და ვაჭარ-მრეწველს შეშურდებოდა. ასეთი ძლიერი კულაკური კომლები კი იშვიათი გამონაკლისი როდი იყო კახეთის სინამდვილეში. პირიქით, გიგიას ოჯახი ტიპიურ კულაკურ ერთეულს წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ მოხვდა „მასალებში". ამას ცხადყოფს მისი თანასოფლელი საშუალო გლეხის ზაქარია ლეკიაშვილის ეკონომიური შეძლების გათვალისწინება.

ზაქარია ლეკიაშვილის ოჯახს (14 სული) დათესილი ჰქონდა 12 დეს. პურის, 5 დეს. ფეტვის და 3 დესეტინა ქერის ყანა, საიდანაც 922 მან. შემოსავალს იღებდა. შემოსავალი მეცხოველეობიდან უდრიდა 457 მან. მევენახეობა-მეღვინეობიდან — 45 მანეთს. მეურნეობის მთელი შემოსავალი უდრიდა 1 491 მან. მთელი გასავალი — 1 250 მან. გარდამეტი სუფთა შემოსავლის სახით რჩებოდა 241 მანეთი. ამ ცნობების მიხედვით ზაქარია ლეკიაშვილი საკმაოდ წელმაგარ კულაკად წარმოგვიდგება. აქვს 20 დეს. ნათესი. მრავლად ჰყავს შინაური პირუტყვი და 2 მუდმივ მუშას ქირაობს[2]. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი დამკვირვებელი მას საშუალო გლეხად თვლის. ეს კი, ცხადია იმას მოწმობს, რომ სიღნაღის მაზრაში საკმაოდ იყვნენ ზაქარია ლეკიაშვილზე ეკონომიურად გაცილებით ძლიერი, გიგია კოჭლამაზაშვილის მსგავსი, კულაკები, რომელნიც დიდი რაოდენობით ღებულობდნენ მოგებას და თანდათან აფართოებდნენ მეურნეობას.

სრულიად კონტრასტულ სურათს იძლევა გიგიას თანასოფლელისა და მოგვარის გერმანე კოჭლამაზაშვილის ქონებრივი მდგომარეობის გაცნობა. ამ გლეხის სახლი და ქონება 22 მანეთად იყო შეფასებული. მისი შემოსავალი 136 მანეთს უდრიდა, გასავალი კი 167 მანეთს. დეფიციტი 31 მანეთი გლეხს უნდა დაეფარა ქირაზე მუშაობით[3].

იმავე სიღნაღის მაზრაში სოციალური დიფერენციაცია ღრმად იყო წასული რუს კოლონისტთა შორისაც. XIX ს-ის 80-იანი წლების შუახანებისათვის სოფ. ნოვოალექსანდროვკის მდიდარი გლეხის დიმიტრი არეშინის უძრავ-მოძრავი ქონების (მიწის გარდა) ღირებულება 4 302 მან. უდრიდა. ამ გლეხის მეურნეობის ფარგლებში იყო 12 დეს. პურის, 10 დეს. ქერისა და ფეტვის ყანა, 6 დეს. საკუთარი და 40 დეს. იჯარით აღებული სათიბი. ყანა და სათიბი 1 388 მან. შემოსავალს იძლეოდა, მეცხოველეობა, კაპიტალის პროცენტი და სხვა წყაროები კი 660 მანეთს. გლეხის მთელი შემოსავალი 2 048 მან. შეადგენდა, გასავალი 1 388 მან. უდრიდა. მოგების სახით კულაკს რჩებოდა 660 მანეთი. იმავე სოფლის

---

[1] МИЭБГКЗК, IV, ч. 2, გვ. 331—338.
[2] იქვე, გვ. 338—347.
[3] იქვე, გვ. 344—347.

ღარიბი გლეხის საფონ ბიკოვის მთელი შემოსავალი კი მხოლოდ 312 მანეთს შეადგენდა[1].

კულაკური მეურნეობები შედარებით მეტი იყო გერმანელ კოლონისტთა სოფლებში. 848 კომლი კოლონისტი ფლობდა 141 დეს. ეზოს, 789 დეს. ვენახს, 1 913 დეს. სარწყავ და 8 415 დეს. ურწყავ სახნავ მიწას, 2 725 დეს. სათიბს, 13 622 დეს. საძოვარს — სულ 27 607 დეს. მიწას. კომლზე საშუალოდ მოდიოდა 1 დესეტინა ეზო და ვენახი, 32 დეს. სხვა მიწა, დაახლოებით 7 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 2 — 3 ცხენი და სხვ.[2] მაღალი საშუალო ციფრები თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ კოლონისტთა მცირე ნაწილს ამ საშუალოზე გაცილებით მეტი მიწა და შინაური პირუტყვი გააჩნდა. მაგრამ სხვადასხვა წყაროდან ისიც კარგად ჩანს, რომ გერმანელ კოლონისტთა შორის თითქმის არ იყვნენ ღატაკები. ისინი ქმნიდნენ საშუალო და კულაკ გლეხთა კონტინგენტს.

განსაკუთრებით ძლიერი იყო კულაკობა მეცხოველეობის სპეციალიზებულ რაიონებში — თიანეთისა და დუშეთის მაზრებში.

1885 წლისათვის წოვა თუშეთში სამ უმდიდრეს გლეხს კომლზე ჰყავდა 2 ათას სულზე მეტი ცხვარი, 8 გლეხს — 1 — 2 ათასი, 25 გლეხს — 500 — 1 000, 33 გლეხს — 300 — 500, 137 გლეხს — 100 — 300 სული. 30 კომლს კი სრულიად არ ჰყავდა. ისინი დაქირავებულ მწყემსებად მუშაობდნენ[3]. დუშეთის მაზრის ზოგიერთ გლეხს 10 ათას სულიანი და მეტი ცხვრის ფარები ჰყავდა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოფ. კაიშაურში შიო კაიშაური, სოფ. დიხჩოში — შიო წიკლაური, სოფ. დუმაცხოში — გერენა აფციაური. მეორე მხრივ, მაზრაში ბლომად იყვნენ გლეხები, რომელთაც სულ არ გააჩნდათ ცხვარი[4]. ღარიბი მთიელები დაქირავებულ მწყემსებად მუშაობდნენ, მდიდართა ფარებს დაატარებდნენ საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე.

XIX ს-ის 80-იანი წლების ერთი დამკვირვებლის გაანგარიშებით 500 სული ცხვრის მთელი წლიური შემოსავალი (მატყლის, ტყავის, ყველის, ხაშატის და სხვ. სახით) 2300 მანეთს აღწევდა, ხარჯი 1500 მან., ხოლო სუფთა შემოსავალი—მოგება 850 მანეთს შეადგენდა. ამდენად, 10-ათასიანი ფარის მფლობელთა მთელი შემოსავალი 50 ათას მან. უდრიდა, სამეურნეო ხარჯები 31 500 მან., ხოლო სუფთა შემოსავალი, მოგება 17 850 მან. შეადგენდა. 3 — 5 ათასი სული ცხვრის მფლობელთა მთელი შემოსავალი 14 154 მანეთიდან 23 500 მანეთამდე მერყეობდა, სამეურნეო ხარჯები 9—15 ათას მან., სუფთა შემოსავალი კი 5 100—8 550 მან. უდრი-

---

[1] МИЭБГКЗК, IV, ч. 2, გვ. 247—360.
[2] იქვე, ч. I, გვ. 157—160.
[3] იქვე, გვ. 452—461.
[4] იქვე, გვ. 56—58.

და. საკმაოდ დიდ მოგებას იღებდნენ აგრეთვე 1—2 ათასი ცხვრის მფლობელები. შეძლებულად ითვლებოდნენ 500—1000 ცხვრის პატრონებიც. ამ მსხვილ მეურნეობათა ხარჯებში მნიშვნელოვანი იყო დაქირავებული მუშების ხელფასი. ზოგიერთი ბობოლა 50—100 მუშის ექსპლოატაციას ეწეოდა, უფრო მეტს კი 10—20 მუშა ჰყავდა დაქირავებული.

დასავლეთ საქართველო პარცელური წვრილი გლეხური მეურნეობის კლასიკურ მხარეს წარმოადგენდა. აქაური გლეხური სამიწათმოქმედო ბურჟუაზია ეკონომიურად აღმოსავლეთ საქართველოს კულაკობაზე უფრო სუსტი იყო. სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოს გლეხობის ზედაფენა გაცილებით აქტიურად იყო ჩაბმული ვაჭრობა-მრეწველობაში და ამ სახის საქმიანობით ხშირად დიდ შემოსავალს ღებულობდა. ბევრი მათგანი გილდიებში ეწერებოდა და ოფიციალური სტატისტიკა მათ ვაჭართა წოდებაში აღრიცხავდა. დასავლეთ საქართველოს სოფელი ვაჭარ-მრეწველთა კონტინგენტს დაბა-ქალაქებსაც დიდი რაოდენობით აწოდებდა. სოფლებსა და დაბებში მოქმედ ვაჭარ-ხელოსანთა მნიშვნელოვან ნაწილს, გაწყვეტილი არ ჰქონდა კავშირი სოფლის მეურნეობასთან, დუქან-სახელოსნო-მაღაზიაში საქმიანობას ოსტატურად ათავსებდა სოფლის მეურნეობასთან, ორივე ამ სფეროში იყენებდა დაქირავებულ მუშახელს და თანდათან ზრდიდა თავის ქონება-შემოსავალს.

საქართველოს გლეხობის სხვადასხვა სოციალური ფენის პროცენტული თანაფარდობის დადგენა, მასალების ფრაგმენტულობისა და არასრულფასოვნების გამო ძალიან ძნელია. შეიძლება ითქვას, რომ XIX ს-ის ბოლოსათვის კულაკები შეადგენდნენ დაახლოებით 4 — 5%-ს, საშუალო გლეხები — 35 — 40%-ს, ღარიბები — 55 — 60%-ს. კულაკის ქონება-შემოსავალი ყოველ სულზე 3—4-ჯერ აღემატებოდა საშუალო გლეხის და 10 — 15-ჯერ ღარიბი გლეხის შემოსავალს. ცალკეულ შემთხვევაში ქონებრივი კონტრასტი გაცილებით მეტი იყო. მაგრამ უფრო არსებითი ხასიათისა ჩანდა სოციალური განსხვავება: კულაკი, როგორც წესი, დამქირავებელი იყო, სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწეოდა. საშუალო გლეხი შედარებით იშვიათად ქირავდებოდა და კიდევ უფრო იშვიათად ქირაობდა სეზონურ მუშებს. ღარიბი გლეხობა, უმიწაწყლობისა და მუშა პირუტყვის უყოლობის გამო, ისე მცირე მასშტაბის მეურნეობას ეწეოდა, რომ მისი შემოსავალი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას. სოფლის ეს ნახევრად პროლეტარული და პროლეტარული მასა არსებობის საშუალებებს თავის მინიატურული მეურნეობის ფარგლებს გარეთ ეძებდა და ძირითადად დაქირავებული შრომით პოულობდა.

უმიწაწყლო გლეხები, ბუნებრივია, ცდილობდნენ თავისი ოჯახის, თავის კუთხის ახლოს გაეჩინათ შემოსავლის სხვა წყაროები, ხელს ჰკიდებდნენ შინამრეწველობა-ხელოსნობას, მეურმე-გადამზიდაობას, ებმე-

ბოდნენ ხე-ტყის სარეწებში და სხვ. მაგრამ ხშირ შემთხვევაში გაღატაკებული გლეხები ადგილზე სამუშაოს ვერ პოულობდნენ და იძულებული ხდებოდნენ სხვა მხარეებსა და ქალაქებში ეძებნათ არსებობის საშუალებანი.

1867 წელს გარე სამუშაოებზე გავიდა: ქუთაისის მაზრიდან 638, შორაპნის — 810, რაჭის — 389, ზუგდიდის — 460, სენაკის — 475, ლეჩხუმის მაზრიდან — 763 კაცი. მომდევნო პერიოდში, გლეხობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებისა და მიმოსვლის საშუალებათა (რკინიგზები) გაუმჯობესების წყალობით, საშოვარზე გასვლის მასშტაბი თანდათან იზრდებოდა. 1892 წელს დასავლეთ საქართველოს 7 მაზრიდან გარე სამუშაოებზე გავიდა 20 880, ხოლო 1897 წელს — 35 ათასი კაცი. საკმაოდ დიდი რაოდენობით გადიოდა საშოვარზე აღმოსავლეთ საქართველოს გაღატაკებული გლეხობაც. 1897 წლის აღწერის მომენტში თბილისის გუბერნიის ძირეული მცხოვრებლებიდან ადგილზე არ აღმოჩნდა, სხვაგან იყო წასული 28 846 კაცი[1]. უდავოა, მათი უმეტესობა სამუშაოდ იყო გასული, საკუთარ სამუშაო ძალას ყიდიდა სოფლისა თუ ქალაქის ბურჟუა-კაპიტალისტებზე.

მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია. ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში წარმოებდა საყურადღებო ცდები საბატონო (საბეგრო) მეურნეობის რაციონალურად მოწყობის, კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასვლისათვის, მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუცია საგრძნობლად დააჩქარა საგლეხო რეფორმამ. „მეურნეობის საბატონო სისტემას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ძირი გამოუთხარა ბატონყმობის გაუქმებამ. შეირყა ამ სისტემის ყველა მთავარი საფუძველი: ნატურალური მეურნეობა, საბატონო მამულის კარჩაკეტილობა და თვითკმარი ხასიათი..., მემამულე უნდა გადასულიყო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაზე, რომელიც დამყარებულია... დიამეტრულად საწინააღმდეგო საფუძვლებზე. მაგრამ ამგვარი გადასვლა... არ შეიძლებოდა ერთბაშად მომხდარიყო“[2].

საგლეხო რეფორმის დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი შიშით მოელოდა თავადაზნაურობა ბატონყმობის გაუქმებას. გლეხთა განთავისუფლება, მუქთი მუშახელის დაკარგვა მათ პრივილეგიური წოდების დაღუპვის დასაწყისად ეჩვენებოდათ. მართალია, მეფის მთავრობამ რეფორმის გატარებისას მაქსიმალურად დაიცვა პრივილეგიური წოდების ინტერესები და ამდენად სინამდვილე არ აღმოჩნდა ისეთი მკაცრი, როგორც თავადაზნაურობა მოელოდა, მაგრამ გარდამავალ პერიოდს ახასია-

---

[1] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ., თბ., 1965, გვ. 130—131;

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 209.

თებდა მთელი რიგი სიძნელეები, რომელთა აღმოფხვრას თავად-აზნაურთა ლიდერები იმთავითვე ცდილობდნენ.

1865 წ. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ თავის წინამძღოლად დიმიტრი ყიფიანი აირჩია. ამ უკანასკნელს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული იაფი კრედიტის მნიშვნელობა და თავადაზნაურობას ურჩია ყმა გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის მიღებული თანხის ნაწილი გადაედო საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად. დ. ყიფიანმა ბანკის სათანადო პროექტიც შეადგინა, რომლის მიხედვით ახლად დაარსებულ საკრედიტო დაწესებულებას უნდა გაეცა როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სესხები, და, ამდენად, კომერციული და საადგილმამულო ბანკის ფუნქციები ერთდროულად შეესრულებინა. დავა და კამათი ბანკის ხასიათის გარშემო დიდხანს გაჭიანურდა. 1874 წ. 7 მაისს დამტკიცდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება. ერთი წლის შემდეგ მოქმედება დაიწყო ქუთაისის ბანკმაც.

ქართველი თავადაზნაურობა ბანკს დიდი იმედითა და სასოებით მოელოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ საკრედიტო დაწესებულება განკურნავდა ძემამულური მეურნეობის ყველა წყლულს. თავად-აზნაურთა დიდ ნაწილს ბანკი წარმოდგენილი ჰქონდა საქველმოქმედო დაწესებულებად, საიდანაც სესხის მიღება ადვილი იქნებოდა, ხოლო თავნისა და პროცენტის დაფარვაზე დიდად არავინ შეაწუხებდათ. თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე ასეთ პირებს თავიდანვე აფრთხილებდა, რომ კრედიტი ორლესული მახვილია; ბანკიდან გატანილი სესხი მხოლოდ იმას დაეხმარება, ვინც ყაირათიანად, მეურნეობის გაუმჯობესებისათის მოიხმარს თანხას, მფლანგველ და მოქეიფე დიდკაცებს კი სამარეს გაუთხრისო. მაგრამ ეს გაფრთხილება მემამულეთა დიდი ნაწილისათვის დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ქართველ მემამულეთა უმეტესობა სესხებს ყოველდღიური საჭიროებისათვის იყენებდა და ზოგჯერ უმიზნოდაც ხარჯავდა. ამიტომ ისინი სესხის დაფარვას ვერ ახერხებდნენ და ბანკში დაგირავებულ მიწებს კარგავდნენ. ამან შეაშფოთა თავადაზნაურობა და მათ ვითარცა ბანკის დამფუძნებლებმა, გამგეობას განსაკუთრებული შეღავათები მოსთხოვეს. ი. ჭავჭავაძემ მიუღებლად ჩათვალა თავად-აზნაურთა პრეტენზიები, დაასაბუთა, რომ კაპიტალისტურ ყაიდაზე გამართულ საადგილმამულო ბანკს არ შეუძლია უგულებელყოს კაპიტალისტური საკრედიტო ურთიერთობის კანონები და თავადაზნაურობას შეღავათები მიანიჭოსო. ისიც დიდი მიღწევაა, რომ ამ კაპიტალისტური დაწესებულების მოგების დიდ ნაწილს საზოგადოების საერთო საჭიროებისათვის ვხარჯავთ, ეროვნული საქმის წარმატებისათვის ვიყენებთო [1].

---

[1] პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 90—91.

მიწის საკუთრების მონოპოლია საშუალებას აძლევდა თავადაზნაურობას ძველი წესით განეგრძო მეურნეობა. უშუალო მწარმოებელი მასის მცირემიწიანობის პირობებში მეტად ხელსაყრელი გახდა ადგილ-მამულის იჯარით გაცემა. მემამულურ მეურნეობაში კი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „მიწის იჯარით გაცემას საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს: ხან ეს არის მეურნეობის გადაცემა სხვა პირისათვის და სამაგიეროდ რენტის მიღება, ხან კი არის საკუთარი მეურნეობის წარმართვის წესი, მუშახელით მამულის უზრუნველყოფის საშუალება“[1].

ქართველ მემამულეთა ერთი ნაწილი მიწას იჯარით სცემდა პროდუქტადი თუ ფულადი რენტის მიღებისათვის, მეორე ნაწილი — მუქთი მუშახელით მეურნეობის უზრუნველყოფისათვის. უმრავლესობა კი იჯარას ორივე დანიშნულებას აძლევდა — რენტასაც იღებდა და საწარმოო მოგებასაც.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ყმის და რეფორმის შემდეგ სხვადასხვა კატეგორიის ვალდებულ გლეხთა შრომა, რა თქმა უნდა, არარენტაბელური იყო. ის ვერ უზრუნველყოფდა ნაციონალური შემოსავლის ზრდას. მაგრამ ერთია ნაციონალური შემოსავალი და მეორე ცალკეულ კერძო მეურნეობათა მოგება. თავისუფალი მუშახელის გამოყენებისას შრომის ნაყოფიერება უფრო მეტია, მაგრამ ნაციონალური შემოსავალი გარკვეული პროპორციით იყოფა ხელფასად და კაპიტალისტის მოგებად. არათავისუფალი, მუქთი, შრომის მთელ ნაყოფს კი მემამულე ეპატრონება და ამდენად ეს შრომა მისთვის რენტაბელურია. ამაში პრაქტიკულად დარწმუნდნენ ქართველი მემამულეები და მიუხედავად იმისა, რომ გლეხები თითქმის ყოველთვის მოითხოვდნენ შრომამოგების ფულით შეცვლას, შრომამოგება იმდენად ხელსაყრელი იყო მემამულეებისათვის, რომ ისინი არა თუ ცვლიდნენ, არამედ ცდილობდნენ თანდათან გაეზარდათ მისი მასშტაბი.

XIX ს-ის 80-იან წლებში ი. მუხრან-ბატონის მამულში მცხოვრები 74 კომლი ხიზანი, მაგალითად, მიწით სარგებლობის საზღაურს იხდიდა როგორც პროდუქტებით, ისე შრომით. მიწის რაოდენობის შესაბამისად ისინი იხდიდნენ კომლზე 10—53 მანეთის მარცვლეულს და მემამულის მეურნეობაში მუშაობით ქმნიდნენ 16—77 მანეთის ღირებულებას. იმდროინდელი დამკვირვებლის ქ. ვერმიშევის განცხადებით პროდუქტადი გამოსაღები იყო ნორმალური რენტა, დამატება მუშაობის სახით კი წარმოადგენდა არა მიწით სარგებლობის ეკვივალენტს, არამედ შედეგი იყო გარკვეული სავალდებულო ურთიერთობისა[2]. მუხრან-ბატონის მარცვლეულის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 218.
[2] МИЭБГКЗК, IV, გვ. 443.

მეურნეობაში (200 დეს.) ხიზნებისა და მოიჯარე გლეხების შრომით (შრომამიგებით) სრულდებოდა ხვნის სამუშაოთა 42,6%, თესვისა და ყანის მოვლის სამუშაოები მთლიანად, მოსავლის აღების სამუშაოთა. 70%, ნამჯის დადგმის სამუშაოთა 64,3%, გალეწვისა — 66%, დანარჩენ სამუშაოებს ასრულებდნენ დაქირავებული მუშები. მუხრან-ბატონი, როგორც ვხედავთ, მარცვლეულის მეურნეობაში ძირითადად ვალდებულ გლეხთა შრომასა და ინვენტარს ემყარებოდა. მაგრამ თვით მემამულესაც საკმაო რაოდენობით გააჩნდა მუშა-პირუტყვი (61 ცხენი, 68 ხარ-კამეჩი) და ინვენტარი (ინგლისური გუთნები, სალეწი, სანიავებელი და სხვა მანქანები). ი. მუხრან-ბატონის მეურნეობაზე დაკვირვებამ ვერმიშევი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თუ ქართული გუთნები და სხვა ძველი ინვენტარი ინგლისური გუთნებითა და ახალი მანქანებით შეიცვლებოდა, მოხდებოდა ვალდებულ გლეხთა შრომისა და ახალი ტექნიკის შეერთება, მაშინ მუქთ შრომაზე დამყარებულ ამ მეურნეობას ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევდა დაქირავებულ შრომაზე დამყარებული მეურნეობები[1].

ასეთი ხელსაყრელი კომბინაციის შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად სხვა მემამულეებსაც გააჩნდა. ამდენად, მეურნეობის შრომამიგებითი სისტემიდან კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლას აძნელებდა არა ის, რომ თითქოს ქართველმა მემამულეებმა ალღო ვერ აუღეს დროის მოთხოვნილებას, ვერ გამოიჩინეს მეურნეობის რაციონალურად მოწყობის უნარი, არამედ ამ გადასვლის სიძნელეებს განაპირობებდა ობიექტური ფაქტორები — მიწის საკუთრებაზე თავად-აზნაურთა მონოპოლია, იჯარის ხელსაყრელობა და მეურნეობის შრომამიგებითი სისტემის რენტაბელობა. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის თავისუფალი და სწრაფი განვითარების წინაპირობად თვლიდა მსხვილი თავადაზნაურული მამულების კონფისკაციას[2].

მემამულური მეურნეობის რაციონალურად მოწყობას აფერხებდა აგრეთვე საგვარეულო მიწათმფლობელობა და მიწების გაუმიჯნაობა. ბევრ მემამულეს XIX ს-ის ბოლოსაც კი არ გააჩნდა მიწის საკუთრების დოკუმენტი. საკუთრების დაუმტკიცებლობა მემამულეებში კლავდა ხვალინდელი დღის რწმენას, მეურნეობის გაუმჯობესების სტიმულს, აძნელებდა საიპოთეკო კრედიტის მიღებასაც. ასეთ მიწათმფლობელებს ბანკები, როგორც წესი, სესხს არ აძლევდნენ. ისინი სავაჭრო კრედიტით სარგებლობდნენ, რომლის პროცენტი 4—5-ჯერ მეტი იყო საბანკო კრედიტის პროცენტზე.

---

[1] Х. Вермишев, Очерк хозяйства ген. лейт. кн. Ивана Константиновича Багратион-Мухранского, გვ. 27.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 360—361.

1903 წლისათვის მარტო აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას დაგირავებული ჰქონდა თავისი მიწების 65 პროცენტი (350 000 დეს. ბანკებში და 302 000 დეს. მევახშეებთან). თავადაზნაურთა მთელი ვალი 11,3 მლნ მანეთს უდრიდა[1]. ისინი თავნისა და სარგებლის დასაფარავად ყოველწლიურად მარტო ბანკებს უხდიდნენ 800 ათას მანეთს. ბევრი თავად-აზნაურის შემოსავალი სესხის და მისი სარგებლის დასაფარავადაც კი არ იყო საკმარისი. ისინი ნომინალურად რჩებოდნენ მიწის მესაკუთრეებად. ფაქტიურ მესაკუთრეს წარმოადგენდა კრედიტორი (ბანკი და მევახშე), რომელიც არსებითად ითვისებდა მიწის რენტას პროცენტის სახით. მემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ნომინალურ საკუთრებასაც კარგავდა. მათი მიწა-მამული გლეხობისა და ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა.

XIX ს-ის 80-იან წლებში ქართველი თავადაზნაურობა ფლობდა 2 მლნ დესეტინაზე მეტ მიწას, 1905 წლისათვის კი მის საკუთრებაში რჩებოდა 1 589 548 დესეტინა. თავად-აზნაურთა უმეტესობა მცირემიწიანი იყო. საქართველოს (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) 6 663 „მემამულე" ოჯახზე ფლობდა 1-დან 5 დესეტინამდე მიწას, 6370 მემამულე — 5—25 დეს. 2304 მემამულე — 25—100 დეს. 1299 მემამულე 100—500 დეს. 443 მემამულე —500 დესეტინაზე მეტს. ეს უკანასკნელნი შეადგენდნენ მემამულეთა 2,6%-ს და ფლობდნენ თავად-აზნაურთა მთელი მიწის ფონდის 68%-ს[2].

გარდამავალი პერიოდის სიძნელეების მიუხედავად მემამულური მეურნეობა შედარებით ადვილად ეგუებოდა ბაზრის მოთხოვნილებას, ღებულობდა სავაჭრო ხასიათს. XIX ს-ის 80—90-იან წლებში ქართველ მემამულეებს ბაზარზე გაჰქონდათ 3—4 მლნ/ფუთი მარცვლეული — მიღებული პროდუქციის 45—50%. სასაქონლო პროდუქციას ძირითადად მსხვილი მემამულეები იძლეოდნენ. მცირემიწიან თავად-აზნაურთა მეურნეობების საქონლიანობა კი სრულიად უმნიშვნელო იყო. მომდევნო ხანაში მარცვლეულის ბაზრისათვის წარმოება აღარ იყო ხელსაყრელი. მემამულეები თანდათან მეტ ყურადღებას აქცევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, მებაღეობას, მეთამბაქოეობას და სხვ. დარგებს. სწორედ ამ სავაჭრო-სამრეწველო დარგებში იქმნებოდა ძირითადად რაციონალური მეურნეობები.

ვისაც შეძლება ჰქონდა, მიწა საკმარისად გააჩნდა და თანაც ადგილმდებარეობა ხელს უწყობდა; ყოველნაირად ცდილობდა ბაღ-ვენახების გაფართოებას. XIX ს-ის 80—90-იან წლებში ქართლ-კახეთში არსებული ვენახების 24—26% თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. ბევრი კახელი და ქართლელი მემამულის ზვრები 40—50 დესეტინაზე იყო გადაჭიმული[3].

---

[1] СССЧЗТКГ, გვ. XXX—XXXIX.
[2] იქვე, გვ. XI—XXXIX
[3] Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып. VII, 1896, გვ. 34, вып. VIII, გვ. 26—27.

საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობაც.

მართალია, მევენახეობაშიც იყო გამოყენებული მოიჯარე და ვალდებული გლეხების შრომა, მაგრამ მსხვილი მევენახე-მეღვინეები უფრო დიდი რაოდენობით იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს. კახელი მემამულეები ყოველ ოთხ დესეტინა ვენახზე ქირაობდნენ ერთ მუდმივ მუშას, მეტწილად დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ „მეზვრეებს", რომელიც კარგ სპეციალისტებად ითვლებოდნენ. მეზვრე წლიურად 60—100 მანეთს იღებდა, ამასთან ერთად, დამქირავებლის ხარჯზე იკვებებოდა და იმოსებოდა. მემამულეები უფრო დიდი რაოდენობით ქირაობდნენ დღიურ, სეზონურ მუშებს. დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ ასეთ მეურნეობებში ერთი დესეტინა ვენახის მოვლა-დამუშავების ხარჯი საშუალოდ 152 მანეთს უდრიდა; მისი მთელი შემოსავალი კი 400—500 მანეთს შეადგენდა[1].

კახეთში განსაკუთრებით კარგი ხარისხის ღვინოს ამზადებდნენ ჭავჭავაძეები (წინანდალში, მუკუზანსა და ყვარელში), ანდრონიკაშვილები (გურჯაანსა და ბაკურციხეში), ამატუნი, აფხაზი და ვაჩნაძე (კარდანახში), ჯანდიერი (ვაჩნაძიანში), ვახვახიშვილები (კურდღელაურში), ჩოლოყაშვილები (ახმეტაში) და სხვ.[2].

ზემოჩამოთვლილი მემამულეები ღვინოს კახური წესით აყენებდნენ და პროდუქციას ძირითადად ადგილობრივ ბაზრებზე ასაღებდნენ. გამოხაკლისი იყო ზ. ჯორჯაძე, რომელმაც ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იან წლებში დაიწყო ღვინის ევროპული წესით დაყენება. სოფ. საბუეში ზ. ჯორჯაძეს ჰქონდა ყველაზე სრულყოფილი ევროპული ტიპის მიხედვით გამართული ღვინის ქარხანა. „როდესაც ამ მეურნეობას ვათვალიერებდით, — წერდა მ. ბალასი, — ჩვენს თვალს ახარებდა სანიმუშოდ და ფართოდ დაყენებული მეღვინეობის საქმე. თავადმა ჯორჯაძემ პირველმა დაიწყო კახური ღვინოების დამზადება ევროპული წესით, გააცნო რუსეთს ამ ღვინოების მაღალი ღირსებები, მიიღო მთელი რიგი პირველხარისხოვანი ჯილდოები რუსეთის გამოფენებზე მოსკოვსა და ოდესაში და ბოლოს პარიზის უკანასკნელ გამოფენაზე აიძულა საფრანგეთი სერიოზული ყურადღება მიექცია კახური ღვინოებისათვის და ისინი თავისი მაღალი თვისებებით დაეყენებინა ბურგუნდიული ღვინოების გვერდით". მ. ბალასი ერთ დონეზე აყენებდა ზ. ჯორჯაძის და უფრო გვიან შექმნილ საუფლისწულო უწყების მეურნეობას, სადაც ღვინოებს აგრეთვე ევროპული წესით აყენებდნენ და აღნიშნავდა, რომ ეს ორი მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობით არ

---

[1] Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып, VI. 1896, გვ. 74—75.

[2] М. Балас, Виноделие в России, ч. III, С.-П. 1897, გვ. 27—28

ჩამოუვარდებაო ევროპაში არსებულ ყველაზე მსხვილ და ყველაზე უკეთეს ასეთსავე საწარმოებს [1].

კახეთის ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი დ. ჭავჭავაძე იყო. მას ეკუთვნოდა 15 ათასი დესეტინა მიწა. დ. ჭავჭავაძის მამულებს (წინანდალი, მუკუზანი, ურიათუბანი, ნაფარეული და სხვ.) მოწვეული მმართველები განაგებდნენ. სათიბ-საძოვრები და სახნავი მიწების დიდი ნაწილი იჯარით იცემოდა. ვენახებს, რომლის ფართობი 300 დესეტინას აჭარბებდა. უფრო ხშირად თვით მემამულე ამუშავებდა შრომავალდებული გლეხებისა და დაქირავებული მუშების გამოყენებით. დ. ჭავჭავაძის შემოსავლის მთავარი წყარო მევენახეობა-მეღვინეობა იყო. მის მეურნეობაში ითვლებოდა 11 მარანი 15 საწნახლითა და 371 ქვევრით. წლიურად ამზადებდნენ 20—30 ათას ვედრო ღვინოს. გარდამავალი პერიოდის სიძნელეებმა ეს მსხვილი მეურნეობა დაღუპვის კარამდე მიიყვანა. 1886 წელს დ. ჭავჭავაძის მცირეწლოვან მემკვიდრეთა მამულები საუფლისწულო უწყებამ იყიდა 1 მილიონ მანეთად[2].

ივანე მუხრანბატონი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა რაიონში ფლობდა 25 794 დეს. მიწას. XIX ს-ის 80-იან წლებში ი. მუხრანბატონი საკუთარი მეურნეობიდან ღებულობდა 7—8 ათას ფუთ მარცვლეულს, 40—50 ათას ფუთ თივას. იგი საკმაოდ ფართო მასშტაბით მისდევდა მეცხოველეობას; ჰყავდა 147 ძროხა, 7 500 ცხვარი, 300 ღორი, 68 ხარ-კამეჩი და 61 ცხენი[3]. ი. მუხრან-ბატონის მეურნეობის წამყვანი დარგი მაინც მევენახეობა-მეღვინეობა იყო. ვენახებს 430 დეს. ეკავა. მემინდვრეობაში, მესაქონლეობასა და მევენახეობაში ი. მუხრან-ბატონი იყენებდა როგორც ვალდებულ გლეხთა (უმეტესად), ისე დაქირავებული მუშების შრომას. მეღვინეობა კი წმინდა კაპიტალისტურ ყაიდაზე ჰქონდა გამართული.

თავდაპირველად ი. მუხრან-ბატონი ღვინოებს ქართული წესით აყენებდა. 1876 წ. მან საფრანგეთიდან გამოიწვია და დაიქირავა მეღვინეობის სპეციალისტები, სოფ. მუხრანში ააგო 100 ათასი ვედრო ტევადობის სარდაფი და ღვინის დაყენების ევროპულ წესზე გადავიდა. 1882 წ. მოსკოვის გამოფენაზე ი. მუხრან-ბატონის ღვინომ მიიღო უმაღლესი ჯილდო—სახელმწიფო გერბი. ი. მუხრან-ბატონის მეურნეობაში ყველაზე დიდშემოსავლიანი დარგი მეღვინეობა იყო. 1886 წელს, მაგალითად, ი. მუხრან-ბატონმა 30 ათასი ვედრო ღვინისა და 470 ვედრო სპირტის გაყიდვით მიიღო 424 570 მან. შემოსავალი. მეურნეობას ხარჯიც დიდი ჰქონდა. მარ-

---

[1] М. Балас, Виноделие в России, ч. III, გვ. 33, 55, 108.

[2] ЦГИА СССР. ф. 515, оп. 81, д. 968, лл.9—42; სსცია, ფ. 17, საქ. 4888, ფურც. 34—37.

[3] Х. Вермишев, Очерк хозяйства ген. лейт. кн. Ивана Константиновича Багратион-Мухранского, გვ. 31.

ტო მუდმივი მუშების ხელფასად გაიცა 44 ათასი მან., მეღვინეობის სპეციალისტებზე — 13 400 მან. ვაჭრობის ადმინისტრაციაზე — 16 446 მან., პროდუქციის გამსაღებელ ბაზრებამდე გადატანა დაჯდა 24 ათასი მანეთი (ი. მუხრან-ბატონს საწყობ-მაღაზიები ჰქონდა თბილისში, მოსკოვსა და პეტერბურგში). მეღვინეობის მთელი ხარჯები უდრიდა 123 277 მანეთს, სუფთა შემოსავალი — მოგება კი 121 423 მანეთს[1].

ი. მუხრან-ბატონმა შეადგინა მეურნეობის კიდევ უფრო გაფართოების გეგმა-პროექტი და კომპანიონების ძებნაც დაიწყო. მაგრამ 1893 წ. იგი გარდაიცვალა. ივანეს მემკვიდრე კონსტანტინე მეურნეობის წარმოებაში ვერ იჩენდა საკმაო უნარს. 1899 წელს კ. მუხრან-ბატონმა საუფლისწულო უწყებას 745 ათას მანეთად მიჰყიდა 8456 დეს. მიწა, აგრეთვე ღვინის ქარხანა და სარდაფი იქ დაცული 65 000 ვედრო ღვინით[2].

მსხვილი რაციონალური მეურნეობა გამართა სოფ. სალხინოში (სამეგრელო) სალომე დადიანი-მიურატმა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მევენახეობა-მეღვინეობას აქცევდა. ს. დადიანი-მიურატის მეურნეობაში 1895 წელს ვენახებს ეკავა 40 დეს., 1901 წ. — 60 დესეტინა. მემამულე თანდათან ადიდებდა რამისა და დაფნის პლანტაციების ფართობსაც. მეურნეობა ძირითადად დაქირავებულ მუშახელს ემყარებოდა. ვალდებულ გლეხთა შრომა იქ შედარებით ნაკლებად გამოიყენებოდა[3].

ზოგიერთმა მონასტერმა, მართალია, რეფორმის შემდეგაც შეინარჩუნა ადგილ-მამული, მაგრამ დაკარგა ყმა გლეხები, რამაც აიძულა შეეცვალა მეურნეობის წარმართვის წესი. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია მეურნეობის რაციონალურად მოწყობის, მის კაპიტალისტურად გარდაქმნის საქმეში ახალი ათონის მონასტერმა, რომლის საკუთრებაშიც იყო 3898 დეს. მიწა. ეს მონასტერი XIX ს-ის 70-იან წლებში დააარსეს თურქეთიდან ჩამოსულმა რუსმა და ქართველმა ბერებმა. მათ ენერგიულად მოჰკიდეს საქმეს ხელი, მოკლე ხანში ბუჩქნარი და საძოვარი მაღალნაყოფიერ კულტურულ ნაკვეთებად გადააქციეს. XIX—XX სს-ის მიჯნაზე ახალი ათონის მონასტრის მეურნეობაში ვენახებს ეკავა 40 დეს., ბაღებს— 107 დეს., ბოსტანს — 15 დეს., სახნავ-სათესს — 143 დეს., სათიბს — 210 დესეტინა. დანარჩენი იყო საძოვარი და ტყე.

ახალი ათონის მონასტრის მეურნეობაში ყოველწლიურად ღებულობდნენ 3—5 ათას ფუთ ყურძენს, 3—4 ათას ფუთ ზეთისხილს, დიდი რაოდენობით მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს, ვაშლს, ქლიავს და სხვ. ბერებს მაღალ დონეზე ჰქონდათ დაყენებული მესაქონლეობაც. მათ ფერ-

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბუთი №№ 40 149, 4—150.

[2] ЦГИА СССР, ф. 515, оп. 44, д. 174, лл.1—6.

[3] Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып.IV, 1896, зз. 54—60, 132—140; ЦГИА СССР, ф. 1233, оп. 1, д.159, л. 4.

მაში 500 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ცხენი ითვლებოდა. დიდ შემოსავალს აძლევდა მონასტერს აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობა და ჭრავალრიცხოვანი სახელოსნოები. ახალი ათონის მონასტრის მეურნეობა გამოირჩეოდა მაღალტექნიკური აღჭურვილობით. მის საჭიროებას ემსახურებოდა 165 ცხენისძალიანი ჰიდროელსადგური, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა ორთქლმავლითა და მრავალი ვაგონით, ელექტროწევაზე გადაყვანილი დაკიდებული რკინიგზა და საჰაერო-საბაგირო გზა.

ახალი ათონის მონასტრის მამული დაფარული იყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ფართო ქსელით. მონასტრის კომპლექსი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბერებისა და მუშების საცხოვრებელ სახლებს, ფოსტა-ტელეგრაფს, საავადმყოფო-აფთიაქს, სამზარეულო-სასადილოებს, პურსაცხობს, წისქვილს, თავლა-ბოსლებს, მარან-სარდაფს, სახელოსნოებს და სხვა შენობა-ნაგებობებს ერთმანეთთან აკავშირებდა 8—9 ვერსი სიგრძის ცხენის რკინიგზა. ლიანდაგი გრძელდებოდა ზღვისპირამდე, სადაც მონასტერს ჰქონდა საკუთარი ნავსადგური და თევზსაჭერი ფლოტილია. ბერებს თევზის სარეწი ჰქონდათ თურმე კასპიის ზღვაზეც და იქაურ მაღალხარისხოვან თევზსა და ხიზილალას დიდი რაოდენობით გზავნიდნენ გასაყიდად რუსეთის ქალაქებში. მონასტრის მეურნეობაში ყოველდღიურად 300-მდე მლოცველი მუშაობდა, რომელნიც თითქმის უხელფასოდ (ისინი დღეში 10—20 კაპიკს და სასმელ-საჭმელს სჯერდებოდნენ) ემსახურებოდნენ სულიერ მამებს. მონასტერს დიდი რაოდენობით ჰყავდა დაქირავებული, აგრეთვე მუდმივი კვალიფიციური მუშები, რომელნიც დასაქმებული იყვნენ რკინიგზაზე, საბაგირო გზაზე, ელსადგურებში, სახელოსნოებში, თევზსაჭერზე და სხვ. ობიექტებზე[1].

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმფლობელი და მეურნე რომანოვთა სამეფო საგვარეულო იყო. XIX ს-ის 80—90-იან წლებში საუფლისწულო უწყებამ საქართველოში იყიდა 90 ათასი დეს. მიწა. მის საკუთრებაში გადავიდა ჭავჭავაძის, მუხრან-ბატონის, ორბელიანის, სვიატოპოლკ-მირსკის და სხვ. მამულები.

საუფლისწულო უწყებამ კახეთსა და ქართლში შექმნა მევენახეობა-მეღვინეობის; ბორჩალოს მაზრაში — მებამბეობისა და მეცხოველეობის; აჭარაში კი მეჩაიეობის მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებსაც ცალკე სამმართველოები განაგებდნენ. ყველა სამუშაო სრულდებოდა შტატიანი მოსამსახურეებისა (მმართველები, აგრონომები, მეღვინე ტექნოლოგები, ბუღალტერ-მოლარეები და სხვ.) და დაქირავებული მუშების მიერ. XIX — XX სს-ის მიჯნაზე საუფლისწულო მეურნეობებში 500—600 მუდმივი და 2—3 ათასი სეზონურად დაქირავებული მუშა შრომობდა. ტექნიკური აღჭურვილობის, აგროწესების გაუმჯობესების და

---

[1] სსცია, ფ. 1215, ანაწ. 1, საქ. 1300, ფურც. 2—4.

შრომის ინტენსივობის გაძლიერების პარალელურად ამ მეურნეობათა შემოსავალი თანდათან იზრდებოდა. XIX ს-ის ბოლოსათვის საუფლისწულო მეურნეობები ბაზრებს ყოველწლიურად აწოდებდა 100 — 150 ათას ვედრო მაღალხარისხოვან ღვინოს, 15—20 ათას ფუთ ბამბას, 10—12 ათას გირვანქა ჩაის მზა პროდუქციას, საკმაო რაოდენობით ციტრუსებსა და მეცხოველეობის პროდუქტებს. საუფლისწულო მეურნეობების ყოველწლიური მთელი შემოსავალი 1 მლნ მანეთს უდრიდა, სუფთა შემოსავალი კი 500 ათას მანეთს აჭარბებდა[1].

მეურნეობის რაციონალურად დაყენების, მისი კაპიტალისტურად გარდაქმნის საქმეში დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე სულხანიშვილებმა, სუმბათაშვილებმა, ნაკაშიძეებმა, შერვაშიძემ, რატიშვილმა, წულუკიძემ, მიხეილ რომანოვმა და სხვ. მემამულეებმა. ყველა მათგანი მეტ-ნაკლები მასშტაბით იყენებდა დაქირავებულ მუშახელს.

ვაჭარ-მრეწველთა კაპიტალისტური მეურნეობები სოფლად. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება და შედეგი მესამე წოდების ზედაფენის ბურჟუაზიულ კლასად ფორმირება იყო. ამ ახალი კლასის სამოქმედო სარბიელს მარტო ვაჭრობა-მრეწველობა და ქალაქი როდი წარმოადგენდა. ბურჟუაზია საკმაო აქტიურობას იჩენდა სოფლადაც. თანდათან ზრდიდა თავის მიწათმფლობელობას და კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს სოფლის მეურნეობაში აბანდებდა.

მიწის მობილიზაცია ვაჭარ-მრეწველთა ხელში საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა. XIX—XX სს-ის მიჯნაზე საქართველოში არათავადაზნაურული წარმოშობის კერძო მესაკუთრენი ფლობდნენ 500 ათას დესეტინა მიწას, მთელი კერძო მესაკუთრული მიწების (გლეხთა მიწების გამოკლებით 25% უმრავლესობა წვრილი მფლობელი იყო. საშუალო და მსხვილ მესაკუთრეთაგან 821 მფლობელს ჰქონდა ოჯახზე 25—100 დეს. 433 მფლობელს — 100—500 დეს. 116 მფლობელს — 500 დესეტინაზე მეტი მიწა[2]. ამ მიწათმფლობელებმა, აგრეთვე ბურჟუაზია მოიჯარეებმა საკმაოდ ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა შექმნეს სოფლად.

დიდვაჭარი კ. პოპოვი, რომელიც აჭარაში 300 დეს. მიწას ფლობდა, ჩაის კულტურის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი იყო. მან თავის ხარჯით რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა აღმოსავლეთის ქვეყნებში. შეისწავლა ჩაის მეურნეობა და პრაქტიკულად იყენებდა მიღებულ ცოდნას. 1892-დან 1902 წლამდე კ. პოპოვმა თავის მამულში დააბანდა 2 მილიონამდე მანეთი; ამოაშრო ჭაობები, გაიყვანა გზა-ბილიკები, ააგო

---

[1] А. С. Бендианишвили, Грузинская деревня в 1864—1917 гг., Автореферат докторской диссертации, 1968, გვ. 62.

[2] СССЧЗТКГ, გვ. XIV.

მრავალი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა, გააშენა 140 დეს. ჩაის პლანტაცია[1]. პოპოვის მეურნეობაში ყოველდღიურად 200—400 კაცი შრომობდა. მისი ჩაის ფაბრიკა ყოველწლიურად უშვებდა 50—60 ათას გირვანქა მზა პროდუქციას. საკმაო შემოსავალს აძლევდა პოპოვს სანერგე და ციტრუსოვანთა ბაღიც[2].

საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი კაპიტალისტური მეურნეობის ორგანიზატორი ვაჭარი ალექსანდრე ანანოვი იყო. მან ჯერ კიდევ 1860 წ. იმერეთში იყიდა 5 ათასი დეს. მიწა, შეიძინა ქარხნული გუთნები, სათესი მანქანები, ბამბის საწმენდი ჯინები და რაციონალურად გამართა მეურნეობა. მიუხედავად ამისა ანანოვი მიწის უმეტეს ნაწილს იჯარით სცემდა და მიწის რენტა იყო მისი შემოსავლის მთავარი წყარო. ამ მეურნეობის ისტორიაში მკვეთრი გარდატეხა ხდება XIX ს-ის 90-იან წლებში, როცა მას სათავეში ჩაუდგნენ საფრანგეთში უმაღლესგანათლებამიღებული მიხრან და აბგარ ალექსანდრეს ძე ანანოვები. მეღვინე ტექნოლოგმა მიხრანმა თავის გამგებლობაში მევენახეობა-მეღვინეობა აიღო, მეტყევე ინჟინერმა აბგარმა კი ხე-ტყის დამზადებას მოჰკიდა ხელი.

1897 წ. ანანოვების ვარციხის მამულში ვაზის სანერგეს 15 დეს., ხოლო ვენახს 20 დეს. ეკავა. რამდენიმე წლის შემდეგ ვენახის ფართობმა 137 დესეტინას მიაღწია. მ. ანანოვმა ააგო სამსართულიანი ვრცელი სარდაფი ვარციხეში, სარდაფ-საწყობები ქ. ქუთაისსა და დაბა ყვირილაში, მოაწყო შამპანურისა და კონიაკის ქარხნები. მევენახეობა-მეღვინეობაში ანანოვმა დააბანდა 1,5 მლნ მანეთი.

მ. ანანოვი თავის ქარხნებსა და სარდაფებში ამუშავებდა და აძველებდა არა მარტო საკუთარი ზვრების მოსავალს, იგი მეზობელი წვრილი მევენახეებისაგან ყოველწლიურად ყიდულობდა 40—60 ათას ფუთ ყურძენს. ვარციხის მამულში მევენახეობა-მეღვინეობას განაგებდა სპეციალური სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებული იყო 40—45 შტატიანი მოსამსახურით (შამპანურისა და კონიაკის სპეციალისტები საფრანგეთიდან იყვნენ გამოწვეული). მევენახეობა-მეღვინეობაში დასაქმებული იყო 80—86 მუდმივი და 2—3-ჯერ მეტი სეზონური მუშა. მათ ხელფასზე ყოველწლიურად იხარჯებოდა 50—70 ათასი მანეთი. მ. ანანოვს ღვინის გასაღების მთავარი კანტორა ჰქონდა თბილისში, საბითუმო სარდაფ-საწყობები და მაღაზიები — პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, ბაქოსა და ბათუმში. ვარციხის მთავარი სარდაფიდან ყოველწლიურად სარეალიზაციოდ იგზავნებოდა 20—30 ათასი ვედრო სუფრის ღვინო, 30—40 ათასი ბოთლი შამპანური და 60 ათასი ბოთლი კონიაკი.

---

[1] ЦГИА СССР, ф. 398, оп. 78, д. 30763, лл.30—31.

[2] სსცია, ფ. 370, საქ. 989, ფურც. 123; ЦГИА СССР, ф. 391, оп.75, д.429, лл. 3—5.

მეევნახეობა-მეღვინეობის შემდეგ ანანოვების შემოსავლის მთავარი წყარო ხე-ტყის დამზადება-გაყიდვა იყო. ა. ანანოვს ტყის ადმინისტრაციის შემადგენლობაში 21 კაცი ჰყავდა, ხე-ტყის დამზადებაზე კი ყოველდღიურად 200 კაცს ამუშავებდა[1].

ბორჩალოს მაზრის მთიან ზონაში მესაქონლეობის პირველი კაპიტალისტური მეურნეობა შექმნა ალექსანდრე კუჩენბახმა ჯერ კიდევ 1862 წელს. თავდაპირველად იგი მეურნეობას ეწეოდა იჯარით აღებულ მიწაზე, 70—80-იან წლებში კი იყიდა 7 ათასი დეს. მიწა და წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვა. XIX ს-ის 90-იან წლებში ა. კუჩენბახის ფერმაში 250—300 ჯიშიანი ძროხა ითვლებოდა. მისი ქარხანა კი წლიურად 2 000 ფუთ შვეიცარიულ ყველს და 300 ფუთ კარაქს ამზადებდა. ფერმასა და ქარხანაში 150 მუშა იყო დასაქმებული. XX ს-ის დამდეგს ფრანც ალექსანდრეს ძე კუჩენბახის მეურნეობაში 500 ძროხა ითვლებოდა. ფერმის ბაზაზე მუშაობდა ორი შვეიცარიული ყველისა და ერთი კარაქის ქარხანა[2].

შვეიცარიელმა ამეტერმა იჯარით აღებულ მიწაზე შექმნა მეურნეობა, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა. 1895 წ. მის ფერმაში 320 ძროხა ითვლებოდა, ქარხანა კი წლიურად 1 200 ფუთ შვეიცარიულ ყველს და 200 ფუთ კარაქს ამზადებდა. იმავე ხანებში ქ. ნიდიგერს 200 ძროხა ჰყავდა, ხოლო მისი ქარხანა წლიურად 630 ფუთ ყველს და 100 ფუთ კარაქს უშვებდა. ნ. კეზელის ფერმაში 100 ჯიშიანი ძროხა ითვლებოდა. ქარხანა კი 250 ფუთ ყველს და 70 ფუთ კარაქს ამზადებდა. მოლოკან დოსაევის ქარხნის წლიური მწარმოებლურობა 600 ფუთ ყველს და 355 ფუთ კარაქს უდრიდა. ყველა ეს საწარმო დაქირავებულ შრომას ემყარებოდა. შვეიცარიული წესით დამზადებული ქართული ყველი ძირითადად რუსეთის დიდ ქალაქებში საღდებოდა[3].

მეთამბაქოეობა წმინდა სავაჭრო-სამრეწველო ხასიათს ატარებდა. ამიტომ, ბუნებრივია, ამ დარგში ბლომად იქმნებოდა კაპიტალისტური მეურნეობები. თამბაქო ფრიად შრომატევადი კულტურაა. ერთი დესეტინა პლანტაციის მოვლა-დამუშავებას და პროდუქციის საბაზროდ გამზადებას 4—5 კაცის მთელი წლის შრომა სჭირდებოდა. თუ თამბაქოს პლანტაცია 0,5—1 დესეტინას აღემატებოდა, უკვე საკმარისი აღარ იყო ოჯახში არსებული მუშახელი და დამატებით ქირაობდნენ მუშებს. მსხვილი პლანტაციების ფართობი კი თანდათან იზრდებოდა. 1899 წლისათვის აფხაზეთში 625 პლანტაციის ფართობი უდრიდა 1—2 დეს. 432 პლანტაციისა — 2—4 დეს. 77 პლანტაციისა — 4—6 დეს., 15 პლანტაციისა —

---

[1] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, კაპიტალისტური მეურნეობები საქართველოს სოფელში XIX—XX სს მიჯნაზე, „მაცნე“, 1968, №1, გვ. 87—89.

[2] იქვე, გვ. 93—95.

[3] იქვე, გვ. 95—96.

6—8 დეს., 18 პლანტაციისა — 8—10 დეს., 5 პლანტაციისა — 10—18 დესეტინას[1]. საკმაოდ ბევრი იყო მსხვილი პლანტაციების ფართობი აგრეთვე საქართველოს მეთამბაქოეობის მეორე რაიონში — კახეთში.

2—4 დესეტინა ფართობის თამბაქოს პლანტაციის მფლობელი წვრილი, სავაჭრო-კაპიტალისტური მეურნეობის ორგანიზატორი იყო, 4—20 დეს. და უფრო დიდი პლანტაციის მფლობელები კი უკვე საშუალო და მსხვილი კაპიტალისტები იყვნენ. თითოეული მათგანი ექსპლოატაციას უწევდა 16—100 და მეტ დაქირავებულ მუშას.

საისტორიო მასალიდან ჩანს, რომ აფხაზეთის მეთამბაქოეობაში მუდმივად იყო დასაქმებული მუშათა მრავალათასიანი კოლექტივი. ხშირად არ კმაროდა სტიქიურად მოსული პროლეტარიატი და პლანტატორებს ორგანიზებულად ჩამოჰყავდათ მუშები ჩრდილოეთ კავკასიიდან[2].

თამბაქოს პლანტაციების მუშათა მძიმე მდგომარეობაზე ბევრი იწერებოდა პრესაში. 1897 წელს ამაზე წერდა ვ. ი. ლენინი. მეფის მთავრობის მოხელეები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრისათვის და თამბაქოს პლანტაციათა მუშების საკითხი ოფიციალურად დაესვათ დღის წესრიგში. პლანტატორებისა და მუშათა ურთიერთობის რეგლამენტაციის მიზნით 1900 წელს სოხუმში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დააპროექტა მეთამბაქოეთათვის სავალდებულო „წესები“, მაგრამ უმაღლეს მთავრობაში მის დამტკიცებას არ ჩქარობდნენ[3].

ამრიგად, მართალია, თავადაზნაურთა და ვაჭარ-მრეწველთა მსხვილი მამულების შედარებით მცირე ნაწილზე შეიქმნა რაციონალური, კაპიტალისტური მეურნეობები და მიწის წვრილ პარცელებად იჯარით გაცემა და სამაგიეროდ რენტის მიღება საკმაოდ დიდ მასშტაბს ინარჩუნებდა, მაგრამ ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი როდი იყო. იმ ბუნებრივი გარემოების გამო, რომ კაპიტალის, კერძოდ, ცვალებადი კაპიტალის წრებრუნვა და გადაბრუნება სოფლის მეურნეობაში გაცილებით ნელა ხდება (ზომიერ სარტყელში სოფლის მეურნეობის კულტურები წელიწადში ერთ მოსავალს იძლევა, ხოლო ფეხსაცმლის მეფაბრიკეს შეუძლია წარმოების ციკლი კვირაში რამდენჯერმე გაიმეოროს) და იქ გაცილებით ნელა იზრდება სიმდიდრე, მიწის მესაკუთრენი და მით უმეტეს მოიჯარენი ერიდებოდნენ დიდ ფართობებზე დაებანდებინათ კაპიტალი. არც ერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში არ შექმნილა ისეთი გიგანტური კაპიტალისტური საწარმოები, როგორც მრეწველობაში იქმნებოდა. საქართველოს სო-

---

[1] სსცია, ფ. 370, ანაწ. 1, საქ. 1622, ფურც. 47.
[2] ЦГИА СССР, ф. 515, оп. 91, д. 131, лл. 24—29.
[3] სსცია, ფ. 12, ანაწ. 8, საქ. 2751, ფურც. 7.

ფელში არსებული მსხვილი, გარდამავალი ტიპის და წმინდა კაპიტალისტური მეურნეობები თავის მოცულობით და ტექნიკური აღჭურვილობით დიდად როდი ჩამოუვარდებოდნენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ანალოგიური ხასიათის მეურნეობებს.

სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ძირითადი ტენდენციები. მოსახლეობის მდგომარეობასა და სოციალურ შედგენილობაში მომხდარი ცვლილებები. 1897 წელს საქართველოში ითვლებოდა 2 109 273 სული მცხოვრები. აქედან 1 786 961 სული (84,7%) ცხოვრობდა სოფლად, 322 312 სული (15,3%) — ქალაქებში. მთელი მოსახლეობის 70% სოფლის მეურნეობაში და ხე-ტყის სარეწებში იყო ჩაბმული.

რუსეთის იმპერიაში, მართალია, ფორმალურად ბოლომდე იყო დაცული მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის პრინციპი, მაგრამ ქვეყნის განვითარების სტიქიურ-ეკონომიურ პროცესს არსებითი ცვლილებები შეჰქონდა სხვადასხვა ფენის მდგომარეობაში.

XIX—XX სს-ის მიჯნაზე საქართველოს 14 694 თავად-აზნაური (78%) ოჯახზე ფლობდა 1-დან 25 დესეტინამდე მიწას და საშუალოდ იღებდა 56 მან. სუფთა შემოსავალს. ამდენად თავად-აზნაურთა უმეტესობა უკვე აღარ ჩაითვლებოდა ეკონომიურად გაბატონებული წოდების წარმომადგენლად.

ვერც საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელი თავადაზნაურობა თავსდებოდა ტრადიციული წოდებრიობის ჩარჩოებში. ზოგი, როგორც ვნახეთ, თავის მამულში კაპიტალისტურად საქმიანობდა. უმეტესობა, მართალია, საკუთარ მეურნეობას მცირე მასშტაბით ეწეოდა (მიწის იჯარით გაცემას არჩევდა), მაგრამ თავის ადგილ-მამულით ჩათრეული იყო ქვეყნის კაპიტალისტური ეკონომიკის სფეროში. მარტო აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას 1903 წლისათვის დაგირავებული ჰქონდა მიწის 70%' და სესხად აღებული 11,3 მლნ მანეთი, რაშიც ყოველწლიურად უხდიდა ბანკებს 5—6, ხოლო მევახშეებს 20—30 პროცენტ სარგებელს. მეწარმე თავად-აზნაურთა რაოდენობის ზრდის, რენტისა და კრედიტის კაპიტალისტური ფორმების დანერგვის პარალელურად მიმდინარეობდა ფეოდალური საკუთრებისა და მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუცია. მსხვილი და საშუალო თავადაზნაურობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შედიოდა მისი ერთ-ერთი გაბატონებული კლასის სახით. წოდებრივი პრივილეგიები რამდენადმე განასხვავებდნენ მას პლებეური წარმოშობის ბურჟუაზიისაგან, მაგრამ ეს მარტო რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებს კი არ ახასიათებდა, არამედ კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ ინგლისს და გერმანიასაც კი.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება იყო მესამე წოდების ზედაფენის ფორმირება ბურჟუაზიულ კლასად, რომლის ერთი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და მეურნეობდა. სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება განსაკუთრებით დიდ ცვლილებებს იწვევდა გლეხობაში. კ. მარქსი გლეხობას თვლიდა კაპიტალისტური საზოგადოების არამყარ სოციალურ ფენად, რომელიც თანდათან ავსებდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის რიგებს. ეს დასკვნა ძირითადად ინგლისის მაგალითზეა გამოტანილი, მაგრამ მეტნაკლები ინტენსივობით ყველგან მიმდინარეობდა გლეხობის დაშლა კაპიტალისტური საზოგადოების ახალ კლასებად.

ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ რუსეთის გაღატაკებული გლეხობის დაპირისპირება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისათვის აშკარა შეცდომა იყო, რომ რუსეთის ღარიბი გლეხები, ეს ნადელიანი სოფლის მუშები, უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული, ვინემ სოფლის პროლეტარიატი იმყოფებოდა დასავლეთ ევროპაში. ვ. ი. ლენინმა ოსტატურად გახსნა საერთოდ წვრილი გლეხური მეურნეობის „დამოუკიდებლობის“ ხასიათი და „გამძლეობის“ მიზეზი. „ჩვეულებრივ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იმოწმებენ სტატისტიკის მონაცემებს, რაც ვერ ადასტურებს მსხვილი მიწათმოქმედების მიერ წვრილის განდევნას, მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ იმას მეტყველებენ, რომ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მრეწველობაში... მსხვილი მიწათმფლობელობისათვის არც იქნებოდა ხელსაყრელი წვრილის სავსებით განდევნა: უკანასკნელი მას მუშახელს აწვდის! ამიტომ ხშირად მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს ისეთი კანონები გაჰყავთ, რომელნიც ხელოვნურად ამაგრებენ წვრილ გლეხობას. წვრილი მიწათმოქმედება მტკიცე მდგომარეობას მაშინ იძენს, როდესაც იგი აღარ წარმოადგენს მეტოქეს მსხვილი მიწათმოქმედებისათვის, როდესაც მისთვის მუშახელის მიმწოდებელი ხდება. მსხვილ და წვრილ მიწათმფლობელთა ურთიერთობა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ურთიერთობას კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის“[1].

ამდენად, წვრილ გლეხს იმიტომ შეეძლო თავის მცირე ნაკვეთზე ეცოდვილა, რომ მას ჰქონოდა გარეშე შემოსავალი. იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდებოდა საკუთარი წვრილი მეურნეობის შეთავსება ქირაზე მუშაობასთან, მაშინ გლეხი მეორეს არჩევდა. მაგრამ ყველგან და უმეტესწილად საქართველოშიც შესაძლებელი იყო ასეთი შეთავსება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საქართველოში საკუთრების კონცენტრაციის ტენდენციასთან ერთად შესამჩნევი იყო საკუთრების პარცელაციის ტენდენციაც. წვრილ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 106—107.

მესაკუთრე გლეხების მინიატურულ მეურნეობათა რიცხვი იზრდებოდა, რომელთა პატრონები უმეტეს დროს დამქირავებელთა წარმოებაში მუშაობდნენ. საქართველოს გლეხობის 30—35 პროცენტისათვის დაქირავებული შრომა არსების მთავარი საშუალება იყო, 20—25 პროცენტისათვის კი — შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

ფაქტია, რომ XIX—XX სს-ის მიჯნაზე მოსახლეობის დაყოფა წოდებრივი ნიშნის მიხედვით უკვე ანაქრონიზმი იყო. მოსახლეობის სხვადასხვა ფენას ერთმანეთისაგან განასხვავებდა არა იმდენად ძველიდან შემორჩენილი წოდებრივი ნიშნები, რამდენადაც მათი ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოებაში. მცირემიწიანი თავად-აზნაური თავისი მდგომარეობით უფრო ახლოს იდგა საშუალო გლეხთან, ვინემ მსხვილ მემამულეთან. ასევე გლეხობიდან გამოსულ სოფლის ბურჟუას ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო თანასოფლელ ღარიბ გლეხთან. კულაკი ამაყად უსწორებდა თვალს ქალაქელ ვაჭარს და სოფლის მემამულეს. ამდენად, XIX—XX სს-ის მიჯნაზე წოდებების ადგილი კლასებს ჰქონდა დაკავებული. საქართველოს მოსახლეობა არსებითად გათიშული იყო საკუთრების მქონე და არმქონე ნაწილად, ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. საქართველოს სოფელში გაბატონებულ კლასებს ქმნიდნენ მსხვილი და საშუალო მემამულეები (დაახლოებით 2 500—3 000 ოჯახი), არათავადაზნაურული წარმოშობის 1 500-მდე მიწათმფლობელი, 500-მდე ბურჟუა მოიჯარე და დაახლოებით 10 ათასი კომლი კულაკი. გლეხობის 55—60% დასული იყო პროლეტარიატის და ნახევრად პროლეტარიატის დონემდე. სოფლის მოსახლეობის საშუალო, თავისი ხასიათით წვრილბურჟუაზიული, ფენები თითქმის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა მათი შემდგომი შემცირების ტენდენცია.

1897 წლის საყოველთაო აღწერის დროს საქართველოს სოფელში აღირიცხა ყველა სოციალური ფენის 316 570 საოჯახო ტიპის მეურნეობა, საიდანაც დაქირავებულ შრომას სისტემატურად იყენებდა 15 614 მეურნეობა (5%). თითო მუშა იყო დაქირავებული 11 885 მეურნეობაში, 2—3 მუშა — 3 109 მეურნეობაში, 4—5 მუშა — 405 მეურნეობაში, 6—10 მუშა — 188 მეურნეობაში, 11 და მეტი მუშა 27 მეურნეობაში.

1897 წელს აღირიცხა სოფლად არსებული არაოჯახურ პრინციპზე მოწყობილი ცალკეულ პირთა მეურნეობებიც. განსხვავებით საოჯახო ტიპის მეურნეობისაგან, რომელნიც თითქმის მთლიანად მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. ცალკეულ პირთა მეურნეობები ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობა-მრეწველობაშია საგულვებელი. სულ აღირიცხა ასეთი ტიპის 13 115 მეურნეობა, საიდანაც დაქირავებულ შრომას იყენებდა 3 114 მეურნეობა (23,7%). თითო მუშა იყო დაქირავებული 1 750 მეურნეობაში,

2—3 მუშა — 959 მეურნეობაში, 4—5 მუშა — 247 მეურნეობაში, 6—10 მუშა — 129 მეურნეობაში, 11 და მეტი მუშა — 29 მეურნეობაში[1].

1897 წლის მასალათა სტატისტიკური დამუშავების დროს კარგა ხანს თითქმის სრულიად უყურადღებოდ ტოვებდნენ მონაცემებს დაქირავებული მუშების შესახებ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაძლიერდა საგაფიცვო მოძრაობა და პროლეტარიატი რევოლუციის ავანგარდში აღმოჩნდა, მუშათა საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა მეფის მთავრობის წინაშე. შინაგან საქმეთა მინისტრის მითითებით დამუშავდა აღწერის მასალა მუშების რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ.

ამ მასალის მიხედვით საქართველოში აღმოჩნდა 33 141 სასოფლო-სამეურნეო მუშა. მათგან, 15 113 დასაქმებული იყო მიწათმოქმედებაში, 11 651—მეცხოველეობაში, 3 969—სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, 2 208 — ხე-ტყის სარეწებში და 197 — მეთევზეობაში. შედარებისათვის შეიძლება მივუთითოთ, რომ აზერბაიჯანში იყო 26 542, ხოლო სომხეთში — 8 152 სასოფლო-სამეურნეო მუშა[2]. სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბით საქართველო იდგა რუსეთის იმპერიის ისეთი საკმაოდ დაწინაურებული რაიონების დონეზე, როგორიც იყო კიევის, მინსკის, ბესარაბიის და სხვ. გუბერნიები.

1897 წლის აღწერის მასალა საერთოდ ძალიან შემცირებულად უჩვენებს სასოფლო-სამეურნეო მუშების რაოდენობას. მასალის გამომცემელთა განცხადებით მუშათა რიცხვში მხოლოდ ის პირები არიან შეტანილნი, ვინც დაქირავებულ შრომას თავის მთავარ საქმიანობად თვლიდა. ისინი აღიარებენ, რომ დამოუკიდებელ გლეხ მეურნეთა შორის ბევრია ისეთი, რომელთათვისაც ქირაზე მუშაობა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროაა. რედაქცია იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღწერა ჩატარდა ზამთარში, როცა წარმოების ბევრი დარგი შეჩერებულია. ეს შენიშვნა განსაკუთრებით ეხება მიწათმოქმედებას, რომელიც ზამთარში თითქმის არ წარმოებს და ამიტომ ამ დარგის მეურნეობები ზამთრობით მხოლოდ მცირერიცხოვან მუდმივ მუშებს იტოვებდნენ, გაზაფხულ, ზაფხულ, შემოდგომაზე კი 3—4-ჯერ მეტ მუშებს ქირაობდნენ. ამიტომ არ შევცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ XIX—XX სს-ის მიჯნაზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 100 ათასამდე მუდმივი და სეზონური მუშა.

სოფლის მუშების ხელფასი საერთოდ მცირე იყო და განსხვავებული საქართველოს სხვადასხვა რაიონში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ცხრილს, რომელიც ასახავს 1899 წლის მდგომარეობას (იხ. ცხრ. 2).

---

[1] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г. XVI—Кутаисская губерния, გვ. 6—9, XIX—Тифлисская губерния, გვ. 6—9.

[2] Численность и состав рабочих в России. I, приложение I, გვ. 4—5; Распределение рабочих и прислуг по группам занятий, გვ.4—7.

ცხრილი 2

დამქირავებლის ხარჯზე (სმა-ჭამა) მყოფი ნუდმივი მუშების წლიური ხელფასი მანეთებში[1]

მაზრები	მამაკაცის	ქალის	ბავშვის
ახალქალაქის	33	16	13
ახალციხის	35	18	14
ბორჩალოს	54	38	17
გორის	63	28	18
დუშეთის	55	25	25
სიღნაღის	78	35	12
თელავის	67	38	21
თბილისის	57	12	14
თიანეთის	51	25	17
საშუალოდ თბილისის გუბერნიაში	55	26	16
ზუგდიდის	52	22	24
ქუთაისის	69	—	37
ლეჩხუმის	75	30	12
ოზურგეთის	66	23	26
რაჭის	77	11	14
სენაკის	58	41	15
შორაპნის	61	35	24
საშუალოდ ქუთაისის გუბერნიაში	65	27	22

მოტანილი ცხრილი ერთი შეხედვით ეჭვს იწვევს. ჩვეულებრივ, ხელფასი იქ უფრო მაღალია, სადაც მეტია მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე და პირუკუ. საქართველოში ეს კანონი თითქოს რამდენადმე დარღვეულია, მაგრამ ამის მიზეზის დადგენა ძნელი არ არის. დასავლეთ საქართველოს გაღატაკებულმა გლეხობამ გამოცდილებით იცოდა, რომ ადგილზე შედარებით ძნელი იყო სამუშაოს შოვნა და ამიტომ საშოვარზე მიდიოდა სხვა მხარეებში. ეს გასვლა დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში ჩვეულებად იქცა და ხშირად ისე ბევრი გადიოდა, რომ ადგილზე საგრძნობი ხდებოდა მუშახელის ნაკლებობა, რაც იწვევდა სამუშაო ქირის აწევას. ზემომოტანილი მასალის მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი ყოფილა თანმიმდევრობით — რაჭის, ქუთაისის, სიღნაღის, ოზურგეთის, სენაკის, ლეჩხუმის, გორის, ბორჩალოსა და სხვ. მაზრებში. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში ხელფასს დაბლა სწევდნენ სპარსეთიდან შემო-

[1] Сельскохозяйственный обзор по Закавказья за 1909 год, გვ. 154—155.

სული მუშები, რომელთა განვითარების დონე და მოთხოვნილება გაცილებით დაბალი იყო საქართველოს მუშათა კლასთან შედარებით.

სოფლის პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, რომელნიც ძირითადად დაქირავებული შრომით ცხოვრობდნენ, თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდნენ სამრეწველო მუშებისაგან. ის გარემოება, რომ სოფლის პროლეტარებს მიწის მცირე ნაკვეთები ჰქონდათ, არაფერს არ ცვლიდა მათს სოციალურ ბუნებაში. „სოფლის ამ წვრილ მეურნეთ, როგორც საქონლის — სამუშაო ძალის გამყიდველთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ყველა არსებითი ინტერესი საერთო აქვთ სამრეწველო პროლეტარიატის ინტერესებთან"[1]. სოფლის პროლეტარები, რომელნიც სისტემატურად დადიოდნენ სამუშაოდ სამრეწველო ცენტრებში, პრაქტიკულად ახორციელებდნენ კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, აქტიურად მონაწილეობდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

§ 2. მრეწველობის განვითარება[2]

საქართველოს სამრეწველო განვითარება 70—80-იან წლებში განპირობებული იყო ბურჟუაზიული რეფორმების გატარებითა (1864—1875 წწ.) და ფართო სარკინიგზო მშენებლობით.

საგლეხო რეფორმამ და XIX ს-ის მეორე ნახევარში სოფლად მიმდინარე სოციალ-ეკონომიურმა ძვრებმა (გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის და, ამდენად, უშუალო მწარმოებლის წარმოების საშუალებათაგან გამოცალკევების პროცესის გაღრმავებამ) რამდენადმე შეასუსტა წინააღმდეგობა წარმოებით ურთიერთობებსა და საწარმოო ძალთა განვითარებას შორის, მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნა თავისუფალი მუშახელით.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 169.

[2] რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს: კერძოდ, აღსანიშნავია შემდეგი შრომები: პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ. 1941; Ш. К. Чхетиа, Тбилиси в XIX столетии, 1865-ые годы. тб. 1942; ა. კიკვიძე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1945, მისივე, საქართველოს ისტორია (XIX საუკ). თბ., 1954; ნ. ტყეშელაშვილი ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან 1864—1920 წწ, თბ., 1958, Г. К. Бакрадзе Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., тб, 1958, ნ. როდონაია, თბილისის მრეწველობა მე-19 ს. მეორე ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა), თბ., 1961; ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში (დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება), თბ., 1966 და სხვ.

ქვემოთ, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების გაშუქებისას, ძირითადად ვემყარებით ჩვენს დასახელებულ ნაშრომს, სადაც გათვალისწინებულია ჩამოთვლილ ავტორთა შრომებიც.

სარკინიგზო მშენებლობა თავისთავად იწვევდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების აღმოცენებას, ხელს უწყობდა ზოგიერთი მათგანის შემდგომ გაფართოებას (ხე-ტყის დამუშავება, ლითონის დამუშავება), მეორე მხრივ, რკინიგზა თავისი დამხმარე წარმოებით (რკინიგზის სახელოსნოები, დეპო და სხვ.) თვით იქცა მსხვილ სამრეწველო ობიექტად; რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში. შედარებით გაადვილდა უცხოეთიდან და რუსეთიდან მანქანების შემოტანა, გადაიჭრა მანქანური წარმოების ენერგეტიკული ბაზის საკითხიც (ბაქოს ნავთობის შემოზიდვა, რუსეთის და ადგილობრივი — ტყიბულის ქვანახშირის დანიშნულების ადგილზე მიზიდვა). არსებითად რკინიგზის გაყვანის შედეგს წარმოადგენს ბათუმის სამრეწველო ქალაქად გადაქცევა, სადაც ეწყობა ბაქოს ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული მსხვილი წარმოება.

მაგრამ, მიუხედავად მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესისა, საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების პარალელურად კვლავ განაგრძობს არსებობას მრეწველობის მარტივი ფორმები, რომელნიც ეგუება ახალ პირობებს.

დამმუშავებელი მრეწველობა

წვრილი საქონლური წარმოების ევოლუცია. გლეხის ოჯახში პირადი მოხმარების საგნების დამზადებას საქართველოში მთელი XIX ს-ის მეორე ნახევრის მანძილზე ვხვდებით. ადგილი ჰქონდა ასეთი ნაწარმის, განსაკუთრებით შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, გასაყიდად გამოტანასაც, მაგრამ, ქვეყანაში შექმნილი პირობების გამო, კერძოდ, უცხოეთიდან და რუსეთიდან დიდი რაოდენობით მზა პროდუქციის შემოტანასა და აგრეთვე ადგილობრივი მსხვილი წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით (მაგ., ტექსტილური წარმოება) ოჯახური მრეწველობის შესაბამისი დარგები განიცდის შემდგომ დაცემას. თანამედროვეთა დაკვირვებით, სოფლური ნაწარმის დამზადება ძირითადად ხდებოდა „საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად". მართალია, ასეთი ნაწარმის გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით კი შალის ქსოვილები) მზადდებოდა გასაყიდადაც და ხშირად საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა, მაგრამ მათი დამზადების წესი მეტად პრიმიტიული იყო. სოფლური ნაწარმის დამზადება ძირითადად ქალის ხელში იყო და სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისაგან თავისუფალ დროს. ამ წარმოებას „არ ჰქონდა არც გარკვეული სახე და არც გარკვეული ორგანიზაცია" და, ამდენად, პროფესიას არ წარმოად-

გენდა სიტყვის ნამდვილი გაგებით[1]. მაშინაც კი, როცა პროდუქცია მზადდებოდა გასაყიდად, შეძენილი ნედლეულისაგან, როგორც წესი, წარმოების მიზანი იყო არა მოგების მიღება, არამედ გლეხის ოჯახის საარსებო წყაროს შევსება, ე. ი. არა საცვლელი, არამედ სახმარი ღირებულების შექმნა.

საქონლური წარმოების განვითარება საქართველოს სოფელში წარიმართა არა საოჯახო მრეწველობის კაპიტალისტურად გარდაქმნის, არამედ ხელოსნობის განვითარებისა და წვრილ საქონლურ წარმოებაში გადაზრდის გზით. XIX ს-ის მეორე ნახევარში ხელოსნობის წვრილ საქონლურ წარმოებად გადაქცევის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ხელოსანი, როგორც წესი, ბაზრისათვის მწარმოებლად იქცევა. ეს განსაკუთრებით თბილისის და სხვა ქალაქების ხელოსნებზე ითქმის, მაგრამ ანალოგიური მოვლენა სოფლადაც შეიმჩნევა.

80-იანი წლების შუა ხანების მონაცემებით, საქართველოს ქალაქებში სულ 4000-ზე მეტი სახელოსნო იყო, აქედან ნახევარზე მეტი (2175) თბილისზე მოდიოდა. ამ სახელოსნოებიდან ისეთები, სადაც ოსტატი მარტო, ან 1 მუშის დახმარებით მუშაობდა, შეადგენდნენ აბსოლუტურ უმრავლესობას (3150-მდე), 78%-ს. 2—4-მუშიანი სახელოსნოების რაოდენობა 850-მდე აღწევდა და საერთო რაოდენობის 21%-ს უდრიდა, ხოლო 5—8 მუშიანისა (32) — 1%-ზე ნაკლებს.

რაც შეეხება სოფელს, იქ იყო სულ 1710 სახელოსნო. აქედან უწვრილესი (ე. ი. უმუშოდ ან 1 მუშით) — 1 570, ანუ 92%[2].

მართალია, წვრილი საწარმოები დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგრამ „ხელოსნურ“ წარმოებაში XIX ს-ის მეორე ნახევარში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ძვრები — ხელოსნები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ბაზარს, ე. ი. ხდებოდნენ საქონელმწარმოებლებად. 80-იანი წლების შუახანების აღწერილობაში წვრილ მეწარმეთა უმრავლესობის შესახებ პირდაპირ არის მითითებული: „მისდევს ხელოსნობას და ვაჭრობს საკუთარი ნაწარმით თავისივე დუქანში“. ამის საფუძველზე აღნიშნული საწარმოები შეიძლება მივაკუთვნოთ დაქსაქსულ წვრილ საქონლურ წარმოებას, ხოლო მათი პატრონები წვრილბურჟუაზიულ ფენას.

ამ დროისათვის საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ვაჭარ-შემსყიდველებიც, რაზედაც მიუთითებს ქალაქებში ხელოსნური ნაწარმით ვაჭრობისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული მაღაზიების არსებობაც. მაგალითად, ქუთაისში არსებობდა მე-2 გილდიის ვაჭრის არტემ აგიანო-

---

[1] იხ. С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифл., 1888, გვ. 66—71.

[2] ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება..., გვ. 85—89.

ვის მაღაზია, სადაც იყიდებოდა თბილისის, ახალციხის და ქუთაისის ხელოსნების მიერ დამზადებული მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელი. ასეთივე მაღაზიები იყო განკუთვნილი ტანისამოსით, თიხის ჭურჭლით, ავეჯითა და სხვა ნაწარმით ვაჭრობისათვის.

მეორე მხრივ, XIX ს-ის მეორე ნახევარში სოფლად შეიმჩნევა სახელოსნოების კონცენტრაცია ცოტად თუ ბევრად მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო სოფლებსა და დაბებში. ასე მაგ., 80-იანი წლების შუახანების მონაცემებით სოფლად არსებული 1 710 სახელოსნოდან 325 თავმოყრილი იყო 59 სოფელში. თითოეულში სახელოსნოთა რიცხვი 10-ს არ აღემატებოდა, 215 სახელოსნო — 15 სოფელში (11-დან 20-მდე სახელოსნოთი), 360—11 სოფელში (21—40 სახელოსნოთი), 510—10 სოფელში (41—80 სახელოსნოთი) და ბოლოს 300 სახელოსნო 3 დაბაში. უკანასკნელნი წვრილი საქონლური წარმოების მასშტაბებით აღემატებოდნენ ზოგიერთ ქალაქსაც კი[1].

ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია შედარებით მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო სოფლებსა და დაბებში სოფლის ხელოსნობაში მომხდარი ცვლილებების მაჩვენებელი იყო. თუკი აქამდე ხელოსნობა წარმოადგენდა მიწათმოქმედების დამატებას, ამიერიდან ხელოსანი იქცეოდა საქონელმწარმოებლად. იგი მომსახურებას უწევდა არა მარტო ერთ სოფელს, არამედ მთელ მაზრას, მთელ რაიონს.

1893 წლის მონაცემებით თბილისის გუბერნიაში 3 750-მდე წვრილი სახელოსნო იყო. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 40-იანი წლებიდან თანდათან მატულობს ახლად დაარსებულ სახელოსნოთა რიცხვი. ასე მაგ., 40-იან წლებში დაარსდა 60-მდე სახელოსნო, 50-იანი წლების განმავლობაში — 170, 60-იან წლებში — 340, 70-იან წლებში — 840, 80-იან წლებში 1450 და 1890—1893 წლებში — 890 სახელოსნო[2]. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სახელოსნოთა რაოდენობა საერთოდ ასეთი სწრაფი ტემპით არ იზრდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძველი ტრადიციული ხელოსნობის ადგილს იჭერდა წვრილი საქონლური წარმოება, რომელიც მეტად იყო შეგუებული ცხოვრების ახალ პირობებთან როგორც შრომის ორგანიზაციის ფორმებით, ასევე ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებათა და გემოვნებისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით.

შუასაუკუნეობრივი წვრილი საქონლური წარმოებისაგან განსხვავებით (ბაზრისთვის მომუშავე ხელოსნები), რომელიც დაქვემდებარებული იყო ფეოდალური წესებისა და, კერძოდ, ამქრულ რეგლამენტაციისადმი, ახალ პირობებში საქმე გვაქვს თვისობრივად სულ სხვა ხასიათის წვრილი საქონლური წარმოების შემდგომ განვითარებასთან, რომელსაც კაპიტა-

---

[1] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება..., გვ. 89—90.

[2] იქვე, გვ. 98—103.

ლისტურში გადაზრდის ტენდენცია ჰქონდა. სწორედ ასეთი სახელოსნოებიდან იქმნება ჩვენში კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმოები.

ამქრული ხელოსნობის დაშლის ბაზაზე წვრილი საქონლური წარმოების გაფართოება, წვრილ საქონელმწარმოებელთა გამრავლება მოასწავებდა ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენის ზრდას, რასაც ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში ჰქონდა ადგილი.

თბილისის სახელოსნოთა შესახებ 80-იანი წლების (1886—88 წწ.) და 1893 წლის მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ საერთოდ მათ რიცხვში უმნიშვნელო ცვლილებების მიუხედავად (1888 წელს — 2 175, 1893—-2000-მდე), რამდენადმე შემცირდა უწვრილეს სახელოსნოთა რიცხვი (1888 წელს — 1 700, 1893 წელს — 1 420). ამავე დროს 2,5-ჯერ იზრდება 2-მუშიანი სახელოსნოების რიცხვი (1888 წ. — 130, 1893 წელს—345). თუმცა 3—4-მუშიან საწარმოთა რიცხვი მცირდება (1888 წ.— 320, 1893 წ.—180), მაგრამ 2-ჯერ და მეტად იზრდება 5 და მეტი მუშიანი სახელოსნოების რიცხვი (1888 წ. — 23, 1893 წ. — 54)[1].

ამრიგად, უწვრილესი სახელოსნოები ან ქრებიან ან გადადიან უფრო მსხვილ (მაგ., 2-მუშიან) სახელოსნოთა რიგში, რომელნიც, ჩანს, მეტ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებენ. მართალია, არა მარტო 2 მუშის, არამედ 3—4 მუშის ექსპლოატაცია, სახელოსნოს პატრონს იმდენ შემოსავალს არ აძლევდა, რომ იგი პირადად განთავისუფლებულიყო შრომისაგან, მაგრამ აქაც ზოგ შემთხვევაში იქმნებოდა ერთგვარი ზედმეტი ღირებულება, რომელიც ხელსაყრელ ვითარებაში წარმოადგენდა წარმოების გაფართოების საწინდარს.

აღსანიშნავია, რომ შედარებით მსხვილ (3—4-მუშიან) სახელოსნოთა გაფართოების ხარჯზე იზრდება 5 და მეტი მუშიანი საწარმოების რიცხვი. მაგრამ არც ეს კატეგორია იყო მყარი. გაფართოების შემდეგ, რიგ დარგებში, სტატისტიკა მათ უკვე აღარ განიხილავდა, როგორც ხელოსნურ საწარმოებს, არამედ მიაკუთვნებდა „ფაბრიკულ-ქარხნულ“ წარმოებას, თუმცა უმეტესწილად, არსებითად, ისინი ეკუთვნოდნენ კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას, ანდა ზოგჯერ, შრომის დანაწილების შემოღების შემთხვევაში, მანუფაქტურას[2].

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ XIX ს-ში „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფ-

---

[1] ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება..., გვ. 99—100 (მოცემულ ციფრებში შეტანილია ზოგიერთი დაზუსტება).

[2] იხ. პ. გუგუშვილი, საქართვ. და ამიერკავკ. ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს, ტ. V, თბ., 1962, გვ. 331—332.

რო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ, კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნისაკენ"[1].

წვრილი კაპიტალისტური წარმოების ზრდა. კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა. რეფორმის მომდევნო ხანაში, მიუხედავად უცხოური და რუსული საქონლის შემოზიდვის ზრდისა და აგრეთვე ადგილობრივ მსხვილ საწარმოთა აღმოცენებისა (ტყავის, საპნისა და ზეთსახდელი წარმოება, ლითონის დამუშავება, სახერხი წარმოება, არყის დამზადება და სხვ.), წვრილი საწარმოები კი არ წყვეტენ არსებობას, არამედ რიცხობრივად იზრდებიან კიდეც. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შინაური ბაზრის გაფართოებისა და სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში, წვრილი მწარმოებლები მაინც პოულობდნენ მომხმარებელს, ცდილობდნენ რა შეეფარდებინათ წარმოება ადგილობრივი მყიდველის გემოვნებისა და მოთხოვნილებისათვის.

80-იანი წლების შუახანებისათვის საქართველოში იყო 360-მდე წვრილი კაპიტალისტური საწარმო. ეს ციფრი შემცირებულია, რადგან ჩვენ არა გვაქვს ამ დროის ცნობები მთელი რიგი ისეთი დარგების შესახებ (მაგ., ფეხსაცმლის, ტანსაცმლის დამზადება), სადაც მსგავსი საწარმოების არსებობა აუცილებლად სავარაუდებელია. იმ საწარმოებში კი, რომლებზეც გვაქვს ცნობები, სულ 1 560-მდე მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1 200 ათას მანეთზე მეტს[2]. ეს იყო ათობით ლითონდამმუშავებელი (საზეინკლო, სამჭედლო), სახერხი, სადურგლო, აგურისა და კრამიტის, ტყავის, არყისსახდელი, საპნის, სანთლის, ზეთსახდელი, საამკინძაო, მინერალური წყლების, საკონდიტრო თუ სხვა სახის საწარმოები.

აღნიშნულ საწარმოთა ხასიათის გარკვევისათვის საყურადღებოა, რომ სახელოსნოებში ხშირად შეიმჩნევა ძირითად საწარმოო ინვენტარისა და დანადგარების (მაგ., ქურებისა — აგურის წარმოებაში, კასრებისა — ტყავის წარმოებაში, ქვაბებისა — საპნის წარმოებაში და სხვ.) რაოდენობის დამთხვევა მუშათა რიცხვთან. დაბალი ტექნოლოგიური დონის და წარმოების პრიმიტიული წესების არსებობის პირობებში, ვფიქრობთ, ამგვარი დამთხვევა უნდა მიუთითებდეს აღნიშნულ საწარმოებში შრომის ფართო განაწილების არარსებობაზე. ჩანს, როგორც წესი, ყველა საწარმოო ოპერაცია აქ ჯერ კიდევ სრულდებოდა თანამიმდევრულად ერთი და იმავე პირის მიერ.

საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში საწარმოს მეპატრონეები, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ კიდეც სათანადო კაპიტალი, არ ახდენ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 404.

[2] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება..., გვ. 213 (ცხრილი).

დნენ წარმოების კონცენტრაციას, კვლავ ინარჩუნებდნენ წვრილ საწარმოებს პრიმიტიული ტექნიკითა და წარმოების ჩამორჩენილი საშუალებებით. ამის მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მეპატრონეს ერთდროულად და, შესაძლოა, ერთმანეთის გვერდით, ჰქონდა აგურის ან სახერხი რამდენიმე წვრილი საწარმო, თუ პურის საცხობი.

მაგრამ, წვრილ საწარმოთა მასაში, მთელ რიგ დარგებში, გამოირჩეოდნენ ისეთებიც, სადაც ვხვდებით სხვადასხვა ტექნიკურ გაუმჯობესებას (მაგ., სხვადასხვა ხელის დაზგები ლითონისა და ხე-ტყის დამმუშავებელ წარმოებაში, სხვადასხვა სახის მარტივი აპარატურა ლუდის და არყის სახდელ წარმოებაში, ხელოვნური მინერალური წყლების დამზადებაში და სხვ.). გვხვდება წვრილი საწარმოები, სადაც გამოყენებული იყო ძრავა, რომელიც მოძრაობაში მოდიოდა წყლის ან ცხოველის ძალით. ასეთ საწარმოებში ხშირად სხვადასხვა სპეციალიზებული ხელსაწყო-იარაღების გამოყენებასთან დაკავშირებით და შრომის ტექნიკური პირობების ერთგვარი სირთულის გამო, მუშახელის მინიმალური რაოდენობის არსებობისას, იგულისხმება შრომის განაწილების დანერგვაც, ანუ მანუფაქტურულ წარმოებაზე გადასვლა, ხოლო მექანიკურ და ორთქლის ძრავის გამოყენების პირობებში, ფაბრიკული წარმოების დანერგვაც.

XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში საკმაოდ იყო ისეთი წვრილი საწარმოები, სადაც მიუხედავად მუშათა მცირე რაოდენობისა, არსებობდა სხვადასხვა მექანიკური დანადგარები და ხშირად ორთქლის ძრავაც კი (მაგ., წვრილი სახერხი „ქარხნები"). ასეთი საწარმოების მიკუთვნება მრეწველობის ამა თუ იმ ფორმისადმი ძნელდება.

ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამოყენება წვრილ საწარმოებში, მუშათა მცირე რაოდენობის (3—4 კაცი) მიუხედავად, მეპატრონეს საშუალებას აძლევდა განთავისუფლებულიყო წარმოებაში მონაწილეობისაგან (მაგ., სახერხი „ქარხნები", ხელოვნური მინერალური წყლების თუ ლუდის დამზადება და სხვ.), მეორე მხრივ, ზოგიერთ დარგში (მაგ., პურის საცხობებში, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის სახელოსნოებში), სადაც ხელით შრომა ბატონობდა, მუშათა მეტი რაოდენობა (8 კაცამდე) ხშირად არ იძლეოდა ასეთ შესაძლებლობას.

როგორც აღნიშნული იყო, წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა ნაწილი წარმოიქმნებოდა სახელოსნოების გაფართოების გზით. სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების თუ თავადაზნაურობის წრიდან გამოსულ პირთა მიერ დაარსებულ წვრილ საწარმოთა პროცენტი დიდი არ იყო. წვრილი კაპიტალისტური წარმოების გადაზრდა მსხვილში, საწარმოთა შემდგომი გაფართოების გზით, შრომის დანაწილების შემოღებითა და შემდეგში მანქანური ტექნიკის დანერგვით, საქართველოსათვის საერთოდ არ იყო დამახასიათებელი (ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა

ლითონდამმუშავებელი საწარმოები, ლუდის ზოგიერთი საწარმო და სხვ.). მსხვილი კაპიტალისტური წარმოება ვითარდებოდა უპირატესად სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა მიერ შედარებით მსხვილ საწარმოთა დაარსების გზით. გარკვეული წილი ამ საქმეში ჰქონდათ მსხვილ მოხელეებსა თუ თავადაზნაურობის წარმომადგენლებსაც, რაშიც მათ არცთუ იშვიათად ხაზინა უწევდა დახმარებას.

რეფორმის მომდევნო ხანაში ხელით შრომაზე დამყარებული შედარებით მსხვილი საწარმოები, მიუხედავად მანქანური ტექნიკის განვითარებისა, არამცთუ წყვეტენ არსებობას, არამედ ამ დროს არსდება არაერთი ახალი ასეთი საწარმო. ასეთები იყო, მაგალითად, თბილისში მთელი რიგი ლითონდამმუშავებელი საწარმოებისა, სადაც 80-იანი წლების შუახანებში ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენებოდა ხელის დაზგები და იარაღები. არსებითად მანუფაქტურული საწარმო იყო თავდაპირველად რკინიგზის მთავარი სახელოსნოები თბილისში, სადაც აღნიშნული დროისათვის 1 000-მდე მუშა იყო დასაქმებული. მსგავს საწარმოთა რიგს ეკუთვნოდა ბათუმის ზოგიერთი „ქარხანა", სადაც ნავთის გადასაზიდად მზადდებოდა თუნუქის ბიდონები და ხის ყუთები ბიდონებისათვის, თამბაქოს „ფაბრიკები", რამდენიმე პოლიგრაფიული საწარმო და სხვ. 80-იანი წლების შუახანებში საქართველოში ითვლებოდა სულ 30-მდე მანუფაქტურული საწარმო. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ცნობა აქ არსებულ ისეთ ლითონდამმუშავებელ, ფეხსაცმლებისა თუ სამკერვალო საწარმოებზე, რომელთა მიკუთვნება შეიძლებოდა მანუფაქტურული წარმოებისადმი. ამდენად ეს ციფრი არაზუსტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ მანუფაქტურული ტიპის საწარმოებში დასაქმებულ მუშათა რაოდენობას (2187) და პროდუქციის ღირებულებას (2475 ათასი მან.), დავრწმუნდებით, რომ მანუფაქტურული წარმოება ამ დროისათვის აღწევს თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს[1]. XIX ს-ის მიწურულს მხოლოდ რამდენიმე ასეთი საწარმო შემორჩა.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება. შინაური ბაზრის ზრდისა და საქართველოს საერთო რუსულ და მსოფლიო ბაზარში ჩართვის შედეგად, რეფორმისშემდგომ ხანაში, განსაკუთრებით კი 80—90-იან წლებში, მანქანური წარმოება თანდათან მოიცავს საქართველოს მრეწველობის თითქმის ყველა წამყვან დარგს, რის შედეგადაც ხდება მანუფაქტურისა და წვრილი კაპიტალისტური წარმოების ხვედრითი წონის დაცემა.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება საქართველოში ვითარდება ნაწილობრივ რეფორმამდე არსებულ საწარმოთა შემდგომი გამსხვილების, ამ

---

[1] ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება..., გვ. 213.

საწარმოებში მანქანური ტექნიკის დანერგვის გზით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში ახალი ფაბრიკული საწარმოების დაარსებით. ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში ადრე არსებული ზოგიერთი სახელოსნოს გაფართოებასთან ერთად (ასეთი იყო მაგ., რუქსის სახელოსნო, რომელიც წარმოადგენს მაგალითს წვრილი წარმოებიდან ფაბრიკაზე გადასვლისა), საფუძველი ეყრება მთელ რიგ ახალ საწარმოებს. 80-იანი წლების დასაწყისში დაარსდა მაგ., რენკვისტის თუჯსასხმელი საწარმო, ხოლო 80-იანი წლების მიწურულიდან, ერთ-ერთი წვრილი მექანიკური სახელოსნოს ბაზაზე, იქმნება პოპოვიჩის მსხვილი ლითონდამმუშავებელი ქარხანა.

ლითონდამმუშავებელი ქარხნების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისში. აქ 90-იანი წლების მიწურულსა და 900-იანი წლების დასაწყისში გამოირჩეოდნენ იარალოვის, კარაპეტოვის, ბერეჟანოვის, ანანოვის, პოპოვიჩის და რუქსის მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხნები. მუშათა რაოდენობა ამ საწარმოებში 300-ს აღემატებოდა, პროდუქციის ღირებულება კი 316 ათას მანეთს შეადგენდა.

მექანიკური საწარმოები იყო ამ დროს ბათუმშიც. 1900 წლისათვის აქ არსებულ 2 თუჯსასხმელ და მექანიკურ ქარხანაში 125 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 140 ათას მანეთს შეადგენდა. აქვე იყო ლურსმნების და მავთულების დამამზადებელი უფრო მომცრო საწარმოც. აღნიშნული ქარხნები ემსახურებოდა ნავთის ტარის დამამზადებელ წარმოებას, თუმცა, ზოგიერთ თუნუქის ბიდონისა და ხის ყუთების მსხვილ ქარხანაში, დამოუკიდებლად არსებობდა მექანიკური საამქროებიც.

90-იან წლებში თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა მასშტაბების ზრდასთან ერთად, ხდება თვისობრივი ხასიათის ცვლილებებიც თვით წარმოებაში. გარდა იმისა, რომ გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს მანქანური წარმოება, აქ თანდათან ინერგება თვით მანქანების ან მანქანის ნაწილების დამზადებაც. თუ 80-იანი წლების შუახანებში ს. გულიშამბაროვს საფუძველი ჰქონდა ეთქვა, რომ ამ დროს თბილისში არსებითად არ იყო მექანიკური ქარხნები (რადგან ჯერ არ მზადდებოდა არც ორთქლის ქვაბები და არც რამდენადმე რთული კონსტრუქციის მანქანები[1]), 90-იან წლებში ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული. ნაწილი ორთქლის ქვაბებისა, 90-იანი წლების შუახანებიდან თბილისის ზოგიერთ საწარმოში რომ დაიდგა, დამზადებული იყო პოპოვიჩის ან სხვა თბილისელ კაპიტალისტების ქარხნებში[2].

900-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისის ლითონდამმუშავებელი ქარხნები ფართო ასორტიმენტის პროდუქციას იძლეოდა. აქ უკვე ხდებოდა სხვადასხვა მანქანის, ლითონისა და ხის დამმუშავებელი დაზგე-

---

[1] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов..., გვ. 184.
[2] ნ. როდონაია, თბილისის მრეწველობა,.., გვ. 86—87.



ბათუმის როტშილდის ქარხანა.

ბის, ორთქლის ქვაბების, ტურბინების და წყლის ძრავების დამზადება, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის — ზეთსახდელი თუ სხვა მანქანების წარმოება[1].

მიუხედავად ამისა, მანქანათმშენებლობის დარგი საქართველოში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა. საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობის დიდი ნაწილი გარედან (უცხეთიდან, რუსეთიდან და ნაწილობრივ ბაქოდან) შემოდიოდა[2].

თბილისის უმსხვილესი საწარმო იყო 1883 წელს დაარსებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც 90-იან წლებში ხდება წარმოების ძირითადი პროცესების მექანიზაცია. 1900 წლისათვის აქ წარმოების ძირითადი პროცესების რამდენიმე მსხვილი საამქრო შეიქმნა: ამწყობი, საქვაბე, სახარატო, ჩამომსხმელი, სამჭედლო, სამღებრო, რონოდებისა და სადურგლო. სხვადასხვა დაზგისა და დანადგარის რაოდენობა მარტო სახარატო საამქროში 1901 წლისათვის 270-მდე აღწევდა. წარმოებდა ახალი დეტალებისა და ნაწილების დამზადებაც. 1900 წლისათვის სახელოსნოებში ირიცხებოდა სულ 2 265 მუშა, დეპოში 180 მემანქანე, მემანქანის თანაშემწე და სხვა მომსახურე პერსონალი[3].

---

[1] ЦГИА СССР, ф. 22, оп. 2, д. 2927.

[2] Г. Бакрадзе, Возникновение и развитие..., გვ. 188.

[3] სსცია, ფ. 17, საქ. 4403, ფურც. 67; Г. Бакрадзе, Возникновение и развитие..., გვ. 191—195.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების განვითარების მასშტაბებით ყურადღებას იქცევს ბათუმის მრეწველობა, რომელსაც საფუძველი ეყრება 80-იანი წლებიდან ბაქოს ნავთის ექსპორტის ორგანიზაციასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1883 წ. ინჟინრებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ დააარსეს „კასპია-შავიზღვის ნავთის დამმუშავებელი და სავაჭრო საზოგადოება“, რომელიც 1886 წლიდან გადავიდა როტშილდის პარიზის ფირმის ხელში. ამ დროისათვის ნავთობის ექსპორტისათვის გათვალისწინებული თუნუქის ბიდონებისა და მათი ჩასაწყობი ხის ყუთების დამამზადებელ ქარხანაში, რომელიც ამ ფირმას ეკუთვნოდა, მუშაობდა 469 მუშა. წელიწადში ქარხანა აწარმოებდა 2 800 ათას ცალ ნავთის ტარას. 1885 წ. გაიხსნა კიდევ ორი ქარხანა — სიდერიდისისა და რიხნერის. ამ უკანასკნელშიც 1885 წლის მონაცემებით ორთქლის ძრავა მოქმედებდა. მუშათა რაოდენობა აქ 30-ს აღწევდა. 1887 წ. დაარსდა ხაჩატურიანცის, მანთაშევის, ძმების ცოვიანოვების ქარხნები და რამდენიმე წვრილი სხვა საწარმო. 1889 წლიდან რიხნერის ქარხანა გადავიდა მანთაშევის ხელში.

90-იან წლებში ბათუმის ყველა მნიშვნელოვანი საწარმო მექანიზებული იყო. 1900 წლისათვის აქ მოქმედებდა ნავთის ტარის 5 მსხვილი ფირმის ქარხნები: კასპია-შავიზღვის საზოგადოების (როტშილდის), მანთაშევის, ხაჩატურიანცის (რომელიც ნობელის ფირმისათვის ამზადებდა ნავთის ტარას), ცოვიანოვების და სიდერიდისის. გარდა თუნუქის და ხის ყუთების დამამზადებელი საამქროებისა, ამ ფირმებს ჰქონდათ მექანიკური სახელოსნოები, სახერხი საწარმოები, სამანქანო და საქვაბე განყოფილებანი და სხვ.

XIX ს-ის მიწურულს მუშათა რიცხვი ამ საწარმოებში 2 ათასს აღემატებოდა. პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 7,4 მილიონ მანეთამდე აღწევდა. 1898 წლის ცნობებით ბათუმში დამზადდა სულ 22 მილიონზე მეტი თუნუქის ყუთი და მათ ჩასაწყობად 11 მილიონზე მეტი ხის ყუთი. ბიდონების საშუალებით ამ დროისათვის წლიურად გაჰქონდათ 20 მილიონამდე ფუთი ნავთი.

1900 წლისათვის ბათუმის საწარმოებში, სადაც არა მარტო ნავთის ტარა მზადდებოდა, არამედ წარმოებდა ნავთის გადასხმა გემებზე საქაჩავების მეშვეობით, 17 ორთქლის მანქანა მოქმედებდა 653 ცხენის ძალის სიმძლავრისა, ორთქლის ქვაბი იყო 48 (1736 ცხენის ძალისა). აქვე მოქმედებდა 13 დინამომანქანა. სხვადასხვა დაზგისა და აპარატის რაოდენობა ათასს აჭარბებდა, ხოლო ორთქლის საქაჩავების რიცხვი 73-ს შეადგენდა. რამდენიმე საწარმოში შემორჩენილი იყო მხოლოდ თხუთმეტიოდე ხელის საქაჩავი. 172 რეზერვუარი და კასრი 17 მილიონ ფუთზე მეტ ნავთობს იტევდა. ყველა მსხვილ ფირმას ჰქონდა საკუთარი სარკინიგზო ხაზი, რომლითაც ქარხნები რკინიგზის მაგისტრალს უკავშირდებოდა. ზო-

გიერთ ფირმას, რომელიც მარტო ნავთის გადასხმას აწარმოებდა, ჰქონდა ხის კასრების საამქროები.

საყურადღებოა, რომ 90-იან წლებში არსებობდა წვრილი ფირმებიც, რომელთაც თანდათან შეწყვიტეს მოქმედება (1898 წლიდან — მესროპოვისა და სამხრეთ რუსეთის ბანკის, ხოლო 1900 წლიდან — გრამატიკოპულოსი და რიხნერისა). აღნიშნული ფაქტი მოწმობს წარმოების კონცენტრაციას შედარებით მსხვილი ფირმების ხელში.

1900-იანი წლებიდან, განსაკუთრებით რევოლუციური აზვირთების პერიოდში, ბათუმის ნავთის ტარის წარმოება თანდათან იკვეცებოდა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკული და სხვა ქვეყნების ნავთის კონკურენციამ[1].

70-იანი წლებიდან იწყება ორთქლის ძრავას ფართო გამოყენება ხეტყის სახერხ წარმოებაში. 70-იანი წლების მეორე ნახევარში დაარსდა თბილისის 5 უმსხვილესი სახერხი ქარხანა, ხოლო 80-იანი წლების შუახანებში კიდევ 2 ქარხანა. ამ ქარხნებში ამ დროისათვის სულ 96 მუშა ითვლებოდა, პროდუქციის ღირებულება 200 ათას მანეთს აღემატებოდა. 80-იანი წლების შუახანებშივეა დაარსებული დიდი მთავრის ბორჯომის მამულის ანუ საუფლისწულო უწყების ქარხანა სოფ. გომში, ზეზემანის და ქართველიშვილისა სოფ. ხანდისსა და ატენში. სამივე ქარხანაში 75 მუშა ითვლებოდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 70 ათას მანეთს შეადგენდა (ხე-ტყის დამზადებაში ამავე დროს გაცილებით მეტი მუშა იყო დასაქმებული).

90-იან წლებში როგორც თბილისში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებსა და ზღვისპირა პუნქტებში არსებობდა არაერთი სახერხი საწარმო, სადაც ორთქლის ძრავას იყენებდნენ, მაგრამ ამ საწარმოთა დიდი ნაწილი, წარმოების უმნიშვნელო მასშტაბებისა და მუშათა სიმცირის გამო, წვრილ წარმოებას განეკუთვნებოდა. მათი არსებობა მსხვილი სახერხი ქარხნების გვერდით, აიხსნებოდა ხე-ტყის მასალაზე დიდი მოთხოვნილებით. 1900 წლისათვის თბილისში მოქმედებდა შედარებით მსხვილი 7 სახერხი ქარხანა. ამათგან ორი 90-იან წლებში იყო დაარსებული, ხოლო ერთი — 1900 წელს. მუშათა რაოდენობა ამ ქარხნებში 134-ს უდრიდა, პროდუქციის ღირებულება კი 434 ათას მანეთს.

თბილისის გუბერნიის საწარმოებიდან ამ დროისათვის აღსანიშნავია საუფლისწულო უწყების ქარხანა ბორჯომის მამულში და ზეზემანის ქარხანა ატენში. ორივე საწარმოში 70-მდე მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 210 ათას მანეთს შეადგენდა. ქუთაისის გუბერნიაში 1900 წლისათვის არსებული სახერხი ქარხნებიდან გამოირჩეოდა სერებ-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 23, оп. 17, д. 533, лл. 314 — 1319; ф. 1263, оп. 2, д. 5453, лл. 216—362.

რიაკოვის ქარხანა სოფ. მარანში (სენაკის მაზრა) და მაქსიმოვის მემკვიდრეებისა სოფ. აძიუბჟაში (სოხუმის ოლქი). მუშათა რაოდენობა ამ საწარმოებში 160-ს უდრიდა (აქ არ იგულისხმება ხე-ტყის დამზადებაში ჩაბმული მუშები), ხოლო პროდუქციის ღირებულება 600 ათას მანეთს აღემატებოდა.

90-იანი წლების განმავლობაში წარმოების ფაბრიკული ფორმა ფეხს იკიდებს აგურის წარმოებაშიც. 90-იანი წლებისათვის თბილისში იყო აგურის 4 მსხვილი ქარხანა, სადაც არსებობდა გოფმანის სისტემის უწყვეტადმოქმედი ღუმელი. ზოგიერთ მათგანში ვხვდებით აგურისმკეთებელ მანქანებსაც კი. აღნიშნულ ქარხნებში სულ 100-ზე მეტი მუდმივი მუშა მუშაობდა, პროდუქცია 100 ათას მანეთამდე აღწევდა. აგურის საწარმოთა უმრავლესობა წვრილ ხასიათს ატარებდა, თუმცა თითქმის ყველგან ვხვდებით ორთქლის ქვაბების გამოყენებას მფრქვევანებისათვის, რაც წარმოების თხიერ საწვავზე გადასვლასთან იყო დაკავშირებული.

90-იან წლებში ამოქმედდა ბერგმანების მინის ქარხანა ბორჯომში. თავდაპირველად (1897—1898 წწ.) იგი ინჟინერ ლიხაჩოვს ეკუთვნოდა. ქარხანა აგებული იყო მინის ნაწარმზე მზარდი მოთხოვნილების გამო და განსაკუთრებით ბორჯომის მინერალური წყლების ექსპლოატაციის მიზნით. ბერგმანებმა 90-იანი წლების დასასრულს სცადეს წარმოების გაფართოება და აქციონერული საზოგადოების შექმნა, მაგრამ ამ დროისათვის დაწყებული კრიზისის გამო ეს ვერ მოხერხდა. 1900 წლისათვის ქარხანაში 75 მუშა ითვლებოდა, პროდუქციის ღირებულება 112 ათას მანეთს შეადგენდა.

მინის მეორე ქარხანა, რომელიც მოქმედებდა ბორჩალოს მაზრაში 80-იანი წლების დასაწყისიდან ეკუთვნოდა კუჩენბახს. 1900 წლისათვის აქ 70-მდე მუშა ირიცხებოდა. პროდუქციის (ღვინის ბოთლები, წყლის ჭურჭელი, სააფთიაქო ჭურჭელი, ლამფის შუშები და სხვ.) ღირებულება 60 ათასამდე მან. აღწევდა.

70-იანი წლების დასაწყისში ამოქმედდა ერთ-ერთი მსხვილი საწარმო საქართველოში — გ. მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა თბილისში. 1880 — 1886 წლებში ეს საწარმო იჯარით ჰქონდა აღებული ფრანგ მეწარმეს რიშარს, ხოლო 1888 წლიდან გადავიდა კაპიტალისტ ჩითახოვის ხელში. 80-იანი წლების შუახანებში ფაბრიკაში 350 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება 500 ათას მანეთამდე აღწევდა. 900-იანი წლების მიწურულს აქ 400-მდე მუშაა ნაჩვენები, პროდუქციის ღირებულება კვლავ 500 ათას მანეთს შეადგენდა.

ტყავის ფაბრიკული დამუშავება ფართო მასშტაბით იწყება 1875 წლიდან თბილისში გრ. ადელხანოვის მიერ დაარსებულ ქარხანაში, სადაც ძირითადი საწარმოო პროცესები თავიდანვე მექანიზებული იყო. 1885 წლის

თბილისის ადელხანოვის ტყავის ქარხანა.

მონაცემებით მუშათა რაოდენობა აქ 170-ს უდრიდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 650 ათას მანეთს შეადგენდა. 90-იანი წლების შუახანებში ადელხანოვის მიერ დაარსებული აქციონერული საზოგადოება აერთიანებდა ტყავის ქარხანას, ქეჩის წარმოებას და ფეხსაცმლის ფაბრიკას. ტყავის დამმუშავებელ ქარხანაში 1900 წლისათვის 215 მუშა მუშაობდა.

ქარხნის პროდუქციის ღირებულება 750 ათას მანეთს აღემატებოდა. ქარხანა 1879 წელს დადებული კონტრაქტით ტყავის ნაწარმით ამარაგებდა კავკასიის ჯარებს. კონტრაქტი ითვალისწინებდა წლიურად 500 ათასი მანეთის პროდუქციის დამზადებას საინტენდანტო უწყებისათვის. პროდუქციის ნაწილი მოიხმარებოდა საკუთრივ ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ან საღდებოდა მთელ ამიერკავკასიასა და კასპიის იმიერ მხარეში. მოთხოვნილება ადელხანოვის ტყავის ნაწარმზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ტყავის ქარხანა ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა. ქარხანასთან არსებობდა ჩემოდნების და უნაგირების საწარმო, სადაც სულ 10 მუშა იყო დასაქმებული, ქარხანაში ორთქლის მანქანებთან ერთად ელექტროენერგიასაც იყენებდნენ ტყავის დასათრიმლავად.

ტყავის მეორე მსხვილი საწარმო თბილისში იყო 1892 წელს ზარგარიანცის და ვარტაზარიანცის მიერ დაარსებული ქარხანა. აქ 1900 წლი-

სათვის 84 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება 130 ათას მანეთს აღემატებოდა.

1889 წელს ადელხანოვმა ჯერ ტყავის ქარხანასთან გახსნა ტყავის დამუშავების შედეგად მონარჩენი ბეწვის დამმუშავებელი საამქრო, ხოლო 1892 წლიდან იგი ქეჩის დამმუშავებელ დამოუკიდებელ საწარმოდ აქცია. 1900 წლისათვის ქეჩის ფაბრიკაში 170 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება 325 ათას მანეთს შეადგენდა. იგი მთლიანად მექანიზებული იყო. ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკა ფართო ასორტიმენტის ნაწარმს ამზადებდა, დაწყებული უხეში ქეჩით (საამშენებლო საჭიროებისათვის), ნაბდის თუ მაუდის თხელ ქსოვილებამდე (ქალებისა და ოფიცრების ზედა ტანსაცმლისათვის). აქვე მზადდებოდა თბილი ფეხსაცმელი. ფაბრიკის ნაწარმი თითქმის მთლიანად რუსეთში საღდებოდა.

თამბაქოს გადამმუშავებელი წარმოება ეს ისეთი დარგია, სადაც შედარებით გვიან ინერგება ფართო მასშტაბით მანქანური ტექნიკა. თავდაპირველად აქ შემოდის თამბაქოს საჭრელი მექანიკური დაზგები, ხოლო უფრო გვიან, 90-იანი წლების მიწურულისათვის, პაპიროსის მკეთებელი მანქანებიც, თუმცა ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ ხერხდება მთელი პროცესების მექანიზაცია და ხელით შრომა კვლავ ფართო გამოყენებას პოულობდა. 1900 წლისათვის საქართველოში 7 შედარებით მსხვილი თამბაქოს ფაბრიკა იყო. აქედან ოთხი თბილისში (ა. ენფიანჯიანცის, ნ. ბოზარჯიანცის, აქციონერულ საზოგადოება „მირ"-ის და მ. საფაროვის მემკვიდრეებისა). ქუთაისში არსებული თამბაქოს მსხვილი ფაბრიკა ძმებს ფირალოვებს ეკუთვნოდათ, ხოლო ბათუმში ერთ-ერთი ფაბრიკა ბინიატოღლის საკუთრებას წარმოადგენდა, მეორე კი ა. ლევბერგისა („ტამარა"). აღნიშნულ საწარმოებში სულ 1 200-ზე მეტი მუშა მუშაობდა; პროდუქციის ღირებულება კი 2 მილიონ მანეთს აღემატებოდა. თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების თამბაქოს ფაბრიკების პროდუქცია, რომელიც უცხოურ (თურქულ) და ადგილობრივ (ამიერკავკასიის) ნედლეულისაგან მზადდებოდა, ფართოდ ვრცელდებოდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთშიც.

სპირტიანი სასმელების წარმოებას ფართო მასშტაბით რეფორმისშემდგომ ხანაში საფუძველი ეყრება ბორჯომთან ბახის მიერ 1877 წელს დაარსებული საწარმოთი, სადაც 29 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 161 ათას მანეთს აღემატებოდა. მაგრამ ამ საწარმომ დიდხანს ვერ იარსება. სპირტის და სპირტიანი სასმელების ფაბრიკული წარმოება მყარ საფუძველზე დგება 1884—1885 წლებში თბილისში დ. სარაჯიშვილის მიერ არყისსახდელი ქარხნის დაარსებით. 80-იანი წლების შუახანების მონაცემებით აქ 15 მუშა ითვლებოდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 200 ათას მანეთს აღემატებოდა.

90-იან წლებში სარაჯიშვილის წარმოების გვერდით თბილისში ჩნდება სოგომონოვისა და ხუბლაროვის სპირტიანი სასმელების ქარხნები. 1900 წლისათვის სამივე ამ საწარმოში 100-ზე მეტი მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება ოფიციალური მონაცემებით 1 174 ათას მანეთს აღემატებოდა. აქედან 600 ათასი მანეთის პროდუქცია სარაჯიშვილის წარმოებაზე მოდიოდა. გარდა თბილისისა, სარაჯიშვილს ქარხნები ჰქონდა ერევანში, ჩრდილოეთ კავკასიაში და მოლდავეთშიც კი. მისი წარმოება დიდი მასშტაბისა იყო. სარაჯიშვილის წარმოების პროდუქცია, განსაკუთრებით კონიაკი, გადიოდა არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთშიც, სადაც მას საკუთარი მაღაზიები ჰქონდა.

მრეწველობის კონცენტრაციის მაგალითს წარმოადგენს საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოება. თბილისში ადრევე (1872 წლიდან) არსებული ტოლეს საპნის და სანთლის საწარმო 1900 წელს ერთიანდება ტაიროვის და ალიხანოვის ასეთსავე საწარმოსთან. მათ ბაზაზე იქმნება ერთი აქციონერული საზოგადოება. წარმოებაში 1900 წლისათვის 57 მუშა იყო ჩაბმული. პროდუქციის ღირებულება 230 ათას მანეთამდე აღწევდა. შემდგომში ეს წარმოება კიდევ უფრო ფართოვდება. გარდა ამისა თბილისში იყო აგრეთვე საეკლესიო უწყების სანთლის ქარხანაც. 1900 წლისათვის აქ 23 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 100 ათას მანეთს აღემატებოდა.

ფაბრიკული წარმოების დანერგვა ხდება ლუდის დამზადებაშიც. ლუდის მსხვილი ქარხნები ადრიდანვე ეკუთვნოდა ვეტცელსა და მადერს. 1900 წლისათვის პირველში 50 მუშა ირიცხებოდა. პროდუქციის ღირებულება კი 150 ათას მანეთს შეადგენდა; მადერის საწარმო უფრო მომცრო იყო. აქ 33 მუშა იყო დასაქმებული, პროდუქციის ღირებულება კი 50—60 ათას მანეთს უდრიდა.

ფეხსაცმლის და ტანსაცმლის ფაბრიკული დამზადება წარმოებდა ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკასა და მის მიერ იჯარით აღებულ სამხედრო ტანსაცმლის სამკერვალო საწარმოში. 1900 წლისათვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში 424 მუშა იყო, პროდუქციის ღირებულება კი 553 ათას მანეთს შეადგენდა. სამკერვალო საწარმოში 140 მუშა ითვლებოდა, პროდუქციის ღირებულება კი 63 ათას მანეთს აღწევდა.

90-იან წლებში ხდება პოლიგრაფიული წარმოების სრული მექანიზაცია. 1900 წლისათვის თბილისში 6 მსხვილი სტამბა არსებობდა. მუშათა რაოდენობა აქ 450-ს აღწევდა, პროდუქციის ღირებულება კი 380 ათას მანეთს.

გარდა ამისა საქართველოში იყო ცალკე სხვა მსხვილი საწარმოებიც. მაგ., ასანთის ქარხანა, ცხენის რკინიგზა, თავისი სახელოსნოებით და სხვ., სადაც მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო დასაქმებული.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ საქართველოში დამმუშავებელი მრეწველობის თითქმის ყველა წამყვანი დარგი.

საწარმოთა რაოდენობის ზრდისა და დამმუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი კაპიტალისტური წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკა) შეფარდებაზე დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოდგენას გვიქმნის ქვემომოტნილი ცხრილი[1].

ცხრილი 3

მრეწველობის ფორმები	1885—88 წ.			1900 წ.		
	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რაოდენობა	პროდუქც. (ათას მანეთ.)	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რაოდენობა	პროდუქცია (ათას მანეთ.)
წვრილ-კაპიტალისტური წარმოება	359	1554	1237,2	1482	7046	3386,0
მანუფაქტურა	29	2187	2475,8	41	984	1200,0
ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება	28	1712	4567,2	64	9004	16513,0
	416	5453	8280,2	1587	17034	21099,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, 80-იანი წლების შუახანებისათვის 60-იანი წლების შუახანებთან შედარებით არსებითად შეიცვალა წვრილი და შედარებით მსხვილი წარმოების თანაფარდობის სურათი. წვრილი წარმოების ხვედრითი წონა, საწარმოთა სიჭარბის მიუხედავად, მნიშვნელოვნად შემცირდა[2]. აღსანიშნავია, რომ მუშათა რაოდენობის მხრივ უპირატესობა მანუფაქტურულ წარმოებას აქვს[3], თუმცა პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით უკვე მანქანური წარმოებაა წასული წინ. ორივე ერთად (ე. ი. მანუფაქტურული და მანქანური) მუშათა რაოდენობის მხრივ 2-ჯერ, ხოლო პროდუქციის მოცულობით 6-ჯერ აღემატებოდა წვრილ წარმოებას, მარტო მანქანური წარმოება კი, მართალია, მუშათა რიცხვით ბევრად

---

[1] იხ. ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში (დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება), თბ., 1966, გვ. 213—215.

[2] 60-იანი წლების შუახანებში წვრილ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 462-ს, 1921 მუშით და 722, 2 ათას მან. პროდუქციით; მანუფაქტურული საწარმო იყო 29 483 მუშით და 244 ათას მან. პროდუქციით, ხოლო ფაბრიკული საწარმო იყო 4, 32 მუშით და 80 ათას მან. პროდუქციით.

[3] ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რკინიგზის სახელოსნოების მანუფაქტურისადმი მიკუთვნებამ.

ვერ ჭარბობდა, მაგრამ პროდუქციის მოცულობით თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა წვრილ წარმოებას. როგორც ჩანს, 80-იანი წლების შუახანები წარმოადგენდა ტეხილს ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლის, ანუ სამრეწველო გადატრიალების თვალსაზრისით. ფაბრიკული ნაწარმი ამ დროისთვის შეადგენდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 55%-ს.

ამავე დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე, საერთოდ, სამრეწველო პროდუქციის და, კერძოდ, ფაბრიკული პროდუქციის ოდენობა. 80-იანი წლების შუახანებისათვის საქართველოში ითვლებოდა 1700 ათასამღე მცხოვრები[1]. ამავე დროს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 8,3 მილიონ მანეთს, ე. ი. თითო სულზე მოდიოდა 5 მანეთის პროდუქცია. 1886 წლისათვის მარტო ფაბრიკული წარმოების პროდუქციის ღირებულება საქართველოში შეადგენდა 4,5 მილიონ მანეთს, ე. ი. თითო სულზე მოდიოდა 2,6 მანეთის ფაბრიკული ნაწარმი.

80-იანი წლებიდან წარმოებაში ტექნიკური გადატრიალების გაღრმავების მაჩვენებელია ამ დროისათვის ორთქლის ძრავების გამოყენების გახშირება. განსაკუთრებით ეს პროცესი თავს იჩენს თბილისისა და ბათუმის ქარხნებში. თბილისში 1885—1886 წლების მონაცემებით ორთქლის ქვაბი იდგა 30-მდე მსხვილ საწარმოში, რომელიც განეკუთვნებოდა აქ არსებულ წამყვან დარგებს (ტყავის დამუშავება, საპნის და სანთლის წარმოება, ლითონის დამუშავება, ხე-ტყის დამუშავება, ტექსტილური წარმოება, ლუდის წარმოება, სპირტისა და არყის წარმოება და სხვ.)[2].

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს დებულება იმის შესახებ, რომ 80-იანი წლების შუახანებში მრეწველობის მთავარ დარგებში მანქანურ წარმოებაზე გადასვლა ამა თუ იმ ზომით უკვე მომხდარი ფაქტია[3]. 1898 წლისათვის, თუ არ ჩავთვლით 41 სახერხი ქარხნის ორთქლის ქვაბებს, თბილისში არსებულ 37 უმსხვილეს სამრეწველო საწარმოში უკვე 60-მდე ორთქლის ქვაბი მოქმედებდა[4].

იმავე ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1900 წლისათვის, მიუხედავად წვრილი საწარმოების დიდი რაოდენობისა, მსხვილმა წარმოებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო მას წინ. წვრილი კაპიტალისტური საწარმოების თვალსაჩინო ზრდა წინა წლებთან შედარებით უნდა აიხსნას იმით, რომ საქალაქო ცხოვრების აღმავლობის და საერთოდ შინაური ბაზრის ზრდის პირობებში, ადგილი ჰქონდა წვრილი საქონლური წარმოების კაპიტალისტურ წარმოებად გადაქცევას. დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ მანუ-

---

[1] Свод статистич. данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тиф., 1893.
[2] ნ. როდონაია, თბილისის მრეწველობა.., გვ. 81—83.
[3] იხ. პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა, გვ. 418.
[4] ЦГИА СССР, ф. 20, оп. 15, д. 104, лл.186—188.

ფაქტურული წარმოების ხვედრითი წონა 80-იანი წლების შუახანებთან შედარებით მცირდება, თუმცა მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვი მატულობს. ეს აიხსნება ზოგიერთი ახალი დარგის საწარმოთა (მაგ. ხის კასრების წარმოება ბათუმში და სხვ.) დაარსებით და აგრეთვე წვრილ საწარმოთა გამსხვილებით (ზოგიერთი ლითონდამმუშავებელი საწარმო, ფეხსაცმლის, მინერალური წყლების, საკონდიტრო და სხვა ამგვარი საწარმოები), თუმცა თავისთავად ამ საწარმოების მასშტაბი დიდი არ იყო.

1900 წლისათვის ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების პროდუქციის მოცულობა უკვე 5-ჯერ აღემატებოდა წვრილი წარმოების პროდუქციას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის ოდენობაც. ის 90-იანი წლების მიწურულისათვის დაახლოებით 10 მანეთს უდრიდა და 80-იან წლებთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. მარტო ფაბრიკული წარმოების პროდუქციისა კი სამჯერ და მეტად.

მოტანილი მაჩვენებლები კარგად გვიხატავენ 90-იან წლებში ქვეყნის საერთო სამრეწველო განვითარებას და, კერძოდ, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების სწრაფ ზრდას.

მრეწველობის განვითარების ძირითადი ხაზი 70—90-იან წწ. საქართველოში წვრილსაქონლური წარმოების შემდგომ განვითარებასა და მრეწველობის შედარებით მაღალი ფორმების (მანუფაქტურა და ფაბრიკა) ხვედრითი წონის განუხრელ ზრდაში გამოიხატებოდა. ამდენად მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაარსებობა მთელი XIX ს-ის მანძილზე საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. თუმცა ეს სრულიადაც არ გამორიცხავს კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას მრეწველობის წამყვან დარგებში, რის მაჩვენებელიც პირველ რიგში 90-იან წლებში მსხვილი სამრეწველო ფირმების და აქციონერული საზოგადოებების ჩამოყალიბება იყო.

მსხვილ სამრეწველო ფირმებს წარმოადგენდნენ დ. სარაჯიშვილის სპირტიანი სასმელების და მირზოევ-ჩითახოვის საფეიქრო წარმოება, მთელი რიგი თამბაქოს ფაბრიკები, ლითონდამმუშავებელი და სახერხი ქარხნები, ზოგიერთი მსხვილი სტამბა და სხვ.

ერთ-ერთი პირველი მსხვილი აქციონერული საზოგადოება შეიქმნა 1895—1897 წლებში ადელხანოვის ტყავის წარმოების ბაზაზე. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 1,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. 1900—1901 წლებში გაფორმდა შემდეგი აქციონერული საზოგადოებები: 1. ტაიროვალიხანოვისა და ტოლეს საპნის, სანთლის და ზეთსახდელი წარმოებისა (0,5 მილიონი მანეთის ძირითადი კაპიტალით), 2. თამბაქოს წარმოებისა — „მირ“ (0,5 მილიონი მანეთის ძირითადი კაპიტალით), 3. იარალოვის ლითონდამმუშავებელი წარმოებისა (350 ათასი მანეთის ძირითადი კაპიტალით). გარდა აღნიშნულისა, დაარსდა მთელი რიგი აქციონერული საზო-

გადოებებისა, რომელთაც ვერ განახორციელეს თავიანთი საქმიანობა 900-იანი წლებისათვის დაწყებული კრიზისისა თუ სხვა მიზეზების გამო. ასეთები იყო: ალექსანდრე მანთაშევისა და სხვათა „ამიერკავკასიის მანუფაქტურის საზოგადოება“ თბილისში, „კრამიტისა და კერამიკული წარმოებისა“ ქუთაისის მახლობლად, „შავიზღვისპირეთის ხე-ტყის წარმოებისა“ და სხვ.[1].

აღნიშნული აქციონერული საზოგადოებების ამოცანა იყო, წარმოების შემდგომი გაფართოების მიზნით, მრეწველობის უკვე არსებულ დარგებში კაპიტალის კონცენტრაცია, ან ახალი დარგების განვითარება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თანდათან იშლება ზღვარი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს შორის, წარმოების მასშტაბები ვეღარ ეტევა ვიწრო ჩარჩოში და მთელი ამიერკავკასიის ფარგლებს მოიცავს. დამახასიათებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ადელხანოვის მიერ დაარსებული საზოგადოებების აქციონერები იყვნენ სხვა სამრეწველო საწარმოთა მესვეურები. აქვე შედიოდნენ მსხვილი საქმოსნები და ბანკირები, თბილისელი და ბაქოელი ვაჭრები.

მეწარმეთა ფართო სამოქმედო ასპარეზზე მიუთითებს „კავკასია-შავიზღვისპირეთის ხე-ტყის დამმუშავებელი საზოგადოების“ დამაარსებელთა საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი, ბაქოელი ვაჭრის ქვრივი ნ. პატკანოვა, ბაქოში ფლობდა სახლებსა და ნავთობიანი მიწის ნაკვეთებს. მასვე ეკუთვნოდა ხილის ბაღები კახეთში. მეორე აქციონერი ი. ვერმიშევი დროებით ცხოვრობდა ბაქოში. მისი მუდმივი საცხოვრებელი იყო ქ. ფოთი. აქ და ანაკლიაში მას ჰქონდა ხე-ტყის სარეწები და საწყობები. მესამე აქციონერი ა. იუზბაშევი ერთდროულად იყო ნავთის მრეწველიც ბაქოში და სახერხი სარეწებისა და საწყობების მფლობელი ფოთში, ანაკლიასა და ჯვარში.

სავაჭრო კაპიტალის მრეწველობაში დაბანდების ტენდენციის თვალსაზრისით საინტერესოა „ამიერკავკასიის მანუფაქტურის საზოგადოების“ დამაარსებლების ვინაობა. ესენი იყვნენ თბილისელი და ბაქოელი მსხვილი ვაჭრები მანთაშევი, ავეტისოვები, თუმანოვები და სხვ.

ამრიგად, კაპიტალის წყარო, რომელიც მრეწველობაში მოედინებოდა, ერთი მხრივ, იყო სავაჭრო ოპერაციები, ხოლო, მეორე მხრივ, თვით წარმოების სფერო, სადაც ხდებოდა კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადანაცვლება. თუკი კაპიტალის აღნიშნული წყაროები ნაწილობრივ თვით საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებში იქმნებოდა, მეორე მხრივ კაპიტალი მოედინებოდა რუსეთიდან (მაგ., მინის წარმოება ბორჯომში ეკუთვნოდა ბერგმანების მოსკოვის სავაჭრო სახლს) და საზღვარგარეთიდან (მაგ., კრამიტის და კერამიკული ნაწარმის კავკასიის საზოგადოე-

[1] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება..., გვ. 221—223.

ბის დამაარსებელნი იყვნენ ფრანგები — მარსელის კერამიკული ქარხნების დირექტორი ალფონს გოდო, ვაჭარი ემილ მალარი და ფაბრიკანტი დიოგენ მორისი). მრეწველობაში უცხოური კაპიტალის დაბანდების და აგრეთვე ადგილობრივი მეწარმეების საქმიანობის მაგალითს წარმოადგენს ბათუმის წარმოება. მაგრამ 900-იანი წლებისათვის დაწყებულმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა კაპიტალის დაბანდებანი მრეწველობაში და მისი კონცენტრაცია.

სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოება[1]

სპილენძის მადნის მოპოვება და გამოდნობა. 70-იანი წლებიდან სპილენძის დამუშავების საქმეში გარკვეული ცვლილებები ხდება. ხაზინამ შეისყიდა ალავერდისა და შამბლუღის მიდამოები, ხოლო ადგილობრივ მემამულეებს — ლორის-მელიქოვებს — სამაგიეროდ სხვაგან მიეცათ საბაზინო მიწები. ამიერიდან ბერძნები მადნის დამუშავებას ეწეოდნენ პოსესიური უფლებით. მაგრამ სპილენძის მოპოვებისა და გამოდნობის მასშტაბები ამის შემდეგაც მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ალავერდსა და შამბლუღში გამოდნობილი სპილენძის რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 2—5 ათას ფუთს შეადგენდა. მუშათა რაოდენობა აქ 200—300 კაცს აღწევდა (დამხმარე სამუშაოებში ჩაბმული მუშების ჩათვლით).

მწარმოებლები გაერთიანებული იყვნენ სამთო-საქარხნო ამხანაგობებში. თითოეული მწარმოებლის წილი განისაზღვრებოდა მათი „პაიების" რაოდენობით. ასეთი იყო სულ 7 560 „პაი", თითოეული ღირდა 30 მა-

---

[1] საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობის შესახებ ერცელი ლიტერატურა არსებობს. გარდა საერთოდ საქართველოს სამრეწველო განვითარებისადმი მიძღვნილი შრომებისა (პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს, გ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს, ა. კ ი კ ვ ი ძ ი ს, ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს), არსებობს სპეციალური ხასიათის ნაშრომებიც, სადაც რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის სამთამადნო წარმოებას ფართო ადგილი აქვს დათმობილი: ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ტყიბულის ქვანახშირის საბადოების დამუშავების ისტორიისათვის საქართველოში, თბ. 1956; მ ი ს ი ვ ე, მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ., 1960; გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა საქართველოში, (1907 წლამდე), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ. VI, ნაკვ.1, 1961, გვ. 113—128. ა. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962; ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ვროენული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი ჭიათურის სამრეწველო რაიონში (1879 — 1921 წწ), საზოგ. მეცნ. განყოფ. „მოამბე", 1963, №, 2; გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966; ნარკვევი სამთამადნო მრეწველობის განვითარებაზე, იხ.: И. Г. А н т е л а в а, Э. А. О р д ж о н и к и д з е Э. В. Х о ш т а р и а, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, გვ. 100—122; გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1968.

ნეთი. ამხანაგობის საქმეებს განაგებდა გამგეობა და საერთო კრება. საქმეები წყდებოდა ხმის უმრავლესობით. გადამწყვეტი ხმით სარგებლობდა მრეწველი, რომელსაც ჰქონდა არა ნაკლებ 10 „პაისა“. ხმების რაოდენობა იზრდებოდა „პაიების“ რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

1888 წლიდან ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის წარმოება გადავიდა „ახტალის მაღაროების ფრანგული კომპანიის“ ხელში. მან დიდი ნაბიჯი გადადგა წარმოების უკეთ მოსაწყობად და გასაფართოებლად. 80-იანი წლების შუახანებიდან აქ ტექნიკური სიახლენიც შემოდის (ტურბინა, ორთქლის მანქანა და სხვ.), თუმცა პროდუქციის შესამჩნევი ზრდა ხდება მხოლოდ XIX ს-ის მიწურულისათვის.

კერძოდ, თუ 90-იანი წლების შუახანებში მადნის მოპოვება უდრიდა 150 ათასამდე ფუთს, საიდანაც ადნობდნენ 4—8 ათას ფუთ სპილენძს, 1899 წლისათვის მოპოვებულ იქნა 700 ათას ფუთზე მეტი მადანი, ხოლო გამოდნობილი — 12 700 ფუთამდე სპილენძი. მუშათა რიცხვი 90-იანი წლების შუახანებში 50—100 უდრიდა, 1899 წლისათვის კი 500 კაცამდე აღწევდა.

1900 წელს აღნიშნული წარმოება გადადის „კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიული საზოგადოების“ ხელში. ამ დროისათვის ალავერდის და შამბლუღის წარმოება უკვე მსხვილ ფაბრიკულ საწარმოს ხასიათს იღებს[1].

ქვანახშირის ამოღება. ტყიბულის ქვანახშირის საბადოების დამუშავება 70—80-იან წლებში ძირითადად ორი ფირმის — ნოვოსელსკის და საზოგადოება „ნახშირას“ ხელში ექცევა. პირველი დაარსებული იყო 70-იანი წლების დასაწყისში, ხოლო მეორე—80-იანი წლების მიწურულში. მაგრამ წარმოება ამ დროს არ იყო ფართო მასშტაბის. ძირითადი დაბრკოლება იყო ამოღებული ქვანახშირის დანიშნულების ადგილამდე მიტანის სიძნელე. წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად არ გაფართოებულა არც უშუალოდ 1886 წლის შემდეგ, როდესაც გაყვანილ იქნა ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის ხაზი. დაბრკოლებას ამ შემთხვევაში წარმოადგენდა კაპიტალის ნაკლებობა და აგრეთვე ის, რომ ამიერკავკასიაში მოიპოვებოდა შედარებით იაფი საწვავი (ხე-ტყე და ბაქოს ნავთობი).

70—80-იან წლებში ქვანახშირის მოპოვება ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 1890 წელს ნოვოსელსკის ფირმამ 297 ათასი ფუთი ქვანახშირი მოიპოვა, ხოლო საზოგადოება „ნახშირამ“ — 160 ათასი ფუთი. ორივე ფირმაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა 236-ს უდრიდა. 90-იანი წლების შუახანებისათვის ნოვოსელსკის ფირმამ, მიუხედავად იმისა, რომ

---

[1] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობა..., გვ., 60—64, 67—71.

სურამის რკინიგზის გვირაბის მშენებლობა.

წარმოების გასამართავად დახარჯა დიდი თანხა (მათ შორის სახაზინო სახსრებიც), შეწყვიტა არსებობა. მთელი მისი ქონება გადაეცა „ტყიბულის ქვანახშირის მაღაროთა და საბრიკეტო წარმოების საზოგადოებას“, რომელმაც 1897 წელს მოიპოვა 585 ათასი ფუთი ნახშირი, დაამზადა 208 ათასი ფუთი ბრიკეტი. მაგრამ საბრიკეტო ფაბრიკაში მომხდარი ხანძრის შედეგად ეს ფირმაც დაიხურა.

საძაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაზარდა საქმიანობა საზოგადოება „ნახშირამ“. 1899 წელს მის მიერ მოპოვებულ იქნა 2 182 ათასი ფუთი ქვანახშირი. მუშათა რაოდენობა ამ დროს 310 კაცს უდრიდა.

მართალია, ქვანახშირის მოპოვება წარმოებდა პრიმიტიული საშუალებებით — წერაქვითა და ნიჩბით, მაგრამ შემდგომი ოპერაციები საკმაოდ მექანიზებული იყო. განსაკუთრებით იმსახურებს ყურადღებას ნოვოსელსკის მიერ მოწყობილი ბრემსბერგი, რომლის სიგრძე 600 საჟენს უდრიდა, სიმაღლე კი 60 საჟენს. უკვე 1890 წელს ნოვოსელსკის კუთვნილი მაღაროებიდან ქვანახშირი გამოჰქონდათ რონოდების საშუალებით ვიწროლიანდაგიანი გზით, რომლის სიგრძე 450 საჟენი იყო. რონოდები უშუალოდ ბრემსბერგით ჩამოდიოდა რკინიგზის ტოტის სატვირთო სადგურზე. იქიდან ქვანახშირის „დახრილი საცრებით“ უშვებდნენ ვაგონებში.

საზოგადოება „ნახშირას“ მაღაროებიდან ქვანახშირი ვიწროლიანდა-

გიანი გზით მიჰქონდათ დამხარისხებელ მოედანზე. აქ მას ათავსებდნენ საცრებზე, რომელნიც ახარისხებდნენ ქვანახშირს 5 კატეგორიად. ქვებისა და სხვა მინარევის გამოცალკევება ხდებოდა „მბრუნავ მაგიდებზე". შემდგომ რონოდებში დატვირთული ქვანახშირი ბრემსბერგის საშუალებით ჩამოდიოდა რკინიგზის ლიანდაგამდე, სადაც სპეციალური მოწყობილობით ხდებოდა რონოდების დაპირქვავება რკინიგზის ვაგონებში.

მაღაროების მისადგომები ტყიბულის სადგურთან დაკავშირებული იყო ფართოლიანდაგიანი რკინიგზის შტოებით. თითოეულის სიგრძე 3 ვერსს უდრიდა.

მანგანუმის მოპოვება[1]. ჭიათურაში მანგანუმის ამოღება წარმოადგენდა საქართველოს სამთო მრეწველობის ყველაზე უმსხვილეს ობიექტს. წარმოება აქ იწყება 1879 წლიდან. ინტერესის გაცხოველება ჭიათურის მანგანუმისადმი განპირობებული იყო მსოფლიო მეტალურგიის, კერძოდ, ფოლადის დამზადების სწრაფი ზრდით.

ჭიათურის მანგანუმის ამოღების დაწყების ინიციატორი იყო დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი. ის თავდაპირველად ცდილობდა წარმოების დასაწყებად დაერაზმა ადგილობრივი ძალები, მაგრამ შემდგომ იძულებული გახდა უცხოელი და რუსი მწარმოებლებისათვის მიემართა. 80-იანი წლების დასაწყისიდან ჭიათურაში გამოჩნდა არაერთი საქმოსანი, რომელიც იჯარის წესით ან შესყიდვის გზით ცდილობდა ხელში ჩაეგდო მადნიანი მიწის ნაკვეთები. მაგრამ მოსული მრეწველები თავიდანვე წააწყდნენ ადგილობრივ, უპირატესად წვრილ, მწარმოებელთა წინააღმდეგობას. იმის გამო, რომ მადნის მოპოვება, მისი ხელსაყრელი ბუნებრივი განლაგების გამო, შესაძლებელი იყო რთული ტექნიკის გარეშე, ადგილობრივი წვრილი მრეწველები თავდაპირველად ახერხებდნენ წარმოების სფეროდან მსხვილი ფირმების გამოდევნასაც კი. უკანასკნელნი ამჯობინებენ ადგილობრივ მწარმოებელთაგან შეძენილ ძანგანუმის გატანას. მაგრამ თანდათან წარმოებაში სულ უფრო და უფრო მეტად ხდება მსხვილი კაპიტალის შეჭრა, რუსული და უცხოური ფირმების, თუ აქციონერული საზოგადოებების და ადგილობრივ მსხვილ მწარმოებელთა სახით.

მოსული მწარმოებლები ან იჯარით იღებდნენ მიწას ან ყიდულობდნენ მათ. წარმოებაში ჩაბმულნი იყვნენ ადგილობრივი ბემამულენი და წვრილი მიწისმფლობელნი.

---

[1] მონაცემები მანგანუმის მოპოვების შესახებ აღებული გვაქვს ზემოთ დასახ. ლიტერატურიდან, კრებულიდან: Статистика марганцевого дела, Кутаиси, 1902 და ზოგიერთ საარქივო დოკუმენტიდან.

არსებული მონაცემების თანახმად, მადნის მოპოვება 80-იანი წლების დასაწყისში ნახევარ მილიონ ფუთამდე აღწევდა. 1880 წელს დაზვერვებსა და მადნის ამოღებას აწარმოებდა პეტერბურგის სავაჭრო სახლის ვახტერისა და კომპანიის ფირმა, რომლის მიერ ამ წელს 97 მუშის საშუალებით მოპოვებულ იქნა 170 ათასი ფუთი მადანი. ამავე დროს მადნის დამუშავებას აწარმოებდა მანგანუმის მომპოვებელი საზოგადოება, „იმერეთი", რომელშიც შედიოდნენ მრეწველები: ჩუბინიძე, მოსეშვილი, გამყრელიძე და სხვები. ამ საზოგადოების მიერ 120 მუშის საშუალებით მოპოვებულ იქნა 350 ათასი ფუთი მადანი.

მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის მოთხოვნილების ზრდის გამო მადნის მოპოვება ჭიათურაში სწრაფად ფართოვდება. 1887 წელს მოპოვებულ იქნა 4 მილიონ ფუთზე მეტი, ხოლო გატანილი — 3 700 ათასი ფუთი. ამ დროს აქ 1 156 მუშა მუშაობდა. 1890 წლისათვის მოპოვება უკვე აღემატება 10 მილიონ ფუთს, გატანა კი 8,5 მილიონს აღწევს. მუშათა რაოდენობა 2 600 კაცს შეადგენდა.

მიუხედავად მოპოვების ასეთი ზრდისა, წარმოების ტექნიკა დიდხანს მეტად პრიმიტიული იყო. მაღაროებში ძირითადად ხმარობდნენ წერაქვსა და ნიჩაბს. მადნის გამოტანა ხდებოდა ხელის ურიკებით, ანდა რონოდებით, რომელნიც ან მუშებს მოჰყავდათ მოძრაობაში ან ცხენს. რკინის ლიანდაგები მაღაროში ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა. ჭიათურის რკინიგზის შტოს გაყვანამდე (1895 წ.) მადნის გადაზიდვა რკინიგზის უახლოეს სადგურამდე (შორაპანი) ხდებოდა საჭაპანო თუ სასაპალნე ტრანსპორტით (ურმები, ცხენები), რაც ცუდი გზების გამო დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და მეტად აძვირებდა მადნის თვითღირებულებას.

მადნის მოპოვებაში ჩაბმული მუშების კონტინგენტი შედგებოდა მაღაროებში მომუშავე მნგრეველებისაგან, მადნის გამომტანებისა და დამხარისხებლებისაგან. ეს უკანასკნელნი მადანს აცლიდნენ მინარევებს. ამ საქმეში ფართოდ იყო გამოყენებული ქალებისა და ბავშვების შრომა. გარდა ამისა, მუშათა დიდი რაოდენობა აწარმოებდა მადნის გადაზიდვას რკინიგზის ხაზამდე, ვაგონების დატვირთვას და სხვ.

90-იან წლებში მანგანუმის მოპოვების ზრდის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქვემომოტანილი მონაცემები (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4

წლები	სამთო მუშების რიცხვი	წლიური მოპოვება ათას ფუთობით	გატანა ათას ფუთობით
1890	2 605	10 468,1	8 400,4
1894	2 186	11 012,0	9 599,5
1899	3 750	34 131,0	25 073,4
1900	3 701	40 363,4	28 698,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1900 წლისათვის 1890 წელთან შედარებით მოპოვება გაზრდილა თითქმის 4-ჯერ, გატანა — 3-ჯერ, ხოლო მუშათა რიცხვი დაახლოებით 42%-ით. 90-იანი წლების მიწურულსა და 900-იანი წლების დასაწყისში გადამზიდველების და მტვირთავი მუშების ჩათვლით, რომელთა რიცხვი დაახლოებით უშუალოდ მადნის მოპოვებაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობას უდრიდა, ჭიათურაში სულ 6 ათასამდე კაცი მუშაობდა.

მანგანუმი ძირითადად გადიოდა ინგლისში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვ. მცირე რაოდენობით იგი გაჰქონდათ რუსეთშიც. 90-იან წლებში ჭიათურის მანგანუმის ხვედრი წილი მსოფლიო ექსპორტში 50%-ს აღწევდა.

მანგანუმის წარმოების სოციალ-ეკონომიური ბუნებისა და არსის განსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველთა შემადგენლობის შესწავლას. ჩვენ ხელთ არსებული სათანადო მონაცემების საფუძველზე მანგანუმის მრეწველებს ვყოფთ სამ ძირითად ჯგუფად: წვრილ, საშუალო და მსხვილ მრეწველებად[1]. წვრილ მრეწველებში ვგულისხმობთ იმათ, ვი-

ცხრილი 5

მრეწველთა კატეგორიები	1894 წელი						1899 წელ			
	მრეწველთა რაოდენობა	%	წლიური მოპოვება (ათას ფუთ.)	%	მუშათა რაოდენობა	%	მრეწველთა რაოდენობა	%	წლიური მოპოვება (ათას ფუთ.)	%
წვრილი მრეწველები	162	69,8	2783,6	25,3	708	32,4	119	35,9	2150,7	6,3
საშუალო მრეწველები	64	27,6	5005,9	45,4	925	42,3	174	52,6	16050,9	47,0
მსხვილი მრეწველები	6	2,6	3222,5	29,3	553	25,3	38	11,5	15929,4	46,7
სულ	232		110120		2185		331		34131,0	

[1] ოფიციალური სტატისტიკის თანახმადაც 900-იანი წლების დასაწყისისათვის მანგანუმის მრეწველები იყოფოდნენ სამ კატეგორიად: წვრილები მოიპოვებდნენ 100 ათასამდე ფუთ მადანს, საშუალონი—100—500 ათას ფუთს და მსხვილები—500 ათას ფუთზე მეტ მადანს.

მრეწველთა ასეთი პრინციპით დაყოფისას არ არის გათვალისწინებული მუშათა რიცხვი, რომელთა ექსპლოატაციას ეწეოდნენ მრეწველები. ამასთანავე, შემცირებულად გვეჩვენება მსხვილ და საშუალო მრეწველთა კატეგორიები. ამ უკანასკნელთა ინტერესებიდან გამომდინარე ყველა, ვინც 100 ათას ფუთზე ნაკლებს მოიპოვებდა, წვრილ მრეწველად იყო გამოცხადებული და ამდენად მოკლებული ხმის უფლებას მრეწველთა ყრილობაზე, ანუ ფაქტიურად ჩამოშორებული იყო მანგანუმის მრეწველობის საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობას.



ჭიათურის რკინიგზა.

საც ჰყავდა 10 მუშამდე და აწარმოებდა 50 ათას ფუთამდე მადანს, საშუალო მრეწველებში — ვისაც ჰყავდა 11—50 მუშა და აწარმოებდა 50—250 ათას ფუთამდე მადანს, ხოლო მსხვილ მრეწველებში, ვისაც ჰყავდა 50-ზე მეტი მუშა და აწარმოებდა 250 ათას ფუთზე მეტ მადანს.

მანგანუმის მრეწველთა დაყოფა ამ პრინციპით წარმოგვიდგება შემდეგნაირად[1] (იხ. ცხრ. 5).

ცხრილიდან ირკვევა, რომ 5 წლის განმავლობაში (1894-დან 1899 წ.-მდე) მანგანუმის მრეწველთა საერთო რიცხვი 30%-ით გაიზარდა. ეს ზრდა ხდებოდა ძირითადად საშუალო და მსხვილ მრეწველთა რაოდენობის გადიდების შედეგად. რაც შეეხება წვრილ მრეწველებს, მათი რიცხვი შემცირდა თითქმის 27%-ით. შეინიშნება აგრეთვე წარმოებაში წვრილ მრეწველთა ხვედრითი წონის დაცემა. თუ 1894 წელს ისინი შეადგენდნენ მრეწველთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 70%-ს, 1899 წელს მხოლოდ 36%-ს. შესაბამისად მცირდება მათი წილი მანგანუმის წლიურ მოპოვებაში (25,3%—1894 წ. 6,3%— 1899 წელს). აღნიშნული ფაქტები მოწმობენ სარეწების გამსხვილებას მათი რიცხვის საერთო ზრდასთან ერთად. მაგრამ მთლიანობაში ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა თავისი ხასიათით მეტად რთულ სურათს წარმოადგენდა. აქ წვრილი წარმოება

[1] 1894 წლის მონაცემები იხილე: ЦГИА СССР, ф. 37, оп. 67, д ,954, лл. 12—25, ხოლო 1899 წლის მონაცემები აღებულია გ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივში (საჯარო ბიბლიოთეკაში) დაცულ მრეწველთა სიიდან.

დიდხანს ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას მანუფაქტურულ და ფაბრიკულ ფორმებთან ერთად.

მანგანუმის მსხვილი ადგილობრივი მრეწველები 90-იან წლებში იყვნენ: გედევან ჩუბინიძე, ნიკოლოზ ღოღობერიძე, სამსონ აბესაძე, სოლომონ წერეთელი, ნესტორ კაკაბაძე, პავლე მოსეშვილი, დავით ბაქრაძე, პეტრე წულუკიძე, კონსტანტინე გურული და სხვები. მოსულ მრეწველთაგან უმსხვილესნი იყვნენ: ძმები ოგანეზოვები, ივანე ველეევი, გუსტავ ემერიკი და სხვ. 1900 წლიდან წარმოება ფართოდ გაშალა დარკვეთის ფრანგულმა ანონიმურმა საზოგადოებამ.

ზოგიერთი მრეწველი მადანს აგზავნიდა მხოლოდ ფოთამდე ან ბათუმამდე, სადაც ყიდდა მას, ან აძლევდა სხვა ფირმებს საკომისიოდ.

XIX ს-ის მიწურულისთვის დიდი მასშტაბით გაჰქონდათ მადანი (1 მილიონ ფუთზე მეტი) სამრეწველო ფირმებს: შუტც და ციმერმანის, პანასიეს, ძმებს ოგანეზოვებს, გ. ემერიკს; ადგილობრივ მრეწველთაგან — პ. წულუკიძეს.

მსხვილი საექსპორტო ფირმები იყო: მალარიის, ვასტგაფისა და ბლეის, პილიდის, ძმების ფორვუდების, სამანჯის, კარპოზილოსის და მანოლოპულოსი, ავგერინოსი და სხვ.[1].

მადანზე მოთხოვნილების ზრდის კვალად XIX ს-ის მიწურულისათვის წარმოებაში თანდათან ინერგება ტექნიკური გაუმჯობესებანი. ჯერ კიდევ 1886 წელს ნ. ღოღობერიძემ პირველმა სოფ. რგანის მაღაროებში მოაწყო 120 მ სიგრძის რკინის ლიანდაგი მადნის გამოსატანად რონოდების საშუალებით. თანდათან შემოდის რკინიგზის ბაქანზე მადნის ჩამოსატანად ბრემსბერგების და ღარების გამოყენება. სადგ. შორაპანში ვაგონების გადასატვირთავად მოწყობილი იყო ბუნკერები. ფრანგულმა ანონიმურმა საზოგადოებამ დარკვეთში დაიწყო გამამდიდრებელი ფაბრიკის აგება.

90-იანი წლების მიწურულამდე სხვადასხვა დროს არსებობდა ადგილობრივ მრეწველთა რამდენიმე გაერთიანება: საზოგადოება „იმერეთი", „კავკასიის მანგანუმის მრეწველთა ამხანაგობა", „კავკასიის მანგანუმის ამხანაგობა". მაგრამ ჩამოთვლილი ამხანაგობები არსებითად წარმოადგენდნენ კერძო ხასიათის გაერთიანებებს, რომელთა ფუნქციები ძირითადად გასაღების სფეროთი იყო შემოფარგლული. ისინი არ იყვნენ სანქციონირებული მთავრობის მიერ და ამდენად წარმოების მასშტაბების სულ უფრო და უფრო ზრდის პირობებში ვერ უზრუნველყოფდნენ მრეწველთა ინტერესების დაცვას.

---

[1] Статистика марганц. дела, Кутаиси, 1902, გვ. 58.

აღნიშნულის გამო, მრეწველები ხელისუფლების წინაშე სვამდნენ საკითხს მრეწველთა საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ, რაზედაც თანხმობა მიიღეს. საბჭოს დებულების შედგენა დაევალა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს გ. ზდანოვიჩს. სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, 1896 წლის 15 აპრილს ქუთაისში მოწვეულ იქნა შორაპნის მაზრის მანგანუმის მრეწველთა I ყრილობა, რომელმაც მიიღო დებულება და განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი — საბჭო 4 წევრისაგან და 3 კანდიდატი; საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ზდანოვიჩი. ყრილობაზე ხმის უფლებით სარგებლობდნენ მრეწველები, რომელთა წლიური მოპოვება აღემატებოდა 100 ათას ფუთ მადანს და ექსპორტიორები, რომელთაც წლიურად გაჰქონდათ 300 ათას ფუთზე მეტი მადანი. ხმების რაოდენობა იზრდებოდა მოპოვებული ან გატანილი მადნის რაოდენობის ზრდის კვალად გეომეტრიული პროგრესიით.

„მანგანუმის მრეწველთა ყრილობის“ და მისი საბჭოს ჩამოყალიბების შემდეგ ყველა საკითხი წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით მათი საზრუნავი გახდა. ასეთი იყო, მაგ., საკითხი რკინიგზის ტარიფის შემცირების შესახებ. დიდი ბრძოლის შემდეგ ფუთი მადნის გადატანის ტარიფი 1899 წლიდან 10 კაპიკიდან შემცირებულ იქნა 7 კაპიკამდე.

ყრილობის და საბჭოს განხილვის საგანი იყო აგრეთვე საკითხი მაღაროებთან მისასვლელი გზების გაუმჯობესების შესახებ, რკინიგზის ვაგონების და მადნის დასაწყობი პლატფორმების რაციონალური განაწილებისა, თუ წარმოებაში ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვის, ტექნიკური ზედამხედველობისა და ადმინისტრაციული აპარატის გაუმჯობესების, სტატისტიკურ, სანიტარიულ და სასწავლო საქმის მოგვარების შესახებ და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ყრილობის სასარგებლოდ იკრიბებოდა $^1/_2$-კაპიკიანი გამოსაღები თითო ფუთ მოპოვებულ მადანზე.

ყრილობა ყველა ღონისძიების გატარებისას ხელმძღვანელობდა მსხვილი მრეწველების ინტერესებით, რაც იწვევდა მძაფრ წინააღმდეგობას წვრილ და ნაწილობრივ საშუალო მრეწველთა ოპოზიციის მხრივ.

სამთამადნო წარმოების სხვა დარგებიდან XIX ს-ის მეორე ნახევარში აღსანიშნავია ნავთის მოპოვება და გადამუშავება კახეთში — შირაქის ველზე, ქვის დამუშავება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით სოფ. კურსებში, მაგრამ აღნიშნული საწარმოები დიდი მასშტაბის არ იყო და ამიტომ მათ დაწვრილებით არ ვეხებით.

სამთამადნო წარმოების წამყვანი დარგები იყო მანგანუმის და ქვანახშირის მოპოვება ჭიათურასა და ტყიბულში და ალავერდის სპილენძის

დამუშავება. ყველა ამ საწარმოში XIX ს-ის მიწურულიდან შეიმჩნევა მანქანური ტექნიკის დანერგვა.

ამრიგად, წვრილი კაპიტალისტური წარმოების გაფართოება, მსხვილი წარმოების ხვედრითი წონის უპირატესად ზრდის პირობებში, სამთამადნო მრეწველობის ძირითადი დარგების — ქვანახშირისა და მანგანუმის—წარმოების აღმავლობა, მანქანური ტექნიკის დანერგვა, კაპიტალის კონცენტრაცია მრეწველობაში და სხვ., მოწმობს, რომ 70—90-იან წლებში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს კაპიტალისტური განვითარების გზაზე. საგრძნობლად გაიზარდა კაპიტალისტური სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებში. ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების განვითარების შედეგად ყალიბდება საქართველოს მუშათა კლასი.

§ 3. მუშათა კლასის ჩამოყალიბება

საქართველოს სამრეწველო განვითარების განხილვისას დავინახეთ, რომ დაქირავებული შრომის გამოყენებას მრეწველობის სხვადასხვა დარგში ჯერ კიდევ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წიაღში ჰქონდა ადგილი. საგლეხო რეფორმის გატარების დროისათვის საქართველოში კაპიტალისტური ხასიათის მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვი დაახლოებით 3 ათასამდე აღწევდა (ამათგან 500-მდე კაცი სამთამადნო წარმოებაზე მოდიოდა). მაგრამ ეს იყო ჯერ კიდევ მუშათა კლასის ჩასახვისა და ემბრიონალური განვითარების ხანა. მუშების ძირითად მასას ქმნიდა სოფლიდან ახლად წამოსული გლეხობა, რომელსაც მიწასთან კავშირი ჯერ არ გაეწყვიტა (ვარესამუშაოებზე გასვლა). მუშათა კონტინგენტს ნაწილობრივ ავსებდნენ ქალაქურ-ხელოსნური ფენის გაჩანაგებული წარმომადგენლები. ამასთან, დაქირავებული მუშების დიდი ნაწილი წვრილ წარმოებაში იყო დასაქმებული. დამმუშავებელ მრეწველობაში აღრიცხული დაახლოებით 2 500 მუშიდან შედარებით მსხვილ საწარმოებში (მანუფაქტურა, ფაბრიკა) ჩაბმული იყო სულ 600-მდე მუშა, ე. ი. 24%. რეფორმამდელი ხანის მრეწველობაში აღრიცხულ მუშებზე გაცილებით მეტი იყო მშენებლობასა და სავაჭრო დაწესებულებებში დასაქმებული მუშახელის რიცხვი. მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს აღწევდა.

საგლეხო რეფორმამ დიდი გარდატეხა მოახდინა არა მარტო მშრომელთა სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში, არამედ მათ ფსიქოლოგიაშიც. გაწყდა ის ბორკილები, რომელნიც საუკუნეების მანძილზე უშუალო მწარმოებელს მიწის მფლობელისაგან პირადად დამოკიდებულს ხდიდა. ამიერიდან ურთიერთობა მიწის მუშაკსა და მიწის მფლობელს შორის, პირადი დამოკიდებულების გადმონაშთების დაძლევის გზით, თან-

დათან თავისუფალი გარიგების სახეს იღებდა[1]. ეკონომიური პირობებით შექმნილი კაბალური მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი ხელმოკლე გლეხისათვის იყო საკუთარი სამუშაო ძალის ბაზარზე გამოტანა.

მეორე მხრივ, ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარება რეფორმის მომდევნო ხანაში (კერძოდ, სარკინიგზო მშენებლობა და კაპიტალისტური მრეწველობის ზრდა), ფართო მოთხოვნილებას წარმოშობდა თავისუფალ სამუშაო ძალაზე. ღრმავდებოდა მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად ვადანაცვლების პროცესი. სამრეწველო გადატრიალების პერიოდში (რომელიც საქართველოში 70-იანი წლებიდან იწყება, ხოლო 80-იანი წლების შუახანებიდან უკვე აღინიშნება მანქანური წარმოების ხვედრითი წონის განუხრელი ზრდით) ყალიბდება საქართველოს სამრეწველო მუშათა კლასი. ეს უკანასკნელი გარკვეულ ადგილს იჭერს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, უკვე გვევლინება „კლასად თავისთავად“ (მარქსი).

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება გამოიხატება არა მარტო მუშათა რაოდენობის ზრდაში, არამედ იმ ცვლილებებშიც, რომელიც ხდება წვრილ და მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობრივ შეფარდებაში. დამმუშავებელ მრეწველობაში ასეთი შეფარდების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქვემომოტანილი ცხრილი, რომელიც ემყარება ჩვენ მიერ საქართველოს მრეწველობის განვითარების შესწავლისას მიღებულ შედეგებს[2].

ცხრილი 6

წლები	მუშათა რაოდენობა			
	წვრილ წარმოებაში	მანუფაქტურაში	ფაბრიკულ ქარხნულ წარმოებაში	სულ მუშა
1865—66	1921	483	132	2536
1885—86	1554	2187	1712	5453
1900	7046	984	9004	17034

როგორც ვხედავთ, 60-იანი წლების შუახანებში ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაში ჩაბმული იყო მუშათა 5,3%, 80-იანი წლების შუახანებში — 32%, ხოლო 1900 წლისათვის — 53%.

ამავე დროს, საქართველოს სამთამადნო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით, ამ დარგშიც ხდება მუშათა მუდმივი კონტინგენტის შექ-

[1] შეადარე: ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 364—365.
[2] იხ. ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში (დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება), თბ., 1966, გვ. 208—216.

მნა. უკანასკნელთა რიცხვი 60-იანი წლების შუახანებში 500-მდე აღწევდა, 80-იანი წლების შუახანებისათვის — 2 400-ს, ხოლო 1900 წლისათვის — 7—8 ათასს.

მართალია, საქართველოს სამთამადნო წარმოებაში მექანიკური ტექნიკა ინერგება შედარებით უფრო გვიან, კერძოდ, XIX ს-ის მიწურულიდან, მაგრამ აქ მანამდეც ხდება მსხვილ მრეწველთა ხვედრითი წონის ზრდა წარმოებაში, რომელნიც ერთდროულად ეწეოდნენ მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობის ექსპლოატაციას.

ამრიგად, 70—90-იანი წლები არის საქართველოს მუშათა კლასის ძირითადი კონტინგენტის შექმნის ხანა. XIX ს-ის მიწურულს და XX ს-ის დასაწყისისათვის სამრეწველო მუშათა რაოდენობა, ჩვენი ვარაუდით, აქ 24 ათასს აღწევს[1].

გარდა ამისა, სხვა სახის სამუშაოებში (მშენებლობა, ტვირთის ზიდვა, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მომსახურება, სავაჭრო დაწესებულებები და სხვ.) დასაქმებული იყო მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა. აღნიშნულ დარგებში დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბებზე წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით[2] (იხ. ცხრ. 7).

---

[1] XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში მუშათა რაოდენობა სხვადასხვა ავტორს სხვადასხვანაირად აქვს ნაანგარიშევი, კერძოდ, ი. ხუციშვილის აზრით, ამ დროს საქართველოში იყო 35200 სამრეწველო მუშა (იხ. მისი „1905—1907წწ. რევოლუცია საქართველოში", თბ., 1954, გვ. 52), გ. ბაქრაძის თანახმად, მუშათა საერთო რაოდენობა ამ დროისათვის უდრიდა 37, 341 კაცს, წყლის წისქვილებში დაკავებული მუშების გამოკლებით კი 25165 კაცს, აქედან დამმუშავებელ მრეწველობაში იყო დასაქმებული 18 ათასი კაცი, მომპოვებელ მრეწველობაში—2900 კაცი..., ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში — 2265 კაცი (იხ. მისი «Возникновение и развитие..., გვ. 92 — 95); ნ. ჩახვაშვილის გაანგარიშებით საქართველოში საქარხნო-საფაბრიკო წარმოებაში ჩაბმული იყო 17396 მუშა, ხოლო სამთო-საქარხნო წარმოებაში 8 ათასამდე მუშა, ე. ი. სულ იყო 25 ათასამდე მუშა(იხ. მისი «Рабочее движение в Грузии 1870—1904 гг.», Тб. 1958, გვ. 50—51). საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევებში მითითებულია 27—28 ათასამდე სამრეწველო მუშა (იხ. «Очерки истории коммунистической партии Грузии, Тб. 1957, გვ. 14). 1897 აღწერის მონაცემებით საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული იყო 17 ათასამდე მუშა(იხ. «Численность и состав рабочих в России на основании данных первой всеобщей переписи населения Российской империи 1897 т. II. СПб, 1906, ტაბ. III).

ეს ციფრი თითქოს უახლოვდება დამმუშავებელ მრეწველობაში ჩვენ მიერ მიღებულ ციფრს, მაგრამ მსგავსება ამ შემთხვევაში მხოლოდ გარეგნულია. ჩვენი გაანგარიშება მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით განსხვავდება აღწერის მონაცემებისაგან. რაც შეეხება სამთამადნო წარმოებას, აქ ჩვენი და აღწერის მონაცემები საესებით განსხვავებულია. სამრეწველო მუშათა ნაწილი აღწერის მასალებში, ჩანს, საძიებელია, დღიურ და სხვა მუშათა შორის.

[2] იხილე 1897 წლის აღწერის ზემოდასახელებული გამოცემა «Численность и состав рабочих»..., II, ტაბულა III.

ცხრილი 7

საუშაოთა სახეები	თბილისის გუბერნია	ქუთაისის გუბერნია	სულ
სამშენებლო საქმე	5534	2197	7731
რკინიგზის მომსახურება	1567	1324	2891
საჰაპანო ტრანსპორტი	1277	400	1677
ტვირთის ზიდვა	634	474	1108
საკაპრო დაწესებულებების მომსახურება	1280	795	2075
დუქნების, სასტუმროების მომსახურება	1378	590	1968
სხვა სახის საქმიანობა	966	983	1949
სულ	12636	6763	19399

იმავე აღწერის მასალების თანახმად საქართველოში აღრიცხული იყო აგრეთვე 19 400 დღიური და შავი მუშა. ვინაიდან აღწერა მოხდა იანვრის თვეში, როდესაც სოფლის მეურნეობაში ამგვარ მუშახელზე ნაკლები მოთხოვნილება არსებობს, ვფიქრობთ, დღიურ და შავ მუშათა დიდი ნაწილი ვაჭრობა-მრეწველობაში ან საქალაქო მეურნეობაში გამოიყენებოდა. გარდა ამისა, იმავე მონაცემებით, საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის მსახურნი შეადგენდნენ 28 900 სულს[1].

საქართველოს მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა ჩვენ მიერ მიღებულ რიცხვს (24 ათასი კაცი) თუ მივუმატებთ ზემოჩამოთვლილი კატეგორიების მუშახელს, გამოვა, რომ შრომის გაყიდვით ცხოვრობდა (გარდა სოფლის მეურნეობის მუშებისა) სულ დაახლოებით 90 ათასამდე სული (სეზონურ მუშებს გარდა).

მუშათა კლასის შევსების სხვადასხვა წყაროს არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მის შემადგენლობაზე. იმის გამო, რომ მანუფაქტურული წარმოება საქართველოში შედარებით გვიან განვითარდა, აქ ვერ მოესწრო საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისათვის კვალიფიცირებული კადრის მომზადება. ასეთ მუშათა კონტინგენტი ძირითადად იქმნებოდა 70—90-იან წლებში აღმოცენებულ შედარებით მსხვილ წარმოებაში. XIX საუკუნის საქართველოს ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაში ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მუშათა ოჯახებიდან გამოსული მემკვიდრეობითი მუშები.

[1] აღნიშნული კატეგორიის მუშები ცალკეა აღრიცხული 1897 წ. აღწერის მასალებში. იხ. Численность и состав рабочих..., I, СПБ, 1906, Приложение I, Распределение рабочих, поденщиков, чернорабочих и прислуги по видам занятий.

მუშათა კლასის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს რეფორმისშემდგომი ხანის საქართველოში სოფლიდან გამოსული ექსპროპრირებული მოსახლეობა შეადგენდა. იგი უპირველეს ყოვლისა ავსებდა ქალაქის მცხოვრებთა რიგებს და ამ გზით ებმებოდა მრეწველობაშიც. მუშათა კონტინგენტის შექმნის მეორე წყაროა თვით ქალაქების მკვიდრი მოსახლეობის. უმთავრესად წვრილ მწარმოებელთა და ვაჭრების, გაღატაკებული ნაწილი. მუშათა მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენდნენ აგრეთვე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, კავკასიის სხვა მხარეებიდან, თუ უცხოეთიდან (უმთავრესად თურქეთიდან და სპარსეთიდან) მოსულნიც. იმ გარემოებამ, რომ საქართველოს მრეწველობა, და, კერძოდ, ისეთი სამრეწველო ცენტრები, როგორიც იყო თბილისი, ბათუმი, ჭიათურის სამთამადნო რაიონი და სხვა, იზიდავდნენ მუშებს საქართველოს გარედანაც, განაპირობა აქ მუშათა კლასის მრავალეროვნული შედგენილობა.

სამრეწველო მუშების მუდმივი კონტინგენტი იქმნებოდა უმთავრესად საქართველოს სოფლებიდან გადმოსული ისეთი მუშახელისაგან, რომელმაც გაწყვიტა კავშირი სოფელთან. ამავე კატეგორიის მუშათა რიგებს ქმნიდნენ უღარიბესი ფენები ქალაქების მკვიდრთაგან, და ნაწილობრივ, საქართველოს გარედან მოსული და აქ დამკვიდრებული მშრომელნი. ესენი ფაქტიურად მოკლებული იყვნენ საწარმოო საშუალებებს და თავის სარჩენად საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის გარდა, სხვა სახსარი არ გააჩნდათ. მათ შორის საქართველოს სოფლებიდან მოსულნი თავდაპირველად შედარებით მცირე პროცენტს შეადგენდნენ. საქართველოსათვის უფრო დამახასიათებელი იყო სოფლიდან დროებით წამოსული ე. წ. „ნადელიან მუშათა“ არსებობა. როგორც ცნობილია, მუშათა კლასის ჩამოყალიბების ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელი იყო წარმოების საშუალებებისაგან — მიწისაგან — მოწყვეტა, სოფელთან კავშირის გაწყვეტა. მაგრამ ამ პროცესს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურებანიც ახლავს. იქ, სადაც გადასვლა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე რევოლუციური გზით ხდებოდა, ადგილი ჰქონდა უშუალო მწარმოებლის ერთბაშად მოწყვეტას წარმოების საშუალებათაგან, ხოლო სადაც ეს გადასვლა ხორციელდებოდა ნახევრული რეფორმების გზით (მაგ., რუსეთში), უშუალო მწარმოებელი ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწასთან. მით უმეტეს ეს ითქმის საქართველოზე, სადაც საგლეხო რეფორმა გატარდა უფრო შეკვეცილი სახით, ვიდრე რუსეთის გუბერნიებში. მცირე ნადელის მქონე მუშა, რომელიც საარსებო საშუალებებს ივსებს სამუშაო ძალის გაყიდვით, ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოშიც. უპირატესად კი დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ნადელის ზომა უკიდურესად მცირე იყო. დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ფენების კავშირი მრეწველობასთან (ბათუმი, ჭიათურა,

თბილისი) იმდენად მჭიდრო იყო, რომ შეგვიძლია პირობითად ვილაპარაკოთ არა აქედან წამოსული მუშების მხრივ კავშირის გაწყვეტაზე სოფელთან, არამედ ზღვარის წაშლაზე სოფლის უღარიბეს მოსახლეობასა და მრეწველობაში ჩაბმულ მუშებს შორის. დროთა ვითარებაში, ცხადია, მრავლდება ისეთი მუშების რიცხვიც, რომელნიც სავსებით წყდებიან სოფელს. მრეწველობაში ჩაბმული გლეხობის ყოველი ახალი ნაკადი უკვე წარმოადგენდა არა მუშათა კლასის წყაროს, არამედ რეზერვს.

90-იანი წლების მასალებში იშვიათობას არ წარმოადგენენ მრეწველობაში ჩაბმული ისეთი მუშები, რომელნიც ათეული წლების მანძილზე იმყოფებოდნენ ამა თუ იმ საწარმოში, დაუფლებულნი იყვნენ გარკვეულ პროფესიას. მაგალითად, 1900 წლისათვის, ჩითახოვის საფეიქრო ფაბრიკის 29 გაფიცული მუშიდან, საწარმოში 20 წელზე მეტ ხანს მუშაობდა 3, ხოლო 15—20 წელი — 6 მუშა, დანარჩენები კი უფრო ნაკლებ ხანს[1]. როგორც ირკვევა, გაფიცვის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მუშები აქ მუშაობდნენ პატარაობიდანვე და ვერ მიაღწიეს ჯამაგირის მომატებას[2]. იგივე ვითარებაა სხვა საწარმოებშიც. მაგ., ადელხანოვის სამხედრო ტანსაცმლის ფაბრიკაში 1900 წელს გაფიცული 30 მუშიდან 25 წელზე მეტი ხანი მუშაობდა 11 კაცი, 15-დან 25 წლამდე — 7 კაცი, 5-დან 15-მდე — 5[3]. ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშების კოლექტიურ განცხადებაში თბილისის პოლიცმეისტერისადმი აღნიშნულია, რომ მუშათა უმრავლესობა საწარმოში იმყოფებოდა 10 წელზე მეტ ხანს[4], ზოგიერთი კი — 20 წელზე მეტს[5]. ადელხანოვის ტყავის ქარხანაში 1899 წლისათვის 355 მუშიდან 5-წლიანი სტაჟით იყო 239 მუშა[6]. მნიშვნელოვანი იყო 10 და მეტი წლის სტაჟის მქონე მუშათა პროცენტი რკინიგზის მთავარ სახელოსნოებშიც[7].

საქართველოს მრეწველობაში მუშათა პროლეტარული კადრების შექმნა, რომელთაც სამუშაო ძალის გაყიდვის გარდა სხვა რამ საარსებო საშუალება არ გააჩნდათ, ჩანს ჩითახოვის ფაბრიკის მუშების კოლექტიური თხოვნიდან, სადაც მუშები წერენ: „ჩვენ ვარსებობთ ჩვენივე შრომით. არავითარი სხვა საკუთრება, ან ცხოვრების სხვა რამ სახსარი არა გვაქვს. ამიტომ, ბუნებრივია, მუშაობის შეჩერება, თუნდაც დროებით, ფაბრიკაში, სადაც პატარაობიდანვე დავიწყეთ და ვამთავრებთ ჩვენს უბადრუკ შრო-

---

[1] სსცია, ფ. 17, საქ. 4411, ფურც. 7.
[2] სმ, 9, 1956, გვ. 233.
[3] სსცია, ფ. 17, საქ. 4412, ფურც. 4.
[4] იქვე, საქ. 4415, ფურც. 27.
[5] იქვე, ფურც. 75.
[6] ა. მ ე ს ტ ვ ი რ ი შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის მუშათა კლასის ფორმირება და მისი რევოლუციური მოძრაობის პირველი ნაბიჯები (1880—1900 წწ.), თბ., 1965, გვ. 21.
[7] იქვე, გვ. 10.

მით ცხოვრებას, ნიშნავს ჩვენი და ჩვენი ოჯახების არსებობის შეწყვეტას"[1].

იმავე ფაბრიკის დახურვასთან დაკავშირებით 1901 წელს ადგილობრივი ხელისუფლება შიშობდა, რათა საწარმოს დახურვას არ გამოეწვია მუშათა მღელვარება. კერძოდ, ხელისუფლება მხედველობაში იღებდა, რომ ფაბრიკის მუშათა დიდი ნაწილი წლების მანძილზე დაეუფლა თავის საქმეს და შეეჩვია მას. ხოლო რადგან საფეიქრო ფაბრიკა თბილისში მხოლოდ ერთი იყო, მუშებს გაუჭირდებოდათ მსგავსი სამუშაოს სხვაგან მოძებნა, რაც გამოიწვევდა მათ უკმაყოფილებას[2].

ამრიგად, მოტანილი მაგალითების მიხედვით, საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ საქართველოს მრეწველობაში XIX ს-ის მიწურულისათვის იქმნება კვალიფიცირებული მუშათა კადრი, რომელიც შეადგენდა საქართველოს მუშათა კლასის ბირთვს. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობაში, როგორც ყველგან კაპიტალისტურ წარმოებაში, ჩაბმული იყვნენ ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები, რომელნიც მუშაობდნენ უკიდურესად მძიმე პირობებში.

მუშათა კლასის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მაჩვენებელი არის კოლექტივიზმის, პროლეტარული თვითშეგნების გამომუშავება. ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „ცნობის ფურცელში" დასაბეჭდად გათვალისწინებული, ცენზურის მიერ შეჩერებული, ერთ-ერთი წერილის შინაარსი, სადაც ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშების შესახებ ნათქვამია, რომ თავდაპირველად მათ არ ჰქონდათ „ერთი პირი", რის გამოც არ შესწევდათ „ისეთი ძალა, რომ თავიანთ მეტოქეს (ე. ი. ფაბრიკის მეპატრონეს — ავტ.) გამკლავებოდნენ. თუ ერთი წილი თავგამოდებით იბრძოდა თავის უფლების დასაცავად, ე. ი. სამუშაოს შენარჩუნებისათვის და მეტოქეობას უწევდა თავიანთი ქარხნის პატრონს, ორი წილი, პირიქით, ემუდარებოდა: „შენი ჭირიმე, გვამუშავე, სიმშილით ნუ დაგვხოცეო". „ამისათვის, — ვკითხულობთ წერილში, — მათ მოძრაობას შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია აქამომდე". წერილის ავტორი ასეთ ვითარებას უპირისპირებს 1897 წელს ფაბრიკის მუშათა ერთსულოვან გამოსვლას თავიანთი ინტერესების დასაცავად, ფაბრიკაში მანქანების შემოღებასთან დაკავშირებით[3].

შესამჩნევი გარდატეხა მუშათა შეგნებაში 80-იანი წლებიდან ხდება, როდესაც ინტენსიურად შემოდის მანქანური წარმოება და ამასთანავე მუშათა წრეებში ფეხს იკიდებს სოციალისტური იდეები. თუკი 80-იანი წლების შუახანებში ს. გულიშამბაროვს ჯერ კიდევ ჰქონდა საფუძველი

---

[1] სსცია, ფ. 17, საქ. 4411, ფურც. 3.

[2] იქვე, ფურც. 22.

[3] სმ 9, გვ. 168.

ემტკიცებინა, რომ თბილისის მუშებს არა აქვთ ერთობლიობის არავითარი შეგნება და ისინი წარმოადგენენ „ჭრელ ბრბოს“, 90-იანი წლების მუშათა მოძრაობა იყო დადასტურება სრულიად საწინააღმდეგო მოვლენისა, რის უარყოფა არ შეეძლოთ თვით ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი. 90-იანი წლების მიწურულიდან მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების და XX ს-ის დასაწყისიდან კაპიტალისტებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლის შემდეგ, საქართველოს პროლეტარიატი ყალიბდება „კლასად თავისთვის“, რომელმაც, როგორც რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა, კლასობრივი შეგნებულობის და დარაზმულობის მაგალითი აჩვენა რუსეთს პირველი რევოლუციის პერიოდში.

§ 4. ვაჭრობა და კრედიტი

XIX ს-ის 70 — 90-იანი წლები საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდია. რკინიგზების გაყვანის, სამთამადნო მრეწველობის აღმავლობის, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისა და სახელმწიფო და კერძო საკრედიტო ორგანიზაციების დაარსების შედეგად საქართველო მტკიცედ ებმება მსოფლიო საქონელბრუნვაში. თუ მთელი XIX ს-ის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ამიერკავკასიას და საქართველოს უხდებოდა მნიშვნელოვანი თანხის გადახდა შემოტანილი საქონლის ღირებულების ასანაზღაურებლად, უკვე 70-იანი წლებიდან საქართველოს ექსპორტის ღირებულება სწრაფად იზრდება, ხოლო 80-იანი წლებისათვის, როცა იწყება მარგანეცისა და სიმინდის გაცხოველებული გატანა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი აქტიურ ხასიათს ღებულობს და ექსპორტი ბევრად აღემატება იმპორტს. სასაქონლო მეურნეობაზე დამყარებული დარგობრივი სპეციალიზაცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება და უკვე 70-იანი წლებისათვის გლეხობაში შორს წასული სოციალური დიფერენციაცია საშინაო ბაზრის მნიშვნელოვან გაფართოებას იწვევდა. იზრდებოდა გლეხობის მოთხოვნილება სამრეწველო პროდუქციაზე — პირადი მოხმარების საგნებსა და საწარმოო საშუალებებზე, მაგრამ ეს გარემოება ფართო მასების მატერიალური დონის ამაღლებას კი არ მოასწავებდა, არამედ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად, ნატურალური მომხმარებლობის ხარჯზე სასაქონლო მომხმარებლობის გაზრდით იყო გამოწვეული. პირველი მოხმარების საგნებზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძი-

რითადად რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლით ხდებოდა.

70-იან წლებში ევროპის ქვეყნებიდან თბილისის საბაჟოში შემოტანილი საქონლის საშუალო წლიური ღირებულება 2 596 000 მანეთს შეადგენდა[1]. იმავე ხანებისათვის დასავლეთ საქართველოს საბაჟოებში (გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის, რედუტ-კალეს, ფოთის, შეკვეთილისა და ახალციხის) წლიურად შემოჰქონდათ 1 843 032 მანეთის საქონელი.

ევროპიდან საქართველოში შემოდიოდა ამერიკული ნარმა, ბამბის, შალის, აბრეშუმის, ტილოსა და სელის ქსოვილები, ფოლადი და ფოლადის ნაკეთობანი, მაგარი სასმელები, შაქარი, ჩაი, მინა და მინის ნაწარმი, ასანთი, ზეთი და სხვ.

80-იან წლებში ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში შემოტანილი საქონლის საშუალო წლიური ღირებულება დაახლოებით 1—2 მილიონი მანეთის ფარგლებში მერყეობდა და გაზრდის ნაცვლად შემცირების ტენდენციას იჩენდა. 90-იანი წლებისათვის კი ეს ციფრი 6 464 088 მანეთამდე გაიზარდა. სავაჭრო ოპერაციების ასეთი მკვეთრი ზრდა, ერთი მხრივ, საქართველოს სამთამადნო და დამმუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და, მეორე მხრივ, რუსეთის მძიმე მრეწველობის შედარებით სუსტი განვითარებით იყო გამოწვეული. ევროპიდან შემოტანილი საქონლის ღირებულების თითქმის 45% მოდიოდა თუნუქის ფურცლებზე, რომლებიც ბათუმიდან გასატანი ნავთობის ტარის გასაკეთებლად იყო გამიზნული. კერძოდ, 1896 წ. ევროპიდან შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულების 9 043 492 მანეთიდან 4 167 960 მანეთი მარტო თუნუქის ფურცლებზე მოდიოდა[2]. ამავე მიზნებისათვის, კოლოფებისა და ყუთების გასაკეთებლად მოიხმარებოდა საზღვარგარეთიდან შემოტანილი 290 073 მანეთის კალა, 96 643 მანეთის ტყვია, 2 907 მანეთის თუთია, 139 656 მანეთის მავთული და სხვ[3]. ამავე წელს სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ორთქლის ძრავები, საერთოდ ყოველგვარი მანქანა-იარაღები შემოიტანეს 670 605 მანეთისა. საფეიქრო ნაწარმი და შაქარი კი ევროპიდან თითქმის აღარ შემოდიოდა. ამ საქონელზე გაზრდილი მოთხოვნილება რუსული ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმით კმაყოფილდებოდა.

70-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ნავსადგურებში საკაბოტაჟო გზებით რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შემოიტანეს 4 393 526 მანეთის ღირებულების საქონელი. აქედან 1 101 121 მანეთისა იყო საფეიქრო ნაწარმი, დანარჩენი კი — შაქარი, ხორბალი, საგალანტერიო საქონელი, სპირტი, თუჯისა და რკინის ნაკეთობანი, ჭურჭლეული, სა-

---

[1] სსცია. ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 11544.

[2] იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 9625.

[3] იქვე.

პონი, მედიკამენტები, ხე-ტყე, ავეჯი და სხვ. 70-იანი წლების ბოლოსათვის რუსეთიდან სამდინარო-სანაოსნო გზებით შემოტანილი საქონლის ღირებულება ოთხჯერ გაიზარდა და 16 666 447 მანეთი შეადგინა, 80-იანი წლების ბოლოსათვის კი 22 425 950 მანეთი. შემოტანილი რუსული საქონლის ნაწილი სპარსეთში გასატანად იყო განკუთვნილი. სპარსეთში გადიოდა 1 800 000 მანეთის ფქვილი, 2 300 000 მანეთის რკინა, რკინის ნაწარმი და სხვ.

საქართველოს ბაზრებზე რუსული საქონლის შემოტანის სწრაფი ზრდა მთავრობის ხელის შეწყობით იყო გამოწვეული. ის ყოველმხრივ ცდილობდა მეტროპოლიის სამრეწველო პროდუქციისათვის ამიერკავკასიის ბაზრების დამორჩილებას. ასეთ შემთხვევაში იგი არ გაურბოდა მფარველობითი ტარიფის დაწესებასაც. იმის გამო, რომ საქართველოს ვაჭრობის მთავარ საგანს საფეიქრო ნაწარმი (ძირითადად ბამბის ქსოვილები) წარმოადგენდა, ხოლო რუსეთი, თავის მხრივ, საფეიქრო მრეწველობის სწრაფი განვითარების გამო სწორედ ამ საქონლის გასაღებით იყო დაინტერესებული, რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მიზანშეწონილად ცნო ევროპიდან საქართველოში შემოტანილ ნარმასა და საერთოდ ბამბის ქსოვილებზე დადებული ბაჟი გაეზარდა. ხელისუფლება ამ ღონისძიებების გატარებით ვითომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ადგილობრივი საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის იღვწოდა, სინამდვილეში კი იგი მიზნად ისახავდა დაეცვა რუსეთის მეტროპოლიის მრეწველობა კონკურენციისაგან. 1868 წლიდან გირვანქა ევროპულ უბრალო ბამბის ქსოვილებზე ათკაპიკიანი ტარიფის ნაცვლად დაწესდა 15 კაპიკი, რაც ამ ქსოვილების ღირებულების 18%-ს შეადგენდა და სერიოზული შემაფერხებელი გარემოება იყო ევროპის ქვეყნებიდან მათი შემოტანისათვის. გარდა ამისა, რუსეთის შიდა გუბერნიებთან ვაჭრობის სწრაფ ზრდას ისიც უწყობდა ხელს, რომ თბილისელი და საერთოდ ამიერკავკასიელი ვაჭრები რუს მრეწველ-ვაჭრებს შორის ფართო კრედიტით სარგებლობდნენ, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობა მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე წარმოებდა.

თავის მხრივ, საქართველო სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების და დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების შედეგად როგორც საგარეო, ისე საშინაო ბაზარს, სულ უფრო და უფრო მეტი ღირებულების პროდუქციას აწვდიდა. საგარეო და საშინაო ბაზარზე საქართველოს ყველა რაიონი თავისი მეურნეობისათვის დამახასიათებელი საქონლით იღებდა მონაწილეობას. კახეთი ბაზარს უმთავრესად ღვინოს აწვდიდა, ქართლი — მარცვლეულს, ხილბოსტნეულსა და ღვინოსაც, იმერეთი — ღვინოს, აბრეშუმის პარკსა და მეფრინველეობის პროდუქტებს, გურია-სამეგრელო — სიმინდსა და აბრეშუმის პარკს, აფხაზეთი — თამბაქოსა და სიმინდს, საქართველოს მთიანეთი კი მეცხოველეობის პროდუქტებს.



თბილისი. ქარავანი მტკვართან.

XIX ს-ის ბოლოსათვის მარტო ქუთაისის გუბერნიას ბაზარზე გამოჰქონდა 11 მილიონი მანეთის მარცვლეულის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და მეთამბაქოეობის პროდუქტები. აღმოსავლეთ საქართველო კი დაახლოებით ამდენსავე თანხას იღებდა მარტო მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის რეალიზაციით.

საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვინით ვაჭრობას. მეღვინეობა, რომელსაც თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში სასაქონლო ხასიათი ჰქონდა, 70-იანი წლებიდან რკინიგზებისა და მოსახერხებელი სამიმოსვლო გზების გაყვანის შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან დარგად იქცა.

70—90-იანი წლებისათვის რუსეთის იმპერიაში — მოსკოვში, პეტერბურგში, სტავროპოლში, ვლადიკავკაზში, ოდესასა და სხვა ქალაქებში — უკვე კარგად იცნობდნენ არა მარტო კახურ ღვინოებს, არამედ საქართველოს სხვა მაზრებში დაყენებულ ღვინოებსაც. 1876—1880 წლებში ამიერკავკასიიდან რკინიგზით რუსეთში გაუტანიათ 195 932 ფუთი ღვინო, 1891—1894 წლებში კი — 1 036 574 ფუთი. აქედან მოსკოვში გაიგზავნა

32 697 ფუთი, პეტერბურგში — 62 554, ვარშავაში — 33 222, ოდესაში — 23 042, ხარკოვში — 25 160, ნოვოროსიისკში — 10 387, კიევში — 9 094, რიგაში — 7 760, სევასტოპოლში — 2 019, ქერჩში — 3 382, ტულაში — 2 162, როსტოვში — 596, კურსკში — 3 218, მარიუპოლში — 1 333, ორიოლში — 1 005, ლოძში — 1 308, ვილნოში — 1 592 ფუთი და სხვ. სახელდობრ რა რაოდენობის ღვინო იყო მხოლოდ საქართველოდან რუსეთის ზემოჩამოთვლილ ქალაქებში გატანილი, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს მეღვინეობის როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციას ამიერკავკასიაში წამყვანი ადგილი ეკავა, შეიძლება დავასკვნათ, რომ გატანილი პროდუქციის დიდი ნაწილი სწორედ საქართველოზე მოდიოდა. ამ დროისათვის მოსკოვში, პეტერბურგში, ოდესასა და სხვა ქალაქებში ღვინის საწყობები ჰქონდათ „ივ. მუხრანბატონისა და კომპანიის“ სავაჭრო სახლს, „ზაქარია ჯორჯაძესა და კომპანიას“ და სხვ. ამავე დროს საუფლისწულო მამულებში ყოველწლიურად $1^1/_2$ მილიონი ბოთლი ღვინო მზადდებოდა გასაყიდად. საუფლისწულო მეურნეობა ღვინოს უმთავრესად რუსეთის ქალაქებში გასატანად ამზადებდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში წარმოებული ღვინის სასაქონლო პროდუქცია უმთავრესად საშინაო ბაზარზე საღდებოდა. 90-იანი წლების შუახანებისათვის (1894 წ.) დასავლეთ საქართველოში (ძირითადად ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში) 4 800 000 ვედრო ღვინო დაუყენებიათ. აქედან 2 362 000 ვედრო ბაზარზე გაუტანიათ. ქუთაისისა და შორაპნის მაზრების ღვინოები გაჰქონდათ სამეგრელოში, ბათუმში, ფოთში, თბილისში, სურამსა და ხაშურში. თავის მხრივ, ქუთაისის გუბერნია აღმოსავლეთ საქართველოს ღვინოებსაც მოიხმარდა. ამავე 1894 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დაყენებული იყო 5 837 445 ვედრო ღვინო, ბაზარზე გამოვიდა 3 253 797 ვედრო, ღვინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 5 331 053 მანეთს უდრიდა[1]. ამ დროისათვის საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბებში მრავლად იყო ღვინით სავაჭრო სარდაფები. მაგალითად, თბილისში 215 ღვინის სარდაფი ყოფილა 1 350 600 მანეთამდე წლიური საქონელბრუნვით, ბათუმში — 58 სარდაფი 260 000 მან. საქონელბრუნვით, ფოთში — 19 სარდაფი 52 900 მან., სოხუმში — 15 სარდაფი 43 600 მან. საქონელბრუნვით, დაბა ყვირილაში — 3 სარდაფი 20 000 მან; აბაშაში — 6 სარდაფი 6 000 მან., ახალსენაკში — 13 სარდაფი 25 800 მან. ზუგდიდში — 6 სარდაფი 4 800 მან., გორის მაზრაში 38 სარდაფი 77 400 მანეთის წლიური საქონელბრუნვით და სხვ.

---

[1] სსცია, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 1460.

80—90-იანი წლების საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდით ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. დასავლეთ საქართველოს რაიონები, სახელდობრ სამეგრელო და აფხაზეთი, დიდი რაოდენობით აწვდიდნენ სიმინდს საგარეო ბაზარს. 1881 წელს დასავლეთ საქართველოდან ევროპის ქვეყნებში გაიტანეს 858 008 ფუთი სიმინდი, 1882 წ. — 1 806 000 ფუთი, 1883 წ. — 1 651 000 ფ., 1884 წელს კი — 5 113 000 ფუთი. ამ დროიდან ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდის საშუალო წლიური გატანა 5—6 მილიონ ფუთს აღწევდა. სიმინდის გაყიდვით მიღებული საშუალო წლიური შემოსავალი 3—4 მილიონ მანეთს უდრიდა.

90-იანი წლების ბოლოდან კი სიმინდის ექსპორტი საგრძნობლად მცირდება. ეს შემცირება გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზარზე ამერიკული სიმინდის მოზღვავებით, რომლის თვითღირებულება, ამერიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალი დონის გამო, გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში. ადგილობრივი მეურნეები, რომელთაც ამ დროისათვის სიმინდით ნათესების ფართობები საგრძნობლად ჰქონდათ გაზრდილი და საკმაოდ იყვნენ ჩათრეული მსოფლიო ბაზრის საქონელბრუნვაში, იძულებული იყვნენ თავიანთი ნაწარმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ეზრუნათ.

სიმინდის ექსპორტის შემცირებასთან ერთად შეინიშნება ამ პროდუქტის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება საშინაო ბაზარზე. სწრაფად განვითარებული მეფრინველეობა თანდათანობით მეტი რაოდენობით მოიხმარდა მარცვლეულს.

სიმინდი უმთავრესად ფოთის ნავსადგურიდან გაჰქონდათ, სადაც საზღვარგარეთული ფირმის რამდენიმე კანტორა არსებობდა. დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებში ადგილობრივ ვაჭრებს — კულაკ შემსყიდველებს სიმინდის საწყობები ჰქონდათ გახსნილი. ისინი უშუალო მწარმოებლისაგან შესყიდულ სიმინდს რკინიგზით ან მდინარე რიონით აწოდებდნენ ფოთში მოკალათებულ ექსპორტიორებს.

XIX ს-ის 90-იან წლებში სიმინდის საწყობები იყო: დაბა ყვირილაში 13, ახალსენაკში — 9, ძველ სენაკში — 3, აბაშაში — 16, ანაკლიაში — 14 და სხვ.[1]. ზოგი საწყობის წლიური ბრუნვა 30—40 ათას მანეთს აღემატებოდა. შემსყიდველები უმთავრესად ადგილობრივი გლეხები იყვნენ, რომელთაც, სიმინდის საწყობებს გარდა, იმავე სოფლებში წვრილმანი საქონლის სავაჭრო დუქნები ჰქონდათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში განვითარებული მეცხოველეობის პროდუქტები იყიდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. რკინიგზების გაყვანის შემდეგ დაიწყეს ამიერკავკასიიდან მატყლის

---

[1] სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 5217.

მნიშვნელოვანი რაოდენობით გატანა საზღვარგარეთ. 1870 წელს ფოთის ნავსადგურიდან გაიტანეს 58 586 ფუთი მატყლი 413 307 მანეთისა[1], 1871 წელს — 111 948 ფუთი 977 208 მანეთისა, 1872 წ. — 114 762 ფუთი 807 742[2] მანეთისა. 70-იანი წლების ბოლოსათვის მატყლის გაყიდვით მიღებული ყოველწლიური შემოსავალი 1 300 000 მანეთს უდრიდა[3]. 80—90-იან წლებში ამიერკავკასიიდან მატყლის საშუალო წლიური გატანა 170—200 ათას ფუთს აღწევდა. ამიერკავკასიიდან გატანილი მატყლის 1/3-ზე მეტი თბილისის გუბერნიაზე მოდიოდა.

90-იანი წლების ბოლოსათვის მატყლი მნიშვნელოვანი რაოდენობით იყიდებოდა საშინაო ბაზრებზეც. კერძოდ, ადელხანოვის ქეჩისა და ტყავის ქარხნებში სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მოიხმარებოდა ადგილობრივი ნედლეული (მატყლი და ცხვრისა და თხის ტყავები)[4]. XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის ადელხანოვი საჭიროდაც კი ცნობდა მატყლითა და ტყავებით ვაჭრობის რეგულირებას იმ მიზნით, რომ თბილისში დაკლული საქონლის ტყავი და მატყლი მთლიანად მის მიერ დაარსებულ აქციონერულ საზოგადოებას ჩაბარებოდა.

ამიერკავკასიის მატყლით ვაჭრობის ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. თბილისელი მეორე გილდიის ვაჭარი იაგორ გუმუზოვი წლიურად ყიდულობდა და ყიდდა 60 000 მანეთის მატყლს, ასატურ ტერ-აკოფოვი — 100 000 მან., გევორქ მალდადანოვი — 80 000 მან., ზაქარია ოგანეზოვი — 20 000 მან., ალექსი ჯანჯუგაზოვი — 50 000 მან., ამბარცუმ სარაჯევი — 70 000 მანეთის მატყლს და სხვ.

სიღნაღის, თიანეთის, დუშეთის, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები საქართველოს საშინაო ბაზრებს, უმთავრესად თბილისის ბაზარს, უხვად აწოდებდა მეცხოველეობის სხვა პროდუქტებსაც. ბორჩალოს მაზრებიდან ყოველწლიურად გასაყიდად გამოჰქონდათ 6 220 ფუთი შვეიცარიული ყველი, 935 ფუთი კარაქი, 10 000 ფუთი ცხვრის ყველი, 15 000 ფუთი ერბო, 15 000 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 30 000 სული ცხვარი[5]. ახალქალაქის მაზრიდან ბაზარზე გამოჰყავდათ სახორცე პირუტყვი — 62 000 მანეთის, ყველი და კარაქი — 13 500 მანეთისა[6]; თიანეთის მაზრი-

---

[1] სსცია, ფ. 378, ანაწ. 1, საქ. 11154. ფურც. 146.

[2] იქვე, საქ. 11541, ფურც. 19.

[3] იქვე, საქ. 12108, ფურც. 3.

[4] უკვე 900-იანი წლებისათვის ადელხანოვის ტყავისა და ქეჩის მწარმოებელი აქციონერული საზოგადოება 1027632 მანეთის ადგილობრივ ნედლეულს მოიხმარდა.

[5] РТКЭЖДЭКО, გვ. 112—185.

[6] სსცია, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 669.

დან ყველი და კარაქი — 100 000 მანეთისა[1] და სხვ. მარტო თბილისი ყოველწლიურად მოიხმარდა 300—350 ათას სულ შინაურ პირუტყვს[2].

XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოსათვის საქართველო მსოფლიო ბაზარზე მონაწილეობას იწყებს მეფრინველეობის პროდუქტებით, კერძოდ, კვერცხით. კვერცხის დიდი რაოდენობით გატანა დასავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რუსეთის სანავსადგურო ქალაქებში იწყება 1891 წლიდან[3]. პირველ ხანებში კვერცხის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 10 000 მანეთს არ აღემატებოდა, მაგრამ სულ მალე, 90-იანი წლების ბოლოსათვის, ქუთაისის გუბერნიაში ამ პროდუქტის რეალიზაციით მიღებულმა საშუალო წლიურმა შემოსავალმა 1,2 მილიონ მანეთს მიაღწია[4]. 1898 წლიდან ბათუმსა და ფოთში დაარსდა კვერცხის შემსყიდველი უცხოური ფირმები. ისინი ვაჭარ-შემსყიდველებისაგან ყიდულობდნენ კვერცხს და ბითუმად აგზავნიდნენ საზღვარგარეთ — ლონდონის, ჰამბურგის, ბერლინის და პარიზის ბაზრებზე. ფრინველი კი საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქების ბაზრებზე საღდებოდა.

70-იანი წლებიდან უცხოურ თამბაქოზე მაღალი საბაჟო ტარიფის დაწესების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში, სწრაფი ტემპით ვითარდება მეთამბაქოეობა, რომლის პროდუქცია თითქმის მთლიანად ბაზარზე გამოდიოდა. დასავლეთ საქართველოში მოყვანილი თამბაქოს 1/3 ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებში მოიხმარებოდა, დანარჩენი კი რუსეთის ქალაქებში იგზავნებოდა. მაგალითად, 1898 წ. აფხაზეთში მიღებული 179 647 ფუთი თამბაქოდან 102 908 ფუთი, თითქმის მთელი მოსავლის 2/3, რუსეთის გუბერნიების ბაზრებზე გაიტანეს.

სოხუმში პეტერბურგის თამბაქოს ფაბრიკას „ბოგდანოვსა და კომპანიას" და სხვა კერძო პირებს ასმოლოვს, ფეონტოპულოს, ბურახსა და სხვ. ჰქონდათ თამბაქოს საწყობები, ჰყავდათ მუდმივი აგენტები, რომლებიც შეისყიდიდნენ თამბაქოს მოსავლის უდიდეს ნაწილს და აგზავნიდნენ რუსეთში[5].

ამიერკავკასიის ერთ-ერთ საექსპორტო საქონელს აბრეშუმის ნედლეულიც წარმოადგენდა. იგი გაჰქონდათ საზღვარგარეთ და რუსეთში. ამ ექსპორტში საქართველოს მონაწილეობა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გამო 70—80-იან წლებში საკმაოდ უმნიშვნელო იყო. კერძოდ, 80-იან

---

[1] სსცია, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 3734.

[2] იქვე, საქ. 1712.

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ., 634.

[4] იქვე, გვ. 636—637.

[5] იქვე, ტ. IV,

წლებში, ამიერკავკასიიდან გატანილ 39 113 ფუთ აბრეშუმის ნედლეულში საქართველოს წილი მხოლოდ 216 ფუთს შეადგენდა. 90-იან წლებში ჯანმრთელი აბრეშუმის ჭიის თესლის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოში (ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთისა და ქუთაისის მაზრებში) სწრაფად იზრდება აბრეშუმის ნედლეულის სასაქონლო წარმოება. უკვე 1895 წელს ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული 8 200 ფუთი აბრეშუმის პარკიდან გაიყიდა 5 210 ფუთი პარკი და 1 200 ფუთი აბრეშუმის ნართი. 1896 წელს ქუთაისის გუბერნიიდან გაიტანეს 10 100 ფუთი აბრეშუმის პარკი, 1897 წ. 15 900 ფუთი, 1898 წ. — 22 400 ფუთი, 1899 წ. — 13 300 ფუთი; 900-იანი წლების დასაწყისისათვის კი ქუთაისის გუბერნიას ბაზარზე ყოველწლიურად საშუალოდ გამოჰქონდა 50 000 ფუთი აბრეშუმის პარკი ($1^1/_2$ მილიონი მანეთის ღირებულებისა).

მეხილეობა-მებოსტნეობის პროდუქტები თითქმის მთლიანად საშინაო ბაზარზე საღდებოდა. საქართველოს ქალაქები თანდათანობით მზარდი რაოდენობით მოიხმარდა ხილბოსტნეულს. პირველ ხანებში სავაჭრო მეხილეობა-მებოსტნეობა დიდი ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვ. — გარეუბნებში იყო განვითარებული. რკინიგზების გაყვანის შემდეგ სავაჭრო მებაღეობა-მებოსტნეობა ქალაქებიდან დაშორებულ რაიონებშიც განვითარდა.

1894 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ხეხილის ბაღებს ეკავა 5 202 დესეტინა; ხილის შემოსავალი შეადგენდა 248 898 ფუთს, საიდანაც გაიყიდა 167 835 ფუთი 120 987 მანეთისა[1]. ხილის ბაზარზე მიმწოდებელი ძირითადად გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები იყო. ბაზარზე გასატანი ხილი მნიშვნელოვანი რაოდენობით მოჰყავდათ თბილისშიც.

დასავლეთ საქართველოში სავაჭრო მეხილეობას უმთავრესად ქუთაისის მაზრასა და ახლადშემოერთებულ ართვინისა და ბათუმის ოლქებში მისდევდნენ. 1894 წ. ქუთაისის მაზრაში ხილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 93 765 მანეთს უდრიდა, ართვინის ოლქში — 58 600 მანეთს, ბათუმის ოლქში — 19 400 მან.[2].

ბოსტნეულის — კომბოსტოს, კარტოფილის, ხახვის, კიტრის, ლობიოს და სხვ.—მიმწოდებელი ბაზარზე ბორჩალოს, გორის და თბილისის მაზრები იყო. ამ მაზრებიდან ბოსტნეული გაჰქონდათ დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც.

1894 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მოყვანილ იქნა 987 661 ფუთი ბოსტნეული, აქედან გაიყიდა 339 645 მანეთის ღირებულებისა[3].

XIX საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობაში

---

[1] სსცია, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 1460, ფურც. 24.
[2] იქვე, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 1461.
[3] იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 1460, ფურც. 26.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჭიათურის მარგანეცის გატანას. ჭიათურის მარგანეცის ამოღება 1889 წლიდან იწყება. ამ წელს საზღვარგარეთ და სამხრეთ რუსეთის ქალაქებში გაიტანეს 51 000 ფუთი მარგანეცი. 80-იანი წლების ბოლოსათვის მარგანეცის გატანამ თითქმის 9 მილიონამდე ფუთს მიაღწია. 1895 წლიდან, ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის შემდეგ, მარგანეცის ამოღება-გატანა კიდევ უფრო სწრაფად მატულობს. 1897 წელს ამოიღეს და საზღვარგარეთ გაიტანეს 12 131 807 ფუთი მარგანეცი, 1898 წ. — 16 259 204 ფუთი, 1899 წ. — 34 054 320 ფუთი, 1900 წელს — 40 363 492 ფუთი. ჭიათურის მარგანეცს მსოფლიო ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა ეკავა.

80-იანი წლების მანძილზე ჭიათურის მარგანეცის ამოღება ქართველი მრეწველების ხელთ იყო, გატანა კი უცხოელი ექსპორტიორების საშუალებით წარმოებდა.

საქართველოს საშინაო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადგილობრივი საფაბრიკო-საქარხნო და ხელოსნობის პროდუქციასაც. 80-ინი წლების ბოლოსათვის ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებსა და სახელოსნოებში 5 938 000 მანეთის პროდუქციას ამზადებდნენ. ეს საქონელი ძირითადად თვით საქართველოს ფარგლებშივე საღდებოდა. 90-იანი წლების ბოლოსათვის კი ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული საქონელი მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ ამიერკავკასიისა და რუსეთის ქალაქებში. კერძოდ, ადელხანოვის ტყავისა და ქეჩის საწარმოების პროდუქციას რუსეთის იმპერიის მასშტაბით ჰქონდა მოპოვებული ბაზრები. როგორც ადელხანოვი წერდა, ამ საქონელზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელ რუსეთის იმპერიაში, დაწყებული ფინეთიდან დამთავრებული შუა აზიით[1].

საქართველოს საშინაო ვაჭრობას სრულიად არ შეესატყვისებოდა ის საქონელბრუნვა, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს იარმარკებზე წარმოებდა. აღმოსავლეთ საქართველოში ბაზრობები იმართებოდა გორისა (სურამი, ცხინვალი, არბო, ახალქალაქი, მეჯვრისხევი, რუისი, ერთაწმინდა) და თელავის მაზრებში (ალავერდი და შუამთა). ქუთაისის გუბერნიაში იარმარკები იყო სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში. ამ ბაზრობებზე იყიდებოდა როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი საქონელი. 80-იანი წლების ბოლოსათვის აღმოსავლეთ საქართველოს იარმარკების წლიური საქონელბრუნვაც 75 000 მანეთს არ აღემატებოდა, დასავლეთ საქართველოსი კი დაახლოებით 200 000 მანეთს შეადგენდა. საიარმარკო ვაჭრობის ასეთი უმნიშვნელო როლი უკვე მძლავრად განვითარებული ვაჭრობით იყო განპირობებული. ამ ხანებში საქარ-

---

[1] ЦГИА СССР, ф. 22, оп. 4, 1895, д. 89.

თველოში რკინიგზების გაყვანისა და სხვადასხვა რაიონებს შორის მჭიდრო სააღებმიცემო ურთიერთობის დამყარების შემდეგ ხდება ქალაქის სოფელთან დაახლოება. სოფლის პრიმიტიული ბაზრობა კარგავს მნიშვნელობას. მის ადგილს კაპიტალისტურად გამართული მუდმივი ვაჭრობა იჭერს. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველოს ყველა ქალაქში, ცოტად თუ ბევრად მსხვილ დაბა-სოფლებში, მრავლად იყო საფეიქრო და საერთოდ სამრეწველო და სასურსათო ნაწარმის მაღაზია-დუქნები, რომელნიც მუდმივ ვაჭრობას აწარმოებდნენ. ქ. თბილისის მარტო საფეიქრო ნაწარმის მაღაზიების საქონელბრუნვა წელიწადში 3 162 800 მანეთს აღწევდა, ბათუმის სასურსათო და სამრეწველო საქონლით მოვაჭრე მაღაზია-საწყობების საქონელბრუნვა 5 985 600 მანეთს უდრიდა, ფოთის — 668 400 მან. სოხუმის — 279 700 მან., სიღნაღის — 468 000 მანეთს, თელავის—433 300 მანეთს, ახალციხის—366 000 მანეთს, გორის — 198 100 მანეთს[1]და სხვ. ძველი ქალაქების გარდა რეფორმის მომდევნო ხანაში მრავლად წარმოიშვნენ ახალი დაბა-ქალაქები, რომელთა სავაჭრო ოპერაციები საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიყურებოდა. ასეთი დაბა-ქალაქები იყო: ყვირილა — 1 007 500 მანეთი საქონელბრუნვით, ჭიათურა — 397 600 მან. საქონელბრუნვით, ზუგდიდი — 129 400 მან., საჩხერე — 126 000 მან., აბაშა — 155 900 მან; ახალი სენაკი — 145 000 მან., ჩხარი— 74 500 მან., ცხინვალი — 53 500 მან., ხაშური — 68 100 მანეთი საქონელბრუნვით და სხვ.

ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სავაჭრო დაწესებულებების გენერალური აღწერის დავთრებიდან ჩანს, რომ საქართველოში თითქმის არც ერთი სოფელი არ იყო დარჩენილი საფეიქრო ნაწარმითა და საწვრილმანო საქონლით მოვაჭრე მუდმივი მაღაზიის გარეშე. ასეთ პირობებში ფეოდალიზმის ხანისათვის დამახასიათებელი ვაჭრობის ფორმა — საიარმარკო ვაჭრობა მხოლოდ რკინიგზისა და სავაჭრო სამიმოსვლო გზებისაგან დაშორებულ სოფლებში არსებობდა და ამ იარმარკებზე წარმოებულ საქონელბრუნვას საქართველოს საშინაო ვაჭრობაში თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სავაჭრო ცენტრებში, ქალაქებსა და დაბა-სოფლებში მოკალათებული იყვნენ ვაჭარ-შემსყიდველები, რომელთა საშუალებითაც ძირითადად წარმოებდა მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობის, მარცვლეული მეურნეობისა თუ სხვა დარგების პროდუქციით ვაჭრობა.

70—80-იან წლებში ღვინით ვაჭრობა თითქმის მთლიანად ვაჭარ-შემსყიდველების — სირაჯების ხელთ იყო. სირაჯები ღვინის წვრილ მწარმოებლებს, გლეხებს წინასწარ აძლევდნენ ფულს სესხად, აწოდებდნენ

---

[1] სხვადასხვა ქალაქის საქონელბრუნვა გამოანგარიშებულია გენერალური აღწერის დავთრების მონაცემების მიხედვით, სსცია, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 20009 და 5217.



ბაზარი თბილისში.

სხვადასხვა საქონელს, თვით ვაზის შესაწამლავ პრეპარატებსაც და მერე მოსავალზე გლეხი იძულებული იყო სირაჯის მიერ დაწესებულ დაბალ ფასებში ან სარგებელში მიეცა ღვინის მოსავლის უდიდესი ნაწილი. ასევე აბრეშუმის ნედლეულის რეალიზაციისაგან ძირითად მოგებას ვაჭარ-შემსყიდველები ითვისებდნენ. ისინი განზრახ აჭიანურებდნენ წვრილი მწარმოებლებისაგან აბრეშუმის ნედლეულის შესყიდვას. გადამწყვეტ მომენტში, როცა აბრეშუმის პარკის შენახვა აღარ შეიძლებოდა, გლეხები იძულებული იყვნენ შემსყიდველების მიერ დაწესებულ დაბალ ფასებში გაეყიდათ თავისი საქონელი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობის თუ შინა მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციით ვაჭრობაშიც.

90-იანი წლებიდან საქართველოს საშინაო ვაჭრობაში ვაჭარ-შემსყიდველის საშუამავლო როლის შემცირების ტენდენციები ჩნდება. ამ დროიდან თვით მწარმოებლები ცდილობენ ხელი მოჰკიდონ თავის საქონლის რეალიზაციას. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების, გლეხობის დაშლის და საშინაო ბაზრის გაფართოების შედეგად მწარმოებელთა გაერთიანებებს საშუალება მიეცათ თვით ეწარმოებინათ აღებ-მიცემობა.

80-იანი წლებისათვის მსხვილი მემამულეები თვითონ ახერხებდნენ საკუთარი ღვინის რეალიზაციას. თბილისში არსებობდა კახური ღვინოებით სავაჭრო სახლები მემამულე ზ. ჯორჯაძის, ნიკოლოზ აბა-მელიქოვისა

და მამულოვის, ივ. მუხრან-ბატონის და სხვათა ამხანაგობა. ეს მემამულეები ყიდდნენ როგორც საკუთარი ვენახებიდან დაყენებულ ღვინოებს, ისე სხვა მწარმოებლებისაგან შესყიდულსაც. 90-იანი წლებისათვის, გარდა იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი მემამულეები საგრძნობლად აფართოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა და ვახვახიშვილის თაოსნობით არსდება ღვინით მოვაჭრე მსხვილი ფირმა — „კახეთი". ამხანაგობა მოწყობილი იყო აქციონერული საპაიო კაპიტალის საფუძველზე. საზოგადოების მიზანი იყო თავისი წევრების ღვინის გასაღებისათვის ეზრუნა, გამოენახა ყოველგვარი საშუალება ღვინის ბაზრის გაფართოებისათვის. 900-იან წლებში საზოგადოება 164 წევრს ითვლიდა, განყოფილებები ჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში, აშხაბადსა და ტაშკენტში.

90-იანი წლების შუახანებიდან აბრეშუმის ნედლეულით ვაჭრობის ორგანიზაციაშიც გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. 1895 წელს ქუთაისის მაზრის ხონის უბანში აბრეშუმის მწარმოებლების მიერ შეიქმნა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრაშუმეთა პირველი ამხანაგობა". ეს ამხანაგობაც აქციონერული საზოგადოების საფუძვლებზე იყო აგებული. იგი მიზნად ისახავდა წვრილი მწარმოებლებისაგან აბრეშუმის პარკის შესყიდვას და მის რეალიზაციას. პირველსავე წელს ამხანაგობამ შეისყიდა და რეალიზაცია უყო 9 000 მანეთის აბრეშუმის პარკს. შემდეგ წლებში ამხანაგობამ გააფართოვა თავისი ოპერაციები. 1897 წელს გურიაშიც დაარსდა ასეთივე ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავლის" სახელწოდებით. იმავე წელს ქუთაისსა და სენაკში ყალიბდება მეაბრაშუმეთა ამხანაგობები. ეს გაერთიანებები აბრეშუმის პარკის რეალიზაციის საქმეში თანდათანობით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი კონკურენციას უწევდნენ პარკის შემსყიდველებს და ამ საქონელზე მინიმალური ფასების დაწესების საშუალებას არ აძლევდნენ.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში არსებობდა სამრეწველო აქციონერული ამხანაგობები, რომელნიც, პროდუქციის წარმოების გარდა, მათი გასაღებითაც იყვნენ დაინტერესებულნი. „ტყავისა და ქეჩის მწარმოებელი აქციონერული საზოგადოება", რომელიც ადელხანოვის საწარმოთა ბაზაზე იყო შექმნილი, წლიურად 2 083 760 მანეთის პროდუქციას უშვებდა[1]. საზოგადოებას საბითუმო და საცალო ვაჭრობისათვის თბილისში ჰქონდა სავაჭრო დაწესებულებები, დიდი საწყობი და სამი სარდაფი. თბილისშივე არსებობდა ზეთსახდელი, საპნისა და სანთლის მწარმოებელი აქციონერული საზოგადოება 500 000 მანეთი ძირითადი კაპიტალით. საზოგადოება წლიურად 570 549 მანეთის მზა პროდუქციას ყიდდა. თამბაქოს ქარხნის ე. წ. „მირის" აქციონერული საზოგადოება

[1]ЦГИА СССР, ф. 22, оп. 4, д. 429.

წლიურად ყიდდა 520 740 მანეთის მზა პროდუქციას. მეღვინეთა, მეაბრეშუმეთა და სხვა მრეწველთა მიერ დაარსებული აქციონერული საზოგადოებანი იმაზე მიუთითებდნენ, რომ სავაჭრო კაპიტალი, კარგავდა რა დამოუკიდებელ მდგომარეობას, საწარმოო კაპიტალის აგენტად იქცეოდა. კაპიტალისტური წარმოების წესის გამარჯვება მწარმოებელი კაპიტალისტის ხელთ წარმოებისა და ვაჭრობის ფუნქციების გაერთიანებასთან იყო დაკავშირებული.

* * *

კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების პირობებში თანდათან იზრდებოდა კრედიტის როლი და მნიშვნელობა. საქართველოს მრეწველი და ვაჭარი კაპიტალისტები საწარმოო ბრუნვისა და პროდუქციის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით ხშირად მიმართავდნენ უნაღდო ანგარიშსწორებას. ვექსილები ბრუნვაში შედიოდა ფულის მსგავსად, მაგრამ კომერციული კრედიტი საკმარისი არ იყო გაფართოებული კაპიტალისტური წარმოებისათვის. თანდათან უფრო მწვავედ იგრძნობოდა საბანკო კრედიტის საჭიროება.

რეფორმის წინ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოქმედი საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი ნახევრად საქველმოქმედო და ნახევრად საკრედიტო დაწესებულება იყო. იგი იაფი კრედიტით ხელს უმართავდა თითქმის მხოლოდ თავადაზნაურობას. რეფორმის შემდეგ პრიკაზი ადგილს უთმობს წმინდა კაპიტალისტურ საკრედიტო დაწესებულებებს.

1866 წ. თბილისში გაიხსნა სახელმწიფო ბანკის განყოფილება. 1871 წელს დაარსდა თბილისის კომერციული ბანკი, 1873 წ. — ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება, 1874 წ. — თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი. 1875 წ. ოპერაციები დაიწყო ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკმაც.

XIX ს-ის 80—90-იან წლებში საკრედიტო დაწესებულებანი თანდათან მრავლდებოდა. სახელმწიფო ბანკის განყოფილებები გაიხსნა ბათუმსა და ქუთაისში. ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოებანი დაარსდა ფოთში, ქუთაისში, ჭიათურასა და ზოგ სხვა დაბა-ქალაქში. სოფლებში ჩნდებოდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი. სავაჭრო კაპიტალის მოქმედების სარბიელი თანდათან ვიწროვდებოდა. მსხვილი ვაჭარ-მევახშეები იძულებული იყვნენ შეგუებოდნენ ახალ პირობებს, თავიანთი საქმიანობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაექმნათ. XIX ს-ის

80-იანი წლებისათვის მარტო თბილისში მოქმედებდა კაპიტალისტურად გამართული 7 სავაჭრო სახლი და 5 სავექსილო ბიურო, რომელთა ბრუნვა 17 მლნ მანეთს შეადგენდა.

განსაკუთრებით ფართოდ და აქტიურად გაშალეს საქმიანობა თბილისის საკრედიტო დაწესებულებებმა. მათ შორის გამოირჩეოდა თბილისის კომერციული ბანკი, რომელიც დააარსეს მთელ ამიერკავკასიაში ცნობილმა თბილისელმა მსხვილმა ვაჭრებმა, მრეწველებმა და მოიჯარადრეებმა (ე. დავითაშვილი, ა. ევანგულაშვილი, მ. ალიხანოვი, ი. ამირაღოვი, ი. ანანოვი, ნ. ბეგთაბეგოვი, ე. ეჯუბოვი, ი. ზუბალაშვილი, პ. ნადირაძე, ა. ონიკაშვილი, პ. ნაკაშიძე, ნ. ფრიდონოვი, იზმიროვები, ყორღანოვები, მირიმანოვები და სხვ.). მათ ბანკის ძირითადი კაპიტალისათვის გაიღეს 500 ათასი მანეთი. მომდევნო ხანებში ბანკის გამგეობამ გამოუშვა დამატებითი აქციები და ძირითადი კაპიტალი ერთ მლნ მანეთამდე აიყვანა. 1872-დან 1896 წლამდე თბილისის კომერციული ბანკის ოპერაციები დებეტსა და კრედიტში 15 მლნ მანეთიდან 157 მლნ მანეთამდე გაიზარდა. ბანკი აწარმოებდა თამასუქების დისკონტს, ანაბარების მიღებას, სესხების გაცემას და სხვ. 1874 წელს ბანკმა სესხად გასცა 1,4 მლნ, 1896 წელს კი 16 მლნ მანეთი. 1886 წ. თბილისის კომერციულმა ბანკმა თავისი განყოფილება გახსნა ბაქოში, 1890 წ. კი — ბათუმში[1].

საქართველოს საადგილმამულო ბანკების თავდაპირველ მიზანს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაცემა შეადგენდა, მაგრამ ვაჭრობა-მრეწველობის აღმავლობისა და ქალაქების ზრდის პირობებში მათ იკისრეს კომუნალური და კომერციული ბანკების ზოგი ფუნქციებიც. 1875—1900 წლებში თბილისის საადგილმამულო ბანკმა გასცა 45 მლნ მანეთის გრძელვადიანი და 5 მლნ მანეთის მოკლევადიანი სესხი, რომელთა 80% ქალაქის მცხოვრებლებზე მოდიოდა. ამავე პერიოდში ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა სოფლის მამულების გირაოს ქვეშ სესხად გასცა 2,5 მლნ მანეთი, ქალაქელთა ქონების გირაოს ქვეშ კი — 7,2 მლნ მანეთი[2].

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის კაპიტალისტური მეურნეობის სისტემებში. ისინი აწარმოებდნენ საშუამავლო ოპერაციებს, ანგარიშსწორებას კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. მრეწველ, ვაჭარ და საბანკო კაპიტალისტთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ყველა ერთად ეწეოდა მშრომელი მასების ექსპლოატაციას და ერთმანეთს შორის იყოფდნენ მუშების აუნაზღაურებელი შრომით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას.

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. II, თბ., 1956, გვ. 366—375.

[2] ნ. შველიძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 83—84.

§ 5. ქალაქებისა და საკაჭრო-სამრეწველო დაბების განვითარება



თბილისი. გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტის დასაწყისი.

ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ საქალაქო ცხოვრების განვითარება მიმდინარეობდა ახალ ეკონომიურ საფუძველზე. კაპიტალისტური ხანის ქალაქების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: მსხვილი მრეწველობის განვითარება, მსხვილი მასშტაბის სავაჭრო-კომერციული საქმიანობის კონცენტრაცია და ყოველივე ამის ნიადაგზე კაპიტალისტური ეპოქის ძირითადი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის — ჩამოყალიბება. ამავე პერიოდში ხდება მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო დაბების აღმოცენება, რომელნიც უპირატესად საშუამავლო ვაჭრობის და წვრილი საქონლური წარმოების ცენტრებად იქცევიან.

სანამ დეტალურად განვიხილავდეთ რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს ქალაქებში მიმდინარე ზემოაღნიშნულ პროცესებს, საჭიროდ მიგვაჩნია სათანადო სტატისტიკური მონაცემები მოვიტანოთ მათი მოსახლეობის ზრდის შესახებ[1] (იხ. ცხრ. 8).

მოტანილი ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1865 წელთან შედარებით 1886 წლისათვის, აღმოსავლეთ საქართველოში ხდება ზოგიერთი ქალაქის (გორი, თელავი, ახალციხე, ახალქალაქი) მოსახლეობის შედარებით სწრაფი ტემპით ზრდა, მაგრამ, რადგანაც ეს ქალაქები არ იყო ხალხ-

---

[1] როგორც ამ შემთხვევაში, ასევე შემდგომშიაც, 1886 წლის მონაცემები აღებულია წიგნიდან: Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1888 г., Тифл., 1893, ხოლო 1897 წლის მონაცემები წიგნებიდან: Первая всеобщая перепись, населения Российской империи, 1897 г.—Тифлисская губерния. СПб, 1905, Кутаисская губерния, СПб, 1905.

ქალაქების მოსახლეობის ზრდას რეფორმის შემდგომდროინდელ საქართველოში ნ. ტყეშელაშვილმა საგანგებო თავი მიუძღვნა წიგნში „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან", თბ., 1958, გვ. 48—58. აქ ავტორი ძირითადად ამავე წყაროების მონაცემებს ემყარება.

ცხრილი 8

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 1886—1887 წლებში და მისი ზრდა აბსოლუტურ ციფრებსა და პროცენტებში[1]

ქალაქების დასახელება	ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა 1886 წ.	ზრდა 1865 წელთან შედარებით %-ობით	ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა 1897 წ.	ზრდა 1886 წელთან შედარებით %-ობით
თბილისი	78 445	15,7	1 59 590	103
გორი	7 243	43,8	10 269	42
თელავი	11 214	53,6	13 929	24,6
სიღნაღი	10 604	9,4	8 994	—
დუშეთი	2 027	—	2 566	27
ახალციხე	16 116	38,8	15 357	—
ახალქალაქი	4 303	89	5 440	25,5
ს უ ლ	129 952	22,4	216 145	66,3
ქუთაისი	22 643	91,8	32 476	43,5
ბათუმი	14 803	—	28 508	92,5
ზუგდიდი	1 078	—	3 407	232,9
ოზურგეთი	1 472	—	4 710	215,8
ფოთი	4 709	261,5	7 346	56,1
სოხუმი	412	—	7 998	1839
ს უ ლ	45 117	206,7	84 445	87,4
სულ საქართველოში	175 069	44,7	300 590	71,7

მრავალი, ამიტომ ეს მატება საერთოდ არცთუ ისე საგრძნობია. რაც შეეხება თბილისს, რეფორმის მომდევნო ორი ათეული წლის მანძილზე მისი მოსახლეობის ზრდის ტემპი, პირიქით, შედარებით უმნიშვნელო ჩანს, თუმცა მოსახლეობა გაიზარდა ცოტათი უფრო ნაკლებად, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სხვა ქალაქისა ერთად. ზრდის ტემპით არც ქ. სიღნაღი გამოირჩეოდა, რომელიც მნიშვნელოვნად დაწინაურდა რეფორმამდელ ხანაში.

უშუალოდ რეფორმის მომდევნო პერიოდში საქართველოს ქალაქების ზრდა ჯერ კიდევ განპირობებული იყო არა იმდენად მსხვილი მრეწველობის განვითარებით, რამდენადაც უპირატესად წვრილი საქონლური წარ-

[1] ზრდას პროცენტებში ჩვენ არ ვუჩვენებთ იმ შემთხვევაში, როდესაც არა გვაქვს წინა ხანის ზუსტი მონაცემები, ან ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას.



კონკა გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე.

მოების შემდგომი გაფართოებით. ამით უნდა აიხსნას, რომ ჯერჯერობით მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალი არ იყო თვით თბილისშიაც.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო (ბათუმის შემოერთება და მისი სწრაფი ზრდა, სამაზრო ცენტრების — ზუგდიდის, ოზურგეთის და ზღვისპირა ქალაქის ფოთის — დაწინაურება) ქალაქების მოსახლეობა საგრძნობლად მატულობს როგორც ზრდის ტემპის, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქუთაისის დაწინაურება, როგორც საგუბერნიო ქალაქისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრისა. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1878 წელს, დაზარალებული ქ. სოხუმი, რომელმაც, ჩანს, დიდი ხნის განმავლობაში ვერ აღიდგინა თავისი მნიშვნელობა.

თვალსაჩინოდ იცვლება საქართველოს ქალაქების განვითარების სურათი მომდევნო (1886—1897 წწ.) პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხანა თითქმის ორჯერ ნაკლებია წინა პერიოდთან შედარებით, ამ დროს შეიმჩნევა მსხვილი სამრეწველო ცენტრების — თბილისისა და ბათუმის მოსახლეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა. კერძოდ, განვლილი 10—11 წლის მანძილზე, თბილისის მოსახლეობა ერთიორად გადიდდა. ზრდის თითქმის ასეთივე ტემპი შეიმჩნევა ბათუმშიც (უკანასკნელში მოსახლეობამ 92,5%-ით იმატა).

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებსა და აგრეთვე ქუთაისს და ფოთს, მათი მოსახლეობის ზრდის ტემპი წინა პერიოდთან შე-

დარებით კლებულობს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დასახელებული ქალაქები ძირითადად შერჩნენ წვრილ საქონლურ წარმოებას. მათი როლი ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისითაც არ გასცილებია ადგილობრივ საკომერციო ცენტრების მნიშვნელობას. მოსახლეობის ზრდაზე, ჩანს, დიდი გავლენა არ მოუხდენია ზოგიერთ ამ ქალაქში წვრილი კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენებისა და საექსპორტო თუ სხვა სახის კანტორების თავმოყრას (განსაკუთრებით ფოთსა და ქუთაისში).

ამათგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოს სამაზრო ცენტრების — ზუგდიდის, ოზურგეთის და სხვ. — მოსახლეობა იზრდებოდა სწრაფი ტემპით, თუმცა რაოდენობრივად ეს ზრდა შედარებით უმნიშვნელო იყო და ქვეყნის სამეურნეო განვითარებაზე რაიმე არსებით გავლენას არ ახდენდა. განვლილ პერიოდში ხდება ქ. სოხუმის სწრაფი დაწინაურება, რომელიც თითქმის ერთბაშად კვლავ მნიშვნელოვანი სავაჭრო და წვრილი საქონლური წარმოების ცენტრი გახდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აღებულ პერიოდში საქართველოს ქალაქების მოსახლეობა საერთოდ იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე სოფლისა, რაც კარგად ჩანს ქვემომოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი 9

წლები	აღმოსავლეთ საქართველო			დასავლეთ საქართ.			სულ მოსახლეობა		
	სულ მოსახ-ლეობა	ქალაქ. მოსახ-ლეობა	%	სულ მოსახ-ლეობა	ქალაქ. მოსახ-ლეობა	%	სულ მოსახ-ლეობა	ქალაქ. მოსახ-ლეობა	%
1886	808 143	129 952	16	870 872	45 117	5,2	1 679 015	175 069	10,4
1897	966 808	216 145	22,3	1 002 101	84 445	8,4	1 968 909	300 590	15,3

ამრიგად, 1886 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს მთელი მოსახლეობა გაიზარდა 17,1%-ით, მარტო ქალაქებისა კი — 71,7%-ით, ე. ი. ოთხჯერ უფრო სწრაფად[1]. საკმაოდ მაღალი იყო მთელ მოსახლეობასთან ქალაქის მცხოვრებთა პროცენტული შეფარდებაც (10,4% — 1885 წელს და 15,3% — 1897 წელს)[2].

[1] აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდში, ე. ი. უშუალოდ რეფორმის მომდევნო ხანაში, ქალაქების მოსახლეობის ასეთი სწრაფი ტემპით ზრდას ადგილი არ ჰქონია. ასე, მაგალითად. 1886 წლისათვის 1865 წელთან შედარებით საქართველოს მთელი მოსახლეობა გაიზარდა 1190 ათასიდან 1680 ათასამდე, ე. ი. 41, 2%-ით, ხოლო ქალაქების მოსახლეობა 121 ათასიდან 175 ათასამდე, ე. ი. 44,6%-ით.

[2] იგივე პერიოდში, კერძოდ, 1885 წ., რუსეთის ევროპული ნაწილის ქალაქების მოსახლეობის შეფარდება მთელ მოსახლეობასთან 12, 9%-ს შეადგენდა, ხოლო 1897 წ-. 12, 76%-ს (იხ. ე. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 660).



ქუთაისი. ჯაჭვის ხიდი.

ადრე ნაჩვენები გვქონდა, რომ რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზრდა მნიშვნელოვანწილად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. ბუნებრივია, რომ რეფორმის მომდევნო ხანაში, სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის გაღრმავებისა და გლეხობის სოციალური დიფერენციაციის გაძლიერების პირობებში, მოსახლეობის ქალაქად ლტოლვის პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა.

ამ მხრივ საინტერესო სურათს წარმოადგენს 1897 წლის აღწერის მონაცემები (იხ. ცხრ. 10).

ქალაქებში მცხოვრები სოფლად დაბადებული მოსახლეობა ანუ იგივე სოფლიდან მოსულნი (80 794 სული) შეადგენდნენ ქალაქების მთელი მოსახლეობის 27%-ს, ე. ი. მკვიდრი მოსახლეობის (44%) ნახევარზე მეტს და თითქმის იმდენსავე, რამდენსაც სხვა ადგილებიდან ჩამოსახლებულნი (29%). განსაკუთრებით დიდი იყო დასავლეთ საქართველოს ქალაქებში იქაური მაზრებიდან მოსულთა ხვედრითი წონა. ისინი აქ 41%-ს შეადგენდნენ და ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას (22,6%) თითქმის ორჯერ ჭარბობდნენ.

ამრიგად, XIX ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს ქალაქების მოსახ-



თბილისის ძველი უბანი.

ლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე თვალსაჩინო იყო[1]. ამავე დროს მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრების თუ ნავსადგურების (თბილისი, ბათუმი, ფოთი) მოსახლეობა იზრდება რუსეთის გუბერნიებიდან და უცხოეთიდან (განსაკუთრებით თურქეთიდან და ირანიდან) მოსულთა ხარჯზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპი განპირობებული იყო ძირითადად მათი სამრეწველო და სავაჭრო მნიშვნელობით ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. თუ თბილისი, ბათუმი და ნაწილობრივ ქუთაისი მსხვილ სამრეწველო ცენტრებად გადაიქცნენ, სხვა

[1] ნ. ტყეშელაშვილი საგანგებოდ განიხილავს ქალაქების მოსახლეობის ზრდას რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში და თავის წიგნში ათავსებს ფ. გოგიჩაიშვილის გაანგარიშებას, რომლის თანახმადაც, 1886 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს სხვადასხვა სოფლიდან ქალაქებში მოსულა დაახლოებით 89890 კაცი, ე. ი. წელიწადში საშუალოდ 8170 კაცი (იხ. ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 51). ეს ციფრი საკმაოდ დიდია. თუ დავუშვებთ, რომ მოსულთა მთელი ეს მასა ქალაქებში რჩებოდა, მაშინ გამოვა, რომ იმ 125 500 სულიდან, რაც შეადგენდა 1886—1897 წლებში ქალაქების მოსახლეობის მთელ ნამატს, 71, 6% სოფლიდან მოსულებზე მოდიოდა. მაგრამ, 1897 აღწერიდან ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აღებულ წლებში სოფლებიდან მოსულთა ხარჯზე ქალაქების მოსახლეობის ასეთ მატებას არ ჰქონდა ადგილი, რადგან სოფლად დაბადებული ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ნაკლებია ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მოცემულ რიცხვზე. ამდენად 1886—1897 წლებში მოსული მოსახლეობა, რომელსაც უჩვენებს ფ. გოგიჩაიშვილი, მთლიანად არ უნდა დარჩენილიყო ქალაქში საცხოვრებლად.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის დანაწილება დაბადების ადგილის მიხედვით (1897 წ. აღწერის მასალების მიხედვით)

გუბერნიები და ქალაქები	ქალაქში დაბადებულნი	იმავე გუბერნიის სოფლებში დაბადებულნი	სხვა გუბერნიებში დაბადებულნი			უცხოეთში დაბადებულნი		სულ მოსახ-ლეობა
			საქართველ. გუბერნ. დაბად.	კავკასიის სხვა გუბერნიებში დაბ.	რუსეთის გუბერნიებში დაბ.	სპარსეთში თურქეთში დაბ.	სხვა სახელმ. წიფლებ. დაბ.	
თბილისის გუბერნია			ქუთ. გუბერ-ნიაში დაბად.					
თბილისი	69 686	27 539	9 840	14 717	29 527	7 215	1 066	159 590
გორი	7 143	726	1 026	607	713	45	9	10 269
თელავი	11 686	1 571	197	159	291	24	1	13 929
სიღნაღი	8 510	208	65	104	86	19	2	8 994
დუშეთი	1 643	235	338	160	173	16	1	2 566
ახალციხე	11 955	448	163	596	1 687	504	4	15 357
ახალქალაქი	3 804	354	8	475	540	259	—	5 440
ს უ ლ	114 427	31 081	11 637	16 818	33 017	8 082	1 083	216 145
% მთელ მოსახლ.	53	14,4	5,3	7,8	15,3	3,7	0,5	100
ქუთაისის გუბერნია			თბილისის გუბ. დაბ.					
ქუთაისი	6 880	19 650	1 195	1 270	3 056	335	89	32 476
ბათუმი	2 810	6 316	1 463	2 263	7 149	7 987	520	28 508
ზუგდიდი	2 116	1 197	8	43	32	10	1	3 407
ონურგეთი	3 403	881	70	143	184	27	2	4 710
ფოთი	2 053	3 883	162	75	350	688	135	7 346
სოხუმი	1 831	3 063	188	195	1340	1280	94	7 998
ს უ ლ	19 093	34 990	3086	3989	12111	10335	841	84 445
% მთელ მოსახლ.	22,6	41,2	3,7	4,8	14,4	12,3	1	100
სულ საქართ.	133 520	66 071	14 723	20 807	45 128	18 417	1 924	300 590
%	44,4	22	4,7	7	15	6,2	0,7	100

ქ. გორი.

ქალაქებში ძირითადად ისევ წვრილი საქონლური წარმოება და წვრილი ვაჭრობა იყო გაბატონებული, თუმცა წარმოების და ვაჭრობის ასეთი ფორმების არსებობა მსხვილი სამრეწველო ქალაქებისათვისაც არ იყო უცხო.

საყურადღებო ცნობებს საქართველოს ქალაქებში ვაჭრობისა და წვრილი საქონლური წარმოების განვითარების შესახებ შეიცავს „სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გენერალური შემოწმების ჟურნალები". კერძოდ, 1888 წ. შედგენილი ასეთი აღწერილობის თანახმად[1], როგორც სავაჭრო დაწესებულებათა ოდენობის, ისე მათი წლიური სავაჭრო ბრუნვის და აგრეთვე წვრილი სახელოსნოების გავრცელების თვალსაზრისით, საქართველოს ქალაქებს შორის, პირველ ადგილზე თბილისი იდგა. აქ მარტო სამრეწველო საქონლით (მანუფაქტურა, გალანტერეა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხალიჩები, ავეჯი, რკინა-კავეული, საიუველირო ნაწარმი და სხვ.) 370-მდე დაწესებულება ვაჭრობდა, რომელთა წლიური ბრუნვა 7 მილიონ მანეთს აღემატებოდა. მათ შორის იყო ისეთებიც, რომელთა ბრუნვა 100 ათასიდან ნახევარ მილიონამდე მანეთს აღწევდა, ხოლო თუ დავუმატებთ მსხვილ სასურსათო მაღაზიებსაც, თბილისის წლიური სავაჭრო ბრუნვა 10 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. აქვე არსებობდა 700-მდე საწვრილმანო, რომელთა ბრუნვა ჩვეულებრივ არ არის ნაჩვენები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში 5 ათას მანეთამდეც კი აღწევდა. ვფიქრობთ, მონაცემები

[1] სსცია, ფ. 254, საქ. 3932, 3978, 3983.



ჭ. ახალციხე.

თბილისის სავაჭრო დაწესებულებათა ბრუნვის შესახებ, რამდენადმე შემცირებულია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია.

ამასთანავე, თბილისში 1888 წელს აღრიცხული იყო 2 175 წვრილი სახელოსნო, ესენი ძირითადად მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ ისეთ პროდუქციაზე, რომელიც არც გარედან შემოდიოდა და არც ადგილობრივ მზადდებოდა ფაბრიკული წესით, ან თუკი მზადდებოდა მიუწვდომელი იყო „დაბალი“ ფენებისათვის.

სავაჭრო დაწესებულებათა და წვრილ საწარმოთა რაოდენობით თბილისს მოსდევდა ბათუმი, თუმცა ვაჭრობისა და წვრილი წარმოების მასშტაბით განსხვავება მათ შორის საგრძნობი იყო. ბათუმის 104 შედარებით მსხვილი სავაჭრო დაწესებულების წლიური ბრუნვა 2 მილიონ მანეთს აღემატებოდა, წვრილ სახელოსნოთა რაოდენობა კი 300-მდე აღწევდა. შემდეგ მოდის ქუთაისი, სადაც 147 სავაჭრო დაწესებულების ბრუნვა მილიონნახევარ მანეთს აღემატებოდა, ხოლო სახელოსნოთა რაოდენობა 300-ს უდრიდა. ცალკე უნდა გამოვყოთ ფოთი, რომელიც, მართალია, არც სამრეწველო და არც ადგილობრივი ვაჭრობის თვალსაზრისით განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ აქ თავმოყრილი იყო საექსპორტო ფირმები და სხვა სავაჭრო კანტორები, რომელთა ოპერაციები მილიონი მანეთით გამოიხატებოდა. ასეთი კანტორები და მსხვილი კომპანიების თუ ბანკების განყოფილებები იყო თბილისში, ბათუმსა და ქუთაისშიც, მაგრამ ფოთისათვის ისინი სპეციფიური იყო.

საქართველოს დანარჩენ ქალაქებში (გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე, ზუგდიდი, სოხუმი, ოზურგეთი) სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი



ქ. ქუთაისი.

საშუალოდ 30—50-ს შეადგენდა, 200—300 ათასი მანეთის წლიური ბრუნვით[1]. სახელოსნოთა რაოდენობა კი აქ საშუალოდ 100-დან 200-მდე იყო.

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს სამეურნეო განვითარებისთვის დამახასიათებელი იყო სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლების აღმოცენება და დაწინაურება. ეს განპირობებული იყო მათი ხელსაყრელი მდებარეობით სასოფლო-სამეურნეო რაიონების შუაგულში, სავაჭრო გზაჯვარედინებსა თუ რკინიგზის მაგისტრალზე და სხვ. ზოგიერთი ასეთი დაბა თავისი სავაჭრო ბრუნვით და წვრილი საქონლური წარმოების განვითარებით უთანასწორდებოდა სამაზრო ცენტრებსაც კი. მაგალითად. 1888 წლის მონაცემებით, ყვირილაში ითვლებოდა 45 სავაჭრო დაწესებულება 222 ათასი მანეთის ბრუნვით, ხონში — 42—154 ათასი მან. ბრუნვით, ოჩამჩირეში — 33 — 143 ათასი მან. ბრუნვით, გუდაუთში — 17—166 ათასი მან. ბრუნვით, სამტრედიაში — 15—171 ათასი მან. ბრუნვით, ახალსენაკში — 19 — 160 ათასი მან. ბრუნვით, აბაშაში — 15 — 121 ათასი მან. ბრუნვით, სურამში — 22 — 142 ათასი მან. ბრუნვით, ცხინვალში — 36 — 157 ათასი მან. ბრუნვით და სხვ. ამ დაბების სახელოსნოების რაოდენობა მერყეობდა 40-დან 100-მდე.

---

[1] დასახელებული ქალაქებიდან ზოგიერთში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გადახრას მოტანილ საშუალო ციფრებიდან. მაგალითად, ზუგდიდში 80 სავაჭრო დაწესებულების ბრუნვა 430 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო ოზურგეთში 44 დაწესებულებისა მხოლოდ 120 ათას მანეთს. მაგრამ ეს არ ცვლის საერთო სურათს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქალაქებში, განსხვავებით თბილისის, ბათუმის და ქუთაისისაგან, უმსხვილეს სავაჭრო დაწესებულების ბრუნვა იშვიათად თუ აღემატებოდა 20 ათას მანეთს.



ქ. ბათუმი.

კულტურული დონითაც ზოგიერთი მსხვილი დაბა არ ჩამოუვარდებოდა სამაზრო ქალაქებს. იქაც არსებობდა სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები საკუთარი დასების თუ მოწვეული მსახიობების ძალებით და სხვ. იქმნებოდა ადგილობრივი ინტელიგენცია.

რეფორმის მომდევნო ხანაში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ქალაქებისა და მსხვილი დაბების როლი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. იქ ხდებოდა მთელი სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის კონცენტრაცია. 80-იანი წლების საქართველოში სულ 100-მდე ასეთი დაბა-სოფელი ითვლებოდა. ისინი, როგორც საშუამავლო ვაჭრობის პუნქტები, ძირითადად დაკავშირებულნი იყვნენ მსხვილ ქალაქებთან, უპირატესად თბილისსა, ქუთაისსა და ბათუმთან. ქალაქის გარეშე მეურნეობრივადაც უკვე წარმოუდგენელი იყო სოფლის მოსახლეობის ცხოვრება. აქვე პოულობდა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი საარსებო საშუალებას.

რეფორმის მომდევნო ხანაში, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების შედეგად, იცვლება ქალაქების მოსახლეობის სოციალური სახეც. საქალაქო ცხოვრების განვითარების ხასიათმა, ერთი მხრივ, მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ქალაქების (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) დაწინაურებამ, ხოლო, მეორე მხრივ, უპირატესად წვრილი საქონლური წარმოების და საშუამავლო სავაჭრო ცენტრების, სამაზრო ქალაქების და მსხვილი დაბა-სოფლების არსებობამ, განსაზღვრა მათი მოსახლეობის სოცია-

ლური შემადგენლობა. თუ თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ჭიათურის სამრეწველო რაიონში ხდებოდა მსხვილი ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის კონცენტრაცია, დანარჩენ ქალაქებსა და დაბა-სოფლებში, სადაც წვრილი საქონლური წარმოება და ვაჭრობა იყო გაბატონებული, წვრილბურჟუაზიული ელემენტები თამაშობდნენ წამყვან როლს. წვრილი ბურჟუაზია არც სამრეწველო ცენტრებისთვის იყო უცხო, მაგალითად, წვრილბურჟუაზიულ ფენას ქმნიდნენ თბილისის წვრილი საქონელმწარმოებელნი — „ხელოსნები“ და წვრილი ვაჭრები. ისინი „მეშჩანთა“ და სხვა ქალაქელთა წოდებას მიეკუთვნებოდნენ. რაც შეეხება ქალაქად მცხოვრებ „გლეხებს“, რეფორმის მომდევნო ხანაში ფეოდალური საზოგადოების ეს წოდება აქ ფაქტიურად ქრება. გლეხთა წოდებიდან გამოსული ვაჭარ-ხელოსნები ავსებდნენ ქალაქის წვრილბურჟუაზიულ ფენებს, ხოლო ღარიბი მასები ქმნიდნენ ქალაქის ნახევრადპროლეტარულ ფენებს, თუ პროლეტარულ მოსახლეობას. როგორც ირკვევა, რეფორმის მომდევნო ხანის ქალაქის „გლეხობაში“ ძირითადად იგულისხმება სოფლიდან მოსული მშრომელი მოსახლეობა, რომელიც იქ მხოლოდ ნაწილობრივ მკვიდრდებოდა. მაგალითად, თბილისის 1876 წლის ერთდღიანი აღწერის მასალებში აღნიშნულია: «Собственно Закавказье дает главный элемент всякого крестьянского населения Тифлиса»[1].

იმავე მასალების მიხედვით თბილისში მცხოვრები „გლეხობა“ თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ქუთაისის გუბერნიიდან მოსული იყო 2 754 სული (მათ შორის ქალი იყო მხოლოდ 329), თბილისის გუბერნიიდან — 11 715 სული (მათ შორის 5 286 ქალი), რუსეთისა და ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებიდან — 11 614 სული; აღწერის მიხედვით გლეხობა შეადგენდა სულ 26 083 სულს, რომელთა უმრავლესობა მუშები იყვნენ[2].

ამრიგად, დასტურდება, რომ რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს ქალაქებში, კერძოდ, თბილისში ინტენსიურად მიმდინარეობდა კაპიტალისტური ხანის კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის—ჩამოყალიბების ადრე დაწყებული პროცესი. ვაჭარ მრეწველებთან ანუ მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიასთან ერთად (მემკვიდრეობით თუ პირადი საპატიო მოქალაქენი, ვაჭრები) ბურჟუაზიულ კლასს ქმნიდნენ წვრილბურჟუაზიული ელემენტებიც (დუქნების თუ წვრილი სახელოსნოების მეპატრონენი — წარმოების საშუალებების მფლობელი „ხელოსნები“) — მთლიანად ქალაქის ბეგარავალდებული მოსახლეობა. პროლეტარულ

---

[1] Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 г., Тиф., 1880, გვ. 119.

[2] «Большинство крестьян-рабочих» პირდაპირ არის აღნიშნული აღწერის კომენტარებში, იქვე, გვ. 118.



ქ. ფოთი.

კლასს ავსებდნენ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა სამრეწველო საწარმოთა მუშები, რომელთა არსებობას ოფიციალური სტატისტიკა უკვე საგანგებოდ აღნიშნავს[1], აგრეთვე წარმოების საშუალებებს მოკლებული ხელოსნები, ქარგლები, შეგირდები სავაჭრო დაწესებულებებში, დუქნებსა თუ ღვინის სარდაფებში ქირით მომუშავენი და სხვა ღარიბ-ღატაკნი, რომელნიც თავს სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდნენ.

ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარება თავის დაღს ასვამს თავადაზნაურობასაც, რომლის გაღარიბებული ნაწილი ქალაქს ეტანება. აქ იგი კომერციულ საქმიანობაში ებმება ან თავს სახელმწიფო სამსახურით ირჩენს. არც ამ კლასის წარმომადგენლებისათვის იყო უცხო შავი სამუშაოს შესრულება. სულ უფრო და უფრო ძლიერდება ქალაქის რაზნოჩინული ფენა, ქალაქის ინტელიგენცია.

---

[1] იხ. თბილისის 1876 წლის ერთდღიანი აღწერის კომენტარები: Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 г., Тиф., 1880. აღსანიშნავია, რომ 1865 წ. გ. ნიკოლაძეს თბილისის „პროლეტარიატში" ფაბრიკა-ქარხნების მუშები არა აქვს ნაგულისხმევი.

თავი მეცხრე

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომი და საქართველო

XIX ს-ის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში. გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის მემკვიდრეობის გაყოფისათვის. ავსტრია-უნგრეთს, რომელსაც სურდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხელში ჩაგდება, აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთზე. ინგლისი გაბატონებული იყო თურქეთის ბაზრებზე და მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების ცდებს. გერმანია ხელს უწყობდა აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებას, რადგან ეს აძლევდა მას მოქმედების თავისუფლებას ცენტრალურ ევროპაში.

1875 წელს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იფეთქა ანტითურქულმა აჯანყებამ. მალე აჯანყებას შეუერთდნენ ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია, რის შემდეგ მან მიიღო სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ხასიათი.

ბალკანეთის სლავების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი. მათ არ უნდოდათ ბალკანეთში დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რადგან სლავებს რუსეთის ორიენტაცია ჰქონდათ აღებული. ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი ეხმარებოდნენ თურქეთს სლავთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის საქმეში.

სლავთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა რუსეთმა. სლავებისათვის დახმარების იდეამ მოიცვა რუსეთის საზოგადოების ფართო წრეები. მოსკოვში დაარსებული სლავური კომიტეტის მეშვეობით ბალკანეთში იგზავნებოდა კერძო შეწირულებანი და მოხალისეთა რაზმები. მეფის მთავრობას აშინებდა სლავებისათვის დახმარების ხალხის ფართო მასებიდან მომდინარე ინიციატივა, მაგრამ მას არ შეეძლო გარკვეული ანგარიში არ გაეწია

საზოგადოებრივი აზრისათვის. მით უმეტეს, რომ თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება ცარიზმის საოცნებო საგანს შეადგენდა. რუსეთის მთავრობამ თავის ხელში აიღო ინიციატივა და მას შემდეგ, რაც ევროპის დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, 1877 წ. 24 აპრილს*, ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარებმა გადალახეს თურქეთის საზღვრები როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-მცირეაზიაში.

ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის განმათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX ს-ის 60—70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებრიობაში.

ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ კვლავ აღედგინათ კავშირი ოსმალეთის საქართველოსთან. ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვ. ივ. კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, რომელიც თურმე ოცნებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთებაზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ მთელი ხალხი აემხედრებინა თურქების წინააღმდეგ[1].

1875 წ. თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგოვინელთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. მძიმე გადასახადებით უკმაყოფილო აჭარლებმა არ შეასრულეს სულთანის ბრძანება და აჯანყდნენ[2]. „დროების“ კორესპონდენტი იწერებოდა, რომ აჭარელთა აჯანყების მიზეზის გამოსარკვევად ოსმალეთის უმაღლესმა მთავრობამ წოსამართლე იბრეიმ აღა გამოგზავნა, მაგრამ ხალხმა უარი თქვა მასთან გამოცხადებაზე და შეუთვალა — „ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა სწარმოებს რა, არ გეახლებითო, საიდანაც მობრძანებულხართ იქვე წაბრძანდითო“[3]. ცნობას აჭარელთა ანტითურქული აჯანყების შესახებ ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ს. მესხი ე. მელიქიშვილს სწერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს?... იქნებ რამე გამო-

---

* თვე და რიცხვი ყველგან ნაჩვენებია ახალი სტილით.

[1] ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, 1957, გვ. 116, 123.

[2] იქვე, გვ. 110.

[3] „დროება“, 1875, № 120.

ვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ"[1].

ილია ჭავჭავაძე, რომელიც დაძაბული ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას, კარგად ითვალისწინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შემოერთების შესაძლებლობას და წერდა: „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ და ქართველი... დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს... და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ-თუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამაპაპათა"[2].

საქართველოს ისტორიული საზღვრების აღსადგენად, მართლაც, საჭირო გახდა ქართველთა სისხლის დაღვრა. თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ არა მარტო რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, არამედ ქართველი მოლაშქრეებიც.

რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. როცა სარდლობა შეუდგა ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილების შედგენას, გლეხობის საგრძნობი ნაწილი თავის სურვილით ეწერებოდა მოხალისეთა რაზმებში. გაზეთი „დროება" იტყობინებოდა, რომ შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნილებით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდაო. განსაკუთრებით ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები. ომის მონაწილე ი. მაყაშვილი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გურიის ლაშქრის საბრძოლო დამსახურებას, გადმოგვცემს, რომ ახალგაზრდები ცრემლმორეული ითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიცხათ ისინი ჯარში და გაეგზავნათ ბრძოლის ველზე.

მოსახლეობის ასეთი განწყობილების პირობებში მილიციონერთა ნაწილების ჩამოყალიბება დაუბრკოლებლივ ხდებოდა. ომის დაწყებისას ამიერკავკასიაში უკვე შექმნილი იყო მილიციონერთა 8 ქვეითი და 3 ცხენოსანი პოლკი, 6 ქვეითი რაზმი, 4 ცხენოსანი დივიზიონი და 3 ქვეითი ასეული. აქედან ქართველი მოლაშქრეებით დაკომპლექტდა 6 ქვეითი რაზმი, 1 ცხენოსანი პოლკი, 2 დივიზიონი და 2 ასეული. ომის მსვლელობაში

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, სოხუმი, 1950, გვ. 196.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. 2, 1941, გვ. 312.

მილიციონერთა ნაწილები თანდათან მრავლდებოდა. ბრძოლის ველზე გავიდა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მოლაშქრე[1].

ომის დაწყებისას რუსეთის იმ არმიაში, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა 180 ათასი კაცი და 400 ქვემეხი ითვლებოდა. კავკასია-მცირეაზიის ფრონტზე გაიგზავნა 43 ქვეითი ბატალიონი, რეგულარული კავალერიის 16 ესკადრონი, კაზაკთა 65 ასეული,. 15 საარტილერიო ბატარეა (120 ქვემეხით) და სხვ. სულ 60 ათასამდე კაცი. ომის მსვლელობაში მოქმედ კორპუსს ახალ-ახალი რეგულარული ნაწილები ემატებოდა. საომარ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მილიციონერებიც[2].

კავკასიის არმიის მოქმედი კორპუსი შეტევის გეგმით დასახული ოთხი მიმართულების შესაბამისად (ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან ყარსისაკენ და ერევნიდან ბაიაზეთისაკენ) ოთხ ნაწილად გაიყო. ოზურგეთის რაზმს სათავეში ჩაუყენეს გენ. ოკლობჟიო, ახალციხისას — გენ. დეველი, ალექსანდრეპოლისას — გენ. გეიმანი და ერევნისას — გენ. ტერ-გუკასოვი. მოქმედი კორპუსის სარდლად დაინიშნა გენერალი ლორის-მელიქოვი[3].

თურქეთი საკმაოდ კარგად იყო მომზადებული ომისათვის. თურქთა ჯარის მეოთხე კორპუსში, რომელიც ანატოლიის ძლიერ ციხე-სიმაგრეებში იდგა, 70 ათასი კაცი და მრავალი ასეული ქვემეხი ითვლებოდა. არმია აღჭურვილი იყო კრუპის ფირმების ქვემეხებით და უახლესი სისტემის თოფებით.

ომის დაწყებისთანავე რუსეთის ჯარმა და ამიერკავკასიის მილიციონერებმა გადალახეს საზღვარი და საომარი ოპერაციები თურქეთის ტერიტორიაზე გააჩაღეს. რუსთა ჯარის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა თურქეთის საზღვრებში მცხოვრებ ქართველებისა და სომხების კეთილგანწყობილების მოპოვებას, მათ ამხედრებას საერთო მტრის წინააღმდეგ. სიძნელე თუ სიადვილე ჩვენი ოპერაციებისა, სწერდა კომაროვი სვიატოპოლკ-მირსკის, დიდადაა დამოკიდებული ჩვენს მიმართ აჭარის მოსახლეობის მიერ დაკავებულ პოზიციაზე. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ, თუ რუსთა ჯარი ბათუმს დაიკავებს და სათანადო ღონისძიებებს ჩაატარებს, აჭარლები ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებენო. აჭარაში შესულ მებრძოლებს გენ. ოკლობჟიო მოუწოდებდა, რომ მათ არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპ-

---

[1] Ш. Мегрелидзе, Грузия в русско-турецкой войне 1877—1878 гг., Тб., 1955, გვ. 47.

[2] Воина 1877 и 1878 гг., т. III — Воина в Азятской Турции, под ред. Зикова, С.-П., 1882, გვ. 9—10.

[3] იქვე, გვ. 10—15.

ყრობოდნენ ხალხს. „დაე გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვისო"[1].

რუსთა ჯარის შეტევა მარცხენა ფრთაზე საკმაოდ წარმატებით დაიწყო. ომის გამოცხადებიდან 6 დღის შემდეგ 1877 წ. 30 აპრილს გენ. ტერგუკასოვის ნაწილებმა დაიკავეს ქ. ბაიაზეთი და მისი მთელი დაბლობი. 10 მაისს რუსთა ჯარის ორმა კოლონამ გენერლების გეიმანისა და დეველის მეთაურობით ალყა შემოარტყა ქ. არტაანს. მტკვრის ზემო წელში მდებარე ამ ციხე-ქალაქის გამაგრებას თურქებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ყირიმის ომის შემდეგ. ევროპელ ინჟინერთა ხელმძღვანელობით აიგო ახალი სიმაგრეები, სადაც დაიდგა უახლესი სისტემის მსხვილკალიბრიანი 95 ქვემეხი. არტაანს 8-ათასიანი გარნიზონი იცავდა. 16 მაისს პოდპოლკოვნიკ მუსხელიშვილის საარტილერიო დივიზიონის ზალპით რუსთა ჯარმა დაიწყო საერთო შეტევა. ელიზავეტპოლის პოლკმა, რომელსაც ამირეჯიბი მეთაურობდა, გმირული ბრძოლით გაანადგურა მტრის ბანაკი ჰელიავერდის მთაზე და გზა გაუხსნა შემტევ ჯარებს ქალაქისაკენ. 17 მაისს 2-საათიანი გააფთრებული იერიშის შემდეგ რუსთა ჯარმა აიღო არტაანი. თურქებმა ბრძოლის ველზე 2 000 გვამი დატოვეს. მტრის 1 000 ჯარისკაცი მდინარეში დაიხრჩო, 300 კი ტყვედ იქნა წამოყვანილი. არტაანის აღება იყო რუსთა ჯარის პირველი დიდი გამარჯვება რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წწ. ომში[2].

არტაანის აღების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა გაიხსნა ბათუმისაკენ, მაგრამ რუსთა სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ამ მიმართულების ხელსაყრელობა და ბათუმის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო ოზურგეთიდან. არტაანის იერიშში მონაწილე რუსთა ჯარები კი ყარსისაკენ გაემართნენ.

ყარსის ციხე-სიმაგრე მიუვალად ითვლებოდა. იგი აგებული იყო შემაღლებაზე და ბუნებრივი თუ ხელოვნური სიმაგრეების კომპლექსს წარმოადგენდა. მოალყე ჯარი მოკლებული იყო ციხე-სიმაგრის მიდამოებში საარტილერიო ბატარეების დადგმის შესაძლებლობას და თვით იერიშიც უნდა ჩატარებულიყო ღია პოზიციაზე, რაც გარნიზონს თავდაცვას უადვილებდა. 13—14 ივნისს ღამით გენ. დეველის ნაწილები შეეცადნენ ჩუმად მიახლოებოდნენ ყარსის ციხეს და განელაგებინათ იქ საარტილერიო ბატარეები. მეორე მხრივ, დაიძრნენ გენ. გეიმანის ნაწილებიც. იმის გამო, რომ ყარსს — თავისთავად ძლიერ ციხე-სიმაგრეს — თურქთა მრავალრი-

---

[1] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 116, 125.

[2] Война 1877 и 1878 гг..., т. III, под ред. Зикова, გვ. 54—57.

ცხოვანი გარნიზონი იცავდა, რუსთა ჯარის შეტევას წარმატება არ მოჰყოლია[1].

ბოლოს და ბოლოს რუსთა სარდლობა მიხვდა, რომ მიუვალ ყარსის ციხესთან დიდი ჯარების დაბანდება შეცდომა იყო, რადგან თვით მისი აღებაც კი არ წყვეტდა სტრატეგიულ ამოცანას. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ერზერუმის მიმართულებით გალაშქრება, მაგრამ რუსთა სარდლობამ დაიგვიანა.

იმ დროს, როცა რუსთა ჯარის ძირითადი ნაწილები ყარსის ალყით იყვნენ დაკავებული, ანატოლიის კორპუსის სარდალი მუსთარ ფაშა თანდათან იკრებდა ძალებს, ჯარის უმეტეს ნაწილს თავს უყრიდა ზივინის მიდამოებში, რომელიც სტრატეგიული პუნქტი იყო ყარსის, ოლთისის და ალაშკერტის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე.

10 ივნისისათვის მუხთარ ფაშა დარწმუნდა თავისი არმიის ბრძოლისუნარიანობაში და კონტრშეტევა წამოიწყო. მარჯვენა ფლანგზე, ბაიაზეთის მიმართულებით გაგზავნა არმიის ერთი ნაწილი. ბრძოლა მოხდა დარიარის ხეობაში და იგი რუსთა ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. თურქებმა უწესრიგოდ დაიხიეს ერზერუმისაკენ. მაგრამ ამ მარცხს მუხთარ ფაშას ენერგია არ მოუდუნებია. ანატოლიის კორპუსის სარდალი თვით დაიძრა რუსების წინააღმდეგ. გენ. ტერ-გუკასოვი კარგად გრძნობდა დარიარის ხეობის დიდ მნიშვნელობას და ამიტომ 21 ივნისს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა თურქებს და დიდი ზიანიც მიაყენა მათ. მიუხედავად ამისა ერევნის რაზმის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მის წინააღმდეგ სამჯერ მეტი მტერი იყო განლაგებული.

ერევნის რაზმზე თურქთა დაწოლის შესუსტების მიზნით გენ. ლორის-მელიქოვი თვით ზივინის პოზიციების მიმართულებით დაიძრა. მუხთარ ფაშამ მართლაც მიანება თავი ტერ-გუკასოვის ნაწილებთან ბრძოლას და ზივინის მიდამოებში დაიბანაკა. მართალია, ერევნის რაზმმა თავი დააღწია გასაჭირს, მაგრამ სამაგიეროდ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნენ ზურგს მოწყვეტილი და მტრის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრილი რუსთა ჯარის ძირითადი ნაწილები.

ზივინთან ბრძოლა 25 ივნისს მოხდა. რიცხობრივი უპირატესობის წყალობით თურქებმა წარმატებას მიაღწიეს. რუსთა ჯარის ცენტრი და მარცხენა ფრთა იძულებული გახდა უკან დაეხია. ამით გამხნევებული თურქები შეტევაზე გადავიდნენ და თანდათან დაიბრუნეს რუსთა ჯარის მიერ ომის დაწყების პირველ თვეს დაკავებული ტერიტორიები.

1877 წლის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე რუსთა ჯარის მდგომარეობა მცირეაზიის ფრონტზე კრიტიკული იყო. წინაპერიოდის წარმატებები შეიცვალა მარცხითა და უკან დახევით. ამის მიზეზად მიჩნეულ იქნა

---

[1] Война 1877 и 1878 гг., т. III, под. ред. Зикова, გვ. 81—91.

ის, რომ რუსეთის ჯარი მოქმედებდა დანაწევრებულად — სამ კოლონად, რაც ასუსტებდა მას, მტერს კი მანევრირების საშუალებას აძლევდა. რუსთა მოქმედი კორპუსი იძულებული გახდა დაეტოვებინა მტრის მთელი ტერიტორია და ერევნის გუბერნიის ნაწილიც კი[1].

რუსეთის ჯარმა მარცხი განიცადა კავკასიის ფრონტის შავი ზღვისპირა უბანზეც. მართალია, რუსთა ჯარის ნაწილებმა ქართველ მოლაშქრეთა დახმარებით ბათუმისაკენ შეტევის გზაზე დაიკავეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი, მაგრამ საერთოდ აჭარაში შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთს შავ ზღვაში სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა. იქ ბატონობდნენ თურქეთის სამხედრო გემები, რომელნიც ბომბავდნენ რუსეთის სანაპირო სიმაგრეებს, ახალ-ახალი ნაწილები გადმოჰყავდათ ბრძოლის ველზე და შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიას იარაღით და სურსათ-სანოვაგით. ასეთ პირობებში შავი ზღვის სანაპირო ხაზით შეტევის წარმოება აშკარა შეცდომა იყო, მაგრამ რუსთა ჯარის სარდლობა შეუპოვრად ცდილობდა ბათუმისაკენ გაჭრას.

1877 წ. ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან. ეს სიმაგრე შეუვალად ითვლებოდა და მისი დაცვა მცირე ძალებით შეიძლებოდა. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ციხის ძირის დასაცავად 35 ათასი ჯარისკაცი გამოყო, რუსთა შემტევ ჯარში კი მხოლოდ 25 ათასი კაცი ითვლებოდა. ძალთა ასეთი თანაშეფარდების პირობებში, ბუნებრივია, რუსეთის ჯარმა ვერ შეძლო ციხის ძირის აღება და უკან დაიხია.

1877 წ. 11 მაისს თურქებმა დესანტი გადმოსხეს გუდაუთის ახლოს და სოხუმისაკენ დასძრეს იგი. სოხუმის გარნიზონის უფროსი გენ. კრავჩენკო გაუბედავად მოქმედებდა. მან ვერ გაბედა შედარებით ძლიერ მტერთან შებმა და ქალაქი დათმო. თურქებმა თითქმის აფხაზეთის ნახევარი დაიკავეს და აფხაზები აიძულეს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულიყვნენ.

გენ. კრავჩენკოს ნაწილების დასახმარებლად და აფხაზეთის გასათავისუფლებლად გაიგზავნა გენ. ალხაზიშვილი რუს-ქართველთა ჯარით. გადამწყვეტი ბრძოლა ოქუმის მიდამოებში მოხდა. მტერი დამარცხდა და უკან დახევა დაიწყო. 1 აგვისტოს თურქებმა დატოვეს ოჩამჩირე, 2 სექტემბერს კი რუსთა ჯარი სოხუმში შევიდა. მალე აფხაზეთის მთელი ტერიტორია გაწმენდილ იქნა ოკუპანტებისაგან[2].

ამავე დროს რუსეთის სარდლობა კონტრშეტევისათვის ემზადებოდა მცირე აზიის ფრონტზე. 1877 წლის სექტემბრის ბოლოსათვის კავკასიის მოქმედ კორპუსს შეემატა ორი ახალი დივიზია და მილიციონერთა რაზმები. მაგრამ არც თურქები ისხდნენ გულხელდაკრეფილი. მუხთარ ფაშას

---

[1] Война 1877—1878 гг., под ред. Зикова, გვ. 220—228.

[2] იქვე, გვ. 189—227.

არმიაც შეივსო ახალი ნაწილებით. გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების წინ კავკასია-მცირე აზიის ფრონტის მთავარ უბანზე (პატარა იანგი — ალაჯის სიმაღლეები — ყიზილ თაფას ხაზი) რუსთა სარდლობას განლაგებული ჰყავდა 50 ათასი კაცი, თურქებს — 37 ათასი.

გენერალური ბრძოლა 2 ოქტომბერს დაიწყო. მოწინააღმდეგეები თავდაპირველად ავალიარის მიდამოებში შეეტაკნენ ერთმანეთს. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. ბრძოლის მესამე დღეს რუსთა ჯარმა თავის საწყის პოზიციებზეც კი დაიხია, მაგრამ სისხლი ამაოდ არ დაღვრილა. მტერმა გამანადგურებელი ზარალი განიცადა — ბრძოლის ველზე დატოვა 8 500 კაცი. რუსთა ჯარის გააფთრებული შეტევებითა და დიდი დანაკარგით დემორალიზებული თურქები აქტიურ მოქმედებას ვეღარ ბედავდნენ და ინიციატივას თანდათან რუსებს უთმობდნენ. 14 ოქტომბრის ბრძოლაში რუსთა ჯარმა ახალი წარმატება იზეიმა. მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება მოპოვებულ იქნა 15 ოქტომბერს, როცა რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და კავკასიელმა მილიციონერებმა ალაჯის სიმაგრეებზე გაანადგურეს თურქთა ძირითადი ძალები. ამ ბრძოლაში თურქებმა დახოცილ-დაჭრილთა სახით 13 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს. 7 ფაშა, 250 ოფიცერი და 7 000 ჯარისკაცი ტყვედ იქნა წამოყვანილი. რუსთა ნაწილების დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო, დაჭრილ-დახოცილთა სახით მათ რიგებს გამოაკლდა 1 400 კაცი. სამხედრო თვალსაზრისით 2—4 ოქტომბრისა და 14—15 ოქტომბრის ბრძოლები იყო ერთი ოპერაციის ორი ეტაპი, რომელიც დამთავრდა თურქთა ანატოლიის კორპუსის განადგურებით. რუსეთის ჯარებმა კვლავ დაიკავეს ვრცელი ტერიტორია სოღანლუღის მთებამდე[1].

ავლიარ-ალაჯის ბრძოლის შემდეგ თურქთა განადგურებული კორპუსის სარდალი მუხთარ ფაშა თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თავდაპირველად ყარსის ციხეს შეეფარა, რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის გარნიზონი ჰუსეინ ხამი ფაშას ჩააბარა, თვითონ კი 3 ათასი კაცით უკან დაიხია ქვეყნის სიღრმეში, თავი მოუყარა მცირეაზიაში გაფანტულ თურქეთის ჯარებს და შეეცადა ბრძოლის მსვლელობა თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა. მაგრამ გამარჯვებით გამხნევებული რუსი ჯარისკაცები, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვ. მოლაშქრეები დამარცხებულ მტერს სულის მოთქმას არ აცდიდნენ და სწრაფად მიიწევდნენ ერზერუმისაკენ. მუხთარ ფაშამ მაინც შეძლო თავისი ჯარის კონცენტრაცია და 20 ათასი კაცით 5 ნოემბერს დევე ბოინის მთასთან დიდი ბრძოლა გაუმართა რუსებს, მაგრამ ამჯერადაც გამანადგურებელი მარცხი განიცადა — ბრძოლის ველზე დატოვა 3 ათასი გვამი და 42 ქვემეხი.

---

[1] Война 1877—1878 гг., под ред. Зикова, зз. 325—360.

დევე ბოინი უკანასკნელი დაბრკოლება იყო ერზერუმისაკენ შეტევის გზაზე. 10 ნოემბერს რუსთა ჯარის ნაწილები ანატოლიის ამ მთავარ ქალაქს მიადგნენ და მოულოდნელი შეტევით სცადეს მისი აღება. მაგრამ მოუმზადებელ იერიშს წარმატება არ მოჰყოლია.

იმ დროს, როცა რუსთა ჯარის ერთი ნაწილი დამარცხებულ მტერს მისდევდა და ერზერუმს უახლოვდებოდა, მეორე ნაწილი თანდათან ავიწროებდა რკალს ყარსის გარშემო. მართალია, ყარსის სიმაგრეებზე მდგარი 300 ქვემეხის განუწყვეტელი ზალპით შემტევ ჯარებს საგრძნობი ზარალი მოსდევდა, მაგრამ რუსი და ქართველი მებრძოლები უშიშრად მიიწევდნენ წინ. 17—18 ნოემბერს ღამით რუსთა ჯარებმა გენ. ლორის-მელიქოვის სარდლობით გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ყარსზე და გათენებისას შეძლეს მისი აღება. თურქებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 2 500 კაცი მოკლულთა და 17 000 ტყვეთა სახით. მათ შორის ტყვედ იქნა წამოყვანილი 5 ფაშა და 800 ოფიცერი. რუსთა დანაკლისი მოკლულ-დაჭრილთა სახით 2 ათას კაცს არ აღემატებოდა[1].

ყარსის აღებას თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ სიკეთეს ემატებოდა ისიც, რომ აქამდე ამ ციხე-ქალაქის ალყით დაკავებული ნაწილები სხვა უბნებზე მოქმედ ჯარებს შეუერთდნენ და კიდევ უფრო გაზარდეს მათი შეტევისუნარიანობა.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ სხვა ფრონტებზე რუსთა ჯარის გამარჯვებებს აჭარის მიმართულებით მოქმედი დივიზიის წარმატება არ ემატებოდა. რუსთა სარდლობა ცდილობდა ამ ვითარების გამოსწორებას და ბათუმის აღების გეგმას ადგენდა. 1877 წ. 24 ნოემბერს სვიატოპოლკ-მირსკი მეფისნაცვალს სწერდა, რომ რუსეთთან ბათუმის შეერთება ამ ომის ყველაზე სასურველი შედეგი იქნება და თუ გვინდა, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ბათუმი ჩვენ დაგვრჩეს, იგი ბრძოლით უნდა დავიკავოთო. სვიატოპოლკ-მირსკი კარგად ითვალისწინებდა მოსალოდნელ სიძნელეებს და სარდლობას ურჩევდა ბათუმისაკენ ლაშქრობა ერთდროულად არტაანის, ახალციხისა და ქობულეთის მხრიდან დაეწყო.

1877 წ. 14 დეკემბერს არტაანის რაზმი შავშეთში შეიჭრა და სოფ. ხევი და ხერთვისი დაიკავა. 16 დეკემბერს რუსთა ჯარმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აიღო ქ. არტანუჯი, სოფ. ბაცა და ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე გავიდა. 1878 წლის იანვრისათვის მთელი შავშეთი უკვე რუსეთის ჯარების ხელთ იყო.

ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. სხვების პოზიცია კი გაურკვეველი ჩანდა.

---

[1] Война 1877 и 1878 гг., под ред. Зикова, გვ. 410—416.

ამიტომ რუსთა სარდლობა დიდხანს აჭარაში აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს შერიფ ბეგის მოთხოვნის თანახმად რუსები ახალციხის მხრიდან შეიჭრნენ აჭარაშიც. დემორალიზებულმა თურქეთის არმიამ ბრძოლის ამ უბანზეც დამარცხება იწვნია.

ციხე-ქალაქი ერზერუმი მუხთარ ფაშას ერთადერთ იმედად რჩებოდა. მან მოახერხა გარნიზონის რამდენადმე გაძლიერება. მაგრამ რუსთა მოალყე ჯარი გაცილებით მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული იყო. რუსეთის სამმა ქვეითმა დივიზიამ და კავალერიის ნაწილებმა ერზერუმის 30 ათასიანი გარნიზონი და 60 ათასი მოქალაქე სრულიად მოსწყვიტა გარე სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ რუს ჯარისკაცებს აკლდა სურსათი, თბილი ტანსაცმელი და მის რიგებს ტიფის ეპიდემია ანადგურებდა რუსთა სარდლობა გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის არმიამ დიდი წარმატებები მოიპოვა ამიერკავკასია-მცირე აზიის ფრონტზე, მაგრამ გადამწყვეტი ოპერაციები ბალკანეთში გაიშალა. 1877 წ. 10 დეკემბერს რუსთა ჯარმა აიღო ძლიერი ციხე-ქალაქი ბულგარეთში პლევნა, გაანადგურა და დაატყვევა მისი 50-ათასიანი გარნიზონი. ამის შემდეგ გენ. გურკოს ნაწილებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და ბულგარელ მოლაშქრეთა დახმარებით დიდი ზარალი მიაყენეს თურქებს სოფიის დაბლობზე გამართულ ბრძოლებში. 1878 წ. 9 იანვარს გენ. რადეცკის ჯარმა დაატყვევა 21 ათასი თურქი. მალე გენ. გურკოს ჯარის ნაწილებმა გაანადგურეს სულეიმან ფაშას 50-ათასიანი არმია. თურქთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. 20 იანვარს რუსთა ჯარმა უომრად აიღო ანდრიანოპოლი და გეზი უშუალოდ კონსტანტინოპოლისაკენ აიღო. თურქეთის სულტანი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. 1878 წ. 31 იანვარს დადებულ იქნა დროებითი ზავი, 3 მარტს კი გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების თანახმად დამოუკიდებლობას ღებულობდნენ ბულგარეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში კი — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი სოღანლუღის მთებამდე.

* * *

რუსეთის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობამ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ სახალხო-განმათავისუფლებელ ომში, ეხმარებოდა რუსეთის არმიას როგორც ზურგში, ისე

ფრონტზე. ომის მსვლელობაში მრავალმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გვიჩვენა გმირობისა და თავდადების ნიმუშები. „ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული რაზმის ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, აგრეთვე გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა რაზმმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი რაზმი და არარეგულარული ცხენოსანი პოლკი. არტაანისა და ყარსისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმებმა.

ქართული ნაწილების სიმამაცესა და მაღალ სამხედრო ოსტატობას ქებით იხსენიებდა რუსეთის არმიის სარდლობა. ქობულეთის მიდამოებში გამართული ერთ-ერთი ბრძოლის მონაწილე გენერალი კოლუბიაკინი იტყობინებოდა: „გავიდნენ რა საკმაოდ ჩქარ მდინარე კინტრიშზე და სძლიეს რა მრავალრიცხოვან წინააღმდეგობებს, გაბედული ქართველები სისტემატურად აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლას, იერიში იერიშზე მიჰქონდათ და მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობ ზარალს განიცდიდნენ, მაინც ფრიად წარმატებით მიიწევდნენ წინ“. იგივე გენერალი გურიის პირველი ქვეითი რაზმის შესახებ, რომელსაც შტაბს-კაპიტანი იასე ვურიელი მეთაურობდა, წერდა: „ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა, რომელიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი, მუდამ წინ იყო და თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“[1]. დაუვიწყარია გმირობა 16 ქართველი გლეხისა, რომლებიც ომის დაწყების პირველსავე დღეს მოხალისეებად ჩაირიცხნენ ჯარში. ეს გლეხები სოფ. ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. 1877 წლის 23 ოქტომბერს ბათუმის მიმართულებით შეტევის გზაზე, უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულების დროს თექვსმეტივე ლიხაურელი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა.

თურქეთის წინააღმდეგ ომში სახელი გაითქვეს რუსეთის რეგულარული არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა: ზაქარია ჭავჭავაძემ, რომელიც ღირსეულად უფროსობდა მოქმედი კორპუსის ცხენოსან ჯარს და გააფთრებულ ბრძოლებში ექვსჯერ იქნა დაჭრილი; ალექსი ქავთარაძემ, რომელიც მთელი ომის განმავლობაში დარუბანდის 154-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო და იშვიათი გაბედულებით მიჰყავდა იერიშზე

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1962, გვ. 87—88.

თავისი მებრძოლები; მიხეილ ამირეჯიბმა, რომელიც ელიზავეტპოლის პოლკს მეთაურობდა და ქალაქ არტაანისათვის ბრძოლაში, აგრეთვე ალაჯის სიმაგრეების იერიშის დროს სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითები გვიჩვენა. თავი ისახელეს აგრეთვე ამილახვარმა, მიქელაძემ, კვინიტაძემ, იოსელიანმა, ჭავჭავაძემ, ორბელიანმა, ფანჩულიძემ და სხვ. ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა და რიგითმა მოლაშქრეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვებაში.

მაგრამ ქართველი ხალხის წვლილი რუსეთ-თურქეთის ომში მარტო სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობით როდი ამოიწურებოდა. იმის გამო, რომ ომის ასპარეზი მეტისმეტად ახლოს იყო, ზოგჯერ კი საომარი ოპერაციები თვით საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ჩვენი სამშობლო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად და ომში ამა თუ იმ სახით თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათით, ფურაჟით, ტვირთების გადაზიდვით, ბინებითა და სხვა მატერიალური საშუალებებით. არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებით და სურსათით უდიდეს ძალღონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა ურმებით, ცხენებითა და აქლემებით.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი მისი მოსისხლე მტერი იყო, ომში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს, რადგან მას ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა მისი საკუთარი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას, უზრუნველყოფდა თურქებისაგან მიტაცებული ქართული ტერიტორიების განთავისუფლებას[1].

* * *

რუსეთის წარმატებამ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობებმა შეაშფოთა ევროპის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი ინგლისი. მათ რუსეთის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავეს და „დაჩაგრული“ თურქეთის ქომაგობა იკისრეს. ამან გაამხნევა ოსმალეთი და სულტანმა კვლავ დაიწყო იარაღის ჟღარუნი, ინგლისის ფლოტი კი, რუსეთზე ზემოქმედების მიზნით, შავ ზღვაში შევიდა. ინგლის-თურქეთის აგენტები მოედვნენ ამიერკავკასია-მცირე აზიასა და მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, 1962, გვ. 89—90.

სულტანის ემისრები განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვდნენ მაჰმადიანი ქართველებისაგან. დერვიშ-ფაშამ აჭარლებს იარაღი დაურიგა და მათ რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება მოსთხოვა. ასეთივე ბრძანება მიიღო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმაც. იმის გამო, რომ შერიფმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა, აჭარაში თურქთა დამსჯელი რაზმი გაიგზავნა, რომელმაც სოფ. სხალთაში არსებული მისი სასახლე მიწასთან გაასწორა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ახალციხეში გადავიდა და რუსეთის მთავრობის სამსახურში აშკარად ჩადგა.

ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ დაკავებული ანტირუსული პოზიციის და ინგლის-თურქეთის ახალი ომისათვის მზადების პირობებში სან-სტეფანოს ზავი დროებითი გამოდგა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებოდა ბერლინში ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა პრემიერ-მინისტრები და სხვა წარმომადგენლები, სხდომები დაიწყო 1878 წ. 13 ივნისს. კონგრესის მუშაობის პროცესში განმტკიცდა ავსტრია-გერმანიის კავშირი და გამომეღავნდა ინგლის-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია. მეფის რუსეთი კი იზოლირებული აღმოჩნდა. კონგრესზე მწვავედ იდგა როგორც ბალკანეთის პოლიტიკური მოწყობის, ისე რუსეთ-თურქეთის აზიური საზღვრების საკითხი. განსაკუთრებით დიდი კამათი წარმოებდა ბათუმის გარშემო. მართალია, რუსეთის დიპლომატიამ ზოგი რამ დათმო, მაგრამ ძლევამოსილი ომის ძირითადი მონაპოვარი შეინარჩუნა.

1878 წ. 13 ივლისს ხელმოწერილ ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, ჯოლა-არტაანი და ოლთისი. თურქთა ხანგრძლივი ბატონობისაგან განთავისუფლდა აგრეთვე დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნული ტერიტორიების უმეტესობა ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის მომენტში რუსთა ჯარის ხელთ იყო. მხოლოდ აჭარაში (ბათუმი-თურთ) რჩებოდა თურქეთის ჯარი. ოსმალეთის მთავრობა აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარის გადაცემას. თურქეთის აგენტები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეწვიათ კონფლიქტი აჭარლებსა და რუსეთის ჯარს შორის. ერთმორწმუნეებს მოუწოდებდნენ გადასახლებულიყვნენ თურქეთის შიგა პროვინციებში. რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა ბათუმიდან და აჭარიდან თურქეთის ჯარების გაყვანა. ბოლოს და ბოლოს დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად აჭარის ქალაქები და სოფლები რუსთა ჯარს უნდა გადასცემოდა თანდათანობით 16-დან 25 აგვისტომდე. თურქთა აგენტების ვარაუდი არ გამართლდა. აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით ხვდებოდა რუსთა ჯარს. 1878

წლის 25 აგვისტოს რუსთა ნაწილები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა გამათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც. ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა ასერთმა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა.

ქართველი ხალხი, მოწინავე საზოგადოებრიობა სიხარულით შეეგება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებას. ი. გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვეერთდა"[1].

მთავრობისაგან წაქეზებული თურქი ემისრები მაინც არ ცხრებოდნენ; შექმნეს ტერორისტული ორგანიზაციები, თავს ესხმოდნენ რუსთა და ქართველთა რაზმებს, წვავდნენ სახლებსა და მაღაზიებს, მოსახლეობას მოუწოდებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ეპატიჟებოდნენ მათ „დედა თურქეთისაკენ". თურქეთის ემისრებმა აჭარის რამდენიმე სოფლის აჯანყებაც კი შეძლეს. რუსეთის ადმინისტრაციის ზოგი წარმომადგენელი აჯანყებულთა მკაცრად დასჯას მოითხოვდა, სხვებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ აჭარლების კეთილგანწყობილება მოლაპარაკებით ყოფილიყო მოპოვებული. „ჩვენი აზრი ეს არის, — წერდა „დროების" კორესპონდენტი, — რომ ჯარებითა და საზოგადოდ ძალდატანებით მხოლოდ ერთი შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში, და არა მგონია, რომ ამისთანა შედეგი ვისმესთვის სანატრელი და სასიამოვნო შეიქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ჭკვიანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარ შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე ბატალიონი ჯარი"[2]. მართლაც, აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად აჭარაში გაიგზავნა პოლკოვნიკი იოსელიანი მცირე რაზმით. იგი ჩავიდა სოფ. დანდალოში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი იყო შეკრებილი და დაარწმუნა აჭარლები აჯანყების უნაყოფობასა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მიზანშეწონილებაში[3]. მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახლად-

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 52.

[2] „დროება", 1878, № 164.

[3] შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 174—176.

შემოერთებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სულტანის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, შეძლეს მაჰმადიან ქართველთა ნაწილის გაბრიყვება და მათი ოსმალეთში გადასახლება.

უნდობლობის გასაფანტავად, აჭარის მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მიზნით მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა აჭარელთა დეპუტაცია მოიპატიჟა თბილისში. ბანკეტზე ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოითქვა. ცხადი გახდა, რომ დიდი ხნის წინ დაშორებულ ღა კვლავ შეყრილ ძმებს კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, კარგად ითვალისწინებდნენ არსებული სიძნელეების დასაძლევად ერთობლივი მუშაობის საჭიროებას. ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს მოუწოდა დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად განთავისუფლებული და ომით დაზარალებული მაჰმადიანი ქართველებისათვის. „აბა ქართველობავ, — წერდა დიდი მოღვაწე, — ეხლა შენ იცი როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო!“[1].

ილიას ეს მოწოდება როდი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მთელი ქართველი ხალხის დახმარებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ მალე მოიშუშა თურქთა ხანგრძლივი ბატონობისა და ომისაგან მიყენებული ჭრილობები და პროგრესული განვითარების გზაზე გამოვიდა.

---

[1] „ივერია“, 1879, № 9.

თავი მეათე

ქართველი ერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. ქართველი ერი

ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი. ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იყო[1]. ეს პროცესი არსებითად კაპიტალიზმის ხანაში დამთავრდა, მაგრამ ერის და მისი დამახასიათებელი მთავარი ნიშნების — ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების და კულტურის ერთობის — თანდათანობითი წარმოქმნა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაიწყო და ძველის წიაღში ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების პროცესის ინტენსივობის შესაბამისად მიემართებოდა.

ქართული ენა უკვე მერვე საუკუნიდან მთელი საქართველოს ერთადერთ სამწერლო და სახელმწიფო ენად ითვლებოდა. ქართული ენის ერთობა ყველა ქართული ეთნიკური ელემენტისათვის კიდევ უფრო თვალსაჩინოა XII საუკუნიდან, როცა ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩაისახა[2], თუმცა საერთო-სახალხო ეროვნული ენა საბოლოოდ საქართველოში დიდი ხნის დაგვიანებით დამკვიდრდა.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ქართველი ხალხის ტერიტორიულ ერთობასაც. განსაკუთრებით მაღალ საფეხურს ეს ერთობა და მისი შეგნება საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის და ძლიერების ხა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ვ. რატიანი, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. 1, 1958, გვ. 94—100, 523—526.

[2] ა. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938, გვ. 3,7. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", 1, 1950, გვ.018—019, აგრეთვე 008.

ნაში აღწევდა ხოლმე. ასე იყო, მაგალითად, XII საუკუნეში, როცა ჩვენი სამშობლოს მთელ ტერიტორიას „საქართველო“ ეწოდა. საქართველოს ტერიტორიული ერთობის შეგნება არც მისი დასუსტების, ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის დროს გამქრალა მთლიანად. ამ დროსაც საქართველოს განცალკევებული ნაწილები „საქართველოდ“ იწოდებოდა.

ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების ერთობაც არ შექმნილა ერთბაშად. ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად სწრაფად ვითარდებოდა ეკონომიური ცხოვრება, კერძოდ, ხელოსნობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ჩნდებოდა ახალი ქალაქები, ისახებოდა საშინაო ბაზარი და ასე იქმნებოდა პირობები ძველის წიაღში ახალ წარმოებით ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარებისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობის შემდგომი გაძლიერებისათვის, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა გამხდარიყო ერის ჩამოყალიბების დაწყებისათვის. მრავალრიცხოვან გარეშე მტერთა თავდასხმებმა ხელი შეუშალა ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევას, დააბრკოლა ეკონომიური ცხოვრების ახლებური ერთობის შექმნა, მაგრამ ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების ერთობა, მისი გამოცოცხლების ტენდენციები მთლიანად არასოდეს არ შეწყვეტილა.

ქართველი ხალხის ფსიქიკურ წყობასაც — ხასიათის ნიშნებს, ზნე-ჩვეულებებს, წარმოდგენებს, კულტურას—აგრეთვე ხანგრძლივი ისტორიული გზა აქვს გავლილი. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ყოველთვის ქართველი ხალხის კულტურა, მაგრამ მისი ძირითადი შინაარსი უკვე შუა საუკუნეთა ხანაში საერთო იყო ყველა ქართველისათვის, თუმცა ამ ერთიანობაში, ცხადია, ყოველთვის იგრძნობოდა სხვადასხვა კლასთა ანტაგონისტური ურთიერთდაპირისპირებულობაც. გამბედაობა და ვაუკაცობა, სიბრძნე და მოხერხებულობა, სიმკვირცხლე და სიხალისე, თავისუფლებისა და თავისიანთა სიყვარული, მტრის სიძულვილი და მოყვრის გამტანობა, გულუხვობა და სტუმართმოყვარეობა, გონებამახვილობა და ხატოვნება, — ხალხის ხასიათის ეს საუკეთესო ნიშნები ძველი დროიდანვე ცოტად თუ ბევრად ერთნაირად ფასდებოდა საქართველოს ყველა მხარეში, მიუხედავად გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თავისებურებებისა, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებზე. ერთი ხალხის ორიგინალური სულისკვეთებითაა გამსჭვალული მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი აზროვნება, რომელსაც ასაზრდოებდა არა მარტო მშობლიური ნიადაგი, არამედ დაწინაურებულ ხალხთა საზოგადოებრივ-ეკონომიური და იდეურ-კულტურული მონაპოვრებიც.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ერის ნიშანდობლივ ელემენტებს კაპიტალიზმის ეპოქამდე დიდი ხნით ადრე თანდათანობით ქმნიდა ქართველი

ხალხის მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი ცხოვრება, ადრევე დაიწყო ქართველთა ეროვნების ერად ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ გარეშე მტერთა გამანადგურებელ შემოსევათა გამო და ქვეყნის შიგნით ფეოდალური პარტიკულარიზმის გაბატონების შედეგად ვერ განვითარდნენ საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც შეძლებდნენ ამ პროცესის ბოლომდე მიყვანას დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობათა ლიკვიდაციისა და ახალ წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრების გზით. ქართველთა ეროვნება წინაკაპიტალისტურ ხანაში ერად ვერ გადაიქცა.

მაგრამ ისტორიული აუცილებლობის განხორციელება გარდაუვალი იყო: შუა საუკუნეთა ძნელბედობიდან გამოსულ საქართველოში ახალ დროში, არა უგვიანეს XVIII საუკუნის შუა ხანებისა, კვლავ თავი იჩინა ხუთასი წლის წინათ წარმოშობილმა საზოგადოებრივმა მოთხოვნილებამ — ფეოდალიზმის წიაღში ჩასახული ახალი წარმოებითი ურთიერთობის განვითარების და მისი შესაბამისი ეროვნული კონსოლიდაციის პროცესმა. იმ დროის საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად იგრძნობა ახალი საზოგადოებრივი წყობილების — კაპიტალიზმის — მაჯისცემა, მაგრამ მაშინდელი ევროპის რიგ ქვეყნებში გამარჯვებული, ან არადა, გამარჯვების გზით მიმავალი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება ნიშანსვეტი ხდება იმ არაევროპელი ხალხებისათვისაც, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ საგარეო მტრებისა და საშინაო ფეოდალიზმის ხუნდებიდან განთავისუფლებას. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ადრევე ჩასახული, მაგრამ შეფერხებული პროცესი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ ახალი ძალით დაიწყო, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 30—40-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაძლიერდა, ხოლო 60—90-იან წლებში ქართველი ბურჟუაზიული ერის წარმოქმნით დაგვირგვინდა.

ქართველი ბურჟუაზიული ერი. ბატონყმობის მოსპობას და კაპიტალიზმის განვითარებას XIX საუკუნეში შედეგად მოჰყვა ქართველთა ეროვნების გადაქცევა ქართველ ბურჟუაზიულ ერად. იმ დროისათვის ქართველები უკვე წარმოადგენდნენ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობას, წარმოქმნილს ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების და ფსიქიკური წყობის (კულტურის) ერთობის ნიადაგზე[1]. ქართველი ბურჟუაზიული ერის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა ფეოდალიზმის რღვევის შედეგად წარმოშობილი კაპიტალისტური წარმოებითი ურთი-

---

1 ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თხზ., ტ. 2, გვ. 318.

ერთობა, საბოლოო ანგარიშით მეურნეობის ძირითადად კაპიტალისტური სისტემა, ხოლო მის წამყვან ძალას — ჯერ ბურჟუაზიული დემოკრატია, შემდეგ კი დემოკრატიული ბურჟუაზია, რომელიც თანდათანობით, მაგრამ სულ უფრო და უფრო მძლავრად ეუფლებოდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების უმთავრეს ბერკეტებს, ადრე თავადაზნაურობას რომ ეპყრა ხელთ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომმა განვითარებამ, ახალი სამიმოსვლო გზების გაყვანამ, აღებმიცემობის გაფართოებამ და სავაჭრო ცენტრების ზრდამ განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დიდად შეუწყო ხელი კაპიტალიზმის შედარებით სწრაფ განვითარებას, რამაც ბოლო მოუღო საქართველოს ცალკეული რაიონების ფეოდალურ კარჩაკეტილობას, ეკონომიურად დააკავშირა ისინი ერთმანეთთან, რუსეთთან და დასავლეთ ევროპასთან. ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველთა ეროვნების ბურჟუაზიულ ერად კონსოლიდაციის საქმეში.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ერთობის საფუძველზე შეიქმნა მისი ნამდვილი ტერიტორიული ერთობა. გაადვილდა მიმოსვლა, მოისპო ცალკეულ კუთხეთა კარჩაკეტილობა, გაფართოვდა საქართველოს ტერიტორია ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში რუსეთის არმიის გამარჯვებათა შედეგად ქართველთა ძველთაძველი მიწა-წყლის შემოერთების გზით, გაიზარდა მოსახლეობა. მშობლიური მიწა-წყალი, მისი ერთობა ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი იყო ახსებითად ბურჟუაზიული, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც ჯერ კიდევ უმთავრესად მიწისმუშა, მაღალგანვითარებული ვაჭრობა-მრეწველობის არმქონე ქართველი ერისათვის.

კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე წარმოშობილმა ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა მოთხოვნილებებმა ახალი იერი მისცა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრებით განპირობებული ქართველი ხალხის სულიერ სახეს, მის ფსიქიკურ წყობას, ეროვნულ ხასიათს, კულტურას, ყოფა-ცხოვრებას. ადამიანის ღირსება საკუთრების მფლობელობის, მისი მოპოვებისათვის შრომისა და ბრძოლის წარმატების შედეგით იზომებოდა. მასობრივი ხდებოდა ხალხის ოცნება უკეთეს ცხოვრებაზე, საყოველთაო კეთილდღეობაზე, რომლის მიღწევის საშუალებად იმ დროს საქართველოს მოწინავე ადამიანებს მთელი ხალხის ეროვნული ერთობა ესახებოდათ. ეს მოვლენები მკაფიოდ აისახა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ კულტურაში — ლიტერატურაში, ხელოვნებაში, აზროვნებაში, — რომელიც თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველად იქცა ქართველი ხალხის ეროვნული ერთობის ნამდვილ გამომხატველად.

და მაინც ქართველი ბურჟუაზიული ერის წარმოქმნას ყველაზე ნათ-

ლად გამოხატავდა ახალი ქართული საერთო-სახალხო ენის საბოლოო დამკვიდრება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც მაშინ ამბობდნენ, ენაა პირველი ნიშანი ერის ვინაობისა[1] და შემთხვევითი როდია, რომ ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესში ძველი ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლა განახლებული ქართული ენის მთელი ხალხის საერთო ენად გადაქცევისათვის გადამწყვეტი ბრძოლით დაიწყო. შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ღირსეული მემკვიდრეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით აღდგენილ და დამკვიდრებულ იქნა ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი, რომელიც კინაღამ გაწყდა XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

ქართველი ერის შემადგენლობა. ქართველი ბურჟუაზიული ერი წარმოიქმნა როგორც ქართველური, ისე ნაწილობრივ არაქართველური წარმოშობის ეთნიკური ელემენტებისაგან, საუკუნეთა გრძელ მანძილზე, მათი ურთიერთკავშირის, საერთო ისტორიული ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის შედეგად. ქართველი ერის ძირითადი ბირთვი იყო ქართველთა ეროვნება ქართების (ქართლელები, კახელები, იმერლები, მესხები, გურულები, აჭარლები, რაჭველები, ლეჩხუმელები, ფშავ-ხევსურები, მთიულ-მოხევეები, ინგილოები), მეგრელების და სვანების სახით, — რომელიც ოდითგანვე საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენდა. მაგრამ ქართველ ერში შევიდნენ აგრეთვე არაქართველური მოდგმის ხალხთა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუმცა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც დიდი ხნის წინათ გადმოსახლდნენ საქართველოში, დაუკავშირდნენ ქართველი ეროვნების ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებას და ბევრი მათგანი კიდევაც გაქართველდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ არაქართველური წარმოშობის ზოგი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს არ სჭერიათ ცოტად თუ ბევრად ვრცელი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა და მთელ საქართველოში იყვნენ გაბნეულნი. მაგრამ საქართველოში ცხოვრობდნენ უმთავრესად არაქართველური წარმოშობის ადამიანთა ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფებიც, რომლებიც მოსახლეობის კომპაქტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ცოტად თუ ბევრად ვრცელ ტერიტორიაზე და დამოუკიდებელ ეროვნებებად ყა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე (პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თხზ., ტ. III, 1953, გვ. 206).

ლიბდებოდნენ (აფხაზები, ოსები) საქართველოში ერის წარმოქმნისა და კონსოლიდაციის პროცესში.

§ 2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი. საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივი აღორძინების, ქართველი ეროვნების ბურჟუაზიულ ერად გადაქცევის პროგრესულ-ისტორიული პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა საქართველო მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამდენად რუსეთთან საქართველოს შეერთებას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის მაშინდელი და მომავალი განვითარებისათვის. მაგრამ მეფის რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპის ტიპიური მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგა ძლიერი და დარაზმული თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია, წარმოადგენდა ხალხთა საპყრობილეს, სადაც გამეფებული იყო არარუს ხალხთა ჩაგვრის, შევიწროების და ძალდატანებითი ასიმილაციის კოლონიური პოლიტიკა. ასეთი იყო ცარიზმის ეროვნული პოლიტიკა საქართველოშიც.

მეფის თვითმპყრობელობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკურად დაიპყრო საქართველო, მოსპო მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ყველა ნიშანი და გადააქცია იგი რუსეთის იმპერიის ორ ჩვეულებრივ გუბერნიად. მაგრამ იმ დროს რუსეთის პოზიციები კავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ განმტკიცებული და ცარიზმი იძულებული ხდებოდა შედარებით ფრთხილად განეხორციელებინა კოლონიური პოლიტიკა[1]. XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის მეფის რუსეთმა დაამთავრა საქართველოს და კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა და შეუდგა მის ეკონომიურ დაპყრობას[2], რუსეთის კოლონიად მთელი კავკასიის მხარის და, კერძოდ, საქართველოს საბოლოოდ გადაქცევის მორიგი ამოცანის პრაქტიკულად განხორციელებას.

ეკონომიურ დარგში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა რუსეთის მრეწველობის უბრალო დანამატად,

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. 11, 1962, გვ. 100—102.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

საქონლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ[1]. ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ტექნიკურ-ეკონომიურად შედარებით ჩამორჩენილი მეფის რუსეთი ამ მიზნის მიღწევას ცდილობდა უცხოელი კაპიტალისტების დახმარებითაც, რომლებიც ეპატრონებოდნენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს და, ქართველი ხალხის ყაჩაღურ ძარცვას და ექსპლოატაციას ეწეოდნენ, ცარიზმი მასობრივად ასახლებდა საქართველოს მიწა-წყალზე უცხოურ კოლონიზატორულ ელემენტებს, რომლებსაც ეძლეოდათ საუკეთესო მიწები და რიგი პრივილეგიები ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროების ხარჯზე.

პოლიტიკურად დამორჩილებული საქართველო რომ ეკონომიურადაც მტკიცედ მიეჯაჭვა რუსეთის კაპიტალიზმთან და მისი ბუნებრივი სიმდიდრის ერთადერთ ბატონ-პატრონად უცხოური კაპიტალი გაეხადნა, მეფის მთავრობა ახორციელებდა არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ღონისძიებებსაც. ცარიზმი შეგნებულად აღვივებდა შუღლს ეროვნებათა შორის. პოლიტიკურ დარგში თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის უფლებების ყოველმხრივ შეზღუდვას როგორც მართვა-გამგეობის, ისე განათლების საქმეში. ცარიზმმა კუდმოკვეცილი ერობაც არ აღირსა საქართველოს, სადაც ადგილობრივი მმართველობა და ადმინისტრაცია ბოლომდე დარჩა პოლიციური აპარატის ხელში. ქართველი ხალხი მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე საქმის წარმოებას სახელმწიფო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მეფის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროებდა ქართულ ენას სკოლებში, 90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართულად ლაპარაკიც იკრძალებოდა. დევნას განიცდიდა ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, რომლებსაც ცარიზმის მოხელენი ბრალად დებდნენ „ეროვნული გრძნობების“ გაღვივებას. 1882 წელს ოფიციალურად აკრძალეს ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ საჯაროდ ხსენება. ქართველი ხალხის იმთავითვე ძლიერმა ეროვნულ-კოლონიურმა ჩაგვრამ 80—90-იან წლებში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. დიდმპყრობელური ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ტალღა სრულ წალეკვას უქადდა „ინოროდცებს“. ალექსანდრე მესამის რეაქციული მთავრობა სრულიად აღარ ცნობდა საქართველოს და კავკასიის რაიმე თავისებურებას. იგი აშკარად დაადგა ქართველი ხალხის სრული ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ქართული კულტურის საბოლოო მოსპობის გზას[2].

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე , საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954, გვ. 214—216.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1962, გვ. 102—106.

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი, რომელიც მუდამ მადლიური იყო „საკუთარი“ თვითმპყრობელების წინააღმდეგ მებრძოლი რუსი ხალხის უანგარო დახმარებისა, არასოდეს არ შერიგებია ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისა და ძალადობის თვითმპყრობელურ პოლიტიკას. მართალია, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ მთელი ძლიერებით მხოლოდ მაშინ გაჩაღდა, როცა იგი რუსეთის მრავალეროვანი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ნაკადად იქცა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში აღიმაღლა ხმა თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ისევე როგორც რუსეთის, დასავლეთ ევროპის და საერთოდ ყველა მრავალერიანი ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა მოძრაობაში, მეტ-ნაკლებად საზოგადოების ყველა კლასი, ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა: გლოვობდა კონსერვატიული ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც „ძველი დიდება“ დაკარგა, პროტესტს აცხადებდნენ თავადაზნაურობის ლიბერალური ფენები, რომლებსაც თავიანთ ჯერ კიდევ სუსტ ხმას უერთებდნენ ჩასახვის პროცესში მყოფი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ელემენტები, იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ორმაგ უღელში მყოფი გლეხობის ფართო მასები. რა თქმა უნდა, ყველა ამ კლასს თუ ფენას, არსებითად, საკუთარი კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ყოველ მათგანს ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო-ეროვნული დროშა მიუძღოდა.

კონსერვატორ მსხვილ ქართველ ფეოდალებსაც კი თავდაპირველად როდი ეამათ „მათი უდიდებულესობის“ — რუსეთის მეფისა და მემამულური ბიუროკრატიის კონკურენცია ქართველი გლეხობის ექსპლოატაციის საქმეში და ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებათა მოწყობა იწყეს, მაგრამ როგორც კი დარწმუნდნენ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა ხელს უწყობდა მათ მშრომელთა უფრო „რაციონალურ“ ექსპლოატაციაში, ქართველმა კონსერვატორმა არისტოკრატებმა აჯანყებებს თავი დაანებეს, ცარიზმს თავდადებული სამსახურით დაუმტკიცეს ერთგულება და აღუთქვეს — დასავლეთ ევროპის ხალხთა რევოლუციური ბრძოლის ჩახშობაში დაგეხმარებითო. სწორედ ასე სწერდა რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს კონსერვატიული ქართველი თავადაზნაურობა 1848 წელს: „ყოველი ჩვენგანი გრძნობს წმინდა სიყვარულს და თავდადებას ჩვენი რუსეთის თვითმპყრობელი მონარქიისადმი... გვსურს, რომ მოთხოვნილ იქნეს ჩვენი სამსახური გინდ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, გინდ სახელმწიფო საზღვრებს გარეთაც, თუკი იმ უწესობათ, რომელნიც აღელვებს დასავლეთ ევროპას, შეუძლია რაიმე საფრთხე მიაყენოს

იმ სახელმწიფოს კეთილდღეობას, რომელსაც პატივი აქვს საქართველოს ამჟამად ეკუთვნოდესო"[1].

ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული ქართული ნაციონალიზმი, რომლის მიმდევარი რეაქციონერი ფეოდალები რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგაც პრეტენზიას აცხადებდნენ ქართველი ხალხის მეურვეობა-მეთაურობაზე და ყოველგვარი საშუალებით, ჯერ ცარიზმთან ბრძოლის, მერე კი მასთან შეთანხმების და მის წინაშე მლიქვნელობის გზით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქართველ გლეხობაზე განუყოფელი ბატონობის, მისი აღვირახსნილი ექსპლოატაციის უფლება. რუსეთის თვითმპყრობელობას არ გაუუქმებია, მხოლოდ შეზღუდა ქართველი ფეოდალების ეს უფლება, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ ქართველი ხალხის ძარცვით უწინარეს ყოვლისა თვითონ ესარგებლა. ამან ერთგვარად შელახა ქართველ ფეოდალთა „ეროვნული" ინტერესები. წინათ, საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობის ხანაში, ქართველი ფეოდალი თვითონვე იყო თვითმპყრობელი თავის საბატონოში: ღალა არ აკლდა და ბეგარა. ქვეყანას რომ მტერი შემოესეოდა და მეფე ქუდზე კაცს მოითხოვდა, თავნება ქართველი ფეოდალი სამეფოს დასაცავად ან გამოვიდოდა ან არა, იმის მიხედვით, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას მეფესთან.

რუსეთის ძლიერი და ორგანიზებული თავადაზნაურული ბიუროკრატია, რომელსაც თვითმპყრობელი მეფე ედგა სათავეში, ვერ ითმენდა ასეთ თვითნებობას. თავის მხრივ, ცენტრალისტურ ხელისუფლებას მიუჩვეველი, თავნება ქართველი ფეოდალებიც უცებ ვერ შეურიგდნენ თავისი ძველი პრივილეგიების დაკარგვას და ჯერ მეფის რუსეთისაგან საქართველოს „განთავისუფლება" მოინდომეს, რათა წინათ მათ მიერვე დარღვეული საქართველოს „დამოუკიდებლობა" აღედგინათ და კვლავ თავთავის ციხე-სიმაგრეებში ჩამსხდარიყვნენ, მერე კი, როცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ცარიზმს შეურიგდნენ და აქტიურად დაუჭირეს მხარი მის რუსიფიკატორულ პოლიტიკას საქართველოში. უფრო გვიან ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის დამცველმა ზოგმა რეაქციონერმა ქართველმა თავადმა ხალხის ეროვნული ინტერესების „დასაცავად" მისი ძალდატანებითი ასიმილაციის თეორიულ დასაბუთებას მიჰყო ხელი: რაღა დროს პატარა ერების არსებობაა, ისინი დიდ ერებში უნდა გაითქვიფონ[2].

კონსერვატიული მსხვილი ფეოდალების გარდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავიდანვე მონაწილეობდნენ

---

[1] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, იხ. დამატება. გვ. 10.

[2] Г. Мухранский, О существе национальных единиц и об образовательном значении крупных народных единиц, 1872.

თავადაზნაურული წოდების საშუალო და წვრილი ფენები, რომელთა განათლებული წარმომადგენლები ლიბერალურად იყვნენ განწყობილნი. ისინი გრძნობდნენ რუსეთიდან და ევროპიდან მონაბერ ახალ სიოს, პროტესტს აცხადებდნენ ცარიზმის მიერ ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, დასტიროდნენ დაკარგულ თავისუფლებას, მაგრამ არ ესმოდათ ხალხის რეალური სოციალური და ეროვნული ინტერესები და ხალხს მოწყვეტილნი, აჯანყებების მოწყობით რომ ვერას გახდნენ, ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობითღა კმაყოფილდებოდნენ. ლიბერალური თავადაზნაურობის ცალკეულ განათლებულ წარმომადგენელთა პატრიოტული ოპოზიცია ცარიზმის წინააღმდეგ ყოველთვის იმდენად სუსტი და გაუბედავი იყო, რომ ვერ მაღლდებოდა ბატონყმობისა და მისი დამცველი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო-ეროვნული ბრძოლის ამოცანების გაგებამდე. მიუხედავად ამისა, პირველ რიგში სწორედ თავად-აზნაურთა ამ წრეებიდან გამოვიდა XIX საუკუნის ახალი ქართული ინტელიგენციის ის ნაწილი, რომლის ეროვნულ-კულტურულმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული ენის, ლიტერატურისა და აზროვნების აღორძინებას და განვითარებას.

ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა რომ საკუთარი „ძველი დიდების“ აღდგენაზე ოცნებობდა, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ორმაგი უღლის სიმძიმით წელში გატეხილი ქართველი გლეხობა დიდი ვაივაგლახით ახერხებდა ელემენტარული საარსებო პირობების შენარჩუნებას. გლეხთა აჯანყებები ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში არ შეწყვეტილა, მაგრამ იმ დროს გლეხობის კლასობრივი შეგნების დონე მეტად დაბალი იყო, მათი გამოსვლებიც მოთმინებადაკარგულ ადამიანთა სტიქიური ჯანყის ფარგლებს არ გასცილებია.

ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრისა და ძალადობის პირობებში სიცოცხლეს ქართველი გლეხი მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ღრმად სწამდა ღვთაებრივი ჯვრის სიწმინდე, ხელმწიფის გულკეთილობა და ბატონყმობის მარადისობა. გლეხთა ფართო მასებს სჯეროდათ, რომ რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა გააუმჯობესებდა მათს მდგომარეობას, თუ გლეხობის თხოვნას „ხელმწიფის ყურამდე მიუშვებდნენ“. სტიქიური ხასიათისა იყო გლეხთა აჯანყებები XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდში. და მაინც, სტიქიურობის მიუხედავად, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში უმთავრესად გლეხთა მოძრაობა იყო ძირითადი რეალური მასობრივი ძალა, ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას რომ ეწინააღმდეგებოდა საქართველოში.

კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ თავიდანვე გამოდიოდა ქართველი

ინტელიგენციაც. თუ ქართველი გლეხობა ხელში პირველმოხვედრილი იარაღით ცდილობდა ექსპლოატაციის ორმაგი უღლის მოშორებას, ინტელიგენცია ბრძოლის იდეურ საშუალებებს აძლევდა უპირატესობას და უმთავრესად საგანმანათლებლო მოღვაწეობით კმაყოფილდებოდა. გლეხები მეფის „ცუდი" ჩინოვნიკების გაჟლეტით აპირებდნენ უსამართლობის მოსპობას, ინტელიგენტები უმთავრესად განათლების გავრცელებით ფიქრობდნენ სამართლიანობის აღდგენას. გლეხურ მოძრაობას მხოლოდ პროლეტარული მოძრაობის შემდეგ ჩამოშორდა სტიქიური ხასიათი, ინტელიგენციის ეროვნულ ბრძოლას ბოლომდე შერჩა ინტელიგენტური სულისკვეთება. ცხადია, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის იდეური მოძრაობა ქართველი ხალხის უმრავლესობის — გლეხობის სოციალური და ეროვნული (ანტიბატონყმური და პატრიოტული) ბრძოლის ანარეკლი და იდეოლოგიური გამოხატულება იყო. მაგრამ XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორიულ-ინტელიგენტური და სტიქიურ-გლეხური ნაკადი არსებითად ერთმანეთისაგან მოწყვეტილი დარჩა და ინტელიგენტთა ეროვნული პროგრამა არ გადაქცეულა გლეხთა მასების ბრძოლის კონკრეტულ გეგმად[1].

XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზემოთ დახასიათებულმა საზოგადოებრივმა ძალებმა მეტ-ნაკლებად იჩინეს თავი ჯერ კიდევ იმ ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც 1832 წლის შეთქმულების სახელითაა ცნობილი.

ეს შეთქმულება ძირითადად ქართველი თავადაზნაურობის კონსერვატიული და ლიბერალური ფენების კლასობრივ მისწრაფებებს გამოხატავდა, მაგრამ იგი ეხმაურებოდა აგრეთვე ქართველი ხალხის, კერძოდ, გლეხობის სამართლიან ბრძოლასაც ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის თვითმპყრობელურ რეჟიმთან, რომელიც იმ ხანებში რუსეთისა და ევროპის ბალხთა ჟანდარმის როლს ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ დამარცხების მიუხედავად შეთქმულების ძირითადმა მიზანმა — ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღორძინების პატრიოტულმა იდეამ ფართო გავრცელება პოვა ჯერ კიდევ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ, თავადაზნაურულ პერიოდში (1832—1860 წწ.). პროგრესული თავადაზნაურულ-ლიბერალური პატრიოტიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული იოანე ბაგრატიონისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება და მსოფლმხედველობა.

ეროვნული თავისუფლების აბსტრაქტული მოთხოვნა თითქოს საკმა-

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 41—46.

რისიც ჩანდა იმ დროს, როცა საზოგადოების მშრომელი უმრავლესობა — გლეხობა — ხან თავადაზნაურობას ეკედლებოდა და ცარიზმის მძიმე უღლის გადაგდებას მისი დახმარებით ლამობდა, ხანაც მეფის კანონების იმედით ბატონყმური უღლის გადაგდებაზე ოცნებობდა[1].

საქმე არსებითად შეიცვალა მაშინ, როცა ამ ოცნების განუხორციელებლობა გამომჟღავნდა საქართველოს ეკონომიური და სოციალური განვითარების დაჩქარების და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერების გამო. ეს მოხდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პერიოდში (1861—1898 წწ.), განსაკუთრებით ბურჟუაზიული რეფორმების მომზადებისა და გატარების წლებში, როცა ასპარეზზე ახალი საზოგადოებრივი ძალები გამოვიდნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. გასული საუკუნის 60-იანი წლები საქართველოში ახალ და ძველ თაობათა, არსებითად ლიბერალ-კონსერვატორთა და დემოკრატთა შეტაკებით დაიწყო. გარეგნულად კამათი ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე მიმდინარეობდა, მაგრამ არსებითად ბრძოლის შინაარსი არა მარტო ლიტერატურულ-ეროვნული, არამედ სოციალურ-კლასობრივი ხასიათისაც იყო. თაობათა ბრძოლა ბატონყმობის მომხრე და მოწინააღმდეგე კლასობრივ ძალთა ურთიერთდაპირისპირებულობას გამოხატავდა. ბატონყმობის ვაუქმების აუცილებლობა თვით მეფის მთავრობამ აღიარა და ქართველ თავადაზნაურობას არც უფლება ჰქონდა და არც საშუალება აშკარად გამოსულიყო ხელმწიფე-იმპერატორის „ნება-სურვილის“ წინააღმდეგ. ძველი თაობა, რომელიც ქართველი თავადაზნაურობის კონსერვატიული და ლიბერალური ფენების ინტერესებს იცავდა, უამისოდაც ადრიდანვე გრძნობდა ბატონყმობის გარდაქმნის თუ გაუქმების აუცილებლობას. 60-იან წლებში გააფთრებული კამათი იმის გამო ატყდა, თუ ვის სასარგებლოდ უნდა განხორციელებულიყო ეს ცვლილება — მიწისმფლობელი და უფლებამოსილი თავადაზნაურობის, თუ უმიწაწყლო და უუფლებო ხალხის სასარგებლოდ. კონსერვატორები და ლიბერალები თავადაზნაურობის მხარეზე დადგნენ, დემოკრატები — მთელი ხალხის, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის მხარეზე.

მაგრამ, თუ ეროვნულად ჩაგრულ, კოლონიურ საქართველოში ძველი წყობილების ახლით შეცვლისათვის მიმდინარე კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლა ეროვნულ საბურველში მოგვევლინა, — ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებით და მებრძოლ ძალთა ორი ძირითადი თავისებურებით აიხსნება: ჯერ ერთი, დემოკრატებს, რომლებმაც

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გვ. 112

ეს ბრძოლა წამოიწყეს, ქართველი ხალხის სოციალური განთავისუფლების წინაპირობად მისი ეროვნული განთავისუფლება მიაჩნდათ. მათი აზრით, ხალხის ჩაგვრის უმძიმესი და უმთავრესი ფორმა თვითმპყრობელურ-კოლონიური ეროვნული ჩაგვრა იყო და მისი მოსპობა გააადვილებდა ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების დაფუძნებას სამართლიანობის პრინციპებზე. თითქოს ამას მოწმობდა ის, რომ XIX საუკუნის საქართველოში ყოველგვარი პროტესტი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, დაწყებული გლეხთა სტიქიური ამბოხებებით, გათავებული ინტელიგენციის კულტურული მოღვაწეობით, რუსეთის მეფის თვითმპყრობელობასთან ეროვნული ბრძოლის ფორმას ღებულობდა. მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოში, ისევე როგორც მეფის რუსეთის მთელ იმპერიაში, არა მარტო რუსი კაპიტალისტის და მემამულის ინტერესებს იცავდა, არამედ ადგილობრივ ბატონყმურ ცხოვრებასაც მფარველობდა. ამიტომ, ვინც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, მას შოლტი უნდა მოექნია კოლონიურ ქვეყანაში ცარიზმის ბატონობის დასაყრდენის — ბატონყმობისა და კონსერვატიული თავადაზნაურობისთვისაც. ეროვნულ დემოკრატთა ცდა, გამოეყოთ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები მისი სოციალური ინტერესებისაგან თითქმის ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, მათი „წმინდა" პატრიოტიზმი ობიექტურად კლასობრივი შინაარსით ივსებოდა და ბრძოლა ქართველი ერის თავისუფლებისათვის უერთდებოდა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყმაგლეხობის განთავისუფლებისათვის[1].

მეორე მხრივ, ის, ვინც თავს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველად აცხადებდა, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა ქართული ენის პატრიოტი უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს რომ იმ ისტორიული ეროვნული შინაარსიდან, რასაც წინათ ქართველობა ეწოდებოდა, XIX საუკუნისათვის დროთა ქარტეხილს ყველაზე მეტად ქართული ენა გადაურჩა. ცარიზმის დროს ადრინდელი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობიდან მოგონებაღა დარჩა და ქართველი ერის მოსარჩლე ადამიანთა უკანასკნელ თავშესაფარად ქართული ენა გადაიქცა. „პირველი... ნიშანი ერის ვინაობისა ენაა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — და აი სწორედ პირველმა ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგახნის დუმილისა. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების მოედნიდამ მცირე კუნჭულიღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულში-ღა გახდა შესაძლებელი ჩვენი ცხოვრებისათვის მოღ-

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955, გვ. 26—31.

ვაწე კაცს თავი ეჩინა... ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი"[1].

ეხა და მწერლობა ქართველ ლიბერალ-კონსერვატორთათვისაც ძირითადი სამოღვაწეო ასპარეზი და „დროთა უწყალო ხელით დანთქმული" ძველი დიდების ნაშთი იყო, რამდენადაც ისინი, რუსეთის იმპერატორის სამსახურში დაღლილნი, ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმესაც ემსახურებოდნენ. მაგრამ ეროვნულ დემოკრატთათვის ენა იყო არა მარტო პირველი ნიშანი ერის ვინაობისა და გადარჩენილი ისტორიული ნაშთი ზოგჯერ ძლიერ დაწინაურებული ქართული სახელმწიფოებრიობისა, არამედ ხალხის განათლების და სოციალური ბრძოლის იარაღიც. რამდენიმე გულმოსული თავადის „შეთქმა" მათ საკმარისად არ მიაჩნდათ ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის. ხალხის ფართო მასებს თვითონვე უნდა ებრძოლათ და მოეპოვებინათ ეროვნული თავისუფლება. მაგრამ თვითმპყრობელებისა და ბატონყმობის როზგქვეშ დაბეჩავებული, გაუნათლებელი ხალხი, გლეხობა ამას მხოლოდ ეროვნულ ენაზე განათლების მიღების საშუალებით თუ შეძლებდა. მაგრამ ხალხისათვის ძველი ქართული სამწერლო ენა, იოანე პეტრიწისა და ანტონ კათალიკოსის ენა, მიუწვდომელი და გაუგებარი იყო. საჭირო ხდებოდა ენის რეფორმა, სამწერლო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოების გზით ახალი ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მაგისტრალური ხაზის აღდგენა და დასრულება, ახალი ქართული ენის, ლიტერატურის და აზროვნების საბოლოო დამკვიდრება. ამ ისტორიული ამოცანის განხორციელება XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი შედეგი იყო.

ეროვნული მოძრაობის გაფართოების მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ეროვნული საკითხი აგრარულ საკითხს დაუკავშირდა, თუმცა დემოკრატიულ მოძრაობას აგრარული საკითხის გლეხობის სასარგებლოდ გადაჭრისათვის ისე დიდი შედეგი როდი მოჰყვა, როგორც ახალი ენისა და აზროვნებისათვის გამართულ ბრძოლას. ეროვნულ საკითხში დამარცხებულ ლიბერალ-კონსერვატორებს შეეძლოთ გამარჯვება ეზეიმათ აგრარულ საკითხში: საგლეხო რეფორმა მეფის მემამულურმა მთავრობამ მისი კოლონიური პოლიტიკის დასაყრდენის კონსერვატიული და ლიბერალური ქართველი თავადაზნაურობის სასარგებლოდ, ხალხის უმრავლესობის, გლეხობის ინტერესების გაუთვალისწინებლად განახორციელა. მიწა მიწისმფლობელ მემამულეებს ან ფულისმქონე ვაჭრებს დარჩათ, იურიდიულად განთავისუფლებულ, მაგრამ უმიწაწყლო, უფულო, თუ მცირემიწიან სოციალურ ფენებს — მშრომელ გლეხებს, ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953, გვ. 206.

და წვრილ აზნაურებს—რეფორმის შემდეგ ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის წინანდელთან შედარებით ნაკლებად მძიმე პირობებში როდი უხდებოდათ ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ აგრარული მოძრაობა, რაც კოლონიურ საქართველოში ეროვნულ მოძრაობას უერთდებოდა, საგლეხო რეფორმის შემდეგაც არ შეწყვეტილა.

თვითმპყრობელურ-მემამულური ფორმის მიუხედავად, ცარიზმის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებული რეფორმები ბურჟუაზიული შინაარსისა იყო, რამდენადაც საბოლოო ანგარიშით ისინი ხელს უწყობდნენ ფეოდალიზმის თანდათანობითი ლიკვიდაციის საფუძველზე ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას და გამარჯვებას. კონსერვატიული, მაგრამ ძალაუნებურად გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა მხარს ვერ უსწორებდა ახალ მოთხოვნილებებს, თუმცა ცარიზმის დახმარებით გლეხობის გაძლიერებული ექსპლოატაციის გზით მაინც ახერხებდა ცოტად თუ ბევრად შეეგუებინა მეურნეობა ახალი ვითარებისათვის და ერთხანს შეენარჩუნებინა ეკონომიური ბატონობა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში განათლებული, ლიბერალური თავადაზნაურობის და ვაჭართა ფენებისაგან კლასად ყალიბდებოდა ეროვნული ბურჟუაზია[1], რომელიც თანდათანობით უპირისპირდებოდა არა მარტო ღარიბ ხალხს, არამედ მდიდარ თავადაზნაურობასა და უცხოურ ბურჟუაზიასაც. გაძლიერდა თვით მდაბიო ხალხის, პირველ რიგში, გლეხობის დაშლის პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატის წარმოშობა. გაღონიერდა და განმტკიცდა ქართული ლიბერალური და დემოკრატიული ინტელიგენცია. ყველა ისინი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი კლასობრივი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაურობისათვის იბრძოდნენ. კონსერვატიული თავადაზნაურობა კვლავაც ზემოდან მეფის მთავრობის და ქვემოდან გლეხობის იმედით აპირებდა ამის მიღწევას, პროგრესული თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ფენები, ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ბანკების დაარსებით და საქალაქო თვითმმართველობათა დაპყრობით ფიქრობდნენ გაბატონებული მდგომარეობის განმტკიცებას, გლეხობის ნაწილი ვაჭრობით თუ კოოპერაციულ ამხანაგობათა შექმნით ოცნებობდა გაღონიერებას და, ოცნება რომ არ უსრულდებოდა, მოთმინებადაკარგული სტიქიურ აჯანყებებს აწყობდა. ინტელიგენცია ეროვნულ პრესას, სკოლას, თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქმნიდა და ამით ცდილობდა საყოველთაო კეთილდღეობის მოახლოებას.

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გვ. 146—147.

არსებობისა და საზოგადოების მეთაურობისათვის ამ გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში, რომელიც ეროვნულ ფორმას ღებულობდა, ნათლად ჩანდა აღმავალი ბურჟუაზიული დემოკრატიის, მესამე წოდების (გლეხობის, ხელოსნების, წვრილი ვაჭრების, წვრილი აზნაურების, ეროვნული ბურჟუაზიის)[1] დაპირისპირებულობა ბატონყმობისა და მისი გადმონაშთებისადმი (მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის, თვითმპყრობელური ხელისუფლების, კონსერვატიული თავადაზნაურობისადმი). მესამე წოდება ერთიანი და სოლიდარული იყო, რამდენადაც ბატონყმობა მეტ-ნაკლებად ერთნაირად ავიწროებდა ყველა მის წარმომადგენელს — ყმასაც, რომელსაც ფული დაეგროვებინა და საამური ცხოვრება სურდა, ყაირათიან გლეხსაც, რომელსაც მემამულე სძულდა ღალისა და ბეგარისათვის, პროლეტარ-შინაყმას და გაღატაკებულ გლეხსაც, რომელნიც მემამულის თუ ვაჭრის მონები იყვნენ. ბატონყმობისაგან იტანჯებოდა ვაჭარი მეწარმეც, მუშაც, შინამრეწველიც, ხელოსანიც, ინტელიგენტიც. როგორც ლენინი ამბობდა, „ყველა ამ ადამიანთა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ ყველა ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონყმობას: ამ სოლიდარობის საზღვრებს იქით უმძაფრესი სამეურნეო ანტაგონიზმი იწყებოდა“[2].

კოლონიური საქართველოს მესამე წოდების სოლიდარობას ამას გარდა ის გარემოებაც ედო საფუძვლად, რომ რუსეთის მემამულურ-ბურჟუაზიული მონარქია მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა კლასს, ყველა სოციალურ ფენას ავიწროებდა: პროგრესულ თავადაზნაურობასაც და ბურჟუაზიასაც, გლეხობასაც და ინტელიგენციასაც. ერთ ბანაკში ერთიანდებოდა ყველა, ვინც ვერ ურიგდებოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და ჰოითხოვდა რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და დაცვას, მის ეკონომიურ აღორძინებას და პოლიტიკურ დემოკრატიზაციას, სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობის აღიარებას, ადგილობრივი საოლქო თვითმმართველობის მინიჭებას ქართველი ხალხისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში ქართული ენის შემოღებას, ქართული კულტურის დაცვას და დაუბრკოლებელ განვითარებას. ეს იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი საპროგრამო მოთხოვნები XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ამ პროგრამას უკვე აშკარად აღარ იზიარებდა კონსერვატიული ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც საბოლოოდ გადავიდა რუსეთის თვითმპყრობელობის მხარეზე. პროგრესული თავადაზნაურობა ჯერ კიდევ ასე თუ ისე მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში,

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 145.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 349.

ოპოზიციურად იყო განწყობილი თვითმპყრობელობის სამოქალაქო და სასულიერო ბიუროკრატიისადმი, მაგრამ მისი ოპოზიციურობა თვით 80-იანი წლების რეაქციის პერიოდში ინტელიგენტურ ლიბერალიზმს არ გასცილებია. ფეოდალიზმის ნელი, ანდათანობითი ლიკვიდაციის გზით კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პირობებში ლიბერალიზმი უცხო არ იყო თვით ჩაგრული მესამე წოდებისათვისაც კი, რომლის გლეხური დემოკრატიზმი რევოლუციური ბურჟუაზიის არარსებობის და პროლეტარული ფენების კლასობრივი ჩამოუყალიბებლობის გამო XX საუკუნის დამდეგამდე იდეურ-ლიტერატურული ოცნების და სტიქიურ-ბუნტარული ჯანყის ფარგლებში დარჩა. ოცნება და სინამდვილე, თეორია და პრაქტიკა სულ უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების და ეროვნულ-კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესაბამისად, განსაკუთრებით რუსეთის პირველი და მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, 1859 — 1861 და 1879 — 1881 წლებში, მაგრამ საქართველოს ეროვნულ და სოციალურ მოძრაობას XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც შერჩა უმთავრესად განმანათლებლური ხასიათი. განმანათლებლობამ კი საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, მხოლოდ ის შეძლო, რომ იდეურად მოამზადა ნიადაგი ფეოდალიზმის და მისი ნაშთების რევოლუციურ-დემოკრატიული გზით მოსპობისათვის.

§ 3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური მიმდინარეობანი[1]

XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის და მისი მეშვეობით იმდროინდელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო[2]. ამ-პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც იყო, მაგალითად, ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში, დეკაბრისტული და ნაროდნიკული მოძრაობა რუსეთში, ეროვნული აჯანყებანი პოლონეთში, უნგრეთში, იტალიაში, ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის რიგ ქვეყნებში თავიდანვე პოულობდა გამოძახილს[3], ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე, მიუხედავად იმისა რომ მის საფუძ-

---

[1] ამ პარაგრაფში ავტორმა სცადა განეზოგადებინა, მისი აზრით, ყველაზე სწორი და საბუთიანი მოსაზრებანი, რომელნიც გვხვდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის მდიდარ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნიდან ჩვენს დრომდე, თუმცა პრობლემაზე არსებული მრავალი ნაშრომი ტერმინოლოგიით თუ შინაარსით ხშირად მნიშვნელოვნადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, 1962 გვ. 259, 265.

[3] ვ. დ ო ნ ა ძ ე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი, 1962.

ველს, უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი წარმოადგენდა.

მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ძირითადი შინაარსი XVIII — XIX საუკუნეებში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა იყო. მეტ-ნაკლებად ამ შინაარსს გამოხატავდა იმდროინდელი იდეურ-პოლიტიკური მოძრაობაც მსოფლიოს ყველა ნაკლებად თუ მეტად განვითარებულ ქვეყანაში, რომელთა წინაშე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების, უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიური მომზადების ამოცანა ისახებოდა. ამ ამოცანის განხორციელება თითქმის ყველგან წილად ხვდა განმანათლებლობას, რომელიც, როგორც ცნობილია, მარქსიზმამდელ იდეურ მოძრაობათაგან წინამორბედ ჰუმანიზმთან და მომდევნო უტოპიურ სოციალიზმთან ერთად ახალი დროის ერთ-ერთი უდიდესი იდეური მოძრაობა იყო. ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში წარმოშობილმა განმანათლებლურმა მოძრაობამ XVIII—XIX საუკუნეებში ფართოდ იჩინა თავი ევროპის და ამერიკის ბევრ ქვეყანაში გერმანიიდან იტალიამდე და სკანდინავიამდე, ბურჟუაზიული ამერიკის შეერთებული შტატებიდან მეფის რუსეთის მემამულურ იმპერიამდე თუ იაპონიამდე. მაგრამ განმანათლებლობის კლასიკური ქვეყანა საფრანგეთი გახდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის თითქმის უკანასკნელ მეოთხედამდე დიდი ფრანგი განმანათლებლები იყვნენ ფიქრთამპყრობელნი იმ ადამიანთა, რომელნიც გაბედულად გამოდიოდნენ ფეოდალიზმისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში[1].

განმანათლებლობა მრავალფეროვანი და მრავალმხრივი, ენციკლოპედიური იდეური მოძრაობა იყო. მასში ყოველთვის შეიმჩნეოდა ზომიერ-ლიბერალური, რადიკალურ-დემოკრატიული და თვით უტოპიურ-სოციალისტური მიმდინარეობანი, თუმცა მისი ზოგადი შინაარსი მეტ-ნაკლებად ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მესამე წოდების, ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა. განმანათლებლობას ჰქონდა თავისი ფილოსოფიური და ეკონომიური მოძღვრება, პოლიტიკური და ესთეტიკური თეორია. განმანათლებლობის მხრებზე ამოიზარდა კლასიკური გერმანული ფილოსოფია, ინგლისური პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული სოციალიზმი, რომელთა კრიტიკული გადამუშავებისა და შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე XIX საუკუნის 40-იანი წლების კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის შუაგულში—გერმანიაში—მეცნიერული სოციალიზმი წარმოიშვა. პროლეტარიატის მეცნიერულ-სოციალის-

---

[1] Всемирная история, в 10-ти томах, т. V, под. ред. Я. Зутиса (ответ. редактор), О. Вайнштейна, Н. Павленко, В. Семенова, 1958, зз. 420—421, 498, 514—515, 555—570, 582, 599, 632, 665.

ტური იდეოლოგია თავისი შინაარსით დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაზე დაკვირვების და მის კლასობრივ წინააღმდეგობათა ანალიზის შედეგს წარმოადგენდა, მაგრამ „თავისი თეორიული ფორმის მიხედვით იგი თავდაპირველად გვევლინება როგორც XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებლების მიერ წამოყენებული პრინციპების შემდგომი, თითქოს უფრო თანმიმდევარი განვითარება“[1].

იდეებს დიდ ადამიანებისას, რომლებსაც ყველაფრის საზომ ერთეულად მოაზროვნე გონება მიაჩნდათ და რომლებიც საფრანგეთში ადამიანთა შეგნებას ამზადებდნენ მოახლოებული რევოლუციისათვის, კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შეესრულებინა ეკონომიურად შედარებით ჩამორჩენილ იმ ქვეყნების იდეურ-პოლიტიკურ მოძრაობაში, სადაც ფეოდალიზმის წიაღში ჩასახულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა შინაგანი წინააღმდეგობანი XIX საუკუნეშიც ისევე მოუმწიფებელი და გამოუმჟღავნებული იყო, როგორც XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მსგავს მატერიალურ პირობებს მსგავსი იდეურ-პოლიტიკური ამოცანები უნდა წარმოეშვა და, ბუნებრივია, რომ მთელი XIX საუკუნე საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ფრანგული განმანათლებლური იდეების კვალდაკვალ მიდიოდა განსაკუთრებით ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

განმანათლებლების, ლიბერალების და უტოპისტების იდეები დიდხანს ბატონობდა XIX საუკუნის იდეურ-პოლიტიკურ აზროვნებაში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, „სადაც ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა[2].

ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა იყო რუსეთი, სადაც განმანათლებლობის ეპოქა დასავლეთ-ევროპის ქვეყნებთან შედარებით უფრო ხანგრძლივი, მაგრამ ამავე დროს უფრო ნაყოფიერი, დასავლეთის აზროვნების პრაქტიკულად შემოწმების შედეგად მიღებული გამოცდილებით გამდიდრებული, განვითარებული და წინწასული აღმოჩნდა, რაც იმით გამოიხატა, რომ ერთსა და იმავე დროს დემოკრატიზმისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი რუსული განმანათლებლური იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა განვითარების მაღალ საფეხურზე, XIX საუკუნის შუა წლებში უფრო ნათლად ამჟღავნებდა რეალიზმის, მატერიალიზმის, რევოლუციური დემოკრატიზმისა და უტოპიური სოციალიზმის განუყრელ კავშირს, თუმცა იგი იდეალიზმის და ლიბერალიზმისაგანაც სავსებით ვერ განთავისუფლდა და საერთოდ მაინც მარქსიზმამდელი იდეურ-პოლიტიკური მოძრაობის ჩარჩოებში დარჩა.

---

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 135.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 628.

XVIII საუკუნის დასავლეთ-ევროპელ განმანათლებელთა მსგავსად XIX საუკუნის რუსული რევოლუციური განმანათლებლობა „გამსჭვალულია მხურვალე მტრობით ბატონყმობისადმი და ყ ვ ე ლ ა მ ი ს ი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში. ეს „განმანათლებლის“ პირველი დამახასიათებელი თვისებაა. მეორე დამახასიათებელი თვისება, რაც საერთოა ყველა რუსი განმანათლებლისათვის — ეს არის მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა. ბოლოს, „განმანათლებლის“ მესამე დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ სავსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ ანდა ის იყო თავისუფლდებოდნენ განმანათლებლების ეპოქაში) ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისთვის ხელშეწყობისა... განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ“[1].

რუსმა რევოლუციონერმა ნაროდნიკებმა, რომლებიც განმანათლებლების მემკვიდრენი იყვნენ, სცადეს მთელი ერისაგან გლეხობის გამოყოფა და მისი განთავისუფლების გზით საყოველთაო კეთილდღეობის დამყარება უპირველეს ამოცანად გამოაცხადეს, მაგრამ მათ ვერ მიიმხრეს, ვერ აამხედრეს ჩამორჩენილი გლეხობა და დამარცხდნენ, ბოლოს, ნაროდნიკები იძულებული გახდნენ რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლობა ეკისრათ და მთელი ხალხის განათლების და გაძლიერების საშუალებით საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების განმანათლებლურ-უტოპისტურ იდეალს დაბრუნებოდნენ.

რუსულ განმანათლებლურ, რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ იდეურ მოძრაობასთან და უმთავრესად მისი მეშვეობით, დასავლეთ ევროპულ განმანათლებლობასთან, ლიბერალიზმთან და უტოპიურ სოციალიზმთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა, კერძოდ, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განმანათლებლური იდეოლოგია.

ჩვენი ქვეყნის მატერიალური ცხოვრების პირობების ჩამორჩენილობა თავდაპირველად ვერ ქმნიდა სათანადო საფუძველს განმანათლებლური იდეების ფართოდ გავრცელებისათვის, თუმცა მსოფლიო ისტორიაში ცო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 626—627, 656.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ტა როდია მაგალითი, რომ ქვეყნის იდეოლოგიური განვითარება ავტომატურად არ მიჰყვება მის ეკონომიურ მდგომარეობას. სწორედ ეკონომიური და პოლიტიკური ძნელბედობა აიძულებდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებლებს თეორიულადაც ეძებნათ ქვეყნის აღდგომისა და გამოხსნის გზები, მით უფრო რომ ამგვარი ძიება მიმდინარეობდა მეზობელ რუსეთში, რომლის მაშინდელი საზოგადოებრივი აზროვნება, ეროვნულ თავისებურებათა მიუხედავად, განმანათლებლობის ფრანგული ნიმუშის მიხედვით ვითარდებოდა. ფრანგული განმანათლებლობა ანტიფეოდალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეოლოგია იყო. საბოლოო ანგარიშით ასეთივე შინაარსს გამოხატავდა განმანათლებლობის ცალკეული იდეები, რომლებიც საქართველოში გავრცელებას იწყებს უკვე XVIII საუკუნის შუა წლებიდან. ასე რომ ქართული განმანათლებელობა, როგორც დრომოჭმული ფეოდალური ცხოვრებიდან ახალზე გარდამავალი საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის, ბატონყმობის კრიზისისა და კაპიტალიზმის ჩასახვის, ეროვნული და გლეხური მოძრაობის გაძლიერების, აგრეთვე მრავალსაუკუნოვანი ქართული ჰუმანიზმისა და ევროპა-რუსეთის განმათლებლური აზროვნების ქართულ ნიადაგზე ათვისების შედეგი, — ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაისახა. ეს იყო ადრინდელი ქართული განმანათლებლობა, რომელიც შეიცავდა რეაქციული თავადაზნაურობის ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის საწინააღმდეგო, თავადაზნაურობის პროგრესული ფენის ლიბერალური და მდაბიო ხალხის დემოკრატიული პატრიოტიზმის ცალკეულ ელემენტებს (არაიშვიათად კონსერვატიულ იდეებთან ერთად). ადრინდელი ქართული განმანათლებლობის საწყისი ეტაპის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ ბაგრატიონი, ალექსანდრე ამილახვარი და დავით გურამიშვილი, შუა ეტაპისა — იოანე ბაგრატიონი, დავით ბაგ-

რატიონი, და ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბოლო ეტაპისა — სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი. თავის მხრივ, ადრინდელი ქართული განმანათლებლობა მემკვიდრე იყო უწინარეს ყოვლისა მანამდელი ქართული ჰუმანისტური აზროვნებისა შოთა რუსთაველიდან და იოანე პეტრიწიდან არჩილ ბაგრატიონამდე და სულხან-საბა ორბელიანამდე. ადრინდელ ქართულ განმანათლებლობას აწმყოში სოციალ-ეკონომიური საფუძვლის უკმარისობას თითქოს წარსულის ჰუმანისტური ტრადიციების სიუხვე უნაზღაურებდა.

გიორგი ერისთავი

XIX საუკუნის 50—70-იან წლებში საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გაშლის, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების შედეგად დიდად განვითარდა განმანათლებლური იდეოლოგიის რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციები, რომლებიც უკვე აშკარად დაუპირისპირდნენ რეაქციული ცარიზმისა და ფეოდალური თუ გაბატონებული თავადაზნაურობის არა მარტო კონსერვატიულ, არამედ ლიბერალურ იდეოლოგიასაც. 60—70-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის განმანათლებლურ იდეოლოგიაში თანდათანობით ყალიბდება ჰუმანისტურ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული, ხალხსნურ-დემოკრატიული იდეური მიმდინარეობანი (დასები). ეს იყო ქართული განმანათლებლობის კლასიკური პერიოდი, როცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გათიშული და განმანათლებლობაში ჩასახული სამივე იდეური მიმდინარეობა ცოტად თუ ბევრად ერთიანი მესამე წოდების (გლეხობის, ხელოსნების, საშოვარზე გასული მუშების, წვრილი ვაჭრების, წვრილი ბურჟუაზიის და გაღატაკებული აზნაურების) ინტერესებს გამოხატავდა. იმ დროს განმანათლებელთა არსებითად რევოლუციურ-დემოკრატიულ ეროვნულ და სოციალურ პროგრამაში, რომელიც დრომოჭმული ბატონყმობის მაგივრად მთელი ერის საყოველთაო კეთილდღეობაზე და-

ალექსანდრე ჰაკჰაკაძე.

ფუძნებული საზოგადოების დასაარსებლად იყო ნავარაუდევი, დემოკრატიზმისაგან გაუთიშავ სოციალიზმთან ერთად არაიშვიათად ლიბერალიზმიც იჩენდა თავს და თვით ლიბერალებიც დემოკრატებთან კავშირში ებრძოდნენ ცარიზმის **რეაქციულ** კოლონიურ პოლიტიკას.

80—90-იან წლებში დგება ქართული განმანათლებლური იდეურ-პოლიტიკური მოძრაობის ბოლო, გვიანდელი პერიოდი, როცა კაპიტალიზმის შედარებით სწრაფი განვითარების და ახალ საზოგადოებრივ კლასთა წარმოშობის პროცესის შემდგომი გაძლიერების გამო ხდება იდეურ ძალთა ხელახალი გადანაწილება. ლიბერალები და ყოფილი ხალხოსნები ჰუმანისტ და რადიკალ დემოკრატებს ეკედლებიან, მათ საპირისპიროდ კი მესამედასელი სოციალ-დემოკრატები გამოდიან ასპარეზზე. 90-იან წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ მიმდინარეობათა დაშლისა და კონსოლიდაციის ეს პროცესი ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის და პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიების შექმნით დამთავრდა XX საუკუნის დამდეგს, როცა ორგანიზაციულად გაფორმდნენ სოციალ-ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა პარტიები. ეს მოვლენა იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო'ში დაიწყო ეროვნული და კლასობრივი ბრძოლის ახალი, პროლეტარული პერიოდი, როცა საზოგადოების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა, ცარიზმის დამხობა და ბატონყმობის ნაშთების სრული აღმოფხვრა სახალხო რევოლუციის გზით ინტელიგენტთა განყენებული ოცნებიდან მასების ცოცხალი მოძრაობის უშუალო პრაქტიკული საკითხი გახდა.

განვითარებული კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, როცა მესამე წოდების ადრინდელი ერთიანობა საბოლოოდ დაირღვა და დემოკრატიზმი და სოციალიზმი გაითიშა, როცა ადრინდელი განმანათლებლური რევოლუციური დემოკრატიზმი და გლეხური რადიკალიზმი უპირველეს ყოვლისა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიზმით შეიცვალა, ქართული

განმანათლებლობის, ჰუმანისტურ და რადიკალურ მიმდინარეობათა პროგრამა ზომიერ, ლიბერალურ თვალსაზრისად გამოიყურებოდა, თუმცა კვლავაც ინარჩუნებდა დემოკრატიულ შინაარსს, რამდენადაც ცარიზმის წინააღმდეგ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას წარმოადგენდა.

გრიგოლ ორბელიანი.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული ბურჟუაზიის სოციალ-ფედერალისტურმა იდეოლოგიამ ქართული განმანათლებლობის ზომიერ-პროგრესული პრინციპები გააგრძელა. ქართული რეფორმისტული სოციალ-დემოკრატიაც (მენშევიზმიც) არსებითად ამით დაკმაყოფილდა. რევოლუციური მუშათა კლასის და მისი მომხრე ყველა მშრომელის ინტერესების გამომხატველმა მარქსისტულ-სოციალისტურმა იდეოლოგიამ (ბოლშევიზმმა) განავითარა, გააღრმავა. მეცნიერულად დაასაბუთა განმანათლებელთა მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციები და გადატრიალება მოახდინა საქართველოს იდეურ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. ამ მომენტამდე განმანათლებლურ იდეათა ევოლუცია დემოკრატიზმის რაოდენობრივი, თანდათანობითი ზრდით გამოიხატებოდა. ჰუმანისტი დემოკრატები. რადიკალური დემოკრატები და ხალხოსანი დემოკრატები ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები რადიკალურობით განირჩეოდნენ და არა კლასობრივი სხვადასხვაობით. ყველაფერი, რაც რევოლუციური და დემოკრატიული გააჩნდათ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამივე იდეური მიმდინარეობის (დასის) განმანათლებლებს, ობიექტურად მესამე წოდების, ბურჟუაზიული დემოკრატიის, ქალაქისა და სოფლის მშრომელ მესაკუთრეთა ინტერესებს გამოხატავდა თვითმპყრობელობის, ბატონყმობის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი იდეური მიმდინარეობა (პირველი დასი) საზოგადოებრივ ასპა-

დანიელ ჭონქაძე.

რეზზე გამოჩნდა 1861 წელს, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე ძველ და ახალ თაობათა წარმომადგენლების შეტაკების დროს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე. ეს იყო ქართველ განმანათლებელთა, ე. წ. თერგდალეულთა, ე. ი. რუსეთში განათლებამიღებული მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელმაც ფართოდ გააჩაღა იდეური ბრძოლა ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. განაგრძო და განავითარა ადრინდელი ქართველი განმანათლებლებისა და ჰუმანისტების პატრიოტული და დემოკრატიული ტრადიციები. ამ მიმდინარეობის ლიტერატურული ორგანო იყო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.), რომელმაც უშუალოდ გააგრძელა და განავითარა პატრიოტული და განმანათლებლური იდეები, რომლებიც ჯერ სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანში“ ჩაისახნენ და მერმე გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის „ცისკარში“ უფრო ფართოდ იჩინეს თავი. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე პირველდასელები „დროება“, „კრებულსა“ და „ტფილისსკი ვესტნიკში“ თანამშრომლობდნენ. 1877 წლიდან 1906 წლამდე ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო იყო გაზეთი „ივერია“, რომელიც საზოგადოებრივ გარდაქმნათა უფრო ზომიერ, მაგრამ არსებითად პატრიოტულ-დემოკრატიულ და ჰუმანისტურ-განმანათლებლურ პროგრამას იცავდა.

პირველდასელები ერისა და კაცობრიობის პატრიოტულ-ჰუმანისტური თვალსაზრისით უდგებოდნენ ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, ეწეოდნენ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას ეროვნული და სოციალური ჩაგვრის როგორც თვითმპყრობელურ-ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ფორმების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისა და გაერთიანებისათვის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის და ძველი ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციების დემოკრატიულ საფუძველზე განვითარების გზით, მოითხოვდნენ საქართველოს

ეკონომიური ცხოვრების ყოველმხრივ განვითარებას, უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საშუალებით. იღვწოდნენ ქართული კულტურის — ქართული ენის, ლიტერატურისა და აზროვნების—განახლებისა და აყვავებისათვის უმთავრესად კრიტიკული რეალიზმისა და მატერიალიზმის დამკვიდრების გზით.

პირველი დასის სოციალურ საფუძველს წარმოადგენდა ქართული სოფლის მოსახლეობა საერთოდ, წოდებათა განურჩევლად, უმთავრესად სოფლური წარმოშობის მესამე წოდება, მშრომელთა უმრავლესობის სახით რომ უპირისპირდებოდა ცარიზმს, კონსერვატიულ თავადაზნაურობას და უცხოურ ბურჟუაზიას. პირველდასელები აღიარებდნენ მრეწველობის კანვითარების აუცილებლობას, მაგრამ მიაჩნდათ, რომ მეთაურობა სამრეწველო განვითარებაშიც მიწისმფლობელ ქართველ თავადაზნაურობას შეეძლო შეესრულებინა. ისინი საზიანოდ თვლიდნენ კლასთა ბრძოლას ქართველი ერისათვის და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედს რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიზაციასა და რუს ხალხთან ქართველი ხალხის სამარადისო თანასწორუფლებიან კავშირზე ამყარებდნენ. მათი იდეალი იყო ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი, სამართლიანი საზოგადოება, სადაც ყველა იშრომებდა და თავის ნაშრომს პირად და საზოგადოებრივ კეთილდღეობას მოახმარდა. ისინი არ მოითხოვდნენ კერძო საკუთრებისა და კლასების დაუყოვნებლივ მოსპობას, თუმცა საყოველთაო ეროვნული სოციალიზმის მომხრედ გამოდიოდნენ და მთელი ერის სასარგებლოდ თვით თავადაზნაურულ დაწესებულებათა გამოყენების იმედიც ჰქონდათ. ასე ერწყმოდა ერთმანეთს ქართველ ჰუმანისტ დემოკრატთა პატრიოტულ-განმანათლებლურ მსოფლმხედველობაში აბსტრაქტული ჰუმანიზმი და რევოლუციური დემოკრატიზმი, კრიტიკულ-მატერიალისტური რეალიზმი და იდეალიზმი, უტოპიზმი და ლიბერალიზმი. პირველდასელთა ჰუმანისტური პროგრამა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეტაპზე ობიექტურად ქვეყნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განვითარების მოთხოვნილებებს გამოხატავდა.

ჰუმანისტურ-დემოკრატიული პირველი დასის იდეურ მიმდინარეობას მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე, რომელთანაც მსოფლმხედველობრივად სხვა განმანათლებლებიდან ყველაზე ახლო იდგნენ აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი, უფრო გვიან ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

ილია ჭავჭავაძე (1837—1907 წწ.). რეალისტ მწერალთა და განმანათლებელ მოაზროვნეთა შორის, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველომ წარმოშვა, უდიდესი იყო ილია ჭავჭავაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი იდეური ხელმძღვანელი, ბატონყმობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი, საყოველთაო შრო-

ილია ჭავჭავაძე.

მასა, თავისუფლებასა და თანასწორობაზე მეოცნებე, რუსთაველისა და სულხან-საბას, გურამიშვილისა და ბარათაშვილის უპირველესი მემკვიდრე, ლესინგისა და გოეთეს, დიდროსა და რუსოს, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის უაღრესად თავისებური მოწაფე.

ილია ჭავჭავაძე კახეთში, სოფელ ყვარელში დაიბადა, თავადის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ყვარელშივე მიიღო, ვლეხის ბავშვებთან ერთად. 1848 წელს იგი ჩამოიყვანეს თბილისში, სადაც ერთხანს კერძო პანსიონში, ხოლო 1852 წლიდან გიმნაზიაში სწავლობდა. 1857 წლიდან 1861 წლამდე ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მომავალი დიდი ქართველი პატრიოტის გულში ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნის დროს ანთებული ცეცხლი რუსეთისა და დასავლეთის მოწინავე აზროვნების გაღრმავებულმა შესწავლამ ხანძრად გადააქცია. იქ დამთავრდა მისი ჰუმანისტურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, იქვე გარს შემოიკრიბა ილია ჭავჭავაძემ მოწინავე ქართველ სტუდენტთა ის ნაწილი, რომელმაც 1861—1863 წლებში იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა გააჩაღა კონსერვატიულ-ლიბერალური მიმდინარეობის წინააღმდეგ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“.

1864—1873 წლებში ილია ჭავჭავაძე მომრიგებელ შუამავლად და მოსამართლედ მუშაობდა ქუთაისსა და დუშეთში. ამავე დროს იგი ღრმად ეცნობა ხალხის ცხოვრებას, კრებს ხალხური ზეპირსიტყვიერების მრავალრიცხოვან ნიმუშებს, ამთავრებს და აქვეყნებს ადრე დაწყებულ დიდ მხატვრულ ნაწარმოებებს „კრებულის“ ფურცლებზე, კვლავ თავს ესხმის კონსერვატორებს.

1873 წელს ილია ჭავჭავაძე თავს ანებებს სახელმწიფო სამსახურს და თბილისში ბრუნდება. 1875 წელს თავადაზნაურობა მას ირჩევს თბილისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ. 1877 წლიდან ილია ჭავჭავაძე აარსებს ჰუმანისტურ-დემოკრატიულ გაზეთს, „ივერიას“, აქტიურად

მონაწილეობს ეროვნულ-კულტურულ და ეკონომიურ დაწესებულებათა შექმნასა და საქმიანობაში (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი, სახალხო სკოლები, ბანკი და სხვ.). ამ დროიდან ჰუმანისტ დემოკრატს მძაფრი კამათი აქვს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის საკითხებზე ჯერ ლიბერალებთან და რადიკალ-დემოკრატებთან, მერე ხალხოსნებთან, თუმცა ამავე დროს მათთან ერთად იბრძვის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის დამცველთა წინააღმდეგ (კატკოვი, იანოვსკი).

80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე ქმნის და აქვეყნებს შესანიშნავ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, რომლებიც ცხოველმყოფელი ჰუმანიზმის, მხურვალე პატრიოტიზმის და ზომიერი დემოკრატიზმის სულითაა გამსჭვალული. ჰუმანისტურ-პატრიოტულ პროგრამას იცავდა იგი 90-იან წლებშიც, როცა გააფთრებულ პოლემიკას აწარმოებდა ხანდაზმულ რადიკალ-დემოკრატებთანაც და ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებთანაც. ამავე პროგრამის დაცვას განაგრძობდა იგი პირველი რევოლუციის ქარიშხლიან წლებშიც, კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრობის დროს, სანამ თვითმპყრობელობის აგენტები სიცოცხლეს გამოასალმებდნენ ერისა და კაცობრიობის თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ ქართველ ჰუმანისტსა და განმანათლებელს[1].

ძველი და ახალი დროის ქართველ, რუს და დასავლეთ-ევროპელ მწერალთა და მოაზროვნეთა მოწინავე შეხედულებებზე აღზრდილი ილია ჭავჭავაძე მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა მშობლიური ხალხის თავისუფლებაზე, ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობაზე. იგი იყო და ბოლომდე დარჩა ხალხის ფართო მასების, მშრომელების ინტერესების გამომხატველ მებრძოლ განმანათლებლად, თავისი დროის დიდ დემოკრატად. უწინარეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული იდეური გადატრიალება, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიაში მოხდა. ილია ჭავჭავაძე იყო დიდი რევოლუციონერი, რომელმაც სხვა განმანათლებლებთან ერთად გაანათლა, იდეურად მოამზადა ხალხი მოახლოებული დემოკრატიული რევოლუციისათვის[2]. მაგრამ ილია ჭავჭავაძე იყო მწერალი-განმანათლებელი, რომელიც პროგრესული, ეროვნულ-რევოლუციური და ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდა და არა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად უკვე ჩამოყალიბებული რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც აჯანყე-

---

[1] პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, 1957, გვ. 5, 69, 82—83, .113, 171; იხ. აგრეთვე, გ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე, 1914.

[2] პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, 1965, გვ. 436; ა. თევაძე, ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი, 1954, გვ. 21—105.

ბისაკენ მოუწოდებდა და პრაქტიკულად უხელმძღვანელებდა აჯანყებულ ხალხს. განმანათლებელთა მთავარი საბრძოლო იარაღი სიტყვა და აზრი იყო და არა ნაჯახი და ხმალი, თუმცა, როგორც ლენინი ამბობდა, სიტყვა აგრეთვე საქმეა იმ ეპოქაში, როდესაც არ არის მასების აშკარა პოლიტიკური გამოსვლა. ამითაც აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას ახასიათებს მერყეობა ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის, თუმცა მისი შემოქმედებიდან კლასობრივი ბრძოლის სიო ქრის და მასში საბოლოოდ დემოკრატი იმარჯვებს ლიბერალზე, მატერიალისტი იდეალისტზე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მოცემულია ბატონყმობისა და ზოგადად ყოველგვარი უსამართლო წყობილების რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკა, ნაჩვენებია მისი გაუქმებისა თუ დამხობის გარდუვალობა. ამით ილია ჭავჭავაძე ობიექტურად წინამძღოლობდა და ზრდიდა რევოლუციურ ხალხს, რევოლუციურ „კლასს“, რომელმაც პირველად მთელი ძალით თავი იჩინა 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში. სუბიექტურადაც იგი წინააღმდეგი როდი იყო რევოლუციისა, როგორც სამართლიანობის აღდგენის, თავისუფლების მოპოვების უკიდურესი საშუალებისა, ხოლო მჩაგვრელთა და ჩაგრულთა ბრძოლის ფაქტები თვითონვე ასახა თავის ნაწარმოებებში[1]. მაგრამ ეკონომიურად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს პირობებში დიდ განმანათლებელს თეორიულად არც თუ სასურველად, მაგრამ პრაქტიკულად გარდუვალად ეჩვენებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ნელი, თანდათანობითი გარდაქმნის მშვიდობიანი გზა[2].

პრაქტიკულ-პოლიტიკურად ზომიერი თვალსაზრისი დიდად როდი უშლიდა ხელს ქართველ ჰუმანისტსა და განმანათლებელს ეოცნება მთელი ერის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობაზე, იმ სამართლიან საზოგადოებაზე, რომელშიც განხორციელდებოდა მშრომელთა „ძმობის, ერთობის, თავისუფლების და თანასწორობის“ დიადი ლოზუნგი. ამაზე ოცნებობდა ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 60-იან წლებში, როცა იგი ბატონყმობის მოსპობას, „ტყვედპყრობილი შრომის ახსნას“ და „შრომის სუფევას“[3] თვლიდა ყველას შრომასა და საკუთრებაზე დამყარებული სამართლიანი საზოგადოების საფუძვლად და ამით გამოხატავდა ქართველი ხალხის მოწინავე ძალების, მშრომელი ხალხის რევოლუციურ-დემოკრა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , აჩრდილი, კაკო ყაჩაღი (თხზ. სრ. კრებული,-პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, ტ. 1, გვ. 9); მგზავრის წერილები (ტ. II, 1950, გვ. 11).

[2] იქვე, ცხოვრება და კანონი (ტ. VI, გვ. 9—10); ოთარაანთ ქვრივი (ტ. II., გვ. 258, 319—320).

[3] იქვე, აჩრდილი (ტ. I, გვ. 25); იხ. აგრეთვე, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, 1965, გვ. 153—160.

ტიულ, არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მისწრაფებებს და სოციალისტურ ოცნებებს. ამაზე ოცნებობდა XX საუკუნის კარიბჭესთან მდგარი მოხუცი ილია ჭავჭავაძე, რომელიც თითქოს რწმუნდებოდა, რომ მომავლის იდეალური საზოგადოება იქნებოდა სოციალიზმი, ე. ი. „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოვლის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოვლის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“[1].

ასე ერწყმოდა ერთმანეთს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ბურჟუაზიული ერის ფართო მასების, სოფლის მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი რევოლუციურ-დემოკრატიული მისწრაფებანი და ლიბერალურ-უტოპიურ-სოციალისტური ოცნებანი. მაგრამ მისი შემოქმედების და მსოფლმხედველობის მთავარი საკითხი მაინც ეროვნული საკითხია. რა პრობლემასაც არ უნდა შეხებოდა ილია ჭავჭავაძის მძლავრი გონება, მას მუდამ თვალწინ ედგა ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მყოფი ქართველი ხალხი და მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. დიდი ჰუმანისტი და დემოკრატი უწინარეს ყოვლისა თავისი დროის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი იყო. იგი, როგორც თვითონ ამბობს, „სიყრმიდანვე აიყოლია ქართლის ბედმა“ და მის ძიებას შეალია მთელი ცხოვრება. ქართლის ბედს ეძებდა ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს და ამბობდა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული, შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“[2]. ქართლის ბედს ეძებდა ილია ჭავჭავაძე ქართულ ენაში და ჯერ კიდევ 60-იანი წლების გარიჟრაჟზე გააჩაღა ბრძოლა ენისა და ერისათვის ქართველი ხალხის სახელით. მთელი ერის სახელით გამოაცხადა მან ეპოქალური ლოზუნგი—„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, რომელიც აგრეთვე მესამე წოდების, ერის მშრომელი უმრავლესობის, ეროვნული დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა[3].

ილია ჭავჭავაძე უწინარეს ყოვლისა მწერალ-შემოქმედი იყო, მისი „ქართვლის დედა“ და „გუთნის დედა“, „კომუნის დაცემის დღე“ და

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, გვ. 8.

[2] იქვე, აჩრდილი (ტ. I, გვ. 12), იხ. აგრეთვე, ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო (თხზ. სრ. კრებული, 5, გვ. 241; გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 700, 712—713, 720, 727.

[3] იქვე, მგზავრის წერილები (ტ. II, გვ. 28 —30). იხ. აგრეთვე პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, 1965, გვ. 98—99, 476; ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება (საქართველოს ისტორია, ტ. II, გვ. 112).

„ბაზალეთის ტბა“, „აჩრდილი“ და „მგზავრის წერილები“, „კაკო ყაჩაღი“ და „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „განდეგილი“, „საქართველოს მოამბეზედ“ და „ზოგიერთი რამ“, „შინაური მიმოხილვანი“ და „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „ცხოვრება და კანონი“, „აი ისტორია“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, „მეცხრამეტე საუკუნე“ — დემოკრატიზმის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით ზრდიდა ქართველი ხალხის მრავალთაობას, უნერგავდა ხალხს თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის იდეალებს. მისი შემოქმედების ძირითადი მოტივებია ხალხის ეროვნული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ და მშრომელთა ბრძოლა ბატონყმური მონობის წინააღმდეგ. მის სახელთანაა დაკავშირებული ლიტერატურისა და ხელოვნების რეალისტური თეორიის მწყობრ სისტემად ჩამოყალიბება, დაცვა, განვითარება და დამკვიდრება საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის საქართველოს უდიდესი მოაზროვნე იყო. მისი ესთეტიკური, ეთიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ღრმა-ფილოსოფიურ იდეებს ემყარება, თუმცა მისი მრავალმხრივი შემოქმედება არ შემოიფარგლებოდა საკუთრივ ფილოსოფიის წმინდა თეორიული სფეროთი. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფია არის ძველი და ახალი დროის მოწინავე ესთეტიკურ-ფილოსოფიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული აზროვნების მიღწევათა განზოგადება და გამოყენება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანების შესაბამისად. მის პუბლიცისტურ და მხატვრულ შემოქმედებაში მოცემულია ბუნებისა და საზოგადოების არაერთი მოვლენის მეცნიერულ-მატერიალისტური ახსნა და დასაბუთებულია განვითარების დიალექტიკური გაგების ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი. მაგრამ მისი ფილოსოფიურ-სოციოლოგიური მსოფლმხედველობისათვის უცხო არ იყო იდეალიზმიც, რაც განსაკუთრებით ნათლად იჩენდა ხოლმე თავს ილია ჭავჭავაძის ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიაში, კლასობრივი ბრძოლის გაგებასა და შეფასებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალთა გაერთიანების, ადამიანთა საყოველთაო სიყვარულისა და ერთობის, თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომის დამკვიდრების, განათლების საშუალებით ბოროტების დაძლევის და სიკეთის გამარჯვების, ადამიანის ღმერთამდე ამაღლების და ღმერთის მიწაზე ჩამოყვანის გზით ღვთაებრივად სრულქმნილი ადამიანის, კაცური კაცის ჩამოყალიბების იდეალთა ფილოსოფიური დასაბუთების აუცილებლობა არაიშვიათად აბსტრაქტული, ზე-

კლასობრივი, უტოპისტური ჰუმანიზმის ბურუსში ხვევდა ქართველი ხალხის ამ დიდი განმანათლებლის დემოკრატიულ მსოფლმხედველობას[1].

აკაკი წერეთელი (1840—1915 წწ.). დიდი ჰუმანისტი და დემოკრატი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე იდეური წინამძღოლი, უნიჭიერესი პოეტი და განმანათლებელი მოაზროვნე აკაკი როსტომის ძე წერეთელი.

აკაკი წერეთელი იმერეთში, სოფელ სხვიტორში დაიბადა, თავადის ოჯახში. მომავალი დიდი პოეტი ექვს წლამდე გლეხის შვილებთან ერთად იზრდებოდა. შემდეგში იგი ამაყად იგონებდა, „თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“.

1850 წელს აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. ატესტატის მაგივრად ამ დესპოტური სასწავლებლიდან პოეტს ცარიზმის სიძულვილი და ჩაგრულთა სიყვარული გამოჰყვა. 1859—1862 წლებში აკაკი წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე სწავლობდა. არც აქედან მიუღია მას დიპლომი, სამაგიეროდ ყრმობიდანვე შესისხლხორცებული პატრიოტული იდეები მწყობრ ჰუმანისტურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობად აქცია და ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეებრძოლა კონსერვატიულ და ლიბერალურ ცრუპატრიოტიზმს, ცარიზმს და ფეოდალიზმს. „აღსდეგ, სამშობლოვ!“ — მოუწოდებდა აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ 1859 წელს, ხოლო 1862 წელს კონსერვატორებთან დემოკრატების შეტაკების დროს, მან განმარტა, რომ სამშობლოს ცნებაში იგულისხმებოდა არა ძველი და ახალი ქართველი თავადაზნაურობა, „საქართველოს ეს ფუჭნი ძენი“, არამედ გლეხკაცობა, „სულითა და გულით ქართველი გლეხი-კაცი“. სრულქმნილი ადამიანი, „კაცად-კაცი“ განურჩევლად წოდებისა იყო მისი სანუკვარი იდეალი თითქმის მთელი სამოცი წლის მოღვაწეობის მანძილზე[2].

1862 წელს რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული აკაკი წერეთელი ფორმალურად არც ერთ იდეურ დაჯგუფებას არ მიჰკედლებია, მწერლობა პროფესიად გაიხადა და ბოლომდე ქართველი ერის „დაბალი წოდების“ დამცველად გამოდიოდა ცარიზმის, ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ იდეურ ბრძოლაში. 60-იანი წლების ბოლომდე იგი „ცისკარში“ განაგრძობდა თავისებური, მაგრამ არსებითად ჰუმანისტურ-

---

[1] ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, 1962, გვ. 17, 33, 305, 340. ვ. კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა, ფაუსტური პარადიგმები, 1, 1961, გვ. 487—490, 462—467.

[2] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩემი თავგადასავალი (თხზულებათა სრული კრებული, გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ი ს რედაქტორობით, 1958, გვ. 10); ა. წ ე რ ე თ ე ლ ი , ქართლის სალამი (თხზ. სრ. კრებული, ტ. I, 1950, გვ. 70); ახირებული ფურცელი (იქვე, ტ. XI, 1960, გვ. 15—16).



აკაკი წერეთელი.

დემოკრატიული ეროვნული პროგრამის დაცვას. 70-იანი წლების დამდეგიდან „დროებასა“ და „ტ̇ფლისკი ვესტნიკში“ თანამშრომლობდა, თუმცა უთანხმოებაც ჰქონდა ამ ორგანოთა მეთაურ რადიკალ-დემოკრატებთან. 80-იან წლებში ხალხოსნურ „შრომასა“ და „იმედში“ და ჰუმანისტურ „ივერიაში“ განაგრძობდა იგი ბრძოლას განათლების საშუალებით „დაბალი წოდების“ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. 90-იან წლებში აკაკი წერეთელი რადიკალურ-დემოკრატიული „კვალის“ და საკუთარი „კრებულის“ ფურცლებიდან გმობდა ინტელიგენტ-მეთაურთა მოწყვეტას დაბალი ხალხისაგან, ხოლო 900-იან წლებში სოციალ-დემოკრატების რევოლუციურ მოღვაწეობაზე ამყარებდა ცარიზმის დამხობის გზით მთელი ერის და, კერძოდ, „დაბალი წოდების“ განთავისუფლების იმედს. მთელი 50 წლის მანძილზე იგი დაუღალავად იღვწოდა ქართული პრესის, თეატრის, საერთოდ ქართული კულტურის აღორძინებისათვის[1].

აკაკი წერეთელი ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ შეურიგებლად მებრძოლი განმანათლებელი იყო თავიდან ბოლომდე. იგი აღტაცებით შეხვდა გლეხთა განთავისუფლებას 1864 წელს, მაგრამ უქნარა თავადაზნაურობის მოწინააღმდეგე და „დაბალი წოდების“ დამცველი დემოკრატი ვერ დააკმაყოფილა საგლეხო რეფორმამ, რომელიც „სახელით კარგი იყო, სახრავად კი არ ვარგოდა“. „ბატონყმური დამოკიდებულება დაირღვა,—წერდა იგი,—მაგრამ რომ უნდოდა, ისე კი ვერა. ბატონები კაცის სულებს ვეღარ ფლობდნენ პირუტყვებივით, როგორც ადრე, მაგრამ მაგიერში მიწები ჩამოერთოთ“.

აკაკი წერეთელი ბატონყმობის ნაშთების სრული მოსპობის, გლეხთა სრული განთავისუფლების მომხრე იყო და, თუმცა ეს ერთბაშად არ მოხერხდა, მაინც სასიამოვნოდ მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ „ნელ-ნელა

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940.

ბალი წოდების მიწა-წყალი გადადიოდა მუშების (მშრომელების) ხელში"[1].

აკაკი წერეთელი იმასაც კარგად ხედავდა, რომ რეფორმის შემდეგ მიწა არამშრომელი, ხალხის მჩაგვრელი ვაჭრების ხელში გადადიოდა. ივი არ ეთანხმებოდა რადიკალ-დემოკრატებს, რომლებიც ზოგჯერ ყოველგვარი შრომით და, კერძოდ, „ვაჭრული მოხერხებით" ერის გაძლიერებაშიც პროგრესს ხედავდნენ, თუმცა ვაჭრობის უარყოფით მხარეებსაც აკრიტიკებდნენ. აკაკი მხოლოდ ხალხის მოტყუებისა და ძარცვის ერთ-ერთ ფორმად თვლიდა მაშინდელ ვაჭრობას და თავადაზნაურობასთან ერთად ვაჭრებიც „საწყალი ხალხის" მჩაგვრელებად მიაჩნდა. ხალხის სასარგებლო შრომა, მისი აზრით, მიწის მუშაობა, თავისუფალ მიწაზე თავისუფალი გლეხური შრომაა. უმთავრესად ამგვარ მშრომელთა პოზიციებიდან კიცსავს იგი გაბიუროკრატებულ თავადაზნაურობასაც და გაბურჟუებულ ვაჭრებსაც. „ყველა ესენი რომ გამოვრიცხოთ, — ამბობს იგი, — დაგვრჩება ხელში ჩვენი მშრომელი, მიწის მუშა ხალხი და აი, ვის უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი სრული თანაგრძნობა. ამათ კეთილდღეობას უნდა ვუმზადებდეთ და შევხაროდეთ, ხელს ვუწყობდეთ და რჩევას ვაძლევდეთ, მაგრამ ისე წინდახედვითა და მოფიქრებით, რომ ფეხი არ წავაკვრევინოთ"[2]. ამ მხრივ აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა ეხმატკბილებოდა ყველა განმანათლებელ-დემოკრატის, კერძოდ, ხალხოსანთა თვალსაზრისს. მაგრამ აკაკი წერეთელი ყველაფერში არ ეთანხმებოდა ხალხოსნებსაც, ამ „ახალ პატრიოტებს", „ტეტიათა მოტრფიალეებს", „დიაკვნის შვილებს", რომლებიც თავიდან ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილი წინამორბედი დემოკრატიული თაობისადმი, სავსებით უარყოფდნენ თავადაზნაურობის ეროვნულ როლს და მხოლოდ გაუნათლებელი გლეხობა მიაჩნდათ ერად და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთ ძალად. აკაკის აზრით, უქნარა მაღალი წოდების წინააღმდეგ მშრომელი დაბალი წოდების ინტერესთა დაპირისპირება დადასტურებული ფაქტია, ამ საფუძველზე ერის და მისი მოწინავე ძალების დანაწილებაც აუცილებელია, მაგრამ მათი უპირველესი ამოცანა მაინც საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლა უნდა იყოს. „მაღალი წოდების ხალხი, — წერდა იგი, — რომელსაც ოდესმე ჰქონდა მნიშვნელობა, დღეს თუმცა ურგებია და უმჯობესი იქნებოდა ეს უქმად მყლაპელები სულ არ ყოფილიყვნენ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, რადგანაც ჯერ გარეშე მტერი არ მოგვიშორებია და... მუდამ ჩაყლაპვას გვექადნებიან, ამისათვის საჭირო არის — ეს ორივე წოდება, როგორც მაღალი, ისე დაბალი, გაძლიერდეს...

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩემი თავგადასავალი (თხზ., სრ. კრებული, ტ. VII. გვ. 100). ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდამ (იქვე, ტ. XI, 1960, გვ. 354).

[2] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, როგორ უნდა ხალხის დაახლოვება (თხზ., ტ. XI, გვ. 403).

და შეერთებულის ძალით წინაღუდგებოდნენ გარეშე მტერსო, მით უფრო, რომ ოსმალოს სიძულვილი მაღალ-წოდებას უფრო აქვს და რადგანაც მისგან დაჩაგრულადა გრძნობს თავს, არ შეურიგდებაო"[1]. ამ სახით ერთდებოდა აკაკი წერეთლის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში დემოკრატიზმი და პატრიოტიზმი.

აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედება იდეურობისა და ხალხურობის კლასიკური ნიმუშია. მისი „მუშური" და „იმერული ნანინა", „ხანჯალი" და „ნატვრა", „ციცინათელა" და „სულიკო", „განთიადი და „ჩონგური", „თორნიკე ერისთავი" და „ნათელა", „ბაგრატ დიდი" და „გამზრდელი", „პატარა კახი", „ბაში-აჩუკი" და „ჩემი თავგადასავალი" ზრდიდა და განამტკიცებდა ქართველი ხალხის ჰუმანისტურ და პატრიოტულ-დემოკრატიულ იდეალებს. აკაკი წერეთლის პატრიოტული ჰუმანიზმის თავიდანვე ნათელი რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსი ყოველმხრივ გაიშალა პირველი რევოლუციის ქარიშხლიან წლებში, როცა იგი გაბედულად ამოუდგა მხარში ცარიზმის დასამხობად აჯანყებულ „მუშათ ერს", რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას. პოეტი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ მისი თაობა ნახევარი საუკუნე ელოდა რევოლუციას, რომ მისი დროის ქართველი განმანათლებელნი წინამორბედნი და მომმზადებელნი იყვნენ სახალხო რევოლუციისა, რომელსაც უნდა გაეთავისუფლებინა ქართველი ხალხი ეროვნული და ბატონყმური ჩაგვრისაგან[2]. რევოლუციას ნატრობდა და გმირებს ეძახდა პოეტის ნაღარა რეფორმის დროს და მის შემდეგ. „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი", — ქადაგებდა იგი 1875 წელს[3]. „კმარა მონება! კმარა მოთმენა", დრო არის ადგეს ერთპირად ერი, ან ბრძოლის ველზე სული დალიოს, ან მოიგერიოს მოსული მტერი!.. მონას რად უნდა კრული სიცოცხლე? ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი? სჯობს მონებაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი"[4], — წერდა იგი 1890 წელს. დიდი ქართველი განმანათლებლის მსოფლმხედველობის და საერთოდ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განმანათლებლური იდეოლოგიის ლოგიკური დასკვნა იყო აკაკი წერეთლის იდეური მონაწილეობა აჯანყებული ქართველი გლეხობის მხარეზე თვითმპყრობელობის, რეაქციული თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ 1905 წლის რევოლუციაში. სოციალიზმის „მცნებას" ახლაც უტოპიურ ოცნებად თვლიდა დიდი განმა-

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდამ (თხზ., ტ. XI, გვ. 354).

[2] იქვე, თქვენი ჭირიმე, ნატვრა, (თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1954, გვ. 146, 158).

[3] იქვე, ბაგრატ დიდი (თხზ., ტ. V, 1956, გვ. 10).

[4] იქვე, ჭაღარა (თხზ., ტ. II, 1950, გვ. 175). პატარა კახი (თხზ., ტ. VI. ი. გრიშაშვილის რედ., 1956, გვ. 100).

ნათლებელი, „ჩვენი ქვეყნის რჩეული, უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული“, რომელიც ნახევარი საუკუნე „ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას, ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“[1]. მაგრამ აკაკი წერეთლის ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა იდეურად ამზადებდა და ხელს უწყობდა სოციალიზმისათვის მებრძოლებსაც. ამას თვით ცარიზმის მოხელენიც ხედავდნენ და მუდმივად სდევნიდნენ დიდ პოეტს, რომლის დაპატიმრებასაც არ ერიდებოდნენ ზოგჯერ[2].

აკაკი წერეთელი არა მარტო დიდი პოეტი იყო, არამედ დიდი მოაზროვნეც. მისი ჰუმანისტური ფილოსოფია, რეალისტური ესთეტიკა და დემოკრატიული სოციოლოგია მძლავრ და ორიგინალურ ნაკადად ერთვის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განმანათლებლურ აზროვნებას. მისთვისაც საღმრთოსა და საეროს, მიწიერისა და ზეციერის ერთიანობის, ერისა და ადამიანობის უპირველესობის ჰუმანისტური თვალსაზრისია საზოგადოებრივ მოვლენათა საზომი. მისი ჰუმანიზმი მატერიალისტურ საფუძვლებს შეიცავს, მაგრამ არც იდეალიზმს უცხოობს ყოველთვის. მისი აზრით, ზეციერისა და მიწიერის ერთობაა, კერძოდ მწერლობა, ქვეყნის სამსახურისათვის ადამიანისათვის ბოძებული „ციური ნიჭი“, გარემოების საყვირი, ზნეობრივი და გონებრივი მესარკეობა, „უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ“[3], ჩაგრულს ემსახურებოდეს მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩაგრული ხალხის, ჩაგრული ერის, ჩაგრული წოდების მშრომელი და მებრძოლი ნაწილის პოეტი და განმანათლებელი იყო აკაკი წერეთელი, რომლის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია[4].

იაკობ გოგებაშვილი (1840—1912 წწ.). საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი მეთაური იყო იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი მოაზროვნე.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა ქართლში, სოფელ ვარიანში, მღვდლის ოჯახში. ცხრა წლამდე შინ იზრდებოდა მამის ხელმძღვანელობით. 1849 წელს თბილისში ჩამოიყვანეს სასწავლებლად. 1855 წელს იაკობმა თბილი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილი აკაკი წერეთლისადმი (თხზ. სრ. კრებული, პ. ინგოროყვას რედ., ტ.X, 1961, გვ. 114). შინაური მიმოხილვა, (იქვე, ტ. V, 1955, გვ. 186).

[2] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940, გვ. 344, 433—434.

[3] ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XII, 1960, გვ. 234.

[4] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 436.

იაკობ გოგებაშვილი.

სის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, 1861 წელს — სასულიერო სემინარია. უკვე ამ დროს მომავალი დიდი პედაგოგი ეცნობა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე აზროვნებას, განსაკუთრებული გატაცებით სწავლობს ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას.

1861 წლიდან 1863 წლამდე იაკობ გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. ამ პერიოდში დამთავრდა მისი პატრიოტული, დემოკრატიული და ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. 1863 წელს მან ავადმყოფობის გამო თავი დაანება კიევის სასულიერო აკადემიას და დაბრუნდა თბილისს, სადაც ჯერ მასწავლებლად, ხოლო 1868 წლიდან ინსპექტორად მუშაობდა სასულიერო სასწავლებელში. ჩინებულმა პედაგოგმა და დიდმა პატრიოტმა დემოკრატმა მალე დაიმსახურა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის გულწრფელი სიყვარული, თუმცა ამავე დროს თავის წინააღმდეგ აიმხედრა ცარიზმის სატრაპები, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობდნენ ძალდატანებითი გარუსების თვითმპყრობელური პოლიტიკის განხორციელებას საქართველოში. 1874 წელს იაკობ გოგებაშვილს პოლიტიკური ორგულობა, სეპარატიზმი, მოსწავლეთა შორის ათეიზმის, ლიბერალიზმის და რადიკალიზმის ქადაგება დააბრალეს და ინსპექტორობიდან მოხსნეს. ამ დროიდან იაკობ გოგებაშვილი კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი.

იაკობ გოგებაშვილი თავისი დროის გამოჩენილი პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იყო. მისი პირველი პუბლიცისტური წერილი 1866 წელს დაიბეჭდა „დროებაში". ამის შემდეგ იგი თანამშრომლობდა „ტიფლისკი ვესტნიკში", „კავკაზში", „ჯეჯილში" და განსაკუთრებით „ივერიაში". მისი უკანასკნელი წერილი ჟურნალ „განათლებაში" დაიბეჭდა 1912 წელს. იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები და საბავშვო მოთხრობები („რანი ვიყავით გუშინ?", „შინაური მიმოხილვა 1882

წლისა“, „ირლანდიას უთენდება“, „ბურჯი ეროვნებისა“, „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“, „დღევანდელი კვერცხი და ხვალინდელი ქათამი“, „ქართული მიმართულება“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ და სხვ.) გამსჭვალულია პატრიოტული, ჰუმანისტური, დემოკრატიული სულისკვეთებით.

იაკობ გოგებაშვილი ახალი ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელია. მოწინავე თეორიისა და მეთოდიკის პრინციპებზე შედგენილი მისი კლასიკური სახელმძღვანელოები ზრდიდა ქართველი ახალგაზრდობის მრავალ თაობას. ჯერ კიდევ 1865 წელს გამოსცა იაკობ გოგებაშვილმა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. 1868 წელს გამოვიდა მისი „ბუნების კარი“, 1876 წელს — „დედა ენა“, 1887 წელს — „რუსსკოე სლოვო“.

თავისი ეპოქის აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემებიდან იაკობ გოგებაშვილი უპირველესი მნიშვნელობის საკითხად ეროვნულ საკითხს თვლიდა. როგორც თვითონვე ამბობდა, „ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენი არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური“[1]. მისი აზრით, საქართველოს ეროვნული მოძრაობის უპირველესი მიზანი იყო ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობის აღდგენა რუს ხალხთან, „მემარცხენე რუსეთთან“ მეგობრობის განმტკიცების გზით. „პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან, — ამბობდა იგი, —ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე“, რადგან ქართველ ხალხს „დიდ რუს ხალხთან მჭიდრო დაახლოება აზიარებს... სხვა, უკეთეს, უფრო ფართო და უფრო ნათელ ცხოვრებას და გადაუშლის დიდ მომავალსო“. იაკობ გოგებაშვილი ქართველი პედაგოგების უწმინდეს მოვალეობად თვლიდა განემტკიცებინათ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, დაენერგათ მოსწავლეთა შორის „სიყვარული საქართველოსი და რუსეთისა, ქართული ენისა და სახელმწიფოისა, ქართული ლიტერატურისა და ისტორიისა, აგრეთვე რუსულის ლიტერატურისა და ისტორიისა“[2]. დიდი პედაგოგის იდეალი იყო მძლავრი მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელშიც დემოკრატიული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანდებოდა მაშინდელი რუსეთის ყველა ერი, დიდი თუ პატარა. ამ იდეალის განხორციელების ძირითად ძალად იაკობ გოგებაშვილი თვლიდა ხალხს, რომელიც იდეოლოგიურად უნდა მოემზადებინა ინტელიგენციას განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, შინაური მიმოხილვა (თხზ., ტ. I, გ. თავზიშვილის, დ. ლორთქიფანიძის, ზ. კიკნაძის, ვ. ქაჯაიას, რედ., 1952, გვ. 391).

[2] იქვე, რანი ვიყავით გუშინ? (თხზ., ტ. I, გვ. 364). პოლიტიკანობა თუ პედაგოგობა, (თხზ., ტ. IV, 1955, გვ. 472).

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებებზე დაყრდნობით. იაკობ გოგებაშვილმა სცადა ქართველი ერის და ეროვნული მოძრაობის თავისებურებათა დახასიათება. ერს იგი უწოდებდა ადამიანთა ისტორიულ ერთობას, რომელსაც გააჩნია საკუთარი ენა, ტერიტორია, კულტურა და სარწმუნოება. ქართველი ინტელიგენციის პატრიოტული მოძრაობის ნიშნებად იგი თვლიდა ბრძოლას ერის თავისუფლებისათვის და მისი მშრომელი უმრავლესობის კეთილდღეობისათვის. ამ მხრივ ჩვენც იგივე გვსურს, რაც რუს განმანათლებლებსო[1], — დასძენდა იაკობი.

ეროვნულ საკითხს იაკობ გოგებაშვილი წინა პლანზე აყენებდა, მაგრამ მის გადაწყვეტას მშრომელთა ეკონომიური განთავისუფლების საკითხს უკავშირებდა. „კარგი რამ გახლავთ ეროვნული პრინციპის დამყარება ყოველს სფეროში, — წერდა იგი, — მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებული არა, იმდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურს ცვლილებაზედ, ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუკეთესებაზედ... ეკონომიურად აყვავება ქვეყნისა ხდება შეურყეველს ბურჯად ეროვნული აღორძინებისა“[2]. სოციალურ ცვლილებად იაკობ გოგებაშვილი ბატონყმობის ნაშთების სრულ აღმოფხვრას და ერის კეთილდღეობის საფუძვლად მიწაზე მშრომელთა საკუთრების დაკანონებას გულისხმობდა. ამისათვის ყველაზე უკეთეს საშუალებად იგი თვლიდა მიწის გამოსყიდვას სახელმწიფოს მიერ, ანდა, უარეს შემთხვევაში თვით გლეხთა მიერ. იაკობის აზრით, თუ ყველა ადამიანი მშრომელი და მესაკუთრე იქნებოდა, მოისპობოდა „უდიდესი ნივთიერი უთანასწორობა“, ძირეულად შეიცვლებოდა მაშინდელი წყობილება და კაცობრიობის საყოველთაო კეთილდღეობა დამყარდებოდა. ილია ჭავჭავაძის და საკუთარ თვალსაზრისს რომ გადმოსცემდა, იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: „პირადად მთელ ჩვენს სიცოცხლეში გულწრფელი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა და ყოველგვარი ბატონობა გვძულდა და ვეწინააღმდეგებოდით მას: გვძულდა ბატონობა თავადაზნაურობისა, ბიუროკრატიისა, ბურჟუაზიისა... მშრომელი ხალხის სრულ განთავისუფლებას კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და რაც კი შეგვეძლო ვეხმარებოდით. ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ... გაზეთ „დროებაში“ ჩვენ დავსტამბეთ ორი მოწინავე წერილი, სადაც გავატარეთ ის აზრი, რომ ვიდრე მიწა სავსებით არ გადავა მხვნელ-მთესველთა ხელში, ზაოდები და ფაბრიკები მუშათა ხელში, კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საყოველთაო კეთილდღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლება“[3].

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, შინაური მიმოხილვა (თხზ., ტ. 1, 1952, გვ. 370—375.)

[2] იქვე, გვ. 391.

[3] იქვე, მცირე განმარტება (თხზ., ტ. IV, გვ. 185—186)1.

იაკობ გოგებაშვილი „მეოთხე წოდებას“ უწოდებდა ყველა მშრომელს, „მთელს ჩვენს ერს, უმთავრესად კი გლეხებსა და მუშებს“ და რწმენით შეჰყურებდა მომავალს არაქართველი არისტოკრატიისას, რომელიც, — მისი თქმით, — „ჭენებით მიისწრაფება უკან, უფსკრულისაკენ, არა ქართველი ბურჟუაზიისას, რომელიც უდღეური ბავშვივით წყალდება დედის მუცელში, არამედ მშრომელი ქართველი ხალხისას“ [1]. ეს იაკობ გოგებაშვილს სოციალიზმის მხარეზე დადგომადაც კი მიაჩნდა, თუმცა მისი სოციალიზმი უდრიდა მხოლოდ პროტესტსა და ბრძოლას ხალხის ეროვნული ჩაგვრისა და მესამე წოდების სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, აბსტრაქტულ მოწოდებას ერის საყოველთაო ძმობის, ერთობის, თანასწორობისა და კეთილდღეობის იდეალისაკენ, რომელიც კლასობრივი ბრძოლის და ნახტომების გარეშე, დაჩქარებული ევოლუციის გზით უნდა განხორციელებულიყო.

და მაინც იაკობ გოგებაშვილის და საერთოდ კი ჰუმანისტ-განმანათლებელთა ეს ევოლუციური თვალსაზრისიც რევოლუციის წინა ხანაში ობიექტურად რევოლუციურ როლს ასრულებდა, რამდენადაც ხელს უწყობდა საზოგადოების განვითარების რევოლუციური პერიოდის მოახლოებას. იგივე უნდა ითქვას გვიანდელ ქართულ ჰუმანისტურ განმანათლებლობაზეც, რომლის უდიდესი წარმომადგენლები ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა იყვნენ.

ალექსანდრე ყაზბეგი (1848—1894 წწ.). ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი 1848 წელს დაიბადა დარიალის ხეობაში მდებარე სოფელ სტეფანწმინდაში, თავადის ოჯახში. თორმეტ წლამდე იგი ნებიერად იზრდებოდა შეძლებული მშობლების ოჯახში, ჯერ ძიძებისა და გადიების, მერმე საგანგებოდ მიჩენილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. მის აღმზრდელთა შორის ყოფილან გლეხის ქალებიც, რომელთა ამაგს მომავალი დიდი მწერალი ყველაზე მეტად აფასებდა: იმ დროს, როდესაც მეფის შვილივით მანებივრებდნენ,—წერდა ალექსანდრე ერთ-ერთ აღმზრდელ გლეხის ქალს,— შურს, ამპარტაენობას და სიძულვილს მინერგავდნენ, შენ მონაწილეობას იღებდი ჩემი გრძნობის და სულის მოძრაობაში... შენმა სიტყვებმა ყმების და მოსამსახურეების მდგომარეობაზე ბევრჯერ მდუღარე ცრემლები დამაღვრევინა და ჩემში თანაგრძნობა გამოიწვია უსამართლოდ დატანჯული ხალხის მიმართ; შემიძლია ამაყად გითხრა, თუ შენს გაზრდილში რაიმე რიგიანი მოიპოვება, ამის მიზეზი შენ ხარო[2].

1860 წელს თორმეტი წლის ალექსანდრე თბილისში ჩამოიყვანეს და კერძო პანსიონში მიაბარეს. შემდეგ გიმნაზიაში სწავლობდა მეოთხე კლა-

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ილიას ფონდის შესახებ. ორი ნიმუში უკეთმართობისა ხალხის განათლებაში (თხზ., ტ. IV, გვ. 218, 521).

[2] გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1965, გვ. 335.

სამდე. 1866 წელს მამა გარდაეცვალა და ალექსანდრე ყაზბეგის ოდესღაც მდიდრული ოჯახი მძიმე მატერიალურ გაჭირვებაში ჩავარდა. ზვიადი ფეოდალი, მიხეილ ყაზბეგი იმ დროისათვის ისე გაღატაკებული ყოფილა, რომ შვილს ვალში აღებული ფულით დაუმარხავს იგი. მზრუნველი დედის დახმარებით ალექსანდრემ მაინც შეძლო მოსკოვს წასვლა სწავლის გასაგრძელებლად. იქ იგი თავისუფალ მსმენელად შევიდა სამეურნეო აკადემიაში და ერთხანს ძლიერ ბეჯითად სწავლობდა, გატაცებით კითხულობდა მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას რუსულ და ფრანგულ ენებზე. ჭაბუკი ოცნებობდა იმ დროზე, როცა დიდ განათლებას შეიძენდა და დიდებით შემოვიდოდა „საქართველოს კარებში". ამ ოცნების განხორციელებას იმხანად დაბრკოლებად გადაეღობა სტუდენტისათვის შეუფერებელი მფლანგველობა და დროსტარება მოსკოვის მაღალი წრის სალონებში. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ განებივრებული, მაგრამ მგრძნობიარე ახალგაზრდა სულიერი ჩაგვრის გრძნობას განიცდიდა შურიანობის გესლით სავსე მშობლიურ წრეში და ამ გრძნობისაგან განთავისუფლების მიზნით უანგარიშოდ დაეწაფა უცხო ქალაქში უზრუნველი გართობის სიამეს. მიზანი მიუღწეველი დარჩა. იგი მალე დარწმუნდა, რომ გართობა კიდევ არ არის სრული თავისუფლება და ბედნიერება. 1870 წელს ალექსანდრე ყაზბეგი სტეფანწმინდაში დაბრუნდა უწესრიგო ცხოვრებით დაღლილი და დაავადებული [1].

70-იანი წლების პირველ ნახევარში ალექსანდრე ყაზბეგმა მწყემსობას მიჰყო ხელი და უბრალო ხალხის მძიმე ცხოვრების დიდი სკოლა გაიარა. მერე, რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსის ჯარს იჯარით აწვდიდა საჭირო საქონელს. მაგრამ იგი კიდევ უფრო ცუდი მოიჯარადრე გამოდგა. ვიდრე მეცხვარე, ავანსად აღებული ფული შემოეხარჯა და ვალის დასაფარავად თითქმის მთლად გაყიდა მამაპაპეული მამული. ვერც თბილისში სტამბის გახსნის განზრახვა შეისრულა. 70-იანი წლების ბოლოს მსახიობად შევიდა ქართულ დრამატულ დასში და ორიოდე წლის განმავლობაში 25-მდე პიესა დაწერა თუ გადმოაკეთა. მაგრამ ვერც მსახიობობამ და დრამატურგიამ მოუტანა მას დიდება. „დიდების" პერიოდი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში იწყება 1880 წლიდან და გრძელდება 1885 წლამდე, როცა მან გაზეთ „დროებაში" ზედიზედ გამოაქვეყნა თავისი უკვდავი მოთხრობები და რომანები: „ელგუჯა" და „ხევისბერი გოჩა", „მოძღვარი" და „ციცია", „ელისო" და „ციკო", „ნამწყემსარის მოგონებანი" და „განკიცხული". შემდეგ მას მნიშვნელოვანი აღარაფერი შეუქმნია. მატერიალურმა გაჭირვებამ, შემოქმედებითმა წვამ და ბოჰემურმა ცხოვრებამ ნაადრევად დააბერა და დაღუპა იგი.

---

[1] გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. III. 1965, გვ. 336.

ალექსანდრე ყაზბეგის რეალისტურ-რომანტიკულ[1] შემოქმედებაში მძლავრად იჩინა თავი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიოტულმა და ჰუმანისტურმა იდეოლოგიამ. სიყვარულს უმღერის ეს გენიალური მხატვარი თუ მეგობრობას, ბუნებას ხატავს თუ საზოგადოებას, მისი ნაწარმოებები მოგვაგონებენ სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ეტიუდებს, რომლებშიც ეროვნული დამოუკიდებლობა და ადამიანური ღირსება, პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი უპირველეს და უმაღლეს საწყისებად არის გამოცხადებული. განთავისუფლებული სამშობლო და გაბედნიერებული საზოგადოება მისი იდეალი. ამ იდეალს უპირისპირებს ალექსანდრე ყაზბეგი არსებულ სინამდვილეს, რომელშიც ჩაგვრისა და უბედურების სამეფოს ხედავს. მისი წარმოდგენით, წარსულში ხალხი თემის სახით პიროვნებად იყო ქცეული, ბუნებასთან დაახლოებული, ბუნებასავით წმინდა და მძლავრი. მაშინ ხალხს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ ადამიანური ღირსება უხვად ჰქონდა, ამაღლებული სიყვარულიც იცოდა და უანგარო მეგობრობაც, მტრის სიძულვილიც და მოყვრისადმი ვაჟკაცური თავდადებაც. ყოველივე ეს ახალ დროში ცივილიზაციის სახელით ნადგურდება, თემი იშლება, საზოგადოება ორ მტრულ ბანაკად ითიშება, „განათლებულნი, ევროპიელნი“ ბრჭყვიალა ოქროთი და ალესილი ფოლადით ცდილობენ „აზიურის, გაუნათლებლობის“ აღმოფხვრას, არაადამიანური და უსამართლო ქვეყანა ებრძვის ადამიანობისა და სიმართლის ქვეყანას, გაბატონებული უმცირესობა იმონებს და ჩაგრავს დამორჩილებულ უმრავლესობას[2].

ალექსანდრე ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგი უყოყმანოდ დადგა ჩაგრულთა მხარეზე შინაურ თუ გარეშე მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში ბოროტისა და კეთილის დაპირისპირე-

---

[1] კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1962, გვ. 357.

[2] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 554—555.

ბის სახით არის წარმოდგენილი. ყველა მჩაგვრელი მისთვის ბოროტი ძალაა, ყველა ჩაგრული — კეთილი. ყოველგვარი ფორმა ჩაგვრისა ბოროტებაა, ყოველგვარი ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ — სიკეთე. იგი ხალხის სახელით ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ და ამაყად ამბობდა: „მე ვარ მთიელი..., აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველადგანვე სამარცხვინოდ ყოფილა ხალხში, სადაც სიტყვას „ბატონ-ყმობა“ ადგილი არასოდეს არ ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადის ღირსებით შესძლებიაო“[1]. იგი იბრძოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველ ხალხს არიგებდა: „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებოო“[2]. იგი გაბედულად აკრიტიკებდა „გლეხკაცობის განთავისუფლების“ მემამულურ ხასიათს და ძმობასა და თანასწორობაზე ოცნებობდა: „მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიაც გაიმქრევის, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლების და ავადმყოფი მოკეთდების, ძმა ძმას დაინახავსო“[3]. იგი გმობდა ბურჟუაზიული ცივილიზაციის ინდივიდუალიზმს, „თემი და მისი საქმე შენზეც დიდია და ჩემზედაცო“, და ოცნებობდა იმ საზოგადოებაზე, სადაც განხორციელდებოდა პრინციპი — „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“![4] ამ მაღალი ეროვნული, პიროვნული და ადამიანური იდეალებისათვის ბრძოლას ეწირებიან ალექსანდრე ყაზბეგის გაუცინარი, შუბლშეკრული, მაგრამ გონებანათელი, ამაღლებული, თუმცა ბუნებრივი სიყვარულის, თავდადებული მეგობრობის, სწორუპოვარი მამაცობის და შეუბღალავი მორალური სიწმინდის ჰუმანური გრძნობებით გაკეთილშობილებული გმირები. ამ იდეალებზე იზრდებოდა ქართველი ხალხის მრავალი თაობა, იწრთობოდა მისი ეროვნული ხასიათი და რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთება. ამავე იდეალებს უპირისპირდება დიდი მწერალი-განმანათლებელი თვითმპყრობელურ-მემამულურ-ბურჟუაზიული სინამდვილის მახინჯ ნაშიერთ, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით, მოსყიდვითა და ძალადობით ცდილობდნენ ხალხის პატრიოტული და ჰუმანური გრძნობების დათრგუნვას. მისთვის არ არსებობდა შუა გზა ბოროტსა და კეთილს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში. იგი იყო თავისი დროის ყველაზე ტენდენციური მხატვარი, რომლის ნაწარმოებებში კარგი მთლიანად კარგი და მისაბაძია, ცუდი მთლიანად ცუდი და დასაგმობი. იგი წინააღმდეგია სინამდვილის პასიური, ჭვრეტითი ასახვისა და შეგნებულად იყენებს ხელოვნების ტენდენციურობის მეცნიერულ თვალსაზრისს. „ამ მოთხრო-

---

[1] ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზ. ოთხ ტომად, ტ. 4, 1948, გვ. 89.
[2] იქვე, რჩ., ნაწერები, 1939, გვ. 737.
[3] იქვე. თხზ.. ტ. 1, 1962, გვ. 44—45.
[4] იქვე, რჩ. ნაწერები, გვ. 735.

ბაში, — წერდა იგი ერთი თავისი ნაწარმოების გამო, — ვხატავ იდეალურ მოძღვარს, ისეთს მოძღვარს, რომელიც წირვა-ლოცვის დროს მლოცველს ხელში არ შეჰყურებს და უმაღლესი მოვალეობის შესრულების დროს დახლზე არ ფიქრობს. ჩემი მოძღვარი ხალხის და ქვეყნისათვის თავგანწირულია, ის აღზრდილია უმაღლეს კანონთა... გავლენის ქვეშ და ეს სწავლა იქამდის ტენდენციოზური არის, რომ თვით ჩემი მოძღვარიც თუ არ იდეალურს, ტენდენციურს ქმნილებად, სხვაგვარად ვერ გამოიხატებოდაო“.

ალექსანდრე ყაზბეგმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ადამიანი გარემოს პროდუქტია, ბუნების შვილია. მაგრამ მას არ სწამს უცვლელ აბსოლუტად ქცეული გარემო, რომელიც უბრალოდ, ფოტოგრაფიულად გადაიღება ადამიანის შეგნებაში თუ ხელოვნებაში. თვით ყოვლისშემძლე ბუნება მის ნაწარმოებებში მსახურის როლს ასრულებს, იგი იცვლება ადამიანის გონებრივი და სულიერი მოძრაობის შესაბამისად. ნამდვილი ხელოვნება ადამიანის სულიერი მოძრაობის ამაღლებულ აზრთა და განცდათა შემოქმედებითი ხატვაა და არა „ბუნების ყოველწამური ცვლილების“ ბარომეტრული აღწერა. ალექსანდრე ყაზბეგს არ სწამს „აზრის გაუტარებლად უსულო სურათების“ ხატვა, მოვლენათა ობიექტივისტური ჩვენება, თუმცა აზრებითა და ტენდენციებით უსაფუძვლოდ გადატვირთული ნაწარმოებიც ხელოვნების ქმნილებად არ მიაჩნია. „აზრი უეჭველად უნდა იყვეს ყოველ უბრალო აღწერაშიც“, — ამბობს იგი, — ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები მაშინ გვეძლევა, „როდესაც აზროვნება და სურათოვნება ერთმანეთს წესიერად შესზავდებიან“[1]. ალექსანდრე ყაზბეგის ეს თვალსაზრისი, მისი მთელი შემოქმედება და მსოფლმხედველობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა ქართული განმანათლებლური აზროვნების გვიანდელ პერიოდში.

ვაჟა-ფშაველა (1861—1915 წწ.). ვაჟა-ფშაველა ფშავში, სოფელ ჩარგალში დაიბადა, მღვდლის ოჯახში. წერა-კითხვა მამამ ასწავლა. რვა წლის ვაჟა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. აქ იგი ექვს წელიწადს სწავლობდა. შემდეგ ორი წელი თბილისის საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში დაჰყო, ხოლო 1879 წლიდან 1882 წლამდე გორის საოსტატო სემინარიაში განაგრძობდა სწავლას. სხვა სასწავლებლებთან შედარებით ამ სემინარიას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იქ ძოსწავლეებს უშინსკის და გოგებაშვილის მიმდევარი პედაგოგები ზრდიდნენ და ქართული ლიტერატურის შესწავლასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. გორის სემინარიის დემოკრატიულად და რევოლუციურად მოაზროვნე მასწავლებლები (სემიონოვი, მ. ყიფიანი) ხელს უწყობდნენ მო-

---

[1] ა. ყ ა ზ ბ ე გ ი,, რჩ. ნაწერები, გვ. 735.

ვაჟა-ფშაველა

წაფეებს თვითგანვითარების გზითაც შეეძინათ ცოდნა. ამ პერიოდში ღრმად გაეცნო ვაჟა ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას.

გორში ყოფნის დროს ვაჟა-ფშაველა დაკავშირებია ხალხოსანთა საიდუმლო წრეს, მაგრამ მისი გონებრივი ინტერესი მოწაფეობიდანვე უფრო მხატვრული ლიტერატურისაკენ ყოფილა მიმართული, ვიდრე პოლიტიკისაკენ, ხალხოსნობა კი მას იმდენად სწამდა, რამდენადაც იგი მთელი ერის და არა მხოლოდ გლეხობის განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა. ამ დროს დაიწყო ვაჟამ ლექსებისა და კორესპონდენციების წერა.

გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ ვაჟა-ფშაველა მასწავლებლად მსახურობდა ერწოში, სოფელ ამტნისხევში. აქ მას შეტაკება მოუხდა ადგილობრივ მიწისმფლობელებთან და ცარიზმის მოხელეებთან, ამის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებინა სამსახურისათვის.

1883 წელს ვაჟა-ფშაველა პეტერბურგს გაემგზავრა და ლექციებს ისმენდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სიღარიბის და ოფიციალური მეცნიერებისადმი გულგრილობის გამო ვაჟამ უნივერსიტეტს თავი დაანება და სამშობლოში დაბრუნებულმა კვლავ მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი ჯერ თავად ამილახვრის ოჯახში, ბოლოს სოფელ დიდ თონეთში, საიდანაც კვლავ დათხოვნილ იქნა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან შეტაკების გამო.

1888 წელს ვაჟა-ფშაველა მუდმივად დამკვიდრდა სოფელ ჩარგალში, სადაც სოფლის მეურნეობასაც მისდევდა და თავის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებსაც ქმნიდა. მძიმე ფიზიკურმა და გონებრივმა შრომამ და გაჭირვებამ ნაადრევად მოტეხა დიდი პოეტი, რომელმაც ფართო პოპულარობას მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში მიაღწია[1].

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმია. ერისა და კაცობრიობის სიყვარულითაა

[1] გ. ქიქოძე, თხზ. ტ. III, 1965, გვ. 349—351.

გამსჭვალული მისი ლირიკა, პროზა, ეპოსი. ვაჟკაცობისა და გმირობის, კაცთმოყვარეობისა და სოლიდარობის, თანასწორობისა და თავისუფლების იდეალებს ნერგავდნენ მის თანამედროვე და მომავალ თაობათა შეგნებაში „სტუმარ-მასპინძელი“ და „ბახტრიონი“, „შვლის ნუკრის ხაამბობი“ და „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“ და „გველისმჭამელი“, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, „ნიჭიერი მწერალი“, „სად არის პოეზია“, „რა არის თავისუფლება“?, „რას ჰქვიან თავისუფლება?“

ვაჟა-ფშაველას ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საგანი მთელი ბუნების და მისი თავისებური ნაწილის—კაცობრიობის ისტორიის—რაობაა, მაგრამ რაკი, მისი აზრით, „ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“, მისი ჰუმანიზმი პატრიოტიზმის საფუძველზე შენდება. „მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, — წერდა იგი, — მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფნის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე... პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუაგონებისა... კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია..., იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს. ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“[1]. ასეთია ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის საფუძველი. ამ თვალსაზრისით უდგებოდა დიდი ჰუმანისტ- საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას, სოციალ-ეკონომიურს თუ იდეურ-ლიტერატურულს, და ეს მიდგომა უწინარეს ყოვლისა ქართველი ერის უმრავლესობის ინტერესების გამომხატველად მიაჩნდა. მისი თქმით, ერი თხოულობდა „ერთს გარკვეულს მოძღვრებას საეროს, საქვეყნოს, საზოგადოს“, რომელიც ერის უმრავლესობისათვის უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი[2]. ვაჟა-ფშაველას იდეალად ესახებოდა ეროვნულად და სოციალურად განთავისუფლებული საქართველო, თავისებური ნაწილი მოწინავე კაცობრიობისა, ხოლო ამ იდეალის განხორციელების უპირველეს საშუალებად ხალხის მეცნიერული, რეალისტურ-მატერიალისტური

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ.V, 1961, გვ. 213—215.

[2] იქვე, გვ. 226.

განათლება მიაჩნდა. გენიალური ქართველი პოეტი დიდი განმანათლებელი მოაზროვნეც იყო. „გაუნათლებელი, გაუზრდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნებაო“, — ამბობდა იგი და თვით 1905 წლის რევოლუციის სასიკეთო შედეგად იმას თვლიდა, რომ მან გამოამჟღავნა ხალხის მოუმზადებლობა და სიბნელე და წარმოშვა კულტურული მუშაობის გზით ამ მოუმზადებლობის მოსპობის შესაძლებლობა[1].

როგორც პიროვნება და შემოქმედი, ვაჟა-ფშაველა ამაყი და ქედუხრელი ადამიანი იყო და არ ემორჩილებოდა ცარიზმის მემამულურ-ბიუროკრატიულ რეჟიმს, უარყოფდა მის თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებულ თავადაზნაურულ ბედოვლათობასაც და მედუქნურ, ეგოისტურ სულსაც, რომელიც ადამიანს კაცობას აკარგვინებდა, ხმალს არშინზე აცვლევინებდა, სინდისს — ფულზე. იგი „მიწისმუშა ერის“ დამცველად გამოდიოდა, მაგრამ მხოლოდ „მხვნელ-მთესველი ხალხის“ პატრიარქალურ-თემური ცხოვრებაც არ მიაჩნდა იდეალად და ფულზე დამყარებული ბურჟუაზიული პროგრესიც ერისა და ადამიანობის თვალსაზრისით მთლად დასაგმობად როდი ეჩვენებოდა. „ქართველი ერი იმ თავიდან მხვნელ-მთესველი ერია, — წერდა იგი, — მისი ძალ-ღონე დამოკიდებული იყო პურ-ღვინოზე და მათს მასაზრდოებელს დედამიწაზე. მართლაც, დედამიწა დიდი საუნჯეა ერისათვის. უტერიტორიოდ ერი ვერაფერი ერია... მაგრამ... ამ ბოლო დროს ფულმა ყელი მოიღერა, გათამამდა, ფულის პატრონთ თვითონ დაგვიდგინეს ნიხრი მიწის ნაწარმოებისა. ამ ამბავს ჩვენმა ხალხმა კარგა ხანი ყური უგდო... ფული ძალა ყოფილაო იფიქრა, მერე ისეთი ძალა, რომელიც თავის ქეიფზე ათამაშებს მიწის მუშას და იმის ნაწარმოებს. მაშასადამე, ჩვენც უნდა ვეცადნეთ ეს ძალა შევიძინოთ, რომ სხვას არ გავეთელინოთ... უნდა გავმდიდრდეთ... უამისოდ... ხსნა არ არის!.. პროგრესი სიმდიდრემ დაბადა და პროგრესმა ხომ წინ წამოაყენა იდეა სათნოებისა, ძმობისა, ერთობისა, ერთხმობისა და სიყვარულისა, რაიც არ ძალუძს სიღარიბეს“[2]. ვაჟა-ფშაველა წინააღმდეგია „ეროვნული იდეალის წაწყმედისა“, მისი „ჩოთქამდე“ დაყვანისა. იგი არც იმის მომხრეა, რომ თავადაზნაურობა გაღარიბდეს გლეხობის გამდიდრების მიზნით, რადგან „თავადაზნაურობა ჩვენს ბურჟუაზიას“ (ე. ი. საზოგადოების მოწინავე ნაწილს) წარმოადგენს და „გაღარიბება გლეხკაცობის გულისათვის ამ ჩვენი ერის კულტურული ნაწილისა მავნებლად უნდა მივიჩნიოთ დღეს-დღეობითო“. გარდა ამისა, „ან რაღა გაღარიბებაღა უნდა ისედაც გაღარიბებულსა და გაძვალტყავებულ თავადაზნაურობას? ვისთვისღაა საშიში ეს წოდებაო?“ გაუნათლებელ, „კულტურის გარეშე დარჩენილ სოფლის

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., ტ. V, გვ. 255.
[2] იქვე, გვ. 424 — 425.

გლეხკაცობას არავითარი წვლილი არ შეაქვს“ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. „დიდი დროა საჭირო, ვიდრე იგი ჩაებმება იმ საერთო ფერხულში, რომელშიაც არიან ჩაბმულნი: წვრილი ქალაქის ბურჟუაზია, სამღვდელოება და (გაღარიბებული) თავადაზნაურობა“. მახამდე კი აგრარული საკითხის შეტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამაში არღვევს „ერთობას და სოლიდარობას ქართველების სხვადასხვა წოდებათა შორის“ და ზიანი მოაქვს ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვისო[1].

ვაჟა-ფშაველა ხედავს, რომ კლასთა ბრძოლა მისი დროის საზოგადოების ძირითადი ნიშანია, ჩაგრული, „ბედნიერებაწართმეული ნაწილი საზოგადოებისა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თავისუფლება და ქონება მიითვისა“. ეს ბრძოლა აუცილებელიცაა და სამართლიანიც, რადგან „თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი“, — ამბობს იგი. ერთის თავისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს მეორე პიროვნების ან მთელი საზოგადოების თავისუფალი მოქმედება, მიმართული ხალხის „საზოგადო ბედნიერებისაკენ“. „თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა“[2]. ამის მისაღწევად „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი... ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, სადაც არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება“[3]. ვაჟა-ფშაველა არ ეთანხმებოდა არც ხალხოსნებს და არც რადიკალ-დემოკრატებს, როცა ისინი მთელი ერის საკეთილდღეოდ უპირატეს როლს ანიჭებდნენ მხოლოდ რომელიმე წოდებას. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმოშობას იგი დადებითად ეკიდებოდა[4], მაგრამ ყველაზე სწორად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის პატრიოტული, ჰუმანისტური და დემოკრატიული თვალსაზრისი მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძეს თვლიდა „მთელი საქართველოს ერის იდეოლოგად“, რომელმაც „მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ეროვნული საკითხი“. და როცა ილია მოკლეს, ვაჟა-ფშაველა ასე ეფიცებოდა მას: კიდევ უფრო მაღლა ავწევთ შენს მიერ აფრიალებულ დროშას და მტკიცედ ვემსახურებით შენს მიერ ნაანდერძევ

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ. სრ. კრებ., ტ. V, გვ. 241—243.
[2] იქვე, გვ. 416—419.
[3] იქვე, გვ. 413—415.
[4] იქვე, გვ. 427—429.

იდეალებს — „ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისასო"[1]. ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება და მსოფლმხედველობა ამ ფიცის აღსრულებაა. ილიასავით ზომიერი პოლიტიკის მომხრე იყო ვაჟა. ილიასებურად ლაპარაკობდა იგი „ღმერთთან" ადამიანის, ერის, კაცობრიობის საკეთილდღეოდ, რადგან ნამდვილი მწერალი, მისი გაგებით, არის ღვთაებრივი ნიჭის, დიდი გრძნობის და ცოდნის მქონე გენიოსი, „ვისაც დიდად უყვარს ადამიანი..., ვისშიაც ძლიერად სჩქეფს ეროვნული სისხლი..., უკვდავი ჭეშმარიტება, სამარადისო მშვენიერება, ცხოვრების მიერ წარმოქმნილი და გენიალური გონების მიერ ცხოვრების გასაუმჯობესებლად გარდაქმნილი"[2].

ვაჟა-ფშაველა, უწინარეს ყოვლისა, პოეტი იყო და არა ფილოსოფოსი, მაგრამ მისი შემოქმედება გამსჭვალულია ბუნების ყოველი საგნის სულისჩადგმულობის ანიმისტური რწმენით და ბუნების ღვთაებრიობის პანთეისტური გაგებით ნასაზრდოები[3] რეალისტურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით. თავისთავად ვაჟა-ფშაველას არც ღვთაება აინტერესებს და არც განყენებული ბუნება. მისი ფილოსოფიური თვალსაზრისის ძირითადი საკითხი ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაა, მისი მთავარი საზრუნავი ადამიანია. საერთოდ ან კერძოდ ღმერთში თუ ადამიანში, იგი სამყაროს კი არ ეძებს, არამედ ადამიანის ადგილს ეძებს სამყაროში. ამ ძიების მთავარი შედეგი ისაა, რომ ვაჟა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობას სწვდება, ბუნებაში ადამიანურს ხედავს, ხოლო ადამიანში ბუნებრივს. მოაზროვნე და მეტყველი ადამიანი განსხვავდება „უენპირო ბუნებისაგან", მაგრამ იგი მაინც მისი ნაწილია და „ცხოვრება ბუნების თანახმად"[4] ადამიანის უპირველესი მოწოდებაა. ბუნება ყოვლისშემძლეა, თუმცა მისი ყოვლისშემძლეობა გარეშე ძალთა შედეგი კი არ არის, არამედ შინაგანი „წესრიგისა"[5]. ბუნების წესრიგი გონივრულია და მისი უმაღლესი ქმნილების — ადამიანის — ცხოვრებასაც გონივრულობა უნდა ედოს საფუძვლად. ბუნების არსებობის აზრი სიცოცხლისადმი სწრაფვაა და ადამიანიც სიცოცხლისაკენ მიისწრაფის. თვითრჯული და ტურფა ბუნება მრავალფეროვანი და მთლიანია. იგი სიკეთის შემოქმედიცაა და ბოროტების მქნელიც, პაწაწინა იას „დაჩაგრულ სიმართლესაც" შეიცავს და ქედმაღალი მთების გულზვიადობასაც. ადამიანი და ადამიანთა საზოგადოებაც ბუნების მსგავსია, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება აქაც თვალსაჩინოა, თუმცა ბუნების

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ. სრ კრებ., ტ. V, გვ. 231—232.
[2] იქვე, გვ. 262. იხ. აგრეთვე, გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩ. თხზულებანი, ტ. 111, გვ. 352.
[3] გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩ. თხზულებანი, ტ. 111, გვ. 352.
[4] იხ. ა ლ. ს ა ლ ა რ ი ძ ი ს მოგონება ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 20.
[5] ი. ქ უ თ ე ლ ი ა, ვაჟა-ფშაველა, 1947, გვ. 30.

შვილს, მისი ღირსებისა და ნაკლის მქონე დიდებულ ადამიანს, „კაი ყმას“ ძალაც შესწევს სიკეთეს ბოროტებაზე გაამარჯვებინოს და დედამიწაზე დაამკვიდროს ჭეშმარიტების, მშვენიერების, თანხმობის, სიყვარულის, თავისუფლების, შრომის, თანასწორობისა და ბედნიერების აქამდე ზეცაში ნაძებნი სამეფო[1]. ამაში ხედავს დიდი ქართველი ჰუმანისტი და დემოკრატი ადამიანის, ერის და კაცობრიობის უმაღლეს დანიშნულებას. ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განმანათლებლური აზროვნების ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობის გვირგვინი იყო.

რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. ერისა და კაცობრიობის ჰუმანისტური გაგება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე მიმდინარეობის (მეორე დასის) წარმომადგენლებისათვისაც არ ყოფილა უცხო. ამ მიმდინარეობის სოციალური საფუძველი და თეორიული წყაროები ძირითადად იგივე იყო, რაც პირველდასელებისა, მაგრამ იგი მესამე წოდების კლასობრივ და ეროვნულ მოთხოვნათა უფრო რადიკალურ გამომხატველად და განმანათლებლურ-უტოპიურ-სოციალისტური იდეების შედარებით თანმიმდევრულ დამცველად გამოდიოდა. ყველა დროს მუდმივად არსებული ერის აბსტრაქტულ თვალსაზრისთან ერთად მეორედასელები თანადროული, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი ეპოქის, გათიშვა-გაერთიანების პროცესში მყოფი ერის შედარებით კონკრეტულ გაგებას ემხრობოდნენ. ჰუმანისტურ მატერიალიზმთან და კრიტიკულ რეალიზმთან ერთად ისინი პოზიტივიზმის, საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის და შეუფერავი რეალიზმის პრინციპებსაც იცავდნენ. ისინიც აღიარებდნენ თავადაზნაურობის ქონების და თავადაზნაურულ დაწესებულებათა გამოყენების შესაძლებლობას ერის ინტერესებისათვის, მაგრამ გადაჭრით უარყოფდნენ თავადაზნაურობის კლასობრივ მეთაურობას ახალ საქართველოში. ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლად და ბატონ-პატრონად მათ მიაჩნდათ მშრომელი, განათლებული, აღორძინებული, ასოციაციაში გაერთიანებული წვრილი მესაკუთრენი. რადიკალ-დემოკრატები მეტი გაბედულებით გამოდიოდნენ ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ქადაგებდნენ ქვეყნის დაჩქარებულ წინსვლას, უწინარეს ყოვლისა, ვაჭრობისა და მრეწველობის ფართოდ განვითარების საფუძველზე, აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს, იბრძოდნენ ქვეყნის სრული დემოკრატიზაციისათვის, იცავდნენ მესამე წოდებას, განსაკუთრებით იმ მშრომელ მესაკუთრეთა ინტერესებს, რომლებმაც უმიწაწყლობის გამო სოფელი მიატოვეს, ქალაქს მიაშურეს და პურისა და შიწის სასყიდლის საშოვნად სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში წვალება

[1] მ. კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა, ფაუსტური პარადიგმები, II, 1961, გვ. 109—1.

არჩიეს რუს მოხელეთა და ქართველ მემამულეთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვას.

მეორედასელთა რადიკალური პროგრამის, მათი უტოპიურ-სოციალისტური იდეალების რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსი ობიექტურად საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეროვნული განვითარების პროგრესულ მოთხოვნილებებს გამოხატავდა.

რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანოები იყო „დროება" (1866—1885 წწ.), „სასოფლო გაზეთი" (1868—1874 წწ.), „კრებული" (1871—1873 წწ.), „ტიფლისკი ვესტნიკი" (1871—1880 წწ.), „ობზორი" (1878—1880 წწ.), „ნოვოე ობოზრენიე" (1886—1899 წწ), „მოამბე" (1894—1897 წწ.), „კვალი" (1893—1903 წწ.). ამ რადიკალურ-დემოკრატიულმა ჟურნალ-გაზეთებმა ჰუმანისტურ-დემოკრატიულ „საქართველოს მოამბესთან" და „ივერიასთან" ერთად დიდი როლი შეასრულეს ეროვნულ-რევოლუციური, უტოპიურ-სოციალისტური და მატერიალისტური იდეების გავრცელებაში, რეალისტური ლიტერატურისა და დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებაში.

რადიკალურ-დემოკრატიული მეორე დასის იდეურ მიმდინარეობას მეთაურობდნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგი მესხი.

გიორგი წერეთელი (1842—1900 წწ.). თავისი დროის დიდი განმანათლებელ-დემოკრატი, პატრიოტი და რეალისტი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო. იგი დაიბადა იმერეთში, სოფელ გორისაში, აზნაურის ოჯახში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო მამის ხელმძღვანელობით. 1851 წლიდან ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. ბატონყმური სინამდვილე, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და ცემატყეპაზე დამყარებული აღზრდა ყრმობიდანვე პროტესტანტულ სულისკვეთებას უნერგავდა მომავალ რადიკალ-დემოკრატს. მრავალსაუკუნოვანი მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლა აძლიერებდა მის პატრიოტულ მისწრაფებებს.

1861—1863 წლებში გიორგი წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა. ამ დროს მოხდა მისი იდეური და რევოლუციური ნათლობა: პეტერბურგში ჩასვლისთანავე გ. წერეთელი ნ. ჩერნიშევსკის მიმდევარ რუს, ქართველ და პოლონელ სტუდენტთა წრეში მოხვდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციაში, რისთვისაც რამდენიმე თვე პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. სტუდენტობის წლებში გ. წერეთელმა ღრმად შეისწავლა რუსეთის, დასავლეთ ევროპის და ამერიკის რევოლუციურ-დემოკრატიული, ეროვნულ-განმანათლებლური და უტოპიურ-სო-

ციალისტური ლიტერატურა. 1863 წელს მან „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა სტატია „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“, რომელშიც მშვენივრადაა შეერთებული იმ დროის მატერიალისტური აზროვნების კარგი ცოდნა რევოლუციურ-დემოკრატიული პოლიტიკური პროგრამის მოხერხებულ გადმოცემასთან.

გიორგი წერეთელი.

1864 წელს გიორგი წერეთელი პეტერბურგიდან მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და გლეხთა ბავშვებისათვის შინაური სკოლა გახსნა, თვითონ გლეხობაშიც ანტიბატონყმურ აგიტაციას ეწეოდა.

1866 წელს გიორგი წერეთლის რედაქტორობით იწყო გამოსვლა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანომ გაზეთმა „დროებამ“. 1863 წლიდან იგი ქართველი გლეხობისათვის სცემდა „სასოფლო გაზეთს“. 1871—1873 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „კრებულს“. იგი აქტიური თანამშრომელი იყო თბილისის თითქმის ყველა ქართული და რუსული გაზეთისა. მისი რედაქციით დაიბეჭდა არაერთი ძეგლი ძველი ქართული მწერლობისა.

1873—1877 წლებში გიორგი წერეთელი დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდა სწავლის გაღრმავების მიზნით. 1874 წელს შვეიცარიაში მისი თავმჯდომარეობით ჩატარდა ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და დაღესტნელ მოღვაწეთა კონგრესი, რომელმაც წამოაყენა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის იდეა. 1877—1878 წლებში გიორგი წერეთელი პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი გახდა, რუსეთის არმიას შეჰყვა სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებულ რაიონებში, ერთხანს ფრონტის ხაზიც გადალახა არალეგალურად და დიდ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილ წინააღმდეგობათა გამოყენების გზით თავისი ეროვნული იდეალის განხორციელების შესაძლებლობა მოსინჯა. იგი აღფრთოვანებული შეხვდა რუსეთის არმიის გამარჯვებას თურქეთთან ომში და სამხრეთ საქართველოს შემოერთებას, თუმცა კვლავაც ყოველგვარი საშუალებით ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.

80-იან წლებში გიორგი წერეთელი სამრეწველო საქმიანობამ გაიტაცა და ერის ეკონომიური აღორძინების გზით ცდილობდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის ხელის შეწყობას. 90-იან წლებში იგი მარქსისტულ ახალგაზრდობას დაუკავშირდა და ახალ საზოგადოებრივ ძალებზე დაამყარა ეკონომიურად ძლიერი და პოლიტიკურად დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის იმედი. 1893 წელს მან მისი მეუღლის ახასტასია თუმანიშვილ-წერეთლის საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" დამატებად რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „კვალის" გამოცემა იწყო და მის ფურცლებზე ადგილი დაუთმო მარქსისტულ ახალგაზრდობას, რომელსაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე დასი უწოდა და იგი მეორედასელთა რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის უშუალო გამგრძელებლად და მემკვიდრედ გამოაცხადა.

მრავალმხრივია გიორგი წერეთლის შემოქმედება და მოღვაწეობა. იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი პოპულარული ბელეტრისტი და პუბლიცისტი, რედაქტორი და კორესპონდენტი, დრამატურგი და არქეოლოგი, მრეწველი და პოეტი, ისტორიკოსი და ბუნებისმეტყველი. მის პუბლიცისტურ სტატიებსა, მოთხრობებსა და სოციალურ რომანებში („ცისკარს" რა აკაკანებდა?", „რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ", „ამ დროის მოძრაობა", „შრომის მოყვარეობა დიდი ძალაა", „რა უნდა გამოეტანა მსმენელს უფ. ი. თარხნიშვილის ლექციებიდან?", „ჩვენ და ჩვენი „დროება", „საუკეთესო ცოდნა", „საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველისძველად", „გიგო გაბაშვილის მხატვრობა", „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა", „მგზავრის წიგნები", „მამიდა ასმათი", „ჩვენი ცხოვრების ყვავილი", „პირველი ნაბიჯი", „გულქანი") მართლად აისახა XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი ქართული საზოგადოების თავისებურებანი.

მსოფლმხედველობრივად გიორგი წერეთელი ქართული განმანათლებლობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და მეთაურია[1]. პატრიოტიზმი, ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა მისი განმანათლებლური მსოფლმხედველობის უპირველესი შემადგენელი ნაწილია. მისი აზრით, ჩაგრული ერის რევოლუციურ-დემოკრატიული და თვით სოციალისტური მოძრაობის უმთავრესი მიზანი ჯერ ეროვნული თავისუფლების მოპოვება და შემდეგ სოციალური უთანასწორობის დაძლევა უნდა ყოფილიყო[2]. იგი არ უარყოფდა რუსეთთან საქართველოს შეერთე-

---

[1] მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955, გვ. 7.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, წერილი ეგნატე ნინოშვილისადმი (ე. ნინოშვილი, თხზ., ტ.111 ;1930, გვ. 156—157).

ბის პროგრესულობას, მაგრამ ვერ ურიგდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის თვითმპყრობელურ პოლიტიკას. „ერთი ხელით მოგცე შენ სინათლე და მეორე ხელით განვაქარვო იგი სიბნელის უკუხით“, — ასე ახასიათებდა გიორგი წერეთელი რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკას საქართველოში. ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის ერის ყველა პროგრესული ფენის შეკავშირება და რუსეთის ყველა ჩაგრული ერის ერთიანი ფრონტის შექმნა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, — ასეთია გ. წერეთლის ეროვნული პროგრამის ძირითადი შინაარსი. იგი ემხრობოდა რუსეთთან საქართველოს შეთანხმებას „ორი პრინციპით: შინ ყოველი განკერძოებული საკუთარი თავისუფლებისა და საკუთარი შინაგანი გამგეობის მინიჭება; ხოლო გარეთ მთელი სახელმწიფოსათვის შეერთებული შრომა და ერთმანეთის შეწევნით სახელმწიფოს დაცვა და განმტკიცება“[1].

გიორგი წერეთელი თავისი დროის დიდი დემოკრატი იყო. ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, „ნამდვილი ეროვნული პრინციპის მომხრეობა“ მისთვის ნიშნავდა ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ფეოდალურ-ბატონყმურ ჩამორჩენილობასთან, „ათასის წლის მომკილს ცხოვრების წესთან“, რომელიც განაპირობებდა ძველთაგანვე საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამღუპველი „ბოროტი წოდების“, თავადაზნაურობის მიერ „საწყალი მშრომელი გლეხების“ აღვირახსნილ ჩაგვრას და მასთან დაკავშირებულ ყველა ეროვნულ-საზოგადოებრივ უბედურებას. „რა ბედნიერი და ძლიერი ვიქნებოდით... რა ერთსულობა გვექხებოდა, რომ ჩვენში ერთ კაცს მეორის დაჩაგვრა არ შეძლებოდაო!“[2] — ოცნებობდა იგი. გიორგი წერეთელმა რეფორმამდელი და რეფორმისშემდეგდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების საკმაოდ ნათელი ანალიზი მოგვცა, სწორად განსაზღვრა რეფორმების დროის სოციალური ჯგუფები, შეიცნო საგლეხო რეფორმების მემამულური კლასობრივი შინაარსი, რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან გააკრიტიკა ლიბერალური შემთანხმებლობა და ქართველი განმანათლებლებიდან ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის რევოლუციური განაწესი. მაგრამ რევოლუციურ ძალთა სისუსტის გამო ძველი საზოგადოების ერთბაშად გარდაქმნა არ მოხერხდა და რეფორმის შემდეგ კვლავ დარჩენილი მძლავრი ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრის იმედი რადიკალურმა განმანათლებელმა წვრილ მწარმოებელთა თანდათანობით განათლებასა და გაძლიერებაზე დაამყარა. რის მოპოვებაც „მუშა-ხალხმა“, „დაბალმა წოდებამ“ ბრძოლით ვერ შეძლო,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ავსტრიის იმპერიის კანცლერი ბადენი („კვალი“, 1895, №49).
[2] იქვე, თხზ., სრ. კრებული, ტ.1, ს. ხუნდაძის რედ., 1931, გვ. 31.

ის შრომითა და მოხერხებით უნდა მოეპოვებინა. „გაფუჭებული და ღონეგამოლეული ჩვენი თავადაზნაურობა“ მხარს ვეღარ უსწორებდა იმ დროს, როცა „მიწაზე დამოკიდებული ბატონყმობა ფულზე დამოკიდებული ბატონყმობით შეიცვალა“. ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დასაყრდენ და წამყვან ძალად გიორგი წერეთელს მიაჩნდა „ხალხის უმთავრესი ნაწილი“, „ძველითგანვე გაჭირვებაში და შრომაში გაწაფული, გონიერი, სამართლიანი, მაგრამ უსამართლობით დაჩაგრული მუშა ხალხი“, რომელსაც, მისი აზრით, ნახევრად დამოკიდებულ მდგომარეობაშიც შეეძლო სათავეში ჩადგომოდა ახალ ცხოვრებას, ეშრომა, ვაჭრობის საშუალებით ფული და მიწა შეეძინა, რაციონალური წარმოების განვითარების გზით თავისუფალ, დამოუკიდებელ, კულტურულ მეურნედ გადაქცეულიყო და, ამრიგად, ჩამორჩენილი ბატონყმური საქართველო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ფართო გზაზე გამოეყვანა[1]. გიორგი წერეთელი არ აიდეალებდა რეფორმის შემდეგ განვითარებულ სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობას. იგი კარგად ხედავდა და გმობდა „ახალი ბატონყმობის“ მძარცველურ ხასიათს, ამჩნევდა, რომ საქართველოს უმთავრესად უცხოური წარმოშობის სავაჭრო და სავახშო კაპიტალი ერის მშრომელი უმრავლესობის ექსპლოატაციის გზით ვითარდებოდა და „ახალი დროის მამლის ყივილი საქართველოშიც“ უმცირესობის გამდიდრებას და მშრომელი უმრავლესობის გაღარიბებას, „პროლეტარიატში ჩაცვენას“ იწვევდა[2]. მაგრამ რადიკალური განმანათლებლისათვის უცხო იყო წვრილბურჟუაზიული წუწუნი და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ცარიელი ლანძღვა. იგი აღიარებდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროგრესულობას ბატონყმობასთან შედარებით, მოუწოდებდა „მშრომელ ერს“ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებისაკენ და იმავე დროს მკაცრად აკრიტიკებდა ევროპულ და ადგილობრივ კაპიტალიზმს, რომელიც „ერს ტვინს სწოვდა“ სიმდიდრის მოპოვებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში და საყოველთაო ეროვნული კეთილდღეობის ნაცვლად საყოველთაო ჩაგვრასა და ზნედაცემულობას ამკვიდრებდა.

გიორგი წერეთლის იდეალი იყო მშრომელთა საზოგადოება, რომლის ეკონომიური საფუძველი, მისი აზრით, იქნებოდა ერთსა და იმავე დროს მწარმოებელ, მომხმარებელ და გამსაღებელ ამხანაგობებში გაერთიანებულ მშრომელთა წვრილი საკუთრება და საერთო შრომა, ხოლო პოლიტიკური ფორმა — მთელი ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის ვითარება („კრებული“, 1872, №10); ამ საუკუნის ვითარება („კვალი“, 1897, № 1).

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 61; ჩვენ და ჩვენი „დროება“ („დროება“, 1879, № 16).

ბა. ამ საზოგადოებაში პიროვნების გონივრული თავისუფლება და მთელი ერის კეთილდღეობა უნდა გამხდარიყო მშრომელთა თანასწორობის, თავისუფლებისა და ბედნიერების საფუძველი. ასე ერთდებოდა რადიკალური განმანათლებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში ეროვნული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეალები[1].

საზოგადოების გარდაქმნის რადიკალურ პროგრამას გიორგი წერეთელი რეალისტურ-მატერიალისტური ფილოსოფიით ასაბუთებდა. მუდმივი მოძრაობისა და განვითარების პროცესში მყოფი „მრავალგვარი ბუნება“ ანუ „მატერია და მასთან თანდაყოლილი ძალა“ მიაჩნდა მას ყველა მატერიალური და სულიერი მოვლენის საწყისად[2]. ბუნების ნაწილის, ადამიანის არსებობის უმთავრეს ბუნებრივ მოთხოვნილებებად იგი თვლიდა „თავმოყვარეობის და თავდაცვის“ გრძნობას, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მისწრაფებას, ხოლო ბუნების მეცნიერებას ისეთ საშუალებად, რომელიც საზოგადოებას მიაღწევინებს „იმ ნათელს და მაღალ თავის-ცნობამდის, საიდგანაც დაინახავს პირველს მზის სხივებს, რომელიც მომავალში აღმოუბრწყინდება ახალს ქვეყნიერებას, სადაც გონებას, სიმართლეს და სიკეთეს დაუსუფევებიაო“[3]. რადიკალური განმანათლებელი მტრულად იყო განწყობილი სამყაროს საწყისთა განყენებული, განსაკუთრებით იდეალისტური გაგებისადმი. მისთვის ბუნებისა და საზოგადოების ფილოსოფია არის მისი დროის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნა, განზოგადებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესაბამისად. ეს ცოდნა შეიცავს არა მარტო ბუნებისა და ადამიანის მატერიალისტურ გაგებას, არამედ დიალექტიკური აზროვნების ჩანასახებსაც, მაგრამ მის პოზიტივისტური ელფერის მატერიალიზმს და განსაკუთრებით დიალექტიკას დასრულებული მეცნიერული სახე არა აქვს. მას საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზად ბუნებისა და საზოგადოების გარემოებანი და მოთხოვნილებანი მიაჩნია, პიროვნების როლს ამ მოთხოვნილებათა შეცნობაში ხედავს, აღიარებს კლასთა ბრძოლას და რევოლუციის აუცილებლობასაც კი, მაგრამ განათლების საშუალებით საზოგადოების მშვიდობიანი ევოლუცია მიაჩნია საყოველთაო ეროვნული და სოციალური კეთილდღეობის დამყარების მთავარ საშუალებად. მარქსიზმს იგი „უკანასკნელ მეცნიერულ დასკვნად“ თვლიდა სოციოლოგიაში, მაგრამ პროლეტარული სოციალიზმის მაგივრად ეროვნულ-დემოკრატიული სოციალიზმის განმანათლებლურ-უტოპისტური თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა.

---

[1] მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული განმანათლებლობა, 1966, გვ. 82—93.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოლეშოტი („კვალი“, 1893, № 25).
[3] იქვე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 130.

საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი და პოლიტიკური რადიკალიზმი. ედო საფუძვლად გიორგი წერეთლის ესთეტიკურ თეორიასაც, მის „შეუფერავ რეალიზმს“, რომლის მიხედვით ხელოვნება ხალხური უნდა იყოს და ხალხს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ რეალური ცხოვრების მხოლოდ შეუფერავი, ბუნებრივი, ზედმიწევნით სწორი ასახვის საშუალებით, არა იმდენად მხატვრული ფანტაზიის, რამდენადაც რეალურ ცხოვრებაზე მეცნიერული დაკვირვების გზით. ხელოვნება ტენდენციური არ უნდა იყოს, ცხოვრება და აზრი ერთი და იგივეა და ამიტომ რეალური ცხოვრების მეცნიერული სიზუსტით ასახვა თავისთავად ხელოვნების ნაწარმოების იდეურობასაც ნიშნავსო.

მესამე წოდების რადიკალურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა გამომხატველი მსოფლმხედველობა გიორგი წერეთლისა, თეორიული და კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნულ-რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებასა და გაძლიერებაში, ხელს უწყობდა ხალხის „მომზადებას ბრძოლისათვის ცხოვრების ყოველი უწესოების წინააღმდეგ“[1].

სერგი მესხი (1845—1883 წწ.). საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი მეთაური სერგი სიმონის ძე მესხი დაიბადა ქუთაისში, აზნაურის ოჯახში. მან 1863 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1867 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მშობლიურ ლიტერატურასა და ისტორიაზე აღზრდილი მომავალი ჟურნალისტის პატრიოტული და დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში დაიწყო, სტუდენტობის დროს დასავლეთ ევროპის და რუსეთის განმანათლებლების, რევოლუციონერ-დემოკრატების და უტოპისტების შესწავლამ გააფართოვა და გააღრმავა მისი აზროვნება.

1867 წელს სერგი მესხი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა და მცირე ხნით სახელმწიფო სამსახურში შევიდა, მაგრამ მალე მიატოვა. მისი თქმით, ცარიზმის ბიუროკრატიულ კანცელარიებში მუშაობას „თხუთმეტი იმდენი ვნება მოჰქონდა“, რაც სარგებლობა, „ჩინოვნიკობა სამშობლო ქვეყანას კეთილს არას ჰმატებსო“. სერგი მესხს კი თავიდანვე „ყოველი კაცის იდეალად და ცხოვრების დანიშნულებად საწყალი, დაჩაგრული და უბედური მამულის სამსახური“ მიაჩნდა[2].

1869 წელს რადიკალურ-დემოკრატიული „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფმა ჟურნალ „კრებულის“ გამოცემა განიზრახა. ახალი ჟურნალის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ.1, 1947, გვ. 178.

[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, ბოცვაძის რედ., გვ. 1—2.

სერგი მესხი.

რედაქტორობა უნდა ეკისრა გიორგი წერეთელს, რომელსაც ამის გამო „დროების“ რედაქტორობა სხვისთვის უნდა გადაეცა. ნიკო ნიკოლაძის წინადადებით, „დროების“ რედაქტორად სერგი მესხი მიიწვიეს და 1869 წლიდან 1883 წლამდე „თოთხმეტი წლის განმავლობაში ამ ქველმოქმედმა კაცმა, „სიმართლისა და ჭეშმარიტების უანგარო მსახურმა“, აუტანელის ჯაფით ატარა მაღლა ქართულის ლიტერატურის დროშა“[1]. სერგი მესხის რედაქტორობის დროსაც „დროება“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო იყო და მის რედაქციაში დროდადრო არა მარტო რადიკალ-დემოკრატები (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი), არამედ ჰუმანისტი დემოკრატებიც (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი) მონაწილეობდნენ, მაგრამ გაზეთის მთავარი ხელმძღვანელი და მიმართულების განმსაზღვრელი დიდი ხნის განმავლობაში სერგი მესხი იყო.

1873—1874 წლებში სერგი მესხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცხოვრობდა და სწავლას იღრმავებდა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა დასავლურ კაპიტალიზმს, მაგრამ ქება-დიდებით იხსენიებდა ეროვნულ-რევოლუციურ და უტოპისტურ-სოციალისტურ აზროვნებას და საქართველოსთვის აუცილებლად თვლიდა „დასავლეთ-ევროპის გზის“ გავლას[2]. ევროპაში მყოფ სერგი მესხს არ შეუწყვეტია „დროების“ ხელმძღვანელობა, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ, განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დროს იგი გაზეთის ფურცლებიდან აშკარა პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდა ცარიზმის წინააღმდეგ და ეროვნულ-რევოლუციური ომისათვის ქართველი ხალხის მომზადების

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სიტყვა ს. მესხის დასაფლავებაზე („დროება“, 1883, №145).
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ი. ბოცვაძის რედ., გვ. 271.

იდეას ქადაგებდა. ამგვარი ომის მიზანი, სერგი მესხის აზრით, თავისუფალ და დემოკრატიულ რუსეთთან განუყრელად დაკავშირებული, მაგრამ თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა უნდა ყოფილიყო. ამ მიზნისათვის ბრძოლას იგი „მთელი ქართველი ერის“ უპირველეს მოვალეობად თვლიდა და მოითხოვდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავადაზნაურობის, სამღვდელოების, ვაჭრების და მუშახალხის გაერთიანებული ეროვნული ფრონტის შექმნას. იგი აკრიტიკებდა კონსერვატიულ ქართველ თავადაზნაურობას და სამღვდელოებას, ებრძოდა გაძლიერებულ ჩარჩ-ვაჭრებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ძალად „მშრომელი წოდება“, უწინარეს ყოვლისა განათლებული და გაძლიერებული გლეხობა მიაჩნდა, მაგრამ გაერთიანებული „ახალგაზრდობის პარტიის“ იდეური ხელმძღვანელობით მას შესაძლებლად ეჩვენებოდა მთელი ერის დარაზმვა რადიკალურ-დემოკრატიული ეროვნული პროგრამის განსახორციელებლად.

ამ პროგრამის განხორციელებისათვის ხალხის მომზადების მთავარ იდეურ საშუალებად სერგი მესხი ბეჭდვით პროპაგანდას, კერძოდ, გაზეთს მიიჩნევდა. იგი ცდილობდა გადაექცია „დროება“ ყველა ეროვნული საქმის ინიციატორად და მეთაურად. სერგი მესხი მთელი ხალხის სახელით, არსებითად კი ბურჟუაზიული დემოკრატიის, მესამე წოდების დამცველად გამოდიოდა და „დროებასაც“ მთელი ერის დემოკრატიულ ორგანოდ თვლიდა: ჩვენს გაზეთსო „არც თავადი ჰყავს მხედველობაში, არც გლეხი და არც ჩინოვნიკი, არც ვაჭარი და არც ოჯახის კაცი, — იმას ჰყავს მხედველობაში... საშუალო მკითხველი — ქართველი... ისეთი საშუალო ქართველი, რომლისთვისაც ყოველი ახალი აზრი, ყოველი ახალი ცნობა მის სამშობლო საქართველოზე საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოსო“[1].

თეორიულად სერგი მესხი ეროვნულს კლასობრივზე წინ აყენებდა, ძაგრამ პრაქტიკულად მისი პატრიოტული იდეები ყოველთვის დემოკრატიული სოციალური შინაარსით ივსებოდა. ბატონყმობის სრული მოსპობის გზით თავისუფალ შრომასა და თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოება იყო მისი იდეალი. ბატონყმობა, სერგი მესხის აზრით, „მთელი ქვეყნის უმთავრეს სენს და წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზს“, საერთო-სახალხო უბედურებას წარმოადგენდა, თუმცა „უმეტესად გლეხებს“ ღუპავდა. რეფორმების შემდეგაც „ბატონყმობის კვალი“ არ მოსპობილა, ფორმალურად თავისუფალი გლეხობა ფაქტიურად სოციალურად და პოლიტიკურად ჩაგრული წოდებაა. გლეხებს ჩაგრავენ არა მარტო ნაბატონარნი, არამედ ვაჭარნიც, რომელნიც აამოძრავა ფულის გადაქცე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. II, გვ. 50.

ვამ წარმოების მთავარ ელემენტად და „აყალო მიწაში ოქროების ძებნა“ დააწყებინა[1]. ს. მესხი აღიარებდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროგრესულობას, რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ იგი გმობდა ახალ ურთიერთობათა ექსპლოატატორულ ხასიათს. მისი დროის საქართველოში იგი ვერ ხედავს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას, მსხვილ ბურჟუაზიას და სრულიად უმიწაწყლო პროლეტარიატიც ძლიერ იშვიათ მოვლენად მიაჩნია: „ჩვენში უკმაყოფილება უფრო ქალაქის ხალხსა და სოფლის ხალხს შუა არის, უფრო წვრილ ვაჭრებსა და სოფლის წვრილ მწარმოებელს შუა“, — ამბობს იგი. მაგრამ მან იცის, რომ ვაჭრები ხალხის ჩაგვრის გზით მდიდრდებიან, და აუცილებლად მიაჩნია „ჩვენი ხალხის განთავისუფლება... იმ სოფლის წურბელებისაგან, რომელთაც ჩარჩ-ვაჭარს ეძახიან, და რომელნიც უკანასკნელ სისხლსა სწოვენ, ტყავს აძრობენ ხალხსა“[2].

რეფორმის შემდეგ წარმოშობილ ახალ ვითარებაში მთელი ხალხის დამცველ რადიკალურ დემოკრატს საყოველთაო ეროვნული კეთილდღეობის დამყარების გზად მიაჩნია გლეხობის მიერ მიწის, ფულის და განათლების შეძენა, მშრომელ მესაკუთრეთა გადაქცევა ერთსა და იმავე დროს მწარმოებელ, მომხმარებელ და გამსაღებელ კულტურულ მეურნეებად[3], ფეოდალური ჩამორჩენილობიდან ახალ გამოსული საზოგადოების არაკაპიტალისტური განვითარება და საბოლოო ანგარიშით მშრომელთა ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც „ქონება და ცოდნა თანასწორად“ იქნება განაწილებული, კაცობრიობა ორ მტრულ ბანაკად აღარ დაიყოფა. მდიდარნი და ღარიბნი აღარ იქნებიან, დემოკრატიული ხელისუფლება ეროვნული პროგრესის მეთაური გახდება, საზოგადოების ერთობა და თავისუფლება პიროვნებათა თავისუფლების, თანასწორობის და ბედნიერების საფუძვლად გადაიქცევა და „შრომა, გონება, სიყვარული და ერთობა“ გამეფდება. სერგი მესხი გულწრფელად ოცნებობდა საყოველთაო კეთილდღეობის მომავალ სამეფოზე და გმობდა უსამართლო საზოგადოებას, რომელშიც „საუცხოო პრინციპები და საძაგელი საქმეები ერთად, ერთს დროს, ერთს კაცში თავსდებოდნენ“[4].

სერგი მესხი საყოველთაო კეთილდღეობის სამეფოს შექმნას შორეული მომავლის საქმედ თვლიდა. მან ისიც იცოდა, რომ ასეთი სამეფო მხოლოდ ქადაგებით, რევოლუციური ძალადობის გამოყენების გარეშე ვერ

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, ს. ფირცხალავას რედ., 1903., გვ. 434—435, 404 — 405, 211—212.

[2] იქვე, გვ. 149, 520, 229—230.

[3] იქვე, გვ. 279—280.

[4] იქვე, წერილები, გვ. 62.

დამყარდებოდა. ცარიზმის დამხობა, მისი აზრით, მსხვერპლს მოითხოვდა. იგი ამართლებდა და იცავდა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ გლეხებს, პარიზის კომუნარებს და ბულგარელ პატრიოტებს. მისი აზრით, ჩაგრული მშრომელი ხალხი მხოლოდ „რევოლუციის დროს იჩენს თავის ნამდვილ ძალას და გულის მიდრეკილებას", თუმცა ყველა მანამდელი ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ „ხალხის ბედი კვლავ ხალხის მტრებს, რეაქციონერებს უვარდებოდათ ხელში"[1]. სერგი მესხს „აუცილებელ საჭიროებად" მიაჩნდა საფრანგეთის რევოლუციის იდეების პროპაგანდა საქართველოში. იგი წერდა, „კაცობრიობის ცხოვრების ეს უდიდესი და ყველაზე შესანიშნავი ეპიზოდი... არის წყარო, რომლიდამაც ჩვენი უძვირფასესი პრინციპები, რწმუნებები და აზრები მომდინარეობენო"[2]. იგი არა მარტო თეორიულად აღიარებდა რევოლუციას საზოგადოების გარდაქმნის საშუალებად, არამედ კიდევაც ნატრობდა სახალხო რევოლუციას, რომელიც აამოძრავებდა ქართველ ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომისათვის ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ თავისი დროის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში იგი არ მოუწოდებდა მცირერიცხოვან, ეკონომიურად განუვითარებელ და პოლიტიკურად მოუმზადებელ ქართველ ხალხს აჯანყებისაკენ. იმ დროს, მისი აზრით, აუცილებელი იყო ერის გადარჩენა, მომზადება, „პროგრამის შედგენა", „განთავისუფლების აზრის" გავრცელება, გაერთიანება[3]. იგი ვერ ხედავდა რევოლუციურ ძალას საქართველოში და ცარიზმის წინააღმდეგ გლეხთა ცალკეული აჯანყებანიც მომავალი რევოლუციისათვის ხალხის მომზადების საშუალებად მიაჩნდა.

სერგი მესხი ხელმძღვანელობდა ცნობილი მატერიალისტური დებულებით, ყველაფერი დროსა, ადგილსა და პირობებზეა დამოკიდებული, ერისა და კაცობრიობის ცხოვრება „მუდამ და ყოველმხრივ იცვლება", გამოჩენილ პიროვნებათა ვალია საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა შეცნობა და მათს განსახორციელებლად ხალხის მომზადებაო. საზოგადოების დაუსრულებელი ისტორიული განვითარება მას ზოგადად წარმოუდგება ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის სახით, რომლის კონკრეტულ გამოვლინებად მიაჩნია ეროვნული ბრძოლა ჩაგრული ხალხებისა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ღარიბთა ბრძოლა მდიდართა წინააღმდეგ[4]. ამ ბრძოლის საფუძველს იგი ადამიანთა სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ინტერესთა, კერძოდ, ქონებრივ ინტერესთა დაპირისპირებუ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 73, ნაწერები, გვ. 197.

[2] იქვე, წერილები, გვ. 112.

[3] იქვე, გვ. 103. იხ. აგრეთვე, მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, I, 1959, გვ. 196—202.

[4] იქვე, გვ. 208—216.

ლობაში ხედავს, მაგრამ ეს დაპირისპირებულობა კაცობრიობის პროგრესის დამაბრკოლებელ მიზეზად მიაჩნია და უპირველეს ყოვლისა, განათლების საშუალებით ფიქრობს ინტერესთა გათანასწორებას და საყოველთაო ბედნიერების სამეფოს შექმნას. „ჩვენი ხალხისათვის, როგორც საზოგადოდ ყველასათვის, უპირველესი საშუალება ცხოვრების გაუჯობესებისა არის განათლება“[1], — ამბობს სერგი მესხი. მისი დროის „მდაბიო ხალხის“ განათლებისათვის მას ზედმეტად მიაჩნდა განყენებული ფილოსოფიაც და წმინდა მეცნიერებაც. ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას, ლიტერატურას და ჟურნალისტიკას თვლიდა იგი ხალხისათვის ადვილმისაწვდომ ცოდნად, ხალხის კულტურული და ეროვნულ-პოლიტიკური აღზრდის მთავარ საშუალებებად. მშობლიური და მსოფლიო ისტორიის ცოდნას ბრწყინვალე მომავლის იმედით უნდა შთაეგონებინა ქართველი ხალხი. პოლიტიკურ ეკონომიას ისეთი წყობილება უნდა აღმოეჩინა, სადაც „ერთი კაცი მეორის შრომას არ ითვისებდეს, რომ თვითეული სარგებლობდეს თავისი შრომით“[2]. ამასვე უნდა მომსახურებოდა ეროვნული ლიტერატურა და ჟურნალისტიკა, რომელსაც როგორც სარკეს, უნდა აესახა ქართველი „კაცის ნამდვილი ცხოვრება“, ეჩვენებინა „მომავალი საუკეთესო ცხოვრების გზა“, ყოფილიყო „ხალხის დამრიგებელი, სწორი გზის მაჩვენებელი, აღმზრდელი“[3].

ნიკო ნიკოლაძე (1843—1928 წწ.). საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მეთაური ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა ქუთაისში, ვაჭრის ოჯახში. დედის ხელმძღვანელობით ნიკო პატარაობიდანვე გასცნობია ძველ და ახალ ქართულ მწერლობას. კერძო მასწავლებლების დახმარებით ნიკო ადრევე დაუფლებია რუსულ ენასაც. 1860 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილი მისი პირველი წერილების თემაც ქართული ენისა და მაშინდელი ერთადერთი ქართული ჟურნალის დაცვაა, მაგრამ ნიკო ნიკოლაძის პირველი დიდი წარმატებანი მწერლობაში დაკავშირებულია რუსულ ჟურნალისტიკასთან.

1861 წელს ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგში ჩავიდა და სექტემბერში უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციულ განყოფილებაზე დაიწყო სწავლა. 18 წლის პირველკურსელი სტუდენტი, რომელიც ჯერ კიდევ ქუთაისში ეწაფებოდა „სოვრემენიკის“ იდეებს, ორიოდე ლექციის მოსმენის შემდეგ რევოლუციური ახალგაზრდობის შუაგულში აღმოჩნდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა დემონსტრა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზ., ტ. I, გვ. 113.

[2] იქვე, წერილები, გვ. 62.

[3] იქვე, „კრებულის“ მეორე წიგნი („დროება“, 1871, №10). გაზეთის „ობზორის“ შეჩერება („დროება“, 1880, № 154).

ნიკო ნიკოლაძე.

ციაში, რისთვისაც სხვა 282 სტუდენტთან ერთად რამდენიმე თვე პეტრე-პავლეს ციხეში გაატარა. გათავისუფლების შემდეგ ნიკო ჯერ ფარულად, მერე ლეგალურად ცხოვრობდა პეტერბურგში. ამ დროს გასცნობია მას ოლგა ვასილევსკაია-ჩერნიშევსკაია, რომლის მეშვეობით ნიკოლაძე სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ნიკოლოზ ჩერნიშევსკის დაუახლოვდა, მისი ოჯახის ხშირი სტუმარი და „სოვრემენიკის" თანამშრომელი გახდა. რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი და რევოლუციურ ნათლობა მიღებული ოცი წლის პუბლიცისტი გაბედულად აკრიტიკებდა მაშინდელ ევროპელ პატენტიან მეცნიერებს და თვით რუსული განმანათლებლობისა და რევოლუციური დემოკრატიზმის ორიგინალურ გაგებას იძლეოდა.

1862 წლის ზაფხულში ნ. ჩერნიშევსკის დაპატიმრებისა და ო. ჩერნიშევსკაიას სარატოვში გადასვლის შემდეგ ნიკოს „შეჯავრდა პეტერბურგი", სადაც იგი „არავითარ რევოლუციას" აღარ ელოდა, და სამშობლოში გამოემგზავრა „ნათელი იდეებით" აღფურვილი[1]. ჯერ ყაზანის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება სცადა, მერე საზღვარგარეთ „სამკურნალოდ" წასვლისათვის მზადებას შეუდგა, მაგრამ კვლავ პეტერბურგს დაბრუნდა და 1862—1864 წლებში „ისკრაში", „ნაროდნოე ბოგატსტვოსა" და „სოვრემენიკში" თანამშრომლობდა. 1864 წლის ზაფხულში იგი პარიზს ჩავიდა სწავლის გასაგრძელებლად და მექანიკასა და ტექნოლოგიასთან ერთად დაუღალავად სწავლობდა ფრანგ სოციალისტთა და ინგლისელ ეკონომისტთა თეორიებს, აკრიტიკებდა კაპიტალიზმს და იდეალურ წყობილებად სოციალიზმს აცხადებდა.

1865 წელს ნიკო ნიკოლაძე ა. გერცენს გაეცნო და მის „კოლოკოლში" თანამშრომლობდა. ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმის რადიკალურ-დემოკრატიულ კრიტიკას იგი რუსული განმანათლებლურ-ნაროდ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. 1, 1931, გვ. 144.

ნიკული სოციალიზმის ძირითადი იდეის — ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმთან შედარებით „სოციალისტური“ თემის უპირატესობის აღიარებას უკავშირებდა. „რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ... გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს ან მის ხელში რჩება... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება!“[1] ნიკო ნიკოლაძე ქართველი ხალხის ეროვნულ მოძრაობას სოციალური მოძრაობისადმი დაქვემდებარებულად თვლიდა, თუმცა მკაცრად აკრიტიკებდა ეროვნული ჩაგვრისა და ძალდატანებითი გარუსების თვითმპყრობელურ პოლიტიკასაც. „რაზე უნდა ზრუნავდეს მთავრობა, იმაზე, რომ გაანათლოს, თუ იმაზე, რომ დააბნელოს რუსეთთან შემოერთებული ერები... თუ ამიერკავკასიის მხარეში რუსეთმა შეიტანა ახლანდელი ცივილიზაცია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იქ რუსები უნდა იყვნენ ბატონებად და ადგილობრივი მკვიდრნი მათ მონებად“[2], — წერდა იგი.

გერცენთან იდეური უთანხმოების გამო ნიკო ნიკოლაძემ „კოლოკოლში“ თანამშრომლობას თავი დაანება და პარიზიდან ჟენევაში გადავიდა სწავლის გასაგრძელებლად. 1866 წელს კარაკოზოვის მარცხიანი გასროლიდან ორთვენახევრის შემდეგ მან ჟენევაში რუსულ ენაზე გამოსცა ბროშურა „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელშიც ამხილა ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა, დაგმო ტერორისტული ტაქტიკა, დაასაბუთა სახალხო მოძრაობის უპირატესობა და ჩამოაყალიბა ახალთაობის რადიკალურ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური პროგრამა. მან იდეალად გამოაცხადა შრომასა და თავისუფალ მშრომელ მესაკუთრეთა თანასწორობაზე დაფუძნებული საყოველთაო კეთილდღეობა, რომელიც ხალხის, გლეხობის ეკონომიური გაძლიერებისა და გონებრივი განვითარების გზით უნდა დამყარებულიყო[3]. ეს განმანათლებლურ-დემოკრატიული დებულებანი ნიკოლაძემ შემდგომ განავითარა 1868 წელს ლ. ბეჩნიკოვთან ერთად მის მიერ გამოცემული რადიკალურ-სოციალისტური ჟურნალის „სოვრემენნოსტის“ სტატიებში. აქ იგი აკრიტიკებდა „ეკონომიურ საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობისა და საზოგადოების ცალკე წევრების უსაზღვრო პირადი თავისუფლების“ ლიბერალურ-ანარ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, დ. გამეზარდაშვილის რედ., 1962, გვ. 251, 168, 271.

[2] იქვე, გვ. 267, 268, 312.

[3] იქვე, გვ. 317—364.

ქისტულ იდეას, მაგრამ არც არსებული წყობილების უეცარი დამხობის შესაძლებლობის ნაროდნიკულ თეორიას იზიარებდა. ანარქისტთა და ნაროდნიკთა შეხედულებებს იგი ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის განმანათლებლურ-დემოკრატიულ თვალსაზრისს უპირისპირებდა, მაგრამ მატერიალისტური პოზიტივიზმით განმანათლებლობის გამდიდრებას მოითხოვდა[1].

ასეთი იყო ნიკო ნიკოლაძის განმანათლებლურ-დემოკრატიული პროგრამა 1870 წლის დამდეგს, როცა იგი საქართველოში დაბრუნდა და „დროებაში" განაგრძო რადიკალურ-სოციალისტური იდეების პროპაგანდა. „დროებას" მან ჯერ კიდევ ევროპიდან გამოუგზავნა რამდენიმე წერილი, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ კი რუსული გაზეთის გამოცემა ითხოვა, მაგრამ საცენზურო კომიტეტმა უარი უთხრა პოლიციური მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პუბლიცისტს. მაშინ გ. წერეთელმა „დროების" დამატებად „კრებულის" გამოცემა იწყო და „ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფის ამ ორი ორგანოს ხელმძღვანელობაში ნიკოლაძეც აქტიურად მონაწილეობდა, „ზოგჯერ კი იგი მარტოდ-მარტოც უძღვებოდა მათ"[2].

რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს მთავარ ამოცანად ნიკო ნიკოლაძეს ამხანაგობა — ასოციაციების ფორმით და სახალხო-საკრედიტო დაწესებულებათა დახმარებით ვაჭრობა-მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება ესახებოდა. იგი ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც „სავსეა ძმობით, ერთობით, თავისუფლებით, სადაც ადამიანი ადამიანის ოფლით და შრომით როდი ძღება, სადაც ყველა ცდილობს ერთი-მეორეს დაეხმაროს, ხელი გაუწყოს, სიცოცხლე გაუადვილოს"[3]. საფრანგეთის 1870 წლის რევოლუციის შემდეგ ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში უფრო მეტად იჩენს თავს მისწრაფება „ეკონომიური რესპუბლიკელობისაკენ": მისი აზრით, „ხალხის გაღვიძება ისეთი ცვლილებებით უნდა დაიწყოს, რომ ხალხს მამული დედინაცვლად კი აღარ, საყვარელ მზრუნველ დედად მიაჩნდეს, რომ თითოეული კერძო პირი თავის მოძმეში წინააღმდეგსა და მტერს კი არა, ერთგულ მომხრეს, თანამშრომელს ხედავდეს". იგი ფარული აღტაცებით შეხვდა პარიზის კომუნართა გმირობას, მაგრამ „უაღრეს უბედურებად" ეჩვენებოდა შინაური ომი, რომელმაც ძველად საქართველო დააუძლურა, ახლა კი საფრანგეთს ღუპავსო[4].

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, 1966, გვ. 272—274.
[2] დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 32.
[3] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 495.
[4] იქვე, თხზ., ტ. 2, გვ. 192, 300—30

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე კვლავ საფრანგეთშია. აქ მან დ. მიქელაძესა და პ. იზმაილოვთან ერთად გამოსცა ჰექტოგრაფიულად ნაბეჭდი ქართული სოციალისტური გაზეთი „დროშა“, რომლის ფურცლებზე რეფორმისტ-სოციალისტ ლუი ბლანს რევოლუციური ძალადობის მნიშვნელობას უხსნიდა და კაპიტალთან შრომის გამწვავებულ ბრძოლაში ერთიანი პარტიული დისციპლინის საფუძველზე დემოკრატთა გაერთიანების აუცილებლობას ქადაგებდა. არა მარტო ევროპაში, „ჩვენ'მიც ძლიერ განსხვავებით და მტკიცედ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრებაო“[1], — ამბობდა ევროპიდან საქართველოში ჩამოსული ნიკო ნიკოლაძე. კონსერვატიულ პარტიად მას ძველი თაობა მიაჩნდა და მისი სახით ხაზს უსვამდა მთელ ძველ საქართველოს კათალიკოს ანტონ ბაგრატიონიდან თითქმის თვით დიმიტრი ყიფიანამდე. პროგრესულ პარტიად ნ. ნიკოლაძეს ახალი თაობა მიაჩნდა და საქართველოს უკეთესი მომავლის მედროშედ თვლიდა. მაგრამ იგი ახალ თაობაშიც ორ თაობას ხედავდა, უწინდელს, ანუ 60-იანი წლების თაობას და „ახალ ახალგაზრდობას“, ანუ 70-იანი წლების თაობას. ახალი ახალგაზრდობის მიზანი უნდა იყოს ძველი თაობის სრული განადგურება, ძველი ცხოვრების რადიკალური პრაქტიკული გარდაქმნა, საქართველოს საზოგადოების ყოველმხრივი განვითარება მეცნიერულ საფუძველზე და ამ მიზნით ყველა პროგრესულ ძალთა გაერთიანება.

ასე ჩამოაყალიბა ნიკო ნიკოლაძემ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე დასის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის პროგრამა. რადიკალიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული მისი ესთეტიკური თვალსაზრისიც, რომლის თანახმად „მწერლობაში შეუფარავათ და სწორეთ უნდა გამოიხატებოდეს თანამედროვე ცხოვრება“ და „უკეთესი ცხოვრების და განწყობილების იდეალი“[2].

რადიკალურ-დემოკრატიული პროგრამის დასაბუთებისას ნიკო ნიკოლაძეს მხარში ედგნენ გ. წერეთელი და სერგი მესხი, მაგრამ ამ იდეური მიმდინარეობის ორგანიზაციული შეკავშირება და მის გარშემო ყველა დემოკრატის დარაზმვა მან ვერ შეძლო, უმთავრესად იმის გამო რომ ჰუმანისტ და რადიკალ დემოკრატთა უმრავლესობა ქართული ენისა და კულტურის დაცვის გზით ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას თვლიდა უპირველეს ამოცანად, ნიკოლაძის აზრით კი, ხალხის ეროვნული თავისუფლება შეუძლებელია მისი სოციალ-ეკონომიური განთავისუფლების გარეშე. „ხალხში ნამდვილი ერთობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა იმისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიუ-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ., ტ. 3, გვ. 219.
[2] იქვე, გვ. 56, 64, 42, 378—382.

რად გათავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა"[1], — ამბობდა იგი.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძემ „დროება" მიატოვა და თანამშრომლობა დაიწყო „ტიფლისკი ვესტნიკში", რომლის ფურცლებიდან იგი ბანკის საკითხზე ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს, როგორც, მისი აზრით, „ბურჟუაზიული მიმართულების" და „ვიწრო პატრიოტიზმის" წარმომადგენელს. მაგრამ 1876 წელს იგი კვლავ დაუბრუნდა „დროებას" და მგზნებარე პატრიოტული აღსარებით მიმართა ქართველობას: მიზანი მთელი ჩემი მოღვაწეობისა საქართველოში, რუსეთში თუ ევროპაში „შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა" იყოო[2].

1878 წელს ნიკო ნიკოლაძემ საბოლოოდ დატოვა „დროება" და გაზეთი „ობზორი" დააარსა. ამ რადიკალური მიმართულების ორგანოში იგი უშიშრად აკრიტიკებდა რუსეთის თვითმპყრობელურ წყობილებას და კვლავ ეკონომიურ აღორძინებაზე ამყარებდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იმედს. 1880 წელს მეფის მთავრობამ ურჩ რედაქტორს გაზეთი დაუხურა და სტავროპოლში გადაასახლა. სტავროპოლიდან ნიკოლაძე კრაევსკის ლიბერალურ გაზეთ „გოლოსში" თანამშრომლობდა, ხოლო 1881 წელს პეტერბურგში ცხოვრების ნება მიიღო და ჯერ ს. ვენგეროვის ჟურნალ „ისტორიაში" მონაწილეობდა, მერე კი მ. სალტიკოვ-შჩედრინის „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის" კრიტიკის განყოფილებას განაგებდა. ამ ჟურნალის დახურვის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ნიკოლაძის მიერ მასში რადიკალურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდა. და მაინც განმანათლებლურმა გულუბრყვილობამ რადიკალ-დემოკრატს 1882 წელს მთავრობასა და რევოლუციონერებს შორის მომრიგებელი შუამავლის „უცნაური და უნაყოფო" როლი აკისრებინა. „ნაროდნაია ვოლიამ" უარი თქვა ტერორზე, მეფემ ნ. ჩერნიშევსკის ვილუისკიდან ასტრახანში გადასვლის ნება დართო, შუამავალ ნიკოლაძეს კი პოლიციის უმკაცრესი მეთვალყურეობა ხვდა წილად[3].

1887—1891 წლებში ნიკო ნიკოლაძე რედაქტორობდა თბილისურ ლიბერალურ გაზეთ „ნოვოე ობზრენიეს", 1894—1897 წლებში კი ჯერ „კავკაზში", მერე ჟურნალ „მოამბეში" განაგრძობდა რადიკალურ-დემოკრატიული პატრიოტიზმის დაცვას. 1894 წელს იგი ფოთის ქალაქისთავად აირჩიეს და პრაქტიკულად ცდილობდა თავისი გრანდიოზული ეკონომიუ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ნაწერი, II, 1914, გვ. 118—119.

[2] იქვე, რჩ. ნაწერები, II, 1931, გვ. 365—368, 189—191, 127—128.

[3] იქვე, Переговоры священной дружины с партией «Народной воли» в 1882 году, 1917, გვ. 4—5, 9—13.

რი პროგრამის განხორციელებას, სანამ მეფის მთავრობა აქედანაც დაითხოვდა 1912 წელს.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ნიკო ნიკოლაძე კვლავ და კვლავ იმეორებდა ერთობის, თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის ძველ, განმანათლებლურ ლოზუნგს, ცდილობდა დაეცვა რადიკალური ეროვნული დემოკრატიის ინტერესები საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობის მოპოვების, საერობო და საქალაქო თვითმმართველობის განმტკიცების, ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარების გზით. მისი აზრით,, „მარტო ეს... დაუმკვიდრებდა ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობასა და ძმობას“ [1]. პირველი რევოლუციის წინადროინდელი განმანათლებლური ეროვნული მოძრაობაც და 1905 წლის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლაც მას „ძლიერ განყენებულად“ ეჩვენებოდა და კვლავ ცდილობდა „ცხოვრებისეულ შინაარსზე“ და „ახალ მეცნიერულ ფილოსოფიაზე“ დაეფუძნებინა როგორც XVIII—XIX საუკუნეების განმანათლებელთა და სოციალისტთა, ისე XX საუკუნის რევოლუციონერთა „ზოგადი ფორმულები და თეორიული პრინციპები“.

ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის მთელი ერის სახელით გამოდიოდა და იდეალად მიიჩნევდა ისეთ საზოგადოებას, სადაც გამეფებული იქნებოდა ყველათაო შრომა, თანასწორობა, თავისუფლება და ბედნიერება. მისი აზრით, ამ იდეალს არ შეესაბამებოდა არა მარტო მის დროს ჩამორჩენილი საქართველოს და რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმური საზოგადოება, არამედ დასავლეთ-ევროპის განვითარებული კაპიტალისტური წყობილებაც, რომელიც, ფეოდალიზმთან შედარებით მისი პროგრესულობის მიუხედავად, გაბატონებულ უმცირესობასთან ჩაგრული უმრავლესობის შეუწყვეტელი ბრძოლის სარბიელს წარმოადგენდა. მას სჯეროდა, რომ მდიდართა მიერ ღარიბთა ჩაგვრაზე დამყარებული საზოგადოება ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გარდაიქმნებოდა თანასწორობასა და თავისუფლებაზე დაფუძნებულ საზოგადოებად. მაგრამ ჰარმონიული საზოგადოება ვერ შეიქმნება ვერც ეკონომიური რეფორმის და ვერც პოლიტიკური რევოლუციის გზით, თუ არსებული საზოგადოება ჯერ ეკონომიურად, გონებრივად და ზნეობრივად არ გარდაიქმნა, თუ წარმოების საშუალებათა მფლობელნი განათლებული მშრომელები არ იქნებიან და ყველა არამშრომელი კლასი, კერძოდ, თავადაზნაურობა და ბურჟუაზია მშრომელ ხალხს არ შეუდუღდებაო. ამისათვის ჯერჯერობით საჭიროა არა ხალხის აჯანყება, არამედ მისი აღზრდა და მთელი საზოგადოების თანდათანობითი გადასვლა სოციალიზმში, სადაც არც სოციალური ჩაგვრა იქნე-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, მამაშვილური რჩევა („კლდე“, 1906, № 38).

ბა და არც მის საფუძველზე წარმოშობილი ეროვნული ჩაგვრაო, — ასეთია ნიკო ნიკოლაძის რადიკალურ-განმანათლებლური თვალსაზრისი, რომელიც, უტოპიურობის მიუხედავად, რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით ზრდიდა ახალგაზრდობას, რომლის ერთმა ნაწილმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხალხოსნური მიმდინარეობის სახით დაიწყო მოღვაწეობა.

ხალხოსნურ-დემოკრატიული მიმდინარეობა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავიდანვე იჩინა თავი სოციალური თავისუფლების იდეებმა, რომლებიც ჰუმანისტმა და რადიკალმა განმანათლებლებმა საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში მთელი ერის, მთელი მესამე წოდების ანტიბატონყმურ მისწრაფებათა მთლიან პროგრამად ჩამოაყალიბეს. იმ დროს ქართველი მესამე წოდების ძირითად ნაწილს გლეხობა წარმოადგენდა. განმანათლებელთა ანტიბატონყმური პროგრამაც უწინარეს ყოვლისა გლეხობის განთავისუფლებისათვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ ჰუმანისტთა და რადიკალთა უმრავლესობა გლეხთა სოციალური განთავისუფლების მოთხოვნას მთელი ხალხის ეროვნული განთავისუფლების მოთხოვნას უქვემდებარებდა. ამავე დროს უკვე 50—60-იან წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ისახება ისეთი იდეები, რომლებიც აგრეთვე მთელი ხალხის განთავისუფლების მოთხოვნას გამოხატავენ, მაგრამ არა უწინარეს ყოვლისა მთელი ჩაგრული ერის, არამედ მხოლოდ ჩაგრული გლეხობის სოციალური განთავისუფლების გზით. ეს იყო მიმდინარეობა, რომელიც საბოლოოდ 70-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბდა და თავს სოციალურ-რევოლუციურ ანუ ხალხოსნურ პარტიას უწოდებდა, უარყოფდა თავადაზნაურობის და ნაწილობრივ აგრეთვე ბურჟუაზიის პროგრესულ როლს საზოგადოებრივ განვითარებაში და ჯერ გლეხთა აჯანყებაზე, მერე კი განათლებასა და ეკონომიურ გაძლიერებაზე ამყარებდა საყოველთაო კეთილდღეობის, სოციალიზმის დამყარების იმედს. არსებითად ეს მიმდინარეობა ბატონყმობის ნაშთებით უკმაყოფილო უმიწაწყლო გლეხთა ბუნტარულ სულისკვეთებას გამოხატავდა მიწისმფლობელი თავადაზნაურობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მოითხოვდა მსხვილი მიწათმფლობელობის სრულ გაუქმებას ან მოსპობას, მიწის უფასოდ გადაცემას გლეხობისათვის და პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიზაციას იმგვარად, რომ ახალი საზოგადოების ერთადერთი ბატონპატრონი ამხანაგობაში გაერთიანებული სოფლის მშრომელი, თანასწორი წვრილი მესაკუთრენი ყოფილიყვნენ.

ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს თბილისში შეიქმნა ახალგაზრდობის ანტიბატონყმური წრე, რომელსაც დანიელ ჭონქაძე მეთაურობდა.

60-იან წლებში ასეთივე წრე შეუქმნია ანტონ ფურცელაძეს. 70-იანი წლების დასაწყისში თბილისის, გორის, ქუთაისის, ოზურგეთის ხალხოსნური წრეები ერთიან ორგანიზაციად გაერთიანებას ცდილობენ და საქართველოს სოფლებში არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწევიან რუსეთის გლეხობის საყოველთაო აჯანყებაში მონაწილეობისათვის ქართველი გლეხობის მოსამზადებლად. ამ მიზნით ხალხოსანი ინტელიგენტები და მათი წინამორბედნი არალეგალურ ლიტერატურასთან ერთად მაშინდელ ლეგალურ პრესასაც იყენებდნენ („ცისკარი", „საქართველოს მოამბე", „ლიტერატურნი ლისტოკ", „დროება", „გუთნის დედა", „ივერია"). მათ თვითონაც დააარსეს თავიანთი ორგანოები „მნათობი" (1869—1872 წწ.), „შრომა" (1881—1883 წწ.), და „იმედი" (1881—1883 წწ.). ხალხოსნურ იდეებს ქადაგებდა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი (ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, შ. გულისაშვილი).

თავდაპირველად ხალხოსნები მხოლოდ გლეხობის სახელით გამოდიოდნენ, მის სოციალურ განთავისუფლებას თვლიდნენ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მთავარ ამოცანად. საკითხის ამგვარი დაყენება უკვე იგრძნობა ქართველ ხალხოსანთა უშუალო წინამორბედის დ. ჭონქაძის ანტიბატონყმურ შეხედულებებში. ეს იდეა უფრო ნათლად გამოთქვა ზოგიერთმა ქართველმა განმანათლებელმა (მაგალითად, ნ. ნიკოლაძემ), ხოლო ხალხოსნებმა სამოქმედო პროგრამად აქციეს 70-იან წლებში. ცარიზმის მიერ ნაროდნიკული ორგანიზაციების განადგურების შემდეგ, დაახლოებით 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველ ხალხოსანთა უმრავლესობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰუმანისტურ მიმდინარეობას შეუერთდა და საქართველოს ეროვნული განთავისუფლება მთელი ერის, პირველ რიგში მისი მშრომელი უმრავლესობის, მაგრამ აგრეთვე განათლებული თავადაზნაურობის გაძლიერების გზით თავისი პროგრამის მთავარ პუნქტად გაიხადა. ობიექტურად ქართული ხალხოსნობა მანამდეც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ისინი საერთო-რუსული ნაროდნიკული, სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის უშუალო შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ თავს. ქართველი გლეხობის სოციალურ განთავისუფლებას რუსეთის გლეხური რევოლუციისაგან მოელოდნენ, საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული მოძრაობის სპეციფიკურ მიზნებს თავდაპირველად დიდ ანგარიშს არ უწევდნენ და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის იდეალსაც უარყოფითად ეკიდებოდნენ.

მართალია, რუსი ნაროდნიკები, რომელთა ორგანიზაციაში არაერთი ქართველი ინტელიგენტი აქტიურად მუშაობდა, იდეურ ხელმძღვანელობას და პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ქართველ თანამოაზრეებს, მაგ-

რამ ქართველი ხალხოსნები აღზრდილნი იყვნენ არა მარტო ჩერნიშევსკის და ლავროვის გლეხურ რევოლუციურ დემოკრატიზმზე, არამედ ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და ნიკო ნიკოლაძის ეროვნულ-რევოლუციურ პატრიოტიზმზეც. ისინი პირველ რიგში გლეხობის სოციალური თანასწორობისათვის იბრძოდნენ, მაგრამ ეროვნული თანასწორუფლებიანობის იდეასაც არ უარყოფდნენ, სოციალიზმი იდეალად მიაჩნდათ, მაგრამ კაპიტალიზმშიც პროგრესულ მხარეებს ხედავდნენ, გლეხთა აჯანყებას თვლიდნენ სოციალისტური საზოგადოების დამყარების საშუალებად, მაგრამ წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთის გლეხობისაგან დამოუკიდებლად მხოლოდ ქართველი გლეხობის აჯანყებისა, ხედავდნენ რუსული თემის ხაკლოვანებებს და თითქმის არ იზიარებდნენ ცალკეული გმირების როლის გაზვიადებულ შეფასებას და ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკას. მათთვის არც განათლების ყოვლისშემძლეობის და ჩაგრული ერის კლასთა ერთობის უტოპიური იდეა ყოფილა უცხო. ერთი სიტყვით, ქართული ხალხოსნობა არა მარტო რუსეთის სოციალური მოძრაობის ორგანიზაცია, არამედ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მიმდინარეობაც იყო ჰუმანისტურ და რადიკალურ განმანათლებლობასთან ერთად, რომელიც თავის მხრივ „ხალხოსნურიც" იყო, რამდენადაც მესამე წოდების ძირითადი ნაწილის — გლეხობის — ინტერესებს გამოხატავდა. ჰუმანისტები და რადიკალები ერის გადარჩენით ცდილობდნენ გლეხობის დაცვას, ხალხოსნები გლეხობის დაცვით ცდილობდნენ ერის გადარჩენას. სოციალური საკითხის წინა პლანზე წამოწევით და გლეხობის განთავისუფლებისათვის პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობის დაწყების თუნდაც წარუმატებელი ცდით ხალხოსნურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ წინ წასწია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი განმანათლებლურ-დემოკრატიული იდეოლოგია და დიდი როლი შეასრულა ხალხის გამოღვიძებასა და რევოლუციურ აღზრდაში [1].

ქართველ განმანათლებელთა და ხალხოსანთა მემკვიდრეებმა, მესამედასელებმა უკუაგდეს მათი ეროვნული და სოციალური პროგრამის კონსერვატიული მხარე, მაგრამ მიიღეს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალები, რათა დაესაბუთებინათ და განეხორციელებინათ ისინი „უფრო ზუსტად, ღრმად და გაფართოებულად"[2]. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, განმანათლებლებიც და ხალხოსნებიც, მარქსიზმის იდეური წინამორბედები იყვნენ საქართველოში.

---

[1] ხალხოსნური მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის ვრცელი დახასიათება იხილეთ ამ წიგნის XII თავში.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 613.

თავი მეთერთმეტე

აგრარული ურთიერთობა საქართველოში რეფორმის მომდევნო ხანაში (60—90-იანი წლები)

§ 1. მიწათმფლობელობის ფეოდალური ხასიათი. მემამულეთა კლასის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

1864—1871 წლების საგლეხო რეფორმამ, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მემამულეთა კლასის ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა, მიწის ფონდის დიდი ნაწილი [1 776 823 [1] დესეტინა ან დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სახის მიწების[2] (აჭარა-აფხაზეთ-სვანეთის გამოკლებით) საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი] ისევ თავადაზნაურების ხელში დატოვა. ამ აქტის შედეგად, მაგალითად, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ (1751 კომლი), რომელიც მოსახლეობის 2,89%-ს შეადგენდა[3], 7-ჯერ მეტი ფართობი შეინარჩუნა, ვიდრე ხიზნების, დროებით ვალდებულ და კერძო მფლობელთა მიწებით მოსარგებლე სახელმწიფო გლეხთა მრავალრიცხოვანმა მასამ ერთად[4]. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, იქ, თუმცა, დასახელებულ კლასთა მიწათმფლობელობას შორის ასეთი დიდი განსხვავება არ ყოფილა, მაგრამ პირველს, თავის რიგებში 8561 კომლსა[5] და გუბერნიის მოსახლეობის 678%-ს[6], რომ ითვლიდა, 4-ჯერ მეტი მიწა შეხვდა, ვიდრე დროებით ვალდებულ გლეხთა 57 ათას ოჯახს.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას ეკუთვნოდა სულ 992 216,11 დესეტინა მიწა ან კერძო მფლობელობაში

---

[1] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, თბ., 1928, გვ. 81.

[2] მათი რაოდენობა დაახლოებით 5, 605 600 დესეტინას უდრიდა, И. Г. Антелава государственные крестьяне грузии в XIX веке, т.11, 1962, გვ. 501.

[3] გრ. გიორგაძე, საზ. ურთიერთობა..., გვ. 18—80.

[4] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, Тифлис, 1920, გვ. 501; СХАО, IV, 122.

[5] იქვე, Крестьянский вопрос..., т. I, Одесса, 1912, გვ. 501.

[6] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა..., გვ. 18—80.

მყოფი მიწების (1 285 747,77 დესეტინა) 77,17%[1]. ასეთივე მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაშიც. აქაც თავადაზნაურობას თავის განკარგულებაში ჰქონდა 495 125 დესეტინა მიწა ან კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების (638,19 დეს.) 77,55%[2].

ჩვენთვის საინტერესო ხანის აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა თავადაზნაურთა სულ 5 384 მამული, რომლებიც ფართობის მიხედვით 4 ჯგუფად იყოფოდა — წვრილი (25 დესეტინამდე), საშუალო (25-დან 100 დესეტინამდე), მსხვილი (100-დან 500 დესეტინამდე) და ძალიან მსხვილი (500 დესეტინაზე ზევით). მამულების რაოდენობის 53,55% (ან 3 151) წვრილი იყო, 23,3% (ან 1 373) — საშუალო, 16,98% (ან 999) — მსხვილი და 6,14% (ან 361) — ძალიან მსხვილი[3].

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, წვრილი და საშუალო მამულები, რომლებიც საერთო რაოდენობის თითქმის 77%-ს შეადგენდნენ, აერთიანებდა 97 047 დესეტინა მიწას ან თავადაზნაურული მიწების მხოლოდ 9,8%-ს. რაც შეეხება მსხვილსა და ძალიან მსხვილ მამულებს, რომელთა ხვედრითი წონა 23,12%-ს უდრიდა, მათი ფართობი 859 168 დესეტინას ან თავადაზნაურთა მიწების 90,2%-ს შეადგენდა. მარტო 361 ძალიან მსხვილი მამული (ან მამულების 6,14%) 675 771 დესეტინას ან თავადაზნაურული მიწების საერთო რაოდენობის 68,11%-ს მოიცავდა.

---

[1] СССЧЗТКГ, I, გვ. XI. ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი, 1920, გვ. 12.

[2] იქვე, I, გვ. XXX; ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, გვ. 12.

[3] დამახასიათებელია მონაცემები გორის მაზრის შესახებ. იქ 1890 წელს თავადაზნაურთა სულ 722 მამული ყოფილა. აქედან სამოცდაჩვიდმეტი—380 დესეტინაზე მეტი ფართობის მქონე. უფრო კონკრეტულად კი მიწის მფლობელობა ასე წარმოიდგინება.

380							
1000	„	2000	„	„	„	„	29,
2000	„	3000	„	„	„	„	2,
3000	„	4000	„	„	„	„	1,
4000	„	5000	„	„	„	„	2,
5000	„	6000	„	„	„	„	1,
10000			„	„	„	„	6,

ამ 10000 დესეტინაზე მეტი ფართობის 6 მამულიდან ერთი (11,768 დესეტინა) ზ. ერისთავს ეკუთვნოდა, მეორე (13133 დეს).—ი. მუხრანბატონს, მესამე (13214 დესეტ.) —თავად მაჩაბლებს. მეოთხე (1900 დესეტ.)—თავად ფალავანდიშვილებს, მეხუთე (41740 დესეტ.)—თავად ციციშვილებსა და მეექვსე (68661 დესეტ.)—მიხეილ რომანოვს.

ხსენებული 77 მემამულის საკუთრებაში ითვლებოდა სულ 215 996 დესეტინა მიწა. გორის მაზრის მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს (თავადაზნაურთა გამოკლებით) ეკუთვნოდა მხოლოდ 45,595 დესეტინა მიწა, აქედან 34,921 დესეტინა გლეხების განკარგულებაში იყო, ხოლო 10 674 დესეტინა—თბილისისა და გორის ვაჭრების (ი. უთურაშვილი, გლეხობის კლასობრივი დეფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1957, გვ. 149—150).

ქუთაისის გუბერნიაში თავადაზნაურთა სულ 12 857 მამული იყო, აქედან: 11 543 (89,78%) — წვრილი, 931 (27,24%) — საშუალო, 301 (2,34%) — მსხვილი და 82 (0,64%) — ძალიან მსხვილი. იქაც, ისე როგორც თბილისის გუბერნიაში, მიწების დიდი ნაწილი ორ უკანასკნელ ჯგუფზე მოდიოდა. ძალიან მსხვილი მამულები, მაგალითად, რომელთა ხვედრითი წონა მხოლოდ 0,64%-ს უდრიდა, 317 548 დესეტინა მიწას ან თავადაზნაურთა მიწების 64,12%-ს აერთიანებდნენ. ამავე დროს კი წვრილ მამულებს, რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ (11 543 ან 98,7%), ეკავათ სულ 70 875 დესეტინა მიწა ან თავადაზნაურთა მიწების მხოლოდ 14,33%.

აქ მოტანილი სტატისტიკური მასალა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ 1864—1871 წლების საგლეხო რეფორმას არ მოუსპია თავადაზნაურული მიწათმფლობელობა. ფეოდალურმა კლასმა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეინარჩუნა მიწის ფონდის საგრძნობი ხაწილი. ეს განსაკუთრებით ითქმის მსხვილ და ძალიან მსხვილ მემამულეებზე. რაც შეეხება წვრილ და საშუალო მფლობელებს, ისინი თუმცა რიცხობრივად ბევრად სჭარბობდნენ სხვა ჯგუფებს, მაგრამ მათ ხელში მყოფი მიწის ფართობი შედარებით მცირე და უმნიშვნელო იყო. უმნიშვნელო იყო მათი როლიც ქვეყნის საერთო ეკონომიურ ცხოვრებაში.

კიდევ უფრო დიდი მიწისმფლობელი იყო ხაზინა. მას 1883 წელს თბილისის გუბერნიაში ეკუთვნოდა 1 787 500 დესეტინა ყველა სახის მიწა[1], ან მთელი საგუბერნიო მიწის ფონდის (3 699 850 დეს.[2]) 48,3%. ქუთაისის გუბერნიაში კი მის განკარგულებაში იყო 850 568 დესეტინა მიწის ფართობი[3], ან საერთო ფონდის (1 905 764 დეს.[4]) 43,2%. ამ ცნობებს თუ შევაჯამებთ, გამოვა, რომ სახელმწიფო ქონებათა უწყებას ორივე გუბერნიაში 2 638 068 დესეტინა მიწა, ან ქვეყნის მიწის ფონდის[5] (5 605 814 დეს.) თითქმის ნახევარი (უფრო ზუსტად 47%) დაუსაკუთრებია.

სულ კი საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) ხაზინისა და თავადაზნაურობის ხელში ყოფილა 4 414 891 (2 638 068+1 776 823) დესეტინა მიწა, ან მიწის საერთო ფონდის 78%. და ეს მაშინ, როდესაც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ყოფილ საბატონო ყმებსა და აღმო-

---

[1] სსცია, ფ. 244, ანაწ. 1, საქ. 55, ფურც. 3; И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, II, Тбилиси, 1962, გვ. 70.

[2] სსცია, გვ. 244, ანაწ. 1, საქ. 55, ფურც. 2. И.Г. Антелава, Государственные крестьяне..., II, გვ. 69.

[3] «Кавказский календарь» на 1885 г., отд. III, გვ. 236.

[4] იქვე, გვ. 237.

[5] აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით.

ავლეთ საქართველოს ხიზნებსა და მემამულეთა მიწებით მოსარგებლე სახელმწიფო გლეხებს ჰქონდათ სულ 345 561 დესეტინა მიწა, ან მიწის მთელი ფონდის მხოლოდ 6%.

ამრიგად, რეფორმამ, რომელმაც ბატონყმობა გაუქმებულად გამოაცხადა, ვერ მოშალა ფეოდალური მიწათმფლობელობა და მიწა — ძირითადი საწარმოო საშუალება — ისევ ხაზინისა და თავადაზნაურობის ხელში დატოვა.

მაგრამ რეფორმამ, მიუხედავად ამისა, მაინც წყალი შეუყენა პრივილეგიური წოდების ეკონომიურ ძლიერებას. თავადაზნაურობამ დაკარგა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო — ყმების პირადი გადასახადები; მას მოაკლდა მუქთი მუშა და ამან მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მას არც ცოდნა-გამოცდილება გააჩნდა და არც იმის საშუალება ჰქონდა, რომ სამეურნეო საქმიანობა გაეშალა და საიმედო ნიადაგზე დაეყენებინა. უფრო მეტიც, ქართველი ფეოდალები (ყოველ შემთხვევაში მათი საგრძნობი ნაწილი) სამარცხვინოდ თვლიდნენ სავაჭრო-სამრეწველო და თვით სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობასაც და თავს არიდებდნენ მას. ყოველივე ეს კი მათ განადგურებით ემუქრებოდა, რასაც ისინიც კარგად გრძნობდნენ და მთავრობას აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებას თხოვდნენ[1].

თუმცა მთავრობამ, როგორც ვთქვით, ყველაფერი გააკეთა თავადაზნაურობის მომავლის უზრუნველსაყოფად, ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და პრივილეგიური წოდება გაღატაკება-გადაგვარების გზაზე დააყენა. ახალმა ვითარებამ ის ვალში ჩააგდო და ეკონომიურად სრულიად უძლური გახადა. „ბატონყმობამდი, — სწერდნენ ქართველი თავადები

---

[1] „შეიძლება,—წერდნენ ქართველი თავადები,—ვაჭრობასა და აღებმიცემობას გაერთოს კაცი. მაგრამ ჩვენი შთამომავლობითი და საისტორიო მიზეზებით შეკეთებული ხასიათი შეუპოვრად ეწინააღმდეგება აქამომდე აღებ-მიცემობასა და უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენში ჯერ არც ნიჭიერება სჩანს ამ გვარის მოსაქმეობისათვის. შეიძლება ქარხნები და ქურახანები (фабрики) გაიმართოს, პატრონისათვის სასარგებლო და ქვეყნისათვის გამოსადეგი, მაგრამ... (ამას) სჭირდება შეძლება, სწავლა და გამოცდილება. ამ სამში ჯერ არც ერთი არა გვაქვს. შეიძლება სახლკარობას (ე.ი. სოფლის მეურნეობას—ავტ.) მოეკიდოს კაცი, სასოფლო-მომჭირნეობის განვითარებას დაადგეს და ამითი თავისი ყოფა-ცხოვრებაც უზრუნველჰყოს. მაგრამ მანამდის ვის რა უდავო საკუთრება შეგვრჩება ამას არ შევიტყობთ... ცოტა ოდენს სასოფლო-ეკონომიის განსავითარებელს სწავლასა და გამოცდილებას არ შევიძენთ, ვალდებულის მუშაობის მაგივრად ქირით მუშაობას არ შეევჩვევით, მანამდისინ გზები არ გაგვეხსენება და... ვალებისაგან ცოტაც არის სულს არ მოვიბრუნებთ,—ვინ გაბედავს ჩვენგანი, რომ მარტო ხვნა და თესვაზედ დაამყაროს თავისი უჭირველის ცხოვრების იმედი? ერთის სიტყვით, საითაც უნდა მივიხედოთ არსად რა იმედია ჩვენთვის და სახლეულთა ჩვენთათვის იმ ორ გვარს შემოსავალს გარდა, რომელიც ძველთა საუკუნეთაგან აქომამდე ჩვენის ყმებისა და მამულისაგან შემოგვდიოდა“ (СХАО, 11, 59 — 60—62; შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 213, 214, 215).

მეფისნაცვალს 1876 წელს, — ჩვენ მუქთი მშრომელნი გვყავდნენ ჩვენდა სარჩენად და იოლად გამოვდიოდით, გაჭირვებაში არ ვიყავით. მაგრამ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ჩამოგვართვეს ყმები, მოგვესპო მუქთი მშრომელი, მუშები გაძვირდნენ, დაგვედვა ვალები და რადგან იმდენი ღონისძიება აღარა გვაქვს, რომ თავის დროზე გადახდა შეგვძლებოდა, ამ ვალში გვეყიდება მამულები, ჩვენ კი ვიღუპებით, ვღატაკდებით, უმიწაწყლოთ ვრჩებით"[1].

თუ როგორ ეცლებოდა თავადაზნაურობას ხელიდან მამულები, კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან[2], რომელიც თბილისის გუბერნიას შეეხება.

ცხრილი 1

წლები	ბანკებში დაგირავებული მამულების რიცხვი	დაგირავებული მამულების ფართობი (დესეტინებში)
1875—1879	24	4 727,16
1880—1884	20	7 564,60
1885—1889	35	11 942,43
1890—1894	228	71 268,67
1895—1899	498	164 944,50
1900—1902	198	89 827,64
ს უ ლ	1003	350 275 დესეტინა

ცხრილი არასრულად აღრიცხავს დაგირავებული მამულების რაოდენობას, რადგანაც მასში არ არის შესული კერძო პირებისათვის დაგირავებული მიწები. ასეთების რაოდენობა კი საკმაოდ დიდი იყო და 1904 წლისთვის 302 623 დესეტინას უდრიდა[3]. ამრიგად, მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას დაგირავებული ჰქონია სულ 652 298 დესეტინა მიწა ან კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების 50%-ზე მეტი[4].

მაგრამ მთავარია არა მამულების დაგირავების ფაქტის აღნიშვნა, არამედ ის, რომ მათი მფლობელები ვერ ახერხებდნენ დაგირავებულის უკან გამოსყიდვას. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ზოგი მასალა[5]. ამ მასალებიდან ჩანს, რომ იმ 314 მამუ-

[1] „დროება", 1876, № 48.

[2] СССЧЗТКГ, I, გვ. XXX, 503.

[3] იქვე, გვ. XXXIII, 652.

[4] ს. ავალიანის ცნობით, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული მიწების ხვედრითი წონა (კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების საერთო მასაში) უდრიდა: 1896 წელს—45.6%-ს, 1899 წელს 50%-ს, 1901 წელს—53% და 1902 წელს—54%-ს. იხ. მისი „მიწისმფლობელობა საქართველოში", გვ. 13).

[5] „ივერია", 1877, № 42.

ლიდან, რომელთაც 1847—1874 წწ. მიწების დაგირავებით სესხი აუღიათ პრიკაზიდან, ვალის „წესიერად გადამხდელი“ მხოლოდ 35 ყოფილა, „გაჭირვებით გადამხდელი“ — 75 და „გადახდის უნარსმოკლებული“ — 204. სხვანაირად რომ ვთქვათ, დამგირავებელთა 68%-ს, რომელსაც ვალის გადახდის საშუალება არ ჰქონდა, მამულების სამუდამოდ დაკარგვის რეალური საშიშროება ემუქრებოდა.

უფრო ნაკლები წარმატებით ახერხებდა თავადაზნაურობა ანგარიშის გასწორებას კერძო პირებთან. ყოველივე ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიურად სცემდა წარსულში ძლიერებს, არღვევდა ფეოდალურ საკუთრებას და ამტკიცებდა ახალ, ბურჟუაზიულ საკუთრებას. თავადაზნაურთა მიწების მასობრივი გადასვლა (გაყიდვა-დაგირავების გზით) მევახშეების, კულაკებისა და ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა ხელში წარმოადგენს მიწის მფლობელობის წოდებრივი პრინციპის თანდათანობით მოსპობის მკაფიო მაჩვენებელს.

თავად-აზნაურების მხოლოდ მცირე პროცენტმა შეძლო ახალ ვითარებასთან შეგუება, პროგრესული სამეურნეო საქმიანობის გაშლა და აშკარა დაღუპვისაგან თავის დახსნა, მაგრამ არა ეს ნაწილი განსაზღვრავდა ჩვენთვის საინტერესო წოდების სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ მეორე, დასაღუპავად განწირული აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა შესახებაც გაზეთ „დროების“ ქართველი კორესპონდენტი წერდა: „მე და ჩემი ნაცნობი ვდგევართ სწორედ შუა სოფელში იმნაირ მაღალ ადგილზე, საიდამაც... ყველა კუნჭული ნათლად სჩანს. ჩვენ თვალწინ გვიდგება თავადისშვილების სახლები, რომლებსაც საცოდავათ ჩამოსტირით პირისახე; ყველაფერი დასძველებიათ: ბალკონები, მოაჯირები, ყავარი სრულებით დახეთქიათ; ზოგიერთ ადგილას ფიცრები ამოცვინულან; ერთი სიტყვით, ეს სახლები მაცქერალს თითქმის ასე ეუბნებიან: „რამდენიმე წლის წინეთ ჩვენს პატრონებს ბევრი მუქთი მუშა ჰყავდა და ჩვენი გამშვენიერებისათვის არაფერს ზოგავდნენ, ახლა კი ისეთი დრო დადგა, რომ თავიანთ თავის გამოკვებაც უჭირდებათ, არა თუ ჩვენი გაახლება“[1].

§ 2. გლეხობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

ა) დროებით ვალდებული გლეხები

თავდახსნითი საქმის მიმდინარეობა რეფორმის მომდევნო ხანაში. 1864—1871 წლების რეფორმით ქართველი გლეხი, როგორც ვთქვით, სანადელოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საკუთრებად შესყიდვამდე დროებით ვალდებულ მდგომარეობაში რჩებოდა. დებულება მას უფლებას აძლევდა თავი დაეხსნა, ე. ი. ნადელი შეესყიდა და მესაკუთრე გლეხთა

[1] „დროება“, 1876, № 62.

კატეგორიაში გადასულიყო. მხოლოდ მაშინ თავისუფლებოდა იგი საბატონო გადასახადებისაგან და დამოუკიდებელი მეურნე ხდებოდა. თუ როგორ მიმდინარეობდა თავდახსნის პროცესი განსახილველი ხანის საქართველოში; ამომწურავ პასუხს ქვემოთ მოტანილი ცხრილი იძლევა.

ცხრილი 2

ცნობები თავდახსნის საქმის მიმდინარეობის შესახებ საქართველოში 1865—1904 წწ.[1]

გუბერნიების დასახელება	ყოფილ საბატონო გლეხთა რაოდენობა (კომლობით)	მათი სანადელო მიწების ფართობი (დესეტინობით)	მთავრობის დახმარებით ნადელ შესყიდულ გლეხთა რიცხვი (კომლ.)	მათ მიერ შესყიდული მიწების ფართობი (დესეტინ.)	მთავრობის სესხის რაოდენობა (მანეთობით)	მთავრობის დაუხმარებლად ნადელშესყიდულ გლეხთა რაოდენობა (კომლ.)	მათ მიერ შესყიდული მიწების ფართობი (დესეტინ.)	ამაზე დახარჯული თანხის რაოდენობა (მან.)	მიწა შესყიდველ გლეხთა რაოდენობა (კომლ.)	შესყიდველ მიწების ფართობი (დესეტინ.)
თბილისის	14235[2]	55263	3768	16416	355906	—	—	—	10467	38847
ქუთაისის	57070	207523	=	—	—	33597	144041	7178285	23473	63482

როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში 1865—1904 წლებში, ე. ი. 40 წლის განმავლობაში, დროებით ვალდებულ გლეხთა ურთიერთობისათვის თავი დაუღწევია 3 768 კომლს ან ამ კატეგორიის გლეხთა საერთო რაოდენობის (14 235 კომლი) მხოლოდ 26,4%-ს. მათ მთავრობის დახმარებით შეუსყიდიათ 16 416 დესეტინა ან მთელი სანადელო ფონდის (55 263 დესეტინა) მხოლოდ 29,6%. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში. აღნიშნულ წლებში იქ სახელმწიფო სესხის გამოუყენებლად მესაკუთრეთა რიგებში 33 597 კომლი ან ყოფილ საბატონო ყმათა საერთო რაოდენობის (57 070 კომლი) 58,8% გადასულა და მათ საკუთარი სახსრებით მთელი სანადელო ფონდის (207 523 დესეტინა) 69,4% შეუსყიდიათ. თუ ორივე გუბერნიის მონაცემებს შევაჯამებთ, ვიგებთ, რომ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ორმოცი წლისთავზე დარჩენილი იყო 33 940 კომლი დროებით ვალდებული გლეხი ან ამ კატეგორიის გლეხთა საერთო რაოდენობის (71 305 კომლი) თითქმის ნახევარი (ზუსტად 47,6%). მათ შესასყიდი ჰქონდათ 102 329 დესეტინა

[1] ЦГИА СССР, Ф. 391, д. 592, л. 54; შეადარე ს. ავალიანი., Крестьянский вопрос в закавказье, IV, Тифлис, 1920 გვ. 11—12.

[2] აქ ნაჩვენებია ყოფილ საბატონო ყმათა მხოლოდ ის რაოდენობა, რომელსაც დებულებით მიწა ერგო. ამრიგად, 14.235 კომ. არ შედიან შინაყმები, ხიზნები და სხვები, რომლებიც უმიწოდ განთავისუფლდნენ რეფორმის შედეგად («Кавказский вестник», 1901, № 9, გვ. 105).

მიწა ან სანადელოდ გამოყოფილი მთელი მიწის ფართობის (262 786 დესეტინა) 39%.

მოტანილი მასალიდან მკაფიოდ ჩანს, თუ როგორი ნელი ტემპით მიმდინარეობდა დამოკიდებული მდგომარეობიდან გლეხების გამოსვლის პროცესი. ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ყოფილი საბატონო ყმების მძიმე სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა იყო. მათი დიდი ნაწილი, ვითარცა მატერიალურად უძლური, მოკლებული იყო თავდახსნის ყოველგვარ საშუალებას. ასეთ ვითარებაში საფიქრებელი იყო, რომ მწარმოებელი კლასი უხვად ისარგებლებდა მთავრობის „წყალობით" და გამოიყენებდა სახელმწიფო სესხს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. სოფლის მშრომელი მოსახლეობა, როგორც წესი, თავს არიდებდა სესხის აღებას მისი უმნიშვნელო მოცულობისა[1] და გადახდის მძიმე პირობების გამო. მთავრობის დახმარებით შეძენილი მამულის პატრონმა, წერდა 1892 წელს ალ. ფრონელი, „ორმოცდაცხრა წლის განმავლობაში... ყოველ წლივ 21 მანეთი უნდა ჰზიდოს ხაზინაში. ოცდაერთი მანეთის საღირალს (კი) არას იძლევა ნადელი და გადასახადის შეტანა ძნელდება. მოგეხსენებათ, ჩვენში ჯერ ფული ცოტაა, გზები არა გვაქვს რიგიანი, რომ საქონელი შორეულს ბაზარში გავიტანოთ, ფული ვიშოვოთ და... ჩაუთვალოთ მოვალეს (ე. ი. ხაზინას — ავტ.) ...სოფლის ნაწარმოების (გასაღების სირთულე), უფულობა და გადასახადის სიმძიმე იმ გვარად უცარავს ხელს ნადელების შესყიდვის საქმეს, რომ მისი წინსვლა, მისი წარმატება თითქმის ყოვლად შეუძლებელია, ვიდრე ასეთი მიზეზი არ მოისპობა. ასეთ გარემოებაში გლეხისათვის სასარგებლო და სახეირო არ არის ნადელის დახსნა (მთავრობის სესხით) და ფულად ძლევა (ხაზინისათვის) წლიურის გადასახადისა"[2].

ამის საილუსტრაციოდ ავტორი სოფ. ნაფარეულის მაგალითს ასახელებს, რომლის 100 კომლ მოსახლეს მთავრობის დახმარებით შეუსყიდია სანადელო მიწები. მათ ისე გაჭირვებიათ სახელმწიფოსთან ანგარიშის გასწორება, რომ მამულებზე ხელის აღება გადაუწყვეტიათ. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით, გლეხებს საუფლისწულო უწყებისთვის მიუმართავთ და შემდეგი უთხოვიათ: „წაიღეთ ჩვენი საკვანძე მამულები. ოღონდ კი მთავრობის ვალი თავიდან მოგვაშორეთ: ოცი წელიწადია მძიმე ტვირთად გვაწევს ეგ ვალი და მის თავან-სარგებლის გასასტუმრებლად ყოველწლიური შესატანია ხაზინაშიო; „ნედოიმკამ"

---

[1] „მთავრობის სესხი,—წერს ს. ავალიანი,—იმდენად უმნიშვნელო იყო იმ თანხასთან შედარებით, რომელიც ნადელს შემსყიდველ გლეხებს დამატებით უნდა გაეღოთ, რომ ისინი საერთოდ უარს ამბობდნენ მთავრობის დახმარებაზე" (იხ. მისი, Крестьянский вопрос, т. IV, გვ. 11).

[2] „ივერია", 1892, № 237.

სულ თავგზა დაგვიკარგა და ამაზედ მეტი აღარ შეგვიძლიაო"[1]. მოჰყავს რა ეს სიტყვები, ალ. ფრონელი მას ასეთ კომენტარს უკეთებს: „არ იფიქროთ, ვითომც სოფელ ნაფარეულში უვარგისი მამულები იყოს. არა. სულ სავენახე ადგილებია, მერე ისიც კახური სავენახე ადგილები... მაშ როგორ მოხდა, რომ ნაფარეულელი გლეხი ასე ადვილად სხვას უთმობს ოცი წლის ნაამაგდარ მამულს და თვითონ რიყეზედ რჩება? როგორ მოხდა და ისე მოხდა, რომ ყოველწლიური გადასახადი მეტად დიდია და მამულმა ვერ გაუძლო... სოფელმა წინდაწინვე ვერ გამოიანგარიშა, ვერ ივარაუდა წლიურის შესატანის სიმძიმე და მოუძლურდა, დაიჩაგრა"[2].

თავდახსნის პროცესის წარმატებით მიმდინარეობას სერიოზულად აფერხებდა აგრეთვე 1864 წლის 8 ნოემბრის დებულების ის მუხლი, რომელიც მემამულის თანხმობის გარეშე შეუძლებლად თვლიდა სანადელო მიწების საკუთრებად შეძენას[3]. მემამულისთვის კი ასეთი თანხმობის მიცემა ხშირ შემთხვევაში ხელსაყრელი არ იყო და ამიტომ ის თავდახსნის მსურველს არაიშვიათად ცივი უარით ისტუმრებდა[4].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით მთავრობის პოზიციას ამ საქმეში. ის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი მხრივ, კარგად გრძნობდა ვალდებულ ურთიერთობათა მოსპობის აუცილებლობას (ამას მოითხოვდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება), ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნაბიჯის გადადგმა მეტად სახიფათოდ ეჩვენებოდა. საქმე იმაშია, რომ, მისი აზრით, დროებით ვალდებულ და სახელმწიფო გლეხთა სანადელო მიწების მესაკუთრედ აღიარება ამ მიწების გაყიდვის ნებას მისცემდა მათ და დააჩქარებდა პროლეტარიატის გაჩენის პროცესს, პროლეტარიატისა, რომლის არსებობა «На окраинах империи, и на Кавказе по преимуществу, представляется более опасным, нежели во внутренних губерниях России. Поэтому, в видах устранения этой опасности... на Кавказе, более чем где-нибудь, не следует надельные земли отвадить... крестьянам в полную собственность»[5].

აქედან გამომდინარე ხელისუფლება თავს იკავებდა და აჭიანურებდა დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის კანონმდებლობრივ გაუქმებას.

წყაროები ჩვენთვის საინტერესო მოვლენის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის საგლეხო საკრებულოთა ზედმეტ სიმკაცრესაც ასახელებენ.

---

[1] „ივერია", 1892, № 237.

[2] იქვე.

[3] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 6, 1956, გვ. 31, С. А в а л и а н и, Крестьянский вопрос, IV, გვ. 10.

[4] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. 6, გვ. 31—32.

[5] «Всеподданнейший доклад министра государственных имуществ по поездке на Кавказ в 1889 г.» Петербург, 1890, გვ. 10—11.

ისინი თავდახსნის აქტის გაფორმებისას ისეთ მოთხოვნებს აყენებდნენ, რომ მათი დაკმაყოფილება, ალ. ფრონელის სიტყვით, თითქმის სრულიად შეუძლებელი იყო[1].

საქმეს აფერხებდა ქართველი თავად-აზნაურების მიერ თავიანთი მიწა-წყლის მასიურად დაგირავების ფაქტიც. ეს გარემოება იმ მხრივ იყო თავდახსნის პროცესის შემფერხებელი, რომ საგლეხო საკრებულო არ ამტკიცებდა საკრედიტო დაწესებულებებში (თუ კერძო პირებისთვის) დაგირავებული მამულების ყიდვა-გაყიდვის აქტებს[2]. დასასრულ, იმავე მიმართულებით მოქმედებდა სათანადო პირთა და დაწესებულებათა უზომო ბიუროკრატიზმი[3]. გლეხს აუარებელი დრო და ფული უნდა დაეხარჯა, რომ მის მიერ ნადელის საკუთრებად შეძენის ოპერაციას კანონით გათვალისწინებული ფორმა და ხასიათი მიეღო.

როგორც ვხედავთ, დროებით ვალდებულ გლეხთა საბოლოოდ განთავისუფლებას და მათ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლას მრავალი ფაქტორი აფერხებდა. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სოფლის მშრომელი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა იყო.

მიწათმფლობელობა. საგლეხო რეფორმამ სოფლის მშრომელი მოსახლეობა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააგდო. აღნიშნული მოვლენის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა მისი მიწის მფლობელობა. თუკი, მაგალითად, რეფორმამდე თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხების განკარგულებაში 84 665 დესეტინა მიწა იყო, რეფორმის შემდეგ მას მხოლოდ 55 679 დესეტინა დარჩა[4]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხსენებული აქტის განხორციელების პროცესში მწარმოებელ კლასს ჩამოაჭრეს 28 986 დესეტინა მიწა, რაც სარგებლობაში მყოფი მიწის საერთო ფართობის 34,2%-ს უდრიდა. რეალური მნიშვნელობა დაკარგეს ადგილობრივი დებულებებით გათვალისწინებულმა ნორმებმა, სინამდვილემ მათ უცერემონიოდ აუარა გვერდი. აღსანიშნავია, რომ თბილისის და ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა კანონით გათვალისწინებულ 10 და 4,5 დესეტინის ნაცვლად კომლზე მიიღეს საშუალოდ 3,7 და 2,5 დესეტინა[5].

---

1. „ივერია", 1892, № 33.
2. იქვე, № 48.
3. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6.
4. С. Авалиани, Крестьянкий вопрос в Закавказье, т. IV, Тиф., 1920, გვ. 421.
5. С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, Тифлис, 1920, გვ. 4; СХАО, т. IV, გვ. 121. გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, თბ., 1928, გვ. 17; ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX — XX სს., II, გვ. 24.

მაგრამ მთავარია მაინც არა იმის აღნიშვნა, რომ რეფორმამ გლეხი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააგდო, არამედ ის, რომ მისი მდგომარეობა დროთა განმავლობაში სისტემატურად უარესდებოდა. მართალია, მწარმოებელი კლასის მცირე ნაწილი ეკონომიურად ძლიერდებოდა და სოფლის ბურჟუაზიის რიგებში გადადიოდა, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა უძლურდებოდა და უკიდურესი სიღატაკისკენ მიექანებოდა. ამას მკაფიოდ ადასტურებს გლეხის საშუალო საკომლო ნადელის შეუნელებელი შემცირების ფაქტი რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში. თუკი ის, მაგალითად, 1865 წელს თბილისის გუბერნიაში 3,7 დესეტინას უდრიდა[1], 80-იანი წლების ბოლოსათვის 3,2 დესეტინამდე დაეცა[2], ხოლო 1903 წელს — 1,7 დესეტინამდე[3]. მეტ-ნაკლებად იგივე ითქმის ქუთაისის გუბერნიის შესახებაც.

თუმცა ზემოთ მოტანილი საშუალო ციფრები თავისთავად ბევრის მთქმელია, მაგრამ ისინი მხოლოდ მიახლოებით გამოხატავენ იმ დიდ ეკონომიურ გაჭირვებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს სოფელში. ამ მხრივ გაცილებით უფრო საინტერესოა და საყურადღებო მაშინდელი პერიოდული პრესის მასალები და სხვა წერილობითი ხასიათის წყაროები, რომლებიც მწარმოებელი კლასის შრომისა და ცხოვრების პირობების მეტად მკაფიო და დამაჯერებელ აღწერილობას შეიცავს. ისინი ნათლად ადასტურებენ არა მარტო უკიდურესი მცირე-მიწიანობის, არამედ მიწის უსამართლოდ განაწილების ფაქტს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში.

ეხებოდა რა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხის მიწით უზრუნველყოფის საკითხს, გაზეთი „გუთნის დედა“ 1875 წელს წერდა: „ჩვენში ბევრ მუშაკთ არა აქვთ მამული და იძულებული არიან სხვის მამულზედ მოიყვანონ იმოდენა საზრდო, რომელიც რის ვაი-ვაგლახით ჰყოფნით დასაკმაყოფილებლად უპირველესთა თვისთა საჭიროებათა... რა მოელის მოუსავლიანობის დროს უმამულო გლეხს? შიმშილი და სიკვდილი... რა არის უმამულო გლეხ-კაცი? ის არის უბედური ქმნილება; იმის მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ფრთა შეკვეცილი ჩიტისა და წყალ-მოკლებული თევზისა... სხვასთან მოჯამაგირეთ დგომით გლეხი იშოვის ნახევარ საზრდოს, თუ ნაკლებსაც არა; მეორე ნახევარი საზრდოსი საიდგანღა იშოვოს, თუ რომ იმას არ ექნება მამული? სიღარიბე და სიღატაკე მალე

---

[1] С. Авалиани, Крестьянский вопрос, т. IV, გვ. 4.

[2] ССДЗТКГ, Тиф., 1893, გვ. 141.

ზოგი წყაროს ცნობით კი, დროებით ვალდებულ გლეხთა საშუალო საკომლო ნადელი ამ დროს 2,4 დესეტინას არ აღემატებოდა (სსცია, ფონდი 17, საქმე 8747, ფურც. 1—86).

[3] Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян закавказья, Тиф., 1903, გვ. 16—17.

ეწევა უმამულო გლეხს და ეს დღითი დღე უფრო და უფრო გაძლიერდება. სიღარიბეს მოაქვს თავისი ჩვეულებრივი მწარე ნაყოფი: გადაგვარება ხალხისა ზნეობით, გონებით და ფიზიკურად"[1].

1892 წელს გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე დაბეჭდილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ლაპარაკია თბილისის მაზრის სოფელ მარიამ-ჯვრის დროებით ვალდებულ გლეხთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, რაც, როგორც სხვა შემთხვევაში, მათი უკიდურესი მცირემიწიანობით იყო გამოწვეული. კორესპონდენციაში, რომელიც თვით გლეხების სახელითაა შედგენილი, ნათქვამია შემდეგი: „დუხობორებსა და გერმანელებს აუარებელი მამული (ტექსტში წერია „მამულები". — ავტ.) დაუთმო მთავრობამ დასასახლებლად, ჩვენ მარიამ-ჯვარელებს კი ლამის სული ამოგვხდეს უმამულოდ. ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა რომ შეიტყოთ, სწორედ შეგეცოდებით. ამ პატარა სოფელში სულ ცამეტი კომლია, ნადელად მიეცა კომლს ათი დღიური (5 დესეტინა. — ავტ.), სულ, მაშასადამე, 130 დღიური. მაშინ წყალმა მოგვტაცა 30 დღიური სახნავი მიწა, დაგვრჩა ცამეტ კომლს ასი დღიური, სულ ეგ არის სახნავადაც და საძოვრადაც. მამულის პატრონთ ტყე შეგვიკრეს და ლამის ჩვენი პირუტყვით სულ მთლად ამოვისრჩოთ. ეს ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, უმამულობა, ბატონ ტფილისის გუბერნატორს მოვახსენეთ და ვემუდარებით დაგვიხსენ გაჭირვებისაგანა, თორემ ცოლშვილით ამოვწყდებით. თუ ბატონმა გუბერნატორმაც არ გვიშველა, არ ვიცით მერე რა ვქნათ. თითო სულზე დღე-ნახევრის მიწა არ მოდის და აბა როგორ ვიცხოვროთ, ან ხელმწიფეს რითი გავცეთ პასუხი"[2].

ალექსანდრე ფრონელი, რომელიც ზემოთ ციტირებულ კორესპონდენციას გამოეხმაურა და დაადასტურა მასში დასახელებული ფაქტები, აღნიშნავდა: ჩვენი ქვეყანა სტატისტიკური თვალსაზრისით უკეთ რომ იყოს შესწავლილი, სხვაგან ამაზე უარესი მდგომარეობა აღმოჩნდებოდაო. „ჩვენ ხელთა გვაქვს, — წერდა იგი, — ორიოდ-სამიოდ საქმე, საიდამაც სჩანს, რომ ქართველს მხვნელ-მთესველს იმდენი მამულიც არა აქვს, რაც შერჩენიათ მარიამ-ჯვარელებს. მაგალითებრ, სოფელ ხეითში ორ კომლს გლეხს ნადელში მისცემია სულ ათი დღიური (5 დესეტინა. — ავტ.). ეხლა ორი კომლი შვიდად გადაქცეულა (და) თითო სულს დღიურის ერთ მესამედზე ნაკლები მოსდის. ხეითელები, რასაკვირველია, სრულიად უმამულოდ უნდა ჩაითვალონ და თუ არავინ იზრუნა იმათთვის, ოჯახი დაეღუპებათ და მოჯამაგირეობით თუ დაირჩენენ თავს, თორემ სხვა სახსარი და ღონისძიება აღარ მოეპოვებათ ლუკმა პურის საშოვნელად"[3].

---

[1] „გუთნის დედა", 1875, № 21.
[2] „ივერია", 1892, № 247.
[3] იქვე, № 258.

ფრონელის მოწმობით, „ასეთი მწარე ბედი“ წილად ხვდომია არა მარტო მარიამ-ჯვარისა და ხეთის მოსახლეობას, არამედ მთელი საქართველოს გლეხობას. ამის მიზეზი, ავტორის აზრით, ის იყო, რომ რეფორმის გატარებისას მიწა დებულებით გათვალისწინებული ნორმით მწარმოებელი კლასის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიეცა. შემდეგში კი ეს ფართობი, დასახელებული თანამედროვის დასტურით, ისე საგრძნობლად შემცირებულა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის ქართველი გლეხის უმამულობა უკვე „თითით საჩვენებელი“ გამხდარა. დროებით ვალდებულნი, — წერდა ალ. ფრონელი, — უფრო დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ ეხლა, ვიდრე 1864 წლის 13 ოქტომბრამდე იყვნენო.

უშუალო მწარმოებელს, რომელსაც მამულის საკუთრებად შეძენის სახსარი არ ჰქონდა, ისღა რჩებოდა, რომ მიწა იჯარით აეღო, რაშიც იგი ზოგ შემთხვევაში შემოსავლის $^2/_3$ იხდიდა[1]. არამცთუ დროებით ვალდებული, არამედ თვით სახელმწიფო გლეხებიც კი იძულებული იყვნენ იჯარისთვის მიემართათ. ასე მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის გუბერნიის 941 სახაზინო სოფლიდან 389 (ან 41,6%) მიწის იჯარით ირჩენდა თავს[2]. განსაკუთრებით დიდი იყო მოიჯარე სოფლების ხვედრითი წონა თელავის (68%), გორის (80,5%), ახალციხისა (84%) და ახალქალაქის (88,6%) მაზრებში.

იჯარით იღებენ გლეხები როგორც კერძო მემამულეთა, ისე სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწებს. უშუალო მწარმოებელს ყველგან შეტად მძიმე პირობებს უქმნიდნენ და მის უცერემონიო ექსპლოატაციას ეწეოდნენ. აი რას სწერდნენ, მაგალითად, 1902 წელს ქართლის (მუხრანის) საუფლისწულო მამულის მოიჯარადრე გლეხები უმაღლეს ხელისუფლებას: «За прогон скота по дороге и за водопой удельные чиновники взыскивают с нас по 50 копеек с головы, а за пастьбу сотни овец — по 16 рублей в год. При таких драконовских условиях не выгодно держать баранту и мы почти совсем уничтожили эту важную отрасль хозяйства. Еще более тягостными условиями обставлено пользование пахотными землями. Правление удельным именем Мухрани галу перевело на деньги и с каждой десятины взыскивает в год по 3 рубля, тогда как десятина распа-

---

[1] „...გლეხს ნადელი არა ჰყოფნის,—წერდა „ივერია“ 1890 წელს,—მიდის მემამულესთან და ეღრიჯება: რამდენიმე დღიური მომეცი მოსახნავადაო. ამ დროს ბატონის ყინი და ეკონომიური მოსაზრება სრულს თავის სასტიკს ძალას იჩენს. მე ვარ და არ გაძლევ მამულსაო და თუ მისცემს..., ისეთს ღალას მოსთხოვს, რომ იმისი გადახდა ყოვლად შეუძლებელია,.. ზოგიერთ ალაგას მემამულე თითქმის ორ მესამედს (2/3) მოსავლისას სთხოვს მიწის მომუშავეს“ (გაზ. „ივერია“, 1890, № 186).

[2] СМИЭБГКЗК, V, ч. II, გვ. 76.

хивается здесь только в два года раз. Такие условия безусловно разорительны для нас, тем более потому, что деньги требуют вперед при распашке, т. е. в такое время, когда у нас за душой копейки не бывает»[1].

ადარებდნენ რა რეფორმის შემდეგდროინდელ ეკონომიურ მდგომარეობას რეფორმამდელი ხანის ცხოვრების პირობებს, ხსენებული გლეხები წერდნენ: „ბატონყმური ურთიერთობის საშინელება, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში, არაერაობაა იმ ექსპლოატაციისა და შევიწროებასთან შედარებით, რომელსაც განვიცდით ჩვენ დღეს საუფლისწულო მიწებზე დასახლებული გლეხები. მართალია, უწყების მოხელეებს უფლება არა აქვთ თვითნებურად მოექცნენ ჩვენს პიროვნებას, მაგრამ რა ფასი აქვს პირად თავისუფლებას კაცისთვის, რომელსაც ეუბნებიან: „ან შენი შრომის მთელი ნაყოფი დაგვითმე, ან არადა სამუდამოდ აიბარგე ჩვენი ადგილ-მამულიდანო“[2].

ზემომოტანილი მასალა, რომელიც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ეხება, მკაფიოდ ადასტურებს აღნიშნული მხარის დროებით ვალდებულ გლეხთა მკვეთრად გამოხატულ მცირემიწიანობას. დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ გაცილებით უფრო უარესი მდგომარეობა იყო. მის ყველა მაზრაში, განსაკუთრებით კი რაჭის, ლეჩხუმისა და ოზურგეთის მაზრებში, მწარმოებელი კლასის მიწით მოუმარაგებლობას საგანგაშო ხასიათი ჰქონდა. ოფიციალურ პირთა მოხსენებები, გლეხთა საჩივრები, მოწინავე საზოგადოებრივ მოღვაწეთა წერილები და სხვა მასალები ერთხმად ლაპარაკობს ყოფილ საბატონო ყმათა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე, რაც მათი უმიწობა-მცირემიწიანობით იყო გამოწვეული.

ახასიათებდა რა ლეჩხუმის სოფლის მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს, გაზეთი „შრომა“ წერდა: „მთელს იმერეთში ვერსად ვერ ნახავთ ამათთანა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ გლეხ-კაცობას. უმთავრესი მიზეზი ამგვარის მდგომარეობისა არის უმიწა-წყლობა... საკუთარი მიწები რომ არა აქვთ, იღებენ დასამუშავებლად საბატონო და საეკლესიო (ეხლა სახაზინო) მიწებს, სამძიმო პირობებით. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აქაური მიწები ისე ადვილი დასამუშავებელი არ არის, როგორც სხვა ქვეყანაში... მათი დამუშავება ოთხკეც შრომას მოითხოვს. ამგვარ მიწებზედ გლეხი უზომო ღალას იხდის და უამისოდაც იმდენი ვერ მოყავს, რომ წლიურ სარჩოდ ეყოს და გასასყიდადაც გადარჩინოს. მაშ რით გადაიხადოს მან ის ათასნაირი სახელმწიფო ან საზო-

---

[1] ЦГИА СССР ф. 515, оп. 44, д. 437, л. 2.

[2] იქვე, ფურც. 1.

ვადო გადასახადები, რომელიც მას კისერზედ აწევს? რა საშუალებით დააკმაყოფილოს მან ოჯახის უსაჭიროესი მოთხოვნილება?"[1].

გაზ. „შრომის" ერთი კორესპონდენტის სიტყვით, გურიაში იმის გამო, რომ მიწის მთელი ფონდი, „მცირე ნაწილს გარდა", მებატონეთა და ხაზინის საკუთრებას წარმოადგენდა, გლეხებს უმიწოდ სული ძვრებოდათ. ბევრი მათგანის საკუთარი მამულის რაოდენობა თურმე 900 კვადრატულ საჟენს (ან ერთ ქცევას) არ აღემატებოდა. „იშვიათია ისეთი გლეხი, — წერდა კორესპონდენტი, — რომელსაც საკუთარი მიწა ჰყოფნიდეს წლის სამუშაოდ და ოჯახის სარჩოდ. გლეხობის უდიდესი უმეტესობა სხვის მიწაზედ მუშაობს საზიაროდ, ე. ი. იმ პირობით, რომ მოწეული ნამუშევრის ნახევარი მზა-მზარეულად თავის ხელით მიწის პატრონს მიუტანოს"[2].

თანამედროვის მოწმობით, ჩოხატაურის რაიონში გასული საუკუნის ბოლოს შეუძლებელი იყო ორი ისეთი ოჯახის მოძებნა, რომელიც სიმინდსა და ღომს გირვანქობით არ ყიდულობდა[3]. იქაური გლეხის მცირემიწიანობა თურმე იქამდე იყო მისული, რომ ის ძალიან ხშირად იძულებული ხდებოდა ღორი ბაწრით დაება ეზოში[4].

ჩვენ მოგვეპოვება ერთი თანამედროვე ოფიციალური პირის მოწმობა, რომელშიც მოცემულია XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს მწარმოებელი კლასის მიწით მომარაგების შემდეგი სურათი: „გლეხთა მოსახლეობის კომლთა უმრავლესობა, — ნათქვამია დასახელებულ დოკუმენტში, — ფლობს საშუალოდ 3,5 დესეტინა სანადელო (ყველა სახის — ავტ.) მიწას, მაშინ როცა მიწათმფლობელის მინიმალური ოდენობა, რომელსაც შეუძლია ღარიბი გლეხის ოჯახის გამოკვება ქუთაისის გუბერნიაში, 4 დესეტინაა მეღვინეობის რაიონში და 5 დესეტინა მის დანარჩენ ნაწილში. თავის საშეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მიწის ასე მცირე ნაკვეთის მფლობელმა უნდა მიმართოს დამატებით საშოვარს და სავსებით მოკლებულია მეურნეობის გაუმჯობესებაზე, იარაღებსა და მიწის გაპოხიერებაზე ხარჯების გაწევის საშუალებას, რის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის პროგრესი. ჩვეულებრივ გლეხები მიმართავენ მემამულეთა მიწების იჯარით აღებას" (ხაზი ჩვენია, — ავტ)[5].

---

[1] „შრომა", 1881, № 10.
[2] იქვე, 1882, № 45.
[3] „კვალი", 1896, № 34.
[4] იქვე.
[5] სსკია, ფ. 89ა, საქ. 561, ფურც. 21.

მწარმოებელი კლასის ეკონომიური მდგომარეობის ეს დახასიათება თუმცა თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ მხოლოდ მიახლოებით გამოხატავს სინამდვილეს. ციტირებული სიტყვების ავტორი ცოდავს, როდესაც ქუთაისის გუბერნიის გლეხთა დიდ უმრავლესობას თვლის 3,5 დესეტინა მიწისმფლობელად. ქუთაისის გუბერნიის სოფლის მშრომელ მოსახლეობაში მართლაც იყვნენ ასეთი და მეტი ფართობის მქონენიც, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას მიწა ამაზე გაცილებით ნაკლები რაოდენობით ჰქონდა. 3,5 დესეტინა სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე მიწა არამცთუ დროებით ვალდებულ, არამედ თვით ეკონომიურად უფრო უზრუნველყოფილ სახელმწიფო გლეხებსაც კი არ ჰქონიათ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი კატეგორიის თითო კომლ გლეხზე მოდიოდა საშუალოდ: 1884 წელს 2,27 დესეტინა[1], ხოლო 1902 წელს — 1,92 დესეტინა[2]. ზოგს კი, როგორც ცნობილია, ამდენიც არ გააჩნდა და ასეთები თავიანთ თავს, სავსებით სამართლიანად, ყველაზე ღარიბ ადამიანებად თვლიდნენ მთელ მსოფლიოში[3].

მიწით ესოდენ ცუდად მომარაგებული გლეხი იძულებული იყო იჯარისათვის მიემართა. ასეთ გზას დასდგომია, მაგალითად, შორაპნის მაზრის დროებით ვალდებულ გლეხთა 64%, მესაკუთრე გლეხთა 60%[1] და სახელმწიფო გლეხთა 63%[4]. პირველი და მეორე ჯგუფის თითო ოჯახი საშუალოდ იღებდა თურმე 1,5 დესეტინა ფართობს, ხოლო მესამის — 1,3 დესეტინას[5]. მეტ-ნაკლებად იგივე მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებშიც. თბილისის გუბერნიაში კი გასული საუკუნის 80-იან წლებში დროებით ვალდებულ გლეხთა 42% იჯარის გარეშე ვერ ახერხებდა ცხოვრებას[6].

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ნათლად გვიჩვენებს დროებით ვალდებულ გლეხთა უკიდურეს მცირემიწიანობას. ეს უკანასკნელი იყო ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი მიზეზი მათი მეტად არასახარბიელო ეკონომიური მდგომარეობისა. მწარმოებელი კლასის შრომისა და ცხოვრების პირობებზე დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე საგადასახადო სისტემაც.

---

[1] Ф. Марков, Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края, СМИЭБГКЗК, II, გვ. 261—262; შდრ. И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, II, 1962, გვ. 95.

[2] Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, გვ. 16; И. Г. Антелава, Государственные крестьяне.., т. II, გვ. 95.

[3] «Мы, люди беднейшие на свете»—წერდნენ 1883 წელს ქუთაისის მაზრის გლეხები-კაკალაიშვილი და სულიაშვილები (ЦГИА СССР, ф. 381, оп. 27, л. 2).

[4] ЦГИА ССР, ф. 1233, оп. 1, л.15.

[5] იქვე.

[6] С. Авалиани, Крестьянский вопрос..., გვ. 8.

გადასახადები. ყოფილი საბატონო ყმები მემამულეებს გადასახადებს უხდიდნენ სანადელო მიწებით სარგებლობისათვის. ეს გადასახადები, მაგალითად, 1890 წელს საშუალოდ კომლზე უდრიდა: დუშეთის მაზრაში — 14 მან. და 29 კაპ.; ბორჩალოს — 16 მან. და 97 კაპ.; გორის — 21 მან. და 33 კაპ.; სიღნაღის — 27 მან. და 42 კაპ.; თბილისის — 39 მან. და 11 კაპ.; თიანეთის — 54 მან. და 24 კაპ. და თელავის მაზრაში — 66 მან. და 30 კაპ.[1].

მთელ გუბერნიაში კი საშუალო დროებით ვალდებული გლეხის თითო ოჯახი მემამულეს უხდიდა 28 მანეთსა და 84 კაპიკს[2].

გლეხებს ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი ხაზინასთანაც. ხაზინას აძლევდნენ საკომლო და საერობო გადასახადებს, მისი მოთხოვნით ასრულებდნენ შრომით და სატრანსპორტო ბეგარას. ამას გარდა გლეხები ინახავდნენ სასულიერო წოდებას (დრამის ფული) და მონაწილეობას ღებულობდნენ სოფლისათვის საჭირო მრავალ ღონისძიებათა გატარებაში. ყველაფერი ეს ბევრი დროისა და მატერიალური რესურსების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული. გაზეთ „კვალის" კორესპონდენტის დასტურით, გასული საუკუნის 90-იან წლებში ბორჩალოს მაზრის სოფ. დიდი გომარეთის თითო გლეხის ოჯახზე მოდიოდა საშუალოდ 70—80 მანეთი სახელმწიფო და სასოფლო გადასახადი[3]. ეს თანხა, ჩვენი აზრით, გადაჭარბებულია, მაგრამ რეალური სინამდვილის გამომხატველად იმის ნახევარიც რომ მივიღოთ, საკმარისი იქნება ხაზინის ექსპლოატატორული როლის მკაფიოდ წარმოსადგენად.

გლეხებისათვის განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ნატურალური გადასახადები არა მარტო მათი მოცულობა-მასშტაბის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ შესასრულებლად ხალხი, როგორც წესი, გაჰყავდათ სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთელი სისრულით მიმდინარეობის დროს.

მდგომარეობას ართულებდა ის არაჩვეულებრივი თვითნებობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფლისა და მაზრის ადმინისტრაციის მხრივ ნატურალური გადასახადების შესრულების დროს. მუშახელისა და სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებელზე მეტი მასშტაბით მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში მათი მოხელეთა პირადი საჭიროებისთვის გამოყენება, ქრთამის გაშღები გლეხების გადასახადისაგან განთავისუფლება და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული.

---

[1] ССДЗТКГ, Тб., 1893, გვ. 19, 37, 97, 126, 133, 139, 145.

[2] იქვე, გვ. 145.

[3] „კვალი", 1898, № 34,

დროებით ვალდებული გლეხის საერთო მდგომარეობა. მძიმე, მეტად არასახარბიელო იყო მცირემიწიან და სრულიად უმიწო, გადასახადებით დატვირთულ და მეხელეთა თვითნებობით აწიოკებულ გლეხთა ცხოვრება. მათ ლუკმა-პურის შოვნა უჭირდათ, შიმშილობდნენ — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახასიათებდა რა მიწით უაღრესად ცუდად მომარაგებული ერთი ქართველი გლეხის მატერიალურ მდგომარეობას, გაზეთი „ივერია“ წერდა (1877 წ.): „ამას არაფრისაგან არაფერი არ აბადია; ბატონისაგან ჰრგებია მხოლოდ... სახლის ადგილი და ერთი კვალი ვენახი. ამას ნუ უკითხავთ ნურც საბძელს და ნურც ბოსელს. რაც შეეხება სახლს, ეს ხომ საკვირველი რამ არის. აი მიწის სახლი, რომელიც ძალზეა ჩამჯდარი დედამიწაში, კარები დასავლეთის მხრისაკენ აქვს და დიდი წვიმის დროს ნიაღვარი თავისუფლად შეუვარდება ხოლმე შინ, ერთი ბანი აქვს, ფანჯარაც ეს არის და ბუხარიც. ამ სახლის პატრონს ოთხი ბავშვი ყავს; ორი ვაჟი და ორი ქალი. სულ ექვსი სულნი სცხოვრობენ... აღწერილ მიწის სახლში, აქვე ჰყავთ პატრონებს ქათმებიც და ინდაურებიც. ამათი ცხოვრება... რაღაც საცოდაობაა. ცარიელი მჭადიც კი სანატრელია... ლობიოსაც ათასში ერთხელ ეღირსებიან... რაც შეეხება ჩაცმა-დახურვას, ეს ხომ სათქმელი არ არის — ერთი დაგლეჯილი ჩოხა თავისის შესაფერისის პერანგით და მისი ამხანაგით — აი ეს არის ტანსაცმელი სახლის უფროსისა. ბავშვები ხომ სრულიად თავ-შიშვლები და ფეხშიშვლები არიან, მხოლოდ დაძონძილი პერანგები აცვიათ. არც ბავშვების დედაა უკეთეს მდგომარეობაში. ამასაც დაკონკილებში და დაძონძილებში ამოსდის სული. ამათთვის არც ძილია ხეირიანი. კერის ახლოს უგიათ ძველი ფარდაგი და ბავშვები ამ ფარდაგზე გოჭებივით მისწოლიან დედას ერთ ტურტლიან და დაგლეჯილს საბნის ქვეშ. ამათ მამას კიდევ კუნჭულში წაუვია რაღაც ჩული და ზედ თავისი ჩოხა წაუხურავს. ეს არის ამ საწყლების ცხოვრება“[1].

უფრო მძიმე იყო სრულიად უმიწო გლეხის ხვედრი. აი როგორაა აღწერილი მისი ყოფა იმავე გაზეთში. „ეს ხომ საცოდავია და საცოდავი. ამას სახლის ადგილიც კი არსად აქვს. ერთ წელიწადს ერთის... ბოსელში დგას, მეორე წელიწადს — მეორის... ხან ერთი გამოაგდებს ბოსლიდან, ხან მეორე და არის ერთ ცეცხლში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისი ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა, უფრო უკანასკნელია (ე. ი. უარესია — ავტ.). მინამ ზემოდ მოყვანილი გლეხისა, თუმცა კი ესეც არავის ჩამორჩება მუშაობაში“[2].

---

[1] „ივერია“, 1877, № 34, შეადარე ს. ბავრელის წერილი „ზამთარი“ („ივერია“, 1878, № 8).

[2] იქვე.

მწერალ ი. ბაქრაძეს ერთ თავის სტატიაში, რომელიც 1875 წელს გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა, აღწერილი აქვს საშუალო შეძლების[1] დროებით ვალდებული გლეხის მეურნეობა, რომელიც სანახევროდ ამუშავებდა მეშამულის ხუთ დესეტინა მიწას. როგორც დასახელებული ავტორის გაანგარიშებიდან ჩანს, ეს მეურნეობა დეფიციტური ყოფილა, მისი წლიური გასავალი, მხოლოდ საწარმოო ხარჯების სახით, 46 მანეთით სჭარბობდა თურმე შემოსავალს[2].

მართალია, ყოფილ საბატონო ყმათა აბსოლუტურ უმრავლესობას ცხოვრება უჭირდა და მატერიალურად დაბეჩავებული იყო, მაგრამ მათ შორის საკმაოდ დიდი შეძლების კომლებიც მოიპოვებოდნენ. რიცხობრივად ისინი ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ეკონომიურად ეს ჯგუფი წამყვან ძალას წარმოადგენდა. ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, მაგალითად, გორის მაზრის გლეხები თეიმურაზ მედოშვილი, პეტრე სამუკაშვილი, სოლომონ ვოგიჩაიშვილი, იოსებ თანდილაშვილი, დათო წრიალაშვილი, გედევან გაგლოშვილი, ალექსი ზაზიკაშვილი, ზაქარია გუგიტაშვილი, აბრამ ბეგიაშვილი და სხვ. ამათგან ყველაზე „მცირემიწიანი“ 50 დესეტინის მფლობელი დათო წრიალაშვილი იყო, ხოლო ყველაზე მდიდარი — 200 დესეტინიანი მარტო სახნავ-სათესი ფართობის პატრონი აბრამ ბეგიაშვილი[3].

სტატიაში „დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა კახეთში“, რომელიც 1888 წელს გაზეთ „მეურნეში“ დაიბეჭდა, აღწერილია შეძლებული გლეხის მეურნეობა. იგი რენტაბელურია, წმინდა მოგების მომცემი. მისი წლიური შემოსავალი სჭარბობს გასავალს 224 მანეთითა და 90 კაპიკით[4].

სწორედ ეს რიცხობრივად მცირე შეძლებული გლეხების ჯგუფი იძენდა პირველ რიგში დებულებით გათვალისწინებულ (თუ სხვა) მიწებს, გამოდიოდა დროებით ვალდებული მდგომარეობიდან და ეწერებოდა მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში. უმრავლესობა კი, როგორც ქვემოთაც აღვნიშნეთ, ამის საშუალებას მოკლებული იყო, თავის დახსნას ვერ ახერხებდა და თუ ახერხებდა — დიდი გაჭირვებით; მას უხდებოდა სესხის აღება, რომლის მძიმე პირობები მეტად არასახარბიელო პერსპექტივებთან იყო დაკავშირებული.

---

[1] საშუალო შეძლებისად ავტორი თვლის აღწერილი მეურნეობის პატრონს, მაგრამ ის სტატიის მიხედვით, უფრო ღარიბ გლეხად ჩაითვლება, ვიდრე საშუალოდ.

[2] „დროება“, 1875, № 113, 114, 117, განსაკუთრებით უკანასკნელი.

[3] ი. უ თ უ რ ა შ ვ ი ლ ი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1958, გვ. 179.

[4] გლეხების მასიური დავალიანების შესახებ იხ. „სასოფლო გაზეთი“, 1870, № 4, 1872, №17; КСХ, 1899, № 273, 276; სსცია, ფ. 244, ანაწ. 1, საქმე 55, ფურც. 9—10.

ბ) სახელმწიფო გლეხები

მიწათმფლობელობა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო გლეხთა მოსამარაგებლად (გერმანელი კოლონისტების ჩათვლით) სულ 946 237 დესეტინა მიწა ან სახაზინო მიწების საერთო რაოდენობის 35,9% იყო გამოყენებული.

XIX საუკუნის 80-იან წლებში შეგროვილი ცნობების თანახმად ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხის თითო კომლზე და სულზე მოდიოდა საშუალოდ შემდეგი რაოდენობის სანადელო მიწა[1] (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

გუბერნიების დასახელება	მიწა (დესეტინობით) გერმანელი კოლონისტების გამოკლებით მოდიოდა[2]			
	საშუალოდ თითო კომლზე		საშუალოდ ორივე სქესის თითო სულზე	
	ყველა სახის (კარმიდამო, ტყე, ბაღი, სახნავი, საძოვარი, უვარგისი) მიწები	მათ შორის სახნავ-სათესი საბაღე-სავენახე	ყველა სახის (კარმიდამო, სახნავი, საძოვარი, ბაღი, ტყე, უვარგისი). მიწები	მათ შორის სახნავ-სათესი საბაღე-სავენახე
თბილისის	17,67	5,89	2,76	0,92
ქუთაისის	4,23	2.70	0,64	0,41

[1] ცხრილი შედგენილია ფ. მარკოვის სტატიის «Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края»,-ს მიხედვით, СМИЭБГКЗК, II. გვ. 261—262, 263—264.

[2] თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების მიწის ფართობში იგულისხმება მხოლოდ სანადელო მიწები, რომელიც ხაზინას ეკუთვნოდა. მათ საკუთარი მიწებიც გააჩნდათ, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით. ხსენებული გუბერნიის სახელმწიფო გლეხების განკარგულებაში სულ (კერძო პირთაგან იჯარით აღებული ნაკვეთების გარეშე) 867276 დესეტინა მიწა ყოფილა, აქედან 875,518 დესეტინა ან საერთო ფონდის 98,86%-ხაზინის და 9758 დესეტინა ან საერთო რაოდენობის 1,14% საკუთრივ გლეხების (იხ. ი. მედვედევის «Справочная записка», მისი მოხსენების დანართი). ხოლო ქუთაისის გუბერნიის გლეხების მიწის ფართობში შეტანილია ორივე კატეგორიის მიწა როგორც საკუთარი, ისე ხაზინის. მათი საერთო რაოდენობა 88,719 დესეტინას უდრიდა. აქედან გლეხები თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ 43,912 დესეტინას ან მთელი ფონდის 48% (ი. მედვედევი «Справочная записка», შეადარე ფ. Марков, Земельное довольствие государственных крестьян закавказского края, СМИЭБГКЗК, II, გვ. 236.)

სხვა ცნობით კი გლეხების სარგებლობაში მყოფი მიწების 47,8% სახაზინო ყოფილა, 28,33%—საკუთარი და 23,87% — ხაზინასთან თუ კერძო პირებთან სადავო. ССДЗТКГ, Тифлис, 1893, გვ. 11; ბ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ.11, თბ., 1956, გვ., 658.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა 17,67 დესეტინა ყველა სახის მიწა, ხოლო სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე — 5,89 დესეტინა. ქუთაისის გუბერნიაში კი მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო. სახაზინო გლეხის თითო ოჯახს იქ საშუალოდ 2-ჯერ და მეტად ნაკლები სახნავ-სათესი და 4-ჯერ ნაკლები ყველა სახის მიწა გააჩნდა.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად აკმაყოფილებდა მიწის ეს რაოდენობა მშრომელი კაცის მოთხოვნილებას, უნდა ვიცოდეთ, რა ფართობი ყოფ საერთოდ საჭირო (ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმდროინდელი დონის გათვალისწინებით) იმისათვის, რათა ქართველ გლეხს ერჩინა თავისი ოჯახი და მოეხადა მრავალგვარი ვალდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამიერკავკასიის რწმუნებულის „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ ი. მედვედევის ორი მოხსენება — «Записка по вопросу об основаниях поземельного устройства государственных крестьян пяти губерний Закавказского края»[1] და «Пояснительные примечания к спискам селений казенных крестьян Закавказского края»[2], შედგენილი და წარდგენილი მის მიერ მთავრობისათვის XIX საუკუნის 90-იან წლებში. პირველ დოკუმენტში მოცემულია ავტორის შეხედულებანი სახაზინო გლეხების მიწათმოწყობის საერთო პრინციპების შესახებ, ხოლო მეორეში — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლების ჯგუფებად დაყოფა მათი მდებარეობის, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებისა და მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით. თითოეული ამ ჯგუფისათვის მედვედევს დასახელებული აქვს ნორმა სახნავ-სათესი, საკარმიდამო, საბაღე-სავენახე და სათიბ-საძოვარი მიწებისა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელი იყო გლეხის ოჯახის მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საშუალო სამაზრო და საგუბერნიო ნორმები ხსენებულ დოკუმენტებში მოცემული არ არის, მაგრამ მათი გაანგარიშება, ცხადია, სიძნელეს არ წარმოადგენს. ი. მედვედევის აზრით, როგორც ამ გაანგარიშებიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში სახაზინო გლეხის თითო ოჯახს უნდა ჰქონოდა ნადელი არა ნაკლებ 18 (19) დესეტინისა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში

---

[1] გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ წიგნში «Реформа поземелного устройства государственных крестьян... в конце XIX века», Сухуми, 1952, გვ. 27—74.

[2] სსცია, ფ. 12, ანაწ. 11, საქ. 311. გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ წიგნში «Государственные крестьяне Грузии в XIX веке», т.II.

— 11 (12) დესეტინისა[1]. ამაში იგულისხმებოდა ვარგისი მიწების ყველა სახე — საკარმიდამო სახნავი, საბაღე, სავენახე, საბოსტნე, სათიბი და საძოვარი ადგილები, ე. ი. ყველაფერი ტყის მასივის გამოკლებით. აქედან მარტო სახნავ-სათეს და საბაღე-სავენახე მიწებს მოხსენებითი ბარათის ავტორი უთმობდა: თბილისის გუბერნიაში — 8 დესეტინას, ქუთაისის გუბერნიაში — 10 დესეტინას[2].

ამ ნორმების სახელმწიფო გლეხთა ფაქტიურ მიწათმფლობელობასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მწარმოებელი კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიას მიწა საკმაო რაოდენობით არ ჰქონია არც აღმოსავლეთ, არც დასავლეთ საქართველოში. ეს ითქმის როგორც ვარგისი მიწების ყველა სახის, ისე, კერძოდ, სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე ნაკვეთების შესახებაც. ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად, ცხრილის თანახმად, სახაზინო გლეხის თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ 4,23 დესეტინა ყველა სახის მიწა, მაშინ როდესაც მას, ი. მედვედევის მოხსენების მიხედვით, მარტო ვარგისი მიწა უნდა ჰქონოდა ტყის მასივის გამოკლებით არანაკლებ 11—12 დესეტინისა. მეტ-ნაკლები ზომით იგივე ითქმის სახნავ-სათეს და საბაღე-სავენახე მიწების შესახებაც, რომლის ფაქტიური საშუალო საკომლო სიდიდე 2,7 დესეტინას ან საჭირო ნორმის მხოლოდ 27%-ს უდრიდა. თბილისის გუბერნიაში გლეხი შედარებით უკეთ იყო მომარაგებული, მაგრამ სახარბიელო მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არც საქართველოს ამ ნაწილში ყოფილა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ამ მხარეში სახაზინო გლეხის თითო ოჯახზე მოდიოდა 17,67 დესეტინა ყველა სახის მიწა, ე. ი. უფრო ნაკლები, ვიდრე მარტო ვარგისი მიწების იმ საშუალო საკომლო ნორმა, რომელსაც, როგორც აუცილებელ მინიმუმს, ითვალისწინებდა ი. მედვედევი. სახნავ-

---

[1] ამ ნორმების მიხედვით, ორივე სქესის თითო სულს (საშუალოდ) ყველა სახის ვარგისი მიწა უნდა ჰქონოდა: თბილისის გუბერნიაში 2,7 დეციტინა, ქუთაისის—1,55 დესეტინა.

ნორმის შედარებით სიდიდე პირველ შემთხვევაში აიხსნება იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც თამაშობდა მეცხოველეობა თბილისის გუბერნიის ეკონომიურ ცხოვრებაში. ი. მედვედევის გამოანგარიშებით, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში სახაზინო გლეხთა ნადელის 2,3 სათიბ-საძოვრებს უნდა სჭეროდა. საშუალო ზონის რაიონებში—50% და თბილი ზონის რაიონებში—40%; И. Г. Антелава, Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века» (შემდეგ შემოკლებით «Реформа»). გვ. 46.

[2] სულზე გაანგარიშებით კი მივიღებთ 1,25 დესეტინასა და 1,52 დესეტინას.

სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე მიწის უფრო მაღალი ნორმა ქუთაისის გუბერნიაში აიხსნება იმით, რომ სიმინდს, რომელიც დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის წამყვან და მასიურად გავრცელებულ კულტურას წარმოადგენდა, გაცილებით მეტი ფართობი სჭირდებოდა, ვიდრე ვენახს—კახელი გლეხის შემოსავლის ძირითად წყაროს.

სათესი და საბაღე-საკენახე მიწები კი ქართლ-კახეთის სახაზინო გლეხის თითო ოჯახს გააჩნდა დაახლოებით საჭირო რაოდენობის (8 დეს.) მხოლოდ 75%.

ასევე არასახარბიელო სურათს იძლევა მედვედევის ნორმების შედარება გლეხთა მიწით მომარაგების ფაქტიურ მდგომარეობასთან ცალკეულ მაზრებში.

მიწის ფონდის განაწილებაში ცალკეულ სოფლებსა და კომლებს შორის, თანამედროვეთა მოწმობით, მკვეთრი უთანაბრობა შეიმჩნეოდა. «Распределение земли между казенными крестьянами, — ვკითხულობთ თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის 1885 — 1886 წლების ანგარიშში, — вообщем крайне неравномерно; оно не только не согласуется с местными сельскохозяйственными условиями в различных районах губернии, но оно неравномерно даже в местностях с совершенно одинаковыми земледельческими условиями. Размеры подымных наделов измеряются от 40 и даже более десяти до нескольких квадратных сажений, не говоря уже о 2000 почти душ мужского пола, совершенно безземельных»[1]. ამასვე ადასტურებს თავის მოხსენებაში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამიერკავკასიის რწმუნებული. «Между тем, — წერს ის, — размеры пользования казенною землею отличается крайнею неравномерностью: подымные наделы видоизменяются в несоразмерно больших пределах, начиная от нескольких сот квадратных саженей и кончая количеством десятин, доходящим до 70»[2].

თანამედროვეთა ამ რამდენადმე ზოგად განცხადებას აკონკრეტებს XIX საუკუნის 80-იან წლებში შეგროვილი ცნობები. ამ ცნობების თანახმად თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლები საკომლო ნაკელების სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ[3] (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

თბილისის გუბერნია	სახ. გლეხებით დასახლებული სოფლების საერთო რაოდენობა	ეკლ. გამოკლებ.	არ ჰქონდა საკმარისი მიწა	ნაკელი ჰქონდა					
				5-დან 10 დესეტინამდე	10-დან 16 დესეტინამდე	16-დან 25 დესეტინამდე	25-დან 50 დესეტინამდე	50 დესეტინახე მეტი	
				სოფლების რაოდენობა და პროცენტები					
	932	11	213	193	123	120	152	120	
	100,0	1,18	22,8	20,70	13,19	12,87	16,30	12,87	

[1] სსკია, ფ. 244, ანაწ. 1, საქ. 44, ფურც. 8.
[2] ЦГИАЛ, ф. 243, оп. 1, д. 14, л. 279 об.
[3] СМИЭБГКЗК, т.II, გვ. 267.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისის გუბერნიაში იგრძნობოდა. სახელმწიფო გლეხების განკარგულებაში მყოფი სახაზინო, საკუთარი და ხაზინასთან თუ კერძო პირებთან სადავო მიწის ფონდი საკომლო ნადელების სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5[1]

	უმნიშვნელო კომლთა რიცხვი	საკომლო ნადელების სიდიდე											
		დესეტინამდე	1—2 დესეტ.	2—3 დეს.	3—4 დეს.	4—5 დეს.	5—6 დეს.	6—7 დეს.	7—8 დეს.	9—9 დეს.	9—10 დეს.	10—20 დეს.	20—514,50 დესეტ.
ამა თუ იმ ზომის ნადელის მქონე კომლთა რიცხვი	398	2142	4427	4016	3368	1955	1441	865	602	445	283	834	221
% კომლთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით	1,90	10,20	2009	19,21	16,04	9,31	6,86	4,12	2. 87	2,12	1,35	3,97	1,05

ამრიგად, 398 კომლს ან გლეხთა საერთო რაოდენობის (20 997 კომლი) 1,90%-ს არ ჰქონდა არც ერთი საჟენი არც საკუთარი და არც სახელმწიფო მიწა. დანარჩენი კომლები კი, ი. მედვედევის ნორმების მიხედვით, ასე ჯგუფდებოდნენ: უკიდურესად მცირემიწიანები (1-დან 5 დესეტინამდე), მიწის არასაკმაო (5-დან 10 დესეტინამდე), საკმაო (10-დან 20 დესეტინამდე) და, დასასრულ, ჭარბი რაოდენობით მქონენი. მათი ხვედრითი წონა შესაბამისად უღრიდა: 75,76%-ს (15 908 კომლი), 17,32 %-ს (3 636 კომლი), 3,97 %-ს (834) და 1,05%-ს (221 კომლი)[2].

უკიდურესად მცირემიწიანი და მიწის არასაკმაო რაოდენობით უზრუნველყოფილი მშრომელების გვერდით განსახილველი გუბერნიის ხუთ მაზრაში — ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკისა და შორაპნის — არსებობდა რიცხობრივად შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ თავისი ეკონომიური მდგომარეობით არსებითი მნიშვნელობის

[1] СМИЭБГКЗК, т. II, гз. 270.

[2] აქაც, სხვა შემთხვევის მსგავსად, იძულებული ვართ გლეხთა მიწით უზრუნველყოფის დონის გასარკვევად ვისარგებლოთ მარტო ეარგისი მიწებისათვის გაანგარიშებული მედვედევის ნორმებით და მივუყენოთ ის ცხრილს, რომელიც შეიცავს სტატისტიკურ მასალას მწარმოებელი კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის განკარგულებაში მყოფი უკლებლივ ყველა სახის მიწის შესახებ. ასეთი გზით, რა თქმა უნდა, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის მხოლოდ მიახლოებითი სურათის წარმოდგენაა შესაძლებელი.

მქონე კიდევ ორი ჯგუფი, აქედან ერთი ნორმალურად, ხოლო მეორე ჭარბად იყო მიწით უზრუნველყოფილი. პირველის საერთო რაოდენობა 1 767 კომლს ან 8,42%-ს უდრიდა და მაზრების მიხედვით ასე ნაწილდებოდა: ქუთაისის მაზრაში — 1 062 კომლი, სენაკის — 304, ზუგდიდის — 214, ოზურგეთის — 101 და შორაპნის მაზრაში — 80 კომლი. პროცენტული შეფარდებით კი[1] უზრუნველყოფილი გლეხები ყველაზე მეტად ზუგდიდის მაზრაში ყოფილან (25,98%). მას მოსდევდნენ სენაკის, ქუთაისის, ოზურგეთისა და შორაპნის მაზრები, სადაც ხსენებული ჯგუფის ხვედრითი წონა შესაბამისად 13,72, 12,53, 4,72% და 1,79%-ს უდრიდა. არათანაბრად იყო განაწილებული მაზრებს შორის ის 221 მიწით უხვად უზრუნველყოფილი გლეხიც, რომელიც შესასწავლ გუბერნიაში ირიცხებოდა. ამ რაოდენობის 88,69% (196 კომლი) მარტო ქუთაისის მაზრაზე მოდიოდა, 5,88% (13 კომლი) — შორაპნის, 3,17% (7 კომლი) — ოზურგეთის, 1,35% (3 კომლი) — ზუგდიდის და 0,90% (2 კომლი) — სენაკის მაზრაზე.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტიური მასალა, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი (ნაწილობრივ კი 70-იანი) წლების სინამდვილეს ასახავს, სახელმწიფო გლეხთა მიწით უზრუნველყოფის მეტად უნუგეშო სურათს იძლევა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, მკვეთრად განიცდიდა რა მიწის სიმცირე-ნაკლებობას, მეურნეობის გაშლა-გამართვას ვერ ახერხებდა და მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მომდევნო ხანაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულა. 90-იანი წლების მიწურულისა და 900-იანი წლების დასაწყისისათვის სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობა საგრძნობლად შემცირებულა, რაც მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი 6

გუბერნიების დასახელება	საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა სახნავი მიწა (დესეტინობით)		საშუალო საკომლო ნადელის შემცირების პროცენტი
	1884 წ.[2]	1902 წ.[3]	
თბილისის	5,66	4,92	13,00
ქუთაისის	2,27	1,92	15,42
სულ საქართველოში	3,97	3,42	13,84

[1] პროცენტი შესაფერი მაზრის სახაზინო გლეხების კომლთა საერთო რიცხვიდანაა გაანგარიშებული.

[2] Ф. Марков, Земельное довольствие государственных крестьян Закавказского края; СМИЭБГКЗК, т. II, 261—262.

[3] Ф. Гогичаишвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тиф., 1903, გვ. 16.

ცხრილიდან ირკვევა, რომ 1902 წლისთვის 1884 წელთან შედარებით სახნავი მიწების საშუალო საკომლო ნადელი შემცირებულა: თბილისის გუბერნიაში — 13%-ით, ქუთაისის — 15,42%-ით, ხოლო მთლიანად საქართველოში — 13,84%-ით.

გადასახადები. როგორც დროებით ვალდებული გლეხების, ისე სახაზინო გლეხთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საგადასახადო სისტემა წარმოადგენდა. ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ გადასახადების სიმძიმეზე, მოვიტანთ XIX საუკუნის 80-იან წლებში მედვედევის მიერ შედგენილ სათანადო ცხრილს (იხ. ცხრილი 7).

როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის გუბერნიის სახაზინო გლეხები უფრო მეტად იყვნენ დატვირთულნი გადასახადებით, ვიდრე ქუთაისის გუბერნიისა. პირველ მათგანში საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა 13 მანეთი და 75 კაპიკი ყველა სახის გადასახადი, ხოლო მეორეში — 10 მანეთი და 36 კაპიკი. გადასახადების სიდიდის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სიღნაღის (17 მან. და 17 კაპ. კომლზე), თბილისის (16 მან. და 20 კაპ.), თელავის (15 მან. და 17 კაპ.), გორის (15 მან. და 03 კაპ.), ახალქალაქის (14 მან და 28 კაპ.), ახალციხისა (14 მან. და 27 კაპ.) და ბორჩალოს (13 მან. 83 კაპ.) მაზრები. ყველაზე დაბალი ნორმები კი ყოფილა დუშეთისა (6 მან. და 27 კაპ.) და თიანეთის (6 მან. და 34 კაპ.) მაზრებში. მაგრამ მარტო ამ მონაცემების მიხედვით ძნელია მსჯელობა საგადასახადო ტვირთის სიმძიმის შესახებ საერთოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამაზე შედარებით სრულ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილის ბოლო გრაფები, რომლებიც გამოხატავს გადასახადების შეფარდებას მწარმოებელი კლასის მიწის ფართობთან. ამ რიგის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის გუბერნიაში კულტურული მიწის თითო დესეტინაზე მოდიოდა 66%-ით მეტი გადასახადი, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. რაც შეეხება გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც ყველა სახის მიწის თითო დესეტინაზე მოდიოდა, ის დასავლეთ საქართველოში თითქმის სამნახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე აღმოსავლეთში.

აქვე შევნიშნავთ, რომ იმ თანხიდან, რომელიც თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხის თითო ოჯახს ეხარჯებოდა საშუალოდ გადასახადების გასასტუმრებლად (13 მან. და 75 კაპ.), 28,58% (3 მან. და 83 კაპ.) საკომლო გამოსაღებზე მოდიოდა, 35,42% (4 მან. და 82 კაპ.) — საერობოზე და 36% (5 მან. და 09 კაპ.) — ნატურალურ და სასოფლო ფულად გადასახადებზე. ქუთაისის გუბერნიაში კი მათი ხვედრითი წონა შესაბამისად უდრიდა: 36,00, 33,59 და 30,41%-ს.

საერთოდ, საქართველოს სახელმწიფო გლეხებს აწვათ სხვადასხვა გა-

ცხრილი 1

მაზრებისა და გუბერნიების დასახელება	საკომლო გადასახადი (მანეთობით)				საერობო გამოსაღები (მანეთობით)				ნატურ. გადასახადები და სასოფ. გამოსაღები (მან.)				სულ (მანეთობით)			
	კომლზე	ორივე სქესის თითოზე	ულტერული ერი ბეს. თითოზე	ყველა სახის მიწის დესეტინაზე	კომლზე	ორივე სქესის თითოზე	ულტერული ერი ბეს. თითოზე	ყველა სახის მიწის დესეტინაზე	კომლზე	ორივე სქესის თითოზე	ულტერული ერი ბეს. თითოზე	ყველა სახის მიწის დესეტინაზე	კომლზე	ორივე სქესის თითოზე	ულტერული ერი ბეს. თითოზე	ყველა სახის მიწის დესეტინაზე
თბილისის . . .	3,93	0,79	0,57	0,28	4,67	0,84	0,67	0,33	7,60	1,37	1,09	0,54	16,20	2,93	2,34	1,15
ახალქალაქის . .	4,37	0, 8	0,42	0, 1	6,10	0,63	0,59	0,29	4,41	0,49	0,43	0,21	14,8	1,65	2,44	0,71
ახალციხის . .	4,91	0,55	0,72	0,26	6,03	0,68	0,88	0,44	3,33	0,38	0,49	0,24	14,27	1,16	2,09	1,04
ბორჩალოს .	3,70	0,44	0,[illegible]0	0,18	5,31	0,63	0,71	0, 7	4,82	0,58	0,63	0,24	13,83	1,68	1,86	0,69
გორის	4,73	0,75	1,31	0,97	5,[illegible]9	0,85	1,9	1,11	1,91	0,77	1, 5	0,01	15,03	2,37	4,15	3,09
დუშეთის . . .	1,63	0,25	0,67	0,12	2,97	0, 5	1,22	0,22	1,67	0,2	[illegible],68	0,12	6.27	5,95	2,57	0,46
სიღნაღის . . .	4,91	0,90	0,57	0,23	6,11	1,11	0,71	0,[illegible]2	6,15	1,12	0,7	0,32	17, 7	3,13	1,99	0,89
თელავის . . .	3,31	0,60	0,88	0,69	5,41	0,99	1,43	1,1	[illegible],05	1,[illegible]9	1,87	1,[illegible]6	15,77	2,88	4,18	3,26
თიანეთის . . .	2,88	0,55	1,72	0,02	1,07	0,21	0,64	0,0	2,34	0,4[illegible]	1,42	0,05	6,34	1,22	3,78	0,14
საშუალოდ თბილისის გუბერ.	3,83	0,60	0,64	0.22	4,82	0,75	0,81	0,27	5,09	0,79	0,85	0,28	13,75	2,14	2.31	0.77
ქუთაისის . . .	3,65	0,59	1,14	0,68	3,65	0,58	1,14	0,67	2,62	2,42	0,82	0,49	9,92	1,59	3,10	1,87
ზუგდიდის . .	5,18	0,97	1,47	0,84	2,67	0,49	0,76	0,43	3,43	0,64	0,97	0,56	11, 8	2,[illegible]0	3,20	1,83
ლეჩხუმის . . .	3,98	0,[illegible]0	1,55	0.99	2,44	0,31	0,95	0,61	3,35	0,43	1,31	0,84	9,97	1,24	3,81	2,44
ოსურგეთის . .	3,73	0,55	1,54	0,95	2,79	0,11	1,15	0,71	3,67	0,54	1,52	2,94	10,19	1,50	4,21	2,60
რაჭის	4,03	0,49	2,21	1,44	3,47	0,43	1,90	1,23	4,42	0.54	2,43	1.57	11,92	1,46	6,54	4,24
სენაკის	5,01	0,65	1,93	1,65	2,87	0,38	1, 0	0,95	3,06	0,40	1,18	1.01	10,94	1,44	4,21	3.61
შორაპნის . . .	3,[illegible]0	0,47	1,46	1,03	3,99	0,57	1,77	1,24	2,83	0,31	1,26	0,08	10,12	1,35	4,49	3,15
საშუალოდ ქუთაისის გუბერ.	3,83	0,58	1,42	0,91	3,48	0,53	1,29	0,82	3,05	0,46	1,13	0,72	10,36	1,57	3,81	2,45

დასახადების მძიმე ტვირთი, რომელიც მათ აუარებელ დროსა და მატერიალურ დოვლათს ართმევდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხი კულტურული მიწის თითო დესეტინაზე ქუთაისის გუბერნიაში — 10 ფუთი სიმინდის ღირებულ თანხას (3 მან. და 84 კაპ.) იხდიდა, ხოლო თბილისის გუბერნიაში დაახლოებით 4,5 ფუთისა.

'ითავრობის ღონისძიებანი სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობისათვის. 1900 წლის 1 მაისის კანონი. რას აკეთებდა მთავრობა იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც მოედგა სული მცირემიწიანობა-უმიწობით უკიდურესობამდე მისულ სახაზინო გლეხს? სათანადო მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის მთელ მანძილზე მას არ გაუტარებია არც ერთი ს ა ე რ თ ო ხ ა ს ი ა თ ი ს ღონისძიება მწარმოებელი კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის მიწით უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა-მომარაგების მიმართულებით. უფრო მეტიც. ეს საკითხი გასული საუკუნის 80—90-იან წლებამდე საერთოდ არ ყოფილა რამდენადმე მაინც სერიოზული განხილვის საგანი. «За небольшим исключением, — წერდა ი. მედვედევი,—касающимися водворения в Закавказье немецких колонистов и русских переселенцев, з е м е л ь н о е п о л о ж е н и е к а з е н н ы х к р е с т ь я н э т о г о к р а я н и к о г д а н е б ы л о п р е д м е т о м к а к и х-л и б о р е г у л и р у ю щ и х е г о з а к о н о д а т е л ь н ы х а к т о в. Р а в н ы м о б р а з о м в З а к а в к а з с к о м к р а е н е б ы л о п р е д п р и н и м а е м о с и с т е м а т и ч е с к и х м е р п о о б е с п е ч е н и ю э т и х к р е с т ь я н з е м л я м и и н о р м и р о в а н и ю и х н а д е л о в, п о д о б н ы х т е м, к а к и е т а к ш и р о к о п р и н и м а л и с ь в о в н у т р е н н и х г у б е р н и я х и м п е р и и в период попечительства над казенными крестьянами Министерства государственных имуществ»[1]. (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ამის უმთავრეს მიზეზად მთავრობა ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილის ძომთაბარულ ცხოვრებას, მიწების ბოლომდე გაუმიჯნელობასა და ხელოვნური მორწყვის საკითხის მოუგვარებლობას ასახელებდა[2].

ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ხელისუფლება სრულიად არაფერს აკეთებდა ამ მიმართულებით და გულხელდაკრეფილი უყურებდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის მცირემიწიანობით გამოწვეულ უკიდურეს სიღარიბეს. ჩვენ განკარგულებაში მყო-

---

[1] И. Г. А н т е л а в а, Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века, 1952, გვ. 27.

[2] Всеподданейший доклад министра государственных имуществ по поездке на Кавказ в 1889 г., СПБ, 1890, გვ.11—12.

ფი მასალებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ მთავრობა, ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე და გლეხების კატეგორიული მოთხოვნით შეშფოთებული, გამოუყოფდა ხოლმე მათ მიწის ნაკვეთებს. ასე მაგალითად, 1872 წელს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა უწყებამ მიწით მოამარაგა (თუმცა სრულიად არასაკმარისი რაოდენობით) სახაზინო გლეხის 74 ოჯახი[1], 1873 წელს — 22 ოჯახი[2] და 1874 წელს — 13 ოჯახი[3]. თბილისის გუბერნატორის ანგარიშის თანახმად კი, 1876 წელს სახელმწიფო გლეხებს, გერმანელ კოლონისტებსა და სამსახურიდან გადამდგარ სამხედრო ჩინებს მიუღიათ სულ 2 053 დესეტინა მიწა[4].

მაგრამ მთავრობის ასეთ საქმიანობას, რომელსაც სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა და თანაც ეხებოდა მწარმოებელი კლასის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, არ შეეძლო სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის რამდენადმე მაინც საგრძნობი გაუმჯობესება. უფრო სერიოზული ღონისძიებების გატარებას კი მეფის ხელისუფლება ერიდებოდა. და მაინც ის სახელმწიფოს შემოსავლის გადიდების სურვილმა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ იძულებული გახადა საფუძვლიანად განეხილა გლეხთა საკითხი. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მან დაიწყო რიგი საერთო ხასიათის ღონისძიებათა გატარება სახაზინო გლეხთა მიწათმოწყობის მიმართულებით.

ასე მაგალითად, 1881 წლის 22 მაისს დამტკიცებულ იქნა დებულება სახაზინო მიწების იჯარით აღებისას გლეხთა კოლექტივებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ. ამ კანონის თანახმად, გლეხთა საზოგადოებას უფლება ეძლეოდა იჯარით აეღო ხაზინის მიწა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის მათი საცხოვრებელი ადგილიდან საკმაოდ მოშორებით იმყოფებოდა. ამას გარდა, გლეხებს ფულადი გარანტიის გაღების მაგივრად ნება დაერთოთ სასოფლო კრების განაჩენი წარედგინათ[5]. 1883 წლის 5 იანვარს გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი, რომელიც უმიწო და მცირემიწიან გლეხთა გადასახადებს ეხებოდა. ცირკულიარში მითითებული იყო, რომ თავისთავად მიწის ნაკლებობა კიდევ არ არის საკმარი საფუძველი უშუალო მწარმოებლის გადასახადებისაგან განთავისუფლებისა და მისი მიწით მომარაგებისა. ასეთი ღონისძიების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მიზანშეწონილად მიჩნეული, თუკი დამტკიცდებოდა, რომ იქ, სადაც გლეხი ცხოვრობდა, ნამდვილად არ იყო იჯა-

---

[1] სსცია, ფ. 246, ანაწ. 1, საქ. 595, ფურც. 101—113.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე. ფ. 5 12, საქ. 3975, ფურც. 5—35.

[5] Сборник правительственных распоряжений и решений по устройству быта крестьян и поселян Кавказского края, 1880—1883 гг., составил М. Н. Кучаев, Тиф., 1883, გვ. 81.

რით გასაცემი მიწა და თანაც შეუძლებელი იყო კუსტარული მრეწველობის გაშლა-გამართვა. დასახელებული ცირკულიარი კრძალავდა გლეხისთვის მიწა მიეცათ იმ შემთხვევაში, თუკი მას ის წინათ გააჩნდა, მაგრამ მერე გაყიდა და ამით დაკარგა თავისი არსებობის ძირითადი წყარო[1]. დასასრულ, 1884 წლის ბოლოს მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო გლეხთა საზოგადოებისათვის საჯარო ვაჭრობის გარეშე მიწის იჯარით გაცემის შესახებ.

ეს ღონისძიებები, ცხადია, დღის წესრიგიდან არ ხსნიდა ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწით მომარაგების საკითხს. ამ უკანასკნელის მეტ-ნაკლებად მოგვარება მხოლოდ ძირეულ რეფორმას შეეძლო, რომლის აუცილებლობას თვით მთავრობის წრეებშიც კარგად გრძნობდნენ ბოლო დროს.

დაიწყო რეფორმის მომზადება, რომელიც არსებითად 16 წელი (1884—1900 წწ.) გაგრძელდა. დასასრულ, 1900 წლის 1 მაისს, სხვადასხვა ინსტანციაში ხანგრძლივი დებატების შემღეგ, მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობის შესახებ[2]. კანონი, რომლის მთელი აზრი საბოლოოდ არსებული მდგომარეობის ფ ი ქ ს ი რ ე ბ ა ს ა და ამ მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის შედგენაში გამოიხატა, არ ითვალისწინებდა უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისა და გლეხთა საზოგადოებისათვის მიწის ნადელის გამოყოფასა და ამ ნადელის გარკვეულ ნორმამდე აყვანას (ასეთი ნორმები საერთოდ არ დაწესებულა). მხოლოდ გამონაკლისს, განსაკუთრებით „საპატიო შემთხვევებში", მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უფლება ჰქონდა, კავკასიის მთავარმართებელთან შეთანხმებით, გაედიდებინა გლეხთა ნადელები ან გამოეყო ახალი სახაზინო მიწების ხარჯზე, რომელიც პრინციპში ხელუხლებლად ითვლებოდა, როგორც კოლონისტებისათვის განკუთვნილი ფონდი.

განსახილველი კანონის საფუძველს წარმოადგენდა სახაზინო გლეხისათვის მის ფაქტიურ განკარგულებაში მყოფი მიწის არა საკუთრებად, არამედ მუდმივ მფლობელობის უფლებით მიცემის იდეა. მართალია, ცენტრალური კომისიის რეკომენდაციით, ამის შესახებ კანონში პირდაპირ არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ სხვადასხვა მუხლში შეტანილი შეზღუდვები სავსებით ნათლად საზღვრავდნენ გლეხების დამოკიდებულების ხასიათს მათთვის გამოყოფილ (უფრო სწორად, მათ სარგებლობაში მყოფი)

---

[1] Сборник правительственных распоряжений и решений по устройству быта крестьян и поселян Кавказского края 1880—1883 гг., составил М. Н. Кучаев, Тиф., 1883, გვ. 93.

[2]. კანონის ტექსტი იხ. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა ს წიგნში «Реформа поземельного устройства..., გვ. 266—269.

მიწებისადმი. მე-5 მუხლის თანახმად, მაგალითად, გლეხი, რომელიც საზაზინო მიწით სარგებლობდა, იხდიდა ყოველწლიურ სახელმწიფო საღალო გადასახადს. მე-12 მუხლი კატეგორიულად უკრძალავდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას სანადელო მიწის გაყიდვასა და დაგირავებას. მე-13 მუხლი კი სახელმწიფოს აცხადებდა იმ წიაღისეულის ბატონ-პატრონად, რომელიც სანადელო მიწების ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა.

ერთი სიტყვით, 1900 წლის „რეფორმას" არ გადაუჭრია აგრარული საკითხი და სახაზინო გლეხთა დიდი ნაწილი ისევ დარჩა მიწით მოუმარაგებელი. აგრარული პრობლემის ასეთი გადაწყვეტა ხელს უწყობდა ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების კონსერვაციას და აფერხებდა კაპიტალიზმის გამარჯვებას. ამიერკავკასიის ქვეყნების ბურჟუაზიული განვითარება შესაძლებელი იყო მაშინ ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების სრული ლიკვიდაციით, სახელმწიფო და მემამულეთა მიწების გლეხებისათვის გადაცემით და ისეთი უაზრო და მავნე ინსტიტუტების გაუქმებით, როგორიცაა „გლეხთა ნადელების გაუსხვისებლობა, ურთიერთთავდადება, თემიდან გლეხთა თავისუფლად გასვლის... აკრძალვა!"[1].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე 1900 წლის 1 მაისის „რეფორმა" შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა არა ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილად გაუმჯობესებას, არამედ ძველი, დრომოჭმული წესების კონსერვაციით კლასობრივი ბრძოლის საშიში შედეგების თავიდან აცილებასა და ხაზინის შემოსავლის გადიდებას.

გ) ხიზნები

მიწათმფლობელობა, გადასახადები. სტატისტიკის ნაკლულობის გამო შეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ამ კატეგორიის გლეხთა საერთო რაოდენობის ზუსტად დადგენა, მაგრამ მიახლოებით განსაზღვრა მაინც ხერხდება. მ. კუჭაევის ცნობით[2], მაგალითად, რომელსაც მხარს უჭერენ ილია ჭავჭავაძე[3] და სიმონ ავალიანი[4], თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების პერიოდში სულ 5 977 კომლი ხიზანი ყოფილა. რეფორმის მომდევნო ხანაში, დაახლოებით 20—25 წლის განმავლობაში, გარკვეული

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 520.

[2] МИЭБГКЗК, т. I, გვ. 426.

[3] იხ. მისი „ხიზნების საქმე". თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, თბ., 1956 გვ. 172.

[4] С. Авалиани, Крестьянский вопрос..., т. IV, გვ. 148.

მიზეზების ზეგავლენით ხიზანთა ინსტიტუტს რიცხობრივი ზრდა განუცდია[1] და გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველი ნახევრისათვის ხიზანთა კომლების რაოდენობას საქართველოში 9 306-მდე მიუღწევია. აქედან თბილისის გუბერნიაზე 6 774 კომლი მოდიოდა[2], ხოლო ქუთაისის — 2 532[3].

საგლეხო რეფორმა, როგორც ცნობილია, ხიზნებზე არ გავრცელებულა; უკეთ რომ ვთქვათ, ის ხიზანთა მხოლოდ ერთ ნაწილს, ყმური წარმოშობის კომლებს შეეხო, დანარჩენი მასა კი იურიდიულად ისევ ძველებურ მდგომარეობაში დარჩა. ეს ძველი მდგომარეობა კი არ იყო ისე სახარბიელო, როგორც ამას თავადაზნაურთა უმრავლესობა ხატავდა რეფორმის მომზადება-გატარების წლებში. მაგრამ მთავარია არა ამის აღნიშვნა, არამედ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხთა ცხოვრებისა და შრომის პირობების საგრძნობი გაუარესების ფაქტისა რეფორმის მომდევნო ხანაში. ბატონყმობის გაუქმებამ, რომელმაც მწარმოებელი კლასის ერთი ნაწილი საერთოდ უმამულოდ დატოვა, ხოლო მეორე—არასაკმაო რაოდენობით მომარაგებული, საგრძნობლად გაზარდა მიწაზე მოთხოვნილება და სწრაფად ასწია მისი ფასი. ასეთ ვითარებაში მემამულეებს არ აწყობდათ ხიზნური ურთიერთობის ისეთი ნიშნები, როგორიც იყო გადასახადების უცვლელობა და მიწით სარგებლობის უვადობა. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ ამ არახელსაყრელი ნიშნების მოსპობისათვის და, უნდა ითქვას, არც თუ ისე წარუმატებლად.

ხიზნების, ისე როგორც ყველა სხვა კატეგორიის გლეხთა, ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორი მიწა იყო. 1882—1884 წლე-

---

[1] ამ ზრდას ხელს უწყობდნენ თვითონ მემამულეებიც. ისინი, ვითარცა მუდმივი მუშახელის შეძენა-შენარჩუნებით დაინტერესებულნი, დიდი სიამოვნებით უთმობდნენ გლეხებს ეგრეთწოდებულ სადავო მიწებს ხიზნურ საფუძვლებზე დასამუშავებლად (В. Г. Гучуа, Хизанство и хизанский вопрос в Грузии. Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1955, გვ. 14). იმავე მიმართულებით მოქმედებდა ის გარემოებაც, რომ 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულების მერვე მუხლი, რომლის ძალითაც ყმური წარმოშობის ხიზნები თავისუფლდებოდნენ ძველი მებატონის ხელქვეითობიდან და რჩებოდნენ ახალ მემამულესთან ხიზნის მდგომარეობაში საადგილმამულო ურთიერთობათა ნორმების ყოველგვარი შეცვლის გარეშე, ისე გაიგეს გლეხებმა, რომ თითქოს მათ „საკანონმდებლო წესით მიემაგრათ მათ სარგებლობაში მყოფი მიწები“ (ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბილისი, 1965, გვ. 21). ეს კი უნადელოდ გათავისუფლებულ გლეხთა თვალში მიმზიდველობის ძალას მატებდა ხიზნობის ინსტიტუტს და იწვევდა მის რიცხობრივ ზრდას (იქვე).

[2] ССДЗТКГ, Тифлис, 1893, გვ. 15; С. Авалиани, Крестьянский вопрос, т. IV, გვ. 148; И. Г. Антелава, Государственные крестьяне..., т.II, გვ. 51.

[3] МИЭБГКЗК, т. I, გვ. 429; СХАО, IV, გვ. 716; С. Авалиани, Крестьянский вопрос..., т. IV, გვ. 49;. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 176; გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 37.

ბის ცნობების თანახმად, ხიზანთა მიწით მომარაგების საქმე შემდეგნაირად წარმოიდგინება. თბილისის გუბერნიაში, მაგალითად, ხსენებული კატეგორიის გლეხთა საერთო რაოდენობის 11,54%-ს სულ არ ჰქონია სახნავ-სათესი მიწა, 22,41%-ს ჰქონია საშუალოდ 2,5 დესეტინამდე, 43,80%-ს — 2,5-დან 5 დესეტინამდე და 20,21%-ს — 5 და ხუთ დესეტინაზე მეტი [1]. მთელ გუბერნიაში კი თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ 4,3 დესეტინა მიწა [2]. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, იქ ეს საშუალო საკომლო ნადელი არ აღემატებოდა 2,29 დესეტინას [3]. მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის კი ხიზანთა საკომლო მიწისმფლობელობა კიდევ უფრო შემცირებულა და ის აღმოსავლეთ საქართველოში 3,60 დესეტინამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1,93 დესეტინამდე ჩამოქვეითებულა [4].

მიწის ეს ფართობი, რომელიც ოდნავ მეტი იყო, ვიდრე დროებით ვალდებულ გლეხთა ნადელი და მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე სახაზინო გლეხებისა, ცხადია, სრულებით არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ხიზანს ოჯახი ერჩინა და მოეხადა თავისი მოვალეობა მიწის პატრონისა და სახელმწიფოს წინაშე.

ხიზნის ეკონომიურ მდგომარეობას საგრძნობლად აუარესებდა გადასახადები, რომელთა დიდ ნაწილს ის მემამულეს აძლევდა. ამათში ძირითადი იყო: 1) ღ ა ლ ა — პურის გადასახადი, რომლის რაოდენობა შემოსავლის $^1/_6$-დან $^1/_2$-მდე მერყეობდა; 2) კ უ ლ უ ხ ი — ყურძნის გადასახადი შემოსავლის $^1/_7$—$^1/_4$ ნაწილის რაოდენობით და 3) ბ ე გ ა რ ა—შრომითი გადასახადი 50 სამუშაო დღის რაოდენობით წელიწადში [5]. გადასახადებს პროდუქტადი, ფულადი და შერეული რენტის სახით იხდიდნენ. წამყვანს პირველი წარმოადგენდა. მისი ხვედრითი წონა თბილისის გუბერნიაში 1894 წელს 78,8%-ს უდრიდა, ხოლო მეორისა და მესამისა — 10,1 და 11,1%-ს შესაბამისად [6]. ამ გადასახადების საერთო ჯამი ძალზე დიდი იყო და მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას. დუშეთის მაზრაში, მაგა-

---

[1] С. А в а л и а н и, Крестьянский вопрос..., т. IV, გვ. 150.

[2] იქვე. გვ. 151; ф. Г. Г о г и ч а й ш в и л и, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тиф., 1903, გვ. 17; ზოგი წყარო 4,5 დესეტინას ასახელებს (СХАО, т. IV, გვ. 674).

[3] Г. Г о г и ч а й ш в и л и, Малоземелье... გვ. 17; ვ. გ უ ჩ უ ა, დასახ. ნაშრომი გვ. 15, ზოგი წყაროს ცნობით კი, ხიზნის საშუალო საკომლო ნადელი 80-იანი წლების ქუთაისის გუბერნიაში 2,40 დესეტინას უდრიდა (СХАО, т. IV, გვ. 674).

[4] იქვე.

[5] В. Г у ч у а, Хизанство и хизанский вопрос..., გვ. 8—10.

[6] იქვე, გვ. 15, პროცენტები გამოთვლილია ჩვენ მიერ.

ლითად, 1884 წელს პირველი კატეგორიის[1] ხიზნის თითო კომლი მემამულეს უხდიდა (ფულზე გადატანით) 123 მან. და 75 კაპიკს, მეორე კატეგორიისა — 97 მან. და 55 კაპ., მესამე კატეგორიისა — 66 მან. და 45 კაპ., მეოთხე კატეგორიისა — 28 მან. და 20 კაპ. და მეხუთე კატეგორიისა — 16 მან. და 20 კაპიკს[2]. მთელ მაზრაში კი თითო კომლზე (განურჩევლად კატეგორიებისა) მოდიოდა საშუალოდ 66 მან. და 49 კაპ., ხოლო თითო დესეტინა ყველა სახის მიწაზე — 12 მან და 65 კაპ. მარტო მემამულის სასარგებლო გადასახადი[3].

მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ხიზნობის შესახებ. ხიზნობის ძირითად ნიშანს, როგორც აღვნიშნეთ, გადასახადების უცვლელობა და მფლობელობის მუდმივობა წარმოადგენდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მემამულეს უფლება არ ჰქონდა ხიზანი აეყარა, მის სარგებლობაში მყოფი მიწა სხვისთვის გადაეცა ან ერთხელ დადგენილი გადასახადები გაედიდებინა. ეს პრინციპები ხალხის ადათ-ჩვეულებებით იყო გამაგრებული და თეორიულად ურყევლად ითვლებოდა. მაგრამ რეალური ცხოვრება მას ანგარიშს არ უწევდა. ამ პრინციპების დარღვევას მეტ-ნაკლებად ყოველთვის ჰქონდა ადგილი, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი 1864 წლის რეფორმის შემდეგ გახდა. ბატონყმობის გაუქმებით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება მემამულეებმა ხიზნებზე იერიშის მიტანით სცადეს. ისინი, გათამამებულნი მიწის ფასის შეუნელებელი ზრდით განსახილველი ხანის საქართველოში, თავგამოდებით იბრძოდნენ ხიზნობის ზემოთ დასახელებული ნიშნების წინააღმდეგ. პრივილეგიური წოდება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხები ეცნოთ ჩვეულებრივ მოიჯარეებად, რომ დაემტკიცებინა მათი სრული იგივეობა. ხიზანი,—წერდა 1880 წელს გორელი მემამულე ვეზიროვი,—მიწის თავისუფალი ექსპლოატატორია, მიწისა, რომელშიც ის ფულს იხდის, მაშასადამე, ის სხვისი საკუთრების მოიჯარადრეა[4].

მემამულე არა მარტო ცდილობდა ამის დამტკიცებას, არამედ პრაქტიკულადაც ატარებდა ამ თვალსაზრისს. იგი ძალით ერეკებოდა ხიზანს, ვითარცა ჩვეულებრივ მოიჯარადრეს ათეული წლების მანძილზე

---

[1] პირველი კატეგორიის ან ლიტრის ხიზნად ითვლებოდა 10 დესეტინა მიწის მქონე, მეორე კატეგორიის ან სამჩარექიანად 7,5 დესეტინისა, მესამე კატეგორიის ან ნახევარლიტრიანად — 5 დესეტინისა, მეოთხე კატეგორიის ან ჩარექიანად — 2,5 დესეტინისა და მეხუთე კატეგორიისად — უმიწაწყლო ხიზნები.

[2] А. Х. Вермишев, Хизаны и хизанство, Тиф., 1884, გვ. 17.

[3] იქვე, გვ. 18, ამ გადასახადებს ძალიან მძიმედ თვლიდა ვერმიშევი (იქვე, გვ. 18, 25).

[4] „დროება", 1880 № 75, „ხიზანი არის ნამდვილი მოიჯარადრე სხვისადმი კუთვნილ მამულისა".

მის მემკვიდრეობით სარგებლობაში მყოფი მამულიდან, ან იძულებულს ხდიდა მას მოკლევადიანი ხელშეკრულება დაედო და ეხადა ახალი გადასახადები. «Поставленные в затруднительное положение освобождением крестьян помещики, — წერდა ნ. ნიკოლაძის გაზეთი „ობზორი“, — всей своей тяжестью начали налегать на хизанов и в этот короткий промежуток времени (მხედველობაშია რეფორმის მომდევნო 15—16 წელი — ავტ.) рента увеличилась почти в 40 раз»[1].

თუმცა ცნობა ხიზანთა გადასახადების ესოდენ საგრძნობლად გადიდების შესახებ არ მიგვაჩნია სავსებით სარწმუნოდ, მაგრამ მაინც მეტად საყურადღებოა და ლაპარაკობს მწარმოებელი კლასის ჩვენთვის საინტერესო რაზმის ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების შესახებ გასული საუკუნის 60—70-იან წლებში.

მემამულეთა ამ შეტევა-იერიშს ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ თვით ხიზნები. ისინი ბრძოლის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით მედგრად იცავდნენ თავს და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იხევდნენ უკან. მათ საჩივრებით ააავსეს მთავრობის დაწესებულებები, ატეხეს დიდი განგაში, ძოითხოვეს საქმეში ჩარევა და საკითხის სამართლიანად და სწრაფად გადაჭრა. ასე წარმოიშვა რეფორმის მომდევნო ხანაში ეგრეთ წოდებული ხიზანთა საკითხი, რომელსაც მხურვალედ გამოეხმაურა მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება. ეს უკანასკნელი უყოყმანოდ დადგა გლეხის, ამ შემთხვევაში ხიზნის, მხარეზე და გაბედულად დაიცვა მისი ინტერესები. ის აგრარული ურთიერთობის სამართლიან საფუძველზე დამყარებას მიწის პრობლემას უკავშირებდა და ამ ძირითადი საწარმოო საშუალების სოფლის მშრომელი მოსახლეობის საკუთრებაში გადაცემას მოითხოვდა. ამას მოითხოვდა ქართველი ინტელიგენცია, კერძოდ, ხიზნების მიმართაც, მაგრამ საკითხის ასეთნაირად და თანაც სწრაფად გადაჭრის შეუძლებლობის ვითარებაში, ის გამოდიოდა ხიზანთა ინსტიტუტის ადათით გამაგრებული და გლეხებისათვის შედარებით ხელსაყრელი ნიშნების დაცვა-შენარჩუნების წინადადებით და კატეგორიულად ილაშქრებდა ხიზნების ჩვეულებრივ მოიჯარადრეებად გამოცხადების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

ამ ცდის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა, კერძოდ, ნიკო ნიკოლაძემ. მას გორელი თავადის ვეზიროვის ზემოდასახელებულ „ტრაქტატს“ მიუძღვნა სპეციალური სტატია, რომელიც მოწინავე წერილის სახით დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წელს. აკრიტიკებდა რა „ტრაქტატის“ ძირითად დებულებას, ავტორი წერდა: «Насколько убедительны доказатель-

---

[1] «Обзор», 1884, № 93.

ства кн. Везирова..., что хизаны ни больше, ни меньше, как простые арендаторы, — пусть судит всякий, как ему угодно, но нам сдается, что эта точка зрения ошибочная. Арендатор — человек свободный, могущий удаляться и быть удаленным из взятого им в наймы имения; хизаны же, если не все, то в большинстве испокон веков владеют тою землею, на которой мы их застаем сегодня... (Поэтому) называть хизанов арендаторами и подводить их под общие законоположения — значит отдавать целый класс народа произволу помещиков»[1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ნ. ნიკოლაძე არწმუნებდა მთავრობას, რომ ხიზნის ჩვეულებრივ მოიჯარადრედ გამოცხადება დიდ ზიანს მიაყენებდა ქვეყნის საერთო კეთილდღეობას. გლეხი, რომელიც არაა დარწმუნებული, რომ მიწა მისია და რომ მას ხვალ-ზეგ არავინ წაართმევს, ვერ იქნება კარგი მეურნე. ის, როგორც ობობა, ეცდება ამოწუწნოს ამ მიწას უკანასკნელი წვეთი და მიიყვანოს იგი სრულ გამოფიტვამდე[2]. ამიტომ, ნათქვამია წერილის ბოლოს, „დაფიქრდით, რამდენად ჰუმანიური, კანონიერი და ხელსაყრელი იქნება „სახელმწიფოსათვის ხიზნების ასე ბედის ამარად დატოვება და მათი თავისუფალ მოიჯარადრეებად აღიარება“[3].

ნ. ნიკოლაძე უფრო მოგვიანებითაც მიუბრუნდა ამ საკითხს და იგივე თვალსაზრისი განავითარა. მან 1884 წლის 7 (19) აპრილს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა კიდევ ერთი მოწინავე წერილი, რომელშიც ვკითხულობთ[4]: „ხიზანთა საკითხი ეკუთვნის სრულიად მომწიფებული საკითხების რიცხვს, იგი დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს

---

[1] «Обзор», 1880, № 470.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] «Новое обозрение», 1884, № 93, მოწინავე.

აღსანიშნავია სხვათა შორის ის გარემოება, რომ გაზ. „ნოვოე ობოზრენიემ“ აღძრულ საკითხზე სხვა ხასიათისა და შინაარსის წერილებიც გამოაქვეყნა. ასეთია, მაგალითად, 1886 წლის 972-ე ნომრის მოწინავე, დაწერილი, როგორც დასტურდება, ხ. ვერმიშევის მიერ. ავტორმა, რომელიც, განსხვავებით მოწინავე ქართველი ინტელიგენციისაგან, საერთოდ თვით შორეულ მომავალშიც კი წინააღმდეგი იყო გლეხებისათვის მიწის საკუთრებად გადაცემისა, წამოაყენა წინადადება ხიზნების სახაზინო გლეხთა კატეგორიაში გადაყვანის შესახებ. ხაზინას, მისი აზრით, უნდა შეესყიდა მემამულეთა მიწები და მერე ღაერიგებინა ხიზნებისათვის, მაგრამ არა ინდივიდუალურად, კომლობრივად, არამედ თემურად. ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე იმ გადასახადების დროზე აკრეფისა და შეტანისათვის, რომელიც ხაზინას, როგორც მიწის პატრონს, უნდა მიეღო ხიზნებისაგან (Газ. «Новое обозрение», 1886, №972. შეადარე მისივე «Хизаны и хизанство», 1884, გვ. 25—26).

და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მართლაც მალე და სამართლიანად გადაიჭრება... (ამისთვის კი) აუცილებელია..., რომ ხიზნები მოიჯარეებად არ აქციონ".

ხიზნების საკითხს ქართველი ხალხოსნების ორგანო „შრომაც" გამოეხმაურა და ხიზნების მესაკუთრეთა რიგებში გადაყვანა მოითხოვა. „ბატონყმობის მოსპობისათვის დადგენილმა კანონმა, — წერდა ,,ეი 1882 წელს, — კარგად იყო თუ ავად, მაინც განსაზღვრა ბატონისა და ყმის ურთიერთშორისი დამოკიდებულება ადგილ-მამულის ოაობაზედ... მაგრამ ეს კანონი სრულებითაც არ შეხებია იმ გლეხებს, რომელთაც მიწის მეპატრონეებთან ხიზნური დამოკიდებულება აქვთ... თუ ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენ ამ საგანზე არავითარი მზრუნველობა არ მიგვიღია, ჩვენი მოვალეობა მოითხოვს... შევინანოთ შეცოდება და ხიზნების საქმე მსწრაფლად წავიყვანოთ და იმნაირადაც დავაბოლავოთ, როგორც ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესი... ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ თუ მართებლობამ რიგიანად შეკრიბა მასალები ხიზნების შესახებ, გულ-მოდგინედ და დაკვირვებით შეიმუშავა ეს მასალები, იმ დასკვნამდე მივა, რომ ქვეყნის სარგებლობისათვის საჭირო არის ხიზნებიც სრული მესაკუთრე შეიქმნენ იმ ადგილ-მამულისა, რომელთაც ისინი ფლობენ" (ხაზი ჩვენია — ავტ.)[1].

ასეთივე იყო გაზეთ „დროების" წამყვანი ჯგუფის თვალსაზრისიც. „ხსენებული (1861 წლის) რეფორმის წყალობით, — ნათქვამია მის ერთ-ერთ წერილში, — დღეს რუსეთში დიდძალი რიცხვი გლეხ-კაცობისა, როგორც სახელმწიფონი, ისე დროებით ვალდებულნი, მესაკუთრენი შეიქმნენ მიწისა და ამგვარად ბევრად თუ ცოტად სამუდამოდ დაემყარენ ამ თავიანთ თითქმის ერთად ერთ ღონეს და საღსარს ცხოვრებისას... ჩვენში კი ისე ადვილი არ აღმოჩნდა გლეხ-კაცის რიგიანი სამიწაწყლო მოწყობილობის დამყარება. ჩვენში არა თუ ძალიან მცირე რიცხვი გლეხ-კაცობისა გამოვიდა დროებით ვალდებულ მდგომარეობიდან და არა თუ სახელმწიფო გლეხნი ჯერ ისევ მესაკუთრენი არ შექმნილან, არამედ ისინიც კი, ვის მდგომარეობასაც ერთს საუკეთესო და სახარბიელოდ სთვლიდნენ — ისინიც რეფორმის შემდეგ უფრო უხეირო მდგომარეობაში ჩავარდნენ. ჩვენ ვამბობთ ხიზნებზე" (ხაზი ჩვენია — ავტ.)[2].

---

[1] „შრომა", 1882, № 29, მოწინავე.

[2] „დროება", 1884, № 273.

ყველაზე მეტი ყურადღებით ხიზნების საკითხს მაინც ილია ჭავჭავაძე მოეკიდა. მან 1880 და 1886 წლებში „დროებასა“ და „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილების მთელი სერია „ხიზნების საქმე“-ს საერთო სათაურით[1]. იგი არა მარტო ისტორიულ-თეორიული ხასიათის ნარკვევებს ბეჭდავდა აღძრულ საკითხზე, არამედ პრაქტიკულადაც მონაწილეობდა მის გადაჭრა-მოგვარებაში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ილიამ 1884 წელს საკმაოდ ვრცელი მოხსენებითი ბარათი მიართვა თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოს[2], ხოლო მომდევნო 1885 წელს სათანადო პროექტიც კი წარადგინა ხიზნობის ინსტიტუტის შესახებ[3].

ყველა ამ დოკუმენტში ავტორი განუხრელად ავითარებდა თვალსაზრისს სოფლის მშრომელი მოსახლეობის, მათ შორის ხიზნების, მიწის მესაკუთრედ გადაქცევის აუცილებლობა-საჭიროების შესახებ. მისი ღრმა რწმენით ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვდა იმას, რომ გლეხი „დღეს თუ არა ხვალე“ მამულის პატრონად ქცეულიყო[4]. იგი გულისტკივილით ლაპარაკობდა შრომისა და მიწის ვათიშულობაზე მის თანამედროვე საქართველოში[5]. მას მეტად სავალალოდ მიაჩნდა ის, რომ მაშინ შრომა ერთის ხელში იყო, ხოლო მიწა — მეორის. აქ, მისი სიტყვით, უსამართლობა თვით სათავეშივე იყო მოცემული[6].

ილიას ნორმალური მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ ამ ორი ერთიმეორისაგან გათიშულ-განცალკევებული ელემენტის შეერთების გზით ჰქონდა წარმოდგენილი. მაგრამ, ვინაიდან ამის მიღწევა მაშინ არარეალურად გამოიყურებოდა, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აყენებდა პროგრამა-მინიმუმს და მოითხოვდა ხიზნობის ისეთი კარგი (მისი აზრით, ადათით განმტკიცებული და მემამულეების მიერ ბოლო დროს აბუჩად აგდებული) ნიშნების დაცვას, როგორიც იყო მიწის სარგებლობის უვადობა და გადასახადების უცვლელობა[7]. პირველი მათგანის დასაკანონებლად კი საჭირო

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. 6, გვ. 113—117.

[2] ტექსტი ამ მოხსენებითი ბარათისა გამოაქვეყნა მკლევარმა ა. იოვიძემ 1947 წელს, „საისტორიო მოამბე“, ტ. 3, გვ. 203—212.

[3] პროექტის ტექსტი იხ. იქვე, გვ. 221—228.

[4] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. 6, გვ. 25.

[5] იქვე, გვ. 137.

[6] იქვე.

[7] ხაზს უსვამდა რა ორი ნიშნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ილია 1886 წელს წერდა: „მიდრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილო იყოს, და ღალა თუ გადასახადი ერთსა და იმავე ჭდეზედ იდგეს უცვალებლად — ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრებისს ხელშეუხებლობის მოძღვრებას ძირეულად არყევს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგად ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში დგომის დასაჭერად“, (იხ. თხზ., ტ. 6, გვ. 168).

იყო მემამულეთა თვალსაზრისის უარყოფა და ხიზნების განსაკუთრებული სოციალ-ეკონომიური კატეგორიის მშრომელებად აღიარება. სწორედ ამიტომ შეიტანა მან თავის პროექტში მუხლი, რომელშიც ნათქვამი იყო: «Хизанами признаются те крестьяне-земледельцы, всех без различия состояний, которые приписаны к сельским обществам, живут на владельческих землях, имеют постоянную оседлость в имении владельцев и по предмету пользования ими усадебною землею и другими угодьями не состоят с владельцами в срочных договорных отношениях, выраженных актом, законным порядком совершенным, или же домашним актом, не оспариваемым сторонами»[1]. ამის დაკანონებას უნდა აეკრძალა ხიზნების უცერემონიო აყრა-გაგდების პრაქტიკა მომავალში.

პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე გადასახადების უცვლელობის დაკანონებასაც. მე-18 მუხლი, მაგალითად, ზუსტად საზღვრავდა იმ გადასახადების რაოდენობას, რომელიც უნდა ეძლია ხიზანს მემამულისათვის სახნავ-სათესი და საბაღე-სავენახე მიწებით სარგებლობისათვის. და კიდევ მიწათმფლობელი, რომელიც სათანადო თანხმობის გარეშე გაასახლებდა ხიზანს თავისი მამულიდან, ვალდებული იყო აენაზღაურებინა მისთვის როგორც ნაგებობათა, ისე ბაღ-ვენახებისა და საერთოდ მეურნეობის გაშლასთან დაკავშირებული ხარჯები (მუხ. 1).

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება, ცხადია, ვერ გამოიწვევდა არსებითი ხასიათის ცვლილებებს და ეს თვითონ ილიამაც ძალიან კარგად იცოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მხარდაჭერას იმსახურებდნენ, როგორც მემამულეთა თვითნებობის გარკვეულ ჩარჩოებში ჩაყენების ერთგვარი ფორმა და საშუალება[2].

მთავრობის პოლიტიკა ხიზნების მიმართ. მთავრობა მაინცდამაინც არ ჩქარობდა ხიზანთა საკითხის გადაჭრას. მაგრამ საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივმა ბრძოლამ აიძულა ის დაფიქრებულიყო და გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა. 1876 წლის 13 ივნისს ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა განკარგულება გასცა დაწყებულიყო სათანადო მოსამზადებელი მუშაობა საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად, რაც ხიზანთა რაოდენობის, მათი მიწათმფლობელობისა და გადასა-

---

[1] მიწათმფლობელობის მუდმივობასა და გადასახადების უცვლელობას, მართლაც ჰქონდა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, მაგრამ, ცხადია, არა იმდენი, რამდენიც ილიას წარმოდგენით. იხ. სმ, ტ. 3, 1947, გვ. 221—222.

[2] ილიას შეხედულებათა შესახებ ხიზნების საკითხზე დაწვრილებით: იხ. პრ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, სოციალ-ეკონომიური შეხედულებანი, II, თბ., 1957, გვ. 54—58 და ა. ' ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1951, გვ. 366—394.

ხადების შესახებ ცნობების შეგროვებაში უნდა გამოხატულიყო[1]. მუშაობა მართლაც დაიწყო, მაგრამ ის ისე ნელა მიმდინარეობდა, რომ საჭირო მასალების თავმოყრა მხოლოდ 1884 წელს დასრულდა. ამ მასალების „კამერალურ“ დამუშავებას ხელისუფლებამ კიდევ 7 წელი მოანდომა და მხოლოდ 1891 წლის 3 ივნისს გამოსცა დებულება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ხიზანთა შესახებ[2]. კანონმდებელმა, კლასობრივი ბრძოლისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით[3], ხიზნები ცალკე სოციალ-ეკონომიურ კატეგორიად გამოაცხადა და მკვეთრად გამიჯნა ისინი ჩვეულებრივ მოიჯარადრეებისგან. ამ დებულების ძალით, — ნათქვამია განსახილველ დოკუმენტში, — ხიზნებად ირიცხებიან გლეხები, რომლებიც დასახლებულნი არიან თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის მებატონეთა მამულებში და რომელთაც მიწისმფლობელობისა და სხვაგვარი სარგებლობის შესახებ არა აქვთ ვადიანი პირობა შეკრული (მუხ. 1).

მეორე მუხლით ხიზანთა მფლობელობაში მყოფი „ყოველი სამოსახლო, სახნავი, სათიბი და საბაღო ადგილები“, ისე როგორც წყლები, საძოვრები და ტყეები მემამულეთა სრულ საკუთრებად გამოცხადდა. ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის გლეხებს მომავალშიც შეეძლოთ ამ სავარგულებით სარგებლობა, მაგრამ არა უფასოდ, არამედ სათანადო გადასახადების გაღებით, რომელთა რაოდენობა კანონმდებელმა არ განსაზღვრა და ამით დიდი ზიანი მიაყენა უშუალო მწარმოებელთა მატერიალურ კეთილდღეობას. ახალი კანონით ხიზანი არსებითად მიჯაჭვული აღმოჩნდა მემამულის მიწა-წყალზე. თუკი იგი უკანასკნელის თანხმობის გარეშე უარს იტყოდა მის სარგებლობაში მყოფი მამულის მომავალში დამუშავებაზე, „მაშინ ის მიწა და ყოველივე შიგ აშენებული და დახერგილი“ მებატონის ხელში გადადიოდა ყოველგვარი (თუნდაც მინიმალური) ანაზღაურების გარეშე (მუხ. 6). მართალია, ხიზანს მემამულესთან შეთანხმებით უფლება ჰქონდა სხვისთვის გადაეცა მის მფლობელობაში მყოფი მიწა-წყალი, მაგრამ იმ პირობით, რომ ის „სხვა“ იკისრებდა ხიზნის ყველა მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ამასთან ერთად, მე-5 მუხლი, პრივილეგირებული წოდების შემზღუდველი მუხლიც იყო. ასეთი იყო, მაგალითად, მე-5 მუხლი, რომელიც ხიზნის გაძევების მსურველ მემამულეს ავალდებულებდა ერთი წლით ადრე გაეფრთხილებინა იგი ამის შესახებ და თანაც

---

[1] С. Авалиани, Крестьянский вопрос..., IV, გვ. 167.

[2] ВПСЗРИ, XI, № 7791; ქართული ტექსტი იხ. „ივერია“, 1891, № 170;

[3] დებულების გამოცემას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინ უსწრებდა ქართველი ინტელიგენციის გაბედული გამოსვლა ხიზანთა საკითხზე და თვით ხიზნების დაუცხრომელი ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის (ЦГИА СССР, ф. 48, д. 1679; ф. 12, оп. 5, д. 286; ф. 12, оп. 10, д. 143, 283 და სხვ.).

ორმაგად აენაზღაურებინა მისთვის ნაგებობა-ნარგავებისა და მიწის გაუმჯობესების ხარჯები[1].

ეს ერთი, ხიზნებისთვის არსებითად არც თუ ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე, მუხლიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თავადაზნაურობა პროტესტით შეხვედროდა 1891 წლის 3 ივნისის კანონს, რომელმაც უყოყმანოდ აღიარა პრივილეგირებული წოდების საადგილმამულო უფლებები. 1893 წელს თბილისის გუბერნიის მარშალმა თხოვნით მიმართა გუბერნატორს ეშუამდგომლა ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე, რათა მას ამ ორი წლის წინათ უმაღლესად დამტკიცებული ხიზანთა დებულება გადაესინჯა და ძალადაკარგულად გამოეცხადებინა. თხოვნაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თავადაზნაურობა, ვითარცა ღარიბი და მცირემამულიანი წოდება, ვერ შეძლებდა ხიზნების „ნადელებით“ მომარაგებას და ხელისუფლებას ურჩევდა გადაესახლებინა ისინი თავისუფალ სახაზინო მიწებზე[2]. მთავრობამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, შეიწყნარა თავადაზნაურობის თხოვნა-საჩივარი და 1900 წლის 5 ივნისს გამოსცა ახალი კანონი ხიზნების შესახებ. ამ უკანასკნელმა მშრომელი კლასის ჩვენთვის საინტერესო კატეგორიას თავდაცვის ის მცირე საშუალებაც კი წაართვა, რომელიც მას 1891 წლის 3 ივნისის დებულებამ მიანიჭა. ხელისუფლება ამჟამად უფრო აშკარად დადგა პრივილეგიური წოდების მხარეზე. მისმა ასეთმა პოზიციამ თვით ხიზნების განმარტება-განსაზღვრაშიც იჩინა თავი. ახალი კანონით ხიზნად მხოლოდ ის გლეხი ჩაითვლებოდა, რომელიც ადათობრივი სამართლის საფუძველზე მემამულის თანხმობით მის მიწაზე იყო დასახლებული[3]. ამ განსაზღვრის შედეგი ის იყო, რომ ამიერიდან ბევრი გლეხი (პირველ რიგში კი თვითნებურად ჩამოსახლებულნი) ვერ ახერხებდა თავისი ხიზნობის დამტკიცებას და იძულებული ხდებოდა „ჩვეულებრივი მოიჯარის უფლებას დასჯერებოდა“[4]. ახალმა კანონმა ძალადაკარგულად გამოაცხადა მისი წინამორბედი დებულების ის მუხლი,

---

[1] ეს მუხლი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თითქოს რამდენადმე ზღუდავდა მემამულეთა თვითნებობას, არსებითად აბათილებდა დებულების მიერ აღიარებულ პრინციპს ხიზნური მიწათმფლობელობის უვადობა-მუდმივობის შესახებ. «Это право сгона,— სამართლიანად წერდა ს. ავალიანი,— представленное законом владельцам земли, как показатель прав собственности, противоречило бессрочности и незыблемости права пользования; эта была уступка владельцам; в Положении, которое в некоторой части исходило из признания основ обычного права, находим и статьи, которые оказались в логическом противоречии с этою частью положения; такое противоречие и несогласованность подрывали принципиальную обоснованность его и ту правовую устойчивость, которую создавало положение для хизан» (С. Авалиани, Крестьянский вопрос, т. IV, გვ. 173).

[2] „ივერია“, 1893, № 197.

[3] С. Авалиани, Крестьянский вопрос..., т. IV, გვ. 176.

[4] ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი..., გვ. 29.

რომელიც ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევაში ითვალისწინებდა შენობის აგებისა და მიწის გაუმჯობესების ხარჯების ორმაგად ანაზღაურებას. აბიერიდან მემამულეს მარტო ნაგებობათა ხარჯების გაღება ევალებოდა და ისიც მხოლოდ ერთმაგი რაოდენობით[1]. კიდევ უფრო ზარალდებოდა გლეხი, რომელიც უარს იტყოდა მის მფლობელობაში მყოფი მიწით სარგებლობაზე; ასეთ შემთხვევაში მემამულის სრულ საკუთრებაში გადადიოდა, ცხადია, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ხიზნის შრომითა და ფულით გამართული მთელი მეურნეობა — ბაღ-ვენახებითა და ნაგებობებით[2].

1891 და 1900 წლების კანონების შესწავლა ცხადყოფს, რომ მწარმოებელი კლასის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით უკანასკნელი პირველთან შედარებით აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო.

საკითხის ასეთი გადაწყვეტით უკმაყოფილო ხიზნებს, ბუნებრივია, ბრძოლა მომავალშიაც არ შეუწყვეტიათ. ისინი სხვა კატეგორიის გლეხებთან ერთად ენერგიულად ჩაებნენ აგრარულ მოძრაობაში, რომელიც დიდი მასშტაბით გაიშალა 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

* * *

როგორც ვნახეთ, არც ერთი კატეგორიის გლეხის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა არ ყოფილა საერთოდ სახარბიელო, მაგრამ მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ისინი მაინც განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. მიწით მომარაგების მიხედვით, მაგალითად, პირველ ადგილზე სახაზინო გლეხები იყვნენ, მეორეზე — ხიზნები, მესამეზე—დროებით ვალდებული და მეოთხეზე — მესაკუთრე გლეხები. გასული საუკუნის 80-იან წლებში მათი საშუალო საკომლო ნადელი შესაბამისად უდრიდა: თბილისის გუბერნიაში — 17,67[3], 4,30[4], 3,20[5] და 2,52[6] დესეტინას, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში (იმავე თანმიმდევრობით, მესაკუთრე გლეხების გამოკლებით) 4,23[7], 2,29[8] და 2,10 დესეტინას[9].

---

[1] С. Авалиани, Крестьянский вопрос..., т. IV, გვ. 177; ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი..., გვ. 29.

[2] ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი..., გვ. 29.

[3] СМИЭБТКЗК, II, გვ. 261—264.

[4] Ф. Гогичаишвили, Малоземелье..., გვ. 17.

[5] ССДЗТКГ, 1893, Приложение II, გვ. 141.

[6] Ф. Гогичаишвили, Малоземелье..., გვ. 18.

[7] СМИЭБТКЗК, II, გვ. 261—264.

[8] Ф. Гогичаишвили, Малоземелье..., გვ. 17.

[9] ССДЗСХПГЗК, Тифлис, 1899, Приложение II, გვ. 163, 167, 171, 177 (საშუალო საკომლო ნადელის სიდიდე გამოყვანილია ქუთაისის გუბერნიის მხოლოდ ოთხი მაზრის — შორაპნის, ლეჩხუმის, რაჭისა და ოზურგეთის 1875 წლის მონაცემების მიხედვით).

გადასახადების გადახდის მხრივაც ყველაზე უკეთესი პირობები ისევ სახაზინო გლეხებს ჰქონიათ, მეორე ადგილზე დროებით ვალდებული გლეხები ყოფილან, ხოლო მესამეზე — ხიზნები. 80-იანი წლების მონაცემებით, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში სახელმწიფო გლეხის თითო კომლი იხდიდა საშუალოდ (ფულზე გადატანით) 13 მან. და 75 კაპ., დროებით ვალდებული გლეხისა — 28 მან. და 84 კაპიკს [1] და ხიზნისა — 66 მან. და 49 კაპიკს [2].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხიზნის მიწის ფართობი მხოლოდ მცირე რაოდენობით სჭარბობდა დროებით ვალდებული გლეხის ნადელს, ხოლო გადასახადები პირველის თითქმის სამჯერ მეტი იყო, ვიდრე მეორისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეფორმის მომდევნო ხანაში ყველაზე მძიმე იყო ხიზნის ეკონომიური მდგომარეობა, ხოლო ყველაზე უკეთესი — სახაზინო გლეხისა.

§ 3. კლასობრივი ბრძოლა

ბატონყმობის გაუქმებას ქართველი გლეხი, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოუდგენელი აღტაცებით შეხვდა. მთავრობის მანიფესტის საზეიმო ვითარებაში წაკითხვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და საუკუნეობრივი მონობის „მოსპობით“ გაბედნიერებული, სიხარულით ცას წვდებოდა, „მზრუნველ“ მეფეს მადლობას სწირავდა. „კარგად ჩამეჭრა მეხსიერებაში ის სიხარული, — იგონებს ი. მანსვეტაშვილი, — რომელსაც ხალხი განიცდიდა განთავისუფლების ამბის გამო. ეს მოხდა ჩვენში 1864 წელს. მე მაშინ 9 წლისა ვიყავი... ხმა გავარდა, რომ ამა და ამ დღეს საჯაროდ გამოცხადდება ბატონყმობის გადავარდნაო... დანიშნულ დღეს (გუნიბის) მოედანზე მართლაც ხალხის ტევა არ იყო. ყველა ღელავდა დიდი ამბის მოლოდინში... ზეიმით წაკითხულ იქმნა მანიფესტი. გათავდა. ხალხი გრგვინავდა, სიხარულის ცრემლებით ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. საზღვარი არა ჰქონდა სიხარულს, ბედნიერებას, მეტადრე მათ შორის, ვინც მართლა თავს აცლიდა იმ მძიმე და ადამიანის დამამცირებელ უღელს, რომელსაც სახელად ბატონყმობა ეწოდება“[3].

მაგრამ გლეხის ეს საზეიმო განწყობილება დროებითი აღმოჩნდა. მომდევნო ხანის სინამდვილემ ის მტკიცედ დაარწმუნა, რომ მთავრობა მხოლოდ მოვლენის ზედაპირულ მხარეს შეეხო და არა მის საფუძვლებს,

---

[1] ССДЗТКГ, Приложение, II, გვ, 19, 37, 97, 126, 133, 139, 145; დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზნების აქ ნაჩვენებ თანხაში შედის მხოლოდ ის, რასაც ისინი მემამულეთა სასარგებლოდ იხდიდნენ.

[2] ეს საშუალო სიდიდე დადგენილია ჩვენ მიერ და ეხება არა მთელ საქართველოს, არამედ მხოლოდ ივ. მუხრან-ბატონის ხიზნებს, მცხოვრებთ დუშეთის მაზრაში.

[3] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, თბ., 1936, გვ. 2.

რომ მან უშუალო მწარმოებელს მხოლოდ პირადი თავისუფლება მისცა და არა ეკონომიური დამოუკიდებლობა.

ამან, ბუნებრივია, სოფლის მშრომელი მოსახლეობა აქტიური კლასობრივი ბრძოლის გზაზე დააყენა, რომლის მიზანი საოცნებო მიწისა და სრული თავისუფლების მოპოვება იყო. გლეხების წრეში ტრიალებდნენ აგიტატორები, რომლებიც ამხელდნენ რა რეფორმის ბატონყმურ ხასიათს, მოუწოდებდნენ ჩაეშალათ საწესდებო სიგელების დადება-გაფორმების კამპანია და ენერგიული ბრძოლა ეწარმოებინათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ[1].

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კლასობრივ ბრძოლას უფრო მძაფრი, სისტემატური და მიზანდასახული ხასიათი მიეცა. მართალია, განსახილველ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა არც ერთი ისეთი მღელვარება, რომელიც მონაწილეთა სიმრავლისა და გავრცელების ტერიტორიის მხრივ შეიძლება შევადაროთ, მაგალითად, 1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას, მაგრამ ეს მაინც არ არღვევს ჩვენ მოსაზრებას კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების შესახებ რეფორმის შემდეგ დროინდელ საქართველოს სოფელში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად 1866—1905 წლებში, ისე გახშირდა გლეხთა გამოსვლები, რომ მან მოიცვა არა მარტო ყველა სოფელი, არამედ თითქმის ყველა მამული.

უკეთესი — სოციალ-ეკონომიური პირობების მოპოვებისათვის ბრძოლაში სოფლის მშრომელი მოსახლეობის მასიური მონაწილეობა წარმოადგენს სწორედ შესწავლილი ხანის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ თავისებურებას.

იმ მიზეზებს შორის, რომლებმაც განსაზღვრეს ზემოაღნიშნული მოვლენა, მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საგლეხო რეფორმის ფეოდალურ-ბატონყმურ ხასიათს უჭირავს. რეფორმის შედეგად, ვიმეორებთ, მიწის ფონდი, რომელიც უშუალო მწარმოებლის განკარგულებაში იმყოფებოდა, საგრძნობლად შემცირდა და მემამულეთა ხელში გადავიდა, ხოლო მშრომელი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა (ხიზნები, შინაყმები) მიწა საერთოდ ვერ მიიღო.

ამ მცირემიწიან და სრულიად უმიწო, მრავალგვარი გადასახადებით შევიწროებულ ადამიანთა (დროებით ვალდებული გლეხები, ხიზნები, შინაყმები) ვეებერთელა არმიის არსებობა წარმოადგენდა სოციალური ანტაგონიზმის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს[2]. ყოფილ

---

[1] სსცია, ფ. 5, საქ. 227, ფურც. 1; შეადარე «Документы по истории Грузии» შედგენილი და რედაქტირებული პროფ. შ. ჩხეტიას მიერ, ტ. 1, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 54.

[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 242.

საბატონო ყმათა ენერგიულ პროტესტს მხარს უჭერდნენ ხიზნებიც და სახაზინო გლეხებიც, რომლებიც ძველებურად თვითმპყრობელურ სახელმწიფოსგან დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მართალია, რეფორმა უშუალოდ მათ არ შეხებია, მაგრამ აღნიშნულ მოვლენას უკვალოდ არც ამ კატეგორიის გლეხებისათვის ჩაუვლია. კერძო მემამულეთა გლეხებისათვის პირადი თავისუფლებისა და სანადელო მიწის საკუთრებად შესყიდვის უფლების დამტკიცებას არ შეეძლო არ გაემწვავებინა ხიზნებისა და სახაზინო გლეხების ბრძოლა არსებულ სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

მეორე მომენტი, რომელიც იმავე მიმართულებით მოქმედებდა, იყო კულაკობის, როგორც კლასის წარმოშობა. იტაცებდნენ რა ღარიბი და საშუალო გლეხების კუთვნილ მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებს, კულაკები აყენებდნენ მათ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში. სოფლის ბურჟუაზიის სახიფათო იერიში მშრომელი ხალხის მოძრავი და უძრავი ქონების წინააღმდეგ აძლიერებდა ამ ხალხის საპროტესტო მოძრაობას, ამწვავებდა მის კლასობრივ ბრძოლას.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის ფორმირებას. საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა უაღრესად დიდ და დადებით გავლენას ახდენდა სოფლად მიმდინარე კლასობრივ ბრძოლაზე[1]. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალაქებში დასაქმებულ მუშებს შორის ბევრი იყო ისეთი გლეხი, რომელმაც მხოლოდ დროებით, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, დატოვა თავისი საცხოვრებელი და სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებს მიაშურა. ასეთი ბევრი იყო, მაგალითად, თბილისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, ნოვოროსიისკში, ოდესაში, საქართველოსა და რუსეთის სხვა ქალაქებში[2]. გარკვეული დროის შემდეგ ეს სეზონური, უკვე უფრო გონებაგახსნილი მუშები უკან ბრუნდებოდნენ და ქალაქებში საბოლოოდ დამკვიდრებულ, მაგრამ სოფელთან ჯერ კიდევ კავშირგაუწყვეტელ მუშებთან ერთად ეწეოდნენ ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების სრული ლიკვიდაციისა და არსებული უსამართლო წყობილების დამხობის იდეის პროპაგანდას.

დასასრულ, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ქართველი ხალხოსნების დადებით გავლენას რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის გლეხთა მოძრაობაზე. ისინი არწმუნებდნენ გლეხებს, რომ მიწა, რომელსაც ისინი

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 242.

[2] თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბილისი, 1952. შეადარე სსცია, ფ. 12, ანაწ. 11, საქ. 311, ფურც. 5—6; И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1954, გვ. 165—167.

ამუშავებენ, მათი სრული საკუთრებაა და არავის არა აქვს უფლება მათ ამისთვის გადასახადები მოსთხოვოს. „ერთხელ, — წერს სოფრომ მგალობლიშვილი, — სოფელ დირბში, რომლის მოსახლეობას საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობდი, კრება მოვაწყვე და ხალხს მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ველაპარაკე. ვუთხარი, რომ მიწა მშრომელი კაცისაა, რომ მეფემ უმიწოდ გაათავისუფლა გლეხი და ამით იგი უფრო უარეს დღეში ჩააგდო, ვიდრე ბატონყმობის დროს იყო, რომ ამის მომქმედი მთავრობა დამხობა-განადგურების ღირსია და სხვა“[1].

ს. მგალობლიშვილის ამ მოწმობას ქუთაისის გენერალ-გუბერნატორიც ადასტურებს.

მართალია, გლეხები საბოლოოდ მაინც არ გაჰყვნენ ხალხოსნების მიერ რეკომენდებულ გზას, მაგრამ მათ პროპაგანდას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია: მან, როგორც ვნახეთ, ხელი შეუწყო რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებას.

სოფლის მშრომელი მოსახლეობა (მათ შორის დროებით ვალდებული გლეხები) იბრძოდა უსასყიდლო მიწებისა და ტყისათვის, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისათვის, სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციის უმსგავსო საქციელის გარკვეულ ჩარჩოებში ჩაყენებისათვის.

მიწისა და ტყისთვის ბრძოლა, როგორც მოსალოდნელიც იყო, მეტად ძლიერ ფორმებში მიმდინარეობდა. მწარმოებელი კლასი წინააღმდეგობის გარეშე არ თმობდა არც ერთი მტკაველი მიწის ფართობს. 1865 წელს, მაგალითად, კარდანახელმა გლეხებმა ენერგიულად შეუტიეს მემამულეებს, რომლებმაც მათ მიწით სარგებლობა აუკრძალეს. „ტყეც ჩვენია და მინდორიც“ — ყვიროდნენ თურმე ისინი და კატეგორიულად უარყოფდნენ თავადიშვილების პრეტენზიებს[2]. თბილისის გუბერნიის საგლეხო „პრისუსტვიეს“ წარმომადგენელმა რამაზ ანდრონიკაშვილმა, შეშინებულმა იმით, რომ უბრალო პროტესტი მასიურ მღელვარებაში არ გადაზრდილიყო, დათმობა არჩია და, დოკუმენტის სიტყვით, ხალხს გამოუცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს ტყითა და მინდვრით სარგებლობისა[3]. კარდანახელებსაც არ დაუყოვნებიათ და, თანამედროვეთა მოწმობით, გადაუწყვეტიათ 1865 წლის 14 მარტის მომდევნო პირველ კვირას გასულიყვნენ

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 83.

[2] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის ფონდი, საქ. 228, ფურც. 2.

[3] იქვე.

ალაზანს გაღმა და მემამულეების დაუკითხავად დაემუშავებინათ იქაური მიწები[1].

ასევე ენერგიულად წარუმართავთ ბრძოლა სოფ. სვირის სახელმწიფო და დროებით ვალდებულ გლეხებს ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ 1882 წელს. ამ უკანასკნელთ, როგორც გაზ. „შრომის“ კორესპონდენციიდან ჩანს, მიუტაცებიათ გლეხების კუთვნილი, მათ საერთო სარგებლობაში მყოფი, 24 დესეტინა (60 ქცევა) მიწა. საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით დაზარალებულებს მოძალადეებთან მოლაპარაკების გამართვა გადაუწყვეტიათ, კერძოდ, მემამულე ა-ძესთან შეხვედრა მოუნდომებიათ. მაგრამ დაცვას, რომელიც თავადიშვილს ხლებია, ისინი არამცთუ ახლოს არ მიუშვია, არამედ თოფის სროლაც კი აუტეხია. გლეხები იძულებული გამხდარან დაშლილიყვნენ და ხელწერილი დაედოთ, რომ ისინი მომავალში არავითარ პრეტენზიას არ განაცხადებდნენ ა-ძეს მიერ მიტაცებულ მიწებზე[2].

რამდენიმე დღის შემდეგ, სახელდობრ 1882 წლის 29 ნოემბერს, 500 სვირელ გლეხს თავი მოუყრია მეორე ფეოდალის, ვინმე ნ-ძეს მიერ მიტაცებული მიწის ნაკვეთზე. მათ მოძალადის მიერ გაყვანილი სასაზღვრო ორმო ამოუვსიათ და სადავოდ ქცეულ ფართობს დაუფლებიან. ნ-ძეს მოურავს სროლა გაუმართავს, მაგრამ დაზარალებულებს, მიუხედავად აშკარა საშიშროებისა, დაშლაზე უარი უთქვამთ. სვირის მამასახლისს ცნობა მაზრის უფროსისათვის გაუგზავნია და მისთვის დახმარების აღმოჩენა უთხოვია. მეორე დღეს სოფელს სათანადო პირი ჰხლებია, რომელსაც გლეხებისთვის უსიტყვო კაპიტულაციის წინადადება მიუცია, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ადმინისტრაციას „უწესრიგობის“ ექვსი ხელმძღვანელი დაუჭერია და ქუთაისში გაუსტუმრებია. იქ მათთვის „მტკიცე“ სიტყვა ჩამოურთმევიათ, რომ ისინი ამიერიდან სადავო მიწებზე საერთოდ არ გამოჩნდებოდნენ[3].

1884 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ კორესპონდენციაში ლაპარაკია კლასობრივი ბრძოლის არაჩვეულებრივ გამწვავებაზე თელავის მაზრაში. მთელ მაზრაში,—ნათქვამია იქ, — არ არის თითქმის არც ერთი სოფელი, მემამულეებსა და გლეხებს შორის ადგილი რომ არ ჰქონდეს გაუთავებელ დავასა და შეხლა-შემოხლას. მიზეზი ყველგან და ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა — მიწა[4]. ამის საილუსტრა-

---

[1] „ამ მომავლის კვირაში,—წერს დასახელებული საბუთის (წერილის) ავტორი რევაზ ვაჩნაძე, — ალაზან გაღმა მთელი კარდანახის გლეხნი გუთნებით მიდიან ჩვენს დაუკითხავად, თუმცა ჩვენ (მემამულეებს) გვქონდა ის ადგილები სათიბად და საქონლის საძოვებლად“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის ფონდი, საქმე 228, ფურც. 4).

[2] „შრომა“, 1883, № 1.

[3] იქვე.

[4] „დროება“, 1884, № 178.

ციოდ ავტორი ასახელებს კახეთის სოფლების კალაურისა და ვაჩნაძიანის სახელმწიფო და დროებით ვალდებული გლეხების შერკინებას მემამულე ჯ-შვილთან. ეს ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელებული ბრძოლა მიმდინარეობდა თურმე საძოვარი ადგილებისთვის. ხსენებული გვარის ფეოდალებს ძიწა თავის საკუთრებად გამოუცხადებიათ და გლეხებისათვის საძოვრებით სარგებლობა აუკრძალიათ. იმათ კი მოძალადეებისათვის ანგარიში არ გაუწევიათ და საბალახოები თავისთვის დაუჩემებიათ. საქმე, ბოლოს და ბოლოს, შეიარაღებულ შეტაკებამდე მისულა, რომლის დროს მემამულეებს ერთი გლეხი დაუჭრიათ[1].

მიწით სარგებლობის პირობების გაუარესებას, ხიზნების ჩვეულებრივ მოიჯარადრეებად გამოცხადების მემამულურ ცდას, რასაც ადგილი ჰქონდა რეფორმის მომდევნო ხანაში, გლეხობის მედგარი წინააღმდეგობა გამოუწვევია. ასეთი წინააღმდეგობა გაუწევიათ, მაგალითად, 90-იან წლებში ძეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულის ხიზნებს (203 კომლი). მაგრამ ჯოხებითა და კეტებით შეიარაღებულმა გლეხებმა ძიზანს ვერ მიაღწიეს და იძულებული გახდნენ კაპიტულაციაზე წასულიყვნენ, დიდმა ნაწილმა თავი მოიჯარადრედ აღიარა და მოკლევადიან იჯარას მოაწერა ხელი, ხოლო მცირე ნაწილმა ამაზე უარი თქვა და ამით მამულიდან გაძევება დაიმსახურა[2].

სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის ერთერთ განმსაზღვრელ ფაქტორს გადასახადები წარმოადგენდა. ამიტომ ის, ბუნებრივია, იბრძოდა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისათვის. უშუალოდ მწარმოებელი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაესაბუთებინა ამა თუ იმ გადასახადის უსამართლობა და უარი ეთქვა მის გადახდაზე. მაგალითად, 1866 წლის მაისის თვეში თბილისის გუბერნატორის კანცელარიამ გორელი თავადის ნიკოლოზ ივანეს ძე ერისთავის საჩივარი მიიღო, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „1864 წლის 8 ნოემბერს გამოცხადებული უმაღლესი მანიფესტით თბილისის გუბერნიის გლეხები ყმობიდან განთავისუფლდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ორი წლის განმავლობაში დარჩენილიყვნენ წინანდელ მდგომარეობაში და ეხადათ მემამულეებისათვის ყველა ის გადასახადი, რასაც აქამდე უხდიდნენ. ამის საფუძველზე ჩემს დროებით ვალდებულ გლეხებს არაერთხელ მოვთხოვე, რომ მათ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მაგრამ უარი გამომიცხადეს. ამის გამო მე არაერთგზის მივმართე თხოვნით ქსნისა და ოსეთის განყოფილებათა მომრიგებელ შუამავლებს, რათა მათ აეძულებინათ გლეხე-

---

[1] „დროებ“, 1884, № 178.

[2] ЦГИА СССР, ф. 547, оп. 3, д. 3113. მასალა ხიზანთა ამ მღელვარების შესახებ მოგვაწოდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიტატმა ნ. ნაცვლიშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ბი გადაეხადათ ჩემთვის როგორც მიმდინარე, ისე წინა წლის გადასახადები, მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილებულ არ იქნა. (ამით გათამამებული) გლეხები კატეგორიულად უარს ამბობენ მათზე გაწერილ გადასახადის გაღებაზე" (ხაზი ჩვენია — ავტ.) [1].

იმავე წლის 8 აგვისტოს მსგავსი საჩივარი შეუტანია მთავრობაში გენერალ-ლეიტენანტ თავად გიორგი ერისთავს და გლეხების მორჩილებაში მოყვანა უთხოვია [2]. იგივე გაუკეთებიათ თბილისის მაზრის დუშეთის უბნის მემამულეებს ანდრია, დავით და ელიზბარ რატიშვილებს (1866 წ.). „ჩვენ, — სწერდნენ ისინი ხელისუფლებას, — პურის აღების დროს სოფ. ყანჩავეტში გავგზავნეთ ჩვენი მოგვარე დავით რატიშვილი... მეოთხედი ნაწილის ასაღებად, მაგრამ ის ხელცარიელი გაბრუნდა და მოგვახსენა, რომ გლეხებმა გადაჭრით უარი განაცხადესო" [3]. ჩანს, არც ეკატერინე ერისთავის ყოფილ ყმას, ქსნის უბნის სოფ. ზადეხის მცხოვრებ გაბრიელ ოდიშვილს გამოუჩენია დიდი სიბეჯითე მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაში. ოდიშვილს, რომელიც მემამულის მოწმობით, დიდი ქონების პატრონი ყოფილა, მტკიცე უარი უთქვამს გადაეხადა 1862—1865 წლების გადასახადი მახთა 180 მანეთის რაოდენობით [4].

ასეთივე ურჩობა გამოუჩენიათ ქართველი მემამულეების ილია ციციშვილისა და რევაზ ერისთავის გლეხებს. დასახელებული თავადები 1864—1867 წლებში დაბეჯითებით მოითხოვდნენ რეფორმით გათამამებული გლეხების მორჩილებაში მოყვანასა და დაწესებული გადასახადების ძალით გადახდევინებას.

მწარმოებელ კლასს აწუხებდნენ არა მარტო საერო, არამედ სასულიერო ფეოდალებიც. ამიტომ, ცხადია, ის ბრძოლას ხსენებული კორპორაციის წინააღმდეგაც აწარმოებდა. ამ ბრძოლის ერთი ეპიზოდი, რომელსაც, როგორც ჩანს, XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჰქონია ადგილი, აღწერილია გოლიცინის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში" [5], კავკასიის მმართველობის შესახებ 1897—1902 წლებში. იქ ლაპარაკია დრამის ფულის შეგროვებასთან დაკავშირებით გორისა და ოზურგეთის მაზრებში მომხდარ სახალხო მღელვარებაზე.

ჩვენ გაგვაჩნია ზოგი შეჯამებული ხასიათის მასალაც, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით ახასიათებს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივ ბრძოლას. ამ მასალიდან ჩანს [6], მაგალითად, რომ 1873 წელს მარტო გორის მაზრის პირველსა და

---

[1] სსცია, ფ. 31, საქ., 28, ფურც. 29.
[2] იქვე, ფურც. 45—46.
[3] იქვე, ფურც. 70.
[4] იქვე, ფურც. 30.
[5] იქვე, გმსფ, საქ. 18.
[6] იქვე, ფ. 31, საქ, 788, ფურც. 6—7, 15—16.

მეორე განყოფილებაში შესულა სულ 2 316 წერილობითი, თუ ზეპირი საჩივარი. აქედან 1262 საჩივარი გლეხებსა და მემამულეებს შეუტანიათ, მათ შორის მიწის თაობაზე წარმოშობილი დავის შესახებ. 480 — მემამულეებს გლეხების მიერ გადასახადის თავის დროზე გადაუხდელობის თაობაზე და 572 — გლეხებს მემამულეების თავგასულობისა და მათ შემავიწროებელ მოქმედებათა შესახებ.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ჩანს საქართველოს სხვა მაზრებშიც[1].

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში პატიმართა დიდი რაოდენობაც ადასტურებს. 1886 წლის მონაცემებით, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში 13 948 კაცი ყოფილა პასუხისგებაში მიცემული, რომელთაგან 8 ათასი მსხვილ დამნაშავედ უცვნიათ და სანიმუშოდ დაუსჯიათ[2]. დანაშაულის უდიდესი ნაწილი პიროვნების და ქონების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული[3].

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები ცეცხლის წაკიდებისა და შინაური საქონლის დამახინჯება-დასახიჩრების შესახებ. 143 ხანძრიდან, რომელსაც 1886 წელს თბილისისავე გუბერნიაში ჰქონია ადგილი, 64 (ან საერთო რაოდენობის 43,3%) ცეცხლის საგანგებო წაკიდებით გაუჩენიათ. «Этот страшный процент, — წერდა გუბერნატორი, — яснее всего иллюстрирует дурные склонности населения, так как такого рода преступления совершают, очевидно, не ради личной выгоды..., как это бывает при воровстве, грабеже и разбое, а лишь ради мести врагу. Мало того, месть эта направляется и на домашних животных, с целью причинить врагу имущественный вред. Нередки случаи, когда враги подрезывают рабочим волам и буйволам своего противника жилы, лошадям гривы и хвосты, чтобы обезобразить и лишить их ценности»[4].

დანაშაულს, რა თქმა უნდა, ყველა წოდების კაცი ჩადიოდა, მაგრამ ყველაზე მეტ აქტიურობას ამ საქმეში მაინც გლეხობა იჩენდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1888 წელს თბილისის გუბერნიაში მსჯავრდადებულ პირთა 67,9% სოციალურად სწორედ გლეხობის სხვადასხვა კატეგორიაზე მოდიოდა[5].

---

[1] სსცია, ფ. 31, საქ. 788, ფურც. 10—12, აქ არის 1874 წლის ცნობები სიღნაღის მაზრის შესახებ.

[2] იქვე, ფ. 17, საქ. 8747, ფურც. 1—25; И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, გვ. 162.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] И. Г. Антелава, Государст. крестьяне..., т. II, გვ. 162.

მაგრამ ქართველი გლეხი მარტო ბრძოლის ზემოაღნიშნული ფორმებით არ კმაყოფილდებოდა. იგი ზოგჯერ ისეთ რადიკალურ საშუალებასაც მიმართავდა, როგორიცაა მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა. ასეთი გამოსვლა ძოხდა, მაგალითად, 1875—1876 წლებში სვანეთში. 1875 წლის ივნისის შუა რიცხვებში თავისუფალი სვანეთის ბოქაულმა თავადმა ჯორჯაძემ თავის საბოქაულოს გამოუცხადა, რომ მას მთავრობისგან დავალებული აქვს ზუსტად დაადგინოს მცხოვრებთა მიწის ფართობის რაოდენობა და რომ ის ამ მიზნით მალე დაიწყებს სათანადო გაზომვით სამუშაოებს. ამით შეშფოთებულმა ხალხმა დასახელებულ მოხელეს ჰკითხა ხელისუფლების ამ განკარგულების მიზეზი, რაზედაც მან მშრალი, მეტად ძოკლე და არაპირდაპირი პასუხი გასცა: რაკი მთავრობა ასეთ ცნობას ითხოვს, ცხადია, ის მას სჭირია და მეც ვალდებული ვარ წარვუდგინოო. ჯორჯაძის ამგვარმა „პასუხმა, — წერს თანამედროვე ბესარიონ ნიჟარაძე, — ვერ დააკმაყოფილა ხალხის ცნობისმოყვარეობა; პირიქით, უფრო მეტი ეჭვიანობა გამოიწვია და შემდეგ მრავალ მითქმა-მოთქმისა დაასკვნა, რომ უთუოდ მთავრობას უნდა ჩვენს მიწებს ღალა დაადვას, მაგრამ ბოქაული ამას ვერ გვიმხელსო“[1].

სვანები ღელავდნენ, ნერვიულობდნენ. მიწას თუ ბეგარა დაედვა, ჩვენი ცხოვრება შეუძლებელიაო[2], — ამბობდნენ ისინი და ენერგიული წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. ყველაზე ადრე ყრილობაზე მულახის საზოგადოება შეიკრიბა, რომელმაც, ბ. ნიჟარაძის სიტყვით, შემდეგი შინაარსის დადგენილება გამოიტანა: „შევატყობინოთ ჩვენი აზრი თავისუფალი სვანეთის დანარჩენ სოფლებს, ვაცნობოთ, რომ, თუ მთავრობას ნამდვილი განზრახვა აქვს მიწები დაბეგროს, არზა მივართვათ, არ ინებოს ამისი სისრულეში მოყვანა და თუ თხოვნით არაფერი გაგვივიდეს, მაშინ ძალადობა გავწიოთ“[3].

მულახელთა ეს გადაწყვეტილება მართლაც ეცნობა მეორე დღეს მესტიის, ლენჯერის, ლატალის, იფარის, კალისა და უშგულის საზოგადოებებს, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მას მხარი. მალე მთელმა თავისუფალმა სვანებმა თავი მოიყარეს სოფ. კალაში, რათა აქ, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში, ფიცის მიღებით დაედასტურებინათ თავიანთი ერთგულება ზემოაღნიშნული დადგენილებისადმი. აბობოქრებული ხალხის წინაშე ლატალელი ჭაღარა მოხუცი გინადრუყ გირგვლიანი გამოვიდა. „ხათრი დასდევით, — განაცხადა მან, — ჩემს მოხუცებულობას, ჩემს

---

[1] ბ ე ს ა რ ი ო ნ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე (თავისუფალი სვანი), ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები (რედაქტორი პროფ. ალ. რობაქიძე), ტ. II, თბ., 1964, გვ. 173; ეგ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, გვ. 94.

[2] ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 173.

[3] იქვე, გვ. 174.

ჭაღარას და გამიგონეთ. დაწყნარდით, დამშვიდდით, აგრე აღელვებით საქმე არ გაკეთდება. მოლაპარაკე ავირჩიოთ, კარგად გავიგოთ საქმე, შევიტყოთ, რა გზას უნდა დავადგეთ. ჯერ ისეთი გაჭირვება არა მოგვდგომია-რა, რომ მაინც და მაინც თავი გავიმეტოთ; და თუ შემდეგში რაიმე განსაცდელი მოგველის, მაშინ თავს ნურავინ დავზოგავთ, პირველი მე გაგიძღვებით, სადაც საჭირო იქნება, და დიაცის ლეჩაქი დაეხუროს მას, ვინც გაჭირვების დროს თავი დაზოგოს"[1].

ხალხმა ისმინა მოხუცის სიტყვები, დამშვიდდა და მოლაპარაკეთ მულახის მამასახლისი ყასბულათ შარვაშიძე აირჩია. „მრავალი შემთხვევა ვიცი ძველებისაგან ნაამბობ-ნაარაკევი, — თქვა მან, — როდესაც ჩვენზე ბატონობის მომდომე სირცხვილეული დაგვიტოვებია. ჩემზედ უფრო მოხუცნი ურევიან ამ ყრილობაში და ისინი ჩემზედ უკეთ გეტყვიან, რომ ვისაც კი ჩვენი დამონავება, ხელში ჩაგდება მოუნდომებია, ყველანი ჩვენი წერა გამხდარან; თოფი და ხანჯალი ყოფილა ჩვენი დამცველი! სვანეთის სალოცავმა გვაშოროს, რომ თოფი და ხანჯალი დაგვჭირდეს ეხლაც. ამგვარის საქმის მოსურნე არავინა ვართ, რადგან სიცოცხლე გვინდა და არა სიკვდილი... მე თითონ მთავარ-მართებლის ვორონცოვის მონათლული ვარ და იმისაგან მოკიდებული პატარა მოხელემდე ყველანი იმას გვიმტკიცებდნენ, რომ რუსის მთავრობა გაგაკეთებთო; ჩვენ ეს დავიჯერეთ; მართალი გვეგონა, რასაც გვეუბნებოდნენ და ამიტომაც ძალა დაუტანებლივ, ჩვენის ნებით, დაუკარით, თავი რუსებს. არავის წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, თუმცა შეგვეძლო... იმ იმედით, რომ მთავრობა ბევრს რამეს შეგვძენდა, მისი ყოველი მოთხოვნილება ავასრულეთ; გამოგზავნა მღვდლები — დავიყენეთ, დანიშნა ბოქაულები — მივიღეთ, სოფლის მოხელეები აირჩიეთო — დაუჯერეთ და ბოლოს ექვს აბაზ უზალთუნიც ბეგრად დავიდევით იმ ბევრ შემწეობის დაპირების შემდეგ, რაც მე ჩემის ყურით გამიგონია მთავრობის წარმომადგენელთაგან. ეს ბეგარა კი ძლიერ გამიკვირდა... ბაგრამ ეხლა კიდევ გვეუბნებიან: მიწები უნდა გაგიზომოთო. რისთვის? რად უნდათ ჩვენის მიწების გაზომვა? ამაზედ ბოქაული გვეუბნება: ასეა მთავრობის განკარგულებაო. ჩვენში კი ხმა დადის, რომ მათი დაბეგვრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ კი სწორედ სიცოცხლის პირი არა გვაქვს და მუდამ წვალებას ის გვირჩევნია, ერთ დღეს გავთავდეთ. ეხლა რადგან ეს ნამდვილად არ ვიცით, ამისათვის ჯერ უნდა შევიტყოთ რაშია საქმე; მოვახსენოთ მთავრობას ისე, როგორც დღეს ვამბობ და მის პასუხს მოუცადოთ"[2].

ხალხმა ეს რჩევა მიიღო და გადაწყვიტა საქმის ვითარების ზუსტად

---

[1] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 176—177.

[2] იქვე.

გაგება. ყრილობის მონაწილეებმა ერთიმეორეს შეჰფიცეს საჭიროების შემთხვევაში მედგრად ებრძოლათ და აეძულებინათ მთავრობა ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

ყოველივე ეს ბოქაულმა ჯორჯაძემ ლეჩხუმის მაზრის უფროსს გრინევსკის აცნობა, რომელმაც თავის მხრივ კავკასიის ადმინისტრაცია საქმის კურსში ჩააყენა და მას სამხედრო ნაწილების გამოგზავნა სთხოვა. ივლისის პირველ რიცხვებში ურჩი სვანების მორჩილებაში მოსაყვანად მართლაც გაიგზავნა ჯარი, რომელსაც თვით ქუთაისის გუბერნატორი მალაფეევი და გენერალი ციტოვიჩი მეთაურობდნენ. 13 ივლისს აჯანყებულთა დელეგაცია ყასბულათ შარვაშიძის ხელმძღვანელობით ეახლა გუბერნატორს, რომელიც დამსჯელი რაზმებითურთ ცაგერში იყო დაბანაკებული. მხარეებს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელსაც, როგორც მოსალოდნელიც იყო, შედეგი არ მოჰყოლია.

მალაფეევმა ჯარით მიმართულება სვანეთისკენ აიღო. მან თან დელეგაციის წევრებიც გაიყოლა. გუბერნატორმა აბობოქრებულ ხალხს წინდაწინ გრინევსკი და 20 ლეჩხუმელი თავად-აზნაური მიუგზავნა, მაგრამ ისინი ხალხმა ახლოს არ გაიკარა, დაუყოვნებლივ უკან გაბრუნება და მათ სვანი დელეგატების სასწრაფოდ განთავისუფლება მოსთხოვა[1].

გრინევსკის მისიის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ[2], 20 ივლისს მღელვარების მონაწილეებს თვითონ მალაფეევი შეხვდა (სოფ. კალაში) და შეძლო დაერწმუნებინა ისინი მიწების დაბეგვრის შესახებ გავრცელებული ხმების უსაფუძვლობაში. ხალხი დაცხრა, დაშოშმინდა და მშვიდობიან შრომას მიუბრუნდა. კავკასიის ადმინისტრაციამ მღელვარების 13 მონაწილე დააპატიმრა და ისინი სხვადასხვა ვადით ქუთაისის ციხის კედლებში გამოამწყვდია. „თავისუფლებაში აღზრდილმა მთის შვილებმა“ ვერ აიტანეს ციხის ძძიმე პირობები და თითქმის ყველა დაიხოცა. დახოცილებს შორის იყვნენ ყასბულათ შარვაშიძე და გინადრუყ გირგვლიანიც[3].

საქმე საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ამით არ დამთავრებულა. ხელისუფლებამ ხალხის საწინააღმდეგო დამსჯელი მოქმედება მომდევნო 1876 წელსაც განაგრძო და საბაბად მან მღელვარების სამი დაუსჯელი მონაწილის, მათ შორის გურმაჩ გასვიანისა და ჩარგას ჯოხაძის (სოფ. ხალდე) დაჭერა გამოიყენა. „დამნაშავეთა“ ხელში ჩაგდება გრინევსკის დაევალა. იგი საძხედრო რაზმით მაიორ ლეუსთან ერთად თავდაპირველად მულახს ეწვია, სადაც მას ერთი მეამბოხე უნდა დაეჭირა. მაგრამ, ვინაიდან ეს ვერ მოახერხა, ლეჩხუმის მაზრის უფროსმა მისი ორი შვილი დაატუსაღა. 31

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 185—186.
[2] იქვე, გვ. 187.
[3] იქვე, გვ. 192.

ივლისს მან ხალდელებს მოციქულები მიუგზავნა და ხსენებული ორი დამნაშავის გაცემა მოსთხოვა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. მაშინ გრინევსკიმ მთელ სოფელს მოსთხოვა მასთან გამოცხადება, მაგრამ ხალხი არც ამაზე დათანხმდა. „ასეთ ყოფაში იყო საქმე, — წერს ბესარიონ ნიჟარაძე, — როდესაც მეც მივედი კამანდის ბანაკში. მე კერძო საქმე მქონდა კამანდის ექიმთან. გრინევსკის ერთის მხრით ეამა ჩემი ნახვა და მთხოვა, ხალდეში მოციქულად წადიო. ხალდეში მე მკვიდრი ნათესავები მყავდა და ეს ეც რომ არ ყოფილიყო, რაკი ვხედავდი საქმე ცუდად მიდიოდა, უარი არ მითქვამს. სოფელს ან ორი დამნაშვე უნდა მიეყვანა მასთან, ან არა-და თვითონ გამოცხადებულიყო. წავიყვანე ერთი კაცი და მივედი ხალდეს. სოფელი ნახევრად თავმოყრილი დამხვდა. ყველანი აღელვებულნი იყვნენ. ბევრ მოსახლეს ცოლშვილი კიდეც გაეხიზნა მთაში, რადგან კამანდის მოსვლას ელოდებოდა. შევკრიბე მთელი სოფელი და ბევრი ვურჩიე, მთავრობას ურჩობას ნუ გაუწევთ, თორემ ცუდად წავამეთქი თქვენი საქმე. სოფელმა მომიგო, რომ ჩვენ არაფერ შუაში არა ვართო. ორი კაცია დამნაშავე, აგერ არიან და დაიჭიროსო"[1].

ბესარიონ ნიჟარაძე ეახლა გურჩიანსა და ჯოხაძეს და მათ გრინევსკისთან ძისვლა სთხოვა, რათა ამით სოფელი გადარჩენილიყო კარზე მომდგარ უბედურებას, მაგრამ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. რომ არაფერი ვავნოთ ჩვენს ძმებს, ჩვენ სოფლიდან გავალთ, მაგრამ მთავრობას მაინც არ დავუნებდებითო, — უთქვამთ ხსენებულ პირებს.

ბოლოს მოციქულმა, როგორც იქნა ხალხი დაიყოლია და გრინევსკისთან შესახვედრად წაიყვანა. მაგრამ გრინევსკიმ, განრისხებულმა იმით, რომ სვანებმა არ გასცეს და „დამნაშავენი" არ მიჰგვარეს, ხალხთან საუბარი არ ისურვა და მათი მკაცრად დასჯა გადაწყვიტა. მან მოინდომა ხალდეში შეჭრა, გურჩიანისა და ჯოხაძის დაჭერა და მთელი სოფლის აწიოკება. ნიჟარაძემ და ბოქაულმა მიქელაძემ ლეჩხუმის მაზრის უფროსს ურჩიეს თავი შეეკავებინა ასეთი განზრახვისაგან, მაგრამ მან თავისი არ მოიშალა და ჯარით ხალდეს მიაშურა.

ხალდელები, როგორც კი შენიშნეს მათკენ მიმავალი ჯარის ნაწილი, სასწრაფოდ შეიარაღდნენ. ახალგაზრდები კოშკებში შევიდნენ, ხოლო ქალები და ხნიერი მამაკაცები ჯარს შუაგულ სოფელში დახვდნენ იმ მიზნით, რათა ვახშმით გამასპინძლებოდნენ თუ ცუდს არაფერს მოიმოქმედებდა. გრინევსკი ამან, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა, მაგრამ ამას მალე დიდი უბედურება მოჰყვა. ერთ-ერთი კოშკიდან ჩამოვარდნილი (თუ საგანგებოდ ჩამოგდებული) ქვა თავში მოხვდა მაიორ ლეუსს და მას უმნიშვნელო ჭრილობა მიაყენა. ბრაზმორეულმა ოფიცერმა ჯარისკაცებს

---

1 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 194.

იმ ორი სვანის ხიშტებით აკუწვა უბრძანა, რომლებიც ეახლნენ მას სალმის მისაცემად და ცხენების ჩამოსართმევად. ერთი მათგანი მართლაც უცბად წამოაგეს ხიშტზე, ხოლო მეორესთან შერკინება უფრო რთული აღმოჩნდა. მან სამი ჯარისკაცი იქვე გამოასალმა სიცოცხლეს და ბოლოს თვითონაც დაიღუპა[1].

ამის მნახველმა სვანებმა კოშკებიდან ატეხეს სროლა და მოკლეს ლეუსი, ბოქაული მიქელაძე, ექიმი ბელსკი და სხვ. აბობოქრებული ხალხი მთავარ დამნაშავეს, ერთი სვანის სახლში მიმალულ გრინევსკის მიუვარდა და მოკლეს იგი. იგივე ბედი ეწია მის ამალასაც[2].

ხელისუფლება დიდ საგონებელში ჩავარდა. მან სასწრაფო ზომები მიიღო აჯანყებულთა მორჩილებაში მოსაყვანად. სვანეთში გააძლიერა მოქმედი სამხედრო ნაწილები. 21 აგვისტოს ხალდელებზე იერიში მიიტანეს. ექვსი დღის შემდეგ კი ჯარმა მთელი სოფელი ააფეთქა და ერთი დღის წინათ „ლამაზი ხალდე ნანგრევების გროვად“ აქცია[3]. ხალდელების ქონებას პოლიცია დაეპატრონა, ერთი ცხვარიც კი არ დაუტოვა მათ. ხალხი მთებში გაიხიზნა და თოვლის მოსვლამდე იქ დარჩა. გვიან შემოდგომაზე კი მიმალული სვანები მთებიდან ჩამოვიდნენ და ხელისუფლებას ჩაბარდნენ. მათი საქმე ქუთაისის სამხედრო საველე სასამართლომ გაარჩია; პროცესზე პასუხისგებაში მიცემულთა დამცველად აკაკი წერეთელი გამოვიდა, რომელმაც აჯანყება ხალხის მძიმე მდგომარეობითა და ადმინისტრაციის უხეში საქციელით ახსნა[4]. სამ ბრალდებულს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, ხოლო 33 — რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. მეფისნაცვალმა სიკვდილმისჯილებს „წყალობა“ უყო და მათ დახვრეტა სამუდამო კატორღით შეუცვალა[5].

ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრეს მეგრელმა გლეხებმაც. მღელვარება დაიწყო 1876 წლის ივნისის თვეში გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ დადიანის კუთვნილ სოფლებში — ღიასა და ფახულანში. მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდნენ სახალხო აზვირთებას, ერთ ოფიციალურ დოკუმენტში შემდეგნაირადაა აღწერილი. «Для того, чтоб не расстраивать окончательно взаимных отношений, владельцы, по собственному усмотрению, признали нужным делать... уступки против того размера требований, на который, в силу положения, имели право. Так,

---

[1] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 196—197.

[2] იქვე, გვ. 197.

[3] იქვე, გვ. 198

[4] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XV, თბ., 1963, გვ. 347—357.

[5] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 199.

между прочим, поступил генерал-лейтенант князь Дадиани в отношении временнообязанных крестьян своих в селениях Лиа и Пахулани, которым предоставил, по особому условию, взамен отбывания, установленных повинностей натурою, производить ему известный, уменьшенный платежи деньгами. Весною нынешнего (1876 года) окончился срок действия означенного условия и это окончание срока совпало с окончанием же девятилетнего периода со времени введения в Мингрелии крестьянского положения. Подобно тому, как это было и во внутренних губерниях империи, временно-обязанные крестьяне упомянутых имений князя Дадиани, поняв превратно значение этого девятилетнего периода, составили себе убеждение, что с окончанием его должны прекратиться все обязательные отношения их к владельцам[1]. В силу этого крестьяне отвечали положительным отказом на требование уплаты владельцу части следующих ему, на основании положения, повинностей»[2].

საქმეში ჩაერივნენ ამ ამბებით შეშფოთებული მომრიგებელი მოსამართლე, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა „პრისუტსტვიეს“ წევრები და თვით გუბერნატორი, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ძაშინ გლეხებს გადასახადის შესატანად ორი დღის ვადა მისცეს და გააფრთხილეს, რომ ურჩობის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ რადიკალური ზომები იქნებოდა მიღებული. ხალხმა ულტიმატუმი არ შეასრულა. ხელისუფლებამ ძალის გამოყენება გადაწყვიტა და მღელვარების ადგილას ფეხოსანთა ასეული და 15 მხედარი გაგზავნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამას დიდი ეფექტი არ გამოუწვევია და ადმინისტრაცია იძულებული გამხდარა აჯანყების ჩასაქრობად ფეხოსანთა ნაწილების კიდევ ერთი როტა გამოეყო. «Но жители, — ნათქვამია ნამესტნიკის თანაშემწის მოხსენებაში,—вместо принесения повиновения, удалились вовсе из селения и отправились толпами, из коих главная, со значком, в окрестные деревни подговаривать их к совместному сопротивлению неправильным, по их понятиям, требованиям начальства»[3].

აჯანყებამ მოკლე დროში ზუგდიდის მაზრის სამი მეოთხედი ნაწილი მოიცვა და, დოკუმენტის ცოტა გადაჭარბებული ცნობით, იარაღის ქვეშ

---

[1] სინამდვილეში დებულება გლეხს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა, რომ მას 9 წლის შემდეგ, დღიდან კანონის გამოცხადებისა, უარი ეთქვა ნადელზე (თუკი ეს მისთვის ხელსაყრელი იქნებოდა) და შეეწყვიტა გადასახადების გაღება მიწის პატრონის სასარგებლოდ (იხ. ი. ახალაია, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, სოხუმი, 1958, გვ. 85, 151). დადიანის გლეხებმა კი, პირიქით, გადასახადებისაგან თავის დახსნა სანადელო ნაკვეთების შენარჩუნებით მოინდომეს.

[2] ЦГИА СССР, ф. 1368, оп. 21, д. 141, лл. 13—14 об.

[3] იქვე, ფურც. 14.

20 ათასამდე კაცი დააყენა[1]. გლეხებმა სენაკის მაზრის სოფლის მშრომელი მოსახლეობის ამხედრებაც სცადეს და ამ მიზნით ხსენებული ადგილისკენ აჯანყებულთა „ერთი დიდი პარტია“ გაიგზავნა. მოვლენები სწრაფად და სახიფათოდ ვითარდებოდა. საგონებელში ჩავარდნილმა კავკასიის ადმინისტრაციამ ისევ გამოყო დამატებითი ძალები და ისინი თავად ჯორჯაძის მეთაურობით სამეგრელოსკენ გაისტუმრა. ჯორჯაძეს, ინსტრუქციის თანახმად, წესრიგი მშვიდობიანი გზით უნდა აღედგინა, მაგრამ თუკი ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, მას უფლება ჰქონდა იარაღი გამოეყენებინა[2].

ქართველმა თავადმა თავისი რაზმის ერთი ნაწილი პოდპოლკოვნიკ პრინცის ხელმძღვანელობით აჯანყებულთა იმ პარტიას გამოადევნა, რომელიც სენაკის მაზრის მიმართულებით მიდიოდა. ის მას სოფ. ლეწურწუმეში წამოეწია. გლეხებმა თავი ააარიდეს არათანაბარ შერკინებას და დროებით მიმალვა არჩიეს, მაგრამ დამსჯელმა ექსპედიციამ მაინც შეძლო 100 მათგანის ხელში ჩაგდება. დღის მეორე ნახევარში გაფანტული ხალხი ისევ შეგროვდა, სამხედრო ნაწილების მიერ დაკავებულ სოფლის კანცელარიაში მივიდა და დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება მოითხოვა. რაზმის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა პრინცმა ამაზე კატეგორიული უარი თქვა და აჯანყებულებს მორჩილებისკენ მოუწოდა, მაგრამ უშედეგოდ. 1876 წლის 17 ივნისს საქმე სისხლისმღვრელი შეტაკებით დასრულდა, რომლის დროსაც თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებს 48 კაცი გამოაკლდა — 18 მოკლულის და 30 დაჭრილის სახით[3].

ამის შემდეგ აჯანყება დაღმავალი გზით წავიდა. გლეხებს ძალა არ ეყოთ ბრძოლის გასაგრძელებლად, მთავრობის ჯარებთან შემდგომი შებმა უპერსპექტივოდ გამოიყურებოდა. ამხედრებულმა სოფლებმა ფარხმალი დაყარეს. გრიგოლ დადიანის გლეხებმაც გადასახადი გადაიხადეს და მომავალში სრული მორჩილების პირობა დადვეს[4]. მალე „წესრიგი“ ზუგდიდის მთელ მაზრაში აღდგა.

ორი წლის შემდეგ, სახელდობრ 1878 წელს, აჯანყებამ იფეთქა კახეთში. მან მოიცვა, კერძოდ, ქიზიყის სოფლები, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო გლეხებით იყვნენ დასახლებულნი. გამოძიებისა და კავკასიის ადმინისტრაციის მიერ მოწყობილი სასამართლო პროცესის მასალებმა მაქსიმალური სიცხადით დაადგინა ხალხის აზვირთების ნამდვილი მიზეზები და საბაბი. სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გაუთავებელი განრიგი, სასოფლო,

---

[1] ЦГИА СССР. ф. 1389, оп. 21, д. 141, фурц. 16.
[2] იქვე, ფურც. 18.
[3] იქვე, ფურც. 20—21.
[4] იქვე, ფურც. 21—22.

სამაზრო და საგუბერნიო ხელისუფლების შეუზღუდველი თვითნებობა — აი რამ აიძულა ქიზიყის, ისედაც არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა იარაღი აეღო ხელში. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებათა მთელი სიმძიმე კისერზე აწვა სწორედ უღარიბეს გლეხებს, რომლებიც ისედაც ძლივს ახერხებდნენ ცხოვრება-არსებობას. რაც შეეხება კულაკებს, ისინი ქრთამითა და სხვადასხვა საჩუქრით თავს აღწევდნენ ფულადსა და ნატურალურ გადასახადებს, სახალხო რაზმებში სამსახურს, სატრანსპორტო საშუალებათა განრიგსა და სხვ. ყველა ეს უსამართლობა, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს და მის მომდევნო ხანაში, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით სახალხო რაზმეულის ფორმირება იქნა გამოცხადებული. ამას ხმამაღლა ამბობდნენ კახეთის აჯანყების მონაწილე, პასუხისგებაში მიცემული გლეხები.

მოძრაობის დასაწყისი და მსვლელობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება. 1878 წლის დასაწყისში სიღნაღის მაზრის სოფლებში გავრცელდა ხმები, რომ მთავრობა აპირებს სახალხო რაზმის შექმნას და რომ მამასახლისებმა მაზრის ადმინისტრაციის მითითებით ამ მიზნით უკვე შეადგინეს გასაწვევ პირთა სიები. ამ სიებიდან, ხმების თანახმად, კენჭის ყრით უნდა შეერჩიათ საჭირო რაოდენობა და რაზმში ჩაერიცხათ.

გლეხებმა, რომლებმაც ამას წინათ დიდი ფიზიკური და მატერიალური მსხვერპლი გაიღეს, კატეგორიული უარი განაცხადეს ამაზე და ურმების გამოყვანაზეც. აღნიშნული ღონისძიების ბოიკოტირება აიხსნება, რა თქმა უნდა, არა იმით, რომ სიღნაღის მაზრის სოფლის მშრომელ მოსახლეობას არ სურდა მონაწილეობა მიეღო საქართველოს ისტორიული მტრის, სულთნის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მრავალი სხვა გარემოებით, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო ხალხისთვის სრულიად უცხო მილიციაში ჩარიცხვის კენჭისყრის წესი. გვითხარით რამდენ კაცს ითხოვთ ჩვენგან და მზად ვართ მოგცეთ ორჯერ და სამჯერ მეტიც, თანაც სულ დარჩეული ბიჭები, მაგრამ არა კენჭის ყრითო — გაიძახოდნენ თურმე აჯანყებული გლეხები[1]. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ სოფლის მამასახლისების მიერ თვითნებურად შედგენილ გასაწვევ პირთა სიების დაუყოვნებლივ მოსპობას.

მთავრობის განკარგულების საწინააღმდეგო პროტესტი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ უკუღმართად შედგენილი სიების წყალობით ბევრ ოჯახს უკანასკნელი მუშახელი ეცლებოდა და ამით საშუალება ესპობოდა

---

[1] „დროება“, 1878, № 114.

სრულად აეღო 1878 წლის მოსავალი, რომელსაც ძალიან კარგი პირი უჩანდა. ეს მით უფრო იყო საყურადღებო და ანგარიშგასაწევი, რომ თხუთმეტი ცუდმოსავლიანი წლების შედეგად კახეთის გლეხები უკიდურეს სიღარიბეში იყვნენ ჩავარდნილი. ისინი სამაზრო ხელისუფლებას თხოვდნენ მიეცათ მათთვის მოსავლის აღების საშუალება[1].

4 ივნისს დილით სოფ. ზემო მაჩხაანის გლეხებმა, რომლებმაც საკმაო რაოდენობით ბოიყარეს თავი, ალყა შემოარტყეს მამასახლის დავით ბოსტოღანაშვილს და მას გასაწვევ პირთა სია მოსთხოვეს. ვერ მიიღეს რა დამაკმაყოფილებელი პასუხი[2], ისინი თავს დაესხნენ მას და ძლიერ სცემეს. ამ ამბების მსვლელობა-მიმდინარეობის დროს ხალხის მასა განუწყვეტლივ ყვიროდა, რომ ის მილიციონერებს კენჭის ყრით არამც და არამც არ მისცემდა. იმავე დღეს შემთხვევის ადგილზე ქალაქ სიღნაღის პრისტავის თანაშემწე პრაპორშჩიკი ჯანიევი გამოცხადდა და წესრიგის აღდგენა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამით გაბრაზებულმა ჯანიევმა თავის მხლებელს გზირ სოლომონ ბეჟაშვილს უბრძანა შეეპყრო ერთი, სხვაზე უფრო აქტიურად მოქმედი, ახალგაზრდა გლეხი, მაგრამ აზვირთებულმა მასამ ბრძანების სისრულეში მოყვანა ჩაშალა — ის თავს დაესხა გზირს, სცემა იგი და დაჭერილი ამხანაგი გაანთავისუფლა.

ზემო მაჩხაანში მომხდარმა მღელვარებამ საგონებელში ჩააგდო მაზრის ადმინისტრაცია. მან გადაწყვიტა 5 ივნისისათვის დანიშნული კენჭისყრა დროებით გადაედო იმ მიზნით, რომ ალაზნის მიდამოებში განლაგებული ჯარების უფროს გენერალ-მაიორ იოსებ ორბელიანისათვის კაზაკთა ერთი ასეული ეთხოვა და ამ ძალის დახმარებით შეედგინა სახალხო რაზმეულთა ლაშქარი. სიღნაღის მაზრის უფროსი გრაფი ტიზენჰაუზენი მართლაც ეწვია ხსენებულ გენერალს, რომელიც იმ დღეს (5 ივნისს) სტუმრად იმყოფებოდა თავად რევაზ ვაჩნაძესთან, სოფელ ბაკურციხეში, ის და მისი თანმხლები პირები — თარჯიმანი ლევან ანდრონიკაშვილი, დამცველი ბასიკო ბოსტოღანაშვილი — ბაკურციხის გზაზე მდებარე ანაგის ხეობაში შეხვდნენ ვაქირიდან, მაშნაარიდან, საქობოდან და სხვა სოფლებიდან მომავალ გლეხთა დიდ ჯგუფს. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ტიზენჰაუზენს და გამოუცხადეს, რომ კახეთის მოსახლეობა მზადაა ქუდზე კაცი მისცეს ხელისუფლებას, მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგია „სალდათობისა“ და სახალხო ლაშქრის კენჭის ყრის წესით შედგენისა. გრაფმა სცადა აბობოქრებული მასის დაშოშმინება, მაგრამ უკანასკნელნი არამცთუ არ დაცხრნენ, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო განრისხდნენ; ისინი თავს დაესხნენ მამასახლის მჭედლიშვილს, ჩამოგლიჯეს

---

[1] «Обзор». 1878. № 309.

[2] მამასახლისმა მათ მისცა გასაწვევ პირთა შავად დაწერილი სია. გლეხებმა კი მოითხოვეს თეთრი, გადათეთრებული, რომელიც ამ დროისთვის უკვე სამაზრო სამმართველოში იყო გაგზავნილი.

განსხვავების ნიშნები და სცემეს. იგივე ბედი ელოდა მაზრის უფროსსაც, მაგრამ მან, ისარგებლა რა აჯანყებულთა მთელი ყურადღების მჭედლიშვილზე გადატანით, გაქცევა მოასწრო და ბაკურციხეში ამოყო თავი. აქ, თავად რევაზ ვაჩნაძის სახლში, გრაფი ზემოხსენებულ იოსებ ორბელიანს, ინჟინერ ლუკნიცკის, მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეს ხოსროევსა და დრაგომიროვს, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწეს გუდიმა ლევკოვიჩსა და პორუჩიკ კურილოს შეხვდა.

მაზრის უფროსს ჯერ სანახევროდაც არ დაემთავრებინა თხრობა მომხდარ ამბებზე, რომ ვაჩნაძის სახლს მიუახლოვდა არაჩვეულებრივი სისწრაფით მზარდი, მალე 5 ათას კაცამდე გამრავლებული, აჯანყებულთა მასა. გენერალმა ორბელიანმა, რომელმაც მღელვარების მონაწილეთა გაფანტვა სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვიტა, ტელეგრამის ტექსტი შეადგინა ბაკურციხეში კაზაკთა ასეულის გამოგზავნის შესახებ. მაგრამ გლეხებმა ჩაშალეს ამ გეგმის სისრულეში მოყვანა. მათ ხელთ იგდეს ტელეგრამა და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს ის[1]. ხალხი შეიარაღებული ჯოხებით, კომბლებითა და ხანჯლებით გარს შემოერტყა ვაჩნაძის სახლს. ისინი მოითხოვდნენ ტიზენჰაუზენის, ჯანიევის, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ზაქარია ანდრონიკაშვილისა და სხვათა გაცემას. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა — ყველა ერთხმად ყვიროდა, რომ მათ ძარცვავენ და ანადგურებენ და რომ ისინი კატეგორიული წინააღმდეგი არიან მილიციის კენჭის ყრით შედგენისა.

გენერალ ორბელიანის, რევაზ ვაჩნაძისა და სხვათა ყოველგვარი ცდა— დაეშალათ მოზღვავებული ხალხი — უშედეგო აღმოჩნდა. აჯანყებულებმა, რომლებმაც არაგაბედული მოქმედებისათვის ქალების საყვედური დაიმსახურეს, დაკარგეს მოთმინების უნარი — ისინი შეიჭრნენ ვაჩნაძის სახლში იმ მიზნით, რომ ანგარიში გაესწორებინათ ყველასათვის, ვინც მათ ავიწროებდა და სულს ხდიდა. «Наконец, — ნათქვამია მომდევნო ამბების შესახებ საბრალმდებლო დასკვნაში, — толпа хлынула в комнату, где находился уездный начальник, граф Тизенгаузен, и потребовала от него призывные списки. Когда же он объявил, что у него призывных списков при себе нет, его стали жестоко быть палками. Удары переносились и на лиц, которые защищали его, именно переводчика князя Андроникашвили, всадника Бостоганашвили, князя Сосо Вачнадзе (რევაზ ვაჩნაძის შვილი — ავტ.) и рядового Мирошникова (денщика кн. Орбелиани). Наступило (не-

---

1 ჩვენ,—ყვიროდნენ აჯანყებულები,—მზად ვართ ვემსახუროთ მეფეს, ყველა თანახმა გაყვეს თქვენს მიერ ნაჩვენებ გზას, მაგრამ კენჭის ყრით მილიციონერებს ვერ მოგცემთ — ვიმსახურებთ ისე, როგორც მსახურობდნენ ჩვენი მამები და პაპები («Обзор», 1878, № 309).

которое) затишье. Граф Тизенгаузен объявил, что если они успокоятся по получении призывных списков, то он даст им бумагу в Сигнах, к своему помощнику, который, по предъявлении её выдаст им подлинные призывные списки. Толпа успокоилась. Тизенгаузену дали кусок бумаги и чернила. Но когда он стал писать записку, её вырвали у него, крича, что это им не нужно, а нужны самые списки. При этом осмотрели лежащий там портфель кн. Орбелиани и, не найдя в нем никаких списков, снова стали наносить побои графу Тизенгаузену, вытащили его на балкон, а оттуда на улицу, в массу народа, продолжая наносить побои. Здесь, подняв его на ноги, стали требовать призывные списки. Тогда он предложил отправиться с ним в Сигнах, обещая дать там списки. Толпа на это согласилась. Графа посадили на почтовую тройку и значительная часть пошла с ним по направлению в Сигнах. Но в Анаге большинство толпы отстало, а передовые требовали, чтобы он дальше не ехал, причем один . . . громко кричал и угрожал палкой. Наконец, в толпе произошла ссора, которой граф Тизенгаузен воспользовался и уехал в Сигнах»[1].

სიღნაღის მაზრის უფროსის ბედი გაიზიარა გენერალ-მაიორ ორბელიანმაც. აჯანყებულებმა ის აივანზე გამოათრიეს, იქიდან ეზოში ჩაიყვანეს და საშინლად სცემეს, მას ხის ფეხი გაუტეხეს. საგრძნობლად დაზარალდნენ აგრეთვე პროკურორის ამხანაგი ლევკოვიჩი, პორუჩიკი კურილო და სხვები.

აბობოქრებული ხალხი გაუსწორდა არა მარტო მისთვის საძულველ ადამიანებს, არამედ ერთიანად დალეწა რევაზ ვაჩნაძის ოჯახის ძვირფასი ავეჯი და ჭურჭლეულობა, დაამტვრია ბროლის ლუსტრა, თან წაიღო ხმლები, დამბაჩები, რევოლვერი და თოფები, დაამსხვრია მინები, ჩაამტვრია კარები და ფანჯრები, გააფუჭა განჯინები, სკივრები და სხვა ნივთები. ერთი სიტყვით, რევაზ ვაჩნაძის ოჯახი გაძარცვეს, მას დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს, რომელიც სპეციალურმა კომისიამ სამი ათას მანეთად შეაფასა[2].

თავადის სახლთან დილაადრიანად შეკრებილმა გლეხებმა[3], დღის პირველი საათისათვის ნელ-ნელა პირი სახლისკენ იბრუნეს. გზაში ისინი თავს დაესხნენ კარდანახელ მამასახლის სამადაშვილის სახლს და დაამტვრიეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ. ასევე მოექცნენ აჯანყე-

---

[1] «Обзор», 1878, № 309.

[2] იქვე.

[3] მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ყოველივე ეს ერთი დღის, სახელდობრ 5 ივნისის, განმავლობაში ხდებოდა.

ბულნი ანაგის, ვაქირისა და საქობოს სტაროსტებს მჭედლიშვილს, ათაბეგოვსა და ფხოველიშვილს[1]. ნაკლებად არც მედუქნე სანდრო ჭრელაშვილი (სოფ. ანაგა) დაზარალებულა. მასზე შური იძიეს იმის გამო, რომ ის, ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით, მონაწილეობდა, თურმე, გასაწვევ პირთა სიების შედგენაში[2].

ამრიგად, გაუსწორდა რა ყველა მტარვალს და ჩაშალა რა ფაქტიურად სახალხო ლაშქრის შექმნის საქმე, აზვირთებული ხალხი დაიშალა. დაიწყეს აჯანყების მონაწილეთა დაჭერა, ამოქმედდნენ საგამომძიებლო ორგანოები. 1878 წლის 15 ნოემბერს ქალაქ სიღნაღში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელმაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოავლინა სახალხო მოძრაობის ნამდვილი მიზეზები. პასუხისგებაში მიცემული გლეხები ეჭვმიუტანელი ფაქტებით ლაპარაკობდნენ თავიანთ მძიმე სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე და გაბედულად ამხელდნენ სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციის თვითნებობასა და თავგასულობას. თვით სახელმწიფოებრივი ბრალმდებელიც კი იძულებული იყო აღენიშნა, რომ აჯანყება მოხდა იმ არაჩვეულებრივი ბოროტმოქმედების გამო, რომელსაც მიმართავენ ხელისუფლების წარმომადგენლები გადასახადების აკრეფის, სახალხო რაზმების შედგენისა და მოსახლეობიდან სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანის დროს.

სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით პასუხისგებაში მიცემული 20 გლეხიდან[3] თერთმეტს[4] 15 წლის კატორღა მიესაჯა[5].

კახეთისა და საერთოდ საქართველოს სხვა კუთხის სახელმწიფო გლეხებს, როგორც მოსალოდნელიც იყო, არც მერე შეუწყვეტიათ ბრძოლა ბიწისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით, რადგანაც დაინტერესებულ მკითხველს სათანადო მასალა შეუძლია ნახოს სახაზინო გლეხებისადმი მიძღვნილ ჩვენ მიერ ადრე გამოცემულ მონოგრაფიაში[6].

---

[1] ფხოველიშვილი გლეხების მიერ მიყენებულ მატერიალურ ზარალს 450 მანეთად აფასებდა («Обзор», 1878, № 309).

[2] სანდრო ჭრელაშვილის დუქანში აჯანყებულებს, მისივე მოწმობით, დაუმტვრევიათ ჭურჭელი, დაუღვრიათ ღვინო და არაყი, გაუფუჭებიათ ტიკები და სხვ. («Обзор», 1878, № 309).

[3] ესენი იყვნენ: დიმიტრი კუდაშვილი, თომა მირიანაშვილი, გეგენა დარჩიაშვილი, გეგენა ალხანაშვილი, ილია მირიანაშვილი, ილია მჭედლიშვილი, ილია ნალბანდიშვილი, სესია მეკუდიშვილი, იასე ნარეკლიშვილი, გეგენა სვიმონიშვილი, გაბრო კობახიძე, ნოდარ ხიმიაშვილი, ილია კვირიკაშვილი, მელანია ხელაშვილი, პეპე დავითაშვილი, საბედა გულხადარიშვილი, გიორგი შიოშვილი, დარიკო მართაშვილი, ჯანდიერ სიფერაშვილი და ივანე ბაყაშვილი.

[4] მათ შორის ორ ქალს — საბედა გულხადარიშვილს და მელანია ხელაშვილს. «Обзор», 1878, № 311.

И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, 1962 гг. 136—162.

§ 1. ნაროდნიკობის (ხალხოსნობის) სოციალურ-პოლიტიკური არსი და ისტორიული მნიშვნელობა

ნაროდნიკობა, ლენინის აზრით, არის შეხედულებათა სისტემა. რომელსაც შემდეგი სამი ძირითადი ნიშანი ახასიათებს[1]: 1. კაპიტალიზმის გამოცხადება რუსეთის სინამდვილისათვის დაცემულობად, სოციალურ-პოლიტიკურ რეგრესად, 2. რუსეთის ეკონომიური წყობილებისა და მისი განვითარების გზების სპეციფიკურობის აღიარება, და 3. ინტელიგენციისა და ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირის უარყოფა საზოგადოებრივი კლასების მატერიალურ ინტერესებთან. ჩამოთვლის რა ამ ნიშნებს, ვ. ი. ლენინი ამასთანავე ხაზს უსვამს სხვადასხვა მიმდინარეობას შორის არსებულ განსხვავებას, მაგრამ თანაც მიუთითებს, რომ მის ძიერ დასახელებული ნიშნები მეტ-ნაკლებად საერთოა ხალხოსნური მსოფლმხედველობის ყველა სახისა და განშტოებისათვის.

ჩერდება რა თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე, ვ. ი. ლენინი, კერძოდ, პირველ ნიშანთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ნაროდნიკებმა. განსხვავებით 60-იანი წლების განმანათლებლებისა და რევოლუციონერ-დემოკრატებისაგან, რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების კაპიტალისტური გზით განვითარება უბედურებად, დიდ შეცდომად და ქვეყნისათვის განკუთვნილი გზიდან სამწუხარო გადახვევად აღიარეს. „როგორც კი დაისვა საკითხი რუსეთში კაპიტალიზმის შესახებ, — წერს ვ. ი. ლენინი, — სულ მალე გამოირკვა, რომ ჩვენი ეკონომიური განვითარება კაპიტალისტურია, და ნაროდნიკებმა ეს განვითარება გამოაცხადეს რეგრესად, შეცდომად, იმ გზიდან გადახვევად, რომელსაც თითქოს ერის მთელი ისტორიული ცხოვრება გვიკარნახებდა, იმ გზიდან გადახვევად, რომელიც თითქოს ნაკურთხი იყო საუკუნეობრივი ტრადიციებით და სხვ. და ა. შ. არსებული საზოგადოებრივი განვითარები-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 481.

სადმი განმანათლებელთა მხურვალე რწმენის ნაცვლად გაჩნდა მისდამი უნდობლობა, ისტორიული ოპტიმიზმისა და სულიერი სიმხნევის ნაცვლად—პესიმიზმი და სასოწარკვეთილება; ეს პესიმიზმი და სასოწარკვეთილება დამყარებულია იმაზე, რომ, რაც უფრო შორს წავა საქმე ისე, როგორც ახლა მიდის, მით უარესი, მით უფრო ძნელი იქნება ახალი განვითარებით წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტაო; ჩნდება მოწოდებანი «შევაფერხოთ» და «შევაჩეროთ» ეს განვითარებაო. ჩნდება თეორია, რომ ჩამორჩენილობა რუსეთის ბედნიერებააო და სხვ. ნაროდნიკული მსოფლმხედველობის ყველა ამ თვისებას «მემკვიდრეობასთან» (ე. ი. 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებთან — ავტ.) არათუ საერთო არაფერი აქვს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას«[1].

ნაროდნიკობის მეორე დამახასიათებელი ნიშანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არის რწმენა რუსეთის თვითმყოფობისადმი, გლეხისა და თემის იდეალიზაცია, ამ უკანასკნელის ქვეყნის ბედნიერებად და მხსნელ ძალად გამოცხადება. ხალხოსნების აზრით, რუსეთს თუმცა აკლდა ცივილიზებული კაცობრიობის ესა თუ ის მხარე, მაგრამ სამაგიეროდ ის მოწოდებული იყო მსოფლიოსათვის ეჩვენებინა მეურნეობის გაძღოლის ახალი (თემური) წესები. კაპიტალიზმისა და მისი გამოვლინების ის ანალიზი, რომელიც დასავლეთ ევროპის მოწინავე საზოგადოებრივ აზრს ჰქონდა გაკეთებული, „კურთხეული“ რუსეთისათვის სრულიად მიუღებლად იქნა აღიარებული. კიდევ მეტი — ნაროდნიკები, ლენინის თქმით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რათა თვალი დაეხუჭათ და რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის ქვეყნის ეკონომიური განვითარებიდან არ გაეკეთებინათ ის დასკვნები, რაც იქიდან სავსებით ბუნებრივად გამომდინარეობდა[2].

დასასრულ, ნაროდნიკული მიმდინარეობის მესამე დამახასიათებელი თვისებაა ინტელიგენციის და ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირის უგულებელყოფა საზოგადოებრივი კლასების მატერიალურ ინტერესებთან[3]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხალხოსნებისთვის უცხო იყო სოციალური მოვლენების მატერიალისტური ახსნა, რაც მათ საფუძველს აძლევდა ინტელიგენცია ისეთ ძალად მიეჩნიათ, რომელსაც შეეძლო ისტორიული განვითარების სხვა გზით წარმართვა[4]. ამ იდეალისტურმა თვალსაზრისმა წარმოშვა „აზროვნებისა და მსჯელობის ის განსა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 643—644.

[2] იქვე, გვ. 645.

[3] შ. ლევინის მოწმობით, ლენინი იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებაში გულისხმობდა თვითმპყრობელობასა და მის ინსტიტუტებს (Ш. Л е в и н, «Общественное движение в России...,» გვ. 299, სქოლიო).

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 639.

კუთრებული მანერა“, რომელიც ესოდენ გაზვიადებით ახასიათებდა ინტელიგენციის როლსა და ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ნაროდნიკების თეორია „ბრბოსა და გმირების“, „კრიტიკულად მოაზროვნე პირების“ შესახებ. ამ თეორიის ფუძემდებელი პეტრე ლავროვი წერდა: «Как ни мал прогресс человечества, но и то, что есть, лежит исключительно на критически-мыслящих личностях: без них он безусловно невозможен»[1]. და კიდევ: «Поговорим об этих личностях, единственных орудиях человеческого прогресса. Каков бы он ни был, он зависит от них»[2].

ამრიგად, უარყოფილია საზოგადოებრივი განვითარების ყოველგვარი ობიექტური კანონზომიერება.

ასეთსავე იდეალისტურ თვალსაზრისზე იყო დაფუძნებული მეორე ცნობილი ნაროდნიკების მიხეილ ბაკუნინის ანარქისტული შეხედულებანიც. ბაკუნინის აზრით, სახელმწიფო, რომელსაც ის უდიდეს ბოროტებად თვლიდა, სოციალური რევოლუციის წარმატებით დამთავრების უმალ უნდა მოსპობილიყო. მას, როგორც მცდარ მეთოდოლოგიურ პოზიციებზე მდგარ მოაზროვნეს, არ ესმოდა, რომ სახელმწიფოს მოსპობა მთავრობის დეკრეტით არ შეიძლებოდა და რომ ამისთვის პირველ რიგში მისი წარმომშობი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობების შეცვლა-ლიკვიდაცია იყო საჭირო[3].

ნაროდნიკები ამ მხრივ განსხვავდებოდნენ 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებისაგან, რომელნიც ისტორიის მამოძრავებელ ძალად „კრიტიკულად მოაზროვნე პირებს“ კი არ თვლიდნენ, არამედ ხალხს, მის ფართო მასებს.

ასეთია ნაროდნიკების, როგორც შეხედულებათა გარკვეული სისტემის ძირითადი ნიშნები.

ყველა აქ ჩამოთვლილ ნიშანს მეტ-ნაკლებად ქართველ ხალხოსნებთანაც ვპოულობთ, თუმცა არა იმ უკიდურესობამდე მისული სახით, რაც რუსი მოღვაწეებისათვის იყო დამახასიათებელი. კაპიტალიზმის თაყვანისმცემლები არც ქართველი ხალხოსნები ყოფილან, მაგრამ ეს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია მათ ხელაღებით არასოდეს არ უარყვიათ. თემს მათი წარმოდგენითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი სამართლიანი წყობილების დამყარების საქმეში, მაგრამ მისი გაზვიადებული შეფასება მათთვის უცხო იყო. ქართველი ხალხოსნების თავისებურებას წარმოადგენდა აგრეთვე ეროვნული საკითხისათვის შედარებით

---

[1] П. Лавров, Исторические письма, С.-Петербург, 1905, გვ. 95.

[2] იქვე, გვ. 94—95.

[3] М. Бакунин, Избранные сочинения, т. I, «Государственность и анархия», 1919, გვ. 237—238.

დიდი ადგილის დათმობა, მოქმედების ტერორისტული ტაქტიკის თუ სრული უარყოფა არა, ყოველ შემთხვევაში მისი შესამჩნევად უკანა პლანზე გადაწევა, მათი პროპაგანდის გაცილებით მეტი წარმატება გლეხთა წრეში, ვიდრე რუსი ნაროდნიკების საქმიანობისა და სხვ.[1].

გასარკვევია საკითხი, თუ როგორი იყო ამ მიმდინარეობის კლასობრივი არსი. ნაროდნიკების ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. ზლატოვრატსკი ამასთან დაკავშირებით წერდა: ნაროდნიკი რუსეთის მშრომელი მასების, პირველ რიგში კი გლეხობის, ინტერესების დამცველი და გამომხატველი იყოო[2]. მარქსიზმის კლასიკოსებიც ძირითადად მხარს უჭერენ ჩვენთვის საინტერესო მიმდინარეობის კლასობრივი არსის ზემომოტანილ განსაზღვრას. ვ. ი. ლენინი, მაგალითად, პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ნაროდნიკობა არის გლეხური დემოკრატიის იდეოლოგია (შეხედულებათა სისტემა) რუსეთში“[3]. გლეხური დემოკრატია — აი, ლენინის აზრით, ნაროდნიკული დოქტრინის „ერთადერთი რეალური შინაარსი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა“[4].

სწორედ ის გარემოება, რომ ნაროდნიკები გლეხური დემოკრატიის მებრძოლ ბირთვს წარმოადგენდნენ, საფუძველს აძლევდა ლენინს შედარებით მაღალი შეფასება მიეცა მათი საქმიანობისათვის. კარგად ხედავდა რა ნაროდნიკული თეორიების აშკარა რეაქციულ მხარეებს[5], ის ამასთანავე მკაცრად უსაყვედურებდა ყველა იმათ, ვინც ღალატობდა ისტორიულ ჭეშმარიტებას და ვერ ხედავდა ნაროდნიკების დამსახურებას რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი 70-იანი წლების ნაროდნიკებს, იქიდანაც ჩანს, რომ ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად თვლიდა არა მარტო გერცენს, ბელინსკის და ჩერნიშევსკის, არამედ „70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადასაც“[6].

§ 2. ნაროდნიკობის წარმოშობის ძირითადი მიზეზები

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ნაროდნიკობის, როგორც იდეური მიმდინარეობის, წარმოშობა რუსეთის

---

[1] ქართველი ხალხოსნების თავისებურებათა შესახებ იხ. ზ. შველიძის „რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში (XIX საუკუნის 60-იანი წლები და 70-იანი წლების დამდეგი)“, 1964, გვ. 43—48.

[2] Н. Злотоврацкий, Открытое письмо А. Н. Пыпину, «Русские ведомости», № 48, 1884, გვ. 3.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 430.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 269.

[6] იქვე, ტ. 5, გვ. 342.

სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შედარებით ჩამორჩენილობით იყო განპირობებული. „ისეთ ქვეყანაში, როგორიც თქვენი ქვეყანაა, — სწერდა ენგელსი პლეხანოვს 1895 წლის 26 თებერვალს, — სადაც თანამედროვე მსხვილი მრეწველობა დამყარებულია პირველყოფილ გლეხურ თემზე და სადაც ერთდროულად წარმოდგენილია ცივილიზაციის ყველა შუალედი სტადიები, ისეთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია დესპოტიზმის მიერ აღმართული მეტ-ნაკლებად მყარი ინტელექტუალური ჩიხური კედლით, გასაკვირი არაა იდეათა ყოვლად უცნაური და გაუგონარი კომბინაციების წარმოშობა... თანდათანობით, ქალაქების ზრდასთან ერთად, ნიჭიერ ადამიანთა იზოლირება გაქრება და მასთან ერთად გაქრება აგრეთვე ის იდეური ცდომილებანიც, რომლებიც გამოწვეულია მარტოობით, შემთხვევითი ცოდნის უსისტემობით“[1].

იგივე აზრია განვითარებული ლენინის მთელ რიგ შრომებში. ასე მაგალითად, ნაშრომში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი“ პირდაპირაა მითითებული, რომ ნაროდნიკული მიმდინარეობის აღმოცენება გამოწვეული იყო წვრილ მწარმოებელთა კლასის დომინირებით რეფორმის შემდეგი ხანის რუსეთში[2]. ამასვე იმეორებს ლენინი თავის მეორე ნაწარმოებში „წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი“. „რუსეთის ჩამორჩენილობა, — წერს ის, — ბუნებრივად ხსნის სოციალიზმის სხვადასხვა ჩამორჩენილ მოძღვრებათა დიდ სიმყარეს ჩვენს ქვეყანაში“[3].

აქ გამოთქმული სახელმძღვანელო მოსაზრებები სავსებით უდგება საქართველოს სინამდვილესაც. მართალია, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ჩვენში, ისე როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, კაპიტალისტური ურთიერთობა შედარებით ინტენსიურად იკაფავდა გზას, მაგრამ მაინც ძლიერ იგრძნობოდა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის, ვაჭრობის, ქალაქების და ქალაქური ცხოვრების განვითარების დაბალი დონე. რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის ნაშთების უხვად არსებობა (რომელთა შორის მთავარი იყო მიწის უდიდესი ფონდის მემამულეთა ხელში დარჩენა), გლეხური მეურნეობის არაინტენსიური ხასიათი, უშუალო მწარმოებელი კლასების უკიდურესი სიღატაკე, მათი მკაცრი ექსპლოატაცია პრივილეგირებულ წოდებათა და სახელმწიფოს მხრივ და სხვ.

საქმეში კარგად ჩახედული ნიკო ნიკოლაძე რეფორმის შედეგად შექმნილ ურთიერთობას ახალ ბატონყმობას უწოდებდა და მას ძველ ბა-

---

[1] კ. მარქსის და ფ. ენგელსის მწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თბ., 1955, გვ. 425—426.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1 გვ. 375.

[3] იქვე, ტ. 9, გვ. 408.

ტონყმობასთან შედარებით უფრო მკაცრად მიიჩნევდა[1]. და, მართლაც, ფაქტიური მასალა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ადასტურებს აქ გამოთქმული აზრის სისწორეს, სახელდობრ იმას, რომ რეფორმის შემდეგდროინდელი იურიდიულად თავისუფალი ქართველი გლეხის ეკონომიური მდგომარეობა შეტად მძიმე და სავალალო იყო. მას უმიწობა და ძველი ურთიერთობის ნაშთების სიუხვე ტანჯავდა.

ძირითადი მწარმოებელი კლასის—გლეხობის—შრომისა და ცხოვრების ესოდენ მძიმე პირობები, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების ჭარბად შემორჩენით იყო გამოწვეული და რაც საგრძნობლად აფერხებდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებას, საგონებელში აგდებდა იმდროინდელ ქართველ ახალგაზრდობას. ის გულწრფელად თანაუგრძნობდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას და ეძებდა გზებსა და საშუალებებს მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. სწორედ ამ ძიებამ მოწინავე ინტელიგენციის ერთი ნაწილი ხალხოსნობამდე მიიყვანა და მისი დროშის ქვეშ დააყენა.

ქართული ხალხოსნური მოძრაობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლისას მკვლევარები სამართლიანად მიუთითებდნენ გასული საუკუნის 60—70-იანი წლების რუსული საზოგადოებრივი აზრის გავლენაზე. გერცენის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ლავროვის, ბაკუნინის და სხვათა ძოღვაწეობა და ნააზრევი ჩვენში ხალხოსნური იდეოლოგიის გაფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. შესასწავლი ძიძდინარეობის მიმდევარი ქართველი ახალგაზრდობა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდა მათ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილი აღზრდილის გ. უთურგაულის 1873 წლის 23 ოქტომბრის წერილი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტ შიო შიუკაშვილისადმი, რომლის შინაარსი აქ ჟანდარმერიის თარჯიმნის სიტყვებითაა გადმოცემული. «В заключение, — წერს ჟანდარმერიის მოხელე, — автор письма просит Шио Шиукова сообщить подробности об академической жизни учащихся, образе мыслей их, понятий и идей и о том, старые ли эти идеи или новые. Далее говорится в этом письме, что он слышал, что будто бы в Петербург приехал Чернышевский и просит уведомить правда это или нет. Ужели ни разу не встретился с этим святым человеком и не опишешь? что ты узнаешь об литераторах и об эмигрантах — обо всем в подробности напиши ко мне»[2].

---

[1] ნიკო ნიკოლაძე, გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1930, გვ. 182—183.

[2] ЦГИА СССР, ф. 7, д. 10, л. 105. მომყავს გ. მეგრელიშვილის ნაშრომიდან «Грузинская общественно-экономическая мысль»..., т. I, გვ. 430.

ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე დავით კეზელი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ცდილობდა აღეზარდა მომავალი მოლჩალინები და არა ჩერნიშევსკები, ნეჩაევები და მათი მსგავსი ადამიანები[1]. პოლკოვნიკ ესაძეს კეზელის დაკითხვის ოქმში აღნიშნული აქვს, რომ პატიმარი საერთოდ მოხიბლული იყო ჩერნიშევსკის ნაწერებით და განსაკუთრებით კი მისი რომანით „რა ვაკეთოთ?"[2]. მისივე მოწმობით, დავით კეზელს ხელთ ჰქონია „აღმაშფოთებელი" ხასიათის პროკლამაცია „ახალგაზრდა რუსეთი"[3]. სოფრომ მგალობლიშვილის დასტურით კი რუსეთის მთელ იმპერიაში, მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც, ფართოდ ყოფილა გავრცელებული და დიდი პოპულარობა ჰქონია პეტრე ლავროვის ჟურნალ „ვპერიოდს", და მის „ისტორიულ წერილებს", ბაკუნინის საპროგრამო ხასიათის ნაშრომებს და სხვა განთქმულ მოღვაწეთა შემოქმედების ნიმუშებს[4]. უფრო მეტიც, ყველა მოწინავე ქართველ ახალგაზრდას დასახელებული რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ნაროდნიკების სახელი ჰკერებია ენაზე[5].

რევოლუციური მოძრაობის გაშლა-განვითარებას ჩვენში პარიზის კომუნამაც შეუწყო ხელი, რომელსაც აღტაცებით შეხვდა რუსეთისა და საქართველოს ინტელიგენცია. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ლექსი, მიძღვნილი ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენისადმი. მასში მკაფიოდ ჩანს ავტორის გულწრფელი თანაგრძნობა და სიმპათიები საფრანგეთის მშრომელების თავგანწირული ბრძოლისადმი. იგივე ითქმის ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და გაზეთ „დროების" ფურცლებზე დაბეჭდილ მრავალ სხვა კომუნის თემაზე დაწერილ სტატიებზედაც[6]. მოვლენის ძლიერ გავლენაზე ქართული საზოგადოებრივი აზრის შემდგომ განვითარებაზე[7].

დასასრულ, შეუძლებელია საგანგებოდ არ აღინიშნოს ჩვენი რევოლუციონერ-დემოკრატების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო

---

[1] ЦГИА СССР, ф. 7, д. 10, л. 105. მომყავს გ. მეგრელიშვილის ნაშრომიდან «Грузинская общественно-экономическая мысль...», გვ. 430.

[2] იქვე, ფურც. 31, იქვე.

[3] იქვე, ფურც. 48—49, იქვე, გვ. 430—431.

[4] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 68. შდრ. შ. დ ა ე ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 37.

[5] იქვე, გვ. 69.

[6] ამაზე დაწვრილებით იხ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის..., ტ. I, გვ. 115—126.

[7] И. С. Д ж а б а д а р и, Процесс 50-ти. მომყავს გ. მეგრელიშვილის პუბლიკაციით (იხ. მ ი ს ი Грузинская общественно-политическая мысль второй половины XIX века, т. I , часть вторая, გვ. 353.).

ნიკოლაძისა და სხვათა საგრძნობი გავლენა ქართველი ხალხოსნების იდეოლოგიის ფორმირებაზე. სამოციანელებისა და, კერძოდ, მათი ბელადის ილიას მხატვრულ-პუბლიცისტურ შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას, ბუნებრივია, უკვალოდ არ ჩაუვლია და, მიუხედავად მათსა და ხალხოსნებს შორის არსებული ზოგი პრინციპული ხასიათის განსხვავებისა, უკანასკნელთა წარმომადგენლებმა ბევრი რამ შეითვისეს თერგდალეულების იდეური კრედოდან. „კაცია-ადამიანი?!“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა შესანიშნავი ნიმუშები უეჭველ კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა ქართული რევოლუციური აზრის შემდგომ წინსვლა-განვითარებაზე. როგორ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა, გლეხისადმი უდიდესი სიყვარული არ აღეძრა და მისი ბედნიერებისათვის საბრძოლველად არ დაერაზმა მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობა ილია ჭავჭავაძის დიდებულ აზრებს ხსენებული კლასის ადგილისა და მნიშვნელობის თაობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამრიგად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ხალხოსნური მოძრაობის წარმოშობა პირველ რიგში ქვეყნის შინაგანი მდგომარეობით ყოფილა განპირობებული. შინაგან მდგომარეობაში ვგულისხმობთ ბატონყმური გადმონაშთების სიჭარბეს რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში, რაც ვიმეორებთ, თავის მხრივ, საზღვრავდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების შედარებით ნელ ტემპს, სოფლისა და ქალაქის მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების ერთობ მძიმე პირობებს და, აქედან გამომდინარე, კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებას. ამ ხელსაყრელ ვითარებაში ხალხოსნური იდეოლოგიის ფორმირებაზე კეთილმყოფელი გავლენა ჰქონდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ აზროვნებას, ცნობილი ნაროდნიკების: ლავროვის, ბაკუნინისა და სხვების პირველი ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნის გაბედულ საქმიანობასა და თერგდალეულების ლიტერატურულ-პუბლიცისტურ და პრაქტიკულ საქმიანობას.

§ 3. ხალხოსნური მოძრაობა 70-იან წლებში

საიდუმლო ორგანიზაციის შექმნა. მისი წევრები. საარქივო მასალებისა და მემუარული ლიტერატურის მიხედვით, საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაცია საქართველოში 1873—1874 წლებშია შექმნილი. ეხება რა ამ საკითხს, სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „1872 წლიდან თბილისში, აქა-იქ იმართება კრებები, რომლებსაც ესწრება მოსწავლე ახალგაზრდობა, კითხულობენ არა მარტო ნებადართულ, არამედ აკრძალულ წიგნებსაც. სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება „სოვრემენიკი“, „ველიკორუსი“, დობროლიუბოვის, პისარევის, ჩერნიშევსკის, პრუდონის, ლასალისა და სხვათა ნაწერები. მიზნად დავისა-

ხეთ, — ამბობს იგი, — თვითგანვითარება და შემდეგ ხალხში გასვლა საქადაგებლად მონარქიული წყობილების საწინააღმდეგო აზრებისა"[1].

ამ სიტყვებიდანაც გამოდის, თითქოს მისი ავტორი ხალხოსნური ორგანიზაციის ჩასახვა-აღმოცენების თარიღად 1872 წელს მიიჩნევს. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ეტყობა, კრებებს, რომლებსაც თბილისის ახალგაზრდობა იწვევდა, სოფრომ მგალობლიშვილი არ თვლიდა ახალი მიმდინარეობის ორგანიზაციული საფუძვლების ჩაყრად. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს მისი მოგონების თუნდაც ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში აქტიური ხალხოსნური მოძრაობა „კანტი-კუნტად 1873 წლიდან დაიწყო"[2].

საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის მასალები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც ხალხოსნური მიმდინარეობის გაშლა-გაფართოების საქმეში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლამიღებულ და სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ ახალგაზრდობას უთამაშია.

კაპიტან ხრისტოფოროვის მოხსენებაში მითითებულია, რომ ხალხოსნების ორგანიზაცია შეიქმნა 1874 წელს, როდესაც პეტერბურგიდან სამშობლოში სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტი ისიდორე ქიქოძე დაბრუნდაო[3]. ყოველივე ამას მხარს უჭერს იაკობ მანსვეტაშვილიც. მისი მოწმობითაც, ხალხოსნური იდეების ინტენსიური პროპაგანდა და მისთვის სათანადო ორგანიზაციული ფორმის მიცემა რუსეთში განსწავლული მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის სახელთან ყოფილა დაკავშირებული[4]. ამათგან კი, მისი აზრით, ყველაზე დიდი დამსახურება ივანე ჯაბადარს, რომანოზ ფავლენიშვილსა და ეგნატე იოსელიანს ჰქონიათ[5].

ხალხოსნების მოქმედების მთავარ ცენტრებად მასალები თბილისს, გორს, ქუთაისს, თელავსა და ოზურგეთს ასახელებენ. წევრების ყველაზე დიდი რაოდენობა (200 კაცი) საქართველოს დედაქალაქში ირიცხებოდა. ჟანდარმერიის მიერ შეგროვილი ზოგი სხვა ცნობის თანახმად თბილისის წრეში გაერთიანებული ყოფილან[6]: ეგნატე იოსელიანი, დათიკო თარხნიშვილი, იოსებ ბაქრაძე, არსენ კალანდაძე, სიმონ კარბელაშვილი, ანდრო ერისთავი, ოლგა ყიფიანი, დიმიტრი კეზელი, სტეფანე ჭრელაშვილი, სემინარიელი კვიცარიძე და სხვ. გორის წრეში[7]: ვასო დეკანოზიშვილი,

---

[1] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 71.
[2] იქვე.
[3] ЦГИА СССР, ф. 153, д. 35, л. 29.
[4] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 1.
[5] იქვე.
[6] ЦГИА СССР, ф. 153, д. 35, л. 36.
[7] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 73.

ანტონ ფურცელაძე.

მათე კერესელიძე, პავლე ბურჯანაძე (მასწავლებელი), ვანო ხიმშიაშვილი (შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე), ქაიხოსრო ფურცელაძე (სამხედრო ექიმი), ანტონ ფურცელაძე (მწერალი და პუბლიცისტი, ვექილი), ვასილ სამადაშვილი (მღვდელი ს. ტყვიავში), გიგო ავალიშვილი, კოლა ფავლენიშვილი, რომანოზ ფავლენიშვილი (სტუდენტი), მოსე ნათაძე (მეჯვრისხეველი მასწავლებელი), სოფრომ მგალობლიშვილი, კოტე ერისთავი, ილიკო მაჭავარიანი, შიო დავითაშვილი და სხვ. კახეთის წრეში: ილიკო ჭიჭინაძე, დარიკო ჯორჯაძე, მასწავლებელი როსტომაშვილი, იოსებ გულისაშვილი, ალექსანდრე ცხვედაძე, სოფიო ჯორჯაძე, კონსტანტინე ნაცვლიშვილი, იოსებ მაყაშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი და სხვ. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ ხალხოსნური ორგანიზაციის წევრები და თვალსაჩინო მოღვაწენი ყოფილან: იმერეთში — მიხეილ ყიფიანი, პლატონ გაბიჩვაძე, ვარლამ გაბიჩვაძე, ილია ბახტაძე და ნესტორ თავდგერიძე. გურიაში — ისიდორე ქიქოძე, მელიტონ ნაკაშიძე, ივანე ნაკაშიძე, სანდრო საფაროვი, გიორგი გურიელი, ათანასე ქიქოძე და სამეგრელოში — ბათუ აფაქიძე, ანტონ იოსელიანი, ნესტორ კანდელაკი და სხვ.

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები. როგორი იყო საიდუმლო ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები ამომწურავი პასუხის გაცემა ჩვეულებრივ სამოქმედო პროგრამის ანალიზის შედეგად ხერხდება და ეს ყველაზე სწორი და საიმედო გზაა. მაგრამ ამჟამად იძულებული ვართ გვერდი ავუაროთ ამ გზას, რადგანაც ქართველ ხალხოსნებს, როგორც ცნობილია, საერთოდ არ ჰქონიათ დამტკიცებული პროგრამა[1], ხოლო მისი შავი, რომელიც ვარლამ გაბიჩვაძეს შეუდგენია[2], დღემდე არაა აღმოჩენილი. ასეთ ვითარებაში მკვლევარის მთელი ყურადღება, ბუნებრივია, გადადის სხვა ხასიათის მასალებზე, როგორიცაა დასმენის ტექსტები, დაკითხვის ოქმები, პოლიციის მოხელეთა მოხსენებები, ბრალდებულთა პირადი წერილები, მათ მიერ დაწერილი პროკლამაციები, თანამედროვეთა მოგონებები და სხვ.

---

[1] პროგრამა უნდა განეხილა და დაემტკიცებინა ყრილობას, მაგრამ მისი მოწვევა ვერ მოესწრო საიდუმლო ორგანიზაციის ჩავარდნის გამო.

[2] ЦГИА СССР, ф. 153, д. 33, л. 24, ჯაშუშ იაგორ იოსელიანის ერთ-ერთი დასმენის ტექსტი.

აქ დასახელებული წყაროების გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ საიდუმლო ორგანიზაციას მიზნად ჰქონია დასახული არსებული უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დამხობა და მის მაგივრად ისეთის დამყარება, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანის სრულსა და ყოველმხრივ თავისუფლებას. კაპიტან ხრისტოფოროვის პირველ მოხსენებაში[1], მაგალითად, პირდაპირაა მითითებული, რომ საზოგადოების მიზანს საყოველთაო აჯანყების მოწყობა და მის შედეგად „თანამდებობის პირთა, სამღვდელოებისა და მემამულე თავად-აზნაურთა" მოსპობა-განადგურება წარმოადგენდაო[2]. იგივე აზრია განმეორებული მის მეორე მოხსენებაშიც[3]. იქაც ნათქვამია, რომ ხალხსნები საერთო-სახალხო აჯანყების მოწყობასა და ამ გზით მეფის ხელისუფლების დამხობას ფიქრობდნენო[4]. შიო დავითაშვილის მოწმობითაც, ხალხოსნების მთელი საქმიანობა სწორედ იქითკენ ყოფილა მიმართული, რომ დაემხოთ დესპოტური რეჟიმი და შეექმნათ ახალი, სოციალისტურ პრინციპებზე აშენებული საზოგადოება[5].

საიდუმლო ორგანიზაციას რომ ნამდვილად ასეთი მიზანდასახულობა ჰქონდა, ამას პასუხისგებაში მიცემულ პირთა ჩვენებებიც ადასტურებს. ერთ მათგანს, მაგალითად, პირდაპირ განუცხადებია, რომ ქართველი ხალხოსნები და მათი მესვეურები მიხეილ ყიფიანი, ისიდორე ქიქოძე და სხვები ხშირად ლაპარაკობდნენ „კავკასიაში კომუნის მოწყობის აუცილებლობაზე"[6]. კონსტანტინე ბაქრაძის 1876 წლის 26 აგვისტოს წერილში კი, რომელიც მას ეგნატე იოსელიანისათვის გაუგზავნია, დოკუმენტის სიტყვით, გამოთქმული ყოფილა სურვილი, რომ „ხალხი ამდგარიყო არსებული წყობილების წინააღმდეგ და მოეწყო თავისი ცხოვრება სულ სხვა სოციალურ საფუძველზე"[7]. ყოველივე ამან საშუალება მისცა თბილისის

---

[1] სრული სახელწოდება ამ მოხსენებისა, რომელსაც ჩვენ „პირველს" ან „ერცელს" ვუწოდებთ, ასეთია: «Записка, составленная из собранных сведений о социально-революционном обществе, образовавшемся в пределах Закавказского края» (სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 29—41).

[2] სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 29.

[3] სრული სახელწოდება ამ მოხსენებისა, რომელსაც ჩვენ „მეორეს" ან „მოკლეს" ვუწოდებთ, ასეთია: «Краткая записка, составленная из собранных сведений о социально-революционном обществе, образовавшемся в пределах Закавказского края» (სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 42—44).

[4] სსცია, ფ. 153, საქ. 33, ფურც. 42.

[5] შ ი ო დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი საქართველოში, „რევოლუციის მატიანე", 1923, № 3.

[6] სსცია, ფ. 7, ან. 3, საქ. 2506, ფურც. 86; Представление прокурора Тифлисской судебной палаты В. Андреева от 7 июня 1877 года его императорскому высочеству князю наместнику кавказскому (на 92 листах).

[7] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 86, 87.

სასამართლო პალატის პროკურორს დაესკვნა, რომ «Сообщество, к устройству которого они (ე. ი. ხალხოსნები—ავტ.) стремились, имело целью ниспровержение всего существующего государственного и общественного строя»[1].

თუ რა აზრები და შეხედულებები შეჰქონდათ კონკრეტულად ქართველ რევოლუციონერებს ხალხის მასებში (გლეხები, მუშები, სამხედრო პირები, მოსწავლე ახალგაზრდობა), ამაზე ამომწურავ პასუხს ხრისტოფოროვის პირველი მოხსენება იძლევა. „საზოგადოების წევრნი, — ვკითხულობთ იქ,—იზიდავენ მოზარდ თაობას... და ცდილობენ[2] შთაუნერგონ მას სიძულვილი მთავრობისა და არსებული წყობილებისადმი. ისინი არწმუნენებენ მას, რომ თვითმპყრობელი მონარქიული მთავრობის მოსპობის შემდეგ ყველა თანასწორი იქნება და ყოველგვარი ქონება თანაბრად განაწილდება. სახელმწიფო გადასახადი როგორც ფულადი, ისე ნატურალური, მოსპობილი იქნება. ამასთან ხალხს აჯერებენ, რომ რუსეთის გლეხობა თითქმის 37 გუბერნიაში მზად არის პირველი დაძახებისთანავე საბრძოლველად გამოვიდეს მთავრობის წინააღმდეგ და რომ ჯარი მხარს უჭერს მას... საზოგადოება მიზნად ისახავს სათანადო ნიშნის მიღებისთანავე მოაწყოს ერთდროული საყოველთაო აჯანყება თანამდებობის პირთა, სამღვდელოებისა და მემამულე თავად-აზნაურთა მოსასპობად“[3].

კიდევ უფრო მკაფიოდაა გადმოცემული ხალხოსნური პროპაგანდის შინაარსი იმავე მოხსენების მეორე ადგილას. „პროპაგანდისტები, ხალხში ავრცელებენ შემდეგ იდეას: ხელმწიფის კანონით ხალხს ახდევინებენ დიდძალ არაპირდაპირ გადასახადს მოწმობისათვის, პატენტისათვის და სხვ. ეს გადასახადი ყოველ წლობით იზრდება. მთავრობა იგონებს ახალ-ახალ გამოსაღებებს, რომლის მთელი სიმძიმე მუშა ხალხს აწვება კისერზე... მშრომელი ხალხის ოფლით მონაგარს, რასაც კი მოიყვანს იგი... თესვით, მკით, გალეწვით, ან ისეთი მძიმე საქმიანობით, როგორიც არის ტყის მასალის დამზადება და სხვა..., ითვისებენ ხაზინა და მემამულეები, ხალხი კი რჩება მშიერ-მწყურვალე და სიღატაკე სულს უხუთავს მას. რატომ უნდა არჩინოს ამ მშიერმა ხალხმა მეფე... და თვითონ კი ვაებასა და წვალებაში დალიოს სული? როდესაც არ იქნება ხელმწიფე, არ იქნება მთავრობა და კანონები, მაშინ ყველა უფლებრივად გათანაბრდება, გადასახადს ძალით არავინ გადაახდევინებს, ხალხის საჭიროებისთვის შეიქმნება საერთო თანხა, საიდანაც ის დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას.

---

[1] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 87.

[2] ხრისტოფოროვის ორივე მოხსენება დაწერილია საიდუმლო ორგანიზაციის წევრების დაპატიმრებამდე.

[3] სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 29. „რევოლუციის მატიანე“, 1925, № 1 (11) გვ. 60—61.

ამიტომ... ხალხის საბედნიეროდ აუცილებელია მონდომება და იმისთანა წყობილების განხორციელება, რომლის დროსაც მშრომელი თვითონ იქნება ბატონ-პატრონი თავის ნაოფლარისა. მღვდლები სცრუობენ, როცა გვეუბნებიან, თითქოს მეფე ღვთისგან იყოს დადგენილი, თითქოს ხალხის ბედიღბალი მისთვის განგებას ჩაებარებინოს, რათა იგი უსიტყვო მორჩილებას და მუდმივ ტანჯვა-წამებაში იყოლიოს"[1].

ხრისტოფოროვის მოხსენებიდან ციტირებული ადგილები, რომელთა წყაროს ჯაშუშ იაგორ იოსელიანის მიერ შეგროვილი და ჟანდარმერიისთვის მიწოდებული ცნობები წარმოადგენს[2], მკაფიოდ ადასტურებს, რომ ხალხოსნებს ხალხში პრიმიტიული სოციალისტური იდეები შეჰქონდათ. თვითმპყრობელური მონარქიის დამხობა, ექსპლოატატორული კლასების მოსპობა და ისეთი წყობილების დამყარება, რომელიც უზრუნველყოფდა ხალხის განუსაზღვრელ თვითმმართველობას, ყველას თანასწორუფლებიანობასა და საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიან განაწილებას — აი ის აზრები, რომლებსაც განსახილველი ხანის ქართველი ხალხოსნები ნერგავდნენ მშრომელ მასებში.

პროპაგანდისტები რომ ნამდვილად ასეთი სიტყვით მიდიოდნენ სოფლისა და ქალაქის მშრომელ მოსახლეობასთან, ამას თვით მათ მიერ შექმნილი საბუთებიც ადასტურებს. ამათ რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, მიხეილ ყიფიანის წერილი აფაქიძისადმი, სადაც ნათქვამია: შთააგონე ყველა მშრომელს, რომ მიწა, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, მათი სრული საკუთრებაა და რომ მემამულეებს არა აქვთ მათზე არავითარი უფლება[3]. იგივე ითქმის ვარლამ გაბიჩვაძის პროკლამაციაზედაც — «Божественная история для крестьян и рабочих»[4], რომლის ეპიგრაფად ავტორს შეურჩევია სიტყვები: ოფლითა შენითა მოიპოვე საზრდო შენი, ამოღებული „სახარებიდან". სამწუხაროდ, პროკლამაციის ტექსტს ვერ მივაგენით, მაგრამ იქ, როგორც ეს გაბიჩვაძის 1876 წლის 3 ივნისის თარიღით ისიდორე ქიქოძესთან გაგზავნილი წერილიდან ჩანს, შექებული ყოფილა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, სადაც ყველა ადამიანი ცხოვრობს პატიოსანი შრომით და გამორიცხულია ერთის მიერ მეორის ექსპლოატაცია. ამის საწინააღმდეგო პრინციპებზე აშენებული წყობილება კი ავტორს უსამართლო, სრულიად უვარგის და ქრისტეს მოძღვრების უარმყოფელ წყობილებად ჰქონია გამოცხადებული[5].

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 40, „რევოლუციის მატიანე". 1925. № 1 (11), გვ. 74—75.

[2] იქვე, საქ. 33, ფურც. 74—75.

[3] იქვე, საქ. 35, ფურც. 34.

[4] იქვე, ფურც. 22—23. ვარლამ გაბიჩვაძის 1876 წლის 3 ივნისის წერილი ისიდორე ქიქოძისადმი, რუსული თარგმანი შესრულებული ჟანდარმერიის მოხელის მიერ.

[5] იქვე, ფურც. 22.

პროპაგანდის მიზნით ვ. გაბიჩვაძე, ეტყობა, საგანგებო ბროშურის წერასაც შესდგომია და თემად პანეტის საკითხი აუღია. ამ ბროშურაში, — სწერდა იგი ისიდორე ქიქოძეს, — მე უნდა დავამტკიცო, რომ საწყალი გლეხი (მთავრობისა და მემამულეთა აზრით) გაჩენილია (მხოლოდ) იმისათვის, რომ იხადოს სახელმწიფო გადასახადები, არჩინოს მოხელეები, მღვდლები და სხვ. ისეთ რამეს დავწერ, რომ მოგეწონებაო[1].

დაახლოებით ასეთივე შინაარსისა ყოფილა სტეფანე ჭრელაშვილის პროკლამაციაც სათაურით „გლეხების გამოღვიძება" («Пробуждение мужиков»). მასში, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის მოწმობით, დაშვებული ყოფილა „თავხედური გამოთქმები ხელმწიფე იმპერატორისა" და მისი „ოჯახის წევრების მიმართ"[2].

იმ პროპაგანდის შესახებ კი, რომელსაც ხალხსა და სამხედრო ნაწილებში თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოწაფე, ალექსანდროპოლის სამაზრო სამმართველოს შტატგარეშე მოხელე ალექსანდრე იოაკიმოვი ეწეოდა, მოწმედ გამოძახებულმა ვინმე ნიკოლოზ ალექსეევმა აჩვენა: «Александр Иоакимов, встретившись со мною и Феодором Заманопуло..., в греческой слободке, при разговоре продекламировал стихи, в которых говорилось: «возьмите топоры и пойдем на (врага), всех попов, всех чиновных подлецов, все законы, все судейские дела мы сожжем до тла». При этом Иоакимов говорил о свободе, равенстве и братстве и рассказал, что во франции революция и все восстали против правительства и объяснил способ, каким образом парижане сражаются в этом случае. Кроме этого он . . . во время парада у греческой церкви говорил солдатам, что зачем идти сражаться за царя, на что те учреждения, которые существуют в России, должно быть равенство и т. д.»[3].

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე იოაკიმოვს ერთ დროს სოხუმის სამთო სკოლაში, ხოლო შემდეგ თელავის სამაზრო სასწავლებელში უმუშავია, მაგრამ 1874 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით იქიდან გაუძევებიათ და საერთოდ ყოველგვარი პედაგოგიური მოღვაწეობა აუკრძალიათ. მიზეზად მისი არაკეთილსაიმედოობა დაუსახელებიათ, რაც, თურმე, დოკუმენტის სიტყვით, მოწაფეებთან მეცადინეობის მიუღებელი შინაარსით წარმართვაში გამოხატულა[4]. იოაკიმოვი, რომელიც მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ დაუყენებიათ, მხოლოდ 1877 წლის 23

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 23.
[2] იქვე, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 78.
[3] იქვე, საქ. 2504, ფურც. 13—14.
[4] იქვე, ფურც. 18—19.

თებერვალს მიუღიათ სამსახურში, ალექსანდროპოლის სამაზრო სამმართველოში[1], სადაც მას, როგორც ვნახეთ, ისევ გაუგრძელებია რევოლუციური საქმიანობა.

რევოლუციური ხასიათის ლიტერატურის გავრცელება ხალხში. პროპაგანდის სხვა ფორმები. სოფლის მშრომელი მოსახლეობის გამოღვიძებისა და მისი გათვითცნობიერების მიზნით ხალხოსნები, როგორც აღვნიშნეთ, ფართოდ იყენებდნენ რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას, კერძოდ, ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა „ოთხი ძმის ზღაპარი", „ცბიერი მექანიკა", „გლეხ-კაცის ისტორია", „რა უნდა ხალხს", «Бог-то бог, да сам не будь плох», «Что-то братци» და სხვ. სოფრომ მგალობლიშვილისა და საგამომძიებლო მასალების მოწმობით, აქ დასახელებული ზოგი ნაწერებიდან ქართველ ხალხოსნებს უთარგმნიათ კიდეც მშობლიურ ენაზე და მოსახლეობაში საპროპაგანდოდ გამოუყენებიათ[2].

რა აზრი იყო კონკრეტულად გატარებული ზემოჩამოთვლილ, ხელისუფლების მიერ აკრძალულ პოლიტიკურ თუ მხატვრულ ნაწარმოებებში? რაზეა, მაგალითად, ლაპარაკი ლევ ტიხომიროვის „ოთხი ძმის ზღაპარში"? იქ ლაპარაკია[3] ძმების — ივანეს, სტეფანეს, ლუკასა და გიორგის შესახებ, რომელთაც, როგორც საზოგადოებიდან წასულებს და უღრან ტყეში მობინადრეებს, არავითარი წამოდგენა არ ჰქონიათ სოციალურ უკუღმართობასა და კლასობრივ ბრძოლაზე. ისინი მალე ხალხის ცხოვრების გაცნობის მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს სწვევიან. მოთხრობის გმირებს მთელი ქვეყნიერება შემოუვლიათ, მრავალი ქალაქი და სოფელი დაუთვალიერებიათ, საკუთარი თვალით უნახავთ მშრომელი კაცის ტანჯვა-წამება, მისი აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა, გამოწვეული ექსპლოატატორული კლასების გაუკითხაობა-აღვირახსნილობით. ამით აღშფოთებულ ძმებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ არსებული უსამართლო წყობილების დამხობა და საუკუნეობრივი მონობის მოსპობა.

მაშ, ძმავ! მრისხანედ მონობის ჯაჭვი
დავლეწოთ, მტერსა წინა აღვუდგეთ.
მრისხანეთ სისხლი სისხლით შევღებოთ,
მით განჩინებას მკაცრსა შევუდგეთ.

---

[1] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2504, ფურც. 18—19.

[2] ქართულ ენაზე თარგმნილი ყოფილა, მაგალითად, „ოთხი ძმის ზღაპარი", „ცბიერი მექანიკა", „სამარის შიმშილი", „ზღაპარი კაპეკზე" და სხვ. (იხ. ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 102).

[3] გადმოცემულია შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა („ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის") და გ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს («Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века», т. I) წიგნების მიხედვით.

...გულის სიღრმეში გადავიწყვიტოთ
ქვეყნად მონობის სრულად მოსპობა,
დაცემულ ძმასა თავი დავაკლათ,
მით მოვიპოვოთ თავისუფლება!![1]

ამის გამო მთავრობას ძმები ციმბირს გაუგზავნია. მაგრამ მათ პატიმრობისათვის თავი დაუღწევიათ და ხელისუფლების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა გაუგრძელებიათ[2].

ავტორი დარწმუნებული ყოფილა მშრომელი ხალხის გამარჯვების აუცილებლობაში, არსებული წყობილების დაღუპვა-მოსპობის გარდაუვალობაში. «И ударит грозный час, — აღტაცებით წერს იგი, — пробудится народ, он почует в себе силу могучую, силу непоборимую, и раздавит он тогда всехграбителей, всех мучителей безжалостных, реки крови прольет он в гневе своем и жестоко отомстит притеснителям. Царь с министрами и боярами, фабриканты и помещики, все монахи лицемерные, все мучители народные — все получат воздаяние за грехи свои тяжелые. Всех их сотрет народ с лица земли и потом заживет припеваючи»[3].

მეორე ნაწარმოები „ცბიერი მექანიკა" მკითხველებს მოუთხრობდა რუსეთის სახელმწიფოს „ორ ბანაკად" დაყოფის შესახებ, რომელთაგან ერთს მემამულეები და კაპიტალისტები შეადგენდნენ, ხოლო მეორეს უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი მშრომელი მასა, უშუალო მწარმოებელი კლასი. მეფე, — ნათქვამი იყო იქ, — თავგამოდებით იცავს ექსპლოატირებული კლასების ინტერესებს და ამიტომ მუშებსა და გლეხებს თანამედროვე დუხჭირი პირობებიდან გამოსვლა მხოლოდ ძალის გამოყენებით და არსებული წყობილების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლით შეუძლიათ[4].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ლიტერატურა, რომლის პროპაგანდასაც ხალხოსნები ეწეოდნენ, ხაზგასმით ლაპარაკობდა ხალხის მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მოუწოდებდა მას არსებული დესპოტური რეჟიმის დამხობისა და ისეთი წყობილების დამყარებისაკენ, რომელიც მიწასა და თავისუფლებას მშრომელ მასებს დაუმკვიდრებდა და საბოლოოდ მოსპობდა ადამიანებს შორის ქონებრივ და უფლებრივ უთანასწორობას.

როგორც უკვე ვთქვით, ნაწილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურისა, რომელსაც ხალხოსნები ავრცელებდნენ, ქართულად ითარგმ-

---

[1] ლექსი მომყავს შ. გოზალიშვილის წიგნიდან „ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის", თბ., 1963, გვ. 182—183.

[2] იქვე, გვ. 183.

[3] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно..., т. I, გვ. 507.

[4] იქვე, გვ. 506.

ქართველი ხალხოსნების ჯგუფი.

ნებოდა, რათა გასაგები ყოფილიყო გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის. ქართულადვე იწერებოდა არაერთი რევოლუციური შინაარსის პროკლამაცია. მაგრამ მთავარი იყო არა საპროპაგანდო ტექსტის შედგენა, არამედ მისი გამრავლება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გორის მაზრის სოფელ ტყვიავში მოწყობილი საიდუმლო სტამბა, რომელიც, მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი მიზეზებისა, წარმატებით მუშაობდა მღვდელ ვ. სამადაშვილის ხელმძღვანელობით.

მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებაში საყურადღებო ადგილი ჰქონია დათმობილი პროპაგანდის ისეთ ფორმებსაც, როგორიცაა ცოცხალი საუბარი და წარმოდგენა-საღამოების გამართვა. ეხება რა ამ საკითხს სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „ხალხური სცენების კითხვა პირველად მე შევიტანე სცენაზე. ვკითხულობდი ჩემს საკუთარ სცენებს. სცენებში გამოხატული იყო ცხადათ თუ თვალსაჩინოთ მუშა-გლეხის ჭირ-ვარამი, ნაბატონარისაგან, სხვადასხვა მოხელეთაგან მიყენებული უჯიათობა, უსამართლობა, შეწუხება. სცენების საკითხავად საგანგებოდ მქონდა გლეხური ტანისამოსი, ვკითხულობდი ნამდვილი გლეხური კილოთი, ჩამი უცნობი კაცი... გლეხში ვერ მარჩევდა. ამ სცენებს დიდი გავლენა ჰქონდა სოფლად“[1].

გლეხობის დამოკიდებულება ხალხოსნების საქმიანობისადმი. როგორ შეხვდა ქართველი გლეხობა ხალხოსნურ პროპაგანდას, როგორ მიიღო და შეითვისა მან ის სიტყვა, რომლითაც მასთან რევოლუციონერები მივიდნენ? სოფრომ მგალობლიშვილის მოწმობით, სოფლის მშრომელი მოსახლეობა გულგრილად შეხვედრია ხალხოსნების საქმიანობას და არ გაჰყოლია მათ მიერ ნაჩვენებ გზას. „ხალხოსნური მოძრაობა, — წერს იგი, — თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. ხალხი ჩვენ არ გვიკარებდა, განსაკუთრებით გლეხობა. ხალხში გავდიოდით ვასო დეკანოზიშვილი, შიო დავითაშვილი და ზაფხულობით მეც. ქართლ-კახეთში გლეხი ერთობ გულჩათხრობილია. ბატონყმობის უღელმა მთლად დაუკარგა ხალხს ყველაფრის იმედი, სასოება აღარავისზედ არ ჰქონდა, როგორც კედელს ცერცვი, ისე ხვდებოდა ხალხს ჩვენი სიტყვა“[2].

ანვითარებს რა ამ აზრს, იგივე ავტორი მოგვითხრობს: „ერთხელ ჩემს სოფელში, რომლის მცხოვრებლებს ხუთი თითივით ვიცნობდი..., მიტინგი გავმართე, გავუბი ლაპარაკი, რომ მიწა მშრომელი გლეხისაა..., რომ მეფემ გლეხი უმიწოთ გაანთავისუფლა და ამიტომ ისინი ისევ ბატონყმობას განიცდიან, უფრო უარეს ყოფაში ჩაცვივდნენ, რომ მეფემ მხოლოდ ძვალი გადუგდო მათ, როგორც მაჩხუბარ ძაღლებსა, რომ ამისთანა მთავრობა დასაგმობია, მას ძალა-უფლება უნდა წაერთვას და ხალხს გადაეცეს.

გლეხებმა ამაზე ასე მიპასუხეს: ეჰეი, ხელმწიფის ორგულობა როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე, ღვთისგან დაყენებული კაცია. ბატონყმობა გუშინ იმან არ გადააგდო, მაშ ვინა? მართალია მიწა არა გვაქვს, მაგრამ რა

---

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 84.
[2] იქვე, გვ. 83.

ვქნათ, როგორც იქნება შევისყიდით... არა, ძმაო. ხელმწიფეს ვერ ვუღალატებთ... ეიბე, როგორ იქნება"[1].

შიო დავითაშვილის მოწმობითაც, ხალხოსნურ პროპაგანდას დიდი წარმატება არ ჰქონია. მართალია, რევოლუციურ იდეებს ხალხზე გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია, მაგრამ საბოლოო მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩენილა. „როგორც ტყვიავის, ისე სხვა სოფლების გლეხობაში, — ვკითხულობთ შ. დავითაშვილის მოგონებაში, — ჩვენი აზრები, მეტადრე მიწის ჩამორთმევა ბატონებისაგან და გლეხებისათვის გადაცემა ცოცხალ ინტერესს იწვევდა, მაგრამ მჭიდრო კავშირი გლეხობასთან... მაინც ვერ შევკარით. გლეხობა მეტისმეტად დატვირთული იყო მუშაობით, ჩვენთვის ყურის დასაგდებად მას არ ეცალა, მით უმეტეს, ზაფხულის თვეებში, როცა შინ და გარეთ გამოულეველი სამუშაო აქვს თვითეულს"[2].

სოფრომ მგალობლიშვილისა და შიო დავითაშვილის მოწმობა იმის შესახებ, რომ გლეხები ს ა ბ ო ლ ო ო დ არ გაჰყვნენ ხალხოსნების მიერ რეკომენდებულ გზას, სწორია, მაგრამ ისინი, ჩვენი აზრით, ცდებიან, როდესაც სოფლის მშრომელი მოსახლეობის ხალხოსნური პროპაგანდისადმი სრულ ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე ლაპარაკობენ. ის ფაქტი, რომ საუკუნეობრივ მონობაში მყოფი გლეხი ერთბაშად არ აღსდგა მეფის წინააღმდეგ, ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი თანაგრძნობით არ შეხვდა იდეას მიწისა და თავისუფლების მოპოვების აუცილებლობა-საჭიროების შესახებ. ამას თითქოს დასახელებული თანამედროვენიც არ უარყოფენ. „როდესაც ჩვენ, — წერს სოფრომ მგალობლიშვილი, — ვუამბობდით „ოთხი ძმის ზღაპრის", „ცბიერი მექანიკის" შინაარსს, ან... ბატონების უდიერობას, ეგრედწოდებულს, „პირველ ღამის" ჩვეულებას..., დიამბეგების დროის შეწუხებაზე, დღევანდელ ბოქაულებზე, რომ მეფიდან დაწყებული უკანასკნელ ჩაფრამდე მუშა გლეხის კისერზე სხედან, მაშინ ჩაფიქრდებოდნენ. მართალს ამბობენ, ხალხო, მართალს. მართალია, მართალია — გაისმოდა ყოველი მხრიდან"[3].

მწარმოებელი კლასის ფართო მასები რომ გულგრილად არ შეხვედრიან ხალხოსნური აზრების პროპაგანდას, ამას იაკობ მანსვეტაშვილიც ადასტურებს. „ყოველი ჩვენი სიტყვა, — წერს იგი, — წრფელის გულით, ახალგაზრდული გატაცებით ნათქვამი, გზას ადვილად იკვლევდა მსმენელის გულსა და სულში და ისიც ნდობით გვეპყრობოდა ჩვენ... მდაბიოდ და ადვილი ენით ვაწოდებდით გლეხებს ცოდნას იმის შესახებ, თუ

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 83.
[2] შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 30.
[3] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 84.

როგორ და რისთვის არის მოწყობილი თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, თუ რაში და რისთვის იხარჯება ხალხისაგან შეკრებილი ფული, მსმენელს ჭკუაში უჯდებოდა და წ ყ ლ უ ლ ზ ე მ ა ლ ა მ ო დ ე დ ე ბ ო დ ა"[1].

ამ მოწმობის სისწორეს სხვა ცნობებიც ადასტურებს, ჯაშუშ იაგორ იოსელიანის მოხსენებაში, მაგალითად, ხაზგასმითაა აღნიშნული ის დიდი წარმატება, რომლისთვისაც რაჭაში პლატონ გაბიჩვაძეს მიუღწევია. მას, დოკუმენტის სიტყვით, თავის მხარეზე გადმოუბირებია და აჯანყებაში მონაწილეობისათვის მოუმზადებია სოფლების ჩორჯოს, სადმელისა და ხვანჭკარას გლეხები[2]. იგივე ითქმის გურული გლეხების შესახებაც. ისინიც ყურადღებით მოჰკიდებიან ხალხოსნების საქმიანობას და სრული თანხმობა განუცხადებიათ აქტიურად ჩაბმულიყვნენ „მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში"[3]. სხვებს არც კახეთის მშრომელი მოსახლეობა ჩამორჩენია. ისინიც, მასწავლებლების როსტომაშვილისა და ნაცვლიშვილის მოწმობით, თანაგრძნობით შეხვედრიან ახალი იდეების პროპაგანდას და თანახმა ყოფილან ჩამდგარიყვნენ სიმართლისათვის მებრძოლთა რიგებში[4].

დასასრულ, რომ გლეხები ხალხოსნურ პროპაგანდას გულგრილად არ შეხვედრიან და რომ ამ პროპაგანდას გარკვეული როლი უთამაშია რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაში, ამას ქუთაისის გუბერნატორის 1876 წლის ანგარიშიც ადასტურებს. «Нельзя не обратить внимания на то, — ნათქვამია იქ, — что в течение последних 10-ти лет неоднократно возникали в Зугдидском уезде уклонения крестьян от исполнения обязательств к помещикам... Из разговоров с крестьянами я пришел к полному убеждению, что они действовали под влиянием теории о праве поземельной собственности, проникшей к ним из чужой среды. Многие крестьяне высказывались по этому предмету не только в одинаковом смысле, но и в тождественных выражениях с распространителями социально-революционной пропаганды, обнаруженными в Кутаисской и Тифлисской губерниях в апреле-мае прошлого (1876) года . Я осмелился столь

---

[1] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 3—4.
[2] სსცია, ფ. 153, საქ. 34, ფურც. 218.
[3] იქვე, საქ. 35, ფურც. 38—39.
[4] იქვე.

долго останавливать внимание вашего императорского величества на этом деле не только ввиду связи, обнаружившейся между волнением крестьян и попыткой распространения в населении губернии социалистических теорий, сколько ввиду связи того и другого с вопросом народного образования . . . Крестьянское население легко увлекается теми выводами этого учения, которое совпадает с его настоящими интересами. Они сейчас усваивают мысль об исключительном праве собственности на землю того, кто её обрабатывает. Естественным последствием этого движения является отказ в платеже помещику или казне за пользование землями»[1].

ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, ხალხოსნების საქმიანობას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოს სოფლებში, არა მარტო კვალი დაუტოვებია, არამედ ზედიზედ (1874 და 1876 წლების) გლეხთა ორი აჯანყება გამოუწვევია[2].

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ხალხოსნური იდეების პროპაგანდას უშედეგოდ არ ჩაუვლია და არც შეეძლო ჩაევლო. უკიდურესად მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი ქართველი გლეხი, ცხადია, გულგრილად არ მოეკიდებოდა აზრს მიწისა და თავისუფლების მოპოვების საჭიროება-აუცილებლობის შესახებ. და თუ ხალხოსნებმა მიზანს საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწიეს, ეს მოხდა უმთავრესად იმიტომ, რომ მაშინდელ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტი იყო მომავალი სამართლიანი წყობილებისათვის მებრძოლი ძირითადი ძალა — მუშათა კლასი და თანაც ხალხოსნებმა გამომდინარე, მცდარი თეორიული პრინციპებიდან, უარყვეს ინდუსტრიული პროლეტარიატის გადამწყვეტი როლი და სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ კლასის დარაზმვა-გამოყენების საქმეს.

ლავრისტები და ბაკუნისტები ქართველ ხალხოსნებში. ხალხოსნები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხალხის აჯანყებისთვის მომზადებას ცდილობდნენ. ამ აჯანყებას, მათი აზრით, საერთო საიმპერიო ხასიათი უნდა ჰქონოდა. „ჩვენ, ადგილობრივი რევოლუციონერები, — წერს შ. დავითაშვილი,—მიზნად ვისახავდით მოგვემზადებია მთელი კავკასიის მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, საერთო აჯანყებისათვის და როდესაც შიდა რუსეთში ბრძოლის საათი დაჰკრავდა, აქაც მზად უნდა ვყოფილიყავით“[3].

---

[1] სსცია, ფ. 5/12, საქ. 3974, ფურც. 1—8.

[2] ЦГИАМ, ф. III, отделения 3 эксп., д. 336, л. 6.

[3] შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 40.

ეტყობა, ქართველი ხალხოსნები ბაკუნინისა და ბაკუნისტების მსგავსად არ ფიქრობდნენ, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობა უკვე მზადაა ამ საერთო-საყოველთაო აჯანყებისათვის და რომ ამიტომ სრულიად ზედმეტია მის წრეში პროპაგანდის გზით მოწინავე აზრებისა და იდეების შეტანა. ხალხს, ბაკუნინის აზრით, ამ იდეების მოსასმენად არც დრო ჰქონდა და არც ხალისი. ჩვენი ხალხოსნები, ვიმეორებთ, არ იზიარებდნენ რუსი ანარქისტების ამ შეხედულებას და მათ მწარმოებელი კლასის მოძრაობაში მოყვანა ესოდენ იოლ და უცაბედ საქმედ არ მიაჩნდათ. მათი რწმენით, გლეხების გამოღვიძება და საუკუნეობრივი მონობის საწინააღმდეგოდ დარაზმვა შესაძლებელი იყო მხოლოდ სისტემატური და საკმაოდ ხანგრძლივი ახსნა-განმარტების შედეგად. სწორედ ამით იყო განპირობებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ისინი რევოლუციური აზრების ხალხის მასებში პროპაგანდას უთმობდნენ. „საეჭვო“ შინაარსის ლიტერატურის და პროკლამაციების გავრცელება ქართლის, კახეთის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სოფლებში, საბეჭდი მანქანის გამართვა ტყვიავში, სრულქმნილი სტამბის გამოწერა საზღვარგარეთიდან და სხვა ამგვარი ფაქტები მკაფიოდ მოწმობენ, რომ ქართველი ხალხოსნები რუსი ლავრისტების მსგავსად, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის გეგმავდნენ თავიანთ საქმიანობას. ისინი ბაკუნინივით არ ფიქრობდნენ, რომ ყოველი ჯანყი, თუნდაც სრულიად უშედეგოდ დამთავრებულიყო, სასარგებლოა და მისასალმებელი. სწორედ ამიტომ არ დაუჭირეს მათ მხარი 1876 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას, რომლის წარმოშობაშიც, შეიძლება ითქვას, დიდი როლი ჰქონდა ხალხოსნურ პროპაგანდას. „ის დღესდღეობით ნაადრევია“ და შეაჩერეო, — სწერდა მიხეილ ყიფიანი მეგრელ რევოლუციონერ აფაქიძეს[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ხალხოსნები, იზიარებდნენ რა საყოველთაო სახალხო აჯანყების სისტემატური პროპაგანდის გზით მომზადების ლავრისტულ თეორიას, გ. მეგრელიშვილის სამართლიანი შენიშვნით[2], მაინც არ იყვნენ წმინდა წყლის ლავრისტები. მართალია, ისინი ერთდროული აფეთქების მოწყობას ბაკუნინივით დღევანდელი დღის საქმედ არ თვლიდნენ, მაგრამ არც იმას ფიქრობდნენ (ლავროვის მსგავსად), რომ მისი განხორციელება მხოლოდ შორეულ მომავალში შეიძლებოდა მომხდარიყო და ისიც წლების განმავლობაში წარმოებული ახსნა-განმარტებისა და საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად.

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 35, ფურც. 34.

[2] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. II, გვ. 504.

როგორც მასალებიდან ჩანს, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოქმედ ხალხოსნებს შორის თვით ხანმოკლე პროპაგანდის მოწინააღმდეგენიც ყოფილან. მათი აზრით, ხალხი რევოლუციისთვის სავსებით მზად იყო და ამიტომ ისინი საჩქაროდ სიტყვიდან საქმეზე გადასვლას მოითხოვდნენ. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, უნტერ-ოფიცერი ალექსანდრე იოაკიმოვი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ხალხს ნაჯახისკენ და მონარქიული წყობილების დაუყოვნებლივ დათრგუნვისაკენ მოუწოდებდა. იგივე ითქმის ელიზავეტპოლის (თანამედროვე განჯის) რეალური სასწავლებლის მასწავლებელ პეტრე პავლეს ძე დოლინსკიზე, რომლის წერილში მიხეილ ყიფიანისადმი, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის სიტყვით, ნათქვამი ყოფილა: «Подготовка народа к восстанию посредством раздачи книг и пропаганды идет трудно и что следует сосредоточить деятельность на постоянной поддержке народных вспышек, пользоваться случаем для возбуждения... страстей и раздувать их по мере сил»[1].

ქართველი ხალხოსნების კავშირი რუსეთის რევოლუციურ წრეებთან. ჩვენს ხალხოსნებს, როგორც მასალებიდან ჩანს, მჭიდრო კავშირი ჰქონიათ რუს და რუსეთში მყოფ ქართველ რევოლუციონერებთან. ეს კავშირი, პირველ ყოვლისა, კავკასიის მოწინავე ახალგაზრდობის პროპაგანდისტული ლიტერატურით მომარაგებაში გამოხატულა. იაგორ იოსელიანის ცნობით, მაგალითად, ვლადიკავკაზის (დღევანდელი ორჯონიკიძის) ბიბლიოთეკის შექმნა-დაარსება, რასაც ვფიქრობთ, ადგილი ჰქონია არა უადრეს 1874 წლისა, მომხდარა რუსეთის რევოლუციური წრეების უშუალო დახმარებით. ეს დახმარება, როგორც მოსალოდნელიც იყო, არც მომდევნო ხანაში შეწყვეტილა. „მოსკოველთა" ორგანიზაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) ერთ თავის ქართველ მეგობარს სწერდა: გიგზავნით წიგნებსა და რევოლვერებს, გაშალეთ მუშაობა, დაერიეთ მტერს და დაუნდობლად ხოცეთ იგიო[2]. ხრისტოფოროვის მოხსენების თანახმად კი, 1876 წლის 20 აგვისტოს ქუთაისს ჩასულა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ვინმე გლუხოვსკი, რომელსაც პროპაგანდისტული წრის დავალებით ისეთი „აკრძალული ლიტერატურა" ჩაუტანია, როგორიცაა: „ინტერნაციონალის განვითარების ისტორია", „რევოლუციური პროპაგანდის ამოცანები რუსეთში", „სახელმწიფოებრიობა და ანარქია", „რა უნდა ხალხს", „რუსეთის არმიის ოფიცრებს" და სხვ.

რუსეთის რევოლუციური ცენტრი პერიფერიაში მომუშავე ხალხოს-

---

[1] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 16.

[2] Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, გვ. 465.

ნებს მატერიალურ შემწეობასაც აძლევდა. ერთი საბუთის თანახმად, მაგალითად, ვიღაც სტუდენტ რატიევს მოსკოვიდან ჩამოუტანია 40 მანეთი და არსენა კალანდაძის მეშვეობით ეგნატე იოსელიანისათვის გადაუცია. მეორე საბუთის მიხედვით კი მოსკოვის წრეს სხვა დროს უფრო დიდი თანხა — 700 მანეთი გამოუგზავნია. დასასრულ, ჟანდარმერიის მიერ შეკრებილი მასალების მოწმობით, ქართველ ხალხოსნებს გადაწყვეტილი ჰქონიათ «Избрать из своей среды одно лицо, которое отправится в Москву с поручением занять от тамошнего кружка 2 тыс. рублей и на эти деньги перевести станок».

რუსი ან რუსეთში მყოფი ქართველი ხალხოსნები, რომელთაც კონსპირატიული საქმიანობის მეტი გამოცდილება ჰქონდათ, ამ გამოცდილებას უზიარებდნენ პერიფერიაში მომუშავეებს, აძლევდნენ მათ სათანადო რჩევა-დარიგებას. ასეთი რჩევა-დარიგების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს გიორგი ზდანოვიჩის წერილი საქართველოს ხალხოსნური ორგანიზაციის წევრებისადმი, რომელშიც ლაპარაკია პროპაგანდისტული მუშაობის გაშლა-გაფართოების ფორმებისა და გზების შესახებ[1].

მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გაღრმავებას ხელს უწყობდნენ გარემოების გამო „მცირედი ხნით“ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული რევოლუციონერები. ერთი მათგანი, იაგორ იოსელიანის მოწმობით, პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის სტუდენტი ვიქტორ ალექსანდრეს ძე დანილოვი ყოფილა. 1874 წელს ის თბილისს სწვევია და მოწაფეების მომზადების საფარქვეშ პროპაგანდისტულ მუშაობას შესდგომია.

მალე დანილოვი თბილისიდან დუხობორებით დასახლებულ სოფ. ვორონცოვკაში გადასულა და იქ რევოლუციური იდეების პროპაგანდა დაუწყია. ის, თურმე, მშრომელ მოსახლეობას „უმაღლესი მთავრობის, რელიგიისა და მიწაზე საკუთრების საწინააღმდეგო აზრებს უნერგავდა“[2] და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისკენ მოუწოდებდა. მაგრამ რუსი ნაროდნიკის ეს საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა — 1874 წლის სექტემბრის თვეში იგი ჟანდარმერიას დაუპატიმრებია და ციხის კედლებში გამოუმწყვდევია[3].

წელიწადნახევრის პატიმრობის შემდეგ ის რუსეთში გადაუყვანიათ და მის თბილისელ თანამოაზრე მარიამ ნადეჟდინა-შავერდაშვილთან ერთად გაუსამართლებიათ 1877 წელს „193-ის პროცესზე“. მათ ბრალად ედებოდათ კანონის საწინააღმდეგო საზოგადოების შედგენა, რომლის

---

[1] «Красный архив», т. I, (XX), 1927, გვ. 195.

[2] მომყავს ზ. შ ვ ე ლ ი ძ ი ს წიგნიდან რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 74.

[3] ი. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, წარსულიდან, ლიტერატურული მუზეუმი, ი. იოსელიანის ფონდი, სა.ქ. 2855/31.

„მიზანი იყო არსებული წყობილების ძალდატანებით შეცვლა ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში“[1]. სასამართლომ 1878 წლის 23 იანვრის განაჩენით დანილოვს ციმბირში გადასახლება, ხოლო ნადეჟდინა-შავერდაშვილს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვება მიუსაჯა[2].

იაგ. იოსელიანი თავის მოგონებაში ლაპარაკობს აგრეთვე ვინმე იური ბოგდანოვიჩის შესახებ, რომელიც ჩამოსულა თბილისში ერთი უცნობი, წყაროში დაუსახელებელი, ობიექტის ასაფეთქებლად[3].

საარქივო მასალები საქართველოში მოქმედ რუს ნაროდნიკებს შორის სერგეი შვეცოვსაც ასახელებენ. მას როგორც პეტერბურგის ჟანდარმთა სამმართველოს ცნობიდან ჩანს, ჯერ კიდევ კავკასიაში ჩამოსვლამდე უწარმოებია მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა ნოვგოროდის გუბერნიის ჩერეპოვეცის მაზრის გლეხებში, რაც სიტყვიერ პროპაგანდასა და აკრძალული ლიტერატურის გავრცელებაში გამოხატულა[4]. ხელისუფლების მიერ შემჩნეული შვეცოვი 1875 წელს პეტერბურგში გადასულა, სადაც იგი ბიკოვის გვარით თავის დის ბინაზე მოწყობილა საცხოვრებლად[5]. მომდევნო 1876 წელს ის სტუდენტ ბოიარსკის სახელზე გაცემული ძოწმობით თბილისში ჩამოსულა და ბინით ეგნატე იოსელიანთან მოწყობილა. აქ შვეცოვი, ქართველი მეგობრების დახმარებით, მელიქიშვილის ტიპოგრაფიაში დასაქმებულა და მუშებს შორის რევოლუციურ-პროპაგანდისტული საქმიანობა გაუშლია[6]. მაგრამ საქართველოს დედაქალაქში მისი ცხოვრება ხანგრძლივი არ ყოფილა — 1876 წლის ოქტომბერში ეგნატე იოსელიანის ბინის გაჩხრეკისას ჟანდარმერიას მასპინძელთან ერთად ისიც დაუპატიმრებია[7].

საიდუმლო ორგანიზაციის ჩავარდნა, მისი წევრების დაპატიმრება და დასჯა. ხალხოსნების საქმიანობას ჟანდარმერია კარგა ხნის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს და ჯაშუშების იაგორ იოსელიანის, გაბრიელ ბაქრაძისა და სიმონ გოგოლაძის დახმარებით აგროვებდა მასალებს მათი

---

[1] ЦГИА СССР, ф. 1282, оп. 2, д. 5, лл. 10—17. მომყავს ზ. შ ვ ე ლ ი ძ ი ს წიგნიდან, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში.

[2] ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 78.

[3] ი. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, წარსულიდან, ლიტერატურული მუზეუმი, ი. იოსელიანის ფონდი, საქმე 2855,/31.

[4] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 34.

[5] იქვე, ფურც. 32.

[6] იქვე, ფურც. 36.

[7] იქვე, ფურც. 29.

„დანაშაულებრივი“ მოქმედების შესახებ. ამ მასალების საფუძველზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწემ შტაბსკაპიტანმა ხრისტოფოროვმა 1876 წლის სექტემბრის დასაწყისს ხელისუფლებას წარუდგინა ვრცელი მოხსენება მთავრობის საწინააღმდეგო საიდუმლო ორგანიზაციის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ. იმავე წლის 4 ოქტომბრის განკარგულებით გადაწყდა ჩატარებულიყო ერთდროული დაჭერები არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ადგილებშიც, სადაც კი ქართველ ხალხოსნებთან დაკავშირებული რევოლუციონერები ეგულებოდათ. 6 ოქტომბერს კი დილაადრიან ჟანდარმერია თავს დაესხა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მცხოვრებ ხალხოსნებს და მასობრივად დააპატიმრა ისინი.

დააპატიმრეს პირველ რიგში ე. იოსელიანი. მისი დაპატიმრების დღესვე დაკავებულ იქნა აგრეთვე მეორე ხალხოსანი არსენ კალანდაძე, რომელსაც კუკიის რაიონში ქართული წიგნების სამკითხველო ჰქონდა მოწყობილი. გაჩხრეკა-დაპატიმრების რამდენიმე საათის შემდეგ კალანდაძის ბინას წერილების დამტარებელი ეწვია და იქ დამხდურს დახურული კონვერტი გადასცა, რომელშიაც საზღვარგარეთიდან ჩამოსული წიგნების „ნაკლადნოი“ აღმოჩნდა. ამანათი მიიღეს და გადამალეს, ისე რომ ჟანდარმერიას არაფერი გაუგია, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ვნახეთ, უცხოეთიდან საიდუმლო ლიტერატურის გამოგზავნის შესახებ სათანადო ცნობა ჰქონდა მიღებული[1].

ეგნატე იოსელიანისა და არსენ კალანდაძის გარდა ჟანდარმერიამ დააპატიმრა აგრეთვე ხალხოსნური მოძრაობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ მიხეილ ყიფიანი, ვასილ სამადაშვილი, ვასილ დეკანოზიშვილი, რომან ფავლენიშვილი, ლევან ჩერქეზიშვილი, ვარლამ გაბიჩვაძე, ალექსანდრე მაყაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით ფურცელაძე და სხვ. საიდუმლო ორგანიზაციის გახსნასთან დაკავშირებით ჟანდარმერიამ პასუხისგებაში მისცა სულ 80-ზე მეტი კაცი[2]. აქედან რამდენიმე, სახელდობრ — ქრისტინე რაროკი, არდასიანოვი, სოხიევი, ფილიპოვი, პისარევი, პროხოროვი და პოპოვი ვლადიკავკაზიდან იყვნენ და დააპატიმრეს იმ წერილების საფუძველზე, რომლებიც ეგნატე იოსელიანს უპოვეს გაჩხრეკის დროს. ისინი, დოკუმენტის სიტყვით,

---

[1] ი. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, წარსულიდან, ლიტერატურული მუზეუმი, ი. იოსელიანის ფონდი, საქმე 2855/31.

[2] იხ. «Ведомость обвиняемым по делу преступной пропаганде в губерниях Тифлисской и Кутаисской» — სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 114—119.

ამჟღავნებდნენ ქართველი ხალხისნების ხელმძღვანელის „ურთიერთობას ვლადიკავკაზის წრესთან“[1].

აღსანიშნავია, რომ ჟანდარმერიას, რომელიც ესოდენ გაშმაგებით ეძებდა თითოეულ რევოლუციონერს, ზოგი მაინც გადაურჩა და პასუხისგებაში არ ᲫᲮᲕᲓᲐ. ეს ითქმის პირველ რიგში შიო დავითაშვილზე, რომელიც, მართალია, პოლიციამ დაიბარა და დაკითხა კიდეც, მაგრამ „მავნე დამნაშავედ“ არ სცნო და გაანთავისუფლა. ასევე იღბლიანი აღმოჩნდნენ აგრეთვე მათე კერესელიძე, ილიკო ჯავახიშვილი, თეოფილე კანდელაკი და სხვ. ხოლო ისიდორე ქიქოძე, პლატონ გაბიჩვაძე, კონსტანტინე ბაქრაძე და ვიქტორ მელენჩუკი, ვითარცა გადამალულები, დამსჯელმა ორგანოებმა საერთოდ ვერ ჩაიგდეს ხელში. ამიტომ, ბუნებრივია, უმაღლესმა ხელისუფლებამ ჩამოთვლილ პირებს ვერ გამოუტანა კონკრეტული სასჯელი და მათი გასამართლება მომაკლის საქმედ გამოაცხადა[2].

პასუხისგებაში მყოფმა პირებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა საგამომძიებლო ორგანოებისთვის გზა-კვალი აებნიათ. გარდა რამდენიმე კაცისა, მათ შორის იაგორ იოსელიანის, რომელიც ფორმალურად მაინც გადიოდა საქმეში, და მელიტონ ნაკაშიძისა, თითქმის ყველამ უარყო წაყენებული ბრალდება. ფარული საზოგადოების საიდუმლოება არავის გაუცია.

მათი ასეთი სიმტკიცე, ხშირ შემთხვევაში, მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ჟანდარმერიას. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, მაგალითად, კაპიტანი ხრისტოფოროვი, რომელსაც, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერ დაუმტკიცებია ეგნატე იოსელიანისათვის სოციალისტური იდეების პროპაგანდა ხალხში. ამის გამო ის იძულებული გამხდარა სახელდახელოდ შეეთხზა ახალი ბრალდება — საიდუმლო „საზოგადოების შექმნა-აღსადგენად საქართველოს სამეფოსი“[3]. ეს იყო კაცის მასხარად აგდებაო[4], წერს ქართველი ხალხისნების მეთაური, რომელიც ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲐ.

მიხეილ ყიფიანის საწინააღმდეგოდ ძიებას გააჩნდა: 1) გაჩხრეკა-დაპატიმრების დროს ხელში ჩაგდებული საეჭვო ხასიათის პოლიტიკური

---

[1] სსცა, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 23; Представление прокурора Тифлисской судебной палаты:, შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 55—56.

[2] მათ შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ნათქვამია: «Привлечь к ответственности по обнаружению их местожительства» (სსცა, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 114—119).

[3] ი. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, წარსულიდან, ლიტერატურული მუზეუმი, ი. იოსელიანის ფონდი, საქმე 2855/31.

[4] იქვე.

ლიტერატურა, 2) ბრალდებულის მიერ შედგენილი სალაროს (ჯამის) წესდების ტექსტი და 3) პეტრე დოლინსკის და გიორგი ზდანოვიჩის („რიეის") წერილები მისდამი. პირველ წერილში ლაპარაკი იყო ელიზავეტპოლში პროპაგანდისტული საქმიანობის მიმდინარეობის თაობაზე, ხოლო მეორეში იმის შესახებ, თუ რანაირი ჩვენება უნდა მისცეს მან ორგანიზაციის ჩავარდნის შემთხვევაში ჟანდარმერიას პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად[1]. ყიფიანს, როგორც ჩანს, კატეგორიულად უარყვია მისთვის წაყენებული ბრალდება და უცდია მთელი სიმძიმე ჯაშუშ იოსელიანზე გადაეტანა. «Бывший студент С.-Петербургского технологического института Михаил Кипиани, — ნათქვამია თბილისის სასაჭართლო პალატის წარდგინებაში, — не сознаваясь ни в замысле устроить тайное общество, ни в участии в этом деле, показал, что найденные у него книги он получил от Егора Иоселиани, который подговаривал его переводить их на грузинский язык; письмо от П. П. Долинского (к нему попало) не помнит каким образом и на содержание его не обратил внимания. Письмо (же)... от Рыжего было дано его брату, Луарсабу, для передачи ему (ყიფიანი — ავტ.) каким то проезжим с рыжей бородой... (Наконец) устав кассы «Джами» составлен им для оказания пособия бедным студентам»[2].

ვასილ სამადაშვილს ბრალდების დასამტკიცებლად საგამომძიებლო ორგანოები გაჩხრეკის დროს ნახულ შემდეგ ნივთიერ საბუთებს უყენებდნენ: აკრძალულ ლიტერატურას (გაზეთი „ვპერიოდი", ჟურნალი „რაბოტნიკი", ბროშურა „ოთხი ძმის ზღაპრისა" და ზოგი სხვა ბროშურის ქართული თარგმანი და სხვ.), რუსულ-ქართული ასოების გროვასა და გიორგი უთურგაულის წერილს რომელიღაც საგნის სწავლებისა და მისი პროგრამის შესახებ[3]. ამის საპასუხოდ სამადაშვილს, პროკურორის სიტყვებით რომ ვთქვათ, განუცხადებია, რომ მან წიგნები და ბროშურები იყიდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე სრულიად უცნობი პირისგან, რომ თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია თარჯიმანობის საქმეში დახელოვნების ძიზნით, რომ ასოები შეძენილია საამკინძაო სახელოსნოს გასამართავად და რომ ის არასოდეს არ ირიცხებოდა საიდუმლო ორგანიზაციაში და საერთოდ არაფერი იცის მისი არსებობა-მოქმედების შესახებ[4].

---

[1] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 16—17.
[2] იქვე, ფურც. 18—19.
[3] იქვე, ფურც. 42—43.
[4] იქვე. ფურც. 43—44.

სამადაშვილის ჩვენებასთან დაკავშირებით დაკითხულ გიორგი უთურგაულს ძიებისთვის მოუხსენებია, რომ ის სასულიერო სემინარიის ამხანაგებთან, მათ შორის სამადაშვილთან ერთად, ცდილობდა აღედგინა ქართული ენის უფლებები ღვთისმსახურებაში და გაეხსნა სახალხო სკოლები. მაგრამ, რადგანაც სემინარიის ხელმძღვანელობა არ ითმენდა მსგავს საქმიანობას, ისინი იძულებული იყვნენ კონსპირაციულად ემოქმედათ და ამით თავიდან აეცილებინათ ადგილობრივი ადათ-წესების დევნით აღშფოთებული ხალხის საყოველთაო აჯანყება. ჩემს წერილში სამადაშვილისადმი სწორედ ამის თაობაზე იყო ლაპარაკი — დაუსრულებია თავისი ჩვენება უთურგაულს[1].

საიდუმლო ორგანიზაციის არსებობისა და მასში თავიანთი მონაწილეობის ფაქტი უარუყვიათ აგრეთვე: დავით ფურცელაძეს, ვასო დეკანოზიშვილს, მელქისედეკ მახარაძეს, ალექსანდრე მაყაშვილს, ნესტორ კანდელაკს, გრიგოლ ავალიშვილს, ანტონ ლორთქიფანიძეს, ლევან ჩერქეზიშვილს, გრიგოლ გაბაშვილს, ილიკო ჭიჭინაძეს, იოსებ მაყაშვილს, სოფიო ჯორჯაძეს, ალექსანდრე მაყაშვილს, სტეფანე ჭრელაშვილს, რომან ფავლენიშვილს, ვარლამ გაბიჩვაძესა და სხვებს.

საბოლოოდ, საქმეში ჩართული და პასუხისგებაში გადაცემული 82 კაცის ბედი შემდეგნაირად გადაწყდა. ოცდათვრამეტს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და გაანთავისუფლეს. იგივე გააკეთეს მელიტონ ნაკაშიძისა და იაგორ იოსელიანის მიმართ მთავრობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. რომან ფავლენიშვილისა და ვასილ დეკანოზიშვილის გარდაცვალების გამო საქმე მათ მიმართ წარმოებით შეწყვეტილ იქნა. სერგეი შვეცოვისა და ალექსი არდასიანოვის საქმე პეტერბურგისა და მოსკოვის ჟანდარმთა სამმართველოებს დაუბრუნეს, სადაც მათ შესახებ მიმდინარეობდა ძიება წინათ ჩადენილი „დანაშაულისათვის". მიმალული ისიდორე ქიქოძის, კონსტანტინე ბაქრაძისა და პლატონ გაბიჩვაძის საკითხი გადაიდო. დასახელებულ პირთა გასამართლება უნდა მომხდარიყო მომავალში მათი ადგილსამყოფელის დადგენისა და დაპატიმრების შემდეგ. დასასრულ, მღვდელ გიორგი ქიქოძის (ისიდორეს მამის) შესახებ იმპერატორის მიერ მოწონებულ მეფისნაცვლის დასკვნაში ნათქვამი იყო: «Оставить свободным от дальнейшей ответственности, но сообщить епархиальному начальству о сделании ему строгого внушения о том, что в его Звании ему следовало обращать большего внимания на поведение сына»[2].

დანარჩენ 34 კაცს კი ხელისუფლებამ მიუსაჯა[3]: ეგნატე იოსელიანსა

---

[1] სსცია, ფ. 7. ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 44.
[2] იქვე, ფურც. 114—119.
[3] იქვე.

და მიხეილ ყიფიანს — სამუდამო გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში[1], ვასილ სამადაშვილს — ორი წლის პატიმრობა, ვარლამ გაბიჩვაძეს — ერთი წლის, დავით ფურცელაძეს — 8 თვის, მელქისედეკ მახარაძესა და სტეფანე ჭრელაშვილს — სამ-სამი თვის, ალექსანდრე მაყაშვილს, ანტონ იოსელიანს, ანთიმოზ ჯუღელსა და ნესტორ კანდელაკს — ორ-ორი თვის, დიმიტრი ოსხიევსა და იოსებ ბაქრაძეს — ექვს-ექვსი თვის, არშაკ საფაროვს, არსენ კალანდაძეს, აპოლონ კორძაიას, ანტონ შავიშვილს, ბესარიონ ლოსაბერიძეს, პავლე იახნევს, სოფრომ მგალობლიშვილს, გრიგოლ ავალიშვილს, ნიკოლოზ ხუდადოვსა და კონსტანტინე ყიფიანს — თითოთითო თვის, ანტონ ლორთქიფანიძეს, რაროკს, გრიგოლ გაბაშვილს, გიორგი უთურგაულს, ლევან ჩერქეზიშვილსა და ილია ჭიჭინაძეს — სამსამი კვირის, ალექსანდრე ნანეიშვილსა და იოსებ მაყაშვილს — ორ-ორი კვირის. რაც შეეხება ელენე ყიფიანს, სოფიო ჯორჯაძესა და ოლღა საფაროვას — ისინი ხელისუფლებამ დააჯარიმა, პირველი — 100 მანეთით, ხოლო მეორე და მესამე — ორმოცდაათ-ორმოცდაათი მანეთით.

ასეთი, შედარებით რბილი, განაჩენის გამოტანა აიხსნება იმით, რომ ძიებამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პასუხისგებაში გადაცემულ პირებს, თვით საიდუმლო საზოგადოების თვალსაჩინო წევრებსაც კი, მათი სიმტკიცისა და ერთსულოვნობის გამო საფუძვლიანად ვერ დაუმტკიცა წაყენებული ბრალდების სისწორე. გარდა ამისა, ეტყობა, ანგარიში (ნაწილობრივ) იმასაც გაეწია, რომ ორგანიზაცია ჩავარდნის მომენტისათვის არსებითად შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა და ვერ მოასწრო ბევრის გაკეთება[2].

§ 4. ხალხოსნური მოძრაობა 80-იან წლებში

საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ზოგი მკვლევარის შეხედულებით, ხალხოსნურ მოძრაობას საქართველოში მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ის, მათი სიტყვით, ვითარცა ზედაპირული და არა მტკიცე საფუძვლებზე დამყარებული მოვლენა, უკვალოდ გაქრა 1876 წელს, როდესაც ჟანდარმერიამ გაანადგურა ქართველი ხალ-

---

[1] უფრო მოგვიანებით ხელისუფლებამ აღმოსავლეთი ციმბირი ორენბურგის გუბერნიით შეცვალა და გადასახლებული პირებიც იქ გაიგზავნენ სასჯელის მოსახდელად (სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 170).

[2] ამ მომენტს ხაზს უსვამს სხვათა შორის თბილისის სასამართლო პალატის პროკურორი ვ. ანდრეევი თავის 1877 წლის 7 ივნისის წარდგინებაში (სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2506, ფურც. 84).

ხოსნების პირველი არალეგალური ორგანიზაცია და დააპატიმრა მისი თითქმის ყველა თვალსაჩინო წევრი[1].

ასეთი დებულება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორი არ არის, რაც ჯერ კიდევ 1928 წელს აღნიშნა პროფ. სიმონ ხუნდაძემ. „1876 წლის დამარცხების შემდეგ, — წერდა იგი, — არ გაუვლია რამდენსამე ხანს, რომ ჩვენში კვლავ გააჩაღა მუშაობა ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ. 70-იანი წლების მიწურულში და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში წარმოიშვა ნაროდნიკულად მოაზროვნე ინტელიგენციის ახალი თაობა. 80-იანი წლების ნაროდნიკებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში... 80-იან წლებში ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ, ერთის მხრივ, ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ შრომას, შეუდგა თავისი იდეოლოგიისა და სამოღვაწეო პროგრამის ლიტერატურულად დამუშავებას... (ხოლო) მეორეს მხრივ, — ...მკვეთრი პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის განგრძობა მოინდომა და უმთავრესი ყურადღება მოსწავლე ახალგაზრდობას და მუშა ხელოსნებს მიაპყრო“[2] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს როგორც ჟანდარმთა სამმართველოს მასალები, ისე მემუარული ლიტერატურა. დასახელებული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ 1876 წლის კატასტროფას ხალხოსნების რევოლუციურ-პროპაგანდისტული საქმიანობის შეწყვეტა კი არ გამოუწვევია, არამედ მხოლოდ რამდენადმე შეასუსტა. შიო დავითაშვილის მოწმობის თანახმად, სწორედ საიდუმლო ორგანიზაციის ჩავარდნის შემდეგ უცდიათ ქართველ ხალხოსნებს პროპაგანდის წარმოება თბილისის მუშებისა და ხელოსნების წრეში[3]. ჩანს, მსგავსი საქმიანობა მათ არც

---

[1] Ф. Махарадзе, Очерки революционного движения в закавказии, Тифлис, 1927, გვ. 57; В. Бахтадзе, Очерки по истории грузинской общественно-политической мысли 60—90 годы XIX столетия), Тбилиси, 1960, გვ. 191.

[2] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, გვ. 47.

[3] აზრი ხსენებული პერიოდის ხალხოსნების გადაგვარების შესახებ. მკვეთრად და საფუძვლიანად გააკრიტიკა გ. მეგრელიშვილმა (იხ. მისი «Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века и начала XX века» т. II, Тб., 1959, გვ. 5). აზრი იმის შესახებ, რომ ხალხოსნური ორგანიზაციის ჩავარდნა 1876 წელს ოდნავადაც არ ნიშნავდა საერთოდ ხალხოსნური მოძრაობის შეწყვეტას ჩვენში, გაიზიარა აგრეთვე დოც. შ. გოზალიშვილმაც (იხ. მისი „რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“ თბ., 1960, გვ. 169—176 და აგრეთვე მთელი მეექვსე თავი).

ჯაკინგზის მუშებში შეუწყვეტიათ[1]. მიუხედავად ერთგვარი წარუმატებლობისა, დაპატიმრებას გადარჩენილ ხალხსნებს სოფელი არ დავიწყებიათ და იქ მოწინავე აზრების გავრცელება გაუგრძელებიათ. ამ საქმეში სოფლის მასწავლებლობა ჩაბმულა. „გორის მაზრაში, — წერს შ. დავითაშვილი, — 1878 წლიდან რამდენიმე ახალი სკოლა დაარსდა. მასწავლებლებად სულ სემინარიაში ნამყოფი და იქიდან თავდანებებული თუ გამორიცხული ახალგაზრდები იყვნენ. ყველას კარგად ვიცნობდი. როდესაც გორში ან ჯამაგირის მიღება ან სხვა საქმე გამოუჩნდებოდათ, სულ ჩემთან მოდიოდნენ. კარგად მახსოვს: მოსე ნათაძე, თეოფილე კანდელაკი, გრიგოლ ყიფშიძე, იოსებ ცხვედაძე, ალექსანდრე გაგლოშვილი, ლადო გულისაშვილი, ზაქარია გულისაშვილი, იოსებ კოშორიძე, დავით კაპანაძე. ზაქარია ოქუაშვილი, ნიკო ხუციშვილი.

თავის პირდაპირი დანიშნულების გარდა, ეს მასწავლებლები ხალხში რევოლუციურ აზრებს ავრცელებდნენ. მეტად მხნე და გულმხურვალე მუშაკი იყო ზაქარია გულისაშვილი, რომელიც გლეხებს ყოველ გაჭირვებაში ხელმძღვანელობდა და ამიტომ გლეხებსაც ის ძალიან უყვარდათ“[2] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

საერთო დაძაბული მდგომარეობა. 70-იანი წლების მეორე ნახევარში შედარებით სუსტად მიმდინარე რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა 80-იანი წლების დასაწყისიდან და იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მთავრობას მის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალების მაქსიმალური მობილიზაცია დასჭირდა. ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების დიდი მასშტაბით შემონახვა ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში, დროებით ვალდებულ გლეხთა და საერთოდ სოფლის მშრომელი მოსახლეობის მძიმე სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, რუსი ნაროდნიკების გმირული საქმიანობა, იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობა 1881 წლის 1-ლ მარტს, რეაქციისა და ეროვნული ჩაგვრის ჩვეულებრივზე მეტად გაძლიერება და სხვ. — აი დაახლოებით ის მოვლენები, რომლებიც კვებავდა იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების რევოლუციურ განწყობილებას, აღრმავებდა მის ოპოზიციურ სულისკვეთებას. სულ უფრო ხშირად და გაბედულად ისმოდა უკმაყოფილების ხმა ხალხის ფართო მასებში. არსებულის წინააღმდეგ პროტესტს სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ხშირად ის მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვიერ თუ წერილობით გამოსვლებში ვლინდებოდა.

---

[1] შ. დავითაშვილი, ხალხსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 60—65.
[2] იქვე, გვ. 79.

კავკასიის ადმინისტრაციის აზრი „ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ“ ბრძოლის გასაძლიერებელ ღონისძიებათა შესახებ. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ საზოგადოებრივი ძალების აღზნებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ ხალხოსნებს, რომლებმაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისევ გაშალეს თავიანთი საქმიანობა 80-იანი წლების დასაწყისიდან. ჟანდარმერია ენერგიულად იბრძოდა გაზრდილი პოლიტიკური საშიშროების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა მას არასაკმარისად ეჩვენებოდა და მის გაძლიერებას მოითხოვდა. ის აყენებდა, კერძოდ, საკითხს ოხრანკის შტატისა და ჯაშუშთა დასაქირავებელი თანხის გადიდების შესახებ[1].

მეორე დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის თავის უფროსისადმი მირთმეულ პატაკს (1884 წ.), ლაპარაკია ადგილობრივი ენების მცოდნე პირის ოხრანკის აპარატში მიღებისა და ამისათვის სათანადო საშტატო ერთეულების გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ასეთი ნაბიჯის გადადგმას, დასახელებული მოხელის აზრით, მოითხოვდა საზოგადოებრივი წესრიგის „დამრღვევთა“ საქმიანობის განსაკუთრებული გამოცოცხლება და მათ წინააღმდეგ უფრო ეფექტური ბრძოლის წარმოების საჭიროება[2].

80-იანი წლების დასაწყისის კონკრეტული ვითარება აყენებდა საკითხს არა მარტო „ბოროტმოქმედთა“ წინააღმდეგ მებრძოლ დაწესებულებათა შტატების გადიდებისა, არამედ თვით ამ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შეცვლა-განახლების შესახებ. თბილისის გუბერნიის 1882 წლის პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვის ავტორი, მაგალითად, პირდაპირ ლაპარაკობს რევოლუციონერთა საქმიანობისადმი თვალყურის დევნების მანამდე არსებული წესების თითქმის სრული მოძველებისა და უვარგისობის შესახებ. მისი აზრით, ოხრანკას ამიერიდან წინა პერიოდისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია არა იმდენად საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კანონის აშკარად დარღვევის ფაქტებისათვის, რამდენადაც „დანაშაულებრივი მოქმედების“ საიდუმლო გზით მომზადების შემთხვევებისათვის[3].

ხალხოსნური წრეები თბილისში. ამრიგად, მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ხელი შეეშალა რევოლუციონერთა საქმიანობისათვის, არ დაეშვა საშიში აზრების გავრცელება, მიეგნო საიდუმლო წრეებისათვის, ამოეძირკვა ისინი და უზრუნველეყო სრული „წესრიგისა“ და „მყუდროების“ დამყარება. მაგრამ ხელისუფლებამ მიზანს მაინც ვერ

---

[1] სსცია, ფ. 39 საქ. 16, ფურც. 1—2.
[2] იქვე, ფ. 153, საქ. 76, ფურც. 32—33.
[3] იქვე, საქ. 55, ფურც. 47—58.

მიაღწია. 80-იანი წლების დასაწყისიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართველმა ხალხსნებმა მიუხედავად დიდი რეპრესიებისა, მაინც გაშალეს თავიანთი მუშაობა და შეუპოვარი ბრძოლა განაგრძეს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შეიქმნა საიდუმლო წრეები, რომელთა წევრები ნაროდოვოლცური მიმართულებისა იყვნენ და მის პროგრამას იზიარებდნენ. ეტყობა, ამ მიმართულებას დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონია მაშინ ქართველ ხალხსნებში. „თუმცა ამ პარტიის ცენტრი, — წერს შ. დავითაშვილი — დაბოლოს მეტისმეტად მისუსტდა და სიცოცხლის ნიშანწყალიც თითქო აღარა ჰქონდა, ჩვენ მაინც გვახსოვდა მისი ერთი დროის გმირული მოქმედება, მასიური პროცესები, მაღალი თანამდებობის პირთა განადგურება და მეფის მოკვლაც. არ შეგვეძლო დაგვეჯერებია, რომ ეს პარტია დაიშალა და მისი უნარი მოქმედებისა სამუდამოდ ჩაჰკლა მთავრობის სასტიკმა ზომებმა. პირიქით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ პარტიამ ხელი მოჰკიდა უფრო ფრთხილ მუშაობას და რომ დროებით მიყუჩება ნიშანია მომავალ ქარიშხლის მოახლოებისა, ამ რწმენას თითქოს კიდეც ადასტურებდა ის ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვდიოდა. ამიტომ ჩვენ გვინდოდა ჩვენი მუშაობა უფრო გაგვეჩაღებია, რომ რუსეთის საერთო მუშაობას არ ჩამოვრჩენოდით“[1].

ერთი ასეთი ნაროდოვოლცური წრე ჩამოყალიბებულა თბილისში. შე-16 მეგრულ პოლკში 1881 წლის აგვისტო-სექტემბერში. მომდევნო წლის შემოდგომაზე ის გასცა მისმა ერთ-ერთმა წევრმა, პორუჩიკმა ანისიმოვმა, რომელიც, თურმე, ამ გზით ვარაუდობდა პოლკის ფულის გაფლანგვა-მითვისებაში გამოხატულ სახელმწიფოებრივი დანაშაულის გამოსყიდვას. როგორც ანისიმოვის ჩვენებიდან[2] და თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ პეკარსკის პოლიციის დეპარტამენტის სახელზე დაწერილი პატაკიდან[3] ჩანს, დასახელებული საიდუმლო წრის წევრები ყოფილან ოფიცრები: მანუხინი, იოსებ ლიპომანი, ალექსანდრე ანტონოვი, ნიკოლოზ ალიხანოვი, არჩილ ციციშვილი, ვლადიმერ დერჟანოვსკი, ვაჩნაძე, მიტნიკი და სამოქალაქო პირები — აგრონომი ალექსანდრე ელიოზიშვილი, რკინიგზის მაღალი რანგის მსახური პავლე იაკიმოვი, მეტყევე ვიქტორ მელენჩუკი, ალექსანდრე ნანეიშვი-

---

[1] შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხსნური მოძრაობა.., გვ. 86—87.

[2] სსცია, ფ. 153, საქ. 64, ფურც. 13—23. ანისიმოვის ჩვენების ტექსტი დაბეჭდილია აგრეთვე კრებულში «История классовой борьбы в Закавказье», თბ., 1930, დამატება მეორე, გვ. 67—77.

[3] სსცია, ფ. 153, საქ. 64, ფურც. 1—4.

ლი, მარიამ შერვაშიძე[1], თბილისის რეალური გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე ტერ-გრიგორიანცი[2], სტეფანე ჭრელაშვილი[3] და სხვ.

ორგანიზაციის შექმნა-ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია ცნობილ რევოლუციონერ ქალს ანნა პრიბილევა-კორბას, რომელიც „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით 1881 წლის ზაფხულში საქართველოს სწვევია. იგი თბილისში, სტეფანე ჭრელაშვილის მეშვეობით, პორუჩიკ ალექსანდრე ანტონოვს გასცნობია და მისთვის საიდუმლო წრის შექმნა შეუთავაზებია. ანტონოვს ეს წინადადება სიამოვნებით მიუღია, ახლო ამხანაგებისთვის გაუნდვია და მალე, შედარებით ვიწრო, ფარული საზოგადოება შეუქმნია. საზოგადოების წევრები შეძლებისდაგვარად იკრიბებოდნენ და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მრავალ მნიშვნელოვან საკითხს არჩევდნენ. ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც გამცემი ანისიმოვიც დასწრებია, ლაპარაკი ყოფილა ორგანიზაციის წესდების შემუშავებასა და ახალი წევრების მიღების თაობაზე. შეკრებაზე სიტყვით გამოსულ ალექსანდრე ანტონოვს სხვათა შორის განუცხადებია, რომ იგი დაკავშირებულია რუსეთიდან ჩამოსულ ერთ ქალბატონთან და რომ ის მისგან ღებულობს აკრძალულ ლიტერატურას, „ნაროდნაია ვოლიას“ მგზნებარე ფურცლებს. დასასრულ კრებას დაუდგენია, რომ მისი მონაწილენი მომავალში უფრო დაახლოებოდნენ პოლიციის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, გაეგოთ მათი გუნებ-განწყობილება, გაეღვიძებინათ მათში უკმაყოფილების გრძნობა, შთაენერგათ ზიზღი არსებული რეჟიმისადმი და აღეზარდათ ისინი „სოციალისტური სულისკვეთებით“[4].

საზოგადოების მეორე კრებას, რომელსაც, ავადმყოფობის გამო ანისიმოვი ვერ დასწრებია, ალექსანდრე ანტონოვის ნაცნობი „ქალბატონი“ ანნა პრიბილევა-კორბა სწვევია. იქ მას მოკლე ინფორმაცია გაუკეთებია და, ხაზი გაუსვამს რა რევოლუციური საქმიანობის წარმატებით მიმდინარეობისათვის, სინანული გამოუთქვამს ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული სახსრების აშკარა სიმცირის გამო[5]. პრიბილევა-კორბას თხოვნით მიუმართავს დამსწრე საზოგადოებისათვის მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ნაროდოვოლცური ცენტრისთვის, რათა ამ უკანასკნელს განეხორციელებინა ყველა საჭირო, ძირითად ამოცანასთან დაკავში-

---

[1] იხ. პოლიციის დეპარტამენტის 1883 წლის 3 მარტის დეპეშა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს სახელზე კრებულში «История классовой борьбы в Закавказии», Тб., 1930, გვ. 78—79.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] სსცია, ფ. 153, საქ. 64, ფურც. 13—14.

[5] იქვე, ფურც. 14—15.

რებული ღონისძიება[1]. კრების მონაწილენი მხურვალედ შეხვედრიან ამ წინადადებას და ოთხ მათგანს (ლიპომანს, ანტონოვს, ალიხანოვსა და ციციშვილს) იქვე ასი მანეთი გაუღია[2].

ეს თანხა, ისე როგორც მერე შეკრებილიც, ორგანიზაციას, ანისიმოვის ჩვენებით, ტიპოგრაფიის გასამართავად გამოუყენებია[3], ტიპოგრაფიისა, რომლის ხელმძღვანელობა საიდუმლო წრის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, „უკიდურესი მიმართულების"[4] ვიქტორ მელენჩუკს დაკისრებია. სტამბისათვის საჭირო მოწყობილობა ორგანიზაციას მართლაც შეუძენია, მაგრამ ბეჭდური საქმიანობა მაინც არ გაუშლია. ამის მიზეზად მელენჩუკს ანისიმოვისათვის შემდეგი ორი გარემოება დაუსახელებია: პირველი — ხმების გავრცელება (კონსპირაციულ მუშაობას შეუჩვეველი ახალგაზრდობის მიერ) ახლო მომავალში ტიპოგრაფიის გახსნის შესახებ და მეორე — სათანადო დასაბეჭდი მასალების უქონლობა[5].

ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელად წყაროები ანნა პრიბილევა-კორბასთან ერთად ცნობილ რევოლუციონერს „ნაროდნაია ვოლიას" ცენტრალური კომიტეტის წევრს, მერე კი ამხანაგების გამცემსა და დამბეზღებელს, საქართველოში პეტროვის გვარით ჩამოსულ სერგი პეტრეს ძე დეგაევსაც ასახელებენ, მიზნად ისახავდა არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მოსპობა-განადგურებას და სამართლიან საფუძვლებზე დამყარებულ საზოგადოებრივი ცხოვრების დამყარებას. „პეტროვთან და საერთოდ... წრის შემქმნელ პირებთან საუბრის დროს, — ნათქვამია ანისიმოვის ჩვენებაში, — მე გავიგე, რომ რუსეთში არსებობს რევოლუციური გაერთიანება, რომლის მიზანია გაბატონებული სახელმწიფოებრივი წყობილების დამხობა. ეს გაერთიანება მზადაა ჩაიდინოს ყოველგვარი დანაშაული და მკვლელობაც კი. თბილისში ამ საზოგადოებას წრის შედგენა და პროკლამაციების გავრცელების გზით (ხალხის) გამრყვნელი მოძღვრების გავრცელება სურდა. წრის მონაწილე სამხედრო წოდების პირნი ცდილობდნენ ოფიცრებისა და ჯარისკაცების ისე მომზადებას, რომ მათ ხელი შეეწყოთ (ნაროდოვოლცების) საბოლოო მიზნის მიღწევისათვის"[6].

ორგანიზაციამ, როგორც ირკვევა, პრაქტიკულად ბევრის გაკეთება ვერ მოასწრო, პორუჩიკ ანისიმოვა საიდუმლო წრე სწორედ მაშინ გასცა, რო-

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 64, ფურც. 15...
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფურც. 17—18.
[5] იქვე.
[6] იქვე, ფურც. 22—23.

დესაც იგი არსებითად შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა[1].

ოფიციალური მასალებისა[2] და შ. დავითაშვილის ცნობით[3], ჟანდარმერიამ 1883 წლის დასაწყისში დააპატიმრა და ციხის კედლებში გამოკეტა ბევრი რევოლუციონერი, მათ შორის ოფიცრები მანუხინი, იოსებ ლიპომანი, ალექსანდრე ანტონოვი, ნიკოლოზ ალიხანოვი, არჩილ ციციშვილი, ვაჩნაძე, მიტნიკი, ვლადიმერ დერჟანოვსკი და სამოქალაქო პირები ალექსანდრე ელიოზიშვილი, ვიქტორ მელენჩუკი, ეგნატე იოსელიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი, მარიამ შერვაშიძე[4] და სხვ. მთავრობა ზოგის მიმართ შედარებით მცირე სასჯელით დაკმაყოფილდა, ზოგს კი მან შორეულ მხარეში გადასახლება მიუსაჯა. ასეთი ბედი ეწიათ, კერძოდ, მარიამ შერვაშიძეს, ეგნატე იოსელიანს, სტეფანე ჭრელაშვილსა და ალექსანდრე ნანეიშვილს.

* * *

1882 წლის 7 მარტს თბილისის პოლიცმეისტერის მოვალეობის დროებით შემსრულებელს მეოთხე მსროლელთა ბატალიონის მსახური, ნებით დაქირავებული ვინმე ნიკოლოზ ტრუხაჩოვი ეწვია და მას თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური საქმიანობის დამადასტურებელი საყურადღებო ცნობები და ნივთიერი საბუთები მიაწოდა. მან დაასმინა, კერძოდ, ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მეორე კლასის მოსწავლე, 20 წლის დავით ნიკოლოზის ძე ქადაგიძე და მისი ამხანაგები. ტრუხაჩოვმა, რომელიც ქადაგიძის მეზობლად ცხოვრობდა, მისი სახლში არ ყოფნის დროს, გაიტაცა და პოლიციას წარუდგინა „ნაროდნაია ვოლიას“ ფურცლები და წერილი ალექსანდრე გიორგის ძე ბერიძისადმი, ხელმოწერილი საიდუმლო ორგანიზაციის „კამჩატკის“ წევრების ფ. სულტანოვის, დ. ქადაგიძის, ნ. ჯაყელის, ე. თაყაიშვილის, ე. გორგასლიძისა და ტერ-პოღოსოვის მიერ[5].

ძიებამ, მიუხედავად ბრალდებულთა სიმტკიცისა მაინც მრავალი საყურადღებო დეტალი გამოავლინა. თვითონ ტრუხაჩოვმა, გარდა ნივთიერი საბუთებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოხრანკას ბევრი საყურადღებო

---

[1] ორგანიზაციის გაცემაში ანისიმოვთან ერთად დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის სერგი დეგაევსაც (იხ. გორის ხალხსნების საქმიანობისადმი მიძღვნილი ნაწილი).

[2] იხ. კრებული «История классовой борьбы в Закавказий», Тб., 1930, გვ. 77—80

[3] შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხსნური მოძრაობა..., გვ. 94,95, 97.

[4] მარიამ შერვაშიძე დაპატიმრებულ იქნა ბათუმში, სადაც ის იმ დროს სამკურნალოდ იმყოფებოდა (შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხსნური მოძრაობა..., გვ. 97—98.

[5] სსცია, ფ. 39, საქ. 137, ფურც. 6. Представление прокурора Тифлисской судебной палаты Андреева от 10 апреля 1882 г.

სიტყვიერი და წერილობითი ცნობა მიაწოდა. მან დასახელებულ ორგანოს აცნობა, მაგალითად, რომ ქადაგიძესთან ხშირად იკრიბებიან ამხანაგები და მართავენ გაცხოველებულ კამათს, რომელიც წყდება მხოლოდ მის გამოჩენასთან დაკავშირებით[1]. ქადაგიძე, დამსმენის მოწმობით, აღტაცებით შეხვედრია იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობას და ქება-დიდებით შეუმკია ხსენებული აქტის მთავარი მონაწილენი—პეროვსკაია, ჟელიაბოვი და კიბალჩიჩი. მათი ჩამოხრჩობით აღშფოთებულ ქართველ ნაროდოვოლცელს, დავიწყებია რა კონსპირაციის დაცვის აუცილებლობა, ტრუხაჩოვთან საუბრის დროს განუცხადებია: «Подлость и мерзость поступать таким образом с этими людьми. Не их, а тех, которые их судили, следовало бы повесить»[2]. ქადაგიძის აზრით, როგორც ძიების მასალებიდან ჩანს, „აწინდელი ჩვენი ყოვლად უვარგისი სახელმწიფოებრივი მმართველობა უნდა შეცვლილიყო სოციალისტების სურვილისა და მოთხოვნილების შესაბამისად“[3].

მოწმედ გამოძახებულმა პოდპოლკოვნიკმა ნიკიფოროვმა, რომელთანაც ქადაგიძე ცხოვრობდა, ძიებას დაუდასტურა, რომ მისი მობინადრე მართლაც გამოთქვამდა ზოგჯერ „მავნებლურ აზრებს“, რისთვისაც მან საგანგებოდ გააფრთხილა იგი ტრუხაჩოვის მეშვეობით და მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა[4].

1882 წლის 8 მარტს ქადაგიძე დააპატიმრეს და ბრალდებად აკრძალული ლიტერატურის შეძენა-გავრცელება, საეჭვო კრებების მოწვევა, მთავრობის საწინააღმდეგო აზრების პროპაგანდა და მეფის მკვლელობის აქტის სიხარულით მიღება წაუყენეს. ძიება ფიქრობდა (და არც თუ ისე უსაფუძვლოდ), რომ „კამჩატკა“, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში არსებული საიდუმლო ორგანიზაციის სახელწოდება იყო და ამიტომ პატიმარს ამასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებაც მოსთხოვა. ქადაგიძემ თითქმის მთლიანად უარყო წაყენებული ბრალდება. «Давид Николаевич Кадагидзе, — ნათქვამია თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის 1882 წლის 10 აპრილის მოხსენებაში, — при предъявлении ему представленных Трухачевым изданий и письма, не признал первых своею собственностью и объяснил, что он никогда их не видел и не читал: что же касается до письма на имя товарища его Беридзе, то оно написано Султановым, подписано им, Кадагидзе, и другими и должно было быть отнесено им (სულთანოვის—ავტ.) больному Бе-

---

[1] სსცია, ფ. 39, საქ. 137, ფურც. 6.
[2] იქვე, ფურც. 7.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფურც. 17.

ридзе, лежавшему в госпитале, но почему то он этого не исполнил и письмо осталось в ящике его стола. Выражение «Камчатка» значит последнюю скамью в классе и «Камчадалами» назывались сидевшие на ней, т. е. он, Кадагидзе, Беридзе и все подписавшие письмо. Написано оно в шутку и встречающиеся в нем выражения о правилах «Камчатки» и «основах» её, не имеют никакого значения. Никаких разговоров политических Кадагидзе с Трухачевым не вел, а также не вели и (его) товарищи, изредка к нему приходившие... Переплетные станки действительно у него были, но как то вдруг из квартиры пропали»[1].

აქედან, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, რომ ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში ნამდვილად შექმნილია ნაროდოვოლცური საიდუმლო წრე „კამჩატკა“, რომელსაც, ეტყობა, თავისი წესდება, საამკინძაო მანქანა და აკრძალული პოლიტიკური ლიტერატურა ჰქონია. მართალია, ქადაგიძემ ყოველივე ეს უარყო, მაგრამ არა ჭეშმარიტების აღდგენის, არამედ თავდაცვისა და მოსალოდნელი სასჯელის მოხსნა-შემსუბუქების მიზნით.

ასევე ყველაფერი უარყო აზერბაიჯანელმა სულტანოვმაც, რომელიც იმავე 1882 წლის 9 მარტს იქნა დაპატიმრებული. გაჩხრეკის დროს პოლიციამ მას აღმოუჩინა მეფის მკვლელთა გასამართლების ფოტოსურათი და „დანაშაულებრივი“ შინაარსის წიგნაკი „წერილები პეტერბურგიდან“. «Фарадж бек Султанов, — მოახსენებდა პროკურორი ანდრეევი კავკასიის მხარის სამოქალაქო საქმეთა ნაწილის უფროსს, — ученик 2-го класса Александровского учительского института, относительно письма к Беридзе показал согласно с Кадагидзе. Что же касается до найденной у него брошюры «Письма из Петербурга», то он решительно не знает, как она к нему попала и о нахождении её у него и не подозревал. Фотографию, изображавшую суд над цареубийцами, приобрел из любопытства покупкой у разносчика на Солдатском базаре. У Кадагидзе бывал очень редко, сколько помнит раза три, из которых два раза не застал его дома»[2].

არც ინსტიტუტის დანარჩენმა მოსწავლეებმა: ნ. ჯაყელმა, ე. თაყაიშვილმა, ე. გორგასლიძემ და ე. ტერ-პოღოსოვმა მისცეს ძიებას ხელსაყრელი ჩვენება. დაადასტურეს რა ქადაგიძე-სულტანოვის ჩვენების ძირითადი მომენტები, მათ ერთხმად განაცხადეს, რომ არც ერთ მათგანს

---

[1] სსცია, ფ. 39, საქ. 137, ფურც. 8—9.
[2] იქვე, ფურც. 10—11.

აზრადაც არ მოსვლია, რომ სიტყვით ან საქმით, მთავრობის საწინააღმდეგოდ ემოქმედა[1].

ამრიგად, ძიებამ დასახელებულ პირებს არსებითად ვერ დაუმტკიცა ბრალდება და ამიტომ იძულებული გახდა შედარებით მსუბუქი სასჯელით დაკმაყოფილებულიყო. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო პროკურორ ანდრეევის აზრი. «Я полагал бы полезным, — წერდა ის, — не давая этому делу хода в судебном порядке, воспитанников Александровского учительского института Давида Николаева Кадагидзе и Фараджа бек Султанова, выдержав под арестом две недели, отдать затем под надзор полиции на один год»[2].

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ ჩანს, თუ რით დამთავრდა ეს საქმე, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის წარდგინების შესაბამისად გადაწყდა.

* * *

1883 წლის მარტის თვეში ჟანდარმერიამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განახორციელა მეორე მასობრივი დაპატიმრებანი და ბევრი სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანი რუსეთის იმპერიის შორეულ გუბერნიებში გაისტუმრა. ეტყობა, ხელისუფლების ასეთ სიმკაცრეს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და საზოგადოების მოწინავე ნაწილში „წესრიგი“ ვერ აღდგენილა. არ იქნა და ვერ ეღირსნენ მყუდროებას ოხრანკა და საგამომძიებლო ორგანოები, მათ თითქოს მოსვენება არ ეწერათ. ისინი დღე და ღამეს ასწორებდნენ, დაუზარებლად მუშაობდნენ, ჯაშუშების დიდ არმიას ამოქმედებდნენ, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ აღწევდნენ და მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას ბოლოს ვერ უღებდნენ.

„წყლის ამღვრევთა“ შორის ისევ ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი აღმოჩნდა. მისმა მოსწავლეებმა, მოწინავე პედაგოგების დახმარებით, შეადგინეს და 1883 წლის 29 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე გაავრცელეს ქალაქში პროკლამაცია სათაურით «От учащихся к обществу». ამ პროკლამაციაში, რომელიც სხვათა შორის საქართველოს ეგზარქოსსა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველსაც გაეგზავნა[3], ნათქვამი იყო შემდეგი: „მთავრობამ ჩვენს აღმზრდელებს მისცა ახალი ინსტრუქცია, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს მორალურ და გო-

---

[1] სსცია, ფ. 39, საქ. 137, ფურც. 11.

[2] იქვე, ფურც. 14.

[3] იქვე, ფ. 153, საქ. 71, ფურც. 40.

ნებრივ გახრწნას. ის ჩვენ გვხდის კანტონისტებად, საიდანაც უნდა გამოვიდნენ უვიცი და მესამე განყოფილების ბრმა მსახურნი... ჯაშუშობა სკოლის კედლებში. ამხანაგებში, ქუჩაში, საზოგადოებაში და თვით მშობლების წრეშიც კი — ასეთია ის იდეალი, რომელსაც გვინერგავენ ჩვენ. უფროსის სურვილის უსიტყვოდ შესრულება — აი რას მოითხოვენ ჩვენგან გაწკეპლვის მუქარით, განურჩევლად იმისა ვინაა ეს უფროსი — მუნდირში გამოწყობილი საზიზღროება თუ მარყუჟით შეიარაღებული ფლოროვი. გვცემენ ცელქობისათვის. ცუდი ფორმისათვის მაშინაც კი. როდესაც მშობლებს უკეთესის შეკერვის საშუალება არა აქვთ. რომ მუდმივ სიბნელეში გვამყოფონ, გვიკრძალავენ წიგნის კითხვას, თეატრებში სიარულს და ყოველგვარ შეკრებას, რომლის მიზანს თვითგანათლება და გათვითცნობიერება შეადგენს... მამებო და დედებო! ჩვენო უფროსო ძმებო და დებო! დაგვიცავით, ნუ მისცემთ ჩვენს აღმზრდელებს ნებას ჩაჰკლან ჩვენში გრძნობა პატიოსანი და მოაზროვნე მოქალაქისა. დაგვიცავით სანამ ახალგაზრდები ვართ. ვაი იმ ხალხსა და საზოგადოებას, რომლის ახალგაზრდობაში არ ღვივის სიყვარული განათლებისადმი, სიყვარული ახლობელისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი და სიყვარული კაცობრიობისადმი.

გააგებინეთ მასწავლებლებს და რუსეთის მთავრობას, რომ ჩვენ ვეკუთვნით არა იმათ, არამედ თქვენ, ჩვენს მშობლებს, ჩვენს ხალხს. უთხარით მათ, რომ თქვენ არ მოითმენთ, რომ თქვენი შვილები აღზარდონ უსამართლობის უვიც მსახურებად. დაუყოვნებლივ აღიმაღლეთ ხმა ჩვენს დასაცავად, მერე გვიან იქნება.

მაგრამ, თუ კი საზოგადოება არ გამოვა ჩვენს დასაცავად და დაგვტოვებს ჩვენ დესპოტი აღმზრდელების ხელში, მაშინ ყველა ჩვენგანი, ის, ვისაც კი გული უცემს და ადამიანობის ნიშან-წყალი შერჩენია, გაბედულად მოეკიდება საკუთარი განთავისუფლების დიად საქმეს. დაე ჩვენ თავისუფლებისათვის მებრძოლებს, შუქურა ვარსკვლავივით გზას გვინათებდნენ პეროვსკაიასა და ზასულიჩის, რისაკოვისა და ჟელიაბოვის ბრწყინვალე სახეები"[1] (ხაზი ჩვენია — ავტ.).

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 72, ფურც. 5.

პროკლამაციაში, როგორც ვხედავთ, დახასიათებულია არა მარტო ინსტიტუტში არსებული მძიმე რეჟიმი, არამედ მასში მეტად მკაფიოდაა დადასტურებული მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური განწყობილება და მისი უდიდესი პატივისცემა იმ პრინციპისადმი, რომელსაც პიროვნების სრული თავისუფლება ჰქვია. გასარჩევი დოკუმენტი, რომელიც დემოკრატიული აზრის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, ჰკიცხავს იმდროინდელ უსამართლო, თავისუფალი აზრის ჩამხშობ და საზოგადოების წინსვლა-განვითარების შემფერხებელ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას. პროკლამაციის ავტორები, ეტყობა, განსაკუთრებულ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელებისადმი და შთაგონებულნი იმათი სახეებით ფიქრობდნენ ხელი მოეკიდათ ხალხთა „განთავისუფლების დიადი საქმისათვის“.

დაიწყო საქმის საფუძვლიანი გამოძიება. პოლიციამ დააპატიმრა ინსტიტუტის ორი მოსწავლე — მიხეილ ბუსლაევი და ვასილ პლოხოტნიკოვი, გაჩხრიკა თბილისის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მსმენელი ავდოთია კარპუხოვა და საიდუმლო მეთვალყურეობა დაუნიშნა წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის აღმზრდელს (классной даме) პოლიტაევას. პირველს დაპატიმრების დროს სხვადასხვა ჩანაწერით სავსე რვეულები აღმოუჩინეს, რომლებიც, პოლკოვნიკ პეკარსკის სამართლიანი დასკვნით[1], ნამდვილად ადასტურებდა ავტორის „მავნებლურ მიმართულებას“. აი ერთი ადგილი ამ ჩანაწერებიდან: „ეკატერინე II-ის დროს პირველი მოღვაწე რადიშჩევი იყო, ხოლო მეორე — ნოვიკოვი, თავმჯდომარე რუსეთის მასონების წრისა, დამაარსებელი კერძო ტიპოგრაფიისა, პატიმარი პეტრეპავლეს ციხისა. ალექსანდრე პირველის აღმზრდელი ლაგარპი — რესპუბლიკანელი იყო. 1818 წელს შექმნილი კეთილდღეობის კავშირი, მერე, 20-იან წლებში, დეკაბრიზმში გადაიზარდა. 1861 წელს მ. მიხაილოვს კატორღა ძიესაჯა და გარდაიცვალა იქ 1867 წელს... 1863 წელს პოლონეთში პიასკის კლდესთან, მოკლულ იქნა ა. პატებნია, რომლის სახითაც „მიწა და თავისუფლების“ (პარტიამ) დიდი დანაკლისი განიცადა. კარაკოზოვის ამხანაგები სტრანდენი, იურასოვი, ნიკოლაევი და ხუდიაკოვი ციმბირს გაისტუმრეს. კარაკოზოვის შემდეგ, 1869 წელს, სამრეველო სკოლის მასწავლებელი სერგეი ნეჩაევი გამოჩნდა, ხოლო მის მერე — დოლგუშინი და ზეინკალი მალინოვსკი. 1861 წელს გაზეთ „ველიკორუსის“ ბეჭდვა დაიწყეს[2]... ა. გერცენი და ნ. ოგარიოვი ინგლისში „კოლოკოლსა“ და

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 71, ფურც. 40.

[2] „ველიკორუსი“, რომლის სამი ნომერი 1861 წელს გამოვიდა, გაზეთი კი არ იყო, არამედ ფურცელ-პროკლამაცია. მისი გამომცემლები იყვნენ რევოლუციური ცენტრის თვალსაჩინო მოღვაწეები ნიკოლოზ და ვლადიმერ ობრუჩევები, ლუგინინი და სხვ. „ველიკორუსმა“ მკაცრად გააკრიტიკა საგლეხო რეფორმის ბატონყმური ხასიათი და მოითხოვა გლეხებისათვის იმ მიწების გადაცემა, რომლითაც ისინი რეფორმამდე სარგებლობდნენ.

„პალიარნაია ზვეზდას“ სცემდნენ. ისინი ამბობდნენ: ხალხს უნდა სიტყვის, სინდისისა და მოქმედების თავისუფლებაო... ჩერნიშევსკის 1864 წელს მამხილებელი საბუთების გარეშე 14 წლის კატორღა მიესაჯა“[1].

ბუსლაევის ჩანაწერებში, პოლკოვნიკ პეკარსკის მოწმობით, საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი მსჯელობას მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ, რომელიც. ბრალდებულის სიტყვით, თავდადებით ემსახურებოდა მთავრობას „წესრიგის დაცვის“ საქმეში[2]. აქ ლაპარაკი ყოფილა აგრეთვე სოციალისტური მოძღვრების ჩასახვა-განვითარების თაობაზე მოყოლებული XVI საუკუნიდან[3].

გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი ეს მასალა, რა თქმა უნდა, ნათელ წარმოდგენას აძლევდა ხელისუფლებას მიხეილ ბუსლაევის პოლიტიკურ კრედოზე, მაგრამ ამჯერად მის წინაშე უფრო კონკრეტული ამოცანა იყო დასახული — მას ხსენებული პროკლამაციის შემდგენელი წრისა და მისი წევრების ვინაობა უნდა დაედგინა. ბუსლაევის დაკითხვამ ძიებას ამ მიმართულებით არაფერი მისცა — მან კატეგორიულად უარყო ამ საქმეში თავისი მონაწილეობა. ასევე უარყო მან პოლიტიკურად საეჭვო კავშირის არსებობა პოლეტაევსა და კარპუხოვასთან- და ამით ერთხელ კიდევ შეეცადა საგამომძიებლო ორგანოებისათვის გაეფანტა აზრი თბილისში მთავრობის საწინააღმდეგო ახალგაზრდული ორგანიზაციის მოქმედების შესახებ.

სახარბიელო შედეგი არც ვასილ პლოხოტნიკოვის დაკითხვას მოჰყოლია. გაჩხრეკის დროს ბრალდებულს რაიმე ხელმოსაკიდებელი, მისი საქმიანობის ‘ამხილებელი საბუთი ვერ უპოვეს, თუმცა, პოლიციის მიერ შეგროვილი ცნობების თანახმად, მას უნდა ჰქონოდა, მაგალითად, ჰექტოგრაფიული წესით გამრავლებული «Программа для чтения», რომელიც პეკარსკის მოწმობით, სოციალ-რევოლუციონერთა ბანაკისთვის ყოფილა განკუთვნილი და მის თანამგრძნობ პირებს ამზადებდა, თურმე, მომავალი აქტიური მოღვაწეობისათვის[4]. მაგრამ პოლიციამ, როგორც ვთქვით, ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს ვერ მიაგნო, რადგანაც პლოხოტნიკოვმა. ეტყობა, მოასწრო იმის გადამალვა, „რასაც მისთვის სახელის გატეხვა შეეძლო“[5].

ამრიგად, ოხრანკამ პატიმრებს წაყენებული ბრალდება საბუთებით ვერ დაუმტკიცა. ‘აგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც დარწმუნებული იყო, რომ ბუსლაევი, პლოხოტნიკოვი და სამასწავლებლო ინსტიტუტის სხვა

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 71, ფურც. 40—41.
[2] იქვე, ფურც. 41.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფურც. 43.
[5] იქვე. ფურც. 41.

მსმენელები ნამდვილად ეწეოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას და რომ ისინი „თავიანთი მიმართულებით“ გამრყვნელ გავლენას ახდენდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაზე [1]. ამას, პეკარსკის აზრით, ისეთი ფაქტიც ადასტურებდა, როგორიც იყო ხსენებულ პირთა იზოლირების შემდეგ პროკლამაციებისა და საერთოდ საეჭვო ლიტერატურის გავრცელების შეწყვეტა დედაქალაქში [2]. აქედან გამომდინარე, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო შუამდგომლობდა იმის შესახებ, რომ ძიხეილ ბუსლაევი და ვასილ პლოხოტნიკოვი გაესახლებინათ საქართველოდან ადმინისტრაციული წესით იმდენი ხნით, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევდა კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელი [3].

მაგრამ ამ წინადადებამ მხარდაჭერა ვერ პოვა. მას არ დაეთანხმა, კერძოდ, თბილისის გუბერნატორი, რომლის აზრითაც ბუსლაევისა და პლოხოტნიკოვის ასეთი დასჯა, ბრალდების ეჭვმიუტანელი არგუმენტებით დამტკიცების გარეშე, დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ახალგაზრდობის წრეში და სარგებლის მაგივრად საერთო საქმეს მხოლოდ ზიანს მოუტანდა [4].

თუმცა მასალებიდან ამ საქმის დასასრული არ ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ყველაფერი თბილისის გუბერნატორის დასკვნის შესაბამისად გაკეთდა.

ნაროდოვოლცური წრეები გორში. ხალხოსნური მოძრაობის მეორე ცენტრი ამჟამადაც, ისე როგორც 70-იან წლებში, იყო გორი. ახალგაზრდობის რევოლუციური საქმიანობა განსაკუთრებით 1881 წლიდან გაშლილა, როდესაც გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებულა ჩვენთვის უკვე ცნობილი მიხეილ ყიფიანი [5]. ეს უკანასკნელი ცოლ-შვილით გორში დასახლებულა და იქაურ სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად მოწყობილა. გორსა და მის მაზრაში მცხოვრებ ხალხოსნების ერთ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ნინო მგალობლიშვილი, ალალო თულაშვილი, შაქრო გულისაშვილი, ლევან ჯუღაშვილი (ნოქარი), სავლე ბურჯანაძე, შიო დავითაშვილი, ქეთევან დავითაშვილი, სოფიო მაღალაშვილი, მაშო ივანიშვილი (დემურია) და სხვ. [6]

---

[1] «Они,—წერდა პეკარსკი,— по своему направлению способны только развращать учащуюся молодежь, не говоря уже о том вреде, какой могут внести в школы эти будущие педагоги» (სსკია, ფ. 153, საქ. 71, ფურც. 44).

[2] იქვე, ფურც. 42.

[3] იქვე, ფურც. 44.

[4] იქვე, საქ. 72, ფურც. 48—49.

[5] შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 82.

[6] იქვე, გვ. 75.

უპირატესად ლეგალური, მაგრამ თავისთავად ხალხის სასარგებლო საქმიანობა უწარმოებია. ეს ჯგუფი, შ. დავითაშვილის მოწმობით, მართავდა წარმოდგენებს[1], აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, გამოდიოდა ადგილობრივი ხელისუფლების უკეთესმართ ღონისძიებათა წინააღმდეგ, იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს, შუამდგომლობდა (პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით) ამა თუ იმ საჭირო დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტის გახსნა-დაარსების შესახებ და სხვ. ხსენებული ჯგუფის ზეგავლენით, მაგალითად, გორის მაზრის თავადაზნაურთა კრებას დაუდგენია დაესვა საკითხი მთავრობის წინაშე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და ერობის შემოღების შესახებ[2]. მეორე კრებაზე იმავე თავადაზნაურობას მიუღია დადგენილება პრივილეგიური წოდების შეძლებული ნაწილის დაბეგვრისა და ამ გზით შემოსული თანხის სახალხო განათლების საქმეზე გამოყენების შესახებ[3]. დასასრულ, დასმულა ხიზნების „მთლიანად ან ნაწილობრივ“ განთავისუფლების საკითხი, მაგრამ უშედეგოდ[4].

ამ ლეგალურად მომუშავე ჯგუფთან ერთად გორში შექმნილა კონსპირატიულად მოქმედ რევოლუციურ ხალხოსანთა ჯგუფი, რომელსაც თავისი ხელმძღვანელი ბირთვი აურჩევია მიშო ყიფიანის, ელისაბედ შერვაშიძის (მიშოს მეუღლე) კოტე გვარამიძის (მასწავლებელი), ლევან გრიგოლაშვილის (მასწავლებელი), ილიკო მაჭავარიანის (სამაზრო სამმართველოს თანამშრომელი), შიო დავითაშვილისა და მისი მეუღლის ქეთევანის შემადგენლობით[5].

ხსენებულ ჯგუფს კავშირი ჰქონია რუს ნაროდნიკებთან, კერძოდ, ნაროდოვოლცების პარტიასთან, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა ქართველ ხალხოსნებში საერთოდ. შ. დავითაშვილის მოწმობით, მაგალითად, 1881 წელს გორს რამდენჯერმე სწვეევია იმ დროს თბილისში მყოფი „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ანნა პრიბილევა-კორბა. მისი მონაწილეობით არაერთი თათბირი ჩატარებულა „რევოლუციური პარტიის გაფართოების“, „მუშაობის უფრო ნაყოფიერად წარმართვისა და რუსეთის ხელმძღვანელ ცენტრთან „შეუწყვეტელი კავშირის“ დამყარების თაობაზე“[6]. კორბას პეტერბურგში გაბრუნების შემდეგ 1881 წლის შემოდგომა-

---

[1] მსახიობებად გამოდიოდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, შაქრო გულისაშვილი, სავლე ბურჯანაძე, მაშო კერესელიძე, თვითონ შიო დავითაშვილი, მისი მეუღლე ქეთევანი და სხვ.

[2] შ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ხალხოსნური მოძრაობა..., გვ. 82.

[3] იქვე. გვ. 82—83.

[4] იქვე, გვ. 83, შედეგი, როგორც ცნობილია, არც სხვა, ზემოდასახელებულ შუამდგომლობას მოჰყოლია.

[5] იქვე, გვ. 86.

[6] იქვე.

ზე[1] საქართველოში, როგორც ვიცით, სერგი პეტრეს ძე პეტროვი ან იგივე დეგაევი ჩამოვიდა[2]. იგი რევოლუციური ცენტრის სახელით ხელმძღვანელობდა არა მარტო თბილისის, არამედ გორის ხალხოსანთა საქმიანობასაც. მისი წინადადებით ამ უკანასკნელთ საქართველოს სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის წესდების შემუშავება გადაუწყვეტიათ და ამის სისრულეში მოსაყვანად სათანადო კომისიაც გამოუყვიათ მიშო ყიფიანის, კოტე გვარამაძისა და შიო დავითაშვილის შემადგენლობით. კომისიას წესდების პროექტი მართლაც შეუდგენია, მაგრამ მისი წაკითხვაც კი ვერ მოუსწრიათ საიდუმლო ორგანიზაციის გაცემისა და ჩავარდნის გამო[3].

კონსპირატიულ წრეს კავშირი დაუმყარებია გორის მახლობლად, სოფელ ხიდისთავში მდგარ ნაწილთან, რომლის ოფიცრობა (კაპიტანი ნეზლობინი, პორუჩიკი ლიუბიმოვი და სხვ.), ს. მგალობლიშვილის მოწმობით, თანაუგრძნობდა რევოლუციურ მოძრაობას[4].

შ. დავითაშვილის მოწმობით, საიდუმლო ორგანიზაციის სახსრების გაძლიერების მიზნით კონსპირატიულ კომიტეტს, ნაროდოვოლცური ცენტრის დასტურითა და დავალებით, გადაუწყვეტია გორის ხაზინიდან ფულის გატაცება, მაგრამ ჟანდარმერიას, რომელსაც წინასწარ მიუღია ამის შესახებ ცნობა, ეს საქმე ჩაუშლია. გამცემი და დამსმენი, როგორც მერე დადგინდა, სწორედ „სერგეი პეტროვიჩი" (იგივე დეგაევი) აღმოჩნდა.

გორის ხალხოსანთა საიდუმლო ორგანიზაციას მიაგნეს. დაიწყო დაპატიმრებანი. დააპატიმრეს მიშო ყიფიანი, შიო დავითაშვილი, ილიკო მაჭავარიანი და სხვ. ამათგან პირველი სამი წლით სემიპალატინსკში გადაასახლეს, ხოლო ორი უკანასკნელი, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, გაანთავისუფლეს.

* * *

1883 წლის კატასტროფის შემდეგ, როგორც მოსალოდნელიც იყო, შეფერხდა გორელი ხალხოსნების რევოლუციური საქმიანობა. და ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ ხელისუფლებამ დააპატიმრა და გადაასახლა

---

[1] Жур. «Былое», 1906, №8, გვ. 162; А. Прибылева-Корба, «Народная Воля», М., 1926, გვ. 196.

[2] დეგაევი საქართველოში 1882 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა (იხ. «Былое», 1906, № 8, გვ. 162).

[3] შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა..., გვ. 89.

[4] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 93,

ხალხოსნური მოძრაობის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, არამედ იმიტომაც, რომ მთელ იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოში იმ დროს გაბატონებულმა საშინელმა პოლიტიკურმა რეაქციამ მეტად გაართულა ახალგაზრდობის აშკარა (კულტ-საგანმანათლებლო), თუ არალეგალური მუშაობა. გორსა და მის მაზრაში ჟანდარმერიას ისეთი მეთვალყურეობა დაუწესებია, რომ ნაცნობებთან უბრალო შეხვედრა და საუბარიც კი თურმე დიდი რისკი ყოფილა. ასეთ ვითარებას, ბუნებრივია, რამდენადმე მოუდუნებია საზოგადოებრივი ცხოვრება და შეუნელებია ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ, მაგრამ ის, რა თქმა უნდა, საერთოდ არ შეწყვეტილა და მეტ-ნაკლებად მომავალშიც გაგრძელებულა[1].

ჩვენ ხელთ არსებული საარქივო მასალები ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ დაპატიმრებას გადარჩენილ გორელ ხალხოსნებს შეუდგენიათ მთავრობის საწინააღმდეგო წრე, რომლის შემადგენლობაში, ჟანდარმთა სამმართველოს 1884 წლის 28 ივნისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, ყოფილან: სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ კერესელიძე, გორის სასულიერო სემინარიის მასწავლებელთა მთელი შტატი (ორი რუსი პედაგოგის გამოკლებით) შიო შიუკაშვილის მეთაურობით, ლევან გრიგოლაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, ნიკოლოზ ლომოური, ძისი ძეუღლე ხუდადოვას ქალი, ანტონ ფურცელაძე, ზაქარია დავითაშვილი, რუისპირელი მასწავლებელი გულზოვი, ტყვიაველი კოლა ხრიატოვი და სხვ.

როგორც ჩანს, წრეში გაერთიანებულან არსებითად სხვადასხვა მიმართულებისა და შეხედულების მქონე ხალხოსნები, იქ, მაგალითად, სოფრომ მგალობლიშვილის გვერდით, რომელიც ორიოდე წლის წინათ აშკარად მომუშავე საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფში ითვლებოდა, ვხვდებით ნაროდოვოლცებისა და მათი კონსპირატიული კომიტეტის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ ლევან გრიგოლაშვილი და კონსტანტინე გვარამაძე[2]. სამწუხაროდ, მასალებიდან არ ჩანს, რა

---

[1] ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორი არ არის შიო დავითაშვილის შემდეგი მოწმობა: „ჩავედი თუ არა (1883 წლის მცირე ხნით პატიმრობის შემდეგ—ავტ.) გორში,—წერს იგი,—მაშინათვე შევამჩნიე ჩვენი ფართო წრისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება. ზოგი ამხანაგი სულ მოშორებოდა გორს, დანარჩენებს სრულიად გაეწყვიტათ კავშირი ერთმანეთთან. ყველას რაღაც შიში, ეჭვიანობა ემჩნეოდა. ყველა თითქოს სამუდამოდ გაშორებოდა ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობას“ (შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა..., გვ. 119).

[2] ძნელია იმის დადგენა, თუ რატომ არ მოიწვიეს წრის წევრებმა თავიანთ რიგებში პატიმრობიდან გამოსული შიო დავითაშვილი. საფიქრებელია იმიტომ, რომ იგი პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო დაყენებული და ამის გამო მასთან რაიმე ურთიერთობის დამყარება მხარეების, კეთილდღეობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად არ იყო ცნობილი.

პირობით და რის საფუძველზე მოხდა ეს გაერთიანება, მაგრამ ერთი რამ მაინც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, სახელდობრ ის, რომ წრე ლიბერალური ილუზიებით არ იკვებებოდა და რომ იგი იდგა არა შემთანხმებლურ, არამედ არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან შეუნელებელი ბრძოლის პოზიციაზე. ამას ადასტურებს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ზემოდასახელებული მოხსენება. იქ, წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ანტონ კერესელიძის პოლიტიკური მრწამსის შესახებ ხათქვამია, რომ იგი მხურვალე რესპუბლიკანელია და თვითმპყრობელობის მტერი. „გორის სამაზრო სამმართველოს მდივანმა, — ვკითხულობთ იქ, — ანტონ კერესელიძის ახლო ამხანაგმა ბიჩკოვმა, საუბარში განაცხადა, რომ ის (ე. ი. კერესელიძე — ავტ.) ყოველი შეხვედრისას უსათუოდ იწყებდა ლაპარაკს რუსეთის მონარქიულ წყობილებაზე და მეტად შავ საღებავებში ხატავდა მას. ამავე დროს კი ქებადიდებას ასხამდა რესპუბლიკურ მმართველობას. იმავე ბიჩკოვმა დაასახელა შემთხვევა, როდესაც კერესელიძემ უპატივცემლობა გამოამჟღავნა ხელმწიფე-იმპერატორის პიროვნებისადმი. მისი სიტყვებით ეს შემდეგ ვითარებაში მომხდარა. ამ რამდენიმე თვის წინათ თურმე ბიჩკოვი ამხანაგებთან ერთად სადილობდა გორის სასტუმრო „ვარშავაში“, რომლის დროსაც მას მეფის სადღეგრძელო შეუსვამს. მისი მაგალითისათვის მიუბაძავს ყველას, გარდა კერესელიძისა, რომელსაც ბიჩკოვის შენიშვნაზე მისთვის ყურში ხელმწიფის შეურაცხმყოფელი სიტყვები უთქვამს“[1].

ოხრანკის ცნობების თანახმად, ანტონ კერესელიძის ბინაზე, გარდა ზემოჩამოთვლილი პირებისა, თავს იყრიდა მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ნაწილი და იმართებოდა აკრძალული ლიტერატურის კითხვა[2]. იგივე ითქმის სოფრომ მგალობლიშვილის სახლზედაც, სადაც, თურმე, დოკუმენტის სიტყვით: «Собирались целые группы... после полуночи оставались до утра, без всяких естественных поводов»[3].

ყოველივე ეს და აგრეთვე ის გარემოება, რომ მოხსენებით ბარათში დასახელებული პირები ქმნიდნენ „კარჩაკეტილ წრეს და პოლიტიკური თვალსაზრისით ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ“[4], საფუძველს აძლევდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ზოგი მათგანის, კერძოდ, კერესელიძისა და მგალობლიშვილის, გორიდან გაძევება ეთხოვა[5]. მაგრამ, ჩანს, ეს წინადადება ცხოვრებაში არ გატარებულა, ყო-

---

[1] სსცია, ფ. 153, საქ. 76, ფურც. 4—5. Рапорт помощника начальника тифлисского губернского жандармского управления своему начальнику от 28 июня 1884 года (лл. 3—7).

[2] იქვე, ფურც. 4.

[3] იქვე, ფურც. 6.

[4] იქვე. ფურც. 7.

[5] იქვე.

ველ შემთხვევაში არც ერთი ჩვენს განკარგულებაში მყოფი წყარო საწინააღმდეგოს არ ადასტურებს[1].

ნაროდოვოლცები კახეთში. ძნელია გადაჭრით ითქვას არსებობდა თუ არა კახეთში მტკიცედ ჩამოყალიბებული და ორგანიზაციულად გაფორმებული წრე, რადგანაც საამისო მასალები დღემდე მიკვლეული არ არის. ის კი, რაც ამჟამად ხელთა გვაქვს, მხოლოდ ერთ რამეს ადასტურებს — ნაროდოვოლცური იდეების პოპულარობისა და ამ იდეების პროპაგანდის ფაქტს განსახილველი ხანის კახეთის სინამდვილეში. პროპაგანდისტად წყაროები პროვიზორ სიმონ იოსების ძე მაისურაძეს ასახელებს, რომელიც 1879 წლისთვის მცხეთის საზოგადოებიდან სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინს გადასახლებულა და იქ ქეთევან აბაშიძის მცირეწლოვანი შვილების მამულების მოურავად მოწყობილა.

1881 წლის მაისის ბოლოს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ მიღებული ანონიმური წერილის თანახმად, სიმონ მაისურაძეს, რომელიც მოსახლეობას უფასო მომსახურებას უწევდა, სოციალისტური იდეები შეჰქონდა ხალხში და ამხედრებდა მას მემამულეების წინააღმდეგ.

იგი გლეხების ყურადღებას ამახვილებდა მიწათმფლობელობის უსამართლო ხასიათზე და არწმუნებდა მათ, რომ მალე დადგება სხვა დრო, როდესაც გადასახადებს გააუქმებენ და მიწას თანაბრად გაანაწილებენო[2].

ძიების მიერ შეგროვილმა მასალებმა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოავლინა მაისურაძის პოლიტიკური მრწამსი და ცხადყო მისი მოქმედების ხასიათი. საქმით დაინტერესებულმა ორგანოებმა მიიღეს, მაგალითად, ცხობა, რომ 1880 წლის თებერვლის თვის რომელიღაც დღეს ერთ ოჯახში გამართულ სადილზე ბრალდებულმა უარი თქვა იმპერატორის სადღეგრძელო მიეღო და მის მაგივრად „კონსტიტუციის სადღეგრძელო“ შესვაო[3]. ამავე დროს მას, იმავე ცნობით, დამსწრე საზოგადოებისათვის უთქვამს, რომ იგი „წერილობით კავშირშია სოციალისტებთან, უგზავნის მათ ფულს და რომ ისინი 1880 წლის 3 ან 5 მარტს აფეთქებას მოაწყობენ (ზამთრის) სასახლეში“[4].

მოწმედ გამოძახებულმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა ძიებას დაუდასტურა, რომ მართლაც მაისურაძე წინასწარ ასახელებდა აფეთქების დღეს და რომ მან 1880 წლის რომელიღაც თვეს, თბილისში მოკლე

---

[1] არაფერს ამბობს მათი გორიდან გაძევების შესახებ პირველ ყოვლისა თვით სოფრომ მგალობლიშვილი (იხ. მისი „მოგონებანი“).

[2] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2745, ფურც. 6.

[3] იქვე, ფურც. 7.

[4] იქვე.

ხნით ყოფნის შემდეგ; მოსახლეობას ახარა, რომ „აფეთქება ნამდვილად უკვე მოხდა“[1].

მაისურაძისათვის წაყენებული ბრალდების სისწორე დაუდასტურებია აგრეთვე თავად სიმონ აბაშიძესაც[2]. რაც შეეხება კოპაძესა და მასწავლებელ პოლიეკტ კარბელაშვილს, მათ ბრალდებულისათვის დაუჭერიათ მხარი და დაბეჯითებით განუცხადებიათ, რომ მას დასახელებულ სადილზე არაფერი მაგის მსგავსი არ უთქვამს[3]. ასეთივე პოზიცია დაუჭერია ვეჯინის მამასახლის გიგო გოდერძიშვილს. მას საერთოდ კარგად დაუხასიათებია სიმონ მაისურაძე და მისი საქმიანობა სოფელში[4].

როგორც მასალებიდან ჩანს, სიმონ მაისურაძეს კატეგორიულად უარყვია წაყენებული ბრალდება და განუცხადებია, რომ ეს საქმე მის წინააღმდეგ აღძრულია თავადების ანდრონიკაშვილისა და აბაშიძის მიერ იმის გამო, რომ მათ ბრალდებულის ენერგიული მოქმედების წყალობით, ვერ მოახერხეს მისთვის მინდობილი მამულების მითვისება.

მართალია, ძიებამ მაისურაძეს ბრალდება მთლიანად ვერ დაუმტკიცა და სწორედ ამიტომ მოითხოვა პროკურორმა მისი მხოლოდ ექვსი კვირით დაპატიმრება, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ პროვიზორი ხელისუფლების წინაშე უეჭველად დამნაშავე იყო. ჩვენი აზრით, უსაფუძვლოდ არ გამოიყურება ანონიმური წერილის ავტორთა მტკიცება, რომ მაისურაძეს კავშირი აქვს რუსეთთან, ანარქისტების პარტიასთან[5]. ეტყობა, იგი მართლაც ახლო ურთიერთობაში ყოფილა საქართველოსა და რუსეთის ნაროდოვოლცურ წრეებთან, სხვანაირად მას არ ეცოდინებოდა ზამთრის სასახლის აფეთქების თითქმის ზუსტი თარიღი[6].

შეუძლებელია სერიოზულად ვიფიქროთ, რომ მაისურაძე ერთადერთი ნაროდოვოლცელი იყო კახეთში. მას, ალბათ, თანამოაზრენიც ჰყავდა, რომლებიც მასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ეწეოდნენ პროპაგანდისტულ მუშაობას. გამორიცხული არ არის, რომ პედაგოგი კონსტანტინე ბაღაშვილი, რომელსაც 1880 წლის 10 თებერვალს პოლიციის აგენტების მიერ ქალაქ სიღნაღში ნახული მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაცია-ფურცლის შედგენა დაბრალდა, სწორედ სიმონ მაისურაძის მეთაურობით არსებული წრის წევრი იყო.

---

[1] სსცია, ფ. 7, ანაწ. 3, საქ. 2745, ფურც. 7, 10.

[2] იქვე, ფურც. 8.

[3] იქვე, ფურც. 8—9.

[4] იქვე, ფურც. 10.

[5] იქვე, ფურც. 11.

[6] ეს აფეთქება, დაკავშირებული ს. ხალტურინის სახელთან, მოხდა, როგორც ცნობილია, 1880 წლის 5 აპრილს, ე.ი. სიმონ მაისურაძის მიერ დასახელებული რიცხვის (5 მარტის) ზუსტად ერთი თვის შემდეგ.

თავი მეცამეტე

80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები

§ 1. პოლიტიკური რეაქციის გაძლიერება

რევოლუციური სიტუაცია, რომელიც 1879—1881 წლებში წარმოიშვა რუსეთში, განპირობებული იყო ბატონყმობის გადმონაშთების არსებობითა და ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებით.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და „ინოროდცების“ კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება განსაზღვრავდა მემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ იმ საერთო-სახალხო მოძრაობას, რომელიც ნაროდნიკ-რევოლუციონერთა და სხვა პოლიტიკური პარტიების მოქმედების გააქტიურებით გამოიხატებოდა. მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმების სისუსტე, მისი კრიზისი, რაც ასე აშკარა გახდა 70—80-იანი წლების მიჯნაზე და რასაც თვით მმართველი ფენებიც კარკად გრძნობდნენ, მეფის მთავრობას რეაქციული ძალების განმტკიცებისაკენ უბიძგებდნენ. შექმნილი ისტორიული პირობების გამო რევოლუციური სიტუაცია ახლაც ვერ გადაიზარდა რევოლუციაში; ცარიზმი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ნაცად ხერხს — რეფორმებს — მიმართავდა, ვინაიდან „მთავრობის წევრნიც, მათ შორის მინისტრებიც და მეფეც კი... ეძებენ ყოველგვარ საშუალებას გაიუმჯობესონ მდგომარეობა, რომელიც მათ სრულებითაც ვერ აკმაყოფილებთ“[1].

საერთო მდგომარეობის შენელებისაკენ იყო მიმართული მთავრობის გადაწყვეტილება „სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის უმაღლესი (განმკარგულებელი) კომისიის“ შექმნის შესახებ, გრაფ ლორის-მელიქოვის ხელმძღვანელობით.

იმავე მიზანს ემსახურებოდა ლორის-მელიქოვის მიერ შემუშავებული ლიბერალური პროექტი დროებითი სათათბირო კომისიების შექმნის შესახებ, რომელიც მან 1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ს წარუდგინა. ცარიზმის ერთგულ მოხელე-ლიბერალთა ერთი ჯგუფი ხოტბას ასხამდა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 48.

ლორის-მელიქოვის ამ პროექტს და მას კონსტიტუციას უწოდებდა. რასაკვირველია, ისინი აჭარბებდნენ, თუმცა, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლორის-მელიქოვის პროექტის განხორციელება გარკვეულ პირობებში შეიძლებოდა ყოფილიყო ნაბიჯი კონსტიტუციისაკენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა; ახალი რეფორმების გატარების მიჯნასთან მდგომ მეფის რუსეთში 1881 წ. 1 მარტს ნაროდოვოლცების მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტის შემდეგ, შავბნელი რეაქცია გამეფდა. იმპერატორ ალექსანდრე II-თან ერთად დასამარდა ლორის-მელიქოვის ლიბერალური პროექტიც.

ლორის-მელიქოვი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი გადადგნენ. ტახტზე ახლად ასული თვითმპყრობელი ალექსანდრე III სახელმწიფოს მაღალ პოსტებს უკიდურეს რეაქციონერებს უნაწილებს. ალექსანდრე III-ის ერთ-ერთი აღმზრდელი, სინოდის ობერ-პროკურორი, რეაქციონერი პობედონოსცევი იმპერიაში მეფის უახლოეს და უპირველეს კაცად იქნა აღიარებული. იგი გრაფ დ. ტოლსტოისთან, ნ. იგნატიევთან, ა. პაზუხინთან, მ. კატკოვთან და სხვებთან ერთად ახორციელებდა ახალ კურსს, ცდილობდა განემტკიცებინა თვითმპყრობელობა და ჩაეხშო ყოველგვარი ცოცხალი აზრი.

ამგვარ ისტორიულ პირობებში, 1881 წლიდან, ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლით, რუსეთში დაიწყო ხანა პოლიტიკური რეაქციისა, რომელიც არ შენელებულა მისი მეფობის მთელ პერიოდში (1881—1894 წწ.). რეაქცია თავის გამოხატულებას პოულობდა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარბევაში, კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებასა და საგლეხო რეფორმის გატარებით შელახული ფეოდალური წოდებრიობის აღდგენის ცდაში. პოლიტიკური რეაქციის სათავეში თვით იმპერატორი იდგა.

1881 წლის აპრილში ოფიციალურად ქვეყნდება პობედონოსცევის მიერ შედგენილი მანიფესტი, რომელშიც დაგმობილია ბურჟუაზიული რეფორმები და შექებულია თვითმპყრობელური სახელმწიფოს მართვის დრომოჭმული ფორმები.

რევოლუციური და ლიბერალურ-პროგრესული ელემენტების შესამუსრავად და რეპრესიების გასატარებლად გადახალისდა სახელმწიფო დამსჯელი და სამძებრო ორგანოები, მათი შემადგენლობა.

1881 წლის მაისში დ. ტოლსტოის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნით, რუსეთში ბოლო მოეღო კონსტიტუციური მერყეობის ხანას და ამიერიდან, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იწყება „აღვირახსნილი, დაუჯერებლად უაზრო და მხეცურ რეაქციაზე გადასვლა“. კატკოვი, რეაქციის ეს იდეოლოგი, მიესალმა ტოლსტოის დანიშვნას და ამ აქტს

უძღვნა სპეციალური სტატია სათაურით — „ადექით, ბატონებო, მთავრობა მოდის!“.

იმპერატორის კანცელარიის მე-3 განყოფილება გაუქმდა და მის ნაცვლად შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა პოლიციის დეპარტამენტი და ჟანდარმთა სამმართველოები. ხელისუფლების აგენტურებს შეეძლოთ დაეპატიმრებინათ, ქონება ჩამოერთმიათ, ან დიდი თანხით დაეჯარიმებიათ საეჭვო მოქალაქენი. პოლიცია და ჟანდარმერია სდევნიდა, აპატიმრებდა, ციხეებსა და კატორღაში გზავნიდა ხალხის საუკეთესო შვილებს. პოლიციური სამძებრო ორგანოს მეთაურმა სუდეიკინმა, ცნობილი ჯაშუშის დეგაევის საშუალებით შეძლო „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის ხელში ჩაგდება.

სდევნიდნენ პროგრესულ-დემოკრატიულ პრესას და ბეჭდურ გამოცემებს, გაძლიერდა ცენზურა. 1882 წელს შემოღებულ იქნა „დროებითი წესები“, „სადამსჯელო ცენზურა“, რომელთა მიხედვით შეუძლებელი იყო ცარიზმის რეჟიმისა და თავადაზნაურობის ბოროტებათა რაიმე მხილება პრესაში. დაიხურა ლიბერალური და რადიკალური გაზეთები „გოლოსი“ და „დელო“, პროგრესული ჟურნალი „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ და სხვ.

რეაქციის ძალების დასაყრდენად და მის ერთ-ერთ იდეოლოგად ხდება გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი“. მისი რედაქტორია გ. ნ. კატკოვი, რომელიც, ლენინის სიტყვით, „რეაქციის საყვირი იყო“. რეაქციის ძალებს განამტკიცებდა 1881 წელსვე ჩამოყალიბებული ე. წ. „საღმრთო ლიგა“, რომელსაც ავანტიურისტი ვორონცოვ-დაშკოვი და შუვალოვი მესვეურობდნენ. ისინი შანტაჟისა და პროვოკაციების გზით ახშობდნენ ყოველგვარ განმათავისუფლებელ მოძრაობას. რეაქციის ბნელ ძალებს აქეთკენ მოუხმობდა მამის ბედით დამფრთხალი „გატჩინოს პატიმარი“ ალექსანდრე III, რომელიც დევნის მანიით იყო შეპყრობილი.

ცარიზმი ამგვარი მეთოდებით ახერხებს 1879—1881 წლების რევოლუციური სიტუაციის შენელებას; 60-იანი წლების რეფორმებს „საბედისწერო შეცდომად“ აცხადებს და 1881 წლის 1 მარტის გასროლას ამ „დემოკრატიული დათმობის“ შედეგად მიიჩნევს. მთავრობა ცდილობდა ახალი საკანონმდებლო აქტებით ერთგვარად მაინც გამოესწორებინა „შეცდომები“, რომელთა შედეგად შესუსტდა მემამულეთა ძლიერება. დაიწყო კონტრრეფორმების გატარება. მაგალითად, სოფლად შემოღებულ იქნა საერობო უფროსის თანამდებობა, რომელმაც მთლიანად გააუპიროვნა გლეხთა ადგილობრივი თვითმმართველობანი, რადგან ამ თანამდებობაზე თავადაზნაურული წარმოშობის პირები ინიშნებოდნენ. ეს ღონისძიება რამდენადმე რეფორმამდელ ძალმომრეობას აღადგენდა. ძლიერდება მთავრობის ორგანოების მკაცრი ზედამხედველობა ერობასა

და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე. რეაქციულმა პრესამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „ქუჩის სასამართლოდ გამოაცხადა და დაუწყო მას დევნა"[1].

განათლების დარგში იქმნება ახალი წესდებანი, რომლებიც მიზნად ისახავდა მის წოდებრივ საფუძველზე გაძლიერებას. გამრავლდა სინოდის უწყებაში მოქცეული სკოლების რიცხვი. 1884 წლიდან უქმდება უნივერსიტეტების ავტონომია. 1885 წელს მთავრობამ დაამტკიცა ეკატერინე III-ის მიერ თავადაზნაურობისადმი ბოძებული წყალობის სიგელი და აღნიშნა ამ დოკუმენტის ასი წლისთავი. ალექსანდრე III წერდა: „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საჭიროდ ვცანით, რომ რუსეთის თავადაზნაურობას როგორც წინათ, ისე ეხლაც... შერჩეს პირველობა სარდლობაში, ადგილობრივ მმართველობაში და სასამართლოში".

1885 წელს დაარსდა „თავადაზნაურთა საადგილმამულო სახელმწიფო ბანკი". იგი მიზნად ისახავდა თავადაზნაურული მფლობელობის შენარჩუნებას და მოშლილი მეურნეობის ფეხზე დაყენებას. ამ ბანკმა პირველსავე წელს თავადაზნაურობას ასესხა 69 მილიონი მანეთი, ხოლო სამი წლის შემდეგ 10,5 მილიონი მანეთის ვალი სავსებით ჩამოაწერა მას.

1884 წელს ვალებში ჩავარდნილი ქართველი თავადაზნაურობა თხოვნით მიმართავს იმპერატორს „პრიკაზის" ვალების ჩამოწერისა და მთლიანად პატიების შესახებ. ქართველ თავადაზნაურობას მთავრობამ „პრიკაზის" ვალების ნახევარი ჩამოაწერა, ხოლო დანარჩენის გადახდა 37 წლით გადაუვადა[2].

ალექსანდრე III-ის ზრუნვა თავადაზნაურობაზე, მისი ცდები ისტორიის ჩარხის უკუღმა დასატრიალებლად, განწირული თავადაზნაურობის გადასარჩენად, მართალია, ამაო აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა მისი ბატონობის გახანგრძლივებისათვის. თავადაზნაურობის დეგრადაცია და გაღარიბება საქართველოს სინამდვილეში დღითიდღე ღრმავდებოდა. თავადაზნაურობა საზოგადოების მეტხორცად იქცა, მისი შენახვა მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ კლასს. ფეოდალური საკუთრება მიწაზე ბოჭავდა საწარმოო ძალების განვითარებას, ამუხრუჭებდა პროგრესის ძალებს და განამტკიცებდა ძირმომპალი ცარიზმის ბატონობას.

70—80-იანი წლების მიჯნა საქართველოში გლეხთა აჯანყებების, ეროვნულ-განმათავისუფლებელ, რევოლუციურ-ხალხისნურ მოძრაობათა გააქტიურებით ხასიათდებოდა. ცარიზმის მძიმე კოლონიური ჩაგვრის პირობებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას საქართველოში ტონს აძლევდა გლეხთა ისეთი აჯანყებანი, როგორიც იყო, მაგალითად, 1875—76 წლებისა სვანეთში, 1876 წლის — სამეგრელოში, 1878 წლის —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 482.
[2] „ივერია", 1884, № 3.

სიღნაღის მაზრაში და 1881—82 წლებისა — გურიაში. სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად დაწყებული გლეხთა მოძრაობა საზოგადოდ სტიქიური და არაორგანიზებული იყო და ამიტომ ცარიზმთან ბრძოლაში მარცხდებოდა.

ნაროდოვოლცებისა და საერთოდ რევოლუციურად განწყობილი ელემენტების გავლენით საქართველოში ძლიერდება მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები და განწყობილებანი.

ხალხში უკმაყოფილება დღითი-დღე ძლიერდება. მაგალითად, 1879 წლის 10 ოქტომბერს სიღნაღის მაზრის მომრიგებელმა მოსამართლემ გიგო გარსიაშვილმა და გიგო ზურაბიშვილმა საჯაროდ შეურაცხყვეს იმპერატორი[1], ხოლო სოფელ ახაშენის მამასახლისმა აბრამ მებაღიშვილმა საჯაროდ მოიგლიჯა სამამასახლისო ჯაჭვი კისრიდან და ლანძღვა-გინებით მოიხსენია ამ ჯაჭვის მიმცემი იმპერატორი[2]. 1880 წლის ივნისში არტემ ნუბაევს დილის ათ საათზე ქალაქ სიღნაღში უნახავს ღობეზე გაკრული და ქუჩებში გაბნეული პროკლამაციები[3].

თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს ცნობაში ვკითხულობთ, რომ 1881 წლის 5 ნოემბერს ღამით, ქალაქის ქუჩებში დიდი რაოდენობით გაავრცელეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები. პროკლამაციები გაავრცელეს აგრეთვე ქუთაისსა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც[4].

იმ დროს, როცა მუშათა კლასი, როგორც რევოლუციური ძალა, საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო კოლონიური საქართველოს სინამდვილეში, გლეხობის ინტერესებს გამოხატავდნენ თერგდალეულები — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები და ხალხოსნები. ხშირად, ისინი ტრიბუნად იყენებდნენ აჯანყების მონაწილე ბრალდებულ გლეხთა სასამართლო პროცესებს, იცავდნენ მშრომელ გლეხობას, მათ სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას, ამხელდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, ქადაგებდნენ პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებს და სხვ.

§ 2. ცვლილებანი კავკასიის უმაღლეს მმართველობაში. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება საქართველოში

მეფისნაცვლობის გაუქმება. 80-იანი წლების რეაქცია მიმართული იყო მთელი რუსეთის რევოლუციურ-პროგრესული ძალების, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხების წინააღმდეგ. ცარიზმი სეპარატიზმს აბრალებდა არარუს ხალხებს და ძალდატანებითი გარუსების,

---

[1] სსცია, ფ. 7, საქ. 2601.
[2] იქვე, საქ. 2698.
[3] იქვე, საქ. 2646.
[4] იქვე, ფ. 153, საქ. 63.

კოლონისტების ჩასახლების, მშობლიური ენის წართმევის გზით მათ მოსპობას ესწრაფოდა. რეაქციული რუსიფიკატორული ელემენტები ცდილობდნენ სავსებით მოესპოთ ფინეთისა და პოლონეთის უმნიშვნელო ავტონომიური უფლებანი, კავკასიაში კი ისინი ადმინისტრაციული ავტონომიის ნასახსაც კი ვერ ურიგდებოდნენ. ცარიზმი შუღლს თესავდა ჩაგრულ ერთა შორის, ერთმანეთს უსევდა მუსულმანებს და ქრისტიანებს, აწყობდა ებრაელთა რბევა-აწიოკებას. ცარიზმი ველიკორუსებს, რჩეულ რასად, სლავური სამყაროს გაერთიანების მესვეურად მიიჩნევდა. ხოლო იმპერიაში შემავალ პატარა ერებს უყურებდა, როგორც დაბალ და არასრულფასოვან რასას, უსპობდა მათ მშობლიურ ენას; ახდენდა ქვეყნის ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას, იმ მიზნით, რომ ხსენებაც მოესპო რუსეთის იმპერიის მთელი რიგი ერებისა, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდათ. ამ მიზნით. 1884 წლიდან პოლონეთის სამეფოს „ვისლისპირეთის მხარე“ უწოდეს. უკრაინისა და ბელორუსიის ეროვნული სახელწოდებანი მოსპეს, მათი ტერიტორია გუბერნიებად დაყვეს და მმართველობის სრული ცენტრალიზებული სისტემა დაუმკვიდრეს. 1882 წლის იანვარში საქართველოსა და ამიერკავკასიის მმართველობის სისტემა შეცვალეს. გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და დაწესდა მთავარმართებლის თანამდებობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კავკასია კარგავდა იმ შეკვეცილ ადმინისტრაციულ ავტონომიასაც კი, რომელიც მას ვორონცოვის დროიდან ჰქონდა მინიჭებული და აღდგენილ იქნა გენერალ-გუბერნატორთა თანამდებობანი. გუბერნატორებს ნება ეძლეოდათ საკუთარი შეხედულებისამებრ სამხედრო წესების გამოცხადებისა და შეიარაღებული ჯარის ნაწილების გამოყვანისა „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად“. საქართველოსა და ამიერკავკასიის გუბერნიები უშუალოდ პეტერბურგს დაუქვემდებარდა. კავკასიის მთავარმართებელი მხოლოდ ზედამხედველობას ახორციელებდა. რაკი კავკასიის უმაღლეს მმართველობაში მომხდარი ეს ცვლილებანი მიზნად ისახავდა ცარიზმის კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებას, ახლადშექმნილ და რეორგანიზებულ ხელისუფლებას სათავეში უკიდურესი რეაქციონერები ჩაუყენეს. მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი კავკასიაში თავისი თვრამეტწლიანი საქმიანობის მანძილზე ფაქტიურად აგრძელებდა მიხეილ ვორონცოვის მიერ შემუშავებულ კურსს და ერთგვარ ანგარიშს უწევდა მხარის ეროვნულ-კულტურულ და ეკონომიურ თავისებურებებს. ეს კურსი უარყოფილ და დაწუნებულ იქნა მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებასთან ერთად. მიხეილ პეტერბურგში გაიწვიეს. კავკასიაში მთავარმართებლის თანამდებობაზე დანიშნეს ცარიზმისადმი ერთგულებით სახელმოხვეჭილი გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე იმყოფე-

ბოდა. იგი შერემეტიევმა შეცვალა. 1896 წელს მას მოჰყვა გოლიცინი. ცარიზმის ეს ერთგული სატრაპები, პირწავარდნილი რეაქციონერები, თავგამოდებული კოლონიზატორები და რუსიფიკატორები იყვნენ. ქართული ეკლესიის მესაჭედ, ეგზარქოსად ნიშნავენ არქიეპისკოპოს პავლეს, ხოლო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად — იანოვსკის, რომლებიც აგრეთვე რუსიფიკატორები და რეაქციონერები იყვნენ. კულტურის, რელიგიისა და პრესის დარგში, საერო და სასულიერო სასწავლებელთა, საერთოდ განათლებისა და ეკლესიის სფეროში დამკვიდრდა მკაცრი ზედამხედველობა და ცენზურა. ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა მეშვეობით ხალხში ვრცელდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ჰუმანისტურ-პროგრესული და დემოკრატიული შეხედულებანი. ჟანდარმერიისა და ოხრანკის მიერ ქართველი ხალხის, მისი მოწინავე შვილების დევნა ყოველდღიურ მოვლენად იქცა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ წარმომადგენლებზე, რომლებიც იცავდნენ ქართულ ენასა და მრავალსაუკუნოვან კულტურას, საგანგებო მეთვალყურეობას აწესებენ, დევნიან. ავიწროებენ, ზოგჯერ კიდევაც აპატიმრებენ.

სახელოვანი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მკვლელობა ვადასახლებაში ცარიზმის სისხლიანი რეაქციის ტიპიური გამოვლენა იყო. ბიუროკრატი მოხელენი კვლავ ენერგიულად იცავდნენ უსაფუძვლო მონაჭორს, თითქოს ქართველობა და ამიერკავკასიის სხვა ხალხები მოქალაქეობრივად დაბალ დონეზე იდგნენ და მოუმზადებელნი იყვნენ მმართველობისა და სასამართლოს სფეროში იმ რეფორმების განხორციელებისათვის, რომლებიც რუსეთის შიდა გუბერნიებში გატარდა. საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობა კვლავ მოკლებული რჩებოდა როგორც საერობო თვითმმართველობას, ისე ახალ სასამართლოს და ხალხის ბედს გუბერნატორები, მაზრის უფროსები და ბოქაულები განაგებდნენ.

§ 3. რეაქციული ძალების შემოტევა ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ

ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა, რა თქმა უნდა, არ იყო მხოლოდ 80-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი ცარიზმის ბატონობის მთელი პერიოდის, მისი კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო და მეფის რუსეთის მმართველობის დამკვიდრებას მოჰყვა თან. მაგრამ ისეთი გააფთრებული დევნა-შევიწროება, აშკარა დარბევა, რაც ქართველმა ხალხმა რეაქციის ძალების თარეშით განიცადა ამ პერიოდში, არ ახსოვს ცარიზმის ბატონობის 80-წლიან ისტორიას.

რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდნენ რევოლუციურ-პროგრესულ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებასაც ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპარისპირებლად, დედასამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად.

რეაქციის გაძლიერებამ, ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურმა იდეოლოგიამ და რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მკაფიო გამოხატულება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განსაკუთრებით სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში იჩინა თავი.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი 1881 წელს ადგენს ახალ სასწავლო გეგმას და ამასთანავე აქვეყნებს ცირკულარს, რომელთა მიხედვით ყველა ტიპის სკოლებში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება. დედაენის სწავლება ქართულ სკოლებში აღიარებულ იქნა არასავალდებულოდ. ბოლო ეღება ქართულ ენაზე სწავლებას საზოგადოდ. სკოლებში, ყველგან და ყველაფერში რუსული ენა უნდა გაბატონებულიყო. რუსული ენის შესწავლას საფუძვლად დედაენა არ უნდა სდებოდა. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, სკოლაში პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასებში ეთმობოდა სავსებით უმნიშვნელო რაოდენობის საათები და ისიც მხოლოდ ყველა გაკვეთილის ბოლოს, როცა ბავშვი გონებრივად და ფიზიკურად მოქანცული იყო. სავსებით გაქრა და ერთიანად აღმოიფხვრა სკოლების ცხოვრებიდან ის „ზრუნვა“ ქართული ენისათვის, რასაც ცარიზმი საქართველოში მისი დამკვიდრების დღიდან ერთგვარად მაინც იჩენდა. იანოვსკის მიერ 1885 წელს გამოქვეყნებული მორიგი ცირკულარით ქართული ენა სავსებით განიდევნა სკოლიდან. დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა და ისიც მხოლოდ იმდენად და იმ მიზნით, რომ ქართულის ცოდნას გაეადვილებინა რუსული ენის შესწავლა. სინამდვილეში იანოვსკი სავსებით უგულებელყოფდა მშობლიური ენის როლს რუსული ენის შეგნებულად შესწავლის საქმეში. თუმცა გაქნილი რუსიფიკატორი ამასაც ერთგვარ წყალობად უთვლიდა ქართველ ხალხს და თავი ქართული ენის მზრუნველად გამოჰყავდა. იანოვსკის ცირკულარი ოსტატურად გამოიყენებოდა იმისათვის, რომ ქართველი ბავშვები სკოლის გარეთ დარჩენილიყვნენ. ეს კარგად გაიგეს მაშინდელმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და ბრძოლა გამოუცხადეს იანოვსკისეულ საგანმანათლებლო სისტემას. იანოვსკის ანტიპედაგოგიური სისტემა სავალალო მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო რუსული ენის არმცოდნე ქართველ ბავშვებს, არამედ ქართული ენის არმცოდნე რუს პედაგოგებსაც, რომლე-

ბიც გამოსავალს სწავლების ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ შემოღებასა და დანერგვაში ეძებდნენ. „მუნჯური მეთოდი“ დიდ გასაჭირში აგდებდა მასწავლებლებს, ასახიჩრებდა მოსწავლეთა გონებასა და სულს, აჩლუნგებდა აზრსა და ენას. როგორც მხატვარი შმერლინგი აჩვენებდა, გაზ. „ცნობის ფურცლისათვის“ დასასტამბად გადაცემულ და ცენზურის მიერ აკრძალულ კარიკატურაში, მასწავლებელს უენოდ, ხელების, ფეხებისა და მთელი სხეულის მოძრაობით უნდა აეხსნა ბავშვებისათვის ისეთი მოვლენები, როგორიცაა ძაღლის ყეფა, ყირამალა გადასვლა, ტანისამოსის გახდა, დაწოლა, წყლის გადასხმა, თავის ჩამოხრჩობა და სხვ.[1]. ყველაფერი ეს მასწავლებელს სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა, ასუსტებდა ბავშვების პატივისცემას მისდამი.

„მუნჯური მეთოდის“ დანერგვას თან ახლდა სკოლებიდან ქართველ მასწავლებელთა გამოდევნისა და მათ მაგივრად უწიგნურ რუსიფიკატორულ ელემენტთა გაბატონების შეუნელებელი პროცესი. ჯერ კიდევ 1883 წლიდან სახელმძღვანელოდ იქნა დაშვებული განათლების მინისტრის დელიანოვის ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ვითომდა სეპარატიზმში შენიშნული ქართველები და სომხები დაშვებული არ უნდა ყოფილიყვნენ სახელმწიფო სამსახურში.

იანოვსკი მთავრობის ამ საინსტრუქციო მითითებას ერთგულად ატარებდა. საუკეთესო ქართველი და სომეხი პედაგოგების დიდი ნაწილი სკოლებს ჩამოაშორეს, ბურთი და მოედანი უპირატესად ქართულის არმცოდნე რეაქციონერებს რჩებოდათ.

საქართველოს სახალხო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის შემდეგ რეაქციის ერთგული მსახურნი წინადადებას იძლეოდნენ სამეგრელოს, სვანეთის და აჭარის სკოლებში ქართულის ნაცვლად სწავლება მეგრულად, სვანურად და თურქულად შემოეღოთ და მათ საფუძველზე ესწავლებინათ რუსული ენა ყველა ეროვნების (მათ შორის ქართველი) ბავშვებისათვის. მეგრელებს და სვანებს ცარიზმი ცალკე ეროვნებად აცხადებდა. მუსულმან ქართველებს, რომლებიც დაუბრუნდნენ დედასამშობლოს და თავი დააღწიეს ოსმალ დამპყრობთა ბატონობას, ცარიზმის კავკასიელი აგენტები თურქებად აცხადებდნენ, ადგილობრივი მოლაბეგების დახმარებით ხელს უწყობდნენ მუხაჯირული მოძრაობის გაღრმავებას, მუსულმან ქართველთა სამშობლოდან აყრასა და თურქეთში გადახვეწას. ახლად შემოერთებულ აჭარა-არტაანის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობას ცარიზმი ამიერკავკასიის თურქებით დასახლებულ ადგილთა მსგავსად აწყობდა, ებრძოდა ქართულ დაწესებულებებს, ხელს

---

[1] კარიკატურა გამოაქვეყნა ა. იოვიძემ „საისტორიო მოამბეში“, ტ. 5 (იხ. მ ი ს ი. ი. გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები), გვ. 7.

უშლიდა ამ მხარის მოსახლეობის ქართველ ხალხთან დაახლოებას, ამავე დროს თითქმის ხელუხლებლად ტოვებდა თურქულ ეროვნულ დაწესებულებებს. თვითმპყრობელობის მოხელენი დავიწყებას აძლევდნენ რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დროს კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილის მოწოდებას ქართველი ლაშქრისადმი: „თქვენს წინ — მინდორნი და სიმაგრენია, სადაც თქვენს მამებს და ძმებს თავისი სისხლი დაუღვრიათ“[1].

ცარიზმის მთელი ეს ღონისძიებანი უპირისპირდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ძალთა აღმავლობისა და კონსოლიდაციის იმ ღრმა სოციალ-ეკონომიურ პროცესს, რომელიც თავის უშუალო გამოხატულებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში პოულობდა. თუ საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხელს უწყობდა ქართველი ხალხის შემადგენელ ტომთა და ცალკე კუთხეთა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებას, მათი კულტურის ერთობის განმტკიცებას, კონსოლიდაციას და ბურჟუაზიულ ერად მის ჩამოყალიბებას, ცარიზმი უპირისპირდებოდა ამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს და ხელოვნური საშუალებებით ცდილობდა მის შეჩერებას. თვითმპყრობელობა ესწრაფოდა ქართველი ერის შემადგენელი ტომების ერთმანეთისათვის დაპირისპირებას, რათა გაეადვილებინა ქართველი ერის დაშლა-დანაწევრება და ცალ-ცალკე თითოეული ნაწილის სრული ასიმილაცია.

ილია ჭავჭავაძე აღშფოთებით ლაპარაკობდა იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომელთა გამოყენებითაც შუაგულ ქართლში მდებარე გორის საოსტატო სემინარიის რუსოფილურ გამგეობას „დაუმტკიცებია“, რომ „ქართველები ქართველები არ არიანო“ და ამის საფუძველზე „ქართულის სახსენებელიც“ გაუქრია. რაკი სკოლაში მიღებულ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა, დირექციას იმ მიზნით, რომ ქართული ენა არ გაეჭაჭანებია და სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე ეწარმოებია, დაუდგენია, სემინარიაში თორმეტი სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეა გაერთიანებული და თითოეულისათვის მშობლიურ ენაზე სწავლება, რასაკვირველია, შეუძლებელიაო. „ამათ შორის — წერს ილია ჭავჭავაძე — რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლიაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აფხაზნი ორნი, უდინი ერთი... და ამ-გვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი, — ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას... რომ ქართველი ქართველი არ არისო, ბალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ

[1] „ივერია“, 1877, № 4.

ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ თუ ვიტიროთ?"[1] — კითხულობს ილია ჭავ-ჭავაძე.

ბნელეთის ამ მოციქულებს ქართული ენის მტრობით სემინარიის წესდებაც კი დაუმახინჯებიათ და სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელ კლასში, ე. წ. პროსემინარიაში ახლად ჩარიცხულ ქართველ ბავშვთათვისაც არ მიუციათ საშუალება ქართულად ესწავლათ. ქართული ენის სწავლების მაგიერ ამ პროსემინარიაში მასწავლებელ ნათიევს შემოუღია ქართული სიტყვების რუსული ასოებით წერა. „აუღია და თავის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსული ასოებითა, რადგანაც რუსულ ანბანს აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენი ხმების გამოსახატავად. ამიტომ უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები... საწყალო ბავშვებო, — შენიშნავს ილია, — არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიური" ანბანიც თქვენდა საუბედუროდ არ გამოჩენილიყო?"[2].

ქართველი ერის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან დაპირისპირება და მათი არაქართველებად გამოცხადება იმ პერიოდში, როცა სინამდვილეში მიმდინარეობდა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, ისტორიის ჩარხის უკუღმა შემოტრიალებას და ქარის წისქვილებთან ბრძოლას ნიშნავდა. მაგრამ რეაქცია არ ცხრებოდა, იგი ებრძოდა ქართველთა ეროვნებას და მის საფუძველს — ენას, ისტორიას. ქართულ დამწერლობას. „ნათიური" ანბანის შემოღების ცდა ქართული დამწერლობის მოსპობისაკენ იყო მიმართული. 1888—1889 წლებში პრაქტიკულად გადადგეს ნაბიჯები მეგრულ-სვანური უმწერლობო ენებისათვის ერთბაშად ანბანის შემუშავებისა და ამავე ენებზე დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენა-გამოცემისათვის. ამით ცარიზმი ცდილობდა ქართველი ერის დაშლა-დანაწილებას, ქვეყნის სრულ რუსიფიკაციას[3].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1941, გვ. 578—579.

[2] იქვე, გვ. 580.

[3] 1885 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ამიერიდან აქ რუსული ენის სწავლება, თუ მუნჯური მეთოდით არა, მეგრული ენისაშუალებით უნდა წარმართულიყო. მეგრული ენისათვის ასევე რუსულ ანბანზე დაყრდნობილი დამწერლობა იქმნებოდა. ამის ავტორად ყალბი საბუთის შედგენაში დახელოვნებული ცნობილი ამორდია გვევლინება. მან 1889 წელს შეთხზა რუსული ანბანის მიხედვით მეგრული ანბანი. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე გადმოთარგმნა, მაგრამ ეს თარგმანები იმდენად უცხო და ხალხისათვის საკვირველი გამოუსადეგი გამოდგა, რომ იგი საცილს იწვევდა მსმენელებში. ეს თარგმანები უარყო სამეგრელოს სამღვდელოების შეკრებულებამაც და მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება ჩაიფუშა. ამორდია ამაოდ დაშვრა და იმედებიც გაუცრუვდა, მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. 1892 წელს დევიცკი მეგრული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს ადგენს ხელახლა გამოგონილი მეგრული ანბანის საფუძველზე, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა რუსულისაგან და დამუშავებული იყო მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ასეთივე იყო მთავრობის ღონისძიებანი სვანების მიმართ.

რეაქციონერები ბრძოლას აჩაღებდნენ ქართული საისტორიო წყაროების წინააღმდეგ. ამ წყაროთა უგულებელყოფისა და გაყალბების. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საფუძვლის მოშლის მიზნით აბუჩად იგდებდნენ ქართულ ეროვნულ დროშას, აქეზებდნენ სომხურ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებს საქართველოს ისტორიული წარსულის გასაყალბებლად და მოძმე ერებს შორის მტრობას აღვივებდნენ. საქართველოს სახელოვან მეფეებს და ქვეყნის სახელოვან შვილებს აუგად იხსენიებდნენ, მიწასთან ასწორებდნენ, შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებასაც არ ინდობდნენ. თხზავდნენ და ავრცელებდნენ ქართველი ერის დაბერების, მისი განვითარების უპერსპექტივობის რეაქციულ თეორიას, რომელსაც თან ახლდა მამა-პაპათა სისხლით მორწყული ქართული მიწებიდან მოსახლეობის აყრა-შევიწროების შეუნელებელი პროცესი.

რუსიფიკატორთა მიზნები ქართული ენისა და თვით ერის მოსპობისა კოლონიზაციით შედარებით ადვილად განსახორციელებელი ჩანდა. ამიტომ ეს მეთოდი — ქვეყნის გარუსებისა — სხვა ღონისძიებებთან ერთად. რომლებსაც 80-იანი წლებიდან რეაქცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში ახორციელებდა, საერთო აღიარებას პოულობდა და მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის ყველაფერი კეთდებოდა.

ქართველი ხალხი, მისი მოწინავე შვილები, ნათლად ხედავდნენ რეაქციის თარეშით შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ქართველობას, მის ენას, ისტორიას, იტაცებდა მის მიწა-წყალს და სხვ. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ერის საუკეთესო ძალები წინ აღდგომოდნენ რეაქციის ამ ტალღას და ცარიზმის ამგვარი პოლიტიკისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადებინათ. რეაქციის წინააღმდეგ მათი ბრძოლის მთავარი იარაღი იყო ცენზურის მიერ უკიდურესობამდე შევიწროებული პრესა და ქართველ მოღვაწეთა მიერ დაარსებული ზოგი ქართული საზოგადოება, რომელთა საშუალებით რამდენადმე ხერხდებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა.

§ 4. ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ განათლებისა და ეკლესიის დარგში

80-იანი წლების რეაქცია ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და გამოიწვია მთელი მისი პროგრესულ-განმათავისუფლებელი ძალების და საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა.

მთავრობის რეაქციული პოლიტიკის საწინააღმდეგო საზოგადოებრივ აზრს საათვეში ედგნენ ქართული პროგრესული პრესა და მისი სულის-

ჩამდგმელნი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი. გაზეთების „დროების“, „ივერიის“, „ობზორის“, „შრომის“. ჟურნალ „იმედის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსის სტატიები, რომლებშიც მხილებული იყო რეაქციონერთა ბნელი საქმეები და რუსიფიკატორული პოლიტიკა. ეროვნული კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში ქართველი მოღვაწენი შეხედულებათა სხვადასხვაობის მიუხედავად ერთობლივი განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ ირაზმებიან. „იმედში“ მოღვაწენი ჟურნალის დახურვის შემდეგ მთლიანად „ივერიაში“ გადავიდნენ. ასევე მოიქცნენ წვრილბურჟუაზიული მიმართულების ზოგი სხვა წარმომადგენელნი, რომელნიც თავიანთ თავს „მუშა ხალხის ინტერესების დამცველთ“ უწოდებდნენ.

ცარიზმის რეაქციას წინ აღუდგნენ ქართული ეროვნული ძალები, მისი ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და ორგანიზაციები, როგორიც იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი, ქართული დრამატული საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი და სხვ. რეაქციის ძალებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი, — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, დ. ყიფიანი და სხვები.

მკაცრი საცენზურო პირობების მიუხედავად, რეაქციის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს ქართული პრესა. პირველი ყუმბარა მტრის ბანაკში ს. მესხმა გადაისროლა. გაზეთმა „დროებამ“, რომელსაც იგი რედაქტორობდა, 1880 წელს „ღია წერილი“ მოათავსა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისადმი, სადაც ვკითხულობთ: „პირველი ნაბიჯები თქვენი მოქმედებისა ჩვენში, თითქოს გვაიმედებდნენ, რომ ყველამ თავისი სამშობლო ენა უნდა ისწავლოს, ყველა კაცი თავისი ქვეყნისა და მოქმედებისათვის უნდა იყოს მომზადებულიო. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უკანასკნელ დროს რატომღაც სხვა ხმები გვესმის და სხვა ნაყოფს ვხედავთ თქვენი მოქმედებისას. მაგალითები ბევრია. მოვიყვანთ მხოლოდ ორს. როდესაც ამ ენკენისთვეში ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებელთა კრება იყო, ამ სკოლების დირექტორებს ოფიციალურად ქაღალდი მისწერეთ, რომელშიც ეუბნებოდით იმათ, — ეცადეთ, მასწავლებელთა კრებამ გადაწყვიტოსო, რომ რუსული ენის შესწავლა სასოფლო სკოლებში პირველს წლიდანვე დაიწყონ შეგირდებმაო... მეორე ფაქტი კიდევ უფრო ცხადად გვიმტკიცებს საუბედუროდ ამას; „დროების“ წინანდელ (253) ნომერში მოყვანილი იყო თქვენი სიტყვა ახალსენაკის სკოლის მასწავლებლებისადმი... თუ როგორ გაუჯავრდით ამ სკოლის მასწავლებლებს იმისათვის, რომ რატომ წელს ენკენისთვეში შემოსულ

ბავშვებს რუსულად არ ასწავლითო, არამედ ქართულადაო. მე შევნიშნეო, — ბრძანებთ თქვენ, — რომ თქვენ ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიურსაო! თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო!"[1] შემდეგ სერგი მესხი იანოვსკის უხსნის, რომ „ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს... თითო მტკაველი თავისი სამშობლოს მიწისა... ყოველი ლექსი თავისი სამშობლო ენისა ათას და ათი ათას საუკეთესო შვილად უღირს... მთავრობა არასოდეს არ ცდილა, რომ თავის ქვეშევრდომ ხალხისათვის მოესპო სამშობლო ენა, სარწმუნოება, ერობა:.. და თქვენ კი გნებავთ ახლა, რომ... უეცრად მოსპოთ ხალხის ენა... არავის არ აქვს უფლება ამისთანა სიტყვებით მიმართოს ქართველ ხალხს... ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, რჯული და სარწმუნოება... თქვენი სურვილია კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ. ეს გვინდოდა გვეთქვა თქვენთვის ბ-ნო იანოვსკი. ვათავებ სურვილით, რომ შემდეგში უსაფუძვლო ცილისწამება ქართველ ხალხზე აღარ გაგვგონოს"[2].

სერგი მესხის წერილმა კიდევ უფრო გააშმაგა ცარიზმის მოხელენი. ბრძოლაში თერგდალეულებთან ერთად ებმება დიმიტრი ყიფიანი. „ღია" წერილს დიმიტრი ყიფიანი უწოდებს „მგზნებარე წარმოთქმას უსამართლოდ განგმირული გრძნობისა". იგი აღელვებული მიმართავს იანოვსკის და დასძენს: „ახლა მიხვდით თუ ვერა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს. ჩინგისხანმა, ლანგ-თემურმა, შაჰ-აბაზმა, ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხის ნება და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ? ჩვენ, ჩვენის კეთილი ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომლის გარს შეუწერელი ერთგულება შეურყეველად გვაქვს გულში ჩანერგილი. არა, ბატონებო: თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა: ბატონი იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად. ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესი თაყვანისმცემელი ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მეორე მეცნიერების წინაშე..., რომელიც ბრძანებს — პირველ წელსა ყრმასა ჯერ საშინაო ენას ასწავლიან და მერე სხვა ქვეყნისასო"[3].

დ. ყიფიანმა აიძულა იანოვსკი გაზეთ „კავკაზში" გამოსულიყო ვრცელი სტატიით და პირადად ემართლებინა თავი ფართო საზოგადოების წინაშე[4]. იგი შეეცადა ჩრდილი მიეყენებინა დ. ყიფიანის მიერ მოტანილი საბუთებისა და ფაქტებისათვის და მისი ხელქვეითი ინსპექტორ-დირექტორების „თვითმოქმედებად" გაესაღებია სკოლებიდან ქართული ენის

---

1 „დროება", 1880, № 254.

2 იქვე,

3 იქვე, № 262.

4 «Кавказ», 1880, № 248.

ვასადევნად გატარებული ღონისძიებანი. მაგრამ იანოვსკი ამ წერილშიაც იძულებულია გაიმეოროს, რომ მას პედაგოგიურად გამართლებულად მიაჩნია სკოლებში ქართველ ბავშვთათვის რუსული ენის სწავლება პირველი წლიდანვე და რომ მან კიდევაც გადადგა საამისო ნაბიჯები.

ქართული კულტურის მოღვაწენი, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილა თავდაცვაზე გადასულ იანოვსკის ამ წერილმა და კამათში ი. ჭავჭავაძე ჩაება. მან „დროებაში" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „ბატონ იანოვსკის წერილის გამო", რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ბატონი იანოვსკი ეგრე ბეჯითად უარყოფს ყოველს იმას, რაც მართლაც საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის. მას შემდეგ რაც ეგრე საჯაროდ გამოაცხადა ეგ უარყოფა... რომ იგი თაკილობს იმისთანა მოქმედებას და სიტყვას, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ აქამდე საკვეხურად ქონდათ ზოგიერთს აქაურს პედაგოგებს და პედაგოგიის გარეთ მდგომ მოხელეებსაც, ესეც ერთი წარმატებაა, ერთი სიკეთეა"[1].

ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, ამაზე არ ჩერდება და ასაბუთებს ანტიპედაგოგიურობას და უსაფუძვლობას იანოვსკის იმ დებულებისა, რომლის მიხედვით ქართველ ბავშვებს რუსული ენის შესწავლა პირველსავე კლასებში უნდა დაეწყოთ.

ილია ჭავჭავაძე იანოვსკის კონცეფციას უპირისპირებს მსოფლიოს გამოჩენილი პედაგოგების მოძღვრებას მშობლიურ ენაზე სწავლების თაობაზე. ეხება რა რუსი პედაგოგის უშინსკის მეცნიერულ შეხედულებებს მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ, დასძენს: თუ გავითვალისწინებთ აზრს უშინსკისთანა „გამოჩენილი პედაგოგისა, რომლის ტოლი რუსებს ჯერ აქობამდე არ ჰყავთ, საკმარისია, რომ დავინახოთ, რაში მდგომარეობს ბ-ნ იანოვსკის შეცდომა საზოგადოდ"[2]. ილია განიხილავს იანოვსკის შეხედულებებს დედა ენის უგულებელყოფის შესახებ და წერს: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა და განა ეს სასურველია ვისიმე?" რაც შეეხება კეთილშობილურ სურვილს რუსული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ, ილია ყოველმხრივ მიესალმება და მხარს უჭერს ხალხის მისწრაფებას შეისწავლოს რუსული ენა. რუსული ენის შესწავლა, — წერს

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1941, გვ. 551; „დროება", 1881, № 33.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 554.

ილია — „ჩვენც გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება გახსნილ კაცს სულის საზრდო მისცეს. იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან ფეხს გარეთ გავდგამთ, მაგრამ ისე მოგვიწყეთ სკოლა, რომ რუსული ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა იყოს იმდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს"[1]. ილიას აზრით, საზოგადოდ, უცხო ენის შესწავლა მშობლიური ენის შესწავლის საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

ბრძოლაში ებმება ი. გოგებაშვილიც. იგი იანოვსკის წინააღმდეგ იყენებს იმპერატორის 1864 წლის რესკრიპტს მშობლიურ ენაზე სწავლების ნებართვის შესახებ, სადაც აღიარებულია, რომ ზოგად, განსაკუთრებით დაწყებით, სასწავლებლებში სწავლება უნდა წარმოებდეს მოსახლეობის უმრავლესობის ენაზეო. ეს ფაქტიურად უარყოფილ იქნა 80-იანი წლების რეაქციის პერიოდში. ი. გოგებაშვილი ცარიზმის კავკასიელ მოხელეებს კანონის დამრღვევთ უწოდებს და კითხულობს: „როგორ შესძლეს უმაღლესი ნების შეცვლა ეგრე დაუსჯელად". მისი აზრით, საჭიროა მეფის კანონების დამრღვევთა მხილება იმ მიზნით, რომ ქართული ენა აღდგენილ იქნეს საქართველოს სკოლებში[2].

ი. გოგებაშვილი ბრძოლას განაგრძობს ოფიციალური გაზეთის „კავკაზის" ფურცლებზე გამოთქმული მოსაზრების წინააღმდეგ და აკრიტიკებს რუსიფიკატორების მავნე კონცეფციის ანტიპედაგოგიურ საფუძვლებს. „კავკაზის" პუბლიცისტი სკოლებში ქართული ენის, ისე როგორც სომხური და აზერბაიჯანული ენების, აკრძალვას იმ მოტივითაც ასაბუთებდა, რომ ქართველებს, ისე როგორც სომხებს და აზერბაიჯანელებს. საკუთარი ლიტერატურა არა აქვთო, რომ ქართლში ცხოვრობს თორმეტ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ხალხი, ცალკეული სოფლის სკოლებში ვხვდებით სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს, რომელთაც ერთმანეთის არ გაეგებათ რა, და ასეთ პირობებში „ველურობა იქნებოდა მოგვეთხოვა სახალხო მასწავლებლისაგან, რომ ის იყოს მეტყველი თავის მოსწავლეთათვისო". ი. გოგებაშვილმა მთელი ამ მსჯელობის უსაფუძვლობა ნათელყო და დააყენა კითხვა: „როგორ იბადება ჩვენში აზრი სახალხო სკოლების მუნჯ მასწავლებელთა" შესახებ, ისეთი მასწავლებლებისა, რომელთაც შესაძლებლობა არ ექნებათ ერთი გასაგები სიტყვა მაინც უთხრან თავიანთ მოსწავლეებს?"[3].

სახალხო სკოლის სწორ პედაგოგიურ ეროვნულ საფუძვლებზე დაყე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 554.
[2] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, გვ. 200.
[3] იქვე, გვ. 73.

ნებასა და ახალი თაობის გონებრივ და სულიერ აღზრდას ემსახურებოდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი უკვდავი სახელმძღვანელოები — „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და „რუსსკოე სლოვო“. მისმა წიგნებმა შექმნეს მიუვალი სიმაგრე ეროვნული კულტურის დასაცავად XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დაიცვეს და შეინახეს ქართული ენის ფესვები გადაგვარებისაგან.

ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის, მუნჯური მეთოდით სწავლების დანერგვასა და მსგავს ანტიპედაგოგიურ ღონისძიებებს პროგრესულად მოაზროვნე რუსი პედაგოგები არ იზიარებდნენ. ისინი იმასაც ითხოვდნენ, რომ რუს პედაგოგებს შეესწავლათ ქართული ენა, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება ხალხისა და სხვ., თუმცა ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ. ერთხანს მათ რიცხვს ეკუთვნოდა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ალ. სტოიანოვი, რომელიც 1880 წელს სამოსწავლო ოლქის მზრუნველისადმი წარგენილ ანგარიშში გაბედულად წერდა: „ჩემი აზრით, ქართული ენის სწავლება დაყენებული უნდა იქნეს სათანადო სიმაღლეზე.... ამ საგნის შესახებ მე მაქვს განსაკუთრებული აზრი, რომელიც მზათ ვარ დავიცვა ყველგან. ქართული ენა მშობლიური ენაა. პირველდაწყებითი განათლება უნდა წარმოებდეს მშობლიურ ენაზე, შემდეგი განათლებაც დედა ენის საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ, მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლებად ქართველები უნდა იყვნენ, ან ისეთი რუსები, რომლებმაც ქართული იციან... საქართველოში მცხოვრები რუსების შვილები ამთავრებენ გიმნაზიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მსახურობენ საქართველოში და არ იციან ქართველების არც ენა და არც ზნე-ჩვეულება. ინგლისელმა მოხელეებმა, რომლებიც ფოთი-თბილისის რკინიგზას აშენებდნენ, 5—6 თვეში ქართული ენა შეისწავლეს. რუსებმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტია საქართველოში არიან, არც ერთი ქართული სიტყვა არ იციან. აუცილებელია, რომ შემოღებულ იქნას ქართული ენის სავალდებულო სწავლება... უფროს კლასებში კი ქართული ლიტერატურის სწავლება“[1].

ალ. სტოიანოვის ამგვარი შეხედულება ოფიციალურად დაგმობილ იქნა. სულ მალე იგი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან და გადაიყვანეს ბათუმში, სადაც მან უარყო თავისი პროგრესული შეხედულებანი, გვერდში ამოუდგა რეაქციონერებს და აქტიურად მონაწილეობდა სომხური და ქართული ენების სკოლებიდან განდევნის მთავრობისეული კურსის განხორციელებაში.

80-იანი წლებიდან ქართულ სკოლასთან ერთად დევნას განიცდის ქართული ეკლესიაც. ამ საქმეს საქართველოში მეთაურობდა ეგზარქოსი

---

[1] სსცდა, ფ. 416, საქ. 2197.

პავლე, რომელიც 1881 წელს დანიშნეს. იგი რუსული შოვინიზმის და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ერთგული გამტარებელი გამოდგა. ამის შესახებ 1883 წელს იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ახალმა ეგზარქოსმა ისე ცხადად გამოავლინა თავისი ტომობრივი განკერძოება... და მოგვცა ქართველთა ელემენტარული უფლებების მიმართ უპატივცემლობის იმდენი აშკარა საბუთი, რომ გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა“[1].

პავლემ ქართული ეკლესიის გარუსების მიზნით თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება. სასულიერო სასწავლებლებიდან დაითხოვა ქართველი მასწავლებლები და რუსებით შეცვალა ისინი. თბილისის, თელავისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებიც დათხოვნილ და შეცვლილ იქნენ რუსებით. „სხვა ზედამხედველების მდგომარეობაც შერყეულია და ყველაფერი მზადდება მათ დასათხოვნად“, წერდა იაკობი. თბილისის სემინარიაში 16 დამრიგებლიდან მხოლოდ ორი დარჩა ქართველი და „მათაც ითმენდნენ გამონაკლისის სახით და პირობით იყვნენ წყალზე ჩუმი, ბალახზე დაბალი, უტყვი მოწამენი ყოველივე ქართულის უგულებელყოფისა“[2].

ქართულ ეკლესიას რეაქციონერთა თავდასხმისაგან იცავდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნიც, მაგრამ არა ქრისტიანული რელიგიის დოგმების განმტკიცებისა და ხალხში რელიგიური გრძნობის გაღვიძების, არამედ არსებითად ქართული ენისა და კულტურის გადარჩენის მიზნით. მაგალითად, ი. გოგებაშვილი მოითხოვდა ეკლესიასა და საეკლესიო სკოლებში ქართული ენის აღდგენას. ქართული ენის კათედრის დაარსებას, რომელიც უზრუნველყოფდა ქართული გრამატიკის, სასულიერო და საერო ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის შესწავლის კარგად დაყენებას.

თერგდალეულები რეაქციის წლებში კიდევ უფრო მეტად აღვივებენ მამულიშვილურ გრძნობებს, სამშობლოს სიყვარულს. მათი აზრით, სამშობლოს სიყვარული მეტად სათუთი გრძნობაა და „მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება. ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ თითქოს სამშობლოს სიყვარული ადამიანს ბუნებითვე თან დაყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროა“[3].

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. I, გვ. 455.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 370.

§ 5. ქართული ეროვნულ-კულტურული და სამეურნეო საზოგადოება-დაწესებულებანი რეაქციის წლებში

ცარიზმის რეაქციულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები ხალხის გათვითცნობიერებას და მოქმედებას უპირისპირებდნენ. ისინი აფართოებენ ბრძოლის ასპარეზს და ქმნიან ეროვნული ხასიათის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო დაწესებულება-საზოგადოებებს, რომლებიც ორგანიზაციულად გააერთიანებდა გამოფხიზლებულ ხალხს და ერის სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაციისა და თვითმოქმედების ნამდვილ ორგანოებად გადაიქცეოდა. ასეთ ორგანოებად მათ მიაჩნდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება, ღარიბ მოწაფეთა შემწეობის საზოგადოება და სხვ.

ეროვნული კულტურის აღორძინებისა და ხალხის თვითმოქმედების გაფურჩქვნის საქმეს ექვემდებარებოდა საადგილმამულო ბანკის საქმიანობაც. ამ მიზნისაკენ უნდა წარმართულიყო ქორ-ვაჭრებისა და მევახშეთა ასალაგმად გამართული სხვადასხვა სახის კოოპერაციული გაერთიანება, რომლებიც იმ პერიოდში პროგრესულ-დემოკრატიული ქართველი ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურები იდეურ-საგანმანათლებლო და სამეურნეო-ორგანიზაციული ფორმების გამოყენებით ეროვნული კულტურის დაცვას და უსამართლო ძარცვა-ყვლეფისაგან მშრომელი გლეხკაცობის ხსნას ესწრაფოდნენ. „თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის საზოგადოებად, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონდეს მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება; დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა, ე. ი. კრება იმ ძალთა, რომლებიც ქმნიან ხალხის დამოუკიდებელს შესაძლებლობას“. — ნათქვამია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდებაში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. რეაქციისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის გაღვიძებულ თვითმოქმედების ერთ-ერთ წარმმართველ და ქართველი ინტელიგენციის დამრაზმველ ორგანიზაციად გვევლინება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც 1879 წელს დაარსდა[1]. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე და მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი დ. ყიფიანი იყო.

---

[1] ტრ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960.

საზოგადოების შექმნის ინიციატორებმა დიმ. ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ბეს. ღოღობერიძემ, ვახ. თულაშვილმა და ნ. ცხვედაძემ ჯერ კიდევ 1878 წ. 20 ივნისს შეადგინეს წესდება 126 დამფუძნებელი წევრის ხელმოწერით, რომელიც 1879 წ. 31 მარტს ზოგიერთი ცვლილების შეტანით დაუმტკიცებიათ.

1879 წ. 15 მაისს შედგა საზოგადოების და დამფუძნებელ წევრთა პირველი საერთო კრება, სადაც საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ დ. ყიფიანი აირჩიეს, ხოლო გამგეობის წევრებად — ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი და რაფ. ერისთავი. კანდიდატებად — ლ. ქანანოვი, დ. ავალიშვილი და გ. უთურგაული. თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, მდივნად — ალ. სარაჯიშვილი, მოლარედ რ. ერისთავი.

საზოგადოების წესდებით დიდი მიზნები იყო დასახული. მას ევალებოდა წერა-კითხვის გავრცელება ყველგან კავკასიაში, სადაც კი ქართველობა ცხოვრობდა. ამ მიზნით საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, ყოველ მხრივ ხელს უწყობდა უკვე დაარსებულ სასწავლებლებს უფლებამოსილიყო დაეარსებია სამკითხველოები, გაემართა სახალხო კითხვა-საღამოები, ეზრუნა ქართულ ხელნაწერთა ფოლკლორული და ნუმიზმატიკური მასალების შეკრებისათვის, დაებეჭდა სახელმძღვანელოები, პოპულარული წიგნები, გამოეცა ისტორიული და ლიტერატურული ძეგლები. საზოგადოებას ამასთანავე ევალებოდა სკოლებისათვის მოეწვია შესაფერი პედაგოგები, მოეწყო მასწავლებელთა შესაკრები კურსები და ეზრუნა პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის, გამოეცა ჟურნალი ან გაზეთი საზოგადოების საჭიროებისათვის, მოეწყო სასწავლო ნივთთა საწყობები და სხვ. ამ მიზნების განსახორციელებლად საზოგადოების გამგეობა იმედს ამყარებდა 1879—1880 წწ. სხვადასხვა გზით მიღებულ თუ მისაღებ ფულად სახსრებსა და საშუალებებზე. კერძოდ, დამფუძნებელ წევრთაგან საზოგადოებას უნდა მიეღო 2 520 მანეთი, ნამდვილ წევრთაგან — 600 მანეთი, სხვადასხვა გზით — 1 000 მანეთი, თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებიდან — 22 000 მანეთი (11 000 მანეთი თითოეულისაგან). თავადაზნაურობის რეაქციული ელემენტები ეწინააღმდეგებოდნენ ბანკის მიერ ამ თანხის საზოგადოებისათვის გადაცემას, მაგრამ ისინი დამარცხდნენ[1].

1884 წლიდან საზოგადოებამ მაზრებში გაიჩინა საკუთარი აგენტები, რომელთაც დაეკისრა ახალი წევრების შეძენა, სკოლების დაარსებისათვის ხელის შეწყობა, საწევრო გადასახადების აკრეფა. მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით საზოგადოება ხშირად მართავდა სალიტერატურო

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II, 1928, გვ. 293 —294.

საღამოებს, სიმღერისა და ცეკვის კონცერტებს, ლატარია-ალეგრებს, კრეფდა შეწირულებებს, განაგებდა ანდერძით მისთვის დატოვებულ ფულად თანხასა და უძრავ-მოძრავ ქონებას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობიდან უმთავრესს და ყველაზე უმნიშვნელოვანესს სკოლების ქსელის ზრდა და გახსნილი სკოლებისადმი დახმარების გაწევა, მათი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება წარმოადგენდა.

საზოგადოება დაბა სოფლებში, მაზრებში გზავნიდა თავისსავე რწმუნებულებს, რომლებსაც მაზრის უფროსთან შეთანხმებით უნდა წაეხალისებინა სოფლის მოსახლეობა, დაეინტერესებინა იგი სასწავლებელთა გახსნით.

ცარიზმის ხელისუფალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოებამ 80 — 90-იან წლებში მოახერხა რამდენიმე სკოლის დაარსება. მაგალითად, მისი მზრუნველობით 1880 წლის 14 ოქტომბერს თბილისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა, რომელმაც ერთ წელიწადს იარსება. მალე ბანკის სახსრებით გაიხსნა ქუთაისის ქართული სკოლა. 1884 წელს საზოგადოების ინიციატივით ძველ სენაკში ქუთაისის ქართული სკოლის პარალელური განყოფილების გადატანა განხორციელდა. იმ დროს, როცა სამეგრელოში სამინისტრო სკოლებიდან იანოვსკის ძალადობით ქართული ენა გამოიდევნა და მეგრულად სწავლება შემოიღეს, როცა საეკლესიო წიგნებიც მეგრულ ენაზე ითარგმნებოდა და ეკლესიიდანაც ქართული ენა იდევნებოდა, ეს იყო დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივი ღონისძიება. 1885 წელს ოქტომბერში სენაკის სკოლის ახალ შენობაში გადატანამ მასობრივი ზეიმისა და ცარიზმის რეაქციის საწინააღმდეგო მანიფესტაციის ხასიათი მიიღო.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგნად იქცა თურქეთის მონობიდან ახლად გამოხსნილი აჭარლებისათვის სკოლის გახსნა, რასაც იმ დროს მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. ამ საქმეს პირადად ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში. გამგეობის დავალებით დიმიტრი ბაქრაძემ 1880 წლის ნოემბერში ბათუმში სახლი დაიქირავა და სკოლა გახსნა, რომლის მასწავლებლად მოწვეულ იქნა ალ. ნანეიშვილი. 1881 წლის მარტში სკოლა საზეიმოდ გაიხსნა.

1882—1884 წლებში საზოგადოება სკოლებს აარსებს წინარეხში, ხელთუბანში, თიანეთში. 1888 წელს — გომარეთში. საზოგადოება ცდილობდა სკოლები გაეხსნა აგრეთვე მცხეთაში, დიღომში და სხვ., მაგრამ ცარიზმის ადგილობრივი მოხელეები წინააღმდეგობას უწევდნენ საზოგადოებას სკოლების ქსელის გაფართოების საქმეში. მხოლოდ 1888 წლის 10 ოქტომბერს მოხერხდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ქართველების და საზოგადოების მზრუნველობით კავკავის ქართული სკოლის

დაარსება, რომელმაც პედაგოგ მიხეილ ყიფიანისა და იოსებ ბოცვაძის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებას მიაღწია.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში ქართულთან ერთად დიდი ადგილი ეჭირა რუსული ენის სწავლებას. ყურადღება ექცეოდა რუსული ენის სახელმძღვანელოების შედგენის საქმესაც. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსსკოე სლოვომ“ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. იგი მოწონებულ იქნა რუსეთის განათლების სამინისტროს. მიერ, როგორც სანიმუშო სახელმძღვანელო არარუს ბავშვთათვის. რუსიფიკატორებს თითქოს აღარაფერი რჩებოდათ იმის საბაბად, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა შოვინისტურ და ნაციონალისტურ საქმედ გამოეცხადებინათ, მაგრამ ისინი საზოგადოების თავკაცთა დევნას კვლავაც განაგრძობდნენ.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახელმძღვანელოების გამოცემას. ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“, „ბუნების კარში“, „რუსსკოე სლოვოში“ დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობითი გეოგრაფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამ სახელმძღვანელოებით სწავლობდა ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა სიყვარულს მშობლიური ქვეყნისადმი.

საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა ოჯახებში ეკლესია-მონასტრებსა და სხვა ადგილებში გაბნეულ ქართულ ხელნაწერთა და ბეჭდური უნიკუმების შეკრების, დაცვისა და შთამომავლობისათვის გადაცემის საქმეში. ამ ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების დასაცავად საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკა. გამოჩნდნენ კერძო პირები, რომელთაც გააჩნდათ ხელნაწერთა და ბეჭდურ წიგნთა მდიდარი კოლექციები და სურვილს გამოთქვამდნენ საზოგადოებისათვის უფასოდ გადაეცათ ისინი. საზოგადოებამ ნიკო დადიანისაგან მიიღო 169 ხელნაწერი და 10 დაბეჭდილი წიგნი. ივანე მესხისაგან — 55 ხელნაწერი წიგნი და სხვ. მარტო 1883 წელს ოთხასამდე ხელნაწერი დაუგროვებია. 1885 წელს შეიძინა ზ. ჭიჭინაძის ბევრი ძველი და ახალი ხელნაწერი წიგნები. საზოგადოებას მნიშვნელოვანი რაოდენობით შესწირეს ხელნაწერი წიგნები მიხეილ სარაჯიშვილმა, ლუკა ისარლიშვილმა, კ. ბაგრატიონმა, ასლან წულუკიძემ, კ. ლორთქიფანიძემ და სხვ., რის შედეგადაც წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავი იქცა უძვირფასეს საგანძურად ქართული კულტურისა. ხელნაწერ და ძველი წიგნების აღწერის, შესწავლისა და მათი კატალოგთა შედგენის საქმეს დიდი ამაგი დასდეს თედო ჟორდანიამ, ექვთ. თაყაიშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, ნ. მთვარელიშვილმა. საზოგადოება ქართულ ხელნაწერ ძეგლებთან ერთად აგროვებდა სამუზეუმო ხასიათის

ეროვნულ ნივთებს და განძებს. დ. ბაქრაძემ, რ. ერისთავმა და პოლ. კარბელაშვილმა ამ მხრივაც დიდი ამაგი დასდეს საზოგადოებას. ი. გოგებაშვილისა და პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი პროგრამის საფუძველზე საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია ფოლკლორული მასალის, „ერის გონების ნაწარმოების“ შესაგროვებლად. ფოლკლორული მასალის შეგროვების დიდი ენთუზიასტი იყო აკაკი წერეთელი. მან 1884 წლის 27 მაისს საზოგადოების საანგარიშო წლიურ კრებაზე დააყენა საკითხი, რომ „საზოგადოებას დაენიშნა მცირე გასამრჯელო იმათთვის, ვინც იკისრებდა ამ საქმეს სოფელ-სოფელ სიარულით“.

საზოგადოება და მისი წევრები თავგამოდებით იცავდნენ ეროვნული კულტურის ძეგლებს და განძს. ცნობილა, რომ ქართველ მოღვაწეთა გაბედული გამოსვლით დატაცებას გადაურჩა საუკუნეების მანძილზე ჩვენს ეკლესია-მონასტრებში შემონახული ქართული ეროვნული კულტურის განძეულობანი. ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი გაბედულად შეებრძოლნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ლევაშოვს, ამხილეს იგი ეკლესია-მონასტრების ძარცვაში[1] და მთავრობა აიძულეს ლევაშოვი კავკასიიდან გაეძევებინა.

ქართული დრამატული საზოგადოება. 1880 წელს ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ახალი ეროვნული დაწესებულება — ქართული დრამატული საზოგადოება, რომელიც ქართული ხალხური თვითმოქმედების, თეატრალური ხელოვნების, დრამატული მწერლობის აღორძინებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების მნიშვნელოვან საშუალებად იქცა.

დრამატული საზოგადოების წესდების პირველი მონახაზი ნიკო ნიკოლაძემ შეადგინა. საზოგადოება სათავეში ჩაუდგა 1879 წელს ქართველ სცენისმოყვარულთა მიერ დაარსებულ „მუდმივ დასს“, რომელშიც შედიოდნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები მ. საფაროვა, ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ნ. გაბუნია, კ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვ. საზოგადოებამ შეძლო ქართული თეატრალური კულტურის სამსახურში ჩაეყენებინა მწერლობისა და ხელოვნების მოყვარულნი, მათი საუკეთესო წარმომადგენლები, თეატრის ირგვლივ შემოეკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები, გაემდიდრებინა ქართული დრამატული მწერლობა ახალი ორიგინალური პიესებით, თეატრის რეპერტუარში დაემკვიდრებინა ევროპული და რუსული დრამატურგიის შედევრები მათი ქართულ ენაზე გადმოთარგმნა-გადმოკეთების გზით.

ივ. მაჩაბელმა, დ. ყიფიანმა, პ. მირიანაშვილმა და სხვებმა, რომლებიც საუკეთესო მოქართულენი იყვნენ და ამასთანავე შესანიშნავად ფლობ-

---

[1] იხ. ლ. ჩიქოვანის წერილი, «Литературная Грузия», 1966, № 6.

დნენ რუსულთან ერთად ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და კლასიკურ ენებსაც, ქართულ ენაზე თარგმნეს შექსპირის, მოლიერის, ჰიუგოს, ვალდეს, გოეთეს, ესქილეს, ევრიპიდეს ნაწარმოებები, აგრეთვე რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

გიორგი ერისთავის მიერ აღდგენილი ქართული თეატრის დახურვიდან ოცდაოდე წლის გასვლის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა ხელმძღვანელებმა ხელახლა შექმნეს პროგრესულ-დემოკრატიული ახალი ქართული თეატრი, რომელსაც ისინი თვლიდნენ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დამცველად რუსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, მისი გამგეობის წევრი და თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ „სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი კაცის გუნებაზე უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე სხვა რაიმე; ამ მხრივ არის სანატრელი, ამ მხრივ არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამფაქიზებელი, გამწმენდი, სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის აღმზრდელი უნდა იყოს“... „ეგ ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვა ბევრი სიკეთე მოსდევს“.

. რეაქციის მიერ დევნილი ქართული ენა ამ დროს გლეხის ქოხში, თითო-ოროლა ქართულ სკოლასა და ქართულ თეატრში აფარებდა თავს. რუსიფიკატორები ცდილობდნენ მის ერთიანად აღმოფხვრას და გამოდევნას ამ დევნილ და შევიწროებულ კერებიდანაც.

დრამატული საზოგადოების ხელშეწყობით ფეხადგმული ქართული თეატრი თანდათან განმტკიცდა, ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მის აღმავლობაში დიდი დამსახურება მიუძღვის გიორგი ერისთავის ვაჟს, დავითს, რომელიც იყო მსახიობი, რეჟისორი და უბადლო დეკლამატორი. თუ გიორგი ერისთავმა ქართული თეატრი აღადგინა, დავითი განმაახლებელი და სულისჩამდგმელი იყო ახალი თეატრისა. დავით ერისთავმა ფრანგი დრამატურგის სარდუს „სამშობლო“ გადმოთარგმნა. პიესის შინაარსი ქართულ ისტორიულ სინამდვილეს ისე შეუხამა, რომ ქართველმა მაყურებელმა მიიღო როგორც ორიგინალური და მის შინაარსში საკუთარი სამშობლოს წარსული ტრაგედია დაინახა. აი როგორ გადმოგვცემს ეკ. გაბაშვილი შთაბეჭდილებას, რომელიც მას მიუღია „სამშობლოს“ ქართულ სცენაზე წარმოდგენისას: „დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციური ხმით, რაინდული გრაციით და შეუდარებელის გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზე უარს, როდესაც ის თავისი ქალის თხოვნით უბრუნებს წართმეულ ხმალს: „არა, ვერ მივილებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს,

ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები გახლავართ, დიდებულო შაჰო..“ რა გამბედაობა იყო ამ საქციელში. რა გვარად იმოქმედა დროთა ბრუნვით დამუნჯებულ და ყოველგვარი საკუთარი აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზე..., როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებული გმირები დროშაზე სამშობლოსათვის თავის განწირვის ფიცს სდებენ. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულმოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზე. მთელი საზოგადოება... ფეხზე ადგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო მუხლი მოედრიკა ეროვნული დროშის წინ“[1].

„სამშობლოს“ ასეთი ძალა და გავლენა ხალხზე გახდა საბაბი რეაქციული წრეების და მათი პრესის გამოლაშქრებისა, რომლებმაც უხეშად დაგმეს ქართული თეატრი და შეადგინეს ქართული დროშა. „ეგ დროშა გირჩევთ აღარ გამოაჩინოთ, გირჩევთ გოდფრუას ცირკს მიყიდოთ თეატრის მიერ გაწეული ხარჯების დასაფარავად“, — წერდა შავრაზმელ კატკოვის „მოსკოვსკოე ვედომოსტი“. ქართულ თეატრში დადგმულ „სამშობლოს“ მნიშვნელობას გაზ. „დროება“ კი ასეთ შეფასებას აძლევდა: „ითქვა სიტყვა, რომელიც მოხვდა ყველა ქართველის გულს. ეხლა მოგვეცა შემთხვევა, რომ რამოდენიმე ხანი ერთად ვყოფილიყავით, ერთად გვეფიქრა. ჩვენ გვტანჯავდა და გვაფიქრებდა არა რომელიმე კერძო საკითხები, არამედ საზოგადო, საყოველთაო საგანი. მოგვეცა შემთხვევა, რომ განცალკევებული ხალხი... მივენდეთ ერთმანეთს და გული გავიმაგრეთ იმ იმედით, რომ ერთსა და ორს კი არ შეგვტკივებია სამშობლოსათვის გული, არამედ მთელს ხალხს“[2].

არსებითად ეს იყო პასუხი რეაქციონერებისადმი. იგი საზოგადოებრივ აზრსაც გამოხატავდა, მაგრამ, ჩანს, საკმარისად მაინც არ მიიჩნიეს და კატკოვის საპასუხოდ ილია ჭავჭავაძემ აიმაღლა ხმა. „ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველებს სახელით და დიდებით ხელში სჭერია, — წერდა ილია, — თავის სისხლში ამოუვლია, და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად, უჩირქოდ გადაუცია... დღეს ეს დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და კატკოვმა ბანი მისცა... თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა გაუპატიურებას მთელი ერისას. მაშ ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა“[3].

კატკოვისა და ცარიზმის რეაქციული პრესის წინააღმდეგ და ქართული დროშის დასაცავად გამოდის ა. წერეთელიც. „არა გვგონია, — წერდა

---

[1] ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „კლდე“, 1913, № 7.
[2] „დროება“, 1882, № 20.
[3] „დროება“, 1882, № 40.

იგი — რომ პატიოსან და რიგიან რუსს მოეწონოს ის კორესპონდენცია, სადაც ყოვლის უმიზეზოდ ლანძღავენ ქართველებს და აწმყოს გაიცხვას რომ აღარ აკმარებენ, მამა-პაპის საფლავსაც კი უბრუნებენ"[1]. აკაკი განმარტავდა ქართული დროშის ისტორიულ როლს და მისიას, ქართველ ხალხის გმირულ ბრძოლას არა მარტო ქართული, არამედ რუსული სახელმწიფოებრიობის დასაცავადაც და დაასკვნიდა: „ეჰ, ასე თამამად მისთვის გვწამებენ ცილს, რომ იციან როგორც უნდა და როგორც ვემართლებით, მისთანა პასუხს არავინ გვათქმევინებს, თორემ მაშინ დაუმტკიცებდით, რა შვილებიცა ბრძანდებიან და რადგანაც აქაურობა არ მოსწონთ, უჩვენებდით სად შეჰფერისთ ბინა".

1890 წლის 21 ნოემბერს ქართულმა თეატრმა პირველად განახორციელა აკაკი წერეთლის დრამატული პოემის „პატარა კახის" დადგმა, რომლის პრემიერასაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ხალხი აღფრთოვანებული შეხვდა „პატარა კახის" პატრიოტულ სულისკვეთებას, მისი გმირების ვაჟკაცობას, რაინდულ შემართებას და თავდადებას. აკაკი პატარა კახის სიტყვებით მგზნებარე მოწოდებით მიმართავდა ხალხს: „კმარა მონება! კმარა მოთმენა! დრო არის ადგეს ერთპირად ერი, ან ბრძოლის ველზე სული დალიოს, ან მოიგერიოს მოსული მტერი!.. მონას რად უნდა კრული სიცოცხლე? ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი? სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი".

თეატრალურ საზოგადოებასა და ქართულ თეატრს მალე მხარი დაუმშვენა პერიოდულმა ორგანომ გაზ. „თეატრმა" (1885 — 1890 წწ.), რომელიც ქართული ხელოვნების და პირველ ყოვლისა თეატრალური ხელოვნების ორგანოდ და მისი განვითარების საშუალებად იქცა.

1880 წელს დაიწყო და 1896 წელს დამთავრდა აშენება დიდი ქართული თეატრალური ნაგებობისა, ე. წ. სახაზინო, ეხლანდელი ოპერის თეატრისა. ქართული თეატრი დღითი დღე აძლიერებდა თავის გავლენას ხალხზე, მასიური და პოპულარული ხდებოდა არა მარტო საქართველოს დიდ ქალაქებში, არამედ დაბა-სოფლებშიც კი, სადაც ხშირად მართავდა წარმოდგენებს.

სათავადაზნაურო ბანკები და ეროვნული კულტურის დაცვა. 1875 — 1876 წლებში დაარსებულ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი ხალხის თვითმოქმედების ორგანოდ, ეროვნული კულტურის აღორძინების საშუალებად მიიჩნევდნენ. ბანკების მიერ მიღებული მოგების ნაწილი სკოლისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარებას ხმარდებოდა. თბილისის საადგილმამულო ბანკმა

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XV, გვ. 446—447.

იმგვარ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო დაწესებულებათა გაძლიერებისათვის, როგორიც იყო ქართული დრამატული საზოგადოება, 206 000 მანეთი გაიღო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის — 11 000 მან., უმაღლეს სასწავლებელთა ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად — 77 225 მანეთი. ამავე მიზნით მნიშვნელოვან თანხას ხარჯავდა ქუთაისის ბანკიც. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის თბილისის ბანკმა გაიღო 1 304 883 მან., ხოლო გიმნაზიის შენობის ასაგებად დამატებით 100 980 მან. თბილისის ბანკმა ასევე დიდძალი თანხები გაიღო თბილისის და თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის და ამიერკავკასიის ქალთა გიმნაზიის, სოფლის მეურნეობის საზოგადოების. ჟურნალ „მეურნის", ფილოქსერასთან ბრძოლის, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის, სტიქიური უბედურებით და შიმშილობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ისტორიული ძეგლების სარესტავრაციო ხარჯების დასაფარავად და სხვ. თბილისის ბანკმა აქ დასახელებულ და სხვა ანალოგიურ საქველმოქმედო საქმეებზე 30 წლის მანძილზე სულ 1 944 136 მან. დახარჯა, ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა კი — 1 058 000 მანეთი[1].

§ 6. 80-იანი წლების ქართული პრესა ცენზურის ბრძოლებში

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმოქმედების გამაძლიერებელ, გარკვეული აზრით მის მაორგანიზებელ საზოგადოებრივ ძალად და ყველაზე უფრო მახვილ იარაღად რეფორმის შემდგომ პერიოდში გვევლინება ქართული პროგრესულ-დემოკრატიული პრესა.

80-იან წლებშიც დემოკრატიული ქართული პრესა განაგრძობდა მძაფრ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ, კვლავინდებურად მტკიცედ იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის სადარაჯოზე და რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან ამხელდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას. თავის მხრივ, ცარიზმის დამსჯელ ორგანოებს, პოლიციას და ჟანდარმერიას გვერდში ედგა ცენზურაც. საცენზურო დაწესებულებანი სდევნიდნენ ცოცხალ სიტყვას, პროგრესულ აზრს. მეფის ცენზურის განუწყვეტელი დევნა ქართველ მოღვაწეებს სიცოცხლეს უმწარებდა, საშუალებას ართმევდა ეთქვათ სრული სიმართლე ხალხის მჩაგვრელთა შესახებ. „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად, — წერდა აკაკი წერეთელი, — ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიაც ქარცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე".

---

[1] იხ. Газ. «Закавказье», 1910, 15 ოქტომბერი.

გაზ. „ივერია“ იმდროინდელ საცენზურო პირობებს ასე ახასიათებს: „გულში რომ ჩაიხედო, თითქოს ზღვაია, ისე დუღს და გადმოდის ბალღამი ყოველდღიური ბოროტებისა, მაგრამ რას იზამ? ამისთანა პაპანაქებაში, როცა მზე უწყალოთა გვწვავს, ჰსდაგავს ქვეყნიერებასა, რა საკვირველია, რომ გამხმარი ენა მშრალ სასას მიეკრას, სიტყვას ფრთა მოეკვეთოს, ძალღონე წაერთვას, კბილი მოეჭრას. ჩვენი ლიტერატურის სარბიელი ლამის გადახმეს, ამ ახირებულის გოლვისაგან“[1]. ამგვარი სულისშემხუთავი ვითარების მიუხედავად, ქართული პრესა და მწერლობა რეაქციის წინააღმდეგ გასაოცარი მოქნილობით და პრინციპული თანმიმდევრობით მოქმედებდა, ეზოპეს ენით, მაგრამ საკმაოდ გაბედულად აკრიტიკებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.

80-იან წლებში აიკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარება. 1885 წელს 5 ივნისს კავკასიის საცენზურო კომიტეტს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ შეტანილი „საქართველოს მოკლე გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერა“ ცენზორს შეუსწორებია და სიტყვა საქართველო ყველგან ამოუშლია, მის ნაცვლად „ტფილისის და ქუთაისის გუბერნია“ ან „იმერეთი და ქართლ-კახეთი“ ჩაუწერია. ი. გოგებაშვილს ამის შესახებ იმავე წლის 29 მაისს და 5 ივნისს ორგზის შეუტანია საპროტესტო განცხადება საცენზურო კომიტეტში[2].

ცენზურის მიერ დევნილი ქართული პრესა და მწერლობა ალეგორიებითა და გადაკრული სიტყვებით მაინც ახერხებდა სიმართლის თქმას. ატყუებდა, გზა-კვალს უბნევდა ცენზორებს და სიმართლეს ეუბნებოდა ხალხს. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს აკაკის „გაზაფხულის“ დაბეჭდვა. 1881 წლის 6 მარტს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი მოხსენებას ურდგენს პოლიციის სახელმწიფო დეპარტამენტს გაზ. „დროების“ 45-ე ნომერში აკაკის ლექსის „გაზაფხულის“ დაბეჭდვის გამო. „ამ ლექსს, — ნათქვამია მიმართვაში, — დიდი გატაცებით კითხულობს ადგილობრივი მოსახლეობის ყველა წოდება, ისინი ბაღში სეირნობის მაგიერ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და მსჯელობენ ამ ლექსის შესახებ, რომელიც არ აგრძნობინებს გაზაფხულს არც იმ ცივი და თოვლიანი ამინდის გამო, რაც ეხლაა, და არც იმ სამწუხარო მოვლენის გამო, რაც მოხდა“[3] (იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობა — ავტ.).

ცხადია, აკაკიმ მოატყუა ცენზურა და ხალხს მიულოცა იმპერატორის მკვლელობა. ასეთი მაგალითები, რომლებიც შემდეგში სანანებლად გახდომია ცენზურას, სხვაც ბევრი იყო.

---

[1] „ივერია“, 1885, № 1, „შინაური მიმოხილვა“.
[2] სმ, V, 1950, გვ. 69—71.
[3] ЦГИАМ, ф. III, д. 164, л. 9.

მეფის ცენზურა დაუნდობლად სდევნიდა პროგრესულ-დემოკრატიულ ქართულ და რუსულ პრესას. რეაქციის წლებში დაიხურა გაზ. „დროება“ და „შრომა“. გაუქმდა ჟურნალი „იმედი“. ასეთივე ბედი ეწია ნ. ნიკოლაძის „ობზორს“, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო ორგანოს. თვითონ ნიკოლაძე საქართველოდან გადაასახლეს.

1885 წელს სამოსწავლო უწყება მთავარმმართველს აძლევს წინადადებას ივ. მაჩაბლის „დროების“ რედაქტორობიდან გადაყენების შესახებ.

იმავე წელს გაზ. „დროება“ დახურეს „მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის განკარგულებით. რამდენიმე თვის განმავლობაში, ვიდრე გაზეთი „ივერია“ დაიწყებდა გამოსვლას, საქართველო უგაზეთოდ დარჩა, რადგან „დროებაზე“ ადრე, 1883 წელს გაზ. „შრომა“ და ჟურნ. „იმედი“ დაიხურა. გაუქმებული ჟურნალ-გაზეთების მაგიერ ახალთა დაარსებისათვის ქართველ მოღვაწეთა ყოველგვარ ცდებს მთავრობა უარით პასუხობდა. მაგალითად, 1882 წელს აკაკი წერეთელი ბევრს ეცადა ყოველკვირეული გაზეთი „გზა“ დაეარსებინა, მაგრამ ამაოდ. მთავრობამ გაზეთის გამოცემის ნებართვა არ მისცა, იმ მოტივით, რომ ა. წერეთელმა გაზ. „შრომაში“ თანამშრომლობის პერიოდში თავისი ლიტერატურული ნაწარმოებებით ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართულება გამოამჟღავნაო[1].

უფრო ადრე, გაზ. „ობზორის“ გაუქმების შემდეგ, 1880 წელს, ნ. ნიკოლაძემ საცენზურო კომიტეტს კვირეული ჟურნალის „კანდელის“ ქართულ ენაზე გამოცემის ნებართვა სთხოვა, მაგრამ მისი თხოვნაც არ დააკმაყოფილეს: ნიკოლაძე „ობზორის“ რედაქტორობის დროს არ ემორჩილებოდა ცენზურას, იგი ხშირად ბეჭდავდა წერილებს არა მხოლოდ ცენზურის ნებართვის გარეშე, არამედ ისეთებსაც, რომელთა დაბეჭდვა ცენზურის მიერ აკრძალული იყო. ასე უბოჭავდა ხელ-ფეხს მეფის ცენზურა ქართველ მოღვაწეებს და სდევნიდა პროგრესულ პრესას. უთანასწორო ბრძოლაში ბურთი და მოედანი რჩებოდა მთავრობის შავრაზმულ სატახტო პრესას, რომლის ყურმოჭრილი ყმა იყო ადგილობრივი მთავრობის ოფიციალური ორგანო „კავკაზიც“. ისინი ერთხმად „ასაბუთებდნენ“, რომ „ყაჩაღი“ და „ველური“ ქართველები არ არიან რეფორმების ღირსნიო. ამგვარი შინაარსის იყო 1886 წ. ჟურნ. „ვესტნიკ ევროპიში“ გამოქვეყნებული სტატია.

1889 წელს ქართველი ხალხის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ წერილებს ბეჭდავდა „სოვრემენნი ვესტნიკი“, რომელიც „ასაბუთებდა“, რომ ქართველმა ერმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა საკაცობრიო მოწინავე აზროვნებასთან, ერი დაკნინდა, გადაგვარდა, ზნეობრივად გაირყვნა, გა-

---

[1] სსცია, ფ. 480, საქ. 71, ფურც. 4.

მოიფიტა და თანამედროვე ცივილიზაციის დიდ შარაგზას სავსებით მოწყდა, XII საუკუნეც საქართველოს სახელმწიფოს დაცემის და მორალური გახრწნის ეპოქა იყოო.

საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორებს, ქართველი ხალხის გარეშე და შინაურ ცილისმწამებლებს „ივერიის“ ფურცლებიდან საკადრის პასუხს აძლევდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. რეაქციონერთა შემოტევისაგან ქართველობის დაცვას ემსახურებოდა „ქვათა ღაღადი“ და „აი ისტორია“, „სანდალას წერილების გამო“ და სხვა მრავალი ისტორიულ-პოლემიკური ნაშრომი ილია ჭავჭავაძისა, რომელიც ერთი შავრაზმული გაზეთის მორიგი გამოხდომის გამო გაბედულად შენიშნავდა: „სხვა ქვეყანაში ასეთი რამ რომ გაბედოს გაზეთმა, მკითხველი შეუთვლის — შენმა სუნმა ამამყრალა და აწი ჩემსას არ გაიჭაჭანოო“.

§ 7. რეაქციის ძალების ახალი შემოტევა. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა

ლიბერალური თავადაზნაურობის წარმომადგენლები 80-იან წლებში ოპოზიციაში ჩაუდგნენ რეაქციის ძალებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა დროშის ქვეშ დადგნენ. დემოკრატიზმის და თავადაზნაურული ლიბერალიზმის ასეთ კოალიციას 80-იან წლებში თავისი ღრმა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. იგი, კერძოდ, გამოწვეული იყო კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე მემამულური მეურნეობის კრიზისის შემდგომი გაღრმავებით და მეფის რუსეთის მიერ კავკასიის საბოლოო დაპყრობით. ქართველ თავადაზნაურთა როლი მივიწყებულ იქნა. მათ მთავრობა არ აძლევდა უბრალო ერობასაც კი, რომლითაც რუსეთის თავადაზნაურობა სარგებლობდა. ეს ქართველმა პრივილეგიურმა წოდებამ ეროვნული გრძნობების შელახვად მიიჩნია და მისი ერთი ნაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე გადავიდა. დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა, მისი გაბედული ბრძოლა 80-იანი წლების რეაქციის წინააღმდეგ არსებითად ქართული ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიციის გამომხატველი იყო. თავადაზნაურული ლიბერალიზმის ამ სახელოვანმა წარმომადგენელმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ შეგნებული ცხოვრება 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობით დაიწყო და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გაბედული გალაშქრებისათვის გადასახლებით და ტრაგიკული დაღუპვით დაამთავრა. შეუძლებელი აღმოჩნდა ერთსა და იმავე დროს რუსეთის სამეფო ტახტისა და ქართული ეროვნული კულტურის დაცვა, რადგან, ილია ჭავჭავაძის დახასიათებით, დიმიტრი ყიფიანი იყო დიდად

პრინციპული პიროვნება, რომელიც არასოდეს „ჰოს“ არ იტყოდა, როდესაც „არას“ ფიქრობდა და არც „არას“ იტყოდა, როდესაც „ჰოს“ ფიქრობდა.

80-იანი წლების რეაქციის დროს დ. ყიფიანი მტკიცედ ამოუდგა გვერდში თერგდალეულებს და გაბედულად გაილაშქრა რეაქციონერთა წინააღმდეგ. იგი მგზნებარე პროპაგანდას ეწეოდა ქართული ენის დასაცავად, მკაცრად აკრიტიკებდა რუსიფიკატორთა სასწავლო პროექტებს, კატეგორიულად მოითხოვდა იანოვსკის 1881 წლის ცირკულარის გაუქმებას, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა მეგრული და სვანური ანბანისა და სახელმძღვანელოების შეთხზვა, სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში ქართული ენის აღმოფხვრა[1].

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი და მთლიანად დონდუკოვ-კორსაკოვის რეაქციული ადმინისტრაცია თავისას მაინც არ იშლიდა. ქართული ენისა და ერის დევნა გრძელდებოდა.

ქართველი მოღვაწენი და პირველ რიგში დ. ყიფიანი რეაქციის ძალების ამ თარეშს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა თვითნებობად, მათ დანაშაულებრივ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევდა და „მეფის კანონის დამრღვევ“ კავკასიელ რუსიფიკატორებს სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა.

1885 წელს დასავლეთ საქართველოს (ჯერ ბათუმს, ხოლო შემდეგ ქუთაისს) ესტუმრა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც 18 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას და ქართველი თავადაზნაურული წრეების დიდი პატივისცემით სარგებლობდა. დიდ მთავარს ზეიმით შეხვდა თავადაზნაურობა, რომელსაც სანატრელად გადაქცეოდა მისი მეფისნაცვლობის ასე თუ ისე ასატანი ხანა. 5 ოქტომბერს ქუთაისში დიდ მთავარს გაუმართეს ბანკეტი, რომელსაც თავადაზნაურების მარშალი დ. ყიფიანიც ესწრებოდა. ქუთაისის თავკაცები შეეცადნენ ეგრძნობინებინათ მიხეილისათვის ის დევნა-შევიწროება, რომელსაც ქართველი ხალხი დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის დროს განიცდიდა. ქალაქის თავმა ასათიანმა ბანკეტზე წარმოთქმულ საზეიმო სიტყვაში ის აზრიც შეაპარა, რომ კავკასიის ეხლანდელი ადმინისტრაცია ყოვლად უმიზეზოდ იჩენს უნდობლობას ქართველობისადმი, დევნის, ყოველმხრივ ავიწროებს მასო. ამავე დროს მან ქებით მოიხსენია მიხეილის დრო. ბანკეტზე სიტყვით გამოსულმა დ. ყიფიანმა კიდევ უფრო გაბედულად და მკვეთრად განავითარა იგივე აზრი, ხოლო შემდეგ წერილობით ჩამოაყალიბა ქართული საზოგადოებ-

---

[1] იხ. „დროება“, 1880, № 254, 262; 1882, № 33, 50, 51, 52, 53, 54 ,55, 56, 57. „კავკაზი“, 1880, № 348.

რიობის თვალსაზრისი დონდუკოვ-კორსაკოვის სულისშემხუთავი პოლიტიკის შესახებ და წერილი 1885 წლის 11 ოქტომბერს ბორჯომში გამართული აუდენციის დროს დიდ მთავარს გადასცა. დ. ყიფიანი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, მ. რომანოვი ქართული საზოგადოებრიობის თვალსაზრისს იმპერატორს მოახსენებს, ეს უკანასკნელი კი დონდუკოვ-კორსაკოვს აიძულებს ქართველთა დევნაზე ხელი აიღოსო.

დიდმა მთავარმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაარწმუნა დ. ყიფიანი, რომ ალექსანდრე III თავისი წინამორბედის მსგავსად, კვლავაც დიდი ხდობით უყურებს ქართველობას და ამის შესახებ ყველას შეგიძლიათ აცნობოთო. მიხეილის ამგვარმა განცხადებამ დ. ყიფიანს კიდევ უფრო განუმტკიცა გულუბრყვილო ვარაუდი — ქართველებისადმი უნდობლობა და დევნა დონდუკოვ-კორსაკოვის თვითნებობის შედეგია და თუ ამას უმაღლესი მთავრობა შეიტყობს კანონის დამრღვევთ კანონიერების დაცვისაკენ მოუწოდებსო. ბორჯომიდან ქუთაისში დაბრუნებული დ. ყიფიანი სარგებლობს დიდი მთავრის ნებართვით, იწვევს თავადაზნაურობას და ამხელს ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის ვითომდა შეუსაბამობას უმაღლესი მთავრობის მითითებებთან და განკარგულებებთან.

დონდუკოვ-კორსაკოვის პოლიტიკით უკმაყოფილო ადგილობრივი ელემენტების დაკავშირებამ დიდ მთავართან და ამ უკანასკნელის თბილისში რამდენჯერმე ისე გავლამ, რომ ერთხელაც არ ინება მთავარმმართველთან შეხვედრა, იმდენად გაუტეხა სახელი ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ხმებიც კი დარხეულა დონდუკოვ-კორსაკოვის გადაყენების შესახებ. ფრიად საიდუმლო მოხსენებაში შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ტოლსტოისადმი მთავარმმართველი აღნიშნავდა, რომ „მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მობრძანებას გასულს შემოდგომაზე ადგილობრივი ხელისუფლების პრესტიჟისათვის სამწუხაროდ არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა. ყველა ელემენტი, რომელიც არ თანაუგრძნობდა აქ დამკვიდრებულ მმართველობის წესს, ცდილობდა მისი უდიდებულესობისადმი დაენახვებია არარსებული შევიწროება, რომელსაც თითქოს განიცდის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. იმ უმაღლეს ყურადღებას, რომელიც დიდმა მთავარმა გამოიჩინა ამგვარი განცხადებებისადმი და აგრეთვე ვითომც წვრილმან, მაგრამ მაინც საყურადღებო გარემოებას, რომ მისმა უმაღლესობამ გაიარა რა რამდენიმეჯერ თბილისში, არ ისურვა ენახა მთავარმმართველი, რამაც დაბადა მცხოვრებლებში დიდი ჭორები, უახლოეს დროში მთავარმმართველის მოხსნის შესახებ, რასაკვირველია, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა უკანასკნელის ავტორიტეტის დაცემაზე. ამას შედეგად მოჰყვა სწორედ ისეთი გამოხდომები, როგორიცაა ქუთაისის ქალაქის თავის სიტყვა და მთავარმმართველის დაუკითხავად თბილისის

საბჭოს მიერ დიდი მთავრის მოწვევა. დასასრულ, მისი უმაღლესობისადმი უშუალო მიმართვა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისა, რომელიც არ დაკმაყოფილდა თავისი ბორჯომში გაკეთებული უადგილო განცხადებით და დიდ მთავართან წარმოებული საუბრის ასლი გაავრცელა ქუთაისის გუბერნიაში"[1].

დონდუკოვ-კორსაკოვმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გ. სმეკალოვის მეშვეობით მოსთხოვა დ. ყიფიანს დაეწერა ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე შეადგინა მან უკანონო საჩივარი მთავარმმართველის წინააღმდეგ, ვისი დავალებით შეხვდა და ელაპარაკა დიდ მთავარს. „გთხოვთ მაცნობოთ, — წერდა სმეკალოვი 31 ოქტომბერს დ. ყიფიანს, — გქონდათ თუ არა თქვენ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობისაგან რწმუნება გაგეკეთებინათ მისი სახელით ასეთი განცხადება და რომელმა ფაქტებმა გაიძულათ თქვენ განგეცხადებინათ, თითქოს ქუთაისის თავადაზნაურობას ამიერიდან არ მიეცემა წინსვლის საშუალება სახელმწიფო სამსახურშიო"[2]. დ. ყიფიანმა უპასუხა სმეკალოვს, რომ „ჩემი განცხადება, როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლისა, მიმართული იყო უშუალოდ საიმპერატორო სახლის უავგუსტესის წევრისადმი და ამ განცხადებას მიზნად ჰქონდა გამორკვეულიყო, მეფის ნება-სურვილია თუ არა ის, რომ ადგილობრივი თანამდებობის ზოგიერთი პირი თუ დაწესებულება გვიცქერს ჩვენ არა ისე, როგორც ამას მიჩვეული ვიყავით 80 წლის მანძილზე ჩვენდამი მონარქიის კეთილგანწყობილებით. მე ვეძებდი მხოლოდ უმაღლეს სამართალს და რაკი ვიპოვე იგი, სავსებით დავკმაყოფილდი"[3].

1886 წლის 8 იანვარს დ. ყიფიანმა დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა ვრცელი დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი, სადაც ნიღაბი ჰქონდა ახდილი მთელ იმ რეაქციულ ანტიქართულ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა ახორციელებდა. „შემიძლია მოგახსენოთ, — სწერს დ. ყიფიანი მთავარმმართველს, — ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის. ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ, მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ენის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის

---

[1] სსცია, ფ. 12/001, საქ. 457, იხ. სმ, № 3, შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს პუბლიკაცია.

[2] სსცია, ფონდი ქუთაისის სამხ. გუბერნატორისა, საქ. 11, ფურც. 1—2.

[3] იქვე.

ქვეშ მიიღო მრავალტანჯული საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა დაიმსახურა?"[1].

არც დონდუკოვ-კორსაკოვი, არც უმაღლესი მთავრობა არ დაელოდა დ. ყიფიანის ამ განცხადებას და კავკასიელ სატრაპთა დასმენის საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრმა დ. ტოლსტოიმ დონდუკოვ-კორსაკოვს 1885 წლის 13 დეკემბერს აცნობა: „ხელმწიფე იმპერატორი გაეცნო რა თქვენი ბრწყინვალების მოხსენებას... კეთილინება ეცნო, რომ მისმა უმაღლესობამ სრულიად საფუძვლიანად განუცხადა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს, რომ მისი უდიდებულესობა მთლიანად დარწმუნებულია ქართველების ტახტისადმი ერთგულებაში და ვინაიდან ეს საეჭვო არაა, მას, დიდ მთავარს, სრული უფლება ჰქონდა დაეევალებინა ბატონ ყიფიანისათვის ეთქვა ამის შესახებ ყველასათვის. მაგრამ დიდი მთავრის ეს სიტყვები სრულიად არ აძლევს ბატონ ყიფიანს უფლებას ბორჯომში შემდგარი კერძო საუბრის წერილობით დოკუმენტად გარდაქმნისათვის, მისი გავრცელებისა და თავადაზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს კანცელარიაში ოფიციალურად გადაცემისათვის. მიაჩნია რა ბატონ ყიფიანს ასეთი მოქმედება უადგილოდ, ხელმწიფე იმპერატორი გავალებთ თქვენ გამოუცხადოთ მას სათანადო გაკიცხვა"[2].

დ. ყიფიანს გამოეცხადა გაკიცხვა, რომლის ფორმალურ საფუძვლად დიდი მთავრისადმი თითქოსდა უსაფუძვლო საჩივრის წარდგენა იქნა მიჩნეული და არა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ გაბედული გალაშქრება. ამიტომ დ. ყიფიანი ამჯერად „ადვილად გადარჩა". მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისი აღმოჩნდა. დონდუკოვ-კორსაკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა დ. ყიფიანის თავიდან მოშორება და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის წინააღმდეგ რეპრესიულ ღონისძიებათა მიღებისათვის. მალე ეს მომენტიც დადგა. 1886 წლის 24 მაისს სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა მოჰკლა მისი რექტორი რეაქციონერი ჩუდეცკი. ლაღიაშვილი შეიპყრეს და 20 წლის კატორღა მიუსაჯეს, ჩუდეცკის მკვლელობა კი გამოყენებულ იქნა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ახალი შეტევისათვის. ცარიზმის მოხელენი ლაღიაშვილის მოქმედებას მიიჩნევდნენ რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის დაპირისპირების, მისი სეპარატიზმის გამოხატულებად, რომელიც საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მფლობელობას საქართველოში. დიდმპყრობელი შოვინისტები აღარავის ინდობდნენ. ისინი სეპარატისტებად და რუსეთის მტრებად აცხადებდნენ იმათაც კი, ვისაც თვითმპყრობელობის და თავადაზნაურობის სამსახურში

---

1 სსცია, ფონდი ქუთაისის სამხ. გუბერნატორისა, საქ. 11, ფურც. 4—5.

2 სსცია, ფ. 1239, საქ. 457, ფურც. 2.

თმი გაჭაღარავებოდა, თუმცა ამავე დროს თავისი სამშობლოს პატრიოტად და მისი ინტერესების დამცველად გამოდიოდა, ასეთი იყო დიმიტრი ყიფიანი, რომელიც რეაქციის ამ ახალი შემოტევის მსხვერპლი გახდა. როცა ეგზარქოსმა პავლემ ჩუდეცკის დასაფლავების დღეს დასწყევლა საქართველო და ქართველი ხალხი, რომელმაც, მისი აზრით, დაბადა „ავაზაკი" ლაღიაშვილი, — ამ ფაქტით უკიდურესობამდე შეურაცხყოფილი და უსაზღვროდ აღშფოთებული ქართველი საზოგადოებრიობის აზრი გამოსატა: დიმიტრი ყიფიანმა საპროტესტო ბარათში, რომელიც მისწერა ეგზარქოს პავლეს 1886 წ. 8 ივნისს, „თქვენო აღმატებულებავ! — სწერდა ყიფიანი, — მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ გატაცებული დაუჯერებელი ხმებით ვსცოდავ თქვენს წინაშე. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ, და, რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ შეიძლება იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან".

დიმიტრი ყიფიანის ამ წერილმა დიდი შეშფოთება გამოიწვია. ეგზარქოსი შეეცადა თავის მართლებას, ცარიზმის გავლენიანი მოხელეები კი დ. ყიფიანს მთავრობისათვის მეტად საშიშ პიროვნებად მიიჩნევდნენ.

იმპერატორის ბრძანებით 1886 წლის 6 აგვისტოს დ. ყიფიანი გადაყენეს ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან და გადაასახლეს სტავროპოლში[1]. აქ იგი ვერაგულად მოჰკლეს ცარიზმის აგენტებმა 1887 წლის 26 ოქტომბერს. იგი დიდი პატივით ჩამოასვენეს საქართველოში და მთაწმინდაზე დაკრძალეს. მისი დასაფლავება გადაიქცა მრისხანე ეროვნულ-საპროტესტო დემონსტრაციად ცარიზმის წინააღმდეგ. თანამედროვეებმა მას დიმიტრი თავდადებული უწოდეს.

80-იანი წლების პოლიტიკურმა რეაქციამ ვერ შეძლო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა. ცარიზმის სატრაპებთან უთანასწორო ბრძოლაში კიდევ უფრო გაფართოვდა ეროვნულ-საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც, მსოფლმხედველობრივი მერყეობისა და სისუსტის მიუხედავად, ბეჯითად იცავდნენ ქართულ ენასა და კულტურას, ქართველი ხალხის საარსებო ინტერესებს.

---

[1] სმ, 3, გვ. 433.

თავი მეთოთხმეტე

მუშათა კლასის მდგომარეობა XIX საუკუნის 70—90-იან წლებში და მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები

§ 1. მუშათა კლასის მდგომარეობა

გაპროლეტარებული გლეხებისა და ექსპროპრირებული ხელოსნებისაგან 60—70-იანი წლებიდან ყალიბდება მუშათა კლასი. მისი წინამორბედი იყო მებატონეების ნებართვით ქალაქად წასული თუ გაქცეული ყმა გლეხი, რომელიც თავის სამუშაო ძალას აქირავებდა. ხშირად დღიური მუშაობით მიღებული ფულით ასეთი მუშა საბატონო ბეგარას იხდიდა, უფრო ხშირად ივი მებატონეს ემალებოდა და მასთან ურთიერთობას სავსებით სწყვეტდა. იგი, რა თქმა უნდა, თავისუფალი მოქალაქე არ იყო, მაგრამ მაინც ხელს უწყობდა მუშათა პირველი კადრების შექმნას. XIX საუკუნის 40-იან წლებში მარტო თბილისში რამდენიმე ათასი ასეთი თავშეფარებული მუშა ითვლებოდა. საგლეხო რეფორმამ, იმის გამო, რომ არსებითად უმიწაწყლოდ დატოვა ყმობიდან განთავისუფლებული გლეხობა, ერთბაშად შეცვალა ვითარება შრომის ბაზარზე, რომელიც ახლა დაუბრკოლებლად ღებულობდა მუშახელს.

ვრცელდებოდა რა შრომის მექანიზაცია წარმოებაში, იქმნებოდა სამრეწველო მუშათა კადრები. XIX საუკუნის 70-იან წლებში გაპროლეტარებულ გლეხებს, რომლებიც სამრეწველო მუშებად იქცეოდნენ, გზადაგზა ემატებოდნენ ექსპროპრირებული ხელოსნები, რომლებიც ფაბრიკანტის კონკურენციის გამო იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი დაცემული წარმოება.

არც ასეთ მუშებს და არც სოფლიდან მოსულ პროლეტარებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ, რომ ისინი უკვე მოექცნენ დიდ სამრეწველო ქვაბში, რომელსაც თავს ვერ დააღწევდნენ. ადრე თუ გვიან სავსებით უნდა შეცვლილიყო მათი ყოფა-ცხოვრება, მესაკუთრე წვრილი მწარმოებლებიდან ისინი უნდა გადაქცეულიყვნენ სამრეწველო პროლეტარებად, ქალაქის მუშებად.

შრომის პირობები. ახლად ფეხადგმული საფაბრიკო წარმოება თბილისში და საერთოდ საქართველოში, მოკლებული იყო ელემენტარულ პირობებს, აუცილებელს იმისათვის, რომ მუშას ფიზიკური გამძლეობა შეენარჩუნებინა. „არავისთვის სადაო არ არის,—წერდა 1874 წელს მირზოევის ფაბრიკის მუშათა მდგომარეობის შესახებ ერთი მოხელე,—რომ 14-საათიანი სამუშაო დღე, თუნდაც საათნახევრიანი დასვენებით, რამდენადმე დიდია მუშებისათვის, განსაკუთრებით მცირეწლოვანთათვის, რომლებიც ფეხზე მდგარი, შეუსვენებლივ ყურადღების განუწყვეტელი დაძაბულობით მუშაობენ. ამგვარი შრომა თავისთავადაც მავნეა ხანგრძლივობის გამო. ამ მავნეობის ხარისხი კიდევ უფრო ძლიერდება ფაბრიკის სამუშაო პირობებით: გამაყრუებელი ჭახჭახი საქსოვი მექანიკური დაზგებისა, უამრავი ბორბლებისა, მბრუნავი ცილინდრებისა და ლილვების ხმაური და სხვა... წვრილი, ძაფისებრი მტვერი ჰაერში, რომელიც გაჟღენთილია რაღაც ზეთისებური უსიამოვნო ანაორთქლით და მისი მაღალი ტემპერატურა (თებერვლის თვეში ფაბრიკის ზედა განყოფილებაში მუშები მუშაობდნენ ფეხშიშველი, პერანგის ამარა და, მიუხედავად ამისა, ძლიერ ოფლიანდებოდნენ), — ყველაფერი ეს ისეთი პირობებია, რომლებისგანაც ღმერთმა დაიფაროს მიუჩვეველი ადამიანი, მაგრამ მუშები ხომ მიჩვეულნი არიან ყოველგვარ უბედურებას...“[1].

წერილის ავტორს, რასაკვირველია, მიზნად არ ჰქონდა აემაღლებინა ხმა საფაბრიკო-საქარხნო წესების წინააღმდეგ, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა წარმოედგინა და განეცადა სინამდვილე მაშინდელი ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრებისა, კერძოდ, ისეთი ფაბრიკისაც, როგორიც იყო მირზოევის. წარმოუდგენელ სიბინძურესა და სიცხეში მუშებს უხდებოდათ ყოფნა ყოველდღიურად თითქმის 14 საათი. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მას ფაბრიკაში მხოლოდ 45 წუთი გაუტარებია, და თავბრუ დასხმია, საფეთქლები ასტკივებია[2].

ამგვარსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში: „თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავე მუშათა რიცხვი 900 კაცს აღწევს, რომელთაგან თითქმის ნახევარი — დაახლოებით 400 კაცი — მცირეწლოვანია. თუ მუშაობა დილის 8 საათიდან საღამოს 8/2, 9 და 10 საათამდე არც ისე მომქანცველია დიდებისათვის (!), არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არ იყოს იგი მომქანცველი ბავშვებისათვის. ის მათთვის მძიმეა, რასაკვირველია, არა ფიზიკური ძალების დახარჯვის თვალსაზრისით, არამედ ხანგრძლივი თავაუღებელი მუშაობით. ახალგაზრდა ორგა-

---

[1] П. Жуков, Несколько слов о рабочем вопросе по отношению к нашему краю, «Кавказ», 1874, № 49.

[2] იქვე.

ნიზმი 11, 12, 13—15 წლის მუშაკისა, რომელიც იძულებულია დარჩეს ერთ ადგილას ჯერ 5—6 საათი და ხანმოკლე შესვენების შემდეგ კიდევ ამდენივე დრო იმუშაოს, ჰკარგავს ნორმალური განვითარების შესაძლებლობას და უდროოდ ჩიავდება, იმიტომ რომ ჯანმრთელი ასაკის ბავშვის ფიზიოლოგიური ფაქტორების პარალიზება ხდება ამ უმოძრაობით, რომელიც შეესაბამება მხოლოდ ხანდაზმულთა ორგანიზმებს. ამას თან ერთვის თამბაქოს ქარხნების ატმოსფეროს გავლენა. ეს ატმოსფერო ქმნის რიგ უსიამოვნო ავადმყოფობას (ორგანოების ძიგძიგი, ჭვალები, ხუთვა და სხვ.), რომლებიც იმ ექიმების დასკვნით, რომელთაც ჩატარებული აქვთ დაკვირვება ასეთსავე ქარხნებზე რუსეთში, შეადგენენ მეთამბაქოეთა სპეციფიკურ დაავადებებს. ყველა ჩვენი თამბაქოს ქარხნიდან მხოლოდ ენფინჯიანცის და სხვა 3—4 ქარხანას თუ აქვს ცოტად თუ ბევრად შესაფერი შენობა. უმეტესობა ან სარდაფებშია, ან ქალაქის ბინძურ უბნებში. სავენტილაციო მოწყობილობა, გარდა სარკმლებისა, არსად არაა"[1].

აუტანელი მდგომარეობა იყო ტყავის ქარხნებში თავბრუდამხვევი ორთქლისა და ცუდი ჰაერის გამო. ვერც ევროპულად მოწყობილმა ადელხანოვის ქარხანამ მოუღო ბოლო ამ ანტიჰიგიენურ მდგომარეობას.

1898 წელს ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში 700 მუშა მუშაობდა. ფაბრიკა შედგებოდა 6 საამქროსაგან (გამომჭრელი, დამამზადებელი, წაღის, ტყავის ჩექმის, ქეჩის ჩექმის და ქეჩის ფეხსაცმელების), მუშაობა წარმოებდა როგორც ხელით, ისე საკერავი მანქანებით. საამქროებში მტვერი, სიბინძურე, საშინელი სივიწროვე იყო. ვენტილაცია არ არსებობდა[2].

მდგომარეობა არ შეცვლილა ამ მხრივ არც ცხრაასიან წლებში, რასაც მოწმობს თვით მთავრობის ოფიციალური ანგარიშის ცნობები — „ფაბრიკა-ქარხნების შენობები არადამაკმაყოფილებელია და რამდენიმე ადგილას პირდაპირ საზარელი — ბნელი, ბინძური, ვიწრო, შეხუთული შენობები, სადაც ჰაერი მოწამლულია"[3].

ამ საზიანო მოვლენას — ქარხნების ტექნიკურ მოუწყობლობას და უსუფთაობას — თან ერთვოდა შრომის პროცესის ხანგრძლივობა, რომელიც არა მარტო ქანცს აცლიდა მომუშავეს, არამედ ფიზიკურადაც სტეხდა. ქარხანაში მუშაობის დამთავრების შემდეგ, მუშებს სახლში მიჰქონდათ პაპიროსის ქაღალდი ჰილზების დასამზადებლად, რაზედაც მთელი ღამე უნდა ემუშავნათ, რათა მეორე დღეს არ გაცდენილიყვნენ. ეს მაშინ, როცა სამუშაო დღე თამბაქოს ფაბრიკაში, იმავე პირის ცნობით, 15—16

---

[1] П. Жуков, Несколько слов о рабочем вопросе по отношению к нашему краю.

[2] მლისფპა, ფ. 34, საქ. 420, ფურც. 2—3.

[3] იქვე, ფ. 37, საქ. 27.

საათს გრძელდებოდა. „ჩვენი ფაბრიკა წარმოადგენდა ერთგვარს საპატიმროს, ე. ი. დილით რომ შედიოდნენ შიგ მუშები, საღამომდის გამოსვლის ნება არ ჰქონდათ“ [1].

წარმოების ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო არსებულ აუტანელ ფიზიკურ შრომაზე მეტყველებს „კვალის“ კორესპონდენცია ბათუმის ქარხნების შესახებ (1898 წ.).

სრულიად მოუწყობელი იყო ჭიათურის მარგანეცის წარმოებაც. შავი ქვის მრეწველები გვირაბებს არ ამაგრებდნენ და, თუ სადმე იყო გამაგრებული, ისიც არასაიმედოდ. „საზოგადოდ შავი ქვის მუშა ჩალვადრები ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაცვენილნი, — წერს „კვალის“ ჭიათურელი კორესპონდენტი, — ვერსტის მესამედი სიმაღლე მთა, ციცაბო, კისერსატეხი გზით, დღეში 5—6-ჯერ უნდა აიარ-ჩაიაროს, ამდენჯერვე ცხენები მარგანეცით დაასაპალნოს და დასცალოს, იცხოვროს თვითონ ცხენებთან ერთად აყროლებულ თავლაში, ისაზრდოოს მარტო პურით და წყლით (თუ ესეც არ აქვს, ცივი მჭადით). რაც შეეხება მადნის მუშების მდგომარეობას, ჩალვადრებზე უარეს თუ არა, უკეთეს მდგომარეობაში არც ესენი არიან ჩაყენებულნი, რადგან კარგი მარგანეცის ადგილებს, უმეტეს ნაწილად, წინ მისასვლელი გზა, აქამდე უთავბოლო მუშაობის გამო, დანგრეული აქვს: მადანი დაშორდა, ქვა ცუდი გამოსატანი შეიქმნა 100—150 საჟენი მანძილიდან დაბალი და ვიწრო გვირაბით. ამიტომაც მუშა იძულებულია უფრო შორს წავიდეს და იქიდან რის ჭაპანწყვეტით გამოათრიოს გარეთ მოტეხილი ქვა. გვირაბს უნათებს ნავთიანი ჭრაქი...“[2].

ჭიათურის რკინიგზას ჩალვადრების მდგომარეობა არ შეუცვლია. მადნისმთხრელ მუშათა მდგომარეობაზე რამდენადმე გავლენა იქონია მაღაროთა ელექტროგანათებამ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მადნის ზიდვის მექანიზაციას მაღაროებში, მაგრამ ყველაფერი ეს გვიანდელი მოვლენაა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად სახიფათო იყო მუშებისათვის ესოდენ გაუმართავი და მოუწყობელი წარმოება, რამდენად ხშირი უნდა ყოფილიყო უბედური შემთხვევები. „ჭიათურის მარგანეცის მაღაროების გაუმაგრებელ გვირაბებში, — აღნიშნავს მუშა-კორესპონდენტი, — ზემოდან ერთი ბელტის ჩამოვარდნაა საჭირო, რომ იქ მყოფ მუშას სული გააფრთხობინოს. ის კი, ვინც ჯერ არს, ადგენს ოქმს, რომელსაც აქამდე არავისთვის არაფერი ნაყოფი არ მოუტანია, გარდა იმისა, რომ მისი ყოფილი აძხანაგები სასამართლოში „კარგად ჩვენებისათვის“ კარგად ჩაიჯი-

---

[1] მლისფპა, ფ. 34, საქ. 27.

[2] „კვალი“, 1898, № 33.

ბავენ ორიოდე გროშს, რასაც ნიადაგ მოსდევს მადანში მოკლულის გამტყუნება ვითომც და მართლა უწესრიგო მუშაობისათვის“ [1].

ხშირი იყო უბედური შემთხვევები თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, შედარებით კარგად მოწყობილ ფაბრიკა-ქარხნებშიც, სადაც ადამიანის ფიზიკურ ძალას უმეტესად უახლესი ტიპის მანქანა-იარაღები ცვლიდა. „დღე არ გავა, — წერს „ივერია“ ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრების შესახებ, — რომ ერთი ან ორი მუშა არ დაშავდეს, არ მოეკვეთოს ან ხელი, ან ფეხი ან სხვა რომელიმე ასო სხეულისა. დაშავებულს ხომ პანღურის ცემით გამოაგდებენ უმოწყალოთ, ვითარცა უვარგისსა და ძველ ნივთსა“[2].

სამუშაო დრო, ხელფასი. წარმოების მოუწყობლობა, მისი ტექნიკური ნაკლი და სხვ., რაც საერთოდ მავნედ მოქმედებდა მუშის ჯანმრთელობაზე და მის სიცოცხლეზე, განსაკუთრებით საგრძნობი იყო მეტად ხანგრძლივი სამუშაო დროისა და დაბალი ხელფასის გამო. მუშა ვერ ახერხებდა დახარჯული ენერგიის აღდგენას. მირზოევის ფაბრიკის მუშებს 14 საათი (მცირე შესვენებით, რაც საღილობისათვის იყო განკუთვნილი) უხდებოდათ მუშაობა. დღის ორ მესამედს ეს მუშები ფაბრიკაში ატარებდნენ. თავდაპირველად ისინი თვიურად ღებულობდნენ ხელფასს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მეფაბრიკემ სანარდო სისტემა შემოიღო და თვიური ხელფასი გააუქმა. მეფაბრიკე მუშებს ანგარიშს უსწორებდა ყოველკვირეულად. მემანქანე მუშებს, ფეიქრებს და სხვებს დღიურად უწევდათ ექვსი შაურიდან სამ აბაზამდე. თითო თოფი (30 არშინი) ნარმის მოქსოვაში ფეიქრები ღებულობდნენ ექვს შაურს[3].

70-იან წლებში თბილისში ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა ითვლებოდა საუკეთესოდ[4]. ზამთრის პერიოდში ენფინჯიანცის ფაბრიკაში, როგორც ბევრ სხვა საწარმოშიც, მუშაობა იწყებოდა დილის 8 საათიდან და გრძელდებოდა საღამოს 8,5 საათამდე (დასვენება — ერთი საათი); ზოგ ფაბრიკაში მუშაობა საღამოს 10 საათამდე გრძელდებოდა. ერთი სიტყვით, 12 საათზე ნაკლები სამუშაო დღე არც ერთ ფაბრიკაში არ იყო. მაგრამ სანარდო მუშაობის გავრცელებამ გამოიწვია ის, რომ მუშები, მეტადრე მუშა მამაკაცები, ღამის პირველ საათამდე რჩებოდნენ ფაბრიკაში, რომ როგორმე გამოემუშავებინათ პაპიროსების მეტი რაოდენობა[5].

---

[1] „კვალი“, 1898, № 33.
[2] „ივერია“, 1890, № 179.
[3] П. Жуков, Несколько слов о рабочем вопросе..., «Кавказ», 1874, № 46.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ენფინჯიანცის ფაბრიკაში მუშები დანაწილებული იყვნენ 5 სხვადასხვა სახის სამუშაოს მიხედვით. გამოყოფილი იყვნენ თამბაქოს შემრჩევნი, დამხარისხებელნი, დამჭრელნი, შემხვევნი და პაპიროსის მკეთებელნი. მათი რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების შესახებ აქვე მოვიყვანთ თანამედროვის მიერ ჩაწერილ ცნობებს:

1. თამბაქოს ფურც. შემრჩ. — 5 კაცი — ხელფ. თვ. 16 მანეთიდან 33 მან.-მდე.

2. დამჭრელნი 11 „ „ 25 მანეთიდან 30 მან.-მდე.

3. დამხარისხებელნი 7 „ „ „ 18 მანეთიდან 30 მან.-მდე.

4. შემხვევნი 7 „ „ „ 8 მანეთიდან 30 მან.-მდე.

5. პაპიროსის მკეთებელნი . . . . 12 მანეთიდან 20 მანეთამდე [1]

ამრიგად, სანარდო მუშაობით მხოლოდ თამბაქოს ფოთლის მრჩეველ მუშებს შეეძლოთ გამოემუშავებინათ დღიურად მანეთი და ორი შაური. თამბაქოს მჭრელები კი ერთ მანეთზე მეტს ვერ გამოიმუშავებდნენ; მაგრამ აქ აღებულია სამუშაო დღის ხანგრძლივობის მაქსიმუმი და ამასთანავე ამ სახის სამუშაოს შემსრულებლის უპირატესობა. ჩვეულებრივ, 12-საათიანი სამუშაო დღის მიხედვით, მრჩეველნი თვეში ღებულობდნენ 16 მანეთს, დამჭრელნი — 25 მანეთს. შემხვევნი — 8 მანეთს, პაპიროსის მკეთებელნი კი — 12 მანეთს. საშუალოდ აქედან თვიურად მუშაზე მოდის 15 მანეთი და 20 კაპ., დღეში — ათი შაური. ენფინჯიანცის ფაბრიკაში ამავე დროს მუშაობდა 60 ბავშვი, რომლებიც აკეთებდნენ პაპიროსის კოლოფებს და აკრავდნენ მას იარლიყს. თითოეულ მუშა ბავშვს კვირაში უხდიდნენ 80 კაპ.-დან 1 მანეთსა და ხუთ შაურამდე, დღიურად კი უწევდა 13 კაპ., იშვიათად მეტი [2]. მეპაპიროსე მუშა მამაკაცი ამ ფაბრიკაში დღიურად ათას ცალ პაპიროსზე მეტს იშვიათად აკეთებდა.

„საერთოდ ამ წარმოებაში (ენფინჯიანცის ფაბრიკაში) საშუალოდ დღეში 32—33 ათას პაპიროსზე მეტი არ მზადდება (60—70 მუშა)“, — ვკითხულობთ „კავკაზში“ [3]. თითოეულ მუშაზე, ამრიგად, მოდიოდა 500—600 ცალი პაპიროსი. ათას ცალ პაპიროსზე მუშას უხდიდნენ ექვს შაურს (ის, ვინც შეძლებდა ორი ათასი პაპიროსის დამზადებას, იღებდა სამ აბაზს). საშუალოდ თითოეულ მეპაპიროსე მუშას დღიურად უწევდა სამი შაურიდან ერთ აბაზამდე.

---

[1] П. Жуков, Несколько слов о рабочем вопросе..., «Кавказ», 1874, № 46.

[2] იქვე.

[3] იქვე.

არც სხვა თამბაქოს ფაბრიკაში ყოფილა უკეთესი მდგომარეობა. მუშათა ხელფასი ამ ფაბრიკებში 70-იან წლებში არ აღემატებოდა ენფინჯიანცის ფაბრიკის მუშათა ხელფასს[1]. 80 — 90-იან წლებში ბოზარჯიანცის ფაბრიკის თითოეული მუშა სანარდო მუშაობით დღიურად 1 მანეთსა და 25 კაპიკზე მეტს ვერ იღებდა. ეს მაშინ, როცა მათ სახლიდან მოჰქონდათ დამზადებული ჰილზები. ათას ცალ პაპიროსზე მუშას ეძლეოდა ათი შაური. მაგრამ მუშას, რომელიც ფაბრიკაში 15—16 საათს მუშაობდა. წინა ღამეს სახლში უნდა დაემზადებინა საპაპიროსე ჰილზები.

ამრიგად, სანარდო მუშაობის სისტემის გამო მუშები მაქსიმალურად ამცირებდნენ დასვენებას და უძილოდ ატარებდნენ ღამეებს თავაუღებელ შრომაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუშა საპაპიროსე ჰილზების დამზადებაში იშველიებდა თავისი ოჯახის წევრებს — ცოლსა და ბავშვებს. ასე რომ მის დღიურ ხელფასში, რაც არ აღემატებოდა 1 მანეთსა და 25 კაპიკს, თავისი წილი ედო თითქმის მთელ ოჯახს. მაგრამ მარტო მუშაზე და მის ოჯახზე არ ნაწილდებოდა ეს გამომუშავებული ფული. კვალიფიციურ მეპაპიროსე მუშას, რომელიც ნარდად მუშაობდა ფაბრიკაში, ხშირად თავის თანაშემწედ ჰყავდა მცირეწლოვანი. იგი შველოდა მას მთელი მუშაობის მანძილზე. ამ დამხმარე ძალის ფასი ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო იმ 1 მანეთსა და 25 კაპიკიდან, რასაც ნარდად მომუშავე ღებულობდა დღიურად.

თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მუშების ოჯახები სანარდო მუშაობის პირობების გამო, ამას კარგად მოწმობს მოგონებები ძველი მუშებისა, რომლებმაც გადაიტანეს მაშინდელი საფაბრიკო-საქარხნო შრომის მთელი საშინელება. „მაშინ (80-იან წლებში), — ამბობს ერთი ძველი მუშა, — სანარდო სისტემა იყო და ძმას სახლშიც მოჰქონდა სამუშაო. მთელი ოჯახის წევრებს გვამუშავებდა — ჰილზებს ვახვევდით. შუაღამისას, როცა ძილი შეგვეპარებოდა, ძმა ჯოხით ხელში თავზე გვადგა და არ გვაძინებდა. ხშირად ჩემ დას ძილი მოერეოდა, ძმა ჯოხის ცემით აღვიძებდა საწყალ გოგოს და ტახტიდანაც გადმოაგდებდა — როგორ გაბედე დაძინებაო. არც ის იყო გასამტყუნარი. თუ ღამით არ დაამზადებდა მასალას, დღისით ვერაფერს გამოიმუშავებდა“[2]. დამხმარე მცირეწლოვან მუშათა მდგომარეობა არც ერთ ქარხანაში არ იყო უკეთესი. „9 წლის ვიყავი, როცა ჯიმშეროვის თამბაქოს ფაბრიკაში მიმაბარეს, — ამბობს იგივე მუშა, — ბანდეროლებს ვკრავდი, დღეში შვიდ კაპიკს მაძლევდნენ. მუშაობას ვიწყებდით დილის 7 საათზე და საღამოს 9—10 საათამდე იქ ვიყავით“[3].

---

[1] П. Жуков, Несколько слов о рабочем вопросе...

[2] მლისუპა, ფ. 34, საქ. 97, ფურც. 2.

[3] იქვე.

70-იან წლებში თბილისის სტამბებში ასოთამწყობები და მბეჭდავები საშუალოდ თვიურად 27 მანეთს ღებულობდნენ, ხოლო სტამბის დანარჩენი მუშები — 9 მანეთს[1]. ჩვეულებრივი მუშა, ამრიგად, 12-საათიან სამუშაო დღეში ექვს შაურს ღებულობდა. მაგრამ ეს ხელფასი აღებულია როგორც საშუალო 7 მანეთიდან 12 მანეთამდე. გამოდის, რომ დღიურად მუშის ჩვეულებრივი ხელფასი შეადგენდა 23 კაპიკს. კიდევ მეტი: ბავშვები, რომლებიც იმდენივე ხანს მუშაობდნენ სტამბაში, რამდენსაც დიდები, თვიურად ღებულობდნენ 2 მანეთიდან 4 მანეთამდე[2], საშუალოდ — 3 მანეთს, დღეში კი ორ შაურს; მაგრამ მცირეწლოვანი მუშებისათვის ჩვეულებრივი ხელფასი დღეში 7 კაპიკი ყოფილა.

ხელფასის მიხედვით სტამბაში მომუშავე ასოთამწყობები და მბეჭდავები იყვნენ პირველ ადგილზე. მექანიკურ სახელოსნოებში კი—ზეინკლები, ხარატები და მჭედლები. ხელფასს ეს მუშები იღებდნენ არა შრომის პროდუქტიულობისა და კვალიფიციურობის შესაბამისად, არამედ იმის მიხედვით, თუ ქარხნის პატრონი რას მოისურვებდა. რას გაიმეტებდა მათთვის.

რუქსის მექანიკურ სახელოსნოში ხელოსანი ოსტატები თვიურად არაიშვიათად მხოლოდ 15 მანეთს იღებდნენ. ამიტომ ხელოსანი ოსტატები ამჯობინებდნენ ემუშავათ არა თვიურად, არამედ ნარდად[3].

ჭიათურის მაღაროს მუშები იყოფოდნენ მადნის მნგრეველ, მგორებელ და მადნის გადამრჩეველ მუშებად. პირველნი მადანს წერაქვით ანგრევდნენ, მეორენი მონგრეულ მადანს გოდრებით ეზიდებოდნენ მაღაროდან ბაქნამდე, მესამენი მადანს ახარისხებდნენ და წმენდდნენ. მარგანეცის მრეწველობის მუშებად ითვლებოდნენ აგრეთვე მტვირთავები და ჩალვადრები. ჭიათურის შავი ქვის წარმოებაში თავიდანვე სანარდო სისტემა გაბატონდა. ყველა დარგის მუშები აქ ნარდად მუშაობდნენ. მუშაობა გრძელდებოდა 16—18 საათს დღეში. ხელფასის მიხედვით პირველ ადგილზე მნგრეველები იყვნენ. მათი დღიური გამომუშავება ადიოდა ერთი მანეთიდან 1 მანეთსა და 25 კაპიკამდე. მადნის მზიდავ-მგორებელთა ხელფასი თოთხმეტი შაურიდან ერთ მანეთამდე აღწევდა, მადნის დამხარისხებელთა — ათი შაურიდან ოთხ აბაზამდე. დამხარისხებელთა საგრძნობ ნაწილს შეადგენდნენ ქალები და ბავშვები. ქალების ხელფასი ორ აბაზს არ აღემატებოდა, ხოლო ბავშვები (12 წლიდან 15 წლამდე) ღებულობდნენ ორი შაურიდან ორ აბაზამდე[4].

მოიჯარადრეები მარგანეცით ვაგონების დატვირთვის სამუშაოს მტვი-

---

[1] «Кавказ», 1874, № 49.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ქს. კ ვ ა ნ ტ რ ე, ჭიათურის სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, გვ. 35.

რთავ მუშებს ასრულებინებდნენ. ერთი ვაგონის დატვირთვა (765 ფუთი) ღირდა სამი აბაზიდან თვრამეტ შაურამდე. მტვირთავი მუშებიც ამის მიხედვით ღებულობდნენ ხელფასს[1].

უფრო სავალალო იყო ჩალვადარი მუშების მდგომარეობა. ვიწრო და ციცაბო გზებზე უხდებოდათ მათ ტვირთის ზიდვა. ამ პირობებშიც ხუთი ვერსის მანძილზე ფუთი მადნის გადაზიდვაში ისინი იღებდნენ ორ კაპიკს. ცხენს შეეძლო ერთ გზაზე წაეღო ათ ფუთამდე და ჩალვადარს დღეში გაეკეთებინა 4—5 გზა. ამრიგად, ის დღეში მიიღებდა ოთხ აბაზს ან ერთ მანეთს, რომლითაც ცხენიც უნდა გამოეკვება და ოჯახიც ერჩინა.

90-იან წლებში ჭიათურის შავი ქვის წარმოებაში გავრცელდა მუშათა დაქირავების განსაკუთრებული სანარდო წესი: მრეწველები უთანხმდებოდნენ მუშათა ჯგუფს, რომ რკინიგზის ბაქნამდე მიეტანათ გაწმენდილი მადანი. ბაქანზე მიტანილ და გაწმენდილ მადანში ფუთზე მრეწველი იხდიდა 3 — 3,5 კაპიკს. ასე გავრცელდა ეგრეთ წოდებული საფუთო წესი და აქედანვე წარმოსდგნენ „მეფუთე“ მუშები. ეს წესი კიდევ უფრო აუარესებდა მუშათა მდგომარეობას. „მეფუთე“ მუშები ფულს ღებულობდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი წონით ჩააბარებდნენ მადანს რკინიგზის ბაქანზე. მაღაროდან ამოღებული მადნის დაბნევა-დაკარგვისათვის პასუხს აგებდა „მეფუთე“ მუშა. მრეწველი არ ფიქრობდა იმაზე, რომ ცუდი ამინდის დროს შეიძლებოდა მოგროვებული მადანი ნიაღვარს წაელეკა, ან საპალნიანი ცხენი წაქცეულიყო და კლდეში გადაჩეხილიყო, ან ურემი გადაბრუნებულიყო, და, ამრიგად, მადანი დაკარგულიყო. არც იმაზე ფიქრობდა მრეწველი, რამდენ ენერგიას ხარჯავდა „მეფუთე“ მუშა მადნის გაწმენდაზე. იგი წონით იღებდა გაწმენდილ მადანს და რას დაეძებდა, თუ კანტორის ქურდი მწონავი წონაში ატყუებდა მუშას, პარავდა მას მოტანილი მადნის თითქმის მესამედს.

1897 წელს გაზეთი „ივერია“ ჭიათურის შავი ქვის მუშების შესახებ წერდა: „მუშა, რომელიც დილიდან საღამომდის შავი ქვით გასვრილი თავაუღებლად მუშაობს, რომელიც ხან სამოცის საჟენის და მომეტებულ წილად კი ასის საჟენის სიგრძეზე მიძვრება მიწაში, დღეში ათ შაურსაც ვერ იღებს“[2].

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში 90-იანი წლების ბოლოსაც სამუშაო დღე არ იყო განსაზღვრული. „ჩვენი მთავარი იარაღი, — იგონებდნენ მაღაროს ყოფილი მუშები, — წერაქვი და ბარი იყო; ჩვენთვის არ არსებობდა მუშაობის განსაზღვრული დრო. სამუშევრად ადრე დილას გამოვიდოდით და მზის ჩასვლამდის ვმუშაობდით“[3]. ეს მუშები მაღაროს ახ-

---

[1] ქს. კვანტრე, ჭიათურის სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, გვ. 35.
[2] „ივერია“, 1897, № 98.
[3] ქს. კვანტრე, დასახელებული წიგნი, გვ. 25.

ლომახლო სოფლებში ცხოვრობდნენ და მუშაობის დამთავრების შემდეგ ღამ-ღამობით თავიანთ სახლებში მიდიოდნენ. ცუდი ამინდის დროს კი თავს აფარებდნენ სახელდახელოდ დადგმულ ფაცხებს. ისინი მოწყვეტილი არ იყვნენ თავიანთ მეურნეობას და უსახსრობის გამო იძულებული ხდებოდნენ მეტად დაბალ ხელფასზე ემუშავნათ. 1897 წელს ასეთი მუშები მთელი დღის განმავლობაში თოთხმეტ შაურს ღებულობდნენ[1].

პრიმიტიული იარაღებით შავი ქვის მოპოვება, რასაკვირველია, არ იყო პროდუქტიული. ამიტომ მრეწველები შეჯიბრებას აწყობდნენ. შეჯიბრებაში გამარჯვებული, ილაჯგაწყვეტილი შავი მუშები, რომლებიც თვიურად მუშაობდნენ, საალდგომოდ „პრემიის“ სახით საჩუქარს ღებულობდნენ. ამ ჯილდოსათვის მაღაროს მუშას მთელი წლის განმავლობაში თავაუღებლად უნდა ერტყა წერაქვი ქვანახშირის ქანებისათვის.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებიდან ნახშირის გამოზიდვისა და გაცხრილვა-გაწმენდის საქმეში მონაწილეობდნენ ბავშვებიც, რომელნიც დღიურად იღებდნენ ექვსი შაურიდან ორ აბაზამდე[2].

რკინიგზის მშენებლობამ ამიერკავკასიაში და საქართველოში დიდძალი მუშახელი მიიზიდა სოფლებიდან. ამ მუშების უმეტესობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, იყვნენ გლეხები, რომლებიც, რკინიგზის მშენებლობაზე მძიმე შრომას ეწეოდნენ, მაგრამ თავიანთ საკუთარ მეურნეობასთან კავშირს არ წყვეტდნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო მათი მდგომარეობა. სიღატაკე და უსახსრობა აიძულებდა მათ მეტად დაბალ ფასად ემუშავნათ.

„თითქმის ყოველ დღე შეხვდებით აქ (ფოთსა და რიონს შუა) 10 — 15-ამდის გროვით მომავალ ხალხს, — წერდა ჭალადიდელი გაზეთ „კვალში“, — საგზლით ზურგზე, რომლებიც თხოვენ „პოდრიადჩიკს“ სამუშაოს. ისიც სარგებლობს ამათი სიმრავლით და ეუბნება: „მე საკმაო მყავს მუშები, მარა მაინც მიგიღებთ, ამ ფასად თუ იმუშავებთ“ (თუ ამ დროს მუშას აძლევს დღეში მანეთს, იმათ შეაძლევს სამ აბაზს). ამათი და კიდევ სხვა ახალმოსულების მიზეზით დღიური ფასი კიდევ ძირს იწევს და ასე ამგვარად დღეში ისინი 40 — 50 კაპიკს ძლივს იღებენ. ამ ფასათ ისინი მუშაობენ დილის ხუთის ნახევრიდან, საღამოს შვიდ საათამდე (სადილისათვის და საუზმისათვის ერთი საათი თავისუფლება აქვთ). ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მუშები თავის ბინაზე მხოლოდ ცხრის ნახევარზე თუ ცხრაზე იქნებიან (მუშა-მატარებელს სხვა და სხვა მიზეზების გამო ხშირად აგვიანდება); მისვლის შემდეგ იმათ უნდა მოიმზადონ ვახშამი და აგრეთვე მეორე დღისათვის საგზალი; ასე, რომ ღამის 12—1 საათამდის უნდა იცოდვილონ და დილით კი ოთხ საათამდე მზათ უნდა იყვნენ გზაში

---

[1] ქს. კ ვ ა ნ ტ რ ე, ჭიათურის სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, გვ. 25.
[2] იქვე.

წასასვლელად, რადგანაც ამ დროს მუშა-მატარებელი გადის. ამგვარად დილის ოთხი საათიდან ღამის თორმეტ საათამდის, ე. ი. 20 საათს (თუ მივიღებთ მხედველობაში თავის თავზე მუშაობასაც) დაუსვენებლათ არიან“ [1].

80-იან წლებში საერთოდ მთელ ამიერკავკასიაში მუშათა ხელფასი ეცემოდა. ამას ოფიციალური წრეებიც ამჩნევდნენ. ოპოზიციურად განწყობილი მათი ლიბერალური წარმომადგენლები კი საჯაროდ იწყებდნენ მსჯელობას მუშათა საკითხზე. „თავისთავად ცხადია, — ვკითხულობთ გაზეთ „კავკაზში“ ბათუმის მტვირთავი მუშების შესახებ, — რომ სამუშაოს მძებნელთა ასე დიდი მოზღვავება მათი ეროვნული შემადგენლობის სიჭრელესთან ერთად დამქირავებლებს უწყობს ხელს. საჭიროზე ნაკლები მოთხოვნილება მუშახელზე წარმოშობს გაძლიერებულ კონკურენციას მუშახელის ბაზარზე, რასაც თან მოაქვს ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გახანგრძლივება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე დაქირავებულთა სოლიდარობას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ მათ ერთმანეთის არ ესმით, და ამით სუსტდება მათი წინააღმდეგობა სამუშაოს მიმცემთადმი. ესაა იმის მიზეზი, რომ ზაფხულში სამუშაო დღე 10,5 საათს შეადგენს, ზამთარში კი უფრო ხანგრძლივი ხდება: მუშაობენ, სანამ ხედავენ. ასევეა ხელფასის საქმეც. მაგალითად, ერთი მრეწველი, რომელსაც აქვს დიდი კანტორა და ქირაობს არაიშვიათად 100—150 მუშას, თვითეულ მათგანს ხელფასს აძლევს საშუალოდ 80 კაპიკს ზაფხულობით და 70 კაპიკს — ზამთრობით. ამრიგად, უკანასკნელ შემთხვევაში, ხელფასის შემცირება მიმდინარეობს სამუშაო დღის გაგრძელების პარალელურად, ხოლო როგორც ერთი, ისე მეორე თავის ახსნას პოულობს მუშათა არაჩვეულებრივ მოზღვავებაში და მათ გაძლიერებულ კონკურენციაში განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში... თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა დანარჩენ პირობათა სიმძიმეს, რომელიც კისრად აწევს ბათუმელ მუშას, 70—80 კაპიკი ხელფასი „ნორმალურადაც“ მოჩანს. მაგრამ ბათუმში ცხოვრების სიძვირის, განსაკუთრებით ბინების სიძვირის პირობებში, როცა 12 კვ არშინიანი უბრალო პატარა ოთახი სადმე ბარცხანას უკან ღირს თვეში 4 მანეთი, — 70 კაპიკით ძლივსძლივობით თუ მოითქვამ სულს, ე. ი. გასძლებ თვითონ და გაუგზავნი რამდენიმე გროშს ნახევრად მშიერ ოჯახს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო დღეები იშვიათად აღემატება 120 დღეს, ეს ხელფასი უაღრესად დაბალი აღმოჩნდება“[2].

90-იან წლებში როტშილდის ქარხნის მბურღავი მუშები, 12-საათიან

---

[1] „კვალი“, 1898, № 35.

[2] «К вопросу о положении нагрузчиков», из батумских обследовании, «Кавказ», 1988, № 38.

სამუშაო დღეში (1,5-საათიანი დასვენებით სადილისათვის) ღებულობდნენ ერთ მანეთს, მაგრამ ეს ხელფასი მთლიანად როდი ეკ-ლეოდა მუშას. ქარხნებში ფართოდ იყო გავრცელებული დაქვითვები და ჯარიმები. როტშილდის ქარხანაში მუშებს უქვითავდნენ ხელფასიდან 7—10%-ს წუნდებული პროდუქციის საზღაურად, აჯარიმებდნენ გაცდენებისათვის წესრიგის დარღვევისათვის, დაზგების დაზიანებისა და მასალების წახდენისათვის [1]. ქარხნის მმართველს ანგარიშსწორების წიგნაკში მუშების მიერ შესრულებული სამუშაო შემცირებული რაოდენობით შეჰქონდა. ყოფილა შემთხვევები, რომ მუშებს ყოველდღიურად ასეთი ანგარიშსწორების შედეგად დაკლებიათ სამუშაო ხელფასის 7% [2].

მეფორნე მუშები მუშაობდნენ დილის ექვსი საათიდან საღამოს ექვს საათამდე. ცუდი ამინდის დროს ნავსადგურში მუშაობა წყდებოდა, ქარხნებში კი — გრძელდებოდა ყოველგვარ ამინდში. თუ ქარხნის მუშები დღიურად ღებულობდნენ 14 შაურიდან 1 მანეთამდე, მეფორნე მუშებს, თავიანთი ცხენებით და მთელი ტვირთსაზიდი გამართულობით, ერთ გზაზე 5-დან 6 შაურამდე უწევდათ.

საქართველოს სამრეწველო ცენტრების ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ იყო გამოყენებული ბავშვებისა და ქალების შრომა. ჯერ კიდევ 1874 წელს ოფიციოზი „კავკაზიც“ კი აღნიშნავდა საფაბრიკო-საქარხნო შრომის უარყოფით გავლენას მოზარდ თაობაზე. მანქანური წარმოების ზრდამ კიდევ უფრო გააფართოვა ბავშვთა შრომის გამოყენება ფაბრიკა-ქარხნებში. „ქარხანაში მომუშავე ბავშვის წლოვანება, 8 წლიდან იწყება. უმეტესობა 9—11 წლისაა, შეხვდებით ისეთსაც, 4—5 წელიწადია აქ ვმუშაობო, რომ გეტყვით; ტანით 8 წლის ბავშვის ოდენაა, წლოვანებით კი 13—14 წლისაა. უმეტესობას სიცოცხლის ელფერი აღარა აქვს. პირი ჩამოყვითლებულ-ჩამომჭკნარი აქვთ, თვალები ჩაღრმავებულ-ჩაშავებული, ყურები გათხელებული, ბაგე ჩატეტკილი და ხელფეხი დამწვარივით გატრუსული. ნახავთ იმისთანებსაც, — ორი-სამი თითიც აკლიათ ხელზე მანქანის შემწეობით“[3].

არ არსებობდა არავითარი დაზღვევა უბედური შემთხვევის დროს. ქარხანაში მუშაობისას დაზარალებულ მუშას მხოლოდ სასამართლოს წესით შეეძლო მოეთხოვა ფული შრომის უნარის დაკარგვის საკომპენსაციოდ, თუკი შეძლებდა დაემტკიცებინა, რომ მას უბედურება შეემთხვა მანქანისაგან.

მუშები ავადმყოფობის დროს ხელფასს არ ღებულობდნენ. მოკლე-

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. 121.

[2] იქვე.

[3] „კვალი“, 1898, № 41.

ბულნი იყვნენ საექიმო დახმარებას. „მუშათა ოჯახები (ცოლები, ბავშვები, ნათესავები) ფაბრიკანტებისათვის არ არსებობენ, ისინი ან თავის ხარჯზე მკურნალობენ, ან სულ არ მკურნალობენ“ [1]. საექიმო დახმარება სრულიად არ იყო თვით ქარხნებშიც. ექიმი იშვიათად გამოჩნდებოდა საწარმოში და მაშინაც, ჩანს, უხეშად ეპყრობოდა ავადმყოფ მუშას[2].

1902 წლამდე არც კავკასიის და არც საქართველოს სამრეწველო ცენტრებში არ არსებობდა საფაბრიკო-საქარხნო ინსპექცია. ქარხნის ადმინისტრაცია თვითნებურად სჯიდა მუშებს. მუშტიკრივი, ფიზიკური დასჯა ძალზე გავრცელებული იყო. „ოსტატი უდიერად გვექცეოდა ქარგლებს, — ამბობს ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის ყოფილი მუშა ალექსი ბედიაშვილი, — ჩვენი ოსტატი თავის პირად საქმეებზე მუშაობდა. მთელი კვირის განმავლობაში ფაბრიკაში არ მოდიოდა. ერთხელ მე მივუტანე ჩვენ ოსტატს მისი ქარგლების მიერ გამომუშავებული ხელფასი ასი მანეთი და ვთხოვე — მომეცი ჩემ ჯამაგირში სამი მანეთი, როგორც ცოლშვილის პატრონს, ძალიან მჭირდება-თქო. ოსტატმა პასუხის მაგივრად ისეთი ძლიერი სილა გამაწნა, რომ სისხლი წამსკდა, თანაც მომაძახა — სად არის ფული, აქ კალატოზებს ვერ უსწორდები და შენ ფულს მთხოვ, როგორ გაბედე ფულის მოთხოვაო. ჩემი ოსტატი გამონაკლისი არ იყო. ასევე იქცეოდა მნიშვნელოვანი ნაწილი ოსტატებისა“[3].

1900 წლის აგვისტოში თბილისის რკინიგზის სახელოსნოების გაფიცული მუშები ადმინისტრაციისადმი წარდგენილ პეტიციაში ერთ მთავარ მოთხოვნად მუშების ფიზიკური დასჯის მოსპობას აყენებდნენ. მუშები აღნიშნავდნენ: „იმ ხალხს, რომელსაც არაქათი ელევა სახელოსნოებში მძიმე, ჯოჯოხეთური მუშაობით და დღიურად სამ აბაზზე მეტს ვერ ღებულობს, სცემენ ხშირად ბრიგადირები, ქარხნის ადმინისტრაციის ესლაქიები“[4].

შეგირდების ყოფა-ცხოვრების წარმოსადგენად საყურადღებოა ოფიციალური მოხსენების ცნობები: „ხელფასს შეგირდებს არ აძლევენ. ოსტატები ვალდებული არიან კვებონ შეგირდები, მისცენ მათ ბინა და ტანსაცმელი. როგორც წესი, მოწაფეები ცხოვრობენ ციცვსა და ნესტიან სახელოსნოებში, რომელსაც არასდროს არ ათბობენ, წვებიან ცარიელ იატაკზე, იკვებებიან ხმელი პურით და ისიც არასაკმარისად, ნახევრად მშიერი რჩებიან. ოსტატი ცოტა პურს აძლევს მათ. ამას თუ დავუმატებთ ოსტატების და ქარგლების შეგირდებისადმი საძულველ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, რაც ჩვეულებრივია ამ წრეში, მუშტი-კრივსა

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. 121, ფურც. 24.
[2] იქვე, ფ. 37, საქ. 61.
[3] იქვე, ფ. 34, საქ. 450.
[4] იქვე, ფ. 37, საქ. 61.

და პანღურს უმიზეზოდ, მაშინ გასაგები იქნება ის აუტანელი და მძიმე მდგომარეობა სახელოსნოს შეგირდებისა, რომელიც აიძულებს ამ უკანასკნელთ იარონ ერთი ხელოსნიდან მეორე ხელოსანთან ადამიანური მოპყრობის საძიებლად. შეგირდებს შინამოსამსახურეებად აქცევენ, რის შედეგად მათ ავიწყდებათ ხელობა"[1].

მუშათა ბინები. კვება. აუტანელი იყო მუშათა საბინაო პირობებიც. საქართველოს სამრეწველო ცენტრების მუშათა მოსახლეობა შეადგენდა მიუსაფარ მასას, რომელიც მოკლებული იყო არა მარტო ჩვეულებრივ ბინებს, არამედ უბრალო თავშესაფარ ადგილებსაც კი. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მუშები ცხოვრობდნენ სახელდახელოდ გამართულ კარვებში, სადაც ისინი, რასაკვირველია, მოკლებული იყვნენ ელემენტარულ ჰიგიენურ პირობებს, გარდა იმისა, რომ ზამთრობით აქ სიცივისაგან ითოშებოდნენ.

არც ჭიათურის სამთამადნო მრეწველობის მუშებს ჰქონდათ ბინები და ისინი ცის ქვეშ ათენებდნენ. ჭიათურის სამთამადნო მუშათა საბინაო პირობების შესახებ 1904 წელს „ისკრა" წერდა: „ჭიათურის შავი ქვის საწარმოებში არავის არ მოეპოვება მუშებისათვის საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მინიმალურად მაინც დაიცავენ ჰიგიენის მოთხოვნებს. მრეწველთა უმეტესობას მუშებისათვის სახლები სულ არა აქვს. ის, რაც არის, ნაჩქარევად გაშენებული ხის ნოტიო, ბნელი და ტალახიანი ფარღალალა ბარაკებია, სადაც ზამთარში იმდენად ცივა, რომ არც ერთი მუშა არ დათანხმდება ღამე გაათიოს იქ"[2].

მეტ-ნაკლებად ასეთივე მდგომარეობა იყო 80—90-იან წლებშიც.

ბათუმის სამრეწველო მუშებიდან თითქმის ვერც ერთი ვერ ახერხებდა ეშოვა ბინა. მუშების ოჯახის უმეტესობა ცხოვრობდა პატარა და ბნელ ოთახებში. უსახსრობის გამო მუშები ბათუმის გარეუბნებში ქირაობდნენ ბინებს, სადაც უკიდურეს ანტიჰიგიენურ პირობებში ცხოვრობდნენ. პატარა ბნელ და იატაკდამპალ ოთახში, რომლის ფართობი არ აღემატებოდა 12 კვ არშინს, თვიურად იხდიდნენ 4 — 6 მანეთამდე. ასეთ ოთახში თავსღებოდა შვიდ სულამდე[3].

ეკონომიის გაწევის მიზნით ერთ ოთახში ხშირად ორი ოჯახი ცხოვრობდა, რომ არაფერი ვთქვათ მარტოხელა მუშებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით იყრიდნენ თავს ერთ ოთახში. მუშების ერთი ნაწილი დაეხეტებოდა დუქნებში, სამიკიტნოებში და ყავახანებში, სადაც ღამის გასათევად თითოეული მათგანი იხდიდა შაურს. ისინი ცარიელ სკამ-ლოგინზე

---

[1] „კვალი", 1898, № 41, მლისფპა, ფ. 37, საქ. 27, ფურც. 29.
[2] «Искра», 1904, № 65.
[3] მლისფპა, ფ. 37, საქ. 121; «Кавказ», 1898, № 38.

ან იატაკზე წვებოდნენ, აუტანელ მტვერსა და სიბინძურეში ატარებდნენ ღამეებს[1].

„მუშების ბინები (არა საკუთარი, არამედ ნაქირავები), — წერდა მ. სეგალი ბათუმის მუშების საცხოვრებელი პირობების შესახებ, — ერთ ყაიდაზეა აგებული გრძლად, თხელი ფიცრებისაგან, დაბალჭერიანია და ჩამწკრივებულია ერთ ან ორ მოპირდაპირე რიგად; ისინი დაყოფილია გალიებივით პატარა ოთახებად. იატაკი, ცალფა თხელი ფიცრებისაგანაა შეკოწიწებული, უმეტეს შემთხვევებში პირდაპირ მიწაზეა დაგებული, რაიმე სავენტილაციო არეს დაუტოვებლად. ვიწრო, პატარა პარმაღი, პატარა ფანჯრები, ამოყვანილი ყოველ კართან, ერთადერთი ნიშანია, რომელიც ასეთ ნაგებობას ადამიანის საცხოვრებელს ამსგავსებს და გარეგნულად განასხვავებს თავლისაგან. უმრავლეს შემთხვევაში იატაკი დამპალი აღმოჩნდა, დახვრეტილი და ფარღალალა. სიდამპლისა და მისგან გამოწვეული ნგრევის ნიშნები ემჩნეოდა კედლებსა და ჭერს. ვნახეთ ისეთი სადგომიც, სადაც მიწური იატაკი იყო, მრავალ ადგილს ჩაღრმავებული. ხშირად იატაკი 1/4 არშინზე იყო მიწაში ჩაღრმავებული, რაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელს ხდის ასეთ ბინებში წვიმის წყლის ჩადგომისას. პატარა ფანჯრები, ჩვეულებრივ თითო-თითო თითოეულ ოთახზე, გაჭუჭყიანებული, გაქონილია; ჩამტვრეული მინების მაგივრად აკრულია თხელი ფიცარი, თუნუქი, მუყაო, ანდა ჩვრებითაა გამოტენილი. ასეთია ხის სახლები, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში არც ბეტონის ან ხე-აგურის სახლები აღმოჩნდა. აქაც ისეთივეა განლაგება ოთახებისა, რომლებიც უფრო ქვის ყუთებს გვანან; ოთახს ერთი პატარა ფანჯარა აქვს, მაგრამ გვხვდება სულ უფანჯრო ოთახებიც. აი ასეთი სახლებით, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქოხმახების ქსელით არის მოფენილი მთელი ქალაქი...“[2].

არანაკლებ მძიმე იყო თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა საბინაო პირობები: „მუშები ცხოვრობდნენ სარდაფებში, დარაბებში, ქალაქის განაპირა ჭუჭყიან და ტალახიან ადგილებში — რკინიგზის გადაღმა მხარეს, ნაძალადევში, ხარფუხში და ავლაბრის განაპირა მხარეს...“[3]. ტრამვაის მუშები თავლებში ცხენებთან ათევდნენ ღამეს. აგურის ქარხნის მუშები იძულებულნი ხდებოდნენ მეტად დაბალი ხელფასის პირობებში გაეწიათ მძიმე შრომა. ზამთარში ისინი ქარხანაში ცხოვრობდნენ და ამრიგად „უფასო ბინით“ სარგებლობდნენ, ხოლო ზაფხულობით ღია ცის ქვეშ ათენებდნენ ღამეებს. ცუდ ამინდში თავს აფარებდნენ მერცხლის ბუდეებივით ვიწრო და შეხუთულ კარვებს, რომლებსაც არ ჰქონდა იატა-

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. 121.

[2] М. Сегаль, Жилища рабочих в-г. Батуми и меры оздоровлению их, «Черноморский Вестник», 1902, №119, 120, 121, 122, 123, 125.

[3] მლისფპა, ფ. 37, საქ. 27, ფურც. 35.

კი. ზამთრობით წვებოდნენ აგურის ქურებზე ხის ფარდულებში, მტვერში და ყოველგვარი ანაორთქლით გაჟღენთილ ნესტში.

80—90-იან წლებში ჭიათურის სამთამადნო მრეწველობის და ბათუმის ქარხნის მუშები მთელი დღე წყალზე და პურზე გადადიოდნენ, ხშირად მარტო ცივ მჭადზე და წყალზე[1].

ზოგიერთ ქარხანასთან მოწყობილი იყო სასადილო მუშებისათვის. ჩვეულებრივად ამ სასადილოებს ქარხნის ადმინისტრაციის ნოქრები განაგებდნენ. მუშას შეეძლო ნისიად ესადილა, მაგრამ კვირის ან თვის ბოლოს ხოქარი ანგარიშს გაუსწორებდა და მუშას თვიური ხელფასიდან დარჩენილ ორიოდე გროშსღა მიუგდებდა[2].

უპინაობა და საერთოდ უვარგისი ბინები ხდებოდა მიზეზი იმისა, რომ უცოლშვილო მუშების უმეტესობა მუშაობის დამთავრების შემდეგ დახეტიალობდა სამიკიტნოებში და ყავახანებში, სადაც ძალაუნებურად უკანასკნელი გროშიც არაყში უნდა გადაეხადა, ან ჩაი მაინც მოეთხოვა, რომ მედუქნეს გარეთ არ გამოერეკა ისინი[3]. ასეთ მდგომარეობაში მუშები დასვენების მაგივრად კიდევ უფრო იქანცებოდნენ. დამახასიათებელია ძველი მუშების მოგონებანი თბილისში ქარხნებთან არსებული სასადილოების შესახებ. „ბოზარჯიანცმა, — ამბობს ერთი მუშა, — ერთგვარად ჩაგვკეტა ფაბრიკაში — იქვე ეზოში გახსნა სასადილო. ქალაქის სასაკლაოზე თითქმის მუქთად აძლევდნენ ჯიგარსა და ნაწლავებს. ამ ჯიგარისაგან გვიკეთებდნენ ბინძურსა და მყრალ საუზმეს — ერთთავად ჭუჭყიანს. რასაკვირველია ძვირად, ფულს ხელფასიდან გვიკავებდნენ“[4]. „ეს სასადილო კი არა, რაღაც საძაგლობა იყო, — ამბობს მეორე მუშა, — ნესტიანი, ბინძური ოთახი. იქვე, სასადილოს გვერდით მოთავსებული იყო ერთიმეორეზე ოთხი საპირფარეშო. საპირფარეშოების სისუფთავეზე არავინ ფიქრობდა. აქედან წარმოსადგენია, თუ როგორი ჰაერი უნდა ყოფილიყო ჩვენს სასადილოში. საღილები მზადდებოდა მყრალი ხორცისაგან, რაღაც ნახშირის მაგვარი, რომლის ჭამა შეუძლებელი იყო. „საღილებში“ ფულის ნაცვლად მუშებს თუნუქის მარკები უნდა ეძლიათ. ეს მარკები მათ უნდა ეყიდნათ კანტორისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი დღე მშიერი უნდა დაეღამებიათ. მთელი კვირის განმავლობაში თავისი ნამუშევრის ნახევარზე მეტს მუშები ამ „სასადილოში“ სტოვებდნენ“[5].

---

[1] „კვალი“, 1898, № 33.

[2] «Кавказ», 1898, № 38.

[3] М. Сегаль, Жилища рабочих... «Черноморский Вестник», 1902, № 120.

[4] მლისფპა, ფ. 34, საქ. 37, ფურც. 4.

[5] იგვე, საქ. 107, ფურც. 3.

§ 2. მუშათა პირველი გაფიცვები საქართველოში

ჩვენ ვნახეთ, თუ შრომის რა მძიმე პირობებში მოექცნენ მუშათა მასები საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების გაჩენიდანვე, რამდენ გაჭირვებას განიცდიდნენ ისინი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ღრმა ცვლილებებმა გაღატაკებულ გლეხსა და ქალაქის წვრილ მწარმოებელს მაგარი მუჯლუგუნი ჰკრეს, ისინი ერთ ბანაკში შერეკეს და თავზე დაასვეს ახალი, უხილავი ბატონი, უფრო სასტიკი და ულმობელი. ქვეყნის ცხოვრებაში საერთოდ ეს იყო მთელი პროცესი, ზოგან სწრაფი თავისი ღრმა ტკივილებით, ზოგან ნელი და სუსტი. ბურჟუაზიული ურთიერთობის ზრდით განპირობებულმა ამ პროცესმა თავიდანვე აღძრა და გზა მისცა იმ მოძრაობას, რომელიც, როგორც მუშათა კლასის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კარგახანს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ყურადღების გარეშე რჩებოდა.

მუშათა კლასმა საქართველოში 70-იანი წლებიდანვე განიცადა კაპიტალისტური ექსპლოატაციის მთელი სიმკაცრე.

70-იანი წლების დასაწყისში მუშათა მოძრაობა იწყება რუსეთშიც. გაფიცვის პირველივე შემთხვევის გამო მთავრობამ მთელი თავისი აპარატი დარაზმა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. 1870 წლის 6 ივლისის შინაგან საქმეთა სამინისტრო კავკასიის უმაღლეს მმართველობას ნევის ბამბის საქსოვი ფაბრიკის მუშათა გაფიცვის გამო წერდა: „მიმდინარე წლის დასაწყისში პეტერბურგის ახლო მდებარე ერთ უდიდეს ფაბრიკაში მომუშავე მუშები გაიფიცნენ იმ მიზნით, რომ ფაბრიკის მეპატრონეს მოემატებინა მათთვის ხელფასი...“[1]. ამასვე სწერდა სრულიად საიდუმლოდ და ცირკულარულად მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კანცელარიის მესამე განყოფილება თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს.

საფაბრიკო-საქარხნო ცხოვრებას საქართველოში თავიდანვე დაჰყვა მუშათა გაფიცვები. ჯერ კიდევ 1869 წელს ადგილი ჰქონდა გაფიცვებს თბილისის სამხედრო არსენალში. მთავრობამ ამ გაფიცვებს საწარმოდან მუშების დათხოვნით უპასუხა. ყველა შენიშნული და გაფიცვაში მონაწილე მუშა დაითხოვეს[2].

ორი წელიწადი არ იყო გასული მირზოევის ფაბრიკის ამუშავებიდან, რომ 1872 წელს იქ გაფიცვამ იფეთქა. ამ გაფიცვის შესახებ გაზეთი „დროება“ გადმოგვცემს: „აპრილის პირველს, საღამოზე, ფულის დარიგების დროს, ფაბრიკაში გამოუცხადებიათ, რომ თითო თოფის ქსოვაზე

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. № 24.

[2] ვ. ჩ ო ლ ო ბ ა ვ ი ლ ი, ჩემი თავგადასავალი, თბ., 1927, გვ. 77—78.

ორ-ორ შაურს დაგიკლებთო. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი ან სამი აბაზის მაგივრად მიეცემათ ექვსი ან ათი შაური (თოფზე ორი-სამი აბაზი ყოფილა ადრე). ამაშინ ხმა არ ამოუღიათ მუშებს. საკ აპრილს, დილით, მუშები რომ მოგროვილან, ერთად გამოსულან ფაბრიკიდან. „პრიკაზჩიკების“ რჩევისათვის ყური არ უგდიათ: ყველა იმას იძახოდა — „არ ვიმუშავებთ, ერთ ლუკმა-პურს სხვაგანაც ვიშოვით“[1].

მირზოევის ფაბრიკაში 1872 წელს 500 მუშა იყო ჩაბმული. ხელფასის შემცირების გამო მუშების მიერ სამუშაოს ერთობლივად მიტოვება, უეჭველია, მათ წინასწარ შეთანხმებას გულისხმობს. ჩანს, მუშები ორი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებას და ფაბრიკის ადმინისტრაციისაგან მოითხოვდნენ ხელფასის აღდგენას და 3 აპრილს, როცა ფაბრიკის მმართველმა უარით უპასუხა მათ მოთხოვნას[2], მუშებმა ფაბრიკა მიატოვეს. მუშაობა შეწყდა.

მაგრამ გაფიცულთა ნაწილი ისევ დაბრუნებია სამუშაოს, და თუმცა მუშებმა მარცხი განიცადეს და ხელფასის აღდგენას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ფაბრიკასაც დიდი ზარალი მოუვიდა: რამდენიმე კვირას წარმოება სანახევროდ შეწყდა.

მირზოევის ფაბრიკაში შემდეგ წლებშიც ხდებოდა გაფიცვები ხელფასის გამო. მეფაბრიკე შეპირებული დღიური ხელფასით იზიდავდა მუშებს და, როცა ისინი მუშაობას შეუდგებოდნენ, ხელფასს უკლებდა. 1876—1877 წლებში ასობით მუშა ტოვებდა მირზოევის ფაბრიკას. მეფაბრიკე თავისი ნოქრებით უძლური იყო მოესყიდა გაფიცული მუშები, როცა ეს უკანასკნელნი კოლექტიურად მოითხოვდნენ დაპირებული ხელფასის მიცემას. „ტიფლისსკი ვესტნიკი“ 1877 წლის 19 იანვარს მირზოევის ფაბრიკის შესახებ წერდა: „გუშინ, 17 იანვარს, მირზოევის ფაბრიკაში მუშაობა შეწყდა, რადგან მუშებმა ვერ მიიღეს დაპირებული მომატება — თითო თოფ (31 არშინ) ნარმაზე ერთი შაური“[3]. უფრო გვიან, მაისში „ივერია“ წერდა: „შარშან უფ. მირზოევმა ვითომც საქმის გამოკეთებისათვის რუსეთიდან ას ოცი კაცი ქარხნის მუშები მოიყვანა. 1—2 თვის შემდეგ ამათ ისეთი დღე დაადგათ, რომ უკანვე დააპირეს წასვლა და როდესაც უფ. მირზოევმა გზის ხარჯი არ მისცა, უმაღლეს მთავრობას მიმართეს და მთავრობამ ეს მუშები თავის ხარჯით გაისტუმრა და შემდეგ, რასაკვირველია, ქარხნის პატრონს სამაგიერო გადაახდევინა“[4].

მირზოევის ფაბრიკაში მუშათა ხშირ დენას ჰქონდა ადგილი და ამიტომ ძნელდებოდა კონტაქტი მუშათა შორის. ხელმძღვანელობის გარეშე

---

[1] „დროება“, 1872, № 15, გვ. 2.
[2] იქვე.
[3] «Тифлисский Вестник», 1877, № 13.
[4] „ივერია“, 1877, № 13.

სტიქიურად წარმოქმნილი გაფიცვები ამ ფაბრიკაში მუშათა დამარცხებით მთავრდებოდა. საგულისხმოა, რომ მეფაბრიკე არც ადგილობრივ მთავრობას იშველიებდა მუშათა გაფიცვების ჩასაქრობად და არც პოლიციას რევდა ამ საქმეში. ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ მუშებს მუშათა მოძრაობის დაბალ საფეხურზე, როცა ისინი არ იყვნენ შეკავშირებულნი, არ ჰქონდათ ორგანიზაცია და არ შეეძლოთ ერთობლივი ინტენსიური ბრძოლა, ჩვეულებრივად სჭრიდა მეფაბრიკის ისეთი ფანდები, როგორიც იყო მოფერება და დაყვავება, ხელფასის მომატებისა და სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილების შეპირება. „უფ. მირზოევი, — წერდა „დროება", — ხშირად თურმე არიგებს მუშებს და ეუბნება, რომ ეს ფაბრიკა საწყალი ხალხისათვის გავმართეო, რომ ლუკმა პური მოიპოვოთო... ნოქრებიც სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ მუშებს, რომ ლუკმა პურს ეს ფაბრიკა გაჭმევთო"[1]. ასევე არიგებდა მუშებს მირზოევის ფაბრიკის მმართველი, რომელიც „მამაშვილურად" მიმართავდა მათ, როცა უკვე მუშებს შეწყვეტილი ჰქონდათ მუშაობა და ხელფასის აღდგენას თხოულობდნენ. „სხვადასხვა დარიგება მიუცია მმართველს მუშებისათვის, ჩვეულებისამებრ როგორც ადრეცა სცოდნია"[2], — წერს „დროება". მუშებსაც სჯეროდათ ამ „მამაშვილობისა" და უბრუნდებოდნენ ფაბრიკას, თუკი შაურს მოუმატებდა მეფაბრიკე დაკლებული აბაზის ნაცვლად.

1877 წ. სექტემბერში თბილისში ზეიცერის ფაბრიკის მუშა-შეგირდები გაიფიცნენ. შეგირდებმა, როგორც ამას გაფიცვის მომსწრე მიხ. ჩოდრიშვილი გვიამბობს, ფაბრიკის პატრონს ასეთი მოთხოვნები წარუდგინა: 1. თითოეულ შეგირდს ყოველდღიურად მიეცეს პურის ფულად აბაზიდან ექვს შაურამდე. 2. თითოეულ შეგირდს ეძლეოდეს ტანისამოსის ფულად ორი მანეთი და ათი შაური თვეში; 3. აიკრძალოს კვირა-უქმე დღეებში მუშაობა; 4. ნება დაერთოს შეგირდებს თავისუფალ დროს ჟურნალ-გაზეთები იკითხონ.

გაფიცვამ 3 კვირას გასტანა და მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მეფაბრიკე იძულებული გახდა მუშა-შეგირდების ყველა ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა[3].

გაფიცვის მომზადებასა და ჩატარებაში დიდი როლი შეასრულა მუშა-ხელოსანთა კავშირმა, რომლის აქტიურმა და მოწინავე წარმომადგენლებმა არა მარტო თავიანთი აგიტაციის გავლენის ქვეშ მოაქციეს შეგირდები, არამედ გარკვეული მიმართულებაც მისცეს მათ მოთხოვნებს[4].

1878 წლის თებერვალში ზეიცერის ფაბრიკაში იფეთქა მეორე, უფრო

---

[1] „დროება", 1872, № 15, გვ. 2.

[2] იქვე.

[3] მ. ჩ ო დ რ ი შ ვ ი ლ ი, ჩემი თავგადასავალი, თბ., 1927, გვ. 82.

[4] იქვე.

დიდმა გაფიცვამ. „ამ წელს, — წერს მ. ჩოდრიშვილი, — ზეიცერს დიდძალი საქმეები ჰქონდა შეკვეთილი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირთაგან. განსაკუთრებით სახელმწიფო შეკვეთებს ძალიან აჩქარებდნენ. ამ დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა, მეფაბრიკეც ცდილობდა რათა მუშებს ხანგრძლივათ ემუშავნათ, შეკვეთები ჩქარა ჩაებარებინათ. ამიტომ სამუშაო დროს ერთი საათი მოუმატა. თუ წინად მუშა დღეში 15 საათს მუშაობდა, ეხლა სამუშაო დრო 16 საათი გაუხდა, ხელფასი კი ისევ ძველი დაუტოვა. ამასთან, თუ წინათ დილით 5 საათზე იწყებოდა მუშაობა და საღამოს 8 საათზე თავდებოდა, ეხლა ოთხ საათზე იწყებოდა და საღამოს 8 საათზე თავდებოდა... დილის ოთხი საათიდან საღამოს 8 საათამდე უნდა ემუშავნათ. ამ 15—16 საათში მხოლოდ ერთი საათი იყო დასვენება, რაც მეტად მძიმე და აუტანელი ხდებოდა მუშებისათვის. სწორედ ამიზეზიც ეს იყო, რომ 15 თებერვალს, 1878 წელს ზეიცერის ფაბრიკის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოვაცხადეთ"[1].

გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობდა ფაბრიკის ყველა მუშა. მას ხელმძღვანელობდა მუშა-ხელოსანთა კავშირი. მეფაბრიკეს წარედგინა შემდეგი მოთხოვნები: 1. ძველებურად დარჩეს სამუშაო დრო — დილის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ამ სამუშაო დროში შედიოდეს დასვენება საუზმისათვის — ნახევარი საათი, საადილისათვის — 1,5 საათი; 2. დღიური ხელფასი გადიდდეს მანეთ ნახევრამდე; 3. ნარდად მომუშავეს 20% მოემატოს; 4. წარმოებდეს მუშაობის აღრიცხვა საანგარიშო წიგნაკებით.

მეფაბრიკემ გაფიცული მუშების წინააღმდეგ პოლიციას მიმართა. ოთხი მეთაური მუშა დააპატიმრეს. გაფიცვა მაინც გაგრძელდა, თუმცა 70 მუშა ჩამოსცილდა გაფიცულ ამხანაგებს და ისევ დაუბრუნდა სამუშაოს. საყურადღებოა, რომ ოცდაათმა მუშამ, რომლებმაც ბრძოლაზე ხელი არ აიღეს, იმდენი იღონა, რომ აიძულა ის 70 კაცი კვლავ გაფიცულებს შეერთებოდნენ. ახლა უფრო მეტად იგრძნეს მეფაბრიკემ და მთავრობამ მუშების ძალა; მუშები მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას. ფაბრიკანტი იძულებული გახდა დაეთმო, მუშათა თითქმის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. სამუშაო დრო დაყვანილ იქნა 14 საათამდე. დაპატიმრებული მეთაურები გაათავისუფლეს, თუმცა ისინი ფაბრიკიდან დაითხოვეს[2].

ამრიგად, გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით. ამ მოვლენას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე. უკმაყოფილების თესლი მათში შეიძლებოდა გაეღვივებინათ იმ მუშებსაც, რომლებიც ზეიცერის ფაბრიკაში აღარ დაუშვეს და სხვა საწარმოებში გადავიდნენ[3].

---

[1] მ. ჩ ო დ რ ი შ ვ ი ლ ი, ჩემი თავგადასავალი, თბ., 1927, გვ. 83.
[2] იქვე, გვ. 83—86.
[3] იქვე, გვ. 86—87.

1886 წელს გაიფიცნენ თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშები. გაფიცვამ იფეთქა სტიქიურად და გაგრძელდა სამი დღე. იგი გამოიწვია ხელფასის შემცირებამ და ოსტატების თავგასულობამ. მომდევნო წლის თებერვალში კვლავ გაიფიცნენ ამ სახელოსნოების მუშები. გაფიცვა გამოიწვია სამუშაო დროის გადიდებამ, რასაც თან დაერთო მუშათა საერთო უკმაყოფილება სახელოსნოებში გაბატონებული უწესრიგობისა და ადმინისტრაციის თვითნებობის გამო.

თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მიღებული წესის თანახმად, შაბათობით მუშაობა ხუთ საათზე მთავრდებოდა, დანარჩენ დღეებში კი 5 საათსა და 30 წუთამდე გრძელდებოდა. 1887 წლის 14 თებერვლიდან ადმინისტრაციამ სცადა დაერღვია ეს წესი და სავალდებულოდ გაეხადა მუშებს შაბათობითაც ექვსის ნახევრამდე ემუშავნათ. ადმინისტრაციის დადგენილებას მუშები არ დაემორჩილნენ; არც საამქროების მოსყიდული ოსტატების მუქარამ გასჭრა. 14 და 21 თებერვალს მუშაობა წინანდებურად 5 საათზე შეწყდა. ადმინისტრაციის დაბეჯითებით მოთხოვნას, თვითნებურად არ მიეტოვებიათ სამუშაო და ეცნოთ ახალი წესი, მუშებმა გაფიცვით უპასუხეს.

28 თებერვალს, დილით 1000 მუშამ დატოვა სახელოსნოები და გაემართა რკინიგზის სამმართველოსაკენ. პოლიციამ ვერ შეძლო შეეკავებინა აღელვებული მუშები, რომლებიც სრულ წესრიგს იცავდნენ მოძრაობისას და „არავის არ აყენებდნენ შეურაცხყოფას არც სიტყვით, არც მოქმედებით“[1].

გაფიცულ მუშათა წარმომადგენლებმა რკინიგზის სამმართველოს წერილობით წარუდგინეს 9 მუხლად ჩამოყალიბებული მოთხოვნები: 1. შაბათობით მუშაობა წარმოებდეს მხოლოდ 5 საათამდის; 2. ხელფასის დარიგების დღე მუშებს ეთვლებოდეს მთელ და არა ნახევარ სამუშაო დღედ; 3. დაწესდეს რკინიგზის სამმართველოს მიერ დამტკიცებული ერთიანი ტარიფი სანარდო სამუშაოებზე ყველა საამქროსათვის; 4. იძულებითი ზომები არ იქნეს დაშვებული სანარდო მუშაობისათვის; 5. სამუშაოზე დაგვიანებისათვის არ იქნენ დაჯარიმებული მუშები; 6. გაუქმდეს სხვადასხვა უბრალო შემთხვევით გამოწვეული ჯარიმები; 7. მიეცეთ დახმარება ხაშურის რკინიგზის სახელოსნოებიდან თბილისში გადმოყვანილ მუშებს; 8. ამ მოთხოვნების შედეგი გამოიკრას ცნობად თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, ხოლო ეს შედეგი დაჩქარდეს; 9. დღევანდელი დღე — 28 თებერვალი — ჩაგვეთვალოს სრულ სამუშაო დღედ[2].

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. 34, საქართველოს გუბერნატორის მოხსენება კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი.

[2] იქვე, ფ. 37, საქ. 34, ფურც. 2.

სახელოსნოების ადმინისტრაციას უკვე მიეღო ზომები და იმ დროს, როცა სამმართველო ეცნობოდა გაფიცულ მუშათა ამ მოთხოვნებს, იქვე გაჩნდა პოლიცია და ჟანდარმერია კაზაკთა რაზმით[1]. მათ სცადეს დაერწმუნებინათ მუშები, რომ ისინი ცდებოდნენ, რომ გონიერება მოითხოვდა დაბრუნებოდნენ სამუშაოს, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. მუშები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს. პირველი და ორი მარტი უქმე დღეები იყო. 3 მარტს საყვირის ხმაზე მუშები გამოცხადდნენ სამუშაოზე, მაგრამ სახელოსნოებში არ შევიდნენ, შეგროვდნენ ეზოში. სასწრაფოდ იქ გაჩნდნენ გუბერნატორი, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი და სხვ. გაფიცულებს აღუთქვეს, რომ პეტერბურგიდან გამოთხოვილი იქნებოდა ტარიფი, რომლის მიხედვით შეფასდებოდა ყველა სანარდო სამუშაო. არც ამ განმარტებას უმოქმედნია მუშებზე. ისინი აღარ დაუბრუნდნენ წარმოებას და განაგრძეს ჯგუფ-ჯგუფად შეკრება სახელოსნოების ეზოში. 4 მარტს სახელოსნოებს იცავდა საპოლიციო ჯარი. მუშებს სამუშაოზე დაბრუნება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოდან გაგდებით დაემუქრნენ.

სახელოსნოების ადმინისტრაცია იძულებული გახდა ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო. მან ხელახლა შეადგინა საპასუხო განცხადება მუშათა მოთხოვნებზე. თბილისის გუბერნატორი აღნიშნავს: „მას შემდეგ, რაც მე გამოვუცხადე მუშებს მათი მოთხოვნების ახლად შედგენილი პასუხი, მუშებმა დაკმაყოფილებულად ჩათვალეს თავი, შეგვპირდნენ მუშაობის განახლებას"[2].

აშკარაა, რომ ეს ახალი პასუხი მხოლოდ დაპირება იყო. ადმინისტრაციამ აღუთქვა მუშებს, რომ იგი შეიმუშავებდა ტარიფს სანარდო სამუშაოებზე, მას შემდეგ რაც ამ ტარიფს მიიღებდა პეტერბურგიდან; მაგრამ სამმართველოს უფროსის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ტარიფი თვით ალექსანდროვის ქარხანაშიც (პეტერბურგი) არ არის დაწესებულიო[3]. ადმინისტრაციის ეს პასუხიც რომ არ აკმაყოფილებდა მუშებს, იქიდანაც ჩანს, რომ მეორე დღეს, 4 მარტს, სახელოსნოებს პოლიცია იცავდა და მუშებს სათითაოდ, სათანადო გაჩხრეკისა და პირობის ჩამორთმევის შემდეგ, უშვებდნენ სამუშაოდ. 30-მა მუშამ უარი თქვა დაბრუნებოდა სამუშაოს[4].

ასე დამთავრდა თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშების გაფიცვა,

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. 34, ფურც. 5—11, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოხსენება გზათა სამინისტროს რკინიგზების დეპარტამენტისადმი.

[2] იქვე, გუბერნატორის მოხსენება, ფურც. 3.

[3] იქვე, რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოხსენება.

[4] იქვე, ფურც. 6.

რომელმაც 28 თებერვლიდან 4 მარტამდე გასტანა. მუშებმა, მართალია, მარცხი განიცადეს, მაგრამ მთავრობამაც იგრძნო მათი ძალა და შეეცადა უკმაყოფილების მიზეზი დაბალ მოხელეებზე გადაეტანა. თბილისის გუბერნიის უფროსი თავის მოხსენებაში კავკასიის მთავარმართებლისადმი ამ გაფიცვის გამო წერდა: „ვაცნობებ რა ზემოთქმულს თქვენს მაღალკეთილშობილებას, მოგახსენებთ, რომ, როგორც გამოირკვა, თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშების უკმაყოფილების უმთავრესი და ერთადერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ სანარდო სამუშაოს გაანგარიშება ხდება არა დაწესებული ნიხრის მიხედვით, არამედ რკინიგზის ხელისუფალთა შეხედულებით. მუშებმა ამჟამად თანხმობა გამოაცხადეს განაგრძონ მუშაობა, მაგრამ რადგან სანარდო სამუშაოებისათვის მათი დაკმაყოფილების წესი წინანდელი რჩება, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პირველივე გაუგებრობისთანავე ის უწესობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 27, 28 თებერვალს და 3 მარტს, შეიძლება კვლავ განმეორდნენ და ამასთან ისე გართულდნენ, რომ მათ დანაშაულებრივი ხასიათი მიეცეს. ასეთი მოვლენების აღსაკვეთად საჭიროდ მიმაჩნია, რომ გზათა სამინისტრომ დაავალდებულოს ამიერკავკასიის რკინიგზის ადმინისტრაციას, რათა მან უმოკლეს დროში გამოიმუშაოს და თბილისის სახელოსნოში დააწესოს ნიხრი სანარდო სამუშაოზე და ამით თავიდან აიცილოს შესაძლებელი თვითნებობა რკინიგზის სამმართველოს მხრივ და, მეორე მხრივ, მუშების სამართლიანი საყვედური“[1].

მაგრამ მთავრობა ხედავდა უკმაყოფილების გაღრმავების სხვა მიზეზსაც, რომლის საწინააღმდეგოდ არ აყოვნებდა ზომების მიღებას. იგი ითვალისწინებდა, კერძოდ, მოსული ელემენტის „უარყოფით“ გავლენას მუშებზე და ცდილობდა მისი იზოლაციით შეენელებინა საერთო მღელვარება, მაგრამ ცალკე მუშების იზოლაცია უფრო ზრდიდა მუშათა მღელვარებას და მოძრაობას. გაფიცვის მიზეზები, რასაკვირველია, უფრო ღრმა იყო, ვინემ ეს ადგილობრივ მთავრობას ჰქონდა. წარმოდგენილი, და პოლიციურ ზომებს უკვე აღარ შეეძლო შეენელებინა მუშების ბრძოლა, რადგან, როგორც თვით მთავრობის წარმომადგენლები აღიარებდნენ, „მუშები ისედაც უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი მატერიალური მდგომარეობით“[2].

1887 წლის 16 ივნისს თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა კვლავ მოაწყეს გაფიცვა. მთავრობამ სამხედრო ზომებით ჩააქრო იგი.

1889 წლიდან უფრო დიდი მასშტაბით იწყება გაფიცვები თბილისის

---

[1] მლისუპა, ფ. 37, საქ. 34, ფურც. 3—4, თბილისის გუბერნატორის მოხსენება.

[2] იქვე, ფურც. 10—11.

რკინიგზის სახელოსნოებში. ამ წლის აგვისტოდან ამიერკავკასიის რკინიგზა თავისი სახელოსნოებით გადაეცა ხაზინას და გაუქმდა ყველა ის შეღავათი, რომლითაც მანამდე სარგებლობდნენ მუშები. მათ მოესპოთ უფასო მგზავრობა, დახმარება ავადმყოფობის დროს, უქმე დღეები, გარდა კვირისა (თვე ითვლებოდა 25 სამუშაო დღის მიხედვით) გაუქმდა დამატებითი სამუშაოების ხელფასი. ამ ცვლილებებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში[1]. მათ პირველ ხანებში არ სჯეროდათ, რომ მართლა ესპობოდათ წინანდელი შეღავათები. ამიტომ დასაწყისში ისინი განმარტების ძიებით დაკმაყოფილდნენ და მთავრობისაგან ელოდნენ დადებით პასუხს. მაგრამ, როცა პასუხი ამოიკითხეს თვით სახელოსნოებში გაკრულ განცხადებებში და გაიცნეს ახალი წესები, რომლებითაც თავიანთ შეღავათებს კარგავდნენ, საერთო გაფიცვა მოაწყვეს. თორმეტ ოქტომბერს სახელოსნოებში მუშაობა შეწყდა. ათასამდე მუშა გამოვიდა და დემონსტრაციულად იწყო სვლა ქუჩებში. ამასთანავე მათ მოასწრეს წარმომადგენლების არჩევა და დაავალეს დაეცვათ გაფიცული მუშების მოთხოვნები — აღდგენილი ყოფილიყო შეღავათები, რომელთაც მთავრობა აუქმებდა[2].

ადგილობრივმა მთავრობამ ჯარის საშუალებით გარეკა დემონსტრანტი მუშები, ხოლო სახელოსნოებს მცველად პოლიცია და ჟანდარმთა რაზმი ჩაუყენა. მუშები წავიდ-წამოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეკრების საშუალებას არ აძლევდნენ, მათ მაინც მტკიცედ ეჭირათ თავი და სამუშაოზე არ ცხადდებოდნენ. გაფიცვამ 28 ოქტომბრამდე გასტანა. გაძლიერებული რეპრესიებით მთავრობამ შეძლო მუშები დაებრუნებინა სამუშაოზე. გაფიცვის ყველა მეთაური დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში საიდუმლო კამერებში ჩასვეს.

საგულისხმოა, რომ გაფიცვის მარცხს მთავრობა მაინც არ სთვლიდა თავის გამარჯვებად და შიშობდა, რომ მუშათა მოთხოვნებზე უარის თქმა მალე ახალ უფრო სერიოზულ გაფიცვებს გამოიწვევდა.

მართლაც, 1898 წელს იფეთქა მუშათა გაფიცვებმა რკინიგზის დეპოსა და სახელოსნოებში. ეს იყო უფრო სერიოზული შეტევა. ამ დროიდან მუშათა მოძრაობას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია უდგებოდა სათავეში. გაფიცულთა მოთხოვნები ჩამოყალიბებული იყო პროკლამაციის სახით, სადაც უბრალოდ კი არ იყო ჩამოთვლილი, რას მოითხოვენ მებრძოლი მუშები, არამედ მკაცრად იყო დაგმობილი ადმინისტრაციის უხეში ღონისძიებანი. ასეთი პროკლამაციები არალეგალურად ვრცელდებოდა. მოწინავე მუშები მოხერხებულად გააკრავდნენ

---

[1] მლისფპა, ფ. 37, საქ. 34, ფურც. 24.

[2] იქვე.

ხოლმე პროკლამაციებს ქარხნის ადმინისტრაციის შენობის კარებზე, ქუ-ჩაში ბოძებზე და ა. შ.

1898 წლის დეკემბრის გაფიცვის დროს პროკლამაციებს არალეგალუ-რად ავრცელებდნენ გამოცდილი კონსპირატორები, ცნობილი მუშა-რევოლუციონერები სერგი ალილუევი და გიგო ლელაშვილი. სწორედ ამ საქმის გამო იყვნენ ისინი მიცემულნი პასუხისგებაში.

ეს იყო გარდატეხის ხანა საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტო-რიაში. ქართველი და რუსი მოწინავე მუშების კლასობრივი ბრძოლის ინტერნაციონალური ხასიათი განაპირობებდა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას.

თავი მეთხუთმეტე საქალაქო თვითმმართველობანი 1875—1905 წწ. ერობის შემოღების საკითხი

§ 1. საქალაქო თვითმმართველობანი 1875—1905 წწ.

1870 წლის საქალაქო დებულება, როგორც აღნიშნული იყო, გატარდა თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ფოთსა და ბათუმში. ამ ქალაქებმა მიიღეს თვითმმართველობა. მართალია, თვითმმართველობის უფლება ენიჭებოდა ქალაქის არა მთელ მოსახლეობას, არამედ მხოლოდ ზედაფენას და, ამდენად, თვითმმართველობანი ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოებად გადაიქცნენ, მაგრამ საქალაქო რეფორმას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ფეოდალურიდან კაპიტალისტურ ფორმაციაზე გადასვლის პროცესში.

რეფორმის გატარებისას თბილისში საარჩევნო ხმის უფლება მიენიჭა 4 494 კაცს (მოსახლეობის 4—5%-ს). პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში შეტანილ იქნა 45, მეორეში — 221, ხოლო მესამეში — 4 228 კაცი[1]. ყოველი თანრიგი ირჩევდა 24 ხმოსანს. პირველი თანრიგის ცენზიან მოქალაქეებს სათათბიროში გაჰყავდათ ყოველ ორ ამომრჩეველზე ერთი, მეორე თანრიგის მოქალაქეებს — ყოველ 9 ამომრჩეველზე ერთი, მესამე თანრიგის მოქალაქეებს — ყოველ 176 ამომრჩეველზე ერთი ხმოსანი. ამდენად, თბილისის სათათბიროსა და საერთოდ თვითმმართველობაში გაბატონებული იყო მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია. წვრილი ბურჟუაზია უმცირესობაში იმყოფებოდა.

თითქმის ასეთივე იყო შეფარდება, ერთი მხრივ, ცენზიან და უცენზო მცხოვრებთა, ხოლო, მეორე მხრივ, პირველი ორი თანრიგისა და მესამე თანრიგის ამომრჩევლებს შორის საქართველოს სხვა ქალაქებშიც. მაგალითად, 1880 წელს ახალციხის ამომრჩეველთა პირველ თანრიგში ითვლებოდა 20, მეორეში — 80, მესამეში კი 425 კაცი[2]. 1889 წ. გორის ამომრჩეველთა სიაში შეტანილი იყო პირველი თანრიგიდან ათიოდე კაცი, მეო-

---

[1] სსცია, ფ. 192, ანაწ. 5, საქ. 308, ფურც. 1—62.

[2] იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 479, ფურც. 23—26.

რედან — 72, ხოლო მესამე თანრიგიდან — 300-ზე ოდნავ მეტი[1]. იმავე ხანებისათვის ქუთაისში ითვლებოდა 25—30 პირველი თანრიგის, 60—70 მეორე თანრიგის და 600—700 მესამე თანრიგის ამომრჩეველი[2].

ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენა მტრულად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ყოველი მათგანი ცდილობდა თვითმმართველობაში გაბატონებას და ამ დაწესებულების თავის ინტერესებისათვის გამოყენებას. საქალაქო სათათბიროები, გამგეობები და ქალაქის თავები უმეტესწილად მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდნენ და იცავდნენ. ქალაქის მოსახლეობის დაბალი მასა კი, არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში, თავის წარმომადგენელთა სათათბიროში გაყვანას იშვიათად ახერხებდა.

საქალაქო თვითმმართველობები თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის კვალობაზე თანდათან მწვავდებოდა ბრძოლა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის თვითმმართველობაში გაბატონებისათვის. იმის გამო, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მრავალეროვნული იყო, კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლას ნაციონალური ელფერი ჰქონდა.

1889 წ. მთავარმმართველისათვის მიცემულ თხოვნაში ახალციხის ცენზიან მოქალაქეთა ერთი ჯგუფი წერდა, რომ თვითმმართველობის შემოღებამ ჩვენი მდგომარეობა გააუარესაო. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თვითმმართველობის ყველა დაწესებულება თავიდანვე ვაჭართა ერთმა ნაწილმა ჩაიგდო ხელთ და ქალაქის ხაზინას თვითნებურად განაგებსო. აღნიშნული პარტია მხოლოდ სომეხი გრიგორიანელებისაგან შედგება და ყოველსაირად ცდილობს ქალაქის მართვა-გამგეობაში არ დაუშვას სხვა ერებისა და სარწმუნოების წარმომადგენლები. იმის გამო, რომ გამგეობაში სომხები არიან გაბატონებული, არასომეხთა უბრალო თიხით აგებული ქოხი 3—4-ჯერ მეტად ფასდება, ვინემ სომეხთაგან აშენებული ქვიტკირის სახლები. ასეთი პოლიტიკის პირობებში საგადასახადო ტვირთის მთელი სიმძიმე მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს აწევს, სომეხი გრიგორიანელები კი, რომელნიც მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ და თანაც გაცილებით მდიდრები არიან, შედარებით მსუბუქად იბეგრებიანო.

ასეთი უსამართლობით აღშფოთებული ახალციხელი მართლმადიდებლები და კათოლიკენი მოითხოვდნენ საქალაქო დებულების იმგვარად შეცვლას, რომ მოსახლეობის ყოველ ეროვნულ-რელიგიურ ჯგუფს შესაფერისი ადგილი მისცემოდა ქალაქის თვითმმართველობაში. თუ ეს არ მოხდა, ვამჯობინებთ თვითმმართველობის გაუქმებას და საპოლიციო მმართველობის აღდგენასო. ამ დოკუმენტს ხელს აწერდა 216 ქართველი, 12

---

1 „ივერია", 1889, № 165.
2 იქვე, 1892, № 9.

რუსი, 8 თურქი და 3 სომეხი კათოლიკე[1]. ცხადია, სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ სიმძიმეს ახლად აღორძინებული ქართველი ბურჟუაზია იღებდა ტვირთად.

სომეხ და ქართველ ბურჟუაზიას შორის შინაკლასობრივი და ნაციონალური წინააღმდეგობანი საკმაოდ მწვავე იყო აგრეთვე გორში. XIX ს-ის 80-იან წლებში გორის თვითმმართველობაშიც სომეხი ბურჟუაზია იყო გაბატონებული. იგი ყოველნაირად აფერხებდა ქართველების არჩევას საქალაქო სათათბიროში. 1889 წლის არჩევნების დროს, მაგალითად, სომეხი ბურჟუები აშკარად ყვიროდნენ „არ გვინდა ანდრონიკაშვილი, არ გვინდა ჯაფარიძე, არ გვინდა გაბუნიაო". „ამისთანა ხმებმა — წერდა „ივერიის" კორესპონდენტი — ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია, მეორე მხარემაც ხმა ამოიღო და თავისებს დაუწყო სარჩლი"[2]. ქართველ ამომრჩეველთა აქტიურობამ, რომლებსაც ქალაქის თვითმმართველობაში მემარცხენე პოზიცია ეკავათ, სათანადო ნაყოფი გამოიღო. მათ სათათბიროში გაიყვანეს ხმოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი. მემარცხენე ფრთის უდიდესი გამარჯვება იყო ის, რომ 1891 წელს გორის ქალაქის თავად არჩეულ იქნა დ. ი. მუსხელიშვილი[3].

ქართველი და სომეხი ბურჟუაზია განსაკუთრებით მტრულად იყო დაპირისპირებული თბილისის საქალაქო თვითმმართველობაში. მართალია, თვითმმართველობის გახსნის მომენტში, როგორც აღნიშნული იყო, მართვა-გამგეობას მიუჩეველმა სომეხმა ბურჟუაზიამ ქართველებთან ერთად დიმიტრი ყიფიანი გაიყვანა ქალაქის თავად და პირველ ხანებში არ ამჟღავნებდა ანტიქართულ განწყობილებას, მაგრამ XIX ს-ის 80-იან წლებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქალაქო სათათბიროსა და გამგეობაში სომხები გაბატონდნენ. ქალაქის თავის სავარძელი 1878-დან 1891 წლამდე შეუცვლელად ა. მატინოვს ეკავა და გამგეობის წევრებადაც უმეტეს შემთხვევაში სომხები ირჩეოდნენ.

1890 წელს წინასაარჩევნო ბრძოლამ თბილისში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ბრძოლის ასპარეზზე ძირითადად სამი დაჯგუფება გამოვიდა. პირველს თანამედროვენი უწოდებდნენ „გამგეობის პარტიას", რადგან მას მეთაურობდნენ ქალაქის თავი მატინოვი და გამგეობის ყველაზე გავლენიანი წევრი პ. იზმაილოვი. მეორე დაჯგუფება მონათლეს „დვორცოვი ნომრების" (ისიც სომხური ბურჟუაზიის დაჯგუფება იყო) პარტიის სახელწოდებით. მესამე დაჯგუფებას კი ქმნიდა სათათბიროს მემარცხენე ფრთა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი „დვორცოვი ნომრებისადმი" და უკანასკნელ ხანს ოპოზიციაში ჩაუდგა გამგეობას. ამიტომ ეს პარტია პრე-

---

[1] სსცია, ფ. 12, ანაწ. 7, საქ. 663, ფურც. 4—7.

[2] „ივერია", 1889, № 165.

[3] იქვე, 1891, № 70.

საში „ოპოზიციის“ სახელწოდებით იხსენიება. ზოგი პუბლიცისტი მას „ქართველთა პარტიას“-აც უწოდებდა.

„დეორცოვი ნომრებისა“ და „გამგეობის პარტიის“ სამოქმედო პროგრამა ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ამ დაჯგუფებათა სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა თბილისის მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ბურჟუაზია, რომელიც ნაციონალური შედგენილობით ძირითადად სომხური იყო. სომეხ ბურჟუაზიას ქალაქის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და თბილისის მართვა-გამგეობაშიც პირველობას იჩემებდა.

როცა ქართველი ნაციონალური ბურჟუაზია რამდენადმე მომძლავრდა, მისმა ნაღებმა თბილისს მოაშურა და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა დაიწყო, იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგობას. XIX საუკუნის 70—80-იან წლებში სომეხი და ქართველი ბურჟუაზია ერთმანეთს ებრძოდა ქალაქის ეკონომიკასა და ბაზარზე უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ცხოვრების ზედაპირზე ნაკლებად ჩანდა. 80-იან წლებში მდგომარეობა უფრო დაიძაბა. თბილისის ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენა მტრულად დაუპირისპირდა ერთმანეთს ქალაქის თვითმმართველობაშიც.

ერთი ქალაქის ფარგლებში მოქმედი სომეხი და ქართველი ბურჟუაზიის ბრძოლა შინაკლასობრივ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ისინი თავის კლასობრივ ინტერესს საერთო ნაციონალურ ინტერესად აცხადებდნენ, და ცდილობდნენ ამ ბრძოლაში ერის სხვა სოციალური ძალების ჩაბმასაც. ახლად აღორძინებული ქართველი ბურჟუაზია, მაგალითად, დახმარებისათვის მოუწოდებდა არა მარტო მოსახლეობის დაბალ ფენას, საიდანაც იგი იყო გამოსული, არამედ გაბურჟუების გზაზე დამდგარ ქართველ თავადაზნაურობასაც.

ქართველი თავადაზნაურული და რაზნოჩინური ინტელიგენცია, რომლის ერთი ნაწილი აშკარა აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, ხოლო მეორე ნაწილი საერთოდ ხალხის ინტერესთა დაცვის ლოზუნგით გამოდიოდა, მხარს უჭერდა და ხელმძღვანელობდა კიდეც ქართველ ცენზიან მოქალაქეებს თვითმმართველობაში შესაფერისი ადგილის დასაკავებლად წარმოებულ ბრძოლაში.

პარტიებმა აქტიურად დაიწყეს ამომრჩეველთა „დამუშავება“. „დეორცოვი ნომრებისა“ და „გამგეობის პარტიის“ ლიდერები საკუთარ სახლში გამართულ ბანკეტებზე და კლუბებში ეწეოდნენ აგიტაციას, მოუწოდებდნენ სომხებს ხმა მიეცათ მათი კანდიდატებისათვის. ოპოზიცია კი თავის პროგრამის პროპაგანდას პრესის საშუალებით ეწეოდა. იგი მოიდ-

ხოვდა თბილისის სათათბიროს შემადგენლობის არსებით შეცვლას, მის გადახალისებას ინტელიგენტური ძალებით[1].

წინასაარჩევნო აგიტაციაში აქტიურად ჩაება „ივერია". გაზეთში დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში გულისწყრომაა გამოთქმული იმის გამო, რომ ხმოსნობის კანდიდატთა წამოყენების საქმე ხელში აქვს ჩაგდებული თბილისის ორასიოდე მდიდარ მოქალაქეს, სამი ათასი კაცი კი მოკლებულია კანდიდატთა წამოყენების შესაძლებლობას. „შეძლებულს, — ნათქვამია წერილში, — იარაღად კლუბი და საკუთარი სახლი აქვს, შეუძლებელს მოედანზე თათბირიც კი არ შეუძლიან". შემდეგ წერილში მოყვანილია ამომრჩეველთა აბსენტიზმის საილუსტრაციო ფაქტები, საიდანაც ჩანს, რომ წინა არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ ცენზიანთა 15—20%. ყველაზე მეტად პასიურობდნენ თურმე ქართველები. ეს გარემოება, წერს „ივერიის" კორესპონდენტი, „მახვილივით უნდა მოხვდეს ყოველ იმ ქართველის გულს, ვისაც შეუძლია საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღება, ხელის განძრევა და არას კი აკეთებს". იგი ამხელს ქართველ ცენზიანთა დაუდევრობას, რომელნიც თითქოს საჭიროდ არ თვლიდნენ „ამისთანა იწი მაწა საქმეში გარევას". კორესპონდენციის ავტორი იმედოვნებს, რომ ქართველები შეიგნებენ ქალაქის თვითმმართველობის დიდ მნიშვნელობას და აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, რათა სათათბიროში გაიყვანონ თავის ინტერესთა გამომხატველი ხმოსნები[2].

პარტიების აგიტაციას გარკვეული შედეგები მოჰყვა. ამომრჩევლები ძირითადად ნაციონალური ნიშნის მიხედვით დაჯგუფდნენ. განსაკუთრებული აქტიურობა ამჯერად ქართველ ცენზიანებში შეინიშნებოდა. მესამე თანრიგის საარჩევნო კრებაზე გამოცხადებული 500 კაციდან 220 ქართველი იყო.

არჩევნები 1890 წლის დეკემბერში ჩატარდა. პირველი-მეორე თანრიგის ამომრჩევლებმა ძირითადად ხმა მისცეს სომეხ კანდიდატებს. მესამე თანრიგის არჩევნებში კი ოპოზიციამ გაიმარჯვა.

ხმოსანთა არჩევნების დამთავრებისთანავე „ნოვოე ობოზრენიემ" ასე დაახასიათა თბილისის სათათბიროს ახალი შემადგენლობა: „ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ახალი სათათბიროსი ძველისაგან მდგომარეობს ადგილობრივი ფინანსიური ტუზების გავლენის მნიშვნელოვან შემცირებაში. ინტელიგენცია, რომელსაც მდიდრები აქამდე თითქოსდა სამოწყალოდ ითმენდნენ, ამ დროიდან სათათბიროში ყალიბდება დამოუკიდებელი ჯგუფის სახით. ახალ სათათბიროში უდაოდ მას ეკუთვნის უპირატესობა. ინტელიგენციას შეუძლია მოიპოვოს 45 ხმოსნის მხარდაჭერა და

---

[1] «Новое обозрение», 1890, № 2284.

[2] „ივერია", 1890, № 215.

იმოღვაწოს ქალაქის მეურნეობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად"[1].

წერილის ავტორი აჭარბებს. მართალია, ოპოზიციამ აიძულა ძველი ქალაქის თავი ა. მატინოვი გადამდგარიყო და მისი ადგილი ოპოზიციის კანდიდატმა ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელმა დაიკავა, მაგრამ ახალი შემადგენლობის სათათბიროშიც უმრავლესობა ინტელიგენციას კი არა, ვაჭარ-მრეწველებსა და ბანკირებს ეკუთვნოდა. სათათბიროში, კერძოდ, შედიოდნენ: ადელხანოვი — ტყავის ქარხნის მფლობელი და თბილისის საუროიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე; ა. ანანოვი — ცნობილი კაპიტალისტი და მსხვილი მიწათმფლობელი; დ. ბარათაშვილი — ქართველი მემამულე, სოფლის მეურნეობის რაციონალიზატორი; გ. ევანგულოვი — ბანკირი; გ. ქართველიშვილი — მრეწველი და პოდრიადჩიკი; ა. მანთაშევი — ნავთის მსხვილი მრეწველი და ექსპორტიორი, თბილისის კომერციული ბანკის გამგეობის თავმჯდომარე; ა. იონესიანი — ჟურნალისტი და ბანკირი; ა. ფრიდონოვი — საბანკო კანტორის პატრონი; დ. სარაჯიშვილი — მსხვილი მრეწველი და სახლთმფლობელი; მ. თამამშევი — ბანკირი; ი. ყორღანოვი — მრეწველი. იმავე სათათბიროში შედიოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები — ნ. ნიკოლაძე, ი. მაჩაბელი, ვ. მიქელაძე, ნ. ცხვედაძე და სხვ.[2].

დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც შეიმჩნეოდა კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის ეროვნული ნიშნით შეფერადების ტენდენცია. მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ ამ მხარის ეკონომიკაში ქართველი ბურჟუაზია დიდ როლს ასრულებდა და საქალაქო თვითმმართველობების მუშაობასაც უმეტესწილად ის აძლევდა ტონს. ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, სოხუმის და ოზურგეთის სათათბიროთა ხმოსნების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

ინტელიგენციას, მცირე გამონაკლისის გარდა, საკმარისი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა და ამიტომ არ შეეძლო პრაქტიკული მონაწილეობა მიეღო საქალაქო თვითმმართველობების საქმიანობაში. პროგრესული საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ როგორმე შემოეცლოთ კანონისათვის და სათათბიროში გაეყვანათ ინტელიგენციის წარმომადგენლები. ქუთაისელებს ამისათვის გამოუყენებიათ საქალაქო დებულების ერთი მუხლი, რომლის თანახმად არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ნოქრებსაც. ნოქრის მოწმობა კი არც ისე ძვირი ღირდა. ქუთაისის მკვიდრ რამდენიმე განათლებულ კაცს სწორედ ნოქრის მოწმობის აღებით მოუპოვებია როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება. ეს მანევრი კანო-

---

[1] «Новое обозрение», 1890, № 2401.

[2] იქვე, 1891, № 2423, № 2425.

ნის დამცველებს კარგა ხანს ვერ შეუმჩნევიათ, მაგრამ 1888 წელს გამოაშკარავებულა და ამომრჩეველთა სიიდან ამოუშლიათ ცნობილი მოღვაწეები — კ. ლორთქიფანიძე, ივ. მესხი, დ. დადიანი, დ. ბაქრაძე, ივ. ჯაიანი, ნ. კანდელაკი, პ. ლორთქიფანიძე და სხვ. „ყველა ეს მოხსენებულნი კაცნი, — წერდა „ივერია", — ცნობილი არიან ქუთაისში... წარსულს ოთხის წლის განმავლობაში ხმოსნებად იყვნენ აქაურს საბჭოში იმავე უფლებით, რა უფლებითაც ახლა უნდოდათ ესარგებლათ, მაგრამ არ დასცალდათ,... ამათი გამორიცხვა, — გულისტკივილით დასძენს რედაქცია, — დიდათ დაემჩნევა ქუთაისის საქალაქო რჩევას"[1]. მართლაც, ამ განკარგულების წყალობით ქუთაისის საქალაქო სათათბიროში, რომელსაც აქამდე პირველი ადგილი ეკავა ინტელიგენტი ხმოსნების რაოდენობით, ვაჭარ-მრეწველები, მოხეელები და სხვა ჯურის საქმოსნები გაბატონდნენ.

უდავოა, საქალაქო თვითმმართველობების საქმიანობაში შეიმჩნეოდა ნაკლოვანებები. რეაქციონერები ღვარძლიანად მიუთითებდნენ საქალაქო თვითმმართველობათა მუშაობის სუსტ მხარეებზე და იყენებდნენ მას თვითმმართველობის იდეის სახელის გასატეხად. ისინი მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ ამ დაწესებულებებს, „ამტკიცებდნენ", რომ საქალაქო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში მეტი და უკეთესი როლის შესრულება შეუძლია მთავრობის ადმინისტრაციას და პოლიციას, ვინემ თვითმმართველობასო.

თვითმმართველობის იდეას რეაქციონერთა შემოტევისაგან იცავდა პროგრესული ინტელიგენცია. „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს" მემარჯვენე პუბლიცისტებთან კამათის დროს ნ. ნიკოლაძე, მაგალითად, პირველ რიგში საქალაქო თვითმმართველობის სუსტ მხარეებზე მიუთითებდა, მაგრამ ამის მიზეზად აცხადებდა მეფის მთავრობას და არსებულ კანონმდებლობას. საქალაქო თვითმმართველობა, აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე, წმინდა ადმინისტრაციული მიზნითაა დაარსებული და მას ითმენენ როგორც მთავრობის აპარატის დამატებას და დამხმარე ორგანოს. ბევრმა არ იცის, რომ ქალაქის შემოსავლის დიდი ნაწილი აუცილებლად უნდა დაიხარჯოს ჯარის, პოლიციის, საპყრობილეთა და სხვ. საჭიროებისათვის. 1875 წელს ამ ხარჯებმა შთანთქა თბილისის ფინანსების 72%, ქალაქის უშუალო საჭიროებისათვის დარჩა 28%. ამდენად, დაასკვნიდა ნიკოლაძე, თვითმმართველობის ბიუჯეტისა და მოღვაწეთა შრომის ორი მესამედი მიდის არა ქალაქის კეთილმოწყობაზე, არამედ იხარჯება ადმინისტრაციის საჭიროებისათვის[2].

მიუთითებდა რა საქალაქო თვითმმართველობათა ნაკლოვანებების ობიექტურ მიზეზებზე ნ. ნიკოლაძე ამავე დროს იცავდა თვითმმართველობის იდეას. მემარჯვენე კრიტიკოსთა საყურადღებოდ იგი აცხადებდა: ზო-

---

[1] „ივერია", 1888, № 10.
[2] «Юридическое обозрение», 1881, № 22, გვ. 839—873.

გიერთი პირები თავს ესხმიან თვითმმართველობის პრინციპს, ცდილობენ მოახდინონ ამ პრინციპის დისკრეტიზაცია. მე ვფიქრობ, რომ მთელი ჩვენი მომავალი დაკავშირებულია ამ პრინციპის განვითარებასა და სრულყოფასთან და როცა მას მოსახლეობის თვალში უსამართლოდ სვრიან, ჩემ პირდაპირ მოვალეობად მიმაჩნია თვითმმართველობის პრინციპის დაცვა[1].

ამრიგად, ნ. ნიკოლაძე კარგად ამჩნევდა საქალაქო თვითმმართველობის ნაკლოვანებებს, მაგრამ ამისათვის მისი უარყოფა და პოლიციური მმართველობისაკენ დაბრუნება, რასაც მოითხოვდნენ რეაქციონერები, დიდ ბოროტებად, პროგრესის ღალატად მიაჩნდა. ნ. ნიკოლაძისა და მის თანამოაზრეთა მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ხელი შეეწყოთ თვითმმართველობის პრინციპის განვითარებისა და თვითმმართველობათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რადგან „სრულყოფილი თვითმმართველობა“ მიაჩნდათ უკეთესი მომავლის ერთ-ერთ წინაპირობად.

პროგრესული ინტელიგენცია კარგად ხედავდა, რომ საქალაქო თვითმმართველობებში შეძლებული კლასები (თავადაზნაურობა, მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია) იყვნენ გაბატონებული, რომელნიც თავის კლასობრივი ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ატარებდნენ. თვითმმართველობის ორგანოებში დემოკრატიული ელემენტების გაძლიერება და თვითმმართველობის ამაღლება ქალაქის მოსახლეობის საერთო ინტერესების დონემდე პროგრესული ინტელიგენციის მთავარ მიზანს შეადგენდა. მაგრამ 1892 წლის ახალმა საქალაქო დებულებამ კიდევ უფრო შეკვეცა დემოკრატიული ფენების წარმომადგენლობა და ქალაქის თვითმმართველობები თითქმის მთლიანად ხელში ჩაუგდო ვაჭარ-მრეწველებს და სხვა მსხვილ მესაკუთრეებს.

ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე თბილისის, ბათუმის, ფოთის, ახალციხის და გორის თვითმმართველობათა რეორგანიზაცია მოხდა 1893—1894 წლებში. ეს დებულება გატარდა აგრეთვე ზოგ ისეთ ქალაქში, რომელსაც აქამდე პოლიცია განაგებდა. კერძოდ, 1894 — 1899 წლებში თვითმმართველობა მიენიჭა თელავს, სიღნაღს, ახალქალაქს, სოხუმსა და ოზურგეთს[2].

ახალი დებულებით არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყოველ მოქალაქეს თუ იგი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და ქალაქის ტერიტორიაზე ფლობდა არა ნაკლებ 1 000—1 500 მანეთის უძრავ ქონებას. საარჩევნო უფლებას იღებდნენ აგრეთვე პირველი-მეორე გილდიის ვაჭრები. ამ მუხლის მიხედვით ქალაქის ამომრჩეველთა რიცხვი 2—3-ჯერ

---

[1] «Юридическое обозрение», 1881, № 22, გვ. 839 — 873.

[2] სსცია, ფ. 13, ანაწ. 24, საქ. 519, ფურც. 1, 14—15.

შემცირდა. შეიკვეცა სათათბიროსა და გამგეობის კომპეტენცია. გაძლიერდა ჰთავრობის კონტროლი. საქალაქო თვითმმართველობის დადგენილებანი ძალაში შედიოდა მხოლოდ გუბერნატორისაგან დამტკიცების შემდეგ. თვითმმართველობების თანამდებობებზე არჩეულ პირებს ამტკიცებდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო რაიმე მიზეზით მათი დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, თანამდებობას იკავებდა მთავრობისაგან დანიშნული მოხელე.

განსაკუთრებით შეკვეცილი აღმოჩნდა ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, ახალქალაქის და ოზურგეთის უფლებები. ამ ქალაქებში შემოღებულ იქნა თვითმმართველობის გამარტივებული სტრუქტურა. აქ ხმოსნების ნაცვლად ირჩევდნენ რწმუნებულებს, ხოლო ქალაქის თავის ნაცვლად — მამასახლისს. რწმუნებულთა კრებები და მამასახლისები ადმინისტრაციის კიდევ უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცნენ.

საკვალალო ისიც იყო, რომ ამიერკავკასიის ქალაქებისათვის 1899 წელს შემოიღეს განსაკუთრებული წესები. მთავარმმართველს უფლება ეძლეოდა თავის შეხედულებისამებრ საქალაქო სათათბიროდან გამოეყვანა არასაიმედო პირი. საგანგებო კანონი ამიერკავკასიის ქალაქთა თვითმმართველობების შესახებ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.

* * *

საქალაქო თვითმმართველობათა საქმიანობის შედეგიანობა კომუნალური მეურნეობის, სწავლა-განათლების, სამედიცინო მომსახურების, სანიტარიისა და სხვ. სფეროში ძირითადად დამოკიდებული იყო მათ განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე. არსებული დებულებით, ქალაქთა თვითმმართველობების საბიუჯეტო-ფინანსიური უფლებები ძალიან შეკვეცილი იყო. ქალაქის მოსახლეობაზე შეწერილ გადასახადთა მცირე ნაწილი მოდიოდა თვითმმართველობათა საშემოსავლო ბიუჯეტში, დიდი ნაწილი კი სახელმწიფო ბიუჯეტს ავსებდა.

1870 წ. დებულების 128-ე მუხლის თანახმად, ქალაქის თვითმმართველობებს უფლება ჰქონდათ დაეწესებინათ გამოსაღებები: უძრავ ქონებაზე (მიწა, სახლები, დუქან-მაღაზია-საწყობთა შენობები და სხვ.), სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე, ტრანსპორტზე და სხვ.

ქალაქთა ფულადი სახსრები იხარჯებოდა თვითმმართველობების არჩეულ თუ მოწვეულ მოსამსახურეთა ჯამაგირებზე, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, საზოგადოებრივ დაწესებულებათა საჭიროებაზე, სწავლა-განათლებაზე და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე. ქალაქე-

ბის ბიუჯეტიდან დიდი თანხები გამოიყოფოდა აგრეთვე ჯარისა და პოლიციის შესანახად.'

ქალაქების ზრდის პარალელურად იზრდებოდა თვითმმართველობათა ბიუჯეტებიც. 1875 წ. თბილისის საშემოსავლო ბიუჯეტი უდრიდა 279 037 მან., 1883 წ. — 531 733 მან., 1894 წ. — 1 059 815 მან., 1900 წ. — 1 361 636 მანეთს. ქუთაისის თვითმმართველობის შემოსავალი შეადგენდა: 1881 წ. — 61 577 მან., 1884 წ. — 105 000 მან., 1900 წ. — 236 654 მანეთს. ფოთის საშემოსავლო ბიუჯეტი 1885 წ. უდრიდა 35 856 მან., 1890 წ. — 40 592 მან., 1895 წ. — 555 589 მან., 1900 წ. — 174 163 მანეთს. ქ. ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტი XIX ს-ის 80-იან წლებში 50—100 ათას მანეთს არ აჭარბებდა, 90-იან წლებში კი 500—600 ათას მანეთს მიაღწია. საკმაოდ სწრაფად მატულობდა ქ. სოხუმის შემოსავალიც. ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, ახალქალაქის, ოზურგეთისა და დუშეთის საშემოსავლო ბიუჯეტები კი მეტად ნელა იზრდებოდა.

ქალაქის ბიუჯეტის საგასავლო მუხლები ორ კატეგორიად იყოფოდა. კანონმდებლობით ჯარისა და პოლიციისათვის საჭირო თანხა საგასავლო ბიუჯეტის აუცილებელ მუხლებად ითვლებოდა. ქალაქის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საჭიროებისათვის თანხის გამოყოფა კი, მთავრობის თვალსაზრისით არ იყო აუცილებელი და ამ მიზნისათვის გადადებული სახსრები გასავლის არააუცილებელ მუხლებში შეჰქონდათ. საქართველოს ქალაქთა ბიუჯეტის დიდ ნაწილს აუცილებელი საერთო სახელმწიფო ხარჯები ნთქავდა. 1875 წ. თბილისის თვითმმართველობის შემოსავალი უდრიდა 279 037 მან. გასავალიდან კი მარტო თბილისში მდგარი ჯარის შესანახად დაიხარჯა 122 462 მანეთი. ქუთაისის თვითმმართველობის 1881 წლის ბიუჯეტიდან (77 261 მან.) ქალაქის პოლიციისათვის გათვალისწინებული იყო 20 521 მან., ჯარისათვის კი — 22 359 მანეთი. 1876 წლიდან 1888 წლამდე ახალციხის თვითმმართველობამ თავის ბიუჯეტიდან დახარჯა: ჯარზე — 165 434 მან., თვითმმართველობის აპარატის შენახვაზე — 90 767 მან., ქალაქის კეთილმოწყობაზე — 45 199 მან. და სხვ.

აუცილებელი არამწარმოებლური ხარჯების სიდიდის გამო ქალაქების არსებით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მცირე თანხები რჩებოდა. თვითმმართველობები იძულებული იყვნენ სესხი აეღოთ. მთავრობის ნებართვით თბილისის თვითმმართველობამ 1881 წ. გამოუშვა პირველი, ხოლო 1887 წ. მეორე საობლიგაციო სესხი, 1 550 000 მანეთის რაოდენობით. 1886 წელს თბილისის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში უდრიდა 1 115 907 მან., საიდანაც 695 974 მან. მიღებული იყო საობლიგაციო სესხის რეალიზაციის შედეგად[1]. საობლიგაციო სესხებს უშვებდნენ ბათუმი-

---

[1] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875—1917 წწ., თბ., 1960, გვ. 49.

სა და ფოთის თვითმმართველობებიც. საქართველოს სხვა ქალაქებმა კი, ბევრი ცდის მიუხედავად, მთავრობისაგან ასეთი სესხების გამოშვების ნებართვა ვერ მიიღეს.

სესხების აღება დროებით აჯანსაღებდა ქალაქთა ბიუჯეტს. მათი დაფარვა და 5—6%-იანი სარგებლის გადახდა ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს აწვებოდა. ქალაქის თვითმმართველობები სესხებს ძირითადად იყენებდნენ შემოსავლიან წარმოება-დაწესებულებათა და სხვა ობიექტების მოსაწყობად და მათი სუფთა მოგებით ცდილობდნენ ვალების გადახდას. თბილისის თვითმმართველობამ, მაგალითად, ააშენა მუნიციპალური სასახლე, რომლის ქვედა სართული დუქნებად იქნა გაქირავებული, გაიყვანა საკმაოდ მომგებიანი ავჭალის წყალსადენი, ააგო ვერისა და მნაცაკანოვის ხიდები და სხვ. ფოთის საქალაქო თვითმმართველობამ, რომელსაც 1894-დან 1913 წლამდე ნ. ნიკოლაძე ედგა სათავეში, XIX—XX სს-ის მიჯნაზე მთავრობისაგან გარანტირებული 5 მლნ მანეთის საობლიგაციო სესხი გამოუშვა. ამ თანხით მოეწყო ფოთის შესანიშნავი ნავსადგური, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის კომუნალური მეურნეობა (ქუჩა-მოედნები, განათების სისტემა, ტრანსპორტი და სხვ.), აგებულ იქნა მარგანეცის ელევატორი და სხვ.[1].

ქალაქთა შემოსავალი XIX ს-ის 90-იანი წლებისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამტკიცებული ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი ფაქტიურად თითქმის არასდროს არ სრულდებოდა, რასაც მკაფიოდ ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი. (იხ. ცხრ. 1).

საშემოსავლო ბიუჯეტის მიხედვით იგეგმებოდა გასავალიც. ამიტომ შემოსავლის შეუსრულებლობა გასავლის შეუსრულებლობას იწვევდა და ამდენად, ქალაქთა ბიუჯეტები უმეტესწილად დეფიციტური იყო.

საქალაქო თვითმმართველობების მთავარ ფუნქციას კომუნალური მეურნეობის გამგებლობა შეადგენდა. ნელა უმჯობესდებოდა ქალაქების გარეგანი სახე. მთავარ ქალაქებში თანდათან იზრდებოდა მოკირწყლული და მოასფალტებული ქუჩა-მოედნების რაოდენობა, მრავლდებოდა წყალსადენები. უმჯობესდებოდა ქალაქების განათება, ნავთის ფარნებს თანდათან გაზის ლამპიონები და ელექტრობა სცვლიდა. ინერგებოდა ქალაქის მასობრივი ტრანსპორტის ახალი სახეები. 1883 წ. თბილისში ამუშავდა კონკა, 1904 წ. კი — ელექტროტრამვაი და ფუნიკულიორი. XX ს-ის დამდეგს კონკა ქ. ფოთშიც ამუშავდა.

თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ თვითმმართველობები ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების სფეროში.

1885 წ. თბილისის თვითმმართველობის გამგებლობაში გადავიდა ქა-

---

[1] მ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967, გვ.140—151.

ცხრილი 1[1]

ქალაქების დასახელება	1898 წ.		1899 წ.		1900 წ.	
	საშინაო-ლიმიტი გეგმიური	ფაქტიური შემოსავალი	გეგმა	ფაქტიური შემოსავალი	გეგმა	ფაქტიური შემოსავალი
თბილისი					1 505 467	1 351 636
ახალციხე	83 015	37 118	85 331	40 973	62 916	
გორი	20 792	18 149	18 639	16 531	16 418	
დუშეთი	4 7.7	3 106	4 478	4 037	4 323	
სიღნაღი	2 335	11 881	1 628	12 992	14 225	
თელავი	—	10 588	—	10 565	10 368	
ქუთაისი	158 553	127 376	200 467	140 366	223 654	
ბათუმი	631 385	563 990	825 251	532 105	611 542	
ფოთი	155 239	225 655	192 532	164 814	171 163	
სუხუმი	47 465	44 602	54 263	52 825	56 222	
ოზურგეთი	7 929	5 410	11 002	5 949	9 245	

ლაქის ცენტრალური საავადმყოფო (მიხეილის პროსპექტზე). 1898 წ. თბილისში გაიხსნა ორი სპეციალური პუნქტი გადამდები სნეულებებით დაავადებულთათვის. მოეწყო აგრეთვე სულით ავადმყოფთა თავშესაფარი — სამკურნალო 40 ადგილით. XX ს-ის დამდეგს თბილისში გაიხსნა სამშობიარო სახლი და არამიანცის სახელობის საავადმყოფო, რომელსაც ჰქონდა თერაპევტიული და ქირურგიული განყოფილებები 120 საწოლით. ამავე ხანებში აშენდა ზუბალაშვილის სახელობის ბავშვთა 80-ადგილიანი საავადმყოფო.

1901 წლისათვის თბილისის თვითმმართველობის საექიმო-სანიტარიული ნაწილის შტატში ირიცხებოდა 130 კაცი. აქედან, ექიმი იყო 16, ვეტექიმი — 4, ქიმიკოსი — 2, ფარმაცევტი — 6, ფერშალი — 29 და სხვ. თბილისის საქალაქო თვითმმართველობა თანდათან მეტ თანხას გამოყოფდა ჯანმრთელობის დაცვისათვის. 1899 წ. სამედიცინო-სანიტარიულ მომ-

[1] ЦГИА СССР, ф. 1287, оп. 28, д. 874, лл. 8—86.

სახურებაზე დაიხარჯა 102 925 მან., 1909 წ. კი — 243 726 მანეთი, რაც შეადგენდა თბილისის საგანავლო ბიუჯეტის 13,3%-ს[1].

საქართველოს სხვა ქალაქთა თვითმმართველობებიც თანდათან მეტ ყურადღებას აქცევდნენ სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, მაგრამ საამისოდ მათ შედარებით ნაკლები თანხები გააჩნდათ. 1900 წელს ქუთაისის თვითმმართველობამ სამედიცინო და სანიტარიულ მომსახურებაზე დახარჯა 15 086 მან. (7%), ბათუმის — 21 342 მან. (3,4%), ფოთის თვითმმართველობამ კი — 6 100 მანეთი (3,5%)[2]. 1901 წელს იმავე საჭიროებისათვის ახალქალაქის თვითმმართველობამ გამოყო 605 მან. (1%), ახალციხის — 647 მან. (1%), გორის — 588 მან. (3,5%), თელავის თვითმმართველობამ — 376 მანეთი (2,9%)[3].

თანდათან ფართოვდებოდა თვითმმართველობათა საქმიანობა სახალხო განათლებისა და კულტურის სფეროში.

1880 წ. თბილისის თვითმმართველობამ გახსნა სახელოსნო სასწავლებელი, 1881 წ. კი — 7 დაწყებითი სკოლა. XX ს-ის დამდეგს თბილისის თვითმმართველობის გამგებლობის ქვეშ არსებულ 22 დაწყებით სკოლაში ითვლებოდა 118 მასწავლებელი და 3 176 მოსწავლე. მუნიციპალურ მოღვაწეთა შორის აღმოცენდა საყოველთაო დაწყებითი განათლების განხორციელების იდეა, მაგრამ იგი ნელა მოდიოდა სისრულეში. 1913 წლისათვის თბილისის სასკოლო ასაკის ბავშვების რიცხვი 15—16 ათასს აღწევდა, რომელთაგან ქალაქის დაწყებით სკოლებში მხოლოდ 5 000 სწავლობდა[4].

თბილისის თვითმმართველობამ არაერთხელ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პოლიტექნიკური ინსტიტუტის და უნივერსიტეტის დაარსების ნებართვის თაობაზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლების გახსნა კერძო შეწირულებათა გზით მიღებული თანხის საფუძველზე იყო განზრახული, მეფის მთავრობამ ეს შუამდგომლობები უარყო.

თბილისის თვითმმართველობა თანდათან მეტ თანხას გამოყოფდა სწავლა-განათლების დაფინანსებისათვის. 1883 წელს სწავლა-განათლებაზე დაიხარჯა 42 845 მან., 1900 წ. — 116 492 მან., 1910 წ. — 272 270 მანეთი, რაც შეადგენდა საგანავლო ბიუჯეტის 13%-ს[5].

საქართველოს სხვა ქალაქთა თვითმმართველობები შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ სახალხო განათლების სფეროში. 1900 წელს

---

[1] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა.., გვ. 80—82.
[2] ЦГИА СССР, ф. 1287, оп. 28, д. 906, лл. 6—9.
[3] სსცია, ფ. 12, ანაწ. 6, საქ. 133, ფურც. 33—107.
[4] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა.., გვ. 83—85.
[5] იქვე, გვ. 49—54.

სახალხო განათლებაზე საბიუჯეტო გეგმით უნდა დაეხარჯა: ქუთაისის თვითმმართველობას — 21 776 მან. (9%), ბათუმის — 30 800 მან. (5%), ფოთის — 8 091 მან. (5%), სოხუმის — 3 140 მან. (6%), ოზურგეთის — 260 მან. (3%), ახალქალაქის — 500 მან. (2%), ახალციხის — 999 მან. (1,4 %), გორის — 1 300 მან. (7,5 %), თელავის თვითმმართველობას კი მხოლოდ 160 მანეთი (1,6 %)[1].

* * *

პროგრესული ინტელიგენცია, როგორც აღვნიშნეთ, დიდი იმედით შეხვდა საქალაქო თვითმმართველობების შემოღებას, მაგრამ ეს იმედი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. თვითმმართველობათა მუშაობის ნაკლოვანებანი ძირითადად ობიექტური პირობებით იყო გამოწვეული. 1870 წლის და განსაკუთრებით 1892 წლის დებულება ძალიან ზღუდავდა ამომრჩეველთა წრეს და თვითმმართველობის კომპეტენციას. თანდათან ყველასათვის ცხადი ხდებოდა, რომ არსებული კანონმდებლობა იყო საქალაქო თვითმმართველობათა კრიზისის ძირითადი მიზეზი.

ჯერ კიდევ 1899 წელს ნ. ნიკოლაძე წერდა: „დადგა დრო, როცა თვით თბილისის თვითმმართველობის ახლანდელმა მესვეურებმა აღიარეს, რომ მათ არ შეუძლიათ გაამართლონ მოსახლეობის იმედი და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი... მაგრამ მათ ვერ გაუგიათ, რომ ბოროტების წყარო და წარუმატებლობის მიზეზი არ მოიხსნება, ვიდრე არსებობს ახლანდელი საქალაქო დებულება. თვითმმართველობის არსებული პირობები — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე — გონიერი პროგრამის წამოყენების შესაძლებლობას რომ იძლეოდეს, ნუთუ ქალაქის თავის სავარძლის ესოდენ ბევრ მაძიებელთა შორის არ აღმოჩნდა აქამდე ისეთი პირი, რომელიც შეძლებდა საარჩევნო ყუთის გვერდით დროშაც აღემართა? თუ ასეთი პროგრამის შექმნა და განხორციელება დამოკიდებულია ჩვენს მოღვაწეებზე, რით აიხსნება ყველა ქალაქის თავის ჩავარდნა დაწყებული 1891 წლიდან?.. ცხადია, ყველაფერს ამას აქვს ერთი საერთო მიზეზი“.

ნ. ნიკოლაძე შემდეგ აღნიშნავდა, რომ არა მარტო თბილისში, არამედ თვით მოსკოვ-პეტერბურგშიც კი ვერ გაამართლესო თვითმმართველობებმა მათზე დამყარებული იმედები. ეს თვითმმართველობა პროგრესულად გამოიყურებოდა ქალაქთა მმართველობის რეფორმამდელ, პოლიციურ სისტემასთან შედარებით. დასავლეთ ევროპის ქალაქთა

---

[1] ЦГИА СССР. ф. 1287, оп. 28, д. 906, лл. 6—9; სსცია, ფ. 12, ანაწ. 6, საქ. 133, ფურც. 33—107.

თვითმმართველობასთან შედარებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტიაო. დასავლეთ ევროპაში ქალაქის მეურნეობის გაძღოლის საქმე მინდობილი აქვს მოსახლეობის იმ ფენებს, რომელნიც დაინტერესებული არიან მის წარმატებაში. იქ უკვე შემოღებულია საყოველთაო საარჩევნო სისტემა. რუსეთში კი მოქმედებს 1892 წლის დებულება, რომელიც საარჩევნო ხმის უფლებას აძლევს მხოლოდ მსხვილ მესაკუთრეებს. საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა არა მარტო „შავი მასის", არამედ ინტელიგენციისათვისაც არ შეიძლება უარყოფითად არ ასახულიყო ქალაქის მეურნეობაზე. ბოლოს ნიკოლაძე დაასკვნის: ყველა, ვინც ითვალისწინებს თვითმმართველობის კრიზისის მიზეზებს, ვისთვისაც ძვირფასია პროგრესის ინტერესი, დაგვეთანხმება, რომ ბოროტება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული საყოველთაო საარჩევნო სისტემის დაწესებით და თვითმმართველობის მუშაობაში ინტელიგენციის მონაწილეობით. ამ აუცილებელი, ცხოვრების მიმდინარეობით ნაკარნახევი რეფორმის გატარება არ შეიძლება დიდხანს გადაიდოსო[1].

მეფის მთავრობა უარს ამბობდა საქალაქო რეფორმის გატარებაზე, თვითმმართველობის დემოკრატიზაციაზე. 1905—1907 წლების რევოლუციის ხანაში თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის თვითმმართველობათა მოღვაწეებმა გაბედეს თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ხმის ამაღლება და მოითხოვეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები. მუნიციპალური მოღვაწეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს და იგი რევოლუციის გამარჯვებად გამოაცხადეს. „ამიერიდან — ამბობდა ერთი მათგანი სათათბიროს ტრიბუნიდან — რუსეთი დედინაცვალი აღარ იქნება ჩვენი". ...აწინდელი ჩვენი მოქალაქეობრივი თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება. ჩვენი ამოცანაა მოპოვებული თავისუფლება შევინარჩუნოთ და ცხოვრებაში გავატაროთ[2].

რევოლუციის განვითარების კულმინაციურ წერტილზე ბურჟუაზიის „რევოლუციური" აღტყინება დაცხრა. მან ამჯობინა შერიგებოდა ცარიზმს და თვითმპყრობელობის მაგარი მუშტებით გასწორებოდა მშრომელ მოსახლეობას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის კლასობრივ ბატონობას.

1910 წ. ოდესაში მოწვეულ იქნა რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა. მაგრამ მისი მუშაობის სფერო შეზღუდა მეფის მთავრობამ. კერძოდ, აიკრძალა ყრილობაზე განხილულიყო საქალაქო თვითმმართველობების უფლებათა გაფართოების და მოძველებული დებულებების გადასინჯვის საკითხი.

---

[1] Н. Николадзе, Органические пороки городского самоуправления, «Кавказ», 1899, № 18.

[2] „ცნობის ფურცელი", 1905, № 2929.

მომდევნო ხანაში ბურჟუაზიულ ოპოზიციას კვლავ დაეტყო სიცოცხლის ნიშანწყალი. 1911 წლის მაისში მოწვეულ იქნა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა. ყრილობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე კავკასიაში ერობის შემოღების, საერთო-სახელმწიფო ვალდებულებებისაგან ქალაქთა განთავისუფლების, თვითმმართველობის უფლებათა გაფართოების და სხვ. შესახებ, მაგრამ მეფის მთავრობა დათმობაზე არ მიდიოდა.

უფრო გაბედულად გამოვიდნენ მუნიციპალური მოღვაწეები კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობაზე (1913 წ.). თბილისის ქალაქის თავმა ა. არღუთინსკიმ ხაზი გაუსვა კავკასიის ქალაქების მძიმე მდგომარეობას და მოითხოვა რეფორმები. ქუთაისის ქალაქის თავმა თ. ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ მთავრობამ პირველი ყრილობის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, მაგრამ ჩვენ იარაღი როდი უნდა დაეყაროთ, დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ საქალაქო თვითმმართველობის უფლებათა გაფართოება.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მეფის მთავრობა მეტ ანგარიშს უწევდა ბურჟუაზიას. ოპოზიციური ელემენტების დასაწყნარებლად შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საქალაქო დებულების გადამუშავება. 1916 წ. გამოქვეყნდა წინასწარი თეზისები, რომელიც მოიწონა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის თათბირმა. საყურადღებოა პირველი-მეორე თეზისი: 1. ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოები — სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოებია. 2. ქალაქთა საზოგადოებრივი მმართველობა უძღვება ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საქმეს, რომელიც არ შედის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების კომპეტენციაში. თეზისების თანახმად მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო საარჩევნო ცენზი[1].

ცარისტული რეჟიმის პირობებში საქალაქო თვითმმართველობის უფლებათა გაფართოებისა და დემოკრატიზაციის საქმე ამ ვარაუდებს არ გასცილებია. ადგილობრივი მმართველობის ეს ორგანოები ბოლომდე ცარიზმის სახელმწიფო აპარატის კომპეტენცია შეზღუდულ და უუფლებო დანამატს წარმოადგენდა.

§ 2. ერობის შემოღების საკითხი

საერობო რეფორმის გატარება იმავე მიზეზებმა განაპირობა, რამაც საერთოდ აიძულა მეფის მთავრობა დროის მოთხოვნილების შესაბამისად

---

[1] «Известия», 1916, № 4—5, გვ. 3.

რამდენადმე გადაეკეთებინა რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური შენობა. მეფის მთავრობის მოხელეები რეფორმის მიზნად საერობო მეურნეობის რეორგანიზაციას ასახელებდნენ.

რუსეთში ყველა გადასახად-ვალდებულებანი ძველი დროიდანვე ორი მთავარი სახისა იყო: 1. საკუთრივ სამეფო, საერთო სახელმწიფო გადასახადები და 2. ადგილობრივი შესაკრებელი, რომლისგან მიღებული თანხა ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის უნდა გამოყენებულიყო. დროთა მსვლელობაში მეორე სახის გადასახად-ვალდებულებებმა მიიღო „საერობო" შესაკრებელის საერთო სახელწოდება. 1851 წ. დებულება-წესდებას საგუბერნიო საერობო შესაკრებელთან ერთად შემოჰქონდა სახელმწიფო საერობო შესაკრებელის ცნება, რაც ცარიზმის კანონმდებლობის არათანმიმდევრობაზე მიუთითებს, მაგრამ ეს გამოწვეული იყო სურვილით საერობო სახსრები გამოეყენებინათ საერთო-სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის.

1851 წლის კანონით საერობო შესაკრებელ-ვალდებულებათა გამგებლობა ევალებოდა განსაკუთრებულ კომიტეტს და საკრებულოებს, რომელშიც მთავრობის მოხელეებთან ერთად შედიოდნენ თავადაზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო წინამძღოლები, ქალაქის თავები და წოდებათა წარმომადგენლები. საერობო ბიუჯეტის პროექტს ამტკიცებდა ფინანსთა მინისტრი. ბიუჯეტის პრაქტიკული შესრულება ევალებოდა საერთო-სახელმწიფო ორგანოებს[1].

ხანგრძლივმა გამოცდილებამ მეფის მთავრობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ადმინისტრაციას, რომელიც დაკავებული იყო თავის უშუალო მოვალეობის შესრულებით, არ შეეძლო საერობო შესაკრებელ-ვალდებულებათა გამგებლობა. მან გადაწყვიტა ეს საქმე ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელთა კომპეტენციაში გადაეცა. მაგრამ ფაქტიურად სარეფორმო საქმიანობის დროს საერობო ვალდებულებათა საკითხი მთავარი როდი იყო. რევოლუციური სიტუაციის ვითარებაში საერობო რეფორმა ძალიან შორს გასცდა ამ ვიწრო სფეროს და აღძრა ეკონომიური. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფართო საკითხები.

მეფის მთავრობა თავგამოდებით იცავდა თავის მონოპოლიურ უფლებას საერობო რეფორმის მომზადების საქმეში. მთავრობის კომისიებში თვით პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებიც კი არ ყოფილან დაშვებული. 1862 წ. გამოქვეყნდა „საერობო დაწესებულებათა მოწყობის მთავარი საწყისები", 1864 წ. 1 იანვარს კი ალექსანდრე მეორემ და-

---

[1] Б. Веселовский, История земства за сорок лет, т.I, С.-Петербург, 1908, გვ. 1—8.

ამტკიცა დებულება სამაზრო და საგუბერნიო საერობო დაწესებულებათა შესახებ, რომლის ძირითადი მუხლების შინაარსი ასეთი იყო:

ადგილობრივი სამეურნეო საქმეების გამგებლობისათვის იქმნებოდა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებანი. საერობო დაწესებულებათა ფუნქციებში შედიოდა: საერობო ქონების, კაპიტალების და ფულად შესაკრებელთა გამგებლობა; ერობის კუთვნილი შენობების, სხვა ნაგებობების და გზების მოწყობა-შეკეთება; ზრუნვა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, მონაწილეობა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში; ადგილობრივი ვითარების შესწავლა, მხარის საჭიროებაზე სათანადო ცნობების წარდგენა და მთავრობის წინაშე სხვადასხვა სახის შუამდგომლობების აღძვრა; საერობო არჩევნების ჩატარება და საერობო დაწესებულებების შენახვისათვის თანხის გამოყოფა; იმ საქმეთა გამგებლობა, რაც შესაძლოა მომავალში გადასცემოდა ერობის ფუნქციებს.

ყალიბდებოდა ორსაფეხურიანი ერობა. სამაზრო და საგუბერნიო ერობების განმკარგულებელ ორგანოებს წარმოადგენდნენ ხმოსანთა კრებები, მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოებს კი გამგეობები. დებულება საკმაოდ მაღალ საარჩევნო ცენზს აწესებდა. ყალიბდებოდა სამი საარჩევნო კურია — მაზრის მიწათმფლობელთა და ქალაქისა და სოფლის საზოგადოებათა კურიები. ისინი ირჩევდნენ სამაზრო ერობათა კრებების ხმოსნებს. საგუბერნიო ერობის ხმოსნები კი სამაზრო ერობის ხმოსანთა წრიდან აირჩეოდნენ. სამაზრო ერობის გამგეობა სამი, ხოლო საგუბერნიო ერობის გამგეობა 6 წევრისაგან შედგებოდა. გამგეობის თავმჯდომარეებს ამტკიცებდა გუბერნატორი და შინაგან საქმეთა მინისტრი[1].

ერობების მოქმედების სფერო ვიწრო იყო, ხოლო მათთვის მიცემული ძალაუფლება — მეტად სუსტი. მართალია, ერობების გამგებლობაში გადაიცა საგუბერნიო საერობო შესაკრებლით მიღებული თანხა, მაგრამ მთავრობამ დააწესა ბიუჯეტის დახარჯვის გარკვეული წესი, რასაც საერობო მოღვაწეები გვერდს ვერ უვლიდნენ. ერობას პირველ რიგში თანხები უნდა გამოეყო მის რაიონში მდგარი ადგილობრივი სამოქალაქო მმართველობის და მომრიგებელი სასამართლოების შენახვის, დიდმნიშვნელოვანი გზების გაყვანა-შეკეთებისა და სხვ. სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის. დანარჩენი თანხა ერობას შეეძლო თავის შეხედულებისამებრ დაეხარჯა, მაგრამ საამისოდ ბევრი არაფერი რჩებოდა. 1871 წელს, მაგალითად, მთავრობის მითითებით დაიხარჯა საერობო ბიუჯეტის 58%, დანარჩენი თანხა ერობის არსებით საჭიროებათა დაკმაყოფილებას მოხმარდა.

მიუხედავად იმისა რომ ერობას ვიწრო ასპარეზი და შეზღუდული ძა-

---

[1] Земство, Политико-экономический сборник, С.-П. 1864, გვ. 7—51.

ლაუფლება მიეცა, საერობო რეფორმის გატარება დადებით მოვლენას წარმოადგენდა. ერობა (ცოტა მოგვიანებით საქალაქო თვითმმართველობაც) თავისი ორგანიზაციის ფორმით აშკარად დაუპირისპირდა თვითმპყრობელობის ძველ სოციალურ-პოლიტიკურ შენობას. აქამდე რუსეთის აბსოლუტურ მონარქიული სახელმწიფოსათვის სრულიად უცნობი იყო საარჩევნო პრინციპზე დამყარებული დაწესებულების არსებობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კი სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.

1864 წ. 1 იანვრის უმაღლესი ბრძანებით ერობები დაარსდა ევროპული რუსეთის 35 გუბერნიაში. სამაზრო ერობის ხმოსანთა 42%-ს შეადგენდნენ თავად-აზნაურები, 16%-ს — რაზნოჩინელები და 38%-ს — გლეხები. საგუბერნიო ერობებში კი თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა უდრიდა 81%-ს, რაზნოჩინელების — 12%-ს, გლეხობის — 7%-ს[1].

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ როგორც ყველა ბურჟუაზიული რეფორმა, ისე, კერძოდ, საერობო რეფორმა განპირობებული იყო რევოლუციური სიტუაციით. ცარიზმის მხრიდან ეს იყო ერთგვარი დათმობა, რომლის პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა ლიბერალური მოღვაწეების მთავრობის მხარეზე გადაბირება. საერობო რეფორმა იყო კონსტიტუციის მცირე ნაგლეჯი, რომლითაც გააჩუმეს კონსტიტუციისათვის მებრძოლი ლიბერალები და რამდენადმე განამტკიცეს თვითმპყრობელობა.

ლენინი ხაზს უსვამდა ცარიზმის მისწრაფებას შეესუსტებინა, შეევიწროებინა და მთავრობის ადმინისტრაციისათვის დაექვემდებარებინა საერობო დაწესებულებანი. მისი განცხადებით „ერობას იმთავითვე არგუნა ბედმა რუსეთის მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი ყოფილიყო, ისეთი თვალი, რომელსაც ბიუროკრატია მხოლოდ იმდენად ითმენდა, რამდენადაც მისი ყოვლისშემძლეობა არ ირღვეოდა, ხოლო მოსახლეობისაგან არჩეული დეპუტატების როლი განისაზღვრებოდა მარტოოდენ პრაქტიკით, იმ ამოცანათა უბრალო ტექნიკური შესრულებით, რომლებიც იმავე მოხელეებმა დასახეს. ერობებს არ გააჩნდათ თავიანთი აღმასრულებელი ორგანოები, მათ უნდა ემოქმედათ პოლიციის საშუალებით; ერობები არ იყვნენ ურთიერთშორის დაკავშირებული და ერთბაშად დაექვემდებარნენ ადმინისტრაციულ კონტროლს და თავისთავად ასეთი უვნებელი დათმობის შემდეგ, მთავრობა ერობის შემოღების მეორე დღესვე შეუდგა მის სისტემატურ შევიწროებას და შეზღუდვას: ყოვლისშემძლე მოხელეთა ხროვას არ შეეძლო შეგუებოდა ყველა წოდებათაგან არჩეულ წარმომადგენლობას და ყოველნაირად სდევნიდა მას“[2].

---

[1] Б. Веселовский, История земства.., т. 3, გვ. 680—681.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 42—43.

მიუხედავად ამისა ერობები ცხოვრების ზოგიერთ სფეროში სასარგებლოდ საქმიანობდნენ. მათ მნიშვნელოვნად გაამრავლეს დაწყებითი სკოლები, გიმნაზია-სემინარიები, გახსნეს საავადმყოფოები, წვრილი საკრედიტო დაწესებულებები, ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის პროგრესს.

იცავდა რა თავის უფლებებს, ერობა თითქმის ყოველთვის ოპოზიციაში ედგა მთავრობას. ეს იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალური, ლეგალური ოპოზიცია, მაგრამ მთავრობას იგი მაინც აშინებდა. ს. ვიტეს ერობა მიაჩნდა ისეთ ორგანიზაციად, რომელიც შეუთავსებელი იყო თვითმპყრობელურ წყობილებასთან და თავის ხასიათით წარმოადგენდა კონსტიტუციურ დაწესებულებას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა საერობო ოპოზიციის გარკვეულ დადებით მნიშვნელობაზე და მას განიხილავდა, როგორც დამხმარე ფაქტორს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეფის მთავრობამ რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეები მოუმზადებლად მიიჩნია საერობო რეფორმისათვის. ერობა არ მიუღიათ არხანგელსკის, ასტრახანის და ორენბურგის გუბერნიებს, რადგან იქ თითქმის სრულიად არ იყო თავადაზნაურობა. საერობო რეფორმა არ გატარებულა პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, ციმბირში, კავკასიაში, ყაზახისტანსა და შუა აზიაში.

რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეები, რომელნიც განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდნენ „ხალხთა საპყრობილეს“ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის „სიმშვენიერეს“, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სიმწვავეს, ბუნებრივია, იბრძოდნენ თავის უფლებათა გაფართოებისათვის. განაპირა მხარეებში ადგილობრივი თვითმმართველობის იდეას გაცილებით მეტი მიზიდულობის ძალა ჰქონდა, ვინემ იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში.

* * *

საქართველოს პროგრესული ძალები კარგად ამჩნევდნენ საერობო რეფორმის კუდმოკვეცილ ხასიათს, მაგრამ არსებულთან შედარებით საერობო დაწესებულებანი პროგრესის გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდათ და თავგამოდებით იბრძოდნენ მისი შემოღებისათვის.

რუსეთის 35 გუბერნიაში საერობო რეფორმის გატარების შემდეგ, საერობო თანხების გამგებლობის წესი რამდენადმე შეიცვალა სხვა მხარეებშიც. კავკასიის მართვა-გამგეობის შესახებ 1869 წლის კანონის თანახმად ჩამოყალიბდა საერობო ვალდებულებათა განსაკუთრებული საკრებულო, რომელიც ერთ-ერთი დაწესებულების სახით შევიდა მეფის-

ნაცვლის მთავარსამმართველოში. განსაკუთრებულ საკრებულოს ჰქონდა მხოლოდ სათათბირო ფუნქციები. მის სხდომებზე განიხილებოდა საერობო შესაკრებლის აკრეფის საკითხი და გამოითქმოდა ვარაუდები მიღებული თანხის დახარჯვის თაობაზე. საერობო ბიუჯეტის პრაქტიკული შესრულება დაკისრებული ჰქონდა მთავარსამმართველოს დეპარტამენტს და გუბერნია-მაზრების უფროსებს[1].

XIX ს-ის 80-იან წლებში კავკასიის ადმინისტრაციამ აღიარა, რომ თავის პირდაპირი დიდი მოვალეობის გამო, მას არ შეუძლია საერობო მეურნეობის გაძღოლა. უმაღლეს მთავრობაში გაიგზავნა შუამდგომლობა, რომ ამიერკავკასიაში, რუსეთის არასაერობო გუბერნიების მსგავსად, საერობო მეურნეობის გამგებლობისათვის დაეარსებინათ განმკარგულებელი კომიტეტები. მეფის მთავრობა თითქოს თანაგრძნობით შეხვდა ამ იდეას. 1888 წელს ფინანსთა სამინისტროში შედგენილ იქნა სათანადო ბარათი, რომლის თანახმად საგუბერნიო განმკარგულებელი კომიტეტების მუშაობაში, მთავრობის მოხელეებთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ადგილობრივ მიწათმფლობელთა წარმომადგენლებსაც. ეს უკანასკნელნი განიხილავდნენ საერობო ბიუჯეტის პროექტებს, ნატურალური ვალდებულებების ფულზე გადაყვანის საკითხს და უძრავი ქონების შეფასების დროსაც იტყოდნენ თავის სიტყვას. სამინისტროს აზრით, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები გააუმჯობესებდნენ საგუბერნიო კომიტეტების — მთავრობის ამ დაწესებულებათა მუშაობას. ფინანსთა სამინისტროს კომპეტენტური აზრის მიუხედავად, უმაღლესი მთავრობის საწინააღმდეგო პოზიციის გამო, საგუბერნიო განმკარგულებელი კომიტეტები საქართველოსა და კავკასიაში არ დაარსებულა[2].

ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მეფის მთავრობა განგებ აძნელებდა და აჭიანურებდა განაპირა მხარეებში საერობო რეფორმის გატარებას, „ტუზემცებისათვის“ შეზღუდულ საერობო თვითმმართველობასაც კი არ იმეტებდა. ქართველი თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ლიბერალები, რომლებსაც ძალიან ხშირად დემოკრატებიც უჭერდნენ მხარს, საკმაოდ ენერგიულად საქმიანობდნენ, რათა აეძულებინათ ცარიზმი საერობო რეფორმა საქართველოშიც გაეტარებინა.

ჯერ კიდევ 1867 წელს გორის მაზრის თავადაზნაურთა კრებამ აღძრა საკითხი თბილისის გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა დაარსების თაობაზე[3], მაგრამ ეს პირველი ხმა მეტად სუსტი იყო და სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

---

[1] სსცია, ფ. 12, ანაწ. 11, საქ. 243, ფურც. 1—4.
[2] იქვე, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 22, ფურც. 6—8.
[3] იქვე, ფურც. 8—9.

თავადაზნაურთა წოდება საერთოდ არა თუ ერობის შემოღებას მოითხოვდა, არამედ წინააღმდეგიც კი იყო საერობო დაწესებულებათა დაარსებისა, რადგან ამას მოჰყვებოდა მისი მამულების დაბეგვრა. ამიტომ იყო რომ თავადაზნაურთა წოდებრივ ორგანიზაციას (დეპუტატთა საკრებულოს) გორელთა გაუბედავი გამოსვლის შემდეგ დიდხანს ხმა აღარ ამოუღია ერობის საკითხზე.

ქართულ და რუსულ დემოკრატიულ პრესაში კი თითქმის ყოველთვის იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც გარკვეულ ასახვას პოულობდა რუსეთის საერობო დაწესებულებათა საქმიანობა და თანაც გამოითქმოდა სურვილი ანალოგიური დაწესებულებების საქართველოში დაარსების თაობაზე.

XIX ს-ის 80-იანი წლების დამდეგს ილია ჭავჭავაძე წერდა: „თუ ერობის საქმე ისე მოწყობილია, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესი ნატვრა ჯერ ამხანად მაინც მეტის მეტი წადილი იქნება“. ამასთან ერთად ილია იწუნებდა ერობის შესახებ არსებულ ცარიზმის კანონმდებლობას, რომელიც აქტიურ და პასიურ საარჩევნო ხმას მხოლოდ მდიდრებს, ცენზიანებს აძლევდა და ერის ძირითად ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის გარეთ ტოვებდა. ილიას არც ის მოსწონდა, რომ კანონი თვით იძლეოდა საერობო დაწესებულებათა მოქმედების სქემას და ერობის საკუთარ ინიციატივას ძალზე ზღუდავდა. „თუ მაგალითად, კანონით დაიდვა, — წერს ილია, — რაც მეამება მარტო ისა სთქვიო და რა წამალიც მე ვინდომო ის წამალი იხმარეო, მაშინ, ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი. მაშინ ერობა ერს კისერზე დააწვება მთელი თავისი სიმძიმითა, ხარჯებითა, გადასახადებითა და მუხუდოს ოდენა სიკეთესაც კი არ მოუტანს. ერობა, — განაგრძობს ილია, — ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება. ერთით ტვირთია, მეორით ღონეა სიკეთისა, რადგან ერი თვითონვე ბატონობს თავის თავს... რაღა თქმა უნდა, ერობაში სანუკვარი უფრო მეორეა. ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თავის თავისვე საკეთილოდ. მაშასადამე აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი ექნება შემოზღუდული ერობას, რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულეთა არჩევანი დაბრკოლდება რითიმე თუ არა“[1].

ილიას ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ მას არ მოსწონდა ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის დამატების სახით არსებული ერობა და იბრძოდა ჭეშმარიტი ადგილობრივი თვითმმართველობის მოპოვებისათვის.

მეფის მთავრობა კი არათუ ერობების დემოკრატიზაციაზე და მათი კომპეტენციის გაფართოებაზე არ ფიქრობდა, არამედ პირიქით, მხოლოდ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. 5, გვ. 135—136.

იმაზე ოცნებობდა, რომ უკან წაეღო XIX ს-ის 60-იანი წლების დათმობები. მეორე რევოლუციური სიტუაციის დამთავრებისა და რეაქციის დაწყების შემდეგ ცარიზმმა თანდათანობით განახორციელა თავის ეს მისწრაფება, გაატარა კონტრრეფორმები, მოახერხა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ადმინისტრაციის კიდევ უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცია და თანაც შეეზღუდა მათი მოქმედების სფერო.

1882 წ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოში ერობის შემოღების საკითხი. მთავრობაში გასაგზავნი დასაბუთებული შუამდგომლობის შედგენა დაევალა სპეციალურ კომისიას. მაგრამ მალე ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ უმაღლეს მთავრობაში მუშაობდნენ საერობო დაწესებულებათა რეორგანიზაციის პროექტზე, რომლის დამტკიცებამდე აზრი არ ჰქონდა შუამდგომლობის შედგენასა და გაგზავნას.

გავიდა ამის შემდეგ 12 წელი და თბილისის თავადაზნაურთა ერთ-ერთ სხდომაზე გ. თუმანიშვილმა განაცხადა, რომ ერობის შემოღებას ახლა აღარაფერი დააბრკოლებს, რადგან ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ დამთავრდა ახალი დებულების საფუძველზე საერობო დაწესებულებათა რეორგანიზაცია. მან თავადაზნაურობას მოუწოდა ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით, როცა მეფის მთავრობა წინა პლანზე აყენებდა თავადაზნაურთა ინტერესების დაცვას და აღეძრა შუამდგომლობა საქართველოში ერობის შემოღების შესახებ. ამ მომენტის ხელიდან გაშვება დიდი ცოდვა იქნება ქვეყნისა და მომავალი თაობის წინაშეო.

თავადაზნაურთა წინამძღოლებმა და დეპუტატებმა აღიარეს საკითხის დიდი მნიშვნელობა და საჭიროდ ჩათვალეს მისი გადაცემა კომისიისათვის. კომისიაში შევიდნენ საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები. გ. თუმანიშვილს დაევალა შესაფერისი პროექტის შედგენა. ამ უკანასკნელმა პირნათლად შეასრულა დავალება და 1896 წ. თებერვალში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს წარუდგინა ბარათი — „საქართველოში საერობო დაწესებულებათა დაარსების აუცილებლობის შესახებ"[1].

საერობო თვითმმართველობა, წერს გ. თუმანიშვილი თავის ბარათში, მოიცავს ადგილობრივ ინტერესთა ფართო სფეროს, რომლის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. ამას გვიჩვენებს ჩვენს პირობებში საქალაქო თვითმმართველობის მაგალითიც. საერობო მმართველობა უფრო ფართო სფეროს მოიცავს და მისმა წარმოებამ კანცელარული მეთოდებით არ შეიძლება არ მოახდინოს ქვეყნის სასიცოცხლო მისწრაფებათა პარალიზებაო.

---

[1] Записки и статии о введении земских учреждении в Тифлисской губернии, сост. Г. М. Тумановым, Тиф., 1897, გვ. 6—8.

თუ ჩვენი ქალაქები, განაგრძობს ბარათის ავტორი, ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ჩაითვალნენ თვითმმართველობისათვის მომზადებულად, თუ რუსეთის შიგა გუბერნიები საერობო თვითმმართველობისათვის მზად იყვნენ 31 წლის წინათ, არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ თბილისის გუბერნიის მოსახლეობა ამჟამად მზადაა საერობო რეფორმისათვის.

შემდეგ გ. თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ თბილისის გუბერნიას არ ახასიათებს დიდად განსხვავებული სპეციფიკური პირობები და აქ სავსებით შესაძლებელია 1890 წლის დებულების უცვლელად გადმოტანაო. გამონაკლისებსა და დამატებებზე შუამდგომლობის აღძვრა საქმის მსვლელობას დააგვიანებსო. თავადაზნაურობა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ერობის გარეშე შეუძლებელია მისი და მთელი მხარის მატერიალური და სულიერი აღორძინება, რომ ერობის შემოღება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს პროგრესის გზაზე. ბოლოს გ. თუმანიშვილმა მოუწოდა თავადაზნაურობას დაუყოვნებლივ აღეძრა შუამდგომლობა საქართველოში საერობო დაწესებულებათა დაარსების თაობაზე[1].

1897 წ. 1 ივნისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა გ. თუმანიშვილის ზემოაღნიშნული ბარათი. დეპუტატთა ერთი ნაწილი არ დაეთანხმა ავტორის თვალსაზრისს. ი. ანდროხიკაშვილმა, სავანელმა, ჯაფარიძემ და ორბელიანმა განაცხადეს, რომ ჩვენთან ჯერ არ არის მომზადებული პირობები ერობის შემოსაღებადო[2].

ამ არქირეაქციონერთა გამოსვლის შემდეგ სიტყვა მოითხოვა ილია ჭავჭავაძემ. „ჩვენს განსახილველად შემოთავაზებული საკითხი, — განაცხადა მან, — არც ისე რთულია. მისი გადაჭრა ამ სხდომაზევე შეიძლება. წინადადებას გვაძლევენ ვიყოთ ჩვენივე ფულის გამგებელნი. ჩვენ ამჟამად საერობო სალაროში შეგვაქვს 600 ათას მანეთზე მეტი წლიურად. რატომ ჩვენ თვითონ არ უნდა მივცეთ ამ თანხას ისეთი მიმართულება, როგორიც ჩვენ გვსურს. ვინ შეიძლება გაილაშქროს ამის წინააღმდეგ?[3].

ილიას გამოსვლას საკრებულოს დეპუტატთა დიდი ნაწილი ოვაციით შეხვდა, მაგრამ თავადაზნაურთა უმცირესობა სხვანაირად აზროვნებდა. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის წინადადებით საკითხი კვლავ კომისიას გადაეცა შესასწავლად[4].

ამის შემდეგ პოლემიკა პრესის ფურცლებზე გაჩაღდა. ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში საკმაო რაოდენობით გამოქვეყნდა ერობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა წერილები.

---

[1] Записки и статьи о введении земских учреждении в Тифлисской губернии, сост. Г. М. Тумановым, Тиф., 1897, გვ. 18—21.

[2] იქვე, გვ. 26—30.

[3] იქვე, გვ. 51—52.

[4] იქვე.

ნ. ნიკოლაძე უსაყვედურებს თავადაზნაურობას, რომ იგი არ არის დაინტერესებული საქართველოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტით. პრივილეგიურ წოდებას თითქოს აშინებს გადასახადებით დაბეგვრა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ერობები ჯერ არ არის, თავადაზნაურთა მამულები კი უკვე დაიბეგრაო. გადასახადებს ყველა წოდებებისაგან იღებენ, მიღებული თანხის გამგებლობა კი პოლიციის ხელშიაო.

1864 წლის კანონებით რუსეთის შიდა გუბერნიებში პოლიციას ჩამოერთვა სამართლის წარმოებისა და სამეურნეო გამგებლობის ფუნქციები, რომელიც გადაეცა ხალხის წარმომადგენლებს. 1864 წ. საერობო დებულებას, — ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, — ბევრი ნაკლოვანებები აქვს. ჩვენთვის რომ მოეცათ ნება საკუთარი სურვილისამებრ გადაგვეწყვიტა საკითხი, ვინმე შეძლებდა მის უკეთესად გადაჭრას, მაგრამ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეები ამ ნიშნით როდი ფასდებაო. საერობო დაწესებულებათა შესახებ ახალი 1890 წლის დებულება, აღნიშნავს ნიკოლაძე, კიდევ უფრო ავიწროებს ერობის მოქმედების სფეროს. მაგრამ მის საფუძველზე მოწყობილ საერობო დაწესებულებებს ჩვენთვის მაინც დადებითი მნიშვნელობა ექნებაო.

პოლიციას, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, არც სურვილი აქვს და არც საშუალება საერობო საქმეების მართვისა. ხოლო თუ ერობა ადგილობრივი მოსახლეობის ხელში იქნება, მას აღმოაჩნდება ამ საქმის გაძღოლის სურვილიც და საშუალებაც. საქართველოში ჯერ არაა ერობა, მაკრამ მოსახლეობა ნებაყოფლობით იბეგრავს თავს ზოგან სკოლის მოწყობისათვის, ზოგან არხისა თუ წყალსადენის გაყვანისათვის და სხვ. როცა ჩვენი მაზრები თვითმმართველობას მიიღებენ, ადგილობრივი შემოსავლის წყაროები კიდევ უფრო გამრავლდებაო[1].

ამიერკავკასიაში ერობის შემოღების წინააღმდეგ გაილაშქრეს მხოლოდ „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“ და „კავკაზმა“, მაგრამ მათი ხმა ცალად გაისმა თანამგრძნობ ჟურნალ-გაზეთთა ქოროში.

ამ ორი რეაქციული გაზეთიდან უფრო აშკარად გამოვიდა „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომელმაც გამოაცხადა, რომ მხარე მომზადებული არ არის ერობისათვისო. ჯერ უნდა გავრცელდეს სწავლა-განათლება და მერე დავსვათ ერობის შემოღების საკითხიო. ამ გაზეთის ვაი პუბლიცისტებს ავიწყდებოდათ, რომ საქართველო-ამიერკავკასიის საზოგადოებრიობა სწორედ იმიტომ მოითხოვდა საერობო დაწესებულებათა შემოღებას, რომ მათ უფრო ფართო ნიადაგზე დაეყენებინათ სწავლა-განათლება და მოსახლეობას დახმარებოდნენ სამეურნეო საქმიანობაში.

ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ ორგანიზაციას არ შეეძლო ანგა-

---

[1] „მოამბე“, 1897, № 6, განყოფ. II, გვ. 28—52.

რიში არ გაეწია ფართო საზოგადოების მოთხოვნისათვის. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ ერობის შემოღების თაობაზე შეიმუშავა ვრცელი პროექტი, რომელიც 1897 წ. 12 ნოემბერს გაიგზავნა დასამტკიცებლად უმაღლეს მთავრობაში.

აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა უფრო ნელა მოქმედებდა. ამიტომ ქუთაისში გამომავალი გაზეთი „მეურნე" საყვედურით შენიშნავდა, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობისაგან მეტს მოველოდით, სინამდვილეში კი ერობის შემოღების თაობაზე შუამდგომლობის აღძვრა ქუთაისელებმა დაასწრეს. წერილის ავტორი შიშს გამოთქვამდა — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მიერ საქმის კომისიისათვის გადაცემამ ვაი თუ ცუდი შედეგი გამოიღოს ქუთაისელთა შუამდგომლობის წარმატების საქმეში. ჯობდა სულ არ განეხილათ საკითხი, ვიდრე კომისიისათვის გადაეცათ ის საქმე, რომლის განხორციელებაზე მხარე აგერ 25 წელია ოცნებობსო[1].

ბოლოს და ბოლოს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებრივმა ორგანიზაციამაც, გ. თუმანიშვილის ზემოგანხილული ბარათების საფუძველზე, შეიმუშავა საქართველოში ერობის შემოღების პროექტი და 1899 წ. 31 დეკემბერს გაგზავნა იგი უმაღლეს მთავრობაში.

მალე ამ მნიშვნელოვან საქმეს გამოეხმაურნენ სხვა საზოგადოებანი და დაწესებულებანი. ერობის შემოღების თაობაზე ორგზის აღძრა შუამდგომლობა (1899 და 1903 წელს) კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ. 1901 წ. ანალოგიური შუამდგომლობები იქნა აღძრული მეღვინეთა, მიწათმოქმედთა, მერძევეთა და კუსტარულ მრეწველთა ყრილობების მიერ. 1904 წ. ამ საერთო მოძრაობას შეუერთდნენ და სათანადო შუამდგომლობები აღძრეს მებამბეთა ყრილობამ, კავკასიის სამედიცინო და სოხუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებებმა[2].

ამრიგად, საქართველოსა და ამიერკავკასიის საზოგადოებრიობა თითქმის ერთსულოვნად მოითხოვდა ერობის შემოღებას. მთავრობაც თითქოს არ იყო წინააღმდეგი ერობა ებოძებინა ამ განაპირა მხარისათვის, მაგრამ ბიუროკრატია, სხვადასხვა მოტივით ყოველთვის ახერხებდა საქმის გაჭიანურებას.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მშვიდობიანი ადრესებისა და შუამდგომლობების ნაცვლად მეფის მთავრობას რევოლუციური მასების საბრძოლო ყიჟინა მოესმა, კავკასიის მეფისნაცვალი თვით გამოვიდა ერობის შემოღების ინიციატორად, რათა ამ მცირე დათმობით ლიბერალური საზოგადოება დაეკმაყოფილებინა და იგი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა.

---

[1] „ძეურნე", 1897, № 9, № 12.

[2] სსცია, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 22, ფურც. 8.

მეფისნაცვალმა სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა გუბერნატორებსა და მაზრის უფროსებს, დაავალა მათ მოეწვიათ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მიერ არჩეული წარმომადგენელთა საერობო თათბირები.

მშრომელმა მასებმა, რომელნიც ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ, ბოიკოტი გამოუცხადეს ამ თათბირებს, რის გამო საქართველოს უმრავლეს რაიონებში საერობო კამპანია გაკოტრდა. მხოლოდ ლიბერალურმა ინტელიგენციამ, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულმა წრეებმა მიიღეს მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

მეფის მთავრობის მოხელეები აღიარებდნენ, რომ ამიერკავკასიაში ერობის შემოღების გზაზე ყველა დაბრკოლება მოხსნილი იყო. მაგრამ ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ იმის გამორკვევას ამ მხარისათვის განსაკუთრებული დებულების შედგენა იყო საჭირო, თუ შეიძლებოდა არსებული დებულებების გატარება[1].

1905 წ. 16 ივლისს შედგა მეფისნაცვლის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციისა და ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. სხდომის გახსნისას ვორონცოვ-დაშკოვმა განაცხადა: "მევიკრიბეთ რათა საფუძველი დავუდოთ კავკასიაში ერობის შემოღების საქმეს. თათბირები ღია იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ იქ არ დაუშვებთ არაკეთილსაიმედო პირებს. უახლოესი მიზანია საერობო თათბირების ორგანიზაცია და ახლა მხოლოდ ამ საკითხზე გამოვთქვათ ჩვენი აზრი"[2].

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, სხდომაზე გამოსულ ორატორთა ერთმა ნაწილმა არ იკმარა ასეთი ვიწრო სფერო. აგრონომმა სააკოვმა განაცხადა: უდავოა, საერობო რეფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს და მოსახლეობა ძასზე დიდი ხანია ოცნებობს. საერობო საკითხი არა თუ მომწიფდა, არამედ გადამწიფდა კიდეც. მაგრამ რაც არ უნდა დიდი იყოს საერობო რეფორმის მნიშვნელობა, იგი მაინც არასაკმარისია მხარის დამშვიდებისათვის. საჭიროა დავაჩქაროთ აგრეთვე აგრარული, სასამართლო, სასკოლო და სხვა რეფორმების გატარება, რათა ჩვენი მხარე უფლებრივად გაუთანაბრდეს ცენტრალური რუსეთის გუბერნიებსო.

რამდენიმე წლის წინ, განაგრძო ორატორმა, მე გულწრფელად ვიცავდი 1864 წლის დებულებას და მწამდა, რომ ერობა განაახლებდა ჩვენი სოფლის ცხოვრებას. მაგრამ ახლა ამის თქმა აღარ შემიძლია. ცხოვრება უკანასკნელ პერიოდში სწრაფად წავიდა წინ. მოსახლეობა მომწიფდა არა მარტო ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის, არამედ სახელმწიფოებრივი მმართველობისათვისაც. ახლა 1864 წლის დებულება არსებითად

---

[1] სსცია, თ. 13, ანნ 10. საქ. 22. ფურც. 6, 9—10.

[2] К введению на Кавказе земского самоуправления (Сборник материалов сост. Г. М. Тумановым), Тиф., 1905, I, გვ. 59—60.

უნდა შეიცვალოსო. ორატორის აზრით, ეს ცვლილებები უნდა გამოხატულიყო შემდეგში: 1. აქამდე ერობა იყო წმინდა სამეურნეო დაწესებულება. ახლა კი მას უნდა მიეცეს საკანონმდებლო ინიციატივის და მხარის შესახები კანონების განხილვა-მოწონების უფლება; 2. 1864 წ. დებულებით გათვალისწინებული საარჩევნო ცენზი ძალიან მაღალია. ცენზი უნდა შემცირდეს მინიმუმამდე. კიდევ უკეთესი იქნება საერთოდ ცენზის გაუქმება; 3. ერობების ნაყოფიერი მუშაობის წინაპირობა იქნება მისი ადმინისტრაციისაგან სრული დამოუკიდებლობა; 4. საერობო დაწესებულებათა ფუნდამენტი და ძირითადი ბირთვი უნდა იყოს წვრილი საერობო ერთეული, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩვენი მხარისათვის. ამ საფუძველზე ორგანიზებული ერობა, — დაასკვნიდა სააკოვი. — სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის და მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდება მასო.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სააკოვის გამოსვლას თანაგრძნობით შეხვდნენ. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სულტანმა კრიმგირეიმ კი სცადა მოკამათეები ზომიერების ლიანდაგზე გადაეყვანა. მან განაცხადა, რომ მხარეში უნდა გატარდეს არსებულთაგან ერთი რომელიმე დებულება და საკითხის გართულება „სხვადასხვა სახის მაღალი მოსაზრებებით“ დიდი შეცდომა იქნებოდაო. ერობა არის სამეურნეო დაწესებულება და მისი საქმეების მართვაში მონაწილეობა მარტო საერობო შესაკრებელის გადამხდელებმა უნდა მიიღონ, ერობის უფლებამოსილების გაფართოების საკითხი მომავლის საქმეაო[1].

1905 წლის ოქტომბერში ჩატარდა ბათუმის ოლქის საერობო თათბირი, რომელმაც შეიმუშავა ბათუმის ოლქის საერობო დაწესებულებათა დებულების ძირითად საწყისთა პროექტი. პროექტის მიხედვით საერობო არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრების სამწლიანი ხანდაზმულობა ჰქონდა.

ახლად დაარსებულ საერობო დაწესებულებათა კომპეტენციაში უნდა შესულიყო: საერობო ქონების გამგებლობა, სასურსათო საქმე, ჯანმრთელობის დაცვა, ვეტერინარია, დაწყებითი და საშუალო განათლება, უმაღლესი სასწავლებლების გახსნა, იურიდიული დახმარება, წვრილი კრედიტის ორგანიზაცია, ადგილობრივი გზების გამგებლობა, ფოსტა-ტელეგრაფი, გლეხთა მიწათმოწყობის საკითხი, მიწის მორწყვა და ჭაობების ამოშრობა, შრომის ბიუროს ორგანიზაცია, ნორმალური სამუშაო დღის დაწესება, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა და სხვ.

პროექტი ითვალისწინებდა საერობო დაწესებულებათა სრულ დამოუ-

---

[1] К введению на Кавказе земского самоуправления (Сборник материалов сост. Г. М. Тумановым), Тиф., 1905, I, зз. 60—66.

კიდებლობას. მთავრობას კონტროლი უნდა გაეწია მხოლოდ ერობის მოქმედების კანონიერებისათვის.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ბათუმის საოლქო საერობო თათბირი დიდად გასცილდა მთავრობის მიერ მიცემულ სამუშაო პროგრამას. რევოლუციის ხანაში ლიბერალური ინტელიგენციაც ბედავს რადიკალური კანონპროექტის შემუშავებას. ბათუმელთა პროექტი აუქმებდა საარჩევნო ცენზს და ახდენდა ერობის დემოკრატიზაციას. ამასთან, იგი ძალიან აფართოებდა ერობის კომპეტენციის სფეროს. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებდა სახაზინო მიწების ერობის ხელში გადასვლას, მიწის გამიჯვნისა და გლეხთა მიწათმოწყობის საკითხების გადაჭრას, პოლიციის ერობისათვის დაქვემდებარებას. საერთოდ, პროექტის ავტორები არსებითად მოითხოვდნენ მთავრობის ადგილობრივი ხელისუფლების ერობის ხელში გადაცემას და ამდენად ძველი ადმინისტრაციის ლიკვიდაციას[1].

საერობო თათბირები ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაშიც ჩატარდა. თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს „დებულება ქუთაისის გუბერნიის საერობო დაწესებულებათა შესახებ". იგი ბათუმელთა პროექტზე გაცილებით ზომიერი იყო, მაგრამ არსებულ დებულებებზე უფრო რადიკალური ჩანდა.

პროექტის ავტორები მოითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო სისტემის შემოღებას და ერობის მოქმედების სფეროს მნიშვნელოვნად გაფართოებას. პროექტი ერობის კომპეტენციაში აქცევდა საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას, მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევას, მორწყვისა და ამოშრობის სამუშაოებს, ითვალისწინებდა მოსახლეობისათვის მიწის შეძენაში დახმარების გაწევას[2].

საერობო თათბირთა აღნიშნულ პროექტებს მეფისნაცვალმა რევოლუციის ხანაში დუმილით უპასუხა, რეაქციის დადგომისთანავე კი ისინი არქივში გადაისროლა.

1905 წელს შედგენილი პროექტები, როგორც ვნახეთ, ითვალისწინებდა არა მარტო ადგილობრივ თვითმმართველობათა დემოკრატიზაციას, არამედ საერთოდ პოლიტიკური წყობილების მნიშვნელოვან შეცვლასაც. რეაქციის ხანაში, ლიბერალურმა ინტელიგენციამ, რომელიც დაღალა მოლოდინმა, სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მან თავი დაანება ბევრზე ოცნებას და გადაწყვიტა მცირე დათმობები მაინც გამოეგლიჯა მეფის მთავრობისათვის.

მეფის მთავრობას არ შეეძლო სრულიად უყურადღებოდ დაეტოვებინა ლიბერალთა მოთხოვნები. კავკასიის ადმინისტრაციას რეაქციის ხანა-

---

[1] სსცია, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 22, ფურც. 6—10.

[2] იქვე, ფურც. 10—11.

შიც აფრთხობდა პირველი რევოლუციის აჩრდილი. მეფისნაცვალს მიზანშეწონილად მიაჩნდა გარკვეული დათმობები გაეკეთებინა ქალაქისა და სოფლის გაბატონებული კლასების, ლიბერალური ინტელიგენციის სასარგებლოდ და ამით საიმედო მოკავშირეები შეეძინა მომავალი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯიც გადაიდგა. 1909 წელს მეფისნაცვლის ცირკულიარის თანახმად საქართველოს გუბერნიებსა და ოლქებში ჩატარდა საერობო თათბირები, მაგრამ საქმე ერობის ტიპის გარშემო კამათსა და პროექტების შედგენას არ გასცილებია. პირველი მსოფლიო ომის წლებში ლიბერალურმა ინტელიგენციამ ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ. მეფის მთავრობამ საქართველოსა და კავკასიას საერობო თვითმმართველობის ბოძებაზე ამჯერადაც უარი უთხრა.

ცარიზმის დამხობის შემდეგ დროებითმა მთავრობამ მთელი რუსეთისათვის ახალი საერობო დებულება შეიმუშავა, დაიწყო არსებულ ერობათა რეორგანიზაცია და საერობო დაწესებულებების შემოღება განაპირა მხარეებში. ცოტა მოგვიანებით მენშევიკებმა მოახერხეს საქართველოში საერობო დაწესებულებათა ჩამოყალიბება. მაგრამ ეს უკვე ანაქრონიზმი იყო. ერობამ თავისი დრო მოჭამა. იგი უნდა შეეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის უფრო პროგრესულ ორგანოებს.

თავი მეთექვსმეტე

მარქსიზმის წარმოშობა და დამკვიდრება საქართველოში

§ 1. მარქსისტული მიმდინარეობის წარმოშობა საქართველოში

საქართველოში მარქსისტული მოძრაობა იწყება გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როცა მუშათა მოძრაობის ზრდის ნიადაგზე, პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გავლენით, ჩვენში გავრცელდა მარქსიზმი და შეიქმნა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია — „მესამე დასი“.

მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც მარქსიზმის შესათვისებლად უკვე მომზადებული იყო იმ დროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური (კაპიტალიზმის განვითარება და მუშათა მოძრაობის წარმოშობა) და სუბიექტური (ქართველი განმანათლებლების და ხალხოსნების რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები და მემკვიდრეობა) პირობებით, აღფრთოვანებული შეეგება პლეხანოვის ჯგუფიდან მომდინარე მარქსიზმს და პლეხანოვის შრომების შემწეობით მარქსისტულ მოძღვრებას ხარბად დაეწაფა. მართალია, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს ჰქონდა ზოგიერთი შეცდომა და ვერც მუშათა მოძრაობასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთება შეძლო, მაგრამ მან მაინც დიდი როლი შეასრულა რუსეთში მარქსიზმის გავრცელების საქმეში.

მარქსისტულ ლიტერატურას დიდი ინტერესით სწავლობდნენ მოწინავე მუშები და რევოლუციურად განწყობილი მოსწავლე ახალგაზრდობა. განსაკუთრებით დიდი იყო პლეხანოვის ნაწარმოებებისადმი მისწრაფება. პლეხანოვის ნაწერები „ჩვენთვის ერთგვარი სამოციქულო იყოო“, — მოგვითხრობს იმ დროის ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატი; პლეხანოვის შრომებმა, განსაკუთრებით მისმა „მონისტურმა შეხედულებამ“... ჩვენს შეხედულებებში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, გაფანტა ნაროდნიკული ბურუსი და მარქსისტულ მსოფლმხედველობას გვაზიარაო, — ამბობს მეორე[1].

ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც პირველი ქართველი მარქსისტები ყოფილი ხალხოსნები — „ნაროდოვოლცები“ — იყვნენ. მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის რევოლუციურად და სოციალისტურად

---

[1] „რევოლუციის მატიანე“, 1925, № 2, გვ. 85; 1923, № 3, გვ. 142.

განწყობილი წრე თავისი მოღვაწეობის დანიშნულებას მეფის მთავრობის დამხობასა და მუშა ხალხის სამსახურში ხედავდა, მაგრამ რა გზით უნდა განხორციელებულიყო ეს ამოცანა, მათთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მარქსის მოძღვრებას ჯერ კიდევ არ იცნობდნენ, ძველი ნაროდნიკული გზა, „ნაროდნაია ვოლიას“ ტაქტიკა კი მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ. ისინი ახალ გზას დაეძებდნენ. ეს ძიება, საქართველოში დაწყებული მუშათა მოძრაობის პირობებში, პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისა და დასავლეთ ევროპის მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გავლენის შედეგად მარქსიზმის მიღებით დაგვირგვინდა. მოწინავე ქართველმა ახალგაზრდობამ მარქსიზმში პოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნისა და რევოლუციური გარდაქმნის სულიერი იარაღი.

მ. ცხაკაია, მისივე განცხადებით, 80-იანი წლების მეორე ნახევარში გაცნობია მარქსის მოძღვრებას ჯერ ზიბერისა და ხალხოსნების, ხოლო შემდეგ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის საშუალებით.

1891—1893 წლებში ვარშავაში მყოფი ფ. მახარაძე რუს და პოლონელ მარქსისტთა წრეში გაეცნო პლეხანოვის ჯგუფის მოღვაწეობას, შეისწავლა მარქსისტული ლიტერატურა და მარქსისტი გახდა. 1893 წელს ჟენევაში რუს მარქსისტთა წრეში შევიდა, პლეხანოვს დაუახლოვდა და მარქსის მოძღვრებას ეზიარა შემდეგში მენშევიკური პარტიის ცნობილი ლიდერი ნ. ჟორდანია.

საქართველოში მარქსისტული მოძრაობის სათავეებთან ეგ. ნინოშვილი დგას. მან ყველაზე რელიეფურად ასახა და გამოხატა გარდატეხის ხანა, როცა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა ძველ, ხალხოსნურ მსოფლმხედველობას ტოვებდა და ახალ, მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას ითვისებდა. ნინოშვილი არ არის თავისუფალი უტოპიური, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის გავლენისაგან. უდროოდ სიკვდილმა არ მისცა მას საშუალება დასრულებულ რევოლუციონერ მარქსისტად ჩამოყალიბებულიყო. ნინოშვილი რევოლუციური მოძრაობის სწორი გზების ძიებისას, კავშირს წყვეტს რა ხალხოსნობასთან, თვალს აპყრობს მუშათა კლასს და მარქსის მოძღვრებაში ეძებს საზოგადოების მეცნიერული ახსნისა და რევოლუციური გარდაქმნის სწორ თეორიას.

როგორი იყო ეგ. ნინოშვილის შეხედულებები 1894 წლის დამდეგს, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მოგონებებით, რომლებშიც მწერლის ცხოვრების ეს უკანასკნელი პერიოდია ასახული. მისი ერთ-ერთი ახლო მეგობარი მოგვითხრობს, რომ ეგ. ნინოშვილმა ამ დროს უკვე საბოლოოდ მოძებნა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც მაშინ მოწინავე, მარქსისტულად განწყობილ ქართველ ახალ თაობას ასე აღელვებდა: რით და როგორ, რა გზით და საშუალებით უნდა შეიცვალოს არსებული წყობილება? მას თავის მეგობრის რ. კალაძისათვის უთქვამს: „ამიერიდან ჩვენი

ერთადერთი გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი და მასწავლებელი მარქსი და ენგელსია და კიდევ ამათი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოწაფე გიორგი პლეხანოვი. მუშათა კლასი! აი ვინ ყოფილა ქვეყნიერებისა და ცხოვრების ჩარხის მატრიალებელი. მუშათა მოძრაობა! აი ამ ჩარხის ბრუნვა! ერთი თუ ჩვენშიც დატრიალდა ეს ჩარხი, თუ ჩვენშიც გაჩაღდა მუშათა მოძრაობა, მაშინ ჩვენი ცხოვრებაც გადატრიალდება"[1].

ეგ. ნინოშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უკავია საქართველოში მარქსისტული მოძრაობის წარმოშობის ისტორიაში. სწორედ მის პუბლიცისტურ წერილებში იწყება ეგ. ნინოშვილის გადასვლა რევოლუციური დემოკრატიზმიდან პროლეტარულ რევოლუციონიზმზე. დიდმნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული მოღვაწეობაც პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — „მესამე დასის" — შექმნის საქმეში.

ეგ. ნინოშვილის ინიციატივითა და მეთაურობით მოეწყო 1892—1893 წლებში პირველი არალეგალური კრებები, რომლებზედაც რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობა დგამს პირველ ნაბიჯებს ხალხოსნობიდან მარქსიზმისაკენ.

1894 წლის მაისში ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე მოხდა ახალი თაობის — მარქსისტული ახალგაზრდობის — პირველი საჯარო, საპროგრამო გამოსვლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სილ. ჯიბლაძის სიტყვა. მან ნათელყო ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ეკონომიური ცვლილებები, მკაცრად გააკრიტიკა ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი და ჩამოაყალიბა ახალი, მარქსისტული დასის სამოქმედო პროგრამა.

„ჩვენი აწინდელი ცხოვრება, — ამბობდა ჯიბლაძე, — წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს. ერთის მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით — მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილია; აი, სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა. ამ ახალ კვალზე დადგომა აშკარად ეტყობა ჩვენს ახალს „კვალსაც" — ეს ჭეშმარიტება შეიგნო და მისკენ ქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავ ნიჭის მქონე ინგოროყვასაც"[2].

ქართველმა მარქსისტებმა სილ. ჯიბლაძის პირით აუწყეს საზოგადოე-

---

[1] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ.1, 1923, რ. კალაძის წინასიტყვაობა.

[2] „კვალი," 1894, № 27.

ბას ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის წარმოშობა, მარქსისტული მიმდინარეობის დაბადება. ამ ფორმალურ აქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი არ იყო ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ არ ეწეოდა პრაქტიკულ მუშაობას.

ეგ. ნინოშვილის ჯგუფი გ. წერეთელმა „მესამე დასად“ მონათლა. ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკურ დასებად დანაწილების წერეთლისებური გაგება სწორად როდი აშუქებს საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ისტორიას. მაგრამ თვით სახელწოდება „მესამე დასი“ მოსწრებული გამოდგა. მან მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვა. სახელწოდება „მესამე დასი“ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სინონიმად იქცა. ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ ზედმეტ სახელს დიდხანს ატარებდნენ, რაც უმთავრესად უთუოდ კონსპირაციული მოსაზრებით იყო ნაკარნახევი.

მოწინავე ქართველმა მუშებმა თავიანთი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ისეთივე გზა განვლეს, როგორიც მოწინავე ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ. ისინი (გ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, ა. ოქუაშვილი, ვ. სტურუა. გ. ჩხეიძე და სხვ.), რომლებიც შემდეგ გამოჩენილი სოციალ-დემოკრატები გახდნენ, გატაცებულნი იყვნენ რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობით, განსაკუთრებით ჟელიაბოვისა და მისი მეგობრების გმირული ბრძოლით. მათ სძულდათ მეფის თვითმპყრობელობა და მის დაბზობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, ამაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. მათ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზა მაშინ გაუნათდათ, როცა ქართველი და რუსი სოციალ-დემოკრატების დახმარებით მარქსიზმს ეზიარნენ.

აღსანიშნავია, რომ თბილისელმა მუშებმა საკუთარი ხელნაწერი არალეგალური ჟურნალიც კი გამოუშვეს. 1889 წელს მათ გამოსცეს ჟურნ. „მუშა“, 1891 წელს — ჟურნ. „განთიადი“, 1892 წელს — ჟურნ. „სხივი“, რომლებშიც მონაწილეობდნენ: ვ. უჩინარიძე (ვ. ცაბაძე), მ. სიმონიძე (შ. მეტეხელი), მ. ბოჭორიძე, ა. დღიურაშვილი (ა. ოქუაშვილი), ვ. დორელი (ვ. დოლბაშვილი), მ. მცხეთელი, ზ. ახალსოფლელი, მ. ხიდისთაველი და სხვ. ჟურნ. „მუშას“ პირველ გვერდზე გამოხატულია დურგალი, რომელიც ფიცარს რანდავს, სურათს ქვემოთ გაკეთებული აქვს წარწერა:

„ვშრომობდეთ, ძმაო, მათ შუა არ ვშორდებოდეთ კრებასა,
დაზგაზედ რანდით ვლამობდეთ ბრუნდი ხის გასწორებასა“.

მუშების აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესობის მოსპობას უნდა წინამძღოლობდეს „მდაბიო ხალხი“, „საწყალი მუშა“. ჟურნალი მოუწოდებს მუშებს ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და თამამად ააფრიალონ „თავისუფლების დროშა“. „მუშა“ საყვედურით წერს, რომ საქარ-

თეელოში ჯერ არ გამოჩენილან „ხეირიანი პირები“, რომლებსაც „მდაბიო ხალხი ეცნო“ და მათთვის „ჩაეგონებიათ რამე“. მიუხედავად ამისა, ჟურნალის აზრით, მუშებმა მაინც მიაგნეს „ბოროტების ძირს“ და მიჰყვებიან ა'ხრებს, რომელთაც „ახალგაზრდობა მისდევს“. ჟურნალი კითხულობს „რა დღეშია მუშა ხალხი?“ და თვითონვე უპასუხებს, რომ იგი „ტანჯვა-ვაებაშია“ და აი, „თუ მუშებში ფესვი გაიდგა სწავლა-განათლებამ“, მაშინ ისინი მოიპოვებენ თავისუფლებასაც და მათვე დარჩებათ „თავიანთი ნაწვავ-ნადაგი“.

ჟურნ. „განთიადი“ მოუწოდებს „ოფლში ნაშობ საწყალ მუშას“, თავის თავს უპატრონოს და თვით მოძებნოს „ვზა სამართლისა“, ხოლო იმათ, რომლებსაც ეს ქვეყანა ხელში ჩაუგდიათ, „განთიადი“ ემუქრება, რომ დრო დადგება და მათ წინააღმდეგ აღ'დგებიან „მკვდრეთ'ით მუშა ღარიბნი“, შეიარაღებულნი ცელით, ცულითა და „მყვლეფავთ შემზარავი“ სხვა იარაღით.

ჟურნ. „სხივში“ მოთავსებულია სურათი — ხმალამოღებული ქართველი, რომელიც მიმართავს ხანჯალს: „შენი ჭირიმე ხანჯალო“, შენ ხარ ერთადერთი იმედი „მტრისაგან გამოხსნისაო“.

„სხივი“ პატრიოტიზმს სოციალიზმთან აერთებს და ამბობს, რომ „ვისაც უყვარს პატრიოტობა... მას სურს მხოლოდ სოციალისტობა“. საინტერესოა, რომ „სხივი“ სიყვარულით იხსენიებს შექსპირს, ბაირონს, რუსთაველს და მათში თავიანთ „ერთგულთ“ ხედავს.

ეს ხელნაწერი ჟურნალები გვიჩვენებენ მოწინავე ქართველი მუშების შეგნების შედარებით მაღალ დონეს. მათში ჩანასახის სახით ის აზრია გამოთქმული, რომ მშრომელთა განთავისუფლება თვით მათივე საქმეა და რომ მისი მიღწევა შესაძლებელია არა თხოვნა-მუდარით, არამედ ბრძოლით. ამასთან მუშა-კორესპონდენტებს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ როგორც ბრძოლის საშუალებებზე, ისე ბრძოლის ამოცანებსა და ძიზნებზე. ი'სინი სწავლა-განათლების მნიშვნელობის გადაფასებას ახდენენ. მათ ჰგონიათ, რომ სწავლა-განათლება იხსნის მუშებს სიღატაკისაგან. მათში გაისმის „სამშობლოსადმი“ „ძმობა-ერთობით“ სამსახურის ბურჟუაზიულ-პატრიოტული იდეის ქადაგება. გაისმის თხოვნის ხმაც: „შეიბრალეთ“, „მიეცით შვება“ საწყალ გლეხსო და სხვ.

ჟურნალები ასახავენ მუშათა სტიქიურ მოძრაობას, როცა საქართველოს მოწინავე მუშებმა გამოიმუშავეს გაერთიანებისა და მეპატრონეთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი კლასობრივი ინტერესები და ი'ტორიული როლი, არ გააჩნდათ რევოლუციური, სოციალისტური შეგნება.

ჟურნალები ასახავენ მუშათა მოძრაობის იმ ეტაპს, როცა მუშათა მოძრაობა სოციალიზმის გარეშე არსებობდა. „სწავლის შეძენის“ დაუცხრო-

მელი წყურვილი, რომლითაც გამსჭვალულია ჟურნალები, მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებისაკენ მათი სტიქიური მისწრაფების თავისებური გამოხატულებაა.

როგორც „მუშა“, ისე „განთიადი“ და „სხივი“ არსებითად პატრიოტულ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის ჟურნალებია. იმ დროს ბურჟუაზიული დემოკრატიიდან მუშათა კლასის გამოყოფა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და პროლეტარულ-დემოკრატიული ნაკადი ნაროდნიკულ-დემოკრატიულ საერთო მდინარებაში შედიოდა.

„მუშა“ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პრესის წინამორბედი იყო. იგივე შეიძლება ითქვას „განთიადისა“ და „სხივის“ შესახებ.

თვალსაჩინოა რუსი სოციალ-დემოკრატების ღვაწლი საქართველოს მუშათა მოძრაობის გაღვივებაში, მარქსიზმის პროპაგანდისა და სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნის საქმეში. კავკასიაში გადმოსახლებულმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც რუსეთის სამრეწველო ცენტრებში ჰქონდათ რევოლუციური ბრძოლის სკოლა გავლილი, არაერთ ქართველ მუშასა და რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენტს ჩაუნერგეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურისადმი სიყვარული, მუშათა კლასის საქმის გამარჯვების რწმენა და რევოლუციური, პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობა ასწავლეს.

90-იან წლებში საქართველოში მცხოვრები რუსი სოციალ-დემოკრატები ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ. რუს მარქსისტებს (აფანასევს, რენინგერს, კოგანს, ლუზინს, ფრანჩესკის, კოზარენკოს და სხვ.) ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მარქსისტებთან (ვ. ცაბაძე, ს. ჯიბლაძე, კ. ჩხეიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, ი. სტალინი და სხვ.) და მათთან ერთად დიდი მუშაობა ჩაატარეს მარქსიზმის გასავრცელებლად საქართველოში.

მესამედასელთა დახმარებითა და აქტიური მონაწილეობით 1894 — 1895 წლებში ყალიბდება თბილისის მუშათა პირველი მარქსისტული წრეები, რომლებშიც მოწინავე მუშები რევოლუციური და პროლეტარული მოძრაობის ისტორიას ეცნობიან და სწავლობენ მარქსისტულ ლიტერატურას. თბილისის მუშების პირველი მარქსისტული არალეგალური წიგნსაცავი საკმაოდ მდიდარი იყო. იქ მოიპოვებოდა პოპულარული ბროშურები მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ, წიგნები პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის საკითხებზე, ბელეტრისტული ნაწარმოებები, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის თითქმის ყველა გამოცემა და სხვ.

„მესამე დასს“ ბათუმში ჰყავდა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელშიც

შედიოდნენ კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, გ. სოღორაშვილი, კ. გოგოლაძე, მუშა ი. მგელაძე და სხვ. მათთან იყვნენ დაკავშირებულნი ი. ლუზინი და გ. ფრანჩესკი. მათი მოღვაწეობა ვიწრო საწრეო მუშაობით იფარგლებოდა.

ბათუმელი სოციალ-დემოკრატების წრე ხშირად იკრიბებოდა. შეკრებები უმთავრესად ქალაქგარეთ იმართებოდა. წრის წევრები კონსპირაციის მიზნით სუფრას შემომსხდარნი საუბრობდნენ პოლიტიკურ თემებზე, კითხულობდნენ არალეგალურ მარქსისტულ ლიტერატურას და სხვ. წრემ შექმნა მუშათა სალარო და შეადგინა მისი წესდება, გაამრავლა მარქსის ფოტოსურათი და ფართოდ გაავრცელა ქალაქში.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა წრემ იმ მიზნით, რომ ქართველი მუშებისათვის მარქსისტული ლიტერატურა მშობლიურ ენაზე მიეწოდებინა, თარგმნა და 1897 წელს ჰექტოგრაფზე დაბეჭდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი თავი მთლიანად და სხვა თავების ზოგიერთი, უფრო მნიშვნელოვანი ადგილი. დაბეჭდეთ 100 ცალამდე, 60 კარგად იყო დაბეჭდილი, სხვა კი მკრთალად გამოვიდაო, მოგვითხრობს მთარგმნელი გ. სოღორაშვილი. ეს იყო „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი ქართული გამოცემა და პირველი შრომა მარქსისა და ენგელსის ნაწერებიდან ქართულ ენაზე თარგმნილი.

1894 წელს მ. ცხაკაია ქუთაისში გადავიდა. აქ მის გარშემო შემოიკრიბა მარქსისტულად განწყობილი ახალგაზრდობა. მას დაუახლოვდა რუსი მარქსისტი ნ. კოზარენკო. მ. ცხაკაიას გადმოცემით, ამ წრეს 1894 წელს ქუთაისში ქალაქგარეთ მოუწყვია პირველმაისობა, რომელსაც 50—60 კაცი დასწრებია. არაერთხელ ყოფილა მოწყობილი არალეგალური შეკრებები.

მესამედასელთა მუშაობა უმთავრესად გამოიხატებოდა მოწინავე, ოპოზიციურად განწყობილ ოჯახებში რეფერატების კითხვით, ხშირად იკრიბებოდნენ ქუთაისის ბულვარში (ბაღში), აწყობდნენ საღამოებს; კამათში ძველი თაობიდან მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი ჟურნალისტები: კ. ლორთქიფანიძე, დ. მიქელაძე და სხვ. „ჩვენი სახარება იყო ბელტოვის (პლეხანოვის) მონისტური შეხედულება ისტორიაზე“ — ამბობს ქუთაისის წრის ერთ-ერთი წევრი[1].

მესამედასელთა ქადაგება მთელ საქართველოს მოედო და მრავალი მსმენელი მოიპოვა წრეებსა და შეკრებებზე, სადაც ცხარე პაექრობა იმართებოდა „კაპიტალიზმის ბედისა“ და მუშათა მოძრაობის მომავალზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსიზმის პროპაგანდას ქართულ პრესაში. იგი ფართო მკითხველ საზოგადოებას ნახულობდა საქარ-

[1] „რევოლუციის მატიანე“, 1925, № 2, გვ. 87.

თველოში და მოწინავე მუშებსა, შეგნებულ გლეხებსა და რევოლუციურად განწყობილ ქართველ ინტელიგენტთა წრეში თანაგრძნობას იწვევდა.

მარქსიზმის დროშით გამოსული ახალი თაობა ცხარე ბრძოლას უცხადებს ძველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს და ქართულ ლეგალურ პრესაში მარქსისტული მოძღვრების ქადაგებას იწყებს. მესამედასელები ახალი, მარქსისტული მიმდინარეობის ლიტერატურული წარმომადგენლები იყვნენ და მარქსიზმს თეორიულად გზას უკაფავდნენ საქართველოში.

1894 წლის მაისში ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე ს. ჯიბლაძის მიერ საჯაროდ პირველად წარმოთქმულმა მარქსისტულმა სიტყვამ ხალხოსნური და ლიბერალური მიმართულების პუბლიცისტთა ბანაკში დიდი აურზაური გამოიწვია. მათ განგაში ატეხეს, იარაღი აისხეს და გააფთრებული იერიში დაიწყეს ქართველი მარქსისტების წინააღმდეგ.

მოწინააღმდეგეებს პასუხი გასცეს მესამედასელებმა: ი. ლუზინმა. ფ. მახარაძემ, ნ. ჟორდანიამ. კ. ჩხეიძემ, მ. ცხაკაიამ და სხვ. მათ ქართველ მკითხველს მარქსისტული მოძღვრების ძირითადი დებულებები განუმარტეს.

„კვალში" ნაჩვენები იყო, რომ მარქსისტული მოძღვრება, ერთი მხრივ, „გვეუბნება რა არის ისტორიის დედაძარღვი, როგორ და რანაირად მივდივართ, საიდან მოვდივართ", ხოლო, მეორე მხრივ, „იკვლევს სპეციალურად კაპიტალისტურ წყობილებას და გამოყავს ის დასკვნა, რომ ეს წყობილება უნდა დაინგრეს". იქ ერთმანეთისგან განსხვავებულია სოციალისტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანები და „მოწინავე დასის" მოქმედების უახლოეს მიზნად გამოცხადებულია „თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა", ხოლო მუშა ხალხის ისტორიული დანიშნულება იმაშია დანახული, რომ „მან უნდა მოუღოს ბოლო ბრძოლას, რომელიც ატეხილია კაპიტალსა და შრომას შუა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის და უდაბნოში მოტანტალე კაცობრიობა აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანოს".

მესამედასელებმა გამოააშკარავეს ხალხოსნების გადაგვარება და ამხილეს მისი რეაქციულ-უტოპიური ილუზიები.

ქართველი პუბლიცისტები მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ოპტიმისტურად იმშვიდებდნენ თავს იმით, რომ კაპიტალისტური ურთიერთობანი სუსტად იყო მაშინ საქართველოში განვითარებული და ირონიულად შენიშნავდნენ: განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება არსებობსო? მათ მკაცრი, დასაბუთებული პასუხი გასცეს მესამედასელებმა, რომლებიც იმეორებდნენ კ. მარქსის ცნობილ სიტყვებს „კაპიტალის" პირველი ტომის გერმანული გამოცემის წინასიტყვაობიდან: „ინდუსტრიალურად უფრო განვითარებული ქვეყანა ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას [illegible]ლოდ მისი მომავლის სურათს უჩვე-

ნებს"[1]. ისინი ფაქტებით ამტკიცებენ, რომ რუსეთთან ერთად საქართველოც კაპიტალიზმის გზას დაადგა და მხურვალედ იცავენ მარქსის დებულებას იმის შესახებ, რომ აქ საქმე ეხება არა კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაფართოების მაღალ ან დაბალ დონეს, არამედ თვით კაპიტალისტური წარმოების განვითარების კანონებს, ტენდენციებს, რომლებიც ხორციელდებიან რკინისებური აუცილებლობით. იძლეოდა რა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ანალიზს, ს. ჯიბლაძე აღნიშნავდა კაპიტალიზმის მიმართულებით მომხდარ ცვლილებებს, მიუთითებდა ფეოდალურ-პატრიარქალური წყობის რღვევისა და ახალ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შექმნისა და ჩამოყალიბების ფაქტზე და ამბობდა: „ჩვენ ქვეყანაში ეს 25—30 წელია დაიწყო ახალი ხანა, მისი ნიშნობლივი თვისება გამოიხატება განსაკუთრებულ ეკონომიურ ურთიერთობაში, რაც მოაწყვეს აღებ-მიცემობას, ვაჭრობას. აქ ძველი ბატონი უთმობს თავის ალაგს ახალს — ფულს. ფული არღვევს ძველს, აშენებს ახალს, ის ყოფს ხალხს ორ ნაწილად. ცხოვრებაში ჩნდება ორი კლასი: მდიდრები და ღარიბები. ძველი წოდებრივი განსხვავება — ფიქცია. აღებ-მიცემობა გამოწვეულია შრომის განაწილებით, საქონლის წარმოებით. საქონლის წარმოება კი ივივე კაპიტალიზმია"[2]. ჩვენშიც შეიქმნა კაპიტალისტური წარმოების ორი პირობა: კაპიტალი და თავისუფალი მუშა. წარმოიშვნენ ბურჟუა-კაპიტალისტები, თუმცა მათ „ჯერ მთელი ჩვენი ცხოვრება არ გარდაუქმნიათ", მაგრამ დღითი დღე ძლიერდებიან, გლეხს ნიადაგი ეცლება, იგი კარგავს თავის ღატაკურ მამულს და ქალაქში გარბის, მრეწველობაში ებმება, გლეხობის წრიდან თავს ყოფს პროლეტარიატი, თუმცა „ჩვენი პროლეტარიატი არეულ სხეულს წარმოადგენს", მაგრამ იგი დღითი დღე მრავლდება და ვითარდება. ძველი წოდებრივი განკერძოებულობა ქრება, წოდებათა შორის საზღვარი იშლება, ვითარდება საზოგადოებრივი ანტაგონიზმი, ღრმავდება კლასობრივი წინააღმდეგობა, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა[3].

ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა მხილებისა და მარქსიზმის გავრცელების საქმეში თვალსაჩინო როლი ითამაშა ფ. მახარაძის თეორიულმა მოღვაწეობამ. მას თავისი პირველი შრომები ჯერ კიდევ ვარშავაში ყოფნის დროს, 1892 წლის ოქტომბერში და 1893 წლის თებერვალში, დაუწერია, მაგრამ მაშინ მათი გამოქვეყნება ვერ მოუხერხებია. მისი წერილები „უთავბოლობის ნაყოფი" და „მწარე ფიქრები" ხელნაწერის სახით

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", ტ. 1, გვ. 7.
[2] „კვალი", 1895, № 14.
[3] იქვე, № 13.

ვრცელდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობაში და გარკვეულ როლს თამაშობდა იმ დროს გამართულ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

1895 წლის მაისში ფ. მახარაძე „კვალში“ აქვეყნებს სტატიას „გაკვრით პასუხი“. ეს იყო ფ. მახარაძის პირველი ლიტერატურული გამოსვლა. ავტორი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებდა, რომ ჩვენში შეუძლებელია კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობის განვითარება.

ფ. მახარაძე გვიჩვენებს საქართველოში „ერთი მხრივ, ნატურალისტური წარმოების გაქარწყლებას და, მეორე მხრივ, კაპიტალიზმის არსებობას, რომელიც „თავის ხელითვე იმზადებს თავის საკლავ დანას“[1].

ფ. მახარაძე მიუთითებს პროლეტარიატზე, რომელიც „ჩვენს დროში კაცობრიობის დიდ და შესანიშნავ ნაწილს შეადგენს“ და ლაპარაკობს იმაზე, თუ მოქმედების რა საზოგადოებრივი ასპარეზი დაულოცა პროლეტარიატს ისტორიულმა ევოლუციამ. ის მატერიალური პირობები, რომლებშიც ცხოვრობს პროლეტარიატი, ამზადებს მას იმისათვის, რომ „შეიგნოს თავისი ისტორიული მნიშვნელობა“.

ფ. მახარაძე იცავს მარქსის ცნობილ დებულებას: „როცა რომელიმე ერეყანა თავს გაყოფს კაპიტალიზმის ჭახრაკში, მისგან თავის დაღწევა, რაც ასე სურდათ ქართველ ხალხსნებს, ყოვლად შეუძლებელია“, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს ადამიანთა მოქმედების მნიშვნელობასო. ადამიანებს შეუძლიათ შეიცნონ საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიური კანონები და შეანელონ მშობიარობის ტკივილები, „შეამოკლონ და დაგვიახლოვონ ის ხანა, რომლის მატერიალურ პირობებს თვით კაპიტალიზმი ამზადებს“.

ფ. მახარაძე აკრიტიკებს ერთიანი ნიადაგის თეორიას. იგი ილაშქრებს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო-ეროვნულ ნიადაგზე თანამშრომლობის წინააღმდეგ, რასაც ასე თავგამოდებით იცავდნენ ყველა ჯურის ნაციონალისტები. მახარაძე გმობს ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კავშირის იდეას და მოითხოვს ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით.

„კლასთა შორის ბრძოლის თვალთახედვის წერტილიდან უყურებთ ჩვენ, — წერდა იგი, — თანამედროვე ეროვნულ კითხვასაც. პროლეტარიატი ერთ წუთსაც ვერ დატოვებს კლასობრივ თვალთახედვის ისარს. იმას საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიასთან, სულ ერთია რომელ ერს ეკუთვნის ეს უკანასკნელი“[2].

ფ. მახარაძე არ კმაყოფილდება კაპიტალიზმის აუცილებლობისა და პროგრესულობის დასაბუთებით. იგი ააშკარავებს კაპიტალიზმის წყლუ-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. VI, გვ. 56.

[2] იქვე, გვ. 54.

ლებს და მიუთითებს მისი დაღუპვის გარდუვალობაზე. მახარაძის თქმით, მარქსმა „წარმოგვიდგინა საზოგადო სურათი მთელი ისტორიისა“ და ნათლად დაგვანახა წარმოების ნიადაგზე, თუ როგორ ჩნდებიან და იცვლებიან საზოგადოებრივი ურთიერთობანი და როგორ ამზადებს ყოველი საზოგადოებრივი წყობილება თვით თავისივე დაღუპვის პირობებს. მარქსმა ეს ზოგადი მოსაზრება კაპიტალისტური საზოგადოების მაგალითზე ფაქტებით შეამოწმა და თავის „შესანიშნავ გამოკვლევაში“, ცნობილ წიგნში — „კაპიტალი“, რომლის „ცალი ჯერ მეცნიერებამ არ იცის“, წარმოადგინა უფრო მეტი, ვიდრე თანამედროვე საზოგადოების ანატომიაა. „მან აშკარად დაგვანახა ამასთანავე, თუ რა პირობები მზადდება დღევანდელი საზოგადოების გულში არსებული წყობილების მოსასპობად“. მარქსმა დაამტკიცაო, დასძენს იქვე მახარაძე, როგორც ბურჟუაზიული წყობილება არის ნაყოფი და შედეგი წინანდელი წყობილებისა, ისე თანამედროვე წყობილება ამზადებს სხვა უკეთეს წყობილებას, რომელიც სრულიად მოსპობს ყოველგვარ კლასობრივ უთანასწორობას ისე, როგორც ბურჟუაზიულმა წყობილებამ მოსპო საშუალო საუკუნეების წოდებრივი დანაწილება[1].

მ. ცხაკაია უმთავრესად პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა, მაგრამ ამავე დროს აქვეყნებდა თეორიულ-პოლიტიკური ხასიათის სტატიებსაც. იგი თანამშრომლობდა ჟურნ. „კვალში“, აგრეთვე ჟურნ. „მეურნეში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. ამ ჟურნალში 1895 წელს დაიბეჭდა მ. ცხაკაიას მიერ ნათარგმნი პ. ლაფარგის „მანქანა, როგორც ფაქტორი წარმატებისა“. იმავე წელს აქვე დაიბეჭდა მისი სტატია, რომელშიც გაკრიტიკებულია — „ჩვენ პაწია ქვეყანაში უკვე გამოჩეკილი ახალი კლასის“ — ბურჟუაზიის მოტრფიალე „ივერიის“ პუბლიცისტი, რომელიც კლასთა თანამშრომლობის მცდარ შეხედულებებს ქადაგებდა. ცხაკაიამ ამხილა სოციალური ჰარმონიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორია და ცხადყო ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი დანაწილება და ბრძოლა საქართველოში[2].

ყურადღებას იპყრობს რუსი მარქსისტის ი. ლუზინის სტატიები, რომლებიც ჟურნ. „კვალში“ იყო გამოქვეყნებული. სტატიებს ლუზინი რუსულად წერდა, მათ შემდეგ ქართულად რედაქციის წევრები თარგმნიდნენ.

ლუზინი აშუქებს იმ „გზას, რომელზედაც რუსეთი კაი ხანია შედგა“. ეს არის კაპიტალიზმის გზა. ქვეყანაში მომხდარ ცვლილებათა სათავედ იგი 1861 წლის საგლეხო რეფორმას თვლის. ამ დროიდან ნაცვლად ნატურალური წარმოებისა ვითარდება საბაზრო წარმოება, ბაზარზე გასაყი-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე , თხზ., ტ. VI, გვ. 35.
[2] „მეურნე“, 1895, №№ 1—2, 4, 8, 10, 15.

დად გამოდის არა მარტო შრომის ნაყოფი, არამედ თვით სამუშაო ძალა, ძველ წყობილებას ნიადაგი ეკარგება და „ნატურალურ-ფეოდალური რუსეთი თანამედროვე ბურჟუაზიულ ელფერს ღებულობს“.

ლუზინი მიუთითებს, რომ ძველი ფეოდალური საზოგადოებრივი შენობა დაინგრა, თავადაზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში აირია და ახალ კლასებად დანაწილდა. რაციონალური სოფლის მეურნე, „ველური მებატონე“ (როგორც უწოდებდა სალტიკოვი), წვრილი ბურჟუა, ქალაქის პროლეტარიატი — აი ვინ გამოვიდა სოციალურ და პოლიტიკურ სარბიელზე.

ლუზინი ააშკარავებს ლიბერალური ხალხოსნების წვრილბურჟუაზიულ უნაყოფო ოცნების რეაქციულ ხასიათს და ნათლად გვიჩვენებს, რომ „სოფლის იდილიის დამცველებმა რამდენიც უნდა ილაპარაკონ ქალაქის ცხოვრების „გახრწნილობაზე“, რამდენიც უნდა იყვირონ ფაბრიკის მუშათა ლოთობაზე, დაცემაზე და მათ ფიზიკურ და გონებრივ გადაშენებაზე. მაინც დღესავით ცხადია, რომ მხოლოდ აქ და არა სოფლად იბადება ის შეგნება, რომ შენი ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ადამიანურად მოსაწყობად შენ თვითონ უნდა შეეცადო“. ლუზინი აცხადებს, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე მუშათა კლასის გამოსვლით „საბუთი გვაქვს ვიმახარობლოთ, რომ გამოჩნდა პირველი მერცხალი, რომელიც უტყუარი მომასწავებელია ნამდვილი გაზაფხულის მოახლოებისა“.

მესამედასელებმა მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდაც გააჩაღეს. მარქსისტული ფილოსოფია ვრცელდებოდა საქართველოში რეაქციული იდეალისტური ფილოსოფიისა და ხალხოსნური სუბიექტივისტური სოციოლოგიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ქართველმა მარქსისტებმა შეძლეს ფილოსოფიაში ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა განადგურება და მარქსისტულ ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ შეხედულებათა ფართოდ გავრცელება.

„მესამე დასი“ საზოგადოებრივ ცხოვრებას მუდმივად ცვალებად პროცესად თვლის. ცხოვრება დაუცხრომელ დუღილშია. იგი მუდამ ღელავს. იცვლება და ვითარდება. ბატონყმური წყობილება კაპიტალისტურს არ ჰგავს, მომავალი, სოციალისტური წყობილება კაპიტალისტურის მსგავსი არ იქნება. განვითარების ეს დაუსრულებელი პროცესი მწერლობას ავალებს ცხოვრებას აედევნოს, მას ფეხდაფეხ მისდიოს და არა მარტო განახლებული ცხოვრება გვიჩვენოს, არამედ დაგვიხატოს ისიც, თუ განვითარების რა გზას დადგომია იგი. „არც ერთი მოვლენა, — წერდა ს. ჯიბლაძე, — არ არსებობს დაოთხკუთხებული, გათავებული, მისი ნიშნობლივი თვისება — მოძრაობა, განვითარებაა. ამის გარეშე ის არ არის. საქმე იმაშია, გამოირკვეს რა ეკუთვნის მომავალს და წარსულს“.

მესამედასელთა სიტყვით, „ივერიის“ პუბლიცისტების მეთოდი მეტაფიზიკურია, მოვლენებს უძრაობაში იხილავს და აყენებს პრინციპს: „ჰო ან არა“. მესამედასელები მას უპირისპირებენ დიალექტიკურ მეთოდს, რომელიც მოვლენებს ცვალებადობაში განიხილავს და აყენებს პრინციპს: „ჰოც და არაც“. ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს: კონსერვატორული და პროგრესული. მათი შეტაკება და ბრძოლა ყოველი მოვლენის მოძრაობის დაუშრეტელი წყაროა. მისგან ცხოვრება მუდმივ რღვევა-შენებაშია. თანდათანობით ცვალებადობას, ევოლუციას თან მოსდევს ნახტომი, „ევოლუციის დასკვნა რევოლუციაა“ როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში.

ეყრდნობა რა ენგელსის „ანტი-დიურინგს“ ს. ჯიბლაძე ამტკიცებს, რომ „შეირყენ და შეიცვალენ ეკონომიური პირობები, ირყევიან და იცვლებიან მათი შედეგებიც — საზოგადოებრივი ურთიერთობა და წესწყობილება“. საზოგადოებაში ისახება წინააღმდეგობა, ჩაღდება ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. მიმდინარეობს თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების პროცესი, რომელსაც თავისი დასასრული, საზღვარი აქვს. ამ საზღვარზე „ისტორია აკეთებს, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს, ნახტომს... ისტორიაში იწყება ახალი ხანა“.

ისტორიული მოძრაობის ჩარხს ეკონომიური ურთიერთობა ატრიალებს. მატერიალური ურთიერთობა სულიერ ურთიერთობათა საფუძველია. მატერიალურ საფუძველს ემყარება პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენები. პირველის ცვლილება მეორეს ცვლილებას იწვევს. პირველში ძევს მეორეს გასაღები. მხოლოდ პირველის გაგებით ხდება მეორე გასაგები.

დასელებმა პირდაპირ გადმოიღეს მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ შესავლიდან ისტორიული მატერიალიზმის დახასიათება და იგი ქართველ მკითხველს მიაწოდეს. ჩვენ, წერდნენ ისინი, ვიცავთ იმ აზრს, რომ „დგება ეპოქა სოციალური რევოლუციისა და შესაფერი შეცვლითნივთიერი ცხოვრებისა ძალაუნებურად იცვლება იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი მხარე ცხოვრებისა და ფორმები ცნობიერებისა“.

მესამედასელებმა საზოგადოების ისტორია განიხილეს, როგორც კლასთა ბრძოლის ისტორია. კლასთა ბრძოლა უდევს საფუძვლად და ამოძრავებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. თუ კლასობრივი ბრძოლა უყურადღებოდ იქნა დატოვებული, მაშინ საზოგადოებას წყვდიადი მოიცავს და ხალხთა ისტორია მეფეთა და გმირთა ისტორიად გადაიქცევაო.

დასელებმა უარყვეს ქართველი პუბლიცისტების სუბიექტურ-იდეალისტური შეხედულება ისტორიაზე და ამხილეს მათი ფუჭი ცდა საზოგადოების ისტორია წარმოედგინათ მეფეთა ისტორიად და საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებათა ძირითადი მიზეზი მეფეთა ტახტზე ასვლა-ჩამოსვლაში ეძებნათ. მათ ნათელყვეს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება

დამყარებულია ობიექტურ კანონებზე, რომელთა „მიდრეკილების თავის სურვილისამებრ რყევა-დრეკა აღემატება ადამიანის ძალღონეს“ და რომ „ყოველი შეგნებული საზოგადო ძოღვაწე“ თვით ემორჩილება ამ კანონს, „იკვლევს მის ბუნებას და ხასიათს და ამისდაგვარად მოქმედებს თავის მიზნის მისაღწევად“[1].

დასელები მშრომელი მასების შემოქმედებაში ხედავენ იმ ძალას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ჩარხს ატრიალებს. მათი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა ხალხის მასების მოქმედებით განიზომება. ისტორიას ადამიანები ქმნიან, მაგრამ არა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არაქედ ერთად, ერთ ისტორიულ უღელში შებმულნი. ამიტომ ისტორიის შემოქმედია არა ცალკე პიროვნება, არამედ „პიროვნებათა გუხდი“. დასელები გადმოგვცემენ ენგელსის შრომიდან „ლ. ფოიერბახი“ იმ დებულებას, რომ ადამიანები ისტორიას ქმნიან არა შეგნებულად, არამედ შეუგნებლად და სტიქიურად. ყოველი ადამიანი გარკვეულ მიზანს ისახავს და მის მისაღწევად მოქმედებს. ამ შემთხვევაში მისი მოქმედება შეგნებულია, მაგრამ საზოგადოება მრავალი პირისაგან შედგება და მათი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედ ინტერესთა და მისწრაფებათა შეჯახება და ურთიერთგადახლართვა შედეგად შეუგნებელ, ბრმა ისტორიულ პროცესს იძლევა.

დასელებმა ამხილეს ქართველი სუბიექტივისტები, რომლებიც ცილს სწამებდნენ მარქსისტულ მოძღვრებას, თითქოს იგი უარყოფდეს „ზედნაშენის“ მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში. მათ მიუთითეს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი „პოლიტიკურ ძალას თვლის ეკონომიური ცვლილებების იარაღად და ეკონომიურ ძალას — პოლიტიკური უფლებების ბურჯად“.

მესამედასელები გამოეკამათნენ ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ძალმომრეობას ბოროტებად თვლიდა და ამტკიცებდა ისტორიული კანონია სიმართლის არა ძალით, არამედ თავისთავად გამეფებაო. დასელებმა ისტორიიდან მოტანილი ფაქტებით დაამტკიცეს, რომ ძალა, „სისხლის ღვრა“, ხმალი და „ამბოხება“ მიუძღვოდა ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული საფეხურისათვის შესაფერი სიმართლისა და სამართლიანობის დამყარებას, ეკონომიურად გაბატონებული ბურჟუაზია პოლიტიკურადაც ბატონდება და პოლიტიკურ ძალას ეკონომიური გაძლიერებისათვის იყენებს. ეკონომიკა პოლიტიკის მიზეზად ხდება, ხოლო პოლიტიკა — ეკონომიკის. მუშათა კლასი, დასელების განცხადებით, ასე თავგანწირვით იმიტომ იბრძვის პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის, რომ შეცვალოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა.

---

[1] „კვალი“, 1895, № 18.

დასელები ახდენდნენ რა მარქსისა და ენგელსის მიერ („წმინდა ოჯახში“) გამოთქმული დებულების პერეფრაზირებას, ამტკიცებდნენ, რომ იდეას შეუძლია მხოლოდ იდეა დაარღვიოს, ხოლო ადამიანის მდგომარეობას თვით ადამიანი ცვლის, რისთვისაც მატერიალურ ძალას იყენებს.

დასელებმა ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა პუბლიცისტების ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ შეხედულებათა განხილვასა და მათი იდეალიზმისა და ხალხოსნური სუბიექტივიზმის მკაცრ კრიტიკასთან ერთად ვრცლად გადმოსცეს დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპები. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებებისა, უზრუნველყვეს ხალხოსნებისა და სხვათა იდეალისტურ შეხედულებებზე გამარჯვება, ახალი, მარქსისტული თეორიულ-ფილოსოფიური და ისტორიულ-მეცნიერული შეხედულებების ფართოდ გავრცელება.

„მესამე დასის“ პუბლიცისტებმა დიდი მუშაობა გასწიეს მარქსიზმის იდეების გასავრცელებლად საქართველოში. მათ ძირითადად გადალახეს მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა მიერ აღმართული იდეური დაბრკოლებანი და თეორიული საფუძვლები ჩაუყარეს მარქსისტულ მოძრაობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. გ. პლეხანოვისა და მისი თანამებრძოლების მიერ რუსულ საზღვარგარეთულ პრესაში აღმართული მარქსიზმის დროშა ქართველმა მარქსისტებმა საქართველოში შემოიტანეს და დაამკვიდრეს ქართულ ლეგალურ პრესაში. მაგრამ მათ მოღვაწეობას თან ახლდა ნაკლოვანებანი: ისტორიული შეზღუდულობა და აბსტრაქტულობა, მცდარი შეხედულებები.

„მესამე დასი“ წარმოადგენდა ქართველი მარქსისტული ინტელიგენციის პატარა, არსებითად ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც არ იყო დაკავშირებული მუშათა მასობრივ მოძრაობასთან. ქართველი მარქსისტების პირველი თაობა ჯერ კიდევ განზე იდგა მუშებისაგან. მათ ნაწერებში ჩანს როგორც ნაროდნიკულ შეხედულებათა ნაშთები (ე. ნინოშვილი), ისე მომავალ მენშევიკურ და ნაციონალისტურ შეხედულებათა ჩანასახები (ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ს. ჯიბლაძე).

მესამედასელები იზიარებდნენ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატებს შორის გავრცელებულ შეხედულებას მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული მასების რევოლუციური შესაძლებლობის უარყოფის შესახებ და იცავდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კავშირის პლეხანოვისებურ იდეას. მართალია, მათ მიუთითეს მუშათა კლასის მეთაურ როლზე საერთო-დემოკრატიულ მოძრაობაში, დაინახეს, რომ მას შემდეგ, რაც მუშა ხალხი გამოვიდა პოლიტიკურ სარბიელზე, ევროპაში ბურჟუაზიამ დაკარგა რევოლუციური როლი, იგი მუშათა კუთვნილებად იქცა, ისიც აღნიშნეს, რომ სოციალურ და ნაციონალურ ცვლილებათა ინიციატორი თუ მოწინავე ქვეყნებ-

ში (ინგლისი, საფრანგეთი) ბურჟუაზია იყო, „უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში მუშა ხალხია“, მაგრამ ამ დებულებამ მათ ნაწერებში ვერ პოვა სათანადო დასაბუთება და განვითარება. მათ მონარქიულ-ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში დაუშვეს შესაძლებლობა ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ერთობლივი ბრძოლისა, საერთო ძალით პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის. ჟორდანია წერდა, რომ იქ, სადაც ჯერ კიდევ ბურჟუაზია არ გაბატონებულა „მუშა ხალხი უნდა შეუერთდეს ბურჟუაზიას“, რომ საერთო ძალღონით დალეწოს ძველი წყობილება[1]. ჯიბლაძე კი ამტკიცებდა, რომ „მოსალოდნელია მესამე და მეორე დასი მომავალში დაუახლოვდნენ ერთმანეთს დროებით, ჩაუნგრიონ ბუდე რეაქციონერებს, შემდეგ ერთმანეთის წინააღმდეგ მოიღერონ ყელი საბრძოლველად“[2].

დასელებმა გაილაშქრეს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალა მშრომელ ხალხში დაინახეს. მათ ბრძოლა გამოუცხადეს სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას და პირდაპირ განაცხადეს: ის, ვინც სამშობლოს თავისუფლების წინააღმდეგია, თავისი ერის მოღალატეა, ხოლო ის, ვინც იცავს უმცირესობას უმრავლესობის წინააღმდეგ, თავისი ერის მტერია, ვინაიდან „ერს შეადგენს უმრავლესობა და არა უმცირესობა“. ამ დებულების დასამტკიცებლად მათ დაიმოწმეს ცნობილი ფრანგი მარქსისტის ჟიულ გედის შემდეგი სიტყვები: ჩვენ უსამშობლოები როდი ვართ. ჩვენ პატრიოტები ვართ. პატრიოტები არიან არა ბურჟუები, არა მდიდრები, არამედ ისინი, რომლებიც სამშობლოს გაჭირვების დროს თავიანთი სისხლით იცავენ და ქვეყნის მთელ სიმდიდრეს ქმნიან[3] ნ. ჟორდანიას თქმით, ისტორია არაერთ შემთხვევას იცნობს, როცა „სოციალური განხეთქილება უმაღლეს ხარისხს მიაღწევს, კლასი დამჩაგვრელთა იწვევს უცხოელებს, წინააღმდეგ სამშობლოს დიდი უმრავლესობისა, რომ ამით კლასი დაჩაგრული დასძლიოს და დიდი უპირატესობა შეინარჩუნოს. მაშინ სამშობლოს ინტერესების დამცველათ და მეომრათ გამოდის მხოლოდ უკანასკნელი, პირველი კი ემხრობა მტერთ“. ასე იყო მაგალითად, საფრანგეთში, როცა 1793 წ. არისტოკრატიამ მთელი ევროპა მიიწვია დიდი რევოლუციის ჩასაქრობად და 1871 წ., როცა ბურჟუაზიამ ტიერის მეთაურობით ბისმარკს შემწეობა თხოვა კომუნის დასამარცხებლად. ასე მოხდა საქართველოშიც, როცა მაღალი თავადაზნაურობა რუსეთის ცარიზმს მიეკედლა. ამ მარქსისტულ-პროლეტარულ თვალსაზრისს ნ. ჟორდანია ბოლომდე ვერ ინარჩუნებს.

ნ. ჟორდანია სიმპათიით აღწერდა ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრე-

---

[1] „ქვალი“, 1895, № 39.
[2] იქვე, № 8.
[3] „მოამბე“, 1894, № 6.

ბას და ბურჟუაზიული დემოკრატიის იდეალიზაციას ახდენდა. მისი მტკიცებით, დასავლეთ ევროპაში საკითხი იმის შესახებ „ვინ უნდა მართოს ქვეყანა“, თითქოს გადაწყვეტილია „ხალხის სასარგებლოდ“ და იქ უკვე დამყარდა „ხალხის მეფობა“.

ნ. ჟორდანია, მისივე თქმით, თავის მოღვაწეობაში ემყარებოდა „ერის უმრავლესობას, მიუხედავად წოდებისა“, სახელდობრ, ქართველობის იმ ნაწილს, რომელიც „სამოქალაქო ასპარეზზეა გამოსული და ილტვის თანამედროვე საშუალებებით (განათლება, აღებ-მიცემა, ხელოსნობა, შავი მუშაობა და სხვადასხვა) თავი ირჩინოს“. ამრიგად, მესამედასელებთან თვალნათლივ ჩანს მარქსისტული თვალსაზრისიდან წვრილბურჟუაზიულ ეროვნულ-დემოკრატიულ თვალსაზრისისაკენ გადახრის ტენდენცია[1].

„მესამე დასი“ იყო მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელმაც მარქსიზმი პირველმა შემოიტანა და გაავრცელა საქართველოში. დასელებმა სახელმძღვანელოდ გაიხადეს მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც მუშა ხალხს ურჩევდა „პოლიტიკური უფლების მოპოვებას და მისი საშუალებით ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას“. დასელებმა მიზნად დაისახეს ქართველი მშრომელი ხალხის გაცნობიერება, მისი თვითმოქმედების გაღვივება, მისი ერთიან, შეგნებულ რაზმად გადაქცევა. მათ დროშაზე ეწერა: „ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხითვე“.

„მესამე დასის“ ისტორიული მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის კვალს გაჰყვა და მისი ანალოგიური როლი ითამაშა საქართველოში. ეს იყო ჩვენი პარტიის განვითარების პირველი პერიოდი, როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატია განიცდიდა „ჩანასახის განვითარების პროცესს“, იდეური მომზადების პერიოდს, ცალკეულ მცირერიცხოვან ჯგუფებსა და წრეებში მარქსიზმის პროპაგანდის ხანას. საქართველოს სოციალ-დემოკრატია იდეური მიმდინარეობის სახით ჩამოყალიბდა და მუშათა მოძრაობასთან შეერთებისაკენ წარიმართა[2].

---

[1] „კვალი“, 1900, № 2.

[2] მკვლევართა ერთი რიგი ვარაუდობს, რომ უკვე ამ დროს ადგილი ჰქონდა მწვავე უთანხმოებას მესამე დასის ოპორტუნისტულ და რევოლუციურ ფრთას შორის (იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, ნაწ. I, თბ., 1957, გვ. 39. შმდ.). სხვა მკვლევარნი იმ აზრს ადგანან, რომ მესამედასელთა შორის, მართალია, უკვე ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა შეკამათებას და აზრთა სხვადასხვაობას ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ ასეთი მწვავე ხასიათი უთანხმოებას ჯერ კიდევ არ მიუღია (იხ. ლ. გორგილაძე, მარქსი და საქართველო („ლიტერატურული საქართველო“, 1968, № 18). პლ. თავხელიძე, ვ. ი. ლენინი და რსდმპ კავკასიის კავშირი, 1969, გვ. 38—39; მისივე, Кавказский Союз РСДРП, и революционное движение в Закавказье, Автореферат докторской диссертации, Тб., 1970, გვ. 9; ლ. გორგილაძე, სოციალიზმის ისტორიიდან, II, 1970, გვ. 371—400).

§ 2. მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთება საქართველოში

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინი. დაიწყო ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში.

ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებამ, მისმა თეორიულმა შრომებმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა და განსაზღვრა საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის დამკვიდრება, მარქსიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან, მასობრივ აგიტაციაზე გადასვლა.

1896 წელს, პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" მძლავრი ბიძგის შედეგად მოხდა თბილისში არსებული მარქსისტული წრეების გაერთიანება ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალურ ორგანიზაციად, რითაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას. ამ დროიდან საქართველოში ჩნდება სოციალ-დემოკრატია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობის შესახებ ი. ბ. სტალინი 1901 წელს წერდა: „სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ ხელშეუხებელი არ დატოვა ქვეყნის არც ერთი კუთხე. არ დაურჩა მას ხელშეუხებელი რუსეთის ის კუთხეც, რომელსაც კავკასიას ვუწოდებთ, და კავკასიასთან ერთად ჩვენი საქართველოც. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ხნიერი არ არის, სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ის წარმოიშვა, დანამდვილებით რომ ითქვას, საძირკველი ამ მოძრაობისა მხოლოდ 1896 წელს ჩაიყარა"[1].

კავკასიაში მომუშავე სოციალ-დემოკრატებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პეტერბურგის „ბრძოლის კავშირთან". აფანასიევის, ლუზინის, ფრანჩესკისა და სხვების შესახებ თბილისის ჟანდარმერიის კვლევა-ძიების საქმეში აღნიშნულია, რომ პეტერბურგშია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის ცენტრი, რომელიც „აერთიანებს ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოქმედებას". აფანასიევისათვის პეტერბურგიდან გამოგზავნილ ამანათში, რომელიც ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში, არალეგალურ ლიტერატურასთან ერთად, აღმოჩენილ იქნა წერილი, რომლის ავტორიც დაკავშირებული ყოფილა პეტერბურგში „ბრძოლის კავშირის" საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ პირებთან.

ამავე საქმიდან ჩანს, რომ ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრე დაკავშირებული იყო „ბრძოლის კავშირთან". გ. ფრანჩესკის ქაღალდებში ნაპოვნი ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრის წესდების მე-19 მუხლი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 3—4.

დან „ირკვევა, ნათქვამია თბილისის ჟანდარმერიის კვლევა-ძიების დოკუმენტში, — რომ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ იმყოფება ქ. პეტერბურგში, სადაც განზრახული იყო კიდეც საზოგადოების სალაროს ფულის გადაგზავნა“[1]. ამრიგად, პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, ხელმძღვანელობას უწევდა მას და საერთოდ დიდ ზემოქმედებას ახდენდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე კავკასიაში.

სოციალ-დემოკრატ მუშებზე და ინტელიგენტებზე დიდი გავლენა მოახდინა „ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობით პეტერბურგის 30 ათასი ფეიქარი მუშის გაფიცვამ 1896 წლის ზაფხულში. 1896 წ. პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სოციალ-დემოკრატებთან და ახალი ენერგია შემატა მათ. იმავე წლის დამლევისთვის თბილისში მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების რიცხვმა 25-მდე მიაღწია. ისინი შემოკრებილნი იყვნენ უნარიანი ორგანიზატორებისა და პროპაგანდისტებისაგან ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული, მუშათა წრიდან გამოყოფილი „ხელმძღვანელ მუშათა კოლექტივის“ (ზ. ჩოდრიშვილის, ვ. სტურუას, მ. ბოჭორიძის, არ. ოქუაშვილის. გ. ჩხეიძის, ვ. ცაბაძისა და სხვ.) გარშემო.

1897—1898 წლებში მუშათა ამ ხელმძღვანელი ჯგუფის მუშაობაში ჩაებნენ მანამდე მასთან იდეურად დაკავშირებული მარქსისტი-ინტელიგენტები „მესამე დასის“ ჯგუფიდან. იქმნება მუშებისა და ინტელიგენტებისაგან შემდგარი პირველი სოციალ-დემოკრატიული „მუშათა ხელმძღვანელი კომიტეტი“, რომელშიც შედიან: ზ. ჩოდრიშვილი, ვ. ცაბაძე. მ. ბოჭორიძე, ლ. კეცხოველი, ა. ოქუაშვილი, ს. ჯიბლაძე, ს. ჯუღელი. ალ. შატილოვი, რ. კალაძე და სხვ.

მუშათა ხელმძღვანელმა კომიტეტმა საგრძნობი მუშაობა გააჩაღა. თბილისის მუშები საბრძოლველად იღვიძებენ. 1896 წელს თბილისში, უმთავრესად მუშათა უბნებში, ფართოდ გავრცელდა ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი სხვადასხვა შინაარსის პროკლამაციები, რომლებიც მუშებს შეკავშირებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ერთ-ერთ ფურცელში ნათქვამი იყო: „გიძღვნით, ძვირფასო ამხანაგებო, გულითად კეთილ სურვილს და გისურვებთ მამაც და კეთილგონიერ მოქმედებას. ჩვენი მხრით თქვენ მიიღებთ დახმარებას, იქნება ის თუ არა საჭირო, რადგან უდგივართ თქვენს საქმეს დარაჯად“[2].

ფურცლები მუშებს უხსნიდა, რომ „დროა გაიღვიძონ და იბრძოლონ

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 31, საქ. 35.

[2] მლისფპა, ფ. 31, საქ. 25.

მონური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის". მოწოდებანი მოაგონებდა მუშათა „მწვალებლებს" 80-იანი წლების ამბებს და უფრო „მკაცრ ფორმებში" მათ განმეორებით ემუქრებოდა.

1896 წლის გაზაფხულზე ხელმძღვანელი მუშათა კოლექტივი შეეცადა რკინიგზის სახელოსნოებში გაფიცვის მოწყობას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციას უნდოდა სახელოსნოებში შემოეღო ახალი წესები, რომლებიც მუშების მდგომარეობას საგრძნობლად აუარესებდა. მაგრამ მოსალოდნელი გაფიცვით შეშინებული ადმინისტრაცია იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო, დათმობაზე წასულიყო და მუშათა მთელი რიგი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. ეს იყო თბილისელი მუშების მიერ ორგანიზებული ბრძოლით მოპოვებული პირველი გამარჯვება.

იმავე წლის ზაფხულში მუშათა კოლექტივმა შეძლო მოეწყო თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშათა დიდი გაფიცვა. გაფიცვა დაიწყო ივლისის პირველ რიცხვებში და გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს. მასში მონაწილეობდა 500-მდე მუშა. გაფიცული მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებასა და სხვ. კუკიის სასაფლაოს იქით, მთის კალთებზე, ღამ-ღამობით ეწყობოდა მუშათა კრებები, რომლებსაც ესწრებოდა 100-დან 200 კაცამდე. ამ გაფიცვას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თვით გაფიცული მუშებისათვის, მათი კლასობრივი ცნობიერების განვითარებისათვის, ისე გაფიცულთა მეთაურთათვის, რომლებმაც ხელმძღვანელობის პირველი გაკვეთილი მიიღეს. ამ გაფიცვის ერთ-ერთი მონაწილე მოგვითხრობს: „1896 წლის ზაფხულში ჩვენმა პარტიამ მოაწყო გაფიცვა ენფიანჯიანცის პაპიროსის ქარხანაში. აქაც მოთხოვნები წმინდა ეკონომიური იყო. ამ ქარხანაში მეტი ნაწილი შეუგნებელი მუშები იყვნენ, ყარაჩოხელი ბიჭები. გაფიცვა რომ კარგად ჩატარებულიყო და შტრეიკბრეხერები არ გამრავლებულიყვნენ, ჩვენ ვაწყობდით გაფიცულთა კრებებს ქალაქის გარეთ, ღამით. მახსოვს, პირველ კრებაზე რამდენიმე ამხანაგის შემდეგ ილაპარაკა მიხა ბოჭორიშვილმა. მიხა უკვე კარგად მომზადებული პროპაგანდისტი იყო. ყარაჩოხელი ბიჭები გაკვირვებით უსმენდნენ მიხას, რადგან ისინი რამდენიმე წლის წინათ იცნობდნენ მას, როგორც უბრალო ძმაბიჭს; როდესაც მიხამ რამდენჯერმე იხმარა: „ექსპლოატაცია", „კონცენტრაცია", „ექსპროპრიაცია" და სხვა უცხო სიტყვები, ერთი განიერ-შარვლიანი მუშა ეუბნება მეორეს: „ბიჭო, ერთი უცქირე მაგ პირძაღლ მიხაკოს, როგორ ჩეჩქივით აყრის ზაგრანიჩნი სიტყვებსო". ბოლოს ილაპარაკა არაქელამ. ის ლაპარაკობდა სწორედ განიერ-შარვლიანების ენაზე და ისეთი აღტაცება გამოიწვია მსმენელებში, რომ ის სულ ბურთივით ისროლეს ხელში და თან გაიძახოდნენ: „შენი ჭირიმე არაქელჯან, ეგ რა მართალს ლაპარაკობო"... კრება დიდი აღფრთოვანებული დაიშალა"[1].

[1] მლისფპა, ფ. 34, საქ. 21.

1896 წლის მუშათა გაფიცვა თბილისში ეკონომიურ ხასიათს ატარებდა და ჯერ კიდევ სტიქიური მოძრაობის გამოხატულებას წარმოადგენდა. კავკასიაში მუშათა მოძრაობამ ყველაზე ადრე და თვალსაჩინოდ თბილისში იჩინა თავი. თბილისის მუშათა ავანგარდი რკინიგზის სახელოსნოების მუშები იყვნენ.

თბილისისა და, მაშასადამე, საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში 1896 წელი გარდატეხის დასაწყისია. სოციალ-დემოკრატია ვიწრო კონსპირაციის ფარგლებიდან გამოსვლას იწყებს და საზოგადოებრივი მოძრაობის სახით წარმოგვიდგება. თუ 1896 წლამდე თბილისში მხოლოდ ვიწრო კონსპირაციული, თითებზე ჩამოსათვლელი რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული წრე არსებობდა, 1896 წლიდან მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები გამრავლდნენ. რევოლუციურმა პროპაგანდამ ფართო ხასიათი მიიღო. იგი მოედო მუშების საკმაო ნაწილს, მოეფინა მუშათა მასას და ბრძოლის ველზე გამოიყვანა იგი.

ასე აიდგა ფეხი საქართველოში მუშათა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელსაც უკვე იმ წლებში გაეცნო და დაუკავშირდა ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინმა 90-იანი წლების დამდეგს სრულიად სანდო წყაროებიდან, მასთან ახლო მდგომ, მისი ნდობით აღჭურვილ პირთა საშუალებით, შეიტყო, თუ როგორ მტკიცედ იკიდებდა ფეხს მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში. ლენინს ჯერ კიდევ 1893—1894 წლებში ჰქონდა პირადი შეხვედრები და მიმოწერა იმ რუს რევოლუციონერებთან (პ. მასლოვი, მ. ნატანსონი და სხვ.), რომლებიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდნენ და ჩაბმულნი იყვნენ აქაურ რევოლუციურ მოძრაობაში. ამას ადასტურებს ვ. ი. ლენინის წერილები პ. მასლოვისადმი, რომლებიც 1893—1894 წლებშია დაწერილი. მასლოვს ლენინისათვის მიუწერია: თქვენი მისამართი არ ვიცოდი და იძულებული ვიყავი „მეძებნეთო“. ლენინი თავის პასუხში 1894 წლის 30 მაისის თარიღით გაკვირვებას გამოთქვამს, რატომ მოუხდა მასლოვს ლენინის „ძებნა“, აკი სთხოვა მან ნ. მ. ა-ს „პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებისას“ ენახა მასლოვი და მისთვის ლენინის მისამართი გადაეცა[1].

ცხადია, რომ ამ პირთა საშუალებით ლენინი ინფორმირებული იქნებოდა თბილისური ამბებით და, შეიძლება ვიფიქროთ, ახორციელებდა კიდეც გარკვეულ კავშირურთიერთობას თბილისელ რევოლუციონერებთან. ამავე პირთა საშუალებით უთუოდ უკვე მაშინ ჩამოაღწია ჩვენში ცნობამ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული დიდი რუსი რევოლუციონერისა და თეორეტიკოსის საქმიანობის შესახებ. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ პ. მასლოვი, ს. დანდუროვის გადმოცემით, დიდად გაკვირვებული დარჩენილა თბილისში მარქსიზმის ასე ფართოდ გავრცელების გამო.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., სრ. კრებული, ტ. 46, გვ. 3 (რუს. გამოც.).

იგი თურმე არ ელოდა, სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, სადაც თავადაზნაურული ინტელიგენცია ჭარბობდა, ენახა სერიოზულად მომზადებული მარქსისტები, და ფიქრობდა, თვითონ გამოსულიყო მარქსიზმის მქადაგებლად საქართველოში. მასლოვს ამავე დროს არ შეიძლებოდა თბილისელ სოციალ-დემოკრატთა წრეში არაფერი ეთქვა ვ. ი. ლენინის შესახებ, რომელთანაც იგი ამ დროს აგრარულ საკითხზე ცხარე კამათს აწარმოებდა. ლენინმა სწორედ მასლოვისადმი მიწერილ ამ წერილებში ჩამოაყალიბა ის მნიშვნელოვანი დებულებანი, რომელთაც შემდეგ თავისი დასრულებული გამოხატულება პოვეს შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ამრიგად, თბილისში მომუშავე სოციალ-დემოკრატებთან ვ. ი. ლენინის გარკვეული კავშირურთიერთობა ჯერ კიდევ 90-იან წლებში მყარდება. ლენინის სახელი უკვე მაშინ ხდება ცნობილი საქართველოში. ამ დროს თბილისში მუშაობდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ან პირადად იცნობდნენ ლენინს, ანდა მის მოღვაწეობას იცნობდნენ ლენინთან დაახლოებულ პირთა მეშვეობით. მათი საშუალებით ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის უცნობი არ იყო ლენინის ხელმოუწერლად თუ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწერების ავტორის ვინაობა და ის დიდი პრაქტიკული მუშაობა, რომელსაც ლენინი ეწეოდა რევოლუციური მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პირველ წლებში.

ცოტა უფრო გვიან საქართველოში ცნობილი ხდება ლენინის ადრინდელი პერიოდის შრომებიც. თბილისის პრესაში გამოჩნდა პირველი რეცენზიები ლენინის ნაშრომებზე, რომლებსაც ჩვენი იმდროინდელი პროგრესული პრესა დიდი ინტერესით ეხმაურება.

1899 წელს ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა თავისი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომელშიც დაასაბუთა, რომ აგრარული ურთიერთობის განვითარება რუსეთში კაპიტალისტურად მიმდინარეობს და რომ ამ განვითარებამ უკვე საბოლოოდ განსაზღვრა კაპიტალისტური გზა და კლასების კაპიტალისტური დაჯგუფება. ამ ნაშრომით ლენინმა დააბოლოვა ნაროდნიკების იდეური განადგურება[1].

ბურჟუაზიული პრესა ცდილობდა ყური მოეყრუებინა ლენინის ამ შრომაზე. ლენინი 1899 წლის 27 ივნისს წერილში პოტრესოვისადმი ირონიულად წერდა, რომ გაზეთი „რუსკოე ვედომოსტი“ „ტაქტით დუმილს“ განაგრძობს. მხოლოდ 1899 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა პირველი რეცენზიები, რომლებიც მტრულ ხასიათს ატარებდნენ.

ქართულ პრესაში ლენინის წიგნზე დადებითი რეცენზია გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1899 წლის ზაფხულში; გაზ. „კვალის“ 25 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ი. ლუზინის ბიბლიოგრაფია „ვლადიმერ ილინი. კაპიტალიზმის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 139.

განვითარება რუსეთში. მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი". რეცენზენტი გადმოგვცემს ავტორის ძირითად დასკვნებს და ამბობს: „ვლ. ილინის წიგნი საყურადღებოა თავისი მკაცრი მეცნიერული, ობიექტური გამოკვლევით... ახალგაზრდა ეკონომისტმა ანალიზი უყო მთელ იმ მდიდარ მასალას, როგორსაც კი იძლევა საერობო და ოფიციალური სტატისტიკა. შესაფერ სისტემაში მოიყვანა ციფრები და, ამნაირად, სრულიად დაასაბუთა თავისი დასკვნები. მასთან ერთად მან სასტიკ კრიტიკაში გაატარა შეხედულებანი ბ. ბ. ვორანცოვების, ნ. ონეგების, კარიშევების, ჯაბალუკოვების და სხვათა და გამოამზეურა მათი „მეცნიერული უმეცრება". რეცენზენტი „ამ შესანიშნავ ღრმა და საფუძვლიანი შრომის" წაკითხვას ურჩევს „ყველა მკითხველს"[1].

რაკი რეცენზენტი ვლ. ილინს „ახალგაზრდა ეკონომისტად" იხსენიებს, ჩანს, მან იცოდა ვის ეკუთვნოდა ეს ფსევდონიმი. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იგი არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლებაში ყოფნის დროს (1893—1896 წწ.) გაეცნო და დაუახლოვდა ლენინის მიერ სამარაში დაარსებული მარქსისტული წრის წევრს ა. პ. სკლიარენკოს (პოპოვს), ლენინის ახლო მეგობარს, რომელსაც გადასახლებაში ყოფნისას ლენინი მატერიალურად ეხმარებოდა. ლუზინი სკლიარენკოსთან მეგობრობდა. ისინი ერთად კითხულობდნენ მარქსის „კაპიტალს" და ხშირად საუბრობდნენ. სკლიარენკოს საშუალებით ლუზინს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

1899 წელს გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში" მოთავსებული იყო ბიბლიოგრაფია ლენინის ნაშრომზე „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894—95 წელს და „შინამრეწველობის" ზოგადი საკითხები". რეცენზენტი ლაპარაკობს სოფლად ფეოდალურ ურთიერთობათა დაშლისა და გლეხობის კლასობრივ დიფერენციაციაზე და აღნიშნავს, რომ ამ პროცესის გასაგებად შესანიშნავ მასალას იძლევა ვლ. ილინის სტატია „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894—95 წელს და „შინამრეწველობის ზოგადი საკითხები", რომელიც პირველად დაიბეჭდა 1893 წელს კრებულში — ვლ. ილინი, „ეკონომიური ეტიუდები და სტატიები"[2].

ლენინის ნაშრომები საქართველოში ცნობილი ხდება თითქმის გამოსვლისთანავე. ქართველი რევოლუციური ახალგაზრდობა ვულმოდგინედ სწავლობს ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის ადრინდელი წლების ნაწარმოებებს და მასში ნახულობს მძლავრ იდეურ იარაღს იმდროინდელი ისტორიული ვითარების მარქსისტული გაგებისა და რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

---

[1] „ქვალი", 1899, № 30.

[2] „ნოვოე ობოზრენიე", 1899, № 292.

90-იანი წლების დამლევს რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ლენინის მოღვაწეობით შთაგონებული ქართველ მარქსისტთა ახალი თაობა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საქართველოს ორგანიზაციაში 1896 წელს შედის ა. წულუკიძე, 1897 წელს — ლ. კეცხოველი და 1898 წლის აგვისტოში — ი. სტალინი.

ალ. წულუკიძე თავადაზნაურული წრიდან იყო გამოსული, მაგრამ მალე შეიგნო ამ წოდების ცხოვრების არარაობა და მტკიცედ დაადგა ხალხისათვის სამსახურის გზას. 1896 წელს ა. წულუკიძე დაუახლოვდა ახალგაზრდა მარქსისტებს და ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი გახდა[1].

1895—1896 წლებში გაზ. „ივერიაში" ა. წულუკიძე აქვეყნებს კორესპონდენციებს, რომლებშიც ნათლად გამოსჭვივის ხალხის ცხოვრებისადმი ღრმა ინტერესი და მშრომელი ხალხის გულწრფელი სიყვარული. ამ დროს წულუკიძე ჯერ კიდევ განმანათლებლობის პოზიციებზე მდგომ რევოლუციონერ-დემოკრატად წარმოგვიდგება. 1895 წელს „ივერიაში" „ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ" იგი წერდა: „დაუახლოვდით ხალხს, მოისმინეთ მისი მწუხარება, დაუმეგობრდით მას მისივე ვარამის გაზიარებით, შესძინეთ მისს გონების ბნელს სალაროს მცირე რამ გამოსადეგი თეორიული ცოდნა". ამავე სტატიაში წულუკიძე ამტკიცებს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მაგალითად, სკოლების დაარსება „უპირველეს საშუალებას შეადგენს ქვეყნის გონებრივს, ზნეობრივს და მაშასადამე მატერიალურს კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად"[2].

1897 წელს წულუკიძე მეცნიერული თეორიის შესწავლის წყურვილმა მოსკოვში წაიყვანა, სადაც იგი ორი წლის განმავლობაში საფუძვლიანად გაეცნო მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ ლიტერატურას. იქ წულუკიძე საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც რევოლუციონერი მარქსისტი. იგი ღრმად უფიქრდება კაცობრიობის აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილ ამოცანას — რაა სოციალური უთანასწორობის მიზეზი და როგორ შეიძლება დავაღწიოთ თავი მას, — და ღრმა რწმენით აცხადებს, რომ ამ კითხვაზე პასუხის მომცემი მხოლოდ „1847—48 წწ. მოევლინა ევროპას და ჩვენც მოვალენი ვართ ვისმინოთ ეს ხმა"[3]. ესმის რა მარქსიზმი შემოქმედებითად, როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის, იგი 1897 წლის 12 დეკემბერს წერილში მოსკოვიდან იწერება, რომ მას მარქსის „კაპიტალი" სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებელ ლამპრად უნდა, დანარჩენი კი „ადამიანთა თანაგრძნობით უნდა გაკეთდესო". იმავე წერილში წულუკიძე

---

1 „პროლეტარიატის ბრძოლა", 1905, № 9.

2 ალ. წ ულ უ კ ი ძ ე , თხზულებანი," გვ. 266.

3 იქვე, გვ. 283.

შენატრის იმ დროს, როცა ამ „დიდებული მეცნიერის“ აზრები ჩვენს ცხოვრებაში გამოიღებს ნაყოფს და ჩვენს აზროვნებასაც მეცნიერული ხასიათი მიეცემა[1]. 1898 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაზ. „კვალში“ წულუკიძე აქვეყნებს თავის პირველ მარქსისტულ ნაწარმოებს — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“[2] და მას შემდეგ სისტემატურად თანამშრომლობს ქართულ პრესაში.

თუ ალ. წულუკიძე უმთავრესად მარქსიზმის პროპაგანდას ეწევა ლეგალურ პრესაში, ლ. კეცხოველი უმთავრესად პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობას აჩაღებს. ლ. კეცხოველი 1891 წელს გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იგი მალე შედის სემინარიელთა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო წრეში, რომელსაც ეგ. ნინოშვილი ხელმძღვანელობდა. კეცხოველი იყო სემინარიაში გამეფებული იეზუიტური რეჟიმის წინააღმდეგ 1893 წლის დეკემბერში მოწყობილი გაფიცვის ერთ-ერთი მეთაური. ამის გამო იგი გარიცხეს სემინარიიდან. ლ. კეცხოველი ჯერ კიდევ 1894 წელს „ივერიაში“ ათავსებს კორესპონდენციებს, რომლებშიც რევოლუციური განმანათლებლობის თვალთახედვით აღწერს სოფლის ცხოვრებას, გლეხობის სიდუხჭირესა და ჭირ-ვარამს და გამოხატავს სიძულვილის გრძნობას მჩაგვრელთა მიმართ. პირველი კორესპონდენცია სოფლის სკოლას შეეხება. სოფელ ტყვიავს სკოლა არ ჰქონია. „გლეხკაცობაში ძალიან იშვიათად თუ ვინმემ იცის კითხვა“. სკოლის გახსნის წინააღმდეგი თვით გლეხები ყოფილან: შენობას ვერ ავაშენებთ, მასწავლებლებს ჯამაგირს ვერ მივცემთო. კეცხოველი მხურვალედ მოუწოდებს — სკოლის საქმეს ზურგს ნუ შეაქცევთო. „დრო არის კაცმა კაცურად იცხოვროს და არა პირუტყვულად უღელში დალიოს თავისი სიცოცხლის დღენიო“[3]. მეორე კორესპონდენციაში აღწერილია სოფელ ტყვიავის გლეხობის მდგომარეობა: „კაცი ვერ წარმოიდგენს, როგორ გაჭირვებაში არის ახლა ჩვენებური გლეხკაცი: ბეგარა, ფოსტის ფული, საქონლის ავადმყოფობა... სულ ერთად დააწვა მას კისერზე, და თუ მან დროზე არ გადაიხადა გადასახადი, ჩაფრები შეესევიან და თუ სახლში რაიმე აბადია, სულ ერთიანად წაართმევენ და გაუყიდიან“[4]. მესამე კორესპონდენციაში კეცხოველი ისევ გლეხობის მდგომარეობაზე ლაპარაკობს: „ხალხი ძალიან შეწუხებულია სახელმწიფო ბეგარით და გადასახადებით. უწინ მოკრეფილი და, საცა ჯერ არს, არ წარდგენილი ფოსტის ფული გამოააშკარავა ახალ დაწესებულმა სოფლის სამმართველომ და

---

[1] ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 282.
[2] „კვალი“, 1898, №№ 44, 45, 48.
[3] „ივერია“, 1894, № 51.
[4] იქვე, № 146.

ხალხს რამდენისამე წლის დარჩენილი სახელმწიფო ხარჯი (ნედოიმკები) სულ ერთბაშად დააწვა კისერზედ: ზედ დაემატათ წრევანდელი ხარჯი, ჩაფრისა და მამასახლისის ფული და ერთს ვაი-ვაგლახში ვრიან. ბევრის გლეხკაცისაგან გამოყავთ უკანასკნელი ხარი და სახაზინო ვალში უყიდიან"[1].

1894 წლის შემოდგომაზე კეცხოველმა მოახერხა კიევის სასულიერო სემინარიაში შესვლა. იგი დაუკავშირდა კიეველ სოციალ-დემოკრატებს და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1896 წლის აპრილში კეცხოველი დააპატიმრეს და სამი თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს მშობლიურ სოფელ ტყვიავში. 1897 წელს კეცხოველი შედის თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ხდება არალეგალური გამომცემლობის შესანიშნავი ორგანიზატორი. 1897—1898 წლებში იგი თბილისის ერთ-ერთ კერძო სტამბაში მმართველის თანამდებობაზე მუშაობდა და შეისწავლა ბეჭდვის ტექნიკა. აქ მან დაბეჭდა პირველი არალეგალური წიგნაკი — დიკშტეინის „ლუკმა პურის ამბავი".

ი. სტალინმა 1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს შევიდა თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში გამეფებული დამამცირებელი რეჟიმი და იეზუიტური მეთოდები ი. სტალინის მძაფრ პროტესტს იწვევდა და აღვივებდა მასში რევოლუციურ განწყობილებას.

1895 წელს ი. სტალინი დაუკავშირდა ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუს მარქსისტთა არალეგალურ ჯგუფებს და მათი გავლენით შეიყვარა მარქსისტული ლიტერატურა. 90-იანი წლების დამლევიდან ი. სტალინი ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას ეცნობა და ლენინის მოწაფე ხდება.

ი. სტალინი 1896—1897 წლებში მარქსიზმის პროპაგანდას ეწევა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა შორის, ხოლო 1898 წლიდან უკავშირდება თბილისის მოწინავე მუშებს. რკინიგზის სახელოსნოების მოწინავე მუშათა წრეში მან მიიღო პრაქტიკული მუშაობის პირველი გაკვეთილები და თავისი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა.

ი. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა განაპირობა ვ. ი. ლენინის თეორიულმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობით შექმნილი წარუხოცელი შთაბეჭდილება ღრმად ჩაწვდა მას გულში და განსაზღვრა მისი რევოლუციური ბრძოლის გზა. ვ. ი. ლენინისა და მისი „ბრძოლის კავშირის" თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ქართველი რევოლუციონერი მარქსისტებისათვის წარმოადგენდა შთამაგონებელ მაგალითსა და ნიმუშს მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებისათვის ბრძოლაში.

---

[1] „ივერია", 1894, № 172.

90-იანი წლების დამლევს, როცა ჩვენში დასაბამი მიეცა აგიტაციას, მისი შემწეობით პროპაგანდამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამიერიდან პროპაგანდა და აგიტაცია ხელიხელჩაკიდებული გამოდის, მაგრამ მეტი მნიშვნელობა აგიტაციამ მოიპოვა და უპირატესობაც მას მიენიჭა.

მარქსისტული წრეები მუშებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო მასას დაეუფლა და მთელ საქართველოს მოეფინა. არ დარჩენილა არც ერთი მსხვილი საწარმო, სადაც ერთი წრე მაინც არ ყოფილიყო მოწყობილი. მთავარ სახელოსნოებში წრეების ფართო ქსელი შეიქმნა, ხოლო სასულიერო სემინარია მრავალრიცხოვანი წრეების ბუდედ იქცა.

გარდაიქმნა მოსწავლე ახალგაზრდობის წრეების მეცადინეობა. თუ წინათ მოსწავლე ახალგაზრდობაში სჭარბობდა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ხასიათის წრეები, ახლა შეიქმნა მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მიმართულების წრეები, სადაც უმთავრესად კლასთა ბრძოლისა და მუშათა მოძრაობის საკითხებს იხილავდნენ.

მარქსისტულად განწყობილი მოსწავლე ახალგაზრდობა დაეწაფა თვითგანვითარებას. ისინი ბეჯითად სწავლობენ „კაპიტალს“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და მარქსისა და ენგელსის სხვა ნაწარმოებებს, ლენინის წიგნს „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ და მის სხვა ნაწერებს. ეცნობიან მრავალ ნაშრომს ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ლიტერატურის საკითხებზე.

მაშინ მარქსისტული ლიტერატურის შოვნა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ქართველი ახალგაზრდობის მიერ სწორი რევოლუციური თეორიის ხარბ, მოწყურებულ ძიებას ვერ აჩერებდა ვერავითარი საფრთხე და სიძნელე, რომელიც მარქსისტული ლიტერატურის შეძენასა და შესწავლასთან იყო დაკავშირებული. უდიდესი მისწრაფება მარქსიზმის შესწავლისადმი მოსწავლე ახალგაზრდობას მარქსისტული ლიტერატურის მოპოვების განსაცვიფრებელ ხერხებს აძებნინებდა. აი თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მარქსისტული წრის მიერ მარქსის „კაპიტალის“ უცნაური ექსპროპრიაციის საინტერესო ეპიზოდი: ერთი იმ დროის საკმაოდ ცნობილი „ხალხოსანი“ ბუკინისტი მეტად დიდ ფასად აქირავებდა როგორღაც მის ხელში ჩავარდნილ მარქსის „კაპიტალს“. ამ „ხალხოსანის“ ასეთი „განმანათლებელი“ მოქმედებით აღშფოთებულმა სემინარიელებმა პირდაპირ კაპიკ-კაპიკობით მოგროვილი ფულით ხელთ იგდეს სანატრელი ტომი და მოახდინეს მისი „ექსპროპრიაცია“ — ათ დღეში მთლიანად გადაწერეს მარქსის „კაპიტალი“[1].

გარდაიქმნა მუშათა მარქსისტული წრეების მუშაობა, რომელიც აგებულ იქნა 1898 წელს ი. სტალინის მიერ შედგენილი „მუშათა მარქსის-

---

[1] „მნათობი“, 1939, № 12.

ტულ წრეებში მეცადინეობის პროგრამის“ საფუძველზე. წინათ მუშათა წრეებში მეცადინეობა უმთავრესად ა. ბოგდანოვის „ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსის“ მიხედვით წარმოებდა და განყენებულ ხასიათს ატარებდა. შეიცვალა სამეცადინო პროგრამა და გადაცემის მეთოდი. მეცადინეობა მუშებისათვის გასაგები და საინტერესო გახდა. მან ცოცხალი საუბრის ხასიათი მიიღო და მჭიდროდ დაუკავშირდა მუშათა ყოფაცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. მეცადინეობის დროს პროპაგანდისტის წარმმართველი მოქმედებითა და მსმენელთა აქტიური მონაწილეობით იხილებოდა საკითხი: რატომ ვართ ღარიბნი და უუფლებონი და როგორ დავძლიოთ სიღარიბე და უუფლებობა? თვით მუშებისათვის ნაცნობ და მისაწვდომ მაგალითებზე ირკვეოდა კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მიზეზები, ბრძოლის საშუალებები და ორგანიზაციის ფორმები და ამოცანები. ასეთი მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული წრეები მუშების პოლიტიკური აღზრდის ნამდვილ სკოლად იქცნენ[1].

რევოლუციონერი მარქსისტები ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა მხილებითა და რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდით როდი კმაყოფილდებიან. ისინი ახორციელებენ პროლეტარული მოძრაობის გრანდიოზულ ამოცანას, მარქსიზმს აერთებენ მუშათა მოძრაობასთან და საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლას პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს აძლევენ. საქართველოს მუშათა მოძრაობამ, რომელიც 1898 წლამდე სტიქიურ ხასიათს ატარებდა, 1899—1900 წლებში შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მიიღო. მან თავისი წრიდან გამოჰყო ისეთი უნარიანი ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, როგორიც იყვნენ მ. ბოჭორიძე, მ. ჩოდრიშვილი, ვ. სტურუა, გ. თელია და სხვ. მათ შეიგნეს ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობა და მუშათა გამოსვლების მეთაურებად გამოვიდნენ.

მასობრივ-პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ცნობილმა ლენინელმა ვ. კ. კურნატოვსკიმ და პეტერბურგის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა მ. ი. კალინინმა. კალინინი თბილისში ჩამოვიდა 1900 წლის ივნისში, კურნატოვსკი კი — შემოდგომის დასაწყისში, როცა აქ უკვე დაიწყო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი. მისი აქტიური მონაწილეობით ქართველმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა პრაქტიკულად განახორციელეს მასობრივ-პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლა. ძველი მუშები ა. ოქუაშვილი და გ. ჩხეიძე ვ. კურნატოვსკის იგონებენ, როგორც „მტკიცე და ურყევ რევოლუციონერს“, განათლებულ მარქსისტს, რომელსაც მუშები ხშირად მიმართავდნენ რჩევისათვის და მის აზრს

---

[1] ემ. ი ა რ ო ს ლ ა ვ ს კ ი, სკკპ (ბ) ისტორია (1883—1912 წწ.), უმაღლეს პარტიულ სკოლაში წაკითხული ლექციების კურსი, 1947, გვ. 180.

ყოველთვის უყოყმანოდ იღებდნენ[1]. ა. ალილუევი მოგვითხრობს, რომ თბილისში ი. ფრანჩესკის ბინაში მასთან საუბრის დროს კურნატოვსკის დიდი სიყვარულით მოუგონებია ლენინი და აღფრთოვანებით ულაპარაკნია მისი ნათელი გონებისა და ურყევი ნებისყოფის შესახებ[2].

თბილისის ჟანდარმთა სამმართველო კურნატოვსკის თვლიდა „მეტად ენერგიულ ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატად", და მიაკუთვნებდა მას ქართველ და რუს სოციალ-დემოკრატთა იმ ჯგუფს, რომელიც „მიზნად ისახავდა სისტემატური პროპაგანდით ადგილობრივ მუშებში უკმაყოფილება გამოეწვია მათი მდგომარეობით, შთაენერგა მათთვის რევოლუციური იდეები და ამით ხელი შეეწყო მუშათა კლასის საერთო რევოლუციური მოძრაობის მომზადებისათვის" [3].

კალინინი თბილისში ჩამოსვლისთანავე (1900 წლის ივლისში) შევიდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ჩაება მუშათა მასობრივ რევოლუციურ მოძრაობაში. მან თბილისის მუშებს გადასცა პეტერბურგის მუშათა რევოლუციური გამოცდილება და მუშათა საქმისათვის ბრძოლის მაგალითი აჩვენა.

ჟანდარმერია პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში ატყობინებდა, რომ კალინინი თბილისში ჩამოსვლისთანავე მუშათა არალეგალურ კრებაზე გამოვიდა მოხსენებით პეტერბურგის მუშათა მოძრაობის შესახებ, შექმნა სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრე და აქტიური მონაწილეობა მიიღო 1900 წლის აგვისტოს რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გაფიცვაში[4].

რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები მჭიდროდ უკავშირდებიან მუშათა მასობრივ მოძრაობას და პოლიტიკურად ხელმძღვანელობენ მას. 90-იანი წლების დამლევამდე საქართველოში გაფიცვები სტიქიური მოძრაობის გამოხატულებას წარმოადგენდა. მაგრამ სტიქიურობაც არის და სტიქიურობაც. 70—80-იანი წლების გაფიცვებთან შედარებით 90-იანი წლების გაფიცვებში მეტია შეგნებულობა და ორგანიზებულობა.

ლენინი ლაპარაკობდა რა პეტერბურგის 1896 წლის განთქმულ სამრეწველო ომსა და მის შემდგომ მუშათა გაფიცვებზე, აღნიშნავდა, რომ ეს სისტემატური, მასობრივი მუშათა მოძრაობა უკვე კლასობრივი ბრძოლის ჩანასახს წარმოადგენდა. მაგრამ მუშებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ შეგნება მათი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობისა არსებულ წყობილებასთან და ამიტომ თავის-

---

[1] მლისფპა, ფ. 34, საქ. 175.
[2] ს. ა ლ ი ლ უ ე ვ ი , განვლილი გზა, 1956, გვ. 54.
[3] მლისფპა, ფ. 33, საქ. 23.
[4] იქვე, საქ. 215.

თავად აღებული იმდროინდელი მუშათა ეს გაფიცვები არა სოციალ-დემოკრატიულ, არამედ ტრედუნიონისტულ ბრძოლას წარმოადგენდნენ[1].

იგივე ითქმის 90-იანი წლების გაფიცვების შესახებ საქართველოში. ი. სტალინი 1897—1898 წლების გაფიცვებს თამბაქოს ფაბრიკებსა და რკინიგზის სახელოსნოებში სტიქიურ მოძრაობად თვლიდა[2].

გაზ. „ბრძოლამ" საქართველოს მუშათა მოძრაობის განხილვას სპეციალური სტატია უძღვნა სათაურით: „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წწ."[3]. „ბრძოლამ" საქართველოს მუშათა მოძრაობა სწორედ 1899—1901 წლებით შემოფარგლა იმიტომ, რომ იგი ამ წლებს უკავშირებს ჩვენში შეგნებული და ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიული ბრძოლის დაწყებას.

ლენინის თქმით, მუშათა მასობრივი მოძრაობის განვითარება რუსეთში სოციალ-დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით სამი შესანიშნავი ვადასვლით ხასიათდება. იგივე უნდა ითქვას საქართველოს მუშათა მოძრაობის შესახებაც. პ ი რ ვ ე ლ ი, გადასვლა პროპაგანდისტული წრეებიდან ფართო ეკონომიურ აგიტაციაზე მასაში. ამას ჩვენში ადგილი ჰქონდა 1896—1898 წლებში. მ ე ო რ ე, გადასვლა დიდი მასშტაბის პოლიტიკურ აგიტაციაზე და აშკარა დემონსტრაციებზე ქუჩებში. ეს გადასვლა ჩვენში 1899 წელს დაიწყო და გაგრძელდა 1904 წლამდე. მ ე ს ა მ ე, გადასვლა უშუალოდ რევოლუციურ ბრძოლაზე, ხალხის შეიარაღებულ აჯანყებაზე. ეს უკვე 1905 წლის რევოლუციის პერიოდია. „თვითეული ეს გადასვლა მზადღებოდა, ერთი მხრივ, სოციალისტური აზრის უმთავრესად ერთი მიმართულებით მუშაობით, ხოლო, მეორე მხრივ, ღრმა ცვლილებებით მუშათა კლასის ცხოვრების პირობებში და მთელ მის ფსიქიკურ წყობაში, უფრო შეგნებული და აქტიური ბრძოლისათვის მისი ახალი და ახალი ფენების გაღვიძებით"[4].

90-იანი წლების დამლევი და 900-იანი წლების დამდეგი საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში აღინიშნება ცარიზმის წინააღმდეგ მძლავრი და განუხრელი მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის დაწყებით. ამ დროიდან ხდება ის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომლებიც აშკარა რევოლუციური ბრძოლის დაწყების მაუწყებელნი იყვნენ.

1898 წლის დეკემბერში მოეწყო თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა პირველი დიდი გაფიცვა. გაფიცვა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეკონომიურ ნიადაგზე მოხდა, რაც გამოიწვია იმან, რომ მთავრობის განკარგულებით ისპობოდა ის შეღავათები, რომლებითაც მუშები

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 468.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 14.
[3] „ბრძოლა", 1901, № 2—3.
[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 239.

სარგებლობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის კერძო საზოგაღოების ხელში ყოფნის დროიდან.

1898 წლის 14 დეკემბერს დილის 11 საათზე მუშებმა მიატოვეს მუშაობა. გაფიცულთა ნაწილმა, რამდენიმე ასეულმა კაცმა, სადგურთან დაიკავა რკინიგზა და შეაჩერა მოძრაობა. ჯარის ნაწილებმა მოძრაობის აღდგენა მხოლოდ საღამოს 5 საათზე მოახერხეს. ჯარმა ალყა შემოარტყა დეპოსა და მთავარ სახელოსნოებს. იგი იცავდა აგრეთვე სადგურსა და მასთან მისასვლელ გზებს. შტრეიკბრეხერთა დასაცავად ყველა საამქროში ჩაყენებულ იქნა ათ-ათი ჯარისკაცი. ცხენოსანი ჯარის ნაწილები და პოლიცია სახლამდე აცილებდა შტრეიკბრეხერებს. მიუხედავად ასეთი ძლიერი დაცვისა, გაფიცულმა მუშებმა არა ერთ და ორ შტრეიკბრეხერს სცემეს და აიძულეს მუშაობაზე უარი ეთქვათ. მეფის ადმინისტრაციამ მიმართა გაფიცული მუშების მასობრივ დაპატიმრებას, ჯართან შეტაკების დროს მრავალი მუშა დაიჭრა და დასახიჩრდა. გზათა მინისტრმა გაფიცვის მიზეზთა გამოსარკვევად თბილისს კომისია მოავლინა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. იგი მუშებს შეპირდა საქმის გამორკვევამდე ძველი წესების დატოვებას. 21 დეკემბერს გაფიცვა შეწყდა, მუშები მუშაობას შეუდგნენ[1].

თბილისის მუშების გაფიცვამ გამოძახილი პოვა სადგ. ხაშურის მუშებში. თბილისიდან ხაშურს ჩასულმა მუშებმა მოუწოდეს რკინიგზის მუშებს მხარი დაეჭირათ თბილისელთა გაფიცვისათვის. ხაშურელმა მუშებმა მუშაობა შეაჩერეს, მაგრამ ადმინისტრაციამ შეძლო მათი დაშოშმინება და ისინიც მუშაობას შეუდგნენ[2].

თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების 1898 წლის დეკემბრის გაფიცვა წინა წლების გაფიცვებისაგან განსხვავდებოდა თავისი ორგანიზებულობითა და შეგნებულობით, რაც სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს. პეტერბურგიდან ჩამოსული კომისია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გაფიცულნი ერთიანი გეგმით ისე ერთსულოვნად მოქმედებდნენ, რომ, უნდა ვიფიქროთ, „გაფიცვას გარეშე ძალა ხელმძღვანელობდაო“[3].

მაგრამ თბილისის მუშების ეს გამოსვლა მაინც სტიქიური მოძრაობის გამოხატულება იყო, უკეთ. რომ ვთქვათ, იგი მიჯნაა, რომელიც ამთავრებს საქართველოს მუშათა კლასის ავანგარდის — თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების — სტიქიურ მოძრაობას და კარებს უღებს მის შეგნებულ პოლიტიკურ ბრძოლას. მთავარი სახელოსნოების მუშათა ამ პირველმა დიდმა გაფიცვამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ კავკასიის

---

[1] მლისფპა, ფ. 31, საქ. 110.
[2] ი ქ ვ ე, საქ. 110.
[3] ი ქ ვ ე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოდის ახალი, მძლავრი რევოლუციური ძალა — მუშათა კლასი.

1899 წლის 19 აპრილს თბილისში, ქალაქგარეთ, მოეწყო მაისობა. ეს იყო პირველი მაისობა საქართველოში. მას დაესწრო სამოცდაათამდე მუშა. მაისობაზე შეკრებილმა მუშებმა შეფიცეს ერთმანეთს: შევერთდეთ, შემოვიკრიბოთ ყველა ჩვენი მოძმე და საერთო მტერს — მეფის თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიას — მედგრად შევუტიოთო. ამ მაისობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროიდან ჩვენში დასაბამი მიეცა მასობრივ აგიტაციას. მუშათა მოძრაობამ შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი მიიღო და აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადავიდა. „ბრძოლა“ წერდა: „1899 წლის 19 აპრილს ერთბაშად, ერთი დაკვრით, დაირღვა ის საზარელი მყუდროება, რომელიც ხალხს ძილს გვრიდა მთელ კავკასიაში... თუმცა ყრუთ, მაგრამ საკმაოთ მედგრად გაისმა ხმები: „კავკასიის მუშებო შეერთდით: გაუმარჯოს თავისუფლებას, 8 საათის სამუშაო დღეს“ და სხვ... მაისობას დაესწრნენ ყველა ეროვნების და სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებათა მუშები (უმთავრესად რკინიგზის დეპო-სახელოსნოდან, სადაც ყველაზე ადრე გაჩნდა მოძრაობა) და აგრეთვე რამდენიმე ინტელიგენტი. დღეობა მოხდა ქალაქ გარეთ ერთ მაღლობზე. მარტო იმ გარემოებამ, რომ ამდენ შეგნებულ მუშებს ერთად მოუყარა თავი საკუთარი რევოლუციური დროშის ქვეშ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე, ხოლო ეს შთაბეჭდილება ერთი ათად გაძლიერდა იმის შემდეგ, როცა ინტელიგენტებმა და შემდეგ თვით მუშებმაც აღფრთოვანებული სიტყვები წარმოთქვეს. აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დღესასწაულიდან მუშები დაბრუნდნენ ერთი ათად გატაცებულნი თავიანთი დიადი საქმით. ერთი ათად გამსჭვალულნი რევოლუციური მისწრაფებით. ეს მისწრაფება ვეღარ ეტეოდა მათში. მან ფართოდ გადმოხეთქა და მოედვა მრავალ სხვა მუშებსაც, რომლებსაც ისინი უამბობდნენ თავიანთი დღეობის ამბავს, უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებას და გატაცებით აცნობდნენ თავიანთ აზრებს და მიზნებს. ამგვარად მიეცა ჩვენში დასაბამი აგიტაციას, ამგვარად ის ტაქტიკა, რომელიც აქამდე მხოლოდ პროპაგანდაზე იყო დამყარებული, აგიტაციის გზას დაადგა“ [1].

ეს ვრცელი ამონაწერი შესანიშნავად განმარტავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ამ მაისობას აქვს საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

თბილისელმა სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს მაისობისადმი მიძღვნილი პროკლამაციის გამოცემა. ეს იყო პირველი ნაბეჭდი სოციალ-დემოკრატიული პროკლამაცია საქართველოში. პროკლამაციაში „პირველი მაისობა“ ნათქვამია: „თვითეული ქვეყნის სოციალ-დემოკრატია ღებუ-

---

1 „ბრძოლა“, 1901, № 2—3, გვ. 8.

ლობს ყოველივე ღონეს პირველ მაისს მოხდეს მუშაობის შეჩერება და ეს დღე შეიქნეს დღეთ საერთო კლასიური მანიფესტაციისა და ამ კლასის მისწრაფების საჯაროდ გამოცხადებისა, იმ მისწრაფების, რომ არსებულ წყობილებას ბოლო მოეღოს სოციალური რევოლუციით, გააუქმოს კლასთა სხვადასხვაობა ერთსა და იმავე ერში და სხვადასხვა ერთა შორის დამყარდეს მშვიდობიანობა". პროკლამაცია მიუთითებს, რომ პირველ მაისს „ბრძოლის ველზეა გამოსული მთელი ქვეყნის პროლეტარიატი", და მოუწოდებს ქართველ მუშებს ჩაებან ამ საერთო ფერხულში და ამ გზით გაემართონ აღთქმული ქვეყნისაკენ[1].

თბილისის მუშების ამ პირველმაისობის შემდეგ ყველაზე საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა თბილისის ცხენის რკინიგზის („კონკის") მუშა-მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც 1900 წლის პირველ იანვარს მოეწყო. გაფიცულებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. 150-მდე მუშა დააპატიმრეს. ადმინისტრაცია იძულებული გახდა მუშათა მოთხოვნები თითქმის სავსებით დაეკმაყოფილებინა. გაფიცვაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ლ. კეცხოველი და რ. კალაძე.

1900 წლის 19 აპრილს ქალაქგარეთ ისევ მოეწყო მაისობა, რომელსაც 500-მდე მუშა დაესწრო. მარქსისა და ენგელსის სურათებით შემკული წითელი დროშის ქვეშ თავმოყრილმა მუშებმა კიდევ უფრო მტკიცედ შეფიცეს ერთმანეთს, რომ კლასობრივ მტრებთან საერთო ძალით იბრძოლებდნენ. აი როგორ აგვიწერს ამ მაისობას მისი მონაწილე ს. ალილუევი: „დროშა, მარქსისა და ენგელსის პორტრეტებითა და მოწოდების ლოზუნგებით, აფრიალდა. იფეთქა „მარსელიოზამ", რომელსაც შორს მთები გამოეხმაურა.

ერთიმეორეს ცვლიან ორატორები. ესენი იყვნენ რევოლუციონერი ინტელიგენტები, მუშები — ქარხნების წარმომადგენლები, რკინიგზელები: სოსო ჯუღაშვილი, ვანო სტურუა, ზაქარია ჩოდრიშვილი, მიხო ბოჭორიძე... თბილისის მუშების მრავალრიცხოვანმა შეკრებულობამ პირველად მოისმინა ასე გაბედულად ნასროლი სიტყვები. ყოველ მხრიდან ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს პირველ მაისს! ძირს თვითმპყრობელობა!"... მუშები მაისობიდან დაბრუნდნენ ბედნიერნი, ბრძოლის სურვილითა და გამარჯვების რწმენით ღრმად გამსჭვალულნი"[2].

900-იანი წლების რევოლუციურ ამბავთა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია თბილისის რკინიგზისა და დეპოს მუშათა გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც 1900 წლის აგვისტოში მოეწყო. მთელი ივლისი გაფიცვის მოლოდინში გავიდა. მუშები ღელავდნენ. მდგომარეობა დაძაბული იყო. ყველა გრძნობდა, რომ მუშები საყოველთაო გაფიცვებისათვის ემზადებოდნენ. 31 ივლისს ღამით გაფიცვის თავიდან

---

[1] მლისფპა, ფ. 33, საქ. 21.

[2] ს. ა ლ ი ლ უ ე ვ ი , განვლილი გზა, 1956, გვ. 34.

აცილების მიზნით, დააპატიმრეს 68 მოწინავე მუშა. ამავე დროს სახელოსნოებში გამოაკრეს განცხადება, რომელშიც წესების დამრღვევ მუშებს ხელფასის დაკლებითა და დათხოვნით ემუქრებოდნენ. მუშების მოთმინების ფიალა აივსო. 1900 წლის პირველ აგვისტოს მთავარი სახელოსნოების ყველა საამქროსა და დეპოში მუშაობა შეწყდა. გაიფიცა 4 ათასამდე მუშა. გაფიცვის მიზეზი მუშებს არ განუცხადებიათ, მათ არავითარი მოთხოვნა არ წაუყენებიათ. მხოლოდ შემდეგ, გაფიცვის მსვლელობაში, მუშებმა მოითხოვეს სამუშაო დღის 8 საათამდე შემცირება, ხელფასის მომატება, შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

გაფიცვას უშუალოდ საგაფიცვო კომიტეტი ხელმძღვანელობდა, საერთო ხელმძღვანელობას კი თბილისის კომიტეტი ახორციელებდა. გაფიცვის მომზადებასა და ჩატარებაში თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ მუშებიდან: მ. ჩოდრიშვილი, მ. კალინინი, ვ. სტურუა, ს. ალილუევი, გ. ჩხეიძე, ა. ოქუაშვილი და სხვ., ინტელიგენტებიდან: ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ა. ჯაფარიძე, ს. ჯიბლაძე და სხვ. გაფიცვამ ფართო გამოხატულება და დიდი მორალური მხარდაჭერა პოვა რუსეთის პროლეტარიატის მხრივ. გაფიცვის დროს გამოცემული ერთ-ერთი პროკლამაცია მუშებს სიხარულით ატყობინებდა, რომ ჩვენ მარტო არა ვართ, მივიღეთ დეპეშა ჩვენი ამხანაგი რუსი მუშებისაგან. ამ სოლიდარობის გამოცხადებამ გაამხნევა და სიმტკიცე შემატა გაფიცულ მუშებს.

მოწინავე, ოპოზიციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია თანაგრძნობით ადევნებდა თვალს აგვისტოს გაფიცვას და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მას. ექიმი ხუდადოვი, რომელიც მაშინ რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა, სამედიცინო დახმარებას უწევდა გაფიცვის დროს დაშავებულ მუშებს. მან აგრეთვე საგაფიცვო კომიტეტის წევრს ვ. სტურუას 300 მანეთი გადასცა გაფიცულთა ფონდისათვის, საიდანაც დახმარებას აძლევდნენ განსაკუთრებით ხელმოკლე მუშებსა და დაპატიმრებულთა ოჯახებს.

მუშათა ხელმძღვანელმა კომიტეტმა გაფიცვასთან დაკავშირებით გამოსცა მრავალი სააგიტაციო ფურცელი-პროკლამაცია, რომლებიც გაფიცულ მუშებს განუმარტავდნენ, თუ როგორ უნდა ებძოლათ, ასწავლიდა მათ ეკონომიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის პოლიტიკურ ბრძოლასთან დაკავშირებას, უხსნიდა მუშათა კლასის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებს. ეს პროკლამაციები, რომლებიც მგზნებარე მოწოდებებს წარმოადგენდნენ, ამაღლებდნენ მუშების სულისკვეთებას და რაზმავდნენ მათ ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლისათვის. ერთ-ერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ კანონის შესრულებას მოვითხოვთ, — მაშასადამე, მთავრობა კანონებს სცემს, რათა მოგვატყუოს, თვალი აგვიხვიოს. ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ მოვითხოვთ მა-

თხოვრული ხელფასის გადიდებას, — მაშასადამე, მთავრობას უნდა, ნახევრად მშიერი, მხეცური ცხოვრება გვქონდეს. ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ მოვითხოვთ, რათა მოგვეპყრონ, როგორც ადამიანებს, — მაშასადამე, მთავრობა ისე გვიყურებს, როგორც პირუტყვთ, რომელთაც წიხლის კვრის ნებაც არა აქვთ.

დავიხსომოთ ეს ძმებო! როცა დადგება მთავრობასთან ანგარიშის გასწორების დღე, — ეს დღე კი ახლოს არის, — ჩვენ პასუხს მოვთხოვთ ამისათვის.

ახლა, ძმებო, ერთსულოვნად ვიდგეთ ჩვენს მოთხოვნებზე და ვუჩვენოთ ჩვენს სისხლისმსმელებს და მთავრობის მაჩანჩალებს, რომ მათ საქმე აქვთ არა უბადრუკ მონებთან და პირუტყვებთან, არამედ ადამიანებთან, რომელთაც უნარი შესწევთ მ ო ი თ ხ ო ვ ო ნ, უნარი შესწევთ ი ბ რ ძ ო ლ ო ნ, და თუ საჭირო იქნება, ეწამონ კიდეც წმინდა საქმისათვის“ [1].

პროკლამაციების გამოცემა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მას წარმატებით სძლევდნენ. აი პროკლამაციების გამოცემის ერთი საინტერესო შემთხვევა. გაფიცვის ერთ-ერთი მონაწილე მოგვითხრობს, რომ საბეჭდი დაზგის უქონლობის გამო ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურეთა მომხმარებელი საზოგადოებიდან გამოტანილ მიმეოგრაფზე მას, ა. ჯაფარიძესა და ი. სტალინთან ერთად, დაუბეჭდავს სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები[2].

თბილისის კომიტეტი პროკლამაციებს უმთავრესად ბეჭდავდა პატარა არალეგალურ სტამბაში, რომელიც კრასნოგორსკის ქუჩაზე იყო მოწყობილი. იქ მუშაობდა ლასა მგელაძე. მას ეხმარებოდნენ ბ. ბიბინეიშვილი, ნ. კალაძე, ერ. ჩანტლაძე, ხოლო ფურცლებს ს. ჯიბლაძე ადგენდა. პროკლამაციებს წერდნენ ი. სტალინი, ა. ჯაფარიძე და სხვები.

მუშათა ხელმძღვანელმა კომიტეტმა უზრუნველყო გაფიცვის კარგი ორგანიზაცია და მისცა მას აშკარა პოლიტიკური ხასიათი. გაფიცვა არსებითად მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ. თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო თავის მოხსენებით ბარათში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გაფიცვა პოლიტიკური ხასიათისა იყო და რომ „ამიერკავკასიის რკინიგზების დეპოსა და მთავარ სახელოსნოებში გაფიცვას მთლიანად სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა“[3].

გაფიცული მუშების წინააღმდეგ მიღებულ იქნა მკაცრი ზომები. მათ წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყვანა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, რომელიც დაუნდობლად სცემდა გაფიცულ მუშებს შოლტსა და თოფის კონდახს. 800-ზე მეტი მუშა დააპატიმრეს. აქედან ადმინისტრაციული წესით თბილისიდან ეტაპით გადაასახლეს 300-ზე მეტი მუშა, 164 სამართალში

[1] მლისფპა, ფ. 33, საქ. 23.

[2] „ზარია ვოსტოკა“, 1926, 13 იანვარი.

[3] მლისფპა, ფ. 31, საქ. 162, გვ. 17.

მისცეს. სახელოსნოებიდან დაითხოვეს ათასამდე მუშა. 16 აგვისტოს გაფიცვა შეწყდა. იგი დამარცხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი როლი შეასრულა მუშების რევოლუციური აღზრდის საქმეში.

თბილისის მუშათა ხელმძღვანელი კომიტეტი აგვისტოს გაფიცვის შედეგების შესახებ წერდა: „მართალია, ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა მწვავე იყო, ჩვენი უკანასკნელი შეტაკება მტერთან სასტიკი შეტაკება იყო. მართალია, ეს ბრძოლა არ დაბოლოებულა ჩვენდა სასარგებლოდ, მან გამარჯვების ნაცვლად, რაღა დავმალოთ, დამარცხება მოგვიტანა, მარა ეს რა თავის გასამართლებელი საბუთია: ვისაც მგლის ეშინია, ის ტყეშიც არ უნდა დადიოდესო, ამბობს რუსული ანდაზა. ვისაც დამარცხების ეშინია, მას ბრძოლისაც უნდა ეშინოდეს — ამ ერთადერთი გამათავისუფლებელი საშუალებისა!

დიახ, ბრძოლაში და მხოლოდ ბრძოლაშია შველა ამხანაგებო!.. ჩვენი მორიგება შეუძლებელია, ბრძოლა აუცილებელია. მაშ მოვემზადოთ, ამხანაგებო, ამ ბრძოლისათვის მეტის მხნეობით, მეტის შეგნებით, მეტის ერთობით“ [1].

თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა აგვისტოს გაფიცვის ისტორიული მნიშვნელობა ისაა, რომ ეს იყო პირველი პოლიტიკური ხასიათის გაფიცვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. გაფიცვამ ერთმანეთს დაუპირისპირა მუშები და მეფის მთავრობა და ნათლად დაანახა საქართველოს მუშათა კლასს, რომ სანამ იგი არ დაამხობს მეფის მთავრობას, მანამდე შეუძლებელია ალაგმო ბურჟუაზია და თავი დააღწიო ღატაკურ ცხოვრებას და უუფლებობას.

„ბრძოლამ“ აგვისტოს გაფიცვის მნიშვნელობა ასე შეაფასა: „აი ამ წუთიდან მუშათა მოძრაობა ჩვენში მტკიცედ ადგება პოლიტიკური ბრძოლის გზას... ჩვენი მუშები და მთავრობა პირისპირ დაუდგნენ ერთმანეთს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაკნენ, რაღა თქმა უნდა, პირველ შეტაკებაშივე სრული გამარჯვება ძალიან ძნელი იყო მუშათათვის და ადრე თუ გვიან იძულებული უნდა გამხდარიყვნენ იარაღი დაეყარათ. ეს კიდეც ასე მოხდა: მუშებმა მართლაც დაყარეს იარაღი, თითქოს დამარცხდნენ... მაგრამ ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატება თავისი მნიშვნელობით და შედეგებით, ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის.. ყოველ შემთხვევაში ეს დამარცხება მომასწავებელი იყო გამარჯვების მოახლოებისა... დ ა მ ა რ ც ხ დ ნ ე ნ რ ა მ უ შ ე ბ ი გ უ შ ი ნ, ა მ ი თ მ ა თ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ ო ა მ ზ ა დ ე ს დ ღ ე ი ს ა თ ვ ი ს“[2].

1900 წელს გაფიცვების ტალღა, გარდა რკინიგზის სახელოსნოებისა

---

[1] მლისფპა, ფ. 33, საქ. 23.

[2] „ბრძოლა“, 1901, № 2—3.

და დეპოსი, მოედო თბილისის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებს (ადელხანოვის ტყავის ქარხანა, საფაროვის ფეხსაცმლის სახელოსნო, იარალოვის მექანიკური ქარხანა, ენფინჯიანცის და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები და სხვ.). თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა ამ გაფიცვების ორგანიზებულ ხასიათს და მიუთითებდა, რომ „თბილისში სოციალ-დემოკრატიული საქმიანობის გაჩაღებამდე თუმცა გაფიცვები ხდებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დამოუკიდებელი ერთეული შემთხვევები ამა თუ იმ ქარხანაში“. მიმდინარე 1900 წელს კი, დასძენდა ჟანდარმთა სამმართველო, გაფიცვები ერთსა და იმავე დროს ხდებოდა მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში, რაც „სავსებით განსაზღვრავს მუშათა მღელვარების წყაროს“[1].

საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში აგვისტოს გაფიცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან თბილისში რევოლუციურმა მოძრაობამ ფართო და ღრმა ხასიათი მიიღო. თუ რა დიდი გაქანება ჰქონდა ჩვენში მუშათა რევოლუციურ მოძრაობას ცხრაასიან წლებში, ნათლად ჩანს პეტერბურგის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ამ დროს თბილისის მუშათა მოძრაობის აქტიური მონაწილის, მ. კალინინის მოგონებიდან: „მე პირადად დამრჩა შთაბეჭდილება, — ამბობდა მ. კალინინი, — რომ საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხთა რევოლუციური მოქმედება გარეგნულად ყოველთვის გამოიხატებოდა უფრო მკვეთრ ფორმებში, ვიდრე რუსეთის სხვა ადგილებში“[2].

---

[1] მლისფპა, ფ. 31, საქ. 126, გვ. 18.

[2] „ბოლშევიკი“, 1940, № 5.

თავი მეჩვიდმეტე ქართული კულტურა XIX საუკუნეში

§ 1. ახალი ყოფა და ახალი კულტურა

ხალხის ყოფა-ცხოვრების განახლება. ეროვნულმა გაერთიანებამ და სოციალ-ეკონომიურმა წინსვლამ XIX საუკუნეში თანდათანობით შეცვალა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ტექნიკურ-მეურნეობრივი და კულტურულ-ეთნოგრაფიული სახე.

მანამდელი, ძველი ქართული საზოგადოება, ვაჭრობა-მრეწველობის ერთგვარი განვითარების მიუხედავად, მემამულისა და გლეხის ფეოდალურ ურთიერთობას ემყარებოდა.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოება ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საზოგადოება იყო; ფეოდალურ-გლეხურ საკუთრებით ურთიერთობებთან ერთად მისი ეკონომიური საფუძველი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული საკუთრებაც იყო.

ქართველი თავადაზნაურობა, თავისი მრავალრიცხოვნებისა და ისტორიულად მკვიდრი ტრადიციების მიუხედავად, თანდათან კარგავდა წონას ერის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხოლო ქართველი ბურჟუაზია მავრად ვერ იკიდებდა ფეხს რუსული, სომხური და ევროპული ბურჟუაზიის გვერდით.

ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ მაინც დიდი გავლენა მოახდინა ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე. მრავალრიცხოვანი და მოძრავი გახადა იგი, შეარყია მამაპაპური ზნე-ჩვეულება, მიაჩვია არაპრივილეგიური წარმოშობის ხალხის ნაწილი ისეთი საწარმოო იარაღის, ტანსაცმლის, ჭურჭლის და სამკაულის ხმარებას, რომელიც წინათ შეძლებულთათვისაც ძნელად იყო ხელმისაწვდომი. მესამე წოდების და მისი ზედაფენის — ბურჟუაზიის ახალი ყოფა-ცხოვრება სულ უფრო და უფრო მძლავრად იჩენდა თავს XIX საუკუნის საქართველოს ყველა კუთხეში, თუმცა განახლების ტენდენციებთან ერთად იგრძნობოდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიც, რომლებიც მხოლოდ ფეოდალური როდი იყო. მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ბოლომდე შერჩა სა-

ოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საღი ხალხური ზნეჩვეულებანი: ურთიერთდახმარება, სტუმართმოყვარეობა, ადამიანის პიროვნების პატივისცემა რელიგიური და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, მშობლიური ენისა და მიწა-წყლის სიყვარული, რაინდული თავდადება, სიბრძნისმოყვარეობა, ფიცხი, მაგრამ რბილი ხასიათი. XIX საუკუნეში ამ უძველესი ტრადიციების განახლების წყალობით ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის ცხოვრების ახალი ყოფა, რომელიც ასაზრდოებდა არა მარტო ხალხურ შემოქმედებას, არამედ ინტელიგენციის მიერ შექმნილ პროფესიულ კულტურასაც.

ახალი ქართული კულტურის დამკვიდრება. ძველი ქართული კულტურის განახლების ხანგრძლივი პროცესი XIX საუკუნეში ახალი ქართული კულტურის შექმნით და საბოლოო დამკვიდრებით დაგვირგვინდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს გაერთიანებამ, მისი მატერიალური ცხოვრების აღორძინებამ, დაწინაურებულ ხალხებთან ურთიერთობის გაძლიერებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით ბურჟუაზიული ქართული კულტურის განვითარებისათვის. დიდი აღმავლობა განიცადა ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, დაარსდა ჟურნალ-გაზეთები, შეიქმნა ახალი სკოლები და თეატრი, აღორძინდა მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სახვით ხელოვნებას, ხუროთმოძღვრებას და პროფესიულ მუსიკას.

გარდა იმისა, რომ ახალი ქართული კულტურა შეიცავდა ზოგ ისეთ დარგს (პრესა, თეატრი, ქანდაკება), რომელიც ძველად სუსტად იყო განვითარებული ან სულ არ არსებულა, საერთოდაც ახალი კულტურა დიდად განსხვავდებოდა ძველისაგან. ძველი ქართული კულტურა ასახავდა ნაკლებად ცვალებად, საუკუნეობრივ ტრადიციებზე დამყარებულ ფეოდალურ საზოგადოებას, რომლის წიაღში ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია ვერ შეიქმნა. ფეოდალიზმის ხანის ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა გლეხის ოჯახში, ამქრის სახელოსნოში, მონასტრის სენაკში, მეფის სასახლეში იქმნებოდა. მის მთავარ თემებს სიყვარული, რაინდობა და ქრისტიანული რელიგიის განცდა შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ძველმა ქართულმა კულტურამ მსოფლიოს მისცა ისეთი მონუმენტური და ჰუმანისტური ძეგლი, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“.

ახალი ქართული კულტურა ნაკლებ მონუმენტური, მაგრამ უფრო რეალისტური, ჰუმანისტური და დემოკრატიულია, უფრო მღელვარე, მოძრავ საზოგადოებას ასახავს, საზოგადოების ყველა ფენას სწვდება. მის შემოქმედთა მოღვაწეობა მწერლის კაბინეტში, ჟურნალ-გაზეთის რედაქციაში, თეატრში ან სკოლაში მიმდინარეობს. ახალი კულტურის მთავარი თემაა ჩვეულებრივი ადამიანის სულიერი განცდების, საზოგადოებრივი ყოფა-

ცხოვრების, ბუნების ჩვენება. მისი დანიშნულებაა არა განყენებული ესთეტიკური ტკბობა, არამედ პიროვნების აღზრდა, მისი განვითარება, ოჯახის, საზოგადოების და თვით ბუნების გარდაქმნა ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეალების შესაბამისად.

ახალი ქართული კულტურის პროგრესული იდეურ-კლასობრივი შინაარსი ობიექტურად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ მის გამოჩენილ მოღვაწეთა იდეალები ხშირად მაღლდებოდა მათი ეპოქისა და სოციალური წრის ინტერესებზე, ისინი უანგაროდ იბრძოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად[1].

§ 2. მოსახლეობის მატერიალური ყოფა

მოსახლეობა. საქართველოს აწინდელ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 69 ათას კვ კილომეტრს, მოსახლეობა კი 5 მილიონ კაცს უახლოვდება, 1800 წელს მხოლოდ 675 000, 1865 წელს 1 327 000, ხოლო 1897 წელს 1 929 049 კაცი ცხოვრობდა. ამრიგად, XIX საუკუნის მანძილზე მთლიანად საქართველოს და საკუთრივ ქართველი მოსახლეობის რიცხვი ერთი სამად გაიზარდა. მოსახლეობის გამრავლება უმთავრესად ბუნებრივი ზრდის გზით მოხდა, მაგრამ დიდ როლს ასრულებდა მიგრაციით გამოწვეული მექანიკური ზრდაც. ამასთან, ქართველთა გამრავლების შედარებით დაბალი ტემპი იწვევდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილის შემცირებას. თუ 1800 წელს არაქართველი მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გადიდდა. იმავე წლებში ქართველი მოსახლეობა შესაბამისად 610 000 და 1 312 000 კაცს უდრიდა, მაგრამ ორჯერ გადიდების მიუხედავად, მთელი მოსახლეობის 89%-დან 1800 წელს 60%-მდე შემცირდა 1897 წელს[2]. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეში: არაქართველი მოსახლეობით საქართველოს ტერიტორიის კოლონიზაციის გამო, რაც ადრეც მიმდინარეობდა, მაგრამ XIX საუკუნეში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართველთაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით დიდად განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. ეროვნულად კიდევ უფრო

---

[1] ‡ გ. ქ ი ქ ო ძ ე, თხზ., ტ. III, 1965, გვ. 164—169.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე („მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", 12—13, 1963, გვ. 74).

აჭრელდა ქალაქები, სადაც აღებ-მიცემობას უმთავრესად არაქართველნი მისდევდნენ. ერთნაირი არ იყო საქართველოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე მცხოვრებ აფხაზთა და ოსთა და თვით ქართული მოსახლეობის სხვადასხვა ტომთა (მეგრელები, სვანები) და თემთა (ქართლელნი, კახელნი, თუშნი, ფშაველნი, ხევსურნი, მოხევენი, მთიულნი, მესხნი, ჯავახელნი, ინგილონი, იმერელნი, გურულნი, აჭარელნი, რაჭველნი, ლეჩხუმელნი)[1], ბარისა და მთის, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა ყოფა და კულტურაც, იმის მიუხედავად რომ ახალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული ვითარება სულ უფრო და უფრო ანიველირებდა ტრადიციულ ჩვევათა სხვადასხვაობას და უმორჩილებდა საერთო-ეროვნული კონსოლიდაციის გაძლიერებულ პროცესს.

სოფლის მეურნეობა. საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება იმთავითვე ქმნიდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარების შესაძლებლობას. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები იყო მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მრეწველობისა — სამეურნეო იარაღების, ჩაცმულობის და საკვები პროდუქტების წარმოება. XIX საუკუნის დამდეგამდე ქართველი ხალხი საკუთარი სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო წარმოებით არა მარტო საშინაო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა, არამედ ზოგი ნაწარმი მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდა. XIX საუკუნის დამდეგისათვის დიდად დაქვეითდა ქვეყნის მწარმოებლური ძალები, დაეცა სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა. მაგრამ საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ ფეხზე დადგა საქართველოს მეურნეობა, მეორე ნახევარში კი იმდენად მომაგრდა, რომ კაპიტალის მსოფლიო ბრუნვაში აღმოჩნდა ჩათრეული. აღორძინდა და განვითარდა მეურნეობის ტრადიციული დარგები, შეიქმნა ახალი დარგები, გაძლიერდა ვაჭრობა, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე მრეწველობას და მაინც მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველო, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, წარმოადგენდა სუსტად განვითარებულ აგრარულ ქვეყანას, რომელსაც ბორკავდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის დრომოჭმული ფორმები.

ქართველი ხალხის ძირითად საქმიანობას XIX საუკუნეშიც მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. მრავალფეროვანი იყო შრომის იარაღებიც, რომელთა სიმრავლით მაშინდელი საქართველო ცოცხალ მუზეუმს მოგვაგონებდა[2].

მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო შრომის მარტივი

---

[1] Народы Кавказа, II, под ред. Б. Гарданова, Г. Читая и др., 1962, გვ. 212.
[2] იხ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე , ქართველი ხალხის ყოფა XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 8.

კოოპერაციის, მწარმოებელთა ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმა, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულად ითვლებოდა მოდგამი. მასში სეზონურად ერთიანდებოდა რამდენიმე ოჯახის მუშახელი, პირუტყვი ან ინვენტარი. ურთიერთდახმარების გვიანდელი ფორმები ძლიერ მიწათმოქმედთა მიერ სუსტთა ექსპლოატაციის ფარულ თუ აშკარა დაღს ატარებდა[1]. შესრულებული სამუშაოს 25—40%-ს ეპატრონებოდა გუთნისდედა, რომელიც ოთხი მეხრისა და რვა უღელი ხარ-კამეჩის გამაერთიანებელ გუთნეულში მთავარი იარაღის — გუთნის და შესაბმელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელი იყო[2].

მიწათმოქმედების ტრადიციულ იარაღებს საქართველოში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მთელი XIX საუკუნის მანძილზე, თუმცა 50-იანი წლებიდან იწყება ევროპულ-ამერიკული მანქანა-იარაღების შემოტანაც. XX საუკუნის პირველ ათეულ წლებშიც საქართველოს სოფლის მეურნეობაში ქართული გუთანი და ნამგალი, იმერული ჩიხრიხი და კევრი ბატონობდა.

XIX საუკუნეშიც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი ედო საფუძვლად ქართულ მევენახეობა-მეღვინეობას. ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ამ დარგშიც თვითმყოფადი და მაღალი კულტურა შექმნა. ტრადიციული ქართული მარანი, მისი საწნახელით, ქვევრებით და ორშიმოთი, ღვინის საწყობიდან და შინამრეწველური სახელოსნოდან კაპიტალისტურ ქარხნად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ ეს გარდაქმნა XIX საუკუნის საქართველოში ნელა, თანდათანობით ხორციელდებოდა. მოსახლეობის უმრავლესობისათვის მემინდვრეობა იყო საქმიანობისა და კეთილდღეობის მთავარი წყარო, მაგრამ თითქმის ყველგან მის აუცილებელ დამატებას მეცხოველეობა წარმოადგენდა, ზოგან კი მარტო მეცხოველეობას მისდევდნენ. მეცხოველეობის ტრადიციული ჩვევები თანდათანობით უთმობდა გზას ახალ ფორმებს. მაგალითად, მეცხოველეობაში კვდებოდა „დავარდნილთა წამოყენების“ პატრიარქალური ჩვეულება, მეცხვარეობაში ურთიერთღახმარებას თანდათანობით ცვლიდა ურთიერთბრძოლა გამდიდრებისათვის. სუსტებსა და ღარიბებზე ბატონობდნენ ძლიერი მეპატრონენი და ვაჭრები[3].

სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მორწყვას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თუმცა ირიგაცია

---

[1] ალ. რობაქიძე, მოდგამი, როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში („მიმომხილველი“, 1, 1949, გვ. 418—419).

[2] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. III, გვ. 21, 38, 40.

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის..., ტ. V, გვ. 597.

ადრიდანვე ვითარდებოდა მთის პროვინციებში. სარწყავი არხების მშენებლობა და პერიოდული შეკეთება მთელი ხალხის ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. სარწყავი წყლის განაწილება მერუეებს ჰქონდათ მინდობილი. ადრე მერუეთა ინსტიტუტი არჩევითი ყოფილა, XIX საუკუნეში კი მერუენი ინიშნებოდნენ. ჩვეულებრივ რამდენიმე სოფლისაგან ან სოფლის ცალკე უბნებისაგან შემდგარ ჯგუფს ერთი საერთო არხი ჰქონდა. XIX საუკუნეში აშენდა რამდენიმე ახალი სარწყავი არხი (ოფშკვითში, დიდ ჯიხაიშში, ვარციხეში, ყარაიაში), მაგრამ მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობა სარწყავი წყლის დიდ ნაკლებობას განიცდიდა[1]. მოძველებული პრიმიტიული ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში მოსავლიანობა ურწყავ მიწათმოქმედებაში ატმოსფერულ ნალექებზე იყო დამოკიდებული. გვალვის წინაალმდეგ ბრძოლის რეალურ საშუალებებს მოკლებული ხალხი XIX საუკუნეშიც მიმართავდა „წვიმის გამოწვევის“ მაგიურ წესჩვეულებებს. ეკლესიაც ხშირად აწყობდა პარაკლისებს „წვიმის გამოსაწვევად“[2]. ეს გარემოებაც იმის თავისებური მაჩვენებელია, რომ სარწყავი წყალი ტრადიციულად მთელი საზოგადოების საზრუნავი საქმე იყო. მაგრამ ამ საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენასაც XIX საუკუნეში კერძო მესაკუთრის თვალით დაუწყეს ყურება. ძლიერი მემამულენი ეპატრონებოდნენ სათემოდ აღიარებულ სარწყავ რუებს. ისინი რეფორმის შემდეგაც კი ზოგჯერ თემს მთლიანად ართმევდნენ სარწყავი წყლით სარგებლობის საშუალებას, ბეგრავდნენ გლეხებს სარწყავი რუებით სარგებლობისათვის, გახშირდა წყლის რიგის გაყიდვის და მერუისათვის ქრთამის მიცემის შემთხვევები, გაძლიერდა სოფლებს შორის დავა, რაც ხშირად შეიარაღებულ შეტაკებადაც იქცეოდა ხოლმე. თემი ვეღარ უმკლავდებოდა წყლით სარგებლობაში მოძალებულ კერძო საკუთრებას. თემური ტრადიციების დამრღვევთა დასჯის ძველი საშუალებებიც (დარბევა, წყლის რიგის წართმევა, ჯარიმა) საქმეს არ შველოდა სოფლად კაპიტალისტური მეურნეობის აღმავლობის და სარწყავი წყლის ნაკლებობის ვითარებაში.

ხელოსნობა და მრეწველობა. საქართველოს სოფლის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობა XIX საუკუნეში მხოლოდ მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით არ შემოიფარგლებოდა. მათი უმრავლესობა სხვადასხვაგვარ ხელოსნობას, საოჯახო და შინამრეწველობასაც მისდევდა. მთელი XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის განმავლობაში „გლეხის ოჯახი საკუთარი მოხმარების მრეწველობის პროდუქტთა უმნიშვნელოვა-

---

[1] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე , სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 108, ქართველი ხალხის ყოფა მე-19 ს. მეორე ნახევარში.

[2] გ. ჩ ი ტ ა ი ა , ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში („საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 4, 1927).

ნეს ნაწილს მაინც თვითონვე, თავისი ძალებით აწარმოებდა"[1]. მეაბრეშუმე, მეგამბე, მეფუტკრე, მევენახე და მესაქონლე გლეხები შესაბამისად ქსოვილების, წინდების, ღვინის, თაფლის, ყველის და რძის სხვა პროდუქტთა მწარმოებლებიც იყვნენ. განსაკუთრებით მთის რაიონებში საუკუნის დამლევამდე საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობა ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული და „ყოველსავე ტანსაცმელს კაცისას თუ ქალისას" ქალები ამზადებდნენ. ბარის მცხოვრებთა საქმიანობიდან საოჯახო და შინამრეწველობის ტრადიციული დარგები უფრო სწრაფად იდევნებოდა, მაგრამ საუკუნის დამდეგს მთელ საქართველოში „ყოველ სოფელს თავისი ფეიქარი ჰყავდა, თავისი... ნაბდის მთელავი, თავისი შალის მქსოველი დედაკაცი"[2]. საუკუნის ბოლოსაც სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის უდიდესი უმრავლესობა შემოსილი იყო „შინაური შალით და აბრეშუმით".

ძველთაგანვე მაღალგანვითარებული ქართული ხელოსნობა XIX საუკუნის დამდეგიდან კიდევ უფრო ვითარდება. წარმოიქმნა ახალი ხელობანი, რომელთაგან ზოგი კოლონისტებმაც შემოიტანეს. დაარსდა სახელოსნო სასწავლებლები. გამრავლდა როგორც ბინადარ, ისე მოარულ ხელოსანთა რიცხვი. ყოველი შეგირდისათვის ოსტატის წოდების მინიჭების რიტუალი პატრიარქალურ ტრადიციას ემყარებოდა. ოსტატად კურთხევისას შეგირდი თავის ოსტატს საჩუქარს მიართმევდა, ოსტატი კი თავის შეგირდს სამუშაო იარაღებით ასაჩუქრებდა, დალოცავდა, სამჯერ სილას გაარტყამდა და მერე სხვებთან ერთად ეამბორებოდა. ბოლოს იწყებოდა ლხინი და ქალაქის ქუჩებში საზეიმო სვლა, რომელიც დილამდე გრძელდებოდა[3].

საუკუნის დამდეგიდანვე ამქართა ცხოვრებაში იჭრება ვაჭრულ-მევახშური კაპიტალი, რომელსაც 40—50-იან წლებში უკვე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა.

ხელოსნური შინამრეწველობის ბედი ეწია ოჯახურ მრეწველობასაც, რომელიც კიდევ უფრო მოძველებულ, პრიმიტიულ ტექნიკას ემყარებოდა. XX საუკუნის დამდეგისათვის გლეხთა ოჯახებში ნაკლებად მისდევდნენ ნედლეულის სამრეწველო გადამუშავებას, ნედლეულადვე ჰყიდდნენ მას ბაზარზე. სოფლად და ქალაქად წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარებისა და ბაზრის გაფართოების პროცესი დიდად გაძლიერდა უკვე

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. V, გვ. 346.

[2] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, 1941, გვ. 41—42.

[3] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა (თხზ. კრებული, ტ. III, გვ. 160—163). პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის..., ტ. V, გვ. 232.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე დროს თანდათანობით გზას იკაფავდა მსხვილი სამრეწველო წარმოება, სოფლად იქმნებოდა მსხვილი რაციონალური მემამულური და ბურჟუაზიული მეურნეობანი, ქალაქად — კაპიტალისტური ფაბრიკა-ქარხნები.

ქალაქი და სოფელი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რკინიგზების გაყვანის შემდეგ საქალაქო ცხოვრება კიდევ უფრო გაფართოვდა. თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ჭიათურა, ტყიბული, მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებად იქცნენ. ბათუმიდან და ფოთიდან რუსეთისა და მსოფლიო ბაზრებისაკენ დაიძრა საქართველოს და ამიერკავკასიის მარგანეცი, ნავთი, აბრეშუმი, სიმინდი, მატყლი და სხვა ნედლეული, რომლის სანაცვლოდ ადგილობრივი მოსახლეობა რუსულ და დასავლეთევროპულ სამრეწველო საქონელს ღებულობდა.

ქალაქური ცხოვრების განვითარება ტექნიკურ-ეკონომიური და კულტურული განახლების თანდათანობითი, მაგრამ შედარებით დაჩქარებულ ტემპით მიდიოდა, განსხვავებით სოფლის ყოფა-ცხოვრებისაგან, რომელიც თავს ვერ აღწევდა საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას. კაპიტალისტური ქალაქი ექსპლოატაციას უწევდა სოფელს. თბილისში წყალსადენს გაიყვანდნენ და ქალაქში სავაჭროდ ჩამოსულ სოფლელებს სატრანსპორტო ბაჟს დაადებდნენ. მტკვარზე ხიდს ააშენებდნენ და მისი ხარჯების ანაზღაურებასაც სოფლებიდან შემოსულ ტრანსპორტზე საბაჟო გადასახადის დაწესებით ცდილობდნენ[1]. ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის მათი ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის გაფართოების კვალობაზე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. ქალაქსა და სოფელს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და დასახლების ტიპის მიხედვითაც ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სახე ჰქონდათ. სოფლები უპირატესად ერთი ეროვნების მოსახლეობისაგან შედგებოდა, ქალაქებში სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ.

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი ეპოქის ქართული ქალაქის ნიშნებია ცენტრალური მოედანი ადმინისტრაციული შენობებით, კომუნალური მეურნეობა, სავაჭრო ბაზრები და საწარმოო-დაწესებულებანი, ხოლო დედაქალაქ თბილისში ამასთან ერთად გამოირჩეოდა ცალკეული საცხოვრებელი კვარტალები ბურჟუაზიის, თავადაზნაურობის, ხელოსნებისა და მუშებისათვის. ბურჟუაზიულ ქალაქს ჰქონდა გარეუბანიც, სადაც გლეხობა სოფლის მეურნეობას მისდევდა. ევროპიზაციის

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის..., ტ. II, გვ. 872—875.

დარბაზი. გლეხის სახლი.

გზაზე დამდგარი საქალაქო დასახლება კიდევ უფრო მეტად უპირისპირდებოდა დასახლების როგორც სოფლურ, ისე ქალაქურ ეროვნულ ტრადიციებს, რომლებიც საქართველოს გეოგრაფიული გარემოს, სამეურნეო ყოფისა და კულტურულ-ისტორიული პირობების შესაბამისად დამკვიდრდა.

XIX საუკუნეშიც გავრცელებული იყო ძირითადად სამგვარი ტიპის ძველი ქართული საცხოვრებელი სახლები. მთის მოსახლეობის (სვანების, ხევსურების, მოხევეების, თუშების) საცხოვრებელი ბინები წარმოადგენდა ორ, სამ და ოთხსართულიან კოშკისებურ ნაგებობებს, რომლებშიც თავმოყრილი იყო როგორც ადამიანთა, ისე პირუტყვის სამყოფი, აგრეთვე სამეურნეო ინვენტარის მოსახმარი და პროდუქტების შესანახი ნაწილები. მიწის ფართო და განუყოფელი საცხოვრებელი ნაწილის ცენტრში კერა და დედაბოძი იყო. კერა გათბობისა და განათების გარდა ოჯახს საჭმლის მომზადების საშუალებადაც ჰქონდა გამოყენებული. მოსახლეობაში კერის კულტი სხვადასხვა წეს-ჩვეულებით იყო განმტკიცებული, მისდამი უპატივცემლო დამოკიდებულება სვანეთში ოჯახის შეურაცხმყოფელ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა.

კერის დაქცევა საწყევარ გამოთქმად იხმარებოდა დასავლეთ საქარ-

თველოს ბარის (იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის) მოსახლეობაში. აქაც კერას ცენტრალური ადგილი ეჭირა საცხოვრებელ სახლში (ან მისგან გამოყოფილ სამზადში, სამზარეულოში), რომელსაც იმერეთში საჯალაბო სახლი, სამეგრელოში ფაცხა, გურიაში ოდა ეწოდებოდა. კაპიტალიზმის ხანის დასავლეთ საქართველოს ბარში ოდის ტიპის სახლები გავრცელდა ყველაზე მეტად[1].

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში საცხოვრებელ ნაგებობათა ძირითად ტიპს წარმოადგენდა ქართული დარბაზი (ერთობის სახლი) ანუ ერდოიან-გვირგვინიანი სახლი, რომელიც „მიწური ბანით მომთავრებულ და ჰორიზონტალურ დაგეგმარებაში განვითარებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა: კომპლექსის ძირითადი სათავსო ანუ ადამიანის საცხოვრისი, როგორც წესი, სვეტებზე შედგმული სხვადასხვა ფორმის ერდოიანი გვირგვინით და მის ქვეშ ოთახის ცენტრში არსებული კერით ხასიათდებოდა"[2]. კომპლექსში საცხოვრისთან ერთად შედიოდა ბეღელი, მარანი, სათონე, ჩარდახ-დერეფანი, საბძელი და ბოსელი. მიწურბანიანი ერდოიან-გვირგვინიანი სახლი საცხოვრებლის ძირითადი ტიპი იყო ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის და თრიალეთის (წალკის) როგორც ქართველ, ისე არაქართველ (სომეხ, აზერბაიჯანელ, ოს) მოსახლეობაში. ამგვარი სახლები მთელ ამიერკავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც ყოფილა გავრცელებული.

კახეთის მოსახლეობა XIX საუკუნეში უმთავრესად ცხოვრობდა ერთსართულიან ქვის სახლებში, რომლებსაც მიშენებული ჰქონდა სამეურნეო ნაგებობანი. ამასთან, გამდიდრებული ზედაფენის წარმომადგენლები იშენებდნენ ორსართულიან სახლებს, რომლის პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისა იყო, მეორე კი ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა.

მდიდართა სახლები განსაკუთრებით XIX საუკუნის 80—90-იანი წლებიდან მრავლდება როგორც სოფლად, ისე ქალაქად, მაგრამ სოფლად ისინი მაინც აქა-იქ გამოიყურებოდნენ მრავალრიცხოვან ღარიბთა მიწური, ისლით გადახურული სახლების ფონზე. კიდევ უფრო მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან შეძლებულთა და ღარიბთა სახლების შინაგანი სახე, მოწყობილობა და მორთულობა[3].

ქართველი ხალხის მრავალმხრივი მეურნეობა იმთავითვე განაპირობებდა სხვადასხვა სამეურნეო შენობათა წარმოშობას (ბეღელი ანუ ხულა,

---

[1] Народы Кавказа, II, გვ. 281—288.

[2] თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, 1967, გვ. 42, 55, 63, 89.

[3] იხ. И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, т. I, 1955, გვ. 368—372.

სასიმინდე, მარანი, ბოსელი, საბძელი, ჩამური, საზეთე, წისქვილი). ისინი, წისქვილის გამოკლებით, ადრე საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედიოდა, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან კი საცხოვრებლის მოშორებით მდგარ ცალკე შენობებს წარმოადგენდნენ. ამავე დროიდან დაწინაურებულ რაიონებში ერთხელ და სამუდამოდ იქნა უარყოფილი მამაპაპური მიწურბანიანი დარბაზების მშენებლობა, ისინი იცვლებოდნენ ქანობიანსართულებიანი სახლებით, რომლებიც შეესაბამებოდნენ ბურჟუაზიული ეპოქის საოჯახო და სამეურნეო ურთიერთობას.

მიმოსვლის საშუალებანი. საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების შესაბამისად ვითარდებოდა ხალხური სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი. XIX საუკუნეში სახმელეთო ტრანსპორტის უთვლო, ორთვლიანი ან შერეული ტიპის ტრადიციული საშუალებებიდან გავრცელებული იყო სხვადასხვანაირი მარხილები მთის რაიონებში, „ქართული ურემი" მთელი ბარისა და მთის ქვედა ზოლში. ურემი ორუღლიანიც იყო და ცალუღელაც, საბაროც და სამთოც, სამგზავროც და სატვირთოც. XIX საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა არაქართული წარმოშობის ტრანსპორტიც (რუსულ-ევროპული ორთვლიანი „დროშკა" („ტაჩკა") და და ოთხთვლიანი ფურგუნი). ქალაქად ფართოდ იყენებდნენ ეტლებს, საუკუნის ბოლოდან აგრეთვე ცხენის ტრამვაის („კონკა"). ტვირთს, წყალს და ნახშირს ძეკურტნენი, მეთულუხჩენი და მენახშირეები ეზიდებოდნენ. ტრანსპორტის ძირითად გამწევ ძალად იყენებდნენ ხარებს, კამეჩებს, ცხენებს, სახედრებს. სამიმოსვლო გზებს ბილიკები, სამარხილე და საურმე გზები წარმოადგენდა. შორ მანძილზე ღვინის და სხვა ტვირთის გადაზიდვას ჩალვადრები აწარმოებდნენ. საუკუნის უკანასკნელ მესამედში გაყვანილმა რკინიგზებმა ბოლო მოუღო ჩალვადრობას და საქარავნო მიმოსვლას. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტი მაინც ტრადიციული იყო.

ტანსაცმელი. ჩაცმულობით ქართველი ხალხი ახალ დროშიც დიდხანს ტრადიციულად გამოიყურებოდა. რუსულად აღზრდილი ან რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფი მოსახლეობის ნაწილი ევროპულ კოსტიუმს ატარებდა. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კი, მათ შორის თავადაზნაურობაც, XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედამდე უპირატესად ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს იცვამდა. მშრომელი მოსახლეობის ტანსაცმელი პრივილეგირებულ კლასთა ტანსაცმლისაგან უფრო ქსოვილთა ხარისხით და სამკაულით განირჩეოდა, ვიდრე ფორმით. ქართველ ქალთა ეროვნული კოსტიუმის ძირითადი ელემენტები იყო ქართული კაბა, ლეჩაქი, ჩიხტაკოპი, წინდები, ქოშები, ხოლო მამაკაცისა—ჩოხა-ახა-

ყარაჩოხელები.

ლუხი, ნაბადი, ნაბდის ქუდი, ფაფანაკი ან ბოხოხა ქუდი, აზიურები ან ქალამნები. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალი წოდება მდიდრულ კაბას და ქულაჯასაც იცვამდა. ქალის ტანსაცმლის განუყრელი თანმხლები იყო მრავალგვარი სამკაული, მამაკაცის ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი კი ხანჯალი. ქართული ეროვნული კოსტიუმის ეს ძირითადი ელემენტები მრავალნაირი თავისებურებით ხასიათდებოდა ქართლ-კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. იმერეთსა და გურიაში, აჭარასა და აფხაზეთში. ასე იქმნებოდა ქართული ეროვნული ტანსაცმლის ურიცხვი სახესხვაობა, რომელნიც XIX საუკუნეშიც ინარჩუნებდნენ თავისთავადობას. საუკუნის ბოლოსათვის საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს იმერული ჩოხა და ხევსურული ხაბადი, ქართული კაბა და ბოხოხა ქუდი. იმავე დროს საქართველოს სამრეწველო რაიონებში ჩნდება მუშის თავისებური კოსტიუმი, რომელიც გლეხის ეროვნული ტანსაცმლის ზოგიერთ ელემენტს შეიცავდა. უფრო ადრე იქმნება მოქალაქე ვაჭარ-ხელოსანთა თავისებური კოსტიუმი, რომელიც მაღალი წოდების ზედა ტანსაცმელს ჰგავდა. მნიშვნელოვანი თავისებურებანი განასხვავებდა საერთო-ქართული ეროვნული კოსტიუმებისაგან გურიის. აჭარის, აფხაზეთისა და მთის ქართველთა ტანსაცმელსაც (ჩაქურა, აფხაზური და ოსური ჩერქესკა და სხვ.). XX საუკუნის დამდეგიდან

საქართველოში საყოველთაო გავრცელება იწყო ქალაქურმა კოსტიუმმა, რომელიც ევროპიდან იყო გადმოღებული. უფრო მოგვიანებით კი ძველი ქართული ეროვნული კოსტიუმი მხოლოდ ხალხურ დღესასწაულებსა და მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებზე გამოიყენებოდა.

საჭმელი. გამძლე აღმოჩნდა თვითმყოფადი ქართული კულინარული ხელოვნება, რომელიც აგრეთვე მრავალფეროვანი იყო. განსაკუთრებით მკვეთრად განსხვავდებოდა ბარისა და მთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საჭმელი. ხორცის, რძის და მცენარეულობისაგან დამზადებული მრავალნაირი მჟავე, ცხარე და ტკბილი საჭმელებიდან ბევრი XIX საუკუნისათვის მთელ ქართველ ხალხში იყო გავრცელებული. მრავალფეროვან საჭმელებთან ერთად სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი განსაკუთრებით ღვინით ამაყობდა. ღვინო საოჯახო სადილზე კვების პროდუქტებს უთანაბრდებოდა, სტუმრის გამასპინძლება-პატივისცემის უმთავრეს ატრიბუტად იყო მიჩნეული და დიდი ნადიმების აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა. ლხინი თამადას მიჰყავდა და დიდხანს გრძელდებოდა, ზოგჯერ კი, განსაკუთრებით ქალაქებში, მასობრივ ღრეობადაც იქცეოდა ხოლმე. მახინჯ ხასიათს ღებულობდა გლეხის ოჯახებში თავად-აზნაურთა სტუმრობა-ჩასახლება, რასაც თან ახლდა შინაური პირუტყვის განადგურება. ეს ჩვეულება უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. ახალ დროში სტუმართმოყვარეობის ტრადიციული ჩვეულებები ანგარების მიზნითაც გამოიყენებოდა. საერთოდ კი, ძველთაგანვე ჩვეულებად ქცეული ქართული მასპინძლობის უანგარობა და ჭამა-სმაში ზომიერების დაცვა XIX საუკუნეშიც მისაბაძ ტრადიციად ითვლებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ფართოდ გავრცელდა რუსული და ევროპული კერძებიც.

ჯანმრთელობის დაცვა. მრავალფეროვანი, მუდამ ახალი და სრულფასოვანი საჭმლით ზომიერი კვება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო. ზოგიერთ ქართულ კერძს და სასმელს სამკურნალოდაც კი იყენებდნენ. საერთოდ XIX საუკუნის საქართველოში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის განუვითარებელი, ტრადიციული საშუალებანი ბატონობდა; პროფესიული სამკურნალო დაწესებულებანი თვით XX საუკუნის დამდეგს ორმოცს ძლივს აღწევდა. ასეთ ვითარებაში ფართო გასაქანი ეძლეოდა სახალხო მედიცინას, რომელიც საქართველოში საეკლესიო მედიცინის უარყოფით გავლენას განიცდიდა, მაგრამ რიგ დაავადებათა მკურნალობაში პრაქტიკულად სასარგებლო შედეგებს აღწევდა. სააფთიაქო დაწესებულებათა უკიდურესი სიმცირის პირობებში წამლების დამზადება უპირატესად სახალხო მედიცინის ტრადიციული საშუალებებით წარ-

მოებდა. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში სახალხო ექიმების მიერ დამზადებულ 569 წამალს ხმარობდნენ[1].



კინტო.

სპორტული თამაშობანი. ხალხში კვლავაც დიდად იყო გავრცელებული ეროვნული სპორტული თამაშობანი: ფარიკაობა, ლახტი, ყაბახი, ისინდი, ბურთაობა, ჭიდაობა, კრივი და სხვ. ბურთის თამაშის ქართულ ნაირსახეობაში ერთმანეთს ერწყმოდა სირბილი, ხტომა, ცურვა და სხვ. ბურთის თამაშში სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჯოხებსაც იყენებდნენ. მთელ საქართველოში თამაშობდნენ ჩოგანბურთს ანუ ცხენბურთს, რომელშიც ორ გუნდად გაყოფილი ოცდაოთხი მხედარი მონაწილეობდა. ქალაქელ, განსაკუთრებით თბილისელ ხელოსანთა შორის გავრცელებული იყო კრივი, რომელშიც ხშირად მთელი ქალაქის ორ ბანაკად გაყოფილი ახალგაზრდობა მონაწილეობდა. ზოგჯერ ეს თამაშობა მსხვერპლითაც თავდებოდა. 1851 წელს გამართული ერთ-ერთი ამგვარი თამაშის დროს 300 კაცი დაჭრილა და 5 მომკვდარა[2]. ამის შემდეგ სალდასტის კრივი ჯერ ქალაქგარეთ ეწყობოდა, მერე სულ აიკრძალა. მუშტის კრივმაც მხოლოდ 70-იან წლებამდე გაძლო. ხალხში ყველაზე მეტი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა ქართული ჭიდაობა, ურომლისოდაც არც ერთი სახალხო შეკრება და დღესასწაული არ ჩატარდებოდა.

საოჯახო ურთიერთობა. XIX საუკუნეში დიდი ცვლილება განიცადა ქართულმა ოჯახმა. სოფლად, განსაკუთრებით მთაში, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი დიდი ქართული ოჯახები, რომლებიც რამდენიმე ძმის შთამომავლობას აერთიანებდნენ. მაგრამ ძველი საოჯახო თემი გადმონაშთს წარმოადგენდა, საუკუნის ბოლოს ქართული საზოგადოება შედგებოდა მცირე ოჯახებისაგან, რომლებშიც უპირატესად ცოლ-ქმარი და შვილები იყვნენ გაერთიანებული. სოფელ ადგილებში დაქორწინება უფრო ხში-

---

[1] Народы Кавказа, II, გვ. 296—337. იხ. აგრეთვე, მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, ლ. ჭეიშვილი, ც. ჩხეიძე, საქართველოს მედიცინის ისტორია, IV, 1960.

[2] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა (თხზ. კრებული, ტ. III, 1963, გვ. 151—155).

მოქალაქე.

რად 19—25 წლის ასაკში ხდებოდა, თუმცა ქორწინდებოდნენ 17 — 18 წლის და ზოგჯერ უფრო ნაკლები ასაკის ახალგაზრდებიც. ჯერ არდაბადებულ ბავშვთა დაწინდვის არქაული ტრადიცია გადავარდა. ქალის მოტაცების ჩვეულებაც იშვიათი გახდა. ინტელიგენტურ წრეებში ნიშნობა-ქორწინების ძველ რიტუალსაც ხშირად აღარ იცავდნენ, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ მისდევდა მაშვლობა-გარიგების და ქალის მიერ მზითვის მიტანის ტრადიციულ წესებს. ადრინდელი ქართული მონოგამიური ოჯახის საფუძველი უფლებრივად თანასწორი და თანაბრად მშრომელი ორი ადამიანის ცოლქმრული კავშირი იყო. სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ცოლ-ქმარს შორის უფრო ქორწინების შემდეგ, ერთად ცხოვრებისა და შრომის პროცესში ჩნდებოდა; ქორწინებამდე ისინი ხეირიანად თითქმის არ იცნობდნენ ერთმანეთს. შვილებიც საერთო საოჯახო შრომაში მშობლების გვერდით მონაწილეობდნენ, ამასთან, მათ სწამდათ უფროსების ზნეობრივი და გონებრივი უპირატესობა, იმის მიუხედავად, რომ მშობლების განათლება დიდი არ იყო და შედარებით მარტივი საყოფაცხოვრებო გამოცდილებით და მორალური ზნე-ჩვეულებებით განისაზღვრებოდა.

ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ოჯახის სამეურნეო ხასიათი შეიცვალა. მამაკაცს ხშირად გარე სამუშაოებზე უხდებოდა გასვლა. ქალს დიასახლისობაღა რჩებოდა წილად, მწარმოებლიდან მომხმარებლად იქცეოდა. შვილებიც ხანგრძლივად წყდებოდნენ ოჯახს, საშოვარზე ან სკოლაში დადიოდნენ. მზითევი, რომელიც ადრე ოჯახში ქალის მდგომარეობის განმტკიცების დამატებით საშუალებად ითვლებოდა, ახლა ღარიბი საქმროს ოჯახის ეკონომიური კეთილდღეობის უპირველეს წყაროდ იქცეოდა. ფორმალურად თავისუფალ სიყვარულსა და თანასწორობაზე დამყარებული ცოლქმრული ურთიერთობა ფაქტიურ უთანასწორობამდე და სიძულვილამდე მიდიოდა. გათხოვება-ცოლის შერთვა გაძნელდა. მამაკაცი ქალის სულიერსა და გარეგნულ სილამაზეს აღარ აფასებდა და მხოლოდ მზითევს მოითხოვდა. ეს მოვლენა ისე გავრცელებულა 70—90-იან წლებში, რომ ზოგ მამაკაცს

პრესის საშუალებითაც დაუწყია მზითვიანი საპატარძლოს ძებნა, თუმცა ამის საწინააღმდეგო პროპაგანდაც საჯაროდ გაჩაღებულა: „ცოლის შერთვის დროს უფრო ხასიათსა და ზნეს მიჰხედეთ, ვიდრე მზითევს“[1]. იმავე დროს საზოგადოების მაღალი, მატერიალურად უზრუნველყოფილი ფენების ცალკეულ წარმომადგენელთა ოჯახებს ცოლქმრული ღალატი ექცეოდათ ჩვეულებად. ცივილიზებული ვაჭრის თუ ჩინოვნიკისათვის ქალს „კაცისათვის გაჩენილ ტკბილეულობაზე“ მეტი ფასი არ ჰქონდა. მათი მორალის მიხედვით, წმიდა ქორწინება სიყვარულის ყვავილს უცბად აჭკნობდა, ცოლქმრობა და ნამდვილი სიყვარული დაშორებული იყო. ქალისათვის ქმარი ზნეობის ფარი და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალება უნდა ყოფილიყო, პირადი ცხოვრება კი ისე უნდა მოეწყო, როგორც ესიამოვნებოდა[2]. ამგვარი მორალი უცხო იყო მშრომელი მოსახლეობის საოჯახო ტრადიციებისათვის, თუმცა ძველ, პრიმიტიულ ცოლქმრულ თანასწორობაზე დამყარებულ ოჯახს ყველგან ერღვეოდა საფუძველი: საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების შესაბამისად საოჯახო ურთიერთობაც ახლდებოდა.

§ 3. ხალხის სულიერი ყოფა

ხალხური გართობა-სანახაობანი. თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს შეუქმნია გართობა-სანახაობათა მრავალი თავისებური სახე, რომელთაგან ბევრი XIX საუკუნეშიც არსებობდა. რელიგიური თუ წარმართული დღესასწაულები, რომლებსაც თან ახლდა ეს გართობა-სანახაობანი, კარგავდა თავის პირვანდელ სახეს და ახალი შინაარსით ივსებოდა. ქალაქის მოსახლეობაში 90-იან წლებამდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყეენობა და ქუჩის სხვა წარმოდგენები. დაწესებულ დროს, შავ ორშაბათს, თბილისის თვითეულ უბანს საკუთარი ყეენი გამოჰყავდა, კარიკატურულად რთავდნენ სახედარზე შესმულ ყეენს და მის ამალას, რომელიც გამვლელ-გამომვლელ ხალხს ხარკს ართმევდა. ზეიმი მთავრდებოდა დამარცხებული ყეენის მტკვარში გადაგდებით და მასობრივი ლხინით ორთაჭალისა და ვერის ბაღებში. ზეიმში მაღალი წოდებაც მონაწილეობდა. ერთ-ერთი ყეენობა თვით გრიგოლ ორბელიანის სახსრებითა და გეგმითაც მოუწყვიათ 60-იან წლებში. მოგვიანებით ყეენობამ მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი შარჟის ფორმა მიიღო: ყეენს კაპიტნის ან პოლკოვნიკის მუნდირში გამოაწყობდნენ ხოლმე[3].

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ნაწერი, I, 1890, გვ. 25.
[2] გ. წერეთელი, რჩ. ნაწერები, I, გვ. 384.
[3] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა, გვ. 147.

მეფის ხელისუფალნი ამჩნევდნენ ყეენობის პატრიოტულ მიზანდასახულობას, მის ანტითვითმპყრობელურ ხასიათს და რამდენიმეჯერ ოფიციალურად აკრძალეს იგი, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლიდა და ამ სანახაობას მართავდა თბილისშიც და საქართველოს სხვა ქალაქებშიც. 1905 წლის 28 თებერვალს თელავში მოუწყვიათ ყეენობა. ადგილობრივ ბოქაულს ჯერ პირადად, მერე „სტრაჟნიკთა" ძალებით მისი ჩაშლა განუზრახავს, მაგრამ სანახაობის მონაწილე ხალხს რევოლუციური დემონსტრაცია გაუმართავს და სამაზრო მმართველობა იძულებული გამხდარა ყეენობის გამართვის ნება მიეცა ხალხისათვის[1].

მაღალი საზოგადოება კერძო სახლებში მართავდა წარმოდგენებს, მდაბიო ხალხი — ქალაქის მოედნებზე და მინდორში. თბილისელ ხელოსნებს — ყარაჩოხელებს — წესად ჰქონდათ მოძრავი თეატრის მოწყობა, ქეიფი და ღამის თევა აბანოებსა და ორთაჭალის ბაღებში. თბილისური აბანოები სოფლებიდან ჩამოსული გლეხებისათვის სასტუმროს როლსაც ასრულებდა. საყდარი და აბანო იყო ქალთა შეკრების და გართობის ადგილიც. სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც არსებობდა თეატრალური წრეები, რომლებიც სახალხო წარმოდგენებს მართავდნენ, ზოგჯერ კი სპექტაკლებსაც დგამდნენ. 30-იან წლებში თბილისში დაუდგამთ ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", 40-იან წლებში მეჯვრისხევში უ. შექსპირის „ოტელო" და გორისაში ოქროპირ წერეთლის „ქორწილი იმერეთის თავადისა". 800-იან წლებში პ. კოვალენსკის თბილისში დაუარსებია სალონური თეატრი. იმავე დროს კეთილშობილთა სასწავლებელში „საჯარო აქტებს" მართავდნენ. მოგვიანებით უფრო ვრცელდება ევროპული გართობა-სანახაობანი, ბალ-მასკარადები, საცეკვაო საღამოები. იქმნება ა. ჭავჭავაძის, მ. ორბელიანის და სხვათა სალონები[2]. ამგვარი სალონები მთელი XIX საუკუნის მანძილზე არსებობდა. ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლების სახლებში სისტემატურად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები[3], რომლებსაც ბევრი ინტელიგენტი ესწრებოდა. 90-იან წლებში იქმნება სახალხო თეატრები. გართობა-სანახაობათა ახალი ფორმების გავრცელების მიუხედავად, მოსახლეობის ფართო მასა უფრო მეტად მაინც ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებს ეტანებოდა. აუარებელ ხალხს იზიდავდა ბოლნისობა და მცხეთობა, თელეთობა და ელიაობა, კეცობია და ლაშარობა, ალავერდობა და გიორგობა და მრავალი სხვა რელიგიური დღესასწაული.

---

[1] ა. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, წერილები თეატრზე, 1964, გვ. 88—89.

[2] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის (თბილისის პედინსტიტუტის შრომები, III, 1943, გვ.147).

[3] ა. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ლიტერატურული შეკრება-საღამოები საქართველოში.

ხალხური სიმღერა და ცეკვა. გართობა-სანახაობებს და ლხინს საქართველოში მუდამ თან ახლდა სიმღერა და ცეკვა, რომლებშიც ასახული იყო ქართველი ხალხის შრომა და ბრძოლა, სულისკვეთება და ყოფა-ცხოვრება. გავრცელებულია თქმა, ქართველი კაცი სიმღერით იბადებოდა და სიმღერითვე აბარებდნენ სამარესო. ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა ისევე მრავალფეროვანია, როგორც საქართველოს ბუნება და ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება. მრავალხმიანი, უმთავრესად სამხმიანი ქართული სიმღერა და სინარნარითა და სიმკვირცხლით სავსე ქართული ცეკვა მოხდენილად ასახავს ხალხის ფიქრებსა და განცდებს. XIX საუკუნეში მიმდინარეობდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის შემდგომი სრულყოფა და განახლება. ძველთან ერთად სრულდებოდა და იქმნებოდა ახალი სიმღერები და ცეკვები, რომლებსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის სულისკვეთება ასაზრდოებდა („სულიკო", „ციცინათელა", „ჯან სულო", „ძაბრალე", „სიმღერა ზვიადა ლობჟანიძესა და გულითად გავაშელაშვილზე", „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა" და სხვ.). ქართული ხალხური სიმღერები აღმოსავლური და დასავლეთევროპული მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებითაც სრულდებოდა (ზურნა, დუდუკი, გიტარა, ფორტეპიანო და სხვ.), მაგრამ უფრო მეტად გავრცელებული იყო ძველი ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები: სალამური, ჩონგური, ფანდური, ჭიანური, ჭუნირი, გუდასტვირი. დიპლიპიტო, დოლი, ჩანგი და სხვ.[1].

ხალხური ზეპირსიტყვიერება. XIX საუკუნეშიც ხალხის სულიერი ყოფის განუყრელი ნაწილი იყო ხალხური პოეზია, რომელსაც ქმნიდნენ და თაობიდან თაობას ზეპირად გადასცემდნენ სახალხო მთქმელები და ზეპირად ძელექსენი, მესტვირენი და აშუღები. XIX საუკუნეში ქართული პოეტური ფოლკლორი კიდევ უფრო გამდიდრდა. ტრადიციულ საგმირო, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო ნაწარმოებებს მიემატა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსები, ბალადები, ზღაპრები. საუკუნის პირველ ათეულ წლებს მიეკუთვნება ლექსები „ამილახვარი ჩაძაღლდა", „ბეჟან მიქელაძე და მისი ყმა", „ხევსური თორღვა", რომლებშიც დახატულია მემამულეებზე ყმა გლეხთა შურისძიების ფაქტები. 30-იან წლებში შეიქმნა ლექსების ციკლი და ვრცელი მესტვირული პოემა „არსენას ლექსი", რომელთა მიხედვით ცარიზმისა და თავადაზნაურობის წინააღმდეგ მებრძოლი ყმა გლეხი არსენა ოშელაშვილი „მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა", ჩაგრულებს მჩაგვრელებისაგან იფარავდა. 40—50-იან წლებში იქმნება ხალხური ლექ-

---

[1] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, 1925, გვ. 14, 32—33.

სები აჯანყებულ გურულ და მეგრელ გლეხთა ბრძოლაზე ბატონყმობის წინააღმდეგ („ბუნტი გურიაში", „უტუ მიქავა"). 60-იან წლებში სახალხო მოლექსენი გამოხატავდნენ გლეხობის სიხარულს და იმედის გაცრუებას რეფორმის გამო („ბატონყმობის ლექსი", „საგლეხო რეფორმაზე"). გლეხობის მძიმე ყოფა, მისი ფეოდალური და კაპიტალისტური ჩაგვრაა ასახული 70—90-იანი წლების ქართულ ფოლკლორში[1].

მრავალი ფოლკლორული თემა და სახე თავიანთ ნაწარმოებებში გამოიყენეს XIX და XX საუკუნეების ქართველმა მწერლებმა. თავის მხრივ ხალხური შემოქმედებაც ლიტერატურის დიდ გავლენას განიცდიდა, იქმნებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ხალხური ვერსიები, რომელნიც არა მარტო ზეპირი, არამედ ბეჭდვის გზითაც ვრცელდებოდა XIX საუკუნის მეორე ხახევრის საქართველოში. ლიტერატურულ და ხალხურ ნაწარმოებებს დიდი ტირაჟებით ბეჭდავდნენ და ღარიბი ხალხისათვის მისაწვდომ ფასად ავრცელებდნენ პეტრე უმიკაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვ.[2]. მათთან ერთად ქართული ფოლკლორის ნიმუშებს აგროვებდნენ და აქვეყნებდნენ ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ა. კელენჯერიძე და სხვ. XIX საუკუნის ქალაქურმა ფოლკლორმა შემოგვინახა ხელოსან აშუღთა და პოეტთა არაერთი სახელი (იოსებ დავითაშვილი, ანტონ განჯისკარელი, იეთიმ გურჯი, ბეჩარა, ჰაზირა და სხვ.).

კიდევ უფრო მდიდარი და მრავალმხრივი იყო ხალხური პოეტური შემოქმედების ტრადიციები ქართულ სოფელში. მრავალი ქართლ-კახური, გურულ-აჭარული, იმერული, აფხაზური, ოსური თქმულება თუ ლეგენდა XIX საუკუნის დიდ ქართველ მწერალთა შემოქმედებითი შთაგონების ხალხურ წყაროებად იქცა. ხალხის კულტურის ამაღლებამ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერებამ ფართო გზა გაუხსნა ბარისა და მთის ადგილობრივ დიალექტებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქართლური დიალექტის საფუძველზე შექმნილი საერთო-სახალხო ეროვნული ქართული ენის გამდიდრებასა და განვითარებაში. ხალხის ახალმა ყოფამ და კულტურამ გამოიწვია ქართული ენის შევსება ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, მოძველებული სიტყვებისა და ასოების გადაგდება. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული ენის დამკვიდრებისათვის ლიტერატურასა და ხალხის ცხოვრებაში.

---

[1] ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1958, გვ. 161—169, 175—180.

[2] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა.

§ 4. ლიტერატურა და პრესა

ახალი ქართული ლიტერატურა. ქართული კულტურის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს XIX საუკუნეში მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენდა. ყველაზე მძლავრი აღმავლობა ლიტერატურამ განიცადა.

XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც ჩვეულებრივ ახალ ქართულ ლიტერატურას უწოდებენ, წინა საუკუნეთა, უშუალოდ კი XVIII საუკუნის, ქართული მწერლობის ბუნებრივ გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენს. ძველიდანვე პატრიოტიზმის, ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის იდეებით გამთბარი ქართული ლიტერატურა ახალ დროში კიდევ უფრო განიმსჭვალა მშობლიური ხალხისა და საკაცობრიო იდეალებისადმი სამსახურის სულისკვეთებით.

ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი (1705—1792 წწ.) უნდა ჩაითვალოს. მის შემოქმედებაში მძლავრად იჩინა თავი ანტიკლერიკალურმა შეხედულებებმა, განათლების ყოვლისშემძლეობის, სწავლისა და შრომის საჭიროების ქადაგებამ, სინამდვილისადმი რეალისტურმა დამოკიდებულებამ, ხალხურობამ, ახალმა სალიტერატურო ენამ და იდეებმა, ჟანრობრივთემატიკურმა მრავალფეროვნებამ. ამიტომ იგი ახლის მიმდევრად და დამცველად უფრო წარმოგვიდგება, ვიდრე ძველის მომხრედ. მისი ლიტერატურული მრწამსიც და შემოქმედებითი პრაქტიკაც დაფუძნებულია ქართული განმანათლებლური რეალიზმის პრინციპებზე. „დავითიანი“ ხალხის ცხოვრებისა და ზნეობის თავისებური სასწავლო ენციკლოპედიაა, რომლიდანაც ქართველობა სწავლობდა საქართველოს საშინაო და საგარეო მტრების სიძულვილს, კაცთმოყვარეობას და სამშობლოსადმი თავდადებას, შრომისა და განათლების უძლეველობას. მასში დაგმობილია უვიცობა და გონების სიბნელე, მონობა და ტირანია, ცხოვრების უკუღმართობა და ხალხის ჩაგვრა[1].

განმანათლებლური რეალიზმის პრინციპებს ემყარებოდა XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის პირველი ათეული წლების, ე. წ. გარდამავალი ხანის ქართული ლიტერატურა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ რუსულ და ევროპულ განმანათლებლურ იდეებს გაცნობილი ქართველი მოღვაწენი.

გარდამავალი ხანის ქართული განმანათლებლური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი იყო იოანე ბაგრატიონი (1772—1830 წწ.), მგზნებარე ქართველი პატრიოტი და მწერალ-განმანათლებელი. მისი რამდენიმე

---

[1] დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, 1955, გვ. 13, 17; ქართული ლიტერატურის ისტორია, ა. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, გ. მიქაძის რედ., 1966, II, გვ. 570—571.

ათეული ორიგინალური და ნათარგმნი ნაშრომიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვრცელი ენციკლოპედიური ნაწარმოები „კალმასობა“, რომელიც ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ფრიად საყურადღებო ძეგლია. „კალმასობა“ 1813—1829 წლებში დაიწერა. დიალოგის ფორმის ამ ვეებერთელა წიგნში თავმოყრილია თავისი დროის ყველა დარგის მეცნიერული ცოდნა და რეალისტურადაა დახასიათებული საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს. „კალმასობას“ მკვეთრ ხაზებად გასდევს მხურვალე პატრიოტიზმი და სოციალური პროტესტანტიზმი, განმანათლებლური ჰუმანიზმი და უტოპიზმი.

XIX საუკუნის პირველ მესამედში ახალ ქართულ ლიტერატურას იოანე ბაგრატიონზე დიდი განმანათლებელ-რეალისტი არ ჰყოლია. ამავე დროიდან ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი ბატონდება. ქართული რომანტიზმიც განმანათლებლური რეალიზმის მძლავრ ნაკადს შეიცავდა. მისთვის უცხოა რეალური ცხოვრების ხელაღებით უარყოფა, მისი მთავარი თემა ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობაა. მართალია, სოფლის სამდურავი და სინამდვილის პესიმისტური აღქმა, რომელიც ადრე ქართული ლიტერატურის მხოლოდ ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენდა, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში თითქოს ერთადერთ და უმთავრეს მომენტად იქცა, მაინც „ქართული რომანტიზმის ბოლოთქმა იყო ცხოვრების, სიცოცხლის სიყვარული და უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა. მისი მოწინავე წარმომადგენლები, მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ რომ ილაშქრებდნენ, თავიანთ შემოქმედებას ამდიდრებდნენ სოციალური, მოქალაქეობრივი მოტივებით, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იდეებით“[1].

ქართული რომანტიზმის პირველი დიდი წარმომადგენელია ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846 წწ.), საქართველოს პეტერბურგელი დესპანის შვილი და რუსეთის იმპერატორის ნათლული, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებული მგზნებარე ქართველი პატრიოტი და რუსეთის არმიის მამაცი გენერალი, კახელ გლეხთა აჯანყების ჩაქრობის მონაწილე და ბარკლაი დე-ტოლის ადიუტანტი ნაპოლეონის განადგურების დროს, უპირველესი ქართველი მემამულე და უნაზესი პოეტი-რომანტიკოსი. ლექსების წერა მას 15 წლისას დაუწყია. თავდაპირველად მისი შემოქმედება, განსაკუთრებით თარგმნილი, განმანათლებლური რეალიზმის პრინციპებს ემყარება. შემდეგაც, როცა იგი რომანტიზმის თვალსაზრისს ამკვიდრებს ქართულ პოეზიაში, რეალური ცხოვრების

---

[1] ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956, გვ. 66.

სიყვარული, მოქალაქეობრივი გულისტკივილი, ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ასულდგმულებს მის მრავალ ნაწარმოებს („ახლოით განჩხრეკილი კაცი“, „ვაჰ, სოფელსა ამას“).

ამქვეყნიური ტკბობით გამოწვეულ სიხარულს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკაში თან ახლავს დიდი წუხილი და სევდა რეალური ცხოვრების წარმავლობისა და მოუწყობლობის, მშრომელი ხალხისა და კაცობრიობის ბედუკულმართობის გამო. მსუბუქ, სანადიმო და სატრფიალო ლექსებთან ერთად („მუხამბაზი-ლათაიური“, „სიყვარულო ძალსა შენსა“), რომლებიც ახალი ქართული ლირიკის შედევრთა რიცხვს მიეკუთვნება, ალექსანდრე ჭავჭავაძემ შექმნა მსოფლიო სევდის გამომხატველი ნაწარმოებები, რომლებშიც მაღალმხატვრულადაა გადმოცემული პოეტის უკმაყოფილება ამქვეყნიური ცხოვრებით, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმავლობით და არარაობით („გოგჩა“). მისი სევდა უწინარეს ყოვლისა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრითაა ნაკარნახევი. მისი რომანტიკული ლირიკის უმთავრესი შინაარსიც პატრიოტულია.

ქართული რომანტიზმის მეორე დიდი წარმომადგენლის გრიგოლ ორბელიანის (1804—1883 წწ.) შემოქმედების ძირითადი მოტივიც ეროვნული თავისუფლებაა. მისი ხანგრძლივი ცხოვრების გზა კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი იყო, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძისა. დიდგვაროვანი ქართველი მემამულის შვილმა, რომელიც დედის მხრივ ერეკლე მეორის შთამომავალიც იყო, მთელი ცხოვრება რუსეთის მეფის სამსახურში გაატარა და თანამდებობრივად მასზე დიდი წარმატება მანამდე არც ერთ ქართველს არ რგებია. თავდაპირველად რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი გრიგოლ ორბელიანი შემდეგ აჯანყებული გურული გლეხების დამშვიდებაში და დაღესტნის დამორჩილებაში მონაწილეობს, ბოლოს კი, რამდენიმე ხნის განმავლობაში კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც ასრულებს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ადრინდელი იდეოლოგი 60—70-იან წლებში ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატებს ებრძვის იდეურად, პრაქტიკულად კი მათთან თანამშრომლობს.

გრიგოლ ორბელიანი, უწინარეს ყოვლისა, პატრიოტი პოეტია. მისი იდეალი, დაწინაურებულ ერთა თანასწორი, ჩაგვრისა და „ბნელი უმეცრებისაგან“ განთავისუფლებული, „სწავლის შუქით განათებული“ აღორძინებული და ძლიერი საქართველოა („თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“). იგი არასდროს არ შელევია რომანტიკულ ოცნებას განთავისუფლებულ სამშობლოზე. პოეტს „სული მარადის თავისუფლებისათვის“ უკვნესის, იცის, რომ წინათ „თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ“ არავის მოუპოვებია და ახლაც „ჟამი არს მტერი მაჰულის, მისცე მახვილ-

სა ლესილსა“ („აღსარება“). პოეტი შენატრის, „მათ, ვინც თავისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად“ და თვითონაც მამულისათვის თავდადებულ გმირთა ძიების პირველ მოციქულად გამოდის ახალ ქართულ პოეზიაში. ნიკოლოზ პირველის სუსხიანი რეჟიმის წინააღმდეგ პირველად ქართველ პოეტთაგან ყველაზე გაბედულად გრიგოლ ორბელიანმა გაილაშქრა. მაგრამ, როცა ამ ლაშქრობიდან არაფერი გამოვიდა, დამარცხებული და დამწუხრებული პოეტი იმავე ნიკოლოზ პირველს ეეედრებოდა: „თამარის დღენი, დიდების დღენი, შენ მოუვლინე შენსა ივერსა... ჩვენდა დიდებად ბედნიერებად“... („სადღეგრძელო“). მან ვერ დაინახა ეროვნული განთავისუფლების გზები და ძალები, ვერ განჭვრიტა ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ცხოვრების დასასრულს ერთხელ კიდევ მგრძნობიარედ დაიტირა ვითომ „დამხობილი“ სამშობლო („დავბერდი“).

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ადრევე იგრძნობოდა ჰუმანისტურ-განმანათლებლური სულისკვეთებით გამთბარი რეალისტური დინება („მუხამბაზი“, „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“). ბუნების სიმშვენიერის და ადამიანური გრძნობების სიფაქიზის რომანტიკული განცდა მის ლექსებში ცოცხალი სინამდვილის მართალ დახასიათებას ენასკვება. ადამიანის ღირსების საზომად მას მეგობრობა, სიყვარული და ნიჭიერება მიაჩნია.

გრიგოლ ორბელიანს ჩაგრულთა და მჩაგვრელთა ცხოვრების მკვეთრი დაპირისპირებაც არ დარჩენია შეუნიშნავი და მშრომელი ადამიანისადმი მიძღვნილ ვრცელ ლექსში სოციალური უსამართლობის დაგმობის ამოძახილი ჩააქსოვა („მუშა ბოქულაძე“). მისი მემკვიდრე სამოციანელები დევიზად ხმარობდნენ სოციალური უთანასწორობის უარმყოფელ და ჰუმანისტური იდეალის შემცველ პოეტურ აფორიზმს: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას; ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!“[1].

ქართული რომანტიზმის გვირგვინია ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817—1845 წწ.) პოეზია, რომლითაც დასრულდა ახალი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბების ადრიდანვე დაწყებული პროცესი: თუ დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძის თქმით, „ევროპიზმის დამნერგავია“ ქართულ ლიტერატურაში, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ევროპიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელია“[2].

ბარათაშვილმა ღრმააზროვანი პასუხი გასცა მისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, დიდი

---

[1] გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ. სრ. კრებული, ა. გაწერელიას რედ.; იხ. აგრეთვე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956, გვ. 131—135.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზ. კრებული, ტ. III.

გრძნობით უმღერა მაღალ საკაცობრიო იდეალებს და უნუგეშო აწმყოთი უკმაყოფილო პოეტმა ადამიანის დანიშნულება უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში დაინახა: ამქვეყნიური ცხოვრება ამაოებაც რომ იყოს, ადამიანის არსებობა უაზრობა მაინც არ არის, ცოცხალმა ადამიანმა „სოფლისთვის ზრუნვა“, მისი გარდაქმნისათვის აქტიური ბრძოლა უნდა გაიხადოსო მთავარ საქმედ („ფიქრნი მტკვრის პირას“), რათა მომავალ მოძმეს „სიძნელე გზისა გაუადვილდეს“. ბედთან ტიტანური ბრძოლის, ბოროტების უარყოფის, მარტოობისა და სულიერი ობლობის დაგმობასთან ერთად ბარათაშვილის პოეზია გამოხატავს უსაზღვრო მწუხარებასაც, მაგრამ მისი ცრემლიც ვაჟკაცურია, ეს არის არა უმწეო გლოვა და ვედრება, არამედ არსებულის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება. მას ღრმად სწამს, რომ ბოლოს და ბოლოს „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“ და ამიტომ სურს იყოს „ვარსკვლავი განთიადისა მორბედი“ („არ უკიჟინო სატრფოო“). იგი სინამდვილეს მაინც მომავლის თვალით უყურებს, რაოდენ ბუნდოვნად და აბსტრაქტულად არ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მშობლიური ქვეყნის მომავალი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია რომანტიკულია როგორც შინაარსით, ისე სტილით, მაგრამ მის შემოქმედებაში ხშირად იჩენს თავს სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომის ტენდენციაც. „ბედი ქართლისაში“ გარკვეულად მეღავნდება მისწრაფება სინამდვილის რეალისტური ასახვისაკენ. პოეტმა დაიტირა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, მაგრამ არ გაიზიარა ქართული პოლიტიკური რომანტიზმის სიცოცხლისუნარმოკლებული ოცნება და გაამართლა მეფე ერეკლეს მოქმედება, რომელიც რუსეთთან საქართველოს დაახლოების რეალური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. იგი შეჰხაროდა რუსეთის გზით „მამულში განათლების“ შემოსვლას და იმ გარემოებას, რომ „სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“ („საფლავი მეფის ირაკლისა“). ამასთან იგი გმობდა ქართველი ხალხის ეროვნულ ჩაგვრას („სუმბული და მწირი“). თავისუფალი ერის, თავისუფალი ადამიანის ძლევამოსილი შემართების, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ყიჟინა ისმის მის „მერანში“. „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!..“.

ბარათაშვილს არ დაუწერია პროგრამული ხასიათის ნაწარმოებები, მაგრამ მისმა შემოქმედებამ ჰუმანისტური განმანათლებლურ-დემოკრატიული პროგრამის როლი შეასრულა ახალი ქართული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებაში. სასოებით იმეორებდნენ მომავალი თაობანი დიდი პოეტის იმედიან სიტყვებს: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს

განწირულის სულის კვეთება, და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს"[1].

ქართულ რომანტიზმს სხვა, ნაკლებად გამოჩენილი წარმომადგენლებიც ჰყავდა (ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, მიხეილ თუმანიშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძე, მამია გურიელი). ზოგი მათგანი XIX საუკუნის ბოლომდე განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას და გარკვეული წვლილი შეიტანა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებაში, მაგრამ წარსულის კონსერვატიზმს ბოლომდე ვერ დაალწიეს თავი და არაიშვიათად პროგრესულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მისწრაფებებსაც უპირისპირდებოდნენ. 40—50-იან წლებამდე და შემდეგაც ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში მთლიანად არასოდეს ჩაფერფლილა განმანათლებლურ-რეალისტური ნაკადი. დიდ ქართველ რომანტიკოსებს არც არსებული სინამდვილისათვის შეუქცევიათ ზურგი პიროვნების განცდათა პირველადობის დასამტკიცებლად, არც ადამიანის ინტელექტისათვის შეუხედავთ იჭვის თვალით, არც ადრინდელ ლიტერატურულ ტრადიციებს დაპირისპირებიან მკვეთრად. მათაც განმანათლებლებსავით პიროვნება გარემოს პროდუქტად ჩათვალეს, თუმცა თვით გარემოს ხშირად სუბიექტივისტურ განცდათა ჭრილში ატარებდნენ და აბსტრაქტულად განიხილავდნენ მას განსაკუთრებით სოციალურ თემაზე მსჯელობის დროს.

40—50-იანი წლებიდანვე ქართულ ლიტერატურაში მთავარ ადგილს ცხოვრების რეალისტური ასახვა იკავებს და ძველი, განმანათლებლური რეალიზმი კრიტიკულ-რეალისტურ მიმდინარეობად ყალიბდება. სამშობლოსა და ერზე განყენებული მსჯელობა და წუხილი ხალხის ცხოვრების კონკრეტული ასახვით იცვლება. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი თემა ხდება ბატონყმური წყობილების რღვევა, თავადაზნაურობის დაცემა, სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება, გლეხობის ჩაგვრის გაძლიერება ცარიზმის მოხელეთა და ადგილობრივ მემამულეთა მიერ. პოეზიის გვერდით მძლავრად ვითარდება დრამატურგია და პროზა, ახალი რეალისტური ლიტერატურის მთავარ ჟანრებად კომედია და მოთხრობა ხდება, ფართოვდება რეალისტური ხელოვნების პრინციპების კრიტიკულ-პუბლიცისტური პროპაგანდა, პრაქტიკულად დგება ახალი ენის დამკვიდრების გზით ლიტერატურის ხალხთან დაახლოების საკითხი[2].

---

[1] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, პ. ინგოროყვას რედ., გვ. 30; იხ. აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956, გვ. 171, 196, 206.

[2] ჯ. ჭ უ მ ბ ურ ი ძ ე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 182.

რეალისტური ლიტერატურის აღორძინება XIX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში დაკავშირებულია გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ლავრენტი არდაზიანის, რაფიელ ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, ივანე კერესელიძის, დიმიტრი ყიფიანის (1814—1887 წწ.), მიხეილ თუმანიშვილის (1818—1875 წწ.) მოღვაწეობასთან.

განსაკუთრებით დიდი როლი იმდროინდელი ქართული ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის განვითარებაში პოეტმა და დრამატურგმა, ახალი ქართული თეატრის და ლიტერატურული ჟურნალის დამაარსებელმა გიორგი ერისთავმა (1811—1864 წწ.) შეასრულა. ქსნის ერისთავთა შთამომავალს, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტს გიორგი ერისთავსაც ბედმა ერთხანს ბიუროკრატიული მმართველობის ჩვეულებრივ მოხელედ ყოფნა არგუნა, მაგრამ მას არც უნარი აღმოაჩნდა და არც სურვილი ამ ასპარეზზე თავის გამოჩენისა. 40-იანი წლების მეორე ნახევარში იგი სამსახურიდან გადადგა და ათიოდე წლის განმავლობაში ახალი ქართული კულტურის მესაჭის მძიმე ტვირთი ზიდა. 1850—1855 წლებში იგი უძღოდა ქართულ პროფესიულ თეატრს, 1852—1853 წლებში კი ჟურნალ „ცისკარსაც".

გიორგი ერისთავის შემოქმედება არსებითად თავიდანვე რეალისტური იყო, თუმცა ადრე ხარკს უხდიდა რომანტიზმსაც[1]. ქართული რეალისტური ეპოსის ერთ-ერთი ადრინდელი ნიმუშია მისი პოემა „ოსური მოთხრობა" (1832 წ.), რომლის ძირითადი იდეა სამშობლოსათვის თავდადება და ეროვნული ჩაგვრისაგან მისი განთავისუფლებისაკენ მოწოდებაა. ეროვნული და სოციალური უსამართლობა კრიტიკულ-რეალისტურადაა ასახული მის მრავალ ლირიკულ ლექსშიც.

გიორგი ერისთავი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უწინარეს ყოვლისა აღიარებულია პირველ დიდ კომედიოგრაფად. მისი ორიგინალური თუ გადმოკეთებული კომედიები: „შეშლილი", „დავა" (1840 წ.), „გაყრა" (1849 წ.), „ძუნწი" (1850 წ.), „ყვარყვარე ათაბაგი" და სხვ. რეალისტურად გვიხატავენ 50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ფეოდალური მეურნეობის რღვევასა და თავადაზნაურობის დაცემას, კაპიტალიზმის განვითარებას და ცარიზმის ბიუროკრატ მოხელეთა გახრწნას, კონსერვატორ და ლიბერალ მემამულეებს, გაქნილ და გაძუნწებულ ვაჭრებს, გათვალთმაქცებულ შინამოსამსახურეებს. პირეკლიანი სატირით ჩხვლეტს დრამატურგი ბატონყმური ცხოვრების სიდუხჭირეს, ვაჭრული საქმიანობის პედანტიზმს, ბიუროკრატიის შეზღუდულობას და ხან სიბრალულის გრძნობა იპყრობს, ხანაც აშკარა პრო-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956, გვ. 302.

ტესტს გამოთქვამს ადამიანთა მორალური გადაგვარების გამო. მისი თანამედროვე რომანტიკოსებისაგან გიორგი ერისთავი განსხვავდება სამწერლო ენითაც, რომელიც ახლო დგას ხალხურ, სასაუბრო მეტყველებასთან, მასავით სადა და უბრალოა.

გიორგი ერისთავის კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურული სკოლიდან გამოვიდა დრამატურგი ზურაბ ანტონოვი (1820—1854 წწ.), რომლის სოციალურ კომედიებში („მზის დაბნელება საქართველოში", „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა"), საყოფაცხოვრებო დრამასა („ქორწილი ხევსურთა") და ვოდევილებში („ქმარი ხუთი ცოლისა") თავად-აზნაურთა და ვაჭართა გვერდით დახატულია მათ მიერ ჩაგრული დაბალი წრის ხალხიც, უმთავრესად გლეხები. გიორგი ერისთავის რეალიზმი ზურაბ ანტონოვმა დემოკრატიზმით გაამდიდრა, თუმცა მის მიერ დახატული მდაბიონი მოკლებულნი არიან მებრძოლ განწყობილებას[1].

მშრომელი გლეხობის ჩაგრული და უმწეო მდგომარეობა მთავარ თემად იქცა პოეტის, დრამატურგის და ეთნოგრაფის რაფიელ ერისთავის (1824—1900 წწ.) შემოქმედებაში. ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლეს წრეში აღზრდილმა რაფიელ ერისთავმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების უმეტესი დრო სახელმწიფო სამსახურში გაატარა. მან თანამიმდევრულად განვლო სამსახურებრივი კიბის მრავალი საფეხური კანცელარიის თარჯიმნიდან მაზრის უფროსამდე. ამას ხელი არ შეუშლია თავისი დროის გამოჩენილი სახალხო პოეტისათვის მშრომელი გლეხობის ჭირისუფალი და მზრუნველი ყოფილიყო.

რაფიელ ერისთავის სამწერლო მოღვაწეობა XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს იწყება, მისი პირველი ლექსები 1852 წელს გამოქვეყნდა. თავდაპირველად იგი რომანტიკოსთა და ეპიკურელთა მიმდევარ ლირიკოსად გვევლინება. 1855—1857 წლებშია დაწერილი მისი სოციალური შინაარსის ნაწარმოებები („ბეჩავი", „ნინო", „მთხოვნელი მსაჯულისადმი", „მთხოვარა გლახაკი"), რომლებშიც გამოთქმულია პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ და თანაგრძნობა დაჩაგრული მშრომელი ადამიანებისადმი.

რაფიელ ერისთავის პოეტური შემოქმედება 90-იანი წლების მიწურულამდე გრძელდებოდა. უმიწაწყლო და უმეცარ, გაღატაკებულ და ჩაგრულ, მაგრამ სოციალურ სამართლიანობაზე მეოცნებე და სამშობლოს სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულ ქართველ გლეხობაზე ზრუნვა ბოლომდე დარჩა მისი პოეზიის მთავარ თემად („ბერუას ჩაფიქრება". „ბერუას ჩივილი", „თინიას მამითადი", „სამშობლო ხევსურისა"). მაგრამ ამ თემის გააზრებაც და გადაწყვეტაც რაფიელ ერისთავს ქართული

---

[1] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. I, 1961, გვ. 245—246.

კრიტიკული რეალიზმის დასაწყისის პოეტად წარმოგვიდგენს[1]. იგი რეალისტი და დემოკრატი მწერალია, მაგრამ მის გლეხურ დემოკრატიზმში უფრო მეტად პასიური პროტესტია გამოთქმული: რაფიელ ერისთავის მიერ დახატულ გლეხს ჩამოჰკიდებია ყველა — მემამულეც და მევახშეც, მამასახლისიც და გზირიც. იგი ოცნებობს „შავ მიწაზე", რომელიც საყიდლად გაუხადეს, უსამართლობად მიაჩნია, რომ მიწას მემამულისგან ქირაობს და მხოლოდ თვითონ შრომობს, მაგრამ ამის იქით ვერაფერს ხედავს. თვითონ პოეტი კი გლეხს ზეცისაკენ უთითებს, მოთმინებას და ქედმოხრილობას, ბედისადმი მორჩილებას, მცირედით დაკმაყოფილებას და სიმშვიდეს უქადაგებს: „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდებაო". და მაინც სასაუბრო, ხალხურ ენაზე ამღერებული, ბუნებრივი უშუალობით ნათქვამი მისი სოციალური და პატრიოტული ლექსები მშრომელთა ფართო მასის სულს მალამოდ ხვდებოდა. თაობანი იმეორებდნენ მის მიერ დახატული ხევსურის გულშიჩამწვდომ სიტყვებს: „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა".

უმთავრესად რეალისტური ლიტერატურის აღმავლობამ განაპირობა მხატვრული პროზის აღორძინებაც, თუმცა 50-იან წლებში დაღმავალმა ქართულმა რომანტიზმმაც სცადა შერყეული პოზიციების განმტკიცება ორიგინალური (გრ. რჩეულიშვილის რომანები) თუ ნათარგმნი პროზაული ნაწარმოებებით. რომანტიკული პროზის მთავარი თემა გარდასულ დროთა დიდება იყო. რეალისტურმა პროზამ თანამედროვეობის დახატვას მიჰყო ხელი.

რეალისტური სოციალური რომანები შექმნა ლავრენტი არდაზიანმა (1815—1870 წწ.). სოციალური წარმოშობით იგი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, განათლებაც სასულიერო სასწავლებელში მიიღო, მაგრამ თბილისის სემინარიის ხელმძღვანელთა უსულგულობით აღშფოთებული სასულიერო წოდებიდან გასულა.

გამოჩენილი მწერლის სახელი ლავრენტი არდაზიანს სოციალურმა რომანებმა — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა" (1861 წ.) და „მორჩილმა" (1863 წ.) მოუხვეჭა. პირველ რომანში უმთავრესად სავაჭრო ბურჟუაზიის წარმოშობისა და განვითარების პროცესია ასახული, მეორეში — თავადაზნაურობის დაცემისა და გადაგვარების. შედარებით მკრთალად გვიჩვენებს მწერალი გლეხობის ცხოვრებას, მაგრამ ორივე რომანში გამოთქმულია პროტესტი მშრომელთა ჩაგვრის საფუძვლის, ბატონყმობის წინააღმდეგ. თავადაზნაურობა მწერალს წარმოუდგება, ერთი მხრივ, გონებრივად და ზნეობრივად გადაგვარებულ მხეცებად, რომ-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956, გვ. 476.

ლებსაც თავიანთ პირუტყვულ ვნებათა დაკმაყოფილების გარდა არაფერი აწუხებს (თეიმურაზი), მეორე მხრივ, განათლებულ, კეთილ, ამაღლებულ ადამიანებად, რომლებსაც ჩაგრულებსა და დამცირებულებზე ჰუმანური ზრუნვა გაუხდიათ მთავარ საქმედ (ალექსანდრე რაინდიძე). ლავრენტი არდაზიანი გმობს ბოროტ მემამულეებს და იდეალად ესახება კეთილი მემამულენი, სოფლური ცხოვრების მყუდროებას შეფარებულნი, მეურნეობის განვითარების გზით გაძლიერებულნი, ჩაგრულებზე მზრუნველნი. მას აუცილებლად მიაჩნია მდაბალთა აღზევებაც ვაჭრობის გზით, მათი მისწრაფება გაუთანასწორდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, მაგრამ არასასურველად თვლის გაძლიერებულ ვაჭართა მიერ სხვათა ჩაგვრას (სოლომონ ისაკიჩი). საზოგადოებრივი სიკეთის დამყარების ერთადერთ გზად მწერალი ყველა ადამიანის **გამდიდრებას,** განათლებასა და ზნეობრივ სრულყოფას მიიჩნევს. მისთვის არ არსებობს ბრძოლით მიწისა და თავისუფლების მოპოვების გზა. მის რომანებში მემამულე მემამულეს ეკინკლავება, ვაჭარი მემამულეს ებრძვის ან ელოლიავება, საზოგადოების მშრომელი უმრავლესობა კი ჩაგრულ, მაგრამ მძინარე მასად გამოიყურება. განყენებული ჰუმანიზმის საბურველით გარემოსილი კრიტიკული სულისკვეთების მიუხედავად, მშრომელთა და არამშრომელთა სოციალურ-კლასობრივი დაპირისპირების საფუძველზე აღმოცენებული კონფლიქტი უყურადღებოდაა დატოვებული ლავრენტი არდაზიანის რეალისტურ სოციალურ რომანებში. მწერლის იდეალი სრულყოფილ ვაჭრობას, განათლებულ მემამულეობასა და გაძლიერებულ მდაბიოთა საზოგადოებას ვერ სცილდება, ხოლო ძლიერთა და სუსტთა სამართლიან, მამაშვილურ ურთიერთობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნის უმთავრეს საშუალებად იგი აღზრდას მიიჩნევს[1].

უფრო შორს იხედებოდა ქართული კრიტიკული რეალიზმის პირველი ეტაპის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი დანიელ ჭონქაძე (1830—1860 წწ.), რომელიც თავისუფალი როდია კეთილ მემამულეთა და უწყინარ ვაჭართა გულკეთილობის საფუძველზე მებატონეთაგან ყმების განთავისუფლების შესაძლებლობის უტოპიისაგან (დურმიშხანის თავდახსნა, ოსმანაღას გამდიდრება), მაგრამ წინა პლანზე სწევს ბატონყმობის მახინჯ მხარეთა კრიტიკას და ყმა გლეხთა ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის (მებატონის მხეცური მოპყრობა ყმებისადმი, მებატონის ოჯახის ამოქლეტა ყმის მიერ). დანიელ ჭონქაძემ ღარიბი ხალხისათვის მისაწვდომი საშუალებებით დაასურათა ბატონყმობის დამხობის აუცილებლობა, თავადაზნაურობის და მისი მსახური სამღვდელოების უსამართლობა, უსინდისოდ გამდიდრებულ ვაჭართა გაიძვერობა. მან ჯერ კიდევ ბატონ-

---

[1] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. 1, 1961, გვ. 335, 342.

ყმობის გადავარდნამდე პირველმა აშკარად და გაბედულად თქვა: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო“. ეს იყო შეჯამება, განზოგადება, კულმინაციურ წერტილამდე მიყვანა ბატონყმობისადმი ოპოზიციური განწყობილებისა, რომელიც ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდხანს მწიფდებოდა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი სულ უფრო და უფრო ნათლად იჩენდა თავს.

იმავე დროს ქართულ განმანათლებლურ, რომანტიკულ და პირვანდელ კრიტიკულ-რეალისტურ ლიტერატურაში ბატონყმური ურთიერთობა ხშირად მამაშვილურ პატრონყმობად იყო მიჩნეული. გვიანდელი დაღმავალი რომანტიზმის და კონსერვატიული ლიბერალიზმის წარმომადგენლები (ალექსანდრე ორბელიანი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ.) საგლეხო რეფორმის წინა და მომდევნო ხანაშიც განაგრძობდნენ ამ კონსერვატიული თვალსაზრისის დაცვას. ისინი არ უარყოფდნენ ქართული ბატონყმობის განახლების საჭიროებას, მაგრამ ურყევად თვლიდნენ მის სოციალურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს რუსეთში საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგაც კი. სწორედ მაშინ, იწყეს ქართული ბატონყმობის უპირატესობის დასაბუთება კონსერვატორმა რომანტიკოსებმა, რომელთა წინააღმდეგ იყო მიმართული „სურამის ციხის“ ავტორის რადიკალურ-დემოკრატიული თვალსაზრისი ქართული ბატონყმური სისტემის უვარგისობის, დრომოჭმულობის, უსამართლობის, ბოროტების შესახებ. დანიელ ჭონქაძის აშკარა და მკაცრი პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ, მისი არაორაზროვანი მოწოდება — „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო“, — აგვირგვინებს განმანათლებლობისა და რეალიზმის პირველ ხანას ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში [1].

„სურამის ციხე“ 1860 წელსვე სწრაფად გავრცელდა, მაგრამ მისი შეფასება მხოლოდ 1863 წლიდან იწყეს კონსერვატორებმაც (ა. ორბელიანი) და დემოკრატებმაც (ა. ფურცელაძე). 1860 წელს გარდაცვლილი დანიელ ჭონქაძეც საჯაროდ, პრესაში მხოლოდ 1863 წელს დაიტირეს და ისიც არალეგალურად (ა. წერეთელი). დანიელ ჭონქაძის გაბედულმა გამოსვლამ ვერ დაარღვია ქართველ საზოგადოებრიობაში იმ დროს გამეფებული, ყრუ, თუმცა დენთის სუნით გაჟღენთილი დუმილი. საჭირო გახდა კიდევ ერთი წელი, რათა ძველი და ახალი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი იდეების ძომხრენი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდნენ ერთმანეთს. 1861 წელს საქართველოში დაბრუნდა ილია ჭავჭავაძე. იმავე წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რ. ერისთავის

---

[1] დ. ჭ ო ნ ქ ა ძ ე, სურამის ციხე, მ. ზანდუკელის რედ.; დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. I, 1961, გვ. 433; მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დანიელ ჭონქაძე და ქართული განმანათლებლობა, „ცისკარი“, 1960, №11.

მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეები, მათი დამცველი სანტიმენტალურ-რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობა და წამოყენებული იყო ენისა და ლიტერატურის ხალხურობის, მწერლობის მიერ ნამდვილი ცხოვრების ასახვის რეალისტური პრინციპების დამკვიდრების მთლიანი პროგრამა. ამ პროგრამის წინააღმდეგ გაილაშქრეს სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა, ბარბარე ჯორჯაძემ, გიორგი ბარათაშვილმა, ექვთიმე წერეთელმა და ძველი თაობის სხვა წარმომადგენლებმა. ილია ჭავჭავაძეს მხარში ამოუდგნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში აღზრდილი აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სამსონ აბაშიძე და სხვ., ე. წ. თერგდალეულები. გაჩაღდა დიდი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. დაიწყო ახალი ხანა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში, — რევოლუციურ-დემოკრატიული განმანათლებლობისა და კრიტიკული რეალიზმის საბოლოოდ დამკვიდრებისა, რომელიც XIX საუკუნის დასასრულამდე გრძელდება. ლიტერატურა დაუახლოვდა ხალხის ცხოვრებას, გამდიდრდა ახალი ჟანრებით, მის ძირითად მოტივებად იქცა ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი, პატრიოტიზმი[1]. 60—90-იან წლებში ქართული პოეზია, პროზა, დრამატურგია, კრიტიკა და პუბლიცისტიკა სტილისტურ-მეთოდოლოგიურადაც მრავალფეროვანი გახდა. ქართულ ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა კრიტიკული რეალიზმი, რომლის უპირველესი და უდიდესი წარმომადგენელი ი. ჭავჭავაძე იყო.

ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობა 1857 წელს იწყება. ამ დროიდან იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. სტუდენტობის წლებში შექმნა მან ქართული პოეზიის მრავალი შედევრი, რომლებიც ინტიმურ დ რელიგიურ განწყობილებებთან ერთად ჰუმანიზმის თვალსაზრისით სოციალური და ეროვნული უსამართლობის დაგმობის, ხალხის თავისუფლების, მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იდეებს შეიცავენ. ადამიანი, რომელიც კაცობრიობის ძნელბედობას დაუდარდიანებია, („სიზმარი“, „როდემდის“), გუთნისდედა გლეხი, რომლისთვის ზეცა წაურთმევიათ, მიწაღა დაუტოვებიათ საჩიჩქნად და პირუტყვთან გაუთანაბრებიათ („გუთნის-დედა“), გლეხზე კიდევ უფრო ჩაგრული და უბედური პროლეტარი („მუშა“), ქართვლის დედა, რომელიც წინათ სამშობლოს მტრებთან მებრძოლ გმირებს ზრდიდა, ახლა კი თვითონვე გამხდარა მამულიშვილური სულისკვეთებით აღსაზრდელი („ქართვლის დედა“), ბუნებით მშვენიერი, მაგრამ მჩაგვრელთა მიერ დამონებული ბატონყმური ქვეყანა, რომლის უბედური ერი გამხდარა „უწყინარი, უჩინარი, ქედდრე-

---

[1] მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა; ვ. კოტეტიშვილ' ქართული ლიტერატურის ისტორია.

კილი... უზრუნველი და მშიერი“ („ბედნიერი ერი“), — ასე დახატა დიდმა ქართველმა პოეტმა-რეალისტმა თავისი დროის საქართველო. მან პოეზიის დანიშნულებად გამოაცხადა არა მარტო ტკბილ ხმაზე მღერა, არამედ „სიძულვილით სიყვარულის“ ქადაგებაც („ჩემო კალამო“), ერის წინამძღოლობა და მოძმეობა, მისი ბედისა და უბედობის გაზიარება, მისთვის ტანჯვის ცრემლის მოწმენდა („პოეტი“), განახლების ძალთა მოძებნა, ხალხის გამოღვიძება და ოპტიმისტური სულისკვეთებით აღზრდა. ილია ჭავჭავაძე უმღეროდა პარიზის კომუნართა „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელ დიდ დროშას“, ნატრობდა ეროვნული ბორკილის მსხვრევის ხმა სამშობლოშიც მოესმინა („მესმის, მესმის“), ოცნებობდა კმირზე, რომელიც სამშობლოს ჩაგვრისაგან იხსნიდა („ბაზალეთის ტბა“), გმობდა მისი დროის საქართველოს კონსერვატიულ ძალებს, რომლებმაც ხელი აიღეს ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაზე, ჩაგრული ერი ჩინებსა და ჯვრებზე გაცვალეს, ხოლო „ლიბერალობა და პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად“ გადააქციეს („პასუხის პასუხი“, „გამოცანები“). ილიას ოპტიმისტური ლექსები ზრდიდა თაობებს, რომლებსაც „წინ უძღოდა ჭეშმარიტება“ და რჩებოდა „კვალი განათლებული“. ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლთა პროგრამად იქცა მისი მოწოდება:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ. უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...“.

ჰუმანისტურ-განმანათლებლური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის ეპიკურ ნაწარმოებებსაც. პოემა „აჩრდილში“ (1859 წ.) დაგმობილია ეროვნული და ბატონყმური მონობა და ხოტბა აქვს შესხმული „შრომის სუფევას“, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო ახალი ქვეყანა. „ქართვლის დედაში“ (1860 წ.) დახატულია საქართველოს და მთელი კავკასიის მომავალი განთავისუფლების სურათი. „კაკო ყაჩაღის“ (1860 წ.) ძირითადი აზრია ბატონყმობის ანტიჰუმანისტური ბუნების გამოაშკარავება, მისი მოსპობის თუ გაუქმების გზით ჩაგრული გლეხობის განთავისუფლების გარდუვალობის ჩვენება. „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ (1878 წ.) სამშობლოსათვის თავგანწირული პატრიოტის ამაღლებული მხატვრული სახეა მოცემული. ილია ჭავჭავაძის ეპოსის გვირგვინია „განდეგილი“ (1883 წ.), რომელშიც დაგმობილია ქრისტიანული ასკეტიზმი, ადამიანის განდგომა რეალური ცხოვრებისაგან.

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მოსპობის გზით ჰუმანისტურ-დემოკრატიული საზოგადოების შექმნის აუცილებლობა კიდევ უფრო ნათლადაა ნაჩვენები ილია ჭავჭავაძის პროზაში. „მგზავრის წერილებში“ (1861 წ.) მშრომელი გლეხის პირით მთელი საქართველო მოითხოვდა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“; „კაცია-ადამიანში?!“ (1863 წ.) ლუარსაბ თათქარიძის სახით ჯვარზეა გაკრული დავრდომილი და გადაგვარებული თავადაზნაურობა, რომელსაც საკუთარ კუჭზე ზრუნვისა და ბუზების თვლის მეტი საქმე აღარ დარჩენია და კაცურ-კაცობა, ადამიანობა პირუტყვულ ცხოვრებაზე გაუცვლია. „გლახის ნაამბობში“ (1859—1873 წწ.) ბატონყმურ მხეცობას მწერალმა დაუპირისპირა კაცთმოყვარეობისა და განათლების ყოვლისშემძლეობის იდეა, უსამართლობის წინააღმდეგ გლეხური პროტესტისა და ბრძოლის ამსახველი სურათები, პირბადე ჩამოხადა თათქარიძეთა მემკვიდრე მებატონეებს, დაასამარა მაღალი წოდება, გააიდეალა კულტრეგერი მღვდელი და მშრომელი გლეხი. ანტიჰუმანურ სოციალურ გარემოში ადამიანის ბუნება მახინჯდება, კაცი ისევე ნადირობს კაცზე, როგორც მხეცზე, თვით მოყვარულ „ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება“, ბატონყმობა კაცურ-კაცობის დავიწყებისა და სისხლისღვრის წყაროა, — ქადაგებდა ილია ჭავჭავაძე. უსამართლო წყობილების დროს პიროვნებისა და საზოგადოების ანტაგონისტური დაპირისპირებულობაა დახატული მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ (1877 წ.). შრომისა და განათლების გზით მაღალი და დაბალი წოდების ადამიანთა შორის ხიდჩატეხილობის დაძლევის პრობლემაა ძირითადი თემა ილია ჭავჭავაძის პროზაული შედევრის „ოთარაანთ ქვრივისა“ (1887 წ.), რომელშიც ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა ქართული ჰუმანისტურ-განმანათლებლური რეალიზმის თავისებურებანი [1].

ჰუმანიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული აკაკი წერეთლის ლირიკული და ეპიკური პოეზია, დრამატურგია და პროზა. მისი შემოქმედებიც იმავე მთავარ საკითხებს დასტრიალებს, რასაც ილია ჭავჭავაძისა. აკაკის ლირიკის მთავარი თემებია დამონებული, მაგრამ აღორძინების გზაზე გამოსული „ცაფირუზ ხმელეთზურმუხტი“ სამშობლო („სალამური“. „განთიადი“, „სულიკო“, „ციკინათელა“), ბატონყმური ჩაგვრით გაწამებული გლეხობა („მუშური“, „გლეხის აღსარება“, „იმერული ნანინა“), რომელიც ეროვნული და სოციალური მონობის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებდა („ნატვრა“, „ხანჯალი“, „ჭაღარა“, „თქვენი ჭირიმე“), ფარული სევდა ხალხის ცხოვრების ძნელბედობის გამო („ჩემო თავო“, „აღ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , რჩეული თხზულებანი, შ. რადიანის და ა. აბაშელის რედ., 1937; კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები; ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის ისტორია; გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, 1966.

მართ-აღმართ“, „მუხამბაზი“). ერი და მშრომელი უმთავრესი საზრუნავია პოეტისა, რომლის სიმღერა მოწოდებულია „სიმართლეს მსახურებდეს... დაჩაგრულს იმ სიმღერით თვალთ ცრემლები ეშრობოდეს“, მჩაგვრელს კი გულში ისარი ესობოდეს („ჩონგური“, „პოეტი“). საქართველოს და ქართველი ხალხის თავისუფლება აკაკი წერეთლისათვის მთელი კაცობრიობის განთავისუფლების ნაწილი იყო. გესლიანი სატირით სუსხავდა პოეტი ყველას, ვინც ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის დროშის ქვეშ არ იდგა. და მაინც აკაკის მთელი შემოქმედება ქართველი ხალხის წარსულის, აწმყოს და მომავლის კრიტიკულ-რეალისტური ასახვაა უპირველეს ყოვლისა. საქართველოს გმირული ისტორია, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა პორტრეტები დახატა პოეტმა „ბაგრატ დიდსა“ (1875 წ.) და „თორნიკე ერისთავში“ (1884 წ.), „ნათელასა“ (1897 წ.), „პატარა კახსა“ (1890 წ.) და „ბაში-აჩუკში“ (1896 წ.). ხალხის უწმინდეს ზნე-ჩვეულებათა დაცვის, მეგობრობისა და სტუმართმოყვარეობის, აღზრდისა და ადამიანის ბუნების კონტრასტულ თვისებათა ყოვლისშემძლეობის ჰიმნია „გამზრდელი“ (1848 წ.). XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრების მხატვრულ-დოკუმენტური სურათია „ჩემი თავგადასავალი“ (1894—1908 წწ.)[1]. ხან თვალწარმტაცი სატრფოს, ხან დატყვევებული თუ დაავადებული ადამიანის, მიჯაჭვული ამირანის, სულიკოს, ციცინათელას და კიდევ ვისი და რისი სახით არ ხატავს პოეტი სამშობლოს და ცდილობს მისდამი დაუძლეველი სიყვარული ჩაუნერგოს ხალხს. ამ მიზნით იგი წარსულის გაიდეალებასაც არ ერიდება. ის საქართველოს ისტორიაში მხოლოდ იმ გმირებს ხედავს, რომლებსაც სწამთ: „ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულიშვილი“. მხურვალე პატრიოტიზმის და დემოკრატიზმის, მხატვრულ საშუალებათა, უწინარეს ყოვლისა, ენის სისადავის გამო აკაკი წერეთელი მისი დროის ყველაზე პოპულარული პოეტი იყო. თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით მან ილია ჭავჭავაძესთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად დიდი როლი შეასრულა ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული ჰუმანისტურ-განმანათლებლური რეალიზმის განვითარებასა და საბოლოოდ დამკვიდრებაში.

80—90-იან წლებში მათი სახელოვანი ტრადიციები გააღრმავეს და ქართული ლიტერატურა ორიგინალური, ჰუმანისტურ-რეალისტური შედევრებით გაამდიდრეს ალექსანდრე ყაზბეგმა, ვაჟა-ფშაველამ, დავით კლდიაშვილმა, რამდენიმედ აგრეთვე შიო არაგვისპირელმა და ვასილ ბარნოვმა.

ჰუმანისტური სიბრალული უდევს საფუძვლად დავით კლდიაშვილის (1862—1931 წწ.) ცრემლნარევ სიცილს, ნაზ იუმორს, რომლითაც იგი

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, გ. აბზიანიძის რედ., ტ. I—X; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940; მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1962.

წარმოგვიდგენს მის მიერ დახატულ „შემოდგომის აზნაურთა“ ტრაგიკომიკურ მდგომარეობას („სოლომონ მორბელაძე“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „დარისპანის გასაჭირი“). ჰუმანიზმია საფუძველი შიო არაგვისპირელის (1867—1926 წწ.) ნოველათა სევდიანი სურათებისა („ესაა ჩვენი ცხოვრება“, „ჩემო შვინდავ“, „მხრები-ღა ავიჩეჩე“). იმავე საფუძველს ემყარება ვასილ ბარნოვის (1856—1934 წწ.) ისტორიზმითა და სიყვარულის რელიგიით გატაცება („სულთა კავშირი“, „ტკბილი დუდუკი“, „თებერას დანიშნული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“). მაგრამ თუ ამ მწერალთა ჰუმანისტურ-რეალისტური შემოქმედება ჯერ კიდევ არაა სავსებით განთავისუფლებული ემპირიზმისა და პროვინციალიზმის ელფერისაგან, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას უაღრესად ეროვნული მხატვრული შემოქმედება იმავე დროს უაღრესად კაცობრიულიც არის [1].

ალექსანდრე ყაზბეგი თვითონვე ახასიათებს მოკლედ იმ სოციალურ სინამდვილეს, რომელმაც მისი უბრალო, მაგრამ დიდბუნებოვანი გმირები წარმოშვა: „ხალხოსნური ერთობა შეირყა და წყნარ-წყნარად ჰქრებოდა; მის მოადგილედ პირადი საჭიროება, პირადი სარგებლობა შეიქნა მოთხოვნილებად. ძმას ძმასთან აღარ ჰქონდა საქმე და მეზობელს მეზობელთან... თვითონ ბუნებაც კი იცვლებოდა, თითქო ჩვეულებრივი ძალა და ფეროვნება დაეკარგაო“. ამ ნიადაგზე აღმოცენებული ორი დაპირისპირებული სამყაროს, კეთილისა და ბოროტის ტიტანური ბრძოლის მხატვრული სურათებია მოცემული ალექსანდრე ყაზბეგის ყველა რომანსა და მოთხრობაში („მამის მკვლელი“, „ციკო“, „მოძღვარი“, „ციცია“, „განკიცხული“, „ელგუჯა“, „ელისო“, „ხევისბერი გოჩა“). კეთილშობილი ადამიანები მარცხდებიან ტლანქ და უაზრო ძალმომრეობასთან ბრძოლაში, თემს ეთხრება საუკუნეების გრძელ მანძილზე დამკვიდრებული მორალური საძირკველი და ცხოვრებაში ამორალური არამზადები ბატონდებიან („ელგუჯა“); საზოგადოებრივის და პირადულის შეტაკებაში იღუპება ის ადამიანიც, ვინც მაღალი სოციალური მორალის დამცველად გამოდის, და ისიც, ვინც სოციალურ ვალდებულებას ივიწყებს და თემს ეთიშება პირადი ბედნიერების მისაღწევად („ხევისბერი გოჩა“); დამპყრობელთა ძალადობა დაუძლეველ დაბრკოლებად ეღობება სიყვარულს გადალახოს სარწმუნოებრივ-ეროვნული ბარიერი („ელისო“); მჩაგვრელ მოძალადეთა მსხვერპლნი ხდებიან ეროვნული და აგრარული მოძრაობის მონაწილენი („მამის მკვლელი“, „ციკო“); მაგრამ საბოლოოდ კეთილის გამარჯვება ბოროტზე მაინც გარდუვალია. მწერლის აზრით, ამის თავდებია „ხალხის შეერთებული ძალა და მისი ამაღლებული სულიერი მდგომარეობა“, რო-

---

[1] გ. ქ ი ქ ო ძ ე, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ცხ. თხზ., ტ. III, 1965, გვ. 334, 398).

ძელიც ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორადაა წარმოდგენილი. არა მარტო ქართულ, მსოფლიო ლიტერატურაშიც ბევრი როდია ნაწარმოები, რომელიც ისე იყოს გამსჭვალული მაღალი ზნეობრივი პათოსით, როგორც ალექსანდრე ყაზბეგის საუკეთესო მოთხრობები [1].

მხატვრულ სიტყვას უპირველეს ზნეობრივ ძალად მიიჩნევდა ვაჟა-ფშაველაც („ნუგეში მგოსნისა", „სიტყვა ეული"), რომლის შემოქმედებაში ჰუმანიზმი კოსმოსურ სიმაღლეზეა აყვანილი და მთელი სამყარო წარმოდგენილია სიყვარულით გაცხოველებულ არსებად, ყოველი უსულო სულიერად, ყოველი უბრალო ბალახი სიბრალულის ღირსად („შვლის ხუკრის ნაამბობი", „ია", „მთის წყარო", „ქუჩი", „მთანი მაღალნი"). მისი ლირიკის ძირითადი თემა ვაჟკაცობა, პატრიოტიზმი, ბუნებისა და ქალის სიყვარულია. ბუნება მის ლექსებში სინათლისა და სიბნელის, ბოროტებისა და სიკეთის დაუსრულებელი ჭიდილის სახითაა დახატული („მთიულის სიმღერა", „გაზაფხული", „დევების ქორწილი"). მაგრამ მისი კონტრასტები მაინც ერთმანეთს უთანხმდებიან და სამყაროს გასაოცარ ჰარმონიას ქმნიან. მთელი ბუნება მბრძანებელიცაა და მონაც, სიკეთის მქმნელიც და ავისაც, მაგრამ მაინც ლამაზია და სიტურფით ჰყვავის („ღამე მთაში"). გმირობისა და თავდადების სურათებია დახატული ვაჟას პატარა პოემებსა და ბალადებშიც („მაცნე", „გიგი", „ჩიტი ხმლისა", „ბაკური", „სიკვდილი გმირისა", „ფშაველი ჯარისკაცის წერილი", „არწივი"). თემისა და პიროვნების ურთიერთობის, ერთა სოლიდარობის, ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების პრობლემებისადმია მიძღვნილი ვაჟას საუკეთესო პოემები „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი", „ბახტრიონი", „გველისმჭამელი" და პიესა „მოკვეთილი", რომლებშიც დახატულია ზოგადადამიანური ხასიათები და მკაფიოდ არის გამოთქმული ჰუმანისტური შეხედულება ადამიანის უმაღლეს იდეალებზე. ვაჟას პოემები, თვით ისეთნიც კი, რომელნიც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის მხატვრულ ასახვას წარმოადგენენ, ზოგადადამიანურ, ზეისტორიულ შთაბეჭდილებას ახდენენ („მოხუცის ნათქვამი")[2]. საერთოდ ჰუმანისტი რეალისტები არ კმაყოფილდებოდნენ ბუნებისა და საზოგადოების ობიექტივისტური აღწერით. ისინი სინამდვილეს გარკვეული ტენდენციის მიხედვით ხატავდნენ, ერთგვარად აიდეალებდნენ მას, რათა ეჩვენებინათ არა მარტო უფერული აწმყო, არამედ შეფერადებული, სასურველი წარსული და მომავალიც.

ჰუმანისტურ-რეალისტურ ნაკადთან ერთად XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში თავი იჩინა შეუფერავ-რეალისტურმა

---

[1] გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩ. თხზ., ტ. III, გვ. 343; იხ. აგრეთვე, ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, რჩ. თხზ., ტ. I, II, გ. ნატროშვილის რედ., 1962.
[2] იქვე, გვ. 361—364.

ნაკადმა, რომლის წარმომადგენლებად პუბლიცისტიკაში ნიკო ნიკოლაძე უნდა ჩაითვალოს, ბელეტრისტიკაში — გიორგი წერეთელი [1], დრამატურგიაში — ავქსენტი ცაგარელი.

გიორგი წერეთლის ერთ-ერთი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოები იყო მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი „მგზავრის წერილები", რომელიც 1866 წელს გამოქვეყნდა და სამოციანელ ქართველ განმანათლებელთა რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის მანიფესტის როლი შეასრულა. „მგზავრის წერილები" ბატონყმობის გაუქმების წინა ხანის საქართველოს ცხოვრებას წარმოგვიდგენს მხატვრული სახეების თუ პუბლიცისტურ მსჯელობათა საშუალებით. მკითხველი ამ ნაწარმოებში ნათლად ხედავს იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, ხალხის ყველა ფენის წარმომადგენელს, მათ დამოკიდებულებას ბატონყმობისადმი, ახალი საქართველოს დაბადების აუცილებლობას. „მგზავრის წერილებში", მართლაც, ისე შეუფერავადაა ნაჩვენები სოციალური სინამდვილე, რომ მკითხველი ამ ნაწარმოების გმირთა ვრცელ გალერეაში მისთვის ცნობილ, რეალურ პიროვნებებს პოულობდა. ცოცხალი ტიპების დახატვის გზით საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი აღწერისა და გადმოცემის ეს მანერა მეტ-ნაკლებად გიორგი წერეთლის მთელი მხატვრული შემოქმედების დამახასიათებელია და სწორედ ამან მოუხვეჭა მწერალს XIX საუკუნის ქართული სინამდვილის მემატიანის სახელი. ბატონყმური საქართველოს ცოცხალი სურათია დახატული გიორგი წერეთლის მეორე ბელეტრისტულ ნაწარმოებში „ჩვენი ცხოვრების ყვავილში", სადაც მთავარ მოქმედ პირად თვითონ ავტორის ოდნავ სახეშეცვლილი ორეულია გამოყვანილი. აქაც პუბლიცისტური პირდაპირობითაა დაგმობილი ბატონყმური ცხოვრება, მისი აღზრდის სისტემა, რომელიც ამახინჯებდა ახალთაობას. 80-იან წლებში გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის ორი საუკეთესო მოთხრობა „რუხი მგელი" და „მამიდა ასმათი", რომლებშიც ნაჩვენებია თავადაზნაურთა „დანგრეული ბუდეები", მათი მატერიალური დაცემის და სულიერი გადაგვარების პროცესი. მაგრამ არსად ისე ნათლად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ დაუხატავს გიორგი წერეთელს XIX საუკუნის საქართველო, როგორც სოციალურ რომანებში „პირველ ნაბიჯსა" (1890 წ.) და „გულქანში" (1895 წ.). ამ რომანებში, ისევე როგორც მთელ თავის მხატვრულ შემოქმედებაში, მწერალი წარმოგვიდგება ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მიუდგომელ მემატიანედ, ბატონყმური და ბურჟუაზიული ჩაგვრის გაბედულ კრიტიკოსად, ქართველი ხალხის უკეთეს მომავალზე მგზნებარე მეოცნებედ.

თუ გიორგი წერეთელმა ბელეტრისტიკაში გააგრძელა გიორგი ერის-

---

[1] იხ. მ. გაფრინდაშვილი, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955, გვ. 252—270.

თავისა და ლავრენტი არდაზიანის რეალისტური ტრადიციები, კომედიოგრაფიის დარგში მათ განმგრძობად გამოვიდა დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი (1857—1902 წწ.). მის კომედიებში შეუფერავადაა ასახული ძველი თბილისის მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრება, დახატულია სიმპათიური ტიპები მხიარული, დარდიმანდი, უანგარო ყარაჩოხელებისა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“).

გლეხთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და მსოფლმხედველობაა გადმოცემული ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში. ხალხოსნურ რეალიზმს ანტონ ფურცელაძემ დაუდო საფუძველი („სამის თავგადასავალი“, „ვაი ძართალთა“, „მაცი ხვიტია“). ხალხოსნური რეალიზმის პრინციპების მიხედვითაა შექმნილი პოეტ იოსებ დავითაშვილის (1852—1887 წწ.) ლექსები, ზაქარია გულისაშვილის (1857—1913 წწ.), ეკატერინე გაბაშვილის (1851—1940 წწ.) მოთხრობები („მაგდანას ლურჯა“), ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიპულ გზაზე“. ქართული ხალხოსნური რეალიზმის ყველაზე ტიპიური წარმომადგენლები არიან ნიკო ლომოური (1852—1915 წწ.) და სოფრომ მგალობლიშვილი (1851—1925 წწ.).

ნიკო ლომოურმა ლიტერატურული მოღვაწეობა ლექსების წერით დაიწყო („ყინვა და პატარა მოწაფე“), მაგრამ მას გლეხთა რეფორმის შემდგომი ცხოვრების რეალისტი მხატვრის სახელი მოუპოვა პატარა მოთხრობებმა („გიგო ღრუბელაშვილი“, „ბედი უბედურთა“, „ყოველის მხრიდან“, „ალი“, „ქაჯანა“), რომლებშიც ნაჩვენებია ქართველ გლეხთა სიღატაკე და უვიცობა, მათი რევოლუციური შეგნების პირველი გაელვება. სოფრომ მგალობლიშვილი ნაკლებ ზრუნავს ნაწარმოების ფორმაზე. მისი მოთხრობები უფრო ხალხოსნური იდეების ილუსტრაციაა, ვიდრე ცხოვრების მხატვრული ასახვა. იგი აიდეალებს ღარიბ გლეხობას, გვიჩვენებს სოფლის სოციალურ დიფერენციაციას, გლეხკაცობის რევოლუციური შეგნების გაღვიძებას, მუქი ფერებით, ნატურალისტის მიუდგომლობით ხატავს სოფლის ცხოვრებას („წარსულიდან“, „ღამის მეხრე ცეცო“, „ჯორზაქარა“). ნატურალისტურ მიდგომას სინამდვილისადმი ამჟღავნებს ზოგი სხვა მწერალი თუ პოეტიც, რომლებმაც 90-იან წლებში დაიწყეს შემოქმედებითი გზა (ლალიონი, დუტუ მეგრელი, სილოვან ხუნდაძე, შიო მღვიმელი).

XIX საუკუნის ქართული ჰუმანისტურ-რეალისტური, შეუფერავ-რეალისტური და ხალხოსნურ-რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს ეგნატე ნინოშვილის (1859—1894 წწ.) შემოქმედება. ახალგაზრდობიდანვე გაურკვეველი პროტესტანტული სულით გამსჭვალულმა, სუსტი ჯანმრთელობის, მაგრამ უკომპრომისო ხასიათის მქონე ეგნატემ ღარიბი ინტელიგენტის მძიმე



ეგნატე ნინოშვილი.

ცხოვრების გზა განვლო. სასულიერო სასწავლებლიდან მგლის ბილეთით დათხოვნის შემდეგ მუდმივად ლუკმაპურის ძიებაში მყოფი მწერალი ჯერ წვრილ მოიჯარადრედ, კანტორის გამგედ და ტელეგრაფისტად მუშაობდა, მერე ასოთამწყობად და პირად მდივნად, ბოლოს ტვირთმზიდავად და მუშად. საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში, მცირე ხნით აგრეთვე საფრანგეთში მოგზაურობისა და საზოგადოების სხვადასხვა წრეში ტრიალის წყალობით მან ცხოვრების მდიდარი გამოცდილება შეიძინა, რამაც დიდი როლი შეასრულა მისი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის კრიტიკულ-რეალისტური და რევოლუციური სულისკვეთების ჩამოყალიბებაში. იგი იყო თავისი დროის უაღრესად პოპულარული მწერალი და ამავე დროს 1893 წელს დაარსებული მესამე დასის ერთ-ერთი მეთაური. მის დასაფლავებაზე, რაც პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა, მესამედასელებმა პირველად გამოთქვეს საჯაროდ თავიანთი მარქსისტული პროგრამა. სამწერლო ასპარეზზე ეგნატე ნინოშვილი 1887 წელს გამოვიდა. მისი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია რომანი „ჯანყი გურიაში“, რომელიც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს გურიის 1841 წლის აჯანყების ამბებს და ამავე დროს მხატვრულად წარმოგვიდგენს აჯანყების იდეურ მეთაურს, რომელიც უფრო სამოციანელ განმანათლებელ და ხალხისან მოღვაწეებს ჰგავს, ვიდრე 40-იანი წლების ქართველ ინტელიგენტს. ოვითონ ეგნატე ნინოშვილიც, ახალი იდეური ჯგუფის ერთ-ერთი მეთაურთაგანი, სავსებით არასდროს განთავისუფლებულა განმანათლებლურ-ხალხისნური შეხედულებებისაგან. იგი ილია ჭავჭავაძის ცალკეულ იდეებს თავის ნაწარმოებთა ეპიგრაფად იყენებდა, კაპიტალიზმის აუცილებლობას თითქმის გიორგი წერეთლისებურად აღიარებდა და ხალხისანივით ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, სადაც შრომის პროდუქტი მშრომელს დარჩებოდა და მთელ ერს, ერის ყოველ ნაწილს — თანასწორად შეეძლებოდა ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად გან-

ვითარება[1]. მისი გმირებიც ჰგვანან ჰუმანისტ, რადიკალ და ხალხოსან რეალისტთა გმირებს, მაგრამ თუ მათ ნაწარმოებებში ერთგვარად გაიდეალებულია ერი და მისი წვრილბურჟუაზიული ნაწილი, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებში მეტი ობიექტურობაა დაცული, დაგმობილია სინამდვილის ყალბი რომანტიზაცია („ჯანყი გურიაში") და სოფლის ხალხის იდეალიზაცია, ნაჩვენებია გლეხობის დანაწილების შედეგად კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება და ახლადფეხადგმული ქართველი ბურჟუაზიული კლასის უპერსპექტივობა („პალიასტომის ტბა", „სიმონა"), ქართველი თავადაზნაურობის და ბიუროკრატიის საბოლოო გახრწნა ყალბი განათლების თუ საკუთრების კულტის პირობებში („ჩვენი დროის რაინდი", „ქრისტინე", „მოსე მწერალი"). ერთი სიტყვით, ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებიდან ის დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ბიუროკრატიულ-პოლიციურ და თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მარტო მაღალი წრეები კი არ იყვნენ დაავადებულნი, არამედ მთელი საზოგადოება საჭიროებდა მკურნალობას, გადახალისებას და გარდაქმნას. მწერალი ცდილობდა ჰუმანური გრძნობები გაეღვიძებინა 90-იანი წლების ქართველ საზოგადოებაში, გამოეწვია სიბრალულის გრძნობა უსამართლოდ დაჩაგრული ხალხისადმი, სიძულვილისა — მჩაგვრელებისადმი[2]. ამავე დროს ეგნატე ნინოშვილი, უფრო კი მისი უმცროსი თანამედროვე რევოლუციონერი პოეტი იროდიონ ევდოშვილი (1873—1916 წწ.), აღარ კმაყოფილდება „სიძულვილით სიყვარულის ქადაგებით"; ლიტერატურაში ჩნდება პირდაპირი და არაორაზროვანი მოწოდება მასობრივი პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედებისაკენ („მეგობრებს", 1895 წ.). იხურებოდა დიდი წიგნი ახალი ქართული კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურისა, იშლებოდა პირველი ფურცლები უახლესი ქართული სოციალისტურ-რეალისტური ლიტერატურისა.

ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. XIX საუკუნემდე ქართული ბეჭდვითი სიტყვა წიგნების გამოცემით შემოიფარგლებოდა. 1799 წელს იოანე ბაგრატიონის მიერ წამოყენებული იდეა ქართული გაზეთის დაარსების შესახებ ვერ განხორციელდა. პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა 1819 წლის 8 მარტს. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი" ეწოდებოდა, მერე — „ქართული გაზეთი". იგი ყოველკვირეულად გამოდიოდა 1821 წლის დამლევამდე. „ქართული გაზეთი" ჯერ რუსულად იწერებოდა, შემდეგ ქართულად ითარგმნებოდა. უმთავრესად რუსული „ტიფლისკიე ვედომოსტის" ქართულ თარგმანს წარმოადგენდა „ტფილისის უწყებანიც", რომელიც 1828—1832 წლებში გამოდიოდა. საქართველოს ამ პირველი რუსული

---

[1] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1935, გვ. 57.
[2] გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩ. თხზულებანი, ტ. III, 1965, გვ. 329.

გაზეთის რედაქტორი იყო პ. სენკოვსკი, რომელიც მისი ქართული ვარიანტის გამოცემას სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით ახორციელებდა. 1832 წელს ს. დოდაშვილმა „ტფილისის უწყებანის“ დამატების სახით გამოსცა ხუთი ნომერი ჟურნალისა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ — პირველი ქართული პერიოდული ორგანო, რომელიც თავის პირდაპირ მიზნად ისახავდა სამსახურს ქართული კულტურის აღმავლობისადმი. ჟურნალი პატრიოტულ იდეებს უწევდა პროპაგანდას და 1832 წლის შეთქმულებით შეშინებულმა მთავრობამ იგი დახურა. ამის შემდეგ 1838 წლამდე საქართველოში გაზეთი ან ჟურნალი აღარ გამოსულა. „კავკასიის ობლასტნიე ვედომოსტის“ და „საქართველოს ფუტკრის“ გამოცემის ცდამ 1834 და 1838 წლებში უნაყოფოდ ჩაიარა. 1838—1841 წლებში პლატონ იოსელიანი ყოველწლიურად ბეჭდავდა ქართულ კალენდარს. 1838 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, რომლის ქართული თარგმანის გამოცემას 1845 წლიდან პლ. იოსელიანი აწარმოებდა. 1846 წელს თბილისში გამოსვლა იწყო ყოველკვირეულმა რუსულმა გაზეთმა „კავკაზმა“, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე მთავრობის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა, მაგრამ ზოგიერთი თანამშრომლის წერილებით პროგრესულ იდეებსაც ქადაგებდა (ნ. ბერძენიშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.). 40-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სცადა გამოეცა პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალები „სინათლე“ თბილისში და „არე“ პეტერბურგში, მაგრამ მიზანი ვერ განახორციელა. 50-იან წლებში ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანო იყო ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც გიორგი ერისთავმა დააარსა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში, უკანასკნელი 1853 წლის დეკემბერში. გიორგი ერისთავის რედაქტორობის დროს „ცისკარს“ არ ჰქონდა გარკვეული მიმართულება, ჟურნალს ეკრძალებოდა პოლიტიკური შინაარსის წერილების გამოქვეყნება, მაგრამ ლიტერატურულ-სამეურნეო ორგანოს სახითაც მან დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის აღორძინების საქმეში. მის ფურცლებზე ქართველ მკითხველთა ფართო წრე პირველად გაეცნო როგორც იმდროინდელ, ისე ადრინდელ ქართველ, რუს და ევროპელ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებს.

1857 წელს „ცისკარი“ აღადგინა და განაახლა ივანე კერესელიძემ, რომლის რედაქტორობით ჟურნალი გამოცემის საბოლოოდ შეწყვეტამდე (1875 წ.) გამოდიოდა. განახლებული „ცისკარი“ უკეთ ემსახურებოდა ქართული კულტურის აღმავლობის საქმეს. მის ფურცლებზე ბევრი დიდმნიშვნელოვანი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები დაიბეჭდა, მაგრამ არც მას ჰქონდა გარკვეული მიმართულება, რაც განსაკუთრებით 60-იანი წლების ახალ ვითარებაში იდეურ-მხატვრული ჩამორჩენი-

ლობის მომასწავებელი იყო. ამ დროსაც მთავრობის ოფიციალური პოლიტიკის მთავარი პროპაგანდისტის როლს ასრულებდა გაზეთი „კავკაზი“, თუმცა იგი ზოგჯერ კვლავ ლიბერალური და თვით დემოკრატიული შინაარსის მასალასაც ბეჭდავდა, განსაკუთრებით იმგვარ დამატებებში, როგორიც იყო, მაგალითად, ჟურნალი „ლიტერატურნი ლისტოკ“ (1864 წ.). მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს პროპაგანდას უწევდა პირველი ქართული საეკლესიო ჟურნალი „სასულიერო მახარობელი“ (1864 — 1868 წწ.), რომელიც გ. ხელაძის რედაქტორობით გამოდიოდა და „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ (1891—1916 წწ.). უფრო პოპულარული იყო საღვთისმეტყველო და სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“ (1883—1910 წწ.), რომელსაც დ. ღამბაშიძე რედაქტორობდა. იგი ქართული სკოლისა და საქართველოს ისტორიის საკითხებსაც აშუქებდა და სწორედ ამით მოიპოვა ხალხის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანათა ლიტერატურული გამომხატველის როლის შესრულებას რეფორმის წინა ხანაში ცდილობდა „ცისკარი“, რომელსაც იმ დროს ი. კერესელიძესთან ერთად წამყვან თანამშრომლებად ჰყავდა გ. თუმანიშვილი, ლ. ალდაზიანი, ა. სავანელი, ა. ორბელიანი, დ. ბაქრაძე, რაფ. ერისთავი, დ. ჭონქაძე, ი. მამაცაშვილი, გრ. ორბელიანი, ა. ფურცელაძე, ა. წერეთელი და სხვ. კონსერვატიზმის და ლიბერალიზმის მიუხედავად, „ცისკარმა“ დიდი როლი შეასრულა ცალკეული რუსული, ევროპული და ქართული განმანათლებლური იდეების გავრცელებაში.

პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა დ. გურამიშვილის, ი. ბაგრატიონის, ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის მხატვრული ნაწარმოებები. მის ფურცლებზე დაიწყო ქართული ენის რეფორმა, დამწერლობის გამარტივება. ამასთან „ცისკარმა“ „აკვნობა“ გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, 60-იან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად „ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“[1]. ახალი, რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის განმანათლებელთა გამოსვლამ და თანამშრომლობამ „ცისკრის“ ფურცლებზე 1861—1867 წლებში გამოაცოცხლა და განაახლა ჟურნალი[2], თუმცა მან ბოლომდე მაინც ვერ აუწყო ნაბიჯი ახალი ცხოვრების სვლას და ძირითადად კვლავ ლიბერალურ ორგანოდ დარჩა.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომლის თანამშრომლები დიდ ქართველ მწე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ცისკარი“, 1857 წლიდან 1862 წლამდინ (თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 221).

[2] ვ. ვ ა ხ ტ ა ნ ი ა, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958, გვ. 42—50. ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საქართველოს მოამბე, 1963, გვ. 8—11.



ჟურნ. „საქართველოს მოამბე“.

რალთან და მოაზროვნესთან ერთად იყვნენ კ. ლორთქიფანიძე, დავით ყიფიანი, მ. ჩიკვაიძე, პ. ნაკაშიძე, ე. მაღალაშვილი, ს. აბაშიძე, ი. ოქროჭვედლიშვილი, გ. წერეთელი, მ. ყიფიანი, ი. ბერიძე, გ. ჩიქოვანი, ს. ბარათაშვილი, ვ. თულაშვილი, ლ. ჯანდიერაშვილი, გ. სულხანიშვილი[1]. „საქართველოს მოამბე“ იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო, რომელმაც პირველმა დაიწყო სისტემატური სახით განმანათლებლური, ეროვნულ-რევოლუციური და უტოპიურ-სოციალისტური იდეების გავრცელება საქართველოში. ჟურნალმა მხოლოდ ერთი წელი გასძლო. 1863 წლის მე-12 ნომრით შეწყდა მისი გამოცემა შესაფერი ლიტერატურული მასალის უქონლობის და უსახსრობის გამო[2]. მაგრამ „საქართველოს მოამბემ“ დიდი გავლენა მოახდინა ქართული დემოკრატიული პრესის, ლიტერატურის და აზროვნების განვითარებაზე 60—70-იან წლებში. მისი პირდაპირი გამგრძელებელი იყო „ივერია“ (1877—1906 წწ.), რომელიც ჯერ ყოველთვიური ჟურნალის, მერე ყოველდღიური გაზეთის სახით გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. „ივერიის“ გამოცემაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძის თანაშემწენი დ. მიქელაძე (მეველე), გ. ყიფშიძე, ა. სარაჯიშვილი, გ. ლასხიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვები, ხოლო გაზეთში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის ჰუმანისტი განმანათლებლები ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ხალხოსნები გ. მაიაშვილი, ს. ჭრელაშვილი, ა. ნანეიშვილი, ვ. წერეთელი და სხვ. „ივერია“ იყო ჰუმანისტური და ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების ნამდვილი ენციკლოპედია, რომელშიც ფართოდ და ღრმად აისახა საქართველოს სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება განსაკუთრებით იმ

---

[1] ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე , საქართველოს მოამბე, გვ. 62—64.

[2] იქვე, გვ. 316—317; იხ. აგრეთვე ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913, გვ. 220; ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა , ქართველი მწერლები, გვ. 28.



1890 № 217

ივერია

1877—18

გაზ. „ივერია“.

დროიდან, როცა გაზეთი ყოველდღიურ ორგანოდ გადაკეთდა (1886 წ.), რარიგ ზომიერიც არ უნდა ჩანდეს „ივერიის“ პუბლიცისტთა იმდროინდელი თვალსაზრისი.

დროის მიხედვით „საქართველოს მოამბის“ უახლოესი მემკვიღრე იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო გაზეთი „დროება“ (1866—1885 წწ.), რომლის პირველი რედაქტორი გიორგი წერეთელი იყო. 1869—1883 წლებში გაზეთ „დროებას“ სერგი მესხი რედაქტორობდა, შემდეგ კი, სა-

№ 28. 1871

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„დროებაზე"

გაზ. „დروება".

ნამ მეფის მთავრობა დახურავდა მას, ივანე მაჩაბელი ხელმძღვანელობდა. მათთან ერთად „დროების“ გამოცემაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი, დ. მიქელაძე (მეველე) და სხვ. მისი უახლოესი თანამშრომელი იყო ა. წერეთელი. 1871—1873 წლებში „დროების“ დამატებად გამოდიოდა ჟურნალი „კრებული“, რომელმაც „დროებასთან“ ერთად დიდი როლი შეასრულა რადიკალურ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური იდეების გავრცელებაში. „დროებასთან“ მიმართულებით ახლო იდგნენ „სასოფლო გაზეთი“, რომელიც 1868—1871 წლებში გიორგი წერეთლის, ხოლო 1872—1879 წლებში პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა. „დროების“ იდეების უცენზურო პრესაში თავისუფლად და ბუნებრივად გადმოცემის ნიმუშს წარმოადგენს ნიკო ნიკოლაძის, დავით მიქელაძის და პავლე იზმაილოვის მიერ 1873 წელს პარიზში ჰექტოგრაფიულად გამოცემული ქართული გაზეთი „დროშა“. რადიკალურ-დემოკრატიული სულისკვეთებითაა გამსჭვალული თბილისური რუსული გაზეთები — კ. ბებუთოვის „ტიფლისკი ვესტნიკი“ (1871—1880 წწ.), ნიკო ნიკოლაძის „ობზორი“ (1878—1880 წწ.), გ. თუმანიშვილის „ნოვოე ობოზრენიე“ (1884—1897 წწ.), რომელთა ფურცლებიდან ქართველი დემოკრატები გაბედულად ილაშქრებდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

1893—1894 წლებში დაარსებული ქართული პერიოდული ორგანოებიდან „დროება“-„კრებულის“ მემკვიდრეობა იკისრეს დემოკრატიულმა გაზეთებმა „კვალმა“ (1893—1904 წწ.), „ცნობის ფურცელმა“ (1896—1906 წწ.) და ჟურნალმა „მოამბემ“ (1894 წ.), რომლებიც შემდეგ მესამედასელთა და ფედერალისტთა ორგანოები გახდნენ. ეს არც იყო შემთხვევითი. „დროება“ თავისი დროის ეროვნული და დემოკრატიული აზროვნების ცენტრი და ტრიბუნა იყო. მთელი ოცი წლის განმავლობაში ცდილობდნენ „დროების“ მესვეურნი თავიანთი გაზეთის ირგვლივ გაეერთიანებინათ ყველა პატრიოტი და დემოკრატი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიან რაზმად. ამასთან, თუ ყოველთვიურ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“, როგორც მისი რედაქტორი ამბობდა, „დროის ინტერესი“ აკლდა, „დროება“ უწინარეს ყოვლისა თანამედროვეობით სუნთქავდა. იგი იყო პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული გაზეთი, რომლის ფურცლებზე მრავალმხრივად აისახა რეფორმის შემდეგდროინდელი ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მომწიფებული მოთხოვნილებანი. 1877 წლიდან ამასვე ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაც“, მაგრამ მისი პროგრამა რამდენიმედ განსხვავებული იყო „დროების“ პროგრამისაგან. 1880 წელს ს. მესხმა და ი. ჭავჭავაძემ სცადეს ამ განსხვავების უგულებელყოფა და ეს ორი ორგანო შეაერთეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ კვლავ განცალკევდნენ.

ხალხოსნური მიმართულების ორგანოს ჰგავდა ყოველთვიური სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „მნათობი“, რომელიც 1869—1872 წლებში გამოდიოდა ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ა. ფურცელაძე, ნ. ინაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, მ. ქიქოძე, გ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, გ. ჭალადიდელი, ა. წერეთელი. ჟურნალი პატრიოტულ და უტოპიურ-სოციალისტურ იდეებს ქადაგებდა. „მნათობის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ მისი ერთ-ერთი ფაქტიური რედაქტორი ანტონ ფურცელაძე ივ. კერესელიძის რედაქტორობით ჯერ კიდევ 1862 წლიდან გამომავალ „მამულის პატრონობისა და ვაჭრობის გაზეთს“ — „გუთნის დედას“ ჩაუდგა სათავეში და არა მარტო აგრონომიული ცოდნის, არამედ დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური იდეების გასავრცელებლადაც იყენებდა მას 1876 წლამდე. 1881—1883 წლებში ხალხოსნური სოციალიზმის იდეების სისტემატურ პროპაგანდას ეწეოდნენ ჟურნალი „იმედი“ მ. გურგენიძის რედაქტორობით და გაზეთი „შრომა“ დ. დადიანის რედაქტორობით. „გლეხური მიმართულების“ ამ ორგანოებში თანამშრომლობდნენ უმთავრესად ხალხოსნები ან მათთან ახლომდგომი პუბლიცისტები — რ. ხომლელი, გრ. ვოლსკი, დ. კეზელი, ს. ჭრელაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ხუდადოვი, ე. ბოსლეველი და სხვ.

80—90-იან წლებში გამოსვლას იწყებს პირველი ქართული საბავშვო ჟურნალები — „ნობათი“ ანდრია ღულაძის რედაქტორობით (1883—1885 წწ.) და „ჯეჯილი“, რომელსაც ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა რედაქტორობდა (1890—1923 წწ.). ამ ჟურნალებმა, რომლებშიც იმ დროის ყველა გამოჩენილი ქართველი მწერალი თანამშრომლობდა, დიდი როლი შეასრულეს ახალგაზრდობის პატრიოტული და დემოკრატიული სულისკვეთებით აღზრდაში.

ზოგადი ხასიათის ჟურნალ-გაზეთებთან ერთად 80—90-იან წლებში გამრავლდა დარგობრივი ორგანოებიც, რომლებიც მეურნეობის და კულტურის ცალკეულ საკითხებს აშუქებდა. 1887 წელს ი. კერესელიძემ სცადა ძველი „ცისკრის“ აღდგენა და სამეურნეო გაზეთის სახით გამოცემა. 1888—1894 წლებში თბილისში ვასილ სულხანიშვილის რედაქტორობით, ხოლო 1895—1898 წლებში ქუთაისში ილია ჭყონიას რედაქტორობით გამოდიოდა ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი „მეურნე“. 1883 წელს ეკატერინე ლორთქიფანიძე ქუთაისში ბეჭდავდა სალიტერატურო ჟურნალს „ქართულ ბიბლიოთეკას“. 1889—1891 წლებში მას მოჰყვა სალიტერატურო კრებული „ცდა“, ხოლო 1897—1900 წლებში „აკაკის თვიური კრებული“. 1885—1890 წლებში გამოდიოდა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი „თეატრი“, რომელსაც სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და ალ. ნებიერიძე. ვ. გუნია 1888—1898 წლებში რედაქტორობდა აგრეთვე „საქართველოს კალენ-

დარს", რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიულ და ლიტერატურულ მასალებს აქვეყნებდა. XIX საუკუნის თბილისში გამოდიოდა აგრეთვე რამდენიმე სომხური და აზერბაიჯანული გაზეთი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მთელი პროგრესული პრესა, კერძოდ, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ისე ხალხოსნური მოძრაობის ჟურნალ-გაზეთები საერთო-დემოკრატიული, ე. ი. არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოები იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, ბატონყმობისა და მისი ნაშთების რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე მთელი ერის, მისი მშრომელი უმრავლესობის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესთა უტოპიური დაცვა იყო მათი ძირითადი შინაარსი XIX საუკუნის მეორე ნახევარში. იმდროინდელმა დემოკრატიულმა პრესამ ნიადაგი მოუმზადა კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული პერიოდის ჟურნალ-გაზეთებს[1].

პრესასთან ერთად იზრდებოდა ქართული წიგნის გამოცემაც. მხოლოდ 1851—1867 წლებში დაიბეჭდა იმაზე მეტი ქართული წიგნი, რაც წინა 50 წლის მანძილზე. თუ წინათ რამდენიმე წლის განმავლობაში საშუალოდ ერთი წიგნი გამოდიოდა, 60-იან წლებში ყოველწლიურად 5—12 წიგნი იბეჭდებოდა, შემდეგ კი რამდენიმეჯერ მეტი. 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი, 1878 წელს — 45, 1893 წელს — 93, 1899 წელს — 112. XIX საუკუნის მარტო უკანასკნელ ათწლეულში თითქმის იმდენივე ქართული წიგნი დაიბეჭდა, რამდენიც მთელი ადრინდელი 275 წლის მანძილზე. უაღრესად გაფართოვდა ქართული წიგნის მკითხველთა წრე. ცოდნას დაეწაფა ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა. წიგნი საყოველთაო სიყვარულისა და ზრუნვის საგანი ხდებოდა. ბეჭდვითი სიტყვა ნათლად გამოხატავდა საზოგადოებრივი მოძრაობის აჩქარებულ მაჯისცემას. ყველაზე მეტი წიგნი სახელმძღვანელოთა სახით იბეჭდებოდა. 1868—1892 წლებში 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო გამოვიდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ძეგლთა გამოცემას, უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმნას, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ხასიათის მეცნიერულ ნაშრომთა გამოქვეყნებას. გრძელდებოდა მისი საქართველოს გარეთ გამოცემის ტრადიცია, მაგრამ ქართული წიგნის გამოცემის ძირითადი კერები თვითონ საქართველოში შეიქმნა. თბილისი კვლავ ხდება ქართული წიგნის გამოცემის უმთავრესი ცენტრი. ბევრი წიგნი გამოდიოდა ქუთაისში და საქართველოს თითქმის ყველა პროვინციულ ცენტრში[2].

---

[1] შდრ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 301.

[2] ქართული წიგნი, 1, 1941, გვ. XVI, XXI.

ქართული პრესისა და წიგნის გამოცემის მანამდე არნახული განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა, ხალხის ფართო მასების გამოღვიძების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების, მისი მეთაურების — გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და განმანათლებლების — თავდადებული მოღვაწეობის შედეგი იყო. ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა დაებრკოლებინა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება, უარს ეუბნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაზე, აწესებდა უმკაცრეს ცენზურას, ხურავდა გაზეთებს, სჯიდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მქადაგებელ რედაქტორებს და პუბლიცისტებს. მეფის მთავრობის მოხელეებმა ნება არ მისცეს ნ. ნიკოლაძეს გამოეცა გაზეთები „რიონი“ და „კანდელი“ ქართულ ენაზე. ასევე მოექცნენ ისინი აკაკი წერეთელს 80-იან წლებში. ცენზურა ამახინჯებდა დემოკრატ მოღვაწეთა ნაწერებს. მეფის მთავრობამ დახურა გაზეთი „ობზორი“ 1880 წელს, გაზეთი „დროება“ 1885 წელს, რვა თვით შეაჩერა გაზეთ „ივერიის“ გამოცემა 1895 წელს. წლების მანძილზე პოლიციური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა „ივერიის“ რედაქტორი ი. ჭავჭავაძე, „ობზორის“ რედაქტორი ნ. ხიკოლაძე. ცარიზმი ეჭვის თვალით უყურებდა ყველა დემოკრატ ჟურნალისტს, რომელნიც არ ეთანხმებოდნენ თვითმპყრობელურ-კოლონიური ჩაგვრის და ძალადობის პოლიტიკას. ამგვარ მძიმე ვითარებაში იქმნებოდა და ვითარდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც ძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას და რაზმავდა ხალხს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

§ 5. განათლება და მეცნიერება

განათლება. მეფის მთავრობის კარიერისტი და რუსიფიკატორი მოხელენი, რომლებმაც არც იცოდნენ და არც სურდათ სცოდნოდათ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურა და განათლება, ქართველ ხალხს უკულტურობას აბრალებდნენ და თავს „საქართველოში განათლების პირველი სხივების შემომტანად“ ასაღებდნენ.

რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე მეფის მთავრობამ გააუქმა ქართული ეროვნული სასწავლებლები და რუსული სკოლების დაარსებას შეუდგა. პირველი ასეთი სკოლა იყო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც თბილისში დაარსდა 1802 წლის 22 სექტემბერს და მალე დაიხურა, რადგან მოწაფეებმა რუსულ ენაზე სწავლა ვერ შეძლეს. 1804 წელს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც თა-

ვიდან ორკლასიანი იყო, 20-იანი წლებიდან ექვსკლასიანად გადაკეთდა, ხოლო 1830 წელს გიმნაზიად. ჩვენში ეს იყო პირველი ოფიციალური საერო სკოლა, სადაც აღიზარდნენ არა მარტო სამოქალაქო და საჰხედრო მოხელენი, არამედ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენიც — გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვები. 1850 წელს გიმნაზია ქუთაისშიც გაიხსნა, ხოლო თბილისის პირველ გიმნაზიას მეორე, კომერციული გიმნაზიაც მიემატა. უფრო ადრე თბილისში დაარსდა ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი, რომელიც 1840 წელს ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა. პანსიონები არსებობდა ვაჟთა გიმნაზიებთანაც. 50—60-იან წლებში თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები დაამთავრეს გამოჩენილმა მწერლებმა და მოღვაწეებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, ალ. ყაზბეგმა და სხვ. 1830 წელს საქართველოს შვიდ მაზრაში გაიხსნა დაწყებითი სასწავლებლები, რომლებსაც აგრეთვე საერო ხასიათი ჰქონდა. ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად ცარიზმი აარსებდა სასულიერო სასწავლებლებს. 1817 წელს გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია თბილისში. 1818 წლიდან დაიწყეს სასულიერო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლების გახსნაც. სემინარიაში ყველა წოდების ახალგაზრდებს ღებულობდნენ. იგი პრაქტიკულ ცოდნასაც უფრო მეტს. იძლეოდა, ვიდრე გიმნაზია. ამიტომ ხალხი მას უფრო ეტანებოდა. სხვადასხვა დროს თბილისის სემინარია დაამთავრეს ს. დოდაშვილმა, დ. ბაქრაძემ, ი. გოგებაშვილმა, დ. ჭონქაძემ, ნ. ლომოურმა, ალ. ცაგარელმა, ვ. პეტრიაშვილმა, ქართული კულტურისა და მეცნიერების ბევრმა სხვა გამოჩენილმა წარმომადგენელმა. გიმნაზიებსა და სემინარიებში სწავლა რუსულად მიმდინარეობდა, მაგრამ 60-იან წლებამდე ქართულ ენასა და ლიტერატურასაც ასწავლიდნენ, ზოგი სხვა საგანიც თავდაპირველად ქართულად ისწავლებოდა.

ცარიზმი ნაკლებად ზრუნავდა სკოლებზე. 30-იან წლებამდე ზემოხსენებული სასწავლებლების შესანახად მთავრობას არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს. ისინი ადგილობრივი სახსრებით არსებობდნენ. სწავლისაკენ ხალხის სწრაფვა კი იზრდებოდა. ქალაქებსა და მსხვილ დაბებში აღმოცენება იწყეს კერძო სკოლებმა და პანსიონებმა, რომლებშიც შეძლებულნი სწავლობდნენ. 40-იანი წლებისათვის ძლიერ ცოტა იყო სასოფლო სკოლები გლეხობისათვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. 1860 წელს საქართველოში იყო ყველა ტიპის 145 დაწყებითი და საშუალო სასწავლებელი, რომლებშიც 7 850 მოსწავლე ირიცხებოდა, ე. ი. ყოველი ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 9—10 კაცი სწავლობდა.

გარდა იმისა, რომ სასწავლო ასაკის ახალგაზრდობის უდიდესი უმრავლესობა სკოლის გარეთ რჩებოდა, თვით სწავლა-აღზრდის პროცესიც ხშირად არადამაკმაყოფილებელი იყო. როგორც სახელმწიფო, ისე განსა-

კუთრებით საეკლესიო და კერძო სკოლები ბევრ შემთხვევაში მოკლებულნი იყვნენ ელემენტარული მეთოდიკური მომზადების მასწავლებლებსაც კი, რადგან პედაგოგთა კადრების მომმზადებელი სპეციალური სასწავლებლები არ არსებობდა[1]. იყვნენ კარგი მასწავლებლებიც, მაგრამ განათლების საქმე უმთავრესად მინდობილი ჰქონდათ კანცელარიის მოხელეებს, დიაკვნებს, ნასალდათარ ადამიანებს. გიმნაზიებსა და სემინარიებში გამეფებული იყო პოლიციური რეჟიმი და უაზრო ზეპირობა, როზგი და „ლინეიკა". სკოლები არ მარაგდებოდა სათანადო სახელმძღვანელოებით და სასწავლო ინვენტარით. ცარცისა და დაფის მაგივრობას ხშირად კვლავ ნახშირი და მამაპაპური ხარის ბეჭის ძვალი ეწეოდა.

სკოლების სიმცირის და ხელმიუწვდომლობის გამო სწავლის წყურვილს დაბალი ხალხი კვლავაც სწავლა-აღზრდის ხალხური, ახალი დროისათვის უკვე შეუფერებელი საშუალებებით იკლავდა. საშინაო აღზრდაში მთავარი ადგილი ძველებურ ოსტატს, მღვდელს ან მეოჯახე ქალს ეჭირა. წერა-კითხვასთან ერთად ისინი ხელობასაც ასწავლიდნენ. სპარტანული ფიზიკური აღზრდა წესად იყო. ქალებს სკოლებშიც კი უფრო მეტს ასწავლიდნენ, ვიდრე ვაჟებს. აქა-იქ შემორჩენილი იყო ბავშვის გაბარება-გაძიძების წესიც. სასწავლებელში ბავშვის პირველი წასვლა დღესასწაულს ჰგავდა. სკოლაში წასვლის წინ ბავშვს მდინარე წყალში ჩააყენებდნენ, ხელში წიგნს მისცემდნენ და „წყალივით კითხვას" დაუბედებდნენ. ოჯახებში არსებობდა „ზეპირი სკოლები", რომლებშიც „ვეფხისტყაოსანს", „დავითიანს", ზღაპრებს თუ ლექსებს სწავლობდნენ. საშინაო სკოლის აღმზრდელი „პროფესიული" შემოსავლით ნაკლებ იყო დაინტერესებული, მას უფრო მეტად გაზრდილის გაზრდილობა ეამაყებოდა. მოსწავლის ფიზიკური დასჯა არ ითვლებოდა აღზრდის საშუალებად[2].

რა მიმზიდველიც არ უნდა ყოფილიყო ქართული ხალხური აღზრდის ზოგი ძველი ტრადიცია, იგი XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში დამკვიდრებულ, დაბალ პედაგოგიკურ კულტურაზე დამყარებულ თვითმპყრობელურ-კოლონიურ საგანმანათლებლო სისტემასთან შედარებითაც კი ჩამორჩენილი ჩანდა. ხალხი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა სწავლა-განათლების ახალი მეთოდების უპირატესობაში და სკოლისაკენ მიილტვოდა. ცარიზმი ვერ აკმაყოფილებდა ხალხის მისწრაფებას განათლებისაკენ, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება და მოწინავე დემოკრატიული პედაგოგიკური აზროვნების თეორეტიკოსთა ბრძოლა აიძულებდა მას განათლების სისტემის ლიბერალური რეფორმა მაინც გაეტარებინა 60-იანი წლების რევოლუციური აღმავლო-

---

[1] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, ტ. II, 1948, გვ. 146.

[2] იქვე, გვ. 211—233.

ბის საპასუხოდ. ხალხი სახალხო და სასარგებლო ცოდნის მომცემ სკოლას. მოითხოვდა. 1864 წლის დებულებით დაწყებითი სახალხო სკოლების. დაარსების უფლება მიეცა ყველა ადგილობრივ ორგანოს და კერძო პირს. სახალხო სკოლა შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა ტიპისა, ხოლო მისი მოსწავლენი ყველა წოდებისანი.

კავკასიის სასწავლებელთა 1867 წელს დამტკიცებული ახალი დებულებით სასწავლებელთა მმართველობა შეიცვალა. ადრე კავკასიის სასწავ-. ლებლები ჯერ ყაზანის სასწავლო ოლქში, მერე ხარკოვის, 1853 წლიდან 1860 წლამდე კი კავკასიის დამოუკიდებელ სასწავლო ოლქში შედიოდნენ. ამ წელს კავკასიის დამოუკიდებელი სასწავლო ოლქი გააუქმეს და სასწავ-. ლებელთა ხელმძღვანელობა გუბერნატორებს დააკისრეს. 1864 წელს ოლქი კვლავ აღდგენილ იქნა, ხოლო 1867 წლის დებულებით სკოლებში რუსული ენის სწავლების გაფართოებასთან ერთად შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლება, თუმცა ამისგან თავისუფლდებოდნენ არაქარ-თველი მოსწავლენი. 1873 წლის დებულებით ქართული ენა საშუალო სასწავლებელთა პროგიმნაზიულ კლასებში დატოვეს და ისიც არასავალ-დებულო საგნის სახით. სახალხო სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების საჭიროება მეფის მოხელეებს მაშინაც არ უარუყვიათ, მაგრამ სინამდვი-ლეში ეს ხშირად არ სრულდებოდა. 1881 წლიდან კი მეფის მთავრობამ გადაწყვიტა დაწყებითი სკოლებიდანაც განედევნა მშობლიური ენა. ქართ-ველი პატრიოტები და დემოკრატები, კერძოდ, გამოჩენილი პედაგოგები იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი თავგანწირულად იბრძოდნენ ქართული დაწყებითი სკოლის სრული რუსიფიკაციის თვით-მპყრობელური გეგმის წინააღმდეგ, მაგრამ ბრძოლა მთავრობის გამარჯვე-ბით დამთავრდა. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დამდეგიდან ქართული ენა თითქმის საბოლოოდ განდევნეს დაწყებითი სკოლებიდანაც.

მეფის მთავრობის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიუხედავად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სწავლა-განათლება საგრძნობლად გაფართოვდა. გაიზარდა სკოლების რიცხვი, გარდაიქმნა ძველი და შეიქმნა ახალი სკოლები როგორც ზოგადსაგანმა-ნათლებლო, ისე პროფტექნიკური, ვაჟებისა და ქალებისათვის. თბილისის მეორე გიმნაზია რეალურ გიმნაზიად გადაკეთდა, პირველი კი ნახევრად-კლასიკურ გიმნაზიად. დაარსდა სახელოსნო სასწავლებლები, გამრავლდა ელემენტარული (დაწყებითი) სკოლები, აგრეთვე პანსიონები, მუსიკალუ-რი და სამხატვრო სკოლები. შეიქმნა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებანი (საბავშვო ბაღები და საკვირაო სკოლები), პედაგოგიკური სასწავლებლები. შემუშავდა და მკვიდრდებოდა აღზრდის ახალი თეორია და მეთოდიკა. 1865 წლის დამლევისათვის საქართველოში

არსებობდა ყველა ტიპის 251 სკოლა, რომლებშიც 11 868 მოსწავლე სწავლობდა. XIX საუკუნის დასასრულისათვის მოსწავლეთა რაოდენობა ბევრად უფრო მეტი იყო. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასკოლო ქსელიც, განსაკუთრებით XX საუკუნის დამდეგიდან. 1901—1902 წლებში საქართველოში არსებობდა 420 დაწყებითი სკოლა და 10-ზე მეტი საშუალო სასწავლებელი, 1913 წელს კი მათი რიცხვი შესაბამისად 773-მდე და 34-ძდე გაიზარდა[1]. მიუხედავად იმისა, რომ ახლაც სასკოლო ასაკის ბავშვთა ორი მესამედი სკოლის გარეთ რჩებოდა, ამ დროს წერა-კითხვის-მცოდნეთა რიცხვის მიხედვით საქართველოს მოწინავე ადგილი ეკავა რუსეთის იმპერიაში. დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქართველი ხალხის ბრძოლას განათლებისათვის ცარიზმის წინააღმდეგ უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ხალხის სწავლა-აღზრდის წინსვლის საქმეს აჩქარებდნენ დიდი განმანათლებლები და გამოჩენილი პედაგოგები.

სახალხო განათლების ქსელის გაფართოების საქმეში რეფორმის შემდეგ დიდი წვლილი შეიტანა ბატონყმობისაგან განთავისუფლებულმა, სწავლამოწყურებულმა გლეხობამ, რომელიც არავითარ ხარჯს არ ერიდებოდა, ოღონდ შვილებისათვის დაწყებითი განათლება მაინც მიეცა. ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს დაწყებითი სკოლაც აღარ აკმაყოფილებდა. ცარიზმის მიერ შევიწროებული სამწლიანი სკოლა, რომელშიც ხშირად სრულიად მოუმზადებელი და შეუფერებელი ადამიანები მასწავლებლობდნენ, ახალგაზრდობას ვერ აძლევდა საჭირო ზოგად და სპეციალურ განათლებას. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ იყო არც გიმნაზიებსა და სამაზრო სასწავლებლებში, რომლებსაც მოსწავლეთა მცირე რიცხვი თუ ამთავრებდა.

ჩამორჩენილ სკოლაზე გულაყრილი და ღარიბი ხალხი განათლების მიღებას თვითგანვითარების გზით ცდილობდა. არასასკოლო სასწავლო დაწესებულებათა შექმნა საქართველოში 30-იანი წლებიდან დაუწყიათ. ამ დროს დაარსებულა პირველი კერძო საჯარო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები არსებობდა სხვადასხვა დაწესებულებებთანაც, მაგრამ ისინი მხოლოდ მაღალი ფენებისათვის იყო ხელმისაწვდომი. 40-იანი წლების დასაწყისში ბიბლიოთეკა გაუხსნია ქართველი ინტელიგენციის ჯგუფს დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით. პირველი სახაზინო საჯარო ბიბლიოთეკა 1846—1848 წლებიდან არსებობდა, მაგრამ იგი მოსახლეობის ფართო ფენებს არასდროს მომსახურებია. 70-იანი წლებიდან ხალხი თვითგანათლებას იძენდა იაფფასიანი ლიტერატურით, რომელსაც ბეჭდავდა პოპულარული წიგნის ბევრი გამომცემელი (პ. უმიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე და სხვ.). ამგვარი გამოცემანი ხშირად სათანადო დონეზე არ იდგა, მაგრამ

---

[1] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა..., გვ. 416. საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, 1962, გვ. 400.

ღარიბი ხალხი მათ მაინც ეტანებოდა. 70-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველი ინტელიგენციის მიერ დაარსებული ივანოვის ბიბლიოთეკა თბილისში და ანტონ ლორთქიფანიძისა ქუთაისში, რომლებიც არსებითად განათლებული ახალგაზრდობის არაოფიციალურ კლუბებსაც წარმოადგენდნენ. მეფის მოხელეთა მიერ დევნა-შევიწროების მიუხედავად, 90-იანი წლებისათვის საქართველოს ქალაქები, დაბები და დიდი სოფლები მოფენილი იყო ბიბლიოთეკა-სამკითხველოთა საკმაოდ ფართო ქსელით. უფრო ადრე ქართული კულტურის მოღვაწეებმა შემოიღეს ლექციების საჯარო კითხვა, რომლებიც ხალხში დიდ ინტერესს იწვევდა. საჯარო ლექციებით გამოდიოდნენ ივანე თარხნიშვილი, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი და სხვ. 60-იან წლებში დაარსდა და 90-იან წლებში ფართოდ გავრცელდა საკვირაო სკოლები, რომლებიც სამრევლო სკოლათა სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობდა და ქართულ ენაზე სწავლებას მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა. ცარიზმი ცდილობდა საკვირაო სკოლებიც რუსულ სკოლებად და გარუსების პოლიტიკის დასაყრდენად გადაექცია, მაგრამ უშედეგოდ. საკვირაო სკოლებში, ისევე როგორც რიგ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებსა და სასკოლო დაწესებულებებში XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე იზრდებოდა ეროვნულ-რევოლუციური და დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული არაერთი საზოგადო მოღვაწე.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება და საშუალო განათლების გაფართოება უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში აუცილებელს ხდიდა ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. საქართველოში უმაღლესი განათლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განახლებას და განვითარებას საჭიროებდა. წინადადება თბილისის, თელავის და გორის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ ჯერ კიდევ 1799 წელს იქნა წამოყენებული. მეფის მთავრობა თვით რუსეთშიც არ ზრუნავდა უმაღლესი განათლების განვითარებაზე, კოლონიურ საქართველოში კი 30-იან წლებამდე გიმნაზიაც არ დაუარსებია, რომ მის აღზრდილებს უფლება ჰქონოდათ უმაღლესი სასწავლებლის ნამდვილი სტუდენტები ყოფილიყვნენ. მეფის მოხელეებს „ველურ“ საქართველოში უმაღლესი სკოლის დაარსების წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ. მაგრამ 1832 წლის შეთქმულებამ ისინი აიძულა თბილისის გიმნაზიის ხუთიოდე კურსდამთავრებულისათვის მაინც მიეცათ რუსეთის უნივერსიტეტებში შესვლის უფლება, 1839 წელს კი, თბილისში „უნივერსიტეტისმაგვარი“ სასწავლებლის დაარსების შესახებაც იშუამდგომლეს იმპერატორთან. ეს შუამდგომლობა პეტერბურგში ნაადრევად მიიჩნიეს, სამაგიეროდ 1849 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კავკასიიდან ყოველწლიურად ხუთის ნაცვლად 160 სტიპენდიანტის გაგზავნა დააწესეს. ამავე დროიდან

მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში კავკასიელ სტუდენტთათვის ქართული ენის სწავლება შემოიღეს. 1854 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის სიტყვიერების განყოფილება გადაკეთდა დამოუკიდებელ ფაკულტეტად, რომელთანაც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დაარსდა. თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე ალაპარაკდნენ ოფიციალური წრეებიც. 1857 წელს შეადგინეს ამიერკავკასიის ლიცეუმის გახსნის პროექტი, მაგრამ მეფის მთავრობამ მისი განხორციელება კვლავ ნაადრევად მიიჩნია.

ქართველ ხალხს და მის დემოკრატიულ ინტელიგენციას მთელი XIX საუკუნის მანძილზე არ შეუწყვეტია ბრძოლა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. განმანათლებელ-დემოკრატებმა 1871 წელს თბილისში ჩამოსული იმპერატორისათვის მისართმევად გამზადებულ ადრესში უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნის შეტანა გადაწყვიტეს. გავლენიანმა კონსერვატორებმა იგი კადეტთა კორპუსის მოთხოვნით შეცვალეს, მაგრამ ამის გამო ატეხილი საჯარო კამათი 90-იან წლებამდე არ შეწყვეტილა. XX საუკუნის დამდეგს მომავალი უნივერსიტეტისათვის შენობაც კი ააგეს, მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა ისე დაემხო, რომ ქართველ ხალხს უმაღლესი სასწავლებელი არ აღირსა.

ცარიზმის ძიერ შექმნილ დაბრკოლებათა მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდობის მცირერიცხოვანი ნაწილი XIX საუკუნეში მაინც ახერხებდა უმაღლესი განათლების მიღებას. იგი არც მკაცრ კლიმატურ პირობებს უშინდებოდა, არც გზის სიშორეს და პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის, ყაზანის უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებოდა რუსული და ევროპული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს. 30-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე რუსეთის უნივერსიტეტებსა და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო განათლება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული კულტურის მრავალმა გამოჩენილმა მოღვაწემ.

მეცნიერება. ახალი ქართული მეცნიერება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩაისახა. მისი ფუძემდებელნი იყვნენ ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ფილოსოფოსი ანტონ ბაგრატიონი, სოციოლოგი ალექსანდრე ამილახვარი და სხვ. XIX საუკუნის დამდეგს ადრინდელ ქართველ განმანათლებელთა მეორე თაობის წარმომადგენლებმა დავით ბაგრატიონმა, იოანე ბაგრატიონმა, სოლომონ დოდაშვილმა და სხვებმა გააღრმავეს წინამორბედთა მეცნიერული საქმიანობა.

იოანე ბაგრატიონმა (1772—1830 წწ.) თხუთმეტი წლის დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა ახალი დროის ქართული მეცნიერული ენციკლოპედია („კალმასობა") და მრავალი ლექსიკოლოგიური, ისტორიოგრაფიული და სხვა ხასიათის ნაშრომი. დავით ბაგრატიონმა (1767—1819 წწ.)



მარი ბროსე.



დავით ჩუბინაშვილი.

რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა სამშობლოს ისტორიას („საქართველოს ისტორია“, „ახალი ისტორია“ და სხვ.). ისტორიოგრაფიასთან ერთად იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგშიც მუშაობდა. მის კალამს ეკუთვნის ფიზიკის სახელმძღვანელო, რომელშიც გათვალისწინებულია მაშინდელი მეცნიერების მონაპოვარი ამ დარგში. სოლომონ დოდაშვილმა (1805—1836 წწ.) ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაწერა და 1827 წელს გამოსცა ფილოსოფიური ნაშრომი „ლოგიკა“, რომელსაც მთელი რუსეთის საშუალო სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ იყენებდნენ. 1830 წელს მან გამოაქვეყნა აგრეთვე საენათმეცნიერო ნაშრომი („შემოკლებული ქართული გრამატიკა“) და შეადგინა ქართული წერის დედანი. იგი ქართული ლიტერატურის ისტორიასაც იკვლევდა. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონმა (1818—1876 წწ.) აღმოაჩინა მინერალ ორთიტის ახალი სახეობა („ბაგრატიონიტი“), შეიმუშავა ოქროს ძოპოვება-დამუშავების (ციანირების) რაციონალური ხერხი და გამოიგონა ახალი გალვანური ელემენტი, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფიზიკის განვითარებაში. თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846 წწ.) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იყო არჩეული მეცნიერული ნაშრომებისათვის საქართველოს ისტორიისა („ივერიის ისტორია“)

და რუსთველოლოგიის დარგში. მარი ბროსემ (1802—1880 წწ.), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, მრავალი ისტორიულ-ფილოლოგიური ნაშრომი (მაგალითად, „საქართველოს ისტორია“) გამოაქვეყნა საქართველოს კულტურული წარსულის შესახებ. მან ბ. ფალავანდიშვილთან და დ. ჩუბინაშვილთან ერთად 1841 წელს მეორედ გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. დავით ჩუბინაშვილმა (1814—1891 წწ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენებისა და სიტყვიერების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორმა, შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და ქართული ენის გრამატიკა. 50-იან წლებში მან პირველმა წამოაყენა ქართული ანბანის რეფორმის იდეა. პლატონ იოსელიანმა (1809—1875 წწ.) მრავალრიცხოვან ისტორიულ-ფილოლოგიურ ნაშრომებში გადმოსცა საქართველოს მდიდარი წარსულის ამსახველი ფაქტები. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. ბაგრატიონის, სულხან ბარათაშვილის ისტორიული ნაშრომებიც. გერასიმე ქიქოძემ 1858 წელს გამოაქვეყნა ვრცელი მეცნიერული ნაშრომი „ცდილეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელშიც მოცემულია იმ დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განზოგადება, „ჭეშმარიტ“ რელიგიასთან ერთად მეცნიერების განვითარების საჭიროების დასაბუთება.

დიმიტრი ბაქრაძემ (1827—1890 წწ.), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მრავალი გამოკვლევა გამოაქვეყნა საქართველოს კულტურის, პოლიტიკური ისტორიის და არქეოლოგიის საკითხებზე („კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, „ქართული პალეოგრაფია“, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-10 საუკუნემდე“ და სხვ.). მან პირველად გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, აღმოაჩინა და გამოაქვეყნა იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“. დ. ბაქრაძის თაოსნობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი ქართული ისტორიული ძეგლებისა და ხელნაწერების დასაცავად. მისი მონაწილეობით ჩამოყალიბდა აგრეთვე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელმაც აღწერა ძველი საქართველოს მატერიალური კულტურის არაერთი ძეგლი. ამ საზოგადოების წინადადებით 1881 წელს თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლის დაწყებას. იაკობ გოგებაშვილმა (1840—1913 წწ.) შექმნა დაწყებითი სკოლის მეცნიერული სახელმძღვანელოები „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ბოსწავლეთათვის“ (1865 წ.), „ბუნების კარი“ (1868 წ.), „დედა ენა“ (1876 წ.), „რუსსკოე სლოვო“ (1887 წ.). მოსე ჯანაშვილმა (1855—

1934 წწ.) მეცნიერულად გამოსცა ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლი, 1884 წელს კი გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. 90-იან წლებში გამოქვეყნდა თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ ერთი ნაწილი, აგრეთვე ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო სახოკიას პირველი სამეცნიერო ნაშრომები. ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929 წწ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, დ. ჩუბინაშვილის შემცვლელი ქართული ენის კათედრაზე, მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა ქართული ენის, ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მას ეკუთვნის ვრცელი საენათმეცნიერო გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები“ (1880 წ.) და ლიტერატურულ-ისტორიული ნაშრომი „ჩვენი უბედური ლიტერატურა ამ საუკუნეში“ (1870 წ.). შემდეგ მან სამ ტომად გამოსცა ქართული მწერლობის ძეგლთა აღწერილობა, აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XVIII საუკუნეში. ალექსანდრე ხახანაშვილმა (1862—1911 წწ.), მოსკოვის უნივერსიტეტის და ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა, მრავალი ნაშრომი უძღვნა საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას. 1895 წელს გამოქვეყნდა პირველი წიგნი მისი ოთხტომიანი გამოკვლევისა „ქართული სიტყვიერების ისტორია“. ზაქარია ჭიჭინაძეს ეკუთვნის გამოკვლევები ძველი და ახალი ქართული კულტურის რიგ პრობლემათა და მოღვაწეთა შესახებ.



პლატონ იოსელიანი.

ივანე თარხნიშვილმა (1846—1908 წწ.), პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორმა, 1887 წლიდან, მისი მასწავლებლის ი. სეჩენოვის შემდეგ, ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ, ჯერ კიდევ 1871 წელს გაითქვა სახელი თბილისში წაკითხული ლექციით „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“. შემდეგ მან გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი, რომლებსაც საფუძვლად უდევს ფიზიოლოგიური პროცესების ექსპერიმენტული კვლევა. ვასილ პეტრიაშვილის (1845—1908 წწ.), ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის, მრავალრიცხოვან მეცნიერულ ნაშრომებში მთავარი ადგილი ეჭირა გამოკვლევებს აგროქიმიის დარგში. მისი ნაშრომები ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას მეცნიე-

რულ საფუძველზე, მეცნიერული ტექნოლოგიის დამკვიდრებას მეურნეობაში, კერძოდ, მის ისეთ დარგებში, როგორიცაა მეღვინეობა. პეტრე მელიქიშვილი (1850—1927 წწ.), ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის პროფესორი, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი, 1899 წელს მის მოწაფესთან ლ. პისარჟევსკისთან ერთად დაჯილდოებულ იქნა ლომონოსოვის პრემიით.

ნაწილობრივ საბუნებისმეტყველო, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას XIX საუკუნის საქართველოში დიდი სამსახური გაუწიეს ქართველ განმანათლებელთა ნაშრომებმა ქართული ენის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიის, პედაგოგიკის საკითხებზე [1].

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და XIX საუკუნის საქართველოში ეროვნულ-სამეცნიერო დაწესებულებათა არარსებობის გამო ქართველ მეცნიერთა უმრავლესობას სამშობლოს გარეთ უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, არა მარტო საქართველოს წარსული და იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების რუსეთში მომუშავე მკვლევართ, არამედ რუსული ბუნებისმეტყველების ქართველ წარმომადგენლებსაც კი თითქმის არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ კულტურასთან, რომლის განახლებისა და განვითარებისათვის ისინი საქართველოში მომუშავე მეცნიერებთან ერთად იღვწოდნენ. ამ ერთობლივი მუშაობის უმთავრესი შედეგი იყო ის, რომ XIX საუკუნეში, ერთი მხრივ, საფუძველი ჩაეყარა მრავალდარგოვან მეცნიერულ ქართველოლოგიას, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველმა მეცნიერებმა თავი გამოიჩინეს რუსეთის და მისი მეშვეობით დასავლეთ ევროპის მეცნიერების ფართო ასპარეზზე. ამ საფუძველზე ყალიბდება ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით XX საუკუნის პირველი ათეული წლებიდან ქართული მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ლიტერატურისმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სხვ., რომელთა შექმნასა და განვითარებას იმ დროს სათავეში ჩაუდგნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე და სხვ.

ქართველი ხალხის წარსულმა XIX საუკუნეში რუს და უცხოელ მკვლევართა ყურადღებაც მიიპყრო. 1802 წელს გამოქვეყნდა ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომი „საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სასწავლო-საგანმანათლებლო მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა“. ბევ-

---

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 468—471, 578—581.

რი საისტორიო მასალაა თავმოყრილი მომდევნო ხანის არაერთი რუსი ისტორიკოსის (ბერჟე, დუბროვინი, პოტო, ივანენკო, ბუტკოვი, მარკოვი, სეგალი, ეგიაზაროვი და სხვ.) ნაშრომებშიც, განსაკუთრებით „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში", რომელიც რამდენიმე ტომად გამოიცა. დასავლეთევროპელ მეცნიერთაგან ერთ-ერთმა პირველმა ფრ. ალტერმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ლიტერატურის შესახებ" ჯერ კიდევ 1798 წელს. მნიშვნელოვანია ა. ჰაქსტჰაუზენის „ამიერკავკასიის მხარეც". ბროსეს და განსაკუთრებით ნიკო მარის ნაშრომების შემდეგ ქართულ კულტურას ნაშრომები უძღვნეს XX საუკუნის დამდეგს ა. ჰარნაკმა, რ. ბლეიკმა, ფრ. ფინკმა, ა. ბაუმსტარკმა, ი. კარსტმა და სხვ. უფრო ადრე საქართველოს კულტურის ისტორიის საკითხებს ეხებოდა პ. უსლარი, რომელმაც პირველმა შეადგინა აფხაზური ანბანი 1862 წელს.

განახლებისა და განვითარების მიუხედავად ქართული მეცნიერული აზროვნება 90-იან წლებამდე კვლავ რჩებოდა განმანათლებლობის ჩარჩოებში. მოვლენებისადმი მატერიალისტური მიდგომის საყურადღებო ცდები ვერ სძლევდა იდეალისტურ მეთოდოლოგიას, რომელიც გაბატონებული იყო საზოგადოებათმეცნიერებაში. იმ დროის ქართული მეცნიერება უმთავრესად ფაქტების შეგროვებით იფარგლებოდა. მაგრამ ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მეცნიერული აზროვნების განახლებისა და აღორძინებისათვის, მომდევნო ხანაში ქართული მეცნიერების განვითარების ახალი, უფრო მაღალი ეტაპის მომზადებისათვის.

§ 6. ხელოვნება

ხუროთმოძღვრება. XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში ხუროთმოძღვრება უმთავრესად ქალაქების, კერძოდ, თბილისის განვითარებას უკავშირდება. ხალხური საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრება იმ დროს კვლავ ტრადიციულ ეროვნულ ფორმებს ემყარება. ქალაქებშიც გავრცელებული იყო მცირე ზომის ორსართულიანი აივნიანი და ბანიანი სახლები. 40-იანი წლების თბილისში სხვა ტიპის სახლებს ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზები სჭარბობდნენ. უმეტესად ფერდობებზე განლაგებულ მდაბიო მოქალაქეთა დარბაზებისაგან შეძლებულთა დარბაზები იმით განსხვავდებოდა, რომ ისინი უფრო კარგად ნაშენ, დიდ და ფართო ნაგებობებს წარმოადგენდა. XIX საუკუნის დამდეგს აშენდა გვიანდელი რუსული კლასიციზმის სტილის რამდენიმე სახაზინო შენობაც (მეფისნაცვლის პირვანდელი სასახლე).

50-იანი წლებიდან ადგილობრივი ტრადიციები სუსტდება და ქალაქების საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრებაში უმთავრეს ადგილს იჭერს ეგრეთ წოდებული შემოსავლიანი, ესე იგი რამდენიმესართულიანი სახლი, რომელიც ძრავალ გასაქირავებელ ბინას შეიცავდა. ვითარდება სავაჭრო-სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაც. 60—70-იანი წლებიდან საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით თბილისის ხუროთმოძღვრება მთლიანად წაილეკა იმპორტული ხუროთმოძღვრებით, რომელიც თავისი ხასიათით ეკლექტურად უკავშირებდა ერთმანეთს სხვადასხვა სტილის, ეპოქისა და ქვეყნის ხუროთმოძღვრების ცალკეულ ელემენტებს (რენესანსული, მავრული, კლასიცისტური, ბაროკული სტილი). ასეთი იყო, მაგალითად, 1864 წელს შედგენილი საკონკურსო პროექტები მეფისნაცვლის ახალი სასახლისა. ისინი არც ტრადიციას უწევდნენ ანგარიშს, არც ახალი თბილისის საჭიროებას. ეს პროექტები არ განხორციელებულა, რადგან ახალი სასახლის აშენების ნაცვლად ძველის რეკონსტრუქცია მოახდინეს. ძველი შენობა, რუსული კლასიციზმის ნიმუში, რენესანსულ-მავრული სტილის ნაგებობად აქციეს (ხუროთმოძღვარი ო. სიმონსონი). სპეციფიკურად თბილისური ფასადებისადმი დაპირისპირებული რენესანსული ფასადები ჰქონდა სასტუმრო „ორიანტს“ და კათოლიკეთა ეკლესიას (ხუროთმოძღვარი ი. ზალცმანი). რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს რუსულ-ბიზანტიური სტილით აშენებდნენ, ქართული ეკლესიები როგორც სოფლად, ისე ქალაქად ტრადიციული ფორმებით შენდებოდა (სამების და მთაწმიდის ეკლესიები თბილისში, აბასთუმნის ეკლესია).

80-იანი წლებიდან საქალაქო მშენებლობაში სტილისტიკური ქაოსი მეფობდა: ხუროთმოძღვრება, რომელმაც კლასიციზმის შემდეგ რენესანსული სტილიზაციის საფეხური განვლო, ახლა ბაროკოს დეკორაციულ ფორმებს იყენებდა. სახაზინო თეატრისა და ქალაქის საბჭოს შენობათა, აგრეთვე რიგი საცხოვრებელი სახლების ფასადებში ეკლექტურადაა განმეორებული მავრული ხუროთმოძღვრების ფორმები. მეაბრეშუმეობის სადგურს, სასულიერო სემინარიას რუსული ხუროთმოძღვრული სამოსელი მოსავს. რენესანსულ-ბაროკული სტილით და მაღალი პროფესიული ოსტატობითაა ნაშენი დიდუბის ტაძარი, სურათების გალერეა, არტისტული საზოგადოების (ახლა რუსთაველის) თეატრი, კონსერვატორია, სასტუმრო „თბილისი“, აგრეთვე დიდი მთავრის სასახლეები ბორჯომში, ქუთაისის საოლქო სასამართლოს და გიმნაზიის შენობები. ამგვარ შენობათა შორის უდიდესი და უმნიშვნელოვანესია ქართული გიმნაზიის (უნივერსიტეტის) შენობა, რომელიც ევროპულად განათლებული პირველი ქართველი ხუროთმოძღვრის სიმონ კლდიაშვილის (1865—1920 წწ.) პროექტით იქნა აგებული. დღემდე იგი თბილისის საუკეთესო სასწავლო ნაგებობად ითვლება.

ხუროთმოძღვრებაში ეკლექტიზმის გამეფების, გენერალური გეგმების უქონლობის, ტრადიციული სახის დაკარგვის მიუხედავად, საქართველოს ქალაქებს მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქართულ იერს, მკაფიო თავისებურებას და ინდივიდუალობას უნარჩუნებდა ძველი დროიდან შემორჩენილი საცხოვრებელი კვარტალები და მონუმენტური ძეგლების ნაშთები, მკვეთრად გამოსახული რელიეფი, რომელსაც ითვალისწინებდნენ ტრადიციულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული თვით ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროსაც (აივნები, ზოგან ბინების განლაგებაც)[1].

ქართული თეატრი. ქართული თეატრი აღდგენილ იქნა მხოლოდ 50-იანი წლების დამდეგს. იმ დროისათვის თბილისში არსებობდა რუსული დრამის და იტალიური ოპერის თეატრები, რომლებიც მდაბიო ხალხის ფართო მასისათვის ხელმიუწვდომელიც იყო და გაუგებარიც.

ახალი ქართული თეატრის შექმნის იდეა დაიბადა მანანა ორბელიანის სალონში. თეატრის ხელმძღვანელობა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა იკისრა. მანვე შექმნა მსახიობთა მუდმივი დასი. თეატრმა პირველი სპექტაკლი გამართა 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში. წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა". სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. თეატრს ჰყავდა ნიჭიერი მსახიობებიც და დრამატურგებიც (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, გ. ჯაფარიძე, გ. დვანაძე, ი. კერესელიძე და სხვ.). გ. ერისთავი თეატრს 1854 წლამდე ხელმძღვანელობდა და მანამდე ყოველი თეატრალური სეზონიც წარმატებით მთავრდებოდა. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ პროფესიულ რეალისტურ თეატრს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველ საზოგადოებაში პატრიოტულ ძალთა გამოღვიძებას, ცხოვრების განახლებისათვის ხელშეწყობას. მეფის მოხელენი ძალე მიხვდნენ, რომ ქართული თეატრი არისტოკრატიული ფენების გასართობი ადგილიდან ეროვნული სულისკვეთებით ხალხის აღზრდის კერად იქცეოდა და თეატრს მატერიალური დახმარება მოუსპეს, ხოლო მისი ხელმძღვანელი აიძულეს თბილისიდან წასულიყო. 1854 წლიდან თეატრს ჯერ ზურაბ ანტონოვი, მერე ივანე კერესელიძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ უბინაობისა და უსახსრობის გამო მისი საქმე სულ უარესდებოდა. 1856 წელს თეატრმა არსებობა შეწყვიტა.

არაოფიციალურად წარმოდგენები შემდეგაც იმართებოდა, მაგრამ 1879 წლამდე მუდმივი ქართული თეატრი აღარ არსებულა. ამ წლიდან იწყება ახალი, მაღალი საფეხური ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ქართული კულტურის მოღვაწეთა ჯგუფმა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით კვლავ აღადგინა პროფესიული თეატ-

---

[1] ე. ბ ე რ ი ძ ე, ქართული ხუროთმოძღვრება 1865—1921 წწ. (ხელნაწერი), გვ. 2—20.

რი. ერთი წლის შემდეგ დრამატიული თეატრი დაარსდა ქუთაისშიც. XX საუკუნის დამდეგს პროფესიული თეატრი ჩამოყალიბდა ბათუმში. ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ სცენის უნიჭიერესი ოსტატები, გამოჩენილი ქართველი მსახიობები და რეჟისორები — ვასო აბაშიძე (1854—1926 წწ.), ლადო მესხიშვილი (1857—1920 წწ.), ნატო გაბუნია (1859—1910 წწ.), მაკო საფაროვა-აბაშიძისა (1860—1940 წწ.), კოტე ყიფიანი (1849—1921 წწ.), კოტე მესხი (1859—1914 წწ.) და ვალერიან გუნია (1862—1938 წწ.). წარმატებით იდგმებოდა არა მარტო ქართველი, არამედ რუსი, სომეხი და დასავლეთევროპელი დრამატურგების კლასიკური ნაწარმოებები. 80—90-იანი წლების რეაქციის და პირველი რევოლუციის ხანაში ქართული თეატრის სცენა განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნად გადაიქცა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა პატრიოტული პიესები „სამშობლო“ დავით ერისთავისა და „ღალატი“ ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინისა.

ქართული პროფესიული თეატრი ძალებს იკრებდა თვითმოქმედი დრამატული წრეებიდან, რომლებსაც თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას უწევდა. თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების მძლავრმა ნაკადმა 90-იან წლებში პროფესიული თეატრის პარალელურად იწყო არსებობა სახალხო თეატრის სახით. სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობამ ვასო თევდორაშვილის მეთაურობით მუდმივი წარმოდგენების გამართვა იწყო ავჭალის მოედანზე მდებარე საჩაიეში. 1893 წლის 23 სექტემბერს სახალხო თეატრმა იოსებ იმედაშვილის რეჟისორობით დადგა პირველი ღია სახალხო წარმოდგენა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ავქსენტი ცაგარლისა. მომდევნო წლებში იდგმებოდა როგორც ქართული („არსენა“ ა. ყაზბეგისა და სხვ.), ისე ნათარგმნი პიესები („პეპო“, „რევიზორი“, „ყაჩაღები“, „ურიელ აკოსტა“ და სხვ.). 1908 წელს აშენდა სახალხო სახლი (აწინდელი მარჯანიშვილის თეატრი), სადაც 1909 წლის აპრილიდან დაბინავდნენ თბილისის ქართული, სომხური და რუსული სახალხო თეატრები, შემდეგ კი მათ მიემატა აზერბაიჯანული და სხვა თვითმოქმედი წრეები. აქვე იმართებოდა კონცერტები და ლიტერატურული საღამოები. სახალხო თეატრები შეიქმნა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში (ე. წ. „რკინის თეატრი“), თელავში, ხაშურში, ჭიათურაში, ხონში, კავკავში და სხვ. ქართული სახალხო თეატრების სპექტაკლებში დროდადრო პროფესიული თეატრის სახელგანთქმული ოსტატებიც მონაწილეობდნენ. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ დ. კლდიაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ნიკო გოცირიძე, ა. იმედაშვილი და ქართული სასცენო ხელოვნების სხვა გამოჩენილი ოსტატები. სახალხო თეატრიც განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის კერა იყო.

სახვითი ხელოვნება. ახალი ქართული სახვითი ხელოვნების დარგებიდან XIX საუკუნეში ჯერ ფერწერა და გრაფიკა განვითარდა, ბოლოს ქანდაკებაც. ოქრომჭედლობის, ქარგვის, მინიატურის, ჩუქურთმის, ფრესკის ხალხურ ტრადიციებთან ერთად საუკუნის პირველი ნახევრიდანვე ვითარდება პროფესიული ფერწერის ჟანრი — პორტრეტი. იმ დროს ამ ჟანრს შიმართავდა არაერთი უცხოელი მხატვარი, რომლებიც თბილისში ჩამოდიოდნენ და აქ მცირე თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობდნენ. უფრო გვიანაც არაქართველ ხელოვანთა მიერ იყო შექმნილი თბილისში დადგმული რამდენიმე ძეგლი (ვორონცოვის, პუშკინის, გოგოლის, დიმიტრი ყიფიანისა). 1901 წელს გაიხსნა ქანდაკებისა და მხატვრობის სკოლა, აწინდელი თბილისის სამხატვრო აკადემიის წინამორბედი. უმაღლეს სამხატვრო განათლებას ქართველი ხელოვანნი რუსეთში და საზღვარგარეთ ღებულობდნენ.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დაამთავრა 1844 წელს ახალი ქართული პროფესიული მხატვრობის პირველმა წარმომადგენელმა, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილმა ყმა გლეხმა გრიგოლ მაისურაძემ (1810—1885 წწ.). იგი უმთავრესად პორტრეტისტი იყო. პორტრეტისტები იყვნენ რომანოზ გველესიანი და ალექსანდრე ბერიძეც, რომლებიც 80-იან წლებში აფართოებენ ქართული ფერწერის არეს, ამკვიდრებენ ხალხის ცხოვრების რეალისტურ ასახვას მხატვრობაში.

რომანოზ გველესიანმა (1859—1884 წწ.) 1881 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო სკოლა, 1884 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. მისი შემოქმედების საგანია ძველი თბილისის კუთხეები და მშობლიური კახეთი, გლეხობა და ახალი ინტელიგენცია. მის მიერ ზეთით შესრულებულ მცირე ზომის პორტრეტებსა და ეტიუდებში — „მოხუცი გლეხი“, „კახელი დოქით“, „უცნობი ქალი“, „უცნობი მხატვარი“ იგრძნობა აღქმისა და გადმოცემის უშუალობა და სიმართლე ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

ალექსანდრე ბერიძე (1858—1917 წწ.) ჯერ პეტერბურგში სწავლობდა, მერე ნეაპოლში, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლა არ დაუმთავრებია. 1880 წელს იტალიიდან გამოგზავნა ნახატების სერია, რომელიც ჯუზეპე გარიბალდის პორტრეტით იწყებოდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სოფლის მეურნეობას ეწეოდა მშობლიურ მცხეთაში. 1885 წლიდან ალ. ბერიძე თანამშრომლობდა ჟურნალებში „თეატრსა“ და „ჯეჯილში“. 1886 წელს დახატა ფარდა ქართული თეატრისათვის. შემდეგ კავკავში გადასახლდა და ხატვას ასწავლიდა. ალექსანდრე ბერიძის შემოქმედებაშიც მთავარია მცირე ზომის პორტრეტები.

ახალი ქართული რეალისტური ფერწერის დაფუძნებაში განსაკუთრე-

ბული როლი შეასრულა გიგო გაბაშვილმა (1862—1936 წწ.). ბავშვობიდანვე ხატვით გატაცებული გ. გაბაშვილი 1886 წლიდან პეტერბურგში სწავლობდა. 1897 წელს დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია. იმოგზაურა იტალიასა და საბერძნეთში, ერთხანს შუა აზიაში ცხოვრობდა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ შემოიარა მისი სხვადასხვა კუთხე, კერძოდ, ხევსურეთი. გიგო გაბაშვილის ყველაზე ადრინდელი ნახატები 80-იანი წლების დასაწყისშია შექმნილი. 1890 წელს მონაწილეობდა თბილისელ მხატვართა და მხატვრობის მოყვარულთა გამოფენაში, 1891 წელს კი გამართა პერსონალური გამოფენა, რომელიც საერთოდ ქართველი მხატვრის პირველი დამოუკიდებელი გამოფენა იყო. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები მოეწყო 1898, 1901 და 1910 წლებშიც. ამ დრომდეა შექმნილი მისი საუკეთესო ნაწარმოებები.

გიგო გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი სურათი შექმნა: პორტრეტები, პორტრეტულ-საყოფაცხოვრებო სცენები, ხევსურული, თბილისური, შუა აზიური ციკლის „ტიპები" და მრავალფიგურიანი სურათები, ნატურმორტები, პეიზაჟები.

იმ ქართველ მხატვართა შორის, რომლებიც უკვე 90-იანი წლების მიწურულში ძხარში ამოუდგნენ გ. გაბაშვილს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ალექსანდრე მრევლიშვილს (1866—1933 წწ.). მან სამხატვრო განათლება მიიღო ჯერ მოსკოვის ფერწერის სასწავლებელში, შემდეგ პარიზში ჟიულიენის კერძო აკადემიაში. მის შემოქმედებაში მთავარია პორტრეტები.

მოსე თოიძის (1871—1951 წწ.) სამხატვრო მოღვაწეობაც 90-იან წლებში დაიწყო. თბილისის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი პეტერბურგის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა დმიტრიევ-კავკაზსკისა და რეპინის ხელმძღვანელობით. თანამშრომლობდა გაზეთ „კვალში". ხატავდა დაბალი ფენების წარმომადგენელთა ტიპებს („მოხუცი ებრაელი", „მრეცხავი ქალი") და მშობლიური ხალხის ყოფას („მცხეთობა" და სხვ.).

ახალ ქართულ მხატვრობაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ნიკო ფიროსმანაშვილმა (1860—1918 წწ.), თვითნასწავლმა მოხეტიალე მხატვარმა, რომელიც ლუკმაპურის საშოვნელად ხატავდა თბილისის დუქნებსა და სამეიკტნოებში პირველყოფილი უბრალოების და დიდი სიმართლის მაჩვენებელ ტილოებს. თემატიკური მრავალფეროვნებით ფიროსმანს მისი დროის ვერც ერთი ქართველი მხატვარი ვერ შეედრება. მას უყურადღებოდ არ დარჩენია ქართველი საზოგადოების არც ერთი ფენა, გარდა ინტელიგენციისა. სხვადასხვა სოციალურ ტიპებთან ერთად იგი ხატავს სოფლის ცხოვრებისა და ქალაქური ყოფის სცენებს, ისტორიულ სიუჟეტებს და პერსონაჟებს, ნატურმორტებს, ცხოველთა სამყაროს. მის სუ-

რაჟებში ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა მთელი გალერეაა მოცემული ცალკეული ფიგურების ან მოქმედ პირთა სახით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფერწერაზე ნაკლებ, მაგრამ მაინც განვითარდა ქართული გრაფიკა, რაც უმთავრესად წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების გაფორმებას უკავშირდება. ქართულ ნაბეჭდ გამოცემათა გაფორმების საქმეს დიდი ამაგი დადო გრიგოლ ტატიშვილმა (1848—1911 წწ.). იგი თვითნასწავლი მხატვარი-გრავიორი იყო. მისი გრავიურებით იყო მორთული ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. მან შექმნა სათაური (საზედაო) ქართული ასოების დეკორატიულად დამუშავებული სერიები, წიგნის გასაფორმებელი ქართული ჩუქურთმების ალბომი, გააფორმა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა, მრავალი წიგნის გარეკანი და სატიტულო ფურცლები, ჟურნალ-გაზეთების სათაურები. ნატურად იგი უმეტესად ძველი ქართული ჩუქურთმის მოტივებს იყენებდა.

ქართული წიგნის მხატვრულ გაფორმებაში ახალი საფეხური იყო „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის ილუსტრაციები, რომლებიც ეკუთვნის უნგრელ მიხაი ზიჩს (1829—1906 წწ.). რეალური დაკვირვების უნარმა, ცხოველმა ფანტაზიამ და ქართველი ხალხის ყოფის შესწავლამ უცხოელ მხატვარს შესაძლებლობა მისცა ქართული ეროვნული სახეებით გადმოეცა პოემის სიუჟეტი. ამით მოიპოვა ზიჩის ილუსტრაციებმა დიდი პოპულარობა.

ქართველი მხატვრების, კერძოდ, ნაადრევად გარდაცვლილი ანტონ გოგიაშვილის (1878—1907 წწ.) გრაფიკული ნამუშევრები ქვეყნდებოდა „კვალსა“ და „ცნობის ფურცელში“. პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც 1897 წელს პირველად დაასურათა ქართველი მწერლის ნაწარმოები (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“) გოგიაშვილი იყო.

თუ ახალი ქართული ფერწერის და გრაფიკის საფუძვლები ასე თუ ისე შეიძლება მოიძებნოს ძველ ქართულ მხატვრობასა და ხელოსნობაში, ახალი ქართული ქანდაკება არსებითად ცარიელ ადგილზე აღმოცენდა XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს. მისი ფუძემდებელი იყო იაკობ ნიკოლაძე (1876—1951 წწ.). ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი გამოყენებითი ხელოვნების და ქანდაკების საფუძვლებს ეუფლებოდა მოსკოვსა და ოდესაში. 1897 წელს კავკასიის მხატვართა მეხუთე გამოფენაზე საზოგადოება მოწონებით შეხვდა იაკობ ნიკოლაძის ძიერ გამოქანდაკებულ შოთა რუსთაველის ფიგურას [1].

---

[1] ე. ბერიძე, ქართული ხელოვნება 1865 წლიდან 1921 წლამდე (ხელნაწერი). გვ. 21 — 53.

ქართული მუსიკა. XIX საუკუნის დამდეგისათვის ძველი ქართული მუსიკა არსებობდა საეკლესიო საგალობლებისა და ხალხური სიმღერების სახით, რომლებსაც სახალხო ან პროფესიონალი მგალობელ-მომღერალნი ასრულებდნენ. ქართველი „საეკლესიო მგალობლები ძველთაგანვე კარგი საერო მომღერალნიც იყვნენ... ყოველ მეჯლისზე... ჯერ საეკლესიო გალობით უნდა დამტკბარიყვნენ, მერე საერო სიმღერით"[1]. ახალი დროისათვის უძველესი ქართული სანოტო ნიშნები დავიწყებას მიეცა. აღმოსავლური მუსიკის მოძალებამ ქართული საერო პროფესიული მუსიკის განვითარების შეფერხებაც გამოიწვია. ხალხშიც და საზოგადოების მაღალ ფენებშიც ფეხი მოიკიდა ზურნამ და თარმა (განსაკუთრებით ქალაქებში). რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში გავრცელება იწყო რუსულმა და დასავლეთევროპულმა მუსიკამ, რომელმაც გზა გადაუღობა აღმოსავლური ჰანგების შემდგომ განვითარებას. მაგრამ ახლა სხვაგვარი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ქართული მუსიკა. რა დიდმნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო სამუსიკო კულტურის ზრდისათვის თბილისში 1851 წლიდან არსებული იტალიური ოპერა, იგი ქართული ეროვნული მუსიკის უშუალო განმავითარებელი ვერ იქნებოდა. მრავალსაუკუნოვან და თვითმყოფად ქართულ მუსიკას პატრონი თვით ქართველობაში უნდა გამოსჩენოდა.

სამუსიკო ცხოვრების გამოცოცხლების მიუხედავად, 50—60-იანი წლების თბილისშიც კი პროფესიული მუსიკის განვითარების დონე მაღალი არ იყო. იმ დროს მთელ ქალაქში ორად-ორი როიალი არსებულა. ხალხური საკრავების სრულყოფის საქმეც უყურადღებოდ რჩებოდა. მაინც მნიშვნელოვნად ძლიერდება ინტერესი ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკისადმი, ჩნდებიან პროფესიონალი მუსიკოსები, იტალიური და რუსული საოპერო სპექტაკლების ანტრაქტებში ზოგჯერ ფორტეპიანოზე გადაღებული ქართული მელოდიები და ცეკვებიც სრულდება, იმართება მსჯელობა ქართული მუსიკის აღდგენა-განვითარების საკითხებზე[2]. 1860 წელს თბილისში, მოგვიანებით კი ქუთაისშიც არსდება ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენი კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ საეკლესიო გალობათა ჩაწერას და გამოცემას. მაგრამ ქართველ მუსიკოსთა კადრების არარსებობის გამო ქართული საგალობლების ჩაწერას ანდობდნენ არაქართველ მუსიკისმცოდნეთ, რომელთაც არ ესმოდათ ქართული მუსიკის თავისებურება და უცხოური მუსიკის კანონების მიხედვით ასწორებდნენ და ამახინჯებდნენ მას. საგალობელთა ჩაწერა-გამოცემის საქმე მკვიდრ ნიადაგზე მხოლოდ

---

[1] ვ ა ნ ო შ ი ლ ა კ ა ძ ე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, 1949, გვ. 99.
[2] დ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, საქართველოს ზნეობანი, „ცისკარი", 1864, № 5.

მაშინ დადგა, როცა მას ხელი მოჰკიდეს მ. მაჭავარიანმა, ა. ბენაშვილმა, ი. გოგებაშვილმა, მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, პ. კარბელაშვილმა და ფ. ქორიძემ. 70—80-იან წლებში პირველად გამოიცა ქართული მუსიკის კრებულები, თუმცა მათში ხალხური სიმღერები ცოტა იყო. მომდევნო პერიოდში ქართული ხალხური სიმღერების შეკრებისა და გამოცემის საქმე მეცნიერულ საფუძველზე დაამკვიდრეს მელიტონ ბალანჩივაძემ, ზაქარია ჩხიკვაძემ, ია კარგარეთელმა, დიმიტრი არაყიშვილმა და ზაქარია ფალიაშვილმა.

ახალი ქართული სამუსიკო კულტურის ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი მოღვაწე იყო მომღერალი ხარლამპი სავანელი (1845—1890 წწ.). პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობის მონაწილე, უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ პ. ჩაიკოვსკის თანაკურსელი პეტერბურგის კონსერვატორიაში. თბილისში სავანელმა თავი მოუყარა მუსიკის მოყვარულ ახალგაზრდობას, შეადგინა გუნდი და 1874 წლის 24 აპრილს გამართა პირველი კონცერტი. ამავე დროს დააარსა სამუსიკო სკოლა, ჯერ მარტო გუნდის კლასით, შემდეგ კი ვიოლინოს და თეორიის კლასებითაც. ეს იყო პირველი ქართული სამუსიკო სასწავლებელი, რომლის საფუძველზე შემდეგ საქართველოს კონსერვატორია შეიქმნა. სავანელთან ერთად სამუსიკო სასწავლებელში მოღვაწეობდნენ პიანისტი და კომპოზიტორი ალიოზ მიზანდარი (1838—1912 წწ.), მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ი. პიტოევი, კ. ალიხანოვი, ა. ყორღანოვი. 1888—1902 წლებში ეს სასწავლებელი დაუმთავრებია 89 კაცს, რომელთაგან 10 ქართველი ყოფილა.

ხარლამპი სავანელის შემდეგ ქართული გუნდი შეადგინა მელიტონ ბალანჩივაძემ. გუნდმა 1882 წელს ორი კონცერტი გამართა. უფრო დიდხანს იარსება სანდრო კავსაძის მიერ 1897 წელს დაარსებულმა ხალხური სიმღერების გუნდმა, რომელიც მთელ საქართველოში მართავდა კონცერტებს. იმავე ხანებში დასავლეთ საქართველოში ძუკუ ლოლუამ შექმნა მომღერალთა გუნდი, რომელიც მეგრულ, აფხაზურ, სვანურ სიმღერებს ასრულებდა.

ახალი ქართული მუსიკის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა „ქართულმა საერო ხორომ“, რომელიც ლადო აღნიაშვილმა (1860—1904 წწ.), უზადო პატრიოტმა და საზოგადო მოღვაწემ, დააარსა 1886 წელს. თავდაპირველად გუნდი უმთავრესად სემინარიაში მოსწავლე და აგრეთვე აღნიაშვილის მიერ მშობლიურ სოფელ შილდიდან ჩამოყვანილი გლეხი მომღერლებისაგან შედგებოდა. შემდეგ ამ გუნდში უმღერია ზაქარია და ივანე ფალიაშვილებს, ია კარგარეთელს და თვით ვანო სარაჯიშვილსაც. გუნდის მხატვრული ხელმძღვანელობა აღნიაშვილმა მიანდო ჩეხ მუსიკოსს იოსებ რატილს. აღნიაშვილი გუნდს მიზნად უსახავდა ქართული ხალხური მუსიკის პროფესიულ დონემდე აყვანას და მის პროპაგანდას

ლ. ალნიაშ_ილის გუნდი.

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. 1886 წლის 26 დეკემბერს გუნდმა ქართულ თეატრში გამართა პირველი კონცერტი, რომელიც ხალხმა აღფრთოვანებით მიიღო. არ გამართლდა მეფის ბიუროკრატების და ქართველი თავადაზნაურობის ზედაფენის ზოგი წარმომადგენლის წინასწარმეტყველება, ევროპული მუსიკის გვერდით ქართული სიმღერით საჯაროდ გამოსელა სამარცხვინოდ დამთავრდებაო. თავისი არსებობის მანძილზე გუნდმა მთელი საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია მოიარა და მძლავრი ბიძგი მისცა „ქართული ხოროების“ ჩამოყალიბებას არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ქალაქებშიც, სადაც ხალხური სიმღერის კონცერტებს მართავდნენ ქართველი სტუდენტები. 90-იანი წლებიდან რუსეთის ქალაქებში ხშირად მართავდა ქართული მუსიკის კონცერტებს მელიტონ ბალანჩივაძე. 1886—1888 წლებში იგი ლ. აღნიაშვილის გუნდსაც ლოტბარობდა. ეგრეთ წოდებულ რატილის რეპერტუარს, რომელიც ქართლ-კახურ, დასავლურქართულ და აფხაზურ სიმღერებთან ერთად უცხოურ სიმღერებსაც შეიცავდა და ქართული სიმღერებიც ზოგჯერ უცხოურ ყაიდაზე იყო გადაკეთებული, ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ იგი საფუძვლად დაედო მაშინდელი ქართული ხალხური სიმღერის გუნდების მუშაობას და დიდი როლი შეასრულა ქართული მუსიკის პროპაგანდის საქმეში[1].

90-იან წლებს მიეკუთვნება ახალი ქართული პროფესიული სამუსიკო ნაწარმოებების, სიმღერა-რომანსების და საგუნდო პიესების წარმოშობა. უფრო ადრე დ. ერისთავს უცდია ქართული საფორტეპიანო მუსიკის შექმნა, მაგრამ პირველ ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებთა ავტორად მაინც მელიტონ ბალანჩივაძე (1862—1937 წწ.) უნდა ჩაითვალოს. 1891 წელს მან დაწერა ორი რომანსი („ნანა შვილო“, „შენ გეტრფი მარად“), რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სამუსიკო შემოქმედების ამ დარგს.

ქართული ოპერის შექმნის პირველი ცდაც მელიტონ ბალანჩივაძეს ეკუთვნის. 1896 წელს მან დაიწყო წერა ოპერა „თამარ ცბიერისა“, რომლის ნაწყვეტები მომდევნო წელს შესრულდა პეტერბურგის კეთილშობილთა საკრებულოში.

მეფის თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ზედაფენის რეაქციული პოლიტიკის მიუხედავად, ახალი ქართული მუსიკა, ისევე როგორც მთლიანად ახალი ქართული კულტურა, სულ უფრო და უფრო მკვიდრდებოდა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და აზროვნებაში.

---

[1] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, 1925, გვ. 28—51; ე. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, გვ. 69—100.

§ 7. კულტურული ურთიერთობა სხვა ხალხებთან

ახალი ქართული კულტურა უწინარეს ყოვლისა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების, მრავალსაუკუნოვანი მოწინავე ტრადიციების აღორძინების შედეგი იყო. მაგრამ მისი ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კულტურულ ურთიერთობათა გაფართოებას მეზობელ აფხაზ, ოს, სომეხ, აზერბაიჯანელ, დაღესტნელ, რუს, უკრაინელ, აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის რიგ ახლობელ და შორეულ ხალხებთან.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველო და ამიერკავკასია დიდი ხნის მანძილზე წინა აზიის კულტურის წრეში შედიოდა, თუმცა იმ დროს ქართველი ხალხი იცნობდა აზიისა და ევროპის შორეული ქვეყნების (ინდოეთი, ჩინეთი, იტალია, საფრანგეთი) კულტურულ მონაპოვრებსაც. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველმა ხალხმა საბოლოოდ იწყო შემობრუნება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ამის მიხედვით მისი კულტურაც ამიერკავკასიის სხვა ხალხთა კულტურასთან ერთად ევროპულ-რუსული კულტურის სფეროში მოექცა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალი დროის მოთხოვნილებათაგან დიდად ჩამორჩენილ „აზიურობას" გზა გადაეღობა დაწინაურებულმა „ევროპიზმმა", ე. ი. უწინარეს ყოვლისა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულმა ახალმა კულტურამ, რომელიც არც მანამდე ყოფილა უცხო ქართველი ხალხისათვის, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ XIX საუკუნეში გაბატონდა.

ახალი ქართული კულტურის გამარჯვება ერთბაშად არ მომხდარა, მისი დამკვიდრების პროცესი კონსერვატიზმის თანდათანობითი დაძლევის გზით მიმდინარეობდა. არც სხვა ხალხებთან კულტურული ურთიერთობა განვითარებულა უეცრად და ერთნაირი ძალით. საკუთარი და სხვა ხალხების კულტურული ტრადიციებიდანაც ახალი ქართული კულტურა ერთბაშად მხოლოდ პროგრესულს როდი ითვისებდა. კონსერვატიულიც და ნოვატორულიც ზოგჯერ ტრადიციის ძალას ან მექანიკურ მიმბაძველობასაც ემყარებოდა. მაგრამ ბრძოლა ძველსა და ახალს შორის XIX საუკუნის საქართველოში ისე მძლავრად და სწრაფად განვითარდა, რომ საბოლოო ანგარიშით კულტურის ახალი ნაკადი აღმოჩნდა გამარჯვებული. საკუთარი მრავალსაუკუნოვანი კულტურის მოწინავე ტრადიციების შემდეგ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა დასავლეთევროპულმა და რუსულმა კულტურამ, აგრეთვე მეზობელი კავკასიელი ხალხების კულტურამ. ეს როლიც ორმაგი იყო, რამდენადაც ორი ერი არსებობდა ყოველ ერში, ორი კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში: კონსერვატიული და პროგრესული. რეაქციული იყო ყველა ჯურის პლუტოკრატების, დასავლეთ-ევროპელი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი მსხვილი

ფეოდალებისა და ბურჟუების ექსპლოატატორული ინტერესების დამცველი კულტურა. პროგრესის ინტერესებს გამოხატავდა დემოკრატიული კულტურა, თუმცა ორივე კულტურას ხალხი ქმნიდა მისი განათლებული წარმომადგენლების მეშვეობით. XIX საუკუნის საქართველოს კულტურაც კონსერვატიულ და პროგრესულ ნაკადს შეიცავდა და ამიტომ სხვა ხალხთა კულტურასთან ქართული კულტურის ურთიერთობაც ორგვარი იყო: ახალი ქართული კულტურის განვითარებაზე გავლენას ახდენდა საკუთარი და სხვათა როგორც კონსერვატიული, ისე პროგრესული კულტურა, ერთი ხელს უშლიდა და აბრკოლებდა მის განვითარებას, მეორე ხელს უწყობდა და აჩქარებდა. ცხადია, საბოლოო ანგარიშით პროგრესული იძარცვებდა კონსერვატიულზე და ამის შედეგია ის დიდი კულტურული აღმაფლობა, რომელიც XIX საუკუნეში შეიმჩნევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში.

ქართულ-კავკასიური კულტურული ურთიერთობანი. XIX საუკუნეშიც ქართველ ხალხს კულტურული ურთიერთობა უწინარეს ყოვლისა კავკასიელ ხალხებთან უხდებოდა. საქართველო თვითონვე წარმოადგენდა „პატარა კავკასიას“, რამდენადაც აქ კავკასიის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. კავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრება და კულტურა ბევრი რამით ენათესაებოდა ერთმანეთს, რაც ურთიერთზემოქმედების შედეგი იყო. მათი ცხოვრებაც დაახლოებით ერთგვარ პირობებში მიმდინარეობდა, ერთად უხდებოდათ ბრძოლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. თბილისი იყო კავკასიის ადმინისტრაციული და ამავე დროს ყველაზე მთავარი კულტურული ცენტრიც, სადაც მოღვაწეობდნენ კულტურის არა მარტო ქართველი, არამედ სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, ოსი, ყაბარდოელი მოღვაწენი. ბევრმა არაქართველმა მოღვაწემაც კარგად იცოდა ქართული ენა და კულტურა და მეგობრობდა ქართველ მოღვაწეებთან. ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა ოსმა პოეტმა ი. იალღუზიძემ (1770—1830 წწ.) ქართული ასოები გამოიყენა ოსური ანბანის შესადგენად. ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები და თვითონაც წერდა ლექსებს ქართულად. აფხაზი მოღვაწე მიხეილ შერვაშიძე ქართული კულტურის მოღვაწეც იყო. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. ქართველი მოღვაწენიც ყოველნაირად ეხმარებოდნენ აფხაზ და ოს ხალხებს მშობლიური კულტურის განვითარებაში: აფხაზური სწავლა-განათლების შექმნისათვის იღვწოდნენ ი. ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი. 1892 წელს კ. მაჭავარიანმა დ. გულიასთან ერთად გამოსცა „აფხაზური ანბანი“. 1865 წელს გამოცემული პირველი აფხაზური ანბანიც თბილისში დაიბეჭდა. თ. ეშბასთან ერთად აფხაზური სასწავლო წიგნების გამოცემას საქმე წინ წასწია ა. ჩოჩუამ. თბილისში დაიბეჭდა 1861 წელს პირველი

უბარდოელი ისტორიკოსის შ. ნოგმოვის (1801—1844 წწ.) ნაშრომი „ადიღე ხალხის ისტორია“.

განათლება თბილისში მიიღო და აქ ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას სომხური და აზერბაიჯანული კულტურის არაერთი მოღვაწე. თბილისში გაატარა რამდენიმე წელი აზერბაიჯანელმა ისტორიკოსმა ა. ბაქიხანოვმა, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანთან. აქ გაიფურჩქნა აზერბაიჯანული განმანათლებლური ლიტერატურისა და აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენლის მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედებითი ნიჭი. 40-იანი წლების დამდეგს პოეტმა მირზა შაფი ვაზეჰმა თბილისში დააარსა აზერბაიჯანული ლიტერატურულ-ფილოსოფიური წრე. თბილისის საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა აზერბაიჯანული თეატრისა და გაზეთის დამაარსებელს ჰასან-ბეგ ზარდაბის.

სომეხი მოსახლეობისათვის თბილისში არსებობდა სკოლები, გამოდიოდა სომხური გაზეთები. დემოკრატიულ გაზეთს „ტიფლისკი ვესტნიკს“ სომეხი მოღვაწე კ. ბებუთოვი რედაქტორობდა. თბილისში დაიწერა სომხური რეალისტური პროზის ფუძემდებლის ხ. აბოვიანის (1805—1848 წწ.) ცნობილი ნაწარმოები „სომხეთის წყლულები“. თბილისის ინტელიგენციამ 1860 წელს საზეიმო შეხვედრა მოუწყო ცარიზმის მიერ დევნილ სომეხ განმანათლებელ-დემოკრატს მ. ნალბანდიანს. თბილისი იყო სომეხ მეცნიერთა და მწერალთა მთელი ჯგუფის სამოღვაწეო კერა. აქ ცხოვრობდა პოეტი არ. ალამდარიანი. ქართულ საზოგადოებრიობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა გამოჩენილი სომეხი დრამატურგი გ. სუნდუკიანი, რომლის „პეპო“ წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

კავკასიის ხალხთა კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა თანამშრომლობა ხელს უწყობდა მათი კულტურის გამდიდრებას, ურთიერთდაახლოებას, დარაზმვას ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად სხვადასხვა ერის კონსოლიდაციის პირობებში ყოველთვის როდი ხერხდებოდა ხალხთა ინტერნაციონალური ერთობის იდეის თანამიმდევრული დაცვა და განხორციელება. მწვავე პოლემიკაც არაერთხელ გაჩაღებულა ქართული და სომხური კულტურის მოღვაწეთა შორის, განსაკუთრებით XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში, როცა ქართველი თავადაზნაურობის და გლეხობის ეკონომიური ჩაგვრის გზით გაძლიერებულმა სომხურმა ბურჟუაზიამ გაბატონება იწყო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ, რომელსაც ცარიზმი ეროვნული შუღლის გაღვივებისა და სომეხ-ქართველთა ერთმანეთზე გადაკიდების მიზნით იყენებდა, ზოგი ინტელიგენტიც ააცდინა გზას, მაგრამ ქართული და სომხური კულტურის დიდი მესვეურნი ი. ჭავ-

ჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ხ. აბოვიანი, მ. ნალბანდიანი და სხვ. ყოველთვის ნათლად განასხვავებდნენ ერის მშრომელ უმრავლესობას ექსპლოატატორებისაგან და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის იბრძოდნენ.

ქართულ-რუსულ-ევროპული კულტურული ურთიერთობანი. ახალი ქართული კულტურის მოღვაწენი აცალკევებდნენ რუს ხალხს და მის პროგრესულ წარმომადგენლებს მეფის თვითმპყრობელობისა და მისი მსახური შოვინისტებისაგან, პუშკინისა და ჩერნიშევსკის რუსეთს კატკოვისა და სუვორინის რუსეთისაგან. ისინი ებრძოდნენ ცარიზმს და მის იდეოლოგებს, მაგრამ დიდად აფასებდნენ რუსულ განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ კულტურას, სწავლობდნენ რუსი ხალხის საუკეთესო შვილებისაგან, მიესალმებოდნენ რუს ხალხთან ქართველი ხალხის დაახლოებისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს.

ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის მიუხედავად, XIX საუკუნეში რუსეთი იყო არა მარტო მფარველი საქართველოსი, არამედ განათლების წყაროც. რუს ხალხთან დაკავშირებამ ხელშემწყობი პირობები შეუქმნა ქართველ ხალხს საკუთარი მრავალსაუკუნოვანი კულტურის აღორძინებისა და განვითარებისათვის. რუსულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდა ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა. რუსული ენის და ხასიათის, პროგრესული რუსული კულტურის შესწავლა აფართოებდა ქართული კულტურის მოღვაწეთა ცოდნის სფეროს, დიდ როლს ასრულებდა მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. თავის მხრივ ქართველებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ რუსული მეცნიერების და კულტურის განვითარებაში. რუსულ წიგნს, რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც საქართველოშიც გამოდიოდა და რუსეთიდანაც მრავლად ერცელდებოდა, განათლებული ქართველობა მშობლიურ მწიგნობრობასთან ერთად ეწაფებოდა. ქართულად ითარგმნებოდა რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. საქართველოს პრესაში ქვეყნდებოდა რუს პუბლიცისტთა ნაწერები, ქართველებისა კი რუსულ პრესაში. რუსები და ქართველები ერთობლივად ებრძოდნენ გარეშე მტრებს რუსეთის სახელმწიფოს და მისი შემადგენელი ნაწილის საქართველოს დასაცავად. საქართველოში ნამსახური რუსი ჯარისკაცები ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ყოფას და კულტურას. ზოგი მათგანი არმიიდან დათხოვნის შემდეგ საქართველოში სახლდებოდა და ისეთივე მიწის მუშა ხდებოდა, როგორიც ქართველი გლეხი იყო. ქართველებიც ეცნობოდნენ რუსულ ხასიათს და ზნე-ჩვეულებას. რუსეთიდან საქართველოში ჩამოდიოდნენ არა მარტო უსულგულო მოხელენი და დამსჯელი რაზმები, არამედ რუსი ხალხის საუკეთესო შვილებიც — მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, თვითმპყრობელობის, ბატონყმობის და კაპიტალიზმის წინა-

აღმდეგ მებრძოლნი. რუსულ განმანათლებლურ-დემოკრატიულ, უტოპიურ-სოციალისტურ და კრიტიკულ-რეალისტურ მწერლობასა და აზროვნებაზე აღიზარდნენ XIX საუკუნის ქართველი მწერლები და განმანათლებლები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსი ხალხის რეოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის თავისებურ, მაგრამ განუყოფელ ნაწილად თელიდნენ. რუსეთისა და უკრაინის საუნივერსიტეტო ქალაქებში — პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში — ხვდებოდა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა რუს, უკრაინელ, პოლონელ რეოლუციონერებს და მათთან ერთად მონაწილეობდა საერთო-რუსულ თუ საკუთრივ საქართველოს განმათავისუფლებელ დემოკრატიულ მოძრაობაში.

ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობა წინათაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ XIX საუკუნეში იგი უაღრესად გაფართოვდა და ურთიერთზემოქმედების ხასიათი მიიღო. რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად ითარგმნა რამდენიმე ლიტერატურული, ისტორიული და იურიდიული ძეგლი. პეტერბურგში გადასახლებული ქართველი მწერლები და მეცნიერები თვითონაც სწავლობდნენ რუსულ კულტურას და რუსულ საზოგადოებრიობასაც აცნობდნენ საქართველოს ისტორიას და კულტურას. 1802—1803 წლებში საქართველოში ცხოვრობდა რუსული რეალისტური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი ე. ნარეჟნი. 20-იან წლებში საქართველოში ჩამოსახლებული ა. გრიბოედოვი, რუსი დეკაბრისტები და პოლონელი რეოლუციონერები დაუახლოვდნენ ა. ჭავჭავაძეს და საერთოდ ქართველ ინტელიგენციას. აქ შექმნა გრიბოედოვმა თავისი კლასიკური ნაწარმოებები. ოდოევსკიმ 58 ლექსიდან 13 საქართველოს მიუძღვნა. საქართველოში გაიფურჩქნა პოეტური ნიჭი მ. ლერმონტოვისა, რომელმაც ბევრ თავის შედევრს ქართული ხალხური თქმულებანი დაუდო საფუძვლად. 1829 წელს ქართველმა ინტელიგენციამ თბილისში დიდი სიყვარულით მიიღო ცარიზმის მიერ დევნილი ა. პუშკინი. იმავე წელს მთაწმინდამ მიიბარა ნეშტი ქართველი ხალხის მეგობრის ა. გრიბოედოვისა, რომელიც აკრიტიკებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას „თანამოქალაქე" ქართველებისადმი. ა. შიშკოვმა, რომელიც 1818—1824 წლებში საქართველოში ცხოვრობდა, რეალისტურად დახატა ჩაგრული ქართველი ხალხის მდგომარეობა და ნიღაბი ახადა ცარიზმის კავკასიელ მოხელეთა ბოროტმოქმედებას. თბილისს რუსულ პრესაში დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდა არაერთი რუსი მწერალი და პუბლიცისტი. საქართველოს უმადლოდა თავის პოეტურ შემოქმედებას ი. პოლონსკი. ქართულ მელოდიებს იყენებდნენ თავიანთ სამუსიკო ნაწარმოებებში პ. ჩაიკოვსკი და იპოლიტოვ-ივანოვი, რუბინშტეინი და სხვა რუსი კომპო-

ზიტორები. საქართველოში დაიწერა ლ. ტოლსტოის და მ. გორკის პირველი თხზულებანი. საქართველო და საერთოდ კავკასია იქცა XIX საუკუნის რუსეთის არაერთი „პოეტური ტალანტის აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ"[1]. უაღრესად პოპულარული იყო ქართველ ინტელიგენციაში ბ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის, ა. დობროლიუბოვის, ნ. ნეკრასოვის, ტ. შევჩენკოს, პ. ლავროვის რეოლუციურ-დემოკრატიული და უტოპიური იდეები. ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი, ს. მესხი და ი. გოგებაშვილი, ა. ფურცელაძე და გ. მაიაშვილი მათ მოწაფეებად მიიჩნევდნენ თავს.

XIX საუკუნის რუსული კულტურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ ევროპის და მსოფლიო კულტურასთან. განათლებული ქართველობა უმთავრესად რუსული ენისა და სკოლის მეშვეობით ითვისებდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური ლიტერატურის. საზოგადოებრივი აზროვნების და მეცნიერების მიღწევებს. დასავლეთევროპელ განმანათლებელ და ჰუმანისტ მწერალ-მოაზროვნეთა ნაწერების თარგმნა საქართველოში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც არ შეწყვეტილა, ხოლო 60—70-იანი წლებიდან იმდენად განვითარდა, რომ ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე კითხულობდა უ. შექსპირისა და ვ. ჰიუგოს, ჯ. ბაირონისა და ი. გოეთეს, ო. ბალზაკისა და ე. ზოლას არაერთ ნაწარმოებს. დიდი პოპულარობა მოიპოვა შექსპირის ტრაგედიების კლასიკურმა თარგმანებმა, რომლებიც ი. მაჩაბელმა შეასრულა. ქართული კულტურის ზოგი მოღვაწე, მაგალითად, ნ. ნიკოლაძე ფრანგულ ენაზეც წერდა და ევროპაში აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. განათლებული ქართველობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა დაწინაურებულ ხალხთა, აგრეთვე ჩაგრულ ერთა ცხოვრების ამსახველი ლიტერატურისადმი, დასავლეთევროპული და ამერიკული განმანათლებლობის და უტოპიური სოციალიზმის იდეების გავრცელებას ემსახურებოდა ახალი ქართული პუბლიცისტიკა. დასავლეთშიც გამოქვეყნდა ქართულ თემაზე შექმნილი რამდენიმე ნაწარმოები. ქართველი ხალხის ცხოვრებით დაინტერესდა ზოგიერთი ევროპელი მწერალი, პუბლიცისტი და მეცნიერი. 50-იანი წლების ბოლოს საქართველოში იმოგზაურა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მის შესახებ დიდი წიგნი გამოაქვეყნა ფრანგმა რომანისტმა ა. დიუმამ. 80-იანი წლებიდან თბილისში ცხოვრობდა გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი, რომელმაც ევროპას გააცნო ქართველი ხალხის ძველი და ახალი კულტურის მრავალი მხარე. 90-იანი წლებიდან ქართული კულტურის პროპაგანდას ინგლისურ ენაზე ეწეოდა ძარჯორი უორდროპი, რომელსაც არტურ

---

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი ი, რჩ. თხზ., ტ. I, 1952, გვ. 205.

ლაისტთან ერთად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესა და სხვა ქართველ მოღვაწეებთან. ა. ლაისტმა და მ. უორდროპმა ევროპელ მკითხველს გააცნეს ქართული ლიტერატურის არაერთი შედევრი, მათ შორის „ეეფხისტყაოსანი". საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობას პოლონეთთან, უნგრეთთან, ჩეხეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, იუგოსლავიასთან. ქართველები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ აზიის, აფრიკის და ამერიკის შორეული ხალხების — იაპონელების, ჩინელების, ვიეტნამელების, ავღანელების, არაბების, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკელთა კულტურასა და ყოფა-ცხოვრებასაც. მაგრამ ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობა ამ ხალხებთან ცალმხრივი იყო. შორეული ხალხები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ მრავალსაუკუნოვან თვითმყოფად ქართულ კულტურას. ამგვარი ცალმხრივობისაგან საესებით თავისუფალი არ იყო ქართულ-რუსულ-ევროპული კულტურული ურთიერთობაც. ევროპაში და თვით რუსეთშიც ბევრი ჯერ კიდევ ეგზოტიკის მოყვარულის თვალით უფრო უყურებდა საქართველოს, მისი კულტურის ცოდნას კი მოკლებული იყო. თვითმპყრობელური კოლონიური პოლიტიკისა და საქართველოს ცხოვრების განუვითარებლობის გამო თვითმყოფადმა და მრავალმხრივმა ქართულმა კულტურამ XIX საუკუნეში მხოლოდ სცადა ფართო სარბიელზე გასვლა, საქართველოს გეოგრაფიული საზღვრების — ჩრდილოეთით კავკასიის მთების, დასავლეთით შავი ზღვის — გადალახვა კი არსებითად ვერ მოახერხა. ქართულ-რუსულ-ევროპულ კულტურულ ურთიერთობაში ქართველი ხალხი უფრო მიმღები იყო, ვიდრე მიმწოდებელი. მიუხედავად ამისა, ბევრმა ქართველმა მეცნიერმა, რომელნიც უმთავრესად სამშობლოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობდნენ, სახელი გაითქვეს მთელ რუსეთში და ევროპაშიც (ს. დოდაშვილი, რ. ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი, გ. ქიქოძე, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი). შედარებით ძნელად იკაფავდა გზას საქართველოს გარეთ ახალი ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, მაგრამ გვიან, რეოლუციის შემდეგ მათაც საყოველთაო აღიარება პოვეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახშიც და საზღვარგარეთაც. ესეც იმას მოწმობს, რომ XIX საუკუნის ქართული კულტურა სხვა ხალხთა კულტურის უბრალო განმეორება არ იყო. ქართველ ერს იმ დროს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ ჰქონდა, მაგრამ დამოუკიდებელი, თავისებური კულტურული სახე შეინარჩუნა. ახალი ქართული კულტურა, ისევე როგორც ძველიც, ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს ასახავდა, შინაარსისა და ფორმის ორიგინალურობით ხასიათდებოდა და სხვა დიდ თუ პატარა ერთა შემოქმედებასთან ერთად ამდიდრებდა საკაცობრიო კულტურის საგანძურს.

საძიებელი*

ა) პირთა სახელები

აბა-მელიქოვი ნ. 422.
აბაშიძეები 89, 187.
აბაშელი ა. 24, 736.
აბაშიძე გრიშა 799.
აბაშიძე ვ. 659.
აბაშიძე ვასო 810, 826.
აბაშიძე კ. 33, 497, 506, 795, 797.
აბაშიძე სამსონ 636; 794, 806.
აბაშიძე ქ. 635.
აბესალომოვი გ. 324.
აბესალომოვი სოლომონ 256.
აბესაძე სამსონ 402.
აბზიანიძე გ. 24, 485, 498.
აბოევანი ხ. 836, 837.
აბშილავა ბახუტა (ანჩაბაძის ყმა) 166.
აგიაშვილები 89.
ავალიშვილები 240.
ავალიშვილი გიგო 596, 615.
ავალიშვილი დ. 656.
ავალიშვილი ნიკოლოზ 810.
ავალიანი სიმონ 25, 155, 178, 525, 526, 534, 555—557.
ავგერინი 402.
ადელხანოვი 387, 388, 389, 393, 417, 420, 423, 702.
ალექსანდრე I 91.
ალექსანდრე II 216, 218, 225, 230, 240, 252, 257, 272, 312, 460, 664.
ალექსანდრე III 460, 668.
აკაკი 267, 485—489, 492, 501, 593.
ალექსეევი ნიკ. 600.
ალამდარიანი რ. 836.
ალილუევი ა. 755, 759, 760.
ალიხანოვი 425, 620, 622.
ალიხანოვი კ. 831.
ალექსი-მესხიშვილი 793, 794.
ალტერი ფრ. 823.
ალხაზიშვილი 89.
ამილახვრები 240.
ამილახვარი ალექსანდრე 474, 818.
ამილახვარი 60, 242, 450.
ამილახვარი იოანე 206.
ამირალოვი 425.
ამირეჯიბი 443.
ამირეჯიბი გიორგი 240.
ამირეჯიბი მიხეილ 450.
ამეტერი 367.
ანანოვი 63, 425.
ანანოვი ა. 702.
ანანოვი აბგარ 367.
ანანოვი ალექსანდრე 367.
ანანოვი მირმან 367.
ანდრეევი 626.
ანდრეევსკი 82.
ანდრონიკაშვილები 187.
ანდრონიკაშვილი (თარჯიმანი) 584.
ანდრონიკაშვილი გრიგოლ 47.
ანდრონიკაშვილი თორნიკე 47.

* შედგენილია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების თანამშრომლების ნ. პაპავას, ნ. ნაცვლიშვილის, ლ. ჩიქოვანის, ლ. წინამძღვრიშვილის, თ. გიცბასა და ო. ეორდანიას მიერ.

ანდრონიკაშვილი ზაქარია 205, 206.
ანდრონიკაშვილი იოანე მალხაზის ძე 198, 199, 202—204, 205—207.
ანდრონიკაშვილი იოანე 164.
ანთელავა ი. 27, 29, 30, 47, 143, 340, 346, 349, 395, 773.
ანტონოვი ალექს. 620, 621, 622.
ანტონოვი ზურაბ 789, 790, 825.
ანჩაბაძე ზ. 90.
ანჩაბაძე თემურუა 166.
არაგვისპირელი შიო 797, 798.
არაკიშვილი დ. 33, 833.
არდაზიანი ლავრენტი 789, 791, 801, 805.
არდასიანოვი 612.
არტიუხოვი 251.
არღუთინსკი-დოლგორუკი 20, 712.
აღუთაშვილი-მხარგრძელი ნ. 324, 702.
ასათიანი ლ. 24, 33, 667.
აფანასიევი 732, 744.
აფაქიძე ბათუ 596, 608.
აფლიანი გერენა 355.
აფხაზი დიმიტრი 47.
აღნიაშვილი ლადო 831, 833.
აშორდია 697.
ახელედიანი ნ. 30.
ახუნდოვი მირზა ფათალი 836.

ბაგრატიონი ან. 474, 519, 522, 818.
ბაგრატიონი არჩ. 475.
ბაგრატიონი ვახუშტი 474, 818, 820.
ბაგრატიონი თეიმურაზ 819.
ბაგრატიონი დ. 474, 818.
ბაგრატიონი იოანე 10, 17, 24, 464, 474, 793, 794, 803, 805, 818, 820.
ბაგრატიონი კ. 658.
ბაგრატიონ-მუხრანსკი ი. კ. 63, 324.
ბაგრატიონი პეტრე 819.
ბაირონი ჯ. 731, 839.
ბაისაგულოვი დავით 96.
ბაისაგულოვი სპირიდონ 96.
ბაკლანოვი (გენერალი) 211, 214.
ბაკუნინი 211, 214, 589.
ბალანჩივაძე მელიტონ 831, 833.
ბალასი მ. 25, 362.
ბალზაკი ო. 839.
ბაბეუკ-მელიქოვი 255.
ბარამიძე ალ. 24.
ბარათაშვილი გიორგი 794.
ბარათაშვილი დ. 702.
ბარათაშვილი ნ. 7, 11, 24, 458, 464, 474, 475, 480, 787, 805, 813.
ბარათაშვილი ს. 806, 820.
ბარკლაი-დე-ტოლი 784.
ბარიატინსკი (მეფისნაცვალი) 124, 132, 135, 136, 176, 216, 220, 222, 228, 239, 274.
ბარნოვი ვ. 797, 798.
ბასილაშვილი სოსია 59.
ბასტია (ფრანგი ეკონომისტი) 65, 269, 270.
ბალაშვილი კ. 636.
ბაუმსტარკი ა. 823.
ბაქიხანოვი ა. 836.
ბაქრაძე 28, 90, 242, 259, 384, 611.
ბაქრაძე დ. 24, 32, 440, 657, 659, 703, 805, 810, 813, 820.
ბაქრაძე დავით 402.
ბაქრაძე იოსებ 543, 595.
ბაქრაძე კონსტ. 597, 612, 615.
ბაქრაძე ნიკოლოზ 77.
ბახტაძე ე. 36.
ბახტაძე ი. 20, 142, 144, 596.
ბებუთოვი (გენერალი) 198, 199.
ბებუთოვი კ. 809, 836.
ბებურიშვილი 47.
ბეგთაბეგოვი ნ. 425.
ბეგიაშვილი გ. 59, 60.
ბეზაკი ნიკოლოზ 150, 164, 172.
ბელინსკი ბ. 258, 480, 590, 839.
ბელტოვი (ალეხანოვი) 733.
ბენაშვილი 831.
ბენდიანიშვილი ალ. 30, 38.
ბეჟანიშვილი ს. 583.
ბერაძე 242.
ბერიძე 625.
ბერიძე ალ. 827.
ბერიძე ი. 806.
ბერეე 823.
ბერნული (ინჟინერი) 88.
ბეჩარა 782.
ბერძენიშვილი ნ. 26, 30.
ბერძენოვი ნ. (გაზ. „კავკაზის“ კორესპონდენტი) 792, 804.

ბესეიშვილი 245.
ბესოშინაძე 245.
ბიბინეიშვილი ბ. 761.
ბიკოვი 611.
ბისმარკი 742.
ბიჩკოვი 634.
ბლანი ლ. 519.
ბლეიკი რ. 823.
ბოგდანოვი ა. 418, 754.
ბოზარკიანცი 83, 389, 678, 687.
ბოიარსკი 611.
ბოლქვაძე ბექუა 245.
ბოროზდინი კ. 248.
ბოსტოლანაშვილი დ. 583, 584.
ბოლხოვიტინოვი 822.
ბოსლეველ ე. 810.
ბოცვაძე ი. 24, 37, 511, 658.
ბოცვაძე ლუარსაბ 815.
ბოკორიძე მ. 730, 745, 746, 754, 759.
ბოკორიშვილი ს. 161.
ბოკორიშვილი ფირან 161.
ბროსე მარი 820, 823.
ბრუნერი (გენერალი) 206.
ბრუსილოვი 185.
ბუთერაშვილი სოლომონ 58, 67.
ბუნგე 385.
ბურკულაძე ერმალო 30.
ბურჯანაძე პ. 596.
ბურჯანაძე ს. 630.
ბუსლაევი 628.
ბუტკოვი პ. 823.
ბლაქიაშვილი 265, 266.

გაბაეეი მაქ. 76.
გაბაშვილი გრ. 506, 616, 828.
გაბაშვილი ე. 660, 801.
გაბიჩვაძე ე. 596, 599, 600, 615, 616.
გაბიჩვაძე ი. 596.
გაბიჩვაძე პ. 596, 615.
გაბლიანი ეგ. 575.
გაბუნია ნ. 659, 826.
გაგარინი (სენატორი) 140.
გაგარინი (გენერალ-მაიორი) 178.
გაგარინი ა. (გენერალ-გუბერნატორი) 218, 219, 222, 223, 232.
გაგლოშვილი ა. 618.
გაგოიძე ვ. 36.
გამაზოვი 60.
გამეზარდაშვილი დ. 24, 36, 37, 470, 520, 529, 798.
გამილტონი ს. 192.
გამყრელიძე 399.
განი (სენატორი) 125, 127, 181.
განჯისკარელი ან. 782.
გარდანოვი ბ. 767.
გარიბალდი 827.
გარსიაშვილი მ. 641.
გაფრინდაშვილი მ. 36.
გაწერელია ა. 787.
გედევანიშვილი 24.
გედი ე. 742.
გეიმანი (გენერალი) 442, 443.
გელეიშვილი პ. 31, 32.
გერცენი 258, 516, 517, 590, 628, 839.
გეწაძე ნ. 161.
გვარამაძე ა. 633.
გველესიანი რ. 827.
გიორგაძე გრ. 26, 33.
გლუხოვსკი 609.
გოგებაშვილი ი. 24, 32, 258, 452, 458, 479, 489, 490, 491, 492, 493, 501, 511, 524, 649, 652, 654, 656, 658, 659, 664, 797, 806, 813, 815, 829, 831, 835, 837, 839.
გოგიაშვილი ან. 829.
გოგიჩაიშვილი ფ. 431, 540, 549, 557, 806.
გოგელაძე ს. 611.
გოგოლაძე პ. 733.
გოგოლაძე დ. 28, 67, 80, 87.
გოგოლი ნ. 827.
გოდო ალ. 395.
გოეთე ი. 480, 650, 839.
გოზალიშვილი შ. 617.
გოლიცინი (თავადი) 84.
გოლიცინი (მთავარმართებელი) 643.
გოლოვინი (მთავარმართებელი) 185.
გონაშვილი მ. 59, 60.
გორგასლიძე ე. 623, 625.
გორგილაძე ლ. 36, 743.
გორკი მ. 839.
გოცირიძე ნიკო 826.
გოცირიძე ოტია 240.
გოცირიძე ფრიდონ 240.

გოხშტარაბერი 80.
გუგუშვილი პ. 22, 26, 27, 36, 44, 73, 74, 80, 84, 122.
გულია დ. 835.
გულისაშვილი ზაქ. 618.
გულისაშვილი იოს. 596.
გულისაშვილი ლ. 618.
გულისაშვილი შ. 523, 630, 801.
გულიშამბაროვი ს. 26, 377, 383, 410.
გუმბერიძე ქრისტესა 238, 240.
გუმეზოვი ი. 417.
გუნია ე. 810, 826.
გურამიშვილი დ. 458, 474, 480, 783, 786, 805.
გურგენიძე მ. 810.
გურგენიძე ნ. 161.
გურგენიძე ს. 63, 74.
გურიელი გიორგი 197, 203, 596.
გურიელი იასე 449.
გურიელი მალაქია 203.
გურიელი მამია 788.
გურკო (გენერალი) 448.
გურული იანე 76.
გურული კონსტანტინე 402.
გურჯი იეთიმ 782, 810.
გუჩუა ე. 30, 556, 557.
გუჯაბიძე ან. 244.
გრიბოედოვი ა. 126, 780, 838.
გრიგოლაშვილი ლ. 631, 633.
გრინევესკი 577, 578, 579.
გრიშაშვილი ი. 23.
გრუზინსკი ი. 324.

დადეშქელიანები 221, 222, 296.
დადეშქელიანი ალექსანდრე 222.
დადეშქელიანი ბექირბეი 297, 298.
დადეშქელიანი გელა 297, 298.
დადეშქელიანი თუნგიზ 222, 223, 297, 298.
დადეშქელიანი ისლამ 222, 223.
დადეშქელიანი კონსტანტინე 221, 222, 223.
დადეშქელიანი მოსოსტრი 297, 298.
დადეშქელიანი ჯანსუღ 222.
დადიანები 217.
დადიანი გიორგი 222.
დადიანი გრიგოლ 212, 214, 231, 232, 579, 580.
დადიანი დავით 45, 166, 703, 810.
დადიანი ეკატერინე 213, 214, 215, 218, 219, 220, 225, 227, 230, 232.
დადიანი კონსტანტინე 212.
დადიანი ლევან 247.
დადიანი ნიკო 218, 221, 658.
დადიანი პეტრე 220.
დადიანი-მიურატი სალომე 218, 364.
დადუნაშვილი ბეჟან 76.
დავითაშვილი ე. 425.
დავითაშვილი ზ. 633.
დავითაშვილი ი. 782, 801.
დავითაშვილი შ. 586, 596, 597, 601, 604, 605, 607, 612, 618, 620, 622, 630, 631, 632.
დავითაშვილი ქ. 630.
დანდუროვი ს. 747.
დაშკოვი (იუსტიციის მინისტრი) 181.

ერისთავი რაფიელ 219, 256, 258—260, 659, 789, 790, 805.
ერისთაველები 77, 81, 83, 290.
ერისთავი რევაზ შალვას ძე 267, 793, 805.
ელოზიშვილი ალექ. 620.
ერისთავ-ხოშტარია ანასტასია 801.
ერიცოვი ა. 20.
ერმოლოვი ა. 147.
ესაძე ს. 25, 593.
ესქილე 650.
ეშბა თ. 835.
ეჯუბოვი ე. 425.

ვაინშტეინი ო. 471.
ვაზეპ, მირზაშაფი 836.
ვალდე 650.
ვაჟა ფშაველა 24, 118, 479, 493, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 797, 798, 799, 806.
ვარდანეიშვილი ფირან 76.
ვართანოვი შერმაზან 96, 253, 256.
ვარლამი (არქიეპისკოპოსი) 171.
ვასილევსკია-ჩერნიშევსკია ო. 516.
ვამაყმაძე ტატული 240.
ვაჩნაძე რევაზ 571, 583, 584, 620.

ვახვახიშვილი დავით 206, 423.
ვახრამოვი 327.
ვახტანგ VI 141.
ვეზიროვი დიმ. 277.
ველიამინოვი 158.
ვენგეროვი ს. 520.
ვერმიშევი 20, 26.
ვეტცელ 390.
ვილიამსი 210, 214.
ვიტე ს. 88, 716.
ვოლსკი გრ. 810.
ვორონცოვ-დაშკოვი 723.
ვორონცოვი მ. 53, 82, 97, 132, 133, 134, 152, 165, 188, 189, 195, 200, 201, 210, 642, 749, 827.

ზადოლინი 228, 229.
ზაეილეისკი პ. დ. 81, 126, 156.
ზაერეეი 82.
ზალემანი ი. 824.
ზანდუელ მ. 33.
ზარდაბი ჰასან-ბეგ 836.
ზარნაძე ბასილ 171.
ზარნაძე ბერიკალა 171.
ზარნაძე გაბრიელ 171.
ზასულიჩი 627.
ზაქსი 265, 266.
ზეუმბაია (პოდპოლკოვნიკი) 213.
ზეანოვიჩი 31, 403, 610, 806, 839.
ზეტცერი 83, 690, 691.
ზიბერი 728.
ზიკოვი ს. 25.
ზიჩი მიხაილ 829.
ზლატოვრატსკი 590.
ზოლა ე. 839.
ზურაბიშვილი გიგო 641.
ზუბალაშვილი ი. 425.
ზუბალაშვილი ს. 324.
ზუბალაშვილი ნ. 324.
ზუბალაშვილი 81, 85.
ზუგისი იაკ. 471.
ზუკაიშვილი (ქახელ ბლეხი) — 58, 67.

თავაძე ი. 32.
თავდგირიძე ნ. 596.
თავდგირიძე ჰასან-ბეი 204.
თავზიშვილი გ. 31.
თავხელიძე პლ. 743.
თამაშვილი მ. 702.
თამარ მეფე 785.
თარხნიშვილები 165, 166.
თარხნიშვილი დ. 595.
თარხნიშვილი ი. 506, 814, 821.
თაქთაქიძეები 240.
თაყაიშვილი ე. 623, 625, 658.
თაყაიშვილი ი. 821.
თედორაძე მაქსიმე 240.
თეოდორაშვილი ვასო 826.
თელია გ. 754.
თლალაშვილი ბიძინა 59.
თოდუა ქოჩა 235.
თოიძე მ. 828.
თულაშვილი ალალო 630.
თულაშვილი ალ. 656, 806.
თუმანიშვილი გ. 719, 720, 722, 804, 805, 809.
თუმანიშვილი მიხ. 788, 789.
თუმანიშვილი-წერეთლისა ან. 506, 810.

იაკიმოვი ალექ. 600, 609.
იაკიმოვი პაველ 620.
იალღუზიძე ი. 835.
იანოვსკი კ. 481, 484, 643, 644, 649, 650, 651, 652, 657, 667.
იარალოვი 393.
იბრეიმ-ალა 440.
ივანენკო ე. 823.
ივანიშვილი მ. 630.
ივანოვი (პოლკოვნიკი) 239.
ივინი 213.
იზიუმსკი 242, 243.
იზმაილოვი 250, 251.
იზმაილოვი პ. 699, 809.
იზმიროვები 425.
იზმიროვი 324.
ილინი ელ. 748, 749.
იმედაშვილი ალ. 826.
იმედაშვილი იოსებ 826.
ინგოროყვა პ. 24, 36, 458, 482, 489, 788.
ინესიანი ა. 702.
იოსელიანი პლ. 596, 804, 820.
იოსელიანი გ. 810.

იოსელიანი ეგ. 20, 258, 595, 610, 611, 612, 613, 615.
იოსელიანი იაგორი 258, 606, 612, 614, 615.
იოსელიანი (პოლკოვნიკი) 212, 213, 450, 452.
იპოლიტოვ-ივანოვი მ. 831, 838.
ისარლიშვილი ლუკა 658.
ისკანდერ-ფაშა 230.

კაბოგა (ავსტრიის ფელდმარშალი) 193.
კავსაძე სანდრო 831.
კაკაბაძე ნესტორ 402.
კალანდარიშვილი ბესარიონ 245.
კალანდარიშვილი ბიქია 246.
კალანდარიშვილი გრიგოლ 246.
კალანდარიშვილი ივანიკა 246.
კალანდარიშვილი კაკაბა 246.
კალანდაძე არსენ 595, 616.
კალაძე ნ. 761.
კალაძე რ. 728, 745, 759.
კალნინი მ. 754, 755, 760, 763.
კანდელაკები 89.
კანდელაკი თეოფილე 618.
კანდელაკი ნესტორ 596, 703.
კანარინი 84, 94, 124, 125.
კაპანაძე დ. 618.
კაპანელი კ. 33, 34.
კარაკოზოვი 517.
კარბელაშვილი სიმონ 595.
კარბელაშვილი პოლიექტი 636, 659, 831.
კარგარეთელი ია 831.
კარდენახაშვილი ბეჟან 59.
კარიშვილები 749.
კარიკაშვილი დავით 658.
კარსტი ი. 823.
კასტელა 79, 84.
კატაევი მ. 481, 638, 661, 837.
კეზელი დავით 593, 595, 810.
კეზელი ნ. 367.
კვაელიძე კორნელი 24, 33, 822.
კელენჯერიძე ა. 782.
კერესელიძე მათე 596.
კერესელიძე ივანე 440, 478, 596, 789, 804, 810, 825.
კვიცხოველი ლადო 745, 750, 751, 752, 759.
კენჭოშვილი ა. 36.
კვარაცხელია ლ. 235.
კვესელავა მ. 36.
კვირიკაძე კიკოლა 238, 240.
კვირიკაძე გოგია 240.
კვინიტაძე 450.
კვიცარიძე 595.
კიკვიძე აბელ 30.
კიკოლოვი ფრიდონ 187.
კისელიოვი 153.
კლდიაშვილი დავით 797, 826.
კლდიაშვილი სიმონ 824.
კობახია პეტრე 252.
კობელევი 213.
კოგანი 732.
კოვალენსკი 148, 780.
კოზარენკო 732, 733.
კოზლოვი 794.
კოლუბიაკინი 153, 215, 218, 219, 220, 233, 234, 241, 242, 243, 244, 449.
კომაროვი 442.
კოპაძე 636.
კორძაია 616.
კოტეტიშვილი ვახტანგ 33, 34.
კოტიაშვილი ბეჟან 161.
კოკლამაზაშვილი გერმანე 354.
კოკლამაზაშვილი გოგია 353.
კოშირიძე იოსები 618.
კოჩიაშვილი ლუარსაბ 59, 60.
კოჩიევი ბეგა 184.
კრაევსკი 520.
კრავჩენკო 445.
კრიმ-გირეი 724.
კრიჟანოვსკი 89.
კრეზენშტერნი 224, 241.
კუპრაშვილი იოვა 59.
კუპრაშვილი მახარე 59.
კურაკინი 84.
კურილიო 585.
კურინსკი 213.
კურნატოვსკი ვ. 754, 755.
კუჩაევი 555.
კუჩენბახი ალექსანდრე 367.

ლაგარპი 628.
ლავროვი პეტრე 524, 589, 593, 594, 608, 839.
ლანგ-თომეერი 650.
ლაისტი არტურ 839, 840.
ლალიონი 801.
ლასალ 594.
ლასხიშვილი გ. 29, 806.
ლაფარგი პ. 737.
ლღლაშვილი იოსებ 670, 671.
ლეგინინი 628.
ლევაშოვი (ქუთაისის სამხ. გუბერნატორი) 297, 298, 299, 659.
ლევიცკი 647.
ლეკოვიჩი 585.
ლეკაშვილი ზაქარია 354.
ლემონჯავა დ. 29.
ლენინი ვ. ი. 25, 42, 47, 49, 74, 79, 357, 358, 360, 369, 371, 469, 588, 590, 591, 638, 715, 716, 743, 744, 747, 749, 750, 752, 755, 756.
ლესინგი გ. 480.
ლიბი ერნსტ 88.
ლიპომანი 622.
ლეონიძე გ. 23.
ლერმონტოვი მ. 838.
ლოლეა ძეკე 831.
ლომონოსოვი 822.
ლომოური ნიკო 523, 633, 801, 810, 813.
ლორთქიფანიძე ანტ. 325, 326, 616, 817
ლორთქიფანიძე გ. 236, 237.
ლორთქიფანიძე ეკატერინე 810.
ლორთქიფანიძე კ. 511, 658, 703, 733, 794, 806, 809.
ლორთქიფანიძე პ. 703.
ლორის-მელიქოვი 82, 442, 444, 447, 638.
ლუზინი ი. 732, 733, 737, 738, 744, 748, 749.

მადერა 390.
მაზანაშვილი სიმონ 59.
მაზანდარაოვი 235, 238.
მაისურაძე გრ. 827.
მაისურაძე ს. 636.
მალაზონია ლევ. 245.
მალარი ემ. 395.
მალდადინოვი გეორგ 417.
მალინოვსკი 628.
მამაცაშვილი ი. 805.
მამაცაშვილი კონსტ. 282, 283.
მამინაიშვილი გოგია 244.
მამაცაიშვილი ალ. 244.
მამელეკი 423.
მანთაშვილი 324, 385, 393, 702.
მანსვეტაშვილი ი. 567, 595.
მარგიანი გრ. 28.
მარი ნიკო 821, 822, 823.
მარკოვი ფ. 20, 340, 344, 823.
მარქსი კ. 23, 144, 145, 210, 211, 347, 591, 728, 733, 734, 736, 737, 739, 741, 743, 749, 750, 753, 759.
მარლანია ტიტე 250.
მარჯანიშვილი კ. 826.
მასლოვი პ. 747.
მატინოვი ა. 324, 699, 702.
მაჩაბლები 188, 189, 240.
მაჩაბელი გიორგი 205.
მაჩაბელი ივ. 511, 656, 659, 665, 702, 809, 839.
მაჩაბელი ს. 20, 349.
მაღალაშვილი ე. 806.
მაღალაშვილი ს. 630.
მაყაშვილი ალ. 596, 615, 616.
მაყაშვილი ი. 441, 596, 615, 616.
მაკაკარიანი (მილიციის მეთაური) 206.
მაკაკარიანი ილ. 596, 631.
მაკაკარიანი კ. 835.
მაკაკარიანი მ. 831.
მაკუტაძეები 244, 245.
მახარაშვილი გაბ. 162.
მახარაძე აპ. 772.
მახარაძე მელქისედეკ 615, 616.
მახარაძე ნიკ. 37.
მახარაძე ფ. 26, 29, 30, 617, 728, 732, 734, 735, 736, 737.
მაჰმად-ემინი 145, 199.
მგალობლიშვილი ნ. 630.
მგალობლიშვილი სოფ. 523, 570, 593, 596, 601, 604, 605, 612, 630, 632, 633, 801, 810.
მგელაძე ი. 733.

მგელაძე ლ. 761.
შეგაღიშვილი აბ. 641.
მეგრელი დუტუ 801.
მეგრელიშვილი გაბ. 36, 608, 617.
მეგრელიძე შ. 30.
მედეედეეი 300, 545, 547, 552.
მეიდელი (გენერალი) 206.
მეიცნერი კ. 82.
მელენჩუკი 620.
მელიქიშვილი ე. 440.
მელიქიშვილი პ. 256, 822, 840.
მენთეშაშვილი სოლ. 59.
მესროპოეი 386.
მესხი იე. 658, 703.
მესხი კ. 659, 826.
მესხი ს. 24, 34, 37, 250, 258, 326, 440, 504, 510, 511, 512, 513, 514, 515, 519, 593, 649, 659, 807, 809, 813, 839.
მესხიშვილი ლ. 659, 862.
მეფისაშვილი ა. 440.
მეღვინოეი 82.
მეჩნიკოეი ლ. 127, 137, 517.
მთვარელიშვილი ნ. 658.
მიზანდარი ა. 831.
მირზოეი 387, 673, 688, 689, 690.
მირიანაშვილი ა. 659.
მირიმანოეები 425.
მიროშნიკოეი 584.
მირცხულავა ი. 30.
მიტნიკი 620.
მიხეილ ნიკოლოზის ძე (მეფისნაცვალი) 227, 248, 249, 252, 257, 292, 293, 304, 600, 646, 667, 668.
მიქაბერიძე ი. 259.
მიქაეა უტე 16, 230, 231, 232, 233, 234, 235, 774.
მიქელაძე დ. 324, 519, 733, 806, 809.
მიქელაძე ე. 702.
მიქელაძე ჭ. 205, 206, 219.
მიქელაძე 450.
მიჩიტაშვილი (ცახელი გლეხი) 60, 67.
მოსსწრაფიშვილი ან. 244.
მოლეშოტი 509.
მოლეერი 650.
მოსაშვილი ი. 59, 60.
მოსაშვილი ჭ. 60.
მოსაშვილი ბ. 59.
მოსეშვილი პ. 399, 402.
მრეველიშვილი ალ. 828.
მურავიოეი (გენერალი) 25, 210, 211, 223, 224.
მუსხელიშვილი (პოდპოლკოვნიკი) 443.
მუშირ-ეასიფ-ფაშა 214.
მუხთარ-ფაშა 444, 446.
მუხრან-ბატონი გ. 294.
მუხრან-ბატონი იე. 26, 47, 48, 209, 212, 213, 280, 281, 282, 283, 359, 363, 364, 415, 429, 526, 567.
მუხრანსკი გ. 462.
მღეიმელი შ. 801.
მცხეთელი მ. 730.
მჭედლიშვილი ზაქ. 59.
მჭედლიშვილი ი. 583.

ნადეედინა-შაეერდაშვილი 610, 611.
ნადირაძე თაზიკა 182.
ნადირაძე თანდილა 182.
ნადირაძე პ. 425.
ნადირ-შაპი 650.
ნათაძე მოსე 596, 618.
ნათიეეი 647.
ნაკაშიძე პ. 425, 806.
ნაკაშიძეები 241, 366.
ნაკაშიძე ი. 596.
ნაკაშიძე მელიტონი 596.
ნაკაშიძე მიხეილი 47.
ნალბანდიანი მ. 836, 837.
ნათაძე მ. 596.
ნანეიშვილი ალექსანდრე 620, 657, 806.
ნანეიშვილი 248.
ნაპოლეონ III 143, 194, 784.
ნარსია გურგენ 246.
ნატანსონი მ. 747.
ნატრიშვილი 205.
ნაცვალოეი ივანე 76.
ნაცვლიშვილი კონსტანტინე 596, 606.
ნახიმოეი (ადმირალი) 199.
ნებიერიძე ალ. 810.
ნეკრასოეი ნ. 839.
ნესელროდე 193.
ნიდიგერი 367.
ნიკოლაძე იაკობი 829.

ნიკოლაძე ნ. 24, 34, 37, 59, 118, 228, 256, 258, 301, 325, 401, 438, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 559, 560, 593, 594, 649, 659, 665, 702, 703, 704, 707, 710, 711, 740, 800, 809, 812, 813, 721, 837, 839.
ნიკოლი, ბარონი 63, 64, 157.
ნიკოლოზ პირველი 122, 126, 132, 133, 186, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 200, 201.
ნიკიფოროვი ნ. 20.
ნინოშვილი ეგ. 728—730, 734, 741, 751, 801, 803.
ნიკარაძე ბ. 575.
ნოგმოვი შ. 836.
ნოვოსელსკი 396, 397.
ნოეიკოვი 628.
ნოსოვიჩი დ. 20.
ნუბაევი არტემი 641.

ობრუჩევი ნ. 628.
ოგანეზოვი ზაქარია 417.
ოგარიოვი ნ. 628.
ოდიშვილი გ. 573.
ოდოევსკი ალ. 838.
ოთარაშვილი 58.
ოთირბა 252.
ოლობეიო 442.
ომერ-ფაშა 211, 212, 213, 214, 218.
ონიკაშვილი ა. 425.
ორბელიანი ალექსანდრე 166, 269, 788, 793, 805.
ორბელიანი გრიგოლ 17, 24, 243, 274, 277, 450, 464, 475, 476, 574, 585, 720, 779, 780, 785, 786, 793, 805, 813, 825, 836.
ორბელიანი ეახტანგ 788.
ორბელიანი იე. 277.
ორბელიანი ილია 148.
ორბელიანი სულხან-საბა 458, 475, 480.
ოსმან-ალა 261, 262.
ოსტროგოსკი 79, 115.
ოქრომჭედლიშვილი ი. 806.
ოქუაშვილი არ. 730, 745, 754, 760.
ოქუაშვილი ზაქარია 618.
ოძელაშვილი არსენა 793.

პაელე (არქიეპისკოპოსი) 643, 653, 654, 671.
პაელესკო ნ. 471.
პაიკაძე ეგნატე 240.
პალმკოვსკი 385.
პასკევიჩი 125, 126, 127, 193, 236.
პაპულაშვილი 61.
პატარა ალი 662.
პატებნი ა. 628.
პეკარსკი 620, 630.
პელჩინსკი 43.
პეროვსკაია ს. 627.
პეტრიაშვილი ე. 813, 821, 840.
პეტროვი პ. 632.
პილიდი 402.
პისარევი 594, 612.
პისარევსკი ი. 822.
პიტოევი ი. 831.
პოზენი 132.
პოლტავეა 628.
პოლინსკი ი. 838.
პოპოვი კ. 336, 612.
პოტიომკინი 84.
პოტტო ე. 25, 184, 823.
პლუხანოვი გ. 727, 728, 729, 741, 743.
პლოხოტნიკოვი ვ. 628, 630.
პრიბილევა-კორბა 621.
პრინცი 242, 246.
პროხოროვი 612.
პრუდონი 594.
პუშკინი 827, 837, 838.

ულიაბოვი 627, 730.
ულიანი 828.
ფორდანია თედო 658, 821.
ფორდანია ლევან 245.
ფორდანია ნ. 32, 728, 734, 741, 742, 743.

რადეკი (გენერალ ?) 448.
რადიანი შ. 250.
რადიშჩევი 628.
რაზმაძე სოლომონ 788.
რამიშვილი ი. 733.
რატიანი ვ. 454.
რატიანი პრ. 36, 563.
რატილი იოსები 831.
რატიშვილი 366, 573.

რაროვი ქრისტინე 612, 616.
რაქველიშვილი ქრ. 33.
რეადი (გენ.) 201.
რევია ნიკოლოზი 77.
რენენკამფი (გენერალი) 183, 184.
რენინგერი 732.
რეპინი 828.
რინდზიუნსკი პ. გ. 78.
რისაკოვი 627.
რიხნერი 385.
რობაქიძე 575, 760.
როდონაია ნ. 28, 79.
როზენი 101, 122, 163, 181, 182, 217.
როზმორდიუკი 80.
რომანოვი მ. (მეფისნაცვალი) 255, 366, 526, 642, 668.
როსტომაშვილი ი. 596, 606, 815.
როტშილდი 385, 683.
რუბინშტეინი ა. 838.
რუსთაველი შოთა 458, 475, 480, 648, 731, 820, 829.
რუსო ჟ. 480.
რუქსი 679.
რუხაძე დიმიტრი 240.
რჩეულიშვილი გრიგოლ 788, 791.

საკოვი 723, 724.
სადრაძე მ. 244.
სავანელი ხ. 720, 805, 831.
სალტიკოვი (სალტიკოვ-შჩედრინი) 520, 738.
სამსონაძე მ. 60.
სამხარაძე გლახუა 161.
სამადაშვილი ვასილ 596, 603, 514, 615, 616.
სარაჯევი ამბარცუმ 417.
სარაჯიშვილი ალ. 656, 806.
სარაჯიშვილი დავით 389, 390, 393.
სარაჯიშვილი ეანო 831.
სარაჯიშვილი მიხეილ 658
საფაროვა მ. 659, 826.
საფაროვი არშაკ 616.
საფაროვი სანდრო 596.
სახოკია თედო 821.
სეგალი ი. 25.
სეგალი მ. 686, 687, 823.
სელიმ-ფაშა 202, 203, 207.
სემიონოვი ვ. 471.
სენკოვსკი პ. 804.
სერებრიაკოვი 201.
სეჩენოვი ი. 821.
სვანიძე 61.
სვიატოპოლკ-მირსკი 226, 251, 442, 447.
სიფრაშვილი ე. 586.
სიომინი 25.
სიმონიანი 824.
სიმონიძე მ. (მეტეხელი შ.) 730.
სიხარულიძე ი. 29.
სკლიარენკო ა. პ. (პოპოვი) 749.
სმეკალოვი გ. 669.
სოგომონოვი 390.
სოლომონ I 205.
სოლორაშვილი გ. 733.
სოხიევი 612, 615.
სტალინი ი. ბ. 32, 124, 732, 744, 750, 752, 753, 756, 760, 761.
სტოიანოვი ალ. 653.
სტრელკოვი 156.
სტურუა ვ. 730, 745, 754, 759, 760.
სუდეიკინი 639.
სუკორინი 837.
სულხანიშვილი 63.
სულხანიშვილი გ. 806.
სულხანიშვილი ვასილ 810.
სულხანიშვილები 366.
სულხანიშვილი ივანე 47.
სულეიმან-ფაშა 448.
სულტანოვი 623, 625.
სუმბათაშვილები 366.
სუმბათაშვილ-იუჟინი 826.
სუნდუკიანი გ. 836.
სურინოვიჩი 251.

ტაბლანიშვილი გლახა 59.
ტატიშვილი გრიგოლ 829.
ტიერი 742.
ტიზენჰაუზენი 583, 585.
ტიმოფეევი ს. 601.
ტერ-აკოფოვი ა. 417.
ტერ-გრიგორიანცი 620.
ტერ-გუკასოვი გენ. 442, 443—444.
ტერ-მინასოვი კ. 96.
ტერ-პოღოსოვი 623, 625.

ტოლსტოი დ. (შინაგან საქმეთა მინისტრი) 638, 670.
ტოლსტოი ლ. 839.
ტორმასოვი 91, 171.
ტრუსაჩოვი 623, 624, 625.
ტყეშელაშვილი ნ. 28, 431.

უთურგაული გ. 592, 614, 656.
უზნაძე დიმიტრი 822.
უმიკაშვილი ჰ. 511, 659, 782, 807, 809, 816.
უორდროპი მ. 839, 840.
უსლარი 222, 823.
უშინსკი 651.
უჩინარიძე ვ. (ცაბაძე ე.) 730.

ფაელენიშვილი კოლა 596, 615.
ფაელენიშვილი რ. 595, 596, 612.
ფალავანდიშვილი ბ. 820.
ფალიაშვილი ზაქარია 831.
ფალიაშვილი ივანე 831.
ფანჩულიძე 450.
ფანცხავა ა. 58, 170.
ფანცხავა რ. (ხომლელი) 31, 810.
ფილია დიანოზ 246.
ფილია მესოუთ 252.
ფილიპოვი 612.
ფინკი ფრ. 823.
ფიროსმანიშვილი ნიკო 828.
ფირცხალავა ს. 24, 513.
ფირცხალაიშვილი ბიქია 246.
ფოიერბახი ლ. 740.
ფრანჩესკი ი. 732, 733, 744, 755.
ფრანც-იოსები 193.
ფრიდონოვი ნ. 425, 702.
ფრონელი (ალ. ყიფშიძე) 532—534, 536, 537.
ფუონტიპელო 418.
ფურცელაძე ან. 24, 34, 37, 270, 271, 523, 596, 793, 801, 810, 839.

ფურცელაძე დ. 616.
ფურცელაძე ქაიხოსრო 596.
ფხოველიშვილი 586.

ქადაგიძე ნ. 623, 624, 625.
ქავთარაძე ალექსი 449.
ქანანოვი გიორგი 59, 60, 702.
ქაჯაია ვ. 24, 31.
ქედხუდაშვილი ეგორ 84.
ქიქოძე ათანასე 596.
ქიქოძე გ. 32, 33, 34, 36, 767, 820, 840.
ქიქოძე ისიდორე 595, 596, 597, 598, 599, 600, 612, 615.
ქიქოძე მ. 816.
ქიქოძე კ. 831.
ქუთაისოვი (გრაფი) 127, 137.
ქუთელია ა. 32, 38.
ქუჯბა 252.

ღამბაშიძე დ. 805.
ღლონტი მაქსიმე 244.
ღოღობერიძე ბეს. 258, 656.
ღოღობერიძე ნიკ. 325, 402.
ღულაძე ანდრია 810.

ყაზბეგი ალ. 18, 24, 479, 493 — 499, 813, 826.
ყაზბეგი გ. 24, 440, 494.
ყაზარაშვილი სტეფანე 59, 60.
ყენია 242, 245.
ყიფიანი დიმიტრი 23, 67, 275—276, 282, 324, 475, 519, 571, 643, 649. 650, 655, 656, 659, 665, 667, 668—671, 789, 793, 806, 813, 816 827.
ყიფიანი დავით 64, 806.
ყიფიანი კოტე 659, 826.
ყიფიანი მიხეილ 596, 597, 608, 609, 614, 630, 631, 658.
ყიფშიძე გრ. 33, 618, 806.
ყორღანოვები 425.
ყორღანოვი 77, 82.
ყორღანოვი ა. 831.
ყორღანოვი ი. 702.
ყუბანეიშვილი ს. 24.

შავერდოვი 81.
შავიშვილი ან. 616.
შაიკოვი 60.
შალიკაშვილები 187.
შალიკაშვილი ვ. 826.
შალიკაშვილი სიმონ 47.
შამბა ოსმან 252.
შამილი 195, 197, 199, 225.

შარვაშიძე (მემამულე) 366, 576.
შარვაშიძე ელ-საბედ (მიშო ყიფიანის მეუღლე) 631.
შარვაშიძე მიხეილ 201, 202, 217, 225—226, 620, 635.
შატილოვი ალ. 745.
შპ-აბაზი 650.
შეეჩენაო ტ. 839.
შეოიფ-ბეგი 448.
შერემეტიევი 643.
შექსპირი 660, 731, 788, 539.
შეეცოვი ს. 615.
შიოშვილი 187.
შიუკაშვილი შ. 632.
შიუკოვი 592.
შიშკოვი ა. 836.
შმერლინგი ოსკარ (მხატვარი) 545.
შტუსე 92.
შუღლი 82.
შაყრილი ნაკრეს 252.

ჩაიკოვსკი პ. 831, 838.
ჩარექოვი იოსებ 77.
ჩანტლაძე ერ. 761.
ჩახკაშვილი ნ. 30.
ჩერეპოვი 250, 251.
ჩერნიშევსკი 258, 480, 501, 516, 518, 520, 524, 590, 592, 593, 594, 837, 839.
ჩერნიშოვი (სამხ. მინისტრი) 132, 133, 182, 188.
ჩერტკოვი პ. 831, 838.
ჩიკვაიძე მ. 806.
ჩითახოვი 324.
ჩინგისხანი 650.
ჩიტაია გ. 767.
ჩიქოვანები 246.
ჩიქოვანი დავით (დადიანის სახლთუხუცესი) 230, 231, 806.
ჩიქოვანი თ. 712.
ჩიქოვანი რ. 247.
ჩიჯავაძე მ. 45, 47, 63, 237.
ჩოდრიშვილი გ. 730.
ჩოდრიშვილი ზ. 745, 754, 759, 760.
ჩოდრიშვილი მ. 691.
ჩოლოყაშვილი ნიკ. 423.
ჩოჩუა ა. 835.

ჩუბინაშვილი დ. 804, 820, 821, 840.
ჩხეიძე ბეჟან 238.
ჩხეიძე გ. 730, 745, 754, 760.
ჩხეიძე კ. 732, 733, 734, 741.
ჩხეტია შ. 22, 28, 29, 30, 132, 148, 375.
ჩხიკვაძე ზაქარია 831.
ჩუდეცკი 670, 671.

ცაბაძე ვ. 732, 745.
ცაგარელი აკესენტი 800, 801, 826.
ცაგარელი ალ. 813, 840.
ცომერმანი 402.
ცოცეშვილი არჩილ 622.
ცეცხლაშვილი პეტრე 60, 61.
ცხაკაია მ. 728, 732—734, 737.
ცხადაძე გიორგი 162.
ცხადაძე ივანე 162.
ცხადაძე სიმონ 162.
ცხვედაძე ალექსანდრე 596.
ცხვედაძე იოსები 618.
ცხვედაძე ნიკო 656, 702, 815.

ძაროიანი 169.

წიკლაური შიო 355.
წინამძღვრიშვილი ილია 815.
წმინდა ნინო 663.
წულუკიძე ა. 32, 658, 732, 734, 750, 751, 760.
წულუკიძე პეტრე 402.
წერეთელი აკაკი 17, 24, 32, 33, 34, 258, 398, 458, 479, 485, 486, 487, 488, 489, 492, 501, 511, 579, 593, 649, 661, 662, 663, 665, 669, 782, 793, 794, 796, 797, 805, 806, 807, 809, 810, 812, 813, 825, 837, 839.
წერეთელი გიორგი 24, 32, 34, 38, 258, 440, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 518, 519, 730, 782, 800, 802, 806, 807, 809, 813, 817, 837, 839.
წერეთელი გრიგოლ 163, 182.
წერეთელი ეასილ 806.
წერეთელი ექვთ. 794.
წერეთელი სოლომონ 402.

ჭავჭავაძე 140, 450.
ჭავჭავაძე ა. გ. 24, 126.

ჭაკვეავაძე დავით 363.
ჭაკვეავაძე ზაქარია 449.
ჭაკვეავაძე ილია 17, 24, 32—35, 258, 259, 263, 264, 266—269, 308, 358, 440, 464, 466, 479—481, 483, 492, 501, 511, 520, 524, 555, 558, 562, 563, 593, 646, 647, 651, 656, 657, 660, 661, 666, 782, 793—796, 802, 806, 809, 812, 813, 825, 827, 835—840.
ჭაკვეავაძე ნიკო 205, 255, 284.
ჭალადიდელი გ. 810.
ჭანკორაშვილი დავით 59, 60.
ჭილაშვილი (ნადეორნი სოვეტნიკი) 196.
ჭიკინაძე ა. 24.
ჭიკინაძე ზ. 24, 33, 658, 782, 816, 821.
ჭიკინაძე ი. 596, 615, 616.
ჭონქაძე დ. 32, 258, 260, 262, 271, 478, 522, 523, 789, 792, 793.
ჭრელაშვილი სტ. 586, 595, 600, 616, 620, 621—623, 806, 810.
ჭყონია ერასტი 204.
ჭყონია ილია 810.

ხატისოვი 82.
ხარატურიანცი 385.
ხვაპურიძე გ. 26, 29, 30, 186.
ხახანაშვილი ა. 33, 821, 840.
ხელაძე გ. 586.
ხელთუფლიშვილი ზ. 326.
ხიდისთაველი მ. 730.
ხიზანეიშვილი პეტრე 240.
ხიზანიშვილი ნიკ. 810.
ხითარიშვილი არუთინ 59.
ხიმშიაშვილი ვანო 596.
ხიმშიაშვილი შერიფ ბეგი 45, 440, 447.
ხიმშიაშვილი 660.
ხოშტარია ე. 28, 30, 69, 71, 73, 75, 78, 79, 80.
ხრისტოვი კ. 633.
ხრისტოფოროვი 595, 598, 599.
ხუბლაროვი 390.
ხუდადოვი ნ. 760, 810.
ხუნდაძე სილოვან 801.
ხუნდაძე სიმონ 24, 33, 34, 507.
ხურციძე შურაბაან 237, 240.
ხურციძე ჯამინაა 236, 240.
ხუშიტაშვილი 58.
ხუციშვილი ნიკო 618.
ხუციშვილი სოლომონ 24, 31.

ჯაბადარი ი. 595.
ჯაბალუკოვები 749.
ჯაფახიშვილი ივ. 27, 29, 821, 822.
ჯანდიერი გიორგი 205.
ჯანდიერაშვილი ლ. 806.
ჯანკუვაზოვი ალექსი 417.
ჯანაშვილი მოსე 820.
ჯანიევი 583, 584.
ჯალიაშვილი ნინა 59.
ჯაიანი ი. 326, 703.
ჯაველი ი. 324.
ჯაფარიძე ა. 760, 761.
ჯაფარიძე გ. 825.
ჯაფარიძე 720.
ჯიბლაძე გ. 36.
ჯიბლაძე ს. 729, 732, 734, 735, 738, 739, 741, 742, 745, 760.
ჯიმშეროვი 678.
ჯინჯიხუხაშვილი იოსებ 59.
ჯორჯაძე 575, 577, 581.
ჯორჯაძე ა. 33.
ჯორჯაძე ბარბარე 788, 794.
ჯორჯაძე დარიკო 596.
ჯორჯაძე ივანე 166.
ჯორჯაძე ზაქარია 362, 415, 422.
ჯორჯაძე სოფიო 596.
ჯულაშვილი სოსო 759.
ჯულაშვილი (ნოკარი) 630.
ჯულელი ანთიმოზ 815.
ჯულელი ს. 745.

ჰაზირა 782.
ჰარნაკი ა. 823.
ჰაქსტჰაუზენი 53, 62, 175, 823.
ჰეჯი-დაგუმოუეა ბარზეგი 224.
ჰეინე 260.
ჰიუგო ე. 650, 839.
ჰესეინ-ხამი-ფაშა 446.

ბასთუმანი 202, 824.
აბაშა 416, 421, 435.
აბისი 240.
ადრიანოპოლი 191.
აზერბაიჯანელი 124, 132, 215, 442, 446, 505, 773, 834, 835.
აზია 91, 92, 195, 210, 224, 470, 495, 834, 840.
აელიარ-ალაჯი 446.
ავსტრია 191, 192, 193, 194, 201, 439, 451.
ავღანელები 840.
ავკალა 826.
აკეთი 203, 209, 213.
ალაეერდი 86, 87, 395, 396, 403, 420.
ალაჯის სიმაღლეები 446.
ალი 107.
ალისუბანი 169.
ალექსანდროპოლი 128, 196, 198, 199, 202, 442.
ალექსანდროპოლის მაზრა 103.
ალექსანდერსდორფი 123.
ამაღლება 170, 235.
ამერიკა 470, 471, 504, 840.
ამიერკავკასია 7, 20, 44, 82, 83, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 112, 113, 114, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 131, 132, 135, 137, 188, 190, 194, 195, 198, 199, 209, 210, 211, 215, 217, 280, 309, 317, 320, 389, 417, 418, 419, 420, 424, 425, 442, 448, 505, 517, 681, 682, 694, 705, 717, 721, 723, 732, 741, 747, 752, 757, 762, 769, 770, 771, 773, 818, 834.
ამტნისხეევი 498.
ანაგა 56, 57, 585, 586.
ანაკლია 107, 203, 212, 394.
ანანური 40.
ანაპა 201.
ანატოლია 86, 198, 199, 202, 210, 444, 446, 447.
ანუხვა 251.
არარატი 196.
აპსხუელები 224.
არაბები 840.
არბო 420.
არბოშიკი 57.
არდაგანი 196, 198.
ართვინი 443.
ართვინის ოლქი 419.
არტანი 443, 447, 449, 450, 645.
არტანუჯი 443.
არფაჩაი 198.
არხანგელსკის გუბერნია 716.
ასტრახანი 520.
ასტრახანის გუბერნია 716.
ატენი 77.
აფრიკა 470, 840.
აფცხა 250.
აფხაზი 213, 226, 445, 459, 646, 834, 835.
აფხაზეთი 137, 152, 155, 196, 199, 200, 201, 202, 209, 212, 215, 216, 217, 223, 224, 225, 226, 250, 251, 252, 253, 293, 295, 296, 301, 331, 335, 337, 338, 342, 418, 445, 449, 644, 773.
აფხაზეთის სამთავრო 223, 224, 225, 226, 252.
აღბულაღი 769.
აღმოსავლეთ ამიერკავკასია 225.
აღმოსავლეთ ევროპა 459.
აშშ 400.
აშხაბადი 423.
აცა (სოფელი) 251.
აწყური 81.
აჭარა 152, 198, 202, 335, 445, 447, 448, 451, 452, 453, 644, 645, 775.
აჯი 242.
ახალგორი 50, 51, 107.
ახალსენაკი 416, 421, 435, 649.
ახალსოფელი 730.
ახალქალაქი 50, 62, 107, 109, 116, 420, 426, 427, 432, 705, 706, 709, 710.
ახალქალაქის მაზრა 310, 335, 417, 419.
ახტალა 87.
ახაშენი 641.

ახალციხე 107, 109, 110, 116, 122, 128, 177, 196, 198, 199, 202, 236, 327, 328, 378, 421, 426, 427, 432, 434, 448, 449, 451, 705, 706, 708, 709, 710.
ახალციხის მაზრა 41, 85, 110, 150, 152, 178, 190, 229, 257, 310, 419.
აჯამეთი 240.

ბათუმი 202, 203, 206, 207, 211, 328, 384, 385, 392, 407, 415, 418, 419, 421, 425, 427, 428, 431, 432, 435, 436, 437, 442, 443, 445, 447, 449, 451, 452, 569, 653, 657, 667, 685, 687, 697, 702, 704, 706, 708, 709, 710, 732, 733, 771, 826, 829.
ბათუმის ოლქი 419, 724, 725, 744.
ბაიაზეთი 196, 442, 443.
ბაილეთი 243.
ბაკურციხე 583.
ბალკანეთი 439, 440, 448, 451.
ბალკანეთის ნახევარკუნძული 194.
ბალტიისპირეთი 716.
ბანოჯა 169.
ბარცხანა 452.
ბაქო 99, 128, 385, 423, 425.
ბაღდადი 235, 236, 238, 239.
ბაშკადიკლარი 199.
ბახეი 241.
ბელგია 400.
ბელორუსია 642, 716.
ბერლინი 418, 451, 452.
ბერძენი 86, 767.
ბესარაბია 193, 448.
ბზიფი 225, 250, 251.
ბრეთი 240.
ბოგუჩარი (ქალაქი) 79.
ბოდბისხეეი 187.
ბოლნისი 88.
ბორჩალო 40, 147, 313.
ბორჩალოს დისტანცია 110.
ბორჩალოს მაზრა 310, 335, 351, 367, 387, 417, 419, 541, 550, 551.
ბორჯომი 387, 668, 669, 670, 824.
ბორჯომის ხეობა 81, 126, 198.
ბოსლეეი 169.
ბოსნია 439.
ბოსფორი 439.
ბულგარეთი 192, 193, 439, 448.
ბულგარელი 514.

გაკაზი 55.
გალიუპოლი 192, 193.
გელათი 169.
გელენჯიკი 200, 201.
გერმანია 400, 451, 471.
გიორგიწმინდა 143.
გოგორეთი 185.
გოგოლეთი 242, 243.
გოგიეთი 240.
გოდიგანი 170.
გომარეთი 657.
გორი 40, 77, 104, 107, 109, 110, 112, 114, 116, 118, 128, 145, 148, 177, 188, 199, 327, 328, 421, 426, 427, 432, 434, 504, 523, 573, 595, 633, 646, 697, 699, 705, 706, 708, 710, 751, 752, 780, 818.
გორის მაზრა 46, 69, 77, 104, 110, 138, 139, 140, 146, 147, 151, 152, 156, 158, 165, 167, 170, 171, 172, 173, 175, 176, 183, 205, 240, 257, 309, 310, 419, 420, 541, 550, 551, 717.
გორისწყარი 50, 62.
გრეში 166.
გუმისთავი 169.
გურია 45, 101, 128, 151, 158, 159, 185, 186, 197, 199, 202, 204, 206, 209, 210, 211, 212, 213, 216, 217, 241, 243, 244, 246, 293, 294, 330, 334, 337, 423, 449, 539, 596, 641, 773, 782.
გერული 458, 646, 767, 782.
გუდაუთა 435, 445.
გუმი 251.
გურიანთა 241, 242, 243.
გურჯანი 128.

დანდალო 452
დარდანელი 439.
დარიალი 493.
დარუბანდი 128, 135, 449.
დასავლეთ ევროპა 418, 457, 461, 463,

471, 472, 480, 481, 490, 504, 505, 510, 511, 521, 710, 711.
დასავლეთ კავკასია 224, 225.
დაღესტანი 785.
დაღესტნელი 505.
დევებოინის მთა 446, 447.
დვაბზუ 101.
დვალშვილები 238.
დიდი თიანეთი 498.
დიდი საქობო 57.
დიდი ჯიხაიში 769.
დიდუბე 824.
დიში 169, 238.
დიღომი 657.
დრე (სოფელი) 82.
დუშეთის მაზრა 110, 145, 156, 158, 175, 310, 335, 340, 354, 355, 417, 541, 550, 551.
დუშეთი 109, 110, 112, 114, 116, 139, 177, 229, 328, 427, 432, 480, 706, 708.

ეგვიპტე 192.
ევროპა 79, 92, 93, 95, 98, 100, 104, 191, 192, 194, 200, 201, 439, 450, 451, 456, 460, 463, 470, 471, 518—520, 776, 882, 834, 839, 840.
ევროპელი 481, 495, 516, 826, 840.
ეკატერინენსფელდი 123.
ეკატერინოსლავის გუბ. 86.
ელიზავეტპოლი 40, 128, 450, 609.
ელიზავეტპოლის მაზრა 103.
ენაგეთი 77.
ენგური 212, 213, 215, 224, 225, 232.
ენისელი 50, 55, 56, 58, 175.
ერევანი 128, 135, 176, 196, 203, 223, 442.
ერევნის მაზრა 103.
ერზერუმი 96, 444, 446, 448.
ერთაწმინდა 420.
ერწო 498.
ეცერის თემი 298.
ეწერი 169.

ვაკის უბანი 169.
ვინის ქედი 101.
ვანთა 240.
ვარიანი 489.
ვარშავა 735.
ვარციხე 144, 769.
ვაქირი 57, 583, 586.
ველისციხე 55, 56, 60.
ვერა 779.
ვიატკის გუბერნია 86.
ვიეტნამელი 840.
ვილუისკი 520.
ვეფხვისციხე 143, 145.
ვლადიკავკაზი 612.
ვლახეთი 143, 191, 192.
ვოლგის გუბერნია 86.
ვორონეჟი 78, 226.
ვორონცოვკა 347.

ზაქათალა 197.
ზემო მაჩხაანი 57, 583.
ზემო ქვალონი 235.
ზემო ხოდაშენი 55, 58.
ზენობანი 238.
ზიდეხი 573.
ზუბი 214.
ზუგდიდი 80, 107, 209, 213, 215, 230, 232, 421, 427—429, 432, 434, 548, 549, 551.
ზუგდიდის მაზრა 214, 293, 319, 357, 419, 420, 548.

თავისუფალი სვანეთი 299.
თავრიდა 86.
თალიში 128.
თამაკონი 247, 248, 249.
თბილისი 14, 38, 40, 44, 45, 46, 48, 50, 62, 70, 71, 72, 74, 78, 80, 82, 83, 92—97, 103—110, 112—119, 122, 123, 128, 145, 146, 183, 188, 198, 199, 203, 205, 246, 253—256, 315, 320, 321, 323, 324, 347, 378, 382, 383, 384, 386, 387, 389, 390, 392, 393, 408, 412, 414, 415, 417, 418, 419, 421, 423—425, 427, 428, 431, 432, 433, 435, 436, 453, 480, 489, 490, 493, 522, 523, 564, 566, 569, 574, 594, 606, 641, 654, 657, 663, 668, 672, 673, 676, 677, 684, 686, 687, 688, 692, 693, 694, 695, 697, 699, 700, 701, 704, 706—712, 719,

723, 724, 732, 744, 745—748, 750—754, 757—763, 770, 771, 777, 801, 804, 810—813, 817, 818, 822—825, 827, 828, 830, 836, 838.
თბილისის გუბერნია 8, 15, 40, 41, 45, 49, 67, 86, 139, 152, 167, 172, 274, 288, 293, 294, 309, 310, 311, 386, 417, 421, 432, 525, 529, 531, 534, 535, 540, 544, 545, 546, 547, 549, 550, 551, 552, 556, 557, 664, 694, 717, 719, 720, 722.
თბილისის მაზრა 60, 103, 107, 110, 151, 156, 158, 177, 229, 250, 310, 341, 419, 536, 551.
თეკლათი 214.
თელავი 50, 81, 104, 107, 109, 110, 114, 116, 128, 177, 328, 421, 426, 427, 432, 434, 497, 654, 663, 704, 705, 706, 708, 709, 710, 780, 817, 826.
თელავის მაზრა 9, 41, 43, 54, 55, 56, 58, 59, 60, 103, 110, 138, 140, 143, 149, 151, 172, 173, 174, 175, 341, 347, 352, 420, 551.
თელეფა 169.
თერჯოლა 154, 155, 161, 162, 169.
თიანეთი 440, 657.
თიანეთის მაზრა 310, 335, 351, 355, 417, 541, 550, 551.
თიანეთის ოკრუგი 250.
თრიალეთი 773.
თუშეთი 150, 173.
თუშეთის დისტანცია 110.
თურქეთი 7, 40, 91, 95, 96, 98, 100, 104, 112, 121, 123, 127, 143, 144, 191, 192, 195—198, 200, 209—211, 214, 223, 431, 439, 440, 442, 444, 445, 449, 450, 451, 452, 453, 457, 494, 505, 511, 645, 646, 650, 657.
თხილწყარო 169.
თურქი 230, 458, 645, 699.
თუში 147, 449, 767, 772.

იაპონია 471.
იაპონელი 840.
იაშთუხი 251.
ივანდიდი 248.
იმერეთი 45, 86, 101, 128, 144, 148, 154, 158—160, 170, 183, 186, 196, 202—204, 215, 216, 235, 293, 331, 334, 337, 338, 431, 485, 504, 538, 596, 664, 773.
იმერელი 12, 62, 113, 149, 185, 458, 767.
იმერხეთი 451.
ინგილო 458, 696, 767.
ინგლისი 48, 89, 95, 100, 191—194, 199—201, 210, 400, 439, 450, 451, 741.
ინგლისელი 653.
ინდოეთი 89, 191, 834.
ირანი 40, 93, 95, 97—99, 112, 121, 127, 191, 192, 457.
ირლანდია 100.
იტალია 80, 470, 471, 827, 828, 834.
იუგოსლავია 840.
იფარი 575.

კავკაზი 657, 826.
კავკასია 37, 43, 51, 113, 114, 122, 123, 124, 127, 128, 134, 153, 176, 195—198, 200, 202—203, 216, 224, 225, 252, 257, 440, 442, 445, 446, 459, 460, 642, 684, 692, 712, 716, 717, 722, 723, 725, 732, 744, 745, 756, 758, 767, 773, 777, 815, 835, 836, 839.
კავკასიელი 834, 835.
კავთისხევი 50, 62, 240.
კალეთი 242.
კალა 575.
კამერეთი 62.
კარალეთი 50, 62.
კასპი 128.
კასპის ზღვა 92.
კახათი 212, 213.
კახეთი 9, 14, 26, 44, 58, 60, 143, 164, 183, 197, 293, 334, 337, 351, 353, 365, 480, 581, 583, 596, 773, 827.
კახელი 458, 767.
კახური (სოფელი ბურიაში) 242, 243.
კბაადა 225.
კეხვი 62.
კვახჭირი 144.

კიევი 490, 752, 838.
კინტრიში 449.
კირცხი 232.
კლარჯეთი 451.
კოკა 169.
კოკი 213.
კოლა 184.
კოლა-არტანი 451.
კონსტანტინოპოლი 80, 104, 191—193, 448.
კორინში 169.
კორცხელი 232.
კოსტრომის გუბ. 235.
კოტაანი 57.
კოჯორი 122, 708.
კრეტი 192.
კუკია 50, 62.
კურსკის გუბერნია 86.
კუპატანი 55.

ლაილაში 101.
ლაიპციგი 93, 104.
ლანჩხუთი 101, 209.
ლანჩხუთის უბანი 241.
ლანჩხუთის ხეობა 204.
ლანჩხუთელი 458, 767.
ლაფეთა 169.
ლედვი მდ. 207.
ლედგებიე 232.
ლენინგრადი 23.
ლესიკინე 81.
ლეჩხუმი 212, 213, 334, 566.
ლეჩხუმის მაზრა 293, 310, 338, 357, 551.
ლეწურწუმე 581.
ლია 232, 579.
ლილო 50, 62.
ლიხური 242, 243, 449.
ლიხის მთა 13.
ლიხნი 251.
ლონდონი 104, 418.
ლუგანსკი 89.

მაკეანეთი 242, 243.
მანგლისი 122.
მანდიკორი 169.
მარიენფელდი 123.
მარანი 101, 213.
მარტყოფი 349.
მატანი 250.
მალარო 57.
მაშნაარი 583.
მეგრელი 185, 458, 645, 767, 782.
მესტია 575.
მესხეთ-ჯავახეთი 773.
მესხი 458, 767.
მეტეხი 167, 168.
მეჯერისხევი 420, 780.
მთაწმინდა 826.
მთიელი 458, 669.
მირზაანი 57.
მიუნხენი 828.
მლეთი 349, 508.
მოგილევის გუბ. 86.
მოლდავეთი 191, 192, 193.
მოლიდი 238.
მოსკოვი 23, 43, 45, 80, 81, 86, 104, 134, 230, 258, 423, 439, 494, 710, 750, 816, 821, 828, 829, 838.
მოხეევ 458, 767, 772.
მტკვარი 443, 771, 779.
მუგუძირხეა 250.
მუხური 101, 213.
მუხაესტატე 445.
მუხათა 445.
მუხაურეა 169.
მუხერა 169.
მცირე აზია 193, 440, 442, 446, 448.
მცხეთა 657, 827.
მხურვალეთი 240.

ნაგარევი 169.
ნაბოსლევი 169.
ნაგომარი 101.
ნალჩიკი 222.
ნაფარეული 532, 533.
ნაქალაქევი 50.
ნახჩევანის მაზრა 103, 128.
ნეაპოლი 827.
ნიგოეთი 204, 209, 245, 246.
ნიჟნი ნოვგოროდი 97, 100, 104.
ნოვგოროდი 611.
ნოვოალექსანდროვკა 354.

ნოეომიხაილოვა 347.
ნოეორლისისკი 201, 251, 569.
ნოლა 169.
ნუკრიანი 57.

ობუკი 232.
ოდესა 93, 569, 821, 822, 829, 838.
ოდილაური 170.
ოზაანი 57.
ოზურგეთი 98, 100, 107, 185, 186, 328, 427, 428, 429, 432, 523, 566, 573, 702, 704, 705, 706, 708, 710.
ოზურგეთის მაზრა 45, 138, 151, 152, 178, 202—206, 241, 244, 310, 353, 419, 420, 434, 443, 538, 548, 549, 551.
ოლთისი 451.
ოლონეცის გუბ. 235.
ონი 101, 107.
ონყოხეთი 238.
ორენბურგის გუბერნია 86, 716.
ორთაჭალა 779, 780.
ორპირი 80.
ოსეთი 173, 183, 185.
ოსი 62, 188, 205, 459, 773, 834, 835.
ოსმალეთი 91, 145, 191, 192, 197, 198, 450, 451, 452, 691.
ოსმალო 233, 488.
ოფშკეთი 769.
ოჩამჩირე 412, 435.

პარიზი 418, 514, 516, 517, 518, 828.
პატარა იანგი 446.
პატარა საქობრი 57.
პატარძეული 58, 143, 175.
პენზა 86.
პერმის გუბ. 235, 749.
პეტერბურგი 19, 81, 86, 123, 134, 194, 230, 231, 256, 258, 274 480, 485, 504, 505, 510, 515, 516, 520, 592, 623, 642, 693, 710, 745, 746, 754, 755, 804, 817, 818, 821, 827, 828, 831, 838.
პლევნა 448.
პოლონეთი 470, 504, 642, 716, 840.
პოლიაკები 646.
პრასიანი 57.
პრუსია 191.
პსხუელები 224.

ჟენევა 517.

რაჭა 88, 154, 293, 334, 566.
რაჭის მაზრა 151, 178, 190, 310, 357, 538, 551.
რაჭეელი 458, 767.
რედუტ-ყალე 44, 89, 96, 98, 99, 203, 209, 412.
რიაზანის გუბ. 78.
რიონი 203, 681.
რიონის მხარე 196, 202.
რომი 42.
რუისი 420.
რუმინეთი 448, 840.
რუსეთი 7, 8, 40, 41, 45, 49, 68, 69, 79, 80, 83, 84, 86, 88, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 100, 102, 105, 112, 113, 114, 116, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 143, 148, 171, 191, 192, 194, 195, 196, 197, 198, 200, 201, 209, 211, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 222, 223, 225, 258, 272, 273, 303, 304, 418, 420, 439, 440, 441, 442, 445, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 456, 457, 459, 460, 461, 462, 463, 466, 470—473, 478, 479 — 481, 485, 490, 491, 494, 504—506, 510—512, 517, 520, 521, 523, 524, 561, 569, 587, 646, 650, 658, 670, 688, 690, 704, 711, 712, 715, 716, 717, 720, 721, 727, 732, 734, 744, 748, 749, 771, 775, 784, 812, 816, 817, 818, 822, 827, 830, 834, 837, 838, 840.
რუსეთის იმპ. 235.
რუსი 17, 225, 461, 473, 479, 481, 492, 494, 504, 523, 646, 653, 654, 767, 779, 826, 834, 837, 838.
რუხი 107, 212.

ხაბეკი (სოფელი) 81.
ხაბერძნეთი 192, 828.
ხაბოთა კავშირი 840.
ხაგარეჯო 50, 62, 175.

სადღიანო სვანეთი 296.
სადღეშქელიანო სვანეთი 223, 296.
საზანო 169.
საინგილო 197.
სალიანი 50, 62.
სალხინო 232.
სამარა 86.
სამეგრელო 10, 16, 44, 45, 101, 113, 137, 152, 158, 186, 196, 199, 201, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 230, 233, 248, 249, 296, 330, 334, 337, 338, 423, 580, 596, 608, 645, 647, 654, 657, 664, 669.
სამთაეისი 50, 62.
სამტრედია 169, 435.
სამურზაყანო 209, 216, 222, 236.
სამხრეთ ამერიკა 840.
სამწეერისი 50, 62.
სანაეარდო 50, 55.
სანარმანიო 212, 213.
სანსტეფანო 450, 451.
სარატოეი 78, 86, 516.
სართიქალა 62.
სართიქალის უბანი 174.
საფრანგეთი 80, 191, 192, 193, 194, 199, 200, 201, 210, 270, 400, 451, 471, 472, 514, 518, 519, 741, 742, 834.
საჩხერე 101, 421.
საქართველო-იმერეთის გუბერნია 52, 103, 128, 129, 130, 135, 147, 177.
საქობო 583, 586.
საწერეთლო 160, 161.
საწირე 169.
სევასტოპოლი 200, 210, 211, 251.
სემიპალატინსკი 632.
სენაკი 101, 214, 423, 581, 657..
სენაკის მაზრა 293, 310, 353, 357, 419, 420, 548, 549, 551.
სერბია 191, 192, 193, 439.
სვანეთი 137, 152, 216, 221, 222, 223, 296, 297, 299, 335, 342, 420, 575, 576, 577, 644, 645, 772.
სვანი 458, 645, 647, 767, 772.
სიმონეთი 169.
სინოპი 199.
სოღნაღი 40, 105, 107, 109, 110, 112, 114, 116, 177, 328, 421, 427, 432, 434, 583, 585, 641, 704, 705, 708.
სიღნაღის მაზრა 9, 14, 56, 58, 59, 60, 103, 105, 110, 145, 151, 152, 156, 158, 173, 175, 310, 335, 352, 417, 541, 551, 641.
სკანდინაეია 471.
სლავი 439.
სომხეთი 448.
სომეხი 124, 132, 215, 442, 446, 505, 645, 698, 699, 700, 764, 773, 826, 834, 836.
სორმონი (სოფელი) 169.
სორტა 209.
სოლანლუღი 60, 446.
სოკი 236.
სოჩხეთი 169.
სოხუმი 100, 107, 109, 110, 202, 203, 215, 226, 250, 251, 252, 328, 412, 418, 421, 427, 428, 429, 432, 434, 445, 569, 702, 704, 706, 708, 722.
სპარსეთი 91, 93, 94, 113, 114, 253.
სტავროპოლი 176, 226, 520, 671.
სტეფანწმინდა 493, 494.
სურამი 50, 51, 107, 435.
სუფსა (სოფ.) 242.
სუფსა (მდინარე) 204, 243.
სხალთა 451.
სხეიტორი 485.

ტამკენტი 423.
ტამბოეი 86.
ტამბოვის გუბ. 78.
ტიბაანი 57.
ტოლნიანი 143.
ტრაპიზონი 96, 191, 211.
ტურისციხე 50, 55, 56.
ტყვიაეი 603, 751, 752.
ტყიბული 89, 403, 680, 681, 771.

უბიხი 224, 225.
უდინი 646.
უკრაინა 642, 838.
უკრაინელი 834, 838.
უმლაური 170.
უნეიარ-ისკელესი 191, 192.
უნგრეთი 193, 439, 470, 840.

ურიათუბანი 55, 58.
უშგული 575.
უხუთი 237—239.

ფანიანი 57.
ფახულანი 579.
ფინეთი 420, 642.
ფოთი 109, 110, 251, 327, 328, 394, 412, 415—418, 421, 424, 427—429, 431—434, 520, 569, 681, 697, 702, 704, 706—710, 771.
ფსირცხა 251.
ფშაველთი 150.
ფშაველი 55, 147, 458, 646, 669.
ფშავი 173, 458, 497, 767.
ფშავ-ხევსურეთი 110.
ფხეენისი 240.

ჭარელი 240.
ჭართლი 26, 86, 240, 293, 334, 338, 365, 773.
ჭართლელი 458, 767.
ჭართები 458.
ჭართლ-კახეთი 361, 449, 664.
ქემერეთი 50.
ქეხვი 50.
ქვაშხორი 233.
ქეედი 87.
ქვემო მაჩხანი 57.
ქვემო ქვიტირი 169.
ქვიანი 245.
ქისტაური 55.
ქობულეთი 101, 203, 209, 449.
ქსანი 573.
ქსნის ხეობა 240.
ქუთაისი 14, 73, 76, 78, 79, 89, 101, 107, 109, 110, 116, 118, 123, 128, 135, 177, 203, 204, 209, 215, 218, 219, 233, 236, 241, 246, 309, 324, 325, 347, 378, 389, 419, 423, 424, 427—429, 431, 432, 434—437, 480, 485, 504, 515, 523, 564, 566, 580, 606, 641, 657, 663, 667—669, 671, 697, 702, 703, 705, 706, 708,—712, 722, 723, 737, 771, 811, 817, 826, 830.
ქუთაისის გუბერნია 14, 50, 51, 66, 85, 110, 152, 155, 165, 166, 310, 311, 386, 418—420, 421, 531, 534, 535, 539, 540, 544—546, 548—552, 556, 557, 649, 664, 669, 670, 725.
ქუთაისის მაზრა 41, 45, 46, 69, 77, 139, 151, 173, 178, 190, 228, 235, 238, 239, 310, 353, 357, 419, 423, 548, 549, 551.
ქუთაისის ოლქი 169.

ღვარები 81.
ღუნიბი 225.

ყაბარდო 222.
ყაბარდოელი 835, 836.
ყარაბალი 128.
ყარაია 769.
ყარა-ჩაი 222.
ყარაყალი 140.
ყაზანი 516, 815.
ყაზახი 40, 147.
ყაზახეთი. 716.
ყარსი 50, 62, 196, 198, 199, 210, 211, 214, 215, 442, 443, 444, 446, 447, 449.
ყვარელი 9, 50, 58, 62, 138, 140, 175, 480.
ყვირილა 421, 416, 435.
ყიზილ-თაფა 446.
ყინწვისი 240.
ყირიმი 81, 145, 198, 200, 209, 210, 215—217, 223, 256, 443.
ყუბა 128.
ყუბანი 225.
ყუბანის მხარე 225.
ყულევი 93, 100, 107, 211, 212, 215.
ყულისყარი 232.

შავი ზღვა 90, 92, 199, 200, 201, 202, 209, 223, 224, 225, 418, 440, 445, 840.
შავშეთი 447, 451.
შალაური 555, 58, 143.
შამბლეული 86, 87, 395, 396.
შაშადილი 40, 147.
შაქი 128.

შაქრიანი 55, 58.
შაშიანი 140, 143, 341.
შეკვეთილი 98, 99, 412.
შემახი 135.
შემოქმედი 242, 243, 244.
შეეიცარია 505.
შილდა 9, 50, 55, 58, 60, 62, 175, 831.
შირვანი 128.
შორაპანი 420, 566.
შორაპნის მაზრა 45, 151, 310, 352, 353, 357, 441, 548, 599.
შუა აზია 420.
შუამთა 420.
შუა ქვეტირი 169.
შულაეერი 347.

ჩაბალურხეა 250.
ჩათახი 88.
ჩაილური 63.
ჩერქეზეთი 224.
ჩერქეზი 200.
ჩეხეთი 840.
ჩინეთი 834.
ჩინელი 840.
ჩოლოქი (მდინარე) 203, 204, 206, 207, 215.
ჩოხატაური 202, 209.
ჩრდილო ამერიკა 840.
ჩრდილო კავკასია 81, 83, 201, 224, 225, 657.
ჩხარი 101, 169, 171, 421.

ცენტრ. ევროპა 439.
ცომბირი 122, 252, 256, 616, 716.
ციხისუბანი 238, 445.
ცხენისწყალი 213.
ცხინვალი 107, 420, 421, 435.
ცხუმარის თემი 298.

ძეური 169.

წალკა 122, 773,
წებელდა 217, 222, 251, 252.
წედისი 87.
წინარეხი 657.

ჭალა 62.
ჭაქვინჯი 232.
ჭიათურა 14, 403, 408, 420, 421, 424, 437, 569, 675, 679, 680, 681, 685, 772, 826.
ჭიკაანი 55.
ჭონაგვარი 245.
ჭოგნარი 169.
ჭოლეეი 169.
ჭოტორი 57.

ხარკოეი 78, 86.
ხატისთელეთი 62.
ხაშური 421, 777, 826.
ხევი 447.
ხევსურეთი 150, 828.
ხევსური 147, 458, 669, 767, 772.
ხეთა 209.
ხეითი 536.
ხელთუბანი 50, 62, 657.
ხერთვისი 229, 447.
ხვითი 240.
ხიბულა 232.
ხიდისთავის უბანი 165.
ხისორეთი 169.
ხობი (მდინარე) 209, 232.
ხოდაშენი 56.
ხონი 12, 47, 101, 107, 423, 435, 826.
ხრიკული 60.
ხუცუბანი 445.

ყავახეთი 86.
ყავახელი 767.
ყვარი 212, 232, 235.
ყვარისა 169.
ყიმითი 63.
ყიკეები 224.
ყუგაანი 57.
ყუმათი 101.

ჰამბურგი 418.
ჰერცოგოვინა 439.
ჰოლანდია 400.

შემოკლებათა განმარტება

ანაწ. — ანაწერი
მსაი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
მლისფკა — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი
საქ. — საქმე
სმ. — „საისტორიო მოამბე"
სსგია — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი
იხ. — იხილეთ
ფ. — ფონდი
ფურც. — ფურცელი
შდრ. — შეადარე
АИЯЛИ — Абхазский институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа АН Грузинской ССР
АКАК — Акты, собранные Кавказской археографической комиссией
ВПСЗРИ — Второе полное собрание законов Российской империи
ВУА — Военно-ученый архив
Д. — Дело
ДИГ — Документы по истории Грузии под редакцией проф. Ш. К. Чхетия
ЗКОСХ — Записки Кавказского общества сельского хозяйства
КК — Кавказский календарь
КПРЦА — Колониальная политика Российского царизма в Азербайджане
Л. — Лист
ЛЛ. — Листы
ТМКОНСХП — Труды местных комитетов о нуждах сельскохозяйственной промышленности
МИЭБКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
ОП — Опись
ОРВЗК — Обозрение Российских владений за-Кавказом
РТКЭЖДКО — Район Тифлисско-Карско-Эреванской железной дороги в экономическом и коммерческом отношениях
ССДЗСХПГЗК — Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края
ССДЗТКГ — Сборник статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях
СМИЭБГКЗК — Свод материалов для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
СХАО — Сельское хозяйство и аграрные отношения. Сборник документов, составленный П. В. Гугушвили
ЦГВИАМ — Центральный государственный военно-исторический архив в Москве
ЦГИА СССР — Центральный Государственный исторический архив СССР
Ф. — Фонд
ССЧЗТКГ — Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях
ООП — Обзор отраслей промышленности

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი (ი. ანთელავა, ა. ბენდიანიშვილი, მ. გაფრინდაშვილი) . . . 5

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება XIX საუკუნის 30—50-იან წლებში (§ 1 ი. ანთელავა, ე. ორჯონიკიძე, § 2, 4 ე. ხოშტარია, § 3 ე. ორჯონიკიძე) 40

§ 1. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება სოფლის მეურნეობაში 40

§ 2. საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX ს-ის 30—60-იან წლებში 67

§ 3. ვაჭრობა 90

§ 4. საქართველოს ქალაქების ზრდა XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში. ცელილებები ქალაქში მცხოვრებ წოდებათა სოციალურ მდგომარეობაში 105

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30—50-იან წლებში. მმართველობის სისტემა (ი. ანთელავა) 121

§ 1. ქვეყნის კოლონიზაცია 121

§ 2. ეკონომიური პოლიტიკის ხასიათი 124

§ 3. მმართველობის სისტემა 127

§ 4. მმართველობის სისტემის შემდგომი ცელილებანი. მ. ვორონცოვი, ა. ბარიატინსკი 137

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და მათი ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX საუკუნის 30—50-იან წლებში (ყირიმის ომამდე) (ი. ანთელავა) 137

§ 1. სახელმწიფო გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა . . 138

§ 2. სამონასტრო გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა . . . 154

§ 3. საეკლესიო გლეხების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა . . . 167

§ 4. სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა საერთო მდგომარეობის ზოგადი დახასიათება 173

§ 5. გლეხების ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ . 180

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. ყირიმის ომი და სამთავრობის გაუქმება საქართველოში (ე. ორჯონიკიძე) 191

§ 1. ყირიმის ომი 191
§ 2. სამთავროების გაუქმება 216

თავი მეხუთე. კლასობრივი ბრძოლის გაშწვაევება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება (ი. ანთელავა) 227
§ 1. კლასობრივი ბრძოლის გაშწვაევება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში 227
§ 2. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება 257

თავი მეექვსე. საგლეხო რეფორმა საქართველოში (ი. ანთელავა) . 272
§ 1. რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში 274
§ 2. რეფორმა დასავლეთ საქართველოში 292
§ 3. რეფორმის შედეგები და მნიშვნელობა 301

თავი მეშვიდე. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება. სასამართლო და საქალაქო რეფორმები (ალ. ბენდიანიშვილი) . . 303
§ 1. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა 303
§ 2. სასამართლო რეფორმა 312
§ 3. საქალაქო რეფორმა 320

თავი მერვე. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865—1900 წწ.) (§ 1 ალ. ბენდიანიშვილი, § 2, 3, 5 ე. ხოშტარია, § 4, ე. ორჯონიკიძე) 329
§ 1. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფელში . . . 329
§ 2. მრეწველობის განვითარება 375
§ 3. მუშათა კლასის ჩამოყალიბება 404
§ 4. ვაჭრობა და დეკრეტი 411
§ 5. ქალაქებისა და საეკონომო-სამრეწველო დაბების განვითარება . . . 426

თავი მეცხრე. რუსეთ-თურქეთის (1877—1878 წწ.) ომი და საქართველო (ალ. ბენდიანიშვილი) 439

თავი მეათე. ქართველი ერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში (მ. გაფრინდაშვილი) . . 454
§ 1. ქართველი ერი 454
§ 2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 459
§ 3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური მიმდინარეობანი 470

თავი მეთერთმეტე. აგრარული ურთიერთობა საქართველოში რეფორმის მომდევნო ხანაში (60—90-იანი წლები) (ი. ანთელავა) . . 525
§ 1. მიწათმფლობელობის ფეოდალური ხასიათი. მემამულეთა კლასის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა 525
§ 2. გლეხობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა 530
§ 3. კლასობრივი ბრძოლა 557

თავი მეთორმეტე. ხალხისნური მოძრაობა საქართველოში 70—80-იან წლებში (ი. ანთელავა) 587
§ 1. ნაროდნიკობის (ხალხისნობის) სოციალ-პოლიტიკური არსი და ისტორიული მნიშვნელობა 587

§ 2. ნაროდნიკობის წარმოშობის ძირითადი მიზეზები . . 590
§ 3. ხალხოსნური მოძრაობა 70-იან წლებში . . . 594
§ 4. ხალხოსნური მოძრაობა 80-იან წლებში . . . 616

თავი მეცამეტე. 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები (ა. იოსელიანი) 637
§ 1. პოლიტიკური რეაქციის გაძლიერება 637
§ 2. ცვლილებანი კავკასიის უმაღლეს მმართველობაში. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება საქართველოში 641
§ 3. რეაქციული ძალების შემოტევა ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ 643
§ 4. ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ განათლებისა და ეკლესიის დარგში 648
§ 5. ქართული ეროვნულ-კულტურული და სამეურნეო საზოგადოება-დაწესებულებანი რეაქციის წლებში 655
§ 6. 80-იანი წლების ქართული პრესა ცენზურის ბრეკვალებში . . . 663
§ 7. რეაქციის ძალების ახალი შემოტევა. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა 666

თავი მეთოთხმეტე. მუშათა კლასის მდგომარეობა XIX საუკუნის 70—90-იან წლებში და მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები (ა. კიკვიძე) 672
§ 1. მუშათა კლასის მდგომარეობა 672
§ 2. მუშათა პირველი გაფიცვები საქართველოში 689

თავი მეთხუთმეტე. საქალაქო თვითმმართველობანი 1875—1905 წწ. ერობის შემოღების საკითხი (ა. ბენდიანიშვილი) 697
§ 1. საქალაქო თვითმმართველობანი 1875—1905 წწ. 697
§ 2. ერობის შემოღების საკითხი 712

თავი მეთექვსმეტე. მარქსიზმის წარმოშობა და დამკვიდრება საქართველოში (ლ. გორგილაძე) 727
§ 1. მარქსისტული მიმდინარეობის წარმოშობა საქართველოში . . . 727
§ 2. მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთება საქართველოში . 744

თავი მეჩვიდმეტე. ქართული კულტურა XIX საუკუნეში (მ. გაფრინდაშვილი) 764
§ 1. ახალი ყოფა და ახალი კულტურა 764
§ 2. მოსახლეობის მატერიალური ყოფა 766
§ 3. ხალხის სულიერი ყოფა 779
§ 4. ლიტერატურა და პრესა 783
§ 5. განათლება და მეცნიერება 812
§ 6. ხელოვნება 823
§ 7. კულტურული ურთიერთობა სხვა ხალხებთან 834

საძიებელი 841

შემოკლებათა განმარტება 863

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი ვ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
გამომშვები შ. ლეჟავა
კორექტორები: ლ. არეშიძე, ნ. თაეაძე

გადაეცა წარმოებას 30/X-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XI-70 წ.
ქაღალდის ზომა 60×97¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 69,98+0,97 ჩაკვრა.
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 54,17.

ეე 01735. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1.

ფასი 8 მან. 86 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.